ჟან-მიშელ დე ვაელისა და პოლ მანიეტის
რედაქტორობით

ევროპული დემოკრატიები

ნაციონალური პოლიტიკური სისტემების შედარებითი მიდგომა



პრინსტონის უნივერსიტეტი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჟან-მიშელ დე ვაელისა და პოლ მანიეტის
რედაქტორობით

ევროპული დემოკრატიები

ნაციონალური პოლიტიკური სისტემების შედარებითი მიდგომა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი – 2013 წელი
ILIA STATE UNIVERSITY

ჟან-მიშელ დე ვაელისა და პოლ მანიეტის რედაქტორობით

ევროპული დემოკრატიები

ნაციონალური პოლიტიკური სისტემების შედარებითი მიდგომა

ევროპული დემოკრატიები *ნაციონალური პოლიტიკური სისტემების შედარებითი მიდგომა*, 2008 წ., ჟან-მიშელ დე ვაელისა და პოლ მანიეტის რედაქტორობით.

წიგნი გამოიცა ფრანგული ინსტიტუტის საგამომცემლო დახმარების ფარგლებში. თარგმანი განხორციელდა საფრანგეთის წიგნის ეროვნული ცენტრის დახმარებით.

Cet ouvrage a bénéficié du soutien des Programmes d'aide à la Publication de l'Institut français. La traductrice a bénéficié pour cet ouvrage du soutien du Centre National du Livre.

Les démocraties européennes *Approche comparée des systèmes politiques nationaux*, Jean-Michel De Waele, Paul Magnette (sous la direction).

ფრანგულიდან თარგმანი: **ნ. ცქიტიშვილი**
სამეცნიერო რედაქტორი: **მალხაზ მაცაბერიძე**
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი

© Armand Colin, Éditeur, 2008
© თარგმანი ნ. ცქიტიშვილი, 2013

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტი
თბილისი, 2013

ISBN 978-9941-18-157-3

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

OUVRAGE DIRIGÉ PAR JEAN-MICHEL DE WAELE
ET PAUL MAGNETTE

LES DÉMOCRATIES EUROPÉENNES

APPROCHE COMPARÉE DES SYSTÈMES POLITIQUES NATIONAUX

ARMAND-COLIN

ავტორების სია

რედაქტორები

ჟან-მიშელ დე ვაელი, პოლიტიკის მეცნიერების პროფესორი, პოლიტიკის კვლევის ცენტრის (CEVIPOL) დირექტორი, ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტი.

პოლ მანიეტი, პოლიტიკის მეცნიერების პროფესორი, ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტი.

ავტორები

კალიოპე აგაპიუ-იოსეფიდესი: ასისტენტ-პროფესორი, ჟან-მონეს ევროპული პოლიტიკური ინტეგრაციის კათედრა, პოლიტიკურ და სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, კვიპროსის უნივერსიტეტი.

ატილა აგი: პოლიტიკის მეცნიერების პროფესორი, კორვინუსის უნივერსიტეტი, ბუდაპეშტი, „Together for Europe"-ის კვლევითი ცენტრის დირექტორი.

ფრანსუა ბასტიანი: პარიზი I პანთეონ-სორბონის უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების პროფესორი, სორბონის პოლიტიკური კვლევების ცენტრის დირექტორის მოადგილე.

დევიდ ს. ბელი: განვითარების გეოგრაფიის დოცენტი, გეოგრაფიის უმაღლესი სკოლა, ეკოლოგიის ფაკულტეტი, ლიდსის უნივერსიტეტი.

მაგნუს ბლომგრენი: დოცენტი, პოლიტიკის მეცნიერების დეპარტამენტი, უმეას უნივერსიტეტი.

ირენა ბრინარი: დოცენტი, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ლიუბლიანის უნივერსიტეტი.

იზაბელა კალეია რაგონეზი: დოცენტი, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, ხელოვნების ფაკულტეტი, მალტის უნივერსიტეტი.

მარინა კოსტა ლობო: სოციალურ მეცნიერებათა ინსტიტუტის მკვლევარი, ლისაბონის უნივერსიტეტი.

ანტონიო კოსტა პინტო: მკვლევარი, სოციალურ მეცნიერებათა ინსტიტუტი, ლისაბონის უნივერსიტეტი.

მაურიციო კოტა: პოლიტიკის მეცნიერების პროფესორი და პოლიტიკური ცვლილებების კვლევის ცენტრის დირექტორი, სიენის უნივერსიტეტი.

ბრეტისლავ დანჩაკი: პოლიტიკის მეცნიერების საერთაშორისო ინსტიტუტის დირექტორი, საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროპული კვლევების დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, მაზარიკის უნივერსიტეტი, ბრნო.

კრისტოფერ გრინ-პედერსენი: პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერების დეპარტამენტი, აარუსის უნივერსიტეტი.

ვიტ ჰლუსეკი: პოლიტიკის მეცნიერების საერთაშორისო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროპული კვლევების დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, მაზარიკის უნივერსიტეტი, ბრნო.

იანის იკსტენსი: პოლიტიკის მეცნიერების ასისტენტ-პროფესორი, ლატვიის უნივერსიტეტი.

იფიგენი კამტსიდუ: საკონსტიტუციო სამართლის ასისტენტ-პროფესორი, სამართლის, ეკონომიკურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, თესალონიკის „არისტოტელეს" უნივერსიტეტი.

ალგის კრუპავიჩუსი: პოლიტიკისა და საჯარო ადმინისტრირების ინსტიტუტის პროფესორი და დირექტორი, კაუნასის ტექნიკური უნივერსიტეტი.

თომას ლარუ: პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, შვედეთის პარლამენტის საკონსტიტუციო კომიტეტის მდივანი.

პედრო მაგალაეში: ლისაბონის უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ინსტიტუტის მკვლევარი.

გრიგორი მეზენიკოვი: საჯარო საქმეთა ინსტიტუტის დირექტორი, ბრატისლავა.

გარი მერფი: სამართლისა და მართვის უმაღლესი სკოლის დოცენტი, დუბლინის უნივერსიტეტი.

ანტონ პელინკა: პოლიტიკის მეცნიერების და ნაციონალიზმის კვლევების პროფესორი, ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტი, ბუდაპეშტი.

სანტიაგო პერეს-ნიევასი: დოქტორი, პოლიტიკის მეცნიერების დეპარტამენტის პროფესორი, მადრიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი.

ველო პეტტაი: შედარებითი პოლიტიკის პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერების დეპარტამენტი, ტარტუს უნივერსიტეტი.

ჟან-ბენუა პილეტი: პოლიტიკის მეცნიერების ასისტენტ-პროფესორი, პოლიტიკის კვლევის ცენტრი (CEVIPOL), ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტი.

ფილიპ პუარიერი: ლუქსემბურგის უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების უფროსი მეცნიერ მკვლევარი.

ქრისტიან პრედა: პოლიტიკის მეცნიერების პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერების ფაკულტეტის დეკანი, ბუქარესტის უნივერსიტეტი.

იაცეკ რაციბორსკი: ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორი. სოციოლოგიის დეპარტამენტი.

ლუის რამირო: პოლიტიკის მეცნიერების პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერებისა და ადმინისტრირების დეპარტამენტი, მურსიის უნივერსიტეტი.
თომას ზაალფელდი: პოლიტიკის მეცნიერების პროფესორი, კენტის უნივერსიტეტი, კენტერბერი.
ასბორნ სკეველანდი: ასოცირებული პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერების დეპარტამენტი, აარუსის უნივერსიტეტი.
სორინა სოარე: CEVIPOL-ის მკვლევარი, ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტი.
ანტონ ტოდოროვი: ბულგარეთის ახალი უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების პროფესორი, სოფია.
მიტია ზაგარი: პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ლიუბლიანის უნივერსიტეტი.
ლუკა ვერძიჩელი: პოლიტიკის მეცნიერების ასოცირებული პროფესორი, სიენის უნივერსიტეტი.
მატტი ვიბერგი: პოლიტიკის მეცნიერების პროფესორი, ტურკუს უნივერსიტეტი, ფინეთი, ფინეთის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის წევრი.

შესავალი

ჟან-მიშელ დე ვაელი და პოლ მანიატი

2004 წლის გაზაფხულზე ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოება მოიცავს განზომილებას, რომელიც საჯაროდ იშვიათად განიხილებოდა: „ორი ევროპის" შერიგების მიღმა, ეს მომენტი ასევე ევროპის დემოკრატიზაციის ციკლის დასრულებას აღნიშნავს. კონტინენტის ყველა ქვეყანა – რუსეთისა და ბელორუსის გარდა – ყველაზე ძველიდან დაწყებული, რომელიც სათავეს XVI საუკუნიდან იღებს, პირველი მსოფლიო ომის შემდგომ შექმნილამდე, ამიერიდან „ლიბერალური დემოკრატიის" კატეგორიას განეკუთვნება. აღნიშნული ქვეყნების ევროკავშირში შესვლას, რომელიც 1960-იანი წლების დასასრულიდან თანდათანობით განმტკიცდა, როგორც სტაბილიზებული დემოკრატიების კლუბი, ამ თვალსაზრისით, სიმბოლური მნიშვნელობა აქვს.

რეტროსპექტული კუთხით, ევროპას დემოკრატიზაციის სამმა ტალღამ გადაუარა.

– პირველი ტალღა, რომელიც 1688 წლის ინგლისის „დიადი რევოლუციიდან" XIX საუკუნის დასასრულამდე გაგრძელდა, კონტინენტის ჩრდილო-დასავლეთის ძველი ერების დემოკრატიზაციის ტალღაა. მერყეობდა რა გაერთიანებული სამეფოსა და ჩრდილოეთის სამეფოების ეტაპობრივი ლიბერალიზაციისა და საფრანგეთის რევოლუციის ძვრებიდან მომდინარე გზებს შორის, თანამედროვე დასავლეთ ევროპამ მიმართულება მისცა სხვა ევროპულ ქვეყნებს. დიდი ხნის განმავლობაში ინგლისური ტიპის კონსტიტუციური მონარქია და ფრანგული ტიპის რესპუბლიკანიზმი ევროპული დემოკრატიის ორ მატრიცას წარმოადგენდა, რომელსაც სხვა ევროპული ერები აკვირდებოდნენ, სწავლობდნენ, ეთაყვანებოდნენ ან აკრიტიკებდნენ.

– მეორე ტალღა, ერიკ ჰობსბაუმის აზრით, ძირითადად, „ხანმოკლე მეოცე საუკუნეზე" ვრცელდება (1918 წლიდან 1989 წლამდე) და კონტინენტის აღმოსავლეთსა და სამხრეთს შეეხო. ამ ვრცელ „ნახევრად პერიფერიაში" პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ავტორიტარული რეჟიმების ეტაპობრივი დემოკრატიზაცია დაიწყო, რომელიც ძირითადად, ინგლისისა და საფრანგეთის მაგალითებით იყო შთაგონებული, თუმცა, სტაბილური არსად გამხდარა. 1920-1930-იან წლებში ადგილი ჰქონდა სამხედრო სახელმწიფო გადატრიალებებსა და მონარქიების რესტავრაციას, რამაც ეს ქვეყნები „მოდერნიზაციის ავტორიტარული გზით" წაიყვანა (Linz). ამ ქვეყნების გარკვეულმა ნაწილმა ომის შემდგომი ლიბერალური რეჟიმების პერიოდი განვლო დასავლეთის კონტროლქვეშ (დასავლეთ გერმანია, ავსტრია, იტალია), სხვები კი სამხედრო-ავტორიტარული ნაციონალური მეურვეობის ობიექტად დარჩნენ, რასაც დასავლეთის ბანაკი 30 წლის განმავლობაში შემწყნარებლურად უყურებდა (ესპანეთი, პორტუგალია, საბერძნეთი). ამ „ახალმა დემოკრატიებმა," ჩრდილოეთში გავრცელებულ „საპარლამენტო მოდელთან" ერთად ევროპაში ატლანტიკის გაღმა შექმნილი კონსტიტუციონალური ტექნიკა შემოიტანეს (ფედერალიზმი, კანონების კონსტიტუციურობის კონტროლი), რომელმაც თავის მხრივ, ჩრდილოეთის ძველ დემოკრატიებზე იქონია გავლენა.

– რაც შეეხება ე. წ. „აღმოსავლეთის" ქვეყნებს, საბჭოთა კავშირის მათზე დომინანტობამ ისინი ავტორიტარულ რეჟიმებში მოაქცია, რომლებშიც ლიბერალიზაციის ნებისმიერი მცდელობა საბჭოთა მეურვეობით იმსხვრეოდა (1956 წლის უნგრეთი, 1968 წლის ჩეხოსლოვაკია, 1981 წლის პოლონეთი), რაც 1989-1991 წლებში საბჭოთა კავშირის უხეში დაშლით დასრულდა. 1990-იან წლებში პოსტკომუნისტური კონსტიტუციების მიღების პერიოდში ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპა თავის მხრივ, ფართოდ საზრდოობდა დასავლეთ ევროპის კონსტიტუციონალური მონაპოვრით და ამ პრინციპებს თითქმის პოლიტიკური აქსიომების მნიშვნელობას ანიჭებდა. აღნიშნული ქვეყნების საბაზრო ეკონომიკასა და ლიბერალურ დემოკრატიაზე გადასვლას თან ახლდა მათი რეგიონალურ ორგანიზაციებში ჩართვა (ევროსაბჭო, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (OSCE), ნატო, ევროკავშირი), რამაც გარკვეულწილად, კონტინენტის პერიფერიის გადაადგილება გამოიწვია. ევროკავშირის მიღმა დემოკრატიზაცია უფრო ნელი ტემპით ვითარდება, მაგრამ ამიერიდან ის ყველგან ძირითადი საკითხი ხდება, რომლის გარშემო პოლიტიკური დებატები იმართება. ბალკანეთში, სერბეთი ამ მოძრაობას 15 წლის მოგვიანებით შეუერთდა, ისევე როგორც იუგოსლავიის დაშლის შედეგად შექმნილი სხვა სახელმწიფოები.

– აღმოსავლეთში არსებულ რეჟიმებს აღარ შეუძლიათ ამ საკითხისთვის გვერდის ავლა. უკრაინაში და მოლდოვაში ბუნდოვანი, მაგრამ რეალური დემოკრატიზაცია მიმდინარეობს. თავად ვლადიმირ პუტინის რუსეთიც კი, გარეგნულად კლასიკური დემოკრატიული სისტემის სახეს ქმნის. მხოლოდ ბელორუსი რჩება „კლასიკურ" დიქტატურად.

– ასევე უნდა აღინიშნოს ესპანური მოდელის მიმზიდველობა გარდამავალ პერიოდთან და დემოკრატიულ სტაბილიზაციასთან მიმართებაში ცენტრალური ევროპის ახალი დემოკრატიებისთვის. ახალი კონსტიტუციები არსებულ გამოცდილებას იყენებენ, რომელიც ავტორიტარიზმისა და პოლიტიკური არასტაბილურობის წინააღმდეგ ბრძოლას ისახავს მიზნად. ამგვარად, გართულდა მთავრობის დამხობა ლეგისლატურის განმავლობაში, დღეისათვის ყველგანაა მიღებული პროპორციული წარმომადგენლობის ლოგიკა და ეროვნული უმცირესობები დაცულნი არიან.

– ეს ძირითადი კანონები გერმანიისა და სამხრეთ ევროპის გამოცდილებითაა შთაგონებული. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ისინი მრავალჯერ იქნა გადასინჯული 1989 წლიდან და რეგულარულად პოლიტიკურ დღის წესრიგშია შეტანილი, ისევე როგორც არჩევნების ფორმის საკითხი. აღნიშნული კანონები ზოგჯერ კამათის საგანია და მომავალში ისინი უეჭველად დაიხვეწება. გარდა ამისა, პოლიტიკური კრიზისის შემთხვევაში, იურისპრუდენცია კვლავაც სუსტი და ბუნდოვანია. დაბოლოს, მთლიანობაში სახელმწიფოებმა მმართველობის რესპუბლიკური ფორმა აირჩიეს.

– შეიძლება თუ არა დემოკრატიის „ევროპულ მოდელზე" საუბარი? ფოკუსის შეცვლისას შესასწავლი რეჟიმების მაკროსკოპული ანალიზიდან მათ ძირითად სტრუქტურაზე გადასვლით, შეგვიძლია თუ არა მივიჩნიოთ, რომ არსებობს პოლიტიკური ცხოვრების მოწყობის წმინდა ევროპული ფორმა, რომელიც მსოფლიოს სხვა დემოკრატიზებული რეგიონებისგან განსხვავდება? წინამდებარე ნაშრომის წვლილი სწორედ ამ კითხვაზე პასუხის გაცემის მცდელობაში მდგომარეობს. პასუხი შეიძლება მხოლოდ ნიუანსირებული იყოს: თუკი ევროპულ დემოკრატიებს უდავოდ „ოჯახის იერი" აქვთ, აშკარაა კონსტიტუციონალური ფორმებისა და სამოქალაქო კულტურის მრავალფეროვნება. ევროპა ხელისუფლების მოწყობის პრინციპებს იზიარებს და ასევე განსაკუთრებული ნაციონალური ტრაექტორიების კვალს ატარებს, რომელიც მის შემადგენელ თითოეულ ერს სპეციფიკურ ხასიათს ანიჭებს.

პირველ რიგში, შეიძლება ხანგრძლივი და იშვიათად გამოაშკარავებული მოძრაობის წარმოჩენა: ყველა თანამედროვე დემოკრატიამ – მიუხედავად იმისა, საქმე ეხება ახალ დემოკრატიებს თუ უკანასკნელი საკონსტიტუციო „ფორმებით" გამოცოცხლებულ ძველ დემოკრატიებს – სოციოლოგიური ლოგიკა მიატოვა, რომელიც XVIII საუკუნის მიწურულს დებატებში დომინირებდა. განმანათლებლების ეპოქის ადამიანები, ისევე როგორც XVIII საუკუნისა და XIX საუკუნის დასაწყისის კონსტიტუციონალისტები, საკუთარი პრინციპების ასახვას პოლიტიკურ რეალობაში შეეცადნენ. თანამედროვე კონსტიტუციებს უნდა უზრუნველყოთ ის, რომ მასების – ან ხალხის – თანდათანობითი შესვლა პოლიტიკურ ცხოვრებაში ანარქიამდე ან დესპოტიზმამდე არ მისულიყო. აღნიშნული ეპოქის მთელი პოლიტიკური მეცნიერება ამ სულისკვეთებას ატარებს: ხანგრძლივი დებატები საარჩევნო ხმების გავრცელებაზე საშუალო და დაბალი ფენის წარმომადგენლებზე, მემკვიდრეობითი ან წარჩინებულთა მიერ არჩეული სახელმწიფო მეთაურისთვის მინიჭებული პრივილეგიები, ორპალატიანი საპარლამენტო სისტემა, დეცენტრალიზაცია, მმართველი უმრავლესობის მაკონტროლებელი ორგანოების ამოქმედება (სახელმწიფო საბჭო, საანგარიშო პალატა . . .), ყველა აღნიშნულ ტექნიკას ერთი და იგივე მიზანი ჰქონდა: დომინანტური კლასებისთვის უპირატესი გავლენის მინიჭება განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში. თანამედროვე დემოკრატიებმა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ამ ლოგიკასთან კავშირი გაწყვიტეს: თუკი ხელისუფლება „სხვადასხვაგვარი შემადგენლობისაა", არც ერთი მმართველი და არც ერთი პუბლიციისტი ამ ინსტიტუციონალურ არქიტექტურას სოციოლოგიური ტერმინებით არ გაამართლებს. დღეს, ევროპული დემოკრატიები იმ პრინციპებით არიან ორგანიზებულნი, რომელთაც პრეტენზია აქვთ, რომ სოციოლოგიას არაფერს უნდა უმადლოდნენ. თანამედროვე „კონსტიტუციონალური არქიტექტურა" ძირითადად, ხელისუფლების სხვადასხვა ტერიტორიული პრინციპების დადგენას ისახავს მიზნად. ტერიტორიულ ასპექტში, ფედერალიზმი და რეგიონალიზმი იმ ადგილების ავტონომიის პრინციპებითაა შთაგონებული, რომლებიც საკუთარი იდენტურობითაა აღჭურვილი; ძალაუფლების სივრცითი დისპერსია აღარ წარმოადგენს „ფრაქციების ბატონობის" ან „უმრავლესობის ტირანიის" წინააღმდეგ მიმართულ დამცავ მექანიზმს. დროითი განზომილების თვალსაზრისით, შეიძლება განვასხვაოთ აზრის ხანმოკლე დრო, მანდატის საშუალო ხანგრძლივობა და ფუნდამენტური ღირებულებების ხანგრძლივი დრო (ძირითადად, ადამიანის უფლებები) და დავაკვირდეთ, თუ რა წილს აკუთვნებს კონსტიტუცია თითოეულს და როგორ აყალიბებს მათგან ერთიანობას; თუმცა, აღარ შეიძლება ორპალატიანობის ან კანონების კონსტიტუციურობის კონტროლის გამართლება, როგორც ტექნიკისა, რომელიც მაღალი სოციალური კატეგორიების პრივილეგიების დაცვისთვისაა განკუთვნილი – მაშინაც კი, როდესაც ეს ზოგჯერ ამ ტექნიკის შესაძლებელი ეფექტია. ამ შემთხვევაში, გარკვეულწილად, სახეზეა დემოკრატიული პრინციპის მნიშვნელოვანი გამარჯვება: ინსტიტუტები, რომლებიც უმრავლესობის ბატონობას უქმნიან დაბრკოლებას, თავად უნდა იქნენ გამართლებულნი დემოკრატიული პრინციპებით (უმცირესობების დაცვა, ერთობების ავტონომია, სტაბილურობის აუცილებლობა. . .) და აღარ ეყრდნობოდნენ ზეპოლიტიკურ პრინციპებს ან გარკვეული სოციალური ჯგუფების პრივილეგიებს.

თანამედროვე ევროპული დემოკრატიების არქიტექტურის დეტალებში ჩაღრმავებით, განხილვებისა და გადაწყვეტილებების ფორმების გარკვეულ დამთხვევას დავინახავთ. იმ შემთხვევაშიც, თუ რითმი განსხვავებულია და ვარიაციები არსებობს, ყველა ევროპული რეჟიმი აღმასრულებელი ხელისუფლების კვლავაც ძლიერი კონცენტრაციითა და იმავდროულად, ამ უკანასკნელის გაკონტროლების მექანიზმების გამრავლებითაა აღნიშნული. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ხელისუფლება უფრო მეტადაა ჩარჩოში ჩასმული. სახელმწიფო მეთაურის როლის თანდათანობითმა შეზღუდვამ – საფრანგეთის გარდა – მთავრობების შესაძლებლობები გაზარდა; პარლამენტების რაციონალიზაციასა და ზედა პალატების უმრავლესობის მარგინალიზაციას (ზოგჯერ გაუქმება, ზოგჯერ კი

საკანონმდებლო კონტროლის ფუნქციებამდე დაყვანა) ანალოგიური ეფექტი აქვს. საკანონმდებლო არჩევნების პოლარიზაცია (მიუხედავად საარჩევნო სისტემისა) და კამპანიების მზარდი პერსონიფიკაცია, ასევე ხელს უწყობს აღმასრულებელი ხელისუფლებების (ფორმალურად მაინც) უპირატესობას. თუკი ისინი აგრძელებენ თავიანთი ფორმალური ლეგიტიმაციის ძიებას საპარლამენტო მატრიცაში, მთავრობები ევროპული დემოკრატიების ცენტრები გახდნენ. თუმცა, აშკარა არაა, რომ აღმასრულებელი ხელისუფლებები ეფექტურად გაძლიერდნენ, რადგან იმ დროს, როდესაც მთავრობების ისტორიული მეტოქეები (სახელმწიფო მეთაური, პარლამენტი) ძალაუფლებას კარგავდნენ, სხვა შეზღუდვები ძლიერდებოდა.

– კაპიტალიზმის ტრანსფორმაციის ახალმა ფაზამ, რომელიც 1980-იან წლებში დაიწყო და ევროპული ინტეგრაციით იქნა კონსოლიდირებული, საგრძნობლად შეზღუდა მთავრობების მანევრირების თავისუფლება: „გლობალიზებულ“ ეკონომიკაში, რომელსაც კაპიტალის დიდი მობილურობა და ევროპულ ასპექტში, მნიშვნელოვანი სექტორების ლიბერალიზაცია ახასიათებს, რომლებიც წინათ სახელმწიფოს მფარველობისა და მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა (ტრანსპორტი, ენეტგეტიკა, ტელეკომუნიკაციები, ბანკები . . .), მთავრობის შესაბამისი უფლებამოსილება შეამცირა. იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც ევროს ზონაში შევიდნენ, მონეტარული კომპეტენციის დაკარგვა და სტაბილურობის პაქტის მოთხოვნები კიდევ უფრო მეტად ზრდის გარე შეზღუდვებს. მრავალ სექტორში მთავრობა მოქმედებს მხოლოდ, როგორც კერძო საწარმოებისთვის მინდობილი ამოცანების გარე რეგულატორი, როდესაც ის ამ მისიის დელეგირებას არ ახდენს დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ „სააგენტოებზე“ და იურიდიულ კონტროლზე.

– კანონების კონსტიტუციურობის კონტროლის მექანიზმების დამკვიდრება და კონსოლიდაცია, რომელიც ევროპული დემოკრატიების ევოლუციის ერთ-ერთი საგულისხმო ტენდენციაა ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში, ახალ კონტრძალაუფლებას აყალიბებს სამთავრობო ქმედებასთან მიმართებაში, რომელიც ხან ოპოზიციას (საფრანგეთი), ხან კი კერძო პირებს წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობას აძლევს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ინიცირებულ და ხშირად, მის მიერ მართულ საკანონმდებლო ქმედებაზე.

– ხელისუფლების დეცენტრალიზაცია, და ზოგჯერ ფედერალიზაციაც კი, იმავე მიმართულებით მიდის: სახელმწიფოს შიგნით ხელისუფლების ავტონომიური ორგანოების შექმნა, რომლებიც ხშირად, არჩეული საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოებით არიან აღჭურვილნი, ცენტრალური აღმასრულებელი ხელისუფლებების მოქმედების უნარს ზღუდავს.

– საპარლამენტო განხილვის შედარებითი გამოცოცხლება ამ ტენდენციას აგრძელებს: თუკი პარლამენტებს იშვიათად ჰქონიათ იმპულსის მიცემისა და საკანონმდებლო გადაწყვეტილების მიღების რეალური ძალაუფლება პარტიების უპირატესი როლის გამო, ისინი ზოგჯერ იძულებულნი არიან ძველი კონტროლის ინსტრუმენტები აამოქმედონ (როგორიცაა საპარლამენტო კომისიები, მუდმივმოქმედი და საგამოძიებო, პეტიციები, მოსმენები...), რომლებიც მთავრობას საკუთარი ქმედების უფრო ზედმიწევნით გათვალისწინებას აიძულებს.

– ჩვენი საზოგადოებების მზარდი პლურალიზმი და სოციალური სტრუქტურების გართულება შესაძლებელს ხდის უფრო განსხვავებული და ფართო ინტერესების წარმოჩენას. პოლიტიკურ პარტიებს კონკურენციას ინტერესთა ჯგუფები და lobbys უწევენ, რომლებიც მთავრობებს უფრო მრავალრიცხოვან აქტორებთან თანამშრომლობას აიძულებენ. ეს უკანასკნელნი სულ უფრო მეტად არიან ასოცირებულნი გადაწყვეტილების მიღების პროცესთან და ზოგჯერ თავად ეძლევათ გარკვეული სფეროების მართვისა და თანამართვის შესაძლებლობა.

– მოქალაქეთა კონსულტაციის ტექნიკის უფრო ხშირი გამოყენება (მიუხედავად იმისა ის ფორმალური ხასიათისაა თუ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მზარდი გავლენითაა გამოხატული) სამთავრობო ქმედებისთვის დამატებითი საპირწონეა. თუმცა, იშვიათობას წარმოადგენენ ქვეყნები, რომლებიც პირდაპირი დემოკრატიის მოდელს – შვეიცარიული (ან კალიფორნიული) – მიჰყვებოდნენ, მოქალაქეებისთვის ინიციატივის რეალური შესაძლებლობის მინიჭებითა და საკანონმდებლო სფეროში დამტკიცებისა ან გაუქმების უფლებით.

სიღრმისეულად თუ მივუდგებით, ევროპული დემოკრატიები იმგვარი რეჟიმების წარმოდგენას ქმნიან, რომლებიც აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურებს ძლიერ სუბიექტურ ძალაუფლებას ანიჭებენ თუმცა, ობიექტური გადაწყვეტილების მიღების უფრო ჩარჩოში ჩასმულ შესაძლებლობას. დღეისათვის, ევროპული სახელმწიფოს მართვა ძირითადად, წარმოადგენს მოძრაობისთვის იმპულსის მიცემასა და ძალზე მრავალრიცხოვანი და ავტონომიური ინსტიტუტების ქმედების კოორდინაციას და იმავდროულად, მრავალი კონტროლის ორგანოს რეაქციის წინასწარ განჭვრეტას (საკონსტიტუციო სასამართლო, ადმინისტრაციული იურისდიქციები, საანგარიშო პალატები, მედიატორები...).

ამ კომპლექსური ტენდენციების მიღმა, ძალზე მნიშვნელოვანია იმ ფორმების მრავალფეროვნება, რომელიც თითოეული ქვეყნისთვის დამახასიათებელ ტრაექტორიებს ასახავს. დემოკრატიული რეჟიმების ევროპეიზაცია მინიმალურია, რაც ნაწილობრივ გამოიხატება იმაში, რომ არც ევროსაბჭო და კიდევ უფრო ნაკლებად ევროკავშირი, თავის წევრ-სახელმწიფოებს გარკვეულ მოდელზე არ მიუთითებს: პირველი ბუნდოვანი და ნაკლებად შემზღუდველი რეკომენდაციებით შემოიფარგლება, მეორე კი, მხოლოდ ფუნქციონალურ-ინსტიტუციონ-

ალურ მოდიფიკაციებს გვთავაზობს. დემოკრატიული ფორმების არჩევანი არსებითად ნაციონალურ საკითხად რჩება (Schmidt, 2006). ამგვარად, ევროკავშირის წევრ-ქვეყნებს შორის არსებობენ კონსტიტუციური მონარქიები და რესპუბლიკები; უნიტარული, ფედერაციული ან დეცენტრალიზებული სახელმწიფოები; ერთპალატიანი და ორპალატიანი პარლამენტები; საკონსტიტუციო სასამართლოები, რომელთა უფლებამოსილებები და გადაწყვეტილების მიღების ფორმები ქვეყნების მიხედვით იცვლება; საარჩევნო კანონების უაღრესად ფართო ჩამონათვალი და პირდაპირი დემოკრატიის ტექნიკის ძალზე ცვალებადი აღიარება... ამავე დროს, შესაძლებელია კონტინიუმზე ინდივიდუალური ფორმულების დადგენა იმ სახელმწიფოებიდან გამომდინარე, რომლებშიც ძალაუფლება ძალზე კონცენტრირებულია (უნიტარული, ერთპალატიანი, უმრავლესობის, სუსტი კონსტიტუციური კონტროლით...) სახელმწიფოებამდე, რომლებშიც ის უფრო გაფართოებულია (ფედერალიზებული, ორპალატიანი, პროპორციული...), როგორც ამას არენდტ ლიფარტის ნაშრომებით (1999 წ.) შთაგონებული პოლიტიკოსები შეგვახსენებენ. ასევე შესაძლებელია, რომ ეს არჩევანი კულტურულ პრეფერენციას ასახავს პოლიტიკური ცხოვრების უფრო კონკურენტული ან უფრო თანამშრომლობითი ფორმების სასარგებლოდ. თუმცა, ამგვარი ტიპის კლასიფიკაცია ინდივიდუალური შემთხვევების არსებობის დიდ მრავალფეროვნებას ვერ ჩქმალავს.

არის თუ არა ეს მრავალფეროვნება გაქრობისთვის განწირული? გარკვეული ელემენტები ამის ფიქრის საშუალებას იძლევა: მედიის მზარდი გავლენა პოლიტიკურ ცხოვრებაზე უფრო აძლიერებს მთავრობის მზარდაჭერის პოლიტიკასა და ხელისუფლების პერსონიფიკაციას, და საკანონმდებლო არჩევნების – მუნიციპალური ან რეგიონალური – გარკვეულ პოლარიზაციას უწყობს ხელს. დემოკრატიული ფორმების გამარტივებამ შეიძლება ევროპული ერების პოლიტიკური ცხოვრების გარკვეულ ამერიკანიზაციამდე მიგვიყვანოს. ამავე დროს, აღსანიშნავია „სამართლიანი გარემოს“ ძიება ევროპული სახელმწიფოების დიდი უმრავლესობის მხრიდან მიუხედავად იმისა, საქმე ეხება ნაციონალური ერთიანობის და გარკვეული რეგიონალური ავტონომიის შეხამებას (გარკვეულ შემთხვევაში, უნიტარული სახელმწიფოების დეცენტრალიზაციით, ან სხვა შემთხვევაში, ფედერალიზმის რაციონალიზაციით), საარჩევნო ალქიმიაში მაჟორიტარული და პროპორციული ლოგიკის გაერთიანებას თუ კლასიკური წარმომადგენლობითი ფორმების შერწყმას მოქალაქეთა ჩართვის ახალ მოდელებთან. როგორც ჩანს, ევროპული სახელმწიფოების უმრავლესობა ბალანსისთვის დასაყრდენს ეძებს. შედარებამ, დომინანტური ნორმების გავრცელებამ, შეიძლება ევროპული დემოკრატიების თანდათანობით თანხვედრას შეუწყოს ხელი „საშუალო“ მოდელის გარშემო, რომლის მომასწავებელი ზოგიერთი პოსტავტორიტარული დემოკრატია იყო (გფრ და ესპანეთი). თუმცა, შესაძლებელია საპირისპირო ჰიპოთეზის არსებობაც: ევროპის პოლიტიკური ინტეგრაციის პარადოქსია ის, რომ ამ უკანსკნელს ეს სახელმწიფოები ხშირად საკუთარ თავში ჩაკეტვამდე მიჰყავს. ხშირ შემთხვევაში, საკუთარ ისტორიასთან უკუკავშირმა, ეროვნული მემკვიდრეობის გადაფასებამ, რასაც თან ახლავს მეზობლების გამოცდილების მიმართ დაღმავალი ცნობისმოყვარეობა, შეიძლება გაამყაროს და ინტენსიურიც კი გახადოს ნაციონალური მოდელების მრავალფეროვნება.

უკანასკნელ წლებში პოლიტიკური რეჟიმების ანალიზი ყურადღებას აღარ იწვევს. თუმცა, მათი გაგება აუცილებელია ნაციონალური განვითარების ასახსნელად და თითოეულ ამ სისტემაზე გარე გავლენის შესაფასებლად. ევროკავშირის სახელმწიფოებთან დაკავშირებული სრული და ამომწურავი ნაშრომის არარსებობის გამო გამომცემლებმა ამ კავშირში შემავალი თითოეული სახელმწიფოს სპეციალისტებს თავიანთი პოლიტიკური რეჟიმის გაანალიზება სთხოვეს, რაც ნაციონალური და ტრანსნაციონალური თვალსაზრისით, ნაშრომის კითხვას გააიოლებს.[1]

---

1 ჟან-მიშელ დე ვაელი და პოლ მანიატი მადლობას უხდიან CEVIPOL-ის მთელ ჯგუფს ამ პროექტის განხორციელებისთვის გაწეული დახმარებისთვის. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ქალბატონ ნინუსია პილატს დიდი დახმარებისთვის.

თავი I

ავსტრია

ანტონ პელინკა

როდესაც 1995 წლის 1 იანვარს ავსტრია ევროკავშირში გაერთიანდა ეს ქვეყანა ერთდროულად შედარებით ძველი და შედარებით ახალიც იყო. ევროკავშირის წევრი-ქვეყანა ავსტრია, 1918 წელს დაარსებული *ავსტრიის რესპუბლიკაა*, ჰაბსბურგების იმპერიისა და ავსტრია-უნგრეთის მონარქიის ერთ-ერთი მემკვიდრე. რესპუბლიკური ავსტრია, რომელიც ანტანტის ხელისუფალთა მიერ იყო შექმნილი და ავსტრიის იმპერიის გერმანოფონული რეგიონების უმრავლესობისგან შედგებოდა, ძალზე არასტაბილურ ქვეყანას წარმოადგენდა. აღნიშნულ ეპოქაში ავსტრიის დამოუკიდებლობის ნება – განსაკუთრებით, გერმანიასთან მიმართებაში – არ იყო აშკარად გამოხატული. თავდაპირველად, შიდა კონფლიქტებმა ავსტრიის დემოკრატიის ნგრევა, შემდეგ კი მისი დამოუკიდებლობის დაკარგვა გამოიწვია.

თანამედროვე ავსტრიის ისტორია 1945 წლიდან იწყება, როდესაც კიდევ ერთხელ, მოკავშირეებმა დამოუკიდებელი და დემოკრატიული ავსტრიის გარანტად ყოფნა გადაწყვიტეს. ამიტომაც, ავსტრიის მეორე რესპუბლიკას ახასიათებდა და დღესაც ახასიათებს, შედარებით სტაბილური პოლიტიკური სისტემა და კონსენსუსზე დამყარებული პოლიტიკური კულტურა. ეს ელემენტი ავსტრიის პირველ რესპუბლიკას მეორისგან განასხვავებს, მიუხედავად იმისა, რომ ორივე რესპუბლიკის დროს დომინანტური პარტიები იგივე დარჩა: კონსერვატორი ქრისტიან-სოციალები (რომელთაც ავსტრიის სახალხო პარტია შექმნეს 1945 წელს) და სოციალ-დემოკრატები.

1920 წლიდან ავსტრიის რესპუბლიკას დემოკრატიული კონსტიტუცია აქვს. ამავე დროს, მიუხედავად კონსტიტუციური უწყვეტობისა, თანამედროვე ავსტრიას ძალზე განსხვავებული პოლიტიკური სისტემა ახასიათებს. დრამატული მოვლენების შემდეგ, რომლებმაც ქვეყნის ისტორიას ღრმა კვალი დაამჩნია, მეორე რესპუბლიკა ახალ საფუძვლებზე დაფუძნდა.

1918 წელს ავსტრიის რესპუბლიკის შექმნის დროიდან, ავსტრიამ რამდენიმე ისტორიული პერიოდი განვლო:

– პირველი რესპუბლიკა (1918-1933/34 წწ.). ავსტრიული დემოკრატია ღრმა კონფლიქტებით იყო გახლეჩილი, რომლებმაც თანდათანობით ქვეყანა ავტორიტარულ რეჟიმამდე (1933 წ.), სამოქალაქო ომამდე და ერთპარტიულ (პატრიოტული ფრონტი – Vaterländische Front, ქრისტიან-სოციალების მიერ შექმნილი) რეჟიმამდე მიიყვანა 1934 წელს.

– ნახევრად ფაშისტური კორპორატისტული სახელმწიფო (1934-1938 წწ.). კათოლიკე კონსერვატორების ბანაკის მიერ კონტროლირებადმა ავტორიტარულმა მთავრობამ აკრძალა, როგორც მემარცხენე რესპუბლიკელების, ისე ავსტრიის NSDAP[2]-ის საქმიანობა.

– NSDAP-ის ნაცისტური ტოტალიტარული მთავრობა (1938-1945 წწ.). გერმანიის მიერ ოკუპირებული და ანექსირებული ავსტრია ჰიტლერის გავლენის ქვეშ იმყოფება და ავსტრიის ნაცისტური მოძრაობითაა დასუსტებული. ავსტრია – მისი ტერიტორია და საზოგადოება – სრულიად ინტეგრირებულია „დიდ გერმანულ იმპერიაში."

– მეორე რესპუბლიკა (1945 წლიდან). მოკავშირეებმა ავსტრია ნაცისტური რეჟიმისგან გაანთავისუფლეს. „ანტიფაშისტური" პარტიების კოალიციამ რესპუბლიკა 1920 წლის კონსტიტუციის საფუძველზე აღადგინა. ამავე დროს, პირველი რესპუბლიკის დაარსების შემდგომი წლებისგან განსხვავებით, ავსტრიის რეჟიმი ამ დროიდან სტაბილურ კონსენსუსს ემყარება დიდ პოლიტიკურ პარტიებს შორის.

თანამედროვე ავსტრია ძალზე განსხვავებული ისტორიული გარემოებების შედეგია: ჰაბსბურგების იმპერიის ნგრევა; 1918 წლის შემდეგ პოლიტიკური არასტაბილურობისა და შიდა და გარე დიქტატურის გამოცდილება; გამარჯვებული მოკავშირეების დაინტერესება ავსტრიული დემოკრატიისთვის მეორე შანსის მიცემით 1945 წელს; და ავსტრიის პოლიტიკური აქტორების მიერ ამ ხელსაყრელი გარემოების გამოყენების უნარი.

საერთაშორისო პოლიტიკამ სიღრმისეული გავლენა იქონია ავსტრიის დემოკრატიაზე, სახელდობრ, იმიტომ რომ აშშ-მ, სსრკ-მ, გაერთიანებულმა სამეფომ და საფრანგეთმა ამ პროცესის ახლიდან ამოქმედება გადაწყვიტეს. იმავდროულად, ავსტრიის დემოკრატია ასევე ავსტრიული საზოგადოების ნებისა და უნარის შედეგია. ამ უკანასკნელმა შეძლო იმ მარცხის გათვალისწინება, რომელმაც პირველი რესპუბლიკის ნგრევა გამოიწვია.

აღნიშნულის შედეგად, თანამედროვე ავსტრიის ისტორიული კონტექსტის ძირითადი განმარტებითი ფაქტორები შიდა და გარე ცვლადებია:

– მთავარი საერთაშორისო აქტორების ინტერესი ავსტრიული დემოკრატიის სტაბილურობისა და დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, რასაც ადასტურებს სენ-ჟერმენის (1919 წ.) და ვენის (1955 წ.) ხელშეკრულებები და ასევე მოსკოვის 1943 წლის დეკლარაცია.

---

2 ნაცისტური პარტია

1945 წლის შემდეგ ავსტრიის დიდი პარტიების ტრაექტორიის შეცვლა – სოციალ-დემოკრატები (SPO) და ავსტრიის სახალხო პარტია (ÖVP) (ყოფილი ქრისტიან-სოციალები) – დემოკრატიულ კონსენსუსსა და ეროვნულ დამოუკიდებლობაზე აქცენტის გაკეთებაში გამოიხატა იდეოლოგიური კონფლიქტების საპირისპიროდ და დიდი მეზობლის, გერმანიის მფარველობის დაღწევისგან ზრუნვაში.

თავიდანვე, მეორე რესპუბლიკაში ორი მთავარი პარტია დომინირებდა. კომუნისტური პარტიის (KPÖ) გავლენა ხანმოკლე იყო. 1949 წელს დაფუძნებული VDU (დამოუკიდებლობის მომხრეთა ლიგა) განახლებული იქნა თავისუფლების პარტიის (FPÖ) სახელწოდებით 1956 წელს. ის ავსტრიის პანგერმანული პოლიტიკის ტრადიციას წარმოადგენდა და ავსტრიის ნაციონალ-სოციალისტების რიგებიდან გამოსული წევრების საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობისგან შედგებოდა. 1980-იან წლებში ÖVP-სა და SPÖ-ს დომინანტობის შემცირების შემდეგ FPÖ-მ და მწვანეებმა ამ უკუსვლისგან სარგებელის გამოტანა შეძლეს.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში ავსტრიის სპეციფიკური პოზიცია სხვა ევროპულ სახელმწიფოებს შორის, ყოველთვის ცვალებადად აღიქმებოდა. 1970-1980-იან წლებში ნეიტრალიტეტმა და კორპორატივიზმმა ყველა სხვა ფაქტორზე მეტად გამოიწვია აკადემიური და პოლიტიკური ინტერესი თანამედროვე ავსტრიის მიმართ. ეს მახასიათებლები ავსტრიის გეოპოლიტიკური სტატუსისა და პატარა ქვეყნისთვის დამახასიათებელ თავისებურებად განიხილებოდა.

– ნეიტრალიტეტი აღქმული იქნა ავსტრიის სპეციფიკურ პასუხად ცივი ომის, ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობისა და ავსტრიის ისტორიის წინასწარგანსაზღვრულ პირობასთან მიმართებაში, რომელიც მას უნდა მიეღო მეორე მსოფლიო ომის დასასრულს.[3] სწორედ ნეიტრალიტეტი განასხვავებდა ავსტრიას ორი გერმანიისგან, რომელიც თავის მხრივ, სრულიად ინტეგრირებული იყო დასავლეთისა და აღმოსავლეთის ბლოკების სისტემაში.

– „სოციალურ პარტნიორობად" წოდებული კორპორატივიზმი ავსტრიის ევოლუციის სხვადასხვა სტერეოტიპს შეესატყვისება. მაშინ როდესაც სხვა ქვეყნებს კლასობრივი კონფლიქტების უფლება ჰქონდათ, ავსტრიამ შეძლო კაპიტალიზმისა და სოციალიზმის წარმატებით შეხამება.[4] ინსტიტუციონალიზებული ქსელის მატრიცამ, რომელიც მუშათა ორგანიზაციებს, საწარმოებსა და მთავრობას მოიცავდა, ავსტრიას განსაკუთრებულად წარმატებული „მესამე გზის" არჩევის შესაძლებლობა მისცა მეწარმეობის უფლებასა და ცენტრალიზებულ დაგეგმარებას შორის.

ვალდჰაიმის საქმემ მნიშვნელოვნად შეცვალა ეს აღქმა.[5] 1986 წელს პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, კურტ ვალდჰაიმი ნაციონალური და საერთაშორისო კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა. მას ოპორტუნისტობაში და ნაცისტების პერიოდში საკუთარი როლის მიჩქმალვის მცდელობაში დებდნენ ბრალს. მართლაც, ავსტრიამ შეძლო მსოფლიოს იმაში დაჯერება, რომ ჰიტლერი გერმანელი იყო, ბეთჰოვენი კი ავსტრიელი. თუმცა, ავსტრიის ევროკავშირში შესვლამ და მისი ოფიციალური წარმომადგენლების განცხადებებმა ავსტრიის პასუხისმგებლობაზე ნაცისტურ რეჟიმთან მიმართებაში ფარდა ახადა წარმოდგენას, რომლის თანახმად, ავსტრიამ თავისი ისტორიიდან დასკვნები გამოიტანა.[6]

„ჰაიდერის ფენომენმაც" ასევე შეუწყო ხელი ავსტრიაზე შექმნილი წარმოდგენების შეცვლას. ჰაიდერი გახდა მხარე (და ის დღესაც არსებობს), რომელმაც უკიდურეს მემარჯვენე პარტიას ყველაზე დიდი წარმატების მოპოვების შესაძლებლობა მისცა 1945 წლის შემდგომი ევროპის ისტორიაში. როდესაც 2002 წელს ჰაიდერის FPÖ ÖVP-ს პარტნიორი გახდა სამთავრობო კოალიციაში, მთელმა მსოფლიომ, განსაკუთრებით კი ავსტრიის ევროპელმა პარტნიორებმა ძალზე კრიტიკული პოზიცია დაიკავეს.[7] ავსტრია არამდგრად ქვეყნად განიხილებოდა ევროპის ძირითად ტენდენციებთან მიმართებაში.

ეს აღქმები გაანალიზებული უნდა იქნეს უწყვეტობის სპეციფიკური დარღვევის კუთხით. რეალურად მრავალი „ავსტრია" არსებობს. ჰაბსბურგების ავსტრია არ იყო ის ავსტრია, რომელმაც გერმანიის რესპუბლიკასთან ინტეგრაციის სურვილი გამოთქვა. ორ მსოფლიო ომს შორის არსებული პერიოდის ავსტრიას არ ჰქონდა ნაციონალური იდენტობა და ის არ იყო მეორე მსოფლიო ომის დასასრულის ავსტრია, რომელმაც თავის მხრივ, შესაძლებელი გახადა თავად ამგვარი ცნების გაჩენა. ევროპის ყველა სხვა ქვეყანაზე მეტად ავსტრიამ სიღრმისეულად შეცვალა თავისი იდენტობა ბოლო ორი საუკუნის მანძილზე. ყველა სხვა ევროპულ ერზე მეტად ის განუწყვეტლივ ცვლიდა იმ დამახასიათებელ ნიშნებს, რომლებსაც მას მიაწერდნენ.[8]

---

3 Thomas O, Schlesinger, Austrian Neutrality on Postwar Europe. The Domestic Roots of a Foreign Policy, (Vienne 1971).

4 Emmerich Tälos, „Austrokorporatismus am Ende?", in Dachs et al. (éds.) : Politik in Östrreich. Das Jandbuch. (Vienne 2006), pp. 425-442.

5 Robert Edwin Herzstein, Waldheim, The Missing Years, (New York, 1988).

6 Anton Pelinka, Austria. Out of the Shadow of the Past. (Boulder 1998).

7 Ruth Wodak, Anton Pelinka, éds. The Haider Phenomenon in Austria, (New Brunswick 2002).

8 Peter Thaler, *The Ambivalence of Identity. The Austrian Experience of Nation-Building in a Modern Society.* (West Lafayette 2002).

აღმასრულებელი ხელისუფლება

1920 წლის კონსტიტუციის თანახმად, რომელშიც 1929 წელს შესწორებები იქნა შეტანილი, ქვეყანა ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკადაა გამოცხადებული – ყოველ შემთხვევაში, ერთი შეხედვით. ეს კონსტიტუცია გერმანიის ვაიმარის რესპუბლიკისა და საფრანგეთის მეხუთე რესპუბლიკის კონსტიტუციისგან განსაკუთრებულად არ განსხვავდება, მაგრამ ის ერთმანეთს უხამებს საპარლამენტო რეჟიმისა (ვესტმინსტერის სისტემა) და საპრეზიდენტო რეჟიმის მნიშვნელოვან ელემენტებს.

ავსტრიის ფედერალურ პრეზიდენტს (Bundespräsident) სახელმწიფო მეთაურის რანგში პირდაპირ ხალხი ირჩევს. პრეზიდენტის ასარჩევად აუცილებელია მიცემული ხმების უმრავლესობის მოპოვება. მეორე ტური ინიშნება იმ შემთხვევაში, თუკი არც ერთი კანდიდატი ხმათა უმრავლესობას მაშინვე ვერ მოიპოვებს. ორი კანდიდატი, რომელიც მიცემული ხმების ყველაზე მეტ რაოდენობას დააგროვებს ამ გადამწყვეტ ტურზე უნდა წარდგეს. პრეზიდენტი ექვსი წლის ვადითაა არჩეული და იგი მეორე ვადით შეიძლება იქნეს არჩეული. ამგვარად, პრეზიდენტს ქვეყნის მართვა არა უმეტეს თორმეტი წლის განმავლობაში შეუძლია. 1945 წლიდან ერთადერთმა პრეზიდენტმა – რუდოლფ კირხშლაგერმა (1974-1986 წწ.) – შეძლო ზედიზედ ორი მანდატის ბოლომდე აღსრულება.

პრეზიდენტის ძირითადი ფუნქცია, ყველა იმ ცერემონიალური ვალდებულებების გარდა, რომელიც სახელმწიფო მეთაურს ევალება, ფედერალური მთავრობის (Bundesregierung) დასახელებაა. იგი ნიშნავს ფედერალურ კანცლერს (Bundeskanzler) მთავრობის მეთაურის რანგში ისევე, როგორც მთავრობის სხვა წევრებს კანცლერის წარდგინით – ფედერალურ მინისტრებს (Bundesminister) და სახელმწიფო მდივნებს (Staatssekretäre).

კონსტიტუცია არანაირად არ ზღუდავს პრეზიდენტის როლს მთავრობის დანიშვნაში. ამავე დროს, იმის გამო, რომ კანცლერი და მთელი მთავრობა პოლიტიკურად პარლამენტის ზედა პალატის წინაშეა პასუხისმგებელი, ეროვნული საბჭო (Nationalrat), პრეზიდენტი დე ფაქტო ვალდებულია გაითვალისწინოს უფლებამოსილებათა თანავარსკვლავედი პარლამენტში. იმ შემთხვევაშიც კი, თუ სამართლებრივად, პრეზიდენტს კანცლერისა და მთავრობის დანიშვნა ეროვნული საბჭოს ნების წინააღმდეგ შეუძლია, ამგვარი მთავრობის ხანგრძლივობა ძალზე ხანმოკლე იქნებოდა. მართლაც, ეროვნულ საბჭოს მთავრობის გადაყენება უბრალო უმრავლესობით ჩატარებული კენჭისყრით შეუძლია.

რადგან პრეზიდენტს მთავრობის დანიშვნის გარეშე მოქმედება არ შეუძლია, ხოლო მთავრობა თავის მხრივ, ეროვნული საბჭოს უმრავლესობაზეა დამოკიდებული, ავსტრიის პრეზიდენტის პოლიტიკური როლი მნიშვნელოვნად შეზღუდულია. კანცლერსა და მის მთავრობას უნდა ჰქონდეს, როგორც პრეზიდენტის, ისე პარლამენტის ზედა პალატის ნდობა. ამ ორმაგმა დამოკიდებულებამ ავსტრიის პოლიტიკური სისტემა შეიძლება „შერეული" სისტემების კატეგორიაში დააყენოს, რომელსაც შედარებით სუსტი კაბინეტის არსებობა ახასიათებს პრეზიდენტისა და ძლიერი პარლამენტის წნეხის ქვეშ. თუმცა, კონსტიტუციის თანახმად, ფედერალურ მთავრობას პრეზიდენტზე მეტი გავლენა აქვს რეალურ პოლიტიკურ ცხოვრებაში, სწორედ კანცლერი წარმოადგენს ავსტრიის პოლიტიკის ძლიერ ფიგურას; მისი ფუნქცია ყველაზე პრესტიჟულია და მას ყველაზე მეტი უფლებამოსილებები აქვს. ავსტრიაში აღმასრულებელი ხელისუფლება ფედერალური მთავრობის ხელშია კონცენტრირებული, რაც კანცლერის დომინანტურ როლს განმარტავს.

კანცლერის უპირატესობის მაჩვენებლები:

მთავარი პარტიების თავმჯდომარეები ყოველთვის მიისწრაფოდნენ კანცლერის და არა პრეზიდენტის ფუნქციის მისაღწევად. აშკარაა, რომ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ინიციატივები კანცლერისა და მისი კაბინეტიდან მომდინარეობს. ერთი გამონაკლისის გარდა (1957 წ. – ადოლფ შარფი, SPÖ), ორი დიდი პარტიის არც ერთ თავმჯდომარეს არ წარუდგენია თავისი კანდიდატურა პრეზიდენტის პოსტზე. ამ გამონაკლისის შემთხვევაშიც კი, პრეზიდენტობამ შარფის ლიდერობა დაასრულა.

ავსტრიის ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ, ევროსაბჭოში ავსტრიის წარმომადგენელთან დაკავშირებული დებატი კანცლერის სასარგებლოდ გადაწყდა. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ კონსტიტუციური თვალსაზრისით, შესაძლებელი იყო ფრანგული მოდელის გამოყენება და ავსტრიის წარდგენა თავისი პრეზიდენტით ევროკავშირის ყველაზე მაღალ პოლიტიკურ დონეზე.

ეროვნული საბჭოს არჩევნები ფართოდაა აღიარებული მთავრობისა და კანცლერის პირდაპირ არჩევნებად. კოალიციები იქმნება საპარლამენტო არჩევნების და არა საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ. სწორედ საპარლამენტო უმრავლესობას და არა პრეზიდენტს გადამწყვეტი გავლენა აქვს მთავრობის ფორმირებაზე.

რეალობაში, ავსტრიის პოლიტიკურ ცხოვრებაში საპარლამენტო ინსტიტუტი საპრეზიდენტო ინსტიტუტზე ბევრად ძლიერია. მიუხედავად პრეზიდენტის კონსტიტუციონალური როლისა და მისი მანდატის დემოკრატიული ლეგიტიმურობისა, სწორედ კანცლერი და მთავრობა აკონტროლებს აღმასრულებელ ხელისუფლებას. და, სწორედ ეროვნული საბჭოს უმრავლესობა ანიჭებს ლეგიტიმაციას მთავრობას.

ავსტრიის კანცლერის როლი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრისა და გერმანიის კანცლერის როლის სრულიად იდენტური არაა. ფედერალურმა კანცლერმა თავისი ძალაუფლება დიდწილად მთავრობის სხვა წევრებთან უნდა გაინაწილოს. ძალაუფლების გაყოფას ორი ცვლადი განმარტავს:

– ფორმალური მიზეზი: ავსტრიის კონსტიტუციის თანახმად, კანცლერი თანასწორთა შორის პირველია. იგი არაა მინისტრების ხელმძღვანელი. მას პირდაპირ არ შეუძლია მინისტრების მუშაობის გაკონტროლება თავიანთ შესაბამის სამინისტროებში. კანცლერს კოორდინირება და არა ბრძანების გაცემა შეუძლია.

– არსობრივი მიზეზი: კოალიციური მთავრობების დროს (1945 წლიდან 1966 წლამდე და 1983 წლიდან) კანცლერმა – როგორც თავისი პარტიის თავმჯდომარემ – აშკარად მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მისი საკუთარი პარტიიდან გამოსულ მინისტრებზე. თუმცა, მას იგივე გავლენა არა აქვს სხვა პარტიებიდან გამოსულ მინისტრებზე, რომლებიც კოალიციის წევრები არიან. კოალიციის შემთხვევაში, ვიცე-კანცლერი, რომელიც ჩვეულებისამებრ, მთავრობის სხვა პარტიის თავმჯდომარეა, მეორე კანცლერის როლს ასრულებს.

ყველა ჩამოთვლილ მიზეზთა გამო ჭეშმარიტად დომინანტური სახელმწიფო კანცელარიის არსებობა წესიდან გამონაკლისზეა დამოკიდებული, ე. ი. ერთპარტიულ მთავრობაზე, რომელიც სტაბილურ უმრავლესობას აკონტროლებს ეროვნულ საბჭოში. ავსტრიის საარჩევნო სისტემით თითქმის სრულყოფილად ჩამოყალიბებული პროპორციული წარმომადგენლობის კუთხით, ამგვარი პირობები იშვიათადაა ერთად თავმოყრილი.

ზემოთ აღნიშნულ გამონაკლისს რეალობაში ორჯერ ჰქონდა ადგილი 1966-1970 წლებში, როდესაც იოზეფ კლაუსი და მისი პარტია (ÖVP) უმრავლესობას მართავდა ეროვნულ საბჭოში და ასევე 1971-1983 წლებში, როდესაც ბრუნო კრაისკი და მისი პარტია (SPÖ) იგივე პოზიციაში აღმოჩნდა. თუმცა, ამ ორი დიდი პარტიის თანდათანობითმა უკუსვლამ ამგვარ შესაძლებლობას ბოლო მოუღო. როგორც ჩანს, ავსტრია სხვადასხვა პარტიებისგან შემდგარი კოალიციით უნდა იმართებოდეს.

ეს თანავარსკვლავედი ამცირებს კანცლერის დომინანტობას და ხაზს უსვამს მთელი მთავრობისა და სხვადასხვა მინისტრების მნიშვნელობას. მინისტრს (რომელსაც ზოგჯერ თავისი თანაშემწე, სახელმწიფო მდივნი ეხმარება) აღმასრულებელი პასუხისმგებლობა აკისრია თავის შესაბამის სამინისტროზე. იგი იღებს სამინისტროს პერსონალთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს. დაბოლოს, მინისტრი ასევე ავსტრიას წარმოადგენს ევროსაბჭოში. კანცლერი კოორდინირებას უწევს ავსტრიის ევროპულ პოლიტიკას, მაგრამ ამ შემთხვევაშიც, მას ამ პოლიტიკის კარნახი არ შეუძლია.

მრავალ ასპექტში, ავსტრიის აღმასრულებელი ხელისუფლება პირველ ყოვლისა, მინისტრების ხელშია. ამ უკანსკნელთა რაოდენობა ცვალებადია, მაგრამ ჩვეულებისამებრ, ეს პასუხისმგებლობა თორმეტ მინისტრს აკისრია. თითოეული მინისტრი თითქმის სუვერენულ ძალაუფლებას აღასრულებს აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილზე, ე. ი. თავის სამინისტროზე. მისი ავტონომია შეიძლება პარტიული დისციპლინით იქნეს შეზღუდული. მიუხედავად ამისა, ავსტრიაში აღმასრულებელი ხელისუფლება ფედერალურ დონეზე კონცენტრირებულია არა მხოლოდ ფედერალური პრეზიდენტისა და ფედერალური კანცლერის ხელში, არამედ ასევე ფედერალური მინისტრების ხელშიც.

ცხრილი №1 ფედერალური პრეზიდენტები 1945 წლიდან

არჩევის წელი	პრეზიდენტი	წევრი პარტია	ხმის მიცემა 1945 წელს
1945 წ.	კარლ რენერი	SPÖ	ერთხმად*
1951 წ.	თეოდორ კორნერი	SPÖ	52,2% (მეორე ტური)
1957 წ.	ადოლფ შარფი	SPÖ	51,1 %
1963 წ.	ადოლფ შარფი	SPÖ	ხელახლა არჩეული ხმათა 55,4% -ით
1965 წ.	ფრანც იონასი	SPÖ	50,7%
1971 წ.	ფრანც იონასი	SPÖ	ხელახლა არჩეული ხმათა 52,8%-ით
1974 წ.	რუდოლფ კირხშლაგერი	არც ერთი**	51,7%
1980 წ.	რუდოლფ კირხშლაგერი	არც ერთი**	ხელახლა არჩეული ხმათა 79,9%-ით***
1986 წ.	კურტ ვალდჰაიმი	არც ერთი****	53,9 (მეორე ტური)
1992 წ.	თომას კლესტილი	ÖVP	56,9% (მეორე ტური)
1998 წ.	თომას კლესტილი	ÖVP	ხელახლა არჩეული ხმათა 63,4%-ით*****
2004 წ.	ჰაინც ფიშერი	SPÖ	52,4%

წყარო: Plasser, Ulram 2003, pp 208-210; 2004 წლისთვის: ოფიციალური საარჩევნო შედეგები მოწოდებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ.

*1945 წლის 20 დეკემბრის არჩევნები ჩატარდა ფედერალური ასამბლეისა (ეროვნული საბჭო) და ფედერალური საბჭოს მიერ; **დამოუკიდებელი, მაგრამ SPÖ-ს მიერ მხარდაჭერილი; *** ÖVP-მ კანდიდატი დაასახელა; **** დამოუკიდებელი, მაგრამ ÖVP-ს მიერ მხარდაჭერილი ***** SPÖ-ს კანდიდატი არ დაუსახელებია.

ცხრილი №2 ფედერალური მთავრობები 1945 წლიდან

პერიოდი	კანცლერი	სამთავრობო პარტიები	ოპოზიციური პარტიები*
1945-1947 წწ.	ლეოპოლდ ფიგლი (ÖVP)	ÖVP,SPÖ,KPÖ	არც ერთი
1947-1953 წწ.	ლეოპოლდ ფიგლი (ÖVP)	ÖVP, SPÖ	KPÖ, VDU**
1953-1961 წწ.	იულიუს რააბი (ÖVP)	ÖVP,SPÖ	KPÖ, VDU (FPÖ)****
1961-1964 წწ.	ალფონს გორბახი (ÖVP)	ÖVP,SPÖ	FPÖ
1964-1966 წწ.	იოზეფ კლაუსი (ÖVP)	ÖVP, SPÖ	FPÖ
1966-1970 წწ.	იოზეფ კლაუსი (ÖVP)	ÖVP	SPÖ, FPÖ
1970-1983 წწ.	ბრუნო კრაისკი (SPÖ)	SPÖ*****	ÖVP,FPÖ
1983-1986 წწ.	ფრედ ზინოვატციP(SPÖ)	SPÖ, FPÖ	ÖVP
1986-1987 წწ.	ფრანც ვრანიცკი (SPÖ)	SPÖ, FPÖ	ÖVP
1987-1997 წწ.	ფრანც ვრანიცკი (SPÖ)	SPÖ, ÖVP	FPÖ, მწვანეები, LIF******
1997-2000 წწ.	ვიქტორ კლიმა (SPÖ)	SPÖ, ÖVP	FPÖ,მწვანეები, LIF
2000-2006 წწ.	ვოლფგანგ შუსელი (ÖVP)	ÖVP, FPÖ	SPÖ,მწვანეები
2007*******	ალფრედ გუსენბაუერი (SPÖ)	SPÖ, ÖVP	მწვანეები, FPÖ, BZÖ

*პარტიები, რომელთაც ადგილები აქვთ ეროვნულ საბჭოში** 1949 წლიდან; *** 1959 წლამდე;**** VDU FPÖ-დ გარდაიქმნა 1956 წელს; *****1970-1971 წლების უმცირესობის კაბინეტი FPÖ-ს მიერ არაფორმალურად მხარდაჭერილი;******LIF-ი (ლიბერალური ფორუმი) 1993 წელს FPÖ-ს გამოეყო; *******2004 წელს FPÖ გაიყო. პარლამენტის ყოფილი წევრების უმრავლესობა და FPÖ–დან გამოსული ყველა მთავრობის წევრი ახალ პარტიას BZÖ–ს შეუერთდა; ********2006 წლის 1 ორტომბრის საკანონმდებლო არჩევნების შემდეგ SPÖ–მ და ÖVP–მ ალფრედ გუსენბაუერის კოალიციასთან დაიწყეს მოლაპარაკებები.

პარლამენტი

ავსტრიის ფედერალური პარლამენტი ორპალატიან სისტემას ეფუძნება, რომელიც ერთ-ერთი პალატთაა დომინირებული – ეროვნული საბჭო. ქვედა პალატა, ფედერალური საბჭო (Bundesrat) ავსტრიის ცხრა მიწას (Länder) წარმოადგენს. ზედა პალატის დომინანტური როლი შემდეგ ასპექტებშია ასახული:

ეროვნულ საბჭოს პირდაპირ ავსტრიელი ამომრჩევლები ნიშნავენ. ფედერალური საბჭო ცხრა მიწის პარლამენტების (Landtage) დელეგატებისგან შედგება.

ფედერალური მთავრობა მხოლოდ ეროვნული საბჭოს და არა ქვედა პალატის წინაშეა პასუხისმგებელი. მხოლოდ ზედა პალატას შეუძლია მთავრობის გადაყენება ნდობის კენჭისყრის საფუძველზე. არც ერთ კანცლერსა და არც ერთ მთავრობას არ შეუძლია საკუთარი ხელისუფლების შენარჩუნება ამ პალატის ნების გარეშე. თავის მხრივ, ქვედა პალატას არა აქვს პირდაპირი გავლენა მთავრობის არსებობაზე.

ორივე პალატას საკანონმდებლო უფლებამოსილებები აქვს. თუმცა, ფედერალურ საბჭოს მხოლოდ შემაჩერებელი ვეტოს უფლება აქვს. ქვედა პალატის მხრიდან ეროვნულ საბჭოსთან დაპირისპირების შემთხვევაში, ამ უკანასკნელს მაინც შეუძლია უბრალო უმრავლესობით (Beharrungsbeschluss – დაჟინების კენჭისყრა) კანონის მეორე კენჭისყრით გატანა, ქვედა პალატის ნების წინააღმდეგ.

საკანონმდებლო პროცესში, ეროვნული საბჭო კანონპროექტებს ყოველთვის პირველი განიხილავს. ქვედა პალატას გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილების შემდეგ შეუძლია.

მიუხედავად Länder-ის წარდგენის თავისი ფორმალური როლისა, ფედერალური საბჭო იგივე პრინციპებითაა ორგანიზებული, რაც ზედა პალატა. ორივე პალატა პარტიების ჯგუფებითაა დომინირებული (Fraktionen, ფრაქციები) – ადგილების რიგითობიდან კომიტეტებში შესვლამდე. ქვედა პალატა ზედა პალატის პრინციპზეა დაფუძნებული: ის პარტიებს და არა მიწებს წარმოადგენს.

ორივე საპარლამენტო პალატა ორგანიზებულია პლენარული სესიებისა და კომიტეტების ჩვეულებრივი ორობითობის შესაბამისად. კომიტეტები ასრულებენ ან საკანონმდებლო ფუნქციას, რომელიც სხვადასხვა პოლიტიკითაა განსაზღვრული (განათლება, ფინანსები და სხვ.) ან კონტროლის ფუნქციას სამთავრობო საქმიანობისთვის ზედამხედველობის გასაწევად. მხოლოდ ეროვნულ საბჭოს – და არა ფედერალურ საბჭოს – შეუძლია საგამოძიებო კომიტეტების ამოქმედება. საქმე ეხება საპარლამენტო კონტროლის შედარებით მოკრძალებულ ინსტრუმენტს, რადგან ასეთი კომიტეტის შექმნა მხოლოდ უმრავლესობის გადაწყვეტილებითაა შესაძლებელი და ამგვარად, ხელისუფლებაში მყოფმა უმრავლესობამ საკუთარი თავი უნდა გააკონტროლოს. დიდი ხნის განმავლობაში ამ სისტემას აკრიტიკებდნენ, როგორც ავსტრიის საპარლამენტო სისტემის ერთ-ერთ ძირითად ნაკლს, მაგრამ დღემდე ვერც ერთმა უმრავლესობამ შეთანხმება ვერ მოახერხა ოპოზიციური უმცირესობის სასარგებლოდ მის შეცვლაზე.

ოპოზიციისთვის გაკონტროლების ყველაზე მნიშვნელოვანი მექანიზმი კაბინეტის წევრებისთვის შეკითხვების დასმის უფლებაა. მინისტრები ვალდებულნი არიან პასუხი გასცენ დასმულ შეკითხვებს. ისინი შეიძლება

ზეპირად ან წერილობით იქნეს დასმული და იგივე ხდება პასუხების გაცემის შემთხვევაშიც. რაც შეეხება ზეპირ შეკითხვებს, პარლამენტი ამასთან დაკავშირებით, სპეციალურ პლენარულ სესიებს (Fragestunden – შეკითხვების საათი) მართავს. საპარლამენტო კონტროლის ლოგიკიდან გამომდინარე, ოპოზიციას ამ ინსტრუმენტის გამოყენება შეუზღუდავად შეუძლია.[9]

ავსტრიის პოლიტიკური სისტემის საპარლამენტო ხასიათიდან გამომდინარე, საკანონმდებლო ხელისუფლება იმ მთავრობის ხელშია, რომელიც ეროვნული საბჭოს უმრავლესობას ასახავს. რადგან ავსტრიის პოლიტიკურ პარტიებს პარტიული დისციპლინის ძლიერი ტრადიცია ახასიათებს, მთავრობაში მყოფი პარტიები თითქმის უზრუნველყოფილნი არიან თავიანთი პროექტების საპარლამენტო გადაწყვეტილებებად გარდაქმნაში. ავსტრიაში ხელისუფლების დაყოფა სტრუქტურირებულია არა აღმასრულებელი და საკანონმდებლო შტოების დაყოფით, არამედ უფრო მეტად, სამთავრობო უმრავლესობასა და ოპოზიციის უმცირესობას შორის ურთიერთობით.

ამის შედეგად, კანონპროექტები თითქმის ყოველთვის მთავრობიდან მომდინარეობს – პირდაპირ ან ირიბად. რა თქმა უნდა, პარლამენტის წევრებსაც ასევე აქვთ საკანონმდებლო ინიციატივის უფლება. ამავე დროს, უმცირესობის, ოპოზიციის ინიციატივები ჩვეულებისამებრ, არ იღებს უმრავლესობის დეპუტატთა მხარდაჭერას. ხშირად, კანონპროექტები პარლამენტის იმ წევრების მიერაა წარდგენილი, რომლებიც ხელისუფლებაში მყოფ უმრავლესობას მიეკუთვნებიან, მაგრამ ეს ინიციატივები ჩვეულებისამებრ, ადმინისტრაციებთან მჭიდრო კოორდინაციაშია ჩამოყალიბებული. საპარლამენტო კომიტეტების მიერ შემოთავაზებული საკანონმდებლო ინიციატივები ამავე მოდელს ეფუძნება. რადგან ეროვნული საბჭოს კომიტეტებს უმრავლესობა აკონტროლებს, ხოლო პოლიტიკური თვალსაზრისით, უმრავლესობა მთავრობასთანაა შერწყმული, სწორედ ეს უკანასკნელი დე ფაქტო უზრუნველყოფს კომიტეტებიდან მომდინარე ყველა კანონპროექტის წარმატებას.

თავად მთავრობა ბევრ საკანონმდებლო ინიციატივას არ წარადგენს. ერთ-ერთი მინისტრი საკანონმდებლო აქტებს ამზადებს თავისი ადმინისტრაციული პერსონალის დახმარებით. შემდგომში იწყება შეფასების პროცედურა. სხვა მინისტრები, ეკონომიკურ ინტერესთა ძირითადი ჯგუფები („სოციალური პარტნიორები"), ყველაზე მნიშვნელოვანი რელიგიური პიროვნებები და ცხრა მიწის მთავრობები იმფორმირებულნი არიან წინასწარი კანონპროექტის თაობაზე. კანონპროექტის ინიციატორ მინისტრს შეუძლია გადაწყვიტოს თუ რამდენად შესატანია შეფასების ამ პროცესის შედეგები წინასწარ პროექტში. შემდეგი ეტაპი მდგომარეობს მინისტრთა ფედერალურ საბჭოში დოკუმენტაციის გადაცემაში, რომელსაც ფედერალური კანცლერი უდგას სათავეში. საბჭომ წინასწარი პროექტი ერთსულოვნად უნდა მიიღოს. თითოეულ მინისტრს ვეტოს უფლება აქვს. ეს თავისებურება ძალზე მნიშვნელოვანია კოალიციური მთავრობებისთვის: მთავრობის მიერ ინიცირებულმა კანონმა კონსენსუსი უნდა გამოხატოს კოალიციის პარტნიორებს შორის.

მხოლოდ მინისტრთა ფედერალურ საბჭოში წარდგენის ეტაპის გავლის შემდეგ წინასწარი პროექტი ეროვნულ საბჭოში განიხილება – ერთ-ერთ კომიტეტში და პლენარულ სხდომაზე იქამდე, ვიდრე ეს უკანასკნელი გადაწყვეტილებას არ მიიღებს. რამდენადაც მთავრობაში მყოფი პარტიის ან პარტიების თავმჯდომარეებს უკვე გაკეთებული აქვთ საკუთარი არჩევანი ჩვეულებისამებრ, არ არსებობს ეჭვი იმის თაობაზე, რომ ეროვნული საბჭო კენჭს უყრის კანონმდებლობას.

ჩვეულებისამებრ, პარლამენტში კენჭნაყარ კანონთა ორი მესამედი პირდაპირ მთავრობის მიერაა შემოთავაზებული. სხვა კანონები – საქმე ეხება ინდივიდუალურ თუ კომიტეტებიდან წამოსულ ინიციატივებს – არაპირდაპირ მთავრობის მიერაა შემოთავაზებული ან ყოველ შემთხვევაში, ამ უკანასკნელის მიერაა მხარდაჭერილი.

სახალხო ინიციატივა საკანონმდებლო ინიციატივის საგანგებო საშუალებაა. ამომრჩევლებს კანონპროექტის წამოყენება შეუძლიათ და თუკი პეტიცია 100 000 ხელმოწერას შეაგროვებს, პარლამენტმა ის უნდა განიხილოს და მასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღოს. თუმცა, პარლამენტმა მხედველობაში არ უნდა მიიღოს ამგვარი ინიციატივის პოლიტიკური ორიენტაცია და მას არაფერი ავალდებულებს მის დაკანონებას. ამ მიზეზის გამო, სახალხო ინიციატივებს თითქმის არასოდეს აქვთ გავლენა საკანონმდებლო პროცესზე. ისინი ოპოზიციის ინსტრუმენტად იქცნენ საზოგადოების ყურადღების მისაქცევად, მაგრამ ამგვარი ინიციატივების კანონმდებლობაში გარდაქმნის ალბათობა ძალზე შეზღუდულია.

რეფერენდუმის გამოყენება საკანონმდებლო პროცესში ელექტორატის ჩართვის მეორე შესაძლებლობაა. კონსტიტუცია რეფერენდუმს ყოველ ჯერზე მიმართავს, როდესაც აუცილებლობა საკანონმდებლო ცვლილებებს მოითხოვს (Gesamtänderung – ერთიანი ცვლილება). ყველა სხვა ინიციატივის მისაღებად აუცილებელია ეროვნული საბჭოს უმრავლესობის ორი მესამედის თანხმობა. კონსტიტუციაში მხოლოდ ერთხელ იქნა შეტანილი ერთიანი ცვლილება, როდესაც 1994 წელს სავალდებულო რეფერენდუმი ჩატარდა ავსტრიის ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით – 66%-იანმა უმრავლესობამ დადებითი პასუხი მისცა. რეფერენდუმის გამოყენების მეორე შესაძლებლობას შეიძლება ადგილი ჰქონდეს იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული საბჭოს უმრავ-

9 Günter Scheibeck, *Das Parlament*, Dans : Herbert Dachs et al. (éds.), *Politik in Österreich. Das Handbuch* (Vienne 2006), pp. 158-160.

ლესობა სახალხო კონსულტაციის სასარგებლოდ გამოდის. აღნიშნულს 1978 წელს ჰქონდა ადგილი, როდესაც ამომრჩეველთა უმრავლესობამ უარი უთხრა ატომური ელექტროსადგურის გახსნას ავსტრიაში.

საკანონმდებლო წესები ათწლეულების განმავლობაში თანდათანობით შეიცვალა. მეორე რესპუბლიკის დასაწყისში ერთსულოვნება წესი იყო, ხოლო გადაწყვეტილებების მიღება უმრავლესობით, გამონაკლისი. დიდი კოალიცია უზრუნველყოფილი იყო იმით, რომ პარლამენტის მიერ ნებისმიერ კენჭისყარ კანონს ძირითადი პოლიტიკური პარტიების მხარდაჭერა ჰქონდა, რაც ყოველგვარ სიურპრიზს გამორიცხავდა საპარლამენტო განხილვების დროს. 1971-1975 წლებში, კრაისკის კანცლერობის პერიოდში, კანონთა 85,17% ერთხმად იქნა მიღებული მიუხედავად ერთ-ერთი დიდი პარტიის, ÖVP-ს ოპოზიციაში ყოფნისა. მეორე დიდი კოალიციის დასასრულს, ეს პროცენტული მაჩვენებელი ორად გაიყო: 1999-2000 წლებში პარლამენტში მყოფმა პარტიებმა კანონთა მხოლოდ 42,20%-ს დაუჭირეს მხარი.

ავსტრიის ევროკავშირში გაწევრიანებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საკანონმდებლო კომპეტენციებზე. ევროპული სამართალი ზღუდავს საკანონმდებლო მანევრირების თავისუფლებას ავსტრიაში. ქვეყნის პარლამენტი აღარ განიხილება სუვერენულ საკანონმდებლო ხელისუფლებად. მიუხედავად ამისა, ავსტრიის ერთოვნულ საბჭოს – თავისი ევროპული ქვეკომიტეტით წარმოდგენილი – აქვს ავსტრიელი წარმომადგენლების (მინისტრები) პოზიციების ორიენტაციის კომპეტენცია ევროსაბჭოში. ამავე დროს, რადგან სამთავრობო უმრავლესობა ამ ქვეკომიტეტს აკონტროლებს, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ავსტრიელმა მინისტრებმა საკუთარი ნების საწინააღმდეგო პოზიციები დაიკავონ.[10]

ტაბულა №3: სახალხო ინიციატივები ავსტრიაში

წელი	თემა	ხმის მიცემის პროცენტული მაჩვენებელი
1964 წ.	საზოგადოებრივი რადიოსა და ტელემაუწყებლობის დამოუკიდებლობა	17,3
1969 წ.	40 საათიანი სამუშაო კვირის შემოღება	17,7
1969 წ.	დამატებითი წლის გაუქმება სამუალო სკოლისთვის	6,8
1975 წ.	ადამიანის სიცოცხლის დაცვა (აბორტის უფლების წინააღმდეგ)	17,9
1980 წ.	ატომური ენერგიის სასარგებლოდ	8,0
1980 წ.	ატომური ენერგიის საწინააღმდეგოდ	2,8
1982 წ.	ვენის საკონფერენციო ცენტრის პროექტის გაუქმება	25,7
1985 წ.	კონრად ლორენცი (გარემოს დაცვა)	6,6
1985 წ.	არასამხედრო სამსახურის ვადის გაგრძელება	3,6
1985 წ.	საბრძოლი თვითმფრინავების შესყიდვის წინააღმდეგ	2,2
1986 წ.	ზოგიერთი საბრძოლო თვითმფრინავის შესყიდვის წინააღმდეგ	4,5
1987 წ.	პრივილეგიების წინააღმდეგ	4,6
1989 წ.	სტუდენტთა რაოდენობის შემცირება აუდიტორიებში	3,3

10 Heinrich Neisser, Die Funktionen des Parlaments im Wandel. Dans : Henirich Neisser, Sonja Puntscher Riekmann (éds.), Europälisierung der österreichishen Politik. Konsequenzen der EU-Mitgliedschaft. (Vienne 2002), pp. 133-152.

1989 წ.	საზოგადოებრივი რადიოსა და ტელემეაწყებლობის დამოუკიდებლობის გარანტიები	2,0
1991 წ.	რეფერენდუმის ჩატარება ავსტრიის ევროპის ეკონომიკურ სივრცეში გაწევრიანებასთან დაკავშირებით	2,3
1993 წ.	ავსტრია უპირველეს ყოვლისა (უცხოელების ზოგიერთი უფლებების წინააღმდეგ)	7,4
1995 წ.	მოტოციკლეტების სასარგებლოდ	1,3*
1996 წ.	ცხოველების დაცვა	8,0
1996 წ.	ავსტრიის ნეიტრალიტეტის დაცვა	6,2
1997 წ.	გენური ინჟინერიის წინააღმდეგ	21,2
1997 წ.	ქალთა უფლებების გაუმჯობესება	11,2
1997 წ	რეფერენდუმის მოწყობა შილინგის გადასარჩენად	4,4
1997 წ.	ავსტრია ატომური ენერგიის გარეშე	4,3
1999 წ.	ოჯახის უფლებების გაუმჯობესება	3,2
2000 წ.	ავსტრიის ევროკავშირში ყოფნასთან დაკავშირებული რეფერენდუმი	3,5
2001 წ.	ახალი თაობის საბრძოლი თვითმფრინავების შესყიდვის პრევენცია	3,0
2002 წ.	ვეტოს გამოყენება ტემელინის (ჩეხური ატომური სადგური) წინააღმდეგ	15,5
2002 წ.	ავსტრიის მფარველი სახელმწიფოს გარანტირება	12,2
2003 წ.	განათლების გარანტირება (სწავლების ხარჯების წინააღმდეგ)	10,7
2003 წ.	ევროპა ატომური ენერგიის გარეშე	2,2
2004 წ.	პენსიებზე ზრუნვა ავსტრიაში	10,5
2004 წ.	თავისუფალი ავსტრია! (ნეიტრალიტეტისთვის)	4,3

წყარო: Pelinka/Rosenberger 2003 , pp. 82 f ; ფედერალურ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ოფიციალური მონაცემები.

*საქმე ეხება მხოლოდ ერთ ინიციატივას, რომელმაც ვერ მიიღო 100 000-ზე მეტი ხმა. ყველა დანარჩენმა დადგენილი ბარიერი გადალახა და პარლამენტში იქნა განხილული.

არჩევნები, პარტიები და საარჩევნო სისტემა

ავსტრიაში საპარლამენტო არჩევნები ორ განსხვავებულ ტენდენციას მიჰყვებოდა ორ განსხვავებულ პერიოდში. 1949 წლიდან 1975 წლამდე, ორ მთავარ პარტიას ხელსაყრელი პირობები ჰქონდა. მიუხედავად პროპორციული წარმომადგენლობის მნიშვნელოვანი ეფექტისა, რომელიც დიდ პარტიებს პრივილეგიებს არ ანიჭებს, ÖVP და SPÖ მუდმივად ძლიერ პოზიციაში იყო. 1975 წელს ხმების 93% ამ ორიდან ერთ-ერთ პარტიაზე მოდიოდა.

აღნიშნული ტენდენცია 1980-იანი წლების დასაწყისში შეიცვალა. ხელისუფლების კონცენტრაციის წლების შემდეგ, ავსტრიაში ხელისუფლების დეკონცენტრაციის პერიოდი დაიწყო. მესამე ტრადიციული პარტია, FPÖ სულ უფრო მეტ ხმებს აგროვებდა და ახალი პარტია – მწვანეები – 1986 წელს პარლამენტში შევიდა და საშუალო სიდიდის პარტია გახდა.

ცხრილი №4: არჩევნები ეროვნულ საბჭოში, 1975-2006 წწ.
(ვალიდური ხმების პროცენტული მაჩვენებელი, ადგილები პარლამენტში)

წელი	SPÖ		ÖVP		FPÖ		მწვანეები		სხვები	
		ადგილები		ადგილები		ადგილები		ადგილები		ადგილები
1975წ.	50,4	93	43,0	80	5,4	10	–	–	–	–
1979წ.	51,0	95	41,9	77	6,1	11	–	–	1,1	–
1983წ.	47,7	90	43,2	81	5,0	12	3,3*	–	0.9	–
1986წ.	43,1	80	41,3	77	9,7	18	4,8	8	1,0	–
1990წ.	42,8	80	32,1	60	16,6	33	4,8	10	3,9	–
1994წ.	34,9	65	27,7	52	22,5	42	7,3	13	7,7	11**
1995წ.	38,1	71	28,3	53	21,9	40	4,8	9	6,9	10***
1999წ.	33,2	65	26,9	52	26,9	52	7,4	14	5,7	–****
2002წ.	36,5	69	42,3	79	10,0	18	9,5	17	1,8	–
2006წ.	35,3	68	34,3	66	11,0	21	11,1	21	8,2	7*****

*ორი სხვადასხვა ეკოლოგთა პარტია; **LIF-ი (ლიბერალური ფორუმი) 6,0%, 11 ადგილი; ***LIF 5,5%, 10 ადგილი; ****LIF-ი 3,7%, არც ერთი ადგილი; ***** BZÖ (ალიანსი ავტრიის მომავლისთვის) 4,1%, 7 ადგილი.

ცხრილი №5: არჩევნები ეროვნულ საბჭოში,
მონაწილეობის პროცენტული მაჩვენებელი

წელი	მონაწილეობის პროცენტული მაჩვენებელი	წელი	მონაწილეობის პროცენტული მაჩვენებელი
1975 წ.	92,9	1979 წ.	92,2
1983 წ.	92,6	1986 წ.	90,5
1990 წ.	86,1	1994 წ.	81,9
1995 წ.	86,0	1999 წ.	80,4
2002 წ.	84,3	2006 წ.	78,5

წყარო: (ცხრილი №4 და №5-თვის): Plasser, Ulram 2003, p. 195: შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ოფიციალური საარჩევნო შედეგები.

არჩევნებში მონაწილეობის უკუსვლა მზარდ შეუსაბამობას გვიჩვენებს საზოგადოებასა და პოლიტიკას შორის. პარტიებს სულ უფრო ნაკლებად შეუძლიათ ამომრჩეველთა მობილიზება. ეს ევოლუცია განსაკუთრებული გამოწვევაა ÖVP-სა და SPÖ-თვის, რომლებიც ასევე მეორე რესპუბლიკის ფუძემდებლები იყვნენ და ხმების ცხრა მეათედის მოზიდვა შეძლეს 1945 წლის შემდეგ. ამ დროიდან, ამომრჩეველთა დაახლოებით ხუთი მეათედი ხმის მიცემაში არ მონაწილეობს ან სხვა პარტიებს აძლევს ხმას.

ამომრჩეველთა დაახლოებით 50% ÖVP-სა და SPÖ-ს ერთგული დარჩა. ამ შემთხვევაში, საქმე ეხება კვლავაც შედარებით აწეულ პროცენტულ მაჩვენებელს განსაკუთრებით, პროპორციული წარმომადგენლობის შედეგების გათვალისწინებით. თუმცა, იმ ისტორიულ მნიშვნელობასთან მიმართებაში, რომელიც ამ პარტიებს მეორე რესპუბლიკის დროს ჰქონდათ, მათი უკუსვლა თითქმის დრამატულ პროპორციებს იძენს.

ავსტრიაში არჩევნები პროპორციული წარმომადგენლობის სისტემით იმართება ფედერალურ, რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე. პროპორციული არჩევნების დეფინიციასთან დაკავშირებული მანევრირების თავისუფლება კონსტიტუციით ძალზე შეზღუდულია. ეროვნული საბჭოს არჩევნებისთვის, ერთადერთი მნიშვნელოვანი გადაცდომა პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპთან მიმართებაში 4%-იან ბარიერს უკავშირდება. პარტიები, რომლებიც ვალიდური ხმების 4%-ზე ნაკლებს მიიღებენ და პირდაპირ არ მოიპოვებენ ერთ ადგილს მაინც ადგილობრივ დონეზე, გამორიცხულნი არიან ადგილების განაწილებიდან ეროვნულ საბჭოში.

SPÖ-სა და ÖVP-ს უკუსვლა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია თაობის ეფექტის გათვალისწინებით. ორივე პარტიას დიდი სირთულეები აქვს ახალგაზრდა ამომრჩევლების მოზიდვასთან დაკავშირებით. დღესაც, SPÖ და ÖVP თავიანთი ტრადიციული სტრუქტურული მახასიათებლებით განისაზღვრებიან. SPÖ პირველ რიგში, მუშებით საზრდოობს, ÖVP კი ფერმერებითა და ქალაქის ბურჟუაზიით. თუმცა, ახალგაზრდა პროლეტარიატში FPÖ ეფექტურად უპირისპირდება SPÖ-ს უპირატესობას. მწვანეთა შემოჭრას ქალაქის შედარებით ახალგაზრდა და

განათლებულ ელექტორატში კიდევ უფრო დიდი წარმატება აქვს და ისინი ÖVP-ს ახალგაზრდა ბურჟუაზიის ხმებს ედავებიან.

ცხრილი №6: პარტიული სტრუქტურა, 2006 წლის 1 ოქტომბრის ეროვნული საბჭოს არჩევნები

	ხმის მიცემა				
პროცენტული მაჩვენებელი	ÖVP	SPÖ	FPÖ	მწვანეები	BZÖ
მთლიანი ელექტორატი	34	35	11	11	4
კაცები	33	34	12	10	4
ქალები	34	36	9	11	4
< 30 წლის	28	31	10	23	3
> 70 წლის	39	41	11	1	3
პროფესიონალები, მეწარმეები	38	20	6	19	8
ფუნქციონერები	37	35	3	20	3
მომსახურეები	30	33	11	15	3
კვალიფიციური მუშები	24	43	20	4	3
არაკვალიფიციური მუშები	22	48	11	4	2
ფერმერები	80	5	9	1	3
მინიმალური განათლება	31	48	11	2	4
პროფესიული ფორმაცია	31	37	13	3	5
უმაღლესი განათლება	37	26	7	21	3

წყარო: Fessel-GfK Institute : Fritz Plasser, Peter A.Ulram : *Die Wahlanalyse* 2006, *Wer hat wen worum gewählt?* Presseunterlage, Vienne, Octobre 2. 2006.

თაობის ეფექტი ხაზს უსვამს პოლიტიკური ერთგულების ტრადიციული მატრიცის არსებითობის დაკარგვას. ავსტრიის პარტიებს შეეძლოთ თაობიდან თაობამდე უალრესად სტაბილური კავშირების გაბმა. 1980-იანი წლებიდან ეს ევოლუცია საკმაოდ უხეშ წყვეტას წარმოაჩენს. ახალგაზრდა ამომრჩეველების საარჩევნო პოზიციები და ქცევები აშკარად განსხვავდება უფრო ასაკოვანი ელექტორატისგან.

ავსტრიის პარტიული სისტემა სპეციფიკური დაყოფის შედეგია. რელიგია და სოციალური კლასები დიდწილად პასუხისმგებელნი იყვნენ ავტონომიურ ქვესისტემებად პარტიების ჩამოყალიბებაში. ეს მახასიათებელი ჰაბსბურგების იმპერიის ბოლო ათწლეულებიდან, XIX საუკუნის დასასრულიდან მომდინარეობს:

– კათოლიციზმი პოლიტიკურ კათოლიციზმად გარდაიქმნა. კათოლიკური ეკლესია და თავად კათოლიკური სამღვდელოება სპეციფიკური პარტიის სათავეში იდგა – ქრისტიან-სოციალები. ეს პარტია საერო მიმდინარეობებს უპირისპირდებოდა, განსაკუთრებით კი მარქსისტებს. საქმე არ ეხებოდა მხოლოდ პარტიას. ამ უკანასკნელის გარშემო გამოჩნდნენ ახალგაზრდა კათოლიკეთა ორგანიზაციები, კათოლიკე ქალთა წრეები, კათოლიკური სპორტული გაერთიანებები, ქრისტიანული პროფკავშირები და ბევრი სხვა ორგანიზაცია. როდესაც 1945 წელს ქრისტიან-სოციალების პარტია ავსტრიის სახალხო პარტიად გარდაიქმნა, ეს კათოლიკური კონსერვატიული ქვესისტემა მნიშვნელოვანად არ შეცვლილა თავისი შექმნის დროიდან.

– მარქსისტული სოციალიზმი ავსტრიელი სოციალ-დემოკრატების წამყვან იდეოლოგიას წარმოადგენდა. ავსტრიის მუშათა სოციალისტური მოძრაობა ორგანიზებული იყო პარტიისა და მასთან პირდაპირ დაკავშირებული პროფკავშირების გარშემო. სოციალისტური „ბანაკი" კონტრსაზოგადოებას გავდა; მუშათა განათლება, მუშათა კულტურა და ყველა სახის სოციალისტური ორგანიზაცია იმ მოთხოვნის ამსახველი იყო, რომელსაც დემოკრატიული მარქსისტების აღნიშნული პარტია აყალიბებდა. ეს იყო ახალი საზოგადოების და „ახალი ადამიანის" შექმნის მოთხოვნა.

– ნაციონალიზმი პანგერმანისტული ფორმით მესამე პარტიის აღმავლობიდან იღებს სათავეს. ავსტრიის პანგერმანისტული მოძრაობა „Anschluss"-ს (გერმანიასთან გაერთიანება) ემხრობოდა და გარკვეულწილად, ჰაბსბურგების წინააღმდეგი იყო სხვადასხვა ეროვნებებს შორის დაპირისპირებების გამო ავსტრიის იმპერიის შიგნით. პირველი რესპუბლიკის პერიოდში ორი პატარა პანგერმანისტული პარტია 1930 წლიდან ავსტრიის NSDAP-ის (ნაცისტური პარტია) საფუძვლად იქცა.

1945 წლის შემდეგ ავსტრიის პარტიული სისტემა კვლავაც ამ სიტუაციას ასახავდა. ორი დიდი პარტია შესაბამისად წარმოადგენდა კათოლიკე-კონსერვატორებსა და სოციალისტურ ბანაკს, რომელსაც ავსტრიის პანგერმანისტული მოძრაობის ტრადიციიდან გამოსული უფრო პატარა პარტია ემატებოდა. ერთი შეხედვით, 1945 წლის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა: „Anschluss"-ის პერსპექტივა დავიწყებას მიეცა, არა მხოლოდ საერთაშორი-

სო წესრიგის გათვალისწინებით, არამედ ავსტრიის მიერ ხელახლა მოპოვებული რწმენის გამო. ანტისემიტიზმი, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა 1938 წლამდე და პირველ ყოვლისა, პანგერმანისტულ ბანაკში, ისევე როგორც ქრისტიან-სოციალებში (უფრო არაფორმალური ფორმით სოციალისტებში) აღარ იყო პატივსაცემი პოლიტიკური პოზიციონირება და ზოგიერთების ფარულ დღის წესრიგად იქცა.[11] თუმცა, გარკვეული ლოიალურობა თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

ეს მოცემულობა შეიცვალა პოლიტიკაში მეორე მსოფლიო ომის შემდგომი თაობის მოსვლის შემდეგ. წინა თაობისთვის დაპირისპირება „ჩვენებსა" და „სხვებს" შორის ძლიერი წარმოდგენა იყო, რომელიც ერთ-ერთი დიდი ტრადიციული პარტიისკენ უდიდესი უმრავლესობის შემოტრიალების შესაძლებლობას იძლეოდა, ხშირად მთელი ცხოვრების მანძილზე. აღნიშნულ პერიოდში შვიდი მილიონი ავსტრიელიდან თითქმის ორი მილიონი ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის საწევრო წიგნაკს ატარებდა და თითქმის ყველა SPÖ-ში ან ÖVP-ში იყო გაწევრიანებული.

დიდი პარტიების უკუსვლა 1980-იანი წლებიდან დაიწყო. ახალგაზრდა თაობა ბევრად ნაკლებად იყო დაინტერესებული რომელიმე სპეციფიკურ პარტიაში გასაერთიანებლად და გაწევრიანების პროცენტულმა მაჩვენებლებმა SPÖ-სა და ÖVP-ში იკლო[12]. თავის მხრივ, FPÖ-თვის ხმის მიცემამ იმატა, რომელიც პოპულისტური ტიპის პროტესტის პარტიად იქცა მიუხედავად იმისა, რომ ამ პარტიაში გაწევრიანების პროცენტული მაჩვენებელი უცვლელი დარჩა. ახალმა პარტიამ, მწვანეებმა, ასევე მიიზიდა პირველი ამომრჩევლები. უმრავლეს შემთხვევაში, საქმე ეხებოდა ახალგაზრდა ავსტრიელებს, რომლებიც წარმატებით არ იყვნენ სოციალიზებულნი თავიანთ ოჯახებში – ხშირად კათოლიკე-კონსერვატორები ან სოციალისტები.

ამ შემთხვევაში, შესაძლებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა გარეგნულად განსხვავებული უკუსვლის შედეგთან, ავსტროკორპორატივიზმისა ან „სოციალური პარტნიორობის", რომელმაც ასევე დაღმასვლა განიცადა. XX საუკუნის ბოლო ათწლეულების განმავლობაში და XXI საუკუნის პირველ წლებში ყველაზე მნიშვნელოვანმა ეკონომიკური ინტერესების ჯგუფებმა, რომელთაც ყოველთვის მჭიდრო კავშირები ჰქონდათ დიდ პარტიებთან, პოლიტიკური გავლენის შემცირება განიცადეს. შესაძლებელია ორი განმარტებითი ფაქტორის განსხვავება:[13]

საბაზრო ეკონომიკისკენ უფრო აშკარა ევოლუციამ კორპორატიული ქსელების პოლიტიკური გავლენა შეამცირა, რომელიც საწარმოებისა და მუშათა ორგანიზაციების ბალანსზე იყო დამყარებული სახელმწიფო დონეზე. ავსტრიის ევროკავშირში შესვლა ამგვარი ტენდენციის კატალიზატორი და არა განმარტებითი ცვლადია. ამ განვითარებაზე ასევე გავლენა იქონია ბანკებისა და ნაციონალური მრეწველობის პრივატიზაციამ.

ავსტრიელების ნება და ინტერესი კოლექტიურად პროფკავშირთა ფედერაციაში (ÖGB) გასაერთიანებლად მარცხით დასრულდა. ამასთან ერთად, ავსტრიისათვის სპეციფიკური სისტემის მიღებამ კანონით დადგენილი პალატებით, რომელთაც სამართლებრივად განსაზღვრული გაერთიანება ახასიათებს (შრომის, ვაჭრობისა და სოფლის მეურნეობის პალატები განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო) ასევე უკუსვლა განიცადა. იგივე მოხდა „სოციალურ პარტნიორობასთან" დაკავშირებით, რომელსაც ნდობის საერთო კრიზისი შეეხო.

ტრადიციულმა პარტიებმაც თანდათანობით დაკარგეს იდეოლოგიური ბანაკის თვისება და ყოვლისმომცველ (სხვადასხვა შეხედულებებისა და გემოვნების ადამიანების მიზიდვის შესაძლებლობის მქონე) პარტიებად იქცნენ. თავის მხრივ, მწვანეთა პარტია, ახალი აქტორი პოლიტიკურ ბაზარზე, არ ჰგავდა ძლიერად ინტეგრირებულ მასობრივ პარტიას.

ძალზე იდეოლოგიზირებული და უაღრესად სტაბილური მასობრივი პარტიების სისტემის გადასვლამ პრაგმატულ და არამდგრად ყოვლისმომცველ პარტიებზე შესაძლებელი გახადა ძირითადი პოლიტიკური პარტიებისადმი ერთგულების სხვა ერთობებზე გადატანა, განსაკუთრებით, და პირველ ყოვლისა, ავსტრიაზე, როგორც ერზე. ავსტრიული პატრიოტიზმი არის ერთდროულად პარტიული ნიშნით მიმხრობის ერთგულების უკუსვლის მოსარგებლე და მიზეზი.

სასამართლო სისტემა და საპირწონეების სისტემა

საკონსტიტუციო სასამართლო (Verfassungsgerichtshof) კონსტიტუციის ინტერპრეტატორია. მის წევრებს – თავჯდომარე, ვიცე-თავჯდომარე, 12 წევრი და 6 თანაშემწე წევრი – ფედერალური პრეზიდენტი ნიშნავს ფედერალური მთავრობის (თავჯდომარე, ვიცე-თავჯდომარე, 6 წევრი და 3 თანაშემწე წევრი) ეროვნული საბჭოსა

---

11 Ruth Wodak et al., *Wir sind alle unschuldige Täter, op. cit,* Bruce Pauly, *FRom Prejudice to Persecutiom, AHistory Austrian Anti-Semitism,* Chapel Hill, 1992.

12 Anton Pelinka, *Vom Glanz und Elend der Parteien. Struktur'und Funktionswandel des österreichischen Parteiensystems,* Innsbruck 2005.

13 Emmerich Tálos, *Sazialpartnerschaft, Austro-Korporatismus am Ende?,* In Herbert Dachs *et al. (éds),* Politik in Österrich Das Handbuch, Vienne 2006, pp. 425-442.

(3 წევრი და ერთი თანაშემწე წევრი) ან ფედერალური საბჭოს (3 წევრი და ერთი თანაშემწე წევრი) მიერ წარდგენის შემდეგ.

აღნიშნული გვიჩვენებს ამ სასამართლოს პოლიტიკურ სენსიტიურობას, რომელიც ყველა საკონსტიტუციო სარჩელის არბიტრია. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები განათლებით იურისტები არიან – სამართლის პროფესორები, ადმინისტრაციის ლეგალური ექსპერტები ან ადვოკატები. მათ უნდა ჰქონდეთ იურისტის დიპლომი და არ უნდა იყვნენ ჩართულნი პოლიტიკაში. პოლიტიკოსების გამორიცხვა ამ სასამართლოს დამოუკიდებლობის გარანტიადაა მიჩნეული. თუმცა, იმის გამო, რომ მოსამართლეები აღმასრულებელი ან საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ არიან დანიშნულნი ე.ი. პოლიტიკური პარტიების მიერ გაკონტროლებული პროცედურების გამოყენებით, მათში უნდა დავინახოთ არა მხოლოდ ლეგალური ექსპერტები, არამედ ასევე მხედველობაში მივიღოთ მათი პოლიტიკური განზომილებაც.

1945 წლიდან სასამართლო კონსოციონალური დემოკრატიული სისტემით იყო აღნიშნული[14]. ÖVP-სა და SPÖ-ს შორის ხელისუფლების დაყოფის არაფორმალური პრინციპის შედეგი იყო ის, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ორპარტიული ფორმით კონტროლირდებოდა. სასამართლოს ერთი ნაწილი ერთ-ერთი პარტიის მიერ იყო დანიშნული, მეორე ნაწილი კი სხვა პარტიის მიერ. ეს დემარში ამ ინსტიტუტისთვის დაუწერელ წესად იქცა, რომელიც ოფიციალურად ნიშნავს თავის წევრებს.

იმ დროის მანძილზე, რაც ხელისუფლებაში დიდი კოალიცია იმყოფებოდა, ე.ი. 1966 წლამდე, ეს უკანასკნელი პოლიტიკური ბალანსით იყო უზრუნველყოფილი საკონსტიტუციო სასამართლოში. ამგვარი ბალანსი ორი ათწლეულის განმავლობაში იყო შენარჩუნებული იმ დროს, როდესაც დიდი კოალიცია აღარ იყო ხელისუფლებაში (1966-1986 წლებში). ხელისუფლებათა ბალანსის ძველმა სისტემამ დაშლა მხოლოდ 2000 წლიდან დაიწყო მეორე დიდი კოალიციის დასრულების შემდეგ, რაც ÖVP-სა და SPÖ-ს შორის სამთავრობო შეთანხმების შედეგად მოხდა. გაუქმებული იქნა ზოგიერთი არაფორმალური კონსოციონალური წესი (ისევე როგორც სოციალური პარტნიორობის მოდელის უპირატესობა, რომელიც ავსტრიის მფრავალი სახელმწიფოს ცენტრში იყო). აღნიშნულ დროს, დაიწყო ფორმალური წესების შემოღება, და რადგან SPÖ ხელისუფლებაში აღარ იმყოფებოდა, ამგვარმა ევოლუციამ ამ პარტიის კონტროლის წინააღმდეგ ითამაშა საკონსტიტუციო სასამართლოში წევრების დანიშვნასთან მიმართებაში.

აღნიშნული ევოლუციის საინტერესო შედეგი სასამართლოს საქმიანობის გამოცოცხლება იყო. საკონსტიტუციო იურისდიქცია უფრო ინტერვენციონისტული გახდა და მისი პოზიცია სრულიად აღარ ჯდებოდა მორჩილი სასამართლოს სურვილში, რომელიც თითქმის არასოდროს მოქმედებდა სამთავრობო უმრავლესობის ინტერესების საწინააღმდეგოდ.

რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს მოქმედებიდან მომდინარე პოლიტიკურ შედეგებს, ზოგადად, ორი პერიოდის გამოყოფაა შესაძლებელი:

1. დეპოლიტიზებული, არაინტერვენციონისტული პერიოდი 1945 წლიდან 2000 წლამდე გაგრძელდა: საკონსტიტუციო სასამართლოს ტენდენციას ინტერვენციონისტული გადაწყვეტილებებისგან თავშეკავება წარმოადგენდა პოლიტიკური პეიზაჟის დაბალანსებული სტრუქტურისა და ხელისუფლებაში მყოფი უმრავლესობის დაინტერესების გამო, რომელსაც სურდა საკანონმდებლო ხელისუფლების დაცვა იურიდიული კონტროლისგან კონსტიტუციური შესწორებების გზით, ე.ი. უმრავლესობის ორი მესამედით კენჭისყრის გამოყენება პარლამენტში, და ამგვარად, საკონსტიტუციო სასამართლოს ნებისმიერი ფორმით ჩარევისთვის გვერდის ავლა. მთელი ამ პერიოდის მანძილზე კონსტიტუციასთან დაკავშირებულ მხოლოდ ერთ კონფლიქტს ჰქონდა ადგილი, რომელიც შეიძლება მცირე საკონსტიტუციო კრიზისად იქნეს კვალიფიცირებული. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიცია განპირობებული იყო ყოველგვარი ქმედებისგან თავშეკავების ტენდენციით, რომელიც შეიძლება პოლიტიკურ ჩარევად ყოფილიყო შეფასებული.

2. საკონსტიტუციო სასამართლოს უფრო პოლიტიკური პერიოდი 2000 წლიდან დაიწყო. SPÖ-მ დაკარგა თავისი კონტროლი სასამართლოში დანიშვნის საკითხში. ამ სასამართლოს ახალი წევრები არჩეულნი იყვნენ არა SPÖ-ს, არამედ მხოლოდ სამთავრობო უმრავლესობის მიერ. ამავე დროს, აღნიშნული ევოლუციის შედეგები ცოტა გამაოგნებელი იყო. იმის გამო, რომ ხელისუფლებაში მყოფ უმრავლესობას აღარ შეეძლო თავისი კანონმდებლობის დაცვა საკონსტიტუციო სასამართლოს ჩარევისგან ორი მესამედის უმრავლესობის კენჭისყრით SPÖ-ს დახმარების გარეშე, კონსტიტუციონალური იურისდიქცია უფრო ინტერვენციონისტული გახდა და მთავრობისა და პარლამენტის მიერ მიღებული კანონმდებლობის ნაწილი გააუქმა. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა პროფესიონალიზმმა დაუშვებელი გახადა ამ უკანასკნელთა მთავრობის ინსტრუმენტად გამოყენება. ზომიერების ხანგრძლივი ფაზის შემდეგ სასამართლო იურიდიულ აქტივიზმზე გადავიდა.

---

14 Arend Lijphart, *Democracy in Plural Societies. A Comparative Exploration*, New Haven 1977.

ფედერალიზმი

ავსტრიის პოლიტიკური სისტემა ფედერალურ სტრუქტურას ეფუძნება. კონსტიტუცია მიჯნავს ფედერაციასა (Bund) და მიწებს (Länder). ევროპაში არსებული სხვა ფედერაციებისგან განსხვავებით (შვეიცარია, ბელგია და გერმანია), ავსტრიის ფედერალური სისტემა მიწების პრეროგატივების შედარებით ნაკლები განვითარებით გამოირჩევა.

Länder-ის უფლებამოსილებების არასაკმარისი განვითარება მრავალი ფორმითაა გამოხატული:

სასამართლო ხელისუფლება მხოლოდ ფედერალურ დონეზეა დამოკიდებული. ცხრა მიწას საკუთარი იურიდიული კომპეტენცია არ გააჩნია.

ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები საფინანსო სფეროში ფედერალურ დონეზე მიიღება. იმის გამო, რომ მიწებს არა აქვთ მნიშვნელოვანი ფისკალური შემოსავლები, მათ მოლაპარაკებები უნდა აწარმოონ ფედერალურ მთავრობასთან საკუთარ ბიუჯეტზე.

უმაღლესი განათლება ფედერალური კომპეტენციაა. მიწებს არ შეუძლიათ უნივერსიტეტების ან სხვა უმაღლესი განათლების ინსტიტუტების აკრედიტება (პოლიტექნიკური სკოლები, პედაგოგიური კოლეჯები).

შიდა უსაფრთხოება – პოლიცია – ძალზე ცენტრალიზებულია. შინაგან საქმეთა ფედერალური მინისტრი ყოველთვის ძალზე დიდი ავტორიტეტია ადგილობრივ პოლიციურ საქმეებშიც.

ეს სიტუაცია წინააღმდეგობრივად წარმოჩნდება ავსტრიის კონსტიტუციურ მიდგომასთან მიმართებაში, რომელიც განსაზღვრავს ფედერალურ და რეგიონალურ ხელისუფლებებს შორის დაყოფას. მართლაც, კონსტიტუცია მიწებს ყველა უფლებამოსილებებს ანიჭებს საკანონმდებლო და აღმასრულებელ სფეროში იმდენად დიდხანს, რამდენადაც ისინი აშკარად არაა გადაცემული ფედერალური დონისთვის. ეს პრინციპი, რომელიც მიწებს პრივილეგიას ანიჭებს დიდწილად გაუქმდა, რადგან კონსტიტუცია ფედერალური საკანონმდებლო და აღმასრულებელი კომპეტენციების დიდ ჩამონათვალს აკეთებს.

სწორედ ამ მიზეზის გამო, ავსტრიას ზოგჯერ „ცენტრალიზებულ ფედერალურ სისტემად" განიხილავენ. თუმცა, ცხრა Länder-ის რეალური უფლებამოსილებები უგულებელსაყოფელი არაა კონსტიტუციის რედაქციის მიღმა. მიწებს მრავალი არაფორმალური უფლებამოსილებები აქვთ:

მიწებს, განსკუთრებით კი მათ გუბერნატორებს (Landeshautpleute) მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ მედიაში, კერძოდ, რეგიონალურ მედიაში. გუბერნატორები ყველაზე ხილვად ავსტრიელ პოლიტიკოსებს შორის ფიგურირებენ.

დიდი პარტიები ფედერალური ფორმით არიან ორგანიზებულნი (ÖVP SPÖ-ზე მეტად). ეს სიტუაცია სახელმწიფო დონეზე არსებულ პოლიტიკურ პარტიებს მნიშვნელოვან გავლენას ანიჭებს სახელმწიფო პოლიტიკაზე.

ბევრ მიწაზე, ჩვეულებისამებრ, არსებობს დომინანტური პარტია, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში ხელთ უპყრია ხელისუფლების ბერკეტები. ამგვარი სიტუაცია ამ პარტიებს ბასტიონებად გადაქცევის შესაძლებლობას აძლევს, კერძოდ, თანამდებობების მინიჭებით, რომელთა გაუქმება რთულია.

ბურგენლანდის გამოკლებით, მიწებს კოლექტიური ისტორია აქვთ, რომელიც შუა საუკუნეებიდან მოდის და ძლიერი რეგიონალური იდენტობები ჩამოაყალიბა. ყველა პარტია რეგიონალური გრძნობების ხელყოფას უნდა მოერიდოს, რომელიც ადვილად შეიძლება იქნეს გამოყენებული „ვენის", როგორც ცენტრალური ხელისუფლების სიმბოლოს წინააღმდეგ.

ცხრილი №7: ხელისუფლებაში მყოფი პარტიები ცხრა მიწაზე

გუბერნატორის პოლიტიკური ნიშნით მიმხრობა 1945 წლიდან	
ბურგენლანდი	ÖVP-1945-1964 წწ., SPÖ 1964 წლიდან
კარინთია	SPÖ – 1945-1989 წწ., FPÖ 1989-1991 წწ., ÖVP 1991-1999 წწ. FPÖ *1999 წლიდან P
ქვემო ავსტრია	ÖVP 1945 წლიდან
ზალცბურგი	ÖVP 1945-2004 წწ., 2004 წლიდან SPÖ
შტირია	ÖVP 1945-2005 წწ., SPÖ 2005 წლიდან
ტიროლი	ÖVP 1945 წლიდან
ზემო ავსტრია	ÖVP 1945 წლიდან
ვენა	SPÖ 1945 წლიდან
ვორარლბერგი	ÖVP 1945 წლიდან

* 2004 წლიდან: BZÖ

ცხრიდან ხუთ მიწაზე ხელისუფლების შეცვლა არ მომხდარა (განსაზღვრული, როგორც პარტიის შეცვლა, რომელსაც გუბერნატორი მიეკუთვნება) ექვს ათწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში. ამავე დროს, ავსტრიის პოლიტიკის ტრადიციულმა ასპექტმა თანდათანობით ტრანსფორმაცია განიცადა: ის ფაქტი, რომ „წითელი" ვენა

კონსერვატორული დაბით იყო გარშემორტყმული. ÖVP-მ ტრადიციული გავლენა დაკარგა დედაქალაქის გარშემო მდებარე მიწებზე. ეს ევოლუცია სოფლის მეურნეობის სექტორის უკუსვლით აიხსნება, რომელიც თავის მხრივ, ÖVP-სადმი ერთგული ამომრჩევლების – ფერმერების – რაოდენობის შემცირებაში აისახა.

ცხრა მიწის კონსტიტუციები სხვადასხვა სქემას ეფუძნება. ოთხ მიწაზე (ზალცბურგი, ტიროლი, ვენა და ვორარლბერგი) კონსტიტუცია ვესტმინსტერის საპარლამენტო მოდელთან ახლოს მდგომი სახეცვლილებებით იყო წარმოდგენილი. ხუთ დანარჩენ Länder-ს აქვს იმგვარი კონსტიტუცია, რომელიც რეგიონალური პარლამენტის (Landtag) ყველა პარტიას ასევე სახელმწიფოს მთავრობაში (Landesregierung) წარდგენის შესაძლებლობას აძლევს მინიმალური საარჩევო მხარდაჭერის მოპოვების შემდეგ. ამ ხუთ შემთხვევაში, პროპორციული წარმომადგენლობა არაგულირებს არა მხოლოდ პარლამენტში შესვლას, არამედ მთავრობაში მონაწილეობასაც.[15]

ყველა მიწაზე გუბერნატორები არაპირდაპირი წესით არიან არჩეულნი და მათ რჩეულთა კრების უმრავლესობა ირჩევს. იმის გამო, რომ ეს კრება პროპორციული წესიითაა არჩეული, გუბერნატორის არჩევა ხშირად, ორ პარტიას შორის ფორმალური და არაფორმალური კოალიციური შეთანხმებების შედეგია.

კომუნები დემოკრატიული ფორმითაა ორგანიზებული. მიწების მიხედვით, მერები არჩეულნი არიან მუნიციპალური საბჭოს (Gemeinderat) მიერ პირდაპირი ან არაპირდაპირი წესით. მუნიციპალური საბჭო ადგილობრივი პარლამენტის ანალოგიურად მოქმედებს. ადგილობრივი ადმინისტრაცია მუნიციპალური საბჭოს წინაშეა პასუხისმგებელი, რომელსაც მერი უდგას სათავეში. ვენა განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს. საქმე ეხება ერთდროულად ქალაქსა და მიწას. ვენის მერი იმავდროულად გუბერნატორია, მუნიციპალური საბჭო რჩეულთა კრებაა, ხოლო ადმინისტრაციული საბჭო ასევე Landesregierung-ის როლს ასრულებს. პირველი რესპუბლიკის პერიოდში „წითელი ვენა" სოციალ-დემოკრატთა მოთხოვნების სიმბოლოს წარმოადგენდა სოციალისტური საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად განსაკუთრებით, განათლების, ბინათმშენებლობისა და ჯანდაცვის სფეროებში. მეორე რესპუბლიკის პერიოდში ვენის გლობალური პოლიტიკური მნიშვნელობა შემცირდა ეკონომიკურ და დემოგრაფიულ მიზეზთა გამო. მიუხედავად იმისა რომ 1918 წელს ვენა ავსტრიის მოსახლეობის თითქმის მესამედს შეადგენდა, დღეისათვის ის ავსტრიელთა მხოლოდ ოცი პროცენტითაა წარმოდგენილი. დემოგრაფიული ზრდა კონცეტრირებული იქნა ავსტრიის დასავლეთსა (ვორარლბერგი, ტიროლი, ზალცბურგი, ზემო ავსტრია) და ვენასთან მომიჯნავე რეგიონებში, რომლებიც ქვემო ავსტრიას განეკუთვნება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ვენის სოციალ-დემოკრატიულმა დომინანტობამ თავისი მნიშვნელობა დაკარგა სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ SPÖ-მ შეძლო ვენის გარეთ პოზიციების უწინდელზე წარმატებულად გამყარება, ამ ტენდენციას ავსტრიის პარტიული სისტემის საერთო ბალანსი დიდად არ შეუცვლია.

ევროკავშირში შესვლამ გავლენა იქონია ავსტრიის ფედერალურ სტრუქტურაზე. მიწების (Länder) ასპექტში, ევროკავშირის ფედერალურმა სტრუქტურამ თითქოსდა გააფერმკრთალა კიდეც მმართველობის ორ დონედ – ერთი ფედერალური, მეორე კი სახელმწიფო – გაყოფილი ავსტრიის იმიჯი.

ავტრიის მიწებისთვის ევროკავშირში მონაწილეობას გარკვეული სარგებელი აქვს:[16]

– ევროკავშირის სტრუქტურული ფონდები ზოგიერთ რეგიონს სახსრებს უყოფს – განსაკუთრებით ბურგენლანდს, ყველაზე აღმოსავლეთით მდებარე მიწას.

– ევროპულ დონეზე ავსტრიის მიწები კონსულტაციურ დონეზე მონაწილეობენ რეგიონების კომიტეტის ჩარჩოში.

– ავსტრიის მიწების უმრავლესობამ ბრიუსელში ბიუროები გახსნა მუდმივი დასწრების უზრუნველსაყოფად და ევროპულ ლობინგში მონაწილეობის მისაღებად.

– მიწები ოფიციალურად არიან ასოცირებულნი საკონსულტაციო ხმით სახელმწიფო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ევროპულ საქმეებთან დაკავშირებით (Länderbeteiligungsverfahren).

– ევროკავშირში გაწევრიანება უცხოეთის რეგიონალური პოლიტიკის ახალი ტიპების ექსპერიმენტირების შესაძლებლობას იძლევა. ესაა ტიროლის „ევრორეგიონის" შემთხვევა (რომლის შემადგენელი ნაწილია ავსტრიული ტიროლის მიწა და ორი იტალიური პროვინცია – ბოლცანო/ და ტრენტო).

რა თქმა უნდა, ასევე შესაძლებელია მიწებისთვის ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებული მრავალი არასასურველი გარემოების არგუმენტად მოყვანა. ავსტრიის ტერიტორიის მქონე ქვეყნისთვის შიდა ფედერალური სისტემა შეიძლება ზოგჯერ ძვირადღირებულ ფუფუნებად წარმოჩნდეს. რატომ უნდა ჰქონდეს ავსტრიას ავტონომიური ერთეულები რეგიონალურ (მიწები) და ადგილობრივ დონეზე (კომუნები) ევროკავ-

---

15 Anton Pelinka, Sieglinde Rosenberger, Österreichische Politik, Grundlagen, Strukturen, Trends, 2e éd., Vienne 2003, pp. 224-229.

16 Franz Fallend, *Europäisierung, Föderalismus und Regionalismus,* in Heinrich Neisser, Sonja Puntscher Riekmann (éds.), *Europäisierung der österreischen Politik, Kadsequenzen der Eu-Mitgliédschaft,* Vienne 2002, pp. 201-229.

შირის ზენაციონალური დონის გარდა? ამგვარად, ევროკავშირში გაწევრიანებამ დებატები გამოიწვია, რომლებმაც კითხვები გააჩინა ავსტრიის ფედერალიზმის მნიშვნელობის დიდი ნაწილის შესაძლო დაკარგვასთან დაკავშირებით.

პოლიტიკისა და საგარეო და შიდა პოლიტიკის მნიშვნელოვანი ამოცანები

ქვეყანასა და საზოგადოებას სტაბილურობის პერიოდი მოუტანა არა ჰაბსბურგების იმპერიამ და პირველმა რესპუბლიკამ, არამედ მეორე რესპუბლიკამ. ამ უკანასკნელის განმავლობაში შესაძლებელი გახდა სახელმწიფო აღმშენებლობის პროცესისა და კონსენსუსის ჩამოყალიბების დაწყება.

ადაპტაციის აღნიშნული დინამიკა იყო და დღესაც რჩება ავსტრიის განვითარების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ცვლადად. ამ ქვეყანამ აჩვენა ზოგიერთი ყველაზე განმასხვავებელი მახასიათებლებისგან განთავისუფლების ამბიცია, ე.ი. არანაციონალური ან წინა ნაციონალური სახელმწიფოს თვისებისგან. ფაქტობრივად, საქმე ეხებოდა სხვა ევროპული დემოკრატიული სახელმწიფოებისგან აშკარად განსხვავებულ ქვეყანას და მის მახასიათებელს, როგორც სახელმწიფოსი, რომელსაც პატარა ერის სტატუსთან შეგუება უჭირს.

ავსტრია ევროკავშირში 1995 წელს გაერთიანდა რეფერენდუმის შემდეგ, რომლის დროსაც ავსტრიის ელექტორატის შთამბეჭდავმა უმრავლესობამ ხმა მისცა დასავლეთ ევროპის ეკონომიკურ და პოლიტიკურ (კონ) ფედერაციაში მონაწილეობას. ავსტრია ადგას ტრანსატლანტიკური ალიანსით დომინირებული ევროკავშირისა და ევროპის თანამეგობრობის სრულიად „ნორმალურ“ წევრად გახდომის გზას. საერთაშორისო პოლიტიკაში ავსტრია დიდწილად აღარ წარმოადგენს გამონაკლისს. თუმცა, აღნიშნული ევოლუცია ჯერ კიდევ არაა ასახული ავსტრიის საჯარო დისკურში. ავსტრიელთა მდგომარეობა საზოგადოების უმრავლეს სეგმენტსა და ელიტებში უფრო მეტად უარყოფის პოზიციით ხასიათდება.

ავსტრიის პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე სიმბოლური მახასიათებელი 1918 წლამდე და შემდეგ, „ინფრანაციონალური იდენტობების“ არსებობა იყო, რომლებიც ტრადიციული დაყოფით განისაზღვრებოდა. ჰაბსბურგების იმპერიისა და პირველი რესპუბლიკის უკანასკნელ ათწლეულებში გერმანოფონური ავსტრიის პოლიტიკური ლოიალობა სტრუქტურირებული იყო არა „ერის“ ან „სახელმწიფოს“ შესაბამისად, არამედ იდეოლოგიური ქვესისტემის მიხედვით. „ბანაკები“ (Lager) – რომლებიც ნიდერლანდურ „საყრდენებს“ ჰგვანან – ავსტრიული ერის შემცვლელად იქნა გამოყენებული (რომელიც იმ ეპოქაში არ არსებობდა).

საქმე ეხება საკმაოდ იშვიათ თავისებურებას. ავსტრიაში, მოქალაქეთა უმრავლესობა განსაკუთრებით, და პირველ ყოვლისა, კათოლიკე ან სოციალისტი იყო და არა ავსტრიელი (ან ვენისა თუ შტირიის მოქალაქე). ამ თავისებურებას ასევე თან ახლდა სხვა სპეციფიკურობაც. კლასობრივი და რელიგიური დაყოფის შედეგად შექმნილი ქვესაზოგადოებების გარდა, არსებობდა ეთნიკური მაიდენტიფიცირებელი გაყოფა. პანგერმანულ ბანაკს განსაკუთრებული ინტერესი ჰქონდა გერმანოფონული ავსტრიის პრეროგატივების დასაცავად. ეს ბანაკი ცდილობდა პოსტრელიგიურ და ანტისემიტურ „რასისტულ“ ვარიანტთან გაერთიანებას და განსაკუთრებით იყო შთაგონებული ჰოჰენცოლერების გერმანიით.

აღნიშნული რელიგიური, ეთნიკური და კლასობრივი დაყოფა ასევე 1945 წლის შემდეგ ავსტრიის პარტიული სისტემის რესტრუქტურაციიდან მომდინარეობდა. ძველი დაყოფის წაშლა აშკარა ხდება არჩევნების ანალიზით. FPÖ მუშათა პარტია გახდა და SPÖ-ს მუშების ხმების მოპოვებაში ეჯიბრება. ეკოლოგთა (მწვანეთა) პარტია მნიშვნელოვანი აქტორი ხდება ახალგაზრდა და განათლებულ ამომრჩეველთა კატეგორიისთვის. ამავე დროს, თითქმის რელიგიური გაყოფა, განსაკუთრებით კი კლასობრივი, არ გამქრალა, მაგრამ მან საგრძნობლად დაკარგა თავისი ტრადიციული მნიშვნელობა.

ავსტრიის პოლიტიკური სისტემა ასევე მამაკაცებით იყო დომინირებული და არ მისდევდა 1919 წლის ევროპულ ტენდენციას, რომელიც ქალებისთვის პოლიტიკური უფლებების მინიჭებას ითვალისწინებდა, არჩევისა და რჩეულად ყოფნის უფლების ჩათვლით. მამაკაცთა დომინანტობა გამოხატავს სქესთა დაყოფასთან დაკავშირებული მობილიზაციის არარსებობას. ამ სიტუაციის შეცვლა 1970-იანი წლებიდან დაიწყო. პარლამენტსა და კაბინეტში წარმოდგენილ ქალთა პროცენტული მაჩვენებელი თანდათანობით გაიზარდა. 2000 წელს მინისტრებისა და დეპუტატების დაახლოებით 25% ქალები იყვნენ.

ამავე დროს, ეს ცვლილება პოლიტიკაში ქალთა დომინანტობაში არ გამოხატულა. მემარჯვენე– ცენტრისტულმა მთავრობამ, რომელიც ხელისუფლებაში იმყოფებოდა 2002-2006 წლებში განახორციელა უფრო მეტად ოჯახზე და არა ქალზე დაფუძნებული პოლიტიკა. თუმცა, თუკი განვიხილავთ სქესებს შორის დაყოფის სტაბილიზაციას ბოლო ათწლეულების განმავლობაში და პოლიტიკური პარტიების მხრიდან ამ საკითხისადმი ინტერესს, არსებობს დიდი ალბათობა, რომ ფემინიზაციის ეს პროცესი მომავალშიც გაგრძელდება.

ავსტრიის პოლიტიკის სხვა დამახასიათებელი ნიშანია ეკონომიკური ჩარევის ხანგრძლივი ტრადიციის უკუსვლა. ამ ევოლუციას მრავალი განმარტება აქვს:

– ეკონომიკურმა გლობალიზაციამ და ევროპეიზაციამ ეკონომიკის პოლიტიკით ჩამოყალიბების შესაძლებლობა შეამცირა.

– საბაზრო ეკონომიკის გლობალური აღმავლობა და ეკონომიკაში პოლიტიკის ჩარევის დასუსტება ასევე ავსტრიაშიც აღინიშნა.

– ეკონომიკური ნაციონალიზაციის მეთოდებმა, რომლებსაც დიდი წარმატება ჰქონდა 1945 წლის შემდეგ თანდათანობით შედეგები გამოიღო XX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულებში.

ამავე დროს, 1980-იანი წლებიდან დიდი კოალიციური მთავრობების პერიოდში, რომელთაც სათავეში სოციალ-დემოკრატი კანცლერი და ფინანსთა მინისტრი ედგა ბანკებისა და ნაციონალური მრეწველობის პრივატიზაცია განხორციელდა. ამ დროიდან პრივატიზაცია არის არა ტრადიციული მემარცხენეობის უკუსვლის ნიშანი, არამედ უფრო მეტად კლასიკური მემარცხენეობის პოლიტიკის დამაჯერებლობისა და განხორციელებადობის გაუარესების მაჩვენებელი.

ამ ევოლუციის შედეგი ავსტრიული კორპორატივიზმის მნიშვნელობის შემცირება იყო, ხოლო მისი მეორე ასპექტი „სტატიკურობის" ყოველგვარი ფორმის შეზღუდვის ტენდენციას გამოხატავდა. ამგვარად, ფედერალურმა მთავრობამ ბიუროკრატიის შემცირების პროცესი დაიწყო. სახელმწიფო უნივერსიტეტები, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში პირდაპირ მთავრობის მიერ კონტროლდებოდა – ამ შემთხვევაში, საქმე ეხება ჰაბსბურგების იმპერიიდან მომდინარე ტრადიციას – უფრო დიდი ავტონომიით აღიჭურვენ მთავრობისგან თავიანთი დამოუკიდებლობის მნიშვნელოვნად გასასზრდელად. გარდა ამისა, შესაძლებელი გახდა კერძო უნივერსიტეტების შექმნა.

„სტატიკურობის" შეზღუდვის ერთ-ერთი ძირითადი შედეგი იყო მფარველი სახელმწიფოს მართვისგან მთავრობის უკან დახევის ტენდენცია. ავსტრიის მფარველი სახელმწიფო, რომელიც სოციალური უზრუნველყოფის სახელმწიფო სისტემასა და „სოციალური პარტნიორობის" ძლიერ გავლენაზე იყო დაფუძნებული არ გამქრალა. უბრალოდ, საუკუნის მიჯნაზე აშკარა ტენდენცია გამოიხატა: სახელმწიფოს ნაკლები ჩარევა და კერძო სექტორისთვის მეტი თავისუფლების მინიჭება.

სეკულარიზაცია, ფემინიზაცია და პრივატიზაცია დასავლეთევროპული ცხოვრების წესის დანერგვის პროცესის ჩამომყალიბებელი ელემენტებია. ავსტრიამ დაკარგა თავისი ტრადიციული მახასიათებლების დიდი ნაწილი თუმცა, იმავდროულად ყველა სპეციფიკური თავისებურებები არ წაუშლია. ის ნორმალიზდება და უფრო (დასავლეთ)-ევროპული ხდება.

ბიბლიოგრაფია

EMMERICH Tatos (2006) „Sozialpartnershaft, Austro – Koproratismus am Ende?" Dans: erbert Dachs et al. Politic in Osierreich. Das Handbuch, Vienne, pp. 425-442.

FRANZ Fallend (2002), „Europäisierung, Föderalismus und Regionalismus", in Heinrich Neisser, Sonja Puntscher Riekmann (éds.), Europäisierung der österreichischen Politik. Konsequenzen der EU-Mitgliédschaft, Vienne, pp. 201-229.

FRITZ Plasser, Peter A. Ulram (2206), Die Wahlanalyse 2006. Wer hat wen warum gewählt?, Presseunterlage, Vienne.

GÜNTHER Schefbeck (2006), „Das Parlament", in Herbert Dachs et al. (éds), Politik in Österrreich. Das Handbuch, Vienne, pp. 158-160.

HEINRICH Neisser (2002), Die Funktionen des Parlaments in Wadel. Dans: Henirich Neisser, Sonja Puntscher Riekmann (éds.), Europäisierung der österreichischen Politik. Konsequenzen der EU-Mitgliédschaft, Vienne, pp. 133-152.

HERZSTEIN Robert (1988), Waldheim. The Missing Years. New York (Arbor House/William Morrow).

LUPHART Arend (1977) Democracy in Plural Societies. A comparative Exploration, New Haven (Yale University).

PELINKA Anton (1998), Austria. Out of the Shadow of the Past. Boulder (Westview).

PELINKA Anton/ROSENBERGER Sieglinde (2003), Österreichische Politik. Grundlagen, Strukturen, Trends, 2 nd edition. Vienne (WUV).

PLASSER Fritz/ULRAM Peter (2003), (éds.), Wahlverhalten in Bewegung. Analysen zur Nationalratswahl 2002, Vienne (WUV).

SCHLESINGER Thomas (1971), Austrian Neutrality on Postwar Europe. The Domestic Roots of a Forein Policy, Vienne (Braumüller).

THALER Peter (2001), The Ambivalence of Identity. The Austrian Experience of Nation-Bulding in a Modern Sociey, West Lafayette (Pordue University Press).

WODAK Ruth (1990) et al., „Wir sind alle unschuldge Täter!" Diskurshistorische Studien zum Nachkriegsantisemitismus, Frankfurt am Main (Suhrkamp).

WODAK Ruth/PELINKA Anton (2002), Pelinka (éds.),The Haider Phenomenon in Austria. New Brunswick (Transaction)

თავი II

ბელგია

პოლ მანიეტი და ჟან-ბენუა პილეტი

შესავალი

კონსტიტუციური მონარქიის მოდელი XIX საუკუნეში, კონსოციაციური რეჟიმის იდეალური ტიპი XX საუკუნის პირველ ნახევარში, პარტოკრატიისა და სამთავრობო არასტაბილურობის ნიმუში 1960-1970-იან წლებში, ლინგვისტურად განსხვავებული ჯგუფების იმვიათი მშვიდობიანი და დემოკრატიული თანაარსებობა, შემდეგ ორწევრიანი ფედერალიზმის გამონაკლისი შემთხვევა, ბელგიის პოლიტიკური რეჟიმი დიდი ხნის განმავლობაში სარგებლობდა თავის რეალურ პოლიტიკურ მნიშვნელობაზე ბევრად დიდი ყურადღებით პოლიტოლოგთა მხრიდან. ამ რეჟიმის ორგანიზაციული მოწყობა, თავისებურებები, გადაწყვეტილების მიმღებთა კომპრომისისადმი მიდრეკილება და ინსტიტუციონალური მოქნილობა ხშირად სამაგალითო იყო. ამავე დროს, ამ თეორიული კლიშეების მიღმა, ბელგიის პოლიტიკური სისტემა ხშირ შემთხვევაში, ნაკლებადაა ცნობილი. მისი სტრუქტურული ცვლილებები, პრაქტიკული ევოლუცია და ორგანიზაციის დეტალები ისევე როგორც ის ელემენტები, რომლებიც მას ზემოთ ჩამოთვლილი იდეალური მოდელებისგან გვაშორებს, ნაკლებად ჩნდება პოლიტიკურ მეცნიერებაში წარმოებულ შედარებით ანალიზში.

წინამდებარე თავი კარგად ცნობილი თეორიული მოდელების მიღმა, გვთავაზობს ბელგიის პოლიტიკური რეჟიმის უფრო ზუსტ სურათს, გვიჩვენებს იმ ევოლუციასა და წინააღმდეგობებს, რომელიც ამ ქვეყნის პოლიტიკურ სისტემას ნაკლებად ორიგინალურსა და სამაგალითოს ხდის, ვიდრე ეს შეიძლება მრავალ ავტორთა ნაშრომებმა, მათ შორის ლიფჰარტის შრომებმაც გვაფიქრებინოს. ამგვარად, 1830 წლის ბელგიის სახელმწიფოს პარლამენტარიზმი, რომელიც XIX საუკუნის იურისტებსა და პოლიტოლოგებს ხშირად მაგალითად მოჰყავთ, სწრაფად ხდება ნიუანსირებული მთავრობისა და პარტიების მხრიდან პოლიტიკურ თამაშზე კონტროლის ხელში აღებით. ბელგიურმა კონსოციაციურმა მოდელმა ასევე სწრაფად დაკარგა სოციოლოგიური ბაზა, რომელსაც ის ეფუძნებოდა. დაბოლოს, ორწევრიანი ფედერალიზმი, რომელიც მუდმივ ტრანსფორმაციას განიცდის 1960-იანი წლებიდან სულ უფრო კონფლიქტური ხდება. ეს ევოლუცია აშკარად ქმნის ბელგიის პოლიტიკური რეჟიმისგან უფრო კომპლექსურ და თეორიულად ნაკლებად გასაგებ შემთხვევას.

ბელგიის პოლიტიკური რეჟიმის ისტორიული ევოლუცია

1830 წელს ახლად დამოუკიდებლობა მიღებული ახალგაზრდა ბელგიური ერი ინსტიტუციონალური ფორმირების ფართო პროცესს შეუდგა. ახალი სახელმწიფოს მმართველებს მართვის ისეთი ფორმა უნდა მოენახათ, რომელიც ლიბერალური ამბიციისა და ქვეყნის მუდმივობის გარანტიის შეთავსებას შეძლებდა. საპარლამენტო მოდელი თითქმის ბუნებრივად იქნა არჩეული. ინგლისში გამოგონებული ეს სისტემა, როლისგანაც ფრანგები გატაცებით ცდილობდნენ თეორიის ჩამოყალიბებას და თავის ქვეყანაში მის დანერგვას, ევროპაში „პოლიტიკური მეცნიერების" ყველაზე დასრულებულ მოდელს წარმოადგენდა. დროებითმა მთავრობამ კომისიის თოთხმეტ წევრს კონსტიტუციის პროექტის მომზადება დააკისრა. შემდეგ, ეროვნული კონგრესის ორას წევრს ის უნდა განეხილა და მიეღო, რაც დიდხანს არ გაგრძელებულა. უმრავლეს შემთხვევაში, კომისიის წევრები ფრანგული ფორმაციის იურისტები იყვენენ, რომლებიც ამავე დროს, ყურადღებას იჩენდნენ ბრიტანული და ჰოლანდიური გამოცდილების მიმართ და ამ რეჟიმით აღტაცებულები იყვენენ.[17]

1830 წლიდან 1890 წლამდე: ელიტისტური პარლამენტარიზმის 60 წელი

ამ პირველი არჩევანის მიღმა, ახალმა რეჟიმმა თავდაპირველი ინსტიტუციონალური ფორმა შეიმუშავა, რომელიც სამმაგ კომპრომისს ეფუძნებოდა. პირველ ყოვლისა, ეს იყო კონსტიტუციური მონარქიის არჩევანი რესპუბლიკის ნაცვლად. კონსტიტუციის პროექტის ერთ-ერთი რედაქტორი პოლ დევო კარგად განმარტავს ამ არჩევანთან დაკავშირებულ ზოგად შეგრძნებას ეროვნულ კონგრესში წარმოდგენილ საკუთარ არგუმენტებში. იგი აღნიშნავს, რომ ახალგაზრდა ბელგიას ორი საფრთხე ემუქრება: „უცხოეთის დომინანტობა" და „არეულობა და ანარქია."[18] მხოლოდ მონარქიას შეუძლია მათი მოთოკვა. ძირითადად, ის არის „მმართველობის სტაბილურო-

17 Gilissen, John, „La Constitution belge de 1831 „ ses sources, son influence", *Res Publica*, 1968, vol. 10, pp. 107-142.

18 Devaux, Paul, *in Discussion du Congrès national de Belgique 1830-1831*, Bruxelles, Société typographique belge, 1844, tome 1, pp. 212-215.

ბის საერთო ფორმასთან დაკავშირებული ძალაუფლება", რომელიც მას პარტიების უთანხმოებებისგან დაიცავს; მონარქია ასევე უცხოეთის სახელმწიფოების ინტერვენციისთვის წინააღმდეგობის გაწევის საწინდარია, განსაკუთრებით საფრანგეთის მხრიდან, რომელიც შეიძლება შეშფოთდეს პატარა რესპუბლიკის გამოჩენით ევროპული ერების ანსამბლში.

თუმცა, ბელგიის მონარქია არ იქნება ტრადიციული სამეფო. ის „კონსტიტუციურია" და სწორედ ამაშია მეორე დამფუძნებელი კომპრომისული გამოსავალი. 1791 წლის საფრანგეთის კონსტიტუციით შთაგონებული ბელგიელი კონსტიტუციონალისტები, რომლებიც მას უფრო რადიკალურს ხდიან შეგვახსენებენ, რომ „ყველა უფლებები ერიდან მომდინარეობს" (25-ე მუხ.), „მეფეს მხოლოდ კონსტიტუციით მისთვის ფორმალურად მინიჭებული უფლებამოსილებები აქვს და განსაკუთრებული კანონები თავად კონსტიტუციის შესაბამისადაა შეტანილი" (78-ე მუხ.). მეფის აქტებზე პასუხისმგებლობა მინისტრებს ეკისრებათ, რომლებიც მათ ხელმოწერით ამტკიცებენ (67-ე მუხ.). სხვაგვარად რომ ვთქვათ, „ბელგიურ მოდელში" სწორედ პარლამენტი მართავს მინისტრების მეშვეობით, მაშინ როდესაც მეფის ფუნქციები მკაცრადაა გაწერილი.

ამ დამფუძნებელი კომპრომისის მესამე ელემენტი მდგომარეობს პოლიტიკური მონაწილეობის ძალზე ელიტისტურ ხასიათში. თუკი კონსტიტუციონალისტები „ერს" ახალი რეჟიმის ცენტრში აყენებენ, ეს უკანასკნელი მთელ ხალხს არ მოიცავს. აღნიშნული ეპოქის ბელგიაში, როგორც სხვაგან, ევროპული ერების უმრავლესობაში მაღალი სოციალური კატეგორიები დარწმუნებულნი არიან, რომ მხოლოდ მათ აქვთ ერის პოლიტიკური ცხოვრების წარმართვის პატივი. ამ ხედვას ადასტურებს ორპალატიანი პარლამენტისა და ცენზიანი ხმის მიცემის არჩევანი. პირველ არჩევანთან დაკავშირებით ეროვნულ კონგრესში დებატები გაიმართა. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ისინი, ვინც პირდაპირი არჩევნებით არჩეული ერთპალატიანი ასამბლეისგან შემდგარ პარლამენტს უჭერდნენ მხარს ვეტოს ფართო უფლებითა და არჩევითობის შემცველი წესებით და ორპალატიანი პარლამენტის მომხრეები. გარდა ამისა, ამ უკანასკნელთ წარმომადგენელთა პალატისგან მეორე ასამბლეის, სენატის შექმნა სურდათ, რომელიც მეფის მიერ დანიშნული სენატორებისგან იქნებოდა შემდგარი, ფრანგული პერთა პალატისა ან მემკვიდრეობითი წევრებისგან შემდგარი ბრიტანული ლორდთა პალატის მსგავსად.[19] საბოლოოდ, ორპალატიანობა შემოღებული იქნა, როგორც გონივრული არჩევანი. შეიქმნა არჩევითი სენატი, მაგრამ არჩევითობის წესების იმგვარ საფუძველზე, რომელიც მასში შესვლის შესაძლებლობას ეკონომიკურ და ინტელექტუალურ ელიტას აძლევდა. ეს ორპალატიანი პარლამენტი უცხოეთის კონსერვატორული სახელმწიფოების თავშეკავებულობის გარანტიებს იძლეოდა. გარდა ამისა, ის იმგვარი ასამბლეის არსებობის შესაძლებლობას ქმნიდა, რომელიც ახალ რეჟიმთან მიწების მესაკუთრეებსა და დიდგვაროვნებს გააერთიანებდა. დაბოლოს, ზედა, უფრო ელიტისტურ პალატასა და ქვედა, უფრო დემოკრატიულ პალატას, ერთმანეთი უნდა დაებალანსებინა.[20] იგივე ტიპის კომპრომისი დამყარებული იქნა ხმის მიცემის უფლებასთან მიმართებაში. ამ კუთხით, ეროვნულმა კონგრესმა ცენზიანი საარჩევნო ხმის შემოღებას დაუჭირა მხარი. ხმის უფლება ჰქონდათ ბელგიაში მცხოვრებ მოქალაქეებს, რომლებიც საარჩევნო კანონით განსაზღვრული ცენზის საფასურს იხდიდნენ, ე. ი. საქმე ეხებოდა მხოლოდ ძალზე შეზღუდულ ეკონომიკურ ელიტას.

ამ დამფუძნებელ კომპრომისებს კონსტიტუციის მიღება მოჰყვა, რომელიც მოდელად იქცა ევროპაში მომდევნო ათწლეულების განმავლობაში. აღნიშნული კონსტიტუციის პოლიტიკურმა ლიბერალიზმმა, ისევე როგორც მისმა კონსენსუსის მონახვის უნარმა კონსერვატორულ და დემოკრატიულ მიმდინარეობებს შორის, ის მიმზიდველი გახადა. ამავე დროს, მიუხედავად მისი ორიგინალურობისა, ბელგიის კონსტიტუცია იმგვარ პოლიტიკურ რეჟიმს ქმნიდა, რომლის პრაქტიკული გამოყენება მეზობელი ევროპული სახელმწიფოებისგან რადიკალურად არ განსხვავდება. მართლაც, ახალი ბელგია საპარლამენტო რეჟიმად ჩამოყალიბდა, მაგრამ ფაქტობრივად, სწრაფად განიცადა ევოლუცია აღმასრულებელი ხელისუფლების გაძლიერებისკენ XIX საუკუნეში, შემდეგ კი პარტიული დემოკრატიის აღმავლობისკენ.

ბელგიის რეჟიმი პირველი ათწლეულების განმავლობაში პარლამენტის გარშემო გაერთიანდა, რომელიც პოლიტიკური დებატებისა და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების უპირატესი ადგილი გახდა. ამავე დროს, საუკუნის მიწურულამდე დომინირებას აგრძელებს „მმართველი პარლამენტის" თეორია და ვითარება მხოლოდ 1850-იანი წლებიდან იწყებს შეცვლას. უნიონიზმის პერიოდის გასვლის შემდეგ, რომლის დროსაც გარედან მომავალი საფრთხე ყველა საზრუნავზე მეტად დომინირებს, რჩეულები უფრო და უფრო აშკარად იყოფიან

---

19 Nandrin, Jean-Pierre, „Le bicamerisme belge en 1830-1831, Fondements doctrinaux", in Laureys, Véronique, Van den Wijngaert, Mark, François, Luc, Gerard, Emmanuel Nandrin Jean-Pierre et Stengers, Jean, *Histoire du Sénat de Belgique, De 1830 à 1995*, Racine Bruxelles, 1999a, pp. 17-28.

20 Stengers, Jean, „Les caractères généraux de l'évolution du Sénat depuis 1931" in *La réforme du Sénat. Actes du colloque organisé à la Maison des parlementaires par le Centre de droit public de la Faculté de droit de l'Université Libre de Bruxelles*, Bruylant, Bruxelles, 1990, pp. 11-43.

დაპირისპირებულ მემერცხენეებსა და მემრჯვენეებს შორის, ვესტმინსტერის ვიგებისა და ტორების მსგავსად.[21] XIX საუკუნის ერთ-ერთი პუბლიცისტი ბელგიის გამოცდილების შედარებისას სხვა ევროპულ ტრაექტორიებთან აღნიშნავს, რომ ძალზე ადრე ბელგიაში „პარტიები მტკიცე ერთიანობითა და დისციპლინით განსხვავდებიან“ იმგვარად, რომ „უთანხმოებები იშვიათად ვლინდება საპარლამენტო დისკუსიებში და კიდევ უფრო ნაკლებად ხმის მიცემის დროს.“ დეპუტატები უთანხმოებებზე ლაპარაკს პარტიების შიგნით არჩევენ ან „დადანაშაულებისგან თავს არიდებენ წინასწარ გათვლილი არდასწრებით.“[22] საპარლამენტო ცხოვრების სტრუქტურირების პროცესში სისტემის ბალანსი აღმასრულებელი ხელისუფლებისკენ იხრება: „მინისტრები საკანონმდებლო საქმიანობის ძირითადი ინიციატორები არიან“ და „ბუნებრივია ისინი უპირატეს გავლენას ახდენენ განხილვების დროს.“ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდანვე ჩნდება ორი დაძაბულობა: მთავრობა პარლამენტზე გავლენიანი ხდება, რჩეულები კი მეორე პლანზე გადადიან თავიანთ პარტიებში.

1890–1940 წწ. : ბამათი ბელგიის საპარლამენტო რეჟიმის გარშემო

ბელგიის პოლიტიკური რეჟიმის პირველი ათწლეულების განმავლობაში კონსტიტუციის მიღებასა და მის ამოქმედებას მნიშვნელოვანი კამათი არ გამოუწვევია. რა თქმა უნდა, ადგილი ჰქონდა კანონიერ შესწორებებს და de facto ევოლუციას, რასაც მოწმობს მრავალი ტექნიკური რეფორმა საარჩევნო უფლების სფეროში ან განმეორებადი კონფლიქტები მეფესა და მის მინისტრებს შორის თითოეულის როლთან მიმართებაში.[23] ამავე დროს, თავად კონსტიტუციური სისტემის საფუძვლების ეჭვს ქვეშ დაყენებას ნაკლებად ჰქონდა ადგილი. მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა XIX საუკუნის დასასრულს.

აღნიშნული საუკუნის უკანასკნელ ათწლეულებში იკვეთება ორი მნიშვნელოვანი უკმაყოფილება. პირველი უკმაყოფილება ფლამანდიური მოძრაობიდან მომდინარეობს, რომელიც ფრანკოფონული ჰეგემონიის წინააღმდეგია. მისი გავლენა ბელგიის პოლიტიკურ ცხოვრებაზე ძალზე საგულისხმოა, რასაც მოგვიანებით, XX საუკუნის შუა ხანებში სახელმწიფოს ფედერალიზაცია მოჰყვა და დებატების ცენტრში „ერთობების კონფლიქტები“ დააყენა. აღნიშნულ საკითხს ჩვენ ამ თავში მივუბრუნდებით. მეორე უკმაყოფილება კითხვის ქვეშ აყენებს ბელგიის დამფუძნებელი კომპრომისის სამიდან ერთ საყრდენს. ცენზიანი სისტემა, რომელიც ხმის უფლებას მოსახლეობის მეასედს აძლევს ამ ეპოქის წარმომადგენლობითი რეჟიმის პრინციპების შელახვად წარმოჩნდება.

1848 წლის ლიბერალურმა მოძრაობებმა ევროპაში მთავრობა უკვე მიიყვანა პირველ დემოკრატიულ დათმობამდე: ცენზი არ გაუქმებულა, მაგრამ ის დაწეული იქნა. ბელგია თითქოსდა მიჰყვებოდა ხმის მიცემის ეტაპობრივ გაფართოებას, რომელიც აღნიშნული პერიოდის ინგლისს ახასიათებდა. თუმცა, საარჩევნო კორპუსის ამ გაფართოებას სხვა რეფორმები არ მოჰყოლია. 1860-იანი წლებიდან ხმის მიცემის საკითხი ბელგიის პოლიტიკურ ცხოვრებაში დომინანტური გახდა. იმ დროის ორ დიდ პარტიაში, კათოლიკურსა და ლიბერალურში, დიდი განხეთქილება არსებობდა ხმის მიცემის საკითხთან დაკავშირებით, მაშინ როდესაც მუშათა სოციალისტური მოძრაობისთვის ეს თემა მთავარ კოზირს წარმოადგენდა. 1893 წლის კომპრომისი „ჩვეულებრივი“ საყოველთაო საარჩევნო უფლების მომხრეებსა და ცენზიანი ლოგიკის დამცველთა შორის მოკლევადიანი გამოდგა. მრავალი შესწორება, რომელიც ზოგიერთებს ერთ ან ორ დამატებით ხმას აძლევდა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გაუქმდა და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ქალებს ხმის მიცემის უფლება მიეცა. ასევე, არჩევითობის პირობები, რომელიც მოსახლეობის უმრავლესობისთვის სენატში შესვლას ძალზე ზღუდავდა 1921 წელს საგრძნობლად შერბილდა.

აღნიშნულ ეპოქაში წარმომადგენლობის ხასიათთან დაკავშირებული მესამე დებატი გაიმართა. 1831 წლიდან ბელგიაში მაჟორიტარული ხმის მიცემის წესი არსებობდა, რომელიც წარმომადგენლობის ორ ბლოკად პოლარიზებას უწყობდა ხელს. საყოველთაო საარჩევნო უფლების შემოღების მოწინააღმდეგეთა შიშს პირველ რიგში, მუშათა პოლიტიკური უმრავლესობის შექმნა იწვევდა. ეს შეშფოთება „პროგრესულ“ ლიბერალებშიც გავრცელდა, რომლებიც ჯონ სტიუარტ მილის მსგავსად, ხმის მიცემის გაფართოებაში ხედავდნენ „გონიერების შემცირების საფრთხეს წარმომადგენლობით კორპუსსა და საზოგადოებრივ აზრში, რომელიც მას აკონტროლებს; და ასევე რაოდენობრივი უმრავლესობიდან გამოსული კლასის კანონმდებლობის შექმნის საფრთხეს.“[24] 1860-იანი წლებიდან ინგლისელი პუბლიცისტის შრომებმა ბელგიაში პროპორციული წარმომადგენლობის მიმართ სიმპა-

---

21 Witte, Els, „De evolutie van de rol der partijen in het Belgische parlementaire regerinssysteem“, *Res Publica*, 1980, vol. 22, n° 1-2. pp. 4-33.

22 Dupriez, Làon, *Les ministres dans les principaux pays de l'Europe et d'Amérique*, Paris, J. Rotschild Éditeur, 3e édition, 1892, pp. 238-39. ავტორი არის ბრიუსელის სააპელაციო სასამართლოს ადვოკატი.

23 Van den Wijngaert, Mark, Beullens, Lieve et Brants, Dana, *Pouvoir et monarchie. La Belgique et ses rois*, Luc Pire, Bruxelles, 2002.

24 Mill, John Stuart, *Considerations on representative government* (1861), in *On Liberty and Other Essays*, Oxford, Oxford University Press, 1982 p. 302.

თია გამოიწვია.[25] ხმის მიცემის ამ წესის მომხრეთა მოტივაციები სხვადასხვა რიგისა იყო. ამ უკანასკნელთა უმრავლესობა პეტიციების ფორმით იყო წარმომდგენილი. პროპორციულ წარმომადგენლობას შესაძლებელი უნდა გაეხადა პოლიტიკური გაუმჭვირვალობის წინააღმდეგ ბრძოლა: მაჟორიტარულ რეჟიმში აზროვნების სხვადასხვა მიმდინარეობები დიდ პარტიებში ერთიანდება, სადაც დებატები დახურულ სივრცეში მიმდინარეობს; ამის საპირისპიროდ, პროპორციული წარმომადგენლობა ამ დისკუსიების ასამბლეის საჯარო ჩარჩოში გადატანის შესაძლებლობას იძლეოდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მას პარლამენტარიზმის სულისკვეთება უნდა აღედგინა, რომელსაც პარტიების მომრავლება ემუქრებოდა. თუმცა, ძირითადი საკითხი ამაში არ მდგომარეობდა: ხმის მიცემის ახალი წესი მიზნად ისახავდა „უმცირესობათა უფლებების დაცვას (....) რაოდენობრივი დესპოტიზმის წინააღმდეგ."[26] კათოლიკეთა უმრავლესობის მიერ მხარდაჭერილი ეს არგუმენტი ლიბერალური პარტიის დაცვის ნებას გამოხატავდა, რომელსაც გაქრობა ემუქრებოდა ძლიერი სოციალისტური პოლუსის გამოჩენით და ამგვარად, პირდაპირი დაპირისპირების თავიდან აცილებას საერო მუშათა მემარცხენე ფლანგსა და ბურჟუაზიულ და კათოლიკურ მემარჯვენე ფლანგს შორის. ეს დაპირისპირება საშიში იყო, რადგან ის ფართოდ მოიცავდა ქვეყნის ლინგვისტურ საზღვრებს: თუკი კათოლიკეები ჰეგემონებად რჩებოდნენ ფლამანდიურ პროვინციებში, სოციალისტები განსაკუთრებით სამხრეთში იკიდებდნენ ფეხს. მემარცხენეობა-მემარჯვენეობის პოლარიზაცია ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის დაპირისპირების ორმაგ რისკს შეიცავდა, რაც ნაციონალურ ერთიანობას საფრთხის ქვეშ აყენებდა.[27] ამ არგუმენტების სიძლიერემ კათოლიკეების უმრავლესობად გაერთიანება შეაძლებინა ხმის მიცემის ახალი წესის მისაღებად სოციალისტების ოპოზიციის წინააღმდეგ.[28]

აღნიშნული დებატების დასრულების შემდეგ, საპარლამენტო რეჟიმი მოკლე ხნით შეჩერებული იქნა ორ მსოფლიო ომს შორის არსებულ პერიოდში. ამ დროს, ბელგიაში, ისევე როგორც მის მეზობელ ქვეყნებში, პოლიტიკური ცხოვრება მწვავე დებატებით აღინიშნა, რომელიც კითხვის ქვეშ აყენებდა თავად საპარლამენტო რეჟიმის პრინციპს. ბელგიური დემოკრატიით მძაფრმა უკმაყოფილებებმა წინა პლანზე წამოიწია, როგორც კომუნისტების, ისე უკიდურესი მემარცხენეებისა და ასევე ტრადიციული პოლიტიკური ჯგუფების ზოგიერთი წევრების მხრიდან. ისინი პარლამენტარიზმს პარტიებისთვის ზედმეტად დიდი უფლებამოსილებების მინიჭებას საყვედურობდნენ მაშინ როდესაც ეს უკანასკნელნი ხელისუფლებისთვის ბრძოლაში იყვნენ ჩაფლულნი. პოლიტიკური ფუნქციონირების წესი უუნარო ჩანდა დიდი კრიზისების მართვაში, მაგალითად ისეთი კრიზისისა, რომელმაც 1929 წლიდან ევროპა მოიცვა. გარდა ამისა, შეხედულებათა კონფრონტაციაზე დაფუძნებული პარლამენტარიზმი უუნაროდ წარმოჩნდებოდა კლასთა შორის კონფლიქტების მართვაში, რომელიც უფრო და უფრო მწვავდებოდა. თავდაპირველად, ალტერნატიული მოსაზრებები გარკვეულ აკადემიურ წრეებში გაჩნდა, შემდეგ კი პოლიტიკურ სცენაზე.[29] ამ მოსაზრებებში გამოთქმული იყო, როგორც უფრო ძლიერი აღმასრულებელი ხელისუფლების არსებობის, ისე წარმომადგენლობითი საფუძვლების მოდიფიკაციის სურვილი. უპირატესი არჩევანი ინტერესთა წარმოდგენა და კორპორატივიზმია, რომელიც ხელს უწყობს დიდი სოციალური ჯგუფების წარმომადგენლებისგან შემდგარი ასამბლეების შექმნას. ყველაზე უკიდურესი პოზიციები, რომლებიც დემოკრატიული მოდელის დასასრულს ქადაგებენ ვერასდროს მოიპოვებენ უმრავლესობას სხვა ევროპული სახელმწიფოებისგან განსხვავებით. ამავე დროს, ინტერესთა წარმოდგენის პოლიტიკური გადაწყვეტილების ტრადიციულ არხებთან დაკავშირების იდეა უფრო მეტი მხარდაჭერით სარგებლობდა სახელდობრ, POB-ის (ბელგიის მუშათა პარტია) შიგნით. ეს დებატები საბოლოოდ მეორე მსოფლიო ომმა შეწყვიტა, რომლის დასრულების შემდეგ, საპარლამენტო დემოკრატიის მძაფრი კრიტიკა – „პარლამენტარიზმის მნიშვნელოვანი კრიტიკა" – ჩაცხრა.[30] სამაგიეროდ, „უმნიშვნელო კრიტიკა" სოციალური საკითხების მართვისთვის ინსტიტუციონალიზებული ნეოკორპორატიული სისტემის ამოქმედებამდე მივიდა.

---

25 Dupriez Léon, *L'organisation du suffrage en Belgique*, Paris, Larose, 1901. 1866 წელს წარმომადგენელთა პალატაში დებატის გამართვას შედეგად მოჰყვა 1880 წელს ბელგიის *რეფორმატორული გაერთიანების შექმნა პროპორციული წარმომადგენლობის შემოღებისთვის*, რომელშიც ამ პალატის წევრთა დაახლოებით მეხუთედი გაერთიანდა. ასევე გამოიცა მრავალი ბროშურა.

26 Goblet d'Aviella, Eugène E.A., p. 21.

27 Stengers, Jean, „L'établissement de la représentation proportionnelle en Belgique en 1899", in Delwit, Pascal et De Waele, Jean-Michel (dir.), *Le mode de scrutin fait-il l'élection?, Bruxelles,* Édition de l'Université de Bruxelles, 2000, pp. 129-141.

28 პროექტმა 70 ხმა შეაგროვა (5 ლიბერალების და 65 მემარჯვენეების) ოპოზიციის 63 ხმის წინააღმდეგ (30 სოციალისტებისა და 33 მემარჯვენეების)

29 Magnette, Paul, „Un siècle de gouvernement proportionnel en Belgique", in Delwit, Pascal et De Waele, Jean-Michel (dir.)*Le mode de scrutin fait-il de l'élection?*Bruxelles, Édition de l'Université de Bruxelles, 2000, pp. 145-60.

30 Magnette, Paul et Luyten, Dirk, „L'idée du parlementarisme en Belgique", in Gubin, Éliane, Nandrin, Jean-Pierre, Gerard, Emmanuel et Witte, Els (sous la dir. de), *Histoire de la Chambre des représentants de Belgique,* Chambre des représentants, Bruxelles, 2003, pp. 19-46, p. 35.

1945–1970 წწ.: პარტიების პროგრესირებადი დომინანტობის ქვეშ არსებული პოლიტიკური რეჟიმი

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ბელგია ძირითადში, კონფლიქტამდე არსებულ პოლიტიკურ რეჟიმს დაუბრუნდა. იმ ქვეყნებისგან განსხვავებით, რომლებსაც ჰქონდათ ავტორიტარული რეჟიმების ან საფრანგეთისა და იტალიის რესპუბლიკების მსგავსი გამოცდილება, ბელგიას არ დასჭირვებია თავისი კონსტიტუციის შეცვლა რეჟიმის სტაბილიზაციისთვის. ამავე დროს, თუკი კონსტიტუციონალურ ასპექტში statu quo მოქმედებდა, პრაქტიკულ ასპექტში, პოლიტიკური რეჟიმი ახალ ფაზაში შევიდა: პარტიებისა და კონსოციაციური რეჟიმის პირველობა.

ისტორიულად, ბელგიაში ყოველთვის არსებობდენენ პოლიტიკური პარტიები, რომლებიც მისი მეზობელი ქვეყნების პარტიებზე უფრო ძლიერი და უაღრესად სტრუქტურირებულნი იყვნენ. ბელგიაში პირველი სტრუქტურირებული პარტიები XIX საუკუნის შუა წლებიდან ჩნდებიან ბელგიის ლიბერალური პარტიისა, შემდეგ კი კათოლიკური პარტიის დაფუძნების დროიდან. სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, ეს პარტიები ჭეშმარიტად სტრუქტურირებული ორგანიზაციებია. საქმე არ ეხება რჩეულთა უბრალო კლუბებს. იქმნება ნამდვილი პოლიტიკური მანქანები დეპუტატებისა და სენატორების მუშაობის ორგანიზებისთვის, განსაკუთრებით კი იმგვარი ძლიერი მანქანის შექმნის მიზნით, რომელიც წევრების მუშაობის ხელმძღვანელობას შეძლებს საარჩევნო კამპანიების განმავლობაში.

მეორე მსოფლიო ომის დასრულებისთანავე გადალახული იქნა დამატებითი საფეხური. პარტიები ხელში იღებენ ძალაუფლებას. ისინი ბელგიის პოლიტიკური რეჟიმის მთავარი აქტორები ხდებიან. მათ პარლამენტზე მეტი ძალაუფლება აქვთ, რომელიც მთავრობის ანალოგიურია. ამ მხრივ, გარდატეხის მომენტი გახდა გადასახლებიდან მეფის, ლეოპოლდ III დაბრუნების საკითხი მეორე მსოფლიო ომის დასასრულს. დებატები სუვერენის პოზიციასთან დაკავშირებით ომის განმავლობაში, სარეფერენდუმო კამპანია მეფის დაბრუნების თაობაზე და საბოლოო მოლაპარაკება, რომელსაც მეფის ტახტიდან გადაყენება მოჰყვა მისი ვაჟის ბოდუენის სასარგებლოდ, პარტიის ხელმძღვანელებით იყო დომინირებული მთავრობის წევრებსა ან პარლამენტარებზე მეტად. დისციპლინა, რომლის შენარჩუნება პარტიებმა თავიანთ რიგებში პოლიტიკური კონფლიქტის განმავლობაში შეძლეს, პარტიების პერიოდის მომასწავებელი გახდა. როგორც შემდგომში ვნახავთ, 1950-იანი წლებიდან ამოქმედებულმა კონსოციაციურმა მექანიზმებმა კიდევ უფრო გააძლიერა პარტიების გავლენა, რომელიც მხოლოდ 1990-იანი წლებიდან შეირყა. ამ დროს, პოლიტიკური ცხოვრების პერსონალიზაციამ პოპულარულ პოლიტიკურ ლიდერებს დამოუკიდებლობის მოპოვების შესაძლებლობა მისცა პარტიული აპარატის პირისპირ. ეს ცვლილებები დღეს უფრო დეტალურად უნდა იქნეს განხილული ბელგიის პოლიტიკური რეჟიმის სურათის წარმოსადგენად XXI საუკუნის დასაწყისში.

ბელგიის პოლიტიკური რეჟიმი XX საუკუნისა და XXI საუკუნის გასაყარზე

პოლიტიკური განხეთქილებები და კონსოციაციური რეჟიმის დაღმასვლა

ბელგიის სახელმწიფოს შექმნისას, მმართველი ელიტების შიგნით ერთმანეთს ორი ბანაკი დაუპირისპირდა, ძირითადად, არისტოკრატიიდან და ძალზე გავლენიანი ბურჟუაზიული წრეებიდან გამოსული ელიტები. ერთი მხრივ, კლერიკალები კეთილგანწყობილნი იყვნენ საზოგადოებრივ საქმეებში ეკლესიის ჩარევის მიმართ განსაკუთრებით, განათლების სფეროში. რაც შეეხება ანტიკლერიკალებს, ისინი რელიგიური ინსტიტუტებისთვის ამ უფლების მინიჭებას ეწინააღმდეგებოდნენ. აღნიშნულმა რელიგიურმა განხეთქილებამ ბელგიის პოლიტიკური ცხოვრების სტრუქტურა შექმნა 1830 წლიდან მე-19 საუკუნის დასასრულამდე. ორი პირველი პარტია, 1846 წელს შექმნილი ლიბერალური პარტია და მისი კათოლიკური alter ego (გაერთიანებული 1860-იან წლებში), სწორედ ამ განხეთქილების მიჯნაზე დაფუძნდა. XIX საუკუნის მიწურულს, ბელგიაში სოციალურ-ეკონომიკურმა დაყოფამ იჩინა თავი, რაც მუშათა მოძრაობის აღმოცენებაში გამოიხატა, რომელიც 1885 წელს ბელგიის მუშათა პარტიად (POB) გარდაიქმნა. ეს დაყოფა რელიგიურ დაყოფასთან გადაიკვეთა, მაგრამ უფრო ასიმეტრიული ფორმით. მართლაც, ანტიკლერიკალების ბანაკი სწორედ ლიბერალებსა და სოციალისტებს შორის არსებული განხეთქილების საფუძველზე გაიყო. ამის საპირისპიროდ, კათოლიკურ ბანაკში სხვადასხვა სოციალური კლასები ერთიანნი დარჩნენ. დაბოლოს, მთელი XX საუკუნის განმავლობაში – აღმავალი ინტენსიურობით ორ მსოფლიო ომს შორის არსებულ პერიოდსა და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ – ლინგვისტური დაყოფა, რომელიც ერთმანეთს ფრანკოფონებსა და ფლამანდიელებს უპირისპირებდა განხეთქილების სხვა ორ მიმართულებას დაემატა.

ეს მესამე დაყოფა მოხდა იმ დროს, როდესაც ბელგია კონსოციაციური დემოკრატიის მოდელად განიხილებოდა. ბელგიის პოლიტიკური ცხოვრების საყრდენებად დაყოფა და კონსოციაციური მოწყობა განხეთქილების სხვა ორ ფორმაზე იქნა აგებული. დასაწყისში, ამ ორი დაყოფის დროს არსებული კონფლიქტები თანდათანობით სტრუქტურირებული ორგანიზაციების ქსელების შექმნაში გამოიხატა, რომელთაც მოგვიანებით სულიერ

ჯგუფებს, სოციოლოგიურ საზოგადოებებს ან საყდენებს უწოდებდნენ. ისინი მომხრეთა ბირთვის გარშემო გაერთიანდნენ ნამდვილი ქსელის სტრუქტურად, რომელიც თითოეული საყრდენის წევრებს მოიცავდა „აკვნიდან სამარემდე."[31] ბელგიის შემთხვევაში, ორი ძლიერი საყრდენი გამოჩნდა: კათოლიკური და სოციალისტური, რომლის გვერდით უფრო სუსტი ლიბერალური საყრდენი არსებობდა.

საყრდენებად დაყოფის მიღმა, ბელგია კონსოციაციური დემოკრატია გახდა, რომელიც ორი პროცესის შედეგად ჩამოყალიბდა. პირველი პროცესი სახელმწიფოს მიერ – განსაკუთრებით პირველი მსოფლიო ომის შემდეგ – ამ საყრდენების ორგანიზაციებისთვის გარკვეული საზოგადოებრივი სამსახურების ამოცანების დაკისრებაში მდგომარეობს. მეორე პროცესი ეხება იმგვარი პოლიტიკური გადაწყვეტილების მექანიზმების ამოქმედებას, რომლებიც ელიტების მიერ საჯარო საქმეების მართვის შესაძლებლობას იძლევა უფრო გამაერთიანებელი ვიდრე კონფლიქტური დამოკიდებულებით. პირველი მსოფლიო ომის, განსაკუთრებით კი მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, ბელგიის პოლიტიკურ რეჟიმში კვლავ გაჩნდა კონსოციაციური დემოკრატის ძირითადი ნიშნები. დასაწყისისთვის, ელიტებს ყოველთვის ახსოვდათ, რომ გაერთიანებული ქვეყნის შესანარჩუნებლად კრიზისების შემთხვევაში, აუცილებელი იყო ბანაკებს შორის წინააღმდეგობების დაძლევის და კომპრომისის მონახვის უნარის ქონა. აღნიშნულს მრავალჯერ ჰქონდა ადგილი მნიშვნელოვან პაქტებზე ხელის მოწერით სამი მთავარი პოლიტიკური ჯგუფის გაერთიანებით.

ყველაზე ცნობილია 1958 წლის სასკოლო პაქტი. ბელგიაში, ისევე როგორც კონფესიონალური კონფლიქტების მქონე ბევრ სხვა ქვეყანაში, სწავლების საკითხი ყოველთვის ძალზე სენსიტიური იყო. 1950-1958 წლებში ხელისუფლებაში ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ქრისტიან-დემოკრატიული და საერო მთავრობები, რომლებიც ამ საკითხთან დაკავშირებით დიამეტრალურად განსხვავებულ გადაწყვეტილებებს იღებდნენ. ეს უკანასკნელნი მაშინვე უქმდებოდა მომდევნო მთავრობების მიერ. 1958 წელს პრემიერ-მინისტრმა თავისი კაბინეტის შიგნით სამი დიდი პოლიტიკური პარტიის გავლენიანი წარმომადგენლებისგან შემდგარი კომისიის შექმნა გადაწყვიტა. ამ კომისიის წევრები დახურულ კარს მიღმა მუშაობდნენ თავიანთ პარტიასთან პირდაპირ კონტაქტში. შეთანხმება საპარლამენტო არდადეგების დროს იქნა მიღწეული. შემდეგ, მისი რატიფიკაცია სამი დიდი პარტიის ყრილობამ მოახდინა პარლამენტში გადაცემამდე, რომლის წევრები სათანადოდ იყვნენ გარკვეულნი თავიანთი პარტიული აპარატების მიერ და კანონის მიღება დისკუსიის გარეშე მოხდა. ამ შეთანხმების შედეგად ყველა პარტიის წარმომადგენლისგან შემდგარი მუდმივი კომისია შეიქმნა, რომელსაც ყველა კანონპროექტის განხილვა ჰქონდა დავალებული სასკოლო სფეროში. გადაწყვეტილების მიღების ეს მოდელი ბელგიაში პოლიტიკური გადაწყვეტილების კლასიკური მეთოდის სრულყოფას წარმოადგენს.[32] ინსტიტუციონალური ჩარჩოების მიღმა ხდება პირდაპირი მოლაპარაკება პარტიულ აპარატებს შორის; ორგანიზებული ინტერესებით გამსჭვალული სამინიტრო კაბინეტები იმპულსის მიმცემის როლს თამაშობენ; აზრთა გაცვლის ზომიერება და საპარლამენტო დებატების გვერდზე გადადება ბელგიური ტიპის კომპრომისის დემოკრატიის კონსტანტებია. ეს მოლაპარაკებები ზოგჯერ სამთავრობო კოალიციის პარტნიორებით შემოიფარგლება, ზოგჯერ კი ოპოზიციურ პარტიებზეც ვრცელდება, როდესაც საქმე ძალზე მნიშვნელოვან საკითხებს ეხება.

ელიტების კომპრომისისადმი მზაობამ შესაძლებელი გახადა სამთავრობო კოალიციების შექმნა განხეთქილებების მიღმა. ბელგიაში არ არსებობს დომინანტური დაყოფა მემარჯვენეობასა და მემარცხენეობას შორის, რომელიც მიუღებელს გახდის ცენტრისტული კოალიციების შექმნას, როგორც ამას საფრანგეთში აქვს ადგილი. 1950-იანი წლებიდან კოთოლიკეებსა და ანტიკლერიკალებს შორის დაპირისპირებები ხელს აღარ უშლის შერეული კოალიციების ფორმირებას. დაბოლოს, ბელგიის პოლიტიკური ელიტები მიყვებიან სეგმენტური ავტონომიის პრინციპს, რაც გულისხმობს შეძლებისდაგვარად თითოეული საყრდენისთვის მართვის კომპეტენციის მისივე წევრებისთვის გადაცემას გარკვეულ სფეროებში (განათლება, ჯანდაცვა, კულტურა...), რაც სრული ავტონომიის მინიჭებით ხორციელდება. ყველა აღნიშნულ მიზეზთა გამო ბელგია დიდი ხნის განმავლობაში „სანიმუშო კონსოციაციურ სისტემად" აღიქმებოდა.[33]

ამავე დროს, ნიდერლანდის მსგავსად, გარკვეული დროიდან, სულ უფრო აშკარა ხდება ბელგიური კონსოციაციური მოდელის უკუსვლის თეზისი და საყრდენების დაშლის პროცესი. ეს პრობლემატიკა სამმა ევოლუციამ განაპირობა. პირველ ყოვლისა, 1960-იანი წლები მოდიფიკაციით აღინიშნა დაყოფის განსხვავებების მნიშვნელობის რიგში, რომელიც ბელგიის პოლიტიკური თამაშის სტრუქტურას აყალიბებს.[34] 1958 წლის სასკოლო

31 Seiler, Daniel-Louis, „Un État entre importation et implosion : consociativité, partitocratie et lotissement dans la sphère publique belge", in Delwit, De Waele, Jean-Michel et Magnette, Paul, *Gouverner la Belgique. Clivages et compromis dans une société complexe.* Presses universitaires de France, Paris, 1999, pp. 15-51.

32 Perin, François, Meynaud, Jean et Ladrière, Jean (dir.), *La décision politique en Belgique*, Paris, Armand Colin, 1963.

33 Seiler, Daniel-Louis, *op. cit.*, 1997.

34 Deschouwer, Kris, „From Consociation to Federation. How the Belgian Parties Won", In Luther, Kurt Richard and Deschouwer, Kris (eds.), *Party Élites in Divided Societies, Political Parties in Consociational Democracy*, Routledge, Londres, 1999, pp. 74-107.

პაქტმა შესაძლებელი გახადა კლერიკალებსა და ანტიკლერიკალებს შორის ძირითადი უთანხმოების ჩაცხრობა. გარდა ამისა, 1960-იან წლებში სამმხრივი (მთავრობა-პროფკავშირები-მეწარმეთა გაერთიანება) პროფესიათაშორისი მოლაპარაკებების ინსტიტუციონალიზაციამ შეამცირა სოციალურ-ეკონომიკური დაყოფის დაძაბულობა. სამაგიეროდ, 1960-იანი წლებიდან ლინგვისტური საკითხი გამძაფრდა იმგვარად, რომ თანდათანობით ბელგიის პოლიტიკის მთავარი განხეთქილების ობიექტი გახდა. ამ დროიდან, ყველაზე მძაფრი კონფლიქტები უხდება ბელგიის ინსტიტუციონალური სტრუქტურის ევოლუციასა და ქვეყნის ეტაპობრივ ფედერალიზაციას. ამჯერად, ძირითად დაძაბულობას ადგილი აქვს არა საყრდენებს, არამედ ლინგვისტურ ერთობებს (ფლამანდიური და ფრანკოფონური) შორის, რომელიც ორივე ლინგვისტურ ზღვარზე არსებულ პოლიტიკურ ჯგუფებს აერთიანებს. 1960-იან წლებში ასევე გაჩნდა რეგიონალური პარტიები. ეს უკანასკნელნი დაჟინებით მოითხოვდნენ ამ პრობლემატიკის განხილვას და ასევე ყველა საყდენის ამომრჩევლებს მიმართავდნენ. ახალმა პოლიტიკურმა კონტექსტმა მრავალი ათწლეულის განმავლობაში ქვეყანა ფედერალიზმისკენ წაიყვანა.

მეორე რიგის ევოლუციას, რომელსაც ბელგიის დემოკრატიის კონსოციაციური ხასიათის კითხვის ქვეშ დაყენება შეუძლია საყრდენისადმი ერთგულების შემცირება წარმოადგენს. 1960-იანი წლების დასასრულს ლორვინი თავის ნაშრომებში უკვე აღნიშნავდა, რომ ბელგიაში, ისევე როგორც ნიდერლანდში, აღინიშნებოდა იმ იდეოლოგიების დაღმასვლა, რომლებზეც მთავარი საყრდენები იყო დაფუძნებული.[35] აღნიშნულის ყველაზე თვალსაჩინო გარე ნიშანია სამი ტრადიციული პარტიის მიერ მიღებული ხმების შემცირება, განსაკუთრებით, ქრისტიან-სოციალებში და სოციალისტურ პარტიაში (იხ. ტაბულა №1). გარდა ამისა, 1960-იანი წლებიდან საყრდენების ორგანიზაციები ცდილობენ სხვა სოციალურ წრეებთან თანამშრომლობას. საყრდენისადმი ერთგულების შემცირება მხოლოდ არჩევნებში მონაწილეობის შემცირებაში გამოიხატება. იზრდება მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებიც პროფკავშირებში ან ურთიერთდახმარების საზოგადოებებში წევრიანდებიან მათი მთავარი საყრდენის გარეთ. ასევე მატულობს სტუდენტების რაოდენობა, რომლებიც ერთი სასაწავლო ქსელიდან მეორეში გადადიან სწავლების პროცესში. მნიშვნელოვანია, რომ საყრდენების „ჰერმეტიულობის" დაკარგვა შეზღუდული რჩება.[36]

დაბოლოს, თავად ელიტებში, ძირითადად პოლიტიკურში, 1970-1980-იან და 1990-იან წლებში თავი იჩინა ბელგიური საზოგადოების საყრდენებად დაყოფის კრიტიკამ. რეგიონალური პარტიები ლინგვისტური საკითხის წინა პლანზე დაყენების გარდა, ტრადიციული პარტიების დომინანტობასა და მოქალაქეთა მონაწილეობის სიმწირეს აკრიტიკებენ.[37] 1970-იანი წლებიდან მოსახლეობაშიც ასევე იზრდება უკმაყოფილება ბელგიური დემოკრატიის მიმართ. დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების მსგავსად, გაისმის პარტისიპაციული მოწოდებები პოლიტიკის ძირფესვიანად გარდაქმნის მოთხოვნით ელიტების ბატონობის შესამცირებლად[38] და მოქალაქეთა ჩარევის ადგილების გასაზრდელად კერძოდ, პოლიტიკური მონაწილეობის ტრადიციული არხების მიღმა.[39] ამგვარი მოთხოვნები ყველა დასავლეთის დემოკრატიებში არსებობდა, მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა კონსოციაციურ დემოკრატიებში ჰქონდა.

პარტიული სისტემა

ლიბერალებისა და კათოლიკეების ერთსაუკუნოვანი დომინანტობის შემდეგ, ბელგიის პარტიული ნიშნით მობრობის სისტემა ჭეშმარიტად სამპარტიული გახდა პირველი მსოფლიო ომის პერიოდში პროპორციულ წარმომადგენლობასა (1899წ.) და საყოველთაო საარჩევნო უფლებაზე (1893-1918წწ.)[40] გადასვლით. ამ დროიდან,

---

35 Lorwin, Val R., „Conflits et compromis dans la politique belge", *Courrier hebdomadaire du CRISP*, n°323, 1966.

36 Hooghe, Marc, „De persistentie van verzuiling op microniveau in Vlaadern. Een analyse van surveydata over lidmaatschap, zuilintegratie, stemgedrag en maatschappelijke houdingen", *Res Publica*, n°4, 1999, pp. 391-420.

37 Deschouwer, Kris, „The Decline of Consociationalism and the Reluctant Modernization of Mass Parties" in Mair, Peter and Katz, Richard S. (eds.), *How Parties Organize, Change and Adaptation in Party Organizations in Western Democracies*, Sage, Londres, 1994, pp. 80-108.

38 Dalton, Russel J. & Kuchler, Manfred (eds), *Chellenging the Political Order: New Social and Political Movments in Western Democracies*, Cambridge : Polity Press, 1990.

39 Lawson, Kay and Merkl, Peter H. (eds), *Wen Parties Fail Emerging Alternative Organizations*, Princeton : Princeton University Press, 1988.

40 1893 წელს ბელგიაში პლურალური საყოველთაო საარჩევნო უფლება იქნა შემოღებული. მრავალი ხმა ოჯახის მამებს ცენზისა და განათლების ცენზის კრიტერიუმების შესაბამისად გადაეცა. საბოლოოდ, ჭეშმარიტი საყოველთაო საარჩევნო უფლება 1918 წელს იქნა შემოღებული მამაკაცებისთვის, ხოლო 1948 წელს ხმის მიცემის უფლება ქალებმაც მიიღეს. იხ. P. Delwit, J.-M. De Waele et P. Magnette (dir.), *Governer la Belgique. Clivages et compromis dans une société complexe*, Paris, PUF, 1999, pp. 71-112.

სამი მთავარი პოლიტიკური ჯგუფი (სოციალ-ქრისტიანები, სოციალისტები და ლიბერალები) საპარლამენტო წარმომადგენლობის თითქმის მონოპოლიით სარგებლობდნენ. როგორც ქვემოთ მოცემული ტაბულა გვიჩვენებს, უმრავლეს შემთხვევაში, ამ სამმა პარტიამ ადგილების მხოლოდ მეათედი დაუტოვა სხვა პოლიტიკურ პარტიებს. 1960-იან წლებამდე მათ უპირატესობას საფრთხე არ ემუქრებოდა ერთი შემთხვევის გარდა. მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე და მისი დასრულების შემდეგ ამ უპირატესობას კომუნისტური და უკიდურესი მემარჯვენე პარტიების გავლენის ზრდა დაემუქრა თუმცა, 1940-იანი წლების მიწურულს ყველაფერი ჩვეულ მდგომარეობას დაუბრუნდა.

ტაბულა №1 – სამი მთავარი პოლიტიკური პარტიის საპარლამენტო წარმომადგენლობის წილი

წელი	ადგილები (%)
1919	95,1
1921	97,3
1925	96,2
1929	93,5
1932	94,1
1936	77,6
1939	84,1
1946	86,1
1949	94,3
1950	96,6
1954	97,1
1958	98,5
1961	94,3
1965	89,1
1968	82,5
1971	79,7
1974	77,3
1977	83,4
1978	82,5
1981	82
1985	85,8
1987	85,8
1991	78,3
1995	80,6
1999	70,1
2003	84

ამავე დროს, 1960-იანი წლებიდან მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეიცვალა. 1968 წლიდან „ერთობების" მომხრე პარტიების გამოჩენამ, რომლებიც სახელმწიფოს რეგიონალიზაციასა ან ფედერალიზაციას მოითხოვდნენ, ტრადიციული პარტიების მონოპოლია კვლავ შეარყია.[41] სახელმწიფოს რეფორმამ ფედერალიზმის მიმარ-

41 საქმე ეხება ვალონურ გაერთიანებას (RW), რომელმაც 1970-იანი წლების დასასრულს შეწყვიტა საქმიანობა, ბრიუსე-

თულებით 1970-1980-იან წლებში ამ პატარა პარტიებს არსებობის აზრი დააკარგინა და ამ დროიდან ბევრი მათგანი პოლიტიკურ ასპარეზს ჩამოშორდა.[42] ბელგიის პარტიული სისტემის მეორე მნიშვნელოვან ევოლუციას 1960-იან წლებში სამი ტრადიციული პოლიტიკური ჯგუფის დაყოფა წარმოადგენს ლინგვისტური საზღვარის გასწვრივ. 1968 წელს ნაციონალური სოციალ-ქრისტიანული პარტია ორად გაიყო: CVP (2003 წელს CD&V გახდა) და PSC (2002 წელს CDH გახდა). სხვა პარტიებმა იგივე გაყოფა განიცადეს, 1971 წელს ეს იყო ლიბერალების შემთხვევა (MR და VLD), 1978 წელს კი სოციალისტების (PS და SP,A).[43] ამ დროიდან, ბელგიაში არ არსებობს არც ერთი ნაციონალური პარტია. დარჩნენ მხოლოდ ფლამანდიური და ფრანკოფონური პარტიები.

1980-იანი წლებიდან მწვანეთა პარტიებმა (Ecolo და AGALEV – 2003 წელს GROEN გახდა) სერიოზული კონკურენცია გაუწიეს სამ ტრადიციულ ჯგუფს. ამ პარტიების საარჩევნო შედეგების სტაბილურობა და 1999 წელს ფორმირებულ მთავრობასთან გაერთიანება გვიჩვენებს, რომ დღეისათვის ბელგიის პარტიული ნიშნით მიმზრობის სისტემა ოთხპარტიულია. დაბოლოს, უკვე თხუთმეტი წელია, რაც ამ საარჩევნო სურათს მეხუთე პოლიტიკური ძალა დაემატა : უკიდურესი მემარჯვენე პარტია. ამ პარტიას განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ფლანდრიაში, სადაც Vlaams Blok (2004 წელს Vlaams Belang გახდა) მუდმივი ზრდის პროცესშია. აღნიშნულმა ის მეორე ფლამანდიურ პარტიად აქცია 2004 წლის რეგიონალურ არჩევნებში ხმების 24%-ითა და ფლამანდიელ რეგიონალურ დეპუტატთა მეოთხედით (24,58%). რაც შეეხება ფრანკოფონულ მხარეს, ორგანიზაციული სიმყიფე და ნაციონალური ფრონტის ხელმძღვანელთა (FN) სისუსტე ამ პარტიას დღესაც ხელს უშლის ამგვარი საარჩევნო შედეგების მოპოვებაში.

ამავე დროს, ეს ახალი პოლიტიკური პარტიები პოლიტიკურად სამ ტრადიციულ ჯგუფზე ნაკლებად მნიშვნელოვანი რჩება. აღნიშნულს მოწმობს ბელგიის მთავრობების შემადგენლობა, რომელშიც სოციალ-ქრისტიანები, სოციალისტები და ლიბერალები ფართოდ დომინირებენ (ტაბულა №2).

ტაბულა №2 – ომის შემდგომი ბელგიის მთავრობების საპარლამენტო ხანგრძლივობა და სურათი

ხანგრძლივობა (დღეებში)	პოლიტიკური შემადგენლობა	საპარლამენტო სურათი
ომის შემდგომი დაძაბულობის პერიოდი (1946-50წწ.)		
13-03-46 -20-03-46 (7)	**სოციალისტური**	34,2%
31-03-46 – 09-07-46 (100) 03-08-46 – 13-03-47 (222)	სოციალისტურ-ლიბერალურ-კომუნისტური	54%
20-03-47 – 19-11-48 (610) **26-11-48** – 27-0649 (213)	სოციალისტურ-სოციალ-ქრისტიანული	79,7%
11-08-49 18-03-50 (219)	**სოციალ-ქრისტიანულ-ლიბერალური**	63,2%
უმრავლესობის მონაცვლეობის პერიოდი (1950-58წწ.)		
08-06-50 11-08-50 (64) 16-08-5 – 09-01-52 (511) 15-01-52 12-04-54 (818)	**ერთგვაროვანი სოციალ-ქრისტიანული**	50,9%
22-04-54 02-06-58 (1502)	**სოციალისტურ-ლიბერალური**	52,4%
23-06-58 04-11-58 (134)	**ერთგვაროვანი სოციალ-ქრისტიანული**	49%

ლის ფრანკოფონურ დემოკრატიულ ფრონტს (FDF), რომელიც დღეს მხოლოდ ლიბერალ ფრანკოფონებთან ფედერაციაში არსებობს და ფლამანდიურ ვოლკსუნს. მხოლოდ ამ უკანასკნელს ჰქონდა დამოუკიდებელი საპარლამენტო წარმომადგენლობა 1999 წელს, მაგრამ მის წიაღში შექმნილმა მწვავე კრიზისმა 2001 წლის შემოდგომაზე ამ გაერთიანების გაყოფა გამოიწვია.

42 Van Haute, Émilie and Pilet, Jean-Benoit „Regionalist Parties in Belgium : victims of their own succes?", *Regional and Federal Studies*, vol. 16, n°3, 2006, pp. 297-313.

43 Delwit, Pascal, *Composition, décomposition et recomposition du paysage politique en Belgique*, Labor, Bruxelles, 2003.

ნახევრად მონაცვლეობის პერიოდი (1958-72წწ.)		
06-11-58 27-03-61 (872)	სოციალ-ქრისტიანულ-ლიბერალური	59%
25-04-61 24-05-65 (1490)	**სოციალ-ქრისტიანულ-სოციალისტური**	84,9%
27-07-65 11-02-66 (199)	**სოციალ-ქრისტიანულ-სოციალისტური**	66,5%
19-03-66 07-02-68 (690)	სოციალურ-ქრისტიანულ-ლიბერალური	59%
17-06-68 08-11-71 (1239)	**სოციალ-ქრისტიანულ-სოციალისტური**	60,4%
21-01-72 23-11-72 (307)	**სოციალ-ქრისტიანულ-სოციალისტური**	60,4%
ერთობების დაძაბულობის პერიოდი (1973-80 წწ.)		
26-01-73 19-01-74 (358)	სოციალისტურ-სოციალ-ქრისტიანულ-ლიბერალური	76,4%
25-04-74 11-06-74 (47)	**სოციალ-ქრისტიანულ-ლიბერალური**	48,1%
11-06-74 04-03-77 (997)	სოციალ-ქრისტიანულ-ლიბერალური-RW	54,2%
06-03-77 18-04-77 (43)	სოციალ-ქრისტიანულ-ლიბერალური	49,5%
03-06-77 11-10-78 (495) 20-10-78 18-12-78 (59)	სოციალ-ქრისტიანულ-სოციალისტური-FDF-VU	81,1%
03-04-79 16-01-80 (288)	სოციალ-ქრისტიანულ-სოციალისტური-FDF	71,2%
23-01-80 09-04-80 (77)	სოციალ-ქრისტიანულ-სოციალისტური	66%
18-05-80 07-10-80 (141)	სოციალ-ქრისტიანულ-სოციალისტურ-ლიბერალური	83,5%
22-10-80 02-04-81 (162) 06-04081 21-09-81 (168)	**სოციალ-ქრისტიანულ-სოციალისტური**	66%
ნახევრად მონაცვლეობაზე დაბრუნება (1981-99 წწ.)		
17-12-81 14-10-85 (1397)	სოციალ-ქრისტიანულ-ლიბერალური	53,3%
28-11-85 19-10-87 (690) 21-10-87 14-12-87 (54)	**სოციალ-ქრისტიანულ-ლიბერალური**	54,2%
09-05-88 29-09-91 (1238) 29-09-91 25-11-91 (57)	სოციალ-ქრისტიანულ-სოციალისტური-VU სოციალ-ქრისტიანულ-სოციალისტური	70,7% 63,2%
07-03-92 21-05-95 (1170)	**სოციალ-ქრისტიანულ-სოციალისტური**	56,6%
23-06-95 16-06-99 (1452)	**სოციალ-ქრისტიანულ-სოციალისტური**	54,7%
ტრანსვერსალური კოალიცია (1999 წ.)		
12-07-99 18-05-03 (1405)	**ლიბერალ-სოციალისტურ-მწვანეთა**	62,7%
12-07-03 10-06-07 (1428)	**ლიბერალ-სოციალისტური**	64,7%

1. მუქად დაწერილი ციფრები გვიჩვენებს ახალი ასამბლეიდან გამოსული მთავრობის ფუნქციონირების დასაწყისს. 1993 წლამდე მთავრობებს უმრავლესობა უნდა ჰყოლოდა ქვედა პალატასა და სენატში. ამ ტაბულაში ციფრები მხოლოდ ქვედა პალატას ეხება. სენატი, დიდწილად პირდაპირი არჩევნებიდანაა გამოსული, ყველა ომის შემდგომი მთავრობა, მსგავსი პროპორციებით, ასევე უმრავლესობით იყო წარმოდგენილი სენატში.

ზემოთ მოყვანილი ტაბულა ასევე ერთი a priori მცდარი შეხედულების შესწორების საშუალებას იძლევა, რომელსაც ბევრი იზიარებს ბელგიის მთავრობებთან მიმართებაში: მათ განსაკუთრებული არასტაბილურობა არ ახასიათებს. თუკი ფაზებად დავყოფთ 1946 წლიდან დღემდე არსებულ პერიოდს, დავინახავთ, რომ ბელ-

ვით ნამდვილად არასტაბილური მხოლოდ გარკვეული დროის განმავლობაში იყო:[44] თავდაპირველად, ომის დასრულების შემდეგ 1946-1950 წლებში, შემდეგ 1970-1980-იან წლებში ე. წ. „ერთობების" პარტიებისა და ლინგვისტური დაძაბულობის გამწვავების დროს. ამ ორ პერიოდში ოთხ წელიწადში სხვადასხვა შემადგენლობის ექვსი მთავრობა ერთმანეთს ენაცვლებოდა. აღნიშნულ კრიზისულ მომენტებში მთავრობების ფორმირება ზოგჯერ ძალზე ხანგრძლივი იყო, რომელმაც ორჯერ ას დღეს გადააჭარბა და თერთმეტ არშემდგარ მცდელობას მოიცავდა.[45] კოალიციები ეფემერული იყო და ზოგიერთ შემთხვევაში, მათი არსებობა ერთ წელსაც არ აღწევდა ან ერთ თვეს არ აღემატებოდა. მაგრამ თუკი ამ ორ ხანმოკლე პერიოდს გამოვრიცხავთ, კოალიციების საშუალო ხანგრძლივობა ორ ნახევარ წელიწადს შეადგენდა.[46] 1980-იანი წლების დასაწყისიდან თითქმის ყველა კოალიციამ ლეგისლატურის დროის ნორმალურ დასრულებას მიაღწია. ამგვარად, არასტაბილურობა შეჩერებული იქნა იმგვარად, რომ აუცილებელი არ გამხდარა არც საპარლამენტო რეჟიმის ფუნქციონირების რაციონალიზაცია და არც საარჩევნო კანონის შეცვლა.

ფედერაციის საკითხი და დაძაბულობა ფრანკოფონებსა და ფლამანდიელებს შორის

ყველა სხვა ევოლუციის მიღმა, ლინგვისტური საზღვრის შექმნის დროიდან დაწყებული ფედერალიზაციის პროცესი, რომელმაც 1962-1963 წლებში ფლამანდიური და ფრანკოფონური სივრცე გაყო, ბელგიის პოლიტიკური რეჟიმის ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებაა არჩევნების დემოკრატიზაციის პერიოდიდან XIX საუკუნის დასასრულს. ამ პროცესმა მრავალი ეტაპი მოიცვა და როგორც ჩანს, საბოლოოდ დღესაც არ დასრულებულა. ეს პროცესი 1962-1963 წლებში დაიწყო სამი გეოგრაფიული ზონის განსაზღვრით: ფლამანდიური ჩრდილოეთში, ფრანკოფონური სამხრეთში და ბილინგვური დედაქალაქ ბრიუსელსა და 18 მიმდებარე კომუნაში. მომდევნო ეტაპი გახდა 1970 წელს სამი ლინგვისტური ერთობის (ფლამანდიური, ფრანგული და გერმანულენოვანი) შექმნა ძირითადად კულტურული კომპეტენციებით. აღნიშნულს მოჰყვა ვალონური და ფლამანდიური რეგიონების შექმნა 1980 წელს, შემდეგ კი დედაქალაქ ბრიუსელის რეგიონისა 1988 წელს. დაბოლოს, 1993 წელს კონსტიტუციის რეფორმა განხორციელდა იმისათვის, რომ ბელგია სამი რეგიონისგან შემდგარი (ფლანდრია, ვალონია და ბრიუსელი-დედაქალაქი) ფედერაციული სახელმწიფო გამხდარიყო ეკონომიკური და განვითარების (ტერიტორიის მოწყობა, საბინაო სფერო, გარემოს დაცვა) კომპეტენციებით, ხოლო სამ ერთობას (ფრანგული, ფლამანდიური და გერმანულენოვანი) ძირითადად კულტურისა და განათლების სფეროები გადაეცა. თითოეული ერთეული არჩეული პარლამენტითა (ფრანგული და ფლამანდიური ერთობების გარდა)[47] და ხუთი წლის მანდატის მქონე აღმასრულებელი ხელისუფლებით აღიჭურვა. ამ რეფორმას სენატის გარდაქმნა დაემატა, რომელიც ამიერიდან შედგებოდა 40 პირდაპირ არჩეული რჩეულისგან, ერთობების პარლამენტების მიერ გაგაზავნილი 21 სენატორისა და 10 კოოპტირებული სენატორისგან. ამ დროიდან ნაკლები მასშტაბის რამდენიმე რეფორმა განხორციელდა, რომელიც ძირითადად, ფედერაციული სახელმწიფოს კომპეტენციების გადაცემას ითვალისწინებდა ფედერაციაში შემავალი ერთეულებისთვის.[48]

ზემოთ აღნიშნული კონსტიტუციური რეფორმების მიღმა, დაყოფამ, რომელმაც ერთმანეთს ნიდერლანდურ და ფრანგულ ენებზე მოლაპარაკე ერთობები დაუპირისპირა, სიღრმისეული კვალი დაამჩნია ბელგიის პოლიტიკურ ცხოვრებას. პარტიები ლიგვისტური საზღვრის გასწვრივ გაიყვნენ. რაც შეეხება რეგიონალურ პარტიებს, ისინი თითქმის აღარ არსებობენ, მაგრამ მათი მემკვიდრეობა ყველა პარტიაშია წარმოდგენილი. სოციალურ-ეკონომიკური აქტორები (მეწარმეთა ფედერაციები, პროფკავშირები, ურთიერთდახმარების საზოგადოებები...) გარკვეულ შემთხვევებში ერთიანნი არიან, მაგრამ თანაარსებობა მძიმედ მიმდინარეობს ფლამანდიურ და ფრანკოფონულ მხარეებს შორის.

---

44 თუკი ზოგად საშუალო შეფასებას გამოვიყენებთ, ბელგია ევროპული საპარლამენტო რეჟიმებიდან ერთ-ერთ ყველაზე არასტაბილურად წარმოჩნდება. კოალიციების საშუალო ხანგრძლივობა 1946-1999 წლების პერიოდში 520 დღეს შეადგენდა. აღნიშნული გვიჩვენებს, რომ ბელგია ერთ-ერთია იმ ქვეყნებიდან, რომლებშიც მთავრობების მუშაობის ხანგრძლივობა ყველაზე ხანმოკლე იყო, იტალიისა (355 დღე) და ფინეთის (452 დღე) შემდეგ. იხ. Müller, Wolfgang et Strom, Kaare (dir.), *Coalition Governments in Western Europe*, Oxford, Oxford University Press, 2000.

45 De Winter, Lieven, Timmermans, A. et Dumont, Patrik „Belgium, On Government Agreements. Evangelists, Followers and Heretics", in Müller, W Wolfgang C et Strom, Kaare (dir.), *Coalition Governments in Western Europe*, *op. cit.*, pp. 300-355.

46 Dewachter, Wilfried, „Instabilité gouvernementale et stabilité ministérielle en Belgique", *Pouvoirs*, 1990, n°54, pp. 37-49.

47 ფლამანდიური და ფრანგული ერთობების პარლამენტები შედგებიან ფლამანდიური და ვალონური რეგიონალური პარლამენტების რჩეულებისგან ისევე როგორც ბრიუსელის რეგიონალური პარლამენტის რამდენიმე წევრისგან, რომლებიც თავიანთი ლინგვისტური ერთობის პარლამენტში არიან გაგზავნილნი.

48 ფედერალიზაციის პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციისთვის იხ. Mobille, Xavier, *Histoire politique de la Belgique, Facteurs et acteurs de changements*, CRISP, 3e édition, 1997.

მთავრობა და პარლამენტი პერსონალიზაციის მარწუხებში

როგორც ავღნიშნეთ, ბელგიის პოლიტიკურ რეჟიმს საპარლამენტო საფუძველი აქვს. ფედერალური აღმასრულებელი ფუნქციები თითქმის პარიტეტულ მთავრობას აქვს მინდობილი,[49] რომელსაც ფორმალურად მეფე ნიშნავს, მაგრამ ის პირველ ყოვლისა, პარლამენტის წინაშეა პასუხისმგებელი. ორპალატიანი პარლამენტი შედგება წარმომადგენელთა პალატისგან, რომელიც ყოველ ოთხ წელიწადში ახლდება და სენატისგან, რომელშიც შედიან არჩეული სენატორები, თემის პარლამენტების მიერ დანიშნული სენატორები და კოოპტირებული სენატორები.

დასავლეთის დემოკრატიების უმრავლესობის მსგავსად, დღეისათვის ბელგია ცვლილებებს განიცდის პარლამენტსა და მთავრობას შორის ურთიერთობებში. მეორე მსოფლიო ომის დროიდან მოყოლებული, ეს ურთიერთობა აღმასრულებელი ხელისუფლებით იყო დომინირებული, რომელიც მანევრირების მცირე სივრცეს უტოვებდა წარმომადგენელთა პალატასა და სენატს. მინისტრები, ისევე როგორც პარტიული ნიშნით მიმხრობის აპარატები, ცდილობდნენ მკაცრ ჩარჩოში ჩაესვათ დეპუტატებისა და სენატორების საქმიანობა. კონტროლის ეს ნება რთული პოლიტიკური ინიციატივების განხორციელების შედეგია ქვეყანაში, რომელშიც მუდმივი კომპრომისი წესადაა მიჩნეული. ამგვარად, ყველაზე მნიშვნელოვანი კანონპროექტები მიღებამდე სამინისტრო კაბინეტებში გულდასმითაა მომზადებული, რომლებიც ექსპერტების, პარტიების წარმომადგენელთა და მინისტრების ხელშემწყობი დაინტერესებული პირებისგანაა შემდგარი. კანონის პირველი ვერსია მინისტრების შეზღუდულ საბჭოს – კერნი – გადაეცემა. ამ საბჭოში პრემიერ-მინისტრი და ვიცე-პრემიერი შედიან, რომლებიც კოალიციის თითოეულ პარტიას წარმოადგენენ. კერნი საკუთარ აზრს გამოთქვამს კანონის საბოლოო გადახედვამდე და მინისტრთა საბჭოსთვის მის გადაცემამდე. თითოეული კაბინეტის შიგნით მრჩეველთა ძირითადი ამოცანაა იმ კაბინეტების საქმიანობისთვის ზედამხედველობის გაწევა, რომლებიც სხვა პარტიებიდანაა გამოსული. ამგვარად, ყოველდღიური პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება ამ ორ პარალელურ სიბრტყეში მიმდინარეობს. თავდაპირველად, კანონპროექტები კაბინეტებში მზადდება ორგანიზებულ ინტერესთა ჯგუფებსა და პარტიების ბიუროკრატიასთან მჭიდრო თანამშრომლობაში. შემდეგ, მინისტრები და მათი გარემოცვა, რომელთაც რთულ მომენტებში თავიანთი პარტიის თავჯდომარე უჭერს მხარს მოლაპარაკებებს აწარმოებენ პარტნიორებთან დახვეწილი „package deals"-ით (კულუარული მოლაპარაკებები). პრემიერ-მინისტრი ძირითადად, არბიტრის როლში გამოდის კოალიციის პარტნიორებს შორის არსებულ კონფლიქტებში, როდესაც იგი არაა (ზოგიერთი მათგანის განცხადებით) უბრალოდ, მინისტრებისა და თავიანთი პარტიების მიერ ხელმოწერილი შეთანხმებების ნოტარიუსი.

ამ გარემოებებში პარლამენტის როლი ყველაზე მეტად რატიფიკაციის პალატის როლამდეა დაყვანილი.[50] 1993 წლის სახელმწიფო რეფორმის შემდეგ სენატს აღარ შეუძლია პარლამენტში მინისტრებისთვის შეკითხვის დასმა და არც ნდობისა და უნდობლობის გამოცხადებისთვის ხმის მიცემა. მას შეუძლია წარმომადგენელთა პალატაში კენჭნაყარი პროექტების განხილვის მოთხოვნა და მათში შესწორებების შეტანა, მაგრამ ეს შესწორებები შეიძლება არ იქნეს მიღებული ამ პალატის მიერ. ამგვარად, ორპალატიანობა აშკარად ასიმეტრიულია და სენატი საკუთარი ადგილის ძიებას აგრძელებს საპარლამენტო სისტემაში. რაც შეეხება წარმომადგენელთა პალატას, ის ფორმალურად აღმასრულებელი ხელისუფლების საფუძვლად და მოჯადო რჩება. მისი როლი ზემოდან წამოსული შეთანხმებების განხილვამდეა დაყვანილი. ამაში არაფერია ორიგინალური. ოცდაათი წლის წინ გამოქვეყნებულ თავის ფართო კვლევაში, ჟან-კლოდ კოლიარდი უკვე აღნიშნავდა, რომ პრაქტიკულად დასავლეთის ყველა ქვეყანაში პარლამენტი დაყვანილი იყო „დამოწმების ან თუ ვნებავთ, მითითების როლამდე" მთავრობების ფორმირებაში.[51] სხვა პოლიტოლოგებმა ვრცელ ისტორიულ ანალიზზე დაყრდნობით დაასკვნეს, რომ „საპარლამენტო მმართველობა ფუნქციონირებს (უკეთესად ფუნქციონირებს), როდესაც მისი სახელწოდება შეცდომაში შემყვანია, ე. ი. როდესაც პარლამენტი არ მართავს."[52] უკვე დიდი ხანია ცნობილია, რომ პარლამენტის როლის შესაფასებლად პოლიტიკურ სისტემაში თავი უნდა შევიკავოთ „საპარლამენტო სუვერენიტეტის" ილუზიისგან; უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ კომპლექსურ სახელმწიფოებში პარლამენტების ძირითადი მისიაა არა კანონის შექმნა, არამედ ამ უკანასკნელის შემქმნელი მთავრობების სადავეების მოთოკვა.[53]

---

49 კონსტიტუციით დადგენილია მთავრობაში არა უმეტეს 15 წევრიანი შემადგენლობის არსებობა, და პრემიერ-მინისტრის გარდა, მთავრობაში ფლამანდიელები და ფრანკოფონები თანაბარი რაოდენობით უნდა იყვნენ წარმოდგენილნი.

50 Lauvaux, Philippe, „Lévolution du régime parlementaire depuis 1944", *Pouvoirs*, 1990, n°54, pp. 25-26.

51 Colliard, J-C, *Les régimes parlementaires*, Paris, Presses de la Fondation nationale des sciences politiques, 1977, p 277.

52 Sartori, Giovanni, *Comparative Constitutional Engineering*, Londres, Macmillan, 1994, p. 109.

53 Blondel, Jean, *Comparative Legislatures*, Englewood Cliffs, Prentice Hall, 1973. 1861 წელს ჯ. ს. მილი აღნიშნავდა, რომ „საპარლამენტო სუვერენიტეტის" აქსიომის მაგნეტირებელი გაუგებრობების გასაფანტავად „როგორც კანონმდებლობასთან, ისე ადმინისტრაციასთან მიმართებაში, ერთადერთი ამოცანა, რომელშიც წარმომადგენლობითი ასამბლეა შეიძლება კომპეტენტური იყოს, არის არა თავად მის მიერ სამუშაოს შესრულება, არამედ იმგვარად მოქმედება, რომ ეს სამუშაო შესრულდეს; აღნიშნულმა ასამბლეამ უნდა განსაზღვროს თუ რა ტიპის ადამიანებს უნდა მიანდოს ეს სამუშაო და ამ

ფაქტები ცხადყოფს, რომ პარლამენტარებისთვის უკიდურესად რთულია მათთვის გადაცემულ კანონებში შესწორებების შეტანა თავიანთი პარტიის აზრის გათვალისწინების გარეშე. თავის შიდა სტრუქტურირებაში პარლამენტი ძალზე განპირობებულია პარტოკრატიული ლოგიკით: პროპორციული სისტემით არჩეული მისი ორგანოები უმრავლესობის გავლენას ასახავს; კანონპროექტების, შესწორებების ან საპარლამენტო შეკითხვების წარმოდგენა ჯგუფების ხელმძღვანელების ან პალატის თავჯდომარის მიერაა გაფილტრული. ამგვარად, ინდივიდუალური ინიციატივა პარტიული ნიშნით მიმხრობის კონტროლისა და შეზღუდვების ვიწრო ქსელის სტრუქტურაშია მოთავსებული. კენჭისყრის მკაცრი დისციპლინა ამაოს ხდის ოპოზიციის დეპუტატთა დროში გაწელილ ქმედებებს.[54]

გარდა ამისა, მთავრობას აქვს საპარლამენტო მუშაობის წარმართვის სხვა საშუალებებიც : მისი პროექტები პრიორიტეტულად კომისიაში განიხილება; მისი დეკლარაციები და კომუნიკაცია პლენარულ დღის წესრიგში ავტომატური დაშვებით სარგებლობს და მას სასწრაფოდ შეუძლია პლენარული სხდომის მოწვევა საკითხის დასაყენებლად. გარდა ამისა, ბელგიის მთავრობები ხშირად მიმართავდნენ „სპეციალური უფლებების" ტექნიკას საპარლამენტო დებატებისთვის გვერდის ასავლელად. სპეციალური უფლებების დადგენილებებს, ისევე როგორც ჩარჩო-კანონებსა და ზოგადი პრინციპების ამსახველ კანონებს დაუბრკოლებლივ ეყრება კენჭი უმრავლესობის დეპუტატთა მიერ, მაშინ როდესაც შესწორებებთან დაკავშირებული ოპოზიციის მიერ წარმოებული დებატები მხოლოდ ანელებს პროცედურას. მაგალითად, 1995-1999 წლების ლეგისლატურის განმავლობაში მიღებული იქნა სამი ჩარჩო-კანონპროექტი, რომელიც დასაქმებას და კონკურენტუნარიანობას, ევროს ზონაში ბელგიის მონაწილეობის საბიუჯეტო პირობებსა და სოციალური უსაფრთხოების მოდერნიზაციას ეხებოდა, ე.ი. მთავრობის თანმხმობის თითქმის მთლიან ნაწილს. უმრავლესობის პარტიები მთავრობის ფორმირებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების კომპრომისით დასრულების შემდეგ, ცდილობენ თავიდან აიცილონ მთავრობის საქმიანობის კითხვის ქვეშ დაყენება პარლამენტარია ჩარევით. ამ უკანასკნელთათავის ძალზე რთული ხდება საკუთარი პრიორიტეტების თავს მოხვევა. 1990 წელს მიღებული კანონი აბორტის დეკრიმინალიზაციის შესახებ ამის დასტურებაა, ის შეცვლილმა უმრავლესობამ მიიღო მთავრობაში მყოფი მთავარი პარტიის ნების საწინააღმდეგოდ. თუმცა, ამგვარი მოვლენები მით უფრო აშკარა იყო, როგორადაც იშვიათი. 1999 წლიდან პარლამეტარების ინიციატივით დაწყებული დისკუსიები ევთანაზიის დეკრიმინალიზაციასთან დაკავშირებით შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმის გამო, რომ მთავრობაში მყოფ პარტიებს მათი წინამორბედებისგან განსხვავებით, ამგვარი დისკუსიები არ აუკრძალავთ. თავიანთ საკანონმდებლო მისიაში პარლამენტარების განკარგულებაშია მხოლოდ ინიციატივისა და შეზღუდული შესწორების შეტანის უფლებამოსილება, რომელიც ზედმიწევნით გაკონტროლებულია უმრავლესობის პარტიების მიერ და წინასწარ განსაზღვრული მთავრობის თანხმობით.

ამავე დროს, კონტროლის საქმიანობის ზრდა, ყოველ შემთხვევაში, რაოდენობრივი თვალსაზრისით, როგორც ეს ემთხვევა იმას, რასაც ევროპაში ბოლო ოცი წლის განმავლობაში აქვს ადგილი[55] საპარლამენტო აქტივიზმის „გამოღვიძების" თეზისს ამტკიცებს. თუკი რთულია ამ უკანასკნელის გავლენის შეფასება მთავრობაზე, ეს ახალი საპარლამენტო აქტივიზმი წლების განმავლობაში მკვიდრდება. თხუთმეტიოდე წელია, რაც საპარლამენტო საგამოძიებო კომისიების პრაქტიკამ ძალზე დიდი ინტერესი გამოიწვია. სახელმწიფოს დაარსებიდან 1985 წლამდე მხოლოდ ხუთი კომისია შეიქმნა თუმცა, აქედან მოყოლებული წელიწადში საშუალოდ ერთი კომისია იქმნება.

სხვა ბოლოდროინდელ ფენომენს ცვლილებები შემოაქვს პარლამენტარებს, პარტიებსა და მთავრობას შორის არსებულ ურთიერთობებში. ეს ცვლილებაა პოლიტიკური ცხოვრების პერსონალიზაცია. ამ უკანასკნელმა შესაძლებელი გახადა რამდენიმე პოპულარული ფიგურისთვის დამოუკიდებლად გამარჯვების მოპოვება. ამგვარად, ძალზე ცნობილმა პარლამენტარებმა მედიის გამოყენება ისწავლეს თავიანთი პარტიის კონტროლისგან გასათავისუფლებლად. ასევე ყველაზე ცნობადი მინისტრები ცდილობენ პარტიულ აპარატებზე გავლენის მოხდენას. ყველაზე აშკარა ევოლუცია პრემიერ-მინისტრებთან მიმართებაში შეიმჩნევა. 1980-იან წლებამდე ისინი უმრავლეს შემთხვევაში, ფლამანდიელ ქრისტიან-დემოკრატთა რიგებიდან იყვნენ გამოსულნი და მუდმივად უნდა დამოწმებოდნენ პარტიის ბიუროს, რომელშიც პარტიის და საყრდენის სხვადასხვა ლიდერები იყვნენ წარმოდგენილნი. 1980-იან წლებში ვილფრიდ მაერტენსის პრემიერ-მინისტრობის დროიდან, განსაკუთრებით, ჟან-ლიოკ დეჰანეს, შემდეგ კი გი ვერჰოფშტადტის მთავრობის სათავეში ყოფნისას, პრემიერ-მინისტრები პოლიტიკური ცხოვრების გრავიტაციის ცენტრებად იქცნენ, თავიანთი პარტიისგან დამოუკიდებლად მოქმედებითა

უკანასკნელის შესრულების შემდეგ გადაწყვიტოს მისცეს თუ უარი უთხრას ამ ადამიანებს ნაციონალურ სანქციაზე." იგი დასძენდა, რომ ასამბლეები წარმოადგენენ „არა ქვეყნის ყველაზე გონიერი პოლიტიკოსების შერჩევას(. . .), არამედ ხალხში არსებული სხვადასხვა დონის გონიერების დამაკმაყოფილებელ ნიმუშს;" J.S. Mill, *Consideration on representative government* (1861), in *On Liberty and Other Essays*, Oxford, Oxford University Press, 1982, pp. 279 et 283-84.

54 Depauw, Sam, „Fractiecohesie en effectiviteit van parlementen", *Res Publica*, 2000, vol. 42, n°4, pp. 503-19.

55 Mezey, Michael, „Parliaments in the New Europe", in Hayward, Jack et Page, Edward c. (dir.), *Governing the New Europe*, Cambridge, Polity Press, 1995, pp. 196-223.

და პოლიტიკური თამაშის თანდათანობითი პერსონალიზაციით. ამ უკანასკნელს ხელი შეუწყო მედიის დომინანტურმა ადგილმა და ასევე თავად პოლიტიკური აქტორების კომუნიკაციის სტრატეგიებმა. ამგვარად, 25 წლის განმავლობაში კამპანიები მეტად არიან ცენტრირებული კანდიდატებზე და ნაკლებად პარტიებზე, როგორც კოლექტიურ ორგანიზაციებზე. აღნიშნულს ცვადყოფს საარჩევნო ხარჯების გადანაწილება, რომელიც პარტიების ხარჯების უმრავლესობიდან ინდივიდუალურ კანდიდატთა ხარჯების უმრავლესობაზე გადადის.

ბელგიაში პოლიტიკური ცხოვრების პერსონალიზაცია განსაკუთრებით, საარჩევნო კანონს შეეხო. თუკი ეს კანონი აშკარად სიების პროპორციული წარმომადგენლობის ლოგიკაშია ჩასმული, ბოლო წლების მანძილზე სხვადასხვა ცვლილებები იქნა შეტანილი არჩევნების ტრანსფორმაციისთვის, რომელიც პარტიებზე მეტად, ინდივიდუალურ კანდიდატებზეა ფოკუსირებული. ამ დონეზე ყველაზე აღსანიშნავი წინსვლაა სიით ხმის მიცემის მნიშვნელობის შედარებითი შემცირება და პრეფერენციული ხმის მიცემის გავლენის გაზრდა. არჩევნების პერსონალიზაციის ნება ასევე ადგილობრივ დონეს ეხება, ყოველ შემთხვევაში, ვალონიაში. მართლაც, ამ მხარეში 2006 წლიდან ძალაშია ახალი კანონმდებლობა, რომელიც ზრდის პრეფერენციული ხმის მიცემის პოლიტიკურ მნიშვნელობას. ვალონიაში ჩატარებული უკანასკნელი კომუნალური არჩევნების დროიდან ბურგომისტრი (მერი) ავტომატურად ხდება ის კანდიდატი, რომელსაც კომუნალური უმრავლესობის სიაში ყველაზე მეტი პრეფერენციული ხმები აქვს მიღებული. ამგვარად, საარჩევნო რეფორმები აშკარად მზარდი პერსონალიზაციისა და პარტიებისა და სიების მნიშვნელობის შემცირების მიმართულებით ვითარდება.

დასკვნა

ბელგიის პოლიტიკური რეჟიმის უკანასკნელი ცვლილებები ეჭვს ქვეშ აყენებს იმის მართებულებას, რომ ბელგია კვლავაც მისაბაძი მაგალითია, როგორც მრავალი თეორიული მოდელის იდეალური ტიპი (კონსოციაციური, ფედერალური, პარტოკრატული...). პირველ ყოვლისა, საყრდენები იშლება, რაც მათ შორის არსებულ ბარიერებს უფრო შეღწევადს ხდის. რაც შეეხება ფედერალიზმის კონსოციაციურ ხასიათს, ის მერყეობს ფლამანდიურ და ფრანკოფონულ პარტიებს შორის ბოლოდროინდელი რადიკალიზაციის პირისპირ. ასევე, ურთიერთობები მთავრობას, პარლამენტსა და პარტიებს შორის პარტოკრატული ჩარჩოდან გამოდის პოლიტიკის პერსონალიზაციისა და საარჩევნო კოდექსის შედეგად, რამაც პარტიული ნიშნით მიმხრობის აპარატების გავლენა შეამცირა ზოგიერთ რჩეულზე. მოკლედ რომ ვთქვათ, ბელგიის პოლიტიკური რეჟიმი, მისი მეზობლების მსგავსად, მოძრაობაში და ძიებაშია. ის მერყეობს მთავრობებში ლიდერშიპის გაძლიერებასა და პარლამენტების აღმავლობას შორის,[56] მზარდ ფედერალიზაციასა და ინსტიტუციონალურ statu quo-ს, კონსენსუსსა და კონფლიქტებს შორის.[57]

56 Fiers, Stefaan and Krouwel, „The Low Countries : From Prime Minister to Minister-President?, Webb, Paul and Poguntke, Thomas, *The Presidentialisation of Politics in Democratic Societies*, Oxford Univeristy Press, Oxford, 2004, pp. 126-156.

57 Keman, Hans, „The Low Countries. Confrontation and Coalition in Segmented Societies" in Colomer, Joseph M. (ed.), *Political Institutions in Europe*, Routledge, Londres, 1996, pp. 211-253.

თავი III

ბულგარეთი

ანტონ ტოდოროვი

ბულგარეთის თანამედროვე პოლიტიკური სისტემა 1989 წლის შემდგომი პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდიდან მომდინარეობს, რომელიც იმავდროულად, პოლიტიკური დემოკრატიის ინსტიტუციონალიზაციასა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას შეეხო. ამ პოლიტიკურ, ისევე როგორც ეკონომიკურ და სოციალურ ტრანსფორმაციაში, მრავალი ინსტიტუციონალური მოდელი იქნა მობილიზებული, რომელიც პოლიტიკურ დებატებსა და საჯარო ხელისუფლების ორგანოების მოწყობას დაედო საფუძვლად. ერთი მხრივ, გამოყენებული იქნა ისტორიული მემკვიდრეობა, გარდამავალი პერიოდის დასაწყისში მრავლადაა მინიშნებები თანამედროვე ბულგარეთზე, რომელიც 1878 წელს დამოუკიდებლობის მიღებასთან ერთად ჩამოყალიბდა. თუმცა, ბულგარეთში პლურალისტური დემოკრატიის ახალი ინსტიტუციონალური სტრუქტურისა და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობისთვის გამოყენებული მოდელების უმრავლესობა უცხოური წარმომავლობისაა (ევროპა, აშშ). უცხოური რეკომენდაციები მთელი ნაციონალური პოლიტიკური კულტურის ნაწილი გახდა, რომელშიც მოდერნიზაცია ხშირად, ევროპული ან დასავლური გამოცდილების გაგრძელებადაა აღქმული აღმოსავლეთისა და ოსმალთა იმპერიის მემკვიდრეობის საპირისპიროდ. გარდამავალი პერიოდის პოლიტიკა ასევე დასავლურ მოდელებს კომუნისტურ რეჟიმს უპირისპირებს, რომელიც რუსულ გამოგონებადაა მიჩნეული, და ამგვარად, აღმოსავლეთიდან წამოსულ გამოცდილებად. დამოუკიდებლობისა და 1879 წლის კონსტიტუციის მიღების შემდეგ, რომლის თანახმად, კონსტიტუციური მონარქია და მამაკაცთა საყოველთაო საარჩევნო უფლება იქნა შემოღებული, ქვეყანაში რამდენიმე წლის განმავლობაში პოლიტიკურ მღელვარებასა და არასტაბილურობას ჰქონდა ადგილი, რაც სტამბოლოვის (1887-1894 წწ.) ავტორიტარული რეჟიმის დამყარებით დასრულდა. შედარებითი დემოკრატიული სტაბილურობა ხელს უწყობს ქვეყნის სწრაფ მოდერნიზაციას ბალკანეთის ომებისა და პირველი მსოფლიო ომის (1912-1918 წწ.) დაწყებამდე. 1913 წელსა და 1918 წელს დამარცხებული ბულგარეთი მწვავე პოლიტიკურ კრიზისში ეფლობა, რომელიც პროგრესული მთავრობის – აგრარიკოსთა კავშირი სტამბუსკის თავმჯდომარეობით – ჩამოყალიბებით სრულდება. ეს მთავრობა მნიშვნელოვან ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ რეფორმებს ატარებს. აგრარიკოსთა მთავრობა 1923 წელს იქნა დამხობილი სამხედრო გადატრიალების შედეგად, რომელსაც მეფემ დაუჭირა მხარი. სამოქალაქო ომის ხანმოკლე პერიოდი (1923-1925 წწ.) ერთმანეთს კომუნისტებისა და აგრარიკოსების მემარცხენეობას ფაშიზმის მხარდამჭერ მემარჯვენეობას უპირისპირებს. 1934 წელს ლიბერალიზაციის ხანმოკლე პერიოდის შემდეგ, სახელმწიფო გადატრიალება პოლიტიკური პარტიების აკრძალვასა და კონსტიტუციის გაუქმებას იწვევს. 1941 წლის მარტში ბულგარეთი მეორე მსოფლიო ომში ერთვება როგორც ნაცისტური გერმანიის მოკავშირე. 1944 წლის ახალ სახელმწიფო გადატრიალებას შედეგად კომუნისტური დომინანტობის ქვეშ მყოფი მთავრობის ჩამოყალიბება მოჰყვება, რომელიც მონარქიას აუქმებს. 1956 წლიდან რეჟიმის შედარებითი ლიბერალიზაცია იკვეთება, რომლის დასრულებაც მთავრობის მხრიდან თურქი ბულგარელების „გაბულგარულების" მცდელობით აღინიშნა. ხელისუფლებაში მოდის ამ რეჟიმის დასასრულის მომსწავებელი ფართო ოპოზიციური სპექტრი.

პოსტკომუნისტურ გარდამავალ პერიოდს სიმბოლური მომენტი ახასიათებს, რომელსაც ყველა ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებისთვის 1989 წლის ნოემბერში ბერლინის კედლის დანგრევა წარმოადგენს. ბულგარეთის შემთხვევაში, გარდამავალი პერიოდის დასაწყისი 1989 წლის 10 ნოემბერია, როდესაც სახელმწიფოს ყოფილი მეთაური და კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე ტოდორ ჟივკოვი თანამდებობიდან გადადგა. გამოჩნდა გარდამავალი პერიოდის ორი მთავარი პროტაგონისტი. ერთი მხრივ, ხელისუფლებაში მყოფი კომუნისტური პარტიის შიგნით არსებული რეფორმატორთა ელიტა, ხოლო მეორე მხრივ, ინტელექტუალურ-დისიდენტური და ადამიანის უფლებათა დამცველი მოძრაობიდან გამოსული ახალი პოლიტიკური ელიტა. „მრგვალი მაგიდით" ინსტიტუციონალიზებულმა მოლაპარაკებებმა ამ ორ ელიტას შორის (1990 წლის იანვარი-მაისი) პოსტკომუნისტური ბულგარეთის პოლიტიკური სისტემის ძირითადი საფუძვლები განსაზღვრა. უფრო ზუსტად, პოლიტიკურად ეფექტურმა თუმცა, კონსტიტუციის მიღმა არსებულმა ინსტიტუტმა „მრგვალმა მაგიდამ" თავისი გადაწყვეტილებებით გარდამავალი პერიოდის ფუნდამენტური მახასიათებლები დაადგინა: „კომუნისტური პარტიის მმართველი როლის" გაუქმება, ძველი სახელმწიფო საბჭოს შეცვლა პარლამენტით და ამ უკანასკნელის მიერ არჩეული რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტის შემოღება, არჩევნების მომზადება დამფუძნებელი ასამბლეის ასამოქმედებლად და ზედსართავი „სახალხოს" გაუქმება სახელმწიფოს ოფიციალურ სახელწოდებაში. პოლიტიკური გარდამავალი პერიოდის პირველი თვეების თავისებურება მდგომარეობს იმ ფაქტში, რომ „მრგვალი მაგიდის" გადაწყვეტილებები კონსტიტუციურ შესწორებებად და კანონებად გარდაიქმნა 1986 წელს არჩეული უკანასკნელი კომუნისტური პარლამენტის კენჭისყრის თანახმად. „მრგვალ მაგიდაში" მონაწი-

ლეობა მიიღო ოთხმოცმა პოლიტიკურმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციამ, მათ შორის კომუნისტურმა პარტიამ – რომელიც 1990 წლის აპრილში ახალ პარტიად, ბულგარეთის სოციალისტურ პარტიად (PSB) გარდაიქმნა – და 13 ორგანიზაციისგან შემდგარმა მთავარმა ოპოზიციურმა კოალიციამ (დემოკრატიული ძალების კავშირი – UFD) (Kalinova, Baeva 2003: 251-262).

1990 წლის ივნისში არჩეული იქნა დიდი ეროვნული ასამბლეა, რომელშიც ადგილების უმრავლესობა PSB-მ (ყოფილი კომუნისტური) მიიღო მიუხედავად დემოკრატიული ოპოზიციის მოლოდინებისა. თუმცა, ამ ასამბლეის კონსტიტუციური გადაწყვეტილებების შესრულება შეუძლებელი იყო ანტიკომუნისტური ოპოზიციის ხმების გარეშე, რაც თავიდანვე, კონსტიტუციურ პროცესს პოლიტიკური კომპრომისის ხასიათს ანიჭებდა. 1990 წლის აგვისტოში ასამბლეა რესპუბლიკის პრეზიდენტად UFD-ს თავმჯდომარეს, ჟელიო ჟელევს ირჩევს, ხოლო ვიცე-პრეზიდენტად PSB-ში გაერთიანებულ გენერალს, ათანას სემერდჟიევს. ეს უკვე იყო პოლიტიკური კომპრომისის სულისკვეთების აშკარა გამოხატულება პოსკომუნისტური გარდამავალი პერიოდის დასაწყისის ბულგარეთში, რასაც პირველი მთავრობის ფორმირება მოჰყვა, რომელიც PSB-სა და UFD-ს აერთიანებდა. ახალი კონსტიტუცია 1991 წლის ივლისში იქნა მიღებული 400-დან 309 დეპუტატის კენჭისყრის საფუძელზე (ყოფილი კომუნისტები და ანტიკომუნისტები) დეპუტატთა ორი მესამედის უმრავლესობით, დიდი ეროვნული ასამბლეის სტატუსით მოთხოვნილი კვალიფიციური უმრავლესობა (Kalinova, Baeva 2003 .: 274).

საპარლამენტო რესპუბლიკა ნახევრად საპრეზიდენტო რეჟიმით

ბულგარეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია საპარლამენტო რესპუბლიკას აფუძნებს (მუხ. 1), რომელშიც პოლიტიკური ძალაუფლება ხალხიდანაა წამოსული და ასამბლეაში ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლების ხელშია მოქცეული. შექმნილი პოლიტიკური რეჟიმი ხელახლა იძენს პლურალისტული დემოკრატიის მახასიათებლებს ადამიანის უფლებათა დაცვისა და ხელისუფლების დაყოფის გარანტიებით. კონსტიტუციონალისტებმა ცენტრალიზებული და მთლიანად ბულგარეთის კომუნისტური პარტიის იერარქიის გავლენის ქვეშ მყოფი ერთპარტიული კომუნისტური რეჟიმი[58] პლურალისტურ, დეცენტრალიზებულ რეჟიმად გარდაქმნეს, რომელშიც ხელისუფლება აშკარად დაყოფილი და ავტონომიურია. იმავდროულად, კომპრომისის სულისკვეთებამ, ძლიერი და მონოპოლიური ხასიათის ინსტიტუტის ჩამოყალიბების შიშმა, პოლიტიკური სისტემის კონტროლის შეუძლებლობის ნებამ რომელიმე პარტიის მხრიდან, დამფუძნებელი ასამბლეის დეპუტატები „ნახევრად საპრეზიდენტო" კონსტიტუციური რეჟიმის მიღებამდე მიიყვანა. ამ სისტემაში საპარლამენტო უმრავლესობიდან გამოსული მთავრობა დაბალანსებულია სუსტი, მაგრამ სიმბოლურად მნიშვნელოვანი პრეზიდენტით, რადგან იგი საყოველთაო პირდაპირი არჩევნებითაა არჩეული (Cf. Frison-Roche 2005).

კონსტიტუცია მმართველობის დემოკრატიულ რეჟიმს ამკვიდრებს: სუვერენიტეტი ხალხს ეკუთვნის, პოლიტიკური პლურალიზმი ფუნდამენტური პრინციპია, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებები ერთმანეთისგან გამიჯნულია, მოქალაქეები თანაბარი უფლებებით სარგებლობენ და პირადი საკუთრების დაცვა გარანტირებულია. პოლიტიკური რეჟიმი ასევე საერო სახელმწიფოს აფუძნებს, რომელშიც რელიგიური ინსტიტუტები სახელმწიფოსგანაა გამოყოფილი. სახელმწიფოს მოწყობა უნიტარულია და ავტონომიური ტერიტორიული ერთობების არსებობა არაა გათვალისწინებული. ახალი კონსტიტუციური რეჟიმის თავისებურებაა იმგვარი პოლიტიკური პარტიების შექმნის აკრძალვა, რომლებიც ეთნიკურ, რელიგიურ ან რასობრივ საფუძველზეა შექმნილი. ამ ფორმალური აკრძალვის მიზეზები, რომელსაც ზოგიერთი საერთაშორისო ორგანიზაცია ხშირად აკრიტიკებს მაგალითად, ევროსაბჭო, უახლესი ისტორიიდან მომდინარეობს, როდესაც 1980-იან წლებში კომუნისტურმა რეჟიმმა ძალის გამოყენებით ბულგარელი თურქების გვარების შეცვლა დაიწყო. აღნიშნულმა ადამიანის უფლებათა დაცვის მოძრაობების წინააღმდეგობა გამოიწვია, რასაც რეჟიმის დასრულება მოჰყვა. თურქული გვარების აღდგენას 1990 წელს ტ. ჟივკოვის შემდგომი კომუნისტური მთავრობის მიერ PSB-ს შიგნით ნაციონალისტური მოძრაობების გამოჩენა მოჰყვა, რომლებიც ზომების მიღებას მოითხოვდნენ სეპარატიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ (cf. Kalinova, Baeva 2003 : 255; Capedevielle, Rey, Todorov A. 1994; Karasimeonov 1995). ეთნიკური მრავალფეროვნების შენარჩუნება და სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური განსხვავებების შესაბამისად საზოგადოების დაშლისთვის ხელის შეშლა (თურქული უმცირესობა ბულგარეთში მცხოვრები მოსახლეობის 10% შეადგენს) – ამგვარი იყო კონსტიტუციონალისტთა მოტივები ეთნიკური პარტიების ამკრძალავი კანონის შემუშავებისას. იმავდროულად, ეს კონსტიტუციური გადაწყვეტილება პრაქტიკაში არ კრძალავდა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მოძრაობის არსებობას (MDL), თურქული უმცირესობის პარტია, რომელიც საერო პარტიაა ოფიციალური ეთნიკური მინიშნების გარეშე.[59]

---

58 კომუნისტური რეჟიმის პერიოდში კომუნისტური პარტიის გარდა (PCB) ასევე არსებობდა სხვა პარტიაც – აგრარიკოსთა სახალხო კავშირი (BZNS), რომელიც კომუნისტების ოფიციალური მოკავშირე იყო და არ ჰქონდა საკუთარი პოლიტიკური როლი.

59 MDL-მა მნიშვნელოვანი ევოლუცია განიცადა თურქულ უმცირესობაში დამკვიდრებული პარტიიდან ლიბერალურ

1991 წლის კონსტიტუციით ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ რეჟიმს ასევე გარკვეული ეკლექტიზმი ახასიათებს. პირველ ყოვლისა, ეს ხდება იმის გამო, რომ კონსტიტუციონალისტები სხვადასხვა ინსტიტუციონალურ მოდელებს მიჰყვებიან: ამერიკული, ფრანგული და გერმანული. ქვეყანას სათავეში უდგას პირდაპირი საყოველთაო არჩევნებით არჩეული პრეზიდენტი საფრანგეთის მსგავსად, მაგრამ დამატებით, ვიცე-პრეზიდენტიც აშშ-ს მსგავსად. პრემიერ-მინისტრი მინისტრებს პარლამენტის თანხმობით ამტკიცებს, მაშინ როდესაც მთავრობის მემადგენლობას „ერთიანად" არ ეყრება კენჭი და თითოეული მისი წევრი ინდივიდუალური წესითაა არჩეული. ეროვნული ასამბლეა ერთპალატიანია.

საკანონმდებლო ხელისუფლება ეროვნული ასამბლეის ხელშია, რომელიც პირდაპირ ხალხის მიერ არჩეული 240 დეპუტატისგან შედგება. არსებობს მხოლოდ ერთი პალატა, რაც ბულგარეთის ისტორიული ტრადიციიდან მომდინარეობს 1878 წლიდან. მართლაც, ეს სისტემა აძლიერებს პოლიტიკური პარტიების მნიშვნელობას პარლამენტში – ყველაფერი დამოკიდებულია საპარლამენტო უმრავლესობასა და ძლიერ პოლიტიკურ აქტორებს შორის კომპრომისზე. ასამბლეა იღებს კანონებს, ირჩევს მთავრობასა და საკონსტიტუციო მოსამართლეთა მესამედს და კენჭს უყრის კონსტიტუციაში შესწორებების შეტანას. მეორე პალატის არარსებობა სახეს უცვლის საკონსტიტუციო სასამართლოს როლს. ეს ინსტიტუტი ორგანიზებულია, როგორც გერმანული, ისე ფრანგული მოდელის მიხედვით. საკონსტიტუციო სასამართლო დამოკიდებულია პოლიტიკურ პარტიებს შორის არსებულ ძალთა ბალანსზე, განსაკუთრებით იმ შემთვევებში, თუკი არსებობს განსხვავება პრეზიდენტის პოლიტიკურ მიკუთვნებასა და სამთავრობო უმრავლესობის პოლიტიკურ არჩევანს შორის. ხშირად, ეს სასამართლო განხილვებს აწარმოებს პოლიტიკური წინააღმდეგობების გადასაჭრელად პარლამენტის შიგნით საკანონმდებლო პროცესის განმავლობაში. ამგვარად, საკონსტიტუციო სასამართლო მეორე საპარლამენტო პალატას ცვლის (Bliznashki 1995 : 29-30).

ადგილების გადანაწილება ეროვნულ ასამბლეაში
(1990-2005 წწ.)

წელი	1990 წ. ადგილები 400	%	1991 წ. ადგილები 240	%	1994 წ. ადგილები 240	%
BZNS	16	4,0	-	-	-	-
BBB	-	-	-	-	15	6,3
PSB	211	52,8	106	44,2	125	52,1
MDL	23	5,8	21	8,8	15	6,3
OPT	2	0,5	-	-	-	-
NS	-	-	-	-	18	7,5
UFD	144	36,0	100	45,8	69	28,8
სხვები	3	0,8	-	–	-	-

წელი	1997 წ. ადგილები 240	%	2001 წ. ადგილები 240	%	2005 წ. ადგილები 240	%
Ataka	-	-	-	-	21	8,8
BBB	12	5,0	-	-	-	-
BNS	-	-	-	-	13	5,4
BSP	58	24,2	48	20,0	82	34,2
BEL	14	5,8	-	-	-	-
DPS	19	7,9	51	8,8	34	
DSB	-	-	-	-	17	7,1
NDSV	-	-	120	50,0	53	22,1
SDS	137	57,1	51	21,3	20	8,3

აბრევიატურების ქართული თარგმანი იხ. ამ თავის ბოლოში.

მთავრობა ეროვნული ასამბლეის წინაშეა პასუხისმგებელი. სისტემის თავისებურება ეფუძნება იმ ფაქტს, რომ მინისტრებს არ შეუძლიათ ერთდროულად არჩევითი ფუნქციების შეთავსება ისეთის, როგორიცაა დეპუტატის, მერის ან მუნიციპალური მრჩევლის ფუნქციები. ხელისუფლების ეს აშკარა დაყოფა ძალაუფლების კონცენტრაციას უფრო მეტად ასამბლეისა და მასში შემავალი პოლიტიკური ჯგუფების შიგნით ახდენს. მინისტრები ძალზე დამოკიდებულნი არიან თავიანთი საპარლამენტო ჯგუფისგან, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ისინი

პარტიამდე, რომელიც ლიბერალური ინტერნაციონალის სრულუფლებიანი წევრი გახდა და 1977 წლიდან თავისი საარჩევნო გავლენის გაზრდას ცდილობს ეთნიკურ ბულგარელებში.

დამოუკიდებელნი არიან. ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები საპარლამენტო ჯგუფის მიერ მიიღება ამ უკანასკნელთა განხილვამდე პლენარულ სხდომაზე და მთავრობაში. პარლამენტში წარმოდგენილი პარტიების ეს აშკარა პოლიტიკური სიძლიერე ბულგარეთის პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია. ხშირ შემთხვევაში, პარტიები კლიანტელისტური „კლუბები" ხდებიან, რომლებიც სოციალური ჯგუფების კერძო ინტერესების შესაბამისად მოქმედებენ. ბულგარეთში პოლიტიკურ კლიანტელიზმში დადანაშაულება ერთ-ერთი ყველაზე ხშირი ბრალდებაა პარტიებს შორის წარმოებული დებატების დროს.

პირდაპირი საყოველთაო არჩევნებით არჩეული რესპუბლიკის პრეზიდენტი ნაციონალურ ერთიანობას განასახიერებს და მის ხელთაა ე. წ. „ნეიტრალური" ძალაუფლება, როგორც სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის ბალანსისა და თანამშრომლობის პასუხისმგებელი პირისა. პრეზიდენტს არა აქვს დიდი უფლებამოსილებები – იგი თავისი ფრანგი კოლეგისგან განსხვავებით უფრო „სუსტად" წარმოჩნდება და ბევრად სუსტად რუსეთის პრეზიდენტის ძალაუფლებასთან მიმართებაში. ჩვეულებრივი საპრეზიდენტო მოვალეობების გარდა (შეზღუდული როლი საგარეო პოლიტიკაში, ჯარების მთავარსარდალი, ელჩებისა და საკონსტიტუციო სასამართლოს მესამედის დანიშვნა, ამნისტიის უფლებამოსილება), ბულგარეთის პრეზიდენტს არა აქვს პარლამენტის დაშლის უფლება და მისი ძალაუფლება შემაჩერებელი საკანონმდებლო ვეტოს უფლებით შემოიფარგლება, რომელიც შეიძლება გადალახული იქნეს დეპუტატთა აბსოლუტური უმრავლესობის კენჭისყრის შედეგად. პრეზიდენტს არ გააჩნია საკანონმდებლო ინიციატივა, როგორც ამას ადგილი აქვს სხვა რესპუბლიკების შემთხვევაში, რომელთაც ნახევრად საპრეზიდენტო მოდელი აირჩიეს. მართლაც, პრეზიდენტს არ შეუძლია მთავრობის შეცვლა და მისი პრეროგატივების გარკვეული ნაწილი მხოლოდ პრემიერ-მინისტრის თანხმობით ხორციელდება (ელჩებისა და ჯარის გენერლების დანიშვნა). იმავდროულად, პრეზიდენტს ძალზე ძლიერი სიმბოლური როლი აქვს იმდენად, რამდენადაც იგი პირდაპირი არჩევნებითაა არჩეული და არჩევნების მეორე ტურში საპრეზიდენტო უმრავლესობას აყალიბებს, რომელიც მუდმივად არაა მობილიზებული, მაგრამ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს პარტიებს შორის არსებულ ძალთა ბალანსში. პოლიტიკურად, რესპუბლიკის პრეზიდენტს სამთავრობო უმრავლესობის გაძლიერება შეუძლია, თუკი ეს უკანასკნელი მას თავისიანად აღიარებს. მას ასევე შეუძლია თავის პარტიას საარჩევნო ელექტორატის გაზრდაში დაეხმაროს ან პირიქით, კანდიდატის მიერ არჩევნების წაგების შემთხვევაში, მისი პარტიის საარჩევნო მარცხი დააჩქაროს.[60]

რესპუბლიკის პრეზიდენტების სია 1989-2007 წლებში

	წლები	შენიშვნა
პეტრე მლადენოვი	1989-1990 წწ.	სახელმწიფო საბჭოს თავჯდომარე და რესპუბლიკის პრეზიდენტი 1990 წლის შემდეგ, კომუნისტი.
ჟელიო ჟელევი	1990-1996 წწ.	არჩეული ეროვნული ასამბლეის მიერ 1990 წელს და ხელახლა არჩეული საყოველთაო არჩევნებში 1992 წელს. UFD.
პეტრე სტოიანოვი	1996-2001 წწ.	არჩეული UFD-ს მხარდაჭერით.
გიორგი პარვანოვი	2001-2006 წწ.	არჩეული PSB-ს მხარდაჭერით
გიორგი პარვანოვი	2006 წ.-	ხელახლა არჩეული PSB-სა და MDL-ის მხარდაჭერით.

აღმასრულებელი ხელისუფლება ეროვნული ასამბლეის მიერ არჩეული მთავრობის ხელშია კონცენტრირებული. მთავრობის არჩევის პროცედურა იწყება რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ ყველაზე მრავალრიცხოვანი საპარლამენტო ჯგუფის ხელმძღვანელისთვის მანდატის მინიჭებით უმრავლესობის ჩამოსაყალიბებლად. ეროვნული ასამბლეა ირჩევს პრემიერ-მინისტრს და ამ უკანასკნელის წარდგენის საფუძველზე მინისტრებს. მთავრობა ოცამდე მინისტრისგან შემდგარი კოლეგიალური ინსტიტუციონალური ორგანოა, რომელსაც პრემიერ-მინისტრი უდგას სათავეში. იგი ნიშნავს ვიცე-პრემიერებს, რომლებიც თითოეულ სამინისტროში მინისტრის პოლიტიკურ კაბინეტს აყალიბებენ. მთავრობა პასუხისმგებლობას იღებს სახელმწიფოს შიდა და საგარეო პოლიტიკაზე. სამინისტროების გარდა, მთავრობას შეუძლია საჯარო სააგენტოების შექმნა საჯარო პოლიტიკის სხვადასხვა სფეროში, რომელთა ხელმძღვანელებს არა აქვთ მინისტრების უფლებამოსილება და მათ პრემიერ-მინისტრი ნიშნავს თანამდებობაზე .

ბულგარეთში სამინისტროების განაწილება ყოველთვის ძალზე მნიშვნელოვანია პოლიტიკური პარტიებისთვის, განსაკუთრებით, კოალიციური მთავრობის შემთხვევაში.[61] ხშირად, ხანგრძლივი და დამქანცველი მოლა-

60 როგორც ამას BSP-ს შემთხვევაში ჰქონდა ადგილი მისი თავმჯდომარის გ. პარვანოვის რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ 2001 წელს, ისევე როგორც 2001 წელს CDC-ს დაშლას ყოფილი პრეზიდენტის პ. სტოიანოვის არჩევნებში წაგების შემდეგ.

61 მართლაც, 1991 წლიდან ყველა მთავრობა კოალიციურია დომინანტური პარტიის არსებობის შემთხვევაშიც.

პრაქტიკები მონაწილეთა კონსენსუსით სრულდება სამთავრობო უმრავლესობაში მინისტრების, მინისტრების მოადგილეების, სამთავრობო სააგენტოების ხელმძღვანელებისა და რეგიონალური გუბერნატორების დანიშვნასთან დაკავშირებულ საკითხში (საქმე ეხება ცენტრალური ადმინისტრაციის 120-მდე სამთავრობო თანამდებობას). აღნიშნულს ასევე უნდა დაემატოს დიპლომატიური მისიების თანამდებობები (50-მდე) და რამდენიმე ასეული მაღალი ადმინისტრაციული თანამდებობა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მთავრობის შეცვლის დროს უმაღლეს ადმინისტრაციულ ორგანოში დაახლოებით 200 თანამდებობა პოლიტიკური მოლაპარაკებების საგანი ხდება ხელისუფლებაში მყოფ პარტიებს შორის. ამ შემთხვევაში, საქმე ეხება პოლიტიკური ხასიათის თანამდებობებს, რომლებიც სახელმწიფო ადმინისტრაციის თანამდებობების კატეგორიას არ განეკუთვნება. ამ უკანასკნელთ სპეციალური კანონი მართავს, რომელიც ყველგან კონკურსებს აწესებს ფუნქციონერთა არჩევისა და დამოუკიდებლობისთვის პოლიტიკური ნიშნით მიმხრობასთან მიმართებაში. თუმცა, პრაქტიკაში ხშირად, ძალად არჩეული მთავრობები მნიშვნელოვან ცვლილებებს საჯარო ადმინისტრაციის შიგნით ახორციელებენ ამ საკითხთან დაკავშირებული კანონმდებლობის მიღებამდე. მთავრობის ამ ტიპის პრაქტიკის აღსანიშნავად პრესის მიერ ტერმინი „ცოცხი“იქნა შემოღებული. 2001 წლიდან სახელმწიფო ადმინისტრაციის გარკვეული სტაბილურობა დამყარდა პოლიტიკურ ჩარევასთან მიმართებაში, რაც ნაწილობრივ შედარებითი პოლიტიკური უწყვეტობით აიხსნება მთავრობის შიგნით.

პრემიერ-მინისტრების სია 1989-2007 წლებში

პრემიერ-მინისტრები	წლები	შენიშვნები
გეორგი ათანასოვი	1986-1990 წწ.	კომუნისტი. გადადგა, შეცვლილი იქნა გარდამავალი მთავრობით.
ანდრეი ლუკანოვი	1990 წ.	PPC/PSB. ორი მომდევნო მთავრობა. გადადგა.
დიმიტრი პოპოვი	1990-1991 წწ.	არ იყო PSB – სა და UFD-ს მინისტრების მომხრე. თანამდებობიდან გადადგა UFD -ს არჩევნებში გამარჯვების შემდეგ.
ფილიპ დიმიტროვი	1991-1992 წწ.	UFD. გადადგა.
ლუბენ ბეროვი	1992-1994 წწ.	არც ერთი პარტიის მომხრე, მხარდაჭერილი MDL-ის. PBS -სა და UFD-ს ზოგიერთი ფრაქციის მიერ. გადადგა.
რუნეტა ინდჟოვა	1994-1995 წწ.	ad interim-ის მთავრობა.
ჰან ვიენოვი	1995-1997 წწ.	PSB. გადადგა.
სტეფან სოფიანსკი	1997 წ.	ad interim-ის მთავრობა.
ივან კოსტოვი	1997-2001 წწ.	UFD. დამარცხდა არჩევნებში.
სიმეონ დე საქს-კობურგ-გოთა	2001-2005 წწ.	MNSD და MDL. დამარცხდა არჩევნებში.
სერგეი სტანიშევი	2005 წ. -	BSP, MNSD და MDL.

ცენტრალური ხელისუფლება და ადგილობრივი ხელისუფლება

ცენტრალურმა ხელისუფლებამ ასევე ადგილობრივი ერთეულები ჩამოაყალიბა. ბულგარეთში 28 ადმინისტრაციული რეგიონი არსებობს, რომლებშიც პრემიერ-მინისტრი საჯარო პოლიტიკაზე პასუხისმგებელ გუბერნატორებს (პრეფექტები) ნიშნავს. სამინისტროებს ასევე აქვთ ადგილობრივი ინსტიტუტები, როგორიცაა შინაგან საქმეთა სამინისტროს რეგიონალური სამმართველოები, გარემოს დაცვის სამინისტროს რეგიონალური ინსპექციები, ეროვნული განათლების სამინისტროს რეგიონალური ინსპექტორატები, სოციალური დახმარების რეგიონალური ცენტრები ან შრომისა და სოციალური დახმარების სამინისტროს რეგიონალური ბიუროები და ა.შ. ამ სხვადასხვა ორგანოების ერთობლიობა სახელმწიფოს პოლიტიკას ახორციელებს რეგიონალურ დონეზე. ხშირად, ეს რეგიონალური თანამდებობები პოლიტიკური მოლაპარაკებების საგანი ხდება სამთავრობო უმრავლესობის შემადგენელ წევრებს შორის. ამგვარი ინტერესის მასშტაბურობა ამ ფუნქციების რაოდენობასთანაა დაკავშირებული. მართლაც, საქმე ეხება დელოკალიზებული ინსტანციების ხელმძღვანელთა რამდენიმე ასეულ თანამდებობას.

ბულგარეთში ადგილობრივი თვითმმართველობა მუნიციპალიტეტების დონეზეა ორგანიზებული, რომელთა რაოდენობა 267-ს შეადგენს. რესპუბლიკის პრეზიდენტს ახალი მუნიციპალური ერთეულების შექმნის უფლება აქვს და ხშირად, ადგილობრივი ლობი ახალი ერთეულის შექმნაში ერთვება (2001 წლიდან ცხრა ახალი მუნიციპალიტეტი შეიქმნა). თითოეული მუნიციპალიტეტი ყოველ ოთხ წელიწადში პირდაპირი არჩევნების

გზით ირჩევს მუნიციპალურ საბჭოსა და მერს. ბულგარეთის სისტემაში მერის უფლებამოსილებები შედარებით სუსტია, რადგან მისი ქმედებები, ბიუჯეტის მართვა და თანამდებობებზე დანიშვნები მუნიციპალური საბჭოს დამტკიცებას ექვემდებარება, რომელშიც პოლიტიკური პარტიები და ლობი ძალზე ძლიერია.

თვითთმართველობა არ არსებობს რეგიონალურ დონეზე – რეგიონები თვითმმართველობის არმქონე ადმინისტრაციული ერთეულებია. ეს მნიშვნელოვანი ცვლილებაა კომუნისტურ რეჟიმთან მიმართებაში, სადაც ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს ხშირად დიდი ავტონომია ჰქონდა და ცენტრალური ხელისუფლებისთვის საშიშადაც მიიჩნეოდა. თუმცა, ეს ავტონომია ხელისუფლებაში მყოფი კომუნისტური პარტიის ადგილობრივი ინსტანციების დომინანტური როლით იზღუდებოდა. ადგილობრივი თვითმმართველობის შუალედური დონის ნაკლებობა მთავრობასა და მუნიციპალიტეტებს შორის ბულგარეთში სპეციფიკურ სიტუაციას ქმნის, რომელშიც ისეთი დიდი ქალაქის მერებს როგორიცაა სოფია, პლოვდივი, ვარნა, რუსი და ბურგასი ცენტრალური ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე ბევრად დიდი გავლენა აქვთ ადგილობრივი განვითარების საკითხებთან მიმართებაში, ვიდრე პატარა მუნიციპალიტეტების სათავეში მდგომ თავიანთ კოლეგებს. ამ სიტუაციამ ხელი შეუწყო მუნიციპალიტეტების დისპროპორციის გაზრდას დიდსა და პატარა კომუნებს შორის განსხვავებების პროგრესიით.

ადგილობრივი თვითთმართველობის შუალედური დონის არარსებობა ასევე სხვა სპეციფიკურობას წარმოშობს – 1999 წლის ადგილობრივი არჩევნების დროიდან, განსაკუთრებით აღინიშნება ადგილობრივი ლობის გაძლიერება პოლიტიკური პარტიების მიღმა, რომელიც ადგილობრივ ინტერესთა ჯგუფებზეა დამოკიდებული და ხშირ შემთხვევაში, არაკანონიერი საქმიანობითაა დაკავებული. მართლაც, მხოლოდ რამდენიმე პარტიას აქვს საბაზისო ორგანიზაციები ყველა მუნიციპალიტეტში (სოციალისტური პარტია, UFD უკანასკნელ გაყოფამდე და აგრარიკოსები). პარტიების უმრავლესობა დიდ ან საშუალო ზომის ქალაქებშია წარმოდგენილი, ზოგიერთ პარტიას კი რეგიონალური ელექტორატი ჰყავს (მაგალითად, MDL თურქულ ერთობაში, რომელიც ორ რეგიონშია კონცენტრირებული). აღნიშნული ბევრ ადგილობრივ ლობის პოლიტიკური პარტიების შენაცვლების შესაძლებლობას აძლევს უფრო პატარა კომუნებში. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც პარტიები ამგვარ პირობებში ოპორტუნისტებივით მოქმედებენ ამ ლობის წარმომადგენლებთან გაერთიანებით, ეს უკანასკნელნი პოლიტიკასთან არანაირად არ არიან დაკავშირებულნი და ძალზე ხშირად, მხოლოდ შეზღუდულ კერძო ინტერესებს, ზოგჯერ კი მაფიოზურ ინტერესებს წარმოადგენენ. მეორე მხრივ, ადგილობრივ არჩევნებში დამოუკიდებელი კანდიდატების რაოდენობის ზრდა მერების თანამდებობებზე 1999 წლიდან ასევე ყველა პოლიტიკური პარტიის პოპულარობის დაცემის შედეგია, რომლებსაც ხშირად ბრალს სდებენ კორუფციასა და სამოქალაქო საზოგადოებასთან დიალოგის ნაკლებობაში.

პოლიტიკურ პარტიებს შორის ალიანსების ჩამოყალიბება ადგილობრივი არჩევნების დროს ასევე ამ უკანასკნელთა პოპულარობის შემცირების ერთ-ერთი მიზეზია. ხშირად, ადგილობრივი ელიტები პოლიტიკურ კოალიციებს ქმნიან, რომლებიც მიუღებლადაა მიჩნეული ნაციონალურ დონეზე, რაც უფრო მეტად ამძაფრებს პოლიტიკური ლიდერების გულწრფელობასთან დაკავშირებულ ეჭვებს.

პოლიტიკური პარტიები და არჩევნები

1991 წლის კონსტიტუციის გარდა (მე-10 და 42-ე მუხ.) არჩევნებს არეგულირებს ხალხის წარმომადგენელთა არჩევის კანონი (2001 წ., ბევრჯერ შესწორებული 2002 წელსა და 2005 წელს), რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევის კანონი (1991 წ., შესწორებები შეტანილია 1996, 1998, 2001 და 2005 წლებში) და ადგილობრივი არჩევნების კანონი (1995 წ., მრავალჯერ იქნა შესწორებული). 2002 წლიდან წარმოებს პოლიტიკური დისკუსია იმგვარი საარჩევნო კოდექსის შემუშავებაზე, რომელიც არჩევნებთან დაკავშირებული ყველა დებულების გაერთიანებას შეძლებს, მაგრამ დღეისათვის პროექტი შეჩერებულია. ბულგარეთის კონსტიტუცია საყოველთაო საარჩევნო უფლებას აფუძნებს პირდაპირი ფარული ხმის მიცემით 18 წელს მიღწეული ყველა ბულგარელი მოქალაქისთვის, რომლებიც სრულად სარგებლობენ თავიანთი პოლიტიკური უფლებებით. უცხოეთში მცხოვრებ ბულგარელ მოქალაქეებს ხმის მიცემაში მონაწილეობის უფლება აქვთ თუკი ქვეყანაში, რომელშიც ისინი ცხოვრობენ საარჩევნო უბნები არსებობს. ეს უფლება გამოიყენება საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებისთვის, მაგრამ არა მუნიციპალური არჩევნებისთვის. ბულგარეთის საარჩევნო კანონი არ აწესებს სავალდებულო ხმის მიცემას – მოქალაქეებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ხმის მიცემაში ან პირიქით, არ მიიღონ.

პრეზიდენტისა და მუნიციპალიტეტების მერების არჩევისთვის გამოყენებულია ორტურიანი მაჟორიტარული სისტემა, თუკი პირველ ტურში ვერც ერთი კანდიდატი მიცემული ხმების 50%+1 ვერ მოიპოვებს. საპრეზიდენტო არჩევნების შემთხვევაში, კანონი მოითხოვს მონაწილეობის 50%-იან მინიმალურ ბარიერს პირველ ტურში. დღეისათვის საპარალამენტო არჩევნებისთვის (1991 წლიდან) გამოყენებულია პროპორციული წარმომადგენლობის სისტემა 31 საარჩევნო ოლქში. ეს უკანასკნელები ადმინისტრაციულ რეგიონებს შეესატყვისება, რაც საარჩევნო პროცესის მართვას აიოლებს. პარტიული ნიშნით მიმხრობის სიები ბლოკირებულია. ეს სისტემა პოლიტიკურ პარტიებს დიდ უფლებებს ანიჭებს საარჩევნო სიების ჩამოყალიბებაში, რაც საზოგადოებრივ აზრ-

ში დაურწმუნებლობასა და იმის შეგრძნებას ბადებს, რომ საარჩევნო სიის სათავეში მყოფი კანდიდატების ბედი მეტ-ნაკლებად წინასწარაა გადაწყვეტილი (cf. Karasimeonov 2001; Todorov A. 2001).

2003 წლის მუნიციპალური არჩევნებიდან მოყოლებული გამოყენებულია „სრული ბიულეტენი", რომელიც სიების სახელწოდებებს მოიცავს ოლქში. ამ დრომდე, თითოეული სიისთვის "განცალკევებული ბიულეტენები" გამოიყენებოდა, ფერადი ან ფერადი ხაზებით, რაც ხშირად კონფლიქტების საგანი ხდებოდა პოლიტიკურ პარტიებს შორის, როდესაც ისინი პრეტენზიას გამოთქვამდნენ ერთი და იგივე ფერის გამოყენებასთან დაკავშირებით. 2005 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ინტეგრალური ბიულეტენი იქნა გამოყენებული. მიუხედავად ეჭვებისა, რომ ამ ტიპის ბიულეტენი გაუნათლებელი მოქალაქეების გამორიცხვას შეუწყობდა ხელს, არც ერთი საჩივარი არ იქნა დარეგისტრირებული. ამავე დროს, იმატა გაბათილებული ბიულეტენების რაოდენობამ თუმცა, უმნიშვნელოდ.

პარლამენტში ადგილების განაწილებისთვის ჰონდტის ფორმულაა გამოყენებული 4%-იანი ბარიერით არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და კოალიციებისთვის. წინა არჩევნებში ეს ბარიერი გაკრიტიკებული იქნა, რადგან ის ბევრ პარტიას გამორიცხავდა და მრავალ ხმას აბათილებდა (არარჩეული სიების შემთხვევაში, ჩაწერილია 20% 1991 წელს, 14% 1994 წელს, მაგრამ მხოლოდ 4,8% 1997 წელს). 4%-იან ბარიერს 2005 წელს 7 პოლიტიკური ჯგუფისთვის (პარტიები და კოალიციები) ხელი არ შეუშლია პარლამენტში შესასვლელად. ჰონდტის ფორმულა 1991 წლიდან გამოიყენება, მაგრამ ის ზოგჯერ საეჭვო შედეგებს იწვევს – მაგალითად, პარტიული ნიშნით მიმხრობის სიით ოლქში ხმათა 30% -ია მიღებული, თუმცა, ამავე ოლქიდან არც ერთი მანდატია მოპოვებული მანდატების მეორადი გადანაწილების გამო ნაციონალური არჩევნების შედეგებთან შესაბამისობისთვის.

მუნიციპალიტეტები საარჩევნო სიებს არჩევნების დღემდე ადგენენ მუდმივი საცხოვრებელი ადგილის საფუძველზე. ხმის მიცემა შესაძლებელია სხვა ადგილზეც არჩევნების დაწყებამდე არა ნაკლებ 10 დღით ადრე ურნის მიერ გაცემული სპეციალური დოკუმენტით. ამგვარი ტიპის პროცედურები ჩვეულებისამებრ, სტუდენტებისა და ჯარისკაცებისთვის გამოიყენება, მაგრამ 2005 წლის არჩევნების დროს ადგილი ჰქონდა თურქეთში მცხოვრები თურქული წარმოშობის ბულგარელ მოქალაქეთა მასობრივ ხმის მიცემას, რომლებიც ავტობუსებით იქნენ ჩამოყვანილნი. იმ შემთხვევაშიც, თუ ე. წ. „საარჩევნო ტურისტების" მთლიანი რაოდენობა არცთუ მნიშვნელოვანია საბოლოო შედეგზე გავლენის მოსახდენად, ეს პროცესი დაუმსახურებელი უპირატესობის მოპოვების მცდელობადაა აღქმული. ზოგიერთმა პოლიტიკურმა პარტიამ საარჩევნო კანონში შესწორების პროექტი შეიმუშავა ამ ტიპის ხმის მიცემის აკრძალვისთვის და მის მხოლოდ იმ საარჩევნო უბნებამდე შეზღუდვისთვის, რომლებიც უცხოეთში დიპლომატიური სამსახურების მიერაა ორგანიზებული.

არჩევნებში მონაწილე კანდიდატებს არჩევნებისთვის სათანადოთ დარეგისტრირებული პარტიები, კოალიციები და მხარდამჭერი კომიტეტები ირჩევენ. პოლიტიკური პარტიები ქალაქ სოფიის სასამართლოში გადიან რეგისტრაციას და დღეისათვის პოლიტიკურ პარტიებთან დაკავშირებული კანონი არანაკლებ 5 000 წევრის არსებობას მოითხოვს. მხარდაჭერის კომიტეტები ასევე ამ სასამართლოში უნდა დარეგისტრირდნენ, მაგრამ კანდიდატურის წარსადგენად მათ მხარდაჭერის 1 000 ხელმოწერა უნდა შეაგროვონ ოლქის ამომრჩევლებში.

ბულგარეთში გამოყენებული პროპორციული საარჩევნო სისტემა პოლიტიკური კომპრომისის შედეგი იყო ყოფილ კომუნისტებსა და ანტიკომუნისტებს შორის – ორი მთავარი პოლიტიკური ერთეული გარდამავალი პერიოდის დასაწყისში. 1990 წელს შერეული სისტემის პრაქტიკის გამოყენება დიდი ეროვნული ასამბლეის არჩევნებში, რომელშიც 400 დეპუტატიდან ნახევარი ოლქებში იყო არჩეული მხოლოდ უნინომინალური ორტურიანი არჩევნებით PSB-ს (ყოფილი კომუნისტები) დროებით მცდელობას წარმოადგენდა UFD-ს მეტოქეებზე მეტი ორეულის მოპოვების მიზნით, რომლის კანდიდატები იმ პერიოდში ნაკლებად ცნობადებად განიხილებოდნენ. ეს ფორმულა მალევე იქნა უარყოფილი, რადგან მისი მოსალოდნელი შედეგები ძალზე შეზღუდული იყო. იმავდროულად, ბულგარეთში ამ მაჟორიტარულმა კომპონენტმა პოსტკომუნისტური დემოკრატიული გამოცდილების დასაწყისში დიდად შეუწყო ხელი პოლიტიკურ პოლარიზაციას PSB-სა და UFD-ს შორის, რომლებიც 1999 წლამდე ერთად, მიცემული ხმების ნახევარზე მეტს აგროვებდნენ. ეს კონფრონტაცია „წითლებსა" (PSB) და „ცისფერებს" (UFD) შორის პოლიტიკურ მოწინააღმდეგესთან ყოველგვარი კომპრომისის გამორიცხვაზე იყო დაფუძნებული, მისთვის ნებისმიერი ლეგიტიმურობის აღიარებაზე უარის თქმაზეც კი (Todorov 2004).

1990 წლიდან 2001 წლამდე შეუძლებელი იყო მთავრობის არსებობა გარდამავალი პერიოდის ამ ორიდან ერთ-ერთი მთავარი პროტაგონისტის გარეშე. ბულგარეთის პოლიტიკური ისტორია პოსკომუნისტური პერიოდის პირველ ათწლეულებში ამ ორი აქტორის ჰეგემონიით იყო აღნიშნული. PSB-ს საარჩევნო წარმატებას 1990 წლის ივნისში UFD-ს მინიმალური საარჩევნო წარმატება მოჰყვა 1991 წლის ოქტომბერში. ერთი წლის მოგვიანებით, ახალი უმრავლესობის კრიზისმა, რომელიც UFD-ს მთავრობისთვის MDL-ის პოლიტიკური მხარდაჭერის გაუქმებას მოჰყვა, 1992 წლის დეკემბერში „დიდი კოალიციის" ტიპის მთავრობის ჩამოყალიბება გამოიწვია PSB-ს დახმარებით. 1994 წელს, ხანმოკლე ოპოზიციური პერიოდის შემდეგ, PSB დეკემბრის არჩევნებში ხელისუფლებაში დიდი გამარჯვებით დაბრუნდა. ეს გამარჯვება ჯდებოდა „ძველი კომუნისტების ხელისუფლებაში დაბრუნების" კონტექსტში ცენტრალურ ევროპაში პოლონეთის, უნგრეთისა და ლიტვის მსგავსად. 1997 წლის

აპრილში ვადამდელ არჩევნებში გამარჯვების შემდეგ UFD-მ პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის დაწყება გამოაცხადა, რომელიც მძიმე ფინანსურ და პოლიტიკურ კრიზისს მოჰყვა და PSB-ს ხელისუფლებაში ყოფნა დაასრულა.

2001 წლის საპარლამენტო არჩევნები ჭეშმარიტად გარდამტეხი მომენტი იყო პოლიტიკურ ცხოვრებაში – ახალი პოლიტიკური პარტია, რომელსაც ყოფილი მეფე, სიმეონ საქსენ-კობურგ გოთა უდგას სათავეში (MNSII) ხმების უმრავლესობას იღებს და ოპოზიციაში გადაყავს გარდამავალი პერიოდის ორი მთავარი პოლიტიკური პროტაგონისტი. ეს მომენტი დებატების ჰეგემონიის დასრულებას აღნიშნავს ყოფილ კომუნისტებსა და ანტიკომუნისტებს შორის. რამდენიმე თვის შემდეგ სოციალისტური პარტიის თავმჯდომარე გ. პარვანოვი საპრეზიდენტო არჩევნებში იმარჯვებს. ეს ასევე იყო უპრეცენდენტო შემთხვევა, რადგან 1992 წლისა და 1996 წლის არჩევნებში ყოველთვის UFD-ს კანდიდატები იმარჯვებდნენ. აღნიშნულს მოჰყვა პოლიტიკური თანაარსებობა პრემიერ-მინისტრ, სიმეონ საქსენ-კობურგ გოთასთან. მიუხედავად იმისა, რომ ორივეს განსხვავებული პოლიტიკური წარმომავლობა ჰქონდა, საპირისპიროც კი, ამ სიტუაციამ ბულგარეთში პოლიტიკურ შერიგებას მისცა დასაბამი, რომელმაც დემოკრატიული პროცესის სტაბილიზება მოახდინა. ყოფილი მეფის მოძრაობამ თავისი უმრავლესობა ჩამოაყალიბა უფლებებისა და თავისუფლებებისთვის მოძრაობასა და თურქული უმცირესობის პარტიასთან (MDL), რაც ასევე უპრეცენდენტო იყო. 1900 წლიდან MDL მნიშვნელოვან როლს ასრულებდა პოლიტიკურ პროცესში და ყოველთვის სარგებლობდა „პოლიტიკური ბალანსის" სიტუაციით: მასზე იყო დამოკიდებული საპარლამენტო უმრავლესობა 1991-1992 წლებში. თუმცა, ეს პარტია არასდროს იყო მიღებული სამთავრობო კოალიციის ოფიციალურ წევრად, რადგან სხვა პარტიებს ელექტორატის დაკარგვისა ეშინოდათ ეთნიკურ ბულგარელებში. იმავდროულად, MDL საერო პარტიად რჩებოდა.

2005 წლის არჩევნებმა კიდევ ერთხელ შეცვალა ძალთა ბალანსი. მიუხედავად PSB-თვის პრიორიტეტის მინიჭებისა, არჩევნებმა უმრავლესობა ვერ გამოავლინა. პირველად ბულგარეთის პოსტკომუნისტურ უახლეს ისტორიაში შვიდი პოლიტიკური პარტია და კოალიციები პარლამენტში (ამ არჩევნებამდე არსებობდა 3-დან 5-მდე პოლიტიკური პარტია) შევიდნენ : PSB, MNSD (ნაციონალური მოძრაობა სიმეონ II), MDL, ბულგარეთის ნაციონალური კავშირი (UNB, მომდინარეობდა კოალიციიდან UFD-ს ფრაქციას, აგრარიკოსთა კავშირსა და VMRO-ს – ზომიერ ნაციონალისტურ პარტიას შორის), UFD და დემოკრატები ძლიერი ბულგარეთისთვის (DBF – UDF-ის ყოფილი თავმჯდომარისა და 2001 წლამდე პრემიერ-მინისტრის, ი. კოსტოვის პარტია), ისევე როგორც „ატაკა", უკიდურესი მემარჯვენე ულტრანაციონალისტური პარტია. პოლიტიკური სივრცის ამ დანაწევრებაში მხოლოდ ერთი კოალიციის არსებობა იყო შესაძლებელი, რომელიც ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგად იქნა ჩამოყალიბებული PSB-ს, MDL-სა და MNSD-ს შორის. ამგვარად, ყოფილი მეფე სამთავრობო კოალიციაში აღმოჩნდა ყოფილ კომუნისტებთან, MDL ასევე პირველად აღმოჩნდა კოალიციაში PSB-თან, რაც შეიძლება აღქმული იქნეს პოლიტიკური შერიგებისა და უმნიშვნელოვანესი ცვლილების ნიშნად. 2006 წლის საპრეზიდენტო არჩევნებმა ასევე სიახლე შემოიტანა – გ. პარვანოვის ხელახალი არჩევა MDL-ის მასობრივი მხარდაჭერით, ულტრანაციონალისტური პარტიის „ატაკას" თავმჯდომარის მეორე ადგილზე გასვლა და მემარჯვენეთა დაშლა. ეს სიტუაცია ბულგარეთში ახალი პოლიტიკური ციკლის დაწყებას აღნიშნავს.

საპარლამენტო არჩევნები (1990-2006წწ.)

წელი	1990 წ.	%	1991 წ.	%	1994 წ.	%
სიაში შეტანილები	6,990,372	-	6,790,006	-	6,997,954	-
ამომრჩევლები	6,333,334	90,6	5,669,570	83,5	5,264,610	75,2
ცარიელი და გაბათილებული ბიულეტენები	208,833	3,3	128,727	2,3	62,545	1,2
გამოხატული არჩევანი	6, 124, 502	100,0	5,540,843	100,0	5,202,065	100,0
BBB	-	-	73,379	1,3	245,951	4,7
BNRP	3,827	0,1	-	-	-	-
BZNS-NP	-	-	190,446	3,4	-	-
BZNS	491,597	8,0	214,031	3,9	-	-
PSB	2,887,766	47,2	1,836,050	33,1	2,258,212	43,4
DAR	-	-		-	196,995	3,8

წელი	1990 წ.	%	1991 წ.	%	1994 წ.	%
MDL	368,929	6,0	418,341	7,6	282,711	5,4
DPT	36,668	0,6	-	-	-	-
UFD	2,217,798	36,2	1,903,569	34,4	1,254,465	24,1
UFD: ლიბერალები	-	-	155,903	2,8	-	-
UFD: ცენტრისტები	-	-	177,295	3,2	-	-
NS	-	-	-	-	338,427	6,5
სხვები	117,916	1,9	571,829	10,3	625,304	12,0

წელი	1997წ.	%	2001 წ.	%	2005 წ.	%
სიაში შეტანილები	6,895,764	-	6,916,151	-	6,778,080	-
ამომრჩევლები	4,291,264	62,2	4,608,128	66,6	3,747,823	55,3
ცარიელი და გაბათილებული ბიულეტენები	35,963	0,8	39,937	0,9	99,631	2,7
გამობატული არჩევანი	4,255,301	100,0	4,568,191	100,0	3,648,192	100,0
Abaka	-	-	-	-	296,848	8,1
BNS (SSD,BZNS-NS, VMRO)	-	-	-	-	189,268	5,2
PSB	939,308	22,1	783,372	17,1	1,129.196	31,0
BBB	209,796	4,9	17,341	0,4	-	-
Georg.-VMRO	-	-	165,981	3,6	-	-
MDL	323,429	7,6	340,396	7,5	467,400	12,8
DSB					234,788	6,4
BEL (BSD)	234,058	5,5	44,975	1,0	47,298	1,3
MNSD	-	-	1,952,513	42,7	725,314	19,9
NV					107,758	3,0
UFD	2,223,714	52,3	830,338	18,2	280,323	7,7
სხვები	324,996	7,6	433,276	9,5	169,999	4,7

საპრეზიდენტო არჩევნები (1992-2006 წწ.)

1992 წ.	I ტური	%	II ტური	%
სიაში შეტანილები	6 817,914	-	6 859,318	-
ამომრჩევლები	5 140,449	75,4	5 204,231	75,9
ცარიელი და გაბათილებული ბიულეტენები	49,270	1,0	22,387	0,4
გამობატული არჩევანი	5 091,179	99,0	5 181,844	99,6
ეთნიო ჟელევი (UFD)	2 261,913	44,4	2 726,766	52,6
ველკო ვალკანოვი (PSB)	1 546,843	30,4	2 438,294	47,1
გეორგი განჩევი (BBB)	853,044	16,8	-	-
სხვები	411,969	8,1	-	-

1996 წ.	I ტური	%	II ტური	%
სიაში შეტანილები	6,837.737	-	6,834,538	-
ამომრჩევლები	4,317,161	63,1	4,215,145	61,7
ცარიელი და გაბათილებული ბიულეტენები	28,662	0,7	25,412	0,6
გამოხატული არჩევანი	4,288,499	99,3	4,189,733	99,4
პეტრე სტოიანოვი (UFD)	1,889,825	44,1	2,502,517	59,7
ივან მარაზოვი (PSB)	1,158,204	27,0	1,687,242	40,3
გეორგი განჩევი (BBB)	937,686	21,9	-	-
ალექსანდრე ტომოვი (BEL)	135,517	3,2	-	-
სხვები	302,785	7,1	-	-

2001 წ.	I ტური	%	II ტური	%
სიაში შეტანილები	6,847,422	-	6,889,638	-
ამომრჩევლები	2,850,297	41,6	3,784,036	54,9
ცარიელი და გაბათილებული ბიულეტენები	12,596	0,4	8,917	0,2
გამოხატული არჩევანი	2,837,701	99,6	3,775,119	99,8
გეორგი პარვანოვი (PSB)	1,031,587	36,4	2,039,261	54,0
პეტრე სტოიანოვი (UFD)	990,998	34,9	1,719,929	45,6
ბოგომილ ბონევი (დამოუკიდ.)	547,005	19,3	-	-
რენეტა ინდჟოვა (დამოუკიდ.)	139,556	4,9	-	-
გეორგი განჩევი (BBB)	95,759	3,4	-	-
სხვები	31,560	1,1	-	-

2006 წ.	I ტური	%	II ტური	%
სიაში შეტანილები	6,450,920	-	6,445,260	-
ამომრჩევლები	2,856,731	44,3	2,757,441	42,8
ცარიელი და გაბათილებული ბიულეტენები	77,350	2,7	57,566	0,2
გამოხატული არჩევანი	2,779,381	97,3	2,699,875	97,9
გეორგი პარვანოვი (PSB)	1,780,119	64,0	2,050,488	75,9
ვოლენ სიდეროვი (Ataka)	597,175	21,5	649,387	24,1
ნედელჩო ბერონოვი (UFD და DSB)	271,078	9,8	-	-
გეორგი მარკოვი	75,478	2,7	-	-
სხვები	55,531	2,0	-	-

შენიშვნა: პარტიების სახელწოდებები ქართულად იხ. ამ თავის ბოლოში.

ხელისუფლებათა ბალანსი: კონსტიტუციური კონტროლი და პირდაპირი დემოკრატია

ხელისუფლებათა ბალანსი მნიშვნელოვან კონსტიტუციონალურ პრინციპად წარმოჩნდება 1991 წლის კონსტიტუციასთან დაკავშირებულ დებატში. კონსტიტუციონალისტთა ნებას ხელისუფლებაზე მონოპოლიისა და ცენტრალიზაციის არმქონე სისტემის შექმნა წარმოადგენდა, რომელიც პოლიტიკურ აქტორს ხელისუფლების ყველა ბერკეტის დაუფლების შესაძლებლობას მისცემდა. ეს ნება აშკარად ჯდებოდა კომუნისტური პარტიის მონოპოლიის დასრულების პერსპექტივაში კომუნისტურ კონსტიტუციონალურ რეჟიმში, რომელიც არ ცნობდა ხელისუფლების დაყოფასა და ბალანსს და „დემოკრატიულ ცენტრალიზმს" ეფუძნებოდა, სადაც პარტიის ინსტანციები სახელმწიფო ინსტიტუტებს ყველა დონეზე აკონტროლებდნენ იერარქიული დაქვემდებარების ლოგიკაში.

კონსტიტუციონალისტები ხელისუფლებათა ბალანსს განიხილავდნენ, როგორც სამი მთავარი ინსტიტუტის ავტონომიასა და დაყოფას: პარლამენტი, მთავრობა და სასამართლო. მიუხედავად პოსკომუნისტური ბულგარეთის „პარლამენტო რესპუბლიკად" გამოცხადებისა, კონსტიტუცია ცდილობს არ მიანიჭოს ეროვნულ ასამბლეას ზედმეტად ძალაუფლება და ამისთვის საზღვრებს ადგენს. განუსაზღვრელი ძალაუფლების ასამბლეად ქცეული საფრანგეთის რევოლუციის კონვენტის მაგალითი ხშირად იყო გამოყენებული დიდი ეროვნული ასამბლეის შიგნით წარმოებულ დებატში 1990-1991 წლებში. საქმე ეხებოდა ერთპალატიანი ასამბლეის შეზღუდვას რთული კონსტიტუციური დებულებით: საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განხორციელებული კონსტიტუციურობის კონტროლითა და რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილებით (განსაკუთრებით, შეჩერებული ვეტოსა და რეფერენდუმის ინიციირების უფლება). თუმცა, ამ ზომებს შეზღუდული ეფექტი ჰქონდა ასამბლეის უფლებამოსილებებზე.

საკონსტიტუციო სასამართლო 12 წევრისგან შედგება, რომლის ერთ მესამედს პარლამენტი ირჩევს, ერთ მესამედს რესპუბლიკის პრეზიდენტი, ერთ მესამედს კი კასაციის უზენაესი სასამართლოსა და უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოს მოსამართლეთა ასამბლეები. ამ სასამართლოს წევრების არა განახლებადი მანდატი 9 წლით შემოიფარგლება, რაც პარლამენტარის მანდატზე (4 წელი) და რესპუბლიკის პრეზიდენტის მანდატზე (5 წელი) უფრო ხანგრძლივია. ყოველ სამ წელიწადში ხდება თითოეული კვოტით დადგენილი მანდატის განახლება საკონსტიტუციო სასამრთლოს შიგნით. აღნიშნული სასამართლოს შემადგენლობა ყოველთვის იყო ნამდვილი პოლიტიკური შეჯიბრის ობიექტი. 1991 წელს თავისი შექმნის დღიდან, მიუხედავად იმისა, რომ ამ სასამართლოს წევრებს არ უნდა გამოეხატათ თავიანთი პოლიტიკური სიმპათია და პოლიტიკურ პარტიაში გაწევრიანება არ შეეძლოთ, UFD-ს იქ ყოველთვის ჰქონდა პოლიტიკური უპირატესობა. 1990 წლიდან 2001 წლამდე რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობა ამ პარტიას ეკუთვნოდა. ჰყავდა რა პარლამენტო უმრავლესობა 1991-1992 წლებში აღნიშნულმა პარტიამ შეძლო თავისი მოსამართლეების დანიშვნა საკონსტიტუციო სასამართლოში. მსგავს მიზეზთა გამო UFD-ს ძლიერი გავლენა ჰქონდა ორი უზენაეს სასამართლოზე (კასაციისა და ადმინისტრაციული) 1991-1992 წლებში. 1994, 1997, 2000 და 2004 წლების შემადგენლობის განახლებას მნიშვნელოვანი ცვლილება არ მოუტანია პოლიტიკურ ძალთა ბალანსში საკონსტიტუციო სასამართლოს შიგნით, რომელიც ხშირ შემთხვევაში, საზოგადოებრივი აზრის მიერ აღქმული იყო წარმომადგენლობით კორპუსად და არა უდავო ავტორიტეტის მქონე პროფესიულ იურიდიულ კოლეგიად. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნა ყოველთვის იყო პოლიტიკური პოლემიკისა და პოლაპარაკებების საგანი პარტიებს შორის. ამგვარმა სიტუაციამ აღნიშნული სასამართლოს პოლიტიკურ გაბედნებას შეუწყო ხელი, რომელიც ხშირად ატარებდა სხდომებს უთანხმოების გადასაწყვეტად პოლიტიკური ელიტის შიგნით.

საკონსტიტუციო სასამართლოს შეიძლება მიმართონ ეროვნული ასამბლეის დეპუტატებმა (58 დეპუტატი), რესპუბლიკის პრეზიდენტმა, გენერალურმა პროკურორმა და ორივე უზენაესმა სასამართლომ. მოქალაქეებს არა აქვთ ამ სასამართლოსადმი მიმართვის უფლება ინდივიდუალური წესით. ძირითადად, სასამართლო იკრიბება ეროვნული ასამბლეის შიგნით არსებული დავების გამო ან რესპუბლიკის პრეზიდენტსა და სამთავრობო უმრავლესობას შორის უთანხმოებების შემთხვევაში.

ამ პოლიტიკური არბიტრაჟის პრაქტიკით, საკონსტიტუციო სასამართლომ თანდათანობით გარკვეულ ავტონომიასა და დამოუკიდებლობას მიაღწია პოლიტიკურ პარტიებთან მიმართებაში და უფრო სოლიდარული გახდა იურიდიული წესრიგის კორპორაციის მოსამართლეებთან. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საკონსტიტუციო სასამართლო ძირითადად, კონსტიტუციაში სასამართლო სისტემის სტატუსთან დაკავშირებული შესწორებების შესატანად იკრიბებოდა. ხშირ შემთხვევაში, ეს სასამართლო მოსამართლეთა ინტერესების დასაცავად გამოდიოდა, ძირითადად, როდესაც საქმე ამ უკანასკნელთა ავტონომიის შეზღუდვას ეხებოდა (cf. Karasimeonov 2001).

ბულგარეთის კონსტიტუციონალური სისტემის ერთ-ერთი თავისებურებაა სასამართლო უწყების ძალზე ფართო ავტონომია, რომელშიც მოსამართლეებისა და პროკურორების დანიშვნები, სამსახურში დაწინაურებები და სანქციები ექსკლუზიურად მართლმსაჯულების უზენაესი საბჭოს (სასამართლო უწყების უმაღლესი საბჭო)

ხელშია. ეს საბჭო 25 წევრისგანაა შემდგარი, რომელთაგან 11 წევრი ეროვნული ასამბლეის მიერაა არჩეული, დანარჩენი 11 წევრი კი, ორი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებისა და ორი უმაღლესი პროკურატურის პროკურორების მიერ. უზენაესი საბჭო ძალზე ავტონომიური გახდა და პრაქტიკულად, ის ყოველგვარი ინსტიტუციონალური კონტროლის მიღმა დარჩა. ამგვარ ავტონომიას შედეგად მოჰყვა მრავალი უთანხმოება იუსტიციის სამინისტროსა და უზენაეს საბჭოს შორის კორუფციაში ეჭვმიტანილი მოსამართლეების მიმართ სანქციების გამოყენებასთან მიმართებაში. კონსტიტუციით დადგენილია მოსამართლეთა ხელშეუხებლობის პრინციპი. მართლმსაჯულების უზენაესი საბჭო ერთადერთი ორგანოა, რომელსაც მოსამართლეთა იმუნიტეტის მოხსნის უფლება აქვს სასამართლო გამოძიების ჩასატარებლად კრიმინალურ ქმედებაში ეჭვმიტანილთა მიმართ, რაც მძიმე სამართალდარღვის ზოგიერთ შემთხვევაში, გარკვეული მოსამართლეებისა და პროკურორების მხრიდან მართლმსაჯულებისთვის ძალზე სერიოზული დაბრკოლება ხდებოდა. ამის შედეგად, საზოგადოებრივი აზრი ძალზე კრიტიკული გახდა მთლიანად მართლმსაჯულების მიმართ.

სასამართლო სისტემის შიგნით თანდათანობით კორპორატიული სოლიდარობის სულისკვეთების დამკვიდრებამ, ისევე როგორც ამ სისტემის ხელმძღვანელთა ერთი უმაღლესი თანამდებობიდან მეორეზე გადასვლის პრაქტიკამ შვიდწლიანი მანდატის ამოწურვის შემდეგ, უმაღლესი მოსამართლეების გარკვეული მუდმივობა გამოიწვია სასამართლო სისტემის ხელმძღვანელობის დონეზე. აღნიშნულმა სერიოზულად დააბრკოლა ბულგარეთის სასამართლო რეფორმები ევროკავშირში გასაწევრიანებლად. ამავე დროს, უკანასკნელ წლებში, ხშირ შემთხვევაში, სასამართლო სისტემაში რეფორმების ჩატარების იმპულსები ევროკომისიიდან მომდინარეობდა.

რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილებები ასევე ეროვნული ასამბლეისა და საპარლამენტო უმრავლესობის ძალაუფლების შეზღუდვად იქნა აღქმული. პრეზიდენტის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლების გარდა საპარლამენტო უმრავლესობასთან უთანხმოებების შემთხვევაში, რესპუბლიკის პრეზიდენტი ხშირად იყენებს შემაჩერებელ ვეტოს. უმრავლეს შემთხვევაში, ეს ვეტო მხოლოდ აყოვნებს კანონის მიღებას, მაგრამ ამგვარი ინიციატივა ხშირად მნიშვნელოვან საჯარო დებატს იწვევს. საპრეზიდენტო ვეტო გამოიყენება, როგორც უმრავლესობაზე ზეწოლის მოხდენის, ისე პრეზიდენტის პოლიტიკური ავტონომიისა და იდენტობის დემონსტრირებისთვის.

კონსტიტუციაში ჩაწერილი რეფერენდუმის ჩატარების შესაძლებლობა არასდროს გამოყენებულა პოსტკომუნისტურ გარდამავალ პერიოდში. მართლაც, რეფერენდუმებთან დაკავშირებული კანონის თანახმად, საქმე ეხება სავალდებულო რეფერენდუმებს იმ საკითხებზე, რომლებიც პარლამენტის კომპეტენციიდან მომდინარეობს. იმავდროულად, არაა დაშვებული რეფერენდუმის ჩატარება დიდი ეროვნული ასამბლეის (დამფუძნებელი ასამბლეა) კომპეტენციის საკითხებზე, ისევე როგორც საკონსტიტუციო სასამართლოსა და იუსტიციის სასამართლოს პრეროგატივებთან დაკავშირებით. ეს დებულება ასევე კრძალავს რეფერენდუმის ჩატარებას საკონსტიტუციო შესწორებაზე. რეფერენდუმის ჩატარების გადაწყვეტილებას ეროვნული ასამბლეა იღებს. რეფერენდუმი შეიძლება ინიცირებული იქნეს რესპუბლიკის პრეზიდენტის, მთავრობის ან პარლამენტის წევრთა მეოთხედის მიერ (60 დეპუტატი). რეფერენდუმი ვალიდურად ითვლება თუკი მასში სიაში შეტანილ ამომრჩეველთა არანაკლებ 50% მონაწილეობს. უმრავლესობის არარსებობის შემთხვევაში, არ შეიძლება იმავე საკითხზე სხვა რეფერენდუმის ჩატარება სამი წლის განმავლობაში.

თუმცა, მთელი პოსტკომუნისტური პერიოდის მანძილზე არც ერთი რეფერენდუმი არ ჩატარებულა მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივ აზრში არსებობდა მისი ჩატარების სურვილი. რეფერენდუმების ჩატარებას ასევე ზოგიერთი პარტიები მოითხოვდნენ ბულგარეთის ნატოსა (2004 წ.) და ევროკავშირში (2007 წ.) გაწევრიანების საკითხთან დაკავშირებით. სიმეონ საქსენ-კობურგ-გოთას მთავრობას არ სურდა სარეფერენდუმო პროცედურის ჩატარება ნატოში გაწევრიანების საკითხზე, რადგან ამასთან დაკავშირებით არსებობდა ფართო პოლიტიკური კონსენსუსი პოლიტიკურ კლასსა და საზოგადოებრივ აზრში. რაც შეეხება ევროკავშირში შესვლას, მთავრობა ეჭვს გამოთქვამდა ნაციონალური საარჩევნო კალენდარის გამო: 2005 წელს ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები, 2006 წელს კი საპრეზიდენტო არჩევნები.

რეფერენდუმების მიღმა, ბულგარეთში ასევე არსებობს ხელისუფლების დაბალანსების პოლიტიკური ინსტიტუტი – დიდი ეროვნული ასამბლეა (GAN). კონსტიტუციონალისტები მასში ხედავდნენ უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციონალური პრობლემების გადაჭრისთვის მოწოდებულ ასამბლეას, როგორიცაა სახელმწიფოს მოწყობა და სტრუქტურა, პოლიტიკური რეჟიმი, ქვეყნის ტერიტორია და სხვ. დასაწყისში, 1878 წლის ტარნოვოს კონსტიტუციით შთაგონებული აღნიშნული ინსტიტუტი მონარქიის დაბრუნების წინააღმდეგ მიმართულ საყრდენად განიხილებოდა. მართლაც, პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის დასაწყისში ამგვარი ალტერნატივა ხშირად ფიგურირებდა პოლიტიკურ დებატში. დიდი ეროვნული ასამბლეა 400 დეპუტატისგან შედგება, რომლებიც არჩეულნი არიან პარლამენტში დეპუტატთა არჩევის ანალოგიური წესის თანახმად. ეს ასამბლეა დათხოვნილი უნდა იქნეს თავისი სამუშაოს დასრულების შემდეგ, რომელიც იმ საკითხით შემოიფარგლება, რისთვისაც ის იქნა მოწვეული. მაგრამ კონსტიტუცია დიდ ეროვნულ ასამბლეას გადაუდებელ შემთხვევებში, ჩვეულებრივი ეროვნული ასამბლეის მსგავსად მუშაობის შესაძლებლობას აძლევს. ეს დებულება დიდ ეროვნული

ასამბლეას ძალზე მნიშვნელოვან ძალაუფლებას ანიჭებს და არც ერთ სხვა ინსტიტუტს მისი შეზღუდვა არ შეუძლია, რადგან ის დამფუძნებელი ძალაუფლებაა. მას კონსტიტუციის მოდიფიკაციის უფლება აქვს და პრაქტიკაში, არავის შეუძლია მისთვის იმ საკითხის განხილვაში ხელის შეშლა, რომელიც წინასწარ არ იყო დასმული მისი არჩევის დროს.

დიდი ასამბლეის მოწვევის ჰიპოთეზა დასმული იქნა მართლმსაჯულების ინსტიტუციონალური რეფორმის საკითხთან წარმოებულ დებატებში 2001-2005 წლებში ბულგარეთის ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. იურიდიული პროცედურები ნელი ტემპით მიმდინარეობდა, საკონსტიტუციო შესწორებების პირველი პროექტის საფუძველს უფრო ეფექტური მართმსაჯულების სისტემის შექმნის მოთხოვნები წარმოადგენდა, რომელიც მას უფრო გამჭვირვალეს, ეფექტურსა და ნაკლებად კორუმპირებულს გახდიდა. აღნიშნული შეეხო კონსტიტუციურ პრინციპს ეხებოდა, ზოგიერთი დიდი ეროვნული ასამბლეის კომპეტენციიდან მომდინარეობდა სახელდობრ, სამართლებრივი განათლების (ავტონომიური კონსტიტუციის თანახმად) გადატანა შინაგან საქმეთა სამინისტროში. საკონსტიტუციო სასამართლო ეროვნული ასამბლეის მიერ ამ საკითხის გადაწყვეტის წინააღმდეგ გამოვიდა, რომელსაც ასევე შეუძლია კონსტიტუციაში შეტანილ შესწორებებს უყაროს კენჭი, ხელისუფლების მოწყობასთან დაკავშირებული შესწორებების გარდა. სამართლებრივი განათლების გადატანის საკითხი დიდი ეროვნული ასამბლეის კომპეტენციიდან მომდინარედ გამოცხადდა. თუმცა, პოლიტიკური პარტიები დიდ თავშეკავებას იჩენენ ამ ასამბლეის მოწვევასთან დაკავშირებით, რადგან ის პრაქტიკულად არაკონტროლირებადი და ყოვლისშემძლეა. ამიტომაც, კონსტიტუციონალურ დებატში, რომელიც თან ახლდა ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებს, ზოგიერთი იურისტი GAN-ის, როგორც ინსტიტუტის გაუქმების წინადადებით შემოვიდა. ბუნებრივია, ამგვარი გადაწყვეტილება ჰიპოთეზური დარჩა: მხოლოდ GAN-ს შეეძლო ამ გადაწყვეტილებაზე კენჭისყრის ჩატარება. მემარჯვენე ოპოზიციური პარტიები (განსაკუთრებით DSB) GAN-ის მოწვევის ყველაზე აქტიური მომხრეები იყვნენ. მართლაც, უკვე დროული იყო ვადამდელი არჩევნების დანიშვნა, რომელსაც სავარაუდოდ 2001 წელს ხელისუფლებაში მოსული MNSD-ის უმრავლესობის არსებობის დასრულება შეეძლო მემარჯვენეთა დამამცირებელი საარჩევნო მარცხის შემდეგ.

შეიძლება ითქვას, რომ 1990 წლიდან პოლიტიკური დებატების, კომპრომისებისა და წინააღმდეგობების პროცესში ჩამოყალიბებული ბულგარეთის პოლიტიკური სისტემა დღეისათვის სტაბილურია. მისი მნიშვნელოვანი პოლიტიკური სტრუქტურები კითხვის ქვეშ არ დამდგარა პოლიტიკური აქტორების მიერ. ბულგარეთში პოლიტიკის ორგანიზების საფუძვლების საკითხთან დაკავშირებული ფუნდამენტური კონსენსუსი განმარტავს ახლახან პოპულისტური პოლიტიკური აქტორების გამოჩენას, რომლებიც საზოგადოების დაურწმუნებლობაზე თამაშობენ პოლიტიკური კლასის სხვადასხვა პარტიებს შორის ამ შეთანხმების მიმართ. ეს უკანასკნელი „ხალხის საზიანოდ ელიტების შეთქმულებადაა“ აღქმული. ბულგარეთში პოპულიზმი პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთი გამოწვევა ხდება, ისევე როგორც მოქალაქეთა ჩაურთველობა, რითაც უკანასკნელ წლებში პოლიტიკური პროცესია აღნიშნული (cf. Todorov 2006).

შემოკლებები

BBB	ბულგარეთის ბიზნეს ბლოკი, რომელსაც გეორგი განჩევი უდგას სათავეში
BEL	ბალგარსკა ევროლევისტა (ბულგარეთის ევრომემარცხენე პარტია). 1997 წლამდე პარტია GOR-ის სახელწოდებას ატარებდა (გრაჟდანსკო ობედინენიე ზა რეპუბლიკატა-სამოქალაქო ალიანსი რესპუბლიკისთვის), DAR (დემოკრატიშნა ალტერნატივა ზა რეპუბლიკატა – დემოკრატიული ალტერნატივა რესპუბლიკისთვის) 1994-1995 წლებში, 2001 წლის შემდეგ კი BSD-ს სახელწოდებას ატარებს (ბალგარსკა სოციალდემოკრატცია – ბულგარეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია)
BNS	ბალგარსკი ნაროდენ საიუზ (ბულგარეთის სახალხო კავშირი). 2005 წელს ესაა კოალიცია SSD-ს, BZNS-NS -სა და VMRO-ს შორის.
PSB	1990 წელს კომუნისტური პარტიიდან გამოსული ბულგარეთის სოციალისტური პარტია.
BZNS	ბალგარსკი ზემედელსკი ნაროდენ საიუზ (ბულგარეთის სახალხო აგრარული კავშირი).
BZNS-NP	BZNS-ნიკოლა პეტკოვი (ბულგარეთის სახალხო აგრარული კავშირი – ნიკოლა პეტკოვი), ანტიკომუნისტური აგრარული პარტია.
BZNS-NS	BZNS-ნაროდენ საიუზ (ბულგარეთის სახალხო აგრარული კავშირი – სახალხო კავშირი), BZNS-სა და BZNS-NP-ს ხელახალი გაერთიანების შედეგი.

DP	დემოკრატიჩესკა პარტია (დემოკრატიული პარტია), მონაწილეობს იღებდა UFD -ში 1990 წლიდან 1994 წლამდე.
MDL	მოძრაობა უფლებებისა და თავისუფლებებისთვის. 1989 წლიდან წარმოადგენს თურქულ უმცირესობას ბულგარეთში.
DSB	დემოკრატი ზა სილნა ბალგარია (დემოკრატები ძლიერი ბულგარეთისთვის) მათ SDS დატოვეს 2003 წელს.
Gerg	გერგიოვდენ (წმ. გიორგი), პატარა ლიბერალური პარტია.
MNSD	ნაციონალური მოძრაობა სიმეონ II
NV	ნოვოტო ვრემე (ახალი დროება).
OPT	ოტეჩესტვენა პარტია ნა ტრუდა (შრომის პატრიოტული პარტია), PSB -ს მოკავშირე 1990-1991 წლებში, ნაციონალისტური და MDL-ის მოწინააღმდეგე.
UFD	დემოკრატიულ ძალთა გაერთიანება, ანტიკომუნისტური კოალიცია, 1998 წელს პარტიად გადაკეთდა.
UFD-ლიბერალები	UFD – ლიბერალები. 1991 წლის განხეთქილების შემდეგ, როდესაც მწვანეებმა და ლიბერალებმა UFD-ს კოალიცია დატოვეს.
UFD-ცენტრისტები	UFD-ცენტრისტები. 1991 წლის განხეთქილების შემდეგ, როდესაც სოციალ-დემოკრატებმა და აგრარიკოსებმა UFD-ს კოალიცია დატოვეს.
SSD	საიუზ ნა სვობოდნიტე დემოკრატი (თავისუფალ დემოკრატთა კავშირი). მათ UFD 2003 წელს დატოვეს.
VMRO	ვატრეშნა მაკედონსკა რევოლუციონა ორგანიზაცია (მაკედონიური რევოლუციური შიდა ორგანიზაცია). ბულგარული ნაციონალიზმის ზომიერი პარტია, რომელიც სათავეს XX საუკუნის დასაწყისიდან იღებს.

ბიბლიოგრაფია

CAPEDEVIELLE J., REY H., TODOROV A, (1994) „La Bulgarie: la difficile émergence d'un système partisan pluraliste", in *Cahiers internationaux de sociologie,* Automne 1994.

DE WAELE J.-M, (2002) Partis politiques et démocratie en Europe centrale et orientale, Éditions de l'Université libre de Bruxelles.

FRISON-ROCHE, Fr, (2005) Le *„modèle semi-présidentiel" comme instrument de la transition en Europe post-communiste,* Bruylant, Bruxelles.

GUEORGIEVA P. (sous la réd. de) (2001 „La Bulgarie et l'intégration européenne", Transition, Vol XLII – 2001 no. 1.

KARASIMEONOV, G. (1995), „Bulgaria's new party system", In: G. Pridham & P.G. Lewis eds., *Stabilizing fragile democracies,* London: Routledge.

KARASIMEONOV, G. (1996), „The legislature in post-communist Bulgaria", in: D. Olson & P. Norton eds., *The new parliaments of Central and Eastern Europe,* London: Frank Cass pp. 29-59.

KARASIMEONOV, G. (1998), „Bulgaria", In The Handbook of Political Change in Eastern Europe, Ed. S. Berglund a. o., Cheltenham, Elgar.

KARASIMEONOV, G. dir. (1993) *The 1990 elections to the Bulgarian Grand National Assembly and the 1991 elections to the Bulgarian national Assembly. Analyses.* Documents and Data. Sigma.

KOLAROVA, R., DIMITROV, D. (1995), „Tourtable talka in Bulgaria", in: J. Elster (ed.), *The tourtable talks and breakdown of communism. Chicago:* The University of Chicago Press, pp. 178-213.

TODOROV A. (1999) *The Role of the Parties in Accession to European Union.* Sofia, Center for the Study of Democraty.

TODOROV A. (2001) Bulgarie. In: Perrineau P., Reynier D. (sous la dir.) *Dictionnaire du vote,* Paris.

TODOROV A. (2004) „Un clivage centré sur le passé communiste", In: De Waele J.-M. (édité par) *Les clivages politiques en Europe centrale et orientale.* Éditions de l'université de Bruxelles, pp. 257-269.

TODOROV A. (2006) „Les élections législatives bulgares de 2005". La Nouvelle Alternative, vol. 21, № 68.

თავი IV

გაერთიანებული სამეფო

დევიდ ს. ბელი

ტრადიციულად, გაერთიანებული სამეფოს ისტორია წარმომადგენლობითი დემოკრატიის სტაბილური დასავლური სისტემის დამკვიდრების ხანგრძლივ, მაგრამ უწყვეტ პროცესად აღიქმება უფრო დიდი თავისუფლების მოპოვებისკენ მიმართული ინსტიტუტებით. მართლაც, სამი საუკუნის განმავლობაში, უთანხმოების ძირითადი ობიექტი რეჟიმის მონაწილეთა ხასიათს და არა თავად რეჟიმს ეხებოდა. არსებობს ამ ზოგადი წარმოდგენის მნიშვნელოვანი გამონაკლისები (კერძოდ, ირლანდიის პოზიცია და იაკობიტების ამბოხებები) თუმცა, სხვა ქვეყნების უმრავლესობისგან განსხვავებით, 1688 წლის „დიადი რევოლუციის" დროიდან, ამ სახელმწიფოს ინსტიტუტები ლეგიტიმურად განიხილებოდა და მზარდი მხარდაჭერა ჰქონდათ რეჟიმის საფუძვლების გაფართოებასთან ერთად, რაც საბოლოოდ, საყოველთაო საარჩევნო უფლების შემოღებით დასრულდა.

„დიადი რევოლუციის" შეხსენება ბრიტანეთის პოლიტიკური სისტემის სხვა უმნიშვნელოვანესი ასპექტის განხილვის შესაძლებლობას იძლევა. 1688 წელს დადგენილი იქნა აღმასრულებელი ხელისუფლების შეზღუდული უფლებამოსილებები, უფლებათა დეკლარაცია – „Bill of rights" (ბილი უფლებებზე) – (რომელზე დაყრდნობითაც ამერიკელმა რევოლუციონერებმა საკუთარი უფლებათა დეკლარაცია შექმეს) და 1701 წლის „Act of Settlement" (აქტი ტახტის მემკვიდრეობითობის შესახებ), რომელმაც პარლამენტის უზენაესობის პრინციპი დაამკვიდრა სამართალში. პარლამენტის სუვერენიტეტი ნიშნავდა, რომ იმ ეპოქის მონარქიას და არსებულ აღმასრულებელ ხელისუფლებას პარლამენტის ლეგიტიმაცია უნდა ჰქონოდა. აღნიშნულ პერიოდში კონსტიტუციური მონარქია დამკვიდრდა, მაგრამ მონარქის უფლებამოსილებები თანდათანობით იზღუდებოდა. დაახლოებით საუკუნენახევრის განმავლობაში (ვიქტორიანული ეპოქიდან მოყოლებული) სახელმწიფოს მეთაურს სუსტი პოლიტიკური გავლენა ჰქონდა (თუმცა, ეს ძალაუფლება არაა უგულებელსაყოფი, რადგან პრინც ჩარლზის მხრიდან პრინაალმდეგობის გაწევა მუდმივად დელიკატურ მომენტს წარმოადგენდა).[62]

დასავლეთ ევროპის ქვეყნების ნაწილის მსგავსად, მონარქი მეფობს როგორც სიმბოლური ფიგურა და არ მართავს. თანამედროვე ეპოქაში, მონარქის უფლებებია „ხელშეწყობა, რჩევის მიცემა და გაფრთხილება." გაერთიანებულ სამეფოში ეს „უფლებები" არაა დაწერილი და ისინი გადამეტებულიცაა (სავარაუდოდ, 1931 წელს ნაციონალური მთავრობის შექმნის დროიდან), სამეფო ოჯახის წევრების მხრიდან წინააღმდეგობის გაწევა პოლიტიკურ პროცესში უმნიშვნელო, მაგრამ მუდმივი ფაქტორია. ამავე დროს, დაახლოებით სამი საუკუნეა, რაც მონარქი პარლამენტის წინაშეა პასუხისმგებელი.

XVIII საუკუნეში ახალი მახასიათებელი ჩნდება: ორპარტიულობის მომხრე სისტემა. ეს შეჯიბრი პოლიტიკური სისტემის ძირითად დინამიკას წარმოადგენს და *grosso modo* სამი საუკუნის განმავლობაში პოლიტიკური სისტემის ცენტრში იმყოფებოდა. პარტიული ნიშნით მიმხრობის სისტემის პირველი მახასიათებლების დამკვიდრების შემდეგ და ორ პარტიას შორის მონაცვლეობის მიღებით, „სამეფო ოპოზიციის" იდეა განვითარდა. ეს უკანასკნელი აპტერის აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური აღმოჩენაა, რომელმაც რეჟიმის შიგნით შეჯიბრის შესაძლებლობა შექმნა მიუხედავად ინსტიტუტების ევოლუციისა და ადაპტაციისა მათ თანამედროვე ფორმამდე.

მრავალი თვალსაზრისით, გაერთიანებულ სამეფოს გაუმართლა: გარე გამოწვევებმა (ნაპოლეონის ომები) საზოგადოების კონსოლიდაცია მოახდინა. პოლიტიკურ ელიტას, არისტოკრატიულს XX საუკუნემდე, ადეკვატურ დათმობებზე დროულად წასვლის უნარი შესწევდა შესაძლებელი ამბოხებების თავიდან ასაცილებლად (ძალადობა, რომელიც ინდუსტრიალიზაციის შედეგად სამოქალაქო საზოგადოებას ახასიათებდა). ნაადრევ ინდუსტრიალიზაციას ბუნებრივია არსებითი უპირატესობა ჰქონდა მრავალ დონეზე, მაგრამ სოციალური ცვლილებები საკმაოდ ნელი ტემპით მიმდინარეობდა ინსტიტუტებისთვის ადაპტაციის შესაძლებლობის მისაცემად, ხოლო პოლიტიკური ელიტისთვის მათ სამართავად. გარდა ამისა, გაერთიანებული სამეფო ორი საუკუნის მანძილზე ერთ-ერთი ძლიერი პოლიტიკური, ინდუსტრიული და სამხედრო დომინანტური სახელმწიფო იყო მსოფლიოში. თითქმის მთელი XIX საუკუნის განმავლობაში პაროქსიზმამდე მისული შიდა დაძაბულობის არსებობით, გაერთიანებული სამეფო დომინანტური ძლიერი სახელმწიფო იყო მიუხედავად იმისა, რომ არასოდროს ყოფილა საკმარისად ძლიერი საერთაშორისო სისტემისთვის საკუთარი თამაშის წესების თავს მოსახვევად.

მართებული იქნება რამდენიმე სიტყვით შევეხოთ ირლანდიას, რომელიც გამონაკლისს წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოზე გაკეთებულ მრავალ ანალიზთან მიმართებაში. „ჯონ ბულის (რიგითი ინგლისელი) მეორე კუნძული" არასდროს ყოფილა პროტესტანტული კონსენსუსის ნაწილი, რომელიც ინგლისურ იდენტობას განსაზღვრავს *დიადი რევოლუციის* შემდგომ წლებში. ჩრდილოეთის რეგიონების გარდა, ირლანდია კათოლიკუ-

62 *Guardian* 23 février, 2006.

რი რჩებოდა, რომელიც ძირითადად, აგრარული ეკონომიკით ხასიათდებოდა. ის დიდწილად, არ იყო ინტეგრირებული ბრიტანეთის პოლიტიკურ სისტემაში და ჩვეულებრივი ხალხის პრობლემებისგან ძალზე შორს მდგომი პროტესტანტული ელიტით იყო წარმოდგენილი.

ამავე დროს, „ირლანდიური საკითხი" არ განიხილებოდა ჩრდილოეთ შოტლანდიის იაკობიტურ პრობლემაზე უფრო მწვავე საკითხად XIX საუკუნემდე.

შოტლანდიაში პრობლემა გადაიჭრა დისიდენტი მოსახლეობის სისტემატური დეპორტაციით კოლონიებში, რამაც ორმოცდაათწლიანი პერიოდი მოიცვა 1745 წლის „იაკობიტური აჯანყების" შემდეგ. ირლანდიაში პრობლემა ბევრად მწვავედ იდგა (გზა გარდაუვალი დამოუკიდებლობისკენ), რაც საშინელი ინდეფერენტულობისა და არაკომპეტენტურობის შედეგი იყო XIX საუკუნის შუა წლებში კარტოფილის ცუდი მოსავლით გამოწვეული შიმშილის პირისპირ. ვერ იქნა გამონახული ვერანაირი გამოსავალი ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის არსებული პრობლემების გადასაწყვეტად და 1922 წელს ოცდაექვსი რეგიონი გაერთიანებულ სამეფოს გამოეყო. აღნიშნულს ძალზე ერთგვაროვანი კათოლიკური სამხრეთის ჩამოყალიბება მოჰყვა თუმცა, ჩრდილოეთის პრობლემა სადაც „ლოიალურად განწყობილი" პროტესტანტული უმრავლესობა კათოლიკურ „ნაციონალისტურ" უმცირესობაზე დომინირებდა, გადაუჭრელი დარჩა.

მიუხედავად ძალადობის შემთხვევებისა, დიდი ბრიტანეთი ოლსტერის პრობლემას უგულებელყოფდა იმ დრომდე, ვიდრე 1964-1970-იანი წლების ლეიბორისტულმა მთავრობებმა იქ სამოქალაქო უფლებების ცხოვრებაში გატარება არ დაიწყეს. თუმცა, აღნიშნულს პროტესტანტთა რეაქცია და ოლსტერის უმცირესობის მძაფრი წინააღმდეგობა მოჰყვა. დაიწყო ამბოხებები, რომელთა დროსაც გაერთიანებული სამეფოს უსაფრთხოების ძალები IRA-ს დაუპირისპირდნენ. მდგომარეობა ჩიხში შევიდა და პრობლემა გადაუჭრელი დარჩა.

1998 წელს ე. წ. „წმინდა პარასკევის შეთანხმების" თანახმად, შეიქმნა ასამბლეა და აღმასრულებელი ხელისუფლება, რომელიც ძალაუფლებას ინაწილებდა განათლების, ჯანდაცვის, სოციალური სამსახურის, სოფლის მეურნეობისა და განვითარების კომპეტენციებში. ამავე დროს, ოლსტერის მოსახლეობამ უფრო ზომიერი პარტიების მხარდაჭერის ნაცვლად, ევოლუცია შინ ფეინისა და DUP-ის (დემოკრატიული უნიონისტური პარტია) ექსტრემისტული პარტიების მიმართულებით განიცადა და ამ პროცეში კომპრომისებისადმი მეტად განწყობილი SDLP (ნაციონალისტური სოლისკვეთების სოციალ-დემოკრატიული და ლეიბორისტული პარტია) და უნიონისტები დაასუსტა. ოლსტერის პროტესტანტებმა ბევრჯერ გადააყენეს თავიანთი ლიდერები, როდესაც მდგომარეობა ძალზე იძაბებოდა. დღემდე, „ლოიალურად განწყობილთა" უარმა მცირე წინსვლის შესაძლებლობის მიცემაზე, ყოველგვარი გამოსავალი დაბლოკა. „ლოიალურად განწყობილი" აქტივისტები ადგილობრივ ხელისუფლებას ნულოვან თამაშად განიხილავენ, რომელშიც „ნაციონალისტებისთვის" ნებისმიერი დათმობა საეჭვოდაა მიჩნეული. დღეისათვის შეიძლება ითქვას, რომ ექსპერიმენტმა არ გაამართლა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გრძელდება სექტანტური პოლიტიკა, მიუხედავად ძალადობების შემცირებისა და პროვინციის ეკონომიკური აყვავებისა.

პოლიტიკური პარტიების დინამიკა

შეჯიბრი ორპარტიულობის ფარგლებში ბრიტანეთის პოლიტიკური სისტემის ძირითადი ელემენტია. ამ დინამიკამ ვესტმინსტერის პარლამენტი ჩამოაყალიბა *დიადი რევოლუციის* დროიდან. ფაქტობრივად, ესაა შეჯიბრი ერთი მხრივ, მთავრობებსა და მის მომხრეებსა და მეორე მხრივ, ოპოზიციას შორის, რომელიც უმრავლესობის სისუსტეების გამოყენებას ცდილობს. თავდაპირველად, შეჯიბრი „ვიგებსა" და „ტორებს" შორის არსებობდა. თუკი „ვიგები" გაუჩინარდნენ, კონსერვატიული პარტია „ტორების" პირდაპირი შთამომავალია. 1920-იან წლებში ლეიბორისტული პარტიის „ტორების" ალტერნატივად გამოჩენამ (და ლიბერალების გავლენის შემცირებამ), ორპარტიული სისტემა დაამკვიდრა. გაერთიანებულ სამეფოში ერთტურიანმა, უნიონომილარულმა მაჟორიტარულმა არჩევნება ორპარტიულობის დომინანტობა გაზარდა, რაც ვესტმინსტერში ძალზე ბიპოლარული სისტემის შენარჩუნებაში გამოიხატა მიუხედავად ხმის მიცემის უფრო კომპლექსური გადანაწილებისა. მართლაც, თუკი უფრო მეტად ხმის მიცემის რაოდენობას დავეყრდნობით, ვიდრე მოპოვებული ადგილებისას, პარლამენტში არსებული პარტიების ასეთი ტიპური ორპარტიულობის ბიპოლარულობა ნაკლებად აშკარა წარმოჩნდება (შესაძლებელია ის მხოლოდ ომის შემდგომ წლებში არსებობდა) მრავალი პატარა პარტიის არსებობით ადგილობრივ დონეზე.

1920-იანი წლების გამონაკლისის გარდა, ყოველთვის იყო შეჯიბრი ორ პარტიას შორის, იმ მნიშვნელობით, რომ პოტენციურად, მთავრობაში მომსვლელი მხოლოდ ორი პარტია არსებობდა, კონსერვატორები და ლიბერალური ან ლეიბორისტული ოპოზიცია.

აღნიშნულის შედეგად, სისტემა ორპარტიული სისტემის ლოგიკას ემორჩილება. ეს პარტიები, დაუნსის ცნობილ საარჩევნო შეჯიბრში, ხმის მიცემის საშუალო მაჩვენებელზე თანხმდებიან და ამ უკანასკნელის მხარდაჭერის მისაპოვებლად მეტოქეობენ. ამ პარტიებს შეუძლიათ მიღწეულად ჩათვალონ ამომრჩეველთა საკუთარი ბირთვის მხარდაჭერა, რომელთაც სხვა პარტიები არ ჰყავთ ხმის მისაცემად. ამგვარი ცენტრიდანული

მახასიათებელი ბრიტანეთის პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთი აღიარებული ნიშანია. ამავე დროს, ზოგჯერ ეს ასე არ ხდება, რაც ამ შემთხვევაში, გზას უხსნის მესამე პარტიებს. 1980-იან წლებში ორმა მთავარმა პარტიამ ევოლუცია პოლიტიკური სპექტრის უკიდურესობისკენ განიცადა, კონსერვატორებმა მარგარეტ ტეტჩერის პრე-პრემიერ-მინისტრობის პერიოდში და ლეიბორისტებმა „ხოტბაშესხმული" უკიდურესი მემარცხენეობის იმპულსური ბუნებით. აღნიშნულმა ლიბერალებს (და პატარა პარტიებს) ცენტრში გახსნილი სივრცის წარმატებით გამოყენების საშუალება მისცა. ამავე დროს, მიუხედავად იმისა, რომ ლიბერალებმა და ლეიბორისტებმა ხმების თითქმის თანაბარი რაოდენობა მიიღეს 1988 წლის არჩევნებში, ორი სხვა პარტიის თვითგანადგურება არ მომხდარა და ორპარტიული სისტემა ხელუხლებელი დარჩა – იმავდროულად, პატარა პარტიების არსებობასთან ერთად, რომლებიც უწინდელზე ბევრად მნიშვნელოვნად წარმოჩნდნენ.

წინათ პარტიები წევრების საწევროებსა და აქტიურობას ეყრდნობოდნენ, მაგრამ ეს შემცირდა (როგორც ახლა). ფონდების შეგროვებამ და რეკლამის პროფესიონალმა აგენტებმა პარტიების ადგილობრივი განყოფილებების არაპროფესიული ძალისხმევა შეანაცვლეს, ხოლო კარდაკარ სიარულის კამპანიები სატელეფონო კამპანიებმა შეცვალა. ეს ევოლუცია ნაწილობრივ, თანამედროვე კამპანიების ღირებულების და ასევე პარტიის ხელმძღვანელთა მხრიდან აქტივისტებისგან განთავისუფლების მცდელობის შედეგია. ლეიბურისტულმა პარტიამ აღნიშნული შედეგი საკუთარ თავზე იწვნია 1980-იან წლებში. რაც შეეხება კონსერვატორებს, მათ ადგილობრივი განყოფილებებისგან განთავისუფლება დაიწყეს, რომლებიც მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდნენ საარჩევნო პროცესში პარტიის შიგნით. თუმცა, კერძო დაფინანსებასა და ფონდების შემკრებებზე დამოკიდებულებას ფინანსური სკანდალების სერია მოჰყვა, რომელშიც პოლიტიკური დაფინანსების მთელი სისტემის დისკრედიტაციის მომხდენი პარტიები აღმოჩნდნენ ჩართულნი (სერიოზულად იქნა განხილული სახელმწიფო დაფინანსება). კორუფცია, რომელსაც კონსერვატორებს მიაწერდნენ ჯონ მეიჯორის პრემიერ-მინისტრობის წლებში დღეისათვის, ორივე პარტიის მიმართ წაყენებული ბრალდებაა.

ამავე დროს, წევრები თავიანთ როლს ასრულებენ ხელმძღვანელების არჩევაში ყველა მთავარ პარტიაში. ლეიბორისტულ პარტიაში, ლიდერის ამომრჩევი საარჩევნო კოლეგია შედგება პროფკავშირების წევრებისგან (33%), ერთი ხმის მქონე წევრებისგან და საპარლამენტო ჯგუფისგან (33%). ესაა კომპლექსური მექანიზმი და თავმჯდომარის გადაყენება რთული საქმეა. მაგრამ საპარლამენტო ჯგუფს ამ სისტემაში საკუთარი არჩევანის თავს მოხვევა შეეძლო. კონსერვატული პარტიის წევრები თავიანთ ლიდერს ხმას აძლევენ პარტიის დეპუტატთა მიერ მომზადებული მოკლე სიით. 2001 წელს აღნიშნულს მოჰყვა წევრების მიერ სასურველი კანდიდატის, დუნკან სმიტის არჩევა, რომელიც როგორც ეტლი იტყოდა, არ იყო სავსებით „up to the job" ("საქმეში ჩახედული"). კონსერვატორებმა, მიუხედავად საერთო ხედვისა, რომლის თანახმად „ლოიალობა მათი საიდუმლო იარაღია," მრავალი თავმჯდომარე გადააყენეს თანამდებობიდან, როდესაც ამ უკანასკნელთა ეფექტურობა ეცემოდა (მეჩერლენი, იდენი, ჰიტი, ტეტჩერი). თავისი არჩევიდან ცოტა ხნის შემდეგ, დუნკან სმიტი თანამდებობიდან იქნა გადაყენებული ე. წ. საპარლამენტო გადატრიალებით მაიკლ ჰოვარდის მიერ, მაგრამ ლიდერობის მექანიზმის ცვლის ავლის აცილებით და შიდა უთანხმოების გამოწვევის გარეშე. ლიბერალური პარტიის წევრები თავიანთ თავმჯდომარეს AV-ის მარტივი სისტემით ირჩევენ.

მრავალი კრიტიკა გაისმა ერთტურიანი, უნინომინალური მაჟორიტარული არჩევნების ფორმის წინააღმდეგ, რომელშიც ელექტორატი ყველაზე მეტი ხმის მიმღები კანდიდატითაა წარმოდგენილი. ამ სისტემით მოსარგებლე ლეიბორისტულ და კონსერვატიულ პარტიებს დიდი ნება არ გამოუხატავთ იმ სისტემის შესაცვლელად, რომელიც მათ უხვად აჯილდოებს (მიუხედავად იმისა, რომ ლეიბორისტებს ეჭვები გაუჩნდათ, როდესაც საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ უმრავლესობის მოპოვებასთან დაკავშირებით). ძირითადი წინააღმდეგობები უფრო მეტად ლიბერალებისა და პატარა პარტიებიდან მომდინარეობდა. ამ სისტემის სასარგებლოდ გამოხატული არგუმენტი ეყრდნობა დაახლოებითი „კუბის კანონს," რადგან ადგილების გადანაწილება ახლოსაა ხმების რაოდენობის კუბთან. ის ასევე ქმნის სამთავრობო უმრავლესობებს, რადგან ამგვარ სისტემაში, ძალზე იშვიათია პარლამენტი უმრავლესობის გარეშე და შენარჩუნებულია პარლამენტარების მჭიდრო კავშირები ელექტორატთან. ამავე დროს, ლიბერალების მცირე წარმომადგენლობამ პარლამენტში მიუხედავად მათ მიერ მიღებული მნიშვნელოვანი შედეგებისა ელექტორატში სისტემისადმი ნდობა შეარყია და ხმის მიცემის სხვა ფორმების ძიებას მისცა ბიძგი (კერძოდ, STV). აღსანიშნავია, რომ ძირითადი მიზეზი, რომლის გამოც ლიბერალები ვერ ახერხებენ საგულისხმო რაოდენობით პარლამენტში შესვლას მდგომარეობს გეოგრაფიულად გაფანტულ ხმის მიცემაში. იმ შემთხვევაში, თუ პარტიისთვის ხმის მიცემა კონცენტრირებულია (ლეიბორისტებისა და ოლსტერის პარტიების შემთხვევა) შედეგი დადებითია ადგილების მოპოვების მხრივ.

პარლამენტი

ვესტმინსტერის პარლამენტი ბრიტანული სისტემის ცენტრში იმყოფება. ის შედგება თემთა პალატისა და ზედა ანუ ლორდთა პალატისგან. იურიდიული დოქტრინის თანახმად, პარლამენტი „სუვერენულია," მაგრამ რეალობაში, მისი ავტორიტეტი შემცირებულია პარტიული ნიშნით მიმხრობის დისციპლინით, ტექნიკური ზომებით

– ე. წ. „გილიოტინის" პროცედურა -, სიტყვით გამოსვლის დროის შეზღუდვითა და დელეგირებული კანონმდებლობით (ფუნქციონერებისთვის კანონთა დეტალების დაზუსტების შესაძლებლობის მიცემა). ახლახან, ჰენრი VIII-ს დროისთვის შესაფერისი კანონპროექტით მთავრობას მინისტრების მეშვეობით მნიშვნელოვანი კანონებისთვის კენჭისყრის უფლების მოპოვება სურდა უმნიშვნელო თემებზე (პოლიციის ძალაუფლება, მოსამართლეების დანიშვნა, ეროვნება და სხვ.) პარლამენტის გვერდის ავლით.[63] ამ შემთხვევაში, პრესა ინფორმირებული იქნა და მან დიდი აღშფოთება გამოთქვა. თუმცა, გამორიცხული არაა, რომ მომავალში, განსაკუთრებით კი, დაძაბულ პოლტიკურ კლიმატში, ამავე ტიპის კანონპროექტი იქნეს შემოტანილი და კენჭისყარი.

პარლამენტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს პოლიტიკურ ცხოვრებაში, რადგან ის ნაციონალური პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზია, როგორსაც ვერ შეხვდებით დასავლეთის სხვა სახელმწიფოებში. ეს ნაწილობრივ მომდინარეობს იმ სიმარტივიდან, რომლითაც მის წევრებსა და ოპოზიციას დებატების გამართვა შეუძლიათ. კითხვების დასმის დროის გარდა (რომელიც ძალზე თეატრალიზებულია), არსებობს წარმოდგენის გამართვის სხვა შემთხვევებიც. პარლამენტის სესიის დასაწყისში დედოფალი სიტყვით გამოდის, რომელიც მთავრობის მიერაა დაწერილი და საკანონმდებლო პროგრამას წარმოადგენს. შემდეგ, ამ პროგრამის გარშემო ხუთდღიანი დებატები იმართება. მთავრობის დებატების გარდა, არსებობს „ოპოზიციის დღეებად" კვალიფიცირებული ოცდღიანი დებატები, რომელთა განმავლობაში განსახილველი თემები ოპოზიციური პარტიების მიერაა შერჩეული (ოფიციალური ოპოზიცია 17 დღეს იღებს დებატებისთვის). არსებობს აგრეთვე ე. წ. ოთხშაბათი დილის დებატები, რომელთა მსვლელობისას განიხილება საპარლამენტო კომისიების ანგარიშები, ისევე როგორც გადაუდებელი საკითხები (როდესაც პალატის თავჯდომარე საკითხს სასწრაფოდ განსახილველად მიიჩნევს). ხშირად ტარდება პარასკევი დილის დებატებიც, რომლებიც პარლამენტის წევრების ინდივიდუალურად წამოყენებულ წინადადებებს ეძღვნება. ასევე არსებობს აზრის დემონსტრირების სხვა შემთხვევებიც, როგორიცაა „early day motions", ყოველდღიური წინადადებები, რომლებიც შეიძლება არასდროს იქნეს განხილული, მაგრამ შეხედულებების სიმძაფრეს გვიჩვენებს გარკვეულ პრობლემატიკაზე და ამგვარად, გავლენის მოხდენა შეუძლია.

ამავე დროს, პარლამენტი პასიური არაა. ესაა პოლიტიკური ბრძოლების არენა და კარიერის გაკეთების შესაძლებლობა პოლიტიკოსებისთვის. თუმცა, პარლამენტის მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების გაკონტროლების ძალაუფლება უმნიშვნელოა. დეპუტატები არჩეულნი არიან საკუთარი პარტიის მხარდასაჭერად და ისინი ძირითადად, ამით არიან დაკავებულნი. ყველაზე ერთგული დეპუტატები პარტიის ბიუროს კომპენსაციას იღებენ. ნაკლებად ერთგულმა დეპუტატებმა შეიძლება არასდროს მიიღონ პრივილეგიები, მაგრამ მნიშვნელოვანი ფიგურები გახდნენ, რომლებიც ექსპერტებისა ან შფოთის შემომტანთა როლს ასრულებენ. ყველაფერ ამაში, თემთა პალატის თავჯდომარე, მიუხედავად უმრავლესობის პარტიისადმი მიკუთვნებისა, ზოგადად, ნეიტრალური ფიგურაა, რომელსაც დაკისრებული აქვს საჭიროების შემთხვევაში, პარლამენტისა და დეპუტატების უფლებების დაცვა აღმასრულებელი ხელისუფლების პირისპირ.

პარტიის კენჭისყრის დისციპლინას „whips"-ები უზრუნველყოფენ, რომელთაც საპარლამენტო ჯგუფის განწყობის შესწავლა აქვთ დავალებული. თუმცა, მიუხედავად მათი რეპუტაციისა, ფაქტობრივად ისინი კენჭისყრისთვის მხარდაჭერის მოპოვებით არიან დაკავებულნი, ვიდრე დეპუტატების იძულებით (ერთ დღეს, „whips"-ების ხელმძღვანელმა ავადმყოფი და უპასუხისმგებლო დეპუტატები მოიყვანა პარლამენტში). ამავე დროს, პარტიული დისციპლინა პარტიის ინტერესებში შედის, რადგან შიდა უთანხმოებებმა შეიძლება მთავრობა დააკნინოს – ასეთი გახლდათ მეიჯორის მთავრობის ხვედრი 1992-1997 წლებში.

რადგან დეპუტატები ზრუნავენ ხელახალ არჩევაზე, საკუთარ მომავალსა და მთავრობის მომავალზე (ან თავიანთ ოპოზიციაზე), ისინი საკუთარ ბანაკს იცავენ. ამგვარად, ვესტმინსტერის კომისიების სისტემა უმრავლესობის პარტიის მიერაა დომინირებული (სხვაგვარად რომ ვთქვათ, მთავრობით) და იშვიათი გამონაკლისების გარდა, პარტიულ დისციპლინას ექვემდებარება. მაგალითად, ლორდთა პალატაში ადგილი აქვს ინდივიდუალური წინადადებების წამოყენებას, მაგრამ კანონმდებლობის უდიდესი ნაწილი მთავრობის პროექტებისგანაა შემდგარი. გარდა ამისა, ინდივიდუალური წინადადებების არსებობის შემთხვევაში, საჭიროა ამ უკანასკნელთა განხილვისთვის დროის გამონახვა და თუკი მთავრობა ამ წინადადებებს არ მოიწონებს, ის მათ უარყოფს. მთავრობამ პარლამენტი უნდა დაარწმუნოს და მისი დეპუტატების მხარდაჭერა იქონიოს, რასაც ხშირად დაუმორჩილებლობა და მთავრობის უკანდახევა მოჰყვება (ეს ძალზე ხშირად ხდება კანონმდებლობის წარდგენამდე).

1960-იანი წლების რეფორმებიდან დაწყებული, განსაკუთრებით კი 1979 წლიდან, საპარლამენტო კომისიებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს. არსებობს თორმეტი კომისია, რომელიც დიდ დეპარტამენტებს აკონტროლებს. ამ კომისიებს ჰყავთ საკუთარი პერსონალი, შეუძლიათ ანალიზის შეკვეთა და განსახილველი საკითხის შერჩევა. ესაა პატარა კომიტეტები და რაკი ისინი უმრავლესობით არიან დომინირებულნი მათი თავჯდომარეობაც იცვლება. მთავრობას არ შეუძლია ამ კომიტეტების დაშლა. აღნიშნული კომიტეტების თავჯდომარეები მაღალი დონის პოლიტიკოსები არიან, რომლებმაც ხშირ შემთხვევაში, ცნობადობა საკუთარი საქმიანობით მოიპოვეს და საწინააღმდეგოდ მოქმედებაც შეუძლიათ, მაშინაც კი, როდესაც მთავრობის „whips"-ბი

63 *Observer* 5 mars, 2006.

ზოგჯერ გადაწყვეტილების მიღების ხელის შეშლას ცდილობენ. ამ თავმჯდომარეებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს კომიტეტების მუშაობაში და თავიანთი ანგარიშებით მთავრობა საგონებელში ჩაუგდიათ (ეს ანგარიშები ზოგჯერ გამანადგურებელიც კი ყოფილა მთავრობისთვის) იმ შემთხვევაშიც, როდესაც მთავრობას მათი იგნორირება შეეძლო.

ორპარტიული სისტემა ასევე ვესტმინსტერის პარლამენტზე აისახება, რომელშიც თემთა პალატა მთავრობასა და ოპოზიციის ბანაკებადაა გაყოფილი, მესამე პარტიები კი არაკონფორმტულად გრძნობენ თავს ოპოზიციის ბანაკში. მთავრობის მინისტრები მზადყოფნაში არიან თავიანთი „Shadow"-ს პირიპირ, რომლებიც ოფიციალური ოპოზიციის სახელით ლაპარაკობენ – ყველაზე მნიშვნელოვანი მეორე პარტია – და მთავრობის პროექტებზე ოპოზიციის პასუხის მომზადება და კოლეგებისთვის კითხვების დასმა აქვთ დაკისრებული. პარლამენტში, მთავარი წარმოდგენა პრემიერ-მინისტრისთვის ყოველკვირეული კითხვების დასმის დროს იმართება, რომელსაც ოპოზიციაში შუადღეს აქვს ადგილი და ამ უკანასკნელს ოპოზიციის ხელმძღვანელი უპირისპირდება (ან რომელიმე დეპუტატს პრემიერ-მინისტრის არყოფნის შემთხვევაში). საპარლამენტო კითხვების დრო ყოველთვის მედიის ყურადღების ცენტრშია, მაგრამ მისი გავლენა საზოგადოებაზე შეიძლება ეჭვს ქვეშ იქნეს დაყენებული. ამერიკელ პრემიერ-მინისტრ კალაჰანს ყოველთვის ქედმაღლური დამოკიდებულება ჰქონდა მარგარეტ ტეტჩერის მიმართ (იმ დროს ოპოზიციაში მყოფი), ხოლო ჰეიგი ბლერს ადანაშაულებდა. თუმცა შემდგომში, ამას ხელი არ შეუშლია ამ უკანასკნელთა საარჩევნო ტრიუმფისთვის.

ამავე დროს, ეჭვგარეშეა, რომ კითხვების დასმის მომენტი დადებითად მოქმედებს დეპუტატების მორალზე და შეიძლება მნიშვნელოვანი გახდეს მთავრობის ავტორიტეტის დაცემის შემთხვევაში. კონფრონტაციის ეს სისტემა ინგლისური ცხოვრების ასპექტია და სავარაუდოდ, ნაციონალური ინტერესის გამოწვევისთვისაა ჩაფიქრებული.

ზედა პალატა

მრავალი წლის მანძილზე ლორდთა პალატა კონსტიტუციონალურ ანომალიას წარმოადგენდა. ის ზედა პალატების ბევრ ტრადიციულ ფუნქციას ასრულებს : მას შეუძლია კანონების წარმოდგენა, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი მუშაობა კანონმდებლობის გაკონტროლებაში; ის კრიტიკულია, შეუძლია საპარლამენტო კომისიების გამოყენება, აქვს ექსპერტიზის ჩატარების უფლება და მისი დებატები კარგადაა მომზადებული. თემთა პალატის მიერ კანონპროექტის განხილვის შემდეგ, ის ლორდთა პალატას ეგზავნება და თუკი ეს პალატა ამ უკანასკნელში შესწორებებს შეიტანს, თემთა პალატას მათი გაუქმება შეუძლია. „სოლსბერის კონვენციის" თანახმად, ლორდები არ ბლოკავენ იმ პროექტს, რომელიც მთავრობის პროგრამის განხორციელებისთვისაა გამიზნული.

სასამართლო პერები ("Law lords") უჩვეულო ინსტიტუტს წარმოადგენენ. ისინი უკანასკნელი ინსტანციის სააპელაციო სასამართლოს როლს ასრულებენ და მათ სათავეში ინგლისის დიდი კანცლერი ("Lord Chancellor") უდგას. ბლერის რეფორმამდე ლორდთა პალატა მნიშვნელოვანწილად, მემკვიდრეობითი იყო და მასში დიდად დომინირებდნენ კონსერვატორი პერები, ანგლიკანელი ეპისკოპოსები და მოსამართლეები, მიუხედავად იმისა, რომ 1958 წელს სამიდღემშიო პერობა იქნა შემოღებული, რამაც ლეიბორისტულ პარტიას საკმაოდ მნიშვნელოვანი წარმომადგენლობა მისცა მთავრობის მუშაობის წარმართვისთვის მისი ხელისუფლებაში ყოფნის დროს.

1906 წელს ლიბერალურ მთავრობასა და „peoples'budget"-თან ბრძოლის შემდეგ, ლორდთა პალატის უფლებამოსილებები შეიზღუდა და ისინი კანონმდებლობის არაფინანსურ საკითხებამდე იქნა დაყვანილი. ეს უფლებამოსილება ძირითადად, ლეიბორისტული მთავრობების საზიანოდ ხორციელდებოდა და ვეტოს უფლებად იქცა ლეიბორისტული მთავრობის მუშაობის მხოლოდ ბოლო წელს. მაგრამ ლორდთა პალატის აბსურდულმა ხასიათმა მას ხელი შეუშალა უფრო მნიშვნელოვანი პრეტენზიების წამოყენებაში და თავისი არქაული ბუნების გამო მისი უარყოფა იოლად გახდა შესაძლებელი ლეიბორისტების მხრიდან. თუმცა, ეს პალატა გადარჩა მის შენაცვლებაზე თანხმობის არარსებობის მიზეზით და იმის გამო, რომ რეფორმირებული ზედა პალატა (ზედმეტად ენთუზიასტი რეფორმატორების შემთხვევაში) შეიძლება თემთა პალატის გავლენის მეტოქე გამხდარიყო. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაურკვევლობა ბლერის 1998 წლის რეფორმებამდე არსებობდა. ამ უკანასკნელთა თანახმად, შეიქმნა 92 წევრიანი მემკვიდრეობითი პერების პალატა (მათ მიერვე არჩეული), რომელიც დანიშნული წევრებით დომინირებდა. დანიშვნის ეს სისტემა არსებული მთავრობისთვის ხელსაყრელად წარმოჩნდება და მიუხედავად ფართო კრიტიკისა, არ არსებობს თანხმობა მის შენაცვლებასთან დაკავშირებით.

არსებობს თუ არა კაბინეტი?

ვესტმინსტერის მმართველობის სისტემაში, „კაბინეტი" (მინისტრთა საბჭო) მთავრობის მთავარი ინსტიტუტია. ესაა მნიშვნელოვანი პიროვნებების საბჭო, თითოეულ მათგანს თემთა პალატის უმრავლესობიდან გამოსული მინისტრის როლი აქვს დაკისრებული. კაბინეტის შეკრებებში ოცდასამი წევრი მონაწილეობს (მათზე

დასწრება სხვებსაც შეუძლიათ), რომელიც ყოველ ხუთშაბათს იმართება ასამბლეის განმავლობაში. „კაბინეტის მთავრობა“ არ ნიშნავს იმას, რომ საბჭოს ლიდერობა აქვს. ის უფრო მეტად კოორდინაციასა და ძირითად გადაწყვეტილებებზე კონტროლს უზრუნველყოფს და ასევე წინადადებებს განიხილავს. კაბინეტის ძირითადი ფუნქცია მთავრობის ერთიანობის უზრუნველყოფაა და არა პოლიტიკის შემუშავება ან გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გატარება. მოქმედი შეთანხმების თანახმად, კაბინეტს „კოლექტიური პასუხისმგებლობა“ აქვს დაკისრებული, რომლის თანახმად, მისი დისკუსიები კონფიდენციალურია და გადაწყვეტილებებს კაბინეტის ყველა მინისტრი ეთანხმება (თუკი არ გადადგებიან) და ისინი საჯაროდ, ერთმანეთს უჭერენ მხარს.

კლასიკური მიდგომით, მაკინტოში კაბინეტს აღწერს, როგორც ადგილს, სადაც კანონპროექტის პრინციპები ყალიბდება და შემდეგ ამ უკანასკნელის ერთ-ერთ კომისიას ეგზავნება (კაბინეტში არსებობს კომისიების ფართო ქვესისტემა).[64] კომისიებში, წინადადებები დეტალურად მუშავდება შემდეგ კი პროექტი კაბინეტში განიხილება ერთდროულად დეტალურად და პარლამენტთან კავშირში. ბაჟეოს აზრით, „კაბინეტი კონტროლის ორგანოა, რომელიც საკანონმდებლო ხელისუფლების მიერაა არჩეული იმ პიროვნებათა შორის, რომელთაც ის ენდობა ერის მართვის საქმეში.“[65] ამ პერსპექტივაში, პრემიერ-მინისტრი არის „primus inter pares“ და, XIX საუკუნეში, ეს ასეც იყო, მიუხედავად იმისა, რომ ომისა და დეპრესიის მოთხოვნებმა შემდგომში პრემიერ-მინისტრის ფიგურა უფრო მნიშვნელოვანი გახადა. ამიტომაც, პრემიერ-მინისტრს ხშირად „პრეზიდენციალიზმში“ ადანაშაულებენ, რომელიც უფრო ფრანგული ტიპისაა ვიდრე ამერიკულის, რადგან აშშ-ს პრეზიდენტს პრემიერ-მინისტრის ავტომატური საპარლამენტო უმრავლესობა ჰყავს.[66]

სიღრმისეულად თუ მივუდგებით, პრემიერ-მინისტრი ყოველთვის იყო ფიგურა, რომელიც პოლიტიკას განსაზღვრავს და კაბინეტს ირჩევს, ჩვეულებრივი მინისტრის როლი კი პრემიერ-მინისტრისადმი დაქვემდებარებაა. კაბინეტის მინისტრებს, რომლებიც პრემიერს არ ეთანხმებიან საკუთარი პოზიციის დაცვა შეუძლით, მაგრამ საბოლოოდ, ისინი უნდა გადადგნენ უთანხმოების გაგრძელების შემთხვევაში.

სწორედ პრემიერ-მინისტრი განსაზღვრავს კაბინეტის დღის წესრიგს და ლიდერის როლს ასრულებს. თუმცა, მინისტრების არჩევა პოლიტიკურ ფაქტორებზეა დამოკიდებული. ამგვარად, საჭიროა მოლაპარაკებების გამართვა პარტიის წამყვან წევრებთან, მთავარი ინტერესების დაკმაყოფილება იმგვარად, რომ საპარლამენტო უმრავლესობამ ერთიანობა შეინარჩუნოს. ამავე დროს, იშვიათია კაბინეტის შიგნით ორი გავლენიანი პიროვნების არსებობა (დიუმვირატი ბლერი/ბრაუნი). კაბინეტი ცდილობს საკუთარი შემადგენლობის დაკომპლექტებას პრემიერ-მინისტრის ყველაზე ერთგული მხარდამჭერებით.

მართებულია იმის აღნიშვნა, რომ კაბინეტის პასუხისმგებლობის პრინციპი შეიზღუდა და კოლექტიურად გადაწყვეტილების მიმღები კაბინეტის იდეა მოძველდა მაშინაც კი, როდესაც ის მაინც აგრძელებს ერთსულოვნების ფასადის შენარჩუნებას მთავრობის ძირითად გადაწყვეტილებებთან მიმართებაში.

პრემიერ-მინისტრები

“Cabinet Office“-ი კაბინეტს ეხმარება. ის ორგანიზებას უკეთებს კაბინეტის სხდომებს, მხარს უჭერს პრემიერ-მინისტრს და სახელმწიფო ადმინისტრაციას აკონტროლებს. სამუშაოს დიდი ნაწილი კაბინეტის კომისიებში კეთდება, რომლებიც თანამედროვე მთავრობის კომპეტენციების კომპლექსურობისა და მასშტაბიდან გამომდინარე, ძირითად სამუშაოს ასრულებენ და ფაქტობრივად, უზურპირებული აქვთ კაბინეტის როლი უმრავლესობასთან მიმართებაში. ამგვარად, უფრო მართებულია კაბინეტის კომისიების სისტემაზე ლაპარაკი, ვიდრე კაბინეტზე, როგორც ვიქტორიანულ ინსტიტუტზე მთლიანობაში. მთავრობის ეს მექანიზმები „Cabinet Office„-ის მიერ იმართება. ამ უკანასკნელის შიგნით, საჯარო სამსახურის ბიუროს ევალება ფუნქციონერების, პერსონალის დაკომპლექტება და ფორმაცია (მაგრამ არა პოლიტიკა).

პრემიერ-მინისტრები წამყვან როლს ასრულებენ: მათ უმრავლესობა ჰყავთ თემთა პალატაში, რაც ჩვეულებისამებრ ნიშნავს, რომ ისინი უმრავლესობის პარტიის თავმჯდომარეები არიან (იმ შემთხვევაშიც თუ ეს უცილობლად ასე არ ხდება). ზოგადად, პრემიერ-მინისტრებს მინისტრებად მუშაობის გამოცდილება აქვთ, რასაც თავიანთი ოფიციალური ფუნქციებითაც ადასტურებენ. თუმცა, არც ბლერს და არც ოპოზიციის ლიდერს, დევიდ კამერონს არ ჰქონიათ აღნიშნული გამოცდილება ხელისუფლებაში მოსვლამდე. ესაა ძველი ფუნქცია, რომელიც თანდათანობით მონარქის სამინისტრო სისტემის ჩამოყალიბებიდან წარმოიქმნა. ზოგადად, თანხმდებიან იმასთან დაკავშირებით, რომ სერ რობერტ უოლპოლი (1676-1745წწ.), რომელიც სახელმწიფო ხაზინის პირველი ლორდი იყო, პრემიერ-მინისტრი გახდა. XVIII საუკუნის შუა ხანებში ეს ფუნქცია დამკვიდრდა, მაგრამ დომინანტური XX საუკუნეში გახდა.

---

64 J. Mackintosh, *op. cit.*

65 Bagehot *op. cit.*. p. 13

66 Foley p. *op. cit . p.* 46.

პრემიერ-მინისტრები კაბინეტის მთავრობის საჯარო სახეს წარმოადგენენ. სწორედ პრემიერ-მინისტრი უნდა დაუპირისპირდეს ოპოზიციას თემთა პალატაში და სწორედ ისაა წინა პლანზე. ამავე დროს, არსებობს შიდა კაბინეტი, რომელიც ახლობელი მინისტრი-კოლეგებისგან შედგება. ზოგადად, ამ უკანასკნელთ უკავიათ საგარეო საქმეთა, შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროების ხელმძღვანელთა თანამდებობები. ეს მინისტრები ურთიერთს რეგულარულად ხვდებიან. ისინი პოლიტიკურ საკითხებს განიხილავენ, საგარეო და თავდაცვის პოლიტიკის ჩათვლით.[67] პრემიერ-მინისტრები ასევე ქმნიან საკუთარ კომისიებს, რომლებშიც მათდამი სიმპათიით განწყობილი პიროვნებები შეჰყავთ.

პრემიერ-მინისტრს საკუთარი ბიურო აქვს დაუნინგ სტრიტის №10-ში, რომელშიც მაღალი რანგის ფუნქციონერები მუშაობენ. ის პრემიერ-მინისტრთან აუდიენციისა და ასევე სხვა დეპარტამენტებთან კავშირის ადგილია.[68] პრემიერ-მინისტრის დეპარტამენტის ამოქმედებასთან დაკავშირებული პროექტები შეჩერებული იქნა. მაგრამ ბლერმა საკუთარ კომპეტენციებში გარკვეული ერთეულები შეიყვანა ("ეფექტურობისა და ინოვაციის" და სხვ.). მან ასევე გაზარდა საბჭოს ერთეულების რაოდენობა. ზოგიერთების აზრით, აღნიშნულმა გამოიწვია ძალაუფლების კონცენტრაცია, არაადეკვატური დისკუსიები და კერძო კონსულტანტთა რაოდენობის ზრდა, რომლებიც არ არიან არჩეულნი და პასუხს არ აგებენ საკუთარ ქმედებებზე.

ამ კუთხით, ვესტმინსტერში პრემიერ-მინისტრის პრესსატაშეს მზარდი ძალაუფლება და ავტორიტეტი ცხადყოფს თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს პირად ურთიერთობას. ამავე დროს, დაუნინგ სტრიტიდან წამოსული ინიციატივებისა და გადაწყვეტილებების რაოდენობა ბევრად მნიშვნელოვან არაფორმალურ პროცეს ასახავს, რომელშიც პრემიერ-მინისტრს ცენტრალური ადგილი უკავია, მაშინ როდესაც კაბინეტი შარგინალიზებულ მდგომარეობაშია. არსებობს მრავალი ელემენტი, რომელიც მიგვანიშნებს კერძო აქტორთა მზარდ გავლენაზე, კაბინეტის მინისტრთა როლის შემცირებასა და ამით გამოწვეულ არაერთსულოვნების ტენდენციაზე.[69]

ის ფაქტი, რომ ბლერმა საპარლამენტო მხარდაჭერის მოპოვება გადაწყვიტა ერაყის წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოსაყენებლად, უჩვეულო იყო. მან პარლამენტის თანხმობა მიიღო ოთხასი ხმის უდიდესი უმრავლესობით. ამ ქმედების წინააღმდეგ თორმეტი ლეიბორისტი დეპუტატი გამოვიდა. ის, რომ ბლერმა თემთა პალატის მხარდაჭერა მოითხოვა წესთან კავშირის გაწყვეტას ნიშნავდა და ძალზე საგულისხმო იყო. პრემიერ-მინისტრი რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რადგან ლეიბორისტული პარტია მისი ქმედების მხარდაჭერაში უნდა დაერწმუნებინა, რასაც მან მხოლოდ ნაწილობრივ მიაღწია.

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები

ინგლისში ადგილობრივ ხელისუფლებას ხანგრძლივი და რთული ისტორია აქვს. ამ უკანასკნელს ახასიათებს დაძაბულობა მაცენტრალიზებელ იმპულსებსა, ცენტრალური ხელისუფლების ნიველირებასა და ადგილობრივ ინტერესებს შორის. რომლებიც ხშირად, ადგილობრივი ერთობების ძალზე მნიშვნელოვანი ინტერესების გამომხატველია.

ზოგადად, ინდუსტრიული რევოლუციის მოთხოვნებს ცვლილებები მოჰყვა XIX საუკუნეში, რომლებმაც ხეტა-ნაკლებად გაითვალისწინეს ქალაქის მასების საჭიროებები. XX საუკუნეში სისტემამ რთულად მოახდინა ადაპტაცია მთავარ ცენტრებთან (კერძოდ, ლონდონი). XX საუკუნის მიწურულს (კონსერვატორთა დომინანტობის წლებში), მთავრობა უნდობლობით უყურებდა მემარცხენეთა უპირატესობას საბჭოებში ("councils") და 1980-იან წლებში მეტროპოლიის დეპარტამენტების სტრატეგიული ხელისუფლების ორგანოები ("metropolitan counties") გააუქმა. ამ უნდობლობით გაჟღენთილი იყო მეიჯორის მთავრობის რეფორმები 1990-იან წლებში, მაგრამ შედეგად მიღებული იქნა 327 დეპარტამენტის, 238 ოლქისა და 47 „unitary authorities"-ის სისტემა. 1990-იანი წლების მიწურულს, ლეიბორისტულმა მთავრობამ ლონდონის გავლენა აღადგინა და პირდაპირ არჩეული ლონდონის მერის თანამდებობა შემოიღო (ეს იყო სიახლე). შემდგომში, ეს მთავრობა შეეცადა არჩევითი მერების თანამდებობის დამკვიდრებას სხვა დიდ ქალაქურ აგლომერაციებში.

ამავე დროს, საზოგადოების სკეპტიციზმს ცუდად მოწოდებული ცნების მიმართ, შედეგად ამ რეფორმებისადმი შეზღუდული ინტერესი მოჰყვა. ზოგიერთმა ქალაქმა ეს სიახლე არ მიიღო, ქალაქმა ჰარტლეპოლმა კი ამაღლებითი აირჩია. მიუხედავად ბოლოდროინდელი რეორგანიზაციისა, ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოების სისტემა არ გამყარებულა და შესაძლოა სხვა ცვილებებს ველოდოთ.

ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში მერი წამყვანი ფიგურაა (არჩეული მერების ცალკე შემთხვევის გარდა) და პოლიტიკური ძალაუფლება მუნიციპალური საბჭოს თავჯდომარის ხელშია, რომელიც უმრავლესობის მხარდაჭერით სარგებლობს. ეს ნიშნავს, რომ საბჭოებს ფაქტობრივად, უმრავლესობის პარტიის გავლე-

---

67 Hennessey *op.cit.* p . 7.

68 Smith and Holliday *op. cit.* p. 27.

69 Riddell *op. cit.* p. 46 and Kavanagh and Seldon, *op. cit.* p. 10.

ნიანი პოლიტიკური პირები ხელმძღვანელობენ. საარჩევნო სექციებისთვის საბჭოს წევრებს ირჩევენ თავიანთ რეგიონში ოთხ წელიწადში ერთხელ ერთტურიანი უნინომინალური მაჟორიტარული არჩევნების წესით. ჩვეულებისამებრ, ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობა 40%-ზე დაბალია და საბჭოების წევრების რაოდენობა შედარებით მცირეა. საბჭოების წევრთა უმრავლესობა ნახევარ დღეს მუშაობს და სავარაუდოდ, ისინი უფრო მეტად არიან დამოკიდებულნი მუნიციპალურ ბიუროკრატიაზე, ვიდრე მათი ვესტმინსტერული კოლეგები. თუმცა, „metropolitan districts", „unitary authorities" და ზოგიერთი „shire districts" ერთდროულად მხოლოდ საბჭოს ერთ მესამედს ირჩევენ, რაც ნიშნავს, რომ საბჭო საარჩევნო ტენდენციასთან მიმართებაში უკანა პლანზე იმყოფება. აშკარა არაა, არიან თუ არა სრულად ინფორმირებულნი ამომრჩევლები. როგორც ჩანს, ადგილობრივი არჩევნები ხშირად, მთავრობაში მყოფი პარტიის დასჯის საშუალებადაა გამოყენებული.

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები, რომელთა სამსახურები ხალხის დიდ რაოდენობას იყენებენ, ბევრს ხარჯავენ. ამ უკანასკნელთა შემოსავლები მომდინარეობენ გადასახადებიდან, შესაკრებებიდან და სუბსიდიებიდან, მაგრამ მათ ასევე სესხის აღება შეუძლიათ თუკი ცენტრალური მთავრობა ამის შესაძლებლობას იძლევა (ლონდონს ამგვარი ფორმით სურდა მეტროპოლიტენის დაფინანსება, მაგრამ ამის უფლება არ მიეცა). ადგილობრივი გადასახადები („rates") ძალზე არაპოპულარული იყო და „poll tax"-ით იქნა შეცვლილი (რომელიც კიდევ უფრო არაპოპულარული აღმოჩნდა), შემდეგ კი „council tax"-ით, რომელიც საკუთრების ღირებულების გადასახადს წარმოადგენს. ეს უკანასკნელი კამათის საგანი გახდა, მაგრამ ის შეიძლება ცენტრალური მთავრობის მიერ იქნეს დადგენილი. არსებობს ასევე საწარმოებზე დაკისრებული გადასახადი, რომელსაც ცენტრალური მთავრობა იღებს და შემდეგ საბჭოებში ანაწილებს. გარდა ამისა, არსებობს ცენტრალური მთავრობის სუბსიდიები, რომლებიც ღარიბი და არასახარბიელო მდგომარეობაში მყოფი რეგიონების დახმარებისთვისაა განკუთვნილი. ცენტარლური მთავრობა გაკრიტიკებული იქნა აღნიშნული სუბსიდიების გამოყოფის არაგამჭვირვალე ფორმისა და პოლიტიკური მანიპულაციის გამო, რომელიც აღნიშნულ პროცესს ახასიათებს. სავარაუდოდ, ამ ფინანსური სისტემის წინასწარ გამიზნული შედეგია ის, რომ ადგილობრივი ხარჯების მხოლოდ 10% იფარება ადგილობრივი გადასახადებით. ამგვარად, ადგილობრივი შესაკრებები არსებითად უნდა გაიზარდოს ხარჯების მცირე გაზრდის შესაძლებლობისთვის.

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები საჯარო მენეჯერული პოლიტიკის ევოლუციის მთავარი მსხვერპლი გახდა. ამგვარად, ფუნქციები „quangos"-ებს დაეკისრათ ("თითქმის ავტონომიური არასამთავრობო ორგანიზაციები"), ადგილობრივი საბჭოების წარმომადგენლებს ხელმძღვანელობა ჩამოერთვათ და ზოგიერთი სამსახური საბჭოებისგან დამოუკიდებელი გახდა. საქმიანობის სფეროების უმრავლესობამ – ჯანდაცვა, განათლება, პოლიცია და საბინაო სფერო – ამგვარი ცვლილებები განიცადა. დღეისათვის, დაახლოებით 66 000 არა არჩეული პიროვნებისგან შემდგარი კლასი, რომელიც ძირითადად, ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების მიერაა დანიშნული და რეგიონის ინტერესებზე მეტად კერძო სექტორისკენაა ორიენტირებული, ადგილობრივ სამსახურებს ხელმძღვანელობს. აღნიშნულმა დანიშვნებისადმი უნდობლობა გამოიწვია, რაც პოლიტიკური ერთგულების გამოხატულებადაა მიჩნეული.[70]

პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ პრივატიზაციამ და ცენტრალიზაციამ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს ფუნქციების არსი დააკარგვინა. ორივე მიმართულების მთავრობებმა უნდობლობა გამოიჩინეს ადგილობრივი საბჭოების მიმართ. აღნიშნულს შედეგად სტატუსების დეგრადაცია და კომპეტენციების სხვაგან გადაცემა მოჰყვა. გარდა ამისა, დღეისათვის, სამსახურებს კერძო სააგენტოები ეხმარებიან, რამდენადაც საბჭოები სამსახურებზე მეტად სტრატეგიულ გიდებს წარმოადგენენ.

ისეთი ფუნქციები, როგორიცაა ელექტროენერგია, გაზი, წყალგაყვანილობა, საავადმყოფოები და სოციალური დახმარება აღარ შედის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების კომპეტენციაში. გარდა ამისა, ადგილობრივი საბჭოები კვლავაც ცენტრალურ მთავრობას ექვემდებარებიან, რომელიც აგრძელებს მიზნების დასახვას, გაკონტროლებასა და შედეგების შეფასებას. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები წინანდელზე გაცილებით მაღალი დონის კონტროლს ექვემდებარებიან.

დეცენტრალიზაცია

ფორმალურად, გაერთიანებული სამეფო უნიტარული სახელმწიფოა და ვესტმინსტერის პარლამენტი სუვერენულია, მაგრამ სახელმწიფოს შიგნით სხვადასხვა ეროვნებები ცხოვრობენ. გარდა ამისა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ შოტლანდიამ ბევრი განცალკევებული ინსტიტუტი შეინარჩუნა სასამართლო, განათლების სისტემისა და ეკლესიის ჩათვლით. 1999 წელს ადგილი ჰქონდა ხელისუფლების ორგანოების დეცენტრალიზაციას შოტლანდიაში ჰოლირუდის პარლამენტისა, უელსში კი სენედის პარლამენტის მიმართულებით. ამ ასამბლეებს განსხვავებული უფლებამოსილებები და პოლიტიკური შემადგენლობა აქვთ, მაგრამ პრემიერ-მინისტრისა და მისი კაბინეტის სისტემა რეგიონალურ დონეზეა რეპროდუცირებული (მიუხედავად იმისა, რომ სიფრთხილის გა-

70 Skelcher and Davies *op. cit.* p. 20.

ში არ არის გამოყენებული ტერმინი „პრემიერ-მინისტრი"). შესაძლოა, კვლავაც ჰქონდეს ადგილი ნაციონალური ურთიერთობების მიმართ დათმობებს, როგორც ეს ჩრდილოეთ ირლანდიის შემთხვევაში მოხდა, როდესაც სტორმონტის პარლამენტი იქნა დაშლილი. ამავე დროს, ის ფაქტი, რომ ესაა „ნაციონალური" და არა „რეგიონალური" პარლამენტები ამგვარ გაუქმებას ნაკლებად სავარაუდოს ხდის. გარდა ამისა, ამ მიმართულებით ზეწოლა არ შემცდარა და ის უმნიშვნელოა (რა თქმა უნდა ჩრდილოეთ ირლანდიის პრობლემა განსხვავებულია).

საზოგადოებრივ აზრში გარკვეულ დაბნეულობას იწვევს ამ ასამბლეების კომპეტენციები და ინტუიტიურად არაა აშკარა ამოცანების განაწილება. „ნაციონალური" ინსტიტუტებიც კი (ე. ი. რომლებიც მთელ ქვეყანას ემსახურება), როგორიცაა სახელმწიფო ჯანდაცვის სამსახური, რომელიც ერთიანი უნდა იყოს, განსხვავებულად ფუნქციონირებს ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში. ჰოლირუდში არსებობს კომისიების ფართო სისტემა და კენჭი ეყარა ტურიზმთან, ჯანდაცვასთან, აგრარულ რეფორმასთან და განათლებასთან დაკავშირებულ კანონებს, მაშინ როდესაც ვესტმინსტერს ეს კანონები ჯერ არ განუხილია. ჰოლირუდს აქვს შეზღუდული ფისკალური უფლებამოსილებები, რომლებიც მას სამი პროცენტით შემოსავლებზე გადასახადის დონის ვარირებისა და საწარმოებზე უძრავ ქონებაზე გადასახადების ცვლილების შესაძლებლობას აძლევს. ამის საირისპიროდ, სენედის უელსის პარლამენტს ნაკლები უფლებამოსილებები აქვს მიუხედავად იმისა, რომ ის განათლების პოლიტიკას განსაზღვრავს. ვესტმინსტერში, პარლამენტი განსაზღვრულ სფეროებზეა პასუხისმგებელი, როგორიცაა თავდაცვა, საგარეო პოლიტიკა, ეკონომიკური პოლიტიკა და ვაჭრობა.

არსებობს აუხსნელი დეტალებიც, როგორიცაა ვესტმინსტერზე დამოკიდებულება ერთიანი სუბსიდიის მოსაპოვებლად და რეალური კომპეტენციის არარსებობა გადასახადების გასასზრდელად. ლონდონში, „West Lothian Question"-ის კონსტიტუციონალური გამოცანა კვლავაც ამოუხსნელია. ძირითადად, ვესტმინსტერის შოტლანდიელ და უელსელ წევრებს შეუძლიათ ხმა მისცენ ინგლისურ კანონმდებლობას, სხვა საარჩევნო ოლქებთან დაკავშირებულ კანონებს, მაგრამ არა საკუთარ კანონებს (ამ გადაწყვეტილებებს რეგიონალური ასამბლეები იღებენ). თუმცა, ინგლისელ დეპუტატებს არ შეუძლიათ კენჭი უყარონ შოტლანდიასთან და უელსთან დაკავშირებულ სფეროებს. ლეიბორისტულ პარტიას იშვიათად ჰყავს უმრავლესობა მხოლოდ ინგლისში და შოტლანდიელ დეპუტატებს ინგლისური კანონმდებლობის განხილვისკენ უბიძგებენ, რამაც „ინგლისურ კანონებზე ინგლისური კენჭისყრის" მოთხოვნები გამოიწვია. 2006 წელს მთავრობის რეორგანიზაციის შემდეგ, შოტლანდიელ დუგლას ალექსანდერს ტრანსპორტის სფეროს ხელმძღვანელობა დაევალა ინგლისსა და უელსში (და მხოლოდ ნაწილობრივ შოტლანდიაში), ხოლო ჯონ რეიდ დე გლასგოუ ინგლისისა და უელსის შინაგან საქმეთა მინისტრი გახდა, მაგრამ არა შოტლანდიისა.

გაერთიანებული სამეფოს დღევანდელი მოსახლეობის სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ მისი ინგლისური ნაწილი ბევრად აღემატება იმ 10%-ს, რომელსაც შოტლანდია და უელსი წარმოადგენს. აღნიშნული ძალზე ართულებს პარალელურ დეცენტრალიზაციას ინგლისური ასამბლეის მიმართულებით, რადგან ეს უკანასკნელი ვესტმინსტერის პარლამენტის მეტოქე გახდება. ინგლისური რეგიონალური ასამბლეის შექმნის მცდელობები ჩრდილოეთში უკუგდებული იქნა მოსახლეობის მიერ. ესაა პარტიების პრობლემა: როდესაც კონსერვატორებს შხარს უჭერდნენ ოლსტერის უნიონისტები, რომელთაც სტორმონტის პარლამენტი ჰქონდათ, ეს არ განიხილებოდა პრობლემად. მაგრამ ინგლისური რეგიონალური პარლამენტი (კონსრევატორული) შესაძლოა არასახარბიელო პოზიციაში აღმოჩენილიყო. ამგვარი პარლამენტი ყოველდღიური ცხოვრების ძალზე მნიშვნელოვან სფეროებს უხელმძღვანელებდა, მაგრამ ბრძანებებს ვესტმინსტერიდან (ლეიბორისტული) მიიღებდა საგარეო საქმეთა და ფისკალურ სფეროებში. თუკი პოლიტიკოსები ამ გზით წავლენ (არსებობს მოკლევადიანი მოგება), მაშინ დაძაბულობა – რომელიც ძირითადად, პარტიული ნიშნით მიმხრობის დაყოფაზე იქნება დაფუძნებული – შეიძლება უკიდურესი გახდეს. ამავე დროს, მიუხედავად „შოტლანდიური დომინანტობის" წინააღმდეგ მიმართული კრიტიკისა, საქმე არ ეხება კონსტიტუციურ კრიზისს და ვესტმინსტერში შოტლანდიის წარმომადგენლობა შემცირდა დეცენტრალიზაციის დროიდან. არ არსებობს statu quo ante-ს შენარჩუნების ნება და დეცენტრალიზაციას მოსახლეობის 50%-ზე მეტი უჭერს მხარს (გამოკითხვების თანახმად) თავად ინგლისშიც.

ვაითჰოლი

საჯარო ადმინისტრაცია „ვაითჰოლი," სახელმწიფოს მიუკერძოებელ და ეფექტურ მექანიზად განიხილებოდა. 1854 წლის ნორტკოტ-ტრეველაინის ანგარიშის თანახმად, რეფორმებმა ადმინისტრაცია გააერთიანა და ის არისტოკრატიული კარჩაკეტილობიდან კონკურენტუნარიან მერიოკრატიაზე გადაიყვანა. ვაითჰოლის ბიუროკრატია მუდმივი იყო და იმ დროს, როდესაც მინისტრები იცვლებოდნენ, ანონიმური „მანდარინების" ელიტა ადმინისტრაციის მუშაობას უშფოთველად აგრძელებდა ზედაპირის „რყევების" პირისპირ. ადმინისტრაციაში დაახლოებით 460 000 ფუნქციონერია, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ნახევარ განაკვეთზე მომუშავეთა დიდი რაოდენობა და ასევე განცალკევებული სააგენტოების ფართო ქსელი. თავად ვაითჰოლში შედის ძველი სახელმწიფო დეპარტამენტები (ფინანსთა სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო და შინაგან საქმეთა სამინისტრო), მაგრამ ყველაზე ახალი დეპარტამენტები გარკვეულ დისტანციაზე იმყოფება. არსებობს დაახლოებით

3 000 მაღალი რანგის ფუნქციონერი, რომელთაც დეპარტამენტების მუდმივი მდივნები ხელმძღვანელობენ. ეს ნიშნავს – დღესაც –, რომ ვაითჰოლის სისტემამ "spolis system" (მომხრეებისთვის ადმინისტრაციული თანამდებობების განაწილება არჩევნებში გამარჯვების შემდეგ) გააუქმა. კონტინენტური კრიტერიუმებით, ეს სისტემა შესაძლოა უფრო სამოყვარულო და მოძველებული ჩანდეს.

„ვაითჰოლი," იოლი უპირატესობის, საკუთარი ენისა და არა სპეციალისტების თაყვანისცემის გამო თავდასხმების ობიექტი გახდა, როგორც იმის იდეა, რომ სახელმწიფო ადმინისტრაცია „რეალურად" მართავდა ქვეყანას. უფრო სერიოზული ბრალდებების თანახმად, ადმინისტრაციის დეპარტამენტები გამოთქვამდნენ შეხედულებებს, რომელთა შეცვლაც მინისტრებს არ შეეძლოთ. ეს უკანასკნელნი ყოვლისმომცველ ბიორაკრატიაზე იყვნენ დამოკიდებულნი, რომელიც ცოდნასა და მის ხელმისაწვდომობას აკონტროლებდა. ომის შემდგომ წლებში სახელმწიფო ადმინისტრაციის მისამართით კრიტიკა გაზშირდა, ამ უკანასკნელს საყვედურობდნენ გადაწყვეტილებების მიღებასა და პოლიტიკის გატარებას მიუხედავად იმისა, რომ ის ადმინისტრაციით უნდა შემოფარგლულიყო (როგორც ეს დოქტრინით იყო გათვალისწინებული), რაც ინგლისის უკუსვლის ერთ-ერთ ფაქტორად იქნა მიჩნეული.

ყოველთვის არსებობდა ეჭვები სახელმწიფო ადმინისტრაციის ნეიტრალურ ხასიათთან დაკავშირებით, მაგრამ მთავრობების უმრავლესობა მეტ-ნაკლებად თანხმდებოდა statu quo-ს. 1979 წლამდე იყო სახელმწიფო ადმინისტრაციის უფრო პირდაპირი პოლიტიკური კონტროლის ქვეშ მოქცევის ცალკეული მცდელობები და სწორედ ამ დროს მარგარეტ ტეტჩერი პრემიერ-მინიტრად იქნა არჩეული. იგი რადიკალური იყო, ნაკლებად ენდობოდა ძველ ინსტიტუტებს და მნიშვნელოვანი ცვლილებები გაატარა. ტეტჩერმა იერარქიაში მაღალ თანამდებობებზე მყოფთაგან მთავრობის კონცეფციების გაზიარება მოითხოვა, რასაც შედეგად მოჰყვა სახელმწიფო ადმინისტრაციის დამოუკიდებლობის გარდაუვალი კომპრომენტირება და ზოგჯერ მისი პირდაპირი ჩართვა პოლიტიკურ კონფლიქტში. ამგვარი პერსპექტივის განვითარების შემთხვევაში, კითხვის ქვეშ დადგებოდა სხვა მთავრობასთან სახელმწიფო ადმინისტრაციის მუშაობის უნარი და შესაძლოა პერსონალის ცვლილებას გამოიწვევდა ყოველი ახალი მთავრობის მოსვლისას, როგორც ამას აშშ-ში აქვს ადგილი. თუმცა, საქმე აქამდე ჯერ არ მისულა.

ზემოთ აღნიშნულზე სხვა პასუხი იყო კაბინეტის სისტემაში პოლიტიკურ მრჩეველთა და მომსახურეთა ჩართვა, რომლებიც უმრავლეს შემთხვევაში, აგრესიულად პოლიტიკურები იყვნენ. ამ პოლიტიკური მრჩეველებისგან ყველაზე ცნობილები იყვნენ პრესატაშეები, ბერნარდ ინგჰამი მარგარეტ ტეტჩერის მთავრობის დროს და ალისტერ კემბელ ტონი, ბლერის პრემიერ-მინისტრობის პერიოდში, რომლებიც არასდროს ყოფილან ნეიტრალურები. ეს არ იყო პირველი შემთხვევა, მაგრამ ის სამინისტროების სერიოზული და მუდმივი მახასიათებელი გახდა 1980-იან წლებში. პოლიტიკოსებმა ერთდროულად უარი თქვეს ოფიციალურ კონსულტანტებზე და პოლიტიკის შესამუშავებლად გარედან მოყვანილი პერსონალი გამოიყენეს. მიუხედავად კერძო სექტორის მართვის მეთოდების შემოღების, ახალი პერსონალის და კერძო სექტორის მზარდი გამოყენებისა პოლიტიკის ასამოქმედებლად, „ძალაუფლების კულუარები" უცვლელია ზედა ეშელონზე, სახელმწიფო ადმინისტრაცია კი ძლიერ მექანიზმად რჩება.

უმაღლეს დონეზე, ურთიერთობები მინისტრებსა და ფუნქციონერებს შორის რყევას განიცდის. ადგილი ჰქონდა სახელმწიფო ადმინისტრაციის პოლიტიზაციას და ფუნქციონერები ნაკლებად არიან განწყობილნი ინიციატივების შემოსატანად მინისტრების მითითების გარეშე. ახალ ზელანდიაში არსებობს სახელმწიფო ადმინისტრაციის კომისია, რომელიც დეპარტამენტების ეფექტურობას უწევს ზედამხედველობას, მაგრამ ხშირად აქვს ადგილი სახელმწიფო ადმინისტრაციასთან დაკავშირებული კანონის მიღების შემოთავაზებას (სავარაუდოდ, ალტერნატივა), რომელიც პრემიერ-მინისტრსა და ფინანსთა მინისტრს მართვის როლს ჩამოართმევს. ამ ადმინისტრაციის ხელმძღვანელები საზოგადოებისთვის უცნობები არიან, ხოლო საპარლამენტო კომისიები არ არიან საკმაოდ ეფექტური კონტროლისა და ზედამხედველობის ამ ფუნქციის შესასრულებლად.

ბრიტანეთის სისტემის ერთ-ერთი პრობლემა, რომელიც უფრო მკაფიოდ ბოლო წლებში წარმოჩნდა, არის „მინისტრების პასუხისმგებლობის" სტატუსის პრობლემა. ესაა დოქტრინა, რომლის თანახმად, მთავრობის მინისტრები ყველაფერზე არიან პასუხისმგებელნი, მინისტრი დეპარტამენტის მუშაობაზეა პასუხისმგებელი. მართლაც, მინისტრებმა უნდა პოლიტიკა განსაზღვრონ, სტრატეგიები და პრიორიტეტები დაადგინონ და არ მართონ, სახელმწიფო ადმინისტრაციამ კი არჩეული მთავრობის პოლიტიკა უნდა აამოქმედოს. მინისტრების პასუხისმგებლობა დაბრკოლებაა "accountability"-თვის (რადგან მინისტრები არ არიან „accountable") და ამგვარად, არავინაა პასუხისმგებელი. რთულია იმ გარემოებების განსაზღვრა, რომელთა დროსაც მინისტრები თანამდებობებს ტოვებენ, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ისინი პრემიერ-მინისტრის ნდობას კარგავენ (შესაძლოა რიგი ჩავარდნების შემდეგ, მაგრამ ყველაზე ხშირად, პოლიტიკურ მიზეზთა გამო).

გარდა ამისა, კერძო სააგენტოების გავრცელებამ, რომლებიც ამიერიდან, სახელმწიფო ადმინისტრაციის ძველ ამოცანებს ასრულებენ, კიდევ უფრო შეამცირა "accountability". ამ არასამთავრობო, თითქმის ავტონომიურ ორგანიზაციებს ("quangos"), როგორც მათ ჩვეულებისამებრ უწოდებენ, მთავრობის მიერ დანიშნული პირები ხელმძღვანელობენ. ისინი სახელმწიფო თანხებს იყენებენ და საქმიანობის ფართო სპექტრს მოიცავენ განათლების, ხელოვნების, ეთნიკური ურთიერთობებისა და სხვ. სავარაუდოდ, არსებობს 7 000 „quangos", რო-

შეადგენდა 46.6 მილიარდ ფუნტს განკარგავს, ე. ი. მთავრობის ხარჯების მესამედს.[71] 1980-იან წლებში, ეს პრაქტიკა განსაკუთრებულად გახშირდა, ის New Labour-ის (ახალი ლეიბორისტების) პერიოდშიც გაგრძელდა და გავრცელდა, როგორც ჯანდაცვის სამსახურზე, ისე სახელმწიფო საქმიანობის ისეთ სფეროებზე, როგორიცაა ტრანსპორტი.

პრივატიზებული სამრეწველო საწარმოების მსგავსად, „quangos"-ები საზოგადოებრივი კონტროლის მიღმა ფუნქციონირებენ და ამის გამო მათ კორუფციის მიმართ გახსნილობაში ადანაშაულებენ. მართლაც, ისინი უზარმაზარ შესაძლებლობებს ქმნიან, რომელშიც მთავრობას თავისი „პატარა" მეგობრების დანიშვნა შეუძლია. კორუფციის პრობლემის გარდა, ეს ორგანიზაციები დიდ პრობლემას წარმოადგენენ მთავრობის გამჭვირვალობასთან მიმართებაში და ხშირადაა, რომლის თანახმადაც, ისინი მთავრობის მეგობრების კომპენსაციას ემსახურებიან, ადეკვატურად უნდა იქნეს აღქმული. კერძო ფინანსებისა („Private Finance Initiative", PFI) და ხელმწიფო და კერძო პარტნიორობის (PPP) ინიციატივა ავტონომიური სააგენტოების სხვა შემთხვევაა. ძირითადად, ისინი საბიუჯეტო ინსტრუმენტებია, რომლებიც სახელმწიფოში კერძო სექტორის ინტეგრირებას ახდენენ სპეციფიკური პროექტების შემუშავებისა და ხელმძღვანელობისთვის, მაგრამ სესხს მაინც იღებენ მნიშვნელოვანი პროექტებისთვის (ძირითადად, სკოლები და საავადმყოფოები) მთავრობის ანგარიშების მიღმა. ეს სააგენტოები ძალზე დიდი დავის საგანს წარმოადგენენ შედარებით ახალი ლეიბორისტების მხრიდან მათი შეძლებისდაგვარად წინ წაწევის მტკიცე გადაწყვეტილებისა. კერძოდ, ამ შეთანხმებებში, რისკი ყოველთვის სახელმწიფოზეა (რომელსაც არ შეუძლია დაუშვას საავადმყოფოების ნუშაობის მოშლა). თუკი აღნიშნული სააგენტოები ძალზე ძვირადღირებულია გადასახედების გადამხდელისთვის, ისინი მეტად შემოსავლიანია მათში შემავალი ფინანსური ინსტიტუტებისთვის.

საზოგადოებრივი წესრიგი

გაერთიანებულ სამეფოს არა ჰყავს იუსტიციის მინისტრი, მაგრამ მოსამართლეებისა და სასამართლოების ადმინისტრაციის დანიშვნა ინგლისის დიდი კანცლერის ("Lord Chancellor") ძალზე ძველ დეპარტამენტზეა დამოკიდებული. ხელისუფლების დაყოფა ხელს არ უშლის სასამართლო სისტემის ხელმძღვანელად "Lord Chancellor"-ის დანიშვნას, რომელიც პოლიტიკურად კაბინეტს მიეკუთვნება. ამავე პოზიციაშია გენერალური პროკურორი, რომელიც მთავრობის ადვოკატია, მაგრამ ასევე საზოგადოებრივი ინტერესის დამცველი, როგორც "law officer"-ი და, გენერალური პროკურორის თანაშემწე. ეს უკანასკნელი მთავრობის მრჩეველია, მან მთავრობას რჩევები უნდა მისცეს და ის წარმოადგინოს და იმავდროულად სამართლებრივი გადაწყვეტილებები მიიღოს მთავრობის ინტერესის გაუთვალისწინებლად. მოსამართლეებს "Lord Chancellor"-ი ნიშნავს ადვოკატთა კოლეგიასთან კონსულტაციის შემდეგ (ელიტური ადვოკატები, რომლებიც სასამართლოში დავას აწარმოებენ). თუმცა, ძველი კლასელების ქსელი კვლავაც არსებობს, რაც დიდი ხანია კრიტიკის საგანია.

პარლამენტი სუვერენულია სასამართლო ხელისუფლებასთან მიმართებაში იმგვარად, რომ კანონმდებლობა არ შეიძლება კითხვის ქვეშ იქნეს დაყენებული ამ უკანასკნელის მიერ. თუმცა, ზოგიერთი დამკვირვებლის აზრით, იურიდიული აქტივიზმი განვითარდა, რომელმაც გარკვეულ სამთავრობო დეპარტამენტებზე სამართლებრივი თავდასხმები გამოიწვია (განსაკუთრებით, შინაგან საქმეთა სამინისტროზე). ამავე დროს, მოსამართლეებში არსებობს კანონმდებლობის არსის იმგვარი ფორმით განხილვის ტენდენცია, რომელსაც ისინი მთავრობებთან კონფლიქტამდე მიჰყავს. 1998 წელს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ნაციონალურ სამართალში იქნა ჩართული, რასაც შედეგად სასამართლოების გარკვეული დაპირისპირება მოჰყვა მთავრობასთან. ბრიტანეთის სასამართლოებმა ასევე უნდა გაითვალისწინონ ევროპის სასამართლოს დადგენილებები. ზოგისათვის ეს საკითხი არსებითია გაერთიანებული სამეფოსთვის, რადგან ამ ქვეყანას არა აქვს კონსტიტუცია და არ არსებობს კანონმდებლობის სამართლებრივი კონტროლის შესაძლებლობა. თუმცა, სასამართლოებმა დაიწყეს CEDH-თვის (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო) გარკვეული გადასახდელი თანხის შეუთავსებლად განხილვა და მთავრობებმა ეს უნდა გაითვალისწინონ. ამგვარი აქტივიზმი არ უნდა იქნეს გაზვიადებული, რადგან ის არაა რეგულარული და მთავრობის საქმიანობის მხოლოდ უმნიშვნელო პროცენტს ეხება. ამის საპირისპიროდ, აღსანიშნავია, რომ მთავრობები სულ უფრო მეტად ცდილობენ მოსამართლეთა გადაწყვეტილებების გაკრიტიკებას (ზოგადად, იმის საფუძველზე, რომ მათ ზედმეტად შემწყნარებლური პოზიცია აქვთ).

მიუხედავად იმისა, რომ მონტესკიე შთაგონებული იყო ინგლისის პოლიტიკური სისტემით, ხელისუფლების დაყოფა ამ სისტემაში ძალზე არასრულყოფილია. "Lord Chancellor"-ებს პრემიერ-მინისტრი ნიშნავს (ლორდ ჯეკონერს ეს თანამდებობა ეკავა იმის წყალობით, რომ პრემიერ-მინისტრთან ერთ ბინაში ცხოვრობდა სწავლის პერიოდში) და ისინი ხშირად, მებრძოლი პოლიტიკოსები არიან. გარდა ამისა, გენერალური პროკურორი და მისი თანაშემწე Downing Street-ის მიერ ინიშნებიან თანამდებობაზე, რის შედეგადაც (მაგალითად, ლორდ გოლდსმიტის რეკომენდაცია ერაყში ომის კანონიერებასთან დაკავშირებით) ამ უკანასკნელთა აზრის მიუკერძოებლობა ეჭქვეშაა დაყენებული. სასამართლოს პერები ("Law Lords") კარიერაში წინსვლას ასევე პრემიერ-მინისტრის პატრონაჟით აღწევენ. პოლიციის ორმოცდასამმა სამსახურმა თავის ქნედებებზე პასუხი ადგილობრივი

---

71 S. Weir *op. cit.* p. 306.

პოლიციის ორგანოებისა და შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე უნდა აგოს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ რეალურად ხელისუფლების ორგანოები ხშირად, უფრო ინფორმირებულნი არიან. კონსტიტუციონალური ქაოსი ნიშნავს, რომ ხშირად არსებობს გაუგებრობა „accountability"-ის საკითხთან მიმართებაში. ამ შემთხვევაში, ზოგიერთების აზრით, ადგილი აქვს დემოკრატიის დეფიციტს.

დასკვნა

უკვე აღინიშნა გაერთიანებულ სამეფოში არსებულ პრობლემათა გარკვეული რაოდენობა. ევროპის სხვა ქვეყნების მსგავსად, აშკარაა უკმაყოფილება, რისი დადასტურებაცაა აბსენტეიზმის პროგრესული წინსვლა, პატარა პარტიებისთვის ხმის მიცემის ზრდა, დიდი პარტიების ჰეგემონიის დაკარგვა და ამ პარტიების მომხრეთა რაოდენობის შემცირება ყველაზე დაბალ დონემდე ევროპაში. ამგვარი სიტუაციის მიზეზები ევროპაში არსებულის ანალოგიურია: პოლიტიკური პარტიების დაფინანსება (და მისგან მომდინარე პრაქტიკა), სისტემის უუნარობა ხალხის ინტერესებისთვის პასუხის გასაცემად, (რომელიც ერაყის ომის მიმართ ხალხის რეაქციაში გამოიხატა), ადგილობრივ დემოკრატიასთან, დეცენტრალიზაციის ამოქმედებასთან, ლორდთა პალატასთან დაკავშირებული ქრონიკული გაურკვევლობა, მიუხედავად ბოლოდროინდელი რეფორმებისა.[72]

გარდა ამისა, კონსტიტუციის არარსებობა და მრავალი ინსტიტუტის არქაული საფუძვლები კრიტიკის საგანია, მაგალითად ის ფაქტი, რომ გაერთიანებულ სამეფოში ხალხს „ქვეშევდომების" სატატუსი აქვთ და არა მოქალაქეებისა. ამავე დროს, ხელისუფლების ცენტრალიზაცია გაერთიანებული სამეფოს მუდმივი პრობლემაა. ხშირად, ამ უკანასკნელს „საარჩევნო დიქტატურად" აფასებენ (ჩვეულებისამებრ, ოპოზიციონერები) და ასევე საყვედური გამოითქმის „ჩრდილოვანი ხელისუფლების" ნაკლებობასთან დაკავშირებით. გაერთიანებული სამეფოს მიმართ გამოთქმული ჩვეული საყვედური მდგომარეობს იმ ფაქტში, რომ ის ამ მოთხოვნებს პასუხობს არა თანამედროვე ინსტიტუტების მეშვეობით, არამედ უფრო მეტად არსებული პერსონალის შეცვლით.

ბიბლიოგრაფია

BAGEHOT, W., *The English Constitution* (Fontana 19630).

BOGDANOR, V., *Politics and the Constitution* (1996) Dartmouth.

BOGDANOR, V., *The Monarchy and Constitution* (1996) OUP.

BRADBURY, J., „*Devolution*" *in Parliamentary Affairs* 2001, vol. 54, pp. 257-275.

BURCH, M., et HOLIDAY, I., „The Prime Minster and Cabinet Offices" *in Parliamentary Affairs,* 1999, vol. 52 (1) pp. 32-44.

COWLEY, P., „The Commons: Mr Blair's Lapdog" *in Parliamentary Affairs,* 2001, vol. 52 (2) pp. 815-28.

FISHER, J., „Donations to Political Parties" *in Parliamentary Affairs,* 1997, vol. 50 (2) pp. 235245.

GRIFFITHS, J.A. G., *The Politics of the Judiciary* (Fontana) 1991.

FOLEY, M., *The British Presidency* (MUP 2000).

HENESSEY, P., „The Blair Style of Government", *Government and Opposition* 1998, vol. 33 (1) pp. 3-20.

JENKINS, S., *Accountable to None* (Penguin) 1995.

KAVANAGH, D. et SELDON, A., *The Blair Effect 2001-2005* (CUP, 2005).

KLUG, J., „Can Human Rights fill Britain's Morality Gap" *in Political Quarterly* 1997, vol. 49 (4), pp. 536-549.

LOVENDUSKI, J., „Women and Politics" *in Parliamentary Affairs,* 200, vol. 54, pp. 743-58.

MACKINTOSH, J., *The British Constitution* (Seven and sons, 1977).

MORGAN, M., „The Rise of the Regulatory State in Britain" *in Parliamentary Affairs,* 2001, vol. 54, pp. 19-31.

MOUNTFIELD, R., „the new senior civil service" *in Public Administration* 1997, vol. 74, pp. 307-312.

PAINTER, C., „Public Service Reform" *in Political Quarterly,* 1994, vol. 95 (2) pp. 242-262.

RHODES, R.A. W., „The hollowing out of the state" *in Political Quarterly* 1994, vol. 65 (2) pp. 138-151.

RIDDELL, P., *Parliament Under Blair* (Politico's) 2000.

TRENCH, A., (ed) *The State of the Nation* (Imprint) 2001.

SKELCHER, C., et Davies H., „Understanding the New Magistry" *Local Government Studies* 1996, vol. 22 (2) pp. 8-21.

SMITH, M., *The Core Executive in Britain* (Macmillan) 1999.

STEWART, J., *The Nature of British Local Government,* 2000, (Macmillan).

WEIR, S., „Quangos" *in Parliamentary Affairs* 1995, vol. 48 (2) pp. 307-322.

WEIR, S. et Beetham, D., *Political Power and Democratic Control in Britain* (Routledge) 1999.

72 Weir and Beetham.

თავი V

გერმანია
მუფთოვარე წარსულის გაკვეთილები

თომას ზაალფელდი

შესავალი

1945 წელს გერმანიის გაყოფა, მისი გარე საზღვრების ხელახალი დადგენა და 1949 წელს ორი გერმანული სახელმწიფოს შექმნა დამარცხებული გერმანიის რაიხის დარჩენილ ტერიტორიაზე, ორი ახლოს მდგომი მოვლენა პირდაპირი შედეგი იყო: პირველ ყოვლისა, ნაციონალ-სოციალისტური ტოტალიტარიზმის დამანგრეველი დამარცხება და მეორე მსოფლიო ომში ტოტალური სამხედრო მარცხი; მეორე მხრივ, 1945 წლიდან ბიპოლარული საერთაშორისო სისტემის ჩამოყალიბება „ცივი ომის“ დასაწყისში. 1949-1989 წლებში ლიბერალური დემოკრატიული რეჟიმი მხოლოდ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში არსებობდა, მაშინ როდესაც აღმოსავლეთის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ვარშავის პაქტის წევრად რჩებოდა სსრკ-ს ხელმძღვანელობის ქვეშ. მხოლოდ 1990 წელს გახდა შესაძლებელი დასავლეთ გერმანიის ლიბერალური დემოკრატიის ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიამდე გავრცელება გაერთიანებული სოციალისტური პარტიის (SED) დიქტატურის დამხობის შემდეგ 1989-1990 წლების „მშვიდობიანი რევოლუციის“ დროს.

1949 წლის გერმანიის ძირითადი კანონი, ახალი ფედერაციული რესპუბლიკისა და 1990 წლის შემდეგ გაერთიანებული გერმანიის კონსტიტუცია, ისტორიული გაკვეთილის შედეგი იყო, რომელიც მომდინარეობდა ერთდროულად, გერმანიის დემოკრატიაზე გადასვლის პროცესის გაკონტროლებიდან მოკავშირე ძალების მხრიდან მეორე მსოფლიო ომის დასასრულს და 1945 წლის ომის შემდგომი გერმანიის პოლიტიკური ელიტებიდან (Schmidt 2003 : 17-18). პიტერ კატზენშტაინი დასავლეთ გერმანიის დემოკრატიას „ნახევრად სუვერენულ სახელმწიფოდ“ ახასიათებდა, რომელიც წარსულის გამოცდილების პასუხად ჩამოყალიბდა; ამ სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოები ტერიტორიული დეცენტრალიზაციით, „checks and balances-ის (კონტროლისა და ბალანსის სისტემა) კონსტიტუციური სისტემითა და ქვეყნის მრავალმხრივი შეთანხმებების სისტემაში ჩართვითაა „მოთოკილი“ – ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა და ნატო (Katzenstein, 1987 ; GGreen and Paterson, 2005).

ფედერაციული რესპუბლიკა

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, მოკავშირეთა საოკუპაციო ძალები გერმანიის დემოკრატიზაციას შეუდგნენ თვითმმართველობის დემოკრატიული ინსტიტუტების დამკვიდრებით ადგილობრივ და რეგიონალურ დონეზე იქამდე, ვიდრე დემოკრატიული კონსტიტუცია ნაციონალურ დონეზე შეიქმნებოდა. 1946 წელს ოთხ საოკუპაციო ზონაში ადგილობრივი და რეგიონალური დემოკრატიული ასამბლეები 1949 წელს ორი გერმანიის შექმნამდე იქნა არჩეული. ერთი მხრივ, პოლიტიკურ კოორდინაციას ანგლო-ამერიკულ ზონაში (1947-1949 წწ.) („ორზონიანი“) მოკავშირეთა საოკუპაციო ხელმძღვანელობა აკონტროლებდა, მეორე მხრივ კი ფედერალური მიწების მიერ შექმნილი მთავრობები.[73] ამგვარად, ფედერალური მიწები წინ უძღოდნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას. ორივე გერმანული სახელმწიფო ტერიტორიაზე გერმანიის იმპერიის ტერიტორიაზე შეიქმნა და ფედერალური მიწების მთავრობები (განსაკუთრებით, ამ ტერიტორიების მინისტრი-თავჯდომარეები) მნიშვნელოვანი აქტორები იყვნენ დასავლეთ გერმანიის კონსტიტუციის, „ძირითადი კანონის“ (1948-1949 წწ.) და სხვა ისეთი ფუნდამენტური ნორმების რედაქციაში, როგორიცაა საარჩევნო კანონები.

გერმანია *საპარლამენტო* სისტემაა ფედერალური მთავრობით, რომელიც არჩეული ნაციონალური პარლამენტის, ბუნდესტაგის წინაშეა პასუხისმგებელი. ამავე დროს, გერმანია ასევე ფედერაციული რესპუბლიკაა, სადაც თექვსმეტი ფედერალური მიწა (ლანდერი) გადამწყვეტი ავტონომიური უფლებებით სარგებლობს გარკვეულ პოლიტიკურ სფეროებში, რომელიც კონსტიტუციითა განსაზღვრული (პოლიცია, განათლება, კულტურა და ადგილობრივი მთავრობა) და მნიშვნელოვანი საკანონმდებლო უფლებები აქვს ნაციონალური პოლიტიკის შემუშავებაში. ფედერალური მიწების მთავრობებს საკუთარი წარმომადგენლობა ჰყავთ ნაციონალურ დონეზე ბუნდესრატის მეშვეობით, რომელიც გერმანიის *ნაციონალური* საკანონმდებლო კორპუსის ძლიერი ქვედა

---

[73] ფრანგულ ზონაში შემავალმა მიწებმა ანგლო-ამერიკული („ორზონიანი“) ზონის სტრუქტურის უდიდესი ნაწილი გადმოიღეს, მაგრამ მას ფორმალურად არ მიერთებიან. ამავე დროს, საფრანგეთის, გაერთიანებული სამეფოსა და შეერთებული შტატების საოკუპაციო ზონების ერთობლიობას ხშირად „სამზონიანს“ უწოდებდნენ.

პალატაა და ბუნდესტაგთან ერთად თანაგადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს ნაციონალური კანონმდებლობის ბევრ სფეროში (იხ. ქვემოთ). გარდა ამისა, ნაციონალური კანონმდებლობის უმრავლესობა რეგიონალური ბიუროკრატიით მუშაობს (და არა ნაციონალურით), რომელიც ფედერალური მიწების მთავრობების მიმართ ლოიალურადაა განწყობილი. ამიტომაც, გერმანიაში პოლიტიკის შემუშავება ხშირად ფედერალურ მთავრობასა და რეგიონალურ მთავრობებს შორის სამთავრობოთაშორისო მოლაპარაკებების რთული და ნელი პროცესია (Jeffery 2005 ; Schmidt 2003 : 56-65). მანფრედ შმიდტი გერმანიას „მრავალდონიან პოლიცენტრულ სისტემად" განიხილავს 17 მთავრობისგან შემდგარ ქვეყანაში: ერთი ფედერალური მთავრობითაა წარმოდგენილი და დედაქალაქ ბერლინში ფუნქციონირებს, დანარჩენი 16 კი თითოეული წევრი-მიწის პოლიტიკურ სისტემაში. ევროკავშირში შესვლამ ეს მოდელი გააფართოვა და მას დამატებითი დონე შემატა მრავალდონიანი მმართველობის კომპლექსურ სისტემაში.

ტაბულა № 1: გერმანიის ფედერალური მიწები

	მოსახლეობა (მილიონებში, 2006წ.)	ხელისუფლებაში მყოფი პარტიები 2007 წლის 1 იანვარი	ხელისუფლებაში მყოფი პარტიები 2002 წლის 1 ოქტომბერი	კენჭისყრა ბუნდესრატში
გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა (მთლიანად)	82, 5	**CDU/CSU, SPD**	**SPD ,Die Grünen**	
ფედერალური მიწები				
ბადენ-ვიურტემბერგი	10, 7	CDU, FDP	CDU, FDP	6
ბაიერნი	12,5	**CSU**	CSU	6
ბერლინი	3, 4	SPD, PDS	SPD, PDS	4
ბრანდენბურგი	2,6	**SPD, CDU**	SPD, CDU	4
ბრემენი	0,7	**SPD, CDU**	SPD, CDU	3
ჰამბურგი	1,8	**CDU**	CDU,FDP, offensive D	3
ჰესენი	6,1	**CDU**	CDU, FDP	5
ნაიდერსახენი	8,0	CDU, FDP	SPD	6
მეკლენბურგ-ფორპომერნი	1,7	**SPD, CDU**	SPD, CDU	3
ნორდჰაინ-ვესტფალია	18,0	CDU, FDP	**SPD, Die Grünen**	6
რაინლანდ-პფალცი	4,1	**SPD**	SPD, FDP	4
ზაარლანდი	1,1	**CDU**	CDU	3
საქსენი	4,3	**CDU, SPD**	CDU	4
საქსენ-ანჰალტი	2,5	**CDU,SPD**	CDU, FDP	4
შლეზვიგ-ჰოლშტაინი	2,8	**CDU, SPD**	SPD, Die Grünen	4
თიურინგია	2,3	**CDU**	CDU	4

წყარო: (Schmidt, 2003 : 60) www. bundesrat.de

შემოკლებები: CDU: გერმანიის ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი; CSU: ქრისტიან-სოციალური კავშირი ბაიერნში; FDP: თავისუფალ დემოკრატთა პარტია; Green Party: Bündis/Die Grünen: მწვანეთა პარტია; Partei Rechtsstaatliche offensive: წესრიგისა და კანონის პარტია; PDS: დემოკრატიული სოციალიზმის პარტია; SPD: გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია.

მუქად: კოალიციები ფედერალურ მიწებზე, რომლებსაც სხვა პარტია არ ჰყავთ გარდა ფედერალურ მთავრობაში წარმოდგენილისა.

ტაბულა №1 რამდენიმე პოლიტიკურ ინფორმაციას გვაწვდის 16 ფედერალურ მიწაზე: მოსახლეობა, ფედერალურ მიწებში შემავალი პარტიები 2007 წლის I იანვარისა და 2002 წლის 1 ოქტომბერიდან და ხმათა რაოდენობა, რომელიც თითოეულ ფედერალურ მიწას აქვს ბუნდესრატში – გერმანიის საკანონმდებლო ქვედა პალატა, რომელიც არაა საპარლამენტო ასამბლეა ტერმინის ტრადიციული გაგებით, მაგრამ ფედერალური მიწების აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს წარმოადგენს. თითოეული ფედერალური მიწის მთავრობას ხმათა გარკვეული რაოდენობა აქვს, სამსა და ექვს შორის, რომელიც დაახლოებით მიწის მოსახლეობის პროპორციულია. ხმის მიცემა ყოველთვის მთლიანობაში ითვლება. ბუნდესრატში ხმათა რაოდენობა 69-ს შეადგენს. ტაბულა №1 ასევე გვიჩვენებს, რომ ფედერალური მიწების პოლიტიკური შემადგენლობა ყოველთვის არაა ნაციონალური მთავრობის იდენტური. სვეტი „ხელისუფლებაში მყოფი პარტიები 2002 წლის 1 ოქტომბერი" მიგვანიშნებს იმ ფაქტზე, რომ აღნიშნულ დროს ნაციონალური მთავრობის ანალოგიური პოლიტიკური შემადგენლობა – სოციალ-დემოკრატთა

და შუანეთა კოალიცია ((SPD), რომელსაც სათავეში გერჰარდ შროდერი ედგა – მხოლოდ ორ ფედერალურ მიწაზე იყო რეპროდუცირებული: ჩრდილო რაინი-ვესტფალია და შლეზვიგ-ჰოლშტაინი. ნაციონალური მთავრობის შემადგენელი პარტიები ბუნდესრატის 69 ხმიდან მხოლოდ 16 ხმას აკონტროლებდნენ (ქვემო საქსონია მხოლოდ [illegible]-ით შემდგარი მთავრობით, რომელსაც ჩრდილო რაინი-ვესტფალია და შლეზვიგ-ჰოლშტაინი დაემატა). ოპოზიციური პარტიები ნაციონალურ დონეზე – ქრისტიან-დემოკრატები (CDU/CSU) და ლიბერალები (FDP) – 32 ხმას აკონტროლებდნენ. დარჩენილი 21 ხმა იმ მთავრობების მიერ იყო გაკონტროლებული, რომლებშიც სხვა პარტიებიც შედიოდნენ ან იმ პარტიებისგან იყო შემდგარი, რომლებიც ნაციონალური მასშტაბით ერთდროულად სამთავრობო უმრავლესობაში და ოპოზიციაში იმყოფებოდნენ. მაგალითად, 2001 წელს SPD, რომელიც ნაციონალურ დონეზე სამთავრობო უმრავლესობის პარტია იყო, PDS-თან კოალიციებში შედიოდა, რომელიც ოპოზიციაში იმყოფებოდა ნაციონალურ დონეზე, ბერლინის ფედერალურ მიწებსა და დასავლეთ მეკლემბურგ-ფორპომერნში. ბრანდებურგსა და ბრემენში SPD თავად CDU-თან ერთად მართავდა, რომელიც მთავარი ოპოზიციური პარტია იყო ფედერალურ დედაქალაქში (იხ. ტაბულა №1). 2005 წლის ნაციონალური არჩევნების შემდეგ ორი პარტიის კოალიცია ჩამოყალიბდა – CDU/CSU და SPD, რომელსაც კანცლერი, ანგელა მერკელი ედგა სათავეში (CDU-გერმანიის ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი). აღნიშნულმა სიღრმისეულად შეცვალა სიტუაცია ბუნდესრატში. 2007 წლის 1 იანვარს ახალი ფედერალური მთავრობა 69-დან 47 ხმას აკონტროლებდა ბუნდესრატში (ანალოგიური უმრავლესობები იყო ბრანდებურგის, ბრემენის, დასავლეთ მეკლემბურგ-ფორპომერნის, საქსონიის, საქსონია-ანჰალტისა და შლეზვიგ-ჰოლშტაინის მიწებზე, ისევე როგორც მთავრობები, რომელთაც ორი სამთავრობო პარტიიდან ერთ-ერთი აკონტროლებდა ბავარიის, ჰამბურგის, ჰესენის, რაინლანდ-პფალცის, ზაარისა და ტურინგიის მიწებზე, იხ. ტაბულა №1). თუმცა, ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ ნაციონალური ლიდერებისთვის მაღალია რთულია საკუთარი პარტიების რეგიონალური მინისტრების სრული „გაკონტროლება." ხშირ შემთხვევაში, ბუნდესრატში ჩატარებული კენჭისყრა მხოლოდ ნაწილობრივაა განსაზღვრული პარტიების პოლიტიკური ხაზით, ნაწილობრივ კი ტერიტორიულ ინტერესებზეა დამოკიდებული (Jeffry : 84).

შროდერისა და მერკელის მთავრობებს შორის განსხვავებების მნიშვნელობა ამ თავის შემდეგ ნაწილში იქნება განხილული. ამჟამად, საკმარისია იმაზე ყურადღების გამახვილება, რომ 1969-2000 წლებში უმრავლეს შემთხვევაში, არსებობდნენ „გაყოფილი მთავრობები" იმ მნიშვნელობით, რომ ნაციონალურ მთავრობას არ ჰყავდა მხარდაჭერა უმრავლესობა ბუნდესრატში მის მხარდასაჭერად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყველაზე ხშირი კონფიგურაცია ხელისუფლებათა ბალანსთან მიმართებაში უფრო ახლოს დგას ცხრილ №1-ში 2002 წლის 1 ოქტომბერს და არა 2007 წლის 1 იანვარს არსებულ მოცემულობასთან.

აღმასრულებელი ხელისუფლება და ურთიერთობები აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებებს შორის ფედერალურ დონეზე

ფედერალურ პრეზიდენტს ირჩევენ არა მოქალაქეები, არამედ ბუნდესტაგის საგანგებო ფედერალური ასამბლეა (Bundesversammlung), რომელიც ბუნდესტაგის წევრებისგან და ფედერალური მიწების რეგიონალური პარლამენტების მიერ არჩეული წარმომადგენლების ეკვივალენტური რაოდენობისგანაა შემდგარი. პრეზიდენტს ხუთი წლის ვადით ირჩევენ (ერთხელ განახლებადი) და იგი მოქმედებს, როგორც სახელმწიფოს საპატიო მეთაური. ნებისმიერ შემთხვევაში, ძირითადი კანონი არავითარ ეჭვს არ ტოვებს იმასთან დაკავშირებით, რომ ფედერალური კანცლერი აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურია, რომელსაც სამთავრობო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა აქვს დაკისრებული (65-ე მუხ.). ამიტომაც, გერმანიის პრეზიდენტის უფლებამოსილებები ვერ შეედრება საფრანგეთის პრეზიდენტის უფლებამოსილებებს V რესპუბლიკის დროს ან თუნდაც „ნახევრად საპრეზიდენტო" სისტემების პრეზიდენტებისას, რომელთაც დიდი ძალაუფლების მქონე სახელმწიფოს მეთაურები ჰყავთ (მაგალითად, პოლონეთი). ერთადერთი სიტუაცია, რომლის დროსაც პრეზიდენტს შედარებითი როლის შესრულება შეუძლია არის ის პერიოდი, როდესაც არსებობს ღრმა სამთავრობო კრიზისი და ბუნდესტაგს, როგორც არჩეულ საპარლამენტო პალატას, ფედერალური კანცლერის არჩევის უნარი არ შესწევს. თუმცა, მსგავს სიტუაციას არასოდეს ჰქონია ადგილი 1949 წელს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დაარსების დღიდან.

ფედერალური კანცლერის აშკარა დომინანტობა იმ ძირითადი გამოცდილების ამსახველია, რომელიც 1949 წლის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციის („ძირითადი კანონი") არქიტექტორებმა გერმანიის ლიბერალური დემოკრატიის მარცხის შედეგად გაითვალისწინეს, რომელსაც ჩვეულებისამებრ, „ვაიმარის რესპუბლიკას" (1919-1933 წწ.) უწოდებდნენ: ვაიმარის რესპუბლიკის პრეზიდენტებს პირდაპირ ხალხი ირჩევდა. მათნი იყვნენ მთავარსარდლები, ჰქონდათ მთავრობის მეთაურების დანიშვნისა და გადაყენების უფლებამოსილება (რაიხის კანცლერები) და პარლამენტის დაშლა შეეძლოთ. ძლიერი, პირდაპირ ხალხის მანდატზე დაყრდნობილი პრეზიდენტის არსებობა შეზღუდული უფლებების მქონე რაიხის კანცლერთან, რომელიც დანაწევრებული პარტიული სისტემითა და არასტაბილური საპარლამენტო კოალიციებითაა დასუსტებული, ხშირად ვაიმარის რესპუბლიკის საპარლამენტო დემოკრატიის მარცხის ხელშემწყობადაა მიჩნეული (Brancher, 1971).

ტაბულა №2: ფედარალური კანცლერები 1949-2007 წწ.

ფედერალური კანცლერი	პარტია	მანდატი
კონრად ადენაუერი	CDU	15.09.1949 წ.-16.10.1963 წ.
ლუდვიგ ერჰარდი	CDU	16.10.1963 წ. -01. 12. 1966 წ.
კურტ-გეორგ კისინგერი	CDU	01. 12. 1966 წ. -21. 10. 1969 წ.
ვილი ბრანდტი	SPD	21. 10. 1969 წ. -16. 05. 1974 წ.
ჰელმუტ შმიდტი	SPD	16. 05. 1974 წ. – 01. 10. 1982წ.
ჰელმუტ კოლი	CDU	01. 10. 1982 წ. -27. 10. 1998 წ.
გერჰარდ შროდერი	SPD	27. 10. 1998 წ. – 22.11. 2005 წ.
ანგელა მერკელი	CDU	22. 11. 2005 წ. -

წყარო: Saalfeld (2000b: 52); Thaysen (2006 : 602).

გერმანიის საპარლამენტო სისტემა „პოზიტიური პარლამენტარიზმის" მაგალითია, რომელიც ფედერალური კანცლერის საპარლამენტო უმრავლესობის მიერ ფორმალურ არჩევას მოითხოვს. ძირითადი კანონის 63-ე მუხლის თანახმად, ფედერალურ კანცლერს ბუნდესტაგის წევრები ირჩევენ, რომელიც ფედერაციული რესპუბლიკის პარლამენტის პირდაპირი არჩევნებით არჩეული პალატაა, და ბუნდესტაგის ყველა წევრის ხმების ნახევარი +1 რაოდენობა უნდა მიიღოს. ბუნდესრატი, ფედერალური მიწების მთავრობებს წარმოადგენს და არავითარ როლს არ თამაშობს მთავრობის არჩევაში. ბუნდესტაგის აბსოლუტური უმრავლესობით კანდიდატის არჩევის შემდეგ, ფედერალურ პრეზიდენტს არავითარი დისკრეციული უფლება არა აქვს და მან კანდიდატი კანცელარიაში უნდა დანიშნოს. ტაბულა №2 გვიჩვენებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ისტორიაში არსებულ ყველა ფედერალურ კანცლერს და მათი მანდატის ხანგრძლივობის თარიღებს.

იმ შემთხვევაში, თუ პირველი კენჭისყრის დროს კანდიდატი ბუნდესტაგის წევრთა აბსოლუტური უმრავლესობით არაა მხარდაჭერილი, ბუნდესტაგის განკარგულებაშია ორი დამატებითი კვირა კანდიდატის აბსოლუტური უმრავლესობით არჩევისთვის. თუკი ამ ვადის განმავლობაში ვერც ერთი კანდიდატი ბუნდესტაგის აბსოლუტური უმრავლესობის მხარდაჭერას ვერ მოიპოვებს, კენჭისყრა ამ ორი კვირის ამოწურვის შემდეგ მაშინვე უნდა ჩატარდეს. ბუნდესტაგის წევრების მიერ აბსოლუტური უმრავლესობით არჩეული კანდიდატის კვლავ არარსებობის შემთხვევაში, პრეზიდენტს გარკვეული ზეგავლენის მოხდენის უფლება აქვს: მას შეუძლია იმ კანდიდატის დასახელება, რომელმაც ყველაზე მეტი ხმა დააგროვა ან ბუნდესტაგის დაშლა ახალი არჩევნების ჩასატარებლად. დღემდე მსგავს სიტუაციას, როდესაც ფედერალურმა პრეზიდენტმა მედიატორის ფუნქცია უნდა შეასრულოს სამთავრობო კრიზისის დროს, არასოდეს ჰქონია ადგილი. ფედერალური კანცლერების დანიშვნა ყოველთვის იყო ერთი მხრივ, ბუნდესტაგში სახალხო არჩევნებით მიღწეული შედეგი (რომელიც პარლამენტში წარმოდგენილი პარტიების სიძლიერეს განსაზღვრავს) და მეორე მხრივ, სელექციისა და მოლაპარაკებების პროცესის შედეგი ბუნდესტაგში წარმოდგენილ პარტიებს შორის (Saalfeld 2000b: 47-50).

კანცლერის არჩევის შემდეგ, პრეზიდენტს არა აქვს კანცლერის ან მინისტრის ცალმხრივი წესით გადაყენების უფლება. მთავრობა შეიძლება მთლიანად იქნეს გადაყენებული ბუნდესტაგის მიერ და მხოლოდ „კონსტრუქციული უნდობლობის კენჭისყრის" შედეგად (ძირითადი კანონის 67-ე მუხ.) კანცლერის წინააღმდეგ. ამგვარი კენჭისყრის დროს, რომელიც ასევე ბელგიასა და ესპანეთში არსებობს, ბუნდესტაგის წევრების აბსოლუტურმა უმრავლესობამ უნდა მიიღოს არა მხოლოდ კანცლერისა და მისი მთელი კაბინეტის გადაყენება, არამედ ასევე სხვა კანდიდატი აირჩიოს კანცელარიაში ფარული კენჭისყრით. დღემდე, კონსტრუქციული უნდობლობის კენჭისყრის ორ შემთხვევას ჰქონდა ადგილი. 1972 წელს ქრისტიან-დემოკრატები შეეცადნენ სოციალ-დემოკრატი კანცლერის, ვილი ბრანდტის გადაყენებას. 1982 წელს ლიბერალები კოალიციიდან გამოვიდნენ, რომელიც მათ სოციალ-დემოკრატებთან ჰქონდათ და ქრისტიან-დემოკრატებს დაუჭირეს მხარი კონსტრუქციული უნდობლობის წარმატებულ კენჭისყრაში: SPD-ს კანცლერი ჰელმუტ შმიდტი გადადგა და იგი იმავე კენჭისყრის დროს ქრისტიან-დემოკრატმა, ჰელმუტ კოლმა შეცვალა (თარიღების ნახვა შეგიძლიათ ტაბულა №6-ში).

მიუხედავად იმისა, რომ კონსტრუქციული უნდობლობის კენჭისყრის შემოთავაზება თითოეული საპარლამენტო პარტიის ან ბუნდესტაგის წევრთა არა ნაკლებ 25%-ის იარაღია, ფედერალურ კანცლერს ასევე აქვს პარლამენტარებისთვის ნდობის კენჭისყრის მოთხოვნის უფლება. მხოლოდ კანცლერი შეიძლება იყოს ამგვარი კენჭისყრის ობიექტი. თუკი ფედერალური კანცლერი ნდობის კენჭისყრას აგებს – ე. ი. ბუნდესტაგის წევრების

50% + 1 ვერ მოიპოვებს – მას შეუძლია პრეზიდენტს ბუნდესტაგის დაშლა მოსთხოვოს (ძირითადი კანონის 68-ე მუხ.). პრაქტიკაში, ამგვარი კენჭისყრა მხოლოდ ხუთჯერ იქნა მოთხოვნილი 1949-2007 წლებში. ის ორი მიზნით იქნა გამოყენებული: 1982 წელსა და 2001 წელს ფედერალურმა კანცლერებმა, შმიდტმა და შროდერმა ნდობის საკითხი დააყენეს საპარლამენტო უმრავლესობის მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად, რომელიც მთავრობაში მონაწილე პარტიებთან (ან პარტიასთან) უთანხმოებაში იყო. მაგალითად, 2001 წელს შროდერმა იცოდა, რომ პარლამენტში ორი სამთავრობო პარტიის (მწვანეები და SPD) წევრების უმცირესობა ეწინააღმდეგებოდა მთავრობის გადაწყვეტილებას ავღანეთში გერმანული ჯარების გაგზავნასთან დაკავშირებით. ამიტომაც, არსებობდა იმის რისკი, რომ ბუნდესტაგის საპარლამენტო კენჭისყრა მხოლოდ ოპოზიციის მხარდაჭერით გაიმარჯვებდა. აღნიშნულმა მთავრობა დააფიქრა და მისი ერთიანობა კითხვის ქვეშ დააყენა. ამგვარად, შროდერმა ავღანეთში გერმანული ჯარების გაგზავნის კენჭისყრა ნდობის კენჭისყრასთან გააერთიანა. მთავრობაში მყოფი პარტიების წარმომადგენელ წევრებს არჩევანი ჰქონდათ მთავრობის წინადადების და შროდერის პოსტზე დარჩენის კენჭისყრასა და საკუთარი პრეფერენციების მიხედვით კენჭისყრას შორის, რომელიც შროდერის მთავრობის გადაყენებასა და ვადამდელ არჩევნებს გამოიწვევდა. დანარჩენ შემთხვევებში (1972 წ., 1983 წ. და 2005 წ.), კანცლერებმა (ბრანდტი, კოლი და შროდერი) ნდობის კენჭისყრა თავიანთი მთავრობების გადადგომისა და ვადამდელი არჩევნების წამოწყებლად გამოიყენეს. მაგალითად, კანცლერმა შროდერმა 2005 წელს ნდობის კენჭისყრა ვადამდელი არჩევნების ჩასაბარებლად გამოიყენა მას შემდეგ, რაც სამთავრობო პარტიებმა – SPD და მწვანეები – გამანადგურებელი მარცხი განიცადეს ჩრდილო რაინი-ვესტფალიის რეგიონალური არჩევნების დროს 2005 წლის 22 მაისს. შროდერმა 2005 წლის 1 ივლისს ბუნდესტაგში ნდობის საკითხი დასვა. ბუნდესტაგში მყოფმა SPD-სა და მწვანეების პარტიის წევრთა გარკვეულმა რაოდენობამ (შროდერის ერთგულები) თავი შეიკავა, მაშინ როდესაც ოპოზიციურმა პარტიებმა შროდერის წინააღმდეგ მისცეს ხმა. ამას მთავრობის მარცხი (მოსალოდნელი) მოჰყვა. ამგვარად, შროდერმა შეძლო ფედერალური პრეზიდენტისთვის ბუნდესტაგის ვადამდელი დაშლის შემოთავაზება, რომელიც კანცლერის თხოვნას დასთანხმდა. არჩევნები 18 სექტემბერს ჩატარდა დაახლოებით ერთი წლით ადრე საპარლამენტო ხუთწლიანი რეგულარული მანდატის დასრულებამდე (Feldkamp, 2005: 326-327; Clemens, Saalfeld, 2006: 336).

ნდობის კენჭისყრის პროცედურის მეორე გამოყენება სამჯერ გახდა აუცილებელი, რადგან ბუნდესტაგის ვადამდელი დაშლის წესები შედარებით მკაცრია და ფედერალურ კანცლერს, საპარლამენტო უმრავლესობასა და ფედერალურ პრეზიდენტს შორის შეთანხმებას მოითხოვს. ძირითადი კანონი ართულებს ფედერალური კანცლერისთვის საპარლამენტო პასუხისმგებლობის გვერდის ავლის შესაძლებლობას ვადამდელი არჩევნების მოთხოვნითა და „ხალხისადმი" მოწოდებით. ამგვარად, ფედერალურმა კანცლერებმა დე ფაქტო ნდობის კენჭისყრის ინსტრუმენტალიზება მოახდინეს ბუნდესტაგის ვადამდელი დაშლის მისაღწევად ნდობის კენჭისყრისა და სამთავრობო პარტიების ნაწილისთვის კენჭისყრის დროს თავშეკავების მოთხოვნით (Pulzer, 2006 : 560-563).

ერთი შეხედვით, ფედერალური კანცლერი ძალზე ძლიერად წარმოჩნდება, რამაც ზოგიერთი ავტორი იმ აზრამდე მიიყვანა, რომ გერმანია „საკანცლერო დემოკრატიად" განეხილა, სახელდობრ, ფედერაციული რესპუბლიკის პირველი კანცლერის, კონრად ადენაუერის მმართველობის პერიოდში. ძირითადი კანონი ფედერალურ კანცლერს მთავრობის ძირითადი პოლიტიკური მიმართულებების განსაზღვრის უფლებამოსილებას ანიჭებს („Richtlinienkompetenz", ძირითადი კანონის 65-ე მუხ.). კანცლერი სრულ პასუხისმგებლობას იღებს ბუნდესტაგის წინაშე, იგი მთავრობაში ერთადერთი პიროვნებაა, რომელიც შეიძლება კონსტრუქციული უნდობლობის კენჭისყრის ობიექტი გახდეს. კანცლერს ასევე აქვს ბიუროკრატიული რესურსი, რომელიც მას სამინისტროების კოორდინაციასა და კონტროლში ეხმარება: ფედერალური კანცლერის ბიურო დაახლოებით 500 ფუნქციონერით (2002 წ.). ამ უკანასკნელს კანცლერთან დაახლოებული მთავრობის წევრი უდგას სათავეში. აღნიშნულ ბიუროს სპეციალიზებული სექციების სისტემა აქვს და თითოეული მათგანი მთავრობის მრავალრიცხოვან დეპარტამენტებს აერთიანებს და მართავს. ფედერალური მთავრობის მუდმივი წესების თანახმად, მინისტრები ვალდებულნი არიან კანცლერს ინფორმაცია მიაწოდონ თავიანთი სამინისტროების მიერ გატარებულ ძირითად პოლიტიკაზე (Rudzio, 2006 : 249-258).

მიუხედავად ყველაფრისა, არასწორი იქნებოდა „კანცლერის პრინციპად" წოდებული კონსტიტუციონალური მოწყობისა და პრაქტიკის მნიშვნელობის გადაჭარბება გერმანიის კონსტიტუციაში. პირველ ყოვლისა, ფედერალური კანცლერი და მისი მთავრობა ფედერალური სისტემის შეზღუდვების ქვეშ მოქმედებს, რომლებიც ზემოთ უკვე აღინიშნა. გარდა ამისა, ძირითადი კანონის 65-ე მუხლი მთავრობის წევრებს პირად პასუხისმგებლობას აკისრებს ყველა საკითხზე, რომელიც თავიანთი სამინისტროს კომპეტენციიდან მომდინარეობს. კანცლერს მინისტრის გვერდის ავლისა და სამინისტროს საქმიანობაში პირდაპირი ჩარევის უფლება არა აქვს, მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკაში, კანცლერთა უმრავლესობა დიდ ინტერესს იჩენს საგარეო საქმეებისა და უსაფრთხოების საკითხების მიმართ და საგარეო საქმეთა სამინისტროს კომპეტენციებში ერევა. შიდა პოლიტიკის კუთხით, მხოლოდ თითოეული სამინისტროს ბიუროკრატიას აქვს ექსპერტიზის უფლება და საჭირო რესურსები პოლიტიკის შესამუშავებლად (Saalfeld, 2003).

გარდა ამისა, გერმანიის მთავრობები ჩვეულებისამებრ, ეყრდნობიან არანაკლებ ორი პარტიისგან შემდგარ კოალიციებს (Saalfeld, 2000; ტაბულა №6, რომელიც შემდეგ იქნება წარმოდგენილი). ამიტომაც, პოლიტიკის შემუშავების პროცესი ფედერაციულ რესპუბლიკაში თანხმობის ძიებითაა განპირობებული მთავრობაში მყოფ არანაკლებ ორ პარტიას შორის და იმ შემთხვევაში, თუ ფედერალურ მთავრობას არა ჰყავს უმრავლესობა ბუნდესრატში (იხ. ქვემოთ) ოპოზიციაში მყოფი პარტიების მთავარ აქტორებთან ერთად. კოალიციური მთავრობისა და სამთავრობოთაშორისო მოლაპარაკებების შეხამება გერმანულ ფედერალურ სისტემაში ძლიერ კოორდინაციას მოითხოვს. ამ კომპლექსურ სიტუაციაში, მთავრობა არასოდეს ყოფილა ყველაზე ეფექტური ორგანო მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხების კოორდინირებისთვის. აღნიშნული ფართოდაა მინდობილი არაფორმალური ორგანოებისთვის. ჩვეულებისამებრ, ეს ორგანოები წარმოადგენილია ფედერალური კანცლერით ან მთავრობის სახელმწიფო მინისტრით, შესაბამისი მინისტრებით, საპარლამენტო პარტიების პოლიტიკური ექსპერტებითა და ლიდერებით, ისევე როგორც ფედერალური მიწების წარმომადგენლებითა და ექსპერტებით, რომელთაც მთავრობაში მყოფი პარტიები აკონტროლებენ ნაციონალურ დონეზე. ხშირ შემთხვევაში, მთავრობის ამოცანაა იმ გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გატარება, რომლებიც კოალიციის და მოქნილი არაფორმალური ორგანოების დისკუსიების შედეგად მიიღება (Rudzio, 2006; Schreckenberger, 1994; 334). არაფორმალური კოორდინაციის ამ სისტემამ შედარებითი ეფექტურობა გამოავლინა თუმცა, არსებობს გარკვეული არახელსაყრელი გარემოებები მთავრობის კონსტიტუციონალური როლის გაუარესების, გამჭვირვალობის ნაკლებობისა და სამთავრობო დამაჯერებლობის დაკარგვის ჩათვლით ამომრჩევლებისა და პარლამენტის პირისპირ.

ტაბულა №3: კანონმდებლობა გერმანიაში 1949-2005 წწ.

ლეგისლატურა ბუნდესტაგში	შემოთავაზებული კანონპროექტები	მიღებული კანონპროექტები	მთავრობის ინიციატივით შემოტანილი კანონპროექტების პროცენტული მაჩვენებელი	ბუნდესტაგის ინიციატივით შემოტანილი კანონპროექტების პროცენტული მაჩვენებელი	ბუნდესრატის ინიციატივით შემოტანილი კანონპროექტების პროცენტული მაჩვენებელი
			ყველა შემოტანილი კანონპროექტის პროცენტული მაჩვენებელი (ფრჩხილებში: ყველა მიღებული კანონპროექტის პროცენტული მაჩვენებელი)		
1949-1953 წწ.	805	58,6 (71,9)	37,4 (25,9)	4,0 (2,2)	
1953-1957 წწ.	877	507	50,9 (72,6)	47,2 (26,0)	1,9 (1,4)
1957-1961 წწ.	613	424	65,4 (82,1)	33,8 (17,4)	0,8 (0,5)
1961-1965 წწ.	635	427	59,5 (77,0)	38,6 (22,0)	1,9 (0,5)
1965-1969 წწ.	665	453	62,7 (81,2)	34,1 (16,8)	3,2 (2,0)
1969-1972 წწ.	577	355	62,8 (77,3)	29,6 (17,3)	7,6 (3,9)
1972-1976 წწ.	670	516	68,8 (82,8)	20,3 (12,0)	10,9 (3,3)
1976-1980 წწ.	485	354	66,4 (81,4)	22,9 (11,4)	10,7 (4,2)
1980-1983 წწ.	242	139	60,3 (74,8)	24,0 (11,5)	15,7 (5,8)
1983-1987 წწ.	522	320	53,6 (74,1)	35,1 (13,1)	11,3 (10,0)
1987-1990 წწ.	595	369	53,9 (72,4)	38,2 (18,4)	7,9 (4,1)
1990-1994 წწ.	800	507	50,9 (68,2)	37,1 (18,1)	12,0 (5,5)
1994-1998 წწ.	1 013	566	44,3(71,2)	32,5 (18,0)	23,2 (6,4)
1998-2002 წწ.	1 002	549	44,4 (70,5)	32,4 (19,3)	22,1 (3,9)
2002-2005 წწ.	760	384	42,6 (69,0)	29,9 (17,4)	19,9 (3,9)

წყაროები: Schindler(1999 : 2388-2389); Feldkamp (2005 : 572-573); ფელდკამპის მიერ მომზადებული მონაცემები 2002-2005 წლებისთვის (2006 : 13-15).

ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის საკუთარ ინტერპრეტაციაში (იხ. ქვემოთ) დოქტრინა შეიმუშავა, რომლის თანახმად, ყველა ძირითადი ნორმა საპარლამენტო კანონმდებლობას უნდა ეფუძნებოდეს და ადმინისტრაციისთვის არ უნდა იქნეს გადაცემული (von Beyme, 1998 : 13). ფედერალურ მთავრობას, საპარლამენტო პარტიას ან ბუნდესტაგის წევრთა 5%-გან შემდგარ ჯგუფს, რომელიც ერთი ან ბევრი პარტიითა დაკომპლექტებული ბუნდესტაგში კანომპროექტების წარდგენის უფლება აქვს. ბუნდესრატის წევრებსაც

ასევე აქვთ კანონპროექტების შემოტანის უფლება, მაგრამ ამას იშვიათად აკეთებენ. ძირითადი კანონი 3 ტიპის კანონებს განასხვავებს სხვადასხვა პროცედურებითა და მოთხოვნილი უმრავლესობით:

1. *საკონსტიტუციო შესწორებები* დამტკიცებული უნდა იქნეს ბუნდესტაგის წევრთა ხმების ორი მესამედით და ბუნდესრატის წევრთა ორი მესამედით. ზოგიერთი კონსტიტუციური დებულება შესწორებების შეტანისგან მთლიანად ან ნაწილობრივადაა დაცული. ძირითადი კანონის 79-ე (3) მუხლი კრძალავს იმგვარი საკონსტიტუციო შესწორებების შემოტანას, რომელთაც ზიანის მიყენება შეუძლიათ ფედერალური პრინციპისთვის, Länders-ების მონაწილეობისთვის კანონმდებლობაში და ძირითადი კანონის 1 და მე-20 მუხლებით გაცხადებული ფუნდამენტური პრინციპებისა და უფლებებისთვის. მე-2 და 19-ე მუხლებში შემავალ ფუნდამენტურ უფლებებში შესწორების შეტანა შესაძლებელია, მაგრამ მათი არსი არ უნდა იქნეს ხელყოფილი.

2. *ჩვეულებრივ კანონს* ბუნდესტაგი იღებს და ის ბუნდესრატის შემაჩერებელი ვეტოს ობიექტი შეიძლება გახდეს, ე.ი. ბუნდესრატს მისაღები კანონის შეყოვნება შეუძლია საწინააღმდეგო აზრის წარდგენით. ამგვარი შეწინააღმდეგობის აცილება ბუნდესტაგის წევრების აბსოლუტური უმრავლესობითაა შესაძლებელი. ბუნდესრატის ორი მესამედის უმრავლესობით ჩვეულებრივი კანონის მიუღებლობის შემთხვევაში, მისი ვეტოს არმიღება შესაძლოდ იმგვარი კენჭისყრითაა შესაძლებელი, რომელშიც ბუნდესტაგის წევრთა არანაკლებ ორი მესამედი მონაწილეობს და ის ბუნდესტაგის წევრთა 50%+ 1-თაა უარყოფილი.

3. ბუნდესრატის თანხმობა აუცილებელია „ერთიანი თანხმობის კანონებისთვის", ე.ი. იმგვარი კანონებისთვის, რომლებიც *აბსოლუტურ ვეტოს* ექვემდებარება და არ შეიძლება იქნეს უარყოფილი ბუნდესტაგის მიერ. ეს ხდება ყოველთვის, როდესაც ფედერალურმა მიწებმა ფედერალური კანონმდებლობის გამოყენება უნდა განსაზღვრონ და მოთხოვნილის რესურსები გაიღონ. მართლაც, კანონპროექტების ნახევარზე მეტი და მნიშვნელოვანი ნაციონალური კანონების უმრავლესობა „ერთიანი თანხმობის კანონებია" (Schmidt, 2003 : 58). ამიტომაც, ბუნდესრატის განკარგულებაშია ვეტოს ძალზე ძლიერი პოზიცია ნაციონალურ კანონმდებლობაში. კონსტიტუციაში ბოლოხან შეტანილი შესწორებები საერთო თანხმობის კანონების რაოდენობის შემცირებას ცდილობს და გარკვეულ საკანონმდებლო უფლებამოსილებებს ფედერალურ მიწებს ხელახლა გადასცემს (Reutter, 2006; იხ. ქვემოთ).

იმ შემთხვევაში, თუ ბუნდესრატი მთავრობის ან ბუნდესტაგის მიერ შემოტანილი კანონპროექტის ნაწილს ან მას მთლიანად უარყოფს, ეს უკანასკნელი შეიძლება საშუამავლო კომისიაში იქნეს გადაგზავნილი, რომელიც ბუნდესრატისა და ბუნდესტაგის წევრთა თანაბარი რაოდენობისგანაა შემდგარი (Tsebelis, Money 1977 :181-185). თუკი საშუამავლო კომისია კანონპროექტში შესწორებების შეტანის მომხრეა, ბუნდესტაგმა და ბუნდესრატმა ახალი კენჭისყრა უნდა ჩაატაროს. იმ შემთხვევაში, თუ ფედერალურ მთავრობას არ ჰყავს უმრავლესობა ბუნდესრატში, საშუამავლო კომისია შეიძლება მთავარი აქტორი გახდეს პოლიტიკის შემუშავების პროცესში. კანონპროექტი ძალაში შედის მას შემდეგ, რაც ის ფედერალური პრეზიდენტის მიერაა ხელმოწერილი და ოფიციალურ ფედერალურ ჟურნალშია გამოქვეყნებული. ფედერალური პრეზიდენტის მოვალეობაში შედის კანონის კონსტიტუციურობის შემოწმება. თუკი იგი მიიჩნევს, რომ კანონი არსებითად არაკონსტიტუციურია ან ამ კანონის შემუშავების პროცესი არაკონსტიტუციური იყო, მან ამ კანონს ვეტო უნდა დაუპირისპიროს.

ყველა თანამედროვე საპარლამენტო სისტემების მსგავსად, კანონმდებლობა გერმანიაში ძირითადად მთავრობის მოღვაწეობის სფეროს განეკუთვნება. ტაბულა №3 გვიჩვენებს, როგორც თითოეული ლეგისლატურის განმავლობაში შემოტანილი კანონპროექტების რაოდენობას, ისე მიღებული კანონპროექტების რაოდენობას 1949-2005 წლებში. ამ ტაბულის შემდეგი სვეტები მიგვითითებს, რომ კანონპროექტების უმრავლესობა მთავრობის ინიციატივით იქნა შემოტანილი და სამთავრობო კანონპროექტებს მიღების მეტი შანსი აქვს, ვიდრე ბუნდესტაგში ან ბუნდესრატში მყოფი პარტიებიდან წამოსულ კანონპროექტებს. თუკი მაგალითად, ბუნდესტაგის სესიას დავაკვირდებით 2002 წლიდან 2005 წლამდე დავინახავთ, რომ მთლიანობაში 760 კანონპროექტი იქნა შემოტანილი და მათ შორის 384 პრეზიდენტის მიერ იქნა მიღებული და ხელმოწერილი. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის მიერ შემოტანილ კანონპროექტთა წილი მხოლოდ 42,6%-ს შეადგენდა, „წარმატებულად გასულ" პროექტებში 69% (384) მთავრობიდან მოდიოდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მთავრობიდან წამოსულ კანონპროექტებს მიღების ბევრად მეტი შანსი აქვს, ვიდრე ბუნდესტაგიდან და ბუნდესრატიდან წამოსულ კანონპროექტებს. თუკი განსხვავებას საერთაშორისო დონეზე გავაკეთებთ, ერთი შეხედვით, ბუნდესტაგის მიერ წარმატებით მიღებული პროექტების წილი უფრო მაღალია. თუმცა, ეს მონაცემები ჩქმალავს იმ ფაქტს, რომ ამ პროექტების დიდი ნაწილი მთავრობაში მყოფი პარტიების მიერ იყო შემოტანილი (ვიდრე თავად მთავრობის მიერ) საკანონმდებლო პროცესის დასაჩქარებლად[74].

მთავრობის მიერ შემუშავებული კანონმდებლობისა და საპარლამენტო საფუძვლის მქონე კანონმდებლობის გულმოდგინე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ის პოლიტიკური პარტიების დომინანტობის ქვეშ იმყოფება. ორი მთავარი საპარლამენტო პარტია, სოციალ-დემოკრატები (SPD) და ქრისტიან-დემოკრატები (CDU/CSU) ძალზე სტრუქტურირებული ორგანიზაციებია, რომელთაც სამუშაო ჯგუფების ფართო სისტემა აქვთ. ისინი სხვადასხვა

---

74 თუკი ფედერალური მთავრობის მიერ შემოტანილი კანონპროექტები პირველ რიგში ბუნდესრატს უნდა გაეგზავნოს, საპარლამენტო პარტიის მიერ შემოტანილი კანონპროექტები პირველ რიგში, ბუნტესტაგს ეგზავნება.

სამინისტროების მუშაობას აკვირდებიან და სავარაუდოდ, ბუნდესტაგის შეკრებების ყველა გადაწყვეტილებებს ამზადებენ. ყველაზე პატარა პარტიებს (FDP, მწვანეები, PDS) საკმარისი წევრები არა ჰყავთ ამგვარი სპეციალიზაციის განსახორციელებლად. ჩვეულებისამებრ, მათ განკარგულებაშია სამუშაო ჯგუფები, რომლებიც მრავალ სამინისტროს უწევენ ზედამხედველობას. მთავარი პარტიების წევრებს, განსაკუთრებით კი სპეციალიზებული სამუშაო ჯგუფების სათავეში მყოფებს, დიდი გამოცდილება აქვთ და პატივისცემას იმსახურებენ. ისინი გავლენიანი პოლიტიკური ექსპერტები არიან და სამინისტრო ინფორმაციების ხელმისაწვდომობის პრივილეგია აქვთ (განსაკუთრებით, როდესაც პარტია მთავრობაში იმყოფება). მთავრობის მხრივ, კოალიციის არაფორმალურ კომიტეტებში ხშირად არიან მთავარი აქტორები. ამგვარად, სამთავრობო პარტიებში მყოფ საპარლამენტო პოლიტიკის ექსპერტებს დიდი გავლენის მოხდენა შეუძლიათ მთავრობის კანონმდებლობის ჩამოყალიბებაზე.

მთავრობის გავლენის ამგვარი მექანიზმები საპარლამენტო პოლიტიკის მეშვეობით მთავრობაში მყოფი პარტიების გზით ეფექტურია, მაგრამ დიდწილად საპარლამენტო კომიტეტებსა და სამინისტრო სამსახურებშია მიჩქმალული (Saalfeld, 2000a). ოპოზიციაში მყოფ პარტიებს გადამწყვეტი როლი აქვთ გადაწყვეტილების მიღების გამჭვირვალობის გარკვეული დონის უზრუნველყოფაში. სხვა პარლამენტებთან შედარებით, ბუნდესტაგში მყოფ ოპოზიციურ პარტიებს თავიანთ განკარგულებაში საპარლამენტო კონტროლის შთამბეჭდავი ინსტრუმენტების „არსენალი" აქვთ (შეკითხვები ან ინტერპელაციები), რომელთა გამოყენება მათ საჯაროდ შეუძლიათ ბუნდესტაგში მთავრობის მიმართ სიფხიზლის გამოსაჩენად. ბუნდესტაგის რეგლამენტისთვის დამახასიათებელია ის, რომ ამ ინსტრუმენტების უმრავლესობა თითოეულმა საპარლამენტო პარტიამ (პატარა პარტიებმაც კი) ან დეპუტატთა თითოეულმა ჯგუფმა შეიძლება მოითხოვოს, რომლის შემადგენლობა საპარლამენტო პარტიის ეკვივალენტურია ბუნდესტაგის რეგლამენტის დეფინიციით (ბუნდესტაგის წევრთა მთლიანი შემადგენლობის 5%). ამ შემზღუდველი პირობების ძირითადი შედეგია ის, რომ უმრავლესობას (სამთავრობო) ბუნდესტაგის პლენარული სესიების დღის წესრიგის გაკონტროლების ნაკლები შესაძლებლობა აქვს, ვიდრე უმრავლესობის მთავრობების სისტემების ბევრ შემთხვევაში მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოსა ან საფრანგეთში (Döring, 1995: 225) ამგვარად, თეორიაში საპარლამენტო ოპოზიციას გერმანიაში შედარებით ფართო შესაძლებლობები აქვს პლენარულ სხდომებზე მთავრობისთვის წინააღმდეგობის გასაწევად.

ცხრილი №4: საპარლამენტო საქმიანობა გერმანიაში 1949-2005 წწ.

ბუნდესტაგის ლეგისლატურა	საპარლამენტო შეკითხვები, რომლებიც ზეპირ პასუხს მოითხოვს		მთავრობისადმი მიმართული წერილობითი შეკითხვები (Grobe Anfragen)		ერთსაათიანი დებატები აქტუალურ თემაზე (Aktuelle Stunden)	
	რაოდენობა	ოპოზიციაში მყოფი პარტიების მიერ წარმოდგენილი – %	რაოდენობა	ოპოზიციაში მყოფი პარტიების მიერ წარმოდგენილი – %	რაოდენობა	ოპოზიციაში მყოფი პარტიების მიერ წარმოდგენილი – %
1949-53 წწ.	392	68,8	160	38,1	_	_
1953-57 წწ.	1 069	58,2	97	52,6	_	_
1957-61 წწ.	1 536	75,7	49	87,7	_	_
1961-65 წწ.	4 786	56,7	35	68,6	2	50,0
1965-66 წწ.	10 733	მონაცემები არ არსებობს	11	36,4	5	40,0
1966-69 წწ.			34	35,3	12	58,3
1969-72 წწ.	11 073	64,5	31	80,6	8	100,0
1972-76 წწ.	18 497	68,9	24	75,0	20	90,0
1976-80 წწ.	23 467	64,1	47	70,2	9	100,0
1980-83 წწ.	12 069	60,6	32	75,0	6	66,7
1982-83 წწ.	2 315	64,0	0	-	6	100,0
1983-87 წწ.	22 864	65,9	175	84,6	117	76,9
1987-90 წწ.	20 251	70,1	145	86,2	126	78,6
1990-94 წწ.	20 880	66,1	98	85,7	103	80,6
1994-98 წწ.	3 540	80,9	156	89,7	103	85,4
1998-2002 წწ.	3 299	94,3	101	95,1	141	81,6
2002-05 წწ.	2 550	98,9	65	100,0	71	69,0

წყაროები : Schindler (1999: 2759-2762); Feldkamp (2005: 659-662); Feldkamp (2006: 16).

შენიშვნა: მთავრობა და ოპოზიციაში მყოფი პარტიები ბუნდესტაგის ლეგისლატურების განმავლობაში შეიცვალა 1965-1969 წლებსა და 1980-1983 წლებში. ამიტომაც, თითოეული ქვეპერიოდისთვის ორი მწკრივი არსებობს.

ცხრილი №4-ში წარმოდგენილი მონაცემები გვიჩვენებს, რომ საპარლამენტო შეკითხვისა და ინტერპელაციის ზოგიერთი მეთოდი უფრო ხშირად 1980 წლიდან გამოიყენებოდა და მას ძირითადად ოპოზიციური პარტიები მიმართავდნენ. ცხრილი ასახავს ოპოზიციაში მყოფი პარტიების საპარლამენტო ინსტრუმენტების მცირე არჩევანის მონაცემებს მთავრობის პასუხისმგებლობის უზრუნველსაყოფად. მაგალითად, ბუნდესტაგის წევრებს კითხვების დასმა (წერილობით) შეუძლიათ, რომლებზეც მთავრობის წევრებმა ზეპირად უნდა გასცენ პასუხი. მათ ასევე საპარლამენტო ინტერპელაციის სხვადასხვა ფორმების მოთხოვნის (სახელდობრ, „Grobe Anfragen") შესაძლებლობა აქვთ, ისევე როგორც ხანმოკლე თემატური დებატების გამართვა აქტუალურ თემებზე („Aktuelle Stunden"). Aktuelle Stunden არის ერთსაათიანი დებატები აქტუალურ თემაზე, რომლის მოთხოვნა ბოლო მოხდენილია შესაძლებელი. Grobe Anfragen მთავრობისადმი მიმართული წერილობითი შეკითხვებია, რომლებზეც ამ უკანასკნელმა სამი კვირის ვადაში უნდა გასცეს პასუხი. ამავე დროს, ოპოზიციის მთავარი მიზანია არა თავისთავად მთავრობისგან პასუხის მიღება, არამედ თემაზე და მთავრობის პასუხზე კამათი პლენარულ სესიაზე გამართულ დებატებში.

თუმცა, ბუნდესტაგი მხოლოდ გამონაკლის გარემოებებში იყო წინააღმდეგობრივი დებატების პალატა და ჭეშმარიტად სახალხო „ერის ფურუმი." ჩვეულებისამებრ, აღმასრულებელი ხელისუფლების გასაკონტროლებლად ბუნდესტაგის მთავარ ინსტრუმენტებს მისი ძლიერი კომისიები წარმოადგენს, რომელთა შეკრებები ხშირულ კარს მიღმა იმართება. დღეისათვის არსებული 20 კომისიის უმრავლესობა (2007 წ.) სამთავრობო პროგრამენტაციის სრული ანარეკლია. კომისიებისთვის დაკისრებული ამოცანებიდან მხოლოდ საბიუჯეტო, საგარეო საქმეთა და ევროპულ საქმეებთან დაკავშირებული საკითხები მომდინარეობს მრავალი სამინისტროს კომპეტენციიდან. ძირითადი კანონის თანახმად, ყველა კომისიას მინისტრების დასწრების მოთხოვნის უფლება აქვს. კომისიების უმრავლესობა მინისტრებსა და ფუნქციონერებს რეგულარულად დაკითხავს თავიანთი კომპეტენციიდან მომდინარე საკითხებზე. ამგვარად, კომისიებს ასევე აქვთ აღმასრულებელი ხელისუფლების „დამკვირვებლის ფუნქცია" კანონპროექტებთან დაკავშირებული შინაარსობრივი დისკუსიებით ამ უკანასკნელთა პირველი წაკითხვის შემდეგ, საკანონმდებლო ხელისუფლების როლის დომინანტობის ტენდენციის შემთხვევაშიც. გერმანელი პარლამენტარების სამუშაო დროის ძირითადი ნაწილი კომისიებში და პარალელურ სამუშაო ჯგუფებში მუშაობას ეძღვნება თავიანთი პარტიის შიგნით. დიდ პარტიებში, პარტიის წარმომადგენლები კომისიებში ასევე პარალელური შიდა სამუშაო ჯგუფების წევრები არიან. ამ ორმაგი მონაწილეობის მიზანია იმის უზრუნველყოფა, რომ პარტიის დელეგატებმა ბუნდესტაგის კომისიებში თავიანთ თანამოაზრეებს ინფორმაცია გაუზიარონ (Saalfeld, 2000a : .28-9).

საარჩევნო სისტემა და პარტიული სისტემა

გერმანიის საარჩევნო სისტემა ხშირად შერეული პროპორციული სისტემის არქიტიპად განიხილებოდა. ბუნდესტაგი ოთხი წლის ვადითაა არჩეული. თითოეული ამომრჩევლის განკარგულებაშია ორი ხმა. პირველი ხმა კანდიდატისთვისაა განკუთვნილი, მეორე კი ფედერალური მიწისთვის დადგენილი სიისთვის, რომელშიც ხმის მიცემა ერთ-ერთი პარტიის გარშემო მიმდინარეობს. ფედერალური საარჩევნო კოდექსის თანახმად, ბუნდესტაგის წევრთა არანაკლებ ნახევარი უნინომინალური მაჟორიტარული სისტემითაა არჩეული. პროპორციული არჩევნები უმაღლეს დონეზე ტარდება, რომლის დროსაც 299 დამატებითი დეპუტატია არჩეული ფედერალური მიწების საარჩევნო სიებით. ამავე დროს, გერმანული სისტემა არ არის აბსოლუტურად პროპორციული და დისკრიმინაციულად წარმოჩნდება პატარა და ახალი პარტიების მიმართ. პროპორციული არჩევნების ყველაზე მნიშვნელოვანი დარღვევა მისი 5%-იანი ბარიერის შემზღუდველი პირობაა, რომელიც საარჩევნო კანონშია ჩაწერილი. ამგვარად, პარლამენტში წარსადგენად საჭიროა ხმათა არანაკლებ 5%-ის მიღება ნაციონალურ დონეზე ან სამი პირდაპირი მანდატის მოპოვება (გერმანიის საარჩევნო სისტემასა და მის ევოლუციასთან დაკავშირებით უფრო დეტალური მონაცემები იხ. Nohlen (2004), Saalfeld (2005a)).

ცხრილი №5 მთავარი პარტიების საარჩევნო შედეგები გერმანიაში 1949-2005 წწ.
(მეორე ხმის მიცემის პროცენტული მაჩვენებელი)

არჩევნები	CDU/CSU	SPDPD	FDPFDP	BB'90 Grünen	PDS	სხვები
1949 წ.	31,0	29,2	11,9			27,8
1953 წ.	45,2	28,8	9,5	_	_	16,5
1957 წ.	50,2	31,8	7,7	_	_	10,3
1961 წ.	45,3	36,2	12,8	_	_	5,7
1965 წ.	47,6	39,3	9,5	_	_	3,6

1969 წ.	46,1	42,7	5,8	_	_	5,5
1972 წ.	44,9	45,8	8,4	_	_	0,9
1976 წ.	48,6	42,6	7,9	_	_	0,9
1980 წ.	44,5	42,9	10,6	1,5	_	0,5
1983 წ.	48,8	38,2	7,0	5,6	_	0,5
1987 წ.	44,3	37,0	9,1	8,3	_	1,4
1990 წ.	43,8	33,5	11,0	3,8	2,4	5,4
1994 წ.	41,4	36,4	6,9	7,3,	4,4	3,6
1998 წ.	35,1	40,9	6,2	6,7	5,1	5,9
2002 წ.	38,5	38,5	7,4	8,6	4,0	3,0
2005 წ.	35,2	34,2	9,8	8,1	8,7	4,0

წყაროები : Forschungsgruppe Wahlen (2000 : 141) ; Clemens and Saalfeld (2006 : 336)
შემოკლებები: *PDS:დემოკრატიული სოციალიზმის პარტია (2005: Linke„PDS"); B'90/Greens:Bündis '90/Die Grünen;მწვანეები; FDP:თავისუფალ დემოკრატთა პარტია; CDU:გერმანიის ქრისტიან-დემოკრატთა კავშირი; CSU:ბაიერნის ქრისტიან-სოციალური კავშირი.*

საარჩევნო კანონის შემქმნელების განზრახვის შესაბამისად, რომელთაც ლეგიტიმურობის მნიშვნელოვანი დონის შენარჩუნება სურდათ პარტიული ნიშნით მიმხრობის ფრაგმენტაციის რისკის გარეშე, რაც ვაიმარის რესპუბლიკის თანმხლები იყო, 5%-იანმა ბარიერმა საგრძნობლად შეუწყო ხელი პარტიული სისტემის კონცენტრაციას 1950-იან წლებში. აღნიშნულმა ზოგიერთ პატარა ანტიდემოკრატიულ პარტიას ხელი შეუშალა ნაციონალური საპარლამენტო წარმომადგენლობის მიღწევაში თუმცა, სავსებით არ ჩაუხშია შეჯიბრი, რასაც მწვანეთა პარტიისა (1980 წლიდან) და PDS-ის (1990 წლიდან) მაგალითი ცხადყოფს (იხ. ტაბულა №5). გერმანიის საარჩევნო სისტემა „პერსონალური ხმის მიცემის" შესაძლებლობას იძლევა და იმპულსს აძლევს იმგვარ ხმის მიცემას, რომელიც ამომრჩეველს ხმის „გაყოფის" საშუალებას აძლევს პირველ ხმის მიცემასა – ოლქის კანდიდატისთვის განკუთვნილი – და მეორე ხმის მიცემას შორის. ტაქტიკურმა ამომრჩევლებმა სხვა პარტიას შეიძლება მისცენ ხმა და არა პირველი ხმის მიცემის დროს არჩეული კანდიდატის პარტიას. ამომრჩევლები „ბიულეტენის გაყოფის" ამ შესაძლებლობას იყენებენ თავიანთი პრეფერენციების გამოსახატავად სპეციფიკურ კოალიციებთან მიმართებაში ერთ-ერთ დიდ პარტიასა და ერთ-ერთ პატარა პარტიას შორის.

ტაბულა №6 გეგმანიის მთავრობები 1949-2005 წწ.

მთავრობა	მთავრობაში მყოფი პარტიები	დასაწყისის თარიღი[1]	ხანგრძლივობა[2] (დღეებში)
ადენაუერი I	CDU/CSU-FDP-DP	15.09.1949 წ.	1 452
ადენაუერი II	CDU/CSU-FDP-DP-GB/BHE	09.10.1953 წ.	652
ადენაუერი III	CDU-CSU-FDP-DP	23.07. 1955 წ.	217
ადენაუერი IV	CDU/CSU-DP-DA/FVP	25.02. 1956 წ.	568
ადენაუერი V	CDU/CSU-DP	22.10. 1957 წ.	984
ადენაუერი VI	CDU/CSU	02.07.1960 წ.	442
ადენაუერი VII	CDU/CSU-FDP	07.11.1961 წ.	377
ადენაუერი VIII	CDU/CSU-FDP	19.11. 1962 წ.	24
ადენაუერი IX	CDU/CSU-FDP	13,12, 1962 წ.	307
ერჰარდი I	CDU/CSU	16.10. 1963 წ.	704
ერჰარდი II	CDU/CSU-SPD	20.10.1965 წ.	373
ერჰარდი III	SPD-FDP	28.10.1966 წ.	34
კისინგერი	SPD-FDP	01.12.1966 წ.	1 032
ბრანდტი I	SPD-FDP	21.10.1969 წ.	1 125

ბრანდტი II	SPD-FPD	14.12.1972 წ.	518
შმიდტი I	SPD-FDP	16.05.1974 წ.	898
შმიდტი II	SPD-FDP	15.12.1976 წ.	1 390
შმიდტი III	SPD-FDP	05.11.1980 წ.	681
შმიდტი IV	SPD	17.09.1982 წ.	14
კოლი I	CDU/CSU-FDP	01.10.1982 წ.	156
კოლი II	CDU/CSU-FDP	29.03.1983 წ.	1 398
კოლი III	CDU/CSU-FDP	11.03.1987 წ.	1 329
კოლი VI	CDU/CSU-FDP-DSU	30.10.1990 წ.	33
კოლი V	CDU/CSU-FPD	17.01.1991 წ.	1 368
კოლი VI	CDU/CSU-FDP	15.11.1994 წ.	1 412
შროდერი I	SPD-ალიანსი'90/მწვანეები	27.10.1998 წ.	1 390
შროდერი II	SPD-ალიანსი'90/მწვანეები	22.10.2002წ.	1 060
მერკელი	CDU/CSU-SPD	22.11.2005 წ.	

წყაროები: Saalfeld (2000b: 52); Feldkamp (2005:277); Thaysen (2006: 602).

1. ფედერალური კანცლერის არჩევა

2. მთავრობის ფუნქციონირების ხანგრძლივობა გამოთვლილია მთავრობის ფუნქციის დაწყებასა და მანდატის აღსრულების ბოლო დღეს შორის არსებული დროის მიხედვით.

შემოკლებები ცხრილისთვის №5-ის ანალოგიურია, რომელთაც ემატება: *DP: გერმანიის პარტია; GB/BHE: საერთო გერმანული ბლოკი/ სამშობლოსა და უფლებაწართმეულთა კავშირი; FVP: ლიბერალური სახალხო პარტია; DSU: გერმანიის სოციალური კავშირი.*

1949-1956 წლებში შემოტანილი საარჩევნო კანონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანი სამართლიანი და ეფექტიმური სისტემის განვითარება იყო, რომელიც გვერდს აუვლიდა ვაიმარის რესპუბლიკის ძირითად პრობლემებს, პარტიული სისტემის ფრაგმენტაციასა და სამთავრობო არასტაბილურობას. ეს მიზანი მიღწეული იქნა. 1950-1960-იან წლებში ფედერაციული რესპუბლიკის პარტიული სისტემის კონცენტრაციის შემდეგ (იხ. ცხრილი №5) სამთავრობო სტაბილურობა შედარებით გაიზარდა, თუკი შედარებას საერთაშორისო დონეზე გავაკეთებთ (შედარებითი მონაცემებისთვის იხ. Saalfeld, 2007). 1950-იანი წლების ეფემერული მთავრობების დროსაც კი (იხ. ცხრილი №6), არასტაბილურობა ძირითადად CDU-/CSU-ს წარმატების შედეგი იყო, როგორც დომინანტური პარტიისა, რომელმაც ხელისუფლების შენარჩუნება უწყვეტლივ 1969 წლამდე შეძლო. არასტაბილურობა ძირითადად პატარა კონსერვატორული პარტიების დეზინტეგრაციიდან მომდინარეობდა, რომლებმაც მთავრობები ჩამოაყალიბეს CDU/CSU-თან ერთად (Saalfeld, 2000b).

CHECKS AND BALANCES (კონტროლისა და ბალანსის სისტემა)

„ნახევრად სუვერენულ" გერმანულ სახელმწიფოს (Katzenstein, 1987; Green and Paterson, 2005) ძლიერი ინსტიტუციონალური კონტროლი ახასიათებს პარლამენტებსა და მთავრობებზე, როგორც ნაციონალურ, ისე რეგიონალურ დონეზე. ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ამ სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტია. მას სამართლებრივი კონტროლის ფართო უფლებამოსილებები აქვს. მოსამართლეები ინიშნებიან ერთი 12 წლიანი მანდატით ან საპენსიო ასაკამდე, რომელიც 68 წლამდეა დადგენილი. ფედერალურ მთავრობას არა აქვს სრული კონტროლი ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნაზე. ბუნდესტაგის სელექციის კომისია (რომელშიც მთავრობა ხმების უმრავლესობას აკონტროლებს) ირჩევს მხოლოდ 16-დან 8 მოსამართლეს, ბუნდესრატი კი დარჩენილ ნახევარს. ამავე დროს, ამ სასამართლოში კანდიდატების ასარჩევად, მათ პარლამენტის ორივე პალატის ორი მესამედის უმრავლესობამ უნდა დაუჭიროს მხარი. იმის გამო, რომ მოსამართლეები მთავარ პოლიტიკურ პარტიებს შორის მოლაპარაკებების შედეგად ინიშნებიან, ისინი ვერ იქნებიან არჩეულნი ფართო მხარდაჭერის მოპოვების გარეშე და ნაკლებად სავარაუდოა, რომ მათ რომელიმე პარტიის აგენტის მსგავსად იმოქმედონ. მოსამართლეებს სწრაფი კოოპტაციის ტენდენცია ახასიათებთ აღნიშნული სასამართლოს ნორმების თანახმად, და იმ პარტიებისგან დამოუკიდებლად მოქმედებენ, რომლებმაც ისინი აირჩიეს.

საკონსტიტუციო სასამართლო არაა სააპელაციო სასამართლო სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებში, ის კონსტიტუციურობის გარანტია ინდივიდუალურ თავისუფლებათა და სამოქალაქო უფლებათა დაცვის სფეროში. ამ სასამართლოს იმ მოქალაქეებისა ან ორგანიზაციების მიერ შემოტანილი საკონსტიტუციო სარჩელების განხილვა შეუძლია, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მათი კონსტიტუციური უფლებები შეილახა. ის ასევე ჰორიზონტალური კონფლიქტების არბიტრია ფედერალური სახელმწიფოს ინსტიტუტებს შორის, ფედერალურ სახელმწიფოსა და ფედერალურ მიწებს შორის, სხვადასხვა ფედერალურ მიწებსა და სხვადასხვა სასამართლოებს შორის. გარდა ამისა, „ნორმის აბსტრაქტული შემოწმების" წარმმართველი წესების თანახმად, ფედერალურ მთავრობას, ფედერალური მიწის მთავრობას ან ბუნდესტაგის წევრთა არანაკლებ ერთი მესამედისგან შემდგარ ჯგუფს, შეუძლია საკამათო გახადოს ნებისმიერი მიღებული კანონის კონსტიტუციურობა ფედერალურ ან ფედერალური მიწის დონეზე, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ეს არაა დაკავშირებული კანონის გამოყენებიდან გამომდინარე განსაკუთრებულ შემთხვევასთან.

მთავრობის გაკონტროლების მეორე მნიშვნელოვან ძალაუფლებას ფედერალური ბანკი (Bundesbank) წარმოადგენს. ტრადიციულად, ის სარგებლობდა „ავტონომიის იმგვარი ხარისხით ფედერალური მთავრობისა და კერძო ინტერესთა ჯგუფების პირისპირ, რომელიც ბევრად აღემატებოდა ინსტიტუციონალური მოწყობის ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იაპონია და შვედეთი" (Katzenstein, 1970 : 60). ბუნდესბანკმა მთავრობის მთლიან ეკონომიკურ პოლიტიკას უნდა დაუჭიროს მხარი, მაგრამ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს პოლიტიკა ხელს არ უშლის ვალუტის დაცვის მის ძირითად კანონიერ ვალდებულებას. ბუნდესბანკის უფლებამოსილებები ჰიპერინფლაციასთან მიმართებაშია გამოხატული, რომელსაც გერმანიაში 1923 წელს ჰქონდა ადგილი და დამანგრეველი შედეგები იქონია გერმანული საზოგადოების ეკონომიკურ და სოციალურ ქარგაზე ორ მსოფლიო ომს შორის არსებულ პერიოდში. ევროპის მონეტარული კავშირის შექმნასთან ერთად, ფედერალური ბანკის პროცენტების დადგენის უფლებამოსილებები პრაქტიკულად ევროპის ცენტრალურ ბანკს გადაეცა, რომელიც დამატებით შეზღუდვებს აწესებს ევროპის მონეტარული გაერთიანების ყველა წევრი-სახელმწიფოს ეკონომიკურ და სოციალურ პოლიტიკაზე. დამოუკიდებელი ცენტრალური ბანკების მიმართ კრიტიკა ხშირად პასუხისმგებლობის ნაკლებობაზეა ფოკუსირებული დემოკრატიულად არჩეული პოლიტიკური პასუხისმგებელი პირების წინაშე. ამავე დროს, ბუნდესბანკის წარმატებამ ვალუტის დამცველის როლში მას სახალხო ლეგიტიმურობა მიანიჭა მიუხედავად მისი ტექნოკრატიული ხასიათისა. გარდა ამისა, დამოუკიდებელი ცენტრალური ბანკები მნიშვნელოვანი მექნიზმები გახდნენ ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების გამჭვირვალობის გაუმჯობესების საქმეში, ისინი საზოგადოებას სარწმუნო ექსპერტიზით უზრუნველყოფენ, რომელიც მთავრობისგან დამოუკიდებლად ხორციელდება (Bernhard, 1998 : 314).

ევროკავშირის წევრობა მნიშვნელოვანი შეზღუდვაა გერმანიის საპარლამენტო დემოკრატიის ყველა დონეზე. ევროპული პოლიტიკის შემუშავება მნიშვნელოვან სამთავრობოთაშორისო მოლაპარაკებებს მოითხოვს, რამაც დემოკრატიული ლეგიტიმურობის დაკარგვა შეიძლება გამოიწვიოს სახალხო მონაწილეობასთან, გამჭვირვალობასა და დემოკრატიულ პასუხისმგებლობასთან მიმართებაში („დემოკრატიის დეფიციტი"). ინფორმაციის ასიმეტრიულობა ფედერალურ მთავრობასა და ბუნდესტაგს შორის ჩვეულებისამებრ, უფრო დიდია ევროპული საქმეების კუთხით, ვიდრე უშუალოდ შიდა საკითხებში, რაც ართულებს ბუნდესტაგის მხრიდან მთავრობისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას ამ უკანასკნელის როლისთვის გარკვეული პოლიტიკის ჩამოყალიბებაში ევროკავშირის დონეზე (Saalfeld, 2000a). საპარლამენტო ინფორმაციის პრობლემები გარკვეულწილად შემცირდა 1992 წლის კონსტიტუციური შესწორებით, რომელსაც სისტემაში მოჰყავს ევროპულ საქმეებთან დაკავშირებული ბუნდესტაგისა და ბუნდესრატის ინფორმაციის უფლებები და 1994 წელს ბუნდესტაგში (იხ. ქვემოთ) ევროპული საქმეების ახალი კომისიის შექმნით.

ბოლოდროინდელი საკონსტიტუციო დებატები და რეფორმები

მიუხედავად იმისა, რომ ძირითად კანონში 190-ჯერ იქნა შეტანილი შესწორებები მის საჯაროდ გამოცხადებასა და 1998 წლის ზაფხულს შორის არსებულ პერიოდში (Busch, 2000 : 445), კონსტიტუციის არსი – ფუნდამენტური უფლებები და სამოქალაქო თავისუფლებები და გერმანიის, როგორც ფედერაციული და შერეული ეკონომიკის მქონე სახელმწიფოს ხასიათი – არ იქნა მოდიფიცირებული. 1990 წელს გერმანიის გაერთიანებამ საკონსტიტუციო რეფორმების კომისიის შექმნა და ინტენსიური კონსტიტუციური დებატი გამოიწვია, რომლის შედეგად 1994 წელს მხოლოდ მოკრძალებული რეფორმები განხორციელდა. ხელახალ გაერთიანებას კონსტიტუციური წესრიგის ფუნდამენტური ცვლილება არ მოჰყოლია. ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე მიწები უბრალოდ ფედერაციულ რესპუბლიკას მიუერთდნენ.

1994 წელს განხორციელებულ ცვლილებებს შორის ხაზგასასმელია გაერთიანებასთან და გერმანიის კონსტიტუციის „ევროპეიზაციასთან" დაკავშირებული მუხლების გაუქმება. ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო „მაასტრიხტის დადგენილების" ნაწილობრივ საპასუხოდ, რომელიც ყველა ახალ ეტაპს წარმართავს ევროპულ ინტეგრაციაში დემოკრატიზაციიდან ევროპული კანონის შემუშავებამდე, 23-ე მუხლი იქნა გადასინ-

ველი: ფედერალურმა მთავრობამ კონსტიტუციური ვალდებულება აიღო ევროპულ საქმეებზე „სრული" ფორ-
მით" და „მეძლებისდაგვარად სწრაფად" ბუნდესტაგისა და ბუნდესრატის ინფორმირების თაობაზე. ძირითადი
კანონის ახალ 23-ე მუხლს, რომელსაც დღეს „ევროკავშირთან დაკავშირებულ მუხლს" უწოდებენ, სისტემაში
შემოაქვს ევროპულ საქმეებთან დაკავშირებული ბუნდესტაგისა და ბუნდესრატის უფლებამოსილებები (Saalfeld,
2003a).

2006 წლის ზაფხულში მიღებული საკონსტიტუციო შესწორებები შეიძლება ძირითადი კანონის ყველაზე
მნიშვნელოვან რევიზიად იქნეს განხილული 1949 წელს მისი ძალაში შესვლის დროიდან. რეფორმების მიზანი
იყო ნაწილობრივ მაინც, გერმანიის „კოოპერაციული ფედერალიზმის" სისტემის შემადგენელი „შრეების განცალ-
კევება" (Reutter, 2006 : 12). 1970-იანი წლებიდან პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღებნი და უნივერსიტე-
ტების პროფესორები გერმანიის ფედერაციული სისტემის „დაშრევებიდან" მომდინარე პოლიტიკურ არაეფექ-
ტურობასა და დემოკრატიის პრობლემებს აკრიტიკებდნენ. ამ სისტემას ხელისუფლების მკაფიო დაყოფა აკლია
ფედერაციულ სახელმწიფოსა და ფედერალურ მიწებს შორის. სამთავრობო სფეროს ურთიერთშეღწევა, რომე-
ლიც ძირითადად შეჯიბრის „ლოგიკიდან" მომდინარეობს და ფედერალური სისტემა, რომელიც მყარადაა და-
ფუძნებული მოლაპარაკებასა და თანამშრომლობაზე, დიდი ხნის განმავლობაში ფედერაციული რესპუბლიკის
პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთ პრობლემად განიხილებოდა (Scharp, 1988). როგორც ჩანს, სისტემა პოლიტი-
კური ბლოკირების რისკს ზრდის ყოველ ჯერზე, როგორც კი ფედერალური მთავრობა „პარალელურად" ბუნდეს-
ტაგის უმრავლესობას ვერ აკონტროლებს. 2006 წელს ძირითადი კანონის 84-ე მუხლში შეტანილი შესწორება
შეეხო ნაწილობრივ მაინც, განემარტება უფლებამოსილებების განაწილება ფედერაციულ სახელმწიფოსა და
ფედერაციულ მიწებს შორის. თუმცა, ეს ცვლილებები გაკრიტიკებული იქნა ამბიციების ნაკლებობის გამო. ფე-
დერალური ფისკალური სისტემის რეფორმის გადავადება რეფორმის მეორე ციკლამდე, რომელიც შემდგომში
განხორციელდება რეფორმის მთელი ლოგიკის დამანგრევლად განიხილება, რამდენადაც ფედერალური მიწების
დადასაბადები კვლავაც ძლიერაა დამოკიდებული ფედერალურ კანონმდებლობაზე (რომლის წინააღმდეგ მათ
ფუძის დაპირისპირება შეუძლიათ ბუნდესრატში) (Scharpf, 2006)

შემაჯამებელი

გერმანიის კონსტიტუცია და პოლიტიკური სისტემა სიღმისეულადაა განპირობებული სტაბილურობის
ფასეულობით. ეს მიზანი ქვეყნის ისტორიის პირდაპირი შედეგია, რომელიც აღინიშნა პოლიტიკური და ეკონომი-
კური არასტაბილურობით, ისევე როგორც ომითა და დიქტატურით XIX საუკუნესა და XX საუკუნის პირველ
ნახევარში. ამ წესრიგის საფუძვლები ძალზე მყარი დარჩა 1949 წელს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის
დაარსების დღიდან. 1990 წელს გერმანიის ხელახალი გაერთიანების „შოკსაც" კი კონსტიტუციის მნიშვნელოვანი
დებულებები არ გამოუწვევია მიუხედავად იმისა, რომ გაისმოდა კრიტიკა სტაბილურობაზე აქცენტის გაკეთებას-
თან მიმართებაში – მთავრობის შემზღუდველი *კონტროლისა* და *ბალანსის სისტემის* დამყარებით. აღნიშნულს
შეეძლება პოლიტიკური ბლოკირება და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღებთა უუნარობა გამოეწვია ეკ-
ონომიკური და სოციალური წესრიგის ადაპტაციის კუთხით გლობალიზებული ეკონომიკის ძალზე ცვალებად
სიტუაციებთან. 2005 წელს ორი მთავარი პარტიის გაერთიანების შედეგად შექმნილმა „დიდმა კოალიციამ", საკ-
მარისი უმრავლესობა მიიღო ორივე საკანონმდებლო პალატაში გერმანიის ფედერალური სისტემის პირველი
რეფორმის დასაწყებად, რომელსაც ხშირად ბლოკირების ცენტრად განიხილავენ. მომავალი გვიჩვენებს აქვს თუ
არა ამ მთავრობას რეფორმების გატარების პოლიტიკური ნება.

ბიბლიოგრაფია

BERNHARD, William T. (1998) „A political Explanation of Variations in Central Bank Independence", in *American Political Science Review*, vol. 92, pp. 311-328.

BEYME, Klaus von (1998) *The Legislator: German Parliament as a Centre of Political Decision-making*, Aldesshot, Ashgate.

BRACHER, Karl Dietrich (1971) *Die Auflösung der Weimarer Republik : Eine Studie zum Problem des Machiverfalls in der Demokratie*, 5e édition, Düsseldorf, Droste.

BUSCH, Andreas (2000) „The Grundgesetz after 50 Years: Analising Changes in the German Constitution", *in German Politics*, vol. 9, № 1, pp.41-60.

CLEMENS, Clayton and Thomas Saalfeld (2006), :Introduction" *in German Politics.*, vol.15, № 4, pp. 335-346.

DÖRING, Herbert (1995) „Time as a Scarce Resource: Government Control of the Agenda", in Herbert Döring (ed.), *Parliaments and Majority Rule in Western Europe*, Frankfurt am Main, Campus and New York, St. Martin's Press, pp. 223-246.

FELDKAMP, Michael (2005) *Datenhandbuch zur Geschichte des Deutschen Bundestages 1994 bis 2003*, Baden-Baden, Nomos.

FELDKAMP, Michael F. (2006) „Deutscher Bundestag 1987 bis 2005: Parlaments– und Wahlstatistik", in*Zeitschrift für Parlamentsfragen*, Vol. 37, №1, pp. 3-19.

FORSCHUNGSGRUPPE Wahlen (2000) *Wahlergebnisse in Deutschland 1946-2000*, Mannheim, Forschungsgruppe Wahlen.

GREEN, Simon and William E. PATERSON, eds. (2005) *Governance in Contemporary Germany: The Semisovereing State Revisited*, Camrodge, Cambridge University Press.

GROSSER, Alfred (1995) La *République fédérale d'Allemagne, 10e édition*, Paris, Presses Universitaires de France.

GROSSER, Alfred (2002) *L'Allemagne de Berlin: Différence et Semblable*, Paris, Alvik.

JEFFERY, Charlie (2005) „Federalism: the new territorialism" in Simon Green and William E. Paterson (eds.): *Governance in Contemporary Germany: The Semisovereing State Revisited.* Cambridge, Cambridge University Press, pp. 78-93.

KATZENSTEIN, Peter J. (1987) *Policy and Politics in West Germany: The Growth of a Semisovereing State*, Philadelphia, Temple University Press.

NOHLEN, Dieter (2004) *Wahlrecht und Pateinsystem: Zur Theorie der Wahlsysteme.* Fourth edition, Opladen, Leske und Budrich.

PULZER, Peter (2006) „Germany Votes for Deadlock: The Federal Election of 2005" in *West European Politics* Vol. 29, №3, pp. 560-572.

REUTTER, Werner (2006) „Regieren nach der Föderalesmusreform", im *Aus Politik und Zeitgeschichte* 50/2006, 12-17.

RUDZIO, Wolfgang (2006) Informelle Regieren: Zum Koalitionsmanagement in*deutschen und österreichischen Regierungen*, Wiesbaden, VS Verlag für Sozialwissenschaften.

SAALFELD, Thomas (2000a)"Bureaucratisation, coordination and competition: parlamentary party groups in the German Bundestag" In: Knut Heider and Ruud Koole (eds.), *Parliamentary Party Groups in Europeen Democracies: Political parties behind closed doors.* London, Routlrdge 2000, pp. 23-38.

SAALFELD, Thomas (2000b) „Coalitions in Germany: Stble Parties, Chacellor Democracy and the Art of Informal Settlement „ In: Wolgang C, Müller and Kaare Strøm (eds.), *Coalition Government in Western Europe*, Oxford, Oxford University Press 2000, pp. 32-85.

SAALFELD, Thomas (2003a) „The Bundestag: Institutional Incrementalism and Behavioural Reticence" In: Kenneth Dyson Klaus H. Goetz (eds.), *Germany Europe, and the Politics of Constraint.* Oxford, Oxford University Press/British Academy, pp.73-96 (proceedings of the British Academy, 119).

SAALFELD, Thomas (2003b) „Germany: Miltiple Veto Points, Informel Coordination, and Problems of Hidden Action" In" Kaare Strøm, Wolfgang C. Müller and Torbjörn Bergman (eds.), *Delegation and Accountability in Parliamentary Democracies.* Oxford, Oxford University Press, pp. 347-375.

SAALFELD, Thomas (2005a) „Germany: Stability and Strategy in a Mixed-Member Proportional System" In: Michael Gallagher and Paul Mitchell (eds.), *The Politics of Electoral Systems. Oxford.* Oxford University Press, 2005, pp. 209-228.

SAALFELD, Thomas (2005b) „political Parties" In: Simon Green an William E. Paterson (eds.), *Governance in Contemprary Germany: The Semisovereing State Revisited.* Cambridge, Cambridge University Press, pp. 46-77.

SAALFELD Thomas (2007) „institutions, Chance and Choices: The Dynamics of Cabinet Survival in the Parliamentary Democracies of Western Europe (1945-1999)" In: Kaare Strøm, Wolfgang C. Müller and Torbjörn Bergman (eds.), *Cabinets and Coalition Bargaining: The democratic Life Cycle in Western Europe.* Oxford, Oxford University Press, Chapter 10 (forthcoming).

SCHARPF, Fritz W. (1988) „The Joint-Decision Trap: Lessons from German Federalism and European Integration", in *Public Administration*, 66; 239-78.

SCHARPF, Fritz W (2006) „Warum wurde so wenig erreicht?" In: *Aus Politic und Zeitgeschichte* 50/2006, 6-11.

SCHINDLER, Peter (1999) *Datenhandbuch zur Geschichte des Deutschen Bundestages 1949 bis 1994*, Baden-Baden, Nomos.

SCHMIDT, Manfred G (2003) *Political Institutions in the Federal Republic of Germany*, Oxford, Oxford University Press.

SCHRECKENBERGER, Waldemar (1994),"Informelle Verfahren der Entscheidungsvorbereitung zwischen der Bundesregierung und den Mehreitsfraktionen und Koalitionsrunden" In; *Zeitschrift für Parlamentsfragen*, vol. 25, pp. 329-346.

THAYSEN, Uwe (2206) „Regierungsbildung 2005; Merkel, Merke I. Merkel II?" In: *Zeitschrift für Parlamentsfragen*, vol. 37, №3, pp.582-610.

TSEBELIS, George and Jeanette Money (1997), *Bicameralism*, Cambridge, Cambridge University Press.

თავი VI

დანია

კრისტოფერ გრინ-პედერსენი
აზბორნ სკეველანდი

დანიის პოლიტიკური სისტემა საკმაოდ რთული გასაანალიზებელია.[75] რა თქმა უნდა, იგივეს თქმა სხვა ქვეყნებთან მიმართებაშიც შეიძლება, მაგრამ ამ ქვეყნას სპეციფიკურობების გრძელი ჩამონათვალი აქვს: კონსტიტუცია დაწერილია, კონსტიტუციური რეფორმების ამოქმედება კი რთული; თუმცა, კონსტიტუცია ნაკლებად განსაზღვრავს პოლიტიკურ სისტემას და ის ყოველთვის მოქნილი ფორმით იყო ინტერპრეტირებული. საარჩევნო სიტემა მარტივია შედეგებით, მაგრამ კომპლექსური თავისი ფუნქციონირებით. წესადაა შემოღებული უმცირესობის მთავრობები და დიდი უმრავლესობის კოალიციები. კონსტიტუციაში პოლიტიკური პარტიები გაკვრითაა ნახსენები თუმცა, ისინი დანიის პოლიტიკური სისტემის ძირითადი მამოძრავებელი ძალაა. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობასა და პარლამენტს შორის განსხვავების გაკეთება მართებულია ანალიტიკური კუთხით, პარტიული ნიშნით მიმხრობის სფერო დანიის პოლიტიკური სისტემის შესახებ უფრო ზუსტ სურათს იძლევა (cf. Andeweg and Nijzink, 1995 .). დანიის პოლიტიკური სისტემის (ან სხვა ევროპული ქვეყნების) გააზრება პარლამენტსა და მთავრობას შორის ურთიერთობების შესაბამისად, აწშ-ს კონგრესსა და პრეზიდენტს შორის არსებული ურთიერთობების მსგავსად, ინტერპრეტაციული შეცდომა იქნებოდა. მართლაც, პარლამენტი არენას წარმოადგენს იმ პარტიებისთვის, რომლებიც მთავრობას აყალიბებენ. ამგვარად, პოლიტიკური თამაში იმართება პარტიებსა და არა მთავრობასა და პარლამენტს შორის ან ცალკეულ დეპუტატებს შორის. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ინტერესთა ჯგუფები მნიშვნელოვანი აქტორებია დანიის პოლიტიკურ სისტემაში. ამ უკანასკნელთ კონსტიტუცია აშკარად კანონიერად აღიარებს, მაგრამ მათი როლის მნიშვნელობას არ ეხება. მიუხედავად სისტემის კომპლექსურობისა, დანიაში ხელისუფლებასა და დემოკრატიასთან დაკავშირებული ახლახან ჩატარებული კვლევის თანახმად, დანიური დემოკრატია შედარებით კარგად ფუნქციონირებს (Christiansen and Togeby, 2006).

სხვა სირთულე მომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ დანიის სამეფო გრელანდიასა და ფარერის კუნძულებს მოიცავს საკუთრივ დანიის ტერიტორიის გარდა. რა თქმა უნდა, გრელანდია ქვეყნის გეოგრაფიული ზედაპირის უდიდეს ნაწილს წარმოადგენს. თუმცა, გრელანდია და ფარერის კუნძულები ნაკლებადაა დასახლებული, მათ საკუთარი კანონები აქვთ და ისინი ევროკავშირის წევრები არ არიან. ამიტომაც (ეს წიგნი ევროკავშირის წევრი-ქვეყნების პოლიტიკურ სისტემებს განიხილავს), ყურადღებას საკუთრივ დანიაზე გავამახვილებთ.

ისტორიული გარემოებები

ისტორიულად, დანია მრავალი ეთნიკური ჯგუფის მომცველ მონარქიას წარმოადგენდა. ქვეყანამ თავის დღევანდელ ფორმას დემოკრატიზაციით მიაღწია, რომელსაც თან ახლდა ტერიტორიების დაკარგვა, რაც ძირითადათ XIX საუკუნეში მოხდა.

XIX საუკუნის დასაწყისში, დანია აბსოლუტური მონარქია იყო, სადაც მეფე დანიაზე, ნორვეგიაზე და შლეზვიგ-ჰოლშტაინზე (რომელიც დღეს გერმანული მიწაა) ბატონობდა. დანიის მონაწილეობას ნაპოლეონის ომებში შედეგად მოჰყვა ნორვეგიის შვედეთისთვის დათმობა 1814 წელს და შლეზვიგისა და ჰოლშტაინის დაკარგვა პრუსიის სასარგებლოდ 1864 წელს. ამგვარად, მიუხედავად შლეზვიგის ნაწილის დანიისთვის დაბრუნებისა 1920 წელს პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ჩატარებული რეფერენდუმის საფუძველზე, ეს საშუალო სიდიდის ევროპული ქვეყანა XIX საუკუნის დასაწყისში დღეისათვის 5 მილიონი მცხოვრებისგან შემდგარი პატარა ევროპული სახელმწიფოა.

აბსოლუტიზმი 1849 წელს პირველი ლიბერალური კონსტიტუციის მიღებით დასრულდა. ამავე დროს, დემოკრატიზაციის პროცესმა მთელი XIX საუკუნე და შემდგომი საუკუნე მოიცვა. ეს ტრანსფორმაცია ქალაქის ბურჟუაზიის ინტერესთა წარმომადგენელ მემარჯვენე პარტიასა და დამოუკიდებელ გლეხთა ინტერესების წარმომადგენელ მემარცხენე პარტიას შორის კონფლიქტის შედეგია. ამ უკანასკნელმა აბსოლუტური უმრავლესობა მოიპოვა ქვედა პალატაში (ფოლკეტინგი) და პარლამენტარიზმის დაფუძნება სურდა აღნიშნული პალატის ნების საწინააღმდეგოდ მთავრობის ქმედების თავიდან ასაცილებლად. თუმცა, მემარცხენეებმა მხოლოდ 1901 წელს შეძლეს საპარლამენტო სისტემის დამკვიდრება. აღნიშნულ დრომდე, მეფე მემარჯვენე მთავრობებს ნიშნავდა ქვედა პალატის აზრის საწინააღმდეგოდ, მაგრამ ზედა პალატის მხარდაჭერით, რომელიც განსხვავებული წე-

75 ისტორიულ კონტექსტის, საარჩევნო სისტემისა და პარტიული სისტემის აღწერა დიდწილად ეყრდნობა გრინ-პედერსენის კვლევას, Green-Pedersen, 2007.

სით იყო არჩეული. მთლიანობაში, დანიის დემოკრატიზაცია დასრულდა მაშინ, როდესაც მიღწეული იქნა ქალების არჩევნებში მონაწილეობის უფლება 1915 წელს და როდესაც 1920 წელს პარლამენტარიზმა ტრიუმფით გაიმარჯვა პარლამენტის ნების გარეშე მთავრობის გადაყენების მეფის მცდელობის პირისპირ.[76]

საარჩევნო სისტემა

1920 წელს დანიაში ასევე პარტიულ სიებზე დაფუძნებული პროპორციული წარმომადგენლობის საარჩევნო სისტემა იქნა შემოღებული. ამ ფაქტით 1915 წლიდან არსებული მაჟორიტარული სისტემის ტრანსფორმაციის დასრულება აღინიშნა. რამდენიმე უმნიშვნელო ცვლილებას სისტემის ძირითადი მახასიათებლები არ შეუცვლია (Elklit, 2002 ; 2005).

დანიაში დღეისათვის არსებული საარჩევნო სისტემა მარტივია და იმავდროულად, უაღრესად კომპლექსური: რაც შეეხება პარტიების მნიშვნელობას ადგილების მოპოვების შესაბამისად, სისტემა პროპორციულ წარმომადგენლობას ადგენს (ჰარეს კვოტის მიხედვით) პარტიების მიერ მიღებული ხმების რაოდენობასა და მათ მიერ მოპოვებულ ადგილებს შორის 2%-იანი ბარიერის გადალახვის პირობით. ამავე დროს, ამ შედეგების წარმომშობი სისტემა ბევრად კომპლექსურია და მისი ერთ-ერთი უპირატესობაა კავშირების ხელშეწყობა დეპუტატებსა და ოლქებს შორის.

მთლიანობაში, სისტემა შემდეგნაირად ფუნქციონირებს: თითოეული ამომრჩეველის განკარგულებაშია ერთი საარჩევნო ხმა, რომელიც მას შეუძლია მისცეს ან პარტიულ სიას ან რომელიმე კანდიდატს (სხვა კანდიდატებს შორის) იმ ოლქში, სადაც იგი ცხოვრობს. დანია 10 ოლქადაა დაყოფილი. ადგილების განაწილება ორ ეტაპად მიმდინარეობს. საკუთრივ დანიის პარლამენტში არჩეული 175 წევრიდან (იხ. ქვემოთ), 135 წევრი მცხოვრებთა რაოდენობის კრიტერიუმების თანახმად 10 ოლქშია გადანაწილებული. თითოეული ოლქის შიგნით ადგილები პარტიებისთვის ჰონდტის ფორმულის მიხედვითაა მიკუთვნებული. 40 საკონპენსაციო ადგილი პროპორციულობის უზრუნველსაყოფადაა გამოყენებული ნაციონალურ დონეზე. რაც შეეხება ბარიერს, ის ფაქტი, რომ ხმათა 2%-ის მიმღებ პარტიას საკომპენსაციო ადგილების მიღება შეუძლია, ყველაზე მნიშვნელოვან წესს წარმოადგენს. ჩვეულებისამებრ, ეს ნიშნავს, რომ პარლამენტში წარმოდგენილი რომელიმე პარტიისთვის მინიმუმ 4 ადგილი გარანტირებულია. კანდიდატებს ინდივიდუალურად ირჩევენ თითოეულ ოლქში პერსონალურად მიღებულ ხმათა რაოდენობის მიხედვით, ისევე როგორც პარტიის მიერ მიღებული ხმებით, რომლებიც პირადად მათ უბრუნდებათ. აღნიშნული ხდება თითოეული პარტიის მიერ სიების შედგენის ფორმის შესაბამისად მოცემულ ოლქში. უმრავლეს შემთხვევაში, კანდიდატის მიერ პერსონალურად მიღებული ხმები გადამწყვეტია მისი არჩევისთვის. ამომრჩეველთა ჩაწერა ავტომატურია და მონაწილეობა სამუალოდ 85%-ს შეადგენს საკანონმდებლო არჩევნებში (Elklit, 2002; 2005, 2006).

პარტიული სისტემა

ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესის დასრულების პერიოდში დანიის პარტიული საბაზო სისტემა უკვე არსებობდა. ორი პარტია, რომელიც დემოკრატიზაციის პროცესში დომინირებდა პოლიტიკური ცხოვრების მთავარ აქტორად დარჩა. 1915 წელს მემარჯვენეებმა თავს კონსერვატორები უწოდეს, ხოლო მემარცხენეებმა თავდაპირველი სახელი შეინარჩუნეს თუმცა, დღეისათვის ისინი ლიბერალებთან იდენტიფიცირდებიან. სოციალ-დემოკრატები პოლიტიკურ სცენაზე დემოკრატიზაციის პროცესში გამოჩნდნენ. 1884 წლიდან ეს პარტია პარლამენტშია წარმოდგენილი, მაგრამ ის მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალა მხოლოდ XX-ში გახდა. კონფლიქტი მემარცხენე და მემარჯვენე პარტიებს შორის თანდათანობით ტრადიციულმა კონფრონტაციამ შეცვალა მემარცხენეობასა და მემარჯვენეობას შორის, ერთი მხრივ, სოციალ-დემოკრატებსა, მეორე მხრივ კი, ლიბერალებსა და კონსერვატორებს შორის. 1905 წელს გამოჩნდა მემარცხენე პარტიის გაყოფის შედეგად შექმნილი ახალი პარტია: სოციალ-ლიბერალური პარტია ან „მემარცხენე რადიკალური პარტია". ეს პარტია წარმოადგენდა გლეხების, ფერმის მოიჯარეებსა და ქალაქის ინტელექტუალთა ინტერესებს და ხშირად თანამშრომლობდა სოციალ-დემოკრატებთან. ამგვარად, აღნიშნულ ეპოქაში დანიის პარტიული სისტემის ფუნდამენტური სტრუქტურა შეიქმნა. ერთი მხრივ, სოციალ-დემოკრატები და სოციალ-ლიბერალები, მეორე მხრივ კი კონსერვატორები და ლიბერალები, ძირითად ძალებს წარმოადგენდნენ ხელისუფლების დაუფლების შეჯიბრში (Elklit, 2002).

ამავე დროს, ბოლო 40 წლის განმავლობაში მრავალი ახალი პარტია შეიქმნა, რასაც პარტიული სისტემის გართულება მოჰყვა ერთი საუკუნის წინათ არსებულ მდგომარეობასთან მიმართებაში. პირველი ახალი პარტია სახალხო სოციალისტური პარტია იყო, რომელიც პარლამენტში 1960 წელს შევიდა. ეს პარტია პარლამენტში 1932 წლიდან წარმოდგენილი კომუნისტური პარტიიდან იყო გამოსული (1941-დან 1945 წლამდე მისი აკრძალვის პერიოდის გარდა) თუმცა, ეს უკანასკნელი ყოველთვის მარგინალიზებული იყო პარტიული სისტემის შიგ-

---

76 ჯონსმა (1986 წ.) საინტერესო შესავალი გაუკეთა დანიის პოლიტიკურ ისტორიას.

ნით, სახალხო სოციალისტური პარტია თავს ზომიერ მემარცხენე პარტიად წარმოაჩენდა და მას გარკვეული წარმატება ჰქონდა ელექტორატში ხმათა 6-10%-ის მოპოვებით; 1966 წლიდან 1968 წლამდე ის „წითელი კაბინეტის" სახელით ცნობილი სოციალ-დემოკრატიული უმცირესობის მთავრობის მთავრი მხარდამჭერი იყო. ამავე დროს, სოციალ-დემოკრატების მხარდაჭერის ამ პოლიტიკამ კონსენსუსი ვერ დაამყარა პარტიაში, რასაც სახალხო სოციალისტური პარტიის გაყოფა და ახალი პარტიის შექმნა მოჰყვა: მემერცხენე სოციალისტები. ამ დროიდან, დანიის პარლამენტში უმრავლეს შემთხვევაში, ერთი ან რამდენიმე მემარცხენე პარტიაა წარმოდგენილი. დღეისათვის, პარლამენტში მემერცხენე პარტიების შერწყმის შედეგად ჩამოყალიბებული წითელ-მწვანე ალიანსია წარმოდგენილი.

1973 წლის არჩევნებში, რომელიც კლასიკურად კვალიფიცირებული იქნა „შტორმულ მოზღვავებად", პარლამენტში ბევრი ახალი პარტია შევიდა. სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან გამოსულმა ცენტრის დემოკრატებმა პარლამენტში ადგილები მოიპოვეს და იქ 2001 წლამდე დარჩნენ. ზოგადად, ეს პატარა პარტია მხარს უჭერდა ლიბერალებსა და კონსერვატორებს მთავრობების ჩამოყალიბების მიზნით (იხ. ქვემოთ). 1973 წელს პარლამენტში ასევე პირველად იქნა წარმოდგენილი მეორე ცენტრისტული პარტია, ქრისტიანული სახალხო პარტია. ის პარლამენტში 2005 წლის არჩევნებამდე რჩებოდა გარდა 1994-1998 წლების პერიოდისა. უმრავლეს შემთხვევაში, ეს პარტია 2%-ზე მაღალ ბარიერს ლახავდა. თავდაპირველად, აღნიშნული პარტია დაფუძნდა აბორტისა და პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით. ცენტრის დემოკრატების მსგავსად, ის ზოგადად, მემარჯვენე ბლოკს უჭერდა მხარს.

ამავე დროს, 1973 წლის არჩევნებში მთავარი ახალი პარტია, პროგრესის პარტია (უკიდურესი მემარჯვენე) იყო, რომელიც გადასახადების მიმართ ძალზე ნეგატიური განწყობით გამოირჩეოდა. მან ხმათა დაახლოებით 15% მიიღო და მეორე ძალა გახდა პარლამენტში. თუმცა, ამ პარტიის წარმატება საგრძნობლად მერყეობდა და 1998 წლის არჩევნების შემდეგ ის აღარ იყო წარმოდგენილი პარლამენტში. აღნიშნულის მიზეზი დიდწილად შიდა კონფლიქტებიდამ მომდინარეობდა, რისი ერთ-ერთი შედეგი გახდა ახალი პარტიის, დანიის სახალხო პარტიის შექმნა. ამ პარტიის უპირატესი თემა იმიგრაციაა. 1995 წელს მან დიდი წარმატება მოიპოვა ხმათა 13,3%-ით (Pedersen, 1988, Arter, 1999, Goul Andersen, 2006). დანიის პარტიული სისტემის ევოლუციის ასაღწერად ასევე შესაძლებელია იმ ხმების წილის განხილვა, რომელსაც ოთხი დიდი ისტორიული პარტია და პარტიების რაოდენობის რყევა წარმოადგენს. 1971 წელს ოთხმა ისტორიულმა პარტიამ ხმათა 84% მოიპოვა. 1973 წლის „შტორმული მოზღვავების" პერიოდში, ეს შედეგი 58%-მდე დაეცა, მაგრამ 2005 წელს 74%-ზე ავიდა (www.ft.dk). პარტიების რაოდენობის მერყეობა ანალოგიურ ევოლუციას გვიჩვენებს. 1920 წლიდან 1973 წლამდე 4 პარტია არსებობდა; 1973 წელს ეს რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა 7 პარტიით, დღეისათვის კი 5 პარტიით (Elklit, 2006).

ცხრილი № 1: დანიის პარტიული სისტემა

პარტიის სახელწოდება	იდეოლოგიური ორიენტაცია	წარმომადგენლობა პარლამენტში 1973 წლის შემდეგ
მემარცხენე სოციალისტები *(Venstresocialisterne)*	მემარცხენე	1975-1987 წწ.
კომუნისტები *(Danmarks Kommunistiske Parti)*	მემარცხენე	1973-1979 წწ.
დანიის წითელ-მწვანე ალიანსი (Enhedslisten)	მემარცხენე	1994 წ.-
სახალხო სოციალისტური პარტია *(Socialistisk Folkeparti)*	მემარცხენე	1973 წ.-
დანიის სოციალ-დემოკრატები *(Socialdemokratene)*	სოციალ-დემოკრატია	1973 წ.-
სოციალ-ლიბერალები *(Det Radikale Venstre)*	ცენტრისტული	1973 წ.-

ცენტრის დემოკრატები *(Centrum-Demokraterne)*	ცენტრისტული	1973-2001 წწ.
ქრისტიანული სახალხო პარტია *(Kristendemokraterne)*	ცენტრისტული	1973-1994 წწ., 1998-2005 წწ.
კონსერვატორები *Konservative Folkeparti)*	მემარჯვენე	1973 წ.-
ლიბერალები *(Venstre)*	მემარჯვენე	1973
დანიის სახალხო პარტია (Dansk Folkeparti)	მემარჯვენე პოპულისტური	1995 წ.
პროგრესის პარტია *(Fremskridtspartiet)*	უკიდურესი მემარჯვენე	1973-1999 წწ.

ცხრილი № 2: პარტიების სიძლიერე პარლამენტში ადგილების რაოდენობის მიხედვით 1960 წლის, 1973 წლისა და 1981-2005 წლების არჩევნების შემდეგ. მოპოვებული ადგილები პარლამენტში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის დეპუტატებთან ერთად, რომლებიც დანიის საპარლამენტო ჯგუფს შეუერთდნენ

წელი	LS	RGA	Com	SPP	SD	SL	CD	CPP	Lib	Con	DPP	PP	სხვები	ჯამი
1960 წ.	-	-	-	11	76+1	11	-	-	38+1	32	-	-	9	179
1973 წ.	-	-	6	11	46+1	20	14	7	22	16	-	28	8	179
1981 წ.	5	-	-	21	59+1	9	15	4	20+1	26	-	16	2	179
1984 წ.	5	-	-	21	56+1	10	8	5	22+1	42	-	6	2	179
1987 წ.	-	-	-	27	54+2	11	9	4	19	38	-	9	6	179
1988 წ.	-	-	-	24	55+1	10	9	4	22+1	35	-	16	2	179
1990 წ.	-	-	-	15	69+2	7	9	4	29+1	30	-	12	1	179
1994 წ.	-	6	-	13	62+1	8	5	-	42+2	27+1	-	11	1	179
1998 წ.	-	5	-	13	63+1	7	8	4	42+1	16+1	13	4	1	179
2001 წ.	-	4	-	12	52	9	-	4	56+1	16	22	-	3	179
2005 წ.	-	6	-	11	47	17	-	-	52	18	24	-	4	179

წყარო: Skjæveland 2003, *Yearbook of the Danish Parliament 2001/02* and www.ft.dk.

პარტიები

LS მემარცხენე სოციალისტები *(Venstresocialisterne)*
Com კომუნისტები *(Danmarks Kommunistiske Parti)*
RGA დანიის წითელ-მწვანე ალიანსი *(Enhedslisten)*
SPP სახალხო სოციალისტური პარტია *(Socialistisk Folkeparti)*
SD სოციალ-დემოკრატიული პარტია *Socialdemokraterne)*
SL სოციალ-ლიბერალები *(Det Radikale Venstre)*
CD ცენტრის დემოკრატები *(Centrum-Demokraterne)*
CPP ქრისიტიანული სახალხო პარტია *(Kristendemokraterne)*
Lib ლიბერალური პარტია *(Venstre, Danmarks liberale Parti)*
Con კონსერვატორები *(Det konservative Folkeparti)*
DPP დანიის სახალხო პარტია *(Dansk Folkeparti)*
PP პროგრესის პარტია *(Fremskridtspartiet)*

სხვა პარტიები

ერთიანი გადასახადის მომხრე პარტიები *(Retsforbunder)*
საერთო არჩევანი *(Fælles Kurs)*
დამოუკიდებლები (De Uafhængige – პარტია) და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის საპარლამენტო ასამბლეის დეპუტატები, რომელბიც დანიის საპარლამენტო ჯგუფში არ გაერთიანდნენ.

თუკი დღევანდელ ელექტორატს გადავხედავთ, კლასიკური სოციალურ-ეკონომიკური განზომილება კვლავაც მნიშვნელოვანი რჩება, მაგრამ ასევე შთამბეჭდავია ფორმაციასა და განათლებაზე დაფუძნებული ახალი განზომილება, რომელიც საპირისპირო პოზიციებში ვლინდება ისეთ საკითხებთან მიმართებაში, როგორიცაა კანონი და წესრიგი, დევნილები და იმიგრაცია, განვითარების ხელშეწყობა და გარემოს დაცვა. რაც შეეხება კლასიკურ დაყოფას, წითელ-მწვანე ალიანსის ამომრჩევლები პოლიტიკური საჭადრაკო დაფის ყველაზე მემარცხენე პოზიციებზე დგანან, ლიბერალური პარტიის ("მემარცხენე") ამომრჩევლები კი ამ დაფის ყველაზე მემარჯვენე პოზიციებზე. ახალ დაყოფასთან მიმართებაში შეიძლება ითქვას, რომ წითელ-მწვანე ალიანსის ამომრჩევლები კვლავაც ყველაზე მემარცხენეები არიან, მაშინ როდესაც დანიის სახალხო პარტიის ამომრჩევლები ყველაზე მემარჯვენეები (ე. ი. მკაცრი შეზღუდვების მომხრეები იმიგრაციის სფეროში). მემარცხენე და მემარჯვენე განზომილება საკმარისია პარლამენტში პარტიების მიერ კენჭისყრის ქცევის გასაანალიზებლად კანონებთან მიმართებაში. ამ შემთხვევაშიც, წითელ-მწვანე ალიანსი ყველაზე მემარცხენეა, შემდეგ მოდის სახალხო სოციალისტური პარტია, სოციალ-დემოკრატები, სოციალ-ლიბერალური პარტია, ლიბერალური პარტია და კონსერვატორები (ორი უკანასკნელი პარტია სამთავრობო პარტიაა და ერთად უყრის კენჭს). სპექტრის უკიდურეს მემარჯვენე პოზიციაშია დანიის სახალხო პარტია (Skjæveland, 2005). სხვაგვარად რომ ვთქვათ, დანიის პარტიული სისტემა შყარ ხუთ სეგმენტათაა დაყოფილი: სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან ერთად მემარხენე პოზიციებზე მდგომი სოციალ-დემოკრატები და ცენტრის პარტიები და ორი ბურჟუაზიული პარტია (ლიბერალები და კონსერვატორები), ასევე დანიის სახალხო პარტია.

პოლიტიკური ინსტიტუტები

დედოფალი მარგარეტ II ქვეყნის მონარქია 1973 წლიდან და მას მხოლოდ ცერემონიალური უფლებამოსილებები აქვს. ფორმალურად, იგი მთავრობის ფორმირების პროცესშია ჩართული და სახელმწიფო საბჭოს სხდომებს (მთავრობის ფორმალური შეკრებები) თავჯდომარეობს. ამავე დროს, დედოფალს ძალზე მცირე პოლიტიკური გავლენა აქვს, თუკი ის საერთოდ გააჩნია. მთავრობა მინისტრების ხელშია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველა გადაწყვეტილება მინისტრების ინდივიდუალურ ნებაზეა დამოკიდებული. პრემიერ-მინისტრი მთავრობის კოორდინირებაში ძირითად როლს თამაშობს, ხოლო მინისტრები ერთმანეთში წინასწარ თანხმდებიან კომიტეტებსა და სემინარებზე. ის ფაქტი, რომ პრემიერ-მინისტრს მინისტრების გადაყენება შეუძლია ასევე აძლიერებს მის ძალაუფლებას (cf, Arter, 2004).

დანია საპარლამენტო დემოკრატიაა ნეგატიური პარლამენტარიზმით: მთავრობა უნდა გადადგეს თუკი მის წინააღმდეგ უნდობლობას ეყრება კენჭი (1953 წლის კონსტიტუცია: § 15). ნეგატიური პარლამენტარიზმი 1901 წელს იქნა მიღებული, მაგრამ ის არ იქნა ჩართული 1953 წლის კონსტიტუციაში. ამ შესწორებამ ასევე პარლამენტის ზედა პალატა გააუქმა, რის შემდეგაც ფოლკეტინგი და მისი 179 წევრი – გრელანდიასა და ფარერის კუნძულებს ორ-ორი წარმომადგენილი ჰყავთ – დანიის პარლამენტის ერთ პალატაში გაერთიანდა. ფოლკეტინგის უმრავლესობით უნდობლობის გამოცხადებას კენჭი ეყარა 1909 წელს, 1947 წელსა და 1975 წელს. კენჭისყრის ფორმულირება მხოლოდ 1909 წელს არ იყო სრულიად ნათელი (Skjæveland, 2003 : 37). ამგვარად, მთავრობის მიმართ უნდობლობის გამოცხადებას იშვიათად აქვს ადგილი. თუმცა, თავად მისი არსებობა მნიშვნელოვანია, რადგან ის პარლამენტის მიერ მთავრობის გაკონტროლების სხვა მექანიზმებს უდევს საფუძვლად (საპარლამენტო შეკითხვები, ინტერპელაციები. ცალკე გამოსაყოფია საპარლამენტო კომისიების მნიშვნელოვანი მუშაობა). ის ასევე საგულისხმოა მთავრობის ფორმირების პროცესისთვის, რადგან ვერც ერთი მთავრობა ვერ შედგება თუკი მას შეიძლება უნდობლობის გამოცხადების საფრთხე დაემუქროს (Damgaard, 2000 : 237). მეორე მხრივ, პრემიერ-მინისტრს პარლამენტის დაშლისა და არჩევნების ჩატარების მოთხოვის უფლება აქვს. არჩევნები ყველაზე ხშირად კონსტიტუციით დადგენილი ოთხწლიანი ვადის დასრულებამდე ტარდება, როდესაც პრემიერ-მინისტრი მიიჩნევს, რომ საარჩევნო შეჯიბრში ეს მთავრობის ინტერესებს მოემსახურება (Damgaard, 2000 : 253-258).

როგორც ავღნიშნეთ, არსებობს საპარლამენტო კონტროლის მრავალი მექანიზმი მაგალითად, ინტერპელაციები და მინისტრისთვის კითხვების დასმა. ეს მექანიზმები თითქმის ექსკლუზიურად ოპოზიციის მიერაა გამოყენებული, როგორც ამას ტაბულა №4 გვიჩვენებს. ამ შეკითხვების რაოდენობა, კერძოდ კი მინისტრისთვის დასმული კითხვების რაოდენობა, ბოლო ათწლეულის მანძილზე გაიზარდა. იგივე ხდება სხვა ევროპულ ქვეყნებშიც (Green-Pedersen, 2005). გარდა ამისა, 25 მუდმივი კომისია კანონპროექტებს განიხილავს და მთავრობას აკონტროლებს. ევროპულ საქმეთა კომისიამ თავისი თანხმობა უნდა გამოთქვას დანიის მთავრობის პოზიციებზე აღნიშნულ სფეროში ამ უკანასკნელის მიერ მოლაპარაკებების დაწყებამდე.

შეიძლება ითქვას, რომ ანალიტიკური განსხვავების გაკეთება აღმასრულებელ კორპუსსა და საკანონმდებლო კორპუსს შორის აზრს მოკლებული არაა დანიის პოლიტიკური სისტემის გასაგებად. ამავე დროს, პარლამენტარიზმი მჭიდრო კავშირს აყალიბებს მთავრობასა და პარლამენტს შორის. გარდა ამისა, პარტიები მთავარი აქტორები არიან პარლამენტში და ზოგიერთი მათგანი მთავრობას აყალიბებს. ამგვარად, აუცილებელია პარლამენტის პოლიტიკურ არენად განხილვა. პარტიები აყალიბებენ და შლიან მთავრობებს; ისინი კანონმდებლო-

ბის შემუშავებაში იღებენ მონაწილეობას (ზოგიერთი მათგანი სამთავრობო პარტიებია, რომელებიც პირდაპირ არიან დაშვებულნი სახელმწიფო ბიუროკრატიაში). საპარლამენტო კომისიების წევრები მოქმედებენ როგორც თავიანთი პარტიის წარმომადგენელი ექსპერტები. ეს ნიშნავს, რომ აღნიშნული კომისიები უფრო მეტად არენას წარმოადგენენ, ვიდრე ცალკე მდგომ აგენტებს; რეალობაში, როგორც ჩანს, საპარლამენტო საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილი პარტიებს შორის შერჯიბრითაა განპირობებული; დეპუტატები სვამენ შეკითხვებს, რომლებიც საკუთარი პარტიისთვისაა ხელსაყრელი, თუკი ეს კითხვები დღის წესრიგის თავში იქნება დაყენებული (Green-Pedersen, 2005 .).

მთავრობის ფორმირება

დანიისთვის უმცირესობის მთავრობების არსებობა ხშირი პრაქტიკაა. დღეს მოქმედი მთავრობა (2007 წლის მაისი) ლიბერალური პარტიისა და კონსერვატორებისგან შემდგარი უმცირესობის მთავრობაა. უმცირესობის მთავრობების არსებობის დიდი სიხშირე ძირითადად, ნეგატიური პარლამენტარიზმითა და ინვესტიტურის არარსებობით აიხსნება. მთავრობის ფორმირება უცილობლად არ მოითხოვს პარლამენტის უმრავლესობის მხარდაჭერას. როგორც უკვე ავღნიშნეთ, კონსტიტუცია უბრალოდ აზუსტებს, რომ მთავრობას არ შეუძლია ფუნქციების შესრულება პარლამენტის მხრიდან უნდობლობის კენჭისყრის შესაძლებლობის შემთხვევაში (Bergman, 1993 ; 1995).

დანიის მთავრობების ფორმირების გასაგებად მართებულია ერთგანზომილებიანი მოდელის გაანალიზება. ჩვეულებისამებრ, სოციალ-დემოკრატებს მემარცხენე პარტიების მხარდაჭერა აქვთ, ლიბერალებსა და კონსერვატორებს კი დანიის სახალხო პარტიის (მემარჯვენე მიმართულების). რაც შეეხება ცენტრის პარტიებს, ისინი თავიანთ მხარდაჭერას ამ ორი ბლოკიდან ერთ-ერთს უცხადებენ.

1953 წლიდან, როდესაც დანიამ თავისი კონსტიტუცია მიიღო და 1968 წლამდე, მემარცხენე ბლოკის სოციალ-დემოკრატიული პარტია ხელისუფლების სათავეში იმყოფებოდა მარტო ან სოციალ-ლიბერალურ პარტიასთან ერთად (ერთხელ სხვა პატარა პარტიასთან ერთად). სოციალ-დემოკრატიულ პარტიასა და სახალხო სოციალისტურ პარტიას შორის თანამშრომლობამ 1966-1968 წლებში ფართოდ შეუწყო ხელი სოციალ-ლიბერალური პარტიის არასოციალისტურ ბლოკში გადასვლას, რასაც 1968 წლიდან 1971 წლამდე მემარჯვენე მთავრობის მოსვლა მოჰყვა. 1971 წლის არჩევნებმა სოციალ-დემოკრატებს ხელისუფლებაში ხელახლა მოსვლის შესაძლებლობა მისცა და მათი მთავრობა ხელისუფლებაში 1973 წლამდე დარჩა. 1973 წლის „შტორმული მოზღვავების“ პერიოდის შემდეგ, ლიბერალურმა პარტიამ მარტომ ჩამოაყალიბა მთავრობა, რომლის მმართველობა ერთ წელზე ოდნავ მეტხანს გაგრძელდა. არჩევნებისა და უნდობლობის კენჭისყრის შემდეგ ლიბერალური პარტიის წინააღმდეგ, ხელისუფლება კვლავ სოციალ-დემოკრატების ხელში აღმოჩნდა. ეს სიტუაცია აიხსნება იმ ფაქტით, რომ პრემიერ-მინისტრს სურდა მხოლოდ სოციალისტური ბლოკის მიღმა არსებული პარტიებისგან შემდგარი მთავრობის ფორმირება და პროგრესის პარტიის მხარდაჭერის იმედი არ ჰქონდა. სოციალ-დემკრატიული მთავრობები ქვეყანას 1975 წლიდან 1982 წლამდე მართავდნენ ზოგადად, მარტონი ან ერთ წელზე მეტხანს ლიბერალურ პარტიასთან ერთად. სოციალ-დემოკრატიული მთავრობა 1982 წელს გადადგა არჩევნების ჩატარების მოთხოვნის გარეშე, ხოლო სოციალ-ლიბერალურმა პარტიამ, რომელიც უფრო მკაცრი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების მომხრე იყო, პოზიცია შეიცვალა არასოციალისტური ბლოკის მთავრობების მხარდასაჭერად. ლიბერალური პარტიისა და კონსერვატორებისგან შემდგარი მთავრობები ქვეყანას 1993 წლამდე მართავდნენ მარტონი ან ორ ცენტრისტულ პარტიასთან კოალიციაში. პოლიტიკურმა სკანდალმა მთავრობას გადადგომისკენ უბიძგა, არჩევნების ჩატარების მოთხოვნის გარეშე, ხოლო სოციალ-ლიბერალური პარტია სოციალისტურ ბლოკს დაუბრუნდა. შემდგომში, სოციალ-დემოკრატები ქვეყანას 2001 წლამდე მართავდნენ ერთი ან სამი ცენტრისტული პარტიის მხარდაჭერით. 2001 წელს არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში დღესაც მოქმედი არასოციალისტური მთავრობა მოვიდა.

რამდენიმე ფორმალური წესის მიღმა, მთავრობის ფორმირების პროცესი ასევე დაუწერელი წესებით იმართება. თუკი ის პარტიები, რომლებმაც მთავრობა უნდა ჩამოაყალიბონ აშკარად არ არიან გამოხატულნი, პოლიტიკური პარტიები მონარქთან ატარებენ კონსულტაციებს, მაგრამ მათ ინტერპრეტაციაზე პასუხისმგებელი არა მონარქი, არამედ მოქმედი პრემიერ-მინისტრია (Damgaard, 2000 : 37). თუკი შეიძლება მოიძებნოს რამდენიმე მაგალითი, როდესაც პრემიერ-მინისტრი საკუთარ პრეროგატივებს იყენებს თავისი პოლიტიკური ბანაკის ხელშესაწყობად, ზოგადად, სისტემა ქმნის იმგვარ მთავრობებს, რომლებიც დაახლოებით ასახავენ საპარლამენტო უმრავლესობის ნებას (Skjæveland, 2003).

თეორიულად, მთავრობის ერთგანზომილებიანმა ფორმირებამ საშუალო სიდიდის პარტიას მთავრობის მარტოდ ჩამოყალიბების შესაძლებლობა უნდა მისცეს. მთლიანობაში, აღნიშნული დღევანდელობას შეესაბამება, რადგან ლიბერალური და კონსერვატიული პარტიები – ორი ახლოს მდგომი პოლიტიკური მოკავშირე – ხელისუფლებას დანიის სახალხო პარტიის მხარადჭერით მართავენ. ამავე დროს, უმრავლეს შემთხვევაში, საშუალო სიდიდის პარტია ცენტრის პარტიაა, რომელიც ძალზე პატარაა იმისთვის, რომ მარტომ ჩამოაყალ-

იბოს მთავრობა. ამ პატარა ცენტრის პარტიას შეუძლია გადაწყვეტოს თუ რომელ ბლოკს, მემარცხენესა თუ მემარჯვენეს აქვს მთავრობის ფორმირების უნარი. თუმცა, ეს უფლება შეზღუდულია იმდენად, რამდენადაც პატარა ცენტრისტული პარტიები ზოგადად, ვალდებულნი არიან ორიდან ერთ-ერთი ბლოკის მხარეზე დადგნენ არჩევნებამდე. მართლაც, ამომრჩევლებს სურთ იმის ცოდნა თუ რომელ სამთავრობო ალტერნატივას აძლევენ ხმას ცენტრის პარტიის არჩევისას. ერთადერთი საშუალება, რომლის მეშვეობითაც ცენტრის პარტიებს პოლიტიკურ თამაშზე გავლენის მოხდენა შეუძლიათ არის მოკავშირეებისთვის სხვა ბანაკის მხარდაჭერით დამუქრება (Skjæveland, 2003, Green-Pedersen, 2004).

ცხრილი №3: დანიის მთავრობები

მთავრობის ამოქმედება	მთავრობის მეთაური (პარტია)	მთავრობაში მყოფი პარტიები
30.12.1981 წწ.	იორგენსენი VI (SD)	SD
10.09.1982 წწ.	შლუტერი I (KF)	Con, Lib, CD, CPP
10.01.1984 წწ.	შლუტერი II (KF)	Con, Lib, CD, CPP
10.09.1987 წწ.	შლუტერი III (KF)	Con, Lib, CD, CPP
03.06.1988 წწ.	შლუტერი IV (KF)	Con, Lib, SI
18.12.1990 წწ.	შლუტერი V (KF)	Con, Lib
25.01.1993 წწ.	რაზმუსენი, P.N. I (SD)	SD, CD, SL, CPP
27.09.1994 წწ.	რაზმუსენი II (SD)	SD, CD, SL
30.12.1996 წწ.	რაზმუსენი III (SD)	SD, SL
11.03.1998 წწ.	რაზმუსენი IV (SD)	SD, SL
27.11.2001 წწ.	რაზმუსენი, A. F.(V)	Lib, Con
18.02.2005 წწ.	რაზმუსენი II (V)	Lib, Con

საკანონმდებლო პროცესი

საკანონმდებლო უმრავლესობების განხილვამდე მართებულად მიგვაჩნია პარტიებს შორის არსებული შეჯიბრის განხილვა. ჩვეულებისამებრ, უმცირესობის მთავრობები ბლოკად ჩამოყალიბებულ უმრავლესობას ეყრდნობიან. ის ფაქტი, რომ ამ ბლოკის შემადგენელ არც ერთი პარტიას არ უნდა სხვა მთავრობა, აღნიშნულ მთავრობებს თავიანთი ფუნქციების აღსრულების შესაძლებლობას აძლევს. თუმცა, უმრავლესობის ბლოკი სისტემატურად არ უჭერს მხარს მთავრობის მიერ შემოთავაზებულ კანონპროექტებს. ამ შემთხვევაში, უმცირესობის მთავრობებმა განსხვავებული უმრავლესობა უნდა შეკრიბონ ყოველი კანონპროექტისთვის. ხშირი გახდა forlig-ის სახელით ცნობილი განსაკუთრებული ტიპის შეთანხმების გამოყენება საკანონმდებლო პროცედურის ფარგლებში. ამ პოლიტიკური შეთანხმებებით პარტიები მორალურ ვალდებულებას იღებენ გარკვეული ქცევის მისაღებად, მაგალითად, ერთი ან მრავალი კანონპროექტის დამტკიცებას, რაც კანონის ფორმალური კენჭისყრის მიღმა დგას (Pedersen, 2005; Christiansen, 2003). კანონების უმრავლესობა დანიაში ფართო უმრავლესობით მიიღება, ე. ი. იმ პარტიების ჩათვლით, რომლებიც სამთავრობო უმრავლესობას არ მიეკუთვნებიან (Green-Pedersen andThomsen, 2005). რაც შეეხება შეჯიბრს პარტიებსა და საკანონმდებლო კოალიციებს შორის, „თანამშრომლობის ბლოკის" ცნება ყველაზე უკეთ ახასიათებს დანიის პარტიულ სისტემას (Elklit and Pedersen, 2003).

რაც შეეხება ოპოზიციურ პარტიებს, მათ კანონპროექტს მხარი უნდა დაუჭირონ თავიანთი არბიტრაჟის შესაბამისად პოლიტიკისა და საარჩევნო მოტივაციების გავლენას შორის. თუკი საკითხი სენსიტიურია პარტიული ნიშნით მიმხრობის შეჯიბრის თვალსაზრისით, ოპოზიცია სავარაუდოდ მხარს არ უჭერს პროექტს, რომელიც სამთავრობო პოლიტიკის მხარდაჭერაზე მიუთითებს. ეს პოზიცია რთულად გასამართლებელია საარჩევნო კამპანიის სიტუაციაში. მაგალითად, სოციალ-დემოკრატები ყოველთვის თავშეკავებას იჩენდნენ მემარჯვენე მთავრობის იმ წინადადებების მხარდაჭერის მიმართ, რომლებიც სოციალური დახმარებების შემცირებას ითვალისწინებდა, რადგან სოციალური პოლიტიკა ის სფეროა, რომლის გამოყენებასაც სოციალ-დემოკრატები

ყოველთვის ცდილობდნენ საარჩევნო მიზნებისთვის Green-Pedersen, 2002). სამაგიეროდ, თუკი ოპოზიცია სადისკუსიო საკითხს საარჩევნო შეჯიბრისთვის გადამწყვეტად არ მიიჩნევს, ის პოლიტიკური გავლენის მოხდენას ცდილობს და მთავრობასთან კომპრომისს ეძებს. ამგვარად, მემარჯვენე პარტიები ხშირად გამოთქვამდნენ მზადყოფნას მემარცხენეებიდან წამოსული კანონპროექტების მხარდასაჭერად სოციალური დახმარებების საკითხებზე, რადგან ისინი არასოდეს განიხილავდნენ სოციალურ პოლიტიკას მთავარ სექტორად თავიანთი პოზიციისთვის საარჩევნო შეჯიბრში.

საკანონმდებლო პროცესის ფაქტობრივი დაკვირვებისას ჩანს, რომ კანონპროექტები შეიძლება შემოთავაზებული იქნეს მთავრობის ან პარლამენტის წევრების მიერ, მაგრამ მათი დიდი უმრავლესობა მთავრობიდანაა წამოსული. პირველ და მეორე წაკითხვას შორის, კანონი დანიის პარლამენტის ოცდახუთი კომისიიდან ერთ-ერთის მიერ იხილება. ეს კომისია ანგარიშს უგზავნის პარლამენტს. შესწორებების შეტანა შესაძლებელია მეორე წაკითხვამდე (ან მესამე) და ისინი შეიძლება აღნიშნული კომისიის ანგარიშის ნაწილად იქნეს წარმოდგენილი. კანონპროექტები უბრალო უმრავლესობით მიიღება მესამე წაკითხვის შემდეგ. პარლამენტს ასევე შეუძლია რეზოლუციების მიღება, მაგალითად, მთავრობისთვის გარკვეულ საკითხზე კანონპროექტის შემუშავების თხოვნით მიმართვა. რეზოლუციების მიღების პროცედურა საკმაოდ ჰგავს კანონთა მიღების პროცედურას იმ განსახვავებით, რომ რეზოლუციები მხოლოდ ორ წაკითხვას გადის პარლამენტში (Damgaard, 2000 .).

ინტერესთა ჯგუფები ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ პოლიტიკის კონკრეტულ შემუშავებაში. ის ფაქტი, რომ მოცემულ ინტერესთა ჯგუფებს სიტყვა ეთქმით პოლიტიკურ პროცესში ფართოდ მიღებული ფორმაა დანიურ სისტემაში; ამ ჯგუფებს მთავრობის კანონპროექტებზე კომენტარის სისტემატურად გაკეთების უფლება აქვთ. ისინი ასევე ხშირად არიან ჩართულნი გადაწყვეტილების ამოქმედებაში. მათი მხარდაჭერა უდავო პოლიტიკურ სარგებელს წარმოადგენს უმცირესობის მთავრობებისთვის. ტრადიციულად, ინტერესთა ჯგუფები ყოველთვის ახდენდნენ გავლენას საკანონმდებლო ტექსტების შემუშავების კომისიებში მონაწილეობის გზით. დღეისათვის ამგვარი კომისიები იშვიათია, მაგრამ ეს უცილობლად არ ნიშნავს, რომ მათი გავლენა შემცირებულია. ფაქტობრივად, ეს გავლენა დღეისათვის ბევრად უფრო მეტადაა დამოკიდებული არაფორმალურ კონტაქტებზე, სახელმწიფო ბიუროკრატიაზე მეტად პარლამენტისკენ მიმართული lobbyng-ის საქმიანობაზე და სხვ. (Blom-Hansen, 2001; Binderkranz, 2003; Christiansen and Togeby, 2006).

ცხრილი №4: საპარლამენტო საქმიანობა

	კანონები	საპარლამენტო რეზოლუციების წინადადებები	ინტერპელაციები	მინისტრებისთვის დასმული შეკითხვები
1960-1961 წწ.	100	21	6	105
1981—1982 წწ.	164	105	27	1 481
2004-2005 წწ.	237	231	51	5 835

პირდაპირი დემოკრატია

1953 წლის საკონსტიტუციო რეფორმამ რეფერენდუმის როლი გაზარდა დანიის სისტემაში. ქვეყანაში მრავალი რეფერენდუმი იქნა ჩატარებული, რომელთა უმრავლესობა ეხებოდა ხმის მიცემის უფლების ასაკსა და დანიის ევროკავშირთან ურთიერთობას (Damgaard, 1999, Svensson, 1999a). დანიაში არ არსებობს სახალხო ინიციატივის უფლება.

რეფერენდუმის ორგანიზების შესაძლებლობის ექვსი შემთხვევა არსებობს. მათ შორის ხუთი კონსტიტუციაშია მოხსენიებული და იურიდიულად შემზღუდველია: 1) კონსტიტუციაში შესწორებების შეტანისთვის გამიზნული რეფერენდუმი (სავალდებულო ნებისმიერი საკონსტიტუციო რეფორმისთვის); 2) გარკვეული კანონის მიღებასთან დაკავშირებული არასავალდებულო რეფერენდუმი, რომელიც დეპუტატთა ერთი მესამედის მიერ შეიძლება იქნეს მოთხოვნილი მრავალ სფეროში, ფისკალური პოლიტიკის გარდა; 3) ხმის მიცემის უფლების მიღების ასაკთან დაკავშირებული რეფერენდუმი, რომელიც სავალდებულოა ამ სფეროში განსახორციელებელი ყველა ცვლილებისთვის; 4) სავალდებულო რეფერენდუმი სუვერენიტეტის დელეგირების შემთხვევაში (თუკი დეპუტატთა ხუთი მეექვსედი მის ჩატარებას მოითხოვს, რეფერენდუმი შეიძლება არასავალდებულო იყოს); 5) ნებაყოფლობითი რეფერენდუმი საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებულ კანონებზე (ნებაყოფლობითი იმ მნიშვნელობით, როდესაც საპარლამენტო უმრავლესობა კეთილგანწყობილია მისი ჩატარების მიმართ); 6) დაბოლოს, კანონით არასავალდებულო რეფერენდუმის ჩატარების უფლება. უნდა აღინიშნოს, რომ ეს არჩევანი

ნებაყოფლობითია : დეპუტატთა უმრავლესობამ მოცემული კანონი უნდა დაამტკიცოს (Svensson, 1996 ; 1999b; 2003; კონსტიტუცია, 1953 წ.).

რეფერენდუმი მხოლოდ ერთხელ იქნა მოთხოვნილი პარლამენტის მესამედით (მაგრამ ოთხ კანონზე). კანონები (და რეგლამენტები) უარყოფილი იქნა 1963 წლის რეფერენდუმით, მაგრამ ანალოგიური კანონები ათი წლის მოგვიანებით მიიღეს (Svensson, 1999a). ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტის მესამედისთვის რეფერენდუმის მოთხოვნის შესაძლებლობა კანონის მიღებასთან დაკავშირებით ოპოზიციისა და უმცირესობის უფლებების დაცვისთვისაა გამიზნული პარლამენტში, ეს დებულება მცირე როლს თამაშობს დანიის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ამგვარად, დანიაში რეფერენდუმი ძირითადად ევროპულ საქმეებთან დაკავშირებით გამოიყენება. 1972 წლიდან ქვეყანაში ექვსი *რეფერენდუმი* ჩატარდა ევროპულ საკითხებზე, რომელმაც სხვადასხვა ფორმა მოიცვა. ზოგიერთ შემთხვევაში, რეფერენდუმები ეფექტური ინსტრუმენტი იყო იმ პარტიებისთვის, რომლებიც ვერ თანხმდებოდნენ ევროპულ საკითხზე ან უმცირესობის მთავრობებისთვის, რომლებმაც პარლამენტში დამკვიდრება ვერ მოახერხეს. დღემდე ჩატარებულმა *რეფერენდუმებმა* იმის შეგრძნება გამოიწვია, რომ ევროკავშირთან დაკავშირებული თითოეული გადაწყვეტილება ამომრჩეველთა თანხმობას უნდა დაექვემდებაროს.

სასამართლო სისტემა

დანიაში არ არსებობს საკონსტიტუციო სასამართლო, მაგრამ ჩვეულებრივი სასამართლო სისტემა სამთავრობო ქმედებას სხვადასხვა ფორმით ზღუდავს. ამგვარად, კონსტიტუციურობის კონტროლი სხვადასხვა სასამართლოებს აქვს დაკისრებული და პირველ რიგში, უზენაეს სასამართლოს. 1849 წლის კონსტიტუცია აშკარად არ აცხადებს უნდა იყოს თუ არა უზენაესი სასამართლო კონსტიტუციის დაცვის გარანტი. თუმცა, 1920 წელს უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ მაღალი ინსტანციის სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად მიჩნეული კანონი ფაქტობრივად კონსტიტუციური რჩებოდა. ამის შედეგად, უზენაესმა სასამართლომ იმპლიციტურად დაამტკიცა, რომ სწორედ მას ჰქონდა კანონთა კონსტიტუციურობაზე აზრის გამოთქმის უფლებამოსილება. ამავე დროს, ამ სასამართლოს არაკონსტიტუციურად არც ერთი კანონი არ გამოუცხადებია 1999 წლამდე. განსახილველი კანონი ითვალისწინებდა საჯარო დაფინანსების შეწყვეტას გარკვეული სკოლებისთვის, რომლებმაც სახელმწიფოს ფული კანონთან შესაბამისი ფორმებით არ გამოიყენეს. კანონი არაკონსტიტუციურად იქნა გამოცხადებული იმ მოტივით, რომ სწორედ უზენაეს სასამართლოს აქვს დადგენილების გამოტანის კომპეტენცია აღნიშნულ სფეროში. უზენაესმა სასამართლომ სხვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება გამოიტანა 1996 წელს, რომელიც თერთმეტ რიგით მოქალაქეს სასამართლოების წინაშე დანიის ევროკავშირში შესვლის საკითხის კონსტიტუციურობის დაყენების უფლებას აძლევდა. მოგვიანებით ამ სასამართლომ გადაწყვიტა, რომ დანიის ევროკავშირში გაწევრიანება კონსტიტუციური იყო. ამგვარად, აღნიშნული ორი გადაწყვეტილება ცხადყოფს, რომ ეს სასამართლო მზადაა თავის თავზე აიღოს კონსტიტუციურობის კონტროლის კომპეტენციები.

სასამართლოები ასევე განიხილავენ სამთავრობო ადმინისტრაციის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. იუსტიციის სასამართლოების ძალაუფლება ამ სფეროში თანდათანობით გაიზარდა და დღეისათვის, სასამართლოებმა გააძლიერეს თავიანთი როლი კანონმდებლობის გაკონტროლების სფეროში. გარდა ამისა, მოსამართლეებს ხშირად ჰქონდათ დავალებული გამოძიების ჩატარება პოლიტიკურ სკანდალებზე. მინისტრის *იმპიჩმენტის* შემთხვევაში, მიმართავენ მძიმე დანაშაულებისა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებულ სპეციალურ სასამართლოს (Court for the Trial of High Crimes and Misdemeanor). ეს სასამართლო შედგება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების გარკვეული რაოდენობისგან და პარლამენტის მიერ არჩეული იგივე რაოდენობის მოსამართლეებისგან (Christensen, 2002 : Ch 1, 3 and 6).

სასამართლოების როლის მნიშვნელობა გაიზარდა სახელდობრ, დანიის სასამართლო სისტემაზე საერთაშორისო გავლენით და დღეისათვის, თუკი შედარებით ანალიზს დავეყრდნობით, ისინი კანონების კანონიერების კონტროლის მექანიზმზე მეტად სამთავრობო კონტროლის მექანიზმს წარმოადგენენ (cf. Christensen, 2003 : 93-94).

ხელისუფლების ტერიტორიული დაყოფა

დანია უნიტარული, მაგრამ შედარებით დეცენტრალიზებული სახელმწიფოა. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, 5 რეგიონსა და 98 მუნიციპალიტეტს ავტონომიურად გადაწყვეტილების მიღების კონსტიტუციური უფლება აქვს ცენტარალურ მთავრობას დაქვემდებარებული რეგულაციის სფეროებში. მუნიციპალიტეტებს გადასახადის შეკრების უფლება აქვთ მაშინ, როდესაც რეგიონები ძირითადად დაფინანსებულნი არიან ნაციონალურ დონეზე შემუშავებული ჯანდაცვის შესაკრების სისტემით. რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები დემოკრატიულად არიან არჩეულნი. არჩევნები ყოველ ოთხ წელიწადში ნოემბრის თვეში ტარდება (2001 წლის გარდა) საკანონმდებლო არჩევნებისგან განსხვავებულ დროში. ხელისუფლების ად-

გილობრივი ორგანოების ძირითადი პასუხისმგებლობა სოციალურ სამსახურებს ეხება. ამ უკანასკნელთა კომპეტენციაშია საავადმყოფოების, დაწყებითი სკოლებისა და ასაკოვანი ადამიანების მოვლა ან ბავშვების ზედამხედველობა, რაც ცენტრალური რეგულაციის ცვალებადი დონით ხორციელდება. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს ასევე პასუხისმგებელობა აკისრიათ გზების, გარემოს დაცვის კონტროლის, დასაქმების პოლიტიკისა და გარკვეული სოციალური დახმარებების სფეროში. ეს უკანასკნელი ძირითადად, ეხება უნარშეზღუდული ადამიანების დახმარებას, ასაკოვანთა დახმარებასა და სოციალურ დახმარებას. ხუთი რეგიონი ჯანდაცვის სფეროს ფუნქციონირებაზე აგებს პასუხს კერძოდ კი საავადმყოფოებზე, მაშინ როდესაც მუნიციპალიტეტებს სხვა მოვალეობების უმრავლესობაზე ეკისრებათ პასუხისმგებლობა.

ამავე დროს, ადგილობრივი კომპეტენციების რეალური არსი მნიშვნელოვნად იცვლება სფეროების მიხედვით. გარკვეული პოლიტიკის მიმართ, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები მხოლოდ ასრულებენ ცენტრალურ დონეზე მიღებულ დეტალურ რეგლამენტებს. მაგალითად, ასაკოვანი ადამიანების დახმარების შემთხვევა, როდესაც მთავრობა თითოეული ინდივიდუალური დახმარების ზუსტ თანხას განსაზღვრავს, შემდეგ კი გაწეულ ხარჯებს ამ ორგანოებს უფარავს. თუმცა, უმრავლეს სფეროში, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები გარკვეული გავლენით სარგებლობენ, – მნიშვნელოვანით გარკვეულ შემთხვევებში – ,მათ მიერ გაცემული დახმარებების საკითხში. მაგალითად, დაწყებით სკოლებთან დაკავშირებულ საკითხში, ნაციონალურმა კანონმდებლობამ მხოლოდ მინიმალური სტანდარტები დაადგინა, მაგრამ მრავალ ზონაში, მუნიციპალიტეტები უკეთეს დახმარებებს იძლევიან. სფეროების შესაბამისად, მომსახურების ხარისხი ცვალებადია, ისევე როგორც ტაქსაციის დონე.

ზემოთ აღნიშნული მრავალი პასუხისმგებლობის შედეგად, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები დღეისათვის, საჯარო სექტორის 50%-ს აკონტროლებენ. ეს ნიშნავს, რომ თუკი მთავრობას სახელმწიფო ფინანსების გაკონტროლება სურს, მან იმპერატიულად ზედამხედველობა უნდა გაუწიოს ადგილობრივი ერთობების ფისკალურ ხარჯებსა და შემოსავლებს. ცენტრალური მთავრობის ამგვარი კონტროლი ყოველწლიური მოლაპარაკებების სისტემით ხორციელდება მასსა და მუნიციპალიტეტებისა და რეგიონების გაერთიანებებს შორის (Blom-Hansen, 1999). ზოგადად, ეს მოლაპარაკებები შეთანხმებით სრულდება, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს მუნიციპალიტეტებისა და რეგიონების ხარჯებს და ტაქსაციის დონეს მუნიციპალიტეტებისთვის. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისთვის ეს მოლაპარაკებები იურიდიულად არაა შემზღუდველი, მაგრამ მათი ფინანსები ზოგადად, შეთანხმებებით განსაზღვრულ ჩარჩოს არ აჭარბებენ. ამგვარად, თუკი ცენტრალური მთავრობა და ადგილობრივი ხელისუფლების გაერთიანებები შეთანხმებას ვერ მიაღწევენ ადგილობრივ ფინანსებთან მიმართებაში, ყველაზე სავარაუდო შედეგია ის, რომ პარლამენტის უმრავლესობის მხარდაჭერის მოპოვების შემთხვევაში, მთავრობას საკანონმდებლო გზით გამოაქვს დადგენილება. შეთანხმების მიღწევა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ინტერესში შედის, რომელიც მათ გარკვეული მანევრირების გარანტიას აძლევს თავიანთ ფინანსებთან მიმართებაში.

ბოლოდროინდელი აქტუალური დებატები

გარემოებისდა მიხედვით, საჯარო დებატში ხელახლა დგება კონსტიტუციის გადასინჯვის საკითხი, მაგალითად, 1990-იან წლებში, იმ პერიოდში, როდესაც დანიაში სერიოზული ეკონომიკური პრობლემები არსებობდა (Green-Pedersen, 2002) და კვლავ 2000 წლის დასაწყისში (Damgaard, 2004). თუმცა, ამ დებატებს გაგრძელება არ მოჰყოლია, სავარაუდოდ იმის გამო, რომ კონსტიტუციის შეცვლა საკმაოდ რთულია. საკონსტიტუციო რეფორმა ორჯერ უნდა იქნეს დამტკიცებული პარლამენტის მიერ, არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგ. ის ასევე რეფერენდუმმა უნდა დაამტკიცოს არანაკლებ 40%-იანი მონაწილეობით. ამავე დროს, როგორც ჩანს, საკონსტიტუციო რეფორმის ჩატარების საჭიროება აშკარად არ იგრძნობა. 1990-იანი წლებიდან დანიის ეკონომიკა ძალზე კონკურენტუნარიანია. გარდა ამისა, 1998-2003 წლების პერიოდიდან, მთავრობის მიერ დაწყებული იქნა ინსტიტუტების შეფასებასა და დანიის დემოკრატიის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი კვლევითი პროგრამა Christiansen and Togeby, 2006). მიუხედავად პრობლემების აღნიშვნისა, ეს შეფასება პოზიტიური აღმოჩნდა.

როგორც ჩანს, შემდგომ წლებში მოსალოდნელი არაა საკონსტიტუციო რეფორმის გატარება. მიმდინარეობს მემკვიდრეობითობის კანონის გადასინჯვა კაცებსა და ქალებს შორის სრული თანასწორობის მისაღწევად. ამ კანონს კონსტიტუციური სტატუსი აქვს და მისი გადასინჯვა საკონსტიტუციო შესწორებებისთვის დამახასიათებელი პროცესის ამოქმედებას მოითხოვს.

ამავე დროს, საკონსტიტუციო რეფორმის არარსებობა დანიის პოლიტიკური სისტემის სიხისტეზე არ მიუთითებს. კონსტიტუცია ევოლუციის მრავალ შესაძლებლობას იძლევა, რომელიც საკონსტიტუციო რეფორმას არ მოითხოვს. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების რეფორმა უკანასკნელი წლების ყველაზე მნიშვნელოვანი ევოლუციაა (უკვე აღწერილი), რომელიც 2007 წლის 1 იანვარს შევიდა ძალაში. ყველაზე არსებითმა ცვლილებამ მუნიციპალიტეტების რაოდენობა 275-დან 98-მდე შეამცირა და 14 counties 5 რეგიონით შეანაცვლა.

ამ უკანასკნელთ ძირითადად, ჯანდაცის სფეროში აქვთ კომპეტენციები, მაშინ როდესაც counties-ებს ასევე უფუბამოსილებები ჰქონდათ განათლების, სოციალური პოლიტიკის, საგზაო ინფრასტრუქტურისა და გერემოს დაცვის სფეროში. ამის საპირისპიროდ, რეგიონებს არა აქვთ გადასახადის აწევის უფლებამოსილება, როგორც ამას counties-ის შემთხვევაში ჰქონდა ადგილი.

ზოგადად, რეფორმა შეიძლება აღქმული იქნეს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ავტონომიის შეზღუდვის ზომად, რამაც დებატები გამოიწვია დანიის ადგილობრივი ავტონომიის ხასიათზე. რეფორმის მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენდა ადგილობრივად უზრუნველყოფილ მომსახურებაზე კონტროლის შესაძლებლობების გაზრდის სურვილი პოლიტიკური კლასის მხრიდან, განსაკუთრებით, ჯანდაცვის სექტორში. (Green-Pedersen and Wilkersen, 2006). თუმცა, ამ რეფორმის მოწინააღმდეგეთა აზრით, ამან შეიძლება კითხვის ქვეშ დააყენოს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ თავიანთი ხარჯების მოხმარების შესაძლებლობა. ძველი სისტემის დროს, ნაციონალურ ხელისუფლებას გარკვეულწილად შეეძლო სახელმწიფო ხარჯების კონტროლის პრობლემის გადატანა ადგილობრივ დონეზე (Blom-Hansen and Pallesen, 2001). ამავე დროს, ცენტრალური მთავრობის უფრო დიდი გავლენა შეიძლება ასევე ემთხვეოდეს უფრო დიდ პოლიტიკურ სანქციებს არაპოპულარული გადაწყვეტილებებისთვის, და ნაციონალური დონის პასუხიმგებელ პირებს, რომელთა ქმედება არაა შეზღუდული ვიწრო ფისკალური ჩარჩოთი, როგორც ამას ადგილი აქვს ადილობრივი გადაწყვეტილების მიმღებთა შემთხვევაში ადგილობრივ დონეზე, შეუძლიათ არაპოპულარულობას ხარჯების აწევით უპასუხონ.

დაბოლოს, რაკი დანიის დემოკრატიის კვლევა ძალზე პოზიტიური დასკვნებით დასრულდა, წინა პლანზე წამოიწია ევროკავშირთან დაკავშირებულმა დემოკრატიულმა პრობლემებმა (Christiansen and Togeby, 2006). მრავალი სექტორული პოლიტიკა განსაკუთრებით, მფარველი სახელმწიფოსა და სოციალური პოლიტიკის საკითხები, თითქმის არ ეხება ევროკავშირს, მაშინ როდესაც ამ კანასკნელის გავლენა მაგალითად, სოფლის მეურნეობისა ან გარემოს დაცვის სფეროში, საგრძნობია. აღნიშნული დანიისთვის, ისევე როგორც სხვა ევროპული ქვეყნებისთვის, დემოკრატიული გამოწვევაა მრავალი თვალსაზრისით. უკანასკნელი ევროპული არჩევნების განმავლობაში საარჩევნო მონაწილეობის პროცენტი, ზოგადად მაღალი დანიაში, 48%-ზე მაღალი არ ყოფილა. მიუხედავად დანიის პარლამენტის ევროპულ საქმეთა კომისიის მნიშვნელოვანი როლისა, ის დიდ სირთულეებს განიცდის გავლენის შესანარჩუნებლად აღმასრულებელი ხელისუფლების პირისპირ (op. cit. ; Damgaard and Nørgaard, 2000).

ბიბლიოგრაფია

ANDEWEG, Rudy B./Lia Nijzink (1995), „Beyand the Two-Body Image : Relations Between Ministers and MPs", pp. 152-178 in Herbert Döring (ed.), *Parliements and Majority Rule in Western Europe,* Frankfurt : Campus Verlag.

ARTER, David (1999). „Party System Change in Scandinavia since 1970 : „Restricted Change" or „general Change", *West European Politics,* vol. 22, n°3, pp. 139-158.

ARTER, David (2004). „The Prime Minister in Scandinavia : „Superstar" or Supervisor?, *The Journal of Legislative Studies,* vol. 10. n°2/3.

BERGMAN, Torbjörn (1993). „Formation Rules and minority governments", *European Journal of Political Research,* vol. 23, n°1, pp. 55-66.

BERGMAN, Torbjörn (1995), *Constitutionnal Rules and Party Goals in Coalition Formation : An analysis of Winning Minority Government in Sweden,* Umeå : Department of Political Science, Umeå University.

BINDERKRANTZ, Anne (2003). „Strategies of Influence : How Interest Organizations React to Changes in Parliamentary Influence and Activity„, *Scandinavian Political Stidies,* vol. 26, n°4, pp. 287-306.

BLOM-HANSEN, Jens (1999), „Avoiding the 'Joint-Decisions Trap' : Lessons from Inergovernmental Relations in Scandinavia", *European Journal of Political Research,* vol. 35, n°1 pp. 35-67.

BLOM-HANSEN, Jens (2001), „Organized Interests and the State : A Disintegrating Relationship? Evidence from Denmark", *European Journal of Political Research,* vol. 39. pp. 391-416.

BLOM-HANSEN/Thomas Pallesen (2001), „The Fiscal Manipulation of a Decentralized Public Sector : Macro-Economic Policy in Denmark", *Environment and Planning C : Government and Policy,* vol. 19, pp. 607-623.

CHRISTIANSEN, Flemming Juul (2003), „The Inclusion of Challenger Parties into Legislative Accomodations in Danish Pariamentary Politics" Paper presented at the ECPR Conference in Marburg, Germany, 18th-21st September 2003, Arhus : Department of Political Science, University of Aarhus.

CHRISTIANSEN, Peter M./Lise Togeby (2006), „Power and Democracy in Denmark. Still a Viable Democracy",*Scandinavian Political Studies,* vol. 29, n°1, pp. 1-24.

Constitution, 1953 (see http:www.ft.dk/?samling/20051/menu/00000005.htm).

DAMGAARD, Erik (2000), „Denmark : The Life and Death of Government Coalitions", pp. 231-263 in Wolfgang C. Müller/Kaare Strøme (eds.), *Coalition Government in Wesrern Europe*, Oxford : Oxford University Press.

DAMGAARD, Erik/Asbjørn Sonne Nørgard (2000), „The European Union and Danish Parliamentary Democracy", pp. 33-58 I Torbjørn Bergman and Erik Damgaard (eds.), *Delegation and Accountability in European Integration. The Nordic Parliamentary Democracies and the European Union*, London : Frank Cass.

ELKLIT, Jørgen (2002), „„The Politics of Electoral System Development and Change : The Danish Case", pp. 15-66 in Bernard Grofman/Arend Lijphart (eds.), *The Evolution of Electoral and Party Systems in the Nordic Countries*, New York : Agathon Press.

ELKLIT, Jørgen (2005), „Denmark : Simplicity Embedded in Complexity (or is it the other way around?)", pp. 453-471 in Michael Gallagher/Paul Mitchell (eds.), *The Politics of Electoral Systems*, Oxford, Oxford University Press.

GOUL Andersen, Jørgen (2006) „the parliamentary election in Denmark, February 2005", *Electoral Studies*, vol. 25(3), pp. 393-398.

GREEN-PEDERSEN, Christoffer (2002), *The Politics of Justification. Party Competition and Welfare-State Retrenchment in Denmark and the Netherlands from 1982 to 1998*, Amsterdam : Amsterdam University Press.

GREEN-PEDERSEN< CHristoffer (2004), „Center parties, Party Competition, and the Imlosion of Party System. A study of centripetal tendencies in multiparty systems", *Politica*, Vol. 37, nº4, pp. 394-412.

GREEN-PEDERSEN, Christoffer/Lisbeth H. Thomsen (2005), „Bloc politics vs. Broad Cooperation, The functioning of Danish Minority Parliamentarism", *The Journal of Legislative Studies*, vol. 11, nº2, pp. 153-169.

GREEN-PEDERSEN, Christoffer/John Wilkerson (2006), „How Agenda-setting Attributes Shape Politics: Problem Attention, Agenda Dynamics and Comparative Health Politics Developments in the U.S. and Denmark", *Journal of European Public Policy*, vol. 13, nº7, pp. 1039-1052.

GREEN-PEDERSEN, Christoffer (2007), „Denmark : a „World Bank" pension system", pp. 454-495 in Ellen M Immergut, Karen M. Andersen and Isabella Schulze (eds.), *The Handbook of West European Pension Politics*,Oxford; Oxford University Press.

JONES, W. Glyn (1986), *Denmark, Á Modern History*, New Ham[shire : Croom Helm Lid.

PEDERSEN, Mogens N. (1988), „The Defeat of All Parties. The Danish Folketing Election, 1973", pp. 257-281 in Kay Lawson/Peter H. Merki (eds.), *When Parties Fail*, Princeton : Princeton University Press.

SKJÆVELAND, Asbjørn (2003), *Government Formation in Denmark 1953-1998*, Árhus : Politica.

SKJÆVELAND, Asbjørn (2005), „Dimensionaliteten I Folketing : Er der en ny politisk dimension?", *Politica*, vol. 37, nº4, pp. 411-422.

SVENSSON, Palle (1996), „Denmark : the referendum as minority protection", in Michael Gallagher/Pier Vincenzo Uleri (eds.), *The Referendum Experience in Europe*, Houndmills, Basingstoke, Hampshire and London: Macmillan Press Ltd.

SVENSSON, Palle (1999b), „The Danes and Direct Democracy", in Erik Beudel, Kurt Klaudi.

KLAUSEN/POUL, Erik Mouritzen (eds.), *Elites, Parties and Democratcy*, Odense : Odense University Press.

SVENSSON, Palle (2003), *Folkets Røst : Demokrati og folkeanftemninger I Danmark og andre europæiske lande*, Árhus : Aarhus University Press.

www.ft.dk

www.stm.dk

Yearbook of the Danish Parliament

თავი VII

ესპანეთი

სანტიაგო პერეს-ნიევასი
ლუის რამირო

1. თანამედროვე რეჟიმის წანამძღვრები და საფუძვლები

1975 წლის ნოემბერში დიქტატორ ფრანსისკო ფრანკოს გარდაცვალებამ ბიძგი მისცა წინა ავტორიტარული რეჟიმიდან თანამედროვე დემოკრატიულ სისტემაზე გარდამავალი პერიოდის დასაწყისს. პორტუგალიისა და საბერძნეთის შემთხვევის გარდა, ესპანეთის პოლიტიკურმა განვითარებამ დასავლეთ ევროპის ქვეყნების უმრავლესობისგან ძალზე განსხვავებული გზა განვლო. ეს სპეციფიკურობა დაკავშირებული იყო იმ დიდ სირთულეებთან, რომლითაც დემოკრატიული რეჟიმი იქნა დამყარებული და კონსოლიდირებული წინა პერიოდების განმავლობაში. რესტავრაციის დროს (1875-1923 წწ.) არჩევნები რეგულარულად ტარდებოდა (ოცამდე არჩევნები ჩატარდა). მამაკაცთა საყოველთაო საარჩევნო უფლება 1888 წელს იქნა შემოღებული. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს რეჟიმიც საარჩევნო ფალსიფიკაციებით ხასიათდებოდა, რომელსაც ფართოდ იყენებდა სამთავრობო ელიტა ხელისუფლებაში მყოფი ორი მთავარი პარტიის მონაცვლეობის წინასწარ განასაღვრავად. ამგვარად, რესტავრაცია „შეზღუდულ დემოკრატიად" უნდა იქნეს აღქმული (Higley, Gunther 1992 : 5-6; Hermet 1992). სამაგიეროდ, მეორე რესპუბლიკა განსაზღვრულ კრიტერიუმებს პასუხობს დემოკრატიული რეჟიმის კვალიფიკაციისთვის: შემოღებული იქნა საყოველთაო საარჩევნო უფლება ორივე სქესისთვის და ზოგადად, არჩევნები მანიპულაციისა ან გაყალბების გარეშე ტარდებოდა. თუმცა, დემოკრატია არ გამყარებულა მეორე რესპუბლიკის არსებობის განმავლობაში. ეს რეჟიმი ძლიერი სამთავრობო არასტაბილურობით და მრავალი პოლიტიკური და სოციალური დაპირისპირებით აღინიშნა იმ დონემდე, რომ ის „პოლარიზებული პლურალიზმის" შესანიშნავ ილუსტრაციად განიხილებოდა (Sartori 1976 : 209-210). ამ პერიოდისთვის დამახასიათებელმა პარტიული სისტემის უკიდურესმა ფრაგმენტაციამ ძალზე რთული გახადა სტაბილური მთავრობის ჩამოყალიბება. ასევე, საარჩევნო კანონის ხასიათი ხელს უწყობდა პარლამენტის პოლიტიკური შემადგენლობის რადიკალურ ცვლილებებს და ნაჩქარებ მოდიფიკაციებს ახდენდა მომდევნო რესპუბლიკური მთავრობების იდეოლოგიურ და პოლიტიკურ ორიენტაციაში. ამგვარად, 1931-1936 წლებში მოხდა ხელისუფლების მონაცვლეობა მემარცხენე ანტიკლერიკალებსა და მემარჯვენე კლერიკალებს შორის დაახლოებით ორი წლის შუალედით. ამ სწრაფმა იდეოლოგიურმა და პოლიტიკურმა ცვლილებებმა ახალი დემოკრატიული სისტემის კონსოლიდაცია შეაფერხა და საზოგადოების თანდათანობით პოლარიზაციას შეუწყო ხელი, რასაც 1936-1939 წლების სამოქალაქო ომი მოჰყვა შედეგად. შეიარაღებულმა კონფლიქტმა 1936 წლის ივლისში იფეთქა, როდესაც არმიის დიდი ნაწილი კანონიერად არჩეული მთავრობის წინააღმდეგ გამოვიდა. აჯანყების მოწყობა ჯდება სამხედრო ჩარევის ხანგრძლივი ტრადიციის პოლიტიკაში, რაც ესპანეთის მეორე სპეციფიკურობაა. ომი ხანგრძლივი დიქტატურის დამყარებით დასრულდა, რომელიც გენერალ ფრანსისკო ფრანკოს ფიგურით იყო პერსონიფიცირებული. ფრანკომ სასტიკი რეპრესიები ჩაატარა, როგორც მემარცხენეობის, ისე ყველა სხვა დემოკრატიული წინააღმდეგობის ფორმების მიმართ. აშკარაა, რომ ომისა და დიქტატურის პერიოდის გამოცდილებამ ნაციონალურ შერიგებას შეუწყო ხელი და თავისი წვლილი შეიტანა დემოკრატიაზე გადასვლის წარმატებაში 1970-იან წლებში. რეჟიმის შეცვლა დიდ წარმატებად იქნა აღქმული, დემოკრატიის შემდგომ გამყარებად, მიუხედავად მთელი რიგი მადესტაბილიზებელი ფაქტორებისა (მაგალითად: ეკონომიკური კრიზისი, ტერორიზმი და სხვ.). დემოკრატიული პროცესის ძველი დიქტატურის კონსტიტუციონალური სტრუქტურის საზღვრებში განვითარება და ის ფაქტი, რომ ცვლილებებს ფრანკისტული მმართველი ელიტის ნაწილი ედგა სათავეში, კვლავაც განსაკუთრებულს ხდის ესპანეთის გარდამავალ პერიოდს.

თავდაპირველად, ფრანკოს გარდაცვალებას არავითარი კონსტიტუციური ცვლილება არ გამოუწვევია. ამ პერიოდში, უმრავლესობა მიიჩნევდა, რომ პრინცი ხუან კარლოსი, რომელიც ფრანკოს შემდეგ ქვეყანას ჩაუდგა სათავეში, ძალაუფლების უწყვეტობის ფორმას განიხილავდა და არა ძველი რეჟიმის მნიშვნელოვანი რეფორმის ჩატარებას. აღნიშნულს თითქოსდა ადასტურებდა ლოიალურად განწყობილი ფრანკისტის, არიას ნავაროს პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე დანიშვნა.

ნებისმიერ შემთხვევაში, ნავაროს მიერ გაკეთებულმა მცირე დათმობებმა პოლიტიკური პლურალიზმის სასარგებლოდ, მხოლოდ გააღიზიანა ყველაზე კონსერვატორულად განწყობილი ფრანკისტები და დემოკრატიული ოპოზიციის უკმაყოფილება გამოიწვია, რომელიც სულ უფრო მობილიზებული ხდებოდა. ამგვარად, 1976

წლის ივლისში ხუან კარლოსმა ნავარო აიძულა თანამდებობიდან გადამდგარიყო და ამ თანამდებობაზე ნაკლებად ცნობილი პოლიტიკოსი, ადოლფო სუარესი დააყენა.

მიუხედავად იმისა, რომ სუარესიც ასევე ფრანკისტული ელიტიდან იყო გამოსული, მან წარმატებით შეძლო პროცესის მართვა, რომელიც 1977 წლის პირველი დემოკრატიული არჩევნებით უნდა დასრულებულიყო.

პრემიერ-მინისტრად დანიშნულმა სუარესემა და მისმა მთავრობამ პირველ ეტაპზე მოლაპარაკების პროცესი დაიწყო ფრანკისტულ ელიტასთან, მეორე ეტაპზე კი დემოკრატიულ ოპოზიციასთან.

1976 წლის სექტემბერში მინისტრთა საბჭომ პოლიტიკური რეფორმის ჩატარების კანონპროექტი მოიწონა, რომელიც ორპალატიანი პარლამენტის თავისუფალი არჩევნების ჩატარებას ითვალისწინებდა. ამავე დროს, პროექტს გაუქმება ემუქრებოდა, რადგან ის ფრანკისტული რეჟიმის კანონიერი დებულებების დაცვას მოითხოვდა. ამგვარად, მისი დამტკიცება უნდა მომხდარიყო, როგორც *Movimiento*-ს ნაციონალური საბჭოს, ისე ფრანკისტული კორპორატიული ასამბლეის ორი მესამედის უმრავლესობით.

საბოლოოდ, მთავრობის მიერ წარმოებული ინტენსიური მოლაპარაკებების შემდეგ, რომლებშიც სუარესის ურთიერთობებმა *Movimiento*-თან გადამწყვეტი როლი შეასრულა, ორივე ინსტიტუტმა პრაქტიკულად თანხმობა მისცა თავის დაშლაზე (Hermet 1996).

მიუხედავად მთავარი დემოკრატიული პარტიების მხრიდან ხმის მიცემისგან თავშეკავების მოწოდებისა, 1976 წლის 15 დეკემბრის ნაციონალურმა რეფერენდუმმა მასობრივი სახალხო მხარდაჭერა გამოხატა პოლიტიკური რეფორმის კანონის მიმართ. აღნიშნულმა თავის მხრივ, სუარესის პოზიცია გააძლიერა პარტიებთან შემდგომ მოლაპარაკებებში ამ უკანასკნელთა მომავალ არჩევნებში მონაწილეობის პირობებზე.

მოლაპარაკებების პროცესში ოპოზიციის მთავარი მოთხოვნა იყო ყველა პარტიის ლეგალიზაცია, კომუნისტური პარტიის ჩათვლით (PCE): ბევრი ადამიანის აზრით, ამ ნაბიჯს სამხედრო ინტერვენციის გამოწვევა შეეძლო. მიუხედავად ამისა, ესპანეთის კომუნისტური პარტია ლეგალიზებული იქნა აპრილის თვეში. აღნიშნული ოპოზიციის ერთ-ერთ იშვიათ გადამწყვეტ ქმედებას წარმოადგენს არჩევნებისკენ მიმავალ გზაზე, რადგან მისი როლი ზოგადად შეზღუდული იყო.

გარდამავალი პერიოდის პროცესისადმი ზომიერი და კონსესუალური მიდგომა სტიმულირებული იყო არჩევნების შედეგით. ამ უკანასკნელთა მსვლელობისას მემარჯვენე-ცენტრისტული (UCD) და მემარცხენე-ცენტრისტული (PSOE) არჩევანი ბევრად აღემატებოდა მემარჯვენეობისა (AP) და მემარცხენეობისას (PCE).

ზოგადად, ესპანეთის გარდამავალ პერიოდთან დაკავშირებული ყველა კვლევა ადასტურებს რეფორმებისკენ ორიენტირებული ფრანკისტული ელიტების ნაწილის წამყვან როლს, მაგრამ ამ უკანასკნელთა ხედვები ამ რეფორმების ფორმასთან მიმართებაში განსხვავებულია.

ზოგიერთი ავტორის აზრით, ესპანეთის შემთხვევა გარდამავალი პერიოდის – *ზემოდან ქვემოთ* – ტიპური მაგალითია. ავტორიტარული ელიტების წამყვანი წევრები დიდი ხნის მანძილზე თავიანთი ინტერესების საუკეთესო დაცვას დემოკრატიულ ჩარჩოში ხედავდნენ. ამგვარად, ამ ელიტებმა პოლიტიკური რეფორმის განხორციელება დაიწყეს (Stepan 1988 .). ალტერნატიული კვლევები უფრო მნიშვნელოვან როლს დემოკრატიულ ოპოზიციას ანიჭებს და *ზემოდან* მომდინარე რეფორმას ელიტების პასუხად განიხილავს *ქვემოდან* წამოსული ზეწოლის მიმართ, პოლიტიკური მობილიზაციის ზრდასაც კი 1973-1977 წლებში, რომელმაც ფრანკისტულ ელიტას დემოკრატიზაციის გარდაუვალობის გათვალისწინება აიძულა.

აშკარაა, რომ ე. წ. „პოლიტიკური კონსენსუსი", რომლის სიმბოლოსაც რეფორმისადმი კეთილგანწყობილ ფრანკისტულ ელიტებსა და დემოკრატიული პარტიების ლიდერებს შორის მოლაპარაკებები წარმოადგენდა მომდევნო გარდამავალი პერიოდის მთავარი ინსტრუმენტი გახდა. აღნიშნული აშკარად ჩანს პარტიებს შორის ახალი კონსტიტუციის შემუშავებისთვის წარმოებულ მოლაპარაკებებში, ამგვარად, მემერცხენე პარტიებმა თანხმობა განაცხადეს კონსტიტუციურ მონარქიაზე რესპუბლიკის სანაცვლოდ, ხოლო კათოლიკური რელიგია აშკარად არ იყო ნახსენები სახელმწიფო რელიგიად 1978 წლის კონსტიტუციაში. მართლაც, ეკლესიამ თანდათანობით დისტანცირება მოახდინა ფრანკისტულ რეჟიმთან ამ უკანასკნელის არსებობის ბოლო ათწლეულში. დიქტატურის დამხობის შემდეგ ეკლესია პოლიტიკურად სულ უფრო ნეიტრალური ხდებოდა და იმავდროულად, ეროვნული შერიგებისკენ მოუწოდებდა (Pérez-Díaz 1993: 167-171; Hermet 1980-1981). „პოლიტიკური კონსენსუსის" სხვა მაგალითებს წარმოადგენდა პოლიტიკური მოლაპარაკებები სახელმწიფოს დეცენტრალიზაციაზე (იხ. შემდეგ) ან სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე. ამ უკანასკნელთა თაობაზე მოლაპარაკებები ნაკლებად რთული აღმოჩნდა 1960-იან წლებში ეკონომიკური ზრდისა და სოციალური ცვლილებების გათვალისწინებით.

საბოლოოდ, 1978 წლის ნოემბერში პარლამენტს ახალი კონსტიტუცია წარედგინა, რომელიც პოლიტიკური პარტიების (ბასკი ნაციონალისტების საგულისხმო გამონაკლისის გარდა) უმრავლესობის ფართო მხარდაჭერით სარგებლობდა. ზოგიერთების აზრით, ეს ფართო კონსენსუსი აიხსნება სოციალურ-ეკონომიკური მოდერნიზაციითა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებით დიქტატურის ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში (Pérez Diaz 1993). სხვა ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ პირველ რიგში, თავად პროცედურამ, მოლაპარაკების მეთოდმა და *ელიტებს შორის თანხმობამ* მთელი გარდამავალი პერიოდის მანძილზე ამგვარი ფართო კონსენსუსი გამო-

იწვია. *ეს თანხმობა* ასევე გულისხმობდა ფარულ და შეზღუდულ ფორმატში მოლაპარაკებებს ყველა მოცემულ აქტორს შორის (Gunther, Montero et Batella 2004 : 111-115). მართლაც, კონსტიტუციის პირველი პროექტი 7 წევრისგან შემდგარი კომიტეტის (*ponencia*) მიერ იქნა შემუშავებული, რომელშიც საპარლამენტო პარტიების უმრავლესობა იყო ჩართული, ხოლო მოლაპარაკებები ფარულად იმართებოდა. ეს პრაქტიკა მომავალშიც შენარჩუნდა, როგორც ზოგადად, საზოგადოებრივი აზრის გამორიცხვის, ისე მეორეხარისხოვანი პარტიებისა და ორგანიზაციების დემობილიზაციის ფასად. კონსტიტუციით მიღწეული ფართო კონსენსუსი ძალზე ორაზროვან საბოლოო დოკუმენტს წარმოადგენდა და ამ უკანასკნელის რეფერენდუმზე გამოტანამ მის მიმართ საზოგადოებრივი აზრის გარკვეული ინდეფერენტულობა აჩვენა (Heywood 1995 : 45).

მასობრივმა დემობილიზაციამ როგორც ჩანს, ხელი შეუწყო ე. წ. მეორეხარისხოვანი ორგანიზაციების სუსტ ინსტიტუციონალიზაციას, ინტერესის დაბალ დონესა და პოლიტიკურ ანგაჟირებას: მახასიათებლები, რომლებიც უკვე არსებობდა ესპანეთის პოლიტიკურ კულტურაში (Montero, Font et Torcal 2007).

2. აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებები

1978 წლის კონსტიტუცია ესპანეთის პოლიტიკურ სისტემას საპარლამენტო მონარქიად განსაზღვრავს. მეფის როლი და უფლებამოსილებები აშკარად შეზღუდულია სხვა თანამედროვე საპარლამენტო მონარქიების მსგავსად. ესპანეთის სახელმწიფოს წარმოდგენა საგარეო ურთიერთობებში და არმიის ხელმძღვანელობა სახელმწიფო მეთაურის ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქციებია. ესპანეთის საპარლამენტო სისტემაში აღმასრულებელ ხელისუფლებას აშკარად პრემიერ-მინისტრი წარმართავს (Heywood 1991 ; Heywood et Molina 2000).[77] იგი ნიშნავს ვიცე-პრემიერებსა და მინისტრებს პარლამენტის დამტკიცების გარეშე (ამ შემთხვევაში, მას არ ესაჭიროება პარლამენტის თანხმობა) და მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობს; პრემიერ-მინისტრს ასევე შეუძლია სამინისტრო დეპარტამენტების რეორგანიზაცია, პალატების დაშლა, რეფერენდუმების ორგანიზება, საერთაშორისო ხელშეკრულებებზე ხელის მოწერა და არჩევნების ჩატარების მოთხოვნა.

პრემიერ-მინისტრის დანიშვნა მეფის მიერაა შემოთავაზებული დეპუტატთა კონგრესის წინაშე სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლებთან კონსულტაციის პროცესის შემდეგ. ჩვეულებისამებრ, პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე მეფის მიერ დანიშნული პიროვნება არჩევნებში გამარჯვებული პარტიის ლიდერია. ამიტომაც, აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელობის კანდიდატმა დეპუტატთა კონგრესს სამთავრობო პროგრამა უნდა წარუდგინოს და იმისათვის, რომ არჩეული იქნეს მან დეპუტატთა აბსოლუტური უმრავლესობის მხარდაჭერა უნდა მოიპოვოს კენჭისყრის პირველ ტურში. თუკი კანდიდატი აბსოლუტურ უმრავლესობას ვერ მოიპოვებს პირველ ტურში, მეორე ტური 48 საათის შემდეგ ტარდება და ამ შემთხვევაში, საკმარისია უბრალო უმრავლესობის მოპოვება.[78] ამ დროიდან, კონსტიტუცია პრემიერ-მინისტრის პოზიციას აძლიერებს იმ ფაქტით, რომ მხოლოდ ამ თანამდებობაზე დანიშვნის კანდიდატების პროგრამები განიხილება და კენჭი ეყრება ინვესტიტურის საპარლამენტო სესიის განმავლობაში და მხოლოდ პრემიერ-მინისტრი შეიძლება დაექვემდებაროს პარლამენტის უნდობლობისა და ინვესტიტურის კენჭისყრას.

მიუხედავად პრემიერ-მინისტრის საქმიანობის თვალყურის გადევნების მაღალი შესაძლებლობისა და მისი დიდი პასუხისმგებლობისა, ესპანეთის მინისტრთა საბჭო კოლეგიალურ კორპუსს წარმოადგენს, რომელსაც დაკისრებული აქვს გარკვეული საკანონმდებლო ინიციატივების დამტკიცება (მაგალითად: სამეფო საკანონმდებლო დეკრეტები), კანონთა გამოყენების რეგლამენტების შემუშავება და საკანონმდებლო პროცესის ამოქმედება კანონპროექტების დამტკიცებით.

ესპანეთის საპარლამენტო სისტემა ორპალატიანი მოდელია: დეპუტატთა კონგრესი და სენატი. პირველი ამ სისტემაში აშკარად დომინანტურ როლს თამაშობს. კონგრესის სასარგებლოდ ხელისუფლების ეს ასიმეტრია აისახება, როგორც საკანონმდებლო, ისე საპარლამენტო კონტროლის ფუნქციებში. ამის საპირისპიროდ, სენატს აქვს ძალზე შეზღუდული ვეტოს უფლება და ის აღქმულია, როგორც „მეორე წაკითხვისთვისა" და უმნიშვნელო შესწორებების შეტანისთვის განკუთვნილი პალატა (Flores 1999).

პარლამენტი ძალზე „რეაქტიულია" თუკი მხედველობაში მივიღებთ მისი კონტროლის ეფექტურობას მთავრობაზე, ასევე უგულებელსაყოფელი არაა მისი როლი საკანონმდებლო საქმიანობაში (Sanchez de Dios 2006). პარლამენტის საკანონმდებლო საქმიანობის დიდი ნაწილი მთავრობის მიერ შემოთავაზებული კანონპროექტების განხილვასა და კენჭისყრაში მდგომარეობს (Capo *et al.* 1990). ის ასევე განიხილავს სხვა აქტორების (საპარლამენტო ჯგუფები, *Comunidades autónomas*-ს საკანონმდებლო პალატები) მიერ შემოთავაზებულ პროექტებს. თუკი მთავრობიდან წამოსულ კანონპროექტებს პარლამენტი უმრავლეს შემთხვევაში ამტკიცებს, სხვებს წარმატების ნაკლები შანსი აქვს.

---

77 ესპანეთში ტერმინი „მთავრობის თავჯდომარე" უფრო ხშირად გამოიყენება ვიდრე ტერმინი პრემიერ-მინისტრი.

78 თუკი კანდიდატი დეპუტატთა ნდობას ვერ მოიპოვებს მეორე ტურში, პროცესი მეორდება სხვა კანდიდატებით და თუ არც ერთი მათგანი არ იქნება არჩეული ორი თვის ვადაში მეფემ ახალი არჩევნების ჩატარება უნდა მოითხოვოს.

საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების გამოყენება სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. ისინი ასევე წარმოადგენენ პარტიების შეჯიბრის სტრატეგიების საგულისხმო ინსტრუმენტს (იხ. ცხრილი №2).

ნებისმიერ შემთხვევაში, უნდობლობის კენჭისყრა იშვიათად იყო გამოყენებული და წარმატებით არასოდეს დასრულებულა. ის უფრო მეტად გერმანულ მოდელს მიჰყვება და „კონსტრუქციულ" კენჭისყრას წარმოადგენს. ამგვარად, უნდობლობის გამოცხადება პარლამენტის აბსოლუტურმა უმრავლესობამ უნდა დაამტკიცოს, რომელმაც იმავდროულად, მთავრობის ახალი მეთაური უნდა წარადგინოს.

ცხრილი №1: ესპანეთის მთავრობების ქრონოლოგია 1977-2004 წლებში

მთავრობა	ფუნქციონირების პერიოდი	ხანგრძლივობა თვეებში	პარტია	უმრავლესობა/ უმცირესობა
სუარესი I	77-79	22	UCD*	უმც.
სუარესი II	79-81	22	UCD	უმც.
კალვო-სოტელო	81-82	21	UCD	უმც.
გონსალესი I	82-86	43	PSOE**	უმრ.
გონსალესი II	86-89	40	PSOE	უმრ.
გონსალესი III	89-93	43	PSOE	უმრ.
გონსალესი IV	93-96	33	PSOE	უმც.
ასნარი I	96-00	45	PP***	უმც.
ასნარი I	00-04	46	PP	უმრ.

წყარო : Gunther, Montero et Botella 2004.
UCD – დემოკრატიული ცენტრის კავშირი; PSOE – ესპანეთის სოციალისტური პარტია; PP – სახალხო პარტია.

აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებების ურთიერთობებში, პირველი აშკარად დომინანტურ პოზიციაშია პარლამენტთან მიმართებაში (Lancaster 1996). პირველ ყოვლისა, სწორედ პრემიერ-მინისტრს უკავია ეს პოზიცია. ამიტომაც, ესპანეთის პოლიტიკური სისტემის აღნიშნული ასპექტი შეიძლება ნაწილობრივ, „სამთავრობო მაჟორიტარიზმად" იქნეს განხილული (Gunther, Montero et Botella 2004 : 116) რიგი ინსტიტუციონალური სპეციფიკურობების მიზეზით: (a) საარჩევნო სისტემა, რომელიც მოგებულ პარტიას არაპროპორციულად დიდ წარმომადგენლობას აძლევს პარლამენტში, (b) უნდობლობის კონსტრუქციული კენჭისყრა, (c) ინვესტიტურის პროცედურა და (d) პრემიერ-მინისტრის დომინანტური პოზიცია. კონსტიტუციონალური რიგის სპეციფიკურობებს სხვები ემატება: (a) საპარლამენტო ჯგუფების უპირატესი როლი საკანონმდებლო პროცესსა და პალატების ფუნქციონირებაში, (b) საპარლამენტო პარტიების მყიფე დისციპლინა და ერთიანობა, (c) პარტიის ლიდერის გადამწყვეტი და უდავო როლი პარტიის ყველა დონეზე. აღნიშნული, საპრეზიდენტო მმართველობის სისტემის გარკვეულ ხარისხს მოიცავს.

3. საარჩევნო სისტემა და პარტიული სისტემები

ესპანეთში არსებობს საარჩევნო სისტემის ორი ტიპი საკანონმდებლო არჩევნებისთვის: პროპორციული წარმომადგენლობის სისტემა ქვედა პალატისთვის, დეპუტატთა კონგრესი[79] და მეტ ჩართულობაზე ორიენტირებული სისტემა ზედა პალატისთვის, სენატი. გამომდინარე კონგრესის უპირატესობიდან ესპანეთის საპარლამენტო სისტემაში, ძირითადი ყურადღება კონცენტრირებული იქნება ამ უკანასკნელთან დაკავშირებული საარჩევნო სისტემის აღწერაზე.

დეპუტატთა კონგრესი შედგება 52 ოლქში არჩეული 350 დეპუტატისგან (მაროკოს სანაპიროს ორი ავტონომიური ქალაქის, სეუტასა და მელილას ჩათვლით). საარჩევნო ოლქის დეპუტატთა რაოდენობა არანაკლებ ორ კაცს შეადგენს თითოეული პროვინციისთვის, შემდგომში ეს ციფრი 350-მდე ივსება ოლქის მოსახლეობის პროპორციულად. ადგილების განაწილების ამ პროცედურის მთავარი შედეგია ის, რომ ესპანეთში ოლქების სიდიდე – არჩეულ დეპუტატთა რაოდენობა თითოეულ ოლქში – შედარებით შეზღუდულია.[80] მეორე შედეგია ის, რომ ნაკლებად დასახლებული პროვინციები ძალზე ჭარბად არიან წარმოდგენილნი კონგრესში. ადგილების გადანაწილების ეს პროცედურა და მცირე სიდიდის საარჩევნო ოლქების დიდი რაოდენობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საარჩევნო სისტემის ფუნქციონირებაზე, განსაკუთრებით კი მის პროპორციულობაზე (Gunther 1989 ; Heywood 1995).

79 პროპორციული სისტემა გამოიყენება რეგიონალური და ადგილობრივი არჩევნების შემთხვევაში.

80 საშუალოდ 6-7 ადგილი ოლქის მიხედვით. მაგალითად, არსებობს 29 ოლქი, რომელშიც მხოლოდ 1-დან 5-მდე დეპუტატია არჩეული.

თითოეულ ოლქში პარტიების მიერ მოპოვებული ადგილების განაწილებისთვის გამოყენებული საარჩევნო ფორმულა არის ყველაზე ძლიერი საშუალოს ფორმულა, ე. წ. ჰონდტის სისტემა, რომლის ამოქმედება პატარა ოლქებში ძალზე დისპროპორციულ შედეგებს იწვევს დანარჩენი ადგილების გადანაწილებისთვის. ამგვარად, საბოლოო შედეგი მეტად შორდება პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპებს და აშკარად მაჟორიტარულ ორიენტაციას იძენს. ამ სისტემას ჭეშმარიტად პროპორციული შედეგები მხოლოდ ყველაზე დიდ ოლქებში აქვს მაშინ, როდესაც ყველაზე პატარა ოლქებში მისი შედეგები უფრო ახლოს დგას მეტ ჩართულობაზე ორიენტირებულ სისტემასთან. ამ საარჩევნო შედეგების საბოლოო ეფექტია ყველაზე დიდი პარტიების გადაჭარბებული წარმომადგენლობა და პატარა პარტიების წარმომადგენლობის შეზღუდვა, რომლებიც საარჩევნო მხარდაჭერით სარგებლობენ ნაციონალურ დონეზე, მაგრამ განსაკუთრებულად კონცენტრირებულნი არ არიან ზოგიერთ ოლქში. იმავე მიზეზით, ეს სისტემა აშკარად პროპორციულ წარმომადგენლობას უზრუნველყოფს (დეპუტატთა რაოდენობა, რომელიც მათთვის მიცემული ხმების პროპორციულია) ნაციონალისტური და რეგიონალური პარტიებისთვის, რომელთა საარჩევნო ხმები ძალზე კონცენტრირებულია რამდენიმე საარჩევნო ოლქში.

ჰონდტის ფორმულის მიღებამ სისტემაში, რომელშიც მცირე სიდიდის საარჩევნო ოლქების მნიშვნელოვანი რაოდენობაა ასევე გამოიწვია ის, რომ საარჩევნო ბარიერს გავლენა არ ჰქონდა პრაქტიკაში. მიუხედავად იმისა, რომ თეორიულად, საარჩევნო ბარიერი გამორიცხავს ყველა პარტიას, რომელსაც ხმების 3%-ზე ნაკლები აქვს მიღებული საარჩევნო ოლქებში, ჩვეულებისამებრ, რეალური ბარიერი ბევრად მაღალია. ამგვარად, საარჩევნო სისტემის მრავალი ელემენტის შეხამება – განსაკუთრებით, ჰონდტის ფორმულის გამოყენება პატარა ოლქებში – უმრავლეს შემთხვევაში, სრულდება ადგილების განაწილებით ყველაზე მნიშვნელოვან ორ ნაციონალურ პარტიას შორის. აღნიშნული პრაქტიკულად, ხელს უწყობს ორპარტიული სისტემის არსებობას მრავალი საარჩევნო ოლქის დონეზე.

გარდა ამისა, საარჩევნო კანონი ადგილების მიკუთვნების საშუალებას აძლევს პარტიების მხოლოდ იმ კანდიდატებს, რომლებმაც წარმომადგენლობა მოიპოვეს და ჩაწერილნი არიან პარტიების დახურულ და ბლოკირებულ სიებში. ამგვარად, ესპანეთის საარჩევნო სისტემა ძლიერ სისტემად წარმოჩნდება პარტიებისა და ამომრჩევლების ქცევაზე გავლენის მოხდენის უნარის გამო და იმავდროულად, ის ხელს უწყობს აშკარა საარჩევნო სტაბილურობას. ამ სისტემამ უზრუნველყო პარტიული სისტემის ფრაგმენტაციის შემცირება საპარლამენტო პარტიების რაოდენობის შეზღუდვით ასარჩევი პარტიების რაოდენობასთან მიმართებაში.

ამავე დროს, ამ ელემენტების საპირისპირო მხარეა ის, რომ ეს სისტემა დეპუტატთა კონგრესში წარმომადგენლობის შესაძლებლობას აძლევს ნაციონალისტური პარტიების შედარებით დიდ რაოდენობას, რამდენადაც ეს უკანასკნელნი თავიანთი საარჩევნო ბაზისის კონცენტრაციას რამდენიმე ოლქში ახდენენ და ამგვარად, გვერდს უვლიან საარჩევნო სისტემის მაჟორიტარიზმისკენ გადახრას. სხვათა შორის, ნაციონალურ დონეზე წარმოდგენილმა ორმა მთავარმა პარტიამ ისარგებლა საარჩევნო სისტემის მაჟორიტარული და დისპროპორციული ასპექტებით, რადგან მათ ერთად ადგილების 80%-ზე მეტის აღება შეძლეს ყოველი არჩევნების დროს. ჩვეულებისამებრ, აღნიშნული პარტიების მიერ მოპოვებული ადგილების პროპორცია პარლამენტში არჩევნებში მიღებულ ხმებზე უფრო მაღალი იყო. იგივე ფორმით, საარჩევნო სისტემას შეუძლია საპარლამენტო უმრავლესობის შექმნა. წარსულში, როგორც ესპანეთის სოციალისტურმა მუშათა პარტიამ (PSOE), ისე სახალხო პარტიამ (PP) აბსოლუტური საპარლამენტო უმრავლესობა მიიღო მიუხედავად 50%-ზე ნაკლები ხმების მიღებისა. დასკვნისთვის, შეიძლება ითქვას, რომ ესპანეთის საარჩევნო სისტემა ერთ-ერთი ყველაზე დისპროპორციულია ყველა პროპორციულ სისტემებს შორის.

ამ საარჩევნო სისტემამ ასევე გავლენა იქონია ამომრჩევლების ქცევაზე სტრატეგიული ხმის მიცემის პრაქტიკის მიმართულებით. საარჩევნო სისტემის მექანიკური შედეგების გათვალისწინებით ამომრჩევლები განწყობილნი არიან მეორე არჩევანისთვის ხმის მისაცემად თუკი ფიქრობენ, რომ თავიანთ პარტიას კანდიდატის გამარჯვების ნაკლები შანსი აქვს გარკვეულ ოლქში.

აღნიშნული სიტუაციიდან მრავალი გლობალური შედეგი მომდინარეობს. ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ დეპუტატთა კონგრესში წარმოდგენილი პარტიების რაოდენობის შეზღუდვამ და იმ პარტიის გადაჭარბებულად წარმოდგენამ, რომელმაც ხმათა ყველაზე დიდი რაოდენობა მიიღო, გააიოლა ერთის პარტიის მიერ კონტროლირებული სტაბილური მთავრობების ფორმირება. გარდა ამისა, არ არსებობს მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი პარტია, რომელიც საპარლამენტო წარმომადგენლობიდანაა გამორიცხული მიუხედავად დისპროპორციული ასპექტებისა და გეოგრაფიულად გაუწონასწორებელი წარმომადგენლობისა.

ესპანეთის პოლიტიკური სისტემის ფორმატის ევოლუცია 1977 წლის პირველი არჩევნების დროიდან საგულისხმო უწყვეტობას გვიჩვენებს.[81] ამ დროიდან მოყოლებული, ყველა საყოველთაო არჩევნებში ორმა დიდმა ნაციონალურმა პარტიამ – ცენტრისტულ-მემარცხენე (PSOE) და ცენტრისტულ-მემარჯვენე (1977-1979 წლებში ცენტრისტული UCD ; 1982 წლიდან AP/PP მემარჯვენე-ცენტრისტული) – ხმებისა და ადგილების ყველაზე დიდი რაოდენობა მიიღო დეპუტატთა კონგრესში. არჩევნების თანახმად, ნაციონალური წარმომადგენლობის მქონე

81 ესპანეთის პარტიების ორგანიზაციასთან დაკავშირებით იხ. Holliday (2002); Ramiro et Morales (2004).

ერთმა ან ორმა პატარა პარტიამ ასევე მოიპოვა საპარლამენტო წარმომადგენლობა, მაგრამ არასოდეს მიუღია მიცემული ხმების 10%-ზე მეტი.[82] გარდა ამისა, პარლამენტში რეგულარულად იყო წარმოდგენილი პატარა ნაციონალისტური რეგიონალური პარტიების საგულისხმო რაოდენობა. ამ პარტიების როლი გადამწყვეტი იყო საპარლამენტო პარტნიორების რანგში UCD-ს, PP-სა და PSOE-ს უმცირესობების მთავრობებისთვის.

ამგვარად, პარტიების ორგანიზაციის სისტემა სტაბილური გახდა ზომიერი მრავალპარტიული სისტემის ფორმით, რომელშიც ცენტრისტულ-მემარჯვენე და ცენტრისტულ-მემარცხენე ზომიერი პარტიები ყველაზე ბევრი ამომრჩევლის კონცენტრირებას ახდენდნენ.

თუმცა, თუკი უფრო ზედმიწევნით დავუკვირდებით, პარტიული სისტემის ევოლუციიდან სხვადასხვა ეტაპები და გარკვეული ცვლილებები გამოიყოფა. ამგვარად, 1977 წლისა და 1979 წლის არჩევნებს პარტიული ნიშნით მიმხრობის სისტემის არასტაბილურობა ახასიათებდა, მაგრამ ასევე ზოგადი სტაბილურობა პარტიული სისტემის დონეზე. ეს არჩევნები დასრულდა UCD-ს უმცირესობების მთავრობების ფორმირებით UCD-სა და PSOE-სთან, რომელთაც დეპუტატთა 80%-ზე მეტი ჰყავდათ.

სამაგიეროდ, 1982 წლის კონსულტაციამ რადიკალურად შეცვალა პარტიების წარმომადგენლობა დეპუტატთა კონგრესში იქამდე ხელისუფლებაში მყოფი UCD-ს ორგანიზაციული და საარჩევნო მარცხის გამო.

ამგვარად, UCD-ს უმცირესობების მთავრობები PSOE-ს უმცირესობების მთავრობებით იქნა შენაცვლებული პარლამენტში აბსოლუტურ უმრავლესობაზე დაყრდნობით. სოციალისტური ჰეგემონიის ეს პერიოდი 1986 წლისა და 1989 წლის არჩევნებით გაგრძელდა, და შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდის ესპანეთის პარტიულმა სისტემამ დომინანტური პარტიის სისტემის ფორმა მიიღო (PSOE). აღნიშნულ დროს ცენტრისტულ-მემარჯვენე ფლანგზე დიდი გადაადგილება მოხდა ამ უკანასკნელში შემავალ პოლიტიკურ პარტიებში მომხდარი ცვლილებების გამო. მართლაც, UDC (ცენტრის დემოკრატიული კავშირი) AP-მა (სახალხო ალიანსი) შეანაცვლა, რომელიც უფრო მემარჯვენე ფლანგზე იდგა. ამ უკანასკნელმა თანდათანობით თავისი საარჩევნო შედეგები გააუმჯობესა და 1980-იანი წლების დასასრულს მნიშვნელოვან ორგანიზაციულ განახლებას შეუდგა (Ramiro 2005 ; Astudillo et Garcia-Guerta 2007). აღნიშნულ ათწლეულში ასევე მოხდა ადოლფო სუარესის მიერ (UCD-ს ყოფილი ლიდერი) CDS -ს პატარა ცენტრისტული პარტიის შექმნა, რომელმაც აღმავლობა და დაშლა განიცადა. ასევე ჩამოყალიბდა IU-ს მემარცხენე საარჩევნო კოალიცია (ისკიერდა უნიდა, გაერთიანებული მემარცხენეები), რომელშიც კომუნისტები (PCE) გაერთიანდნენ (Ramiro 2004).

1993 წელი ახალი პერიოდის დაწყებით აღინიშნა. მიუხედავად PSOE -ს ხელახალი გამარჯვებისა არჩევნებში, ამ უკანასკნელთა შემდეგ ჩამოყალიბებული სოციალისტური მთავრობა კვლავ უმცირესობის იყო. ამგვარად, საჭირო გახდა ბასკების ქვეყნის, კატალანიისა და კანარის კუნძულების რეგიონალური ნაციონალისტური საპარლამენტო პარტიების მხარდაჭერის მოპოვება. 1996 წელს არჩევნებში სახალხო პარტიამ (ცენტრისტულ-მემარჯვენე) გაიმარჯვა, მაგრამ კვლავაც ადგილების აბსოლუტური უმრავლესობის მოპოვების გარეშე[83]. ამიტომაც, ეს პარტიაც იძულებული გახდა ზოგიერთი პატარა ნაციონალისტური პარტიის საპარლამენტო მხარდაჭერა მოეპოვებინა. ამავე დროს, უმცირესობების მთავრობების აღნიშნული პერიოდი შეწყვეტილი იქნა 2000 წლის არჩევნებით, რომელშიც სახალხო პარტიამ ადგილების აბსოლუტური უმრავლესობა მოიპოვა. თუმცა, ამ სიტუაციას ხანგრძლივი ჰეგემონია არ მოჰყოლია, რადგან 2004 წელს PSOE ხელისუფლების სათავეში დაბრუნდა და კვლავ უმცირესობის მთავრობა ჩამოაყალიბა.

ზოგადად, ესპანეთში პარტიული სისტემის ევოლუცია, პარტიული ნიშნით მიმხრობის სისტემაში არსებული შეჯიბრის მოდელები და საარჩევნო ქმედება გარკვეულ სტაბილურობაზე მიუთითებს (Linz et Montero 2000). როგორც ჩანს, საარჩევნო პრეფერენციები ორი იდეოლოგიურად ზომიერი პარტიის გარშემო გამყარდა. შემცირებულია პარტიული სისტემის ფრაგმენტაცია და საარჩევნო მერყეობა (1982 წლის არჩევნების გარდა) შედარებით სუსტია. 1993 წლამდე ეს უკანასკნელი ძირითადად ხმების გადაადგილებიდან მომდინარეობდა ანალოგიური ორიენტაციის მქონე პარტიებს შორის (მერყეობა ბლოკის შიგნით). ამ დროიდან, ასევე იმატა მემარცხენე ბლოკსა და მემარჯვენე ბლოკს შორის ხმების გადაადგილებამ.

4. ხელისუფლების ტერიტორიული დაყოფა

დემოკრატიაზე გადასვლის გარდამავალი პერიოდის პირველ ეტაპებზე, პროცესში ჩართული ყველა აქტორი შეთანხმდა პოლიტიკური ხელისუფლების დეცენტრალიზაციის გარკვეული ფორმის ჩამოყალიბების თაობაზე, როგორც დემოკრატიზაციის შემადგენელ ელემენტზე. ამ საკითხის გარშემო ფართო კონსენსუსი არსებობდა

82 კონსერვატორული AP და კომუნისტური PCE 1977 წელს და 1979 წელს; ცენტრისტული UCD და CDS და IU-ს მემარცხენე ფრთა 1982 წელს; ცენტრისტული CDS და IU-ს მემარცხენე ფრთა 1986 წელსა და 1989 წელს; და მხოლოდ IU 1993 წლიდან.

83 სოციალისტურმა პარტიამ, რომელსაც უკანასკნელად ფ. გონსალესი ედგა სათავეში, მარცხი განიცადა. PSOE-ს ევოლუციასთან დაკავშირებით იხ. Mendez 2005, 2007.

დემოკრატიული პარტიებისა და პოლიტიკური ელიტების შიგნით თუმცა, არავითარი თანხმობა არ არსებობდა განსახილველი დეცენტრალიზაციის ხარისხსა და ტიპზე (Gunther, Montero et Botella 2004).

ამ საკითხის გადაჭრას გარდამავალი დემოკრატიული პროცესის განმავლობაში თან ახლდა მრავალი სირთულე. ესპანეთის ისტორიაში კონფლიქტს ცენტრსა და პერიფერიას შორის ღრმა ფესვები აქვს, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე (Barcells 1996). მართლაც, პოლიტიკური ხელისუფლების ტერიტორიულ დაყოფასთან დაკავშირებული კონფლიქტი დასაბამს იღებს XV საუკუნეში ესპანეთის ერი-სახელმწიფოს ჩამოყალიბების დროიდან ძალზე განსხვავებული პოლიტიკური და კულტურული ტრადიციების მქონე ორი სამეფოს ხისტი გაერთიანებით (კასტილიისა და არაგონის სამეფოები). ერისა და სახელმწიფოს მშენებლობის პროცესის სისუსტემ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი და რეგიონალური კულტურებისა და განსხვავებული ტრადიციების შენარჩუნება, რაც ხელს უწყობდა ესპანეთის ერი-სახემწიფოს მეტოქე სუბნაციონალური იდენტობების განვითარებას, რომლებიც მასზე ძლიერები იყვნენ (Linz 1973). ეს ტერიტორიული კონფლიქტი სხვა განხეთქილებებთან ინტერაქციაში მრავალი შეიარაღებული კონფრონტაციის მიზეზის საფუძველი გახდა პოლიტიკურ ცენტრსა და პერიფერიულ რეგიონებს შორის. XIX საუკუნის მანძილზე აღნიშნული ეთნიკური თუ პერიფერიული ნაციონალიზმი თვალნათლივ გამოიხატა. ასპარეზზე გამოჩნდნენ პოლიტიკური აქტორები, რომლებიც ბასკეთის ქვეყნისა და კატალონიის ინტერესებს იცავდნენ განსაკუთრებით, ესპანეთის სახელმწიფოს პირისპირ. XX საუკუნის პირველი ათწლეულების განმავლობაში კერძოდ კი მეორე რესპუბლიკის დემოკრატიულ პერიოდში (1931-1936 წწ.), ბასკ და კატალონიელ ნაციონალისტთა და რეგიონალისტთა გავლენა საგრძნობლად გაიზარდა (ბასკური PNV-ს, ERC-სა და Lliga Regionalista Catalanes-ის მეშვეობით). სხვათა შორის, ამავე პერიოდში სხვა რეგიონებმაც მოისურვეს დეცენტრალიზაციის პროცესში მონაწილეობის მიღება. ამის საპასუხოდ, პოლიტიკური ელიტა ისტორიულ-ტერიტორიული კონფლიქტის გადაჭრისკენ მიმართული პოლიტიკის გატარებას შეუდგა. 1930-იან წლებში შექმნილმა მოდელმა გარკვეულწილად, რეგიონალური სახელმწიფოს შექმნას შეუწყო ხელი, 1932 წელს კატალონიისთვის, შემდეგ კი ბასკეთის ქვეყნისთვის ავტონომიის მინიჭებით, და თეორიულად გალისიისთვისაც 1936 წელს (თავდაპირველი მოდელი შორს იდგა, როგორც ესპანეთის სახელმწიფოს ტრადიციული უნიტარული მოდელისგან, ისე ფედერაციული მოდელისგან). აშკარაა, რომ ამ სამ რეგიონს თავიანთი ავტონომიით არ უსარგებლიათ ნორმალურ პირობებში და არც ხანგრძლივი დროით 1936 წლის სამოქალაქო ომის გაჩაღების გამო.

პერიფერიული ნაციონალიზმით გამოწვეული განხეთქილების სიმძაფრე ესპანეთის პოლიტიკაში კარგადაა ასახული ამ უკანასკნელის მიერ გამოწვეულ დაძაბულობაში, რომელიც პოლარიზაციის ძალზე მნიშვნელოვანი შემადგენელი იყო, რასაც საბოლოო ჯამში, პირველი დემოკრატიული სისტემის დაშლა და სამოქალაქო ომის დაწყება მოჰყვა 1936 წელს (Linz 1978 ; Preston 1978). 1939 წელს ფრანკისტული ამბოხის გამარჯვებასთან ერთად განადგურდა არა მხოლოდ დემოკრატია, არამედ დეცენტრალიზაციის ყველა კვალი წაიშალა. ასევე რადიკალური ფორმით იქნა გაუქმებული პოლიტიკური თუ კულტურული ნაციონალისტური იდენტობები. აღნიშნული კუთხით, ფრანკოს დიქტატურა შეუდგა არა მხოლოდ პოლიტიკურ ცენტრალიზაციას, არამედ ასევე ნაციონალურ-ავტორიტარულ უნიფიკაციას. ამ აგრესიული პოლიტიკის ერთ-ერთი მოულოდნელი შედეგი იყო ერთი მხრივ, ფრანკოს მიერ მხარდაჭერილი ესპანური არქაული ნაციონალიზმის დემოკრატიის არარსებობასთან იდენტიფიცირება, და მეორე მხრივ, დემოკრატიის, პროგრესისა და მოდერნიზაციის იდენტიფიცირება დეცენტრალიზაციასთან და პერიფერიული ნაციონალისტური მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან.

აღნიშნულმა კონტექსტმა 1970-იან წლებში დეცენტრალიზაციის საკითხი პოლიტიკური დღის წესრიგის უმთავრეს საკითხად აქცია დემოკრატიისკენ მიმართულ გარდამავალ პერიოდში. ახალი კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები კომპრომისით უნდა დასრულებულიყო ორ განსხვავებულ კონცეფციას შორის: ერთი მხრივ, გაერთიანებული ერი-სახელმწიფოს იდეა და მეორე მხრივ, იმგვარი ესპანეთის იდეა, რომელიც სხვადასხვა რეგიონებსა და ეროვნებებს საკუთარი თავის მართვის უფლებას ანიჭებს. ამ ორი იდეიდან ერთ-ერთზე გაკეთებული აქცენტის შესაბამისად, პოლიტიკურმა პარტიებმა დეცენტრალიზაციის ძალზე განსხვავებული ფორმები წარმოადგინეს. აღნიშნული მრავალფეროვნების გათვალისწინებით, რთული კონსენსუსის შედეგად შემოთავაზებული იქნა დეცენტრალიზაციის ბუნდოვანი და ორაზროვანი მოდელი : *Estado de las Autonomias* (ავტონომიების სახელმწიფო) (Botella1989 ; Moreno 1997).

მიუხედავად ესპანეთის ისტორიაში ყველაზე დეცენტრალიზებული პოლიტიკური სისტემის შექმნისა, 1978 წლის კონსტიტუციით შემოთავაზებული ტერიტორიული დაყოფის სპეციფიკური გამოსავალი ასევე გახდა ახალი პოლიტიკური კონფლიქტების საფუძველი. თუმცა, 1980-იან წლებში *Estado de las Autonomias*-ის განვითარებამ ესპანეთი დეცენტრალიზებულ პოლიტიკურ სისტემად გარდაქმნა, რომელიც იმდენად ახლოს დგას ფედერალიზმთან, რომ ბევრი მას „თითქმის ფედერალურ, „ფედერალური ხასიათის" ან „არასრულ, არასრულყოფილ ან არაინსტიტუციონალიზებულ ფედერალიზმად" განიხილავს (Colomber 1999 ; Moreno 2001).

პოლიტიკური სისტემის ტერიტორიული პლურალიზმი და რეგიონალიზაცია ნაკლებად ორგანიზებულ ინსტიტუციონალურ სტრუქტურაში განხორციელდა, რომელიც 1978 წლის კონსტიტუციასთან დაკავშირებული

მოლაპარაკებების დროს პარტიების პრეფერენციებს შორის კომპრომისიდან მომდინარეობდა.[84] კონსტიტუცია თავიდანვე ითვალისწინებდა ავტონომიის მიღების ორ განსხვავებულ ფორმას. ერთი მათგანი ტრადიციულად მიჩნეული სამი „ისტორიული ერთობისთვის" იყო განკუთვნილი, რომელმაც თავისი ავტონომია მეორე რესპუბლიკის პერიოდში მიიღო, მეორე კი ქვეყანაში არსებულ 14 რეგიონს ეხებოდა. ამ ორ ფორმას შედეგად მოჰყვა თავდაპირველი ავტონომიის ძალზე არათანაბარი დონე. რეგიონების უმრავლესობას უფრო ნელი პროცესი უნდა გაევლო სამი ისტორიული ერთობის დონის მისაღწევად. თუმცა, ანდალუსიის რეგიონმა შეძლო ამ სტადიის გადალახვა სამი „ისტორიული ერთობის" ავტონომიის მოდელის მისაღწევად. ეს შესაძლებელი გახდა იმის გამო, რომ კონსტიტუცია ასევე ითვალისწინებდა *Comunidades autónomas*-თვის მსგავსი ადმინისტრაციული და პოლიტიკური უფლებების მიღწევის შესაძლებლობას. გარდა ამისა, საერთო წესიდან მნიშვნელოვანი გამონაკლისი არსებობს ფისკალურ რეჟიმთან მიმართებაში, რომლითაც ბასკების ქვეყანა და ნავარა სარგებლობს. აღნიშნულ ორ შემთხვევაში, შუა საუკუნეებიდან მომდინარე ტრადიციის თანახმად, ამ ორი რეგიონის მთავრობა ყველა გადასახადის აკრეფას აწარმოებს, რომლის ნაწილსაც ცენტრალურ მთავრობას გადასცემს.

დეცენტრალიზაციის პროცესმა ხელი შეუწყო, როგორც რეგიონებს შორის დიდ შეჯიბრს, ისე უფრო ფართო ავტონომიის ხშირი მოთხოვნების წამოყენებას, იმ რეგიონების ჩათვლით, რომლებმაც თავიანთი ავტონომია მეორე პროცედურის მიხედვით მიიღეს. ნებისმიერ შემთხვევაში, დროის ხანმოკლე მონაკვეთში, ავტონომიის სტატუსებითა და კონსტიტუციით *Cumunidades autónomas*-თვის გათვალისწინებული ყველა უფლებამოსილება ცენტრალურმა მთავრობამ რეგიონებს გადასცა. 1992 წლისა და 1997 წლის პოლიტიკური შეთანხმებების შემდეგ ავტონომიურმა ერთეულებმა ახალი უფლებამოსილებები მიიღეს, რამაც ზოგიერთ შემთხვევაში, ავტონომიის სტატუსების მოდიფიკაცია გამოიწვია. მიუხედავად გარკვეული განსხვავებებისა, 17-მა ავტონომიურმა ერთეულმა მთლიანობაში ძალაუფლების მსგავს დონეს მიაღწია.

მიუხედავად აღნიშნული განვითარებისა, სისტემის გარკვეული ასპექტები მიგვანიშნებს იმაზე, რომ ის კვლავაც შორს დგას კლასიკური ფედერალიზმისგან. ესპანეთის შემთხვევაში, ძირითადად, ადგილი აქვს სტრუქტურირებული რეგიონალური მთავრობების მონაწილეობის ნაკლებობას პოლიტიკის შემუშავებაში ცენტრალური მთავრობის დონეზე. ზოგადად, ნაკლებად არსებობენ ინსტიტუტები, რომლებიც თანამშრომლობას უზრუნველყოფენ ცენტრალურ მთავრობასა და ავტონომიური ერთეულების მთავრობებს შორის. მაგალითად, სენატი არაა ტერიტორიული წარმომადგენლობის პალატა და მას არასოდეს უთამაშია მნიშვნელოვანი როლი ავტონომიური ერთეულების წარმოდგენაში ნაციონალურ პოლიტიკაში. დეცენტრალიზაციის ამ ორაზროვანმა მოდელმა და ინსტიტუტებისა და სამთავრობათაშორისო თანამშრომლობის პროცედურების სისუსტემ უნდობლობის მაღალი დონე გამოიწვია ესპანეთში ტერიტორიული პოლიტიკის ევოლუციასთან მიმართებაში.

5. სამთავრობო ქმედების საპირწონეები

თუკი აღმასრულებელ ხელისუფლებას ქვედა პალატასთან ურთიერთობებში მაჟორიტარული პრაქტიკა ახასიათებს, ეს ფენომენი კიდევ უფრო აშკარაა ზედა პალატის შემთხვევაში. სენატი, რომელიც თავიდანვე გათვალისწინებული იყო ტერიტორიული წარმომადგენლობის უზრუნველყოფის პალატად, ფართოდაა მიჩნეული არასაჭირო ინსტიტუტად. ამ მარცხის მრავალი მიზეზი არსებობს. პირველ ყოვლისა, სენატისთვის არ მიუნიჭებიათ პრეფერენციული ან ექსკლუზიური კომპეტენციები სპეციფიკურ პოლიტიკურ სფეროებში, როგორც ამას ჩვეულებისამებრ, ადგილი აქვს ფედერალური სისტემების შემთხვევაში. კიდევ უფრო სავალალოა თანხმობის ნაკლებობა სენატისთვის გამოყენებულ საარჩევნო სისტემასა და ქვეყნის რეალურ ტერიტორიულ სტრუქტურას შორის: მაშინ როდესაც დეცენტრალიზაციამ პოლიტიკური ძალაუფლების გადაცემის ფორმა მიიღო 17 ავტონომიური ერთეულისთვის, ამ პალატის 256 ადგილიდან 208 ადგილი გადანაწილებულია იმგვარად, რომ პროვინცია საარჩევნო ოლქადაა მიჩნეული. გარდა ამისა, 47 პროვინციამ პალატაში თანაბარი წარმომადგენლობა მიიღო, მიუხედავად მისი მოსახლეობის რაოდენობისა. ამ მიზეზთა გამო, სენატი არაა მიჩნეული ლეგიტიმურ ასპარეზად რეგიონალური ინტერესების გამოსახატავად და მისი რეფორმირებისთვის მრავალი წინადადება იქნა შემოთავაზებული. 1994 წლის სექტემბერში სენატში ჩატარებული დებატის დროს შემოთავაზებული იქნა ზედა პალატის ჭეშმარიტად ტერიტორიულ პალატად გარდაქმნა. თუმცა, ამ საკითხთან დაკავშირებული დისკუსიები თითქმის 2004 წლამდე გაგრძელდა, როდესაც საპატეროს მთავრობა კვლავ ამ საკითხს მიუბრუნდა, რომელსაც დღეს მეტი დეტალიზაცია ესაჭიროება (Gunther, Montero et Botella 2004 : 120-1).

მიუხედავად პარლამენტის სისუსტისა აღმასრულებელი ხელისუფლების პირისპირ, ესპანეთის პოლიტიკური სისტემა გარკვეულ მექანიზმებს შეიცავს „მაჟორიტარული" ტენდენციების შესაზღუდად. მაგალითად, ზოგიერთი ინსტიტუტი, როგორიცაა *Defensor del Pueblo* (ომბუცმენის ინსტიტუტი), *Consejo General del Poder*

---

84 ამ კონსენსუსში მხოლოდ ბასკმა ნაციონალისტებმა არ მიიღეს მონაწილეობა და ხმა არ მისცეს 1978 წლის ესპანეთის კონსტიტუციის სასარგებლოდ, მიუხედავად იმისა, რომ შემდგომში მათ მხარი დაუჭირს ბასკების ქვეყნის ავტონომიის სტატუსს.

Judicial (სასამართლო ხელისუფლების გენერალური საბჭო) ამ საკითხში არბიტრის როლს ასრულებს, და გარდა ამისა, *Tribunal constitucional* – იც (საკონსტიტუციო სასამართლო).

ზემოაღნიშნული ინსტიტუტებიდან საკონსტიტუციო სასამართლო ყველაზე რელევანტურია. ის გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს მოდელს ეყრდნობა და ესპანეთში კონსტიტუციურობის უმაღლესი ინტერპრეტატორია. საკონსტიტუციო სასამართლო ფორმალურად სასამართლო ხელისუფლებიდან არ მომდინარეობს, რადგან ამ სასამართლოს ავტორიტეტი მას სახელმწიფო ხელისუფლების სამ კლასიკურ შტოზე მაღლა აყენებს. აღნიშნული სასამართლო უფლებამოსილია არაკონსტიტუციურად ცნოს არა მხოლოდ *კორტესების* (პარლამენტი) და ავტონომიური ერთეულების ასამბლეების მიერ მიღებული კანონმდებლობა, არამედ ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების კანონდებულებები. ამგვარად, თავისი დაარსების დღიდან, საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა როგორც საშუამავლო ინსტიტუტს, ერთი მხრივ, აღმასრულებელ ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის და მეორე მხრივ, რეგიონალურ და ცენტრალურ მთავრობებს შორის. რაც შეეხება შუამავლობის პირველ ტიპს, მთავარი ოპოზიციური პარტიის მიერ არაკონსტიტუციურობაზე მითითების სიხშირეს შეუძლია წარმოდგენა მოგვცეს თუ რა ფორმით ფუნქციონირებდა ეს სასამართლო როგორც „მაჟორიტარიზმის" საპირწონე. 1999 წლამდე იმ ლეგისლატურების პერიოდში, როდესაც მთავრობას არ ჰყავდა საპარლამენტო უმრავლესობა კანონთა მხოლოდ 2% გახდა კონსტიტუციურობის საკითხის დაყენების ობიექტი მთავარი ოპოზიციური პარტიის მხრიდან. ეს ციფრი 7%-მდე ადის იმ ლეგისლატურების პერიოდში, როდესაც მთავრობაში მყოფი პარტია აბსოლუტური უმრავლესობით სარგებლობდა. ამგვარად, უმრავლესობის მთავრობის პერიოდებში საკონსტიტუციო სასამართლომ ოპოზიციას საპირწონეს გარკვეული უფლებამოსილება მისცა საკანონმდებლო პროცესში. ზოგადად, ამ სასამართლოს ჩარევის სიხშირე საკანონმდებლო პროცესში არაა გადაჭარბებული და ის შეიძლება გერმანიაში არსებულს შევადაროთ აღნიშნულ მიზეზთა გამო (Magalhaes 2003).

რაც შეეხება ცენტრისა და პრიფერიის ურთიერთობებს, ამ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოს ანგაჟირება ბევრად მნიშვნელოვანი იყო. 1981-2002 წლებში ამ სასამართლომ 450-ზე მეტი დადგენილება გამოსცა ერთობებსა და ცენტრალურ მთავრობას შორის კონფლიქტებთან დაკავშირებით. ეს წარმოადგენს საშუალოდ, 20-ზე მეტ გადაწყვეტილებას წელიწადში, რაც ბევრად ნაკლებია გერმანიის ფედერალური სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობაზე. აღნიშნული ასახავს ამ სასამართლოს როლს, არა მხოლოდ როგორც „მაჟორიტარიზმის" საპირწონისა აღმასრულებელ ხელისუფლებასა და პარლამენტს შორის ინტერაქციების ჩარჩოში, არამედ ასევე ურთიერთობებს ცენტრსა და პერიფერიას შორის. მართლაც, იმ ლეგისლატურების პერიოდში, როდესაც ხელისუფლებაში მყოფ პარტიას უმრავლესობა ჰყავდა პარლამენტში ავტონომიური ერთეულების მიერ შემოტანილი შუამდგომლობების რაოდენობა ორჯერ უფრო დიდი იყო, ვიდრე ამგვარი უმრავლესობის არარსებობის პერიოდის ლეგისლატურების დროს.

დასკვნისთვის, შეიძლება ითქვას, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ გადამწყვეტი როლი ითამაშა დეცენტრალიზაციის პროცესში იმ საკითხთა გადაჭრით, რომელთაც შეიძლება მძაფრი კონფლიქტები გამოეწვია მმართველობის სხვადასხვა დონეს შორის. მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ ზოგიერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება რეგიონების სასარგებლოდ მიიღო, ავტონომიის მომხრე ლიდერები მას ხშირად დებდნენ ბრალს ცენტრალიზაციის ზედმეტ მხარდაჭერაში. ბასკურმა, კატალონიურმა და გალისიურმა ნაციონალისტურმა პარტიებმა 1998 წლის ბარსელონის დეკლარაციაში აღნიშნული სულისკვეთებით ჩამოაყალიბეს საკონსტიტუციო რეფორმის წინადადება, რომელიც რეგიონებს ამ სასამართლოში ადგილების განკარგვის შესაძლებლობას მისცემდა (Gunther, Montero et Botella 2004: 125). გარდა ამისა, სხვა ინსტიტუტებსაც, რომლებიც პოლიტიკური თვალსაზრისით მედიატორივით ნეიტრალურნი უნდა ყოფილიყვნენ, ასევე დასდეს ბრალი მიკერძოებაში (Heywood 1995 : 113).

ასევე აღსანიშნავია სასამართლო ხელისუფლების როლი როგორც სამთავრობო ქმედების საპირწონისა. ახალ დემოკრატიულ სისტემაში წამოჭრილი კრიტიკული საკითხი სწორედ ამ ხელისუფლების დამოუკიდებლობას ეხებოდა სხვა ხელისუფლებებთან მიმართებაში. აღნიშნული დამოუკიდებლობის დაცვისთვის 1978 წლის კონსტიტუციაში გარკვეული დებულებები იქნა შეტანილი, როგორიცაა ხელშეუხებლობა ან იმუნიტეტი, უფლებამოსილების გადაცემა ან შეჩერება და ასევე დებულებები, რომლებიც სასამართლო ხელისუფლების წევრებს პოლიტიკისადმი ან პროფკავშირებისადმი მიმხრობას უკრძალავს თავიანთი ფუნქციების აღსრულებისას. (Heywood 1995: 114). ამავე დროს, სასამართლო ხელისუფლებასთან დაკავშირებული ყველაზე მნიშვნელოვანი კონფლიქტი ეხება *სასამართლო ხელისუფლების გენერალური საბჭოს* (CGPJ) საქმიანობასა და შემადგენლობას. კონსტიტუციის თანახმედ, ეს საბჭო შექმნილი იქნა სასამართლო ხელისუფლების გაკონტროლებისა და რეგლამენტირების მიზნით. 1980 წელს თავისი ფორმალური შექმნის დროიდან CGPJ მწვავე დებატის ცენტრში მოექცა განსაკუთრებით კი, მისი წევრების არჩევის პროცედურებთან დაკავშირებით. 1980 წლიდან დღემდე, ამ საბჭოს წევრების არჩევის სამი პროცედურა არსებობდა: სასამრთლო ხელისუფლებისა და კორტესების მიერ (1980-1985 წწ), მხოლოდ *კორტესების* მიერ (1985-2001 წ.), ან სასამართლო ხელისუფლების ასოციაციებისა და

პარლამენტის მიერ (2001 წლიდან)[85]. ყველა აღნიშნული ცვლილებები ასახავს მუდმივ აზრთა სხვაობას, სასამართლო ხელისუფლების ხასიათსა, განსაკუთრებით კი ამ უკანასკნელის აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ურთიერთობებთან მიმართებაში.

ზოგიერთების აზრით, CGPJ-ის წევრების კორტესების მიერ არჩევა სერიოზულად არყევს ამ საბჭოს დამოუკიდებლობას და სხვადასხვა მთავრობების მხრიდან სასამართლო ხელისუფლებაზე დომინანტობის მცდელობას ასახავს (Heywood 1995 : 155-6). სხვა კვლევების თანახმად, ოპოზიციაში მყოფ სახალხო პარტიას შეუძლია მრავალი მოსამართლის კონსერვატორულ ტენდენციაზე დაყრდნობა სოციალისტური მთავრობების სტაბილურობის შესარყევად; აღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ შემთხვევაში, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს „მაჟორიტარიზმის" საპირწონის შესაქმნელად (Maravall 2003 : 169-218).

6. დებატები დღევანდელი რეჟიმის ხასიათსა და რეფორმებზე

ავტონომიების სახელმწიფოს (*Estado de las autonomias*) ორაზროვანი ხასიათის გამო, გასაკვირი არაა, რომ ესპანეთის პოლიტიკურ მომავალთან დაკავშირებული დებატების უმრავლესობა სახელმწიფოს ტერიტორიულ სტრუქტურასთანაა დაკავშირებული. 2001 წლამდე დეცენტრალიზაციის ახალმა ტალღამ გადაიარა. ამგვარად, 17-მა ავტონომიურმა ერთეულმა (*Comunidades autonómas*) თითქმის თანაბარი ავტონომიის დონეს მიაღწია. თუმცა, ამ ევოლუციას არ დაუსრულებია სახელმწიფოს ტერიტორიულ სტრქტურასთან დაკავშირებული დებატები. პირიქით, ბოლო ათწლეულებში მრავალმა ავტონომიურმა ერთეულმა ახალი სტატუსები წარმოადგინა და ამგვარად, რეფორმების მესამე ტალღას მისცა ბიძგი, რომლის შედეგიც დღემდე გაურკვეველია.[86]

აღნიშნულ ცვლილებებში კვლავაც მთავარი როლი ბასკების ქვეყანამ და კატალონიამ ითამაშა. თუმცა, ამ უკანასკნელთა რეფორმის პროექტებს ძალზე განსხვავებული შედეგები ჰქონდა. 2001 წლის რეგიონალურ არჩევნებში გამარჯვების შემდეგ ბასკური ნაციონალისტური კოალიციის მიერ შემოთავაზებული ავტონომიის რეფორმის სტატუსი (PNV-EA – Plan Ibarretxe), რომელიც ბასკების ქვეყნის სუვერენიტეტზე აკეთებდა აქცენტს ამ უკანასკნელის პარლამენტის მიერ იქნა მიღებული 2004 წლის დეკემბერში. თუმცა, ის უარყოფილი იქნა ესპანეთის პარლამენტის მიერ 2005 წლის აპრილში. მიუხედავად იმისა, რომ Plan Ibarretxe-ს პერსპექტივა კომპრომენტირებული იქნა ამ პროვინციის მმართველი კოალიციის 2005 წლის საარჩევნო მარცხის შემდეგ, გარდაუვალია ბასკების ქვეყნის ავტონომიის სტატუსის განხილვა, რომელშიც სუვერენიტეტი ძირითად საკითხად რჩება (Pérez-Nievas 2006).

ძალზე განსხვავებულია კატალონიის ახალ სტატუსთან დაკავშირებული წინადადების შედეგი, რომელსაც უფრო მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა ესპანეთის ტერეტორიული მოწყობის მოდელის ევოლუციაზე. 2004 წლის საკანონმდებლო არჩევნებში საპატეროს გამარჯვება და PSOE-ს წარმომადგენლობა, როგორც ესპანეთის, ისე კატალონიის აღმასრულებელ ხელისუფლებაში განხილული იქნა ხელსაყრელ მომენტად უფრო მნიშვნელოვანი სტატუსის შესამუშავებლად. საბოლოოდ, ეს სტატუსი ბევრმა არაკონსტიტუციურად ჩათვალა განსაკუთრებით, კატალონიურ ერზე მითითებისა და რეგიონალურ დაფინანსებასთან დაკავშირებულ მიზეზთა გამო. კატალონიის პარლამენტის მიერ ამ სტატუსის მიღების შემდეგ 2005 წლის სექტემბერში, მოლაპარაკებები *კორტესების* შიგნით უფრო წინააღმდეგობრივი აღმოჩნდა. ამავე დროს, აღნიშნული სტატუსი კორტესების მიერ იქნა მიღებული 2006 წლის მაისში, შემდეგ კი ის კატალონიაში ჩატარებულმა რეფერენდუმმა დაამტკიცა თავდაპირველ ვერსიაში შესწორების შეტანით. ამოგდებული იქნა კატალონიურ ერზე მითითება, რეგიონალური დაფინანსების სისტემასთან დაკავშირებულმა დებულებებმა კი ცვილებები განიცადა.

კატალონიის ახალი სტატუსის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი მდგომარეობს ამ უკანასკნელის გავლენაში ტერიტორიულ მოდელზე მთლიანობაში. ერთი მხრივ, ახალ სტატუსში შეტანილი ზოგიერთი ცვლილება Estado de las autonomias მთლიანობას შეეხება. კატალონიის სტატუსი რეფორმების მომასწავებელია სხვა რეგიონებში. მაგალითად, ახალი ფინანსური ურთიერთობა ცენტრალურ მთავრობასთან გამოიწვევს სხვა ერთეულების დაფინანსების რეფორმას. რეფორმების აუცილებლობა ასახავს ინსტიტუციონალური ჩარჩოს შექმნის აუცილებლობას, რომელიც თანამშრომლობას გააიოლებს ცენტრალურ მთავრობასა და ავტონომიურ ერთეულებს შორის. გარდა ამისა, კატალონიური სტატუსი სხვა სტატუსების რეფორმას აძლევს ბიძგს სხვადასხვა კუთხით. მრავალი რეგიონი კატალონიურ მოდელს მისანიშნებლად იყენებს საკუთარი სტატუსის შემუშავებისას და დიდად არ აანალიზებს ადაპტირებულია თუ არა მოთხოვნები რეგიონალურ რეალობასთან.

დაბოლოს, როგორც ჩანს, ესპანეთის პოლიტიკური სისტემის ყველაზე სწრაფი რეფორმის საჭიროება ეხება იმგვარი ინსტიტუტების შექმნას, რომლებიც ხელს შეუწყობენ რეგიონალური მთავრობების მონაწილეობას ცენ-

---

85 იხ. Heywood (1995: 115-6) ამ ცვლილებებთან დაკავშირებული უფრო დეტალური ანგარიშისთვის.

86 პირველ ტალღას ადგილი ჰქონდა 1979-1983 წლებში ავტონომიური ოლქების შექმნით, ხოლო მეორეს 1990-იან წლებში მეორე დონის რეგიონების მიერ მრავალი სტატუსის მიღებით პირველი დონის შესაბამისი უფლებამოსილებებით.

ტრალური მთავრობის პოლიტიკურ პროცესში, როგორც ამას ადგილი აქვს კლასიკურ ფედერალურ რეჟიმებში. თუმცა, მიუხედავად საპატეროს მთავრობის მცდელობისა ახალი ინსტრუმენტების შემოღებისთვის სამთავრობთაშორისო თანამშრომლობის გასაუმჯობესებლად, ამ უკანასკნელთ დღემდე ძალზე შეზღუდული გავლენა ჰქონდათ. სენატის გარდაქმნის წინადადება ტერიტორიული წარმომადგენლობის ჭეშმარიტ პალატად საკონსტიტუციო რეფორმის გზით, ბევრად უფრო ამბიციურია. მაგრამ ეს წინადადება ძალზე დეტალურადაა შესამუშავებელი და მან სახალხო პარტიის წინააღმდეგობა უნდა გადალახოს.

ბიბლიოგრაფია

AGUILAR, P. (2002) *Memory and Amnesia: the Role of the Spanish Civil War in the Transition to Democraty,* New York: Berghahn Books.

BALCELLIS, A. (1996) *Catalan Nationalism,* London: Macmillan.

BOTELLA, J. (1989) „The Spanish New Regions: Territorial and Political Pluralism", *International Political Science Review* 10: 263-71.

COLOMER, J.M. (1999) „The Spanish State of Autonomies: Non-Institutional Federalism", in. P. Heywood (ed.), *Politics and Policy in Democratic Spain,* London: Frank Cass.

CHHIBBER, P. and M. Torcal (1997) „Elite Strategy, Social Cleavages, and party System en a New Democracy: Spain", *Comparative Political Studies:* 30: 27-54.

ENCARNACIÓN, O.G. (2003) *The Myth of Civil Society: Social Capital and Democratic Consolidation in Spain and Brazil,* New York: Palgrave Macmillan.

FLORES JUBERÍAS, C. (1999) „A House in Search of a Role: The Senado of Spain", in S.C. Patterson et A. Mughan (eds.), *Senates: Bicameralism in the Contemprary World,* Columbus: Ohio State University.

GUNTHER, R. (1989) „Electoral Laws, Party Systems, et Elites: The Case of Spain", *American Political Science Review* 83: 835-58.

GUNTHER, R., J. R. MONTERO et J. BOTELLA (2004) *Democracy in Modern Spain.* New Haven & London: Yale University Press.

HERMET, G. (1980-1981), *Les catholiques dans L'Espagne franquiste,* Paris, Presses de la Fondation nationale des Sciences politiques, 2. vol.

HERMET, G. (1992), *L'Espagne au XX siècle, Paris,* Presses Universitaires de France.

HERMET, G. (1996), *Le passage à la démocratie,* Paris, Presses de la Fondation nationale des sciences politiques.

HEYWOOD, P (1995) *The Governement and Politics of Spain,* New York: St. Martin's Press.

HEYWOOD, P. et I. MOLINA (2000) „A Quasi-Presidential Premiership: Administering the Executive Summit in Spain", in B.G. Peters, R. Rhodes et V. Wright (eds.), *Administering the Summit: Administration of the Core Executive in Developed Countries,* London: Palgrave.

HIGLEY, J. et R. GUNTHER, eds. (1992) *Elites and Democratic Consolidation in Latin America and Southern Europe,* Cambridge et New York: Cambridge University Press.

LANCASTER, T. (1996) „Executive-Legislative Relations in Southern Europe", *in South European Society and Politics* 1: 186-205.

LINZ, J.J. (1973) „Early State-Bulding and Late Peripheral Nationalisms Against the State: The Case of Spain", in S.N. Eisenstadt et S. Rokkan (eds.), *Bulding States and Nations,* Beverly Hills: Sage.

LINZ, J.J. (1978) „From Great Hopes to Civil War: The Breakdown of Democraty in Spain", in J.J. Linz and A. Stepan (eds.), *The Breakdowns of Democratic Regimes,* part 2, Baltimore: Johns Hopkins University Press.

LINZ, J.J. et J.R. MONTERO (2001) „The Party System of Spain: Old Cleavages and New Challenges" in L. Karvonen and S. Kuhnle (eds.) *Party System and Voter Alignments Revisited,* London: Routledge.

MAGALHAES, P (2003) *The Limits of Judicalization: Abstract Review and Legislative Politics in the Iberian Democraties,* Ph.D. dissertation, Ohio State University.

MARAVALL, J.M. (2003) *Et control de los politicos,* Madrid:Taurus.

MORENO, L. (1997) „Federalization and Ethno territorial Concurrence in Spain", in Publius: *The Journal of Federalism* 27: 65-84.

MORENO, L. (2001) *The Federalization in Spain,* London: Frank Cass.

PÉREZ-DÍAZ, V. (1993) *The Retourn of Civil Society,* Cambridge: Harvard University Press.

PÉREZ-DÍAZ, V. (1990) The Emergence of Democratic Spain and the „Invention" of a Democratic Transition, in *Estudio/ Working Paper* 1990/1. Madrid: Instituto Juan March.

PÉREZ_NIEBAS, S. (2006) *Las elecciones autonómicas vascas de abril de 2005: fin de un ciclo político? Un análisis de la encuesta postelectoral de 2005 en relación a las de 1981 y 2001.* Madrid: Centro deInvestigationes Sociológicas.

POWELL, Ch. (2001) *España en democratia 1975-2000,* Barcelona: Plaza&Janes.

PRESTON, P. (1978) *The Coming of the Civil War,* London:Macmillan.

RAMIRO, L. (2005) „Programmatic adaptation and organizational centralization in the AP-PP", *in South European Society & Politics* 10 (2): 207-223.

SARTORI, G. (1976) *Parties and Party Systems: A Framework for Analysis,* Cambridge and New York: Cambridge University Press.

SANCHEZ DE DIOS, M. (2006) „Output of the Spanish Cortes (1979-2000): A case of adaptation to party government", in *European Journal of Political Research* 45 (4): 551-579.

TORCAL, M.,L., MORALES et S. PÉREZ-NIEVAS, eds. (2005) *España: Sociedad y política en perspectiva comparada. Un análisis de la primera ola de la Encuesta Social Europea,* Valencia: Tirant lo Blanc.

თავი VIII

ესტონეთი

ველო პეტტაი

ისტორიული კონტექსტი

ესტონეთის პოლიტიკური ისტორია ოთხ მნიშვნელოვან პერიოდს მოიცავს: ესტონეთის სახელმწიფოს დაარსება რუსეთის იმპერიის ნგრევის პერიოდში 1918 წელს, პირველი დემოკრატიული რეჟიმის მარცხი 1934 წელს, საბჭოთა ოკუპაცია და ანექსია 1940 წელს და დამოუკიდებლობის მოპოვება 1991 წელს გორბაჩოვის ხელისუფლებიდან ჩამოშორების წარუმატებელი მცდელობის ("გეკაჩეპე") შემდეგ. თითოეულ პერიოდს კრიტიკული გავლენა ჰქონდა ესტონეთის დემოკრატიის ხასიათზე კულტურის, ინსტიტუციონალური მოწყობისა და ეთნიკური პოლიტიკის შესაბამისად.

სწორედ რუსეთში მიმდინარე 1917-1918 წლების ქარცეცხლიანი მოვლენების პერიოდში ესტონელმა პოლიტიკოსებმა და სამოქალაქო ლიდერებმა გადაწყვიტეს ორმოცდაათწლიანი ნაციონალიზმის აღზევების ბოლომდე მიყვანა და დამოუკიდებლობის გამოცხადება 1918 წლის 24 თებერვალს. ესტონეთი უკვე სარგებლობდა გარკვეული ავტონომიით თებერვლის რევოლუციის შემდეგ. მაგრამ ბოლშევიკების ხელისუფლებაში მოსვლისა და რუსების უკან დახევისა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ესტონეთი (და სხვა ბალტიის პროვინციები) სწრაფად ექცევა გერმანიის იმპერიის დაქვემდებარებაში. ამ უკანასკნელის დაშლის შემდეგ 1918 წლის ნოემბერში შესაძლებელი ხდება სახელმწიფოს შექმნა. თუმცა, ეს არაა იოლი საქმე, რადგან ბოლშევიკები აღმოსავლეთიდან, ხოლო გერმანელები სამხრეთიდან, ქვეყნის დამოუკიდებლობას უპირისპირდებიან. ომი 1920 წლამდე გაგრძელდა, ამ დროს ერთი მხრივ, გერმანელები დამარცხდნენ, მეორე მხრივ კი, ბოლშევიკები იძულებულნი გახდნენ მოლაპარაკებებზე წამოსულიყვნენ, რაც ტარტუს სამშვიდობო ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დასრულდა. აღნიშნული დროიდან, მიუხედავად ომით გამოწვეული ნგრევისა, ესტონეთმა თავისი დამოუკიდებლობა შეინარჩუნა.

1920 წელს ესტონეთში სასწრაფოდ იკრიბება დამფუძნებელი ასამბლეა და მზადდება პირველი კონსტიტუცია. ეს რეჟიმი „ულტრადემოკრატიულია," რადგან პარლამენტის ხელში დიდი ძალაუფლებაა კონცენტრირებული, მაშინ როდესაც აღმასრულებელი ხელისუფლება ძალზე სუსტია. შემოღებულია მხოლოდ 1%-იანი საარჩევნო ბარიერი, რომელიც დაახლოებით ათ პარტიას პარლამენტში შესვლის საშუალებას აძლევს ყოველი არჩევნების შემდეგ. იქმნება კოალიციური მთავრობები, რომლებიც სწრაფად იშლებიან და მათი უმრავლესობა ერთ წელზე მეტხანს ვერ ინარჩუნებს ხელისუფლებას. ამავე დროს, ქვეყანა ეკონომიკურად და სოციალურად ძლიერდება, იმავე 1920 წელს ტარდება აგრარული რეფორმა, რომელიც გერმანელი ბარონების მიწების გადანაწილების შესაძლებლობას იძლევა ესტონელი გლეხებისთვის. საგარეო ვაჭრობა ორიენტაციას აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ იცვლის და ესტონეთი თანდათანობით საკუთარ ადგილს იკავებს საერთაშორისო ასპარეზზე.

თუმცა, სწორედ ეს საერთაშორისო დისპოზიცია ქვეყნის დაშლას იწვევს. 1930-იანი წლების საერთაშორისო ეკონომიკური კრიზისი ესტონეთსაც შეეხო. ესტონეთში, კონტინენტის სხვა ქვეყნების მსგავსად, სოციალური უკმაყოფილება კონსერვატიზმისკენ, და საბოლოო ჯამში, ფაშიზმისკენ უბიძგებს. ამ მხრივ, ქვეყანა განსაკუთრებულად ნოყიერი ნიადაგი გახდა მას შემდეგ, რაც ულტრადემოკრატიული სისტემის პოლიტიკურმა სისუსტემ მრავალ მოქალაქეს ძლიერი ხელმძღვანელობის მოთხოვნის სურვილი გაუჩინა. განსაკუთრებით აღსანიშნავია დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ვეტერანების მობილიზება, რომელთაც სათავეში ქარიზმატული ადვოკატი, არტურ სირკი ჩაუდგა. სწორედ ამ უკანასკნელემა მოახდინეს პოლიტიკური სისტემის ორიენტაცია პირდაპირი არჩევნებით არჩეული პრეზიდენტის სასარგებლოდ. 1932-1933 წლების ზომიერი რეფორმების გატარების მცდელობამ მარცხი განიცადა და ვეტერანთა ლიგამ, სახალხო რეფერენდუმით ქვეყანას თავს მოახვია ახალი კონსტიტუციის საკუთარი ვერსია. 1934 წლის აპრილში პირველი საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართა და მათში ლიგის კანდიდატმა, გენერალმა ანდრეს ლარკამ გაიმარჯვა.

ამავე დროს, გარე პოლიტიკური ძალის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების შიშით, მოქმედი პრეზიდენტი, კონსტანტინე პატსი 12 მარტს პრევენციულ ქმედებას ანხორციელებს და აცხადებს, რომ საზოგადოებას სიმშვიდის პერიოდი ესაჭიროება. მკაცრი კანონის შემოღებით პრეზიდენტი ყოველგვარ პოლიტიკურ საქმიანობას აუქმებს და საბოლოოდ, შლის ვეტერანთა ლიგას. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ისტორიკოსი პატსის ამ ქმედებაში სამოქალაქო ომის შეჩერების საშუალებას ხედავს, ეს უკანასკნელი ესტონეთის პირველი დემოკრატიული გამოცდილების მარცხს აღნიშნავს. თუმცა, აღნიშნული მარცხის მიზეზებს შორის ასევე აღსანიშნავია ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი პოლიტიკური კულტურა და ერთი ძლიერი ლიდერის არჩევანი. დაბოლოს, კომპრომისის მიღწევისა და პოლიტიკური თანამშრომლობის უუნარობამ ასევე მომავალშიც იჩინა თავი. აღნიშნული 1991 წელს გამოიკვეთა, როდესაც ესტონეთმა კვლავ მოიპოვა თავისუფლება.

პატსის პრეზიდენტობის პერიოდში პოლიტიკური ცხოვრება გარკვეულ სტაბილურობას განიცდის და 1937-1938 წლებში ძალაში შედის ახალი კონსტიტუცია. აღდგენილი პარლამენტი პატსის პარტიის (მისი თავმჯდომარე) მნიშვნელოვანი კონტროლის ქვეშ იმყოფება.

ამავე დროს, საერთაშორისო სიტუაცია, განსაკუთრებით კი, გერმანია-საბჭოთა კავშირის მეტოქეობა კვლავ ემუქრება ესტონეთის სუვერენიტეტს. 1939 წლის 23 აგვისტოს მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი მოსკოვსა და ბერლინს შორის ბალტიის სახელმწიფოებსა და პოლონეთს ორ ტოტალიტარულ რეჟიმს შორის ანაწილებს. ერთი თვის განმავლობაში, სტალინი თავის ნაწილს იღებს (ესტონეთი, ლიტვა, მოგვიანებით კი, ლატვია) და ამ სახელმწიფოებს კრემლთან ორმხრივი დახმარების ხელშეკრულებებზე ხელის მოწერას აიძულებს. ფაქტობრივად, ეს ხელშეკრულებები ნიშნავდა ამ ქვეყნებში საბჭოთა ჯარების შეყვანასა და სამხედრო ბაზების განლაგებას 1939 წლის შემოდგომაზე და ასევე ამ უკანასკნელთა საბჭოთა არეალში მოქცევას.

1940 წლის ივნისში პრეზიდენტი პატსი დათმობაზე მიდის სტალინის ზეწოლის შედეგად. მოსკოვი სამი ბალტიის ქვეყნისგან ახალი არჩევნების ჩატარებას მოითხოვს, რომლებშიც კომუნისტი კანდიდატები მონაწილეობენ. პატსისთვის ეს უზარმაზარი შეზღუდვაა და თავისი ლიტველი კოლეგის, სმეტონასგან განსხვავებით, რომელიც ქვეყნიდან გაიქცა, იგი ადგილზე რჩება და მოთხოვნებს ემორჩილება. პატსი იმედოვნებს, რომ საბჭოელებთან ძალით დაპირისპირების (რასაც იმ დროს ფინეთში ჰქონდა ადგილი) გარეშე, იგი ქვეყანას ყველაზე უარეს ხვედრს აცილებს თავიდან. ივლისში, მთლიანად კომუნისტური ახალი პარლამენტის ამოქმედების შემდეგ, ეს უკანასკნელი მაშინვე ხმას აძლევს საბჭოთა კავშირთან მიერთებას. ამგვარად, ესტონეთი ასე ვთქვათ ნებაყოფლობით უერთდება თავის აღმოსავლელ მეზობელს. პატს აკავებენ თავად პროცესის დასრულებამდე, ისევე როგორც პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტის ასობით წევრს. ახალი რეჟიმი კერძო საკუთრების ყველა ფორმის ნაციონალიზაციას ახორციელებს და ეკონომიკის რესტრუქტურაციას იწყებს საბჭოური მიმართულებით. იხურება ესტონეთის საელჩოები და წარმომადგენლობები საზღვარგარეთ. აშშ პირველი ამბობს უარს ამ ოკუპაციისა და ანექსიის აღიარებაზე და მხარს უჭერს ძველი ესტონეთის სახელმწიფოს ოფიციალურ აღიარებას. ქვეყანა 1991 წლამდე კარგავს თავის დამოუკიდებლობას.

ესტონეთი სწრაფად დათმეს სხვა დამპყრობლის, ნაცისტური გერმანიის სასარგებლოდ 1941 წელს საბჭოთა კავშირში შეჭრის შემდეგ. ამავე დროს, მეორე მსოფლიო ომის ტრაგიკული ბედის ირონიით, ნაცისტური ოკუპაცია ბევრმა ესტონელმა შვებად აღიქვა. მართლაც, საბჭოთა დომინანტობის გამყარებისთვის ბალტიის ქვეყნებში, სტალინის ძალისხმევით 1941 წელს ათასობით ესტონელი, ლიტველი და ლატვიელი დეპორტირებული იქნა 13 აგვისტოს ღამიდან 14-ის დილამდე. ამ ტერორის პირისპირ, ნაცისტური შემოჭრა მოკლე შესვენებას ჰგავდა, მიუხედავად იმისა, რომ მალე ნაცისტებმა საკუთარი ტერორი დაამყარეს თავიანთი სამიზნეების წინააღმდეგ: ებრაელები, ბოშები და სხვები. საბჭოეთის მოწინააღმდეგეთა და არაპრონაცისტულად განწყობილ ესტონელთა გარკვეული ნაწილი გერმანელებთან თანამშრომლობას იწყებს; თუმცა, ესტონელთა უმრავლესობა უარყოფს ნაცისტებს გერმანელ მიწათმფლობელთა საუკუნოვანი დომინანტობის შემდეგ. ესტონელებს მხოლოდ მშვიდობა სურთ.

მოკავშირეთა სასარგებლოდ ომის შემოტრიალების შემდეგ, საბჭოთა ჯარის ახალი დარტყმის შიშით, ესტონელები ახალი დილემის წინაშე დგებიან: ნაცისტებთან გაერთიანება უკანასკნელ ძალისხმევაში უფრო დიდი უბედურების წინააღმდეგ ან გმირული ომის დაწყება დამოუკიდებლობისთვის როგორც 1918 წელს. ამჯერად, მეორე არჩევანი არაა სასურველი, არც ერთ სამხედრო თუ პოლიტიკურ ელიტას არ შეუძლია ამ საქმის სათავეში კვლავ ჩადგომა. საბოლოოდ, ათასობით ესტონელი ნაცისტების რიგებს უერთდება, რაც მრავალი თვით საბჭოეთის წინსვლას აფერხებს ტერიტორიაზე. თუმცა, სწორედ საბჭოთა კავშირი იმარჯვებს. ამგვარ არეულობაში ქვეყანას 70 000-მდე ესტონელი ტოვებს (კერძოდ, შვედეთის, აშშ-სა და კანადის მიმართულებით), დარჩენილები კი კვლავ საბჭოთა კავშირის ქვეშევრდომები ხდებიან.

ომის შემდეგ, გრძელდება სტალინური ტერორი 1949 წლის ახალი დეპორტაციებით და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციით. ქვეყანა თანდათანობით გარე სამყაროსგან აბსოლუტურ იზოლაციაში ექცევა. ეთნოპოლიტიკური კუთხით, ეს მოვლენები რუსი მუშებისა და ოფიციალური პირების მასობრივი შემოსვლით აღინიშნა საბჭოთა კავშირის დანარჩენი ტერიტორიიდან, რასაც საბოლოო ჯამში, მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის დრამატული ცვლილება მოჰყვა. 1955 წელს ქვეყნის 1,1 მილიონიან მოსახლეობაში 100 000 ემიგრანტი დამკვიდრდა. აღნიშნული ტენდენცია გაგრძელდა იქამდე, რომ 1989 წელს ესტონელთა წილი მოსახლეობაში 62%-მდე შემცირდა 1945 წელს 95%-თან შედარებით. საბჭოთა კავშირი ამ უზარმაზარ მიგრაციულ ნაკადს მუშახელის დამატებითი საჭიროებით ამართლებდა რესპუბლიკის ინდუსტრიალიზაციისთვის. თუმცა, ამ ინდუსტრიის დიდი ნაწილი სსრკ-ს სხვა რეგიონებს ხმარდებოდა და მხოლოდ მცირედით პასუხობდა ადგილობრივ საჭიროებებს. ბევრი ესტონელი ამგვარ მიგრაციაში რუსიფიკაციის შენიღბულ პროგრამას ხედავდა, რადგან რუსების უმრავლესობა ნაკლებად სწავლობდა ესტონურს, მაშინ როდესაც ესტონელებს რუსულად უნდა ელაპარაკათ. საბჭოთა ხელისუფალნი ესტონეთს ორენოვან და პრაქტიკულად, ორეროვან რესპუბლიკად განიხილავდნენ, რასაც ესტონელი ნაციონალისტების წინააღმდეგობა მოჰყვა კერძოდ კი, მიხაილ გორბაჩოვის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე.

1987 წლიდან ესტონელები თავის სასარგებლოდ იყენებენ „გლასნოსტისა“ და „პერესტროიკის“ პოლიტიკის გატარებას საბჭოთა კავშირში. მალე სახალხო მობილიზაცია ეთნიკური კონფლიქტის მიმართულებას იძენს ენების თანასწორობის, კულტურული თავისუფლებისა და ისტორიული ჭეშმარიტების აღსადგენად ესტონეთის სსრკ-ში მიერთებასთან მიმართებაში. პოლიტიკური კუთხით, ეს ძალები 1988 წლის აპრილში ესტონეთის სახალხო ფრონტის დროშის ქვეშ ერთიანდებიან. ივნისში ფრონტი ზეწოლის მოხდენას ახერხებს ესტონეთის კომუნისტურ პარტიაზე კონსერვატორი ლიდერის, კარლ ვენოს შესანაცვლებლად გორბაჩოვის მოკავშირე ზომიერი ვენო ვალიასით. რეჟიმი უფრო ლიბერალური ხდება და 1989 წელს რადიკალური მოძრაობების გარკვეული რაოდენობა დამოუკიდებლობას მოითხოვს.

საბჭოთა კავშირში მოვლენათა ამგვარი განვითარება აშკარად არ შედიოდა გორბაჩოვის გეგმებში. ნაციონალისტური გრძნობების აღზევება ბალტიის ქვეყნებში (განსაკუთრებით, 1990 წლის გაზაფხულზე დამოუკიდებლობის გამოცხადებების შემდეგ) საბოლოოდ, კრემლთან დაპირისპირებამდე მიდის. 1991 წელს არაფერი მიუთითებს ამ ჩიხიდან იოლად გამოსვლაზე. ამგვარად, 19 აგვისტოს გორბაჩოვის ხელისუფლებიდან ჩამოშორების ("გეკაჩეპე") წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, იქმნება ხელსაყრელი გარემოება. როდესაც 20 აგვისტოს საბჭოთა კავშირში დეზინტეგრაციის პროცესი იწყება, ესტონელი პოლიტიკოსები ხვდებიან, რომ ეს მათთვის სასურველი გარემოებაა. მოგვიანებით, ღამით დამოუკიდებლობის საბოლოო გამოცხადების შემდეგ, ქვეყანა საერთაშორისო აღიარებას ელოდება. თავდაპირველად, ისლანდია და სულ მალე, ბორის ელცინის რუსეთის ფედერაცია, შემდეგ კი, ევროპის წამყვანი სახელმწიფოები ესტონეთს აღიარებენ. აშშ მხოლოდ აღნიშნულის შემდეგ აღიარებს ესტონეთს. დამოუკიდებლობა მიღწეულია ერთი წვეთი სისხლის დაღვრის გარეშე.

ერთადერთ ორაზროვან საკითხად შექმნილი სახელმწიფოს ფორმა რჩება. პერესტროიკის პერიოდში ვითარდება პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც დაჟინებით მოითხოვს ესტონეთის დამოუკიდებლობის სრულ და ფორმალურ აღდგენას 1940 წელს არსებულის თანახმად, რაც ჰიტლერისა და სტალინის შეცდომების გამოსწორებად მოიაზრება. ეს არგუმენტი ნაწილობრივ ეყრდნობა იმ ფაქტს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა ფორმალურად ყოველთვის აღიარებდა ესტონეთის სახელმწიფოს არსებობას. მიუხედავად ყველაფრისა, ამგვარი აღდგენა სხვა პრეროგატივებს ნიშნავს, საბჭოეთის უსამართლობების გამოსწორების შესაბამისად. ნაციონალიზებული საკუთრების იმ პერიოდის მფლობელებისთვის ან მათი შთამომავლებისთვის დაბრუნების შესაძლებლობა ამ უკანასკნელთა არსებობის შემოწმების გარეშე, ამ მიღებული ზომებიდან ერთ-ერთია. გარდა ამისა, მოითხოვენ ძველი ესტონეთის სახელმწიფოს მილიონობით დოლარის საკუთრების დაბრუნებას, რომელიც დასავლეთის მთავრობების მიერ იქნა გაყინული 1940 წელს. დაბოლოს, დამოუკიდებლობის აღდგენის პრინციპი ეწინააღმდეგება ყველა იმ პირთა სტატუსს, რომლებიც ესტონეთში საბჭოთა ბატონობის დროიდან დამკვიდრდნენ, ისევე როგორც ამ უკანსკნელთა შთამომავლებისას. რესტავრაციის მკაცრი პრინციპის თანახმად, ეს ხალხი"არალეგალური კოლონისტები" არიან და ავტომატურად ესტონეთის მოქალაქეობას ვერ მიიღებენ. მათი ნატურალიზაცია საუკეთესო შემთხვევაში, ესტონელების მიერ დადგენილ ჩარჩოში უნდა განხორციელდეს.

მიუხედავად დიდი რადიკალურობისა, მიღებული იქნა ამგვარი გადაწყვეტილება. 1991 წლის ნოემბერში პარლამენტი იღებს რეზოლუციას, რომლის თანახმად, მხოლოდ რესპუბლიკაში ომამდე მცხოვრები მოქალაქეები და მათი შთამომავლები ავტომატურად იღებენ მოქალაქეობას. საბჭოთა პერიოდში ესტონეთში დამკვიდრებულ პირებს და მათ შთამომავლებს რეზიდენტობის უფლება აქვთ, მაგრამ არა მოქალაქეობისა ნატურალიზაციის გარეშე ესტონური წესებით. ეს გადაწყვეტილება დრამატულად ცვლის ეთნოპოლიტიკური უფლებების ბალანსს, მოქალაქეობა ეთნიკურად ესტონელთა 90%-ს ეძლევა, რომელიც მოსახლეობის მხოლოდ 65%-ს შეადგენს. გარდა ამისა, აღნიშნული რადიკალურ გავლენას ახდენს ქვეყნის პოლიტიკაზე, რადგან რუსული პარტიები ავტომატურად დასუსტებულია მათი მხარდამჭერი მოქალაქეების სიმცირის გამო. 1,4 მილიონიან მოსახლეობაში 300 000-ზე მეტი რეზიდენდი „მოქალაქეობის არმქონეა“. ზოგიერთმა მათგანმა მოქალაქეობა მიიღო ენისა და მოქალაქეობრივი მოვალეობის უბრალო ტესტების ჩაბარების შემდეგ. სხვებმა არჩევანი რუსეთის მოქალაქეობაზე გააკეთეს ან რუსეთში დაბრუნდნენ. ამავე დროს, 170 000-ზე მეტი პიროვნება ესტონეთში რეზიდენტებად დარჩა „განუსაზღვრელი მოქალაქეობით“ ან მოქალაქეობის გარეშე.

ამ მხრივ, საბჭოთა ეპოქამ ესტონეთს ეთნოპოლიტიკური პრობლემა დაუტოვა: როგორაა შესაძლებელი ამ მცირე მოსახლეობის ინტეგრირება არა მხოლოდ ლეგალურად, არამედ ასევე ლინგვისტურად და სოციალურად? გამოკითხვების თანახმად, რუსულად მოლაპარაკე მოსახლეობის (მოქალაქე ან არა) მხოლოდ ერთი მეოთხედი კარგად ლაპარაკობს ესტონურად. გარდა ამისა, ამ მოსახლეობის დიდი ნაწილი გადანაწილებულია რესპუბლიკის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ეკონომიკურად კრიზისში მყოფ ქალაქებში. ეს ნიშნავს, რომ აღნიშნული მოსახლეობის გეოგრაფიულ იზოლაციას სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გარკვეული რაოდენობა აორმაგებს.

თუმცა, პოლიტიკური კუთხით, ესტონეთი სწრაფ პროგრესს განიცდის, 1991-1992 წლებში იქმნება ახალი დამფუძნებელი ასამბლეა და 1992 წლის 28 ივნისს საბოლოოდ მიღებულია ახალი კონსტიტუცია. ამ დისკუსიების განმავლობაში წინა პლანზე დგას წარსულის მემკვიდრეობა. ზოგიერთი აშკარა რესტავრაციის მომხრესთვის,

1940 წელთან დაბრუნების პრინციპი იმ პერიოდის კონსტიტუციის აღდგენას ნიშნავდა. მართლაც, ესტონეთში 1922 წლის კონსტიტუციას ხმა მისცეს პირდაპირი საყოველთაო არჩევნებით. ამავე დროს, ასამბლეაში წარმოებულ განხილვებს საბოლოოდ, სრულიად ახალი ტექსტის შექმნა მოჰყვა. ახალი რეჟიმი მკვეთრად საპარლამენტოა (ერთი ადამიანის მიერ ავტორიტარული ძალაუფლების ხელში ჩაგდების საფრთხის ასაცილებლად), მაგრამ ასევე ზედმიწევნით გააზრებულია პოლიტიკური ფრაგმენტაციის თავიდან ასაცილებლად და სამთავრობო ეფექტურობის ხელშესაწყობად. თბუთმეტ წელიწადში, სისტემამ წარმატებული ბალანსის არსებობა აჩვენა ამ სხვადასხვა უკიდურესობებს შორის. ფართო კონსენსუსის არსებობა იმის მტკიცების შესაძლებლობას იძლევა, რომ ახალმა ესტონურმა დემოკრატიამ კარგად იმუშავა.

აღმასრულებელი ხელისუფლება

1992 წლის კონსტიტუციის თანახმად, ესტონეთი საპარლამენტო რესპუბლიკაა, რომლის აღმასრულებელი ხელისუფლების სადავეები პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის ხელშია. გარდა ამისა, ქვეყანას ჰყავს პრეზიდენტი, რომლის მოვალეობები უმრავლეს შემთხვევაში, საპატიო ხასიათისაა. პარლამენტი, *რიიგიკუგუ* (*Riigikogu*), ოთხწლიანი ვადით არჩეული 101 წევრისგან შედგება. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტს აქვს პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე კანდიდატების დასახელების პრეროგატივა, ამ უკანასკნელს სწორედ რიიგიკუგუ ნიშნავს თავისი წევრების უმრავლესობის კენჭისყრის საფუძველზე (არანაკლებ 51 წევრი). სამაგიეროდ, პრემიერ-მინისტრი ირჩევს თავის მინისტრებს, რომელთაც თანამდებობებზე პრეზიდენტი ამტკიცებს. პრემიერ-მინისტრი (ისევე როგორც თავად მინისტრები) შეიძლება თანამდებობიდან იქნეს გადაყენებული პარლამენტის მხრიდან უნდობლობის გამოცხადების კენჭისყრით, მაგრამ არა პრეზიდენტის მიერ. არც ერთი მთავრობა არ იქნა დათხოვნილი პარლამენტის მიერ, მიუხედავად მინისტრების გადაყენებისა.

რიიგიკუგუ ერთპალატიანია, მისი მუშაობა 10 კომისიაში მიმდინარეობს, რომლებიც კანონპროექტებზე მუშაობას ხელმძღვანელობენ. პარლამენტის წევრები ასევე პარტიულ ჯგუფებს ქმნიან, რომლებიც ზოგადად, საარჩევნო შედეგებს ემთხვევა. დამოუკიდებლობის პირველ წლებში, ბევრმა დეპუტატმა პარტია საკუთარი საპარლამენტო მანდატის განმავლობაში შეიცვალა განსაკუთრებით, ახალი არჩევნების მოახლოებისას. ამავე დროს, უკანასკნელ წლებში, წესები გამკაცრდა იმგვარად, რომ იმ პარტიული ჯგუფის დამტოვებელ დეპუტატს, რომლის სიითაც იგი იქნა არჩეული, სხვა პარტიაში გაერთიანება არ შეუძლია და ეს უკანასკნელი დამოუკიდებელ დეპუტატთა კომიტეტში უნდა იჯდეს. ამ ზომამ საგრძნობლად გააძლიერა პარტიული დისციპლინა.

1992 წლიდან *რიიგიკუგუმ* მნიშვნელოვნად გაზარდა საკანონმდებლო საქმიანობა (იხ. ტაბულა N°4). პარლამენტის მიერ რატიფიცირებული აქტების რაოდენობა გაორმაგდა. გარდა იმისა, რომ დასაწყისში პარლამენტარები ახალი ლეგალური ინფრასტრუქტურის შექმნის მძიმე მოვალეობას ასრულებდნენ, ესტონეთის ევროკავშირში შესვლის პროცესმა 1997 წლიდან 2004 წლამდე, უფრო ინტენსიური გახადა ახალი კანონმდებლობების საჭიროება თანამეგობრობის მოთხოვნებთან ჰარმონიზაციისთვის.

საპარლამენტო წესების შესაბამისად, ესტონეთის *რიიგიკუგუ* ძლიერი პარლამენტია: ის დამოუკიდებლად წყვეტს საკუთარ დღის წესრიგს, მთავრობას არ შეუძლია კანონპროექტებში შესწორებების შეტანა და საკანონმდებლო პროცესის დაჩქარება შეუძლებელია სასწრაფო პროცედურებითა ან მთავრობისადმი ნდობის კენჭისყრით. თუმცა, მთავრობა დომინანტურია საკანონმდებლო იმპულსის თვალსაზრისით. საშუალოდ, საკანონმდებლო წინადადებების 50% მთავრობის მიერაა წარმოდგენილი. ინდივიდუალური კანონპროექტების რაოდენობა კლებულობს, რაც ნაწილობრივ უფრო მკაცრი პარტიული დისციპლინის შედეგია, რომელსაც კონტროლქვეშ ჰყავს დამოუკიდებელი დეპუტატები (ცდილობენ პირადი ინიციატივების შემოტანას).

კანონების მიღების გარდა, *რიიგიკუგუ* თანამდებობაზე ამტკიცებს ყველა მნიშვნელოვან ოფიციალურ პირს: უზენაესი სასამართლოს მთავარი მოსამართლე, ესტონეთის ბანკის ადმინისტრაციული საბჭოს პრეზიდენტი, გენერალური აუდიტორი, იუსტიციის კანცლერი და თავდაცვის ძალების მეთაური. მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად, კანდიდატებს პრეზიდენტი ასახელებს, სწორედ პარლამენტი იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.

პარლამენტი ასევე მთავარ როლს ასრულებს პრეზიდენტის არჩევაში. ხშირად გაკრიტიკებული, მაგრამ უცვლელი პროცედურის თანახმად, პრეზიდენტის არჩევა *რიიგიკუგუში* იწყება, სადაც კენჭისყრა სამ ტურამდე გრძელდება. კანდიდატის არჩევისთვის აუცილებელია პარლამენტის წევრთა უმრავლესობის ორი მესამედის მოპოვება (69 ხმა). სამი საპრეზიდენტო არჩევნების განმავლობაში, რომელთაც აქამდე ადგილი ჰქონდა ამ სისტემის მიხედვით (1996 წ., 2001წ. და 2006 წ.), არც ერთ კანდიდატს არ ამოუცნია ეს მაგიური ფორმულა და ყოველ ჯერზე, არჩევა სპეციალურ საარჩევნო კოლეგიას გადაეცემოდა, რომელიც *რიიგიკუგუს* წევრებისა და 250 ადგილობრივი მთავრობის დელეგატებისგან შედგება. ამ კოლეგიაში შესაძლებელია ორი დამატებითი ტურის ჩატარება, მეორე ტური ერთმანეთს იმ კანდიდატებს უპირისპირებს, რომელთაც პირველ ტურში ხმების ყველაზე მეტი რაოდენობა მიიღეს. სწორედ ამგვარი ფორმით ჩატარდა 1996 წლისა და 2001 წლის საპრეზიდენტო არჩევნები. პირველ შემთხვევაში, პრეზიდენტი ლენარტ მერი საბოლოოდ, ხელახლა იქნა არჩეული თავისი

მუდმივი მეტოქის, არნოლდ რუიტელის პირისპირ. 2001 წელს ლენარტ მერი არჩევნებს ჩამოშორდა და არნოლდ რუიტელმა გამარჯვება მოიპოვა სხვა დარჩენილ ოთხ კანდიდატთან ბრძოლის შემდეგ. 2006 წელს იმ აზრმა, რომ 78 წლის პოლიტიკოსისთვის (რომელმაც თავისი კარიერა საბჭოთა ეპოქაში დაიწყო) უმჯობესი იქნებოდა პენსიაზე გასვლა, ზოგიერთ პარტიას ალტერნატიული კანდიდატურისკენ უბიძგა. ეს უკანასკნელი გახლდათ ესტონელი ამერიკელი, ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, მოგვიანებით კი ევროდეპუტატი, თომას ჰენდრიკ ილვესი. საარჩევნო კოლეგიაში კენჭისყრის ჩატარების შემდეგ, 52 წლის ილვესმა არჩევნების პირველ ტურში გაიმარჯვა.

ამგვარად, პრეზიდენტის როლი დიდწილად საპატიო ხასიათისაა იმ მნიშვნელობით, რომ იგი სახელმწიფოს მეთაურს წარმოადგენს. მას *რიიგიკუგუს* მიერ მიღებულ ზომებზე ვეტოს დადების უფლება აქვს, მაგრამ პარლამენტს წინააღმდეგობის გაწევა უბრალო უმრავლესობის კენჭისყრით შეუძლია. თუკი შემდეგში, პრეზიდენტი აგრძელებს კანონმდებლობასთან დაპირისპირებას, მას შეუძლია უზენაესი სასამართლოს საკონსტიტუციო ზედამხედველობის სასამართლო კოლეგიას მიმართოს დებულების ანტიკონსტიტუციურად გამოსაცხადებლად. ამავე დროს, აღნიშნული პრეზიდენტისგან მყარ კანონიერ არგუმენტებს მოითხოვს. დაბოლოს, როგორც უკვე ავღნიშნეთ, პრეზიდენტს აქვს კანდიდატების დასახელების პრეროგატივა პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე, ისევე როგორც ყველაზე მაღალ პოსტებზე, რაც მას ხშირად, გარკვეული პოლიტიკური ინიციატივით გამოსვლის საშუალებას აძლევს. მაგრამ ამ კანდიდატებმა *რიიგიკუგუს* ხმათა უმრავლესობა უნდა მიიღონ, რაც ზღუდავს პრეზიდენტის თავისუფლებას.

საპრეზიდენტო ინსტიტუტი მნიშვნელოვნად იქნა მოდელირებული მისი პირველი წარმომადგენლის, ყოფილი მწერლის, კინორეჟისორისა და საგარეო საქმეთა მინისტრის, ლენარტ მერის მიერ. იგი ფართოდ იყო ცნობილი საკუთარი შეხედულებების პირდაპირი ფორმით გამოხატვითა და კულტურით. მერი შეეცადა თავისი მოკრძალებული მოვალეობებით გათვალისწინებულზე მეტი გავლენის მოხდენას. პრეზიდენტი განსაკუთრებულად აქტიური იყო საგარეო საქმეთა სფეროში. მერი კარგად ლაპარაკობდა თორმეტამდე ენაზე და შესანიშნავი ურთიერთობები ჰქონდა მსოფლიოს ბევრ ლიდერთან. იმავდროულად, მერი ცდილობდა დამბალანსებელის როლის შესრულებას საშინაო საქმეებში და ამასთან დაკავშირებით ვეტოსაც იყენებდა. იგი ყოველთვის დიდ ყურადღებას იჩენდა თანამდებობებზე დანიშვნების მიმართ. მისი შემცვლელი, არნოლდ რუიტელი ამ მხივ, ნაკლებად შთამბეჭდავი თუმცა, უფრო პოპულარული იყო.

რიიგიკუგუს პირველი არჩევნების დროიდან 1992 წლის კონსტიტუციის პერიოდში, ესტონეთში ერთმანეთს 11 პრემიერ-მინისტრი შეენაცვლა და ყველა მთავრობა კოალიციური იყო. აღმასრულებელი ხელისუფლებების ეს რაოდენობა გვიჩვენებს, რომ მთავრობა ყოველთვის არ ყოფილა სტაბილური და ვერც ერთმა მოახერხა მანდატის ამოწურვამდე დარჩენა. კოალიციებს დაშლის ტენდენცია ახასიათებდა ორი ან სამი წლის შემდეგ, რამდენადაც თავს იჩენდა რთული პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებასთან და პოზიციონირებასთან დაკავშირებული დაძაბულობა, რასაც შედეგად, პირადი უთანხმოებები და ნდობის დაკარგვა მოჰყვებოდა. ამის კარგი მაგალითია მარტ ლაარტის მეორე მთავრობა 1999 წლიდან 2000 წლამდე. საბიუჯეტო კრიზისიდან გამოსვლის, დიდი მასშტაბის პრივატიზაციისა და საგადასახადო რეფორმების ჩატარების შემდეგ, თანამშრომლობა Pro Patria-ს გაერთიანების წარმომადგენელ პრემიერ-მინისტრსა და კოალიციის მეორე მთავარ პარტნიორს, რეფორმების პარტიის წარმომადგენელს შორის გართულდა და ლაარტი იძულებული გახდა თანამდებობიდან გადამდგარიყო. აღნიშნულმა რეფორმების პარტიას და მის ლიდერს, სიიმ კალასს ინიციატივის ხელში აღება აიძულა და უმცირესობის მთავრობის ჩამოყალიბებამდე მიიყვანა ცენტრის პარტიის მხარდაჭერით, რომელთანაც თანამშრომლობა იმ დრომდე შეუძლებლად მოიაზრებოდა. როგორც ვხედავთ, დროთა განმავლობაში, ამგვარმა კრიზისებმა ესტონეთის პოლიტიკური პარტიები სხვადასხვა კოალიციების შექმნის ნებამდე მიიყვანა, რადგან საპირისპირო შემთხვევაში, მართვა შეუძლებელი გახდებოდა. იმავდროულად, დიდი განხეთქილება მოხდა ცენტრისტულ-მემარჯვენე პარტიებსა (Pro Patria-ს გაერთიანება, Res Publica და სოციალ-დემოკრატები) და ცენტრის პარტიის მემარცხენე ფრთას შორის, რომელსაც სხვა პარტიები ზედმეტად დომინანტურად მიიჩნევდნენ.

საარჩევნო და პარტიული სისტემები

ესტონეთის საარჩევნო სისტემა ძირითადად, პროპორციული წარმომადგენლობის მიხედვით ფუნქციონირებს, მაგრამ ხმის დათვლის სამი განსხვავებული დონის არსებობის გამო, შედეგი ყოველთვის არაა მკაცრად პროპორციული. რეალური ხმის მიცემის შესაბამისად, ამომრჩევლები მხოლოდ ერთ კანდიტატს ირჩევენ თავიანთ ოლქში (მთლიანობაში 12 ოლქი). ამ უკანასკნელებში საშუალოდ 8,5 მანდატია; ზოგადად, პარტიები თითოეულ ოლქში ათამდე კანდიდატს წარადგენენ. ხმების დათვლის პირველ ეტაპზე „პერსონალური" მანდატები პირდაპირ გადაეცემა იმ კანდიდატებს, რომლებიც „ჰერის" კვოტას გადალახავენ თავიანთ ოლქში. (ეს კვოტა წარმოადგენს ოლქში მიცემული ხმების მთლიან რაოდენობას, რომელიც მოსაპოვებელი მანდატების რაოდენობაზეა გაყოფილი). საშუალოდ, მანდატი ოლქის მიხედვით გაიცემა პირველ ტურში, რადგან ზოგადად, ოლქში ყოველთის არსებობს ძალზე პოპულარული კანდიდატი. შემდეგ, პარტიების კანდიდატების მიერ მოპოვებული

ხმები პარტიის მიხედვითაა გამოთვლილი. თუკი პარტიის კანდიდატები მთლიანად გადალახავენ ჰერის კვოტას, პარტია ასევე ოლქში იღებს მანდატს, რომელიც უბრუნდება თავის პარტიაში ყველაზე მეტი ხმების მქონე კანდიდატს. აღნიშნულს ოლქის მანდატებს უწოდებენ. დაბოლოს, თითოეული პარტიის კანდიდატების მიერ მიღებული ხმები ნაციონალურ დონეზეა გამოთვლილი, დარჩენილი მანდატები კი ჰონდტის რეოგანიზებული სისტემითაა მიკუთვნებული. ამ დონეზე, მონაწილეობას იღებენ მხოლოდ ის პარტიები, რომლებმაც 5%-იანი ბარიერი გადალახეს მთელი ქვეყნის მასშტაბით.

პრაქტიკაში, ეს სისტემა იმგვარად მუშაობს, რომ 14-დან 17-მდე ადგილი პერსონალური მანდატის სახითაა მინიჭებული, 45-დან 60-მდე ოლქების მანდატების მიხედვით, 30-დან 45-მდე დარჩენილი ადგილი კი კომპენსაციის მანდატის სახითაა გადაცემული. 1990-იან წლებში, აღნიშნულ სისტემას ხშირად აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ ზოგჯერ, 2000 ხმის მიმღები ძლიერი კანდიდატი არ იყო არჩეული, რადგან ამ უკანასკნელს და მის პარტიას არ ჰქონდა გადალახული ჰერის კვოტა და თავად კანდიდატი კარგად არ იყო პოზიციონირებული ნაციონალურ სიაში კომპენსაციის მანდატის მოსაპოვებლად. იმავდროულად, სხვა კანდიდატებს შეეძლოთ არჩეულები ყოფილიყვნენ 100-ზე ნაკლები ხმით, რადგან ისინი ძალზე კარგად იყვნენ პოზიციონირებულნი ნაციონალურ სიებში. თუმცა, სისტემა მოდიფიცირებული იქნა ამგვარი უსიამოვნებების თავიდან ასაცილებლად. ამავე დროს, ესტონელთა უმრავლესობისთვის, სისტემა ზედმეტად კომპლექსურად წარმოჩნდება, რაც იმის შთაბეჭდილებას ქმნის, რომ ამ უკანასკნელთა ხმები არაა გათვალისწინებული.

ნაწილობრივ, სწორედ ამ მიზეზის გამო საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა მოკრძალებული დარჩა, 57,4% 1999 წელს, 58,2% 2003 წელს და 61,0% 2007 წელს. მიმომხილველები ლაპარაკობდნენ „პოლიტიკურ გაუცხოებაზე", რადგან მოქალაქეები სულ უფრო ნაკლებ ინტერეს იჩენდნენ პოლიტიკის მიმართ, ნდობამ ინსტიტუტების მიმართ იკლო და იმატა საარჩევნო მერყეობამ. პარლამენტსა და მთავრობას იშვიათად მიუღიათ 40%-იანი მოწონება; ზოგადად, პრეზიდენტი ხმების 60-70% იღებს, მაგრამ როგორც უკვე ავღნიშნეთ, მისი უფლებამოსილებები ძალზე შეზღუდულია.

რაც შეეხება პარტიებს, დომინანტური ტენდენცია კეთილგანწყობილი იყო ცენტრისტულ-მემარჯვენე მთავრობების მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალურად აღებულ ესტონეთის პარტიებს აღმასკლებიც და უკუსვლებიც ახასიათებდა (რამდენიმე პარტია, როგორიცაა მაგალითად, კოალიციის პარტია სრულიად გაქრა პოლიტიკური სცენიდან, ხოლო Res Publika-ს მოულოდნელი წარმატება ხვდა წილად), მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-იდეოლოგიური დაყოფა კვლავაც გრძელდება. მაგალითად, ელექტორატის დაახლოებით 45% ყოველთვის ცენტრისტულ-მემარჯვენე პარტიებს აძლევდა ხმას (Pro Patria-ს გაერთიანება, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, რეფორმების პარტია, Res Publica ან ზომიერი სოციალ-დემოკრატები), მაშინ როდესაც 20-25% ცენტრისტულ-მემარცხენე პარტიებს ანიჭებდა უპირატესობას (ცენტრის პარტია), 15% კი აგრარულ პარტიებს. აღნიშნული ნიშნავს, რომ ამ ბლოკებს შორის ხმის მიცემის მოდელები შედარებით სტაბილური იყო.

ზოგადად, ესტონეთის რუსული უმცირესობის პარტიები ნაკლებად ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდნენ, ნაწილობრივ იმის გამო, რომ ქვეყნის მოქალაქეობამ რუსები გვერდზე გაწია, მაგრამ ასევე იმ მიზეზით, რომ ნატურალიზებული რუსები ხშირ შემთხვევაში, ესტონურ პარტიებს ანიჭებდნენ უპირატესობას (ცენტრის პარტია ან რეფორმების პარტია). ამ უკანასკნელთა აზრით, სწორედ ამ პარტიებს შეეძლოთ რაიმეს გაკეთება. გარდა ამისა, ეთნოპოლიტიკური კულტურა ჯერ კიდევ არ იყო მისული იმ დონემდე, რომ რუსული პარტია კოალიციის პარტნიორად ყოფილიყო განხილულიყო (ფინეთისგან განსხვავებით, სადაც შვედური უმცირესობის პარტიამ მთავრობაში მიიღო მონაწილეობა). ამგვარად, ყველა რუსული პარტიის ხვედრი ოპოზიციაში ყოფნაა, რაც ნაკლებად მიმზიდველია ხმების მოსაპოვებლად.

მანდატის მთლიანი ხანგრძლივობის მიხედვით, აღსანიშნავია, რომ ესტონეთს 1992 წლიდან 60%-ზე მეტი დროის განმავლობაში ცენტრისტულ-მემარჯვენე მთავრობები მართავდნენ. ეს ორიენტაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო დამოუკიდებლობის პირველ წლებში, როდესაც მარტ ლაარის პირველმა მთავრობამ საბაზრო რეფორმების ინტენსიური პროგრამა განახორციელა. ცენტრისტულ-მემარცხენე მთავრობამ მხოლოდ ხანმოკლე პერიოდით იმუშავა ტიიტ ვიახის პირველი კოალიციის დროს ცენტრის პარტიასთან. ამავე დროს, ეს კოალიცია მალევე დაიშალა, როდესაც გამოაშკარავდა, რომ ამ პარტიის ლიდერი, ედგარ სავისაარი მალულად, მოლაპარაკებებს აწარმოებდა სხვა პოლიტიკოსებთან 1995 წლის არჩევნების დასრულების შემდეგ. აღნიშნულს ეთიკური სკანდალი მოჰყვა, რომელმაც მემარჯვენე პარტიებს ცენტრის პარტიასთან თანამშრომლობა გადააფიქრებინა, რომლის სათავეშიც სავისაარი იდგა. თუმცა, ძალზე გაბედულმა და ქარიზმატულმა სავისაარმა პარტიის სათავეში დარჩენა შეძლო და ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე მოქნილ პოლიტიკოსად წარმოჩნდა. 2002 წელსა და 2005 წელს მან წარმატებით დაასრულა მოლაპარაკება საკუთარი პარტიის მთავრობაში დაბრუნებასთან დაკავშირებით, როდესაც ცენტრისტულ-მემარჯვენე კოალიციას პრობლემები შეექმნათ. ეს მემარცხენე-მემარჯვენე კოალიც[illegible] რეფორმების პარტიასთან ერთად მნიშვნელოვნად განხილულებოდნენ, რადგან რეფორმების პარტია [illegible] ბაზრისთვის ხელის არშეშლას მოითხოვდა, მაშინ როდესაც ცენტრის პარტია შემოსავალზე მზარდი [illegible]

შემოღებასა და სახელმწიფოსთვის უფრო მნიშვნელოვანი როლის მინიჭებას ქადაგებდა. მაგრამ თანდათანობით, ამ ორმა პარტიამ შეძლო აღნიშნული განსხვავებების გადალახვა და თითოეული პარტნიორის პრაგმატულ ინტერესებზე კონცენტრირება. ამგვარად, ანდრიუს ანსიპის მთავრობამ (რეფორმების პარტია) შემოსავალზე ინდივიდუალური გადასახადის შემცირება, ხოლო ცენტრის პარტიამ პენსიების გაზრდის უზრუნველოფა შეძლო. 2007 წლის არჩევნების შემდეგ, ცენტრისტულ-მემარჯვენე კოალიციამ ხელისუფლებაში დაჩენა მოახერხა და ანდრიუს ანსიპი პრემიერ-მინისტრად დარჩა. ამჯერად, კოალიცია ჩამოყალიბდა Pro Patria-ს კონსერვატორებთან, Res Publika-ს კავშირსა და სოციალ-დემოკრატებთან.

ესტონეთის პარტიული სისტემის კონსოლიდაცია ნელი ტემპებით მიმდინარეობდა (იხ. ცაბულა n°4). იკლო რჩეულების გარეშე მყოფი პარტიებისთვის ხმის მიცემის რაოდენობამ. ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, აღნიშნული სტაბილურობისა და სიმწიფის ნიშანია, სხვებისთვის კი, ეს კარტელიზაციის შემაშფოთებელი ტენდენციაა. ამავე დროს, 1990-იან წლებში ჩატარებული გარკვეული ინსტიტუციონალური ცვლილებების რაოდენობა ამ საერთო ტენდენციას ამტკიცებს. პირველი გადაწყვეტილება 1994 წელს იქნა მიღებული პარტიებთან დაკავშირებული ახალი კანონის დამტკიცებით, რომლის თანახმად, თითოეულ პოლიტიკურ პარტიას არანაკლებ ათასი წევრი უნდა ჰყოლოდა. ეს რაოდენობა მნიშვნელოვნად წარმოჩნდებოდა ლიტვასთან და ლატვიასთან მიმართებაში სადაც 200 და 400 წევრი იყო საკმარისი, მაშინ როდესაც მცხოვრებთა რაოდენობა ამ ქვეყნებში გაცილებით მეტი იყო. შემდეგ, პარტიებთან დაკავშირებული ახალი კანონი ადგენდა სახელმწიფო სუბსიდიების სისტემას ყველა იმ პარტიისთვის, რომლებმაც პარლამენტში შესვლა მოახერხა, ამ უკანასკნელთა საარჩევნო გავლენის პროპორციულად. შედეგად, აღნიშნული სისტემით შემოტანილი იქნა არა მხოლოდ შემოვლითი გზა არსებული და ახლად მოსული პარტიებისთვის, არამედ მან ასევე პარლამენტში მყოფ ყველაზე ძლიერ პარტიებს შეუწყო ხელი. გარდა ამისა, 2000 წლის შემდეგ, ამ სუბსიდიებმა იმატა და მთლიანობაში, წელიწადში 4 მილიონ ევროს მიაღწია. ასეთი ტიპის ფონდებით, აშკარაა, რომ პარტიებმა შეძლეს თავიანთი დამოკიდებულების შემცირება კერძო შენატანებისგან. (მართლაც, 2003 წელს პარტიებთან დაკავშირებულ კანონში შესწორების შეტანამ გამორიცხა კომერციული ორგანიზაციებიდან, ე. ი. საწარმოებიდან მომავალი შენატანები). ასავე, შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოს დაფინანსებით დემოკრატია გაუმჯობესდა, რამაც პარტიებს ოფისების შექმნისა და საკუთარ წევრებთან და ამომრჩევლებთან ურთიერთობების ინსტიტუციონალიზაციის შესაძლებლობა მისცა. იმავდროულად, ეს ფული ასევე ნიშნავდა, რომ ახლად მოსულებს არ ექნებოდათ ამ უპირატესობების ქონის უფლება.

დაბოლოს, ესტონეთის საარჩევნო კანონს პარტიული სისტემის კონსოლიდაციის დონის გარკვეული ამაღლება მოჰყვა შედეგად. პირველ ყოვლისა, 1992 წელს 5%-იანი ბარიერის დაწესებამ ამომრჩევლებს თანდათანობით, უბიძგა არ დაეჭირათ მხარი იმ პარტიებისათვის, რომლებიც ამ ბარიერს ვერ გადალახავდნენ. გარდა ამისა, 1998 წელს საარჩევნო კანონი იქნა შეცვლილი იმგვარად, რომ კოალიციები გამოირიცხა და მხოლოდ პოლიტიკურ პარტიებს შეეძლოთ კანდიდატების გაგზავნა პარლამენტში. 1992 წლისა და 1995 წლის არჩევნების განმავლობაში, ბევრმა პატარა პარტიამ გადარჩენა მოახერხა, რადგან საარჩევო კოალიციების (ან ალიანსების) ჩამოყალიბება შეძლო, რის საფუძველზეც მათ კანდიდატთა ერთობლივი სიის წარდგენა და ამგვარად, ბარიერის გადალახვის იმედის ქონა შეეძლოთ; მაგალითად, ხალხის ერთიანობის რუსულმა პარტიამ ამ პრაქტიკას 1995 წელსა და 1999 წელს მიმართა; აღნიშნული პრაქტიკა გამოყენებული იქნა პარტიული სისტემის მრავალფეროვნების მხარდასაჭერად. ამავე დროს, პოლიტიკური სისტემის კონსოლიდაციისთვის, პარლამენტში შემავალმა მთავარმა პარტიებმა 1998 წელს ამ სისტემის გაუქმება გადაწყვიტეს, პატარა პარტიები კი ეტაპობრივად ჩამომორდნენ პოლიტიკურ ასპარეზს. მეორე, 2002 წელს ადგილი ჰქონდა კოალიციების აკრძალვის მცდელობას მუნიციპალურ არჩევნებში. მიუხედავად იმისა, რომ ეს ზომა უარყოფილი იქნა უზენაესი სასამართლოს მიერ, აღნიშნულმა ზოგიერთ ადგილობრივ პოლიტიკოსს რომელიმე პარტიის რიგებში გაერთიანებისკენ უბიძგა, მაშინ როდესაც ამ უკანასკნელთ აქამდე დამოუკიდებელი დეპუტატების ადგილები ეკავათ პარლამენტში. ამ მხრივ, 2007 წლის არჩევნები კვლავ უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა პარტიული სისტემის სტაბილიზაციისთვის, იმ მნიშვნელობით, რომ არც ერთ ახალ პარტიას არ შეუცვლია პოლიტიკური პეიზაჟი. ახალმა პარტიამ – მწვანეები – ექვსი ადგილი მოიპოვა პარლამენტში. ამ პარტიამ საკუთარი უნარი უნდა დაამტკიცოს თუკი ადგილების შენარჩუნება სურს ახალი ლეგისლატურის ოთხი წლის განმავლობაში.

ტერიტორიული დაყოფა

ესტონეთი უნიტარული სახელმწიფოა ცენტრალური მთავრობით მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა 15 საგრაფოდ და დაახლოებით 250 ადგილობრივ მთავრობადაა (ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები) დაყოფილი. ეს უკანასკნელნი გარკვეული ავტონომიით სარგებლობენ, მაგალითად, განათლების, მუნიციპალური განვითარებისა და ადგილობრივი სამსახურების სფეროში. ლეგალურად, ადგილობრივი მთავრობები იღებენ 67%-ს ინდივიდუალური გადასახადებიდან შემოსავალზე, რომელიც მათ ტერიტორიაზეა შეგროვებული. საკუთრებაზე გადასახადთან ერთად, ეს მათი შემოსავლების ძირითად წყაროს შეადგენს. ადგილობრივი საბჭოები სამი წლის

ვადითაა არჩეული და ადგილობრივი ადმინისტრაციები კოალიციურ შეთანხმებებს ეყრდნობიან ადგილობრივი საბჭოს ხელმძღვანელობასთან. რაც შეეხება საგრაფოებს, ისინი კოორდინირებას უწევენ რეგიონალურ სამსახურებს და სულ უფრო აქტიურ როლს თამაშობენ რეგიონალური განვითარების ხელშეწყობაში (ევროკავშირის სტრუქტურული ფონდების მოთხოვნის ჩათვლით). ამავე დროს, საგრაფოებს არა აქვთ საკუთარი ლეგისლატურა და მათ მთავრობის მიერ დანიშნული გუბერნატორი მართავს ზოგადად, 5 წლიანი მანდატით.

სამთავრობო ქმედების საპირწონე

ყველა დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის მსგავსად, ესტონეთში აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებების საპირწონე სასამართლო ხელისუფლებაა, რომელიც უზენაესი სასამართლოს 19 წევრის, განსაკუთრებით კი, კონსტიტუციური ზედამხედველობის სასამართლო კოლეგიის 5 წევრის ხელშია. ეს კოლეგია ესტონეთში საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციებს ასრულებს, მიუხედავად იმისა, რომ მას არა აქვს კანონმდებლობის გადასინჯვის დამოუკიდებელი უფლება. თუმცა, სხვა ინსტიტუტებს ამ სასამართლო კოლეგიისადმი მიმართვის შესაძლებლობა აქვთ. პირველ ყოვლისა, როგორც უკვე ავღნიშნეთ, პრეზიდენტს შეუძლია მიმართოს კონსტიტუციური ზედამხედველობის სასამართლო კოლეგიას *რიიგიკუგუს* მიერ დამტკიცებული კანონების კონსტიტუციურობის შესამოწმებლად, 1992-2006 წლებში პრეზიდენტმა აღნიშნულ კოლეგიას 11-ჯერ მიმართა. მეორე, უფრო დაბალი ინსტანციის სასამართლოებს ამ კოლეგიისადმი მიმართვის უფლება აქვთ თუკი ერთ-ერთი მომჩივანი ეჭვს გამოთქვამს მის წინააღმდეგ ჩატარებული კანონიერი ქმედების კონსტიტუციურობაზე. თავდაპირველად 1922 წლის კონსტიტუციით შექმნილი და 1992 წლის კონსტიტუციით არსობრივად შეცვლილი იუსტიციის კანცლერის ინსტიტუტი *ომბუძმენის* ინსტიტუტის ანალოგიურია, რომლის ამოცანას ყველა ლეგალური, ნაციონალური ან ადგილობრივი აქტების კონსტიტუციურობის კონტროლი წარმოადგენს. იუსტიციის კანცლერის მიერ რომელიმე აქტის არაკონსტიტუციურად მიჩნევის შემთხვევაში, მას შეუძლია საქმესთან დაკავშირებულ ინსტიტუტს მიმართოს მასში შესწორების შესატანად. ამ ინსტიტუტის მხრიდან უარის მიღების შემთხვევაში, იუსტიციის კანცლერს შეუძლია მიმართოს კონსტიტუციური ზედამხედველობის სასამართლო კოლეგიას, რომელიც საკითხს წყვეტს. მაგალითად, 1998 წელს იუსტიციის კანცლერი *რიიგიკუგუს* მიერ მიღებული კანონის წინააღმდეგ გამოვიდა, რომელიც მთავრობას ტარიფების შემოღების უფლებას აძლევდა სოფლის მეურნეობაში. მიუხედავად იმისა, რომ კანონი დიდი პოპულარობით სარგებლობდა ფერმერებში, რადგან სამთავრობო დაპირებების ნაწილს წარმოადგენდა ესტონეთის სოფლის მეურნეობის დასაცავად, აღნიშნულმა კოლეგიამ იუსტიციის კანცლერის მხარე დაიჭირა. ამ უკანასკნელის მტკიცებით პარლამენტს არ ჰქონდა ამგვარი დისკრეციული უფლებამოსილებების გამოყენების უფლება მთავრობის მიმართ, რომელსაც პირიქით, თავად უნდა ემართა ინდივიდუალური ტარიფები, რაც პოლიტიკურად ძალზე რთული იყო.

ინსტიტუციონალური თვალსაზრისით, იუსტიციის კანცლერი პარლამენტის მიერ შვიდწლიანი მანდატით ინიშნება პრეზიდენტის წარდგენით. 2007 წელს ესტონეთს ორი იუსტიციის კანცლერი ჰყავდა, ერიკ-იოჰან ტრუუვალი და ალლარ იოქსი. ეს უკანასკნელი ძალზე აქტიური იყო და ხშირად ეხებოდა სოციალურად სენსიტიურ პრობლემებს. მან შექმნა რეგიონალური ბიუროები, სადაც მოქალაქეებს პირდაპირ შეეძლოთ თავიანთი საჩივრების წარდგენა.

პირდაპირი დემოკრატიის გამოხატულებას, რეფერენდუმების ჩატარებას, ძალზე იშვიათად ჰქონდა ადგილი ესტონეთში. ახალი კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებული 1992 წლის რეფერენდუმის შემდეგ, ერთადერთი პირდაპირი დემოკრატიის გამომხატველი რეფერენდუმი ევროკავშირში ესტონეთის შესვლას ეხებოდა 2003 წლის სექტემბერში. ქვეყანაში არსებობს რეფერენდუმის ჩატარებასთან დაკავშირებული კანონი, რომელიც დამატებით შენიშვნებს შეიცავს კონსტიტუციაში შესწორების შესატანად; ამავე დროს, ზოგადად, პოლიტიკოსები ერიდებოდნენ რეფერენდუმების ჩატარებას, რომელსაც პოპულისტურად, არაპროგნოზირებადად და პრობლემების გადაჭრისთვის ნაკლებად ეფექტურად მიიჩნევდნენ.

აქტუალური დებატები

წარსულის გაკვეთილების გააზრებით, დადგენილი კონსტიტუციური რეგულაციებითა და პრაგმატული გადაწყვეტილებებით პოლიტიკური კრიზისის დროს, ესტონეთმა წარმატებით შეძლო საკუთარი დემოკრატიის კონსოლიდაცია აღდგენილი დამოუკიდებლობის თხუთმეტი წლის განმავლობაში. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანას კვლავაც აქვს მნიშვნელოვანი გამოწვევები რუსული უმცირესობის ინტეგრაციასთან მიმართებაში, მან მოახერხა მძიმე ეთნოპოლიტიკური კრიზისებისთვის გვერდის ავლა. ამ წლების მანძილზე ეკონომიკა მნიშვნელოვნად გაძლიერდა და სახალხო ოპტიმიზმმა მომავლის პერსპექტივებთან დაკავშირებით შედარებით იმატა. იმავდროულად, ორ უმნიშვნელოვანეს საკითხთან დაკავშირებული დებატები კვლავაც გრძელდება: პირველი, პრეზიდენტის არჩევა პირდაპირი სახალხო კენჭისყრით, და მეორე, ქვეყნის ტერიტორიული და ადმინისტრაციული სტრუქტურის რეორგანიზაცია, ისევე როგორც ადგილობრივი მთავრობების რაოდენობის შემცირება.

1990-იან წლებში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებით აშკარად ჩანდა, რომ ესტონელებს არ აკმაყოფილებდათ ამგვარი რეგულაცია (მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალურად ისინი მხარს უჭერდნენ პრეზიდენტს) და 60-70% მათ შორის მუდმივად მოითხოვდა პრეზიდენტის პირდაპირ არჩევას. პარტიების გარკვეულმა რაოდენობამ, მათ შორის ცენტრის პარტიამ და Res Publica-მ ეს საკითხი თავიანთ პროგრამებში ჩართო და კონსტიტუციის შეცვლის დაპირება მისცა ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში. გარდა ამისა, 2001 წელს პრეზიდენტმა მერიმ, თავისი უკანასკნელი აქტით *რიიგიკუგუს* ამ საკონსტიტუციო შესწორებასთან დაკავშირებული კანონპროექტი წარუდგინა.

მარტ ლაარის მეორე მთავრობამ 1999 წელს სხვა დებატი წამოიწყო, რომელიც დღემდე გადაუჭრელია. მრავალი წლის განმავლობაში, 1991 წლის დამოუკიდებლობიდან, აშკარა გახდა, რომ 1,4 მილიონიანი მცხოვრებისა და 42 000 კვადრატული კილომეტრის მქონე ქვეყნისთვის ზედმეტად ბევრი ადგილობრივი მთავრობა არსებობდა ეფექტური მართვისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ეს ეფექტურობა მთლიანად არაა დამოკიდებული ამ მთავრობების რაოდენობაზე, აშკარა იყო, რომ ბევრი პატარა მუნიციპალიტეტი, რომელიც ქვეყნის ღარიბ ზონებში მდებარეობდა (ათასამდე მცხოვრებით ან ნაკლები) არ იქნებოდა სიცოცხლიუნარიანი გრძელვადიან პერსპექტივაში თუკი ამ უკანასკნელთა ძირითადი შემოსავლები მხოლოდ შემოსავალსა და საკუთრებაზე დადგენილ ინდივიდუალურ გადასახადებზე იქნებოდა დამოკიდებული. ეს მუნიციპალიტეტები ვერ შეძლებდნენ დიდმასშტაბიანი განვითარების გეგმების დასახვას, რომლებიც მათ ზონებს უფრო მიმზიდველს გახდიდა. ამ უკანასკნელთა ნახევრის შემცირების გარეშე ამას რეგიონალური წინსვლის შეყოვნება შეეძლო.

რადგან სისტემის მთელი ნაწილის შესაცვლელად აუცილებელია ძალზე ფართო კონსენსუსის არსებობა, ამგვარი პროცესები შეიძლება წინააღმდეგობრივი აღმოჩნდეს და თამაშში მონაწილე აქტორების ინტერესები გადაადგილოს ან უბრალოდ საქმე გააჭიანუროს. შესაძლოა სწორედ ესაა დემოკრატიის სიძლიერე იმ მნიშვნელობით, რომ აღნიშნული პოლიტიკოსებს მოლაპარაკებების წარმოებისა და პრაგმატული კომპრომისების მიღწევისკენ უბიძგებს და არა მუდმივად ცვილებებზე ოცნებისკენ. გარდა ამისა, ესტონეთის ნატოსა და ევროკავშირში გაერთიანებამ მისი პოლიტიკური სისტემა აშკარად ჩართო უსაფრთხოების ზონაში. ამავე დროს, ქვეყნის სიცოცხლისუნარიანობა გრძელვადიან პერსპექტივაში დამოკიდებული იქნება მის პოლიტიკოსებზე, მოქალაქეთა მონაწილეობასა და სამოქალაქო საზოგადოებაზე.

ბიბლიოგრაფია

LAURISTIN, M., *et al.*, ed. (1997). *Return to the Western World: Cultural and Political Perspectives on the Estonian Post-Communist Transition*. Tartu, Tartu University Press.

LAURISTIN, M., *et al., eds.* (2003), *The Challenge of the Russian Minority: Emerging Multiculturalism in Estonia*. Tartu, Tartu Univerisy pRess

PETTAI, V. and P. EHIN, eds. (2005) *Deciding On Europe: The EU Referendum in Estonia*. Tartu, Tartu University Press.

SMITH, D. J. (2001). *Estonia: independence and European integration*. New York, Routledge.

SUBRENAT, Jean-Jaques (2002), Estonia, identité et indépendance, Paris: L'Harmattan.

TAAGEPERA, R. (1993). *Estonia: Return to Independence*. Boulder, Westview Press.

თავი IX

ირლანდია (ეირე)

გარი მერფი

ირლანდიის დამოუკიდებელი სახელმწიფო 1922 წელს შეიქმნა, თავდაპირველად, ირლანდიის თავისუფალი სახელმწიფოს, ხოლო 1937 წელს ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგ, ირლანდიის სახელწოდებით. 1949 წელს ირლანდია რესპუბლიკად იქნა გამოცხადებული 1948 წლის *Republic of Ireland Act*-ის მიღების შემდეგ, რომელმაც 1936 წლის *External Relations Act*-ი შეცვალა. დამოუკიდებლობის მიღებამდე, ირლანდია დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოსა და ირლანდიის ნაწილი იყო. ირლანდიის სახელმწიფოს შექმნა 1919 წელს დამოუკიდებლობის მიღწევისთვის გაჩაღებული დაუნდობელი ომის შედეგია ბრიტანელების წინააღმდეგ, რომელსაც მძიმე სამოქალაქო ომი მოჰყვა 1921 წელს ხელმოწერილი ხელშეკრულების მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის. ამ ხელშეკრულების თანახმად, შეიქმნა 26 პროვინციისგან შემდგარი ირლანდიის სახელმწიფო, რომელიც ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის იყო გაყოფილი.

აღნიშნული ხელშეკრულების ხელმოწერიდან მომდევნო ექვს თვეში ირლანდიაში ძალაუფლებისთვის ბრძოლა გაჩაღდა (O'Halpin, 1999: 1). სამოქალაქო ომი 1922 წლის 28 ივნისს დაიწყო და 1923 წლის 30 აპრილს დასრულდა; ამ ომმა მრავალი სიცოცხლე შეიწირა. სამოქალაქო ომის მთავარი როლი ირლანდიის პოლიტიკურ ევოლუციაში გამოწვეულია 1922-1923 წლების ბრძოლების ხშირად ძალზე მწვავე ხასიათით. მართლაც, მეტად რთულია სამოქალაქო ომთან დაკავშირებული მოვლენების დახასიათება. ხელშეკრულების დამცველები ხშირად უარყოფდნენ ტერმინს „სამოქალაქო ომი," რადგან ის თავიანთ მოწინააღმდეგეებს ლეგიტიმურობის საფუძველს აძლევდა, რისი აღიარებაც მათ არ სურდათ. ხელშეკრულების მომხრეებისთვის, ძალადობა ძირითადად, მიზნად ისახავდა წესრიგისა და კანონის განმტკიცებას დამოუკიდებლობისთვის წარმოებული ომის შემდეგ, რომელმაც კანონიერი წესრიგი შეარყია. რაც შეეხება ხელშეკრულების ხელმოწერის მოწინააღმდეგეთა ბანაკს, ისინი მიიჩნევდნენ, რომ დამოუკიდებლობა არ იქნა მიღწეული ხელშეკრულებაზე ხელმოწერით და ბრძოლებს დამოუკიდებლობის მიღების გაგრძელებად მიიჩნევდნენ ბრიტანელების წინააღმდეგ. ნეიტრალურად განწყობილნი უმრავლეს შემთხვევაში, ეთანხმებოდნენ სამოქალაქო ომის ცნებას, მაგრამ ფიქრობდნენ, რომ მისი აცილება შესაძლებელი იყო უპასუხისმგებლო და შეუვალი ნაციონალისტური ხელმძღვანელობის ქმედების გარეშე 1922 წლის ივნისამდე არსებულ დროში (Kissane, 2005:2).

ამგვარად, ირლანდიის სახელმწიფო საკუთარ ლეგიტიმურობასთან დაკავშირებული დიდი წინააღმდეგობის წინაშე აღმოჩნდა. მისი ფუნქციონირება ხელშეკრულებით ნაკარნახევ ჩარჩოში უნდა მომხდარიყო მაშინ, როდესაც ის თავს რესპუბლიკური ტრადიციის ჭეშმარიტ მემკვიდრეთ მიიჩნევდა (Kissane, 2002). 1923 წლის აპრილში სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ, მთავრობას უნდა მოენახა ახლად დამოუკიდებლობა მიღებული სახელმწიფოს მართვის საშუალებები. ამ დროიდან, ირლანდიას არ უღალატია საპარლამენტო დემოკრატიის ჩამოყალიბების ვალდებულებისთვის და ამგვარად, სახელმწიფოს ავტორიტეტის გამყარებისთვის. 1937 წელს ახალი კონსტიტუციის შემუშავებამ ირლანდიის თავისუფალი სახელმწიფოს დამოუკიდებლობა და ლეგიტიმურობა გააძლიერა. აღნიშნული კონსტიტუციით (Bonreacht na h-Éireann) ფუნდამენტური წესები იქნა დადგენილი, რომლებითაც დღესაც იმართება ირლანდიური საზოგადოება. ორი მთავარი პარტიის, ფიანა ფაილისა და ფინე გელის იდენტობა და ირლანდიის ინსტიტუტების ხასიათი სამოქალაქო ომით გამოწვეულ დაყოფასთან და ასევე, შედარებით ხანგრძლივი პერიოდით, თავად პოლიტიკურ შემადგენლობასთანაა დაკავშირებული.

აღმასრულებელი ხელისუფლება

არსებითად, ირლანდია უნიტარული სახელმწიფოა, რომელშიც ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები საკმაოდ სუსტია. ხელისუფლება მთავრობას ემყარება, რომელიც პარლამენტის ქვედა პალატის, დოილ ერენის (Dáil Éireann) წინაშეა პასუხისმგებელი. ეს უკანასკნელი შედარებით ახალი ინსტიტუტია, რომელიც 1919 წელს დაფუძნდა. ის ფართოდ ეყრდნობა ვესტმინსტერის მოდელს და მის მრავალ მახასიათებელს იზიარებს (Murphy, M. 2006: 437). დოილის 166 წევრი, Teachtaí Dála (TDs), 42 ოლქშია არჩეული პროპორციული წარმომადგენლობის სისტემით ერთადერთი გადაცემადი ხმის მიცემის საფუძველზე (RP-VUT). ზედა პალატის, სენად ერენის (Seanad Éireann) სამოცი წევრი არაპირდაპირი არჩევნების საფუძველზეა არჩეული. ერთად, ორივე პალატა პარლამენტს (ოირიახტასი) აყალიბებს. მთავრობის ყველა წევრი რომელიმე პალატას უნდა მიეკუთვნებოდეს და პრინციპში, ისინი ყველანი დოილის წევრები არიან; 1930-იანი წლებიდან მხოლოდ ორი მინისტრი იყო სენატის წევრი. ამგვარად, მთავრობა დოილშია თავმოყრილი და რეალურად, რაკი ის პარლამენტის წინაშეა პასუხისმგებელი, ეს უკანასკნელი მას აკონტროლებს. ირლანდიის საპარლამენტო სისტემა ვესტმინსტერის მოდე-

ლითაა ჩამოყალიბებული და მიუხედავად საპარლამენტო კომისიების გაძლიერებისა უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში, მთავრობა ხელისუფლების ცენტრად რჩება ირლანდიის სახელმწიფოს შიგნით (Gallagher, 2003a:188). ამიტომაც, ირლანდია შეიძლება საპარლამენტო დემოკრატიად იქნეს განსაზღვრული, რომელშიც მთავრობა პარლამენტზე დომინირებს. მთავრობა პოლიტიკური სისტემის საფუძველია.

პრეზიდენტის ინსტიტუტი ინსტიტუციონალური სისტემის სათავეში იმყოფება: ჩვეულებისამებრ, ის ერთ-ერთ ყველაზე სუსტ ინსტიტუტად მიიჩნევა და აშკარად ყველაზე სუსტად პირდაპირ არჩეულთა შორის (Gallagher, 1999:104). პრეზიდენტის ფუნქცია 1937 წლის კონსტიტუციის ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლეა. იშვიათი შეხამება პირდაპირ არჩევასა და თითქმის მთლიანად არარსებულ პოლიტიკურ ძალაუფლებას შორის გაგებული უნდა იქნეს ამ ეპოქისთვის დამახასიათებელი გარემოებების პრიზმაში. პრეზიდენტობის ინსტიტუტის პოლიტიკური უმნიშვნელობა 1937 წლამდე არსებულ პოლიტიკურ პრაქტიკაზე მიგვანიშნებს, რომლის თანახმად, წარმოუდგენელი იყო ვესტმინსტერის მოდელის კითხვის ქვეშ დაყენება. ამგვარად, პრეზიდენტის პირდაპირი არჩევა უფრო მეტად ასახავს სახელმწიფოს მეთაურის არჩევის ირლანდიელი ხალხის მოთხოვნილებას. ოპოზიციაში მყოფი პარტიის ფინა გელის ეჭვები იმასთან დაკავშირებით, რომ პრეზიდენტის პოსტი შესაძლებელია გამოყენებული ყოფილიყო ფიანა ფაინის ლიდერის, იმონ დე ვალერას მიერ დიქტატურის დასამყარებლად, დიდწილად განმარტავს პრეზიდენტს უფლებამოსილებების ამგვარ სიმცირეს. თუმცა, დე ვალერა პრეზიდენტობას ამ პერსპექტივაში არ განიხილავდა და ფინე გელს პრეზიდენტად დუგლას ჰიდის კანდიდატურა შესთავაზა. 78 წლის ნაციონალისტი და პროტესტანტი ჰიდი არ იყო დაკავშირებული არც ერთ პარტიასთან. მან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ირლანდიური კულტურისა და ენის რეაბილიტაციაში. ფინე გელი დასთანხმდა ამ წინადადებას და არჩევნები აღარ ჩატარდა. ჰიდის მიუკერძოებელმა პრეზიდენტობამ მაგალითი მისცა მომდევნო პრეზიდენტებს (Gallagher, 1999: 106).

კონსტიტუციის ჩარჩოში პრეზიდენტს ძირითადად, ორი მოვალეობა აკისრია: პრემიერ-მინისტრისთვის (ირლ. „ტიშაჰი") დოილის დაშლაზე უარის თქმა და უზენაესი სასამართლოსთვის საკანონმდებლო ტექსტების განსახილველად გადაცემის უფლება. არც ერთ პრეზიდენტს არ უთქვამს უარი დოილის დაშლაზე პრემიერ-მინისტრისთვის, ამ უკანასკნელს მრავალჯერ გამოუთქვამს დაშლის სურვილი, როდესაც აშკარად არ ჰქონდა დოილ ერენის უმრავლესობის მხარდაჭერა. კონსტიტუციის მე-13.2.2. მუხლში ჩაწერილი ეს უფლება, რომელიც არასდროს გამოყენებულა 1994 წლის პოლიტიკურ რეალობაში გვაბრუნებს, როდესაც ფიანა ფაილისა და ლეიბორისტული კოალიციის მთავრობა დაიმხო და ლეიბორისტმა დეპუტატებმა განაცხადეს, რომ ისინი მხარს დაუჭერდნენ დოილისადმი უნდობლობის გამოცხადებას. ფიანა ფაილის არაქმედითი მთავრობა დარწმუნებული იყო ამ წინადადების მიღებაში. მიუხედავად საკუთარი პოზიციის საჯაროდ გამოუცხადებლობისა, პრეზიდენტმა მერი რობინსონმა გასაგები გახადა, რომ იგი არ დათანხმდებოდა პარლამენტის დაშლას 1994 წლის ნოემბერში თუკი პრემიერ-მინისტრი ალბერტ რეინოლდსი ამის გაკეთებას მოითხოვდა. თუმცა, რეინოლდსი პრემიერ-მინისტრის პოსტიდან გადადგა დოილის დაშლის მოთხოვნის გარეშე. აღნიშნულმა პირველად შექმნა მთავრობის შეცვლის შესაძლებლობა არჩევნების გარეშე, რადგან ლეიბორისტული პარტია ოპოზიციურ პარტიებთან გაერთიანდა – ფინე გელი/პროგრესული დემოკრატები – ახალი კოალიციური მთავრობის ჩამოსაყალიბებლად (Gallagher, 1999: 116-7; Garry, 1995). აღნიშნულ უფლებამოსილებას გარკვეულწილად, პრეზიდენტის ინსტიტუტის პოლიტიზირების ეფექტი აქვს შესაფერისი გარემოებების წარმოჩენისას, რომლებიც ნამდვილად არაა გათვალისწინებული კონსტიტუციაში. მიუხედავად ყველაფრისა, პრეზიდენტი არ წარმოადგენს მნიშვნელოვან პოლიტიკურ ფიგურას ირლანდიაში (Elgie, Fitzgerald, 2005: 309-312).

თუკი პირდაპირი არჩევნების წესით არჩეული პრეზიდენტის პოსტი ერთ-ერთ ყველაზე სუსტადაა მიჩნეული, სამაგიეროდ, პრემიერ-მინისტრის თანამდებობა ყველაზე ძლიერად განიხილება. მთავრობის ფორმირებასთან დაკავშირებული ფუნდამენტური წესები კონსტიტუციაში ფიგურირებს. დოილი იღებს გადაწყვეტილებას მთავრობის ინვესტიტურასთან დაკავშირებით. თავდაპირველად, ის ირჩევს მთავრობის მეთაურს ("ტიშაჰი") შემდეგ კი, თანხმდება ამ უკანსკნელის მიერ შემოთავაზებული მინისტრების არჩევას. უმრავლესობის პარტიის ან პარტიების კოალიციის მიერ დასახელებული კანდიდატი გარდაუვალად არის არჩეული. ამგვარად, მთავრობა გავლენას ახდენს პარტიებზე, რადგან პრემიერ-მინისტრები ჩვეულებისამებრ, პარტიების ლიდერები არიან, რომელთაც შემდგომში სამთავრობო უფლებამოსილებების გამოყენება შეუძლიათ, როგორიცაა მინისტრების დანიშვნა, სამთავრობო პოლიტიკის არჩევანი ან პარტიული ნიშნით მიმხრობის აპარატის კონტროლი (Connolly, 2005: 329). კონსტიტუტიის თანახმად, მინისტრთა მაქსიმალური რაოდენობა კაბინეტის შიგნით 15 მინისტრს შეადგენს. კაბინეტი განსაზღვრავს მთავრობის საერთო მიზნებსა და პოლიტიკას, ის იღებს ყველაზე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს და ამტკიცებს მთავრობის ბიუჯეტს, ისევე როგორც ყველა საკანონმდებლო ტექსტს, რომელიც დოილს უნდა წარედგინოს. კონსტიტუცია მთავრობას განსაზღვრავს, როგორც „კოლექტიურ პასუხისმგებელს" დოილის წინაშე თავის გადაწყვეტილებებსა და ქმედებებზე. ეს პრინციპი ირლანდიის სამთავრობო კაბინეტის ფუნქციონირების ძირითადი ელემენტია. თეორიულად, ეს ნიშნავს, რომ კაბინეტის ყველა წევრი კაბინეტის ყველა გადაწყვეტილებასთანაა დაკავშირებული. ამავე დროს, კაბინეტის შიგნით შეიძლება

მნიშვნელოვანმა უთანხმოებებმა იჩინოს თავი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მთავრობა კოალიციის მიერაა ფორმირებული. მაგრამ კაბინეტის მიერ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან, ეს უკანასკნელი სამთავრობო პოზიცია ხდება, რომელსაც კაბინეტის ყველა წევრმა საჯაროდ უნდა დაუჭიროს მხარი. კაბინეტის კონფიდენციალურობის დოქტრინა, როგორადაც ის კონსტიტუციის 28-ე მუხლითაა განსაზღვრული მოითხოვს კაბინეტში გამართული შიდა დისკუსიების კონფიდენციალურობას და მინისტრებიდან ინდივიდუალურად მომდინარე წინადადებებისა და ინიციატივების განხილვას კაბინეტში ამ უკანსკნელთა საჯაროდ წარდგენამდე. კონფიდენციალურობის ეს პრინციპი გულახდილი და თავისუფალი დიკუსიის საშუალებას იძლევა კაბინეტის მაგიდასთან, რადგან კონსენსუსის მიღწევის შემდეგ ყველა წევრი უნდა შეთანხმდეს და შიდა უთანხმოებები არ უნდა გახდეს საჯაროდ გახმაურებული. 1993 წელს უზენაესმა სასამართლომ საკუთარი აზრი გამოხატა კონფიდენციალურობის პრინციპთან დაკავშირებით და გადაწყვიტა, რომ რაკი მთავრობა პარლამენტის წინაშეა პასუხისმგებელი, აუცილებელი არ იყო კაბინეტის შიდა დისკუსიების გასაჯაროება (MacCarthaigh, 2005:207).

თუკი დოილი განიხილავს და კენჭს უყრის კანონპროექტებს, სწორედ მთავრობა წყვეტს დებატების თემებსა და თითოეული საკითხისათვის მიძღვნილი დროის განაწილებას. ამგვარად, ეს არის მთავრობის მიერ განხორციელებული ტოტალური კონტროლი. აღნიშნული ძალზე განსხვავდება დასავლეთ ევროპის ქვეყნების უმრავლესობისგან, სადაც დღის წესრიგს პარლამენტის შიგნით არსებული ორგანო წყვეტს. ის ფაქტი, რომ არაფერი არ შეიძლება იქნეს ჩაწერილი მთავრობის დღის წესრიგში პრემიერ-მინისტრის თანხმობის გარეშე, წარმოადგენს ამ უკანასკნელის ფუნქციის მნიშვნელოვან კომპეტენციას, როგორც კაბინეტის სათავეში მყოფისას. უკვე აღინიშნა, რომ პრემიერ-მინისტრი მთავრობების მეთაურებს შორის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ მეთაურად განიხილება საპარლამენტო დემოკრატიებს შორის (O'Leary, 1991; Elgie and Fitzerald, 2005). პრემიერ-მინისტრის სიძლიერე მომდინარეობს მინისტრების დანიშვნის, კაბინეტის გაძღოლის უფლებამოსილებიდან და საკუთარი გავლენიდან, როგორც უმრავლესობის პარტიის ლიდერისა.

ცხრილი №1: დამოუკიდებელი ირლანდიის მთავრობის მეთაურები

თარიღი	მთავრობის მეთაური	პარტია
1922 წლის 6 დეკემბერი	უილიამ თ. კოსგრეივი	კუმან ნა გელი (ფინე გელის წინამორბედი)
1932 წლის 9 მარტი	იმონ დე ვალერა	ფიანა ფაილი
1948 წლის 18 თებერვალი	ჯონ ა.კოსტელო	ფინე გელი
1951 წლის 13 ივნისი	იმონ დე ვალერა	ფიანა ფაილი
1954 წლის 2 ივნისი	ჯონ ა.კოსტელო	ფინე გელი
1957 წლის 20 მარტი	იმონ დე ვალერა	ფიანა ფაილი
1959 წლის 23 ივნისი	შონ ლემასი	ფიანა გელი
1966 წლის 10 ნოემბერი	ჯეკ ლინჩი	ფიანა ფაილი
1973 წლის 14 მარტი	უილიამ კოსგრეივი	ფინე გელი
1977 წლის 5 ივლისი	ჯეკ ლინჩი	ფიანა ფაილი
1979 წლის 11 დეკემბერი	ჩარლზ ჰოგი	ფიანა ფაილი
1981 წლის 20 ივნისი	გერეტ ფიცჯერალდი	ფინე გელი
1982 წლის 9 მარტი	ჩარლზ ჰოგი	ფიანა ფაილი
1982 წლის 14 დეკემბერი	გერეტ ფიცჯერალდი	ფინე გელი
1987 წლის 10 მარტი	ჩარლზ ჰოგი	ფიანა ფაილი
1992 წლის 11 თებერვალი	ალბერტ რეინოლდსი	ფიანა ფაილი
1994 წლის 15 დეკემბერი	ჯონ ბრატონი	ფინე გელი
1997 წლის 26 ივნისი	ბერტი აერნი	ფიანა ფაილი

მთავრობის არჩევის გარდა, დოილს შეუძლია მნიშვნელოვანი როლის თამაში მთავრობების გადაყენების საკითხში. პარლამენტმა მხოლოდ ორი მთავრობა გადააყენა უნდობლობის კენჭისყრით. აღნიშნულს პირველად 1982 წლის ნოემბერში ჰქონდა ადგილი, როდესაც ფიანა ფაილის მთავრობამ მარცხი განიცადა პრემიერ-მინისტრის მიერ ინიცირებული ნდობის გამოცხადების კენჭისყრაში მას შემდეგ, რაც პატარა მემარცხენე მუშათა პარტიამ (Workers'Party) მთავრობის მხარდაჭერა შეწყვიტა. 1992 წლის ნოემბერში უმცირესობის მეორე მთავრობა, რომელსაც ფიანა ფაილი ედგა სათავეში, უნდობლობის კენჭისყრის შედეგად დამარცხდა მის კოალიციაში შემავალი პარტნიორის PDs-ის პარტიის (პროგრესული დემოკრატები) ოპოზიციასთან გაერთიანების შედეგად. ამავე დროს, ის ფაქტი, რომ დოილმა მხოლოდ ორჯერ განახორციელა მთავრობის გადაყენება ნდობის კენჭის-

ყრის საფუძველზე, არ ნიშნავს ამ პროცედურის მნიშვნელობის უგულებელყოფას, რადგან ის ჩარჩოში აქცევს სამთავრობო პარტიებს: „არანაკლებ რვა შემთხვევაში, 1938, 1944, 1951, 1957, 1982, 1987 და 1994 წლებში მთავრობამ არჩევნების მოთხოვნა არჩია საპარლამენტო მარცხთან პირისპირ აღმოჩენის მაგივრად, რომელიც გარდაუვალი იყო უნდობლობის კენჭისყრით" (Mitchell, 2001 : 184-5). ბოლო შემთხვევაში, 1994 წელს ადგილი ჰქონდა მთავრობის ცვლილებას არჩევნების გარეშე, მაგრამ მოვლენები იმავე ლოგიკით განვითარდა.

დოილს სხვა ორი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია აქვს. პირველ ყოვლისა, აუცილებელია კაბინეტის პასუხისმგებლობის ამოქმედება საპარლამენტო დებატების, წერილობითი და ზეპირი საპარლამენტო შეკითხვებისა და საპარლამენტო კომისიების მეშვეობით. უკანასკნელ წლებში საპარლამენტო კომისიების მნიშვნელობა გაიზარდა. 2002 წლიდან საპარლამენტო კომისიების წევრთა რაოდენობა 14-დან 10-მდე შემცირდა იმისათვის, რომ არც ერთი პარლამენტარი არ იყოს ერთზე მეტი კომისიის წევრი (Murphy, M, 2006 : 448). თეორიაში, აღნიშნული კომისიების წევრებს მინისტრებისთვის დეტალური კითხვების დასმის შესაძლებლობას აძლევს მნიშვნელოვან საკითხებზე საპარლამენტო სხდომების მსვლელობისას. თუმცა, კომისიების შემადგენლობა პარტიების სიძლიერეს ასახავს დოილის შიგნით, რაც ნიშნავს, რომ რეალობაში, მთავრობის მიერ დანიშნულ წევრებს ყოველთვის აქვთ უმრავლესობის მხარდაჭერა. მეორე, დოილი ასევე პასუხისმგებელია კანონების დამტკიცებაზე. დოილში არსებული პროცედურები კვლავაც ვესტმინსტერის მოდელს შეესაბამება. კანონპროექტი ხუთ ეტაპს გადის, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია კომისიების მიერ განხორციელებული კონტროლი. სწორედ ამ შემთხვევაში, შესაბამისი სპეციალიზებული კომისია დეტალურ კითხვებს უსვამს კანონპროექტის ავტორს: საქმე ყოველთვის მინისტრს ეხება. პარლამენტის ორივე პალატის მიერ დამტკიცებული კანონების უმრავლესობა კაბინეტის მიერაა ინიცირებული მაშინ, როდესაც ოპოზიციიდან ძალზე მცირე რაოდენობის კანონებია წამოსული (O'Halloran, 2005 : 66-7).

გალაგერის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, 58 წლის განმავლობაში 1994 წლის მე-12 დოილიდან 2002 წლის 28-ე დოილამდე, ამ უკანასკნელს 2 075 კანონი გადაეცა, საშუალოდ, 36 კანონი წელიწადში. წლების მანძილზე, კენჭნაყარ კანონთა რაოდენობა წელიწადში არც გაზრდილა და არც შემცირებულა. ასევე არ არსებობს განსხვავება იმ კანონების რაოდენობას შორის, რომელიც კოალიციის ან ერთი პარტიის მთავრობებიდანაა წამოსული. ეს ცხადყოფს, რომ კანონების მომზადება საარჩევნო ციკლთანაა დაკავშირებული, რადგან ამ პერიოდის განმავლობაში, კენჭნაყარი კანონების საშუალო რაოდენობა არჩევნებამდე ერთი წლით ადრე 41 აღწევს, მაშინ როდესაც 2000 წელს 33 კანონს ეყარა კენჭი, ხოლო 2001 წელს მნიშვნელოვან ზრდას ჰქონდა ადგილი 55 კანონის მიღებით. შემდგომში, 2002 წელს ეს რაოდენობა 33 კანონამდე შემცირდა (საარჩევნო წელი). 2003 წელსა – 46 კენჭნაყარი კანონი – და 2004 წელს – 44 კენჭნაყარი კანონი – საკანონმდებლო აქტიურობა აღინიშნა. საბოლოოდ, სწორედ მთავრობა და არა დოილი იღებს გადაწყვეტილებებს კანონებსა და პოლიტიკურ ორიენტაციებზე. სპეციალიზებული კომისიების მიერ კანონების განხილვისას პარლამენტს ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა აქვს და ნაკლებად სავარაუდოა, რომ მთავრობის წინადადებები უარყოფილი იქნეს ამ უკანასკნელის ამომრჩეველის, პარლამენტის მხრიდან.

სენატი (დოილ სენადი) პარლამენტის ზედა პალატაა. მისი მანდატის ხანგრძლივობა დოილ ერენის იდენტურია, მიუხედავად იმისა, რომ სენატის არჩევნები დოილის არჩევნებიდან რამდენიმე თვის შემდეგ ტარდება. სენატი 60 წევრისგან შედგება, რომლებიც ძალზე კომპლექსური პროცედურით არიან არჩეულნი. სენატის 60 წევრიდან 49 პირდაპირაა არჩეული, დანარჩენ 11-ს კი პრემიერ-მინისტრი ნიშნავს. 43 წევრი სიების სისტემითაა (*panels*) არჩეული. ეს სიები შედგება იმ ინდივიდებისგან, რომლებიც თავიანთ ფუნქციებს საქმიანობის სხვადასხვა სექტორში ასრულებენ, და რომელთა ელექტორატი დოილის, სენატისა და ადგილობრივი აღმასრულებელი ხელისუფლებების წევრებისგან შედგება კომუნებისა ან ოლქების საბჭოების მეშვეობით. 6 დარჩენილი წევრი საუნივერსიტეტო ელექტორატის მიერაა არჩეული. პრემიერ-მინისტრის მიერ არჩეული 11 სენატორი ჩვეულებისამებრ, იმგვარად არიან შერჩეულნი, რომ სენატში მთავრობისთვის სანდო უმრავლესობა უზრუნველყონ და იმ რჩეულებს მისცენ შანსი, რომლებსაც თავიანთი პარტიისთვის დამატებითი ადგილის მოპოვება შეუძლიათ დოილის მომდევნო არჩევნებში. სენატი დოილის საპირწონე უნდა იყოს გარკვეული რეგიონებისა და სპეციფიკური ინტერესების წარმოდგენით. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სენატის 43 წევრის არჩევა სიების სისტემით იმის შთაბეჭდილებას ქმნის, რომ ის დიდწილად მთავარი ინტერესთა ჯგუფებითაა წარმოადგენილი, რეალობა სულ სხვაა. მართლაც, ელექტორატის უმრავლესობას პროფესიონალი პოლიტიკოსები წარმოადგენენ. *De facto* რჩეულები თავიანთი პარტიის პოზიციებს წარმოადგენენ სენატის შიგნით, რომელშიც ხშირად არიან დოილის ყოფილი და მომავალი წევრები. გარდა ამისა, ელექტორატის ერთგულება ძლიერი და სტაბილური პარტიების მიმართ საკმაოდ სარწმუნოს ხდის ადგილების გადანაწილების გამოთვლას (Gallagher et Weeks, 2003 : 206).

სენატის უფლებამოსილებები შეზღუდულია და დიდწილად არ აღემატება კანონმდებლობის მიღების უარყოფის შესაძლებლობას დოილთან უთანხმოების შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობას თითქმის ყოველთვის აქვს სენადის უმრავლესობის მხარდაჭერა, ეს შესაძლებლობაც ამაოდ წარმოიჩნდება. სენატის დამცველთა აზრით, ამ უკანასკნელის სიძლიერე მის შიგნით გამართული დებატების ხასიათში მდგომარეობს: ის-

ინი დოილის დებატებზე უფრო კონსტრუქციულად და შემეცნებითად განიხილება და კონფრონტაციის მეტი სულისკვეთებითაა აღნიშნული. ზოგიერთებისთვის სენატში ადგილის მოპოვება გადაწყვეტილების პროცესზე ზეგავლენის მოხდენის საშუალებაა, სხვებისთვის კი ეს ფუნქცია საგრძნობლად ზრდის დოილში არჩევის შანსებს (Gallagher et Weeks, 2003 : 197). ამ ელემენტებზე დაყრდნობით, განვიხილავთ ირლანდიის პარლამენტის არჩევისთვის გამოყენებულ საარჩევნო სისტემას, რომელიც ძლიერაა დომინირებული პარტიების გავლენით.

საარჩევნო სისტემა

ირლანდიაში არჩევნების ფორმას ერთადერთი გადაცემადი ხმის მიცემის პროპორციული წარმომადგენლობის სისტემა (RP-VUT) წარმოადგენს, რომელიც ევროკავშირის შიგნით მხოლოდ ირლანდიასა და მალტაზე გამოიყენება პარლამენტის ქვედა პალატის ასარჩევად. ეს სისტემა მიღებული იქნა ირლანდიელების მიერ 1937 წლის კონსტიტუციასთან ერთად. დაახლოებით ოცი წლის შემდეგ, 1937 წლის კონსტიტუციის ფუძემდებელი იმონ დე ვალერა, ამ სისტემის გაუქმების წინადადებით გამოვიდა. მიუხედავად იმისა, რომ დე ვალერას პარტია ფიანა ფაილი ხელისუფლებაში იმყოფებოდა ოციდან თოთხმეტი წლის განმავლობაში კონსტიტუციის მიღების შემდეგ, და ამ თარიღამდე 21 წლის მანძილზე 27-დან, პარტიამ ადგილების უმრავლესობის მოპოვება მხოლოდ ოთხჯერ შეძლო. ფიანა ფაილი ცდილობდა სტრატეგიული მიზეზების დამალვას, რომლებიც პროპორციულ სისტემასთან მიმართებაში მისი მიზნების საფუძველს წარმოადგენდა, მაგრამ ამომრჩევლები არ მოტყუვდნენ. ამ უკანასკნელთა აზრით, პარტიების რაოდენობისა და სამთავრობო არასტაბილურობის პრობლემების გადაწყვეტა შეუძლებელი იყო საარჩევნო სისტემის მოდიფიკაციით. 1959 წლის რეფერენდუმმა მარცხი განიცადა, რადგან ამომრჩეველთა 52% RP-VUT-ის სისტემის გაუქმებისა და მისი უბრალო მაჟორიტარული სისტემით შენაცვლების წინააღმდეგ გამოვიდა. შედეგის ორაზროვნებამ ფაინა ფაილს დაახლოებით ათი წლის შემდეგ, ახალი მცდელობისკენ, 1968 წელს ახალი რეფერენდუმის ჩატარებისკენ უბიძგა. ამჯერად, შედეგი ბევრად გამოკვეთილი იყო, რადგან ირლანდიელთა 61%-მა RP-VUT-ის სისტემის შენარჩუნების სასარგებლოდ გამოთქვა აზრი; მიუხედავად მოკლევადიანი უკმაყოფილებებისა საარჩევნო სისტემის ცვლილებასთან დაკავშირებით ეს სისტემა როგორც ჩანს, ირლანდიაში შემდგომ წლებშიც იარსებებს (Sinnott, 2005:108-9).

RP-VUT-ის სისტემა ძალზე სპეციფიკური საარჩევნო სისტემაა, რომელიც ფუნდამენტურად განსხვავდება საარჩევნო წარმომადგენლობის ორი სხვა ძირითადი ვარიანტისგან – მაჟორიტარული სისტემისგან პროპორციულობის თავისი მახასიათებლებით და მარტივი პროპორციული სიტემისგან პარტიებზე მეტად ინდივიდუალური კანდიდატების ხელშეწყობის უნარით. RP-VUT-ის სისტემაში ოლქებს აქვთ არა ერთი, არამედ ბევრი ადგილის მოპოვების შესაძლებლობა: ერთ და იმავე პარტიის და სხვა პარტიების კანდიდატებს შეჯიბრი აქვთ სამი, ოთხი ან ხუთი ადგილისთვის. ამგვარად, პარტიებზე მეტად კანდიდატებზე ფოკუსირება RP-VUT-ის სიტემის განმასხვავებელი ნიშანია. ფაქტობრივად, ინდივიდუალური დამარცხებების მესამედი და პარტიებისთვის ყველაზე სერიოზული მარცხის ნახევარი ერთი და იგივე პარტიის წევრის გამარჯვებიდან მომდინარეობს: ფიანა ფაილის დეპუტატთა დაახლოებით 56% და ფინე გელის დეპუტატთა 37% აგებს უფრო მეტად კოლეგის და არა სხვა პარტიის კანდიდატის სასარგებლოდ. მიუხედავად რყევებისა, რომლებიც შეიძლება საგულისხმოც იყოს, შეიძლება ითქვას, რომ RP-VUT-ის სისტემა შედარებით კარგად ფუნქციონირებს პროპორციულობის კრიტერიუმებთან მიმართებაში. როგორც ერთი დამკვირვებელი აღნიშნავს: „RP-VUT-ის სისტემა ირლანდიაში უზრუნველყოფს პროპორციულობის ხარისხის ისეთივე მაღალ დონეს, როგორც ეს იმ საარჩევნო სისტემებშია, რომელთა ერთადერთი მიზანი პროპორციულობაა".

პროპორციული წარმომადგენლობის მიმართ ერთ-ერთი ძირითადი კრიტიკული შენიშვნა დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ ის იწვევს პარტიების სწრაფ გამრავლებას და ამგვარად, გარკვეულ პოლიტიკურ არასტაბილურობას ან ყოველ შემთხვევაში, ბლოკირებას. ირლანდიაში ერთი საარჩევნო სისტემა მისი დაარსებიდან ფუნქციონირებს, მაგრამ პარტიების რაოდენობა საგრძნობლად ვარირებს. პროპორციული წარმომადგენლობის ყველა სისტემა მრავალპარტიულ სისტემებთანაა ასოცირებული და ირლანდიაც არ არის გამონაკლისი ამ წესიდან. დოილში არასდროს იყო წარმოდგენილი სამ პარტიაზე ნაკლები და ეს რაოდენობა რვამდეც ასულა. ამავე დროს, ფრაგმენტაცია შედარებით დაბალი იყო, ფიანა ფაილი და ფინე გელი ყოველთვის დომინირებდნენ პოლიტიკურ ასპარეზზე. ეს პარტიები საშუალოდ ხმების 75%-ს იღებდნენ ყოველ არჩევნებში 1932 წლიდან და ორჯერ, 1938 წლის თებერვალსა და 1982 წლის თებერვალში მათ ხმების თითქმის 85% მიიღეს.

ამ მხრივ, ასევე აღსანიშნავია, რომ RP-VUT-ის სისტემას დღემდე ეშვიათად გამოუწვევია ტიპური სამთავრობო კოალიციის შექმნა პროპორციული წარმომადგენლობის მქონე სხვა რეჟიმებისგან განსხვავებით. მართლაც, 1997 წლის არჩევნებამდე, ირლანდიელი ამომრჩევლებისთვის არ არსებობდა მკაფიო არჩევანი ორ მეტოქე კოალიციას შორის. მრავალპარტიულობისა და სამთავრობო არასტაბილურობის ერთმანეთთან დაკავშირება აუცილებლად არ გულისხმობს თანხვედრას, პატარა პარტიების არსებობასთან დაკავშირებული საფრთხე შეიძლება ეფექტური ხმის მიცემით განეიტრალდეს. RP-VUT-ის სისტემის ერთ-ერთი შედეგი იყო, განსაკუთრებით ბოლო წლებში, მიუმხრობელი ან დამოუკიდებელი კანდიდატების რაოდენობის გაზრდა. 1980-იანი

წლების დასაწყისიდან ირლანდიის სამი მთავრობა აშკარად უნდა დაყრდნობოდა დამოუკიდებელ დეპუტატთა მხარდაჭერას. ამ სამი მთავრობიდან ორი (მოქმედი 1981 წლისა და 1982 წლის თებერვალის არჩევნების შემდეგ) დაიშალა ხელისუფლებაში ყოფნის რვათვიანი ვადის მიწურულს. რადგან სამთავრობო სტაბილურობის ამგვარი საშიშროება კონკრეტულია და ძირითადად, საპარლამენტო არითმეტიკაზეა დამოკიდებული არჩევის შემდეგ, მისი განეიტრალება შეუძლებელია ხმის მიცემის დისციპლინით. ამგვარად, RP-VUT-ის სისტემას ექმნება სამთავრობო არასტაბილურობისთვის ხელშეწყობის საშიშროება იმის გამო, რომ ის ზრდის იმის ალბათობას, რომ უმცირესობის მთავრობებმა შეიძლება არჩიონ მიუმხრობელ დეპუტატებზე დამოკიდებულება, ვიდრე სხვა პარტიასთან კოალიციის ფორმირება. თუმცა, 1997 წლიდან კოალიციის ფორმირება ფიანა ფაილისადმი კეთილგანწყობილი მთავრობის არჩევანი გახდა. მიუხედავად ყველაფრისა, 1997 წლისა და 2002 წლის არჩევნებმა დამოუკიდებელ კანდიდატთა არჩევის მნიშვნელოვანი ზრდა დაგვანახა. 1997 წელს ამ უკანასკნელთა რაოდენობა 11-ს აღწევდა, ხოლო 2002 წელს 14-ს. ზოგადად, ისინი ორ კატეგორიაში არიან განლაგებულნი. პირველი ჯგუფი შეიძლება ფიანა ფაილის მხარდაჭერის რეზერვად იქნეს განხილული, მათი უმრავლესობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული აღნიშნულ პარტიასთან. მიუხედავად იმისა, რომ ამ დამოუკიდებელმა დეპუტატებმა დატოვეს პარტია ზოგადად, იმ მიზეზით, რომ მათ უარი უთხრეს საკანონმდებლო არჩევნებში კანდიდატებად წარდგენაში, ისინი ცდილობენ ფიანა ფაინთან შეთანხმებით ხმის მიცემას დოილში. სხვა დამოუკიდებელი დეპუტატები პოლიტიკური საჭადრაკო დაფის მარცხენა ფლანგზე არიან განლაგებულნი და გულმოდგინეთ მუშაობენ ადგილობრივ დონეზე; ისინი თითქმის ყოველთვის მთავრობის წინააღმდეგ აძლევენ ხმას.

RP-VUT– ის სისტემის მიმართ გამოთქმული სხვა კრიტიკა პარტიების დასუსტებას უკავშირდება, რაც ოლქებში ზედმეტად დიდი ვალდებულებებითაა გამოწვეული. მართლაც, VUT-ის სიტემის უმნიშვნელოვანეს მახასიათებელს წარმოადგენს სხვა პრეფერენციული ხმის მიცემის სისტემების მსგავსად, კანდიდატებზე ფოკისირებული და ძალზე დეცენტრალიზებული ორგანიზაციის წახალისება (Murphy, Farrell, 2002: 217). ამავე დროს, თუკი დეპუტატები მეტად მნიშვნელოვან სამუშაოს ასრულებენ თავიანთ ოლქებში, არ შეიძლება ფორმალურად დავასკვნათ, რომ ეს საარჩევნო სიტემასთანაა დაკავშირებული. სხვა ფაქტორები, ისეთი როგორიცაა ირლანდიის პოლიტიკური კულტურა, ქვეყნის მცირე მოცულობა, არაადეკვატური საპარლამენტო სტრუქტურები და პროცედურები და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების სისუსტე, ხელს უწყობს იმას, რომ დოილის დეპუტატები საკუთარი დროის მნიშვნელოვან ნაწილს ადგილობრივ მანდატთან დაკავშირებულ საკითხებს უთმობენ (Sinnott, 2005:123). უეჭველია, რომ საარჩევნო სისტემა დამატებითი ფაქტორია, მაგრამ ის არ შეიძლება გაიგივებული იქნეს მთავარ მოცემულობასთან. რა თქმა უნდა, ოლქებში ამგვარ დამკვიდრებას ასევე პოზიტიური შედეგებიც აქვს: ის მჭიდრო კონტაქტის დამყარების საშუალებას იძლევა რჩეულებსა და ამომრჩევლებს შორის, ამ უკანასკნელებს კანონმდებლობაზე მეტი გავლენის მოხდენის შესაძლებლობას აძლევს და საბოლოო ჯამში, პასუხისმგებლობის პრინციპს აძლიერებს პოლიტიკური სისტემის შიგნით. ირლანდიელ მოქალაქეებს შეუძლიათ სხვადასხვა ფორმით პოლიტიკურ სისტემასთან ურთიერთქმედება, მაგრამ დეპუტატები ამ მხრივ, მთავარ ვექტორს წარმოადგენენ ამომრჩეველთა ხმების მისაწვდომობისთვის. ამგვარად, დეპუტატთა როლი თავიანთ ოლქებში ირლანდიის პოლიტიკური სისტემის მთავარი ასპექტია; ის ამცირებს დაშორების შეგრძნებას მოქალაქეებსა და ინსტიტუტებს შორის. ირლანდიელები თავიანთი წარმომადგენლებისგან აქტიურობას ელიან და პირადი თუ კოლექტიური პრობლემებისა და უკმაყოფილებების მიწვდენას კომპეტენტურ სამინისტრომდე. რჩეულთა საქმიანობა ადგილობრივ დონეზე ყველა დემოკრატიას ახასიათებს და მნიშვნელოვანი სამუშაოს შესრულება მთელი მსოფლიო პოლიტიკური სისტემების ხვედრია: ამ მხრივ ირლანდიაც არაა გამონაკლისი (Gallagher, Komito, 2005: 268).

ცხრილი №3: ადგილების გადანაწილება დოილ ერენში პარტიების მიხედვით 1922-2002 წლებში

წელი	ფიანა ფაილი	ფინე გელი	ლეიბორისტული პარტია	ფერმერთა პარტია	რესპუბლიკური პარტიები	სხვები	მთლიანად
1922 წ.	36	58	17	7	-	10	128
1923 წ.	44	63	14	15	-	17	153
1927 (1) წ.	44	47	22	11	5	24	153
1927 (2) წ.	57	62	13	6	-	15	153
1932 წ.	72	57	7	4	-	13	153
1933 წ.	77	48	8	11	-	9	153
1937 წ.	69	48	13	-	-	8	138
1938 წ.	77	45	9	-	-	7	138
1943 წ.	67	32	17	14	-	8	138

1944 წ.	76	30	8	1	-	13	138
1948 წ.	68	31	14	7	10	17	147
1951 წ.	69	40	16	6	2	14	147
1954 წ.	65	50	19	5	3	5	147
1957 წ.	78	40	12	3	5	9	147
1961 წ.	70	47	16	2	1	8	144
1965 წ.	72	47	22	-	1	2	144
1969 წ.	75	50	18	-	-	1	144
1973 წ.	69	54	19	-	-	2	144
1977 წ.	84	43	17	-	-	4	148
1981 წ.	78	65	15	-	2	6	166
				პროგრეს. დემოკრატ.	შინ ფეინი		
1982(1)წ.	81	63	15	-		7	16
1982(2)წ.	75	70	16	-		5	166

წელი	ფიანა ფაილი	ფინე გელი	ლეიბორისტული პარტია	ფერმერთა პარტია	რესპუბლიკური პარტიები	სხვები	მთლიანად
1887 წ.	81	51	12	14		8	166
1989 წ.	77	55	15	6		13	166
1992 წ.	68	45	33	10		10	166
1997 წ.	77	54	17	4	1	13	166
2002 წ.	81	31	21	8	5	20	166

წყარო, Coakley, Gallagher, 2005, 467.

პარტიული სისტემა

ისტორიულად, ფიანა ფაილი ირლანდიის პარტიულ სისტემაზე დომინირებდა. ეს ტრადიციულად პოპულისტური პარტია ნებისმიერი კვლევისთვის გამოწვევას წარმოადგენს. ის საზოგადოების ყველა ფენის მხარდაჭერას იწვევს და მთავრობაში თავისი პირველი მოსვლიდან 1932 წელს მისი რეიტინგი იშვიათად დაცემულა პრეფერენციული ხმის მიცემის 40%-ზე დაბლა: 1992 წელსა და 1997 წელს. თავდაპირველად შინ ფეინის – რომლის წარმატებამ 1918 წლის ვესტმინსტერის არჩევნებში ირლანდია დამოუკიდებლობამდე მიიყვანა – დაშლის შედეგად ჩამოყალიბებულმა ფიანა ფაილმა სწრაფად დაიმკვიდრა ადგილი, როგორც რადიკალურმა და ისტებლიშმენტის მოწინააღმდეგე პარტიამ. თუმცა, ეს რადიკალიზმი მალე შერბილდა და ხელისუფლებაში ყოფნის 16 წლის შემდეგ 1948 წელს, შეჯიბრი ირლანდიის პარტიული სისტემის შიგნით მოკლედ გამოიხატებოდა, როგორც „ფიანა ფაილი სხვების წინააღმდეგ." მომდევნო 50 წლის განმავლობაში ფიანა ფაილი ნაციონალისტურ რიტორიკაზე დაფუძნებულ პოლიტიკას ატარებდა, პარტიას მჭიდრო კავშირები ჰქონდა პროფკავშირულ მოძრაობასთან და მან მიმზიდველობა შეინარჩუნა წვრილ და მსხვილ ფერმერებში. გარდა ამისა, ამ პარტიას ჰქონდა ერთდროულად ეკონომიკური წრეებისა და მოსამსახურეთა მხარდაჭერა (Murphy, 2003: 1-2). პრინციპში, 1989 წლამდე ფიანა ფაილი ქვეყანას ფაქტობრივად მარტო მართავდა. ეს პარტია ამ პრინციპის დათმობაზე წავიდა კოალიციის შესაქმნელად პროგრესულ დემოკრატებთან (PDs). საქმე ეხება პატარა პარტიას, რომელიც ლიბერალთა ევროპულ ჯგუფს მიეკუთვნება. ის მემარჯვენეობისკენაა ორიენტირებული ეკონომიკის კუთხით და ლიბერალიზმისკენ საზოგადოებასთან დაკავშირებულ საკითხებში; აღნიშნული პარტია 1985 წელს შეიქმნა ფიანა ფაილთან განხეთქილების შედეგად, რაც ძირითადად ჩარლზ ჰოგის ლიდერობასთან იყო დაკავშირებული. მას შემდეგ, რაც ფიანა ფაილი კოალიციის შიგნით მართვას დასთანხმდა, საარჩევნო შეჯიბრი უფრო არასტაბილური გახდა. 1992 წლის საკანონმდებლო არჩევნებში ფიანა ფაილის პრეფერენციული ხმის მიცემის შედეგები 40%-ზე დაბალი იყო პირველად მისი დაარსების დღიდან; ამავე დროს, ამ არჩევნების შედეგად შეიქმნა კოალიცია ფიანა

ფაილსა და ლეიბორისტულ პარტიას შორის, ეს უკანასკნელი PDs-ის საპირისპირო პოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზეა განლაგებული. პარტიული სისტემის არასტაბილურობამ თავი იჩინა მთავრობის შეცვლით დოილის 27-ე ლეგისლატურის განმავლობაში. 1994 წელს ფიანა ფაილისა და ლეიბორისტული პარტიის კოალიციის შედეგად შექმნილი მთავრობა დაიშალა ორ პარტიას შორის არსებული უთანხმოებების გამო. ეს მთავრობა არჩევნების ჩატარების გარეშე შეიცვალა ფინე გელის, ლეიბორისტული პარტიისა და პატარა მემარცხენე დემოკრატიული პარტიისგან შემდგარი მთავრობით (პროგრესული დემოკრატები) (Garry, 1995: 192-199). ფიანა ფაილი კვლავ ხელისუფლებაში აღმოჩნდა 1997 წლის საკანონმდებლო არჩევნების შედეგად პროგრესულ დემოკრატებთან ახალი კოალიციის შექმნის წყალობით. მაშინ როდესაც ფიანა ფაილის შედეგები ხმების 39,33%-ით მხოლოდ 0,5%-ით გაიზარდა 1992 წლის არჩევნებთან მიმართებაში, ამ პარტიამ დოილში ცხრა დამატებითი ადგილის მოპოვება შეძლო. (Murphy, 1998: 131-2).

ფიანა ფაილის ძირითადი მეტოქეა ფინე გელი, რომელიც ასევე ძველი შინ ფეინის პარტიიდანაა გამოსული. თავდაპირველად ამ პარტიას კუმან ნა გელი ეწოდებოდა, ხოლო 1933 წელს ის ფინე გელი გახდა. თავიდანვე ფინე გელი მსხვილ მიწათმფლობელთა და ზედა საშუალო კლასის პარტიად განიხილებოდა. ეს ჯგუფი ყოველთვის წარმოადგენდა ამ პარტიის ძირითად საარჩევნო დასაყრდენს (Gallagher, Marsh, 2002). ფიანა ფაილი სწორედ კოალიციურ სტრატეგიას უარუოფდა 1989 წლამდე, რაც ფინე გელის გადარჩენის მიზეზი გახდა, როდესაც 1948 წელს, შემდეგ კი 1954 წელს ის არსობრივად ფიანა ფაილის მოწინააღმდეგე მთავრობებს მართავდა. მესამე უფრო მჭიდრო კოალიცია ლეიბორისტულ პარტიასთან 1973 წელს შეიქმნა ფიანა ფაილის თექვსმეტწლიანი უწყვეტი მმართველობის შემდეგ. 1980-იანი წლების დასაწყისი ფინე გელის ტრიუმფის აპოგეა გახდა გერეტ ფიცჯერალდის ლიდერობით. 1982 წლის ნოემბერში ფინე გელმა ხუთი ადგილით გაუსწრო ფიანა ფაილს პრეფერენციული ხმის მიცემის 39%-ით და ამგვარად, სამთავრობო კოალიციის დომინანტური პარტია გახდა ლეიბორისტულ პარტიასთან ერთად 1981-1982 წლებში და 1982 წლიდან 1987 წლამდე. თუმცა, ეს სტრატეგია სახიფათო წარმოჩნდა: 1989 წელს კოალიციის ფორმირებაზე თანხმობით ფიანა ფაილმა თავის მხრივ, ალიანსებს მიმართა, რომელიც წინათ ფინე გელის მონაპოვარი იყო. ფიანა ფაილის მიერ ანტიკოალიციური დოქტრინის უარყოფამ მნიშვნელოვანი კრიზისი გამოიწვია ფინე გელის შიგნით. ამ პარტიის ისტორიული წარმატებიდან მოყოლებული პრეფერენციული ხმის მიცემის 39,2%-ით 1982 წლის ნოემბრის არჩევნებში, ფინე გელმა ნამდვილი საარჩევნო დანაკარგი განიცადა. 1987 წლის არჩევნებში მისი საარჩევნო შედეგები 27, 1%-მდე დაეცა. ეს გახდა ხანგრძლივი ფრაგმენტაციის დასაწყისი, რომლის ბოლო გამოხატულება იყო დამანგრეველი შედეგი პრეფერენციული ხმის მიცემის 22,5%-ით 2002 წლის მაისის არჩევნებში. დანაკარგები ადგილების რაოდენობის მხრივ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო. 166-დან 70 ადგილის მაქსიმალური რაოდენობიდან ნოემბერში, პარტია 31 ადგილამდე ჩამოვიდა 2002 წელს. ამ არჩევნების დროს, ფინე გელი უბრალოდ დაიშალა და ადგილების კოლოსალური რაოდენობა დაკარგა (23) 1977 წლის მისივე შედეგთან მიმართებაში, რაც ადგილების ყველაზე მნიშვნელოვან დანაკარგს წარმოადგენს ირლანდიის ისტორიაში. უკვე ოცი წელია, რაც გერეტ ფიცჯერალდის პოლიტიკური ასპარეზიდან წასვამ ფინე გელის დიდების დღეები დასრულა, პარტიამ უკანასკნელი 20 წლიდან 18 ოპოზიციაში გაატარა (Mitchell, 2003:226). მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად, პარტიები ოპოზიციაში ყოფნის ხანგრძლივი პერიოდით სარგებლობენ საკუთარი პოტენციალის აღსადგენად, ფინე გელმა 2002 წელს ამომრჩეველთა დაახლოებით 5% დაკარგა 1987 წელს ფიცჯერალდის მარცხთან შედარებით. სხვათა შორის, პარტიამ ფიცჯერალდის წასვლის შემდეგ ოთხჯერ შეიცვალა ლიდერი. მისი ერთადერთი იმედია ერთ დღეს ხელისუფლებაში დაბრუნება ლეიბორისტულ პარტიასთან კოალიციის ფორმირებით. ამ უკანასკნელს დიდი საარჩევნო წარმატებები ჰქონდა, მაგრამ ასევე ხელისუფლებაში ყოფნის გამოცდილებასთან დაკავშირებული მრავალი გამოცდაც.

ირლანდიაში მემარცხენე პარტიებს ყველაზე დაბალი შედეგები აქვთ მთელ დასავლეთ ევროპაში, რასაც ლეიბორისტული პარტიისადმი მხარდაჭერა ცხადყოფს. ხუთი არჩევნების განმავლობაში, რომლებსაც 1980-იან წლებში ჰქონდა ადგილი, ლეიბორისტულ პარტიას არასდროს მიუღია 10%-ზე მეტი. 1992 წელს მან ადგილების რეკორდული რაოდენობა (33) მიიღო პრეფერენციული ხმის მიცემის 19%-ით, მას შემდეგ რაც ძალზე აქტიური იყო ოპოზიციაში, შემდეგ კი ხელისუფლებაში თავდაპირველად, ფიანა ფაილთან შემდეგ კი, ფინე გელთან და პროგრესულ დემოკრატებთან (მემარცხენე დემოკრატიული პარტია) ერთად. თუმცა, 1997 წლის საკანონმდებლო არჩევნებში ლეიბორისტულმა პარტიამ თავისი ადგილების ნახევარი დაკარგა და ხმების მხოლოდ 10% მოიპოვა. 2002 წლის არჩევნებში პარტიის შედეგმა მხოლოდ ნახევარი პუნქტით მოიმატა. ეს შეიძლება მწვავე მარცხად იქნეს განხილული, რამდენადაც პროგრესულ დემოკრატებთან გაერთიანებით 1998 წლის ნოემბრის არჩევნებისთვის შეიძლება ახალი მემერხენე ძალის ჩამოყალიბების მომსწრენი გავმხდარიყავით ირლანდიის სისტემის შიგნით (Murphy, 2003: 9). 2002 წლის არჩევნებმა დაამტკიცა, რომ ეს ოპტიმიზმი ილუზორული იყო. რეალობაში, ლეიბორისტულ პარტიას წინსვლა არ ჰქონია თავის შედეგთან მიმართებაში პროგრესულ დემოკრატებთან გაერთიანებამდე პრეფერენციული ხმის მიცემის შესაბამისად.

ამჟამად, ირლანდიაში საარჩევნო შეჯიბრი ორი ალტერნატიული კოალიციის გარშემოა გაერთიანებული: დღეს მოქმედი ფიანა ფაილის მთავრობა – პროგრესული დემოკრატები და ფინე გელის ალიანსი – ლეიბორისტები. ამ ალტერნატიულ კოალიციას როგორც ჩანს, დამატებითი პარტია ესაჭიროება მთავრობის ჩამოსაყალიბებლად მომავალი არჩევნების შემდეგ: სავარაუდოდ, საქმე ეხება მწვანეთა პარტიას, რომელსაც 6 ადგილი და ხმების 3,8% აქვს. მთავრობის მხრივ, ნაკლები ეჭვი არსებობს იმის თაობაზე, რომ კოალიციის წარმატებების მიუხედავად, ფიანა ფაილი კვლავაც აბსოლუტურ უმრავლესობას უმიზნებს. ამ მიზანთან ის ძალზე ახლოს იდგა 2002 წელს. რაც შეეხება PDs-ს (პროგრესული დემოკრატები) მას ყოველთვის საკმაოდ მყიფე საარჩევნო ადგილი ეკავა. 1987 წელს არჩევნებში პირველად მონაწილეობის დროს პროგრესულმა დემოკრატებმა ირლანდიის პოლიტიკის მარწუხებიდან განთავისუფლების შესახებ განაცხადეს 14 ადგილისა და ხმების 11,8%-ის მოპოვებით. 1989 წელს, ამ პარტიის შედეგები 5,5%-მდე დაეცა და მან მხოლოდ 6 ადგილი მოიპოვა. მიუხედავად ამ ცუდი შედეგისა, პარტია სამთავრობო კოალიციაში მონაწილეობს ფიანა ფაილთან. პროგრესული დემოკრატების პარტიის ელექტორატის წილი დაახლოებით 5%-ს შეადგენდა, მაგრამ მის მიერ მოპოვებული ადგილების რაოდენობა მერყეობდა ათიდან (1992 წ.) ოთხამდე (1997 წ.) და რვამდე (2002 წ.). კვლავაც პარადოქსულად, ამ პარტიის შედეგი 1997 წელს ფიანა ფაილთან ალიანსს უკავშირდებოდა, რომლისადმი ერთგულიც ის დარჩა. ასევე აღსანიშნავია პოლიტიკური სისტემის სხვა ტენდენციაც: ირლანდიის ნაციონალისტური პარტიის, შინ ფეინის გაძლიერება, რომელიც ერთდროულად კანდინატებს ირლანდიის და ბრიტანეთის არჩევნებში წარადგენს. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხნის მანძილზე შინ ფეინის ძალა უგულებელყოფილი იყო ირლანდიაში, 2002 წელს მან ხუთი ადგილი მიიღო ხმების 6,5%-ით. მრავალი დამკვირვებელი თანხმდება იმასთან დაკავშირებით, რომ ეს პარტია თავის საარჩევნო შედეგებს გააუმჯობესებს (ადგილებისა და ხმების რაოდენობით) მომავალ არჩევნებში, რაც ნაწილობრივ სამშვიდობო პროცესის წარმატების შედეგია ჩრდილოეთ ირლანდიაში.

ტაბულა №5: მთავრობების შემადგენლობა ირლანდიაში, 1922-2002 წწ.

წელი	პარტია/ხელისუფლებაში მყოფი კოალიცია	მთავრობის ტიპი	ხანგრძლივობა (წლებში)
1922 წ.	კუმან ნა გელი	ერთპარტიული უმცირესობა	1,0
1923 წ.	კუმან ნა გელი	ერთიპარტიული უმცირესობა	3,7
1927 წ. (1)	კუმან ნა გელი	ერთპარტიული უმცირესობა	0,3
1927 წ. (2)	კუმან ნა გელი	ერთპარტიული უმცირესობა	4,4
1932 წ.	ფიანა ფაილი	ერთპარტიული უმცირესობა	0,9
1933 წ.	ფიანა ფაილი	ერთპარტიული უმცირესობა	4,4,
1937 წ.	ფიანა ფაილი	ერთპარტიული უმცირესობა	0,9
1938 წ.	ფიანა ფაილი	ერთპარტიული უმცირესობა	5,0
1943 წ.	ფიანა ფაილი	ერთპარტიული უმცირესობა	0,9
1944 წ.	ფიანა ფაილი	ერთპარტიული უმცირესობა	3,7
1948 წ.	კუმან ნა გელი, ფინე გელი, ლეიბორისტული პარტია, კლან ნა პობლაჰტა, ლეიბორისტული პარტია. კლან ნა ტალმჰანი	უმრავლესობის კოალიცია	3,3
1951 წ.	ფიანა ფაილი	ერთპარტიული უმცირესობა	3,0

1954 წ.	ფინე გელი, ლეიბორისტები, კლან ნა ტალმჰანი	უმრავლესობის კოალიცია	2,8
1957 წ.	ფიანა ფაილი	ერთპარტიული უმრავლესობა	4,6
1961 წ.	ფიანა ფაილი	ერთიპარტიული უმრავლესობა	3,5
1965 წ.	ფიანა ფაილი	ერთპარტიული უმცირესობა	4,2
1969 წ.	ფიანა ფაილი	ერთპარტიული უმცირესობა	3,7
1973 წ.	ფინე გელი, ლეიბორისტები	უმრავლესობის კოალიცია	4,3
1977 წ.	ფიანა ფაილი	ერთპარტიული უმრავლესობა	4,3
1981 წ.	ფინე გელი, ლეიბორისტები	ერთპარტიული უმცირესობა	0,7
1982 წ. (1)	ფიანა ფაილი	ერთპარტიული უმ-ცირესობა	0,7
1982 წ. (2)	ფინე გელი, ლეიბორისტები	უმრავლესობის კოალიცია	4,2
1987 წ.	ფიანა ფაილი	ერთპარტიული უმ-ცირესობა	2,3
1989 წ.	ფიანა ფაილი, პროგრესული დემოკრატები	უმცირესობის კოალიცია	3,5
1992 წ.	ფიანა ფაილი, ლეიბორისტული პარტია	უმრავლესობის კოალიცია	1,8
1994 წ.	ფინე გელი, ლეიბორისტები, მემარცხენე დემოკრატები	უმრავლესობის კოალიცია	2,6
1997 წ.	ფიანა ფაილი, პროგრესული დემოკრატები	უმცირესობის კოალიცია	5.0
2002 წ.	ფიანა ფაილი, პროგრესული დემოკრატები	უმცირესობის კოალიცია	მიმდინარე

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები

ევროკავშირის სხვა ქვეყნებთან შედარებით ირლანდიაში ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები ძალზე სუსტია: ისინი ცენტრის მკაცრ კონტროლს ექვემდებარებიან, აკლიათ ფინანსური დამოუკიდებლობა და მათი ფუნქციების სფექტრი ძალზე შეზღუდულია. ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციები რვა კატეგორიად იქნა კლასიფიცირებული 1975 წლის *Public Bodies (amendment) Order-ით*, რომელთა შორისაა: საბინაო საკითხი და მშენებლობა; ინფრასტრუქტურა და საგზაო უსაფრთხოება; წყალმომარაგება და კანალიზაცია; ეკონომიკური განვითარების წახალისება და კონტროლი; გარემოს დაცვა და დასვენება; სოფლის მეურნეობა, განათლება, ჯანდაცვა და სოციალური დახმარებები; და სხვა საკითხები. თუკი ეს კომპეტენციები ფართოდ წარმოჩნდება, რეალობაში, ქვეყნის ადგილობრივ ხელისუფლებას არ გააჩნია არავითარი პასუხისმგებლობა ისეთ სფეროებში, როგორიცაა განათლება, ჯანდაცვა, სამოქალაქო თავდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (Collins, Quinlivan, 2005: 389). მკაცრი კონტროლისა და ცენტრალური მმართველობის სისტემის აუცილებლობა ირლანდიის სახელმწიფოს შექმნის მძიმე გარემოებებით აიხსნება, რადგან მთავრობა ავტორიტეტისა და პატივისცემის მოპოვებას ცდილობდა ამბოხებებით შერყეულ პატარა ქვეყანაში. ამგვარად, ირლანდიის პოლიტიკური სისტემისთვის დამახასიათებელი ცენტრალიზაცია ისევე კარგად იქნა მიღებული, როგორც წესრიგის აღდგენა, რომელიც პრიორიტეტული იყო ახლად დამოუკიდებლობა მიღებული სახელმწიფოს მართვისთვის. გარდა ამისა, მრავალი თვალსაზრისით, ახალმა რეჟიმმა მხოლოდ გააძლიერა ცენტრალიზაცია, რომელიც კუნძულის ბრიტანელთა მმართველობის მემკვიდრეობიდან მომდინარეობდა. ტრადიციულად, დიდი ბრიტანეთი პოლიტიკური და ინსტიტუციონალური ცენტრალიზაციის მოდელად განიხილებოდა.

ადგილობრივი მმართველობის სისტემა ხშირად მიმართავდა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების დაშლას. აღნიშნული უფლება 1923 წელს იქნა ამოქმედებული, სწორედ დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ, *Local Government (Temporary Provisions) Act*-ით. ეს უკანასკნელი ადგილობრივი ორგანოების დაშლას ითვალისწინებდა მათ მიერ საკუთარი ფუნქციების შეუსრულებლობის შემთხვევაში და ამ ორგანოების შენაცვლებას კომისრებით ან მენეჯერებით. ამ აქტის მიღებიდან პირველი სამი წლის განმავლობაში დაშლილი იქნა 23 ადგილობრივი ასამბლეა, რომელიც კომისრებით იქნა შენაცვლებული. ამ უკანსკნელებმა სწრაფად მოიპოვეს, როგორც ნაციონალურ პასუხისმგებელ პირთა, ისე ადგილობრივი ელექტორატის პატივისცემა თავიანთი ეფექტურობისა და სანდოობის წყალობით. საბოლოოდ, აღნიშნულს მოჰყვა 1929 წლის *Cork City Management Act*-ის მიღება, რომელიც მუდმივ ფუნქციონერსა ან მენეჯერს რჩეულებთან ერთად ძალაუფლების განაწილების საშუალებას აძლევდა ამ უკანასკნელთა შეცვლის მაგიერ. ეს კანონი მთელ ქვეყანაში გავრცელდა 1940 წლის *County Management Act*-ით. სწორედ კომპეტენციების განაწილების ამგვარი ურთიერთობა მენეჯერებსა და არჩეულ წარმომადგენლებს შორის, დღესაც მართავს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ფუნქციონირებას.

ხელისუფლების დამბალანსებელი ჯგუფები

ირლანდიის მოქალაქეები ასევე სარგებლობენ სხვადასხვა კანონებით, რომლებიც მთავრობის გაკონტროლების საშუალებას იძევა. მათ შორის მთავარია *Freedom of Information Act*-ი (1997 წ.). ეს მარეგლამენტირებელი აქტი ამ სახის პირველი საკანონმდებლო ტექსტია ირლანდიაში, ის ძალზე მნიშვნელოვანია და მოქალაქეებს უფლებების გარკვეულ რაოდენობას ანიჭებს. მაგალითად, სამინისტროებისა ან სახელმწიფოს სხვა სააგენტოების განკარგულებაში არსებული დადგენილებების სიის გაცნობა, პირადი მონაცემების შეცვლა შეცდომების პოვნის შემთხვევაში და სახელმწიფო ადმინისტრაციის მიერ ამ მონაცემებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მოტივაციების მიღების უფლება (Connolly, 2005 : 347-8).

კონსტიტუცია მოქალაქეებს ასევე ანიჭებს ისეთ დემოკრატიულ და სამოქალაქო უფლებებს, როგორიცაა habeas corpus[87], გაერთიანების უფლება, გამოხატვის თავისუფლება, კერძო საკუთრების უფლება; ამავე დროს, ყველა სხვა კონსტიტუციის მსგავსად, ეს უფლებები მომდინარეობს დებულებიდან, რომელიც სახელმწიფოს ამ უკანასკნელთა შეზღუდვის შესაძლებლობას ამტკიცებს თუკი ეს მაგალითად, საერთო ინტერესებითაა გამართლებული. ირლანდიას, როგორც common law-ს[88] სახელმწიფოს არა აქვს საკონსტიტუციო სასამართლო და კონსტიტუციის ინტერპრეტაცია ჩვეულებრივ სასამართლოებში ხდება. ამიტომაც, კონსტიტუცია კანონების (კონსტიტუციურობის) კონტროლის მეშვეობით განვითარდა. კანონის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებული შემთხვევები შეიძლება სასამართლოების მიერ იქნეს განხილული და უზენაეს სასამართლომდეც მივიდეს ორი გზით. პირველ გზას წარმოადგენს საპრეზიდენტო მოთხოვნა, როდესაც პრეზიდენტი ჯერ კიდევ დაუმტკიცებელ კანონს უზენაეს სასამართლოს წარუდგენს. მეორე გზა დაკავშირებულია იმ მოქალაქეებთან, რომლებსაც რომელიმე კანონი შეეხო. მათ იოლად შეუძლიათ ამ კანონის კონსტიტუციურობის კითხვის ქვეშ დაყენება უმაღლესი სასამართლოს წინაშე უზენაეს სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობით. კონსტიტუციურობის კონტროლის ეს სისტემა პოტენციურად სახიფათოა, რადგან ის მნიშვნელოვან ძალაუფლებას არა არჩეულ პასუხისმგებელ პირებს გადასცემს, რომლებსაც უმრავლეს შემთხვევაში, არ გააჩნიათ არავითარი პოლიტიკური პასუხისმგებლობა. ამ მხრივ, კონსტიტუციის 35:4-ე პირობა პარლამენტს (ოირიახტასი) მოსამართლეების თანამდებობიდან გადაყენების უფლებას აძლევს აშკარა ან უხეში შეცდომის გამო. თუმცა ეს უფლებამოსილება იშვიათად გამოიყენებოდა. მოსამართლეებს მთავრობა ნიშნავს, მაგრამ ისინი მისგან დამოუკიდებელნი არიან. ამ კონტექსტში, კონსტიტუციურობის კონტროლი ახალი უფლებების გამოცხადების მნიშვნელოვანი საშუალება გახდა, რომლებიც კონსტიტუციაში არაა ნახსენები მაგალითად, სხეულის ხელშეუხებლობის უფლება, ცოლ-ქმრული ინტიმურობის უფლება, რომელიც კონტრასეფციაზე კანონის მიღების შესაძლებლობას იძლევა და ასევე გაუთხოვარი დედებისთვის საკუთარი შვილების მოვლის უფლება. შეიძლება ითქვას, რომ ირლანდიის კონსტიტუცია ევროპულ სტანდარტებს შეესაბამება სამოქალაქო უფლებების გარანტირების საკითხში და ამავე დროს, ის გარკვევით არ განსაზღვრავს ეკონომიკური უფლებების დაცვის დონეს.

ირლანდიურ საზოგადოებაში ინტერესთა ჯგუფები ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, როგორც მოქალაქეთა გარკვეული რაოდენობის წარმომადგენლები და ამომრჩევლებსა და მთავრობას შორის შუალედური ინსტანცია. გადაწყვეტილების მიმღებებამდე მიღწევა ყველა ინტერესთა ჯგუფისთვისაა გადამწყვეტი. მათი მიზანია გავლენის მოხდენა კერძი თუ საჯარო არხებით, პირდაპირი თუ არაპირდაპირი ფორმით. ეკონომიკურ ინტერესთა მთავარ ჯგუფებს – ირლანდიელ ფერმერთა გაერთიანება (Irish Farmers Association: IFA), ირლანდიის პროფკავშირების კონგრესი (Irish Congress of Trade Unions: ICTU) და ირლანდიის მოსამსახურეთა

87 1679 წლის ინგლისური კანონი პიროვნების ხელშეუხებლობის შესახებ (ეს კანონი აწესებს დაპატიმრებულის სასამართლოში წარდგენას განსაზღვრულ ვადაში სასამართლო განხილვისთვის და დაკავების კანონიერების დასადგენად).

88 დაუწერელი კანონი

კონფედერაცია (Irish Business and Employers Confederation: IBEC) – წარმომადგენლები ჰყავთ საწარმოთა ადმინისტრაციის საბჭოებში, აქვთ რჩევისა და კონტროლის მრავალი ორგანო (ევროპულ დონეზეც). მათ საკმარისი საშუალებები გააჩნიათ კვლევისა და ანალიზის შესაბამისად სხვადასხვა დონეზე სათანადო გადაწყვეტილებების განსახილველად. ეს ჯგუფები სარგებლობენ ძალზე ეფექტური ხელმისაწვდომობით ბიუროკრატიულ აპარატებში, როგორც ნაციონალურ, ისე საერთაშორისო დონეზე და მუდმივ ზეწოლას ანხორციელებენ გადაწყვეტილების მიმღებებზე (Murphy, 2005: 366-7).

1980-იანი წლებიდან განსაკუთრებულ მიზანთან დაკავშირებულმა ორგანიზაციებმა (ინტერესთა ჯგუფებისაგნ განსხვავებით, რომლებიც საზოგადოების გარკვეულ სექტორს წარმოადგენენ) მთავარი როლი შეასრულეს ირლანდიის პოლიტიკის ფორმულირებაში. საქმე ეხება *ad hoc*-ის ჯგუფებს, რომლებიც განსაკუთრებული ზომის მიღებისთვის იქმნებიან, მაგალითად, მორალურ საკითხებთან დაკავშირებული შემთხვევები, როგორიცაა განქორწინების ან ფეხმძიმობის ნებაყოფლობითი შეწყვეტის კანონმდებლობა; ასევე ორგანიზაციები, რომლებიც მუდმივი ბაზისის მქონე სექტორში მუშაობენ მაგალითად, „გრინპისი". ამ ორგანიზაციის საქმიანობა დღეისათვის მზარდი საჯაროობით სარგებლობს. უკანასკნელ წლებში სპეციფიკური კანონის მიღებისთვის მებრძოლი ჯგუფები შედარებით კარგად ახერხებენ საკუთარი ხმის მიწვდენას: მაგალითად, ფემინისტურმა გაერთიანებებმა მთავრობაზე ზეწოლის მოხდენა შეძლეს გარკვეული პროგრესული კანონებისთვის ხმის მისაცემად ((Galligan, 1998). გარდა ამისა, ამ ჯგუფების მიერ გაწეული ძალისხმევა ხელს უწყობს საზოგადოების გათვითცნობიერებას გარკვეულ პრობლემებზე. სწორედ აღნიშნული მიმართულებით ინტერესთა ჯგუფები შეიძლება სასარგებლო იყოს მთელი საზოგადოებისთვის და არა მხოლოდ ამ ორგანიზაციების წევრებისთვის.

ინტერესთა ჯგუფებს გააჩნიათ, როგორც კერძო, ისე საჯარო საშუამავლო ქსელები საკუთარი მიზნების მისაღწევად და მთავრობაზე, გადაწყვეტილების მიმღებებზე ან სხვა ინტერესთა ჯგუფებზე ზეწოლის მოსახდენად მაგალითად, მედიის შუამავლობით. მიუხედავად იმისა, რომ გაერთიანებებს სხვადასხვა გზების გამოყენება შეუძლიათ, სწორედ პარლამენტი, კერძოდ კი დოილი, რჩება ამ ჯგუფების ქმედების მთავარ სამიზნედ, რადგან პირველ ყოვლისა, პარლამენტი ინფორმაციის მიღებისა და საჯაროობის ადგილია. მართლაც, დეპუტატებს ხელი მიუწვდებათ საქმეში ჩახედულთათვის განკუთვნილ ინფორმაციებზე, მათ შეუძლიათ თავიანთ ქმედებას საჯარო განზომილება შესძინონ (კერძოდ, დოილში გამართული დებატების ტელევიზიით გადაცემით) და მთავრობასა და მინისტრებზე გავლენის მოხდენა საპარლამენტო შეკითხვების გამოყენებით. ყველა პოლიტიკური პარტია და დეპუტატი აცხადებს, რომ ხშირი კონტაქტები აქვს ინტერესთა ჯგუფებთან და ლობისტებთან (O'Halpin, Connolly, 1998: 132)

პროფესიონალი ლობისტების რაოდენობის ზრდა – ან, როგორც ისინი საკუთარ თავს თავად უწოდებენ, კონსულტანტები საზოგადოებრივ ურთიერთობებში – მნიშვნელოვან ევოლუციას წარმოადგენს ამ სფეროში. ირლანდიელ ლობისტთა სიაში ჩართულნი არიან მთავრობის ყოფილი პრესატაშეები, ყველა პარტიის ყოფილი პასუხისმგებელი პირები ან დეპუტატები და ყოფილ ჟურნალისტთა დიდი რაოდენობა. თუკი წინათ ლობისტები თავიანთ მომსახურებას ძირითადად, უცხოურ ორგანიზაციებს სთავაზობდნენ, რომელთაც საქმიანობის დაწყება სურდათ ირლანდიაში, დღეისათვის ისინი უფრო ტრადიციულ სექტორებში მოღვაწეობენ. პოლიტიკოსების მტკიცებით წარსულში კერძო საწარმოები შემოწირულობებს აძლევდნენ პოლიტიკურ პარტიებს განსაკუთრებული მიზეზის გარეშე, რადგან უბრალოდ ეს იყო მთავრობასთან კონტაქტის საშუალება. ამჟამად, როგორც ჩანს, სწორედ იგივე მიზნებისთვის, საწარმოები და სხვა აქტორები ლობისტებს ქირაობენ იმ განსხვავებით, რომ დღეს ეს ფორმალური პროცედურებით ხორციელდება. ზოგადად, ლობისტები აცხადებენ, რომ ისინი მხოლოდ რჩევებს აძლევენ კერძო აქტორებს, რომელთაც აუცილებელი კომპეტენცია არა აქვთ საჯარო პოლიტიკის შემუშავებისთვის და სპეციალისტებს უნდა მიმართონ სამთავრობო ქმედების საიდუმლოებების გასარკვევად. ირლანდიაში მოქმედ ლობისტთა უმრავლესობას პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ სისტემაში მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება აქვს. ისინი აცხადებენ, რომ თითქმის ყველა მათი კლიენტი მხვილ კერძო ინტერესებს წარმოადგენს და გამოუცდელია ამ სფეროში.

დასკვნა

დღეისათვის, ირლანდია საპარლამენტო დემოკრატიაა, რომელშიც მთავრობა პარლამენტზე დომინირებს, ისევე როგორც პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ადგილი ჰქონდა პუნქტობრივ დებატებს ირლანდიის პოლიტიკური სისტემის გარკვეული საფუძვლების შესაძლო რესტრუქტურაციასთან დაკავშირებით. ახლახან, მრავალი იდეა იქნა წამოყენებული: კონსტიტუციის ცვლილება, საარჩევნო სისტემის რეფორმა, სენატის რეფორმა ან გაუქმება. კონსტიტუციის ძალაში შესვლის დღიდან ორი საკონსტიტუციო რეფორმა განხორციელდა. ფაქტია, რომ კონსტიტუცია ირლანდიელთა უმრავლესობის მხარდაჭერას ინარჩუნებს, ის მნიშვნელოვანი ლეგიტიმურობით სარგებლობს და როგორც ჩანს, ამ ქვეყანაში მომავალშიც ძირითად კანონად დარჩება.

რაც შეეხება საარჩევნო სისტემას, ორი უშედეგო რეფორმის მცდელობის შემდეგ 1959 წელსა და 1968 წელს, RP-VUT-ის სისტემა ცვლილებას არ ექვემდებარება მიუხედავად მისი სავალალო შედეგებისა ოლქის შიგნით მუშაობაზე, რომელიც რჩეულებს მძიმე ტვირთად აწვება.

უკანასკნელ წლებში ირლანდიაში პარლამენტარიზმის რეფორმები სენატზე იქნა კონცენტრირებული. 2002 წლის მარტში მრავალპარტიულმა საკონსტიტუციო კომისიამ სენატორთა არჩევის მეთოდის ღრმა ცვლილების იდეა წამოაყენა. ამ უკანასკნელის თანახმად, 48 სენატორი ოთხი ნაციონალური სიით უნდა იქნეს არჩეული, რაც საგრძნობლად გააფართოებს სენატის ელექტორატს. 2004 წელს სენატის სპეციალურმა ქვეკომისიამ ამ ინსტიტუტის რეფორმის ყველაზე ფართო სქემა წარმოადგინა და იმავდროულად, სენატის უფლებამოსილებების გაფართოებისა და მთელი ელექტორატისთვის სენატორების არჩევის შესაძლებლობის მიცემის წინადადებით გამოვიდა. კომისიამ ასევე მოითხოვა სენატისთვის უფლებამოსილებების გადაცემა ევროპული საქმეების სფეროში მაგალითად, თანამეგობრობის ინიციატივების განხილვის მეშვეობით. მან ასევე სენატს მნიშვნელოვანი როლის შესრულებისკენ მოუწოდა, როგორც სამინისტროებისა და სახელმწიფო სააგენტოების კონტროლის ინსტანციას. კომისია გამოვიდა სენატის წევრთა 65-მდე გაზრდის ინიციატივით, რომელთაგან 26 პირდაპირ იქნება არჩეული ნაციონალური სიების სისტემით, 6 უმაღლესი დონის ინსტიტუტების კურსდამთავრებულებით მთელი ქვეყნის მასშტაბით და არა მხოლოდ ირლანდიის ნაციონალური უნივერსიტეტისა და დუბლინის ტრინიტი კოლეჯის კურსდამთავრებულებით, როგორც ამას დღეს აქვს ადგილი, 20 სენატორს დღეისათვის არსებული ელექტორატი აირჩევს, ხოლო 12-ს პრემიერ-მინისტრი (ტიშაჰი) დაასახელებს (Gallagher, 2005: 235). თუმცა, ამ ანგარიშის გამოქვეყნებას არავითარი ქმედება არ მოჰყოლია. როგორც ჩანს, არ არსებობს პოლიტიკური ნება, რომელიც აღნიშნული რეკომენდაციების გამოყენებას დაუჭერს მხარს.

მრავალი თვალსაზრისით, ირლანდიის პოლიტიკა ძალზე ტრადიციული რჩება. უკანასკნელ წლებში, კონსტიტუციის, საარჩევნო სისტემისა და პარლამენტის რეფორმასთან დაკავშირებულ არც ერთ წინადადებას შედეგი არ მოჰყოლია. სამაგიეროდ, როგორც უკვე აღინიშნა, პარტიულმა სისტემა მნიშვნელოვანი ევოლუცია განიცადა. ამჟამად, ფიანა ფაილს სხვა პარტიებთან კოალიციის შექმნის ძალა შესწევს, რომლებიც ერთმანეთს მძაფრ კონკურენციას უწევენ მთავრობაში მოსასვლელად ყოველი არჩევნების შემდეგ. მიუხედავად ამ ანალიზისა, საარჩევნო სისტემა ფიანა ფაილისთვის მუდმივად მთავრობაში ყოფნას არ უზრუნველყოფს, რამდენადაც შესაძლებელია სხვა კოალიციების არსებობაც. აღნიშნულ კონტექსტში, ხაზი უნდა გაესვას ორ პუნქტს. პირველი, მთავრობა ყოველთვის მთავარ როლს ასრულებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მეორე, ირლანდიელ ამომრჩევლებს გადამწყვეტი გავლენის მოხდენა შეუძლიათ მმართველობის ხასიათზე კანდიდატზე საარჩევნო სისტემის ფოკუსირების წყალობით (პროპორციული წარმომადგენლობა ერთადერთი გადაცემადი ხმით). ამ კონტექსტში, ირლანდიის დემოკრატია აშკარად წარმოადგენს სისტემას, რომელშიც ისინი, ვინც ხელისუფლების სადავეებს აკონტროლებენ, პოლიტიკურ და სოციალურ დღის წესრიგზე დომინირებენ. ამავე დროს, დღის წესრიგის გაკონტროლება ასევე ამომრჩეველთა შეხედულებების გათვალისწინებას ნიშნავს.

ბიბლიოგრაფია

COLLINS, NEIL., AODH QUINLIVAN (2005), „Multi-level Governance", in John Coakley and Michael Gallagher (eds.), *Politics in the Republic of Ireland*, 4th edn. Abingdon: Routledge and PSAI Press, 384-403.

CONNOLLY, EILEEN (2005). „The government and the government system". in John Coakley and Michael Gallagher (eds.), *Politics in the Republic of Ireland*, 4th edn, Abingdon: Routledge and PSAI Press, 328-351.

ELGIE, ROBERT, PETER FITZGERALD (2005), „The President and the Taoiseach", in John Abingdon: Routledge and PSAI Press, 305-327

GALLAGHER, Michael (1999), „Republic of Ireland", in Robert Elgie (ed), Semi-Presidentialism in Europe, Oxford: Oxford University Press, 104-123.

GALLAGHER, Michael (2003a), „Ireland: party loyalists with a permanent base", in Jens Borchert and Jurgen Zeiss (eds), *The Political Class in Advanced Democracies*. Oxford : Oxford University Press, 187-202; (2003b). „Stability and turmoil : analysis of the results", Michael Gallagher, Michael Marsh and Paul Mitchell (eds), *How Ireland Voted 2002*, Basingstoke : P algrave, 88-118.

GALLAGHER, Michael and Michael MARSH (2002), *Days of Blue Loyalty : the politics of membership of the Fine Gael party*, Dublin, PSAI Press.

GALLAGHER, Michael and LIAM Weeks (2003). „The Subterranean Election of the Seanad". in Michael Gallagher, Michael Marsh and Paul Mitchell (eds), *How Ireland Voted 2002*. Basingstoke : Palgrave, 197-213.

GALLAGHER, Michael and Lee KOMITO (2005). „The constituency role of Dáil deputies" in John Coakley and Michael Gallagher (eds),*Politics in the Rebublic of Ireland, 4th edn, Abingdon : Toutledge and PSAI Press, 242-171.*

GALLIGAN, Yvonne (1998), *Women and Politics in Contemporary Ireland : From the Margins to the Mainstream*. London: Pinter.

GARRY, John (1995), „The demise of the Fianna Fáil/Labour „Partnership" government and the rise of the „Rainbow" coalition", *Irish Political Studies*, 10, 192-9.

HARDIMAN, Niamh (2002), „From conflict to co-ordination : economic governance and political innovation in Ireland", *West European Politics*, 25 : 4, 1-24.

KISSANE, Bill (2002), *Explaining Irish Democracy*, Dublin : University College Dublin Press.

KISSANE, Bill (2005), *The Politics of the Irish Civil War*. Oxford : Oxford University Press.

MACCARTHAIGH, Muiris (2005). *Accountability in Irish Democracy*, Dublin : Institute of Public Administration.

MAIR, PETER et Liam WEEKS, (2005). „The Party System", in John Coakley and Michael Gallagher (eds), *Politics in the Republic of Ireland*, 4th edn. Abingdon : Routledge and PSAI Press, 135-59.

MITCHELL, Paul (2001). „Divided Government in Ireland" in Robert Elgie (ed.), *Divided Government in Comparative Perspective*. Oxford : Oxford University Press, 182-208.

MITCHELL, Paul (2003). „Government Formation in 2002 : You can have any kind of government as long as it's Fianna Fáil", in Micael Gallagher, Michael Marsh and Paul Mitchell (eds), *How Ireland Voted 2002*. Basingstoke: Palgrave, 214-229.

MURPHY, Gary (1998), The general election in the Republic of Ireland, *Irish Political Studies*, 13, 127-134.

MURPHY, Gary (2003), „The background to the election" in Michael Gallagher, Michael Marsh and Paul Mitchell (eds), *How Ireland Voted 2002*. Basingstoke : Palgrave, 1-20.

MURPHY, Gary (2005), „Interest groups in the policy-making process", in John Coakley and Michael Gallagher (eds), *Politics in the Republic of Ireland*, 4th,edn. Abingdon : Routledge and PSAI Press, 352-383.

MURPHY, Mary C. (2006). Reform of Dáil Éireann : The Dynamics of Parliamentary Change", *Parliamentary Affairs*, 59 : 3, 437-453.

MURPHY, R.J. et David M. Farrell (2002). „Party Politics in Ireland : Regularizing a volatile system" in Paul Webb, David M. Farrell and Ian Holliday (eds.), *Parties in advanced industrial democracies*. Oxford : Oxford University Press, 217-247.

O'LEARY, Brendan (1991). „An Taoiseach : the Irish prome minister", *West Euroean Politics*, 14 : 2,133-162.

O'HALLORAN, Anthony (2005), „Transformation in Contemporary Ireland's Society, Economy and Polity : An era of post-parliamentary governance?", *Administration*, 53 : 1, 54-79.

O'HALPIN, Eunan (1999). Defending Ireland : *The Irish State and its enemies since 1922*. Oxford : Oxford University Press.

O'HALPIN, Eunan et Eileen Connolly, (1998), „Parliaments and pressure groups : the Irish experience of change" in Philip Norton (ed.), *Parliaments and Pressure Groups in Western Europe*, London : Frank Cass, 124-44.

SINNOTT, Richard (2005), „The rules of the electoral game" in John Coakley et Michael Gallagher (eds.), *Politics in the Republic of Ireland*, 4th edn. Abingdon : Routledge and PSAI press, 105-134.

თავი X

იტალია

ლუკა ვერძიჩელი და მაურიციო კოტა

შესავალი

იტალიის, როგორც უნიტარული სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემა, დაახლოებით საუკუნე-ნახევარია არსებობს. ამ პერიოდის განმავლობაში სამი პოლიტიკური რეჟიმი ჩამოყალიბდა: კონსტიტუციური მონარქია, რომელიც ეტაპობრივად, დემოკრატიის პირველ ფორმად განვითარდა (1861-1924 წწ.), ფაშისტური რეჟიმის ავტორიტარული გამოცდილება (1924-1943 წწ.) და საბოლოოდ, მთლიანად დემოკრატიული რეჟიმი, რომელიც 1948 წლის ხელახალი დემოკრატიზაციის გარდამავალ ფაზაში (1943-1948წწ.) შეიქმნა. ამ უკანასკნელი რეჟიმის დასაწყისი მმართველობის რესპუბლიკური ფორმის სახალხო გადაწყვეტილებითა (მიღებული 1946 წლის 6 ივნისის რეფერენდუმით) და ახალი კონსტიტუციის მიღებით აღინიშნა, რომელიც დამფუძნებელმა ასამბლეამ 1946-1947 წლებში მოამზადა. ფორმალურად, ეს კონსტიტუცია 1948 წელს შევიდა ძალაში. დემოკრატიული რეჟიმის საბაზო პრინციპები არ იქნა მოდიფიცირებული რამდენიმე საგულისხმო გამონაკლისის გარდა, რომელსაც შემდგომში უფრო დაწვრილებით შევეხებით. კერძოდ, საქმე ეხება საარჩევნო შეჯიბრის წესებსა და ხელისუფლების უფრო სიღრმისეულ ტერიტორიულ დეკონცენტრაციას. თუმცა, 1990-იან წლებში პარტიული ნიშნით მიმხრობის სისტემის სწრაფმა ფუნდამენტურმა ცვლილებებმა და ამ უკანასკნელთა გავლენამ მთლიანად დემოკრატიულ მმართველობაზე ბევრი პოლიტიკური დამკვირვებელი *პირველი* და *მეორე* რესპუბლიკის გამიჯვნის იდეამდე მიიყვანა. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი გამიჯვნა მოითხოვს ერთი დემოკრატიული წესრიგის აშკარა გადასვლას სხვა წესრიგზე (როგორც ამას ადგილი ჰქონდა საფრანგეთის მე-4 და მე-5 რესპუბლიკის გარდამავალი პერიოდის შემთხვევაში), რაც ტექნიკურად სადავოა და მისი მნიშვნელობა გაურკვეველია მრავალი რეფორმის ბუნდოვანი შედეგების გამო. აღნიშნულს გამოვიყენებთ მნიშვნელოვანი განსხვავებების წარმოსაჩენად პირველ (1948-1992 წწ.) და მეორე (1994-) პერიოდს შორის. იტალიის პოლიტიკის განვითარების გასაანალიზებლად განსაკუთრებულ ყურადღებას ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მომხდარ ცვლილებებზე გავამახვილებთ. ამავე დროს, შევეცდებით პირველ ყოვლისა, გრძელვადიანი განვითარების სრულად გათვალისწინებას წინამდებარე ნაშრომში ჩართული ქვეყნების სტანდარტული სტრუქტურის მიხედვით.

ამ თავის პირველ ნაწილში მოკლედ განვიხილავთ წარსულის მემკვიდრეობას და ვიმსჯელებთ მის გავლენაზე თანამედროვე იტალიის დემოკრატიულ რეჟიმზე. მე-2 და მე-3 ნაწილი მთავარ ინსტიტუტებს მიეძღვნება (აღმასრულებელი ხელისუფლება, პარლამენტი და მათ შორის არსებული ურთიერთობები), ხოლო მე-4 და მე-5 ნაწილში გაანალიზებული იქნება საარჩევნო სისტემისა და პარტიული სისტემის ძირითადი მახასიათებლები და სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობა. მე-6 ნაწილში განხილულული იქნება სხვა ინსტიტუციონალური ძალები, რომლებიც *გარე აქტორებივით* მოქმედებენ დემოკრატიული წარმომადგენლობის სხვა ფორმებთან მიმართებაში. ბოლო ნაწილში შეფასებული იქნება იტალიის დემოკრატიის ცვლილებების ხარისხი უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში და დემოკრატიული მმართველობის პრობლემებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი დებატები.

წარსულის მემკვიდრეობა

შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური განვითარების თვალსაზრისით, იტალია სხვა ევროპულ ერებს *ჩამორჩებოდა*. მნიშვნელოვანწილად, ქვეყნის გაერთიანება 1861 წელს მოხდა, მას შემდეგ, რაც პიემონტის პატარა მონარქიამ სახალხო რევოლუციაში გამარჯვება მოახერხა გონივრული დიპლომატიური და სამხედრო სტრატეგიის წყალობით. ამავე დროს, იტალიურ ტერიტორიებად მიჩნეული ნაწილები მხოლოდ მოგვიანებით იქნა მიერთებული : ვენეციის რეგიონი 1866 წელს, რომი (პაპის საუკუნოვანი სუვერენიტეტის უკანასკნელი ნაშთი) 1970 წელს, ზემო ადიჯეს ტრენტინის რეგიონი, სამხრეთ ტიროლი (ალტო ადიჯე იტალიელებისთვის), ტრიესტი და მისი ტერიტორია, ისტრია და დალმაციის სანაპირო 1918 წელს.

ერის ჩამოყალიბების ასეთმა ხანგრძლივმა და რთულმა პროცესმა ახალი პოლიტიკის გარკვეული სპეციფიკურობები განსაზღვრა (Ziblatt 2006): პირველ ყოვლისა, *res publica*-თან დაკავშირებული ძალზე განსხვავებული პოზიციები, რადგან ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილები კვლავაც ნოსტალგიურად იყვნენ განწყობილნი ძველი წესრიგის მიმართ. ნაციონალური იდენტობის ცვლილების გრძნობის პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ სამხრეთის პერიფერიებში იგრძნობოდა, რამაც მზარდი სოციალური და ეკონომიკური დაყოფა განაპირობა ჩრდილოეთსა და *Mezzogiorno*-ს შორის: პრობლემები, რომელიც ამ უკანასკნელმა იტალიის პოლიტიკური ელიტების წინაშე წამოჭრა ყველაზე რთული იყო უნიტარული სახელმწიფოს დაარსების დროიდან.

მეორე მნიშვნელოვანი ელემენტი პაპის ტერიტორიული სუვერენიტეტის მემკვიდრეობასა და ახალ ლიბერალურ სახელმწიფოსა და რომის ეკლესიას შორის თანაარსებობის სირთულეზე მიგვითითებს. პირველ ხანებში, ეკლესიის დაპირისპირება ახალ სახელმწიფოსთან რადიკალურ ხასიათს ატარებდა. პაპის 1874 წლის დეკრეტი („non expedit") ყველა კათოლიკესაგან პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღებაზე უარის თქმას მოითხოვდა. ნაწილობრივი მონაწილეობა მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში იქნა დაშვებული, რამაც სავარაუდოდ, კათოლიკური პარტიის შექმნა გამოიწვია, რომელიც საბოლოოდ აღიარებული იქნა ეკლესიის ხელისუფალთა მიერ. 1919 წელს შექმნილი სახალხო პარტია (*Partito Popolare*) მაშინვე გახდა ქვეყნის მეორე პარტია. თუმცა, ურთიერთობები იტალიის სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის კვლავაც რთული იყო: მხოლოდ ფაშისტურმა რეჟიმმა შეძლო მთლიანად დამაკმაყოფილი შეთანხმებისთვის მიეღწია რომის ეკლესიასთან, 1929 წლის *Concordato*; მოგვიანებით, დემოკრატიულმა რეჟიმმა ეს შეთანხმება აღიარა (კონსტიტუციის მე-7 მუხ.). ამავე დროს, სამთავრობო კოალიციების დაყოფამ კათოლიკურ და საერო ფრთებს შორის მრავალჯერ გამოიწვია დაძაბულობა პოლიტიკის სხვადასხვა სფეროში: განათლება და სამოქალაქო უფლებები, უკანასკნელ წლებში კი, სენსიტიური ეთიკური თუ მეცნიერული კვლევის სფეროები.

ტერიტორიულ და კულტურულ ფრაგმენტაციასა და სახელმწიფო/ეკლესიის განხეთქილებასთან დაკავშირებული ძველი მემკვიდრეობის მიღმა, ისტორიულ მოვლენებს, რომლებმაც პირველი დემოკრატიული ორგანიზაციის ნგრევა და დიქტატორული რეჟიმის ოცწლიანი არსებობა გამოიწვია, სხვა უფრო ღრმა შედეგები ჰქონდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დემოკრატიზაციის მეორე პროცესი პირველზე ბევრად სწრაფი, მაგრამ ასევე რთული იყო. სახელმწიფო გადატრიალებას შედეგად მუსოლინის დამხობა შემდეგ კი, პრემიერ-მინისტრის[89] (მარშალი ბოდოგლიო) მიერ ანგლო-ამერიკელებთან დაზავებაზე ხელის მოწერა (1943 წლის 8 სექტემბერი) მოჰყვა. ფაშიზმის დამარცხებას თან ახლდა ქვეყნის გაყოფა მოკავშირეთა ძალების მიერ ოკუპირებულ სამხრეთსა და გერმანელების მიერ დაპყრობილ ჩრდილოეთსა და ცენტრს შორის (1945 წლის აპრილამდე) და ასევე სამოქალაქო ბრძოლა წინააღმდეგობის მოძრაობებსა და გერმანიის მიერ მხარდაჭერილ იტალიურ რეჟიმს შორის. ახლად შექმნილ პოლიტიკურ პარტიებს უნდა გადაელახათ ძველი კონფლიქტები და ორმხრივი ნდობის ნაკლებობა, რომელიც წინაფაშისტური დემოკრატიის ბოლო წლებს ამწვავებდა, ისევე როგორც ამ პარტიების იდეოლოგიური პლატფორმების მუდმივი განსხვავებები. რა თქმა უნდა, ყველა აქტორს შორის თანხვედრის არსებობა მიუხედავად განსხვავებებისა, გარდამავალი პერიოდის (Pasquino 1986) უდავოდ გადამწყვეტი წარმატება იყო. 1944 წელს მიღწეულმა მნიშვნელოვანმა კომპრომისმა არაორთოდოქსალურ საკითხებზე (მათ შორის მონარქიისა და კონსტიტუციის პრობლემა) გერმანული ოკუპაციისგან განთავისუფლებულ იტალიის ნაწილში, შესაძლებელი გახადა კაბინეტის ფორმირება ყველა მნიშვნელოვანი პარტიის მხარდაჭერითა და მონაწილეობით. ამის შედეგად, 1944-1946 წლების გარდამავალ პერიოდს ყველა ანტიფაშისტური ძალებისგან შემდგარი ფართო კოალიცია მართავდა.

სახელმწიფოს რესპუბლიკური ფორმის მიღების შემდეგ, დამფუძნებელი ასამბლეის გადაწყვეტილებების მნიშვნელოვანი რაოდენობა პოლიტიკური არქიტექტურის *კონსენსუალურ ხასიათსა* და *power-sharing*-თან (ხელისუფლების დაყოფა) დაკავშირებით, წარსულის გაკვეთილებით აღინიშნა. კერძოდ, საქმე ეხებოდა ინსტიტუციონალურ „ჩრდილოვან ხელისუფლებასა" და პარლამენტის უპირატესობას აღმასრულებელ ხელისუფლებასთან მიმართებაში, რაც „ტირანიის სინდრომით" იყო განპირობებული, რომლითაც პოლიტიკური კლასი ფაშისტური რეჟიმის გამოცდილების შემდეგ აღინიშნა.

ახალმა პოლიტიკურმა რეჟიმმა ფუნქციონირება გარკვეულწილად, პარადოქსულ სიტუაციაში დაიწყო. ერთი მხრივ, მას შეეძლო კონსტიტუციაზე დაყრდნობა, რომელიც ფართო კონსენსუსით სარგებლობდა ყველა ანტიფაშისტურ პარტიაში. მეორე მხრივ, ეს კოალიცია სწრაფად დაიშალა და ადგილი დაუთმო პოლიტიკური ასპარეზის სხვა დაყოფას, პროდასავლურად და უფრო მეტად, პროსაბჭოურად განწყობილ პარტიებს შორის. მართლაც, *პირველი რესპუბლიკის* განსაკუთრებული ხასიათი, გრძელვადიანი მემკვიდრეობით იტალიის პოლიტიკური ცხოვრებისთვის, მდგომარეობდა ღრმა დაყოფაში ზომიერ მემარჯვენე, ცენტრისტულ და ცენტრისტულ-მემარცხენე პარტიებსა, რომლებიც მარშალის გეგმასა და დასავლეთის ალიანსში იყვნენ ჩართულნი და მოსკოვზე ორიენტირებულ მემარცხენე პარტიებს შორის.[90] აღნიშნული დროიდან, დემოკრატიის კონსოლიდაცია ნაციონალური მთავრობიდან მემარცხენე ოპოზიციის გამორიცხვასთან იყო დაკავშირებული. ეს ავტომატუ-

---

89 შემდგომში იტალიის აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურს *პრემიერ-მინისტრს* ვუწოდებთ, მიუხედავად იმისა, რომ ეს სახელწოდება ფორმალურად არაკორექტულია, რადგან ძველ *Statuto Albertino*-ში, ისევე როგორც 1948 წლის კონსტიტუციაში ამ ფუნქციას *მინისტრათა საბჭოს თავჯდომარე* ეწოდება.

90 1948 წელს კომუნისტებმა და სოციალისტებმა სახალხო ფრონტი შექმნეს, მაგრამ ამ უკანასკნელებმა წააგეს ქრისტიან-დემოკრატებთან და მათ მოკავშირეებთან, ახალი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ჩათვლით, რომელიც 1947 წელს სოციალისტური პარტიიდან გამოსულ პროდასავლურ ფრაქციას წარმოადგენდა. 1956 წელს სოციალისტურმა პარტიამ დაიწყო პროდასავლური პოზიციის გაზიარება საერთაშორისო ასპარეზზე და რამდენიმე წლის შემდეგ სამთავრობო კოალიციაში მონაწილეობის მიღება შეძლო.

რად ნიშნავს, რომ მხოლოდ ერთ პარტიას, ქრისტიან-დემოკრატიულ პარტიას, მუდმივი როლი ჰქონდა ხელისუფლების აღსრულებაში და, საბოლოო ჯამში, ელექტორატმა ის აირჩია არა იმდენად მის მიერ გატარებული პოლიტიკისთვის, არამედ დემოკრატიის უზრუნველყოფის უნარისთვის.

აღმასრულებელი ხელისუფლება

1948 წლის კონსტიტუციით მიღებული იქნა *პოზიტიური საპარლამენტო დემოკრატიის* ტიპური მოდელი "hardware" („რთული გზა"), რომლის თანახმად, კაბინეტმა საწყისი ნდობა უნდა მიიღოს პარლამენტის ორივე პალატის მხრიდან დანიშვნიდან ათი დღის ვადაში. გარდა ამისა, ნებისმიერ დროს შესაძლებელია უნდობლობის (*mozione di sfiducia)* გამოცხადების განხილვა და კენჭისყრის ჩატარება ერთ-ერთი პალატის მიერ ალტერნატიული გადაწყვეტილების შემოთავაზებისა (გერმანიაში მოქმედი კონსტრუქციული უნდობლობის ანალოგიური) და კვალიფიციური უმრავლესობის არსებობის ვალდებულების გარეშე. ამგვარი პროცედურის ერთადერთი შეზღუდვა მდგომარეობს პარლამენტის წევრთა მინიმალური რაოდენობის ხელმოწერების არსებობაში (პალატის წევრთა არანაკლებ მეათედმა ხელი უნდა მოაწეროს უნდობლობის გამოცხადებას) და უნდობლობის გამოცხადებასა და მის კენჭისყრას შორის სამდღიან ვადაში.

რაც შეეხება მთავრობის შიდა სტრუქტურას, კონსტიტუცია ადგენს მთავრობის შერეულ მოდელს: პრემიერ-მინისტრის მოდელი და კოლეგიალური მოდელი. ერთი მხრივ, კონსტიტუცია პრემიერ-მინისტრს განსაკუთრებულ სტატუსს ანიჭებს, როგორც კაბინეტის ფორმირების, ისე ამ უკანასკნელის ყოველდღიური მუშაობის საკითხში.[91] მეორე მხრივ, პრაქტიკაში, ეს განსაკუთრებული პოზიცია პრემიერ-მინისტრს მხოლოდ *primus inter pares*-ის როლს ანიჭებს და კაბინეტის კოლეგიალურ ხასიათს არ ეწინააღმდეგება. სწორედ კაბინეტი მთლიანობაში და არა პრემიერ-მინისტრი იღებს ნდობის კენჭისყრის გადაწყვეტილებას.

ამ ინსტიტუციონალურმა სტრუქტურამ და პარტიული სისტემის ფრაგმენტაციამ (იხ. მე-4 ნაწილი), კაბინეტის ძალზე არასტაბილური დონე განსაზღვრა. ეს განსაკუთრებით აშკარად გამოჩნდა *პირველი რესპუბლიკის* პერიოდში (1948-1992 წწ.), როდესაც კაბინეტების საშუალო ხანგრძლივობა დაახლოებით 300 დღეს შეადგენდა და 10 ლეგისლატურიდან 6 (ყველა ლეგისლატურა 1968-1992 წლებში) დაშლილი იქნა ვადის კანონიერ დასრულებამდე.

კაბინეტის კოლეგიალობის საკითხთან დაკავშირებით სამინისტრო ინდივიდუალიზმის საპირისპიროდ, კონსტიტუციით შერჩეული იქნა კოორდინირებული კოლეგიალური სისტემა პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით. აშკარად იყო გამოხატული მინისტრების კოლექტიური პასუხისმგებლობის პრინციპი. თუმცა, იმავდროულად, კონსტიტუციით ბუნდოვნად იქნა განსაზღვრული მინისტრების პასუხისმგებლობის საკითხი თავიანთ კომპეტენციებთან მიმართებაში. მეტიც, კონსტიტუციით არ იყო დადგენილი სპეციფიკური ინსტრუმენტები მინისტრებისთვის პასუხის მოსაკითხავად.

იტალიის მთავრობების ყოველდღიურ კონკრეტულ საქმიანობაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ზოგიერთი პოლიტიკური ცვლადის ევოლუციამ, როგორიცაა ბალანსი პოლიტიკურ პარტიებს შორის და ძალზე დანაწევრებული რამდენიმე პარტიის შიდა პრობლემები. რესპუბლიკის დაარსების პირველ წლებში ქრისტიან-დემოკრატთა ლიდერმა ალჩიდე დე გასპარიმ აღმასრულებელი ხელისუფლების სათავეში დარჩენა შეძლო იმ დროს, როდესაც მთელი ლეგისლატურის (1948-1953 წწ.) განმავლობაში მთავრობაში მყოფი ყველაზე დიდი პარტიის ლიდერის პოზიციას ინარჩუნებდა და იმავდროულად, მუდმივად ეკავა პრემიერ-მინისტრის თანამდებობა (სხვადასხვა კაბინეტებშიც კი). თუმცა, *დე ფაქტო პრემიერ-მინისტრის მთავრობის* არსებობის ეს სიტუაცია უფრო მეტად გამონაკლისად წარმოჩნდება, ყოველ შემთხვევაში, 1994 წლამდე: ქრიატიან-დემოკრატების პირველობის პერიოდში, პარტიის ლიდერობისა და აღმასრულებელი ხელისუფლების ერთი პიროვნების ხელში კონცენტრაცია არ გამეორებულა, რამდენიმე ხანმოკლე და წარუმატებელი ორი მცდელობის გარდა. პრემიერ-მინისტრის არჩევა ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგი იყო პარტიების ლიდერებს შორის და დიდი ხნის განმავლობაში, მთავრობის მეთაურს არ შეეძლო ზედმეტად დიდი გავლენის მოხდენა აღმასრულებელ ხელისუფლებაზე, როგორც კოლეგიალურ ორგანოზე. იგი უფრო მეტად შუამავლის როლს ასრულებდა, ვიდრე პოლიტიკის გამტარებლისა. რადგან ჩვეულებისამებრ, მთავრობაში შემავალი პარტიების ლიდერების უმრავლესობა კაბინეტის მუშაობაში არ იღებს მონაწილეობას, კოალიციის მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტის ინსტრუმენტს „უმრავლესობის უმაღლესი დონის შეხვედრა" (*vertice di maggioranza)* წარმოადგენდა. ეს არის შეკრება, რომელშიც პრემიერ-მინისტრი (ზოგჯერ თან ახლავს კაბინეტის რამდენიმე წევრი) და კოალიციაში შემავალი პარტიების თავმჯდომარეები მონაწილეობენ (Verzichelli, Cotta 2000).

1980-იან წლებში პოლიტიკურ დებატებში უფრო მეტად გამოიკვეთა პრემიერ-მინისტრის როლის გაძლიერ-

---

91 პრემიერ-მინისტრმა სახელმწიფოს მეთაურს მინისტრების თანამდებობებზე გარკვეული პიროვნებები უნდა დაუსახელოს; კონსტიტუციის თანახმად, პრემიერ-მინისტრი კოორდინაციას უწევს მინისტრების საქმიანობას და ხელს უწყობს კაბინეტის პოლიტიკურ ინიციატივებს.

ების მოთხოვნა. სტრუქტურული პრობლემების ზრდა – განსაკუთრებით, სახელმწიფო ვალის მასშტაბი – უფრო დამაჯერებელი ლიდერობის აუცილებლობა ევროპული და ზენაციონალური საქმიანობების დიდი მოთხოვნების პირისპირ, მთავარ არგუმენტებს წარმოადგენდა რეფორმის გატარების სასარგებლოდ. თუმცა, არსებობდა კონსტიტუციის პირობების შეცვლის სირთულე მთავარი პარტიების ორმხრივი ვეტოს გამო. ამიტომაც, ჩვეულებრივი კანონმდებლობით მხოლოდ შეზღუდული ინოვაციები იქნა შემოტანილი. პირველი გადაწყვეტილება გახდა მთავრობის შიგნით შიდა კაბინეტის შექმნა, რომელშიც შევიდოდნენ მთავრობაში მყოფი პარტიების ლიდერები ან ყველაზე მაღალი რანგის მინისტრები კოალიციაში შემავალი თითოეული პარტიიდან და უფრო მნიშვნელოვანი მინისტრების გარკვეული რაოდენობა (1983 წ.). 1988 წელს მიღებული იქნა ახალი კანონი, რომელიც პრემიერ-მინისტრის ბიუროსა და მისი ბიუროკრატიული აპარატის რეგლამენტირებას ახდენდა. ამ კანონმდებლობის მიზნები იყო კოლექტიური განხილვების კოორდინირების გაუმჯობესება და ინფორმაციის გაცვლა კაბინეტის წევრებს შორის. გარდა ამისა, შეიქმნა ახალი აპარატი მთელი კაბინეტის მომსახურებისა და პრემიერ-მინისტრის დასახმარებლად მისი კომპეტენციების უფრო ეფექტურად შესრულების მიზნით.

მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სამდივნოს შექმნა, ისევე როგორც მნიშვნელოვანი რესურსების პირდაპირი ასიგნება პრემიერ-მინისტრის ბიუროსთვის, უდავოდ, საგულისხო საშუალებები იყო, რომელთა გამოყენებაც აღმასრულებელმა ხელისუფლებამ შეძლო კაბინეტის უფრო არსებითი მუშაობის ორგანიზებაში. მიუხედავად ამისა, პრემიერ-მინისტრის ბიუროს სტრუქტურა დიდი ხნის განმავლობაში გადატვირთული რჩებოდა, რადგან ის უფრო მეტად სტრუქტურების აკუმულაციას და არა წინასწარ მოფიქრებული მონახაზის შედეგს წარმოადგენდა. ეს არ ნიშნავს, რომ ყოფილ პრემიერ-მინისტრებს სრულიად არ ჰქონიათ გავლენა. გასაკვირი არაა, რომ პოლიტიკური და ინსტიტუციონალური ფრაგმენტაციით აღნიშნულ კონტექსტში პრემიერ-მინისტრს ბევრად მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა არა მაშინ, როდესაც იგი ცდილობდა მინისტრებისა და კაბინეტის მართვას წინასწარგანსაზღვრული პროგრამის მიმართულებით, არამედ შუამავლის როლის შესრულების დროს შეჯიბრში მყოფ მრავალ აქტორს შორის სამთავრობო ასპარეზზე.

იმ ცვლილებებს შორის, რომლებმაც ხაზი გაუსვა კაბინეტის ხელმძღვანელობას ასევე საგულისხმოა სახელმწიფო ხაზინისა და ფინანსთა მინისტრის პოზიციის გამყარება. 1970-იანი წლების დასასრულსა და 1980-იანი წლების განმავლობაში სახელმწიფო ფინანსების მდგომარეობის გაუარესებამ და კონტროლის აუცილებლობამ, როგორც შიდა, ისე ევროპული და საერთაშორისო ვალდებულებების დაკმაყოფილების მიზეზთა გამო, სახელმწიფო დეფიციტის მანკიერმა წრემ, მზარდმა ვალებმა და სესხის პროცენტების აწევამ ფინანსთა მინისტრის (*Ministro del Tesoro*) როლის გაძლიერებას შეუწყო ხელი, როგორც სხვა მინისტრების შეკავების საშუალებამ, რომლებიც უფრო შემტევები იყვნენ ხარჯებთან მიმართებაში. ამ სამინისტროს სამართავად პირველი საგულისხმო ნიშანი იყო *ექსპერტებისა* და ტექნოკრატების დანიშვნა 1980-იან წლებში. მოგვიანებით, სამინისტროში ჩატარებულმა საბიუჯეტო პროცედურების გარკვეულმა რეფორმებმა და მის შიგნით განხორციელებულმა რეორგანიზაციამ ფინანსთა მინისტრს კოორდინირების მნიშვნელოვანი როლი მიანიჭა კაბინეტში, რის შედეგადაც, იგი პრემიერ-მინისტრის მარჯვენა ხელი გახდა აღმასრულებელ ხელისუფლებაში. ამგვარმა განვითარებამ პიკს 1996 წელს მიაღწია, როდესაც სამი სამინისტრო – ხაზინის, ფინანსებისა (ე.ი. გადასახადების) და ბიუჯეტის – მხოლოდ ერთ, ეკონომიკის სამინისტროში გაერთიანდა.

ამავე დროს, 1980-იან წლებში განხორციელებულ ცვლილებებს მნიშვნელოვნად არ შეუცვლია აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის პოლიტიკური და ინსტიტუციონალური პირობების მარეგლამენტირებელი საფუძველი. მხოლოდ 1990-იანი წლების პოლიტიკური აშლილობის პერიოდში შესაძლებელი გახდა ყველაზე მნიშვნელოვანი ინოვაციების შემოღება. პირველ ყოვლისა, ესაა ის ფაქტი, რომ პრემიერ-მინისტრები, ყოველ შემთხვევაში ისინი, ვინც არჩევნების შემდეგ იწყებენ თავიანთი ფუნქციის შესრულებას, დღეს სამთავრობო კოალიციებს უდგანან სათავეში. მიუხედავად იმისი არიან თუ არ ისინი ერთი პარტიის ლიდერები (მაგალითად, *Forza Italia*-ს („წინ იტალია") ლიდერი ბერლუსკონი) ან არა (პროდის შემთხვევა), მათ საარჩევნო კოალიციის ჩამოყალიბებისა და ამ უკანაკნელის გამარჯვებამდე მიყვანის უნარი გამოამჟღავნეს. აღნიშნულმა პრემიერ-მინისტრს უფრო დიდი მნიშვნელობა მიანიჭა კაბინეტში: მას შეუძლია თავისი საარჩევნო მანდატით აპელირება და მოკავშირეებისთვის იმის შეხსენება, რომ მისი როლი კოალიციის ფორმირებასა და შენარჩუნებაში მდგომარეობს. მთავრობის ხელმძღვანელობისთვის, პრემიერ-მინისტრს ასევე შეუძლია იმ პროგრამაზე დაყრდნობა, რომლითაც კოალიციამ არჩევნები მოიგო. თუკი წინათ, კოალიციური შეთანხმება სუსტ ინსტრუმენტს წარმოადგენდა, რომელიც არც დაწერილი და არც გამოქვეყნებული იყო, მისი ფუნქცია საგრძნობლად გაიზარდა უკანასკნელ წლებში. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი შეთანხმების ხანგრძლივობა და დეფინიცია ცვალებადია,[92]

92 დღემდე, ცენტრისტულ-მემარცხენე კოალიციის საარჩევნო პროგრამები ჩვეულებისამებრ, ყველაზე გრძელი და დეტალური იყო, ხოლო „*წინ იტალია*"-ს მიერ შემოთავაზებული პროგრამები უფრო მოკლე და მისაღწევი მიზნებისკენ მეტად ორიენტირებული. ამ განსხვავების ფაქტორებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ცენტრისტულ-მემარცხენე კოალიციის უფრო დანაწევრებული ხასიათი და სილვიო ბერლუსკონის მმართველობის სტილი. 2001 წელს ტელევიზიით წინასაარჩევნო პროგრამის წარდგენისას, ბერლუსკონიმ 5 ვალდებულებისგან შემდგარ კონტრაქტს მოაწერა ხელი იტალიელებთან. იგი ხალხს ამ პუნქტების შესრულების დაპირდა.

ეს ტექსტი შეიცავს ვალდებულებებს, რომლებზეც აღმასრულებელი ხელისუფლების ლიდერს დაყრდნობა შეუძლია კაბინეტის დღის წესრიგის განსაზღვრისას და მასზე აპელირება კოალიციაში შემავალ პარტიებს შორის წინააღმდეგობების არსებობის შემთხვევაში.

პოლიტიკური პირობების ცვლილებებმა ასევე შესაძლებელი გახადა აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის ბიუროს ეფექტური რეფორმის გატარება და პრემიერ-მინისტრს უფრო მნიშვნელოვანი როლი მიანიჭა სამინისტრო გუნდის შერჩევასა და მრჩეველთა პატარა, მაგრამ ქმედითი ქსელის ჩამოყალიბებაში. მიუხედავად იმისა, რომ კოალიციის ფრაგმენტაციის პოლიტიკური პირობები ყოველთვის გადამწყვეტი ფაქტორებია აღმასრულებელი ხელისუფლების ავტონომიის შემცირებაში, შესაძლებელია იმის მტკიცება, რომ დღეისათვის იტალიის პრემიერ-მინისტრი თავისი „კერძო ბიუროთი" უფრო ახლოს დგას სხვა ევროპული ქვეყნების უმრავლესობასთან (Calise 2005).

ზემოთ აღნიშნული არ ნიშნავს, რომ *მეორე რესპუბლიკის* ჩამოყალიბებამ იტალიის პრემიერ-მინისტრების ყველა სისუსტე გამოასწორა. ბერლუსკონისა და პროდის მაგალითი ამტკიცებს, რომ ამ უკანასკნელთა კოალიციის ლიდერთა და არჩევნებში გამარჯვებულთა როლი, მათ ამ კოალიციის შიგნით კრიზისის რისკისგან არ იცავს, რომელმაც პრემიერ-მინისტრების გადაყენება შეუძლება გამოიწვიოს (ბერლუსკონი I 1994 წელს და პროდი I 1998 წელს). ამგვარი რისკის არსებობა ასევე კოალიციურ შეთანხმებაზე ხელახალი მოლაპარაკების გარკვეულ ფორმას მოითხოვს (ბერლუსკონი II 2005 წელს). კოალიციები კვლავაც მყიფე და დანაწევრებული ხასიათისაა. ბერლუსკონის II და III კაბინეტი ოთხი პარტიისგან იყო ჩამოყალიბებული, ხოლო პროდის II კაბინეტი რვა შემადგენელს მოიცავდა (ორივე შემთხვევაში, მხედველობაში არ იქნა მიღებული რამდენიმე პატარა პარტია, რომელთაც არ ჰყავდათ საპარლამენტო ჯგუფი, მაგრამ მაინც შეძლეს მინისტრის მოადგილის თანამდებობის მოპოვება) და უმრავლესობები ყოველთვის იდეოლოგიურად არაერთგვაროვანი იყო.

პრემიერ-მინისტრის შესაძლებლობა კაბინეტის რეორგანიზაციის განსახორციელებლად საკუთარი გავლენის გაძლიერებისთვის სუსტია. მას საკმაოდ ადვილად შეუძლია მის მიერვე არჩეული მინისტრების შეცვლა, ისევე როგორც იმ მინისტრებისა, რომლებიც მისი პარტიის წევრები არიან, მაგრამ რაც შეეხება სხვა მინისტრებს, იგი კოალიციაში შემავალი პარტიების თანხმობაზეა დამოკიდებული. ამიტომაც, საარჩევნო მანდატი არ გამოიხატება აშკარა დომინანტობაში კაბინეტის შიგნით. თუმცა, წარსულისგან განსხვავებით, დღეისათვის, ბევრად უფრო რთულია ერთი პრემიერ-მინისტრის მეორეთი შეცვლა ლეგისლატურის განმავლობაში. ამავე დროს, ახალმა პრემიერ-მინისტრებმა თავი ნაკლებად ძლიერებად იგრძნეს მათი წინამორბედებისგან განსხვავებით. მათ გარკვეულწილად, ნაკლები ნდობა აქვთ საკუთარი პოზიციის პოლიტიკური ლეგუტიმურობის მიმართ და ამგვარად, ნაკლებად კონფორტულად გრძნობენ თავს თავიანთ საქმიანობაში.

საპარლამენტო მმართველობის ევოლუცია

პირველი რესპუბლიკის პერიოდში აშკარა იყო იტალიის აღმასრულებელი ხელისუფლების სისუსტე საპარლამენტო ქმედებაში. მთავრობა იშვიათად ახერხებდა პარლამენტში ძალზე შეკრული უმრავლესობის გაკონტროლებას და ტრადიციულად, მას არ შეეძლო პოლიტიკური დღის წესრიგის გაკონტროლება. ეს აისახა იმ ფაქტში, რომ მთავრობა საკანონმდებლო პროგრამის წარდგენის მნიშვნელოვანი სირთულეების წინაშე აღმოჩნდა და იძულებული გახდა მრავალრიცხოვან კომრომისებზე წასულიყო კანონმდებლებთან (Di Palma 1977). მთავრობის პროექტების ძალზე დიდი რაოდენობის მიუღებლობა, ისევე როგორც პარლამენტის წევრების უკიდურესად პროაქტიული ინიციატივა – მიუხედავად არაეფექტურობისა – აშკარად ცხადყოფს სტრუქტურულ სისუსტეს. ამ მუდმივი პრობლემების შედეგად, მთავრობა იძულებული გახდა კანონმდებლობის მრავალ და ხშირად მოულოდნელ შესწორებებს დათანხმებოდა პარლამენტის მხრიდან.

ამგვარი სიტუაციის პირისპირ მთავრობის ტიპური პასუხი იყო პარლამენტის გავლენის შემცირების მცდელობა ან მისი გვერდის ავლა ნაწილობრივ მაინც. ამ მიზნით, აღმასრულებელმა ხელისუფლებამ ზეწოლა განახორციელა პრეფერენციული პროცედურების მისაღწევად თავისი საკანონმდებლო ინიციატივებისთვის საკანონმდებლო პროცესის ხანგრძლივობის სავარაუდო ვადის დასადგენად. უფრო ზოგადად, პალატების მუდმივი განაწესების ეტაპობრივმა შესწორებებმა მთავრობას საკმაოდ ძლიერი საშუალებები მისცა საკუთარი კანონმდებლობის დასაცავად. აღნიშნულმა ხელი შეუწყო კაბინეტის პასუხისმგებლობის გაზრდას *პოლიტიკის შემუშავების* ეტაპზე.

ტრადიციულად, აღმასრულებელი ხელისუფლება სხვა კონსტიტუციურ ინსტრუმენტებს იყენებდა საკუთარი საკანონმდებლო ინიციატივის გასაძლიერებლად. ამ უკანასკნელთა შორისაა, გადაუდებელი საკანონმდებლო დეკრეტები (decreti legge)[93], რომელთაც ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. 1980-იანი წლებიდან ამ ინსტრუმენტის გამოყენება სამთავრობო ქმედების ჩვეულებრივი პრაქტიკა გახდა, ყოველწლიურად დაახლოებით

---

93 კონსტიტუციის თანახმად, საკანონმდებლო დეკრეტები დაშვებულია როგორც გამონაკლისი გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში. ამ დეკრეტების ძალაში შესვლა პარლამენტის დამტკიცებას საჭიროებს 60 დღის ვადაში.

250 დეკრეტის მიღებით *პირველი რესპუბლიკის* ბოლო აღმასრულებელი ხელისუფლებების პერიოდში. 1996 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ მთავრობას იმ დეკრეტების ხელახლა შემოტანა აუკრძალა, რომლებიც არ იქნა დამტკიცებული პარლამენტის პალატების მიერ, რამაც გარკვეულწილად შეამცირა ამ პრაქტიკის გადამეტებულად გამოყენება. ბოლო წლებში, მთავრობამ ფართოდ გამოიყენა „კანონების დელეგირების" ინსტრუმენტი, და საკუთარი ინიციატივების დასაცავად უფრო ენერგიულად მიმართა სხვა პროცედურულ ინსტრუმენტს, questione fiducia.[94]

იტალიის საპარლამენტო ინსტიტუტის ზოგადი გავლენის დაკვირვებისას აშკარად ჩანს, რომ იტალიის კანონმდებლობის ცენტრალიზმი მნიშვნელოვანწილად, ჩვენს მიერ უკვე აღნიშნული ისტორიული მემკვიდრეობის შედეგია. დამფუძნებელმა მამებმა პარლამენტის როლი აღმასრულებელი ხელისუფლების საპირწონედ მოიაზრეს პოლიტიკის შემუშავების პროცესში და ასევე როგორც პრაქტიული აქტორი ძლიერი და ფართო საკანონმდებლო უფლებამოსილებებით, როგორც ადმინისტრაციის გაკონტროლების, ისე გამოძიების უფლების საკითხში.

იტალიის საპარლამენტო სტრუქტურის კლასიფიცირება შესაძლებელია, როგორც თანაბარი და სიმეტრიული ორპალატიანობის მაგალითისა, რადგან ორივე პალატას ანალოგიური ფუნქციები აქვს და ყოველთვის ჰქონდა (ყოველ შემთხვევაში 2006 წლამდე) მსგავსი პოლიტიკური შემადგენლობა საარჩევნო სისტემების არსობრივი ერთგვაროვნების გამო.[95]

ორივე პალატის შიდა ურთიერთკავშირი სიმეტრიულია. მიუხედავად იმისა, რომ თითოეული პალატა საკუთარ პროცედურულ წესებზეა პასუხისმგებელი, ქვედა პალატასა და სენატს რესპუბლიკური გამოცდილებიდან მოყოლებული, ერთი და იგივე modus operandi -ის განაწილების ტენდენცია ჰქონდა. კერძოდ, ორივე პალატას მნიშვნელოვანი მუდმივი კომიტეტების სისტემა აქვს (თოთხმეტი თითოეულ პალატაში, პოლიტიკური კომპეტენციების ძალზე ერთგვაროვანი განაწილებით). ამ კომიტეტების საგულისხმო საკანონმდებლო როლი საკონსტიტუციო შესწორებითაა განსაზღვრული, რომელიც ორივე პალატას ჩვეულებრივი კანონმდებლობის, როგორც შემუშავების – ერთადერთი შემთხვევა დემოკრატიებში -, ისე გამოქვეყნების პირდაპირ უფლებას აძლევს. ამ პალატების მართვის სტრუქტურა ასევე ძალზე ერთგვაროვანია : ოფიციალური წარმომადგენელი და პრეზიდიუმის ბიურო (რამდენიმე დეპუტატი და მდივნები) ანალოგიური წესების მიხედვითაა არჩეული თითოეული პალატის წევრებს შორის და მათ ანალოგიური ინსტიტუციონალური უფლებამოსილებები და როლი აქვთ. რაც შეეხება საპარლამენტო ბიუროკრატიას, ორივე პალატაში არსებობს *ერთი გენერალური სამდივნო* ბიუროებისა და დეპარტამენტების სისტემის უმაღლეს დონეზე. ამ უკანასკნელებში ფუნქციონერების შერჩევა, მათი საკონსტიტუციო სამართლის ცოდნის გამოცდილება და მუშაობის ორგანიზაცია არაა ძალზე განსხვავებული; ასევე ხშირია ფუნქციონერთა ერთი პალატიდან მეორეში გადასვლა.

მთლიანობაში, იტალიის პარლამენტის ინსტიტუციონალური კონცეფცია მოქნილად წარმოჩნდება პოლიტიკური სისტემის ცვალებად მოთხოვნებთან ადაპტაციისთვის, რომელმაც რიგრიგობით განიცადა კონსენსუსისა ან დემოკრატიის მაჟორიტარული ინტერპრეტაციის ციკლები (Cotta, 1994). ტრადიციული პარტიების კრიზისის შემდეგ და *მეორე რესპუბლიკის* დასაწყისში (იხ. მე-4 ნაწილი), პარლამენტს შეზღუდული გავლენა ჰქონდა კანონების შემუშავების პროცესში და ის უფრო მეტად თანამშრომლობდა მთავრობებთან, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა ორ მომდევნო კოალიციაში. ამავე დროს, პარლამენტის ძალზე სტრუქტურირებული საწყისი მახასიათებლები მრავალი ცენტრით ფუნდამენტურად არ შეცვლილა (Verzichelli 2003 b). იტალიის საპარლამენტო პალატებს კვლავაც საგულისხმო როლი აქვთ საერთო გადაწყვეტილების მიღებაში, რასაც კარგად გვიჩვენებს ბოლოდროინდელი რამდენიმე მნიშვნელოვანი პროცესის განვითარება. აღნიშნულის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია, მაგრამ გარკვეულწილად ქაოტური ჩვევაც, ყოველი წლის სექტემბრის ბოლოს ეკონომიკის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი *ფინანსური პროექტის* დამტკიცება. როგორც ჩანს, პარლამენტის წევრები უფრო მეტად დაკავებულნი არიან საკუთარი უფლებამოსილებებით ან შეზღუდული ინტერესების დაცვით თავიანთ ოლქებში, ვიდრე პოლიტიკური წარმომადგენლებისთვის დამახასიათებელი სხვა საქმეებით, როგორიცაა მაგალითად, სამთავრობო მოსმენები ან საჯარო ადმინისტრაციის დაფინანსების კონტროლი.

ფაქტობრივად, *მეორე რესპუბლიკის* გამყარების შემდეგაც, შესაძლებელია შედარებითი ანალიზით შემოთავაზებული გარკვეული შეფასებების ხელახლა დამტკიცება: მაგალითად, იტალიის პარლამენტის ინტერპრეტაცია, როგორც პოლიტიკაზე გავლენის მომხდენი ლეგისლატურისა (Norton, 1998) ან საპარლამენტო ინსტიტუტისა, რომელიც ევროპულ მაგალითებს შორის, ყველაზე ახლოს დგას „კონგრესის მოდელთან" (Cotta 1994).

---

94 ეს პროცედურა აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მოთხოვნილ ნდობის კენჭისყრას საკანონმდებლო მუხლს უკავშირებს. ამგვარად, აღნიშნულ მუხლს მაშინვე უნდა ეყაროს კენჭი (24 საათში) და შესწორებები მხოლოდ ერთმა კენჭისყრამ უნდა განსაზღვროს.

95 1963 წლის საკონსტიტუციო შესწორების თანახმად, დეპუტატთა რაოდენობა 630 შეადგენს, ასარჩევ სენატორთა რაოდენობა კი 315-ს. აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტი და სახელმწიფო მეთაურის მიერ დასახელებული რამდენიმე გამორჩეული პიროვნება (არაუმეტეს ხუთისა) „სამიდღემეშიო სენატორების" პატარა ჯგუფს წარმოადგენენ.

რთულია იმის წარმოდგენა, რომ აშკარა ცვლილება განხორციელდება საპარლამენტო ინსტიტუტის სხვა მოდელისკენ მიუხედავად ჭეშმარიტი საკონსტიტუციო რეფორმისა. კერძოდ, საქმე ეხება საწყისი საკონსტიტუციო მოდელის ორ მახასიათებელს (რომლის მოდიფიცირებაც შესაძლებელი იქნებოდა 2005 წელს ცენტრისტულ-მემარჯვენე მთავრობის მიერ შემოთავაზებული რეფორმით), ე. ი. პარლამენტის წევრთა რაოდენობის გაზრდას და ძირითადად, თანაბარ და სიმეტრიულ ორპალატიანობას, რომელიც ყოველთვის ფუნქციონირებს როგორც ინსტიტუციონალური კონსერვატიზმის ძლიერი კატალიზატორი. იმავდროულად, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ 2005 წლის საარჩევნო რეფორმამ პოტენციურად გააძლიერა იტალიის ორპალატიანობის სიმეტრიის ერთ-ერთი ელემენტი – ორივე პალატის პოლიტიკური შემადგენლობის ერთგვაროვნება სტაგნაციის ახალი ფაქტორის დამატებით, რომელიც ნაკლებად სავარაუდოს ხდის გასაგები და რაციონალური საკონსტიტუციო რეფორმის გატარებას.

საარჩევნო სისტემა და პარტიების პოლიტიკა

როგორც უკვე ავღნიშნეთ, საარჩევნო შეჯიბრს პირველი რესპუბლიკის პერიოდში ორი ძირითადი ასპექტი ახასიათებდა: პირველი ასპექტი ძველ ანტიფაშისტურ კოალიციაში წარმოდგენილი პარტიების უწყვეტობას ეხება (პატარა, მაგრამ საკუთარ პოზიციებზე მტკიცედ მგომი ნეოფაშისტური პარტია 1984 წელს შეიქმნა და იზოლირებული რჩებოდა პოლიტიკური სპექტრის უკიდურეს მემარჯვენე ფლანგზე). მეორე ასპექტი პროპორციული წარმომადგენლობის (საარჩევნო შეჯიბრის ყველა დონეზე) მიღებას ეხება, როგორც ხმების ადგილების რაოდენობად ტრანსფორმაციის საერთო წესს.

პირველი რესპუბლიკის განმავლობაში იტალიის პარტიული ნიშნით მიმხრობის სისტემა მრავალი კვლევის საგანი გახდა (Farneti 1985). ყველაზე ცნობილი ინტერპრეტაციის თანახმად, ეს სისტემა განისაზღვრება როგორც „პოლარიზებული მრავალპარტიულობა" (Sartori 1976). ამ მოდელის მიხედვით, დომინანტურ მახასიათებლებს წარმოადგენს სამპოლარული სტრუქტურა (მემარცხენეობა, ცენტრიზმი და მემარჯვენეობა) და ცენტრიდანული ტენდენციის მქონე შეჯიბრი, ისევე როგორც ანტისისტემური ორი პარტიის არსებობა (PCI და MSI) და ფართო იდეოლოგიური სივრცე, რაც სრულიად დემოკრატიულ ცენტრს მართვას „აიძულებს" მაშინ, როდესაც ორი გვერდითი პოლუსი არაა მთლიანად აღიარებული თანასწორ დემოკრატიულ აქტორად.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, ანტისისტემური ორი პარტიის სიმეტრია მაინც ნაწილობრივი იყო: განსხვავებები მემარცხენე ოპოზიციასა (კომუნისტური პარტია და სოციალისტური პარტია, ეს უკანასკნელი საკუთარ აღმავლობამდე სამთავრობო სფეროში) და ნეოფაშისტურ პარტიას შორის არ წარმოადგენდა მხოლოდ სიდიდის ან რაოდენობის განსხვავებებს. მემარცხენე პარტიებმა მონაწილეობა მიიღეს წინააღმდეგობის მოძრაობაში ომის პერიოდში და ფუნდამენტურად შეუწყეს ხელი კონსტიტუციის შემუშავებას. აღნიშნულს უნდა დაემატოს ის ფაქტიც, რომ იტალიის კომუნისტურმა პარტიამ (PCI) იდეოლოგიური და პოლიტიკური ტრანსფორმაცია განიცადა 1970-იან წლებში. ის ეტაპობრივად ვითარდებოდა მოსკოვისგან დამოუკიდებლად. აღნიშნულმა ამ პარტიას კვლავ მისცა საპარლამენტო უმრავლესობის ფორმირებაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა (მიუხედავად იმისა, რომ ის არ იყო წარმოდგენილი კაბინეტში) ნაციონალური სოლიდარობის რთულ პერიოდში (1976-1979 წწ.).

1948-1992 წლებში, ისტორიულმა პარტიებმა შეძლეს ვალიდური ხმების 80%-ის შენარჩუნება უმნიშვნელო და მოსალოდნელი ცვლილებებით ერთი არჩევნებიდან მეორემდე. მხოლოდ 1970-იანი წლების მიწურულს შესაძლებელი გახდა ალტერნატიული სიებით (უკიდურესი მემარცხენეები ან რადიკალები) წარმატების მოპოვება და პარლამენტში რამდენიმე წამომადგენლის შეყვანა. 1983 წელს მწვანეების პირველი წარმომადგენელი პარლამენტის წევრი გახდა და *Montecitorio*-ში შევიდა, მაგრამ ყველა ეს პოლიტიკური პარტია არასოდეს წარმოადგენდა რეალურ საშიშროებას დიდი პარტიებისთვის. რა თქმა უნდა *Lega Nord*-ის (ჩრდილოეთის ლიგა) პარტია ამგვარადვე განიხილებოდა მას შემდეგ, რაც სამოქალაქო და ტერიტორიული სიებით მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა ჩრდილოეთის რეგიონებში 1990-იანი წლების დასაწყისში. თუმცა, ეს შეფასება არ იყო ზუსტი: ლიგამ შთამბეჭდავი შედეგები მიიღო 1992 წლის არჩევნებში : მას დაახლოებით 80 წარმომადგენელი შეიყვანა პარლამენტში და მესამე ადგილი დაიკავა ყველაზე დიდ პარტიებს შორის. *პირველი რესპუბლიკის* ბოლო არჩევნებში, რომელიც პროპორციული წარმომადგენლობის ძველ სისტემას ემყარებოდა აშკარად გამოჩნდა ტრადიციული პარტიების ერთდროული უკუსვლა (კერძოდ, ქრისტიან-დემოკრატიული პარტია (DC) და მემარცხენე დემოკრატების პარტია (PDS), რომელიც კომუნისტური პარტიის ყველაზე მნიშვნელოვანი მემკვიდრე იყო), მაშინ როდესაც ასპარეზზე სხვა საარჩევნო სიებიც გამოჩნდა და მათ შორის *Lega Nord*-იც.

1992 წლის არჩევნების შემდეგ, აღსანიშნავია კაბინეტის ფორმირება ოთხი „ჩვეული" პარტიის უმრავლესობის მხარდაჭერით, DC-სა და PSI-ის (იტალიის სოციალისტური პარტია) ჩათვლით. მაგრამ რამდენიმე კვირის შემდეგ იტალიელები მიხვდნენ, რომ ყველაფერი შეიცვლებოდა არალეგალური პოლიტიკური დაფინანსების სკანდალის აგორების შემდეგ, რომელმაც უმაღლეს დონეზე ისტორიული პარტიების თავმჯდომარეები იყვნენ გახვეულნი (Bufacci, Burgess 2001). პარლამენტის მოსალოდნელმა დაშლამ და ვადამდელი არჩევნების მოწყობამ (რომელიც სახელმწიფო მეთაურმა გადაწყვიტა მას შემდეგ, რაც ახალი საარჩევნო კანონი იქნა შემოტანილი

1993 წლის რეფერენდუმით) პარტიული ნიშნით მიმხრობის სისტემის სიღრმისეული რესტრუქტურაცია განსაზღვრა.

ძველ პარტიებს შორის, კომუნისტური პარტია ყველაზე კარგ მდგომარეობაში იმყოფებოდა; დღეს ის მემარცხენე დემოკრატების პარტიის (PDS) სახელითაა ცნობილი. ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ აღნიშნულმა პარტიამ სახელი შეიცვალა და მას დიდად არ შეხებია იურიდიული პრობლემები. ამ პარტიის მთავარი მეტოქე, სოციალისტური პარტია, რომელიც კორუფციაში იქნა დადანაშაულებული, სრულიად ჩამოშორდა პოლიტიკურ ასპარეზს. იმავდროულად, მემარცხენე დემოკრატების პარტია მემარცხენე ფლანგის გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა, რადგან ახალი კომუნისტური პარტია (მთლიანად რეფორმირებული) მომხრეთა მზარდ რაოდენობას იკრებდა თავის გარშემო, რასაც მისი თავდაპირველი ბირთვი (ძველი იტალიის კომუნისტური პარტიის მომხრე ფრაქცია) ვერ წარმოიდგენდა.

პოლიტიკური სპექტრის უკიდურეს მემარჯვენე ფლანგზე მყოფ MSI-ს (იტალიის სოციალური მოძრაობა) ასევე არ შეხებია იურიდიული პრობლემები. მემარჯვენე ზომიერ პარტიად (*Alleanza Nazionale*) გარდაქმნის შემდეგ მან მალე მოახერხა მარგინალური პოზიციისგან თავის დაღწევა. მაგრამ ფუნდამენტური პოლიტიკური პრობლემა პოლიტიკური სპექტრის იმ ნაწილს ეხებოდა, რომელიც წინათ DC-სა და მათ ცენტრისტ მოკავშირეებს ეკავათ. ქრისტიან-დემოკრატთა ორი მთავარი მემკვიდრე (სახალხო პარტია – *Partito Popolare* და ქრისტიან-დემოკრატიული ცენტრის პარტია – CCD) უუნარო აღმოჩნდა ქრისტიან-დემოკრატების ამომრჩეველთა ხელახალ მოზიდვაში. ჩრდილოეთში, ჩრდილოეთის ლიგამ უკვე აჩვენა, რომ ის სერიოზული მეტოქე იყო. სამხრეთში, ნაციონალური ალიანსი (AN) იკრებდა ძალებს. პატარა პარტიების გარკვეული რაოდენობა ცენტრისტულ-მემარცხენე სივრცის დაკავებას ცდილობდა. თუმცა, ფუნდამენტური განვითარება 1994 წლის არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე მოხდა, პირველი არჩევნები მას შემდეგ, რაც მიღებული იქნა შერეული მაჟორიტარიზმის ახალი საარჩევნო სისტემა (D'Alimonte 2005); ტელევიზიის მაგნატი სილვიო ბერლუსკონი, რომელიც უდავოდ, იტალიის ყველაზე მდიდარი ადამიანია, საკუთარ ახალ მოძრაობას, *Forza Italia*-ს ("წინ იტალია") აფუძნებს.

1994 წელს პარტიული ნიშნით მიმხრობის სისტემა სამი პოლუსის გარშემო გაერთიანდა: პოსტკომუნისტური პარტიებით დომინირებული მემარცხენე პოლუსი, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობიდან გამოსული მთავარი პარტიისა (*Partito Popolare*) და პრორეფერენდუმის ლიდერის, მარიო სეგნის მოძრაობისგან შემდგარი ცენტრის პოლუსი და Forza Italia-ს, Lega-ს, Alleanza Nationale-სა და ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობიდან გამოსული მეორე პარტიისგან (ქრისტიან-დემოკრატიული ცენტრის პარტია -CCD) ჩამოყალიბებული მემარჯვენე პოლუსი. მალე აშკარა გახდა, რომ შეჯიბრი დაპირისპირებით იქნებოდა დომინირებული ერთი მხრივ, ბერლუსკონისა და მის ალიანსსა და მეორე მხრივ, მემარცხენეებს შორის.

1996 წელს კიდევ უფრო აშკარად, არჩევნები შეიძლებოდა ნამდვილ დუელში გადაზრდილიყო პრემიერ-მინისტრის სავარძლის ორ კანდიდატს შორის, ერთი მხრივ, ბერლუსკონი, მეორე მხრივ კი Oliver-ის („ოლივა"-ცენტრისტულ-მემარცხენე პარტია) ლიდერი, პროდი (დიდი გაერთიანება PDS-თან, PPI-თან, მწვანეებთან, ახალ სოციალისტურ პარტიასა და სხვა პატარა პარტიებთან ერთად). ამავე დროს, ბიპოლარული შეჯიბრი ჯერ კიდევ არ იყო სრულყოფილი, რადგან ჩრდილოეთის ლიგამ (რომელმაც ცენტრისტულ-მემარჯვენე კოალიციასთან გაწყვიტა კავშირი წინა ლეგისლატურის პერიოდში, ბერლუსკონის პირველი კაბინეტის კრიზისი გამოიწვია) მარტომ შეძლო გადარჩენა საარჩევნო მარათონში და ერთწევრიან ოლქებში ხმების საკმაოდ დიდი რაოდენობა მოიპოვა. მეორე მხრივ, განახლებული კომუნისტური პარტია მთლიანად არ მონაწილეობდა ცენტრისტულ-მემარცხენე კოალიციაში (არსებობდა შეთანხმება შეჯიბრისთვის გვერდის ასავლელად ერთწევრიან ოლქებში). *Olivier*-ის გამარჯვების შემდეგ, ეს პარტია გარედან უჭერდა მხარს რომანო პროდის ცენტრისტულ-მემარცხენე მთავრობას 1998 წლის ოქტომბრის კრიზისამდე.

2001 წლის არჩევნების დროს სიტუაცია შეიცვალა: *ჩრდილოეთის ლიგა* ისევ ცენტრისტულ-მემარჯვენე კოალიციაში აღმოჩნდა, მაშინ როდესაც განახლებული კომუნისტური პარტია მარტო ჩაება საარჩევნო მარათონში. აღნიშნულმა ბერლუსკონის კოალიციას სუფთა გამარჯვება და ძლიერი საპარლამენტო უმრავლესობა მოუტანა.

2005 წელს სწორედ ცენტრისტულ-მემარჯვენე კაბინეტმა გადაწყვიტა შერეული მაჟორიტარული სისტემის გაუქმება და პროპორციულ წარმომადგენლობაზე დამყარებულ სისტემაზე დაბრუნება რეგიონალური ოლქებით ორივე პალატისთვის და დახურული ხმის მიცემის სიით. შემოღებული იქნა რიგი შეზღუდვები პარტიების მხარდაჭერის მიზნით კოალიციების შესაქმნელად, მაგრამ ამ უკანასკნელებს არ აიძულებდნენ საკუთარ სიებსა და აბრევიატურაზე უარის თქმას. იმ პარტიისთვის, რომელიც საარჩევნო შეჯიბრში მარტო ებმება, გაერთიანებასთან კავშირის გარეშე, ადგილების პროპორციული მიღების გადასალახავი ბარიერი საკმაოდ ამბიციურია (მიღებული ხმების 4% ნაციონალურ დონეზე). სამაგიეროდ, ვალიდური ხმების მხოლოდ 2%-ია საკმარისი იმ პარტიებისთვის, რომელთაც კავშირები აქვთ „კარტელის" სხვა სიებთან. ეს „კარტელები" ასევე მნიშვნელოვანია, რადგან მათ შეუძლიათ უმრავლესობის ბონუსები მოიპოვონ, რომელიც ამ უკანასკნელთ ადგილების არანაკლებ 55%-ით უზრუნველყოფს ქვედა პალატაში. სენატში ასევე შესაძლებელია ბონუსის მიკუთვნება, მაგრამ ამჯერად, მხოლოდ რეგიონალური კრიტერიუმით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თითოეულ რეგიონში ყველაზე დი-

დი კოალიცია ავტომატურად იღებს სენატორების 55%-იან უმრავლესობას, თუმცა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ეს ბარიერი ბუნებრივი პროპორციულობითაა მიღწეული.

ამ განსაკუთრებული საარჩევნო მექანიზმისა და ამომრჩეველთა თითქმის უზადო განაწილებით ორ ფართო, მაგრამ ეკვივალენტურ კოალიციას შორის, 2006 წლის არჩევნებმა ძალზე ორაზროვანი სიტუაცია წარმოაჩინა. თუკი ხმის მიცემამ ბიპოლარული სისტემა გაამკაცრა და განამტკიცა (ვალიდური ხმების მხოლოდ 0,5% უჭერდა მხარს იმ სიებს, რომლებიც არ იყო ჩართული ორ მთავარ კოალიციაში), რომანო პროდის ლიდერობით ცენტრისტულ-მემარცხენე კოალიციის გამარჯვება გადაწყვეტილი იქნა ქვედა პალატაში ნაციონალური უმრავლესობით, რომელიც მხოლოდ 24 000 ამომრჩეველს შეადგენდა. აღნიშნულმა გაერთიანებაში შემავალ პარტიებს ახალი საარჩევნო სისტემით გათვალისწინებული უმრავლესობის ბონუსის მიღების შესაძლებლობა მისცა. სენატში, იმავე ცენტრისტულ-მემარცხენე კოალიციამ სუსტი უმრავლესობით გაიმარჯვა (ორი სენატორით მეტი) მიუხედავად იმისა, რომ მემარცხენე ცენტრისტებმა ხმების უფრო დიდი რაოდენობა მოიპოვეს გაერთიანების კარგი შედეგების წყალობით, რასაც ხელი შეუწყო უცხოეთში მცხოვრები იტალიელებისთვის არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე ოლქის შექმნამ.

მთავარი პარტიების შედეგების ყოვლისმომცველი ანალიზი მეორე რესპუბლიკის პერიოდში ორ მნიშვნელოვან პუნქტზე მიგვითითებს. პირველ ყოვლისა, ახალი პარტიები საკმარისად კონსოლიდირებულნი არიან და ბიპოლარული სტრუქტურა პოლიტიკური სისტემის გრძელვადიან მახასიათებლად წარმოჩნდება. მეორე მხრივ, ამ წლების განმავლობაში, ფრაგმენტაციის მაღალი დონე არსებობას აგრძელებდა, როგორც შერეული პლურალიზმის სისტემაში, ისე მოქმედ პროპორციულ სისტემაში. ეს ნიშნავს, რომ პარტიული ნიშნით მიმხრობის სისტემა კვლავაც გაურკვევლობის მაღალ დონეს წარმოადგენს. მართლაც, დიდი პარტიების მომავალი ლიდერების ბედზე ბევრადაა დამოკიდებული: განსაკუთრებით, ბერლუსკონის შემდეგ *Forza Italia*-მ თავისი სიმტკიცე უნდა აჩვენოს, ისევე როგორც ცენტრისტულ-მემარცხენე უნიტარულმა პარტიამ თავისი სანდოობა (დღეისათვის ეს პარტია ჩამოყალიბების პროცესშია). 2005 წელს შემოღებული საარჩევნო სისტემა მკვეთრ კრიტიკას იწვევს პრობლემატური შედეგების გამო, რაც მის მიმართ უნდობლობას ზრდის. მაგრამ ამ სისტემის რეფორმა ძალზე რთულად განსახორციელებელია პატარა და დიდი პარტიების მეტად განსხვავებული პრეფერენციების მიზეზით.

ხელისუფლების ტერიტორიული დაყოფა

ტრადიციულად, იტალიის სახელმწიფოს *უნიტარულ* სახელმწიფოდ განიხილავენ. ამ მოდელს თავისი საფუძვლები შედარებით ახალი პოლიტიკური სისტემის ისტორიაში აქვს, რომელშიც ხელისუფლების დეკონცენტრაცია ადგილობრივ დონეზე დიდი ხნის განმავლობაში ძალზე განსხვავებული და შეზღუდული იყო ცენტრის ძლიერი ადმინისტრაციული კონტროლით.

ამ ტრადიციიდან გამომდინარე, 1948 წლის კონსტიტუციით შემოღებული იქნა შერეული *რეგიონალიზმის* ფორმა (Lèvy 1996), რომელიც უკვე არსებული ადგილობრივი ერთეულების ტერიტორიულ ხელისუფლებას სხვა დონეს ამატებდა (მუნიციპალური და პროვინციული). ახალი მთავრობები ავტონომიური ნორმატიული ძალაუფლებით აღიჭურვა, რომელიც საგულისხმო იყო მთელ რიგ პოლიტიკურ სექტორში. თუმცა, ძირითად კანონს რეგიონებისთვის ფინანსური ავტონომიის არავითარი წყარო არ დაუდგენია და ჩვეულებრივ კანონმდებლობას დააკისრა რეგიონალური მთავრობების ინსტიტუციონალური და ადმინისტრაციული სტრუქტურების ამოქმედება. აღნიშნულმა შეაყოვნა რეგიონალური მთავრობების ჩამოყალიბება. მართლაც, რეგიონალური საბჭოების არჩევის მარეგლამენტირებელი კანონი რესპუბლიკის დაარსებიდან ოცი წლის შემდეგ იქნა მიღებული. 1948-1970 წლებში არჩევნები მხოლოდ ხუთ *სპეციალურ რეგიონში* ტარდებოდა, რამაც შესაძლებელი გახადა დეცენტრალიზებული მმართველობის პირველი ექსპერიმენტის ჩატარება: ეს იყო სასაზღვრო ან კუნძულოვანი რეგიონების შემთხვევა მნიშვნელოვანი ეთნოლინგვისტური უმცირესობებით, რომელთა განსაკუთრებული სტატუსი საკონსტიტუციო კანონებით თავიდანვე იყო აღიარებული.

1970 წლის შემდეგ, იტალიის რეგიონალიზმმა ეტაპობრივად დაიწყო ჭეშმარიტი დეკონცენტრაციის მახასიათებლების გამოვლენა: რეგიონების ადმინისტრაციული წარმომადგენლობა ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა (Putnam 1993). ქვეყნის ჩრდილოეთში განსაკუთრებით გამოიკვეთა „ფედერალური სისტემისკენ“ სწრაფვა (Cento Bull, Gilbert 2002). „ნაციონალური პარტიების“ კრიზისისა და ჩრდილოეთის ლიგის წარმატების შემდეგ, რომელიც ამჟამად მოითხოვდა ქვეყნის ფედერალურ მოწყობას, ახალი რეფორმის საკითხი პრიორიტეტული გახდა.

2001 წელს თავდაპირველად, ცენტრისტულ-მემარცხენე მთავრობის მიერ წარმოდგენილმა საკონსტიტუციო რეფორმამ, რომელიც ცენტრისტულ-მემარჯვენე კოალიციის გამარჯვების შემდეგ სახალხო რეფერენდუმით იქნა დამტკიცებული, იტალიის რეგიონალიზმის statu quo განსაზღვრა. რეფორმა სამ ძირითად მიზანს ისახავდა: 1) უფლებამოსილებების ხელახალი გადანაწილება ცენტრალურ სახელმწიფოსა და ადგილობრივ მთავრობებს შორის; 2) იტალიაში ადგილობრივი მმართველობის სტრუქტურის მოდერნიზება; 3) რეგიონების როლის

გაძლიერება კომპეტენციების კონფლიქტების გადაწყვეტასა და *from below*-ს (ქვემოდან ზემოთ) ფედერალიზმის უფრო აშკარა ელემენტის შემოტანა.

ამ მიზნის მიღწევის ინსტრუმენტი გახდა 1948 წლის კონსტიტუციის 117-ე და 118-ე მუხლების ზედმიწევნითი გადასინჯვა : 117-ე მუხლი აკეთებს ექსკლუზიურად ცენტრალური საკანონმდებლო ხელისუფლების კომპეტენციაში არსებული პრობლემებისა და კონკურენტული *საკანონმდებლო ხელისუფლების* კომპეტენციაში არსებული პრობლემის ჩამონათვალს; ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფომ და რეგიონებმა უნდა ითანამშრომლონ. სახელმწიფო ძირითად პრინციპებს განსაზღვრავს, ხოლო შემდეგ, რეგიონები ჩვეულებრივ კანონმდებლობას ქმნიან ამ პრინციპების ჩარჩოში.

განსაკუთრებული მითითების არარსებობის გამო იმ პოლიტიკურ სფეროებთან დაკავშირებით, რომლებიც რეგიონების საკანონმდებლო კომპეტენციებშია შესული (2001 წლამდე კონსტიტუციის ვერსიაში არსებულის საპირისპიროდ), ადგილობრივ ინსტიტუტებს თავისუფალი მანევრირების საშუალება ეძლევათ ფართო პოლიტიკურ სექტორებში. ეს უკანასკნელები ძალზე არ განსხვავდებიან წინა კონსტიტუციურ სტრუქტურაში არსებულისგან, ერთადერთი საგულისხმო გამონაკლისი მდგომარეობს უფრო ფართო კომპეტენციის მინიჭებაში პოლიტიკის სფეროსა და ეკონომიკურ დაგეგმარებაში. რეგიონალურ ლეგისლატურებს აქვთ ექსკლუზიური საკანონმდებლო უფლებამოსილებები, რომლებიც აღნიშნულ თემებს ეხება იმ შემთხვევაშიც, თუ სუბსიდირების პრინციპის გამოყენების თანახმად, პროვინციებისა და ქალაქების ინსტიტუტებს მეორადი რეგლამენტაციების შემუშავება შეუძლიათ, რომელთა რეალიზებასაც ისინი თავად ახდენენ.

მეორე მიზანმა, ინსტიტუციონალური ჩარჩოს მოდერნიზაციამ და რაციონალიზაციამ, იტალიის რესპუბლიკის სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულების ფორმალური და ნაწილობრივ ახალი დეფინიცია გამოიწვია. ამგვარად, კონსტიტუციაში ნახსენებია საქალაქო ზონები, მუნიციპალიტეტებისა და პროვინციების შემდეგ, რეგიონებისა და ცენტრალურ სახელმწიფომდე. ყველა ამ ერთეულს ფინანსური ავტონომიის უფლება აქვს და საკუთარი შესაკრებისა და შემოსავლების დადგენა შეუძლია საჯარო ფინანსების კოორდინაციის პრინციპების შესაბამისად გადასახადით დაბეგვრის ზოგად ჩარჩოში.

რაც შეეხება იტალიაში „ფედერელური" სისტემის ეფექტურ განვითარებას, ამ დროისთვის რთულია 2001 წლის რეფორმის პრაქტიკული შედეგების შეფასება. ერთი მხრივ, სახელმწიფო „ჩამოშორებული" იქნა, რაც რეგიონებსა და სხვა ადგილობრივ მთავრობებს მეტ სივრცეს აძლევს უფრო მნიშვნელოვანი როლის შესასრულებლად პოლიტიკური სიტემის ხელახალ განსაზღვრაში. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი სიახლე იყო ცენტრალური კონტროლის გაუქმება, რომელსაც მთავრობა თავისი *რწმუნებულების* მეშვეობით ახორციელებდა. ჩვეულებისამებრ, აღნიშნული სახელმწიფოსა და მისი კომპეტენციების დაცვის საშუალებას იძლეოდა რეგიონალური საკანონმდებლო ინიციატივების პირისპირ. დღეისათვის არსებულ ჩარჩოში, ცენტრალურ მთავრობას მხოლოდ რეგიონალური აქტის წარდგენა შეუძლია საკონსტიტუციო სასამართლოში, ამ უკანასკნელის ამოქმედების შეჩერების უფლების გარეშე.

მეორე მხრივ, 2001 წლის რეფორმა განსხვავებულ ასპექტებს წარმოაჩენს. მისი ამოქმედება იმ მთავრობის მიერ, რომელიც დაპირისპირებული იყო აღნიშნული რეფორმის შემქმნელ მთავრობასთან, არ იყო იოლი. ეს რეფორმა, განსაკუთრებით პირველ ხანებში, დროებითად განიხილებოდა კონსტიტუციის უფრო ფართო რეფორმის მოლოდინში, რომელსაც ცენტრისტულ-მემარჯვენე მთავრობა ამზადებდა. ამ პროექტის უარყოფის შემდეგ, რომელიც ასევე დეცენტრალიზაციის ვალდებულებას მოიცავდა 2006 წლის სახალხო რეფერენდუმით, ტერიტორიული პოლიტიკის პრობლემების უმრავლესობა დღესაც აქტუალურია. კერძოდ, დღის წესრიგში კვლავ დგას რეგიონალურ და სახელმწიფო კომპეტენციებს შორის საზღვრების უკეთესი დეფინიციის საკითხი (უკანასკნელ წლებში ამ საკითხთან დაკავშირებული კონფლიქტები საკონსტიტუციო სასამართლოს განხილვის საგანი გახდა), ისევე როგორც ეფექტური ფისკალური ფედერალიზმის სისტემის ამოქმედება, რომელიც რეგიონებს უფრო აშკარა ფინანსურ ავტონომიას (და პასუხისმგებლობას) მოუტანდა.

ხელისუფლების დამბალანსებელი ინსტიტუციონალური ჯგუფები

აქამდე აღწერილი იქნა იტალიის დემოკრატიული რეჟიმის მახასიათებლები მისი ცენტრალური ინსტიტუტების, საარჩევნო მექანიზმების, პარტიული ნიშნით მიმხრობის სისტემისა და ხელისუფლების ტერიტორიული დაყოფის დონეზე. მაგრამ ვინ არიან სხვა ინსტიტუციონალური აქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ დემოკრატიულ მიღწევებზე? ცნობილია, რომ იტალიაში მრავალმა ინსტიტუტმა და ინსტიტუციონალურმა აქტორმა მოახერხა დემოკრატიული წარმომადგენლობის თანმიმდევრობაზე გავლენის მოხდენა სხვადასხვა დონეზე (Verzichelli 2003 a). აღნიშნული მიგვითითებს ხელისუფლების დაყოფაზე ორიენტირებულ რთულ პოლიცენტრულ სისტემაზე. ამ ნაწილში მოკლედ შევეხებით ყველაზე მნიშვნელოვან „გარე" ინსტიტუტებს, რომლებმაც მთავარი როლი შეასრულეს დემოკრატიული რეჟიმის განვითარებაში.

ე. წ. „აბროგაციული რეფერენდუმის" (კანონის ანულირების სახალხო ინიციატივა) ინსტიტუტი, რომელიც თავდაპირველად დავიწყებას მიეცა პოლიტიკოსების მხრიდან და არც ერთი კანონის ობიექტი არ გამხდარა

1970 წლამდე, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. 1974 წელს ამ ტიპის რეფერენდუმი პირველად იქნა გამოყენებული, როდესაც ამომრჩევლებს საკუთარი აზრი უნდა გამოეხატათ გაყრასთან დაკავშირებულ კანონზე. ეს უკანასკნელი საერო პარტიების (ქრისტიან-დემოკრატებისა და კომუნისტების მოკავშირე პროსამთავრობო პარტიები) „ჩვეულებრივი" უმრავლესობით იქნა შემოტანილი მეორე უჩვეულო გაერთიანების წინააღმდეგ (ტრადიციული და რელიგიური ღირებულებებისკენ უფრო ორიენტირებული ქრისტიან-დემოკრატები და ნეოფაშისტური ოპოზიცია). ამ დროიდან, პარტიები და მოძრაობები ხშირად იყენებდნენ ამგვარ რეფერენდუმს კოალიციების მიღმა „უმცირესობისთვის საკუთარი ხმის მიწვდენის" შესაძლებლობის მისაცემად, „უხმო უმრავლესობის" მობილიზებისთვისა და „პატრიარქიის" მიერ კენჭნაყარი კანონებისთვის წინააღმდეგობის გასაწევად. ამ ფაზის აპოგეამ 1991-1993 წლებში მიაღწია, როდესაც ამომრჩეველთა დიდმა უმრავლესობამ პროპორციული წარმომადგენლობის ძველი სისტემის მთავარი ელემენტები გააუქმა. აღნიშნულის მიზანს პოლიტიკური ნიშნით კადრების დაკომპლექტების სისტემის შეცვლა და იტალიის დემოკრატიულ სისტემაში უფრო მეტად მაჟორიტარული ევოლუციის შემოტანა წარმოადგენდა.

ამ მნიშვნელოვანი ეპიზოდის შემდეგ, საზოგადოებრივი აზრის მობილიზების მცდელობებს რეფერენდუმების დახმარებით წარმატება არ ჰქონია, რამაც დამკვირვებლები რეფერენდუმის კრიზისის აზრამდე მიიყვანა უკანასკნელ წლებში. მაგრამ 2007 წელს საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებული ახალი რეფერენდუმის ჩატარების პერსპექტივა ცხადყოფს, რომ აღნიშნული ინსტიტუტის გავლენა ნორმალურ პოლიტიკურ საქმიანობაზე არსებითია.

აღსანიშნავია ასევე სხვა ინსტიტუციონალური საპირწონეები, რომლებიც მოქალაქეთა იმგვარი ჩარევის შესაძლებლობას არ იძლევა, როგორიც რეფერენდუმის შემთხვევაშია. ამ უკანასკნელთა აშკარა კონსტიტუციონალური როლი მდგომარეობს მთავარი პოლიტიკური ინსტიტუტების უფლებამოსილებების დაბალანსებაში.

1948 წლის კონსტიტუციის თანახმად, რესპუბლიკის პრეზიდენტი არის დემოკრატიული შეჯიბრის არბიტრი და ფუნდამენტური წესების „დამცველი". პრეზიდენტის უფლებამოსილებებში შედის მთავრობის მეთაურისა და მინისტრების დანიშვნა, პარლამენტის დაშლა, არჩევნების ჩატარების მოთხოვნა და პარლამენტში პროექტების გადაგზავნა ხელახალი განხილვისთვის. გარდა ამისა, სახელმწიფო მეთაურს ფორმალურად, კანონების დამტკიცების უფლება აქვს, მას შეუძლია პარლამენტისთვის გზავნილების გაგზავნა, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა მესამედისა და უზენაესი სასამართლოს საბჭოს (სასამართლო წესრიგის უმაღლესი ორგანო, რომლის თავჯდომარეც ასევე სახელმწიფოს მეთაურია) ზოგიერთი წევრის დანიშვნა. პრეზიდენტის ხელშია საკუთარი უფლებამოსილებების გამოყენების მოქმედების თავისუფლება მეტ-ნაკლები აქტიურობითა და ენერგიით. 1990-იანი წლები სახელმწიფო მეთაურის როლის გაძლიერებით აღინიშნა.

მნიშვნელობის მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლო ამ ჯგუფის მეორე ინსტიტუტია. ეს სასამართლო 1948 წლის კონსტიტუციითაა გათვალისწინებული, და კანონების კონსტიტუციურობის ზედმიწევნითი განხილვის გარკვეულწილად, „კელზენისეულ" ფორმას წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს პოლიტიკური გავლენა არ იყო ყოველთვის აშკარა, მისი ზემოქმედება იტალიის სამართლებრივ სისტემაზე საგულისხმო რჩებოდა (Volkansek 2000). უკანასკნელ წლებში აღნიშნული სასამართლოს როლი გაიზარდა, განსაკუთრებით, სახელმწიფოსა და რეგიონებს შორის კომპეტენციების კონფლიქტებთან დაკავშირებულ საკითხებში.

დაბოლოს, აღსანიშნავია იტალიის ბანკისა და ახლახან შექმნილი ხელისუფლების სხვა მარეგულირებელი ორგანოების მუშაობა, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეცვალეს შიდა ინსტიტუციონალური ურთიერთობები და ბევრად შეზღუდეს პოლიტიკური ხელისუფლების როლი გარკვეულ სფეროებში ტექნიკური კანონების მეშვეობით. მიუხედავად იმისა, რომ ამ ინსტიტუტების საერთო გავლენა ჯერ კიდევ შეზღუდულია, განსაკუთრებით, ანგლო-ამერიკულ მაგალითებთან მიმართებაში, თანამედროვე იტალიაში შეუძლებელია მარეგულირებელი ინსტანციებისა და დამოუკიდებელი ხელისუფლების ორგანოების იგნორირება დემოკრატიული პასუხისმგებლობის მექანიზმების შეფასებისას.

რა ტიპის დემოკრატიაა?

1990-იან წლებში იტალიის პოლიტიკურ სისტემას ღრმა პოლიტიკური და ინსტიტუციონალური კრიზისი შეეხო და აქედან მოყოლებული, ის უდავო ტრანსფორმაციას განიცდის, მაგრამ არა ძალზე აშკარას. ამ პოლიტიკურ მოძრაობასთან დაკავშირებული ცვლილებების რეზიუმიებისთვის აღსანიშნავია შემდეგი ასპექტები:

– პარტიული ნიშნით მიმხრობის ძველი სისტემა დაიშალა და მისი ადგილი შეჯიბრის სხვა მოდელმა დაიკავა;

– ამოქმედებული იქნა შეჯიბრის ბიპოლარული სტრუქტურა ორი წინააღმდეგობრივი, მაგრამ საკმაოდ მყარი კოალიციით, რომელიც ხელისუფლების დაუფლებისთვის იბრძვის;

– განხორციელდა საარჩევნო სისტემის მრავალი ცვლილება მაჟორიტარული მოძრაობითა და ორი რეფერენდუმით 1991 წელსა და 1993 წელს, რომელმაც შერეულ მაჟორიტარულ სისტემას გაუკვალა გზა; 2005 წელს

რადიკალური პარტიის (PR) ხელახალმა შემოსვლამ პოლიტიკურ ასპარეზზე გარკვეულწილად შეცვალა ერთწევრიანი ოლქების შედეგები თუმცა, ბიპოლარული შეჯიბრი არ გაუუქმებია;

– ნაწილობრივ, საარჩევნო სისტემისა და პარტიების ორგანიზაციის დონეზე განხორციელებული ცვლილებების გამო ადგილი ჰქონდა პერსონალიზაციის პროცესს იმგვარი ლიდერებით, რომლებიც პოლიტიკური მობილიზაციის გადამწყვეტი აგენტები გახდნენ და გარკვეულწილად, პარტიების როლი იტვირთეს;

– ურთიერთობა აღმასრულებელ ხელისუფლებასა და საკანონმდებლო ხელისუფლებას შორის ფუნდამენტურად შეიცვალა (საპარლამენტო პროცედურის რამდენიმე წესის მიღების მიზეზით) უმრავლესობასა და ოპოზიციას შორის უფრო აშკარა განსხვავებით და საპარლამენტო საქმიანობის უფრო კონფლიქტური სტილის დამკვიდრებით;

– მთავრობამ მეტი ძალაუფლება მოიპოვა, განსაკუთრებით იმ სიტუაციაში, როდესაც მას შეუძლია პირდაპირ დაეყრდნოს პრემიერ-მინისტრის საარჩევნო ინვესტიტურას (დე ფაქტო); კაბინეტები უწინდელზე სტაბილურია;

– მიუხედავად იმისა, რომ ამ ტრანსფორმაციის შედეგები არაა აშკარა, 2001 წელს გატარებული იქნა მნიშვნელოვანი საკონსტიტუციო რეფორმა, რომელმაც ზომიერი ფედერალიზმის რამდენიმე ელემენტი შემოიტანა.

რა არის მთლიანობაში ამ ცვლილებების მნიშვნელობა? მოსალოდნელია თუ არა სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებები და ადაპტაციები? რამდენად შეუძლია ამგვარ პროცესს საგულისხმო ტრანსფორმაციის განსაზღვრა დემოკრატიის განსხვავებული მოდელისკენ? შესაძლებელია რამდენიმე ინტერპრეტაციის შემოთავაზება თუმცა, ისინი ზოგადი ხასიათისაა.

პირველ ყოვლისა, მხედველობაში მისაღებია ის კავშირები, რომლებიც არსებობს ბოლოდროინდელი ცვლილებების მასშტაბსა და იტალიის პოლიტიკური სისტემის საგულისხმო სტაბილურობის განმსაზღვრელ ფაქტორებს შორის (მიუხედავად ყველა პრებლემისა და ფრაგმენტაციისა) პირველი რესპუბლიკის პერიოდში. ინსტიტუციონალური ინოვაციების ხანგრძლივ დეფიციტს თავისი საფუძვლები აქვს განსაკუთრებულ შიდა პოლიტიკურ კონფიგურაციაში, რომელიც ფაშისტური რეჟიმის ნგრევისა და საერთაშორისო სისტემის კონფიგურაციიდან წარმოიშვა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. იტალიაში ამ ორი ასპექტის შეხამებამ გამოიწვია, როგორც ინსტიტუციონალური სტრუქტურების ბლოკირება, ისე სიცოცხლისუნარიანი პოლიტიკური ალტერნატივების ნაკლებობა. პოლიტიკური სისტემის შიგნით არსებული პოლიტიკური დაძაბულობა მხოლოდ ადაპტაციის ნელი პროცესის მეშვეობით შეიძლებოდა დაძლეულიყო (შეზღუდული ჩართულობა), რამაც ინსტიტუციონალური სისტემის პოლიცენტრული ხასიათის აქცენტირება გამოიწვია. ეს იყო გადასახდელი ფასი გარკვეული კონსენსუსის უზრუნველსაყოფად.

ძველი წესრიგის ძირითადი საფუძვლების სერიოზული დასუსტების შემდეგ ახალმა სირთულეებმა იჩინა თავი, უფრო აშკარა გახდა იტალიური დემოკრატიის მიღწევებით უკმაყოფილება, რასაც მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელების საზოგადოებრივი მხარდაჭერა მოჰყვა. პოლიტიკური სისტემის ინოვაციების შემოტანის შეზღუდული შესაძლებლობის გამო ამ უკანასკნელის პოლიტიკური და ინსტიტუციონალური კონფიგურაციის მიზეზით, რომელიც ვეტოს უფლების მქონე ყველა პარტიას უწყობდა ხელს, ფუნდამენტური ცვლილებების განხორციელება შესაძლებელი იყო მხოლოდ არსებული სტრუქტურების მძიმე კრიზისის შემდეგ. სწორედ ეს მოხდა 1992-1994 წლებში: ახალმა შიდა და საგარეო გამოწვევებმა (ერთი მხრივ, საერთაშორისო კომუნიზმის დასასრული და დაჩქარებული ევროპული ინტეგრაცია და მეორე მხრივ, ფისკალური კრიზისი), ახალი პოლიტიკური აქტორების გამოჩენამ (ლიგიდან დაწყებული საარჩევნო რეფორმატორულ მოძრაობამდე), და თავად სახელმწიფო ორგანოებს შორის განსხვავებულმა ურთიერთობებმა (არნახული კონფლიქტით სასამართლო სისტემასა და პარტიულ ელიტებს შორის) პირველი რესპუბლიკის ყველაზე სტაბილური აქტორის, ტრადიციული მომხრეთა ელიტის დრამატული კრიზისი განაპირობა.

ამ კრიზისმა მნიშვნელოვან ტრანსფორმაციებს გაუკვალა გზა, მაგრამ მას მაშინვე არ განუსაზღვრავს დემოკრატიული მმართველობის ახალი და კარგად ჩამოყალიბებული ერთიანი სტრუქტურა. ინსტიტუციონალური სისტემის გადაფასებას რიგი ნაწილობრივი და ხშირ შემთხვევაში, არაჰარმონიული ტრანსფორმაციები და ნაკლებად გასაგები რეფორმა მოჰყვა. გარკვეული ცვლილებები კოორდინაციის ნაკლებობის გამო ადაპტაციას საჭიროებს და კონფლიქტებსა და დაძაბულობას წარმოშობს, რომელთა გადაჭრაც დღეისათვის რთულად წარმოჩნდება. ამავე დროს, წარსულის გამოცდილებისაგან განსხვავებით, ეს ნიშნავს, რომ იტალიაში თანამედროვე დემოკრატიული სისტემა უფრო დინამიურია და მოდერნიზების უნარს ავლენს. დღეისათვის ეს სისტემა უფრო მეტადაა გახსნილი ტრანსფორმაციის ახალი შესაძლებლობების გამოსაყენებლად.

ბიბლიოგრაფია

BUFACCHI, V. and BURGESS, S. (2001). *Italy 1989. Events and interpretations.* London: Palgrave.

COTTA, M. (1979), *Classe politica e parlamento in Italia,* Bologna Il Mulino.

COTTA and VERZICHELLI 2007, Political institutions in Italy, Oxford: Oxford University Press.

FARNETTI, P. (1985). *The Italian party system* (London: Pinter).

LA PALOMBARA, J. (1987)*Democracy Italian Style.* New Haven: Yale University Press.

MORLINO, L. (!((!). *Construire la democrazia. Partiti e interessi in Italia,* Bologna, Mulino.

PUTNAM, R.D. (1993). *Making democracy work. Civic traditions in modern Italy.* Princeton: Princeton University Press.

SARTORI, G. (!(*@), *Partiti e caso italiano,* Milano, Sugarco.

VERZICHELLI L. and M. COTTA (2000). „Italy: From „Constrained' Coalitions to Alterning Governments?" in W. Müller and K. Strøm, eds., *Coalition Governments in Western Europe.* Oxford: Oxford University Press, 433-97.

ZIBLATT, D.(2006), *Structuring the State: The Formation of Italy and Germany and the Puzzle of Federalism* (Princeton: Princeton University Press).

თავი XI

კვიპროსი

კალიოპე აგაპიუ-იოსეფიდესი

ერთიანი ცნება და არსებითი მრავალფეროვნება

ბროდელის წიგნი *„ერთიანი ცნება და არსებითი მრავალფეროვნება“*, რომელიც ხმელთაშუა ზღვის სივრცის[96] კომპლექსურ რეალობებს განიხილავს კვიპროსის რესპუბლიკაში არსებული რეალობების შესანიშნავ ილუსტრაციად გამოდგება. ამ რესპუბლიკის კონცეპტუალური ერთიანობა ძალზე განსხვავდება თავდაპირველი მრავალფეროვნებისგან და მის პოლიტიკურ სისტემასა და საზოგადოებასთან დაკავშირებული საჯარო განხილვებისგან. დინამიური ცნება, პოლიტიკური სისტემა, ამ კომპლექსურ რეალობას ასახავს და იმავდროულად, მის მიმოხილვას გვთავაზობს.

ევროპულ კონტექსტში ამ სისტემის ჩასმითა და შედარებითი პოლიტიკის მიდგომის გამოყენებით, ეს ქვეყანა მრავალ საინტერესო და იდეოსინკრაზიულ მახასიათებლებს წარმოადგენს. კვიპროსი არ განეკუთვნება არც ძველ დასავლურ დემოკრატიებს და არც ახალ პოსტკომუნისტურ დემოკრატიებს. მალტასთან ერთად, ის ბრიტანულ კოლონიალურ წარსულს იზიარებს. თუმცა, ყველა სხვა ევროპული ქვეყნისგან განსხვავებით, კვიპროსი კვლავაც განიცდის ცივი ომისა და პოსტკოლონიალური ტიპის სინდრომებს, კერძოდ კი უცხოეთის ოკუპაციის ქვეშ ყოფნისა და პოლიტიკური დაყოფის სინდრომებს. მის დედაქალაქ ნიქოზიას ევროპის უკანასკნელი გაყოფილი დედაქალაქის არსებობის სამწუხარო პრივილეგია აქვს.

როგორც ალენ ბროდელმა აღნიშნა, კვიპროსი *მყიფე ისტორიული ზონაა*: ყველა მსგავსი გეოგრაფიული ზონის მსგავსად, რომელიც სეისმურ საფრთხეს ექვემდებარება იმის გამო, რომ შეხებისა და ხახუნის წერტილს წარმოადგენს საპირისპირო მოძრაობების მქონე ტექტონიკურ შრეებს შორის, კვიპროსი მყიფე „ისტორიული ზონაა“, რადგან ამ რეგიონში მრავალი წელია, რაც აღმოსავლეთი და დასავლეთი ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდა და ერთმანეთს დაუპირისპირდა.[97]

ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთში თავისი სტრატეგიული მდებარეობის, მოცულობისა და შეზღუდული დემოგრაფიული სიდიდის გამო, კვიპროსი ყოველთვის იყო რეგიონითა და მის მიღმა მდებარე ტერიტორიებით დაინტერესებული სახელმწიფოებისთვის მიმზიდველი და იოლი სამიზნე.[98] გარდა ამისა, უცხოელი მმართველების ფიზიკური დასწრება და მათი ლეგალური და პოლიტიკური გავლენა მუდმივი ცვლადებია, რომლებსაც მნიშვნელოვანი შეხება ჰქონდათ კვიპროსელთა სისტემასა და პოლიტიკურ ცხოვრებასთან. კვიპროსის დამოუკიდებლობაზე გადასვლის შეთანხმების მონაწილეთა სახით, ბრიტანელებმა კვიპროსელი ხალხის თანხმობის გარეშე თავისთვის „სუვერენული ბაზები“ შეინარჩუნეს.

კვიპროსი დღესაც რჩება ეთნოპოლიტიკური საზღვრებით დაყოფილ ქვეყნად და საზოგადოებად. მისი ტერიტორიის ერთ მესამედზე მეტი თურქეთის მიერ იქნა დაპყრობილი და ოკუპირებული 1974 წლის ათენის ბერძნული სამხედრო ხუნტის სახელმწიფო გადატრიალების საპასუხოდ. ამ დროიდან მოყოლებული, დაპყრობილი ტერიტორია თურქული ჯარის კონტროლქვეშ დარჩა. 1983 წელს ის ცალმხრივი წესით, „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქულ რესპუბლიკად“ (RTCN) იქნა გამოცხადებული. ამ სახელმწიფოს არსებობა მხოლოდ თურქეთის მიერაა აღიარებული.

ყველა შერეული საზოგადოებების მსგავსად, კვიპროსი სერიოზულ სირთულეებს შეეჯახა ისეთი პრობლემატიკის მართვაში, როგორიცაა ნაციონალური იდენტობის, სუვერენიტეტის ან სახელმწიფოს ცნება.[99] დამოუკიდებლობის მიღებიდან თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ და ევროკავშირის წევრად გახდომის შემდეგადაც კი კვიპროსი კვლავაც „რესპუბლიკური სინთეზის“ ძიებაშია,[100] იმგვარი ზეერთობითი პოლიტიკური სისტემისა, რომელიც ქვეყანას ფუნქციონირებისა და შედეგად, ინტეგრაციისა და ხელახალი გაერთიანების შესაძლებლო-

---

96 „Unité de concept et diversité de faet;“ Fernand Braudel *La Mediterranée et le monde méditerranéen au temps de Philippe II*, ainsi que ses ouvrages ultérieurs.

97 Alain Blody (1998), *Chypre*, PUF, „Que sais-je?“, n° 1009.

98 Zervakis, Peter (1998) „Historische Grundlagen“ in Grothusen, Klaus-Detlev *et al.* (1998) „Zypern“, *Siidosteuropa-Handbuch*, Vandenhoöck & Ruprecht, Göttingen-Zurich, pp. 38-90.

99 Bahcheli, Tonzun (1998) „Domestic Political Developments“ in Grothusen, Klaus-Detlev *et al.* (1998), *op. cit.* p. 91.

100 Bernard Lacroix (1985) „Ordre Politique et Social“ in Madeleine Grawitz et Jean Leca (1985) *Traité de Science Politique*, Tome 1, Presses Universitaires de France, Paris, p. 517.

ბას მისცემს;[101] ბალანსი, რომელიც ქვეყანას *ბიკომუნალიზმის* რთული პრობლემის გადალახვაში დაეხმარება და არ უგულებელყოფს იმ ფაქტს, რომ ეს უკანასკნელი კვლავაც შესწავლის პროცესშია. ხელისუფლების ორგანოების კონტროლისა და ბალანის სისტემა ბერძნულ და თურქულ (მოსახლეობის დაახლოებით 80% და 18%) ერთობებს შორის კვიპროსში ძირითადად წარმოჩნდება ნებისმიერი სიცოცხლისუნარიანი პოლიტიკური სისტემისთვის. 1960 წლის კონსტიტუციის დიარქიულმა ხასიათმა ინტეგრაციულზე მეტად თავისი სეპარატისტული ბუნება გამოავლინა.

ამ კონტექსტში, გასაკვირი არაა, რომ კვიპროსელებმა[102] ბევრი ჩადეს თავიანთი ქვეყნის ევროპულ პერსპექტივაში, რომელიც მშფოთვარე ისტორიის მძიმე მემკვიდრეობიდან გამოსვლის საშუალებას იძლევა.

რეუნიმის დამკვიდრების ისტორიული გარემოებები

კონსტიტუციური მემკვიდრეობის უპირატესობა

კვიპროსელთა ასწლოვანი იმედები დამოუკიდებლობის მიღებასთან დაკავშირებით 1950-იანი წლების დასასრულის უფრო ფართო დეკოლონიზაციის კონტექსტში განხორციელდა თავისუფლებისთვის წარმოებულ ბრძოლაში ბრიტანელების წინააღმდეგ. 1960 წლის 16 აგვისტოს კვიპროსმა შეწყვიტა ბრიტანულ კოლონიად ყოფნა 11 და 17 თებერვლის ციურიხისა და ლონდონის მოლაპარაკებების შედეგად, რომელიც ძირითადად, გაერთიანებულ სამეფოს, საბერძნეთსა და თურქეთს შორის გაიმართა. ორი ერთობის წარმომადგენლები არ იყვნენ მიწვეულნი ციურიხის კონფერენციაზე, რომელმაც „კვიპროსის რესპუბლიკის კონსტიტუციის ზოგადი სტრუქტურა" განსაზღვრა. ლონდონში გამართულ კონფერენციაზე ამ წარმომადგენლებმა მხოლოდ მცირე როლი შეასრულეს თავიანთი ქვეყნის კონსტიტუციის მიღებაში. გარდამავალი პერიოდი, რომლის დროსაც ქვეყნის მომავალი დეტალურად იქნა განხილული ციურიხსა და ლონდონში, მოსალოდნელზე დიდხანს გაგრძელდა. დამოუკიდებლობის მიღების თარიღი მრავალჯერ იქნა გადავადებული მოლაპარაკებების მსვლელობისას წამოჭრილი სირთულეების გამო[103].

ახალი სახელმწიფოს პირველი პრეზიდენტი ეპისკოპოსი მაკარიოს III გახდა, ხოლო ვიცე-პრეზიდენტი ფაზილ ქუჩუკი. ისინი პირველი საპრეზიდენტო არჩევნების დროს იყვნენ არჩეულნი, რომელიც 1959 წლის 13 დეკემბერს რესპუბლიკის დაფუძნებამდე ჩატარდა.

კვიპროსის პოლიტიკური სისტემის ყველაზე თვალსაჩინო მახასიათებელი კონსტიტუციური მემკვიდრეობის უპირატესობაშია. „კვიპროსის რესპუბლიკის კონსტიტუციის ზოგადი სტრუქტურა" გარე დაინტერესებული სახელმწიფოების მიერ იყო ჩაფიქრებული, რომელთაც ამ კონსტიტუციას ურყევი ხასიათი მიანიჭეს და კვიპროსელებს აუცილებელ კომპრომისად წარუდგინეს დამოუკიდებლობის მისაღწევად. არ იქნა შემოთავაზებული არანაირი ადეკვატური კონსტიტუციური პროცესი და 1960 წლის კონსტიტუცია ძალაში შევიდა მისი ხელმოწერის შემდეგ სახალხო რატიფიკაციის პროცესის გაუვლელად. შეიძლება ითქვას, რომ კონსტიტუცია შემუშავდა, როგორც ერთ სისტემაში გაერთიანებული საერთაშორისო ხელშეკრულებების კომპლექსური მთლიანობის შემადგენელი ნაწილი და არა როგორც ჭეშმარიტი საკონსტიტუციო ტექსტი.

ზემოაღნიშნული კვიპროსის სახელმწიფო მშენებლობის პროცესის პირველი დარღვევაა, მეორე კი უცხოეთის სამი სახელმწიფოს მიერ გარანტის სტატუსის მითვისებაში მდგომარეობს. ფაქტობრივად, კვიპროსის დემოკრატიული რესპუბლიკა „არასრულყოფილი რესპუბლიკა" იყო.[104]

თავისი სტრატეგიული მდებარეობის გამო, დამოუკიდებლობის მიღწევა შესაძლებელი იყო მხოლოდ კარგად ჩამოყალიბებული უცხოეთის სტრატეგიული ინტერესების მხარდაჭერის ფასად. ამის შესანიშნავი ილუსტრაციაა გარანტიის ხელშეკრულებით გათვალისწინებული „გარანტი სახელმწიფოს" სტატუსი საბერძნეთის, თურქეთისა და გაერთიანებული სამეფოსთვის, ისევე როგორც ბრიტანეთის მიერ შენარჩუნებული „ბაზების სუვერენიტეტი." როგორც დაინა ვესტონმა აღნიშნა, ციურიხისა და ლონდონის შეთანხმემებით დადგენილი კვიპროსის რესპუბლიკის „არსებობის აზრი" მდგომარეობდა მეტოქე ტერიტორიული მოთხოვნებისა და პოლიტიკური ზრახვების თავიდან აცილებაში საბერძნეთისა და თურქეთის მხრიდან, რომელთა ურთიერთობები შეიძლება სახიფათოდ მადესტაბილიზებლად განვითარებულიყო.[105] ამგვარად, ქვეყანა სახელმწიფო მშენებლობის პრო-

---

101 Quermonne, Jean-Lous (1961) „Le problème de la Cohabitation dans les Sociétés Multiculturelles", *Revue Française de Science Politique*, Vol. 11, n° 1, p.58.

102 კონსტიტუციის მე-2 მუხლი ითვალისწინებს ბერძნული და თურქული ერთობის არსებობას.

103 Faustmann, Hubert (2006) „Independence Postponed : Cyprus 1959-1060" in Faustmann, Hubert & Peristianis, Nicos (eds) (2006) *Britain in Cyprus. Colonialism and Post-Colonialism 1878-2006*, Peleus, Band 19, Bibliopolis, Mannheim une Mühnesee, p. 413.

104 Xydis. Stephen (1973) *Cyprus : Reluctant Republic*, The Hague, Mouton.

105 Weston Markide, Diana, *op. cit.*, p. 1

ცესის დაწყებას შეეცადა, რომელიც უფრო მეტად ტერიტორიული მოთხოვნების პრევენციას ისახავდა მიზნად, ვიდრე ჭეშმარიტი კონსტიტუციური ჩარჩოსა და ფუნქციონალური სისტემის დაფუძნებას მოქალაქეთა ინტერესების შესაბამისად.

გარდა ამისა, დამოუკიდებლობის მიღებამდე ბევრად ადრე, მოქალაქეთა პოლიტიკური სოციალიზაცია პარალელურად და განცალკევებით მიმდინარეობდა და არა ერთობლივად. „საერთოს" ცნება „იდენტურს" არ ნიშნავს. ის უფრო მეტად საერთო ჩარჩოზე მიუთითებს, რომელიც თითოეულ ერთობას მეორეზე მეტის გაგების შესაძლებლობას აძლევს.

კვიპროსელმა თურქებმა და ბერძნებმა თავიანთი ნაციონალური იდენტობა ტრადიციული ორმხრივი ანტაგონიზმების და არა საერთო ინტერესების საფუძველზე განავითარეს. გარდა ამისა, ამ დიარქიული მახასიათებლით, ციურიხის შეთანხმებამ, შემდეგ კი კონსტიტუციამ, ერთი ერთობის პოლიტიკოსებს მეორე ერთობაში როლების არსებობის შესაძლებლობა არ მისცა. იატაკქვეშა ორგანიზაციებმა ეს ლოგიკა მოქალაქეთა ორგანიზაციებამდე გაავრცელეს. ტონზუნ ბაჰელი იხსენებს, რომ თურქ კვიპროსელთა იატაკქვეშა ჯგუფი (TMT) ატერორებდა და ზოგჯერ კლავდა AKEL-ის (კვიპროსის მშრომელთა პროგრესული პარტია) წევრ თურქ კვიპროსელებს ან ორივე ერთობის წევრებს.[106]

საბოლოოდ, სახელმწიფო მშენებლობის პროცესი განვითარდა არა ქვემოდან ზემოთ, მოქალაქეთა ჩართვით, არამედ პირიქით, ის უცხოეთის ქვეყნების მიერ იყო ნაკარნახევი კომპლექსური საერთაშორისო ხელშეკრულებების ერთობლიობაში. ამ ტიპის ტექსტში შესწორებების შეტანის თანმხლები სირთულეები სერიოზულად ზღუდავს კვიპროსელი ხალხის კონსტიტუციურ უფლებებს. ამიტომაც, ახალ გარემოებებთან ადაპტაციის შესაძლებლობა დინამიურ საზოგადოებაში, სერიოზულად შეზღუდულია.

უცხოეთის კონტროლითა და კლიანტელიზმით გამობრძმედილი პოლიტიკური კულტურა

კვიპროსელ ხალხს ნაკლებად ჰქონდა პოლიტიკური სისტემის არჩევანისა და განვითარების კონტროლის შესაძლებლობა. უცხოეთის დომინანტობამ გავლენა იქონია პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ინტერაქციაზე. ამას ორი ძირითადი შედეგი ჰქონდა, რომელიც პოლიტიკურ კულტურასა და ხალხის ცხოვრებას მოიცავს.

პირველ ყოვლისა, უცხოეთის კონტროლმა პოლიტიკურ და სოციალურ ძალებს ერთად ცხოვრებისა და მართვის სწავლის შესანიშნავი შესაძლებლობა ჩამოართვა, როგორც სახალხო, ისე ელიტების დონეზე. აღნიშნული არ ნიშნავს, რომ ამ ორ ერთობას არავითარი პასუხისმგებლობა არ აკისრია არსებულ სიტუაციაზე. პირიქით, XX საუკუნის განმავლობაში კუნძულის ორ ძირითად ერთობას შორის უფრო მეტად ანტაგონისტური ნაციონალიზმის განვითარებამ სივრცე არ დაუტოვა *რესპუბლიკური სინთეზისკენ* მიმართულ ევოლუციას, რომელიც ახალ სახელმწიფოს ზეერთობით დონეზე ფუნქციონირების შესაძლებლობას მისცემდა.[107]

მეორე, უცხოეთის ხანგრძლივმა დომინანტობამ და გარე აქტორთა მნიშვნელოვანმა ჩართულობამ სახელმწიფო მშენებლობის პროცესში ხალხსა და პოლიტიკოსებში იმის რწმენას შეუწყო ხელი, რომ ნაციონალურ პოლიტიკურ არენას საერთაშორისო აქტორთა მიერ გაკეთებული ფუნდამენტური არჩევანის შენაცვლების არავითარი შანსი არ ჰქონდა. ამიტომაც, მიუხედავად დიდი ეროვნული სიამაყისა, პატარა და ძალაუფლების გარეშე მყოფი სახელმწიფოს პოლიტიკური კულტურა სიღრმისეულად დამკვიდრდა. ეს უკანასკნელი კვიპროსის თანმხლებია, როგორც დამოუკიდებლობის მიღების, ისე ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგაც. ამ მენტალურმა მოდელმა ასევე პოლიტიკური პროცესები მოიცვა ნაციონალურ დონეზე იმგვარი ტიპის მოქალაქეების ჩამოყალიბებით, რომლებიც ფართოდ ეყრდნობიან კლიანტელისტურ ურთიერთობებს თავიანთი უფლებების დაცვისა და ინტერესების გასატარებლად. ეს ნაწილობრივ განმარტავს პოლიტიკურ ელიტასა და მოქალაქეებს შორის ძველი კლიანტელისტური ურთიერთობების მოდელების გამარჯვებას განსაკუთრებით, დამოუკიდებლობის მიღების პირველ წლებში, როდესაც სახელმწიფო ინსტიტუტები სუსტი იყო და მოქალაქეთა პოლიტიკურ და სოციალურ მოთხოვნებს ვერ პასუხობდა.

დამოუკიდებლობისკენ მიმავალმა გარდამავალი პერიოდის მოდელმა და დემოკრატიამ ღრმა კვალი დატოვა თანამედროვე კვიპროსის დემოკრატიის განვითარებაზე. სავარაუდოთ, 1974 წელს თურქეთის შემოჭრამ ყველა სხვა მოვლენაზე მეტად იქონია გავლენა კვიპროსის პოლიტიკაზე. ამ უკანასკნელმა კვიპროსელთა უმრავლესობაში გაყოფის სულისკვეთება გაამყარა. ის სახალხო შეგნებაში ეროვნულ დამცირებასა და უცხოეთის სახელმწიფოების მუდმივ დომინანტობასთან ასოცირდებოდა. ეს პოლიტიკა ნაციონალური დებატების თემა გახ-

106 Bahcheli, Tonzun (1998) „Domestic Political Developments" en Grothusen, Kalus-Detlev et al. (1998) „Zypern", Südosteuropa-Handenhoeck & Ruprecht, Götingen-Zürich, p. 97.

107 კვიპროსის ნაციონალიზმთან დაკავშირებით იხ. :Michael Attalides (2003) „Cyprus : Nationalism and International Politics", Peleus, Band 18, Bibliopolis, Mannheim und Möhnesee.

და და ერთადერთ პრობლემას წარმოადგენდა, რომელმაც ყველა იდეოლოგიური მიმართულების პოლიტიკოსებსა და მოქალაქეებს მოქმედებისკენ უბიძგა. ამგვარად, მან ყველა სხვა დებატი დაჩრდილა.

თურქი კვიპროსელები ამ პოლიტიკას სრულიად განსხვავებულ, ეროვნულ სიამაყესთან გაიგივებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ისტორიამ გვიჩვენა, რომ კონტინენტზე მცხოვრებ თურქებსა და კვიპროსელ თურქებს შორის თანაარსებობა რთულია ძირითადად, კულტურული განსხვავებებისა და ამ ზონის მილიტარიზაციის მაღალი დონის გამო.[108]

ქვეყნის კონსტიტუციური მემკვიდრეობის მნიშვნელობის განხილვის შემდეგ, მართებული იქნება კონსტიტუციური განვითარების განხილვა. კონსტიტუციაში შესწორებების შეტანა თითოეული ერთობის წარმომადგენლების არანაკლებ 2/3-ის უმრავლესობით მიიღწევა, „ფუნდამენტური მუხლების გამოკლებით, რომელთა შეცვლაც ნებისმიერი უმრავლესობის შემთხვევაშიც შეუძლებელია". მთლიანობაში, არ შეიძლება 48 მუხლის შეცვლა მთლიანად ან მისი ზოგიერთი პარაგრაფისა (ებისა).[109] კონსტიტუციაში ამ სიხისტის არსებობისა და იმ ძალისხმევის გამო, რომელიც თურქულ ერთობაში ისედაც დაძაბული ურთიერთობების გაუარესების თავიდან აცილებისთვისაა გამიზნული, როგორც მთავრობა, ისე წარმომადგენელთა პალატა ყოველთვის ერიდებოდა კონსტიტუციის დებულებებში ცვლილებების შეტანას. თავიდანვე განცალკევებული უმრავლესობის 2/3-ის მიღწევისას, შემოტანილი შესწორებები აშკარად მიუთითებდა გადაუდებელი აუცილებლობის კანონზე, რომელიც წარმომადგენელთა პალატას არაფუნდამენტურ მუხლებში შესწორებების შეტანის შესაძლებლობას აძლევდა. ეს ცვლილებები ხაზს უსვამდა ბოროტი განზრახვის არარსებობას თურქ კვიპროსელთა ერთობის ინტერესთა მიმართ.

არსებობს საკონსტიტუციო შესწორებების ორი კატეგორია. პირველი თანამედროვე სოციალური საჭიროებებიდან მომდინარეობს, ხოლო მეორე ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებული ვალდებულებიდან. პირველი სამი შესწორება პირველ კატეგორიას განეკუთვნება, ორი დანარჩენი კი მეორეს. პირველი შესწორება 111-ე მუხლში 1989 წელს იქნა შეტანილი. ის ოჯახის მოდერნიზაციის კანონს ეხებოდა და მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენდა სეკულარული სახელმწიფოს კომპეტენციების გაძლიერებისთვის, რომლებიც სხვადასხვა რელიგიურ დაწესებულებებს ჰქონდა მინდობილი „ბერძნული ერთობის" იურისდიქციის ქვეშ. 1996 წელს მიღებული მეორე შესწორება თვრამეტ წელს მიღწეულ მოქალაქეებს ხმის მიცემის უფლებას აძლევდა წინათ დადგენილი ოცდაერთი წლის ნაცვლად. ასევე 1996 წელს მიღებული მესამე შესწორება წარმომადგენელთა პალატას წარმომადგენლის ყველა ვაკანტური თანამდებობით უზრუნველყოფას ავალდებულებდა 45 დღის ვადაში.

2002 წელს მიღებული მეოთხე შესწორება ცენტრალური ბანკის მმართველის დანიშვნას ეხებოდა და ამგვარად, ამ ინსტიტუტის დამოუკიდებლობას უზრუნველყოფდა აღმასრულებელი ხელისუფლების პირისპირ, რომელიც ევროპის ცენტრალური ბანკების სისტემის მოთხოვნებთანაა თანხვედრაში. დაბოლოს, 2006 წელს შეტანილი მეხუთე შესწორება ევროკავშირში გაწევრიანებიდან მომდინარე ექსტრადიციის კანონებს განიხილავდა.

2004 წელს წარმოდგენილი კვიპროსელთა პრობლების სრულ გადაჭრასთან დაკავშირებული გაეროს გეგმა, რომელიც *ანანის გეგმის* სახელწოდებითაა ცნობილი და 2006 წლის 26 აპრილის რეფერენდუმზე იქნა გატანილი საერთაშორისო თანამეგობრობის ყველაზე მნიშვნელოვან ძალისხმევას წარმოადგენს. თუმცა, ამ რეზოლუციას ჭეშმარიტად არ მოუცავს რომის მამების მიერ წარმოდგენილი კონსტრუქცია.[110]

ძველი სამართალდარღვევებისა და კონსტიტუციური უჩვეულობების გაგრძელების ფაქტმა და გარანტი სახელმწიფოების სტატუსმა შეუძლებელი გახადა ვერც ორივე ერთობის თანხმობის მიღწევა და ვერც ხელახლა გაერთიანებული კვიპროსის ევროკავშირში მიღება.[111]

„მრავალფეროვნების ერთიანობის" და არა „melting-pot"-ის[112] მოდელზე აგებულმა ევროპულმა ინტეგრაციამ აშკარად გაუკვალა გზა კვიპროსის ინტეგრაციისა და ხელახალი გაერთიანების ახალ პერსპექტივებს.

ქრისტიან რუმფი აღნიშნავს, რომ „არც ერთი კონსტიტუციური და კანონიერი წესრიგის აღწერა არაა იმდენად რთული, როგორც ეს კვიპროსის შემთხვევაშია."[113] აღსანიშნავია, რომ შეუძლებელია 1960 წლის კონსტიტუციის ყველა დებულების თავდაპირველად ჩაფიქრებულის მსგავსად გამოყენება 1964 წლიდან კვიპროსელი

---

108 Alfonso Cuco Report to the Council of Europe Parliamentary Assembly on the „Demographic Structure of Cyprus" (Doc. 6589, 27 avril 1992).

109 182-ე, 3. მუხლი იხ. დანართი III (კონსტიტუციის ფუნდამენტური მუხლების სია).

110 Potier, Tim (2007) *A Functional Cyprus Settlement : the Constitutional Dimension*, Peleus, Band 38, Verlag Franz Philipp Rutzen, Manheim und Möhnesee, p. 12.

111 Agapiou-Josephides, Kalliope (2006) „Le plan du Secrétaire Général de l'ONU á l'épreuve de l'exercice communautaire", p. 72 2n Agapiou-Josephides, Kalliope & Rossetto, Jean (éd) (2006) „L'adhésion de Chypre à l'Union Européenne, Analyses et Perspectives", Bruxelles, Bruylant.

112 მულტიკულტურალიზმის მოდელი

113 Rumpf, Christian (1998) „Versassung und Recht" en Grothusen, Klaus-Detlev et al. (1998) *op.cit.*, p. 155.

თურქების მიერ ყველა არჩევითი და ოფიციალური პოზიციების დატოვების გამო. ამის შედეგად, ვიცე-პრეზიდენტის პოსტი (სიმბოლურად და პოლიტიკურად მეტად საგულისხმო მნიშვნელობის მატარებელი) დღემდე ვაკანტური რჩება. ამგვარად, გადაუდებელი აუცილებლობის კანონის გამოყენება გარდაუვალი გახდა სახელმწიფოს ფუნქციონირებისთვის. 1964 წლიდან ამ კანონის ნახვა შესაძლებელია უზენაესი სასამართლოს იურისპრუდენციაში .[114]

პოლიტიკური რეალობის კომპლექსურობა ასევე ევროკავშირში გაწევრიანების ხელშეკრულებაშია ასახული კერძოდ, №3 და №10 ოქმებში. პირველი მიუთითებს კვიპროსის „სამხედრო ზონების" სპეციალურ სტატუსზე გაერთიანებული სამეფოსა და ჩრდილოეთ ირლანდიის სუვერენიტეტის ქვეშ თანამეგობრობის მიღწევების ცხოვრებაში გატარების მიზნით.

მიუხედავად იმისა, რომ მომლაპარაკებელი მხარეები კვლავაც ამტკიცებენ „თავიანთ ანგაჟირებას კვიპროსული პრობლემის სრული გადაჭრისა" და კვიპროსის ყველა მოქალაქისთვის ევროკავშირში გაწევრიანებით სარგებელის გამოტანის საკითხში, ოქმი №10 მიუთითებს იმაზე, რომ მიღწეულის გამოყენება უნდა შეჩერდეს იმ რეგიონებში, რომლებშიც კვიპროსის რესპუბლიკა შესაბამის კონტროლს ვერ ანხორციელებს (მუხ. 1). ასევე, ევროკომისიის წინადადების საფუძველზე, ევროსაბჭომ ერთხმად უნდა გადაწყვიტოს პირველ პარაგრაფში აღნიშნული შეჩერების დასრულების საკითხი (მე-2 მუხ.). გარდა ამისა, ორ ერთობას შორის გამყოფი ხაზი, რომელიც „მწვანე ხაზის" სახელითაა ცნობილი, მართული უნდა იქნეს ევროსაბჭოს რეგულაციის № 866/2004 რეზოლუციის თანახმად.

აღმასრულებელი ხელისუფლება: ძლიერი პრეზიდენტი

კვიპროსის პოლიტიკური რეჟიმი საპრეზიდენტო მმართველობას წარმოადგენს. შეიძლება ითქვას, რომ ამ რესპუბლიკის პრეზიდენტები თავიანთ ძალაუფლებას უფრო მეტად მონარქიული ფორმით აღასრულებდნენ. აღნიშნულს მრავალმა ფაქტორმა შეუწყო ხელი: პირველი პრეზიდენტის ძლიერი პიროვნული თვისებები და ქარიზმატულობა, პრეზიდენტის დამოუკიდებლობა პარლამენტთან მიმართებაში, ამ უკანასკნელის სისუსტე და კვიპროსული პრობლემის გადაუჭრელი ხასიათი.

პრეზიდენტი ნიშნავს მინისტრთა საბჭოს წევრებს (მუხ. 36-ე და მე-60) და ერთად, ისინი მთავრობის ფორმირებას ახდენენ. აღნიშნულ საბჭოს პრეზიდენტი უდგას სათავეში, მაგრამ არა აქვს მასში კენჭისყრის უფლება. აღმასრულებელი ხელისუფლების აღსასრულებლად პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის „განკარგულებაში უნდა იყოს შვიდი ბერძენი და შვიდი თურქი მინისტრისგან შემდგარი მინისტრთა საბჭო." 46-ე მუხლი ხაზს უსვამს, რომ საგარეო საქმეთა, თავდაცვისა ან ფინანსთა მინისტრის თანამდებობა თურქ კვიპროსელს უნდა ეკავოს (. . .).

პრეზიდენტს, ისევე როგორც ვიცე-პრეზიდენტს, საბოლოო ვეტოს უფლება აქვთ წარმომადგენელთა პალატის ყველა კანონსა და გადაწყვეტილებაზე, რომელიც ეხება a) საგარეო საქმეებს, b) თავდაცვასა და c) უსაფრთხოებას (მოხსენიებული 50-ე მუხლში).

კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტი სახელმწიფოს მეთაურია, რომელსაც პირველობა ენიჭება რესპუბლიკის ყველა სხვა პიროვნებებთან მიმართებაში (მუხ.36.1). გარდა ამისა, სახელმწიფო მეთაურის რანგში, პრეზიდენტი რესპუბლიკას წარმოადგენს ყველა თავის ოფიციალურ ფუნქციებში (37-ე მუხ.)

დიარქიულ კონცეფციასთან შესატყვისობაში, ბერძენი პრეზიდენტი და თურქი ვიცე-პრეზიდენტი არჩეულნი არიან შესაბამისი ერთობებით ფარული და პირდაპირი საყოველთაო არჩევნებით, რომელიც ორივე ერთობისთვის ერთ დღესაა დანიშნული. 1959 წელს ადგილი ჰქონდა ორივე ერთობისთვის ორგანიზებულ ერთადერთ საარჩევნო პროცესს. 1960-იანი წლების დასაწყისის კონსტიტუციური კრიზისის გამო ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობა ვაკანტური დარჩა.

ურთიერთობები პარლამენტთან

პრეზიდენტისა და წარმომადგენელთა პალატის წევრთა პირდაპირი წესით არჩევისა და ორივე ინსტიტუტის თანაბარი ტიპის ლეგიტიმურობით სარგებლობის გამო, სისტემა ორმაგი წარმომადგენლობის ხასიათს ატარებს. თუმცა, ეს მთავრობას ხელს არ უშლის დომინანტურ ფაქტორს წარმოადგენდეს პარლამენტთან ურთიერთობაში.

თანამედროვე დემოკრატიებში საპარლამენტო ძალაუფლების დასუსტებისა და ევროკავშირის წევრი-სახელმწიფოს სტატუსტთან დაკავშირებული გარკვეული ფაქტორების გარდა, რომელიც ნაციონალური პარლამენტების როლს ამცირებს, კვიპროსის წარმომადგენელთა პალატას თავისი სისუსტეები აქვს. მოქმედ პოლიტიკურ სისტემაში საპარლამენტო არჩევნები მთავრობის შემადგენლობას არ განსაზღვრავს. ამგვარად, პრეზიდენტს

114 Imbrahim, (1964) CLR 195; Josephides, Christos (2002) „Cyprus" : La constitution de Chypre face au débat constitutionnel dans l'Union Européenne", FIDE Congress, London, London 2002, p. 72.

შეუძლია მინისტრთა საბჭოს არჩევა პარლამენტის შემადგენლობისგან დამოუკიდებლად და თავისი მანდატის ამოწურვამდე ამ უკანასკნელის ნდობით სარგებლობის გარეშე მართვა მიუხედავად იმისა, რომ წარმომადგენელთა პალატა პრეზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტს უფლებამოსილებებს გადასცემს.

საკანონმდებლო წინადადებები

მიუხედავად იმისა, რომ მთავრობასა და პარლამენტს საკანონმდებლო წინადადებების შემოტანა შეუძლია, თითქმის ყველა საკანონმდებლო აქტი მთავრობის მიერაა ინიცირებული.

ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ 2001-2004 წლებში მთავრობის მიერ ინიცირებული საკანონმდებლო აქტების რაოდენობის ზრდა პირდაპირ კავშირშია ევროკავშირში მოსალოდნელ გაწევრიანებასთან დაკავშირებულ ჰარმონიზაციასთან.

სქესთა შორის ბალანსის ნაკლებობა აღმასრულებელ შტოში

ამ ტიპის პრობლემატიკა ნაკლებად მნიშვნელოვნად წარმოჩნდება კლასის, განათლებისა ან რელიგიის პრობლემატიკასთან მიმართებაში. მიუხედავად იმისა, რომ დროთა განმავლობაში ეს განზომილება უფრო კომპლექსური გახდა, მან ჯერჯერობით ვერ მიაღწია საკმარის მნიშვნელობას არც დემოკრატიულობის დეფიციტისა და არც პოლიტიკურ დღის წესრიგში პრიორიტეტულ საკითხად გახდომის თვალსაზრისით.[115] იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ქალები ელექტორატის ნახევარს შეადგენენ, სიტუაციები, როდესაც ქალების პოლიტიკური მონაწილეობა 20%-ს აღემატება იშვიათია. აშკარაა, რომ კვიპროსი ხმელთაშუა ზღვის სივრცის მოდელს[116] მიეკუთვნება. ეს უკანასკნელი პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა ჩართულობის დაბალი პროცენტით ხასიათდება საკანონმდებლო ჩარჩოში გარკვეული დისკრიმინაციული დებულებების არსებობისა და ტრადიციული ბარიერების სიმტკიცის გამო, რომლებიც ბლოკირებას უკეთებს ქალებისთვის შესამჩნევი და დიდი მნიშვნელობის მქონე პოზიციების მიღწევას.

დაბალანსებული მონაწილეობისკენ გზა გრძელი იქნება.[117] ნებისმიერ შემთხვევაში, უკანასკნელ ათწლეულში ადგილი ჰქონდა ქალების დანიშვნას მაღალ პოლიტიკურ თანამდებობებზე. გარდა ამისა, საჯარო სამსახურში ქალების მიერ დაკავებული ოფიციალური მნიშვნელოვანი თანამდებობების პროცენტი 1995 წელს 5%-ით, ხოლო 2003 წელს 28,81%-ით გაიზარდა.

2007 წელს იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშავა ძალზე დეტალური „2007-2013 წლების ნაციონალური გეგმა მამაკაცებსა და ქალებს შორის თანასწორობისთვის".

პარლამენტი

დღემდე, მიუხედავად თვალყურის გადევნების შესაძლებლობის შეზღუდვისა აღმასრულებელი ხელისუფლების სასარგებლოდ, პარლამენტები კვლავაც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. როგორც ფილიპ ნორტონმა აღნიშნა, პარლამენტებს არაუგულებელსაყოფელი სიმბოლური როლი აქვთ. ადამიანებს უნდა ჰქონდეთ იმის შეგრძნება, რომ ისინი დემოკრატიულად იმართებიან, პარლამენტის მიერ კანონმდებლობის განხილვა მისი რეალური ძალაუფლების ხარისხზე უფრო მნიშვნელოვანია.[118]

კვიპროსის შემთხვევაში, საპრეზიდენტო რეჟიმმა პარლამენტის როლი შეზღუდა და ერთობათაშორისმა დებატებმა არაპირდაპირი გავლენა იქონია არსებულ მდგომარეობაზე. კონსტიტუცია ხელისუფლების მკაცრ დაყოფას ითვალისწინებს. აღმასრულებელი ხელისუფლება პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტისა და მინისტრთა საბჭოს ხელშია, საკანონმდებლო ხელისუფლება პარლამენტის მიერ ხორციელდება, ხოლო საერობო პალატებისა და სასამართლო ხელისუფლების უფლებამოსილებების შესრულება რესპუბლიკის სასამართლოებს ეკისრებათ.

---

115 Republic of Cyprus (2005), „Cyprus National on the Implementation of the Beijing Platform for Action (1995) and the outcome of the twenty-third Special Session of the General Assembly (2000)", Nicosie.

116 States, „Cyprus", *Journal of Greek Political Science*, Vol. 11. pp. 138-149 (en Grec).

117 Agapiou-Josephides, Kalliope (2004) „Women and Politics in Cyprus. The long Way to Politics in a European Perspective" en Hoecker B. und Fuchs G., *Handbook of Political Participation of Women in Europe*, Volume II : The Candidate Countries, VS Für Sozialwissenschaften, Wiesbaden, pp. 245-258 (en Allemand) : (Agapiou-Josephides Kalliope (2004) „Frauen und Politik in Zypern – Der Lange Weg in die Politik und die Europaische Perspektive", in Hoecker B., und Fuchs G. Handbuch Politische Partizipation von Frauen in Europa, Band II : Die Beitrittsstaaten", VS Für Sozialwissenschaften, Wiesbaden, pp. 245-258).

118 Norton, Philipp (1990) „conclusion : Legislature in Perspective" en Norton, Philipp, *Parliaments in Western Europe*, London, Frank Cass, pp. 143-152.

ხუთწლიანი მანდატის მქონე წარმომადგენელთა პალატა საყოველთაო, პირდაპირი, ფარული და სავალდებულო ხმის მიცემითაა არჩეული. ამ პალატის მემკვიდრეობა მჭიდროდაა დაკავშირებული ქვეყნის დრამატულ პოლიტიკურ განვითარებასთან. 1963 წლის მოვლენებისა და თურქი კვიპროსელების წარმომადგენელთა პალატიდან შემდგომი გასვლის გამო, 1965 წლის ივლისის საპარლამენტო არჩევნების ჩატარება მხოლოდ 1970 წლის ივლისში მოხერხდა. სახელმწიფო გადატრიალებას, 1974 წელს თურქეთის შემოჭრასა და ოკუპაციას შედეგად არჩევნების ახალი გადავადება მოჰყვა 1976 წლის 5 სექტემბრისთვის.

კონსტიტუციის თანახმად, წარმომადგენელთა რაოდენობა ორმოცდაათს უნდა შეადგენდეს „იმ შემთხვევაში, თუკი ეს რაოდენობა წარმომადგენელთა პალატის მიერ არაა შეცვლილი" (მუხ. 62.1). 1985 წელს ამ პალატამ წარმომადგენელთა რაოდენობის 80-მდე გაზრდა გადაწყვიტა ნაციონალური პარლამენტის საქმიანობის გაზრდისა და საერთაშორისო ვალდებულებების მიზეზით. კონსტიტუციით გათვალისწინებული 70/30 თანაფარდობის დასაცავად, 56 პარლამენტარი ბერძნულ ერთობას უნდა აერჩია, 24 პარლამენტარი კი თურქულს. ორივე ერთობისთვის კონსტიტუციით გათვალისწინებული გაყოფილი უმრავლესობის გამო, პარლამენტართა რაოდენობის შეცვლის გადაწყვეტილება მიღებული იქნა გადაუდებელი აუცილებლობის კანონის გამოყენებით.

კონსტიტუცია არ ითვალისწინებს არც სპეციფიკურ საარჩევნო სისტემას და არც საარჩევნო ოლქებს. წარმომადგენელთა პალატამ კანონით მკაცრი რეგულაციები მიიღო ამ საკითხთან დაკავშირებით. 1979 წლამდე მაჟორიტარული სისტემა არსებობდა, რომელიც კვალიფიციური პროპორციული წარმომადგენლობით (კანონი 72/1979) შეიცვალა, შემდეგ კი მარტივ პროპორციულ წარმომადგენლობასთან ახლოს მდგომი სისტემით (კანონი 11/1996).

დადგინილი იქნა პარლამენტართა ზოგადი მახასიათებელი სოციალურ-ეკონომიკური ჯგუფების დიდი უმრავლესობის წარმოდგენის (ადვოკატები, ბუღალტრები, ექიმები) გამო. სამაგიეროდ, ნაკლებადაა წარმოდგენილი 30 წელს ქვემოთ ახალგაზრდები ან ქალები.

წარმომადგენელთა პალატის ძირითად ფუნქციებში შედის საკანონმდებლო საქმიანობა, მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტს ამ პალატისთვის ნებისმიერი კანონის ხელახლა გადაგზავნის უფლება აქვს ახალი განხილვისთვის (51– მუხ.).

აღნიშნულ პალატას ასევე აქვს მთავრობაზე საპარლამენტო კონტროლის უფლება, მაგრამ ის სუსტია და არაეფექტური მრავალი ფაქტორის გამო: სუსტი ადმინისტრაციული ინფრასტრუქტურა, თავად საპრეზიდენტო რეჟიმის ხასიათი, პრეზიდენტის არსებობით გამყარებული პოლიტიკური კულტურა, რომლის ძალაუფლება არაა ეჭვს ქვეშ დაყენებული და მომხრეთა გადაჭარბებული ლოიალობა.

თუკი სხვა დემოკრატიულ რეჟიმებში საბიუჯეტო დებატები და საგარეო პოლიტიკა შეიძლება პარლამენტების როლის განსაზღვრის ბარომეტრად გამოდგეს, კვიპროსის კონსტიტუცია განზრახ ზღუდავს პარლამენტის როლს ამ კუთხით. ამგვარად, „ბიუჯეტის მომატებასთან დაკავშირებული არც ერთი კანონპროექტი არ შეიძლება იქნეს შემოტანილი პარლამენტარის მიერ" (მუხ. 80.2). ასევე, ერთობების პრობლემის არსებობის გამო, საგარეო საქმეთა საკითხები უმრავლეს შემთხვევაში, აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურს აქვს მინდობილი.

მეზეის ორგანზომილებიან ტიპოლოგიასთან შესატყვისობაში პარლამენტების გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებასა და საზოგადოებრივ მხარდაჭერასთან მიმართებაში, კვიპროსის პარლამენტი აშკარად ჯდება მინიმალურ პარლამენტსა და მარგინალურ პარლამენტს შორის არსებულ სპექტრში. ზოგადად, კვიპროსის პარლამენტს მთავრობის პოლიტიკაზე გავლენის მოხდენა არ შეუძლია მყიფე სამთავრობო კოალიციის არსებობის შემთხვევაშიც კი.

კვიპროსის პარლამენტში არსებული პარტიული ნიშნით მიმხრობის სიმტკიცე და ხმის მიცემის დისციპლინა ერთ-ერთი ყველაზე მაღალია ევროპაში.

ცხრილი №1: წარმომადგენელთა პალატის რეზოლუციები – 1960-2000 წწ.

წარმომადგენელთა პალატის რეზოლუციები – 1960-2000 წწ.		
თემა	მიღებული რეზოლუციების რაოდენობა	მხარდამჭერი კენჭისყრა
კვიპროსული პრობლემა	42	90,46
საერთაშორისო პოლიტიკის პრობლემები	37	81,08
კვიპროსი და საერთაშორისო ორგანიზაციები	12	41,67
შიდა პრობლემები	45	71,11

წყარო: კვიპროსის რესპუბლიკის წარმომადგენელთა პალატა (2000 წ.), 1960-2000 წლების რეზოლუციები, ნიკოზია.

ცხრილი №2 : საპარლამენტო არჩევნების შედეგები – 1960-2000 წწ.

	1960 წ.	1970 წ.	1976 წ.	1981 წ.	1985 წ.	1991 წ.	1996 წ.	2001 წ.	2006 წ.
ADHK	=	=	=	=	=	=	=	2,16	=
ADHSOK	=	=	=	=	=	2,39	1,44	=	=
AKEL	38	34,8	30,6	32,7	27,4	30,6	32,9	34,7	31,1
DIKO (თავდაპირველად DIPA)	=	=	3,1	19,5	27,6	19,5	16,4	14,8	17,9
DEK	=	6,79	25,6	=	=	=	=	=	=
DISY	=	=	=	31,87	33,5	35,8	34,4	34	30,3
EDEK	=	12	10,6	8,16	11,0	10,9	8,12	6,51	8,91
ENIAION	=	20	=	=	=	=	=	=	=
ENOSIS KENTROU	=	=	=	2,74	=	=	=	=	=
EURODI	=	=	=	=	=	=	=	=	0,44
EUROKO	=	=	=	=	=	=	=	=	5,57
KED//EDI	=	=	=	=	=	=	3,69	2,59	1,56
KEP	=	=	=	=	=	=	=	=	1.22
KOP	=	=	=	=	=	=	1,01	1,98	1,95
LASOK	=	=	=	=	=	=	=	=	0,23

ADHSOK – AKEL – კვიპროსის მშრომელთა პროგრესული პარტია; DIKO– დემოკრატიული პარტია; DEK – ნაციონალ-დემოკრატიული პარტია; DISY – დემოკრატიული კრება; EDEK – სოციალ-დემოკრატთა მოძრაობა; ENIAION – გაერთიანებული პარტია; ENOSIS KENTROU – კვიპროსელ ბერძენთა მოძრაობა საბერძნეთთან გაერთიანებისთვის; EURODI – ევროპული დემოკრატიის პარტია; EUROKO – ევროპული პარტია; KED/EDI – ლიბერალური პარტია; KEP – ცენტრისტულ-მემარჯვენე პარტია; KOP – მწვანეთა პარტია;

	1960 წ.	1970 წ.	1976 წ.	1981 წ.	1985 წ.	1991 წ.	1996 წ.	2001 წ.	2006 წ.
NEDHPA	=	=	=	1,91	=	=	=	=	=
NE.0.	=	=	=	=	=	=	1,71	3	=
PAME	62,92	=	=	2,78	=	=	=	=	=
PAKOP	=	=	=	=	=	=	0,55	=	=
POKOK	=	=	=	=	=	=	=	=	0,26
PROP	=	11,9	=	=	=	=	=	=	=

NEDHPA-ევროპული დემოკრატიის ჩამოყალიბებისთვის; PAME-პანკიპრიოტთა განახლებული ფრონტი; PAKOP– დევნილთა მოძრაობა;

წყარო: www.eklektor.com. & Zavou, Soula, 2002 p. 547-549

ნიშანი: – არავითარი მონაწილეობა

ზემოთ მოყვანილი ცხრილა გვიჩვენებს პოლიტიკური პარტიების მონაწილეობას საპარლამენტო არჩევნებში 1960 წლიდან. კვიპროსის პარტიული ნიშნით მიმხრობის პეიზაჟი შეიძლება დახასიათდეს როგორც *ბიპოლარული მრავალმხრეობითი სისტემა* AKEL-თან (კვიპროსის მშრომელთა პროგრესული პარტია) და DISY-სთან (დემოკრატიული კრება) ერთად ორი ყველაზე მნიშვნელოვანი პოლუსის სათავეში, მათ შემდეგ კი DIKO (დემოკრატიული პარტია) და EDEK-ი (სოციალ-დემოკრატთა მოძრაობა) რომლებსაც საგრძნობი პროცენტული მაჩვენებელი აქვთ და მნიშვნელოვან როლს თამაშობენ კოალიციების ფორმირებაში. ერთადერთი პარტია, რომელიც არჩევნებში 1960 წლიდან მონაწილეობდა AKEL-ი იყო. EDEK-მა პირველად არჩევნებში მონაწილეობა 1970 წელს მიიღო, რომელსაც 1976 წლიდან DISY და DIKO დაემატა. წლების განმავლობაში ბევრი პატარა პოლიტიკური პარტია შეიქმნა და დაიშალა (...). რთულმა პოლიტიკურმა სიტუაციამ პარტიებს კარგად ჩამოყალიბებული განვითარების მიმართულების გაყოლის შესაძლებლობა არ მისცა 1980-იან წლებამდე.[119]

119 Christoforou, Christoforos (2006), „Party Change and Development Cyprus (1995-2005)", *South European Society and Politics,*

ბოლო საპარლამენტო არჩევნები 2006 წლის მაისში ჩატარდა 6 პოლიტიკური პარტიის მონაწილეობით, რომლებმაც ბერძენ კვიპროსელთა ერთობისთვის განკუთვნილი 56 ადგილი მოიპოვეს. AKEL-ი მიცემული ხმების 31%-ით დომინანტურ პარტიად წარმოჩნდა, მაშინ როდესაც DISY-მ მეორე პოზიცია დაიკავა მიღებული ხმების 30%-ით. AKEL -ი (18 ადგილი), DIKO (11 ადგილი), და EDEK-ი (5 ადგილი) დღეისათვის მთავრობაში კოალიციას წარმოადგენენ. DISY (18 ადგილი) მთავარ ოპოზიციურ პარტიას წარმოადგენს. EYROKO (ევროპული პარტია) (3 ადგილი) თავს ოპოზიციურ პარტიად აცხადებს თუმცა, მოქმედ პრეზიდენტს უჭერს მხარს.

ევროპული საპარლამენტო არჩევნები

სხვა ქვეყნების მსგავსად, 2004 წლის 13 ივნისის ევროპული საპარლამენტო არჩევნები – ამ ტიპის პირველი არჩევნები კვიპროსისთვის – შეიძლება „მეორე რიგის არჩევნებად" იქნეს დახასიათებული, რომელთაც სამი ძირითადი მახასიათებელი აქვს: უფრო დაბალი მონაწილეობა, ხელისუფლებაში მყოფი პარტიების წინააღმდეგ საპროტესტო ხმის მიცემა და ახალი პარტიებისა ან უფრო პატარა პარტიებისთვის ხელსაყრელი პირობები. ამგვარად, კოალიციის ყველაზე მნიშვნელოვანმა პარტიამ, AKEL-მა თავისი ხმების 7% დაკარგა 2001 წლის საპარლამენტო არჩევნებთან მიმართებაში, მაშინ როდესაც FOR EUROPE-მა, არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე შექმნილმა პარტიამ, ხმების 10,80% მოიპოვა.

რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ეს კვიპროსში ჩატარებული პირველი არჩევნებია, რომლებშიც ყველა მოქალაქემ შეძლო საკუთარი ხმის უფლების გამოყენება ეთნიკური თუ რეგიონალური წარმომავლობისგან დამოუკიდებლად. აღნიშნულს შეეძლო კარგი პირობების შექმნა იმ პროცესის დასაწყებად, რომელიც სიტუაციას განსხვავებების გადალახვამდე და ინტეგრაციამდე მიიყვანდა.[120]

ხელისუფლების ტერიტორიული დაყოფა: დეცენტრალიზაცია და ცენტრალიზაცია პატარა ქვეყანაში

კვიპროსი 6 ძირითად ადმინისტრაციულ ოლქადაა დაყოფილი. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დანიშნული ოლქის ჩინოვნიკები წამყვან როლს ასრულებენ ადმინისტრაციული პრობლემების კონტროლში თავიანთ ოლქში. ადმინიასტრაციული განაწილება ქალაქების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტების (33) დონეზე ხორციელდება, ხოლო სასოფლო ზონებისთვის ერთობების (491) დონეზე.

ერთი მხრივ, ევროკავშირში გაერთიანებამ დეცენტრალიზაცია გამოიწვია, რომელიც საერთო ევროპულ მოდელს მიჰყვება, ხოლო მეორე მხრივ, ცენტრალიზაცია ევროპული ფონდების უკეთ სამართავად. ამ ფაქტორების შედეგია მკაცრი ცენტრალური კონტროლი ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე, რომელიც ფინანსური დამოუკიდებლობის ნაკლებობითა და შეზღუდული ავტონომიური ფუნქციონალური პოზიციებით ხასიათდება.[121]

რაც შეეხება ადგილობრივ მმართველობას, 1980-იან წლებამდე მერებსა და ერთობების თავჯდომარეებს მთავრობა ნიშნავდა. 1986 წლიდან ისინი ხუთი წლის ვადით არიან არჩეულნი.[122] იმის გამო, რომ ადგილობრივი და საპარლამენტო არჩევნები ერთ წელს ტარდება, ბევრ კანდიდატს, რომელსაც პარლამენტში ადგილის მიღებაში არ უმართლებს, ასევე ჩვევად აქვს თავისი კანდიდატურის წარდგენა ადგილობრივ არჩევნებში. როგორც ნაციონალურ, ისე ევროპულ დონეზე, კვიპროსელი ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილნი ადგილობრივი გადაწყვეტილებების მიმღებ სტრუქტურებში.

სხვა ქვეყნებთან მიმართებაში, კვიპროსზე ადგილობრივი ხელისუფლება სუსტია გარკვეულ მიზეზთა გამო: ერთობათა კონფლიქტი უკანა პლანზე აყენებს სხვა დებატებს, ქვეყნის მცირე მოცულობა გაუმართლებელს ხდის უფრო დიდ ადმინისტრაციულ დაყოფას, ხოლო ექსპერტებისა და კვალიფიციური პერსონალის დანიშვნა ოლქებში სამუშაოდ ამცირებს ადგილობრივ ბიუჯეტს. ნებისმიერ შემთხვევაში, მოქალაქეები სულ უფრო ხშირად მოითხოვენ დეცენტრალიზაციას.

სამთავრობო ქმედების საპირწონეები

სახელმწიფოს მშენებლობასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა, რომლებიც აშკარად შეეხო მთავრობის დამბალანსებელ ძალებს (პარლამენტი, სასამართლო ხელისუფლება და მედია), ასევე ხელი შეუწყო „საგანგებო

Vol. 11, nº 3-4, pp. 513-542.

120 Agapiou-Josephides, Kalliope (2005), „The First European Parliament Élections", *South European Society and Politics*, Vol. 10, Issue 1, Roudledge, pp. 105-120.

121 მაგალითად, Larnaca Development Agency : http:/www.anetel.com.

122 კანონი 111/1985.

სიტუაციის" კულტურის დამკვიდრებას. ძალთა ბალანსის განვითარებაში შესაძლებელია სამი პერიოდის გამოყოფა: 1) 1960 -1970-იანი წლების დასასრული; 2) 1980-იანი წლები; 3) 1990-იანი წლებიდან დღემდე.

წინა ორი პერიოდის განმავლობაში ის ძალები, რომლებიც მთავრობის ძალაუფლებას აბალანსებდნენ სუსტი იყო ერთობათაშორისი კონფლიქტის, ქარიზმატული ლიდერობის, სუსტი პოლიტიკური ინსტიტუონალიზაციისა და სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი ერთი სატელევიზიო არხის არსებობის გამო. მესამე პერიოდი საერთო გაუმჯობესებით აღინიშნა, რომელიც შეიძლება მუდმივი ეკონომიკური ზრდით, ევროკავშირში გაწევრიანებითა და საბოლოო ჯამში, კუნძულის *ევროპეიზაციით* აიხსნას.[123]

როგორც უკვე აღინიშნა, პარლამენტს ძალზე მცირე კონტროლი აქვს მთავრობაზე. ეს კონტროლი საპარლამენტო შეკითხვების სახით ხორციელდება, რომლებზე პასუხებიც ჩვეულებისამებრ, ბუნდოვანია, რადგან კვიპროსის აღმასრულებელი ხელისუფლების კულტურაში არაა პარლამენტის აზრის გაზიარება იმ პრობლემატიკაზეც კი, რომელიც ნაციონალური დებატების გამომწვევია.

სასამართლო ხელისუფლება ყველაზე სტაბილურ, თუმცა, მყიფე დამბალანსებელ ძალად რჩება. არსებობს სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ბევრ სამთავრობო აქტს აუქმებს. ამავე დროს, ეს არ წარმოადგენს მთავრობისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას, სასამართლოების გადაწყვეტილებების მიმართ უნდობლობის საერთო პრაქტიკის არსებობის გამო.

არ არსებობს პირდაპირ დემოკრატიასთან დაკავშირებული კონსტიტუციური პროგნოზი. რეფერენდუმის პრაქტიკის გამოყენების პირველი მინიშნება 1985 წლის მუნიციპალიტეტის კანონში იქნა გაკეთებული, ხოლო პირველი რეფერენდუმი ნაციონალურ დონეზე 2004 წლის ანანის გეგმასთან დაკავშირებით ჩატარდა. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი ჯგუფები სულ უფრო მეტად მოითხოვენ გადაწყვეტილების მიღების საშუალებად რეფერენდუმის გამოყენებას.

უფრო არსებითი დამბალანსებელი ძალები მხოლოდ 1990-იანი წლების დასაწყისში გამოჩნდნენ. პირველი გახლდათ ომბუცმენის ინსტიტუტი. მიუხედავად იმისა, რომ ეს ინსტიტუტი დიდი მოწონებით სარგებლობს მოსახლეობასა და პოლიტიკოსებში, კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი ომბუცმენის გადაწყვეტილებების ასამოქმედებლად.

დაბოლოს, ევროკავშირში გაწევრიანების კონტექსტში შეიქმნა გარკვეული რაოდენობის დამოუკიდებელი ინსტიტუტი, რომელიც საპირწონე ძალასავით მოქმედებს მთავრობის ქმედებების პირისპირ. ამ ინსტიტუტებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მთავრობის გადაწყვეტილებებზე.

აქტუალური დებატები

გაეროს 2004 წლის გეგმა

კვიპროსელმა ბერძნებმა უარი თქვეს აღნიშნულ გეგმაზე დიდი უმრავლესობით,[124] რადგან მათი აზრით, ის პრაქტიკაში ძნელად გამოსაყენებელ ახალ კონსტიტუციას წარმოადგენდა. მართლაც, აღნიშნული გეგმა დეტალურ კონსტიტუციას მოიცავდა, როგორც ფედერალური მიწებისთვის (პროვინციები), ისე ფედერაციული სახელმწიფოსთვის. პოლიტიკური დისკურსი ფოკუსირებული იყო გაერთიანებული ერების მიერ შემოთავაზებულ სტრუქტურაზე, რომელიც ერთი მხრივ, არ ჰგავდა არც ერთ ევროპულ დემოკრატიულ კონსტიტუციას, მეორე მხრივ კი, არ იცავდა მოსამზადებელი ფაზისთვის დამახასიათებელ ჩვეულ პროცესს. კვიპროსელ ბერძნებს ამ გეგმამ საერთაშორისო ხელშეკრულების ხასიათი გაახსენა, მაგრამ ამჯერად, განსხვავება მდგომარეობდა იმაში, რომ ის მოსახლეობის თანხმობას უნდა დაქვემდებარებოდა.

თურქ კვიპროსელთა ერთობამ უმრავლესობით ხმა მისცა ანანის გეგმას, რადგან ის RTCN-ს (ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა) აძლევდა, როგორც კვიპროსის გაერთიანებული რესპუბლიკის შემადგენელ სახელმწიფოდ აღიარების, ისე ევროკავშირში გაწევრიანებას შესაძლებლობას.

თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების საკითხი

ორივე-კვიპროსული ერთობა ძალზე დადებითადაა განწყობილი თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების მიმართ, რადგან იმედოვნებს, რომ უფრო დემოკრატიული თურქეთი უკეთესი მეზობელი იქნება.

---

123 Agapiou-Josephides, Kalliope (2003) „The Political System of Cyprus at the Threshold of the European Union : Patterns of Continuity and Change and Adaptation", in XUEREB Peter (dir.) „Euro-Med Integration and the Rings of Friends. The Mediterranean's European Challenge", European Documentation and Research Center, Université de Malte, pp. 237-252.

124 Claire Palley (2005) „An International Relations Debacle – The UN Secretary General's Mission of Good Offices in Cyprus 1999-2004", Oxford and Portland, Oregon; David Hannay (2005) „Cyprus : The Search for a Solution", Tauris, London; Angelos Syrigos (2005) „The Annan Plan – Past's Heritage and Future Prospects", Pataki Publications, Athens (en Grec).

დებატები ასევე სხვა საკითხებთან დაკავშირებითაც მიმდინარეობს, რომლებიც მოსახლეობისა და მედიის დიდ ინტერესს იწვევს, მაგალითად, კორუფცია ან ტრანსპარენტულობის ნაკლებობა პარტიების დაფინანსებაში. თუმცა, ეს ის საკითხებია, რომლებიც პრიორიტეტულად არ დგას პოლიტიკური პარტიების დღის წესრიგში. ამის საპირისპიროდ, პოლიტიკურ სტრუქტურებთან დაკავშირებულმა გარკვეულმა პრობლემატიკამ ჯერ კიდევ ვერ მიიპყრო მედიის ყურადღება. ამავე დროს, მომავალში ამ პრობლემატიკამ შეიძლება ცენტრალური ადგილი დაიკავოს პოლიტიკურ დისკურსებში. შემდგომი დებატები სავარაუდოდ, მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებსა და პოლიტიკური პარტიების უფლებამოსილებების ბალანსში ცვლილებებს შეეხება. ზოგიერთი მთავარი ელემენტი განხილვას იმსახურებს: პოლიტიკური პარტიების სტატუსი და მათი სამთავრობო დაფინანსება, პარტიების დაფინანსების ტრანსპარენტულობა, ისევე როგორც არჩეული ოფიციალური პირების ფინანსური მდგომარეობა და სხვ.

დასკვნა

აღნიშნული კვლევა საინტერესო პერსპექტივას გვთავაზობს ქვეყნის პოლიტიკური სისტემის გასაანალიზებლად. შედარებითი პოლიტიკის შემსწავლელთათვის, კვიპროსის შემთხვევა გვიჩვენებს თუ როგორ შეუძლია კოლონიალიზმის მემკვიდრეობასა და ძველ ისტორიულ განხეთქილებას თანამედროვე ევროპულ დემოკრატიებში გაგრძელება. შეიძლება ითქვას, რომ კვიპროსისთვის დამოუკიდებლობაზე და თანამედროვე დემოკრატიაზე გადასვლა რთული იყო. ევროპულმა ინტეგრაციამ ძალზე მიმზიდველი როლი ითამაშა და ევროკავშირის წევრის სტატუსმა კუნძულის ორი ერთობის ხელახალი გაერთიანების იმედები გააჩინა. კვიპროსი საკუთარი „ერთიანობის ძიებაშია მრავალფეროვნებაში" და კვლავაც „რესპუბლიკური სინთეზისკენ" მიისწრაფის.

კუნძულის გეოსტრატეგიული და გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო დღემდე, მის მოსახლეობას არ ჰქონია საკუთარი მომავლის თავად გადაწყვეტის უფლება. ამ მოსახლეობას მოლაპარაკებები უნდა ეწარმოებინა უცხოეთის სახელმწიფოებთან და ამ უკანასკნელთა ინტერესები გაეთვალისწინებინა.

ევროკავშირში გაწევრიანებამ ქვეყანას ახალი ჰორიზონტები გაუხსნა არა ისტორიული პრობლემების გადაჭრის კუთხით, არამედ მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ლეგალური წესრიგის შემოთავაზებით, რაც თანამედროვე პოლიტიკურ და დემოკრატიულ სისტემამდე მისვლის შესაძლებლობას ქმნის, რომლის ერთიანობა მრავალფეროვნებაზეა დაფუძნებული.

ამავე დროს, მშვიდობის პერსპექტივები პოლიტიკური ელიტებისა და ხალხის უნარზეა დამოკიდებული, რომლებმაც ქმედითი საშუალებები უნდა მონახონ ცივი ომისა და კოლონიალიზმის მემდკვიდრეობის გადასალახავად.

კვიპროსული პრობლემის არსებობა არც კვიპროსისთვის და არც ევროპისთვისაა მომგებიანი. პირიქით, კვიპროსს შეუძლია ყველასათვის სასარგებლო მაგალითი გახდეს, როგორც კი არ იარსებებს მზა კონსტატუციები, გარანტის სტატუსი და სამხედრო ჩარევის უფლებები სახელმწიფოთა ერთობაში, რომლებიც საერთო დემოკრატიულ ღირებულებებს იზიარებენ იმგვარ პოლიტიკურ და ინსტიტუციონალურ ჩარჩოში როგორსაც ევროკავშირი წარმოადგენს.

ბიბლიოგრაფია

AGAPIOU-JOSEPHIDES Kalliope, ROSSETTTO Jean (éd), (2006) *L'adhésion de Chypre à L'Union Européenne. Analyses et Perspectives*, Bruxelles, Bruylant.

AGAPIOU-JOSEPHIDES Kalliope, ROSSETTTO Jean (2005) „The First European Parliament Elections", *South European Society and Politics*, vol. 10, Issue 1, Roudledge, pp. 105-120.

AGAPIOU-JOSEPHIDES Kalliope, ROSSETTTO Jean (éd) (2004) „Women and Politics in Cyprus-The long Way to Politics in a European Perspective" in Hoecker B. und Fuchs G., *Handbook of Political Participation of Women in Europe*, Volume II: The Candidate Countries, VS Für Sozialwissenschaften, Wiesbaden, pp. 245-258 (en Allemand): Agapiou-Josephides Kalliope (2004) „Frauen und Politik in Zypern-Der Lange Weg die Politik und die Europaische Perspektive", in Hoecker B. und Fuchs G. *Handbuch politiche Partizipation von Fraouen in Europa*, Band II: Die Beitrittsstaaten VS Für Sozialwissenschaften, Wiesbaden, pp. 245-258).

AGAPIOU-JOSEPHIDES Kalliope (2003) „The Political System of Cyprus at the Threshold of the European Union: Patterns of Continuity and Change and Adaptation:, in XUEREB Peter (dir.) *Euro-Med Integration and the Rings of Friends, The Mediterranean's European Challenge*, European Documentation and Research Center, University of Malta, pp. 237-252.

ATTALIDES, A. Michael (2003) *Cyprus: Nationalism and International Politics Peleus*, Band 18, Manheim und Mühnesee.

BAHCHELI, Tonzun (1998) „domestic Political Developments" in Grothusen, Klaus-Detlev (1998) *„Zypern", Südosreuropa-Handbuch*, Vandenhoeck & Ruprecht, Göttingen-Zürich, pp.91-125.

CHRISTOFOROU, Chistoforos (2006) „Party Change and Development in Cyprus (1995-2005)", *South European Society and Politics*, vol 11, №3– 4, pp. 513-542.

FAUSTMANN, Hubert & PERISTIANIS, Nicos (éd.) (2006) „Britain in Cyprus. *Colonialism and Post-Colonialism 1878-2006*", Peleus, Hand 19, Manheim und Mühnesee.

GROTHSEN, Klaus-Detlev *et al.* (1998) *Zypern, Südosteuropa-Handbuch*, Vandenhoeck & Ruprecht, Göttingen-Zürich, 967p.

JOSEPHIDES, Chistos (2002) *La constitution de Chypre face au débat constitutionnel dans l'Union européenne*, FIDE Congress, London 2002, pp. 57-80.

HANNAY, David (2005) *Cyprus:The Search for a Solution*. Tauris, London.

PARKIDES, C. Kyriacos *The Rise and Fall of the Cyprus Republic*, New Haven and London, Yale University Press 1977.

PALLEY, Claire (2005) *An International Relations Debacle – The Un Secretary General's Mission of Good Offices in Cyprus 1999-2004*, Oxford and Portland, Oregon.

POTIER, Tim (2007) *A Functional Cyprus Settlement: The Constitutional Dimension*, Peleus, Band 38, Verlag Franz Philipp Rutzen, Manheim und Möhnesee.

QUERMONNE Jean-Louis (1961) „Le problème de la Cohabitation dans les Societés Multi-Culturelles", *Revue Française de Science Politique*, vol. 11, № 1, pp. 29-59.

RUMPF, Christian (1998) „Verfassung und Recht", en Grothusen, Klaus-Detlev (1998). *„Zypern", Südosteuropa-Handbuch*, Vandenhoeck & Ruprecht, Göttingen-Zürich, pp. 155-195.

SYRIGOS, Angelos (2005) *The Annan Plan – Past's Heritage and Future Prospects*, Pataki Publications, Athens (en Grec).

WESTON Markides, Diana (2001) „Cyprus 1957-1963 From colonial conflict to constitutional crisis: the Key role of the municipal issue", Minnesota Mediterranean and Fast European monographs, University of Mennesota, Minneapolis, Minnesota, № 8.

XYDIS, Stephen (1973) *Cyprus: Reluctant Republic*, The Hague, Mouton.

თავი XII

ლატვია

იანის იკსტენსი

შესავალი

ლატვიის საბჭოთა okupაციის შემდეგ 1940 წელსა და 1944-1945 წლებში, ამ ქვეყანაში სწრაფად დამყარდა სტალინის ტოტალიტარული რეჟიმი, რომელიც კომუნისტურ იდეოლოგიას ეყრდნობოდა და დისიდენტების მიმართ მკაცრ რეპრესიებს ატარებდა. ოპოზიციის განადგურების შემდეგ ლატვიის დამოუკიდებლობის მოთხოვნები სრულად იქნა ჩახშობილი.

ამავე დროს, მიხეილ გორბაჩოვის მიერ შემუშავებულმა *„პერესტროიკისა“* და *„გლასნოსტის“* პოლიტიკამ ახალი გარემო შექმნა, რომელიც ლატვიის დამოუკიდებლობის აღდგენის შესაძლებლობას იძლეოდა. 1988 წელს გამოჩნდნენ პირველი ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები და ზოგიერთი მათგანი ლატვიის დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა. დამოუკიდებლობისთვის მებრძოლმა ყველაზე რადიკალურმა ორგანიზაციებმა წინა პლანზე წამოწიეს ლატვიის სახელმწიფოს აღდგენის კონცეფცია (და არა დამოუკიდებლობის „მოპოვებისთვის“ გამიზნული კონცეფცია), რომელიც ლატვიის okupაციის საერთაშორისო აღიარების არარსებობის საფუძველს ეყრდნობოდა.

დამოუკიდებლობის აღდგენის კონცეფციამ კანონიერი სტატუსი მიიღო მას შემდეგ, რაც ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ ლატვიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარაცია მიიღო 1990 წლის 4 მაისს. ამ უკანასკნელის თანახმად, აღდგენილი იქნა ლატვიის რესპუბლიკის 1922 წლის კონსტიტუცია, მაგრამ მისი მუხლების უმრავლესობა (ქვეყნის ტერიტორიისა და საარჩევნო სისტემის განმსაზღვრელი მუხლების გარდა) შეჩერებული იქნა ლატვიის დამოუკიდებლობის *de facto* აღდგენამდე.

ამგვარად, ოკუპირებული ლატვიის ყველა რეზიდენტის მიერ არჩეულმა უმაღლესმა საბჭომ, რომელშიც დამოუკიდებლობის მხარდამჭერი პოლიტიკური პასუხისმგებელი პირები დომინირებდნენ, კონსტიტუციური საფუძვლები ჩაუყარა დამოუკიდებლობის მიღების შემდგომ რეჟიმს. 1991 წლის აგვისტოში ასევე მხარდაჭერილი იქნა ლატვიის რესპუბლიკის კანონიერი უწყვეტობის მიდგომა, როდესაც ბალტიის სამმა ქვეყანამ de facto დამოუკიდებლობა მოიპოვა. ამის შედეგად, 1922 წლის კონსტიტუციით (სატვერსმი) განსაზღვრული ინსტიტუტები გარკვეული მოდიფიკაციებით იქნა აღდგენილი.

საპარლამენტო რესპუბლიკა

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ნაჩქარევად შემუშავებულ ლატვიის კონსტიტუციაზე სიღრმისეული გავლენა იქონია ვაიმარის კონსტიტუციამ და შვეიცარიის დემოკრატიის პრაქტიკამ. *სატვერსმი* (კონსტიტუცია) ლატვიას საპარლამენტო რესპუბლიკად განსაზღვრავს: ყველა ადმინისტრაციული ინსტიტუტი მთავრობის დაქვემდებარებაშია (58-ე მუხ.), მაგრამ ეს უკანასკნელი ერთპალატიანი პარლამენტის (სეიმი) წინაშეა პასუხისმგებელი. მთავრობის გადაყენება შესაძლებელია ნდობის კენჭისყრით ან სახელმწიფო ბიუჯეტის მიუღებლობით. *სეიმის* უმრავლესობით არჩეული პრეზიდენტი მთავარ წარმომადგენლობით ფუნქციებს ასრულებს. იგი ასევე პრემიერ-მინისტრს ნიშნავს და კანონების პარლამენტში გადაგზავნის უფლება აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ ლატვიის კონსტიტუცია მრავალჯერ იქნა გაკრიტიკებული დრომოჭმულობისა ან დისფუნქციის გამო, *სეიმმა* ლატვიის დემოკრატიული რეჟიმის მოდერნიზება განახორციელა 1920-იანი წლების დასაწყისის ფუძემდებელი მამების სულისკვეთების შეძლებისდაგვარად შესანარჩუნებლად.

კონსტიტუციის ყველაზე მნიშვნელოვან დანამატს 1998 წელს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა განმსაზღვრელი თავის მიღება წარმოადგენდა დღევანდელობის გათვალისწინებით. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული თავი დისკუსიის საგანი გახდა 1920-იან წლებში, არაფერი არ გაკეთებულა, თუკი მრავალ მნიშვნელოვან ჯგუფებს შორის არსებულ უთანხმოებებს მივიღებთ მხედველობაში. ეს თავი კვლავ ულტრაკონსერვატორული პოლიტიკური კამპანიის მსხვერპლი გახდა 2005 წელს კონსტიტუციაში ქორწინების დეფინიციის შეტანისას. ლატვიური ენის სტატუსთან და გამოყენებასთან დაკავშირებული ნორმების კონსტიტუციაში ჩართვამ ასევე მძაფრი პოლიტიკური დებატები გამოიწვია. 1920-იან წლებში, ამ საკითხს დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაგრამ ის okupაციის შემდგომ რეალობებს ასახავდა 1990-იან წლებში.

ლატვიის ევროკავშირში შესვლის გათვალისწინებით, კონსტიტუციის 68-ე მუხლით დღეისათვის დადგენილია, რომ ამ ქვეყანას თავისი კომპეტენციების ნაწილის დელეგირება საერთაშორისო ინსტიტუტებისთვის

შეუძლია. თუკი ევროკავშირში გაწევრიანება რეფერენდუმით უნდა მიიღებოდეს, ამ გაერთიანების მომავალ ცვლილებებთან დაკავშირებული ხალხის პირდაპირი ნების გამოხატვა გარკვეულწილად, შეზღუდულია. საკონსტიტუციო შესწორებებით განსაზღვრულია, რომ არსობრივი ცვლილებები ევროკავშირში შესვლის შემთხვევაში მხოლოდ ნაციონალური რეფერენდუმით უნდა იქნეს გადაწყვეტილი *სეიმის* წევრთა არანაკლებ ნახევრის მოთხოვნით.

სეიმის ცენტრალური პოზიცია კომპლექსურ პროცედურაშია ასახული რეფერენდუმით მის დაშლასთან დაკავშირებით, რომლის ინიცირება მხოლოდ პრეზიდენტს შეუძლია. პარლამენტის გადაწყვეტილებებმა მხოლოდ ერთხელ გამოიწვია კამათი 1966 წელს საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნის დროს, რომელსაც კანონების კონსტიტუციურობა უნდა განეხილა. პარლამენტის პირველობიდან ერთადერთი გამონაკლისია კონსტიტუციის 81-ე მუხლი, რომლის თანახმად, სეიმის სესიებს შორის არსებულ პერიოდში მთავრობას ბევრ საკითხზე კანონების მიღების უფლება აქვს. თუმცა, მთავრობის აღნიშნული პრივილეგია არსობრივად შეიზღუდა და 1990-ანი წლების მეორე ნახევარში, ის პარლამენტის *post factum* თანხმობას დაექვემდებარა მას შემდეგ, რაც ორმა მთავრობამ ანდრე სკელეს მეთაურობით, ზედმეტად გამოიყენა ეს მექანიზმი ასზე მეტი კანონისა ან შესწორების მისაღებად.

პარლამენტები მნიშვნელოვანი პოლიტიკური დებატების ადგილი უნდა იყოს. მიუხედავად ამისა, ლატვიის პარლამენტი დისკუსიის სუსტი ფორუმია. სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებული ყოველწლიური დებატები ტექნიკურად წარმოიწნდება და ძალზე ნაკლებად ატარებს (თუკი საერთოდ ატარებს) პოლიტიკურ შინაარსს. შეწყდა საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული დებატები. საპარლამენტო დებატების სისუსტე შეიძლება განხილული იქნეს პოლიტიკური გადაწყვეტილების ჩაკეტილი პროცესის ნიშნად, რომელშიც ვიწრო და ფარული ინტერესები გადამწყვეტ როლს თამაშობენ (Latvija 2001).

კონსტიტუციის 65-ე მუხლის თანახმად, კანონპროექტები პარლამენტში შეიძლება წარმოდგენილი იქნეს პრეზიდენტის, მთავრობის, საპარლამენტო კომისიის ან *სეიმის* არანაკლებ 5 წევრის მიერ ან პროცედურებისა და კონსტიტუციით დადგენილ შემთხვევებში, კომპეტენტური ამომრჩევლების მეათედით.

ცხრილი №1 : სეიმისთვის წარდგენილი კანონპროექტების წყაროები

	პირველი სეიმი	მე-2 სეიმი	მე-3 სეიმი	მე-4 სეიმი	მე-5 სეიმი	მე-6 სეიმი	მე-7 სეიმი	მე-8 სეიმი
მთავრობა	80,9	84,2	76,3	77,2	65,3	53,5	64,8	68,5
სეიმის დეპუტატები	8,7	6,1	12,3	11,6	21,7	28,0	21,2	21,4
სეიმის კომისიები	10,0	9,5	11,1	11,0	21,1	18,2	13,8	10,1
რესპუბლიკის პრეზიდენტი	0,	0	0	0	1,0	0,3	0,1	0,1
ამომრჩევლები	0,4	0,2	0,3	0,2	0	0	0,1	0
მთლიანად	100	100	100	100	100	100	100	100

წყარო: სეიმის კანცელარია : Silde 1982

ბოლო თხუთმეტ წელიწადში, მთავრობა კანონპროექტების მთავარ ინიციატორად იქცა მაშინ, როდესაც მოქალაქეთა შესაძლებლობა ძალზე იშვიათად იქნა გამოყენებული. მიუხედავად საკანონმდებლო წინადადებების ინტენსიური მომზადებისა, მთავრობას არ მიუღწევია 1922-1934 წლების მნიშვნელობის დონისთვის. თუკი დღეისათვის სეიმის დეპუტათა ჯგუფები ცდილობენ თავიანთი საკანონმდებლო კრეატიულობის შენარჩუნებას, *სეიმის* კომისიები სულ უფრო მეტად ეყრდნობიან მთავრობას საკანონმდებლო წინადადებების საკითხში.

სეიმმა საკუთარი გავლენა გააძლიერა ევროპულ საკითხებზე და მოითხოვა ევროსაბჭოს შეკრებებზე წარდგენილი ყველა ნაციონალური პოზიციის პარლამენტის ევროპულ საქმეთა კომისიის მიერ დამტკიცება. ეს კომისია უფრო მეტადაა გახსნილი ინტერესთა ჯგუფების მიმართ, მაგრამ ნაკლებ ინიციატივას იჩენს. პარლამენტის დეპუტატებთან წარმოებული მოლაპარაკებების რაოდენობა გვიჩვენებს, რომ *სეიმი* უმნიშვნელო ან უმცროს პარტნიორად წარმოიწნდება გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

სეიმის აშკარა დაღმასვლას საკანონმდებლო კუთხით, მრავალი ფაქტორი უწყობს ხელს. დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული ინსტიტუტების აღდგენის შემდეგ, დროთა განმავლობაში გადაწყვეტილების მიმღებთა ყურადღება სულ უფრო მეტადაა კონცენტრირებული ტექნიკურ საკითხებზე, რომლებშიც ინფორმაცია და კომპეტენტურობა გადამწყვეტია. გარდა ამისა, კომისიების სისტემა პარლამენტში სუსტად წამოიწნდება. მიუხედავად იმისა, რომ ამ კომისიებს მთავრობის ყველა წინადადების უარყოფა შეუძლია, მათზე არსებული კოალიციის წევრები დომინირებენ. კომისიის მხრიდან რომელიმე საკითხზე ალტერნატიული შეფასების ჩატარების სურვილის

შემთხვევაში, ის კომისიის კადრების მცირე რაოდენობას უნდა დაეყრდნოს, რადგან გარედან მოსული ექსპერტების ტრადიცია ძალზე სუსტია და კომისიებს მეტად შეზღუდული ფონდები აქვთ ამგვარი სიტუაციებისთვის.

საკანონმდებლო საქმიანობის დასუსტების სხვა ფაქტორი მდგომარეობს *სეიმის* დეპუტატების დიდ როტაციაში, დაახლოებით 50%. ეს როტაცია არის არა მხოლოდ საარჩევნო სისტემის შედეგი, არამედ ასევე საზოგადოების უკმაყოფილებისა სოციალური და ეკონომიკური განვითარებით. აღნიშნულმა ხელი შეუწყო ახალი პოლიტიკური პარტიების შემოსვლას საპარლამენტო არენაზე.

საარჩევნო სისტემა

ლატვიაში საარჩევნო სისტემის საკითხი განსაკუთრებით საკამათო იყო 1991 წლის შემდეგ. ამ სისტემამ მრავალი მოდიფიკაცია განიცადა, რომელთა შორისაა ხმის მიცემის ასაკის 21 წლიდან 18 წლამდე დაწევა. თუკი პარლამენტში ასარჩევი კანდიდატურებისთვის მინიმალური ასაკი 21 წლამდე შენარჩუნდა, 2005 წელს ასაკობრივმა ზღვარმა 18 წლამდე დაიწია მუნიციპალური არჩევნებისთვის.

კონსტიტუციის მე-2 მუხლის თანახმად, „სახელმწიფოს სუვერენული ძალაუფლება ლატვიის ხალხის ხელშია." თუმცა, „ლატვიის ხალხის" დეფინიცია არაა აშკარა, ისევე როგორც მოქალაქეობისა, საბჭოთა ოკუპაციის ათწლეულების შემდეგ. დამოუკიდებლობის მოძრაობის პრორუსული მოწინააღმდეგეები მოქალაქეობის „ნულოვანი არჩევანის" წინადადებით გამოვიდნენ. აღნიშნული ნიშნავდა ლატვიის მოქალაქეობის ავტომატურ და ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე მიღებას 1991 წელს ამ ქვეყანაში მცხოვრები ყველა ადამიანისთვის. ქვეყნის მოქალაქეობა ასევე უნდა მიეღოთ საბჭოთა არმიის ყოფილ და დღევანდელ წევრებსა და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ოფიცრებს. გარკვეულ მიზეზთა გამო, ამგვარი მიდგომა არ იქნა მიღებული უმაღლესი საბჭოს უმრავლესობის მიერ. პირველ ყოვლისა, „ნულოვანი არჩევანის" მყისიერი მიღება ეწინააღმდეგებოდა ლატვიის უწყვეტობის კანონიერ კონცეფციას, რადგან მოქალაქეობის მთავარი ასპექტი გადაწყვეტილი იყო არჩეული წარმომადგენლების მიერ ოკუპაციის პირობებში. გარდა ამისა, ლატვიის მოქალაქეობის არადიფერენცირებულ განაწილებას დამანგრეველი სიმბოლური მნიშვნელობა ექნებოდა 1991 წლის შემდეგაც. შესაფერისი ნატურალიზაციის პროცედურა აწვევდა ლატვიური ენის ცოდნის დონეს სლავურ უმცირესობებში (რუსები, ბელორუსები, უკრაინელები), რომლებიც ძირითადად, ყოფილი რუსი მოქალაქეებით იყვნენ წარმოდგენილნი და მოქალაქეობის არმქონეებად განიხილებოდნენ. საბოლოოდ, მოქალაქეობის საკითხისადმი ეტაპობრივი მიდგომა დაასუსტებდა სლავურ პოლიტიკურ ორგანიზაციებს საპარლამენტო და მუნიციპალურ დონეზე, რადგან არჩევის შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველთა რაოდენობა საგრძნობლად შემცირდებოდა.[125]

ლეგალური, პოლიტიკური და სიმბოლური შეხედულებების შეხამება ოპტიმალურ გადაწყვეტილებამდე მივიდა კანონიერების თვალსაზრისით, მაგრამ ის საკმაოდ შემზღუდველი და საკამათო იყო პოლიტიკური კუთხით. ყველა საბჭოთა რეზიდენტის მიერ არჩეულმა უმაღლესმა საბჭომ *სეიმის* არჩევნების ჩატარება გადაწყვიტა, მაგრამ მხოლოდ ლატვიის რესპუბლიკის მოქალაქეებმა (1940 წლის 17 ივნისის რესპუბლიკის) ან მათმა ზრდასრულმა შთამომავლებმა შეძლეს ამ არჩევნებში ხმის მიცემა და მონაწილეობა. მოგვიანებით, სეიმის მიერ გამოცხადებული იქნა ნატურალიზაციის კრიტერიუმები, ისევე როგორც ლატვიის სხვა მუდმივი რეზიდენტებისთვის ჩასატარებელი პროცედურა. მიუხედავად იმისა, რომ სეიმმა 1994 წელსა და 1998 წელს გააიოლა ნატურალიზაციის პროცედურა რუსეთისა და ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ზეწოლის ქვეშ, საბაზისო კრიტერიუმები იგივე დარჩა: ხუთი წლის განმავლობაში ქვეყანაში ცხოვრება; ლატვიური ენის საბაზო ცოდნა; ლატვიის ისტორიისა და კონსტიტუციის ზოგადი ცოდნა; ლოიალობის ფიცი.

ხშირად ფიქრობენ, რომ ორ მსოფლიო ომს შორის არსებული პერიოდის განმავლობაში საპარლამენტო ფრაგმენტაციამ მოკლევადიანი მთავრობების არსებობას შეუწყო ხელი და საბოლოოდ, 1934 წლის დემოკრატიის დაშლა გამოიწვია. 1990-იანი წლების დასაწყისში გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა სხვადასხვა ზომები მიიღეს *სეიმში* პოლიტიკური პარტიების რაოდენობის შესამცირებლად.

კონსტიტუციის მე-6 მუხლის თანახმად, „*სეიმი* არჩეული უნდა იქნეს საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნებით და პროპორციულ წარმომადგენლობაზე დაფუძნებული ფარული კენჭისყრით." ამის შედეგად, *სეიმის* არჩევნებთან დაკავშირებული 1922 წლის კანონს არ განუხილავს საარჩევნო ბარიერი და არ გაუთვალისწინებია სხვა სირთულეები მარგინალური პოლიტიკური ორგანიზაციებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ 1925 წელს შემოღებული იქნა 1 000 ლატიანი[126] შესატანი თანხა კანდიდატთა თითოეული სიისთვის, სეიმში წარმოდგენილი პოლიტიკური ორგანიზაციების რაოდენობა მხოლოდ ეტაპობრივად შემცირდა.

---

125 მოქალაქეობისა და მიგრაციის დეპარტამენტის მონაცემებით, ეთნიკური რუსების 41%-ს, ბელორუსების 22%-სა და უკრაინელების 9% -ს ლატვიის მოქალაქეობა ჰქონდა 1998 წელს. ეს ციფრი 99,5%-მდე გაიზარდა ეთნიკური ლატვიელების შემთვევაში.

126 აიზსილნიეკსის მიხედვით (1968 წ.), 1925 წელს კვალიფიციურ მუშაკთა საშუალო თვიური ხელფასი კერძო საწარმოებში დაახლოებით 100 ლატს (გადასახადების გარეშე) შეადგენდა.

მე-5 *სეიმის* არჩევნებთან დაკავშირებული 1992 წლის კანონი უფრო მკაცრი იყო 4%-იანი საარჩევნო ბარიერის შემოღებით. გარდა ამისა, არანაკლებ 50 ხელფასის ოდენობის თანხა უნდა გადახდილიყო კანდიდატების თითოეული სიისთვის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. 1995 წელს აღნიშნული ბარიერი არასაკმარისად იქნა მიჩნეული და სეიმში ასარჩევად ახალი კანონი იქნა მიღებული, საარჩევნო ბარიერი კი 5%-მდე გაიზარდა. შესატანი თანხა 1 000 ლატით განისაზღვრა სიისა და დეპარტამენტის მიხედვით.[127]

1991 წლის შემდეგ მიღებულმა საარჩევნო კანონებმა მოქნილობის ხარისხი შეამცირა, მაგრამ ამომრჩევლებს საკუთარი პრეფერენციების მითითების შესაძლებლობა შეუნარჩუნდათ ყველა სასურველი კანდიდატის შემოხაზვით ან „პლუსის" აღნიშვნით ფავორიტ კანდიდატზე იგივე სიაში. ამან გამოიწვია მოკრძალებული შეჯიბრი პარტიული ნიშნით მიმხრობას შორის და ინდივიდუალური კამპანიები. თუმცა, ლატვიის მოქალაქეთა უმრავლესობა, როგორც ჩანს, სათანადოთ ვერ აფასებს ამ სისტემის სიძლიერეს და მხარს უჭერს იმ მოსაზრებას, რომ არსებული სისტემა უნდა შეიცვალოს იმგვარი სისტემით, რომელიც უფრო მჭიდრო კავშირს უზრუნველყოფს ამომრჩევლებსა და რჩეულებს შორის და პარტიებისა და ინდივიდუალური დეპუტატების პასუხისმგებლობას გაზრდის. 2006 წლის მარტში ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, ლატვიელ რეზიდენტთა მხოლოდ 26% კმაყოფილი იყო მოქმედი საარჩევნო სისტემით, რესპონდენტთა 37% მხარს უჭერდა უნინომინალურ მაჟორიტარულ სისტემას, 15% კი შერეულ სისტემას ემხრობოდა.[128]

საარჩევნო კონსოლიდაციისკენ მიმართული სხვა მოდიფიკაცია დაკავშირებულია კანდიდატთა სიების წარდგენის უფლებამოსილ პირებთან. არჩევნებთან დაკავშირებული 1922 წლის კანონი ძალზე ლიბერალური იყო. ამ უკანასკნელის თანახმად, კანდიდატთა სიის წარდგენის უფლება ეძლეოდა საარჩევო ასაკს მიღწეულ მოქალაქეთა ყველა ჯგუფს, რომელმაც არანაკლებ 100 ხელმოწერა შეაგროვა. 1992 წლის კანონმა ზემოთ აღნიშნული მიდგომა შეინარჩუნა, მაგრამ 1995 წლის კანონი აშკარად ადგენს, რომ მხოლოდ დარეგისტრირებულ პოლიტიკურ პარტიებსა ან გაერთიანებებს შეუძლიათ სიების წარდგენა. 1977 წელს საპარლამენტო გუნდის სამიდან ოთხ წლამდე ვადით გაზრდა ასევე მთავრობის სტაბილიზაციის მცდელობად განიხილება.

საბჭოთა ოკუპაციის გასათვალისწინებლად, 1993 წელს შემოღებული იქნა შეზღუდვები კანდიდატურის თანამდებობაზე წარდგენის უფლებასთან დაკავშირებით (დაზუსტებული 1995 წელს). კანონის თანახმად, *სეიმის* არჩევნებში მონაწილეობის უფლების არმქონე პირების კატეგორიები და გარდა ამისა, ჩვეულებრივი შეზღუდვები სამართალდამრღვევთათვის ან კრიმინალური დანაშაულისთვის მსჯავდადებულებისთვის შემდეგია: დაზვერვისა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურების ყოფილი ან მოქმედი ოფიცრები; საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში ან მის სატელიტებში მოქმედი აქტიური პირები 1991 წლის 13 იანვრის შემდეგ. ეს შეზღუდვები იყო არა მხოლოდ სიმბოლური, არამედ პოლიტიკური შეჯიბრის შემცირების ხელშემწყობი, რომელიც თამაშგარე მდგომარეობაში ტოვებდა 1980-იანი წლების ზოგიერთ ცნობად პოლიტიკოსს. 2000 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ ეს შეზღუდვები აღიარა და ისინი ლეგიტიმურად და დემოკრატიის ხელშემწყობად მიიჩნია, მაგრამ სამმა მოსამართლემ განსხვავებული მოსაზრება გამოთქვა. ამ უკანასკნელთა აზრით, ამგვარი შეზღუდვები მომავალში უნდა გადახედულიყო.

მრავალი კონსოლიდირებული დემოკრატიული ქვეყნის მსგავსად, რომელთაც შეუზღუდავ ხარჯებთან ჰქონდათ პრობლემები საარჩევნო კამპანიებში, 2004 წელს *სეიმმა* ამ ხარჯების ზღვარი დაადგინა მნიშვნელოვანი დონატორების პოლიტიკური გავლენის შესამცირებლად და თამაშის წესების მოსაწესრიგებლად. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული შეზრუდვები per se საგულისხმო ინოვაციას წარმოადგენდა, მათ ზედაპირული მოდიფიკაცია მოახდინეს საარჩევნო კანონმდებლობაში სამართლებრივი გადაწყვეტილებით. არჩევნების შედეგების გაპროტესტებასთან დაკავშირებული მოქმედი კანონმდებლობა საკმაოდ ბუნდოვანია, რადგან კონსტიტუციის თანახმად, სწორედ *სეიმმა* უნდა დაამტკიცოს ყველა დეპუტატის მანდატები. თუმცა, 2006 წელს ოთხმა პატარა პარტიამ სეიმის არჩევნები გაასაჩივრა და თავის ორ მოწინააღმდეგეს კამპანიების დაფინანსებასთან დაკავშირებულ კანონდარღვევაში დადსდო ბრალი. სამაგიეროდ, უზენაესი სასამართლოს სენატმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილებას მიიღებდა *სეიმში* არჩევნების კანონიერებასთან დაკავშირებით, მაგრამ საბოლოოდ სასამართლომ არსებული დარღვევები არსაკმარისად მიიჩნია ამ შედეგების გასაუქმებლად.

მოდიფიცირებულმა საარჩევნო სისტემამ ხელი შეუწყო *სეიმში* წარმოდგენილი პოლიტიკური პარტიების რაოდენობის შემცირებასა და ასევე მრავალი პატარა პარტიის წინასაარჩევნო ალიანსების შექმნას. საპირისპირო შემთხვევაში, ამ პარტიებს საარჩევნო ბარიერის გადალახვის ძალზე მცირე შანსი ექნებოდათ.

---

127 ლატვიის სტატისტიკის ბიუროს თანახმად, 1995 წელს საშუალო თვიური ხელფასი 90 ლატს შეადგენდა (გადასახადის გარეშე). უფრო დეტალური მონაცემებისთვის იხ. ლატვიის სტატისტიკური ცნობარი (2005).

128 ლატვიელ ეჭსპატრიანტთა არასამთავრობო ორგანიზაციამ (ELJA 50) და საზოგადოებრივი აზრისა და ბაზრის კვლევის ცენტრმა (SKDS) საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა ჩაატარა 1023 ლატვიელ რეზიდენტს შორის.

ცხრილი №2: სიების რაოდენობა და სეიმში წარმოდგენილი პარტიები

	პირველი სეიმი 1922-1925 წწ.	მე-2 სეიმი 1925-1928 წწ.	მე-3 სეიმი 1928-1931 წწ.	მე-4 სეიმი 1931-1934 წწ.	მე-5 სეიმი 1993-1995 წწ.	მე-6 სეიმი 1995-1998 წწ.	მე-7 სეიმი 1998-2002 წწ.	მე-8 სეიმი 2002-2006 წწ.	მე-9 სეიმი 2006 წ.
სიები	20	27	25	21	8	9	6	6	7
პარტიები	20	27	25	21	8	11	8	9	11

წყარო: ცენტრალური საარჩევნო კომისია, 2006 წ; Silde 1982 .

მიუხედავად იმისა, რომ პარტიული სიების მოქნილი სისტემა ქალების წარმომადგენლობას განსაზღვრავს პარლამენტში, ხოლო საზოგადოებრივი აზრის კვლევები გვიჩვენებს, რომ ქალების აბსენტეიზმის მაჩვენებელი თითქმის მამაკაცებისას უტოლდება, *სეიმში* ქალების არჩევის პროცენტი ძალზე დაბალია. საპარლამენტო ფუნქციების შემსრულებელ ქალთა პროცენტული მაჩვენებელი 1%-დან 1931 წელს 15%-მდე გაიზარდა 1993 წელს და 19%-მდე 2006 წლის არჩევნების შემდეგ. გარდა ამისა, ქალთა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის განცალკევებულმა სიამ ხმების მხოლოდ 0,33% მოიპოვა 1998 წელს. უეჭველია, რომ აღნიშნული პატრიარქალური პოლიტიკური კულტურის შედეგია ლატვიაში, რომელიც მხარს უჭერს მამაკაცებისა და ქალების ტრადიციული პასუხისმგებლობის დაყოფას.

აღმასრულებელი ხელისუფლება

კონსტიტუციის თანახმად, მთავრობა პარლამენტის ნდობაზეა დამოკიდებული. დღესაც, ადგილი აქვს *სეიმ*ის ფრაგმენტაციის მაღალ დონეს, რაც ლატვიის მთავრობის სტაბილურობასაც შეეხო.

ცხრილი №3: საპარლამენტო პარტიების რაოდენობა, 1993-2006 წწ.

1993 წ.	1995 წ.	1998 წ.	2002 წ.	2006 წ.
5,1	7,2	5,5	5,0	6,0

შენიშვნა : გამოთვლილია მოცემული პარტიების ლააკსო-ტააგეპერას ინდექსის შესაბამისად, სიის მიხედვით მანდატების განაწილების საფუძველზე (არა თითოეული პარტიის მიხედვით).

იმ შემთხვევაშიც, როდესაც მთავრობები იშვიათად იშლებიან იდეოლოგიურ მიზეზთა გამო, ახალი კოალიციის მიერ შემოთავაზებულმა ალტერნატივამ შეიძლება პოლიტიკური არასტაბილურობა გამოიწვიოს. მთავრობის სიცოცხლისუნარიანობის ხანგრძლივობა საშუალოდ 12 თვეა 1993-2006 წლებში, რაც გაუმჯობესებას წარმოადგენს საშუალო 9 თვესთან შედარებით 1922 -1934 წლებში.

ცხრილი №4: მთავრობები, 1993-2006 წწ.

პრემიერ-მინისტრი	პერიოდი
ვალდის ბირკავსი	აგვისტო 1993 წ.-სექტემბერი 1994 წ.
მარის გაილისი	სექტემბერი 1994 წ.– დეკემბერი 1995 წ.
ანდრის სკლე	დეკემბერი 1995 წ.-თებერვალი 1997 წ.
ანდრის სკლე	თებერვალი 1997 წ.– აგვისტო 1997 წ.
გიუნტარს კრასტსი	აგვისტო 1997 წ.– ნოემბერი 1998 წ.
ვილის კრისტოპანსი	ნოემბერი 1998 წ.-ივლისი 1999 წ.

ანდრის სკლე	ივლისი 1999 წ.– მაისი 2000 წ.
ანდრის ბერზინსი	მაისი 2000 წ.-ნოემბერი 2002 წ.
ეინარს რეპსი	ნოემბერი 2002 წ.– მარტი 2004 წ.
ინდულის ემსისი	მარტი 2004 წ.-დეკემბერი 2004 წ.
აიგარს კალვიტისი	დეკემბერი 2004 წ.-ნოემბერი 2006 წ.
აიგარს კალვიტისი	2006 წლიდან

თუმცა, სამთავრობო არასტაბილურობას მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია ძირითადი სფეროების პოლიტიკაზე. ლატვია ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების მუდმივი მიზნისკენ მიისწრაფოდა, ისევე როგორც ეკონომიკური და სტრუქტურული რეფორმების განხორციელებისკენ, რომლებიც 2004 წელს ევროკავშირის გაფართოებიდან მომდინარეობდა.

აღსანიშავია, რომ მთავრობის გადაყენება არაა საპარლამენტო კონტროლის ერთადერთი ფორმა. ლატვიის კანონმდებლობა დეპუტატებს სეიმში პრემიერ-მინისტრისა ან მისი ზოგიერთი მინისტრისთვის კითხვების დასმის შესაძლებლობას აძლევს.

ლატვიაში არსებობდნენ დიდი კოალიციები, ისევე როგორც უმცირესობის მთავრობები. მიუხედავად იმისა, რომ ლატვიის პოლიტიკას ზომიერება აკლია, სწორედ დაპირისპირებამ მოსკოვის მხარდამჭერ ორგანიზაციებსა და ამ უკანასკნელებთან ოპოზიციაში მყოფ ორგანიზაციებს შორის შესაძლებელი გახადა მრავალი ცენტრისტული უმცირესობის მთავრობის ფორმირება და შენარჩუნება.

2004 წლიდან მთავრობის შემადგენლობაში 15 მინისტრი და პრემიერ-მინისტრი შედის. თუმცა, მთავრობის სტრუქტურასთან დაკავშირებული კანონის თანახმად, შესაძლებელია ასევე მინისტრებთან ან სახელმწიფო მდივნებთან ახლოს მდგომი პოზიციების შექმნაც. ეს დამატებითი თანამდებობები ინოვაციას წარმოადგენს და ხშირად, კოალიციის პარტნიორების ამბიციების დასაკმაყოფილებლად გამოიყენება. კოალიციის კონსოლიდირების უფრო ტრადიციული მეთოდია ex ante შეთანხმება ფუნქციების განაწილებაზე საბჭოებში და სახელმწიფო კომპანიების ადმინისტრაციულ საბჭოებში.

მთავრობის გადაწყვეტილებები წარმოდგენილ მინისტრთა უმრავლესობით მიიღება მთავრობის სხდომაზე. ზოგადი მიმართულებები საჯარო დეკლარაციებშია გაცხადებული, ხოლო განსაკუთრებით სენსიტიურ საკითხებთან მიმართებაში გადაწყვეტილების მიღების პროცესი კოალიციის შეთანხმებითაა განსაზღვული, რომელიც არაა საჯარო. ხშირად, ეს საკითხები კანონმდებლობის შესწორებებშია ჩართული მოქალაქეობასთან დაკავშირებით, რომელიც შეთანხმებების თანახმად, კოალიციის ერთსულოვნებას მოითხოვს. ყველა მნიშვნელოვანი საკითხი ტრადიციულად, კოალიციის საბჭოს ყოველკვირეული შეკრებების დროს განიხილება, ე. ი. კოალიციის შემადგენელი პარტიების წარმომადგენლების არაფორმალურ შეკრებებზე (პარტიის თავჯდომარეები, საპარლამენტო ფრაქციების ხელმძღვანელები, მინისტრები). აღნიშნულმა მედიისა და ინტელექტუალების უკმაყოფილება გამოიწვია *სეიმის* მიმართ, რომელიც უსარგებლოდაა მიჩნეული, რადგან ყველა საკითხს პოლიტიკოსთა მცირე ჯგუფი წყვეტს დახურულ კარს მიღმა. ამ შეშფოთების გათვალისწინებით, 2001 წელს მთავრობამ გადაწყვიტა არასამთავრობო ორგანიზაციების როლის ინსტიტუციონალიზაცია გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ამ უკანასკნელთა წინადადებების ინტერნეტით გამოქვეყნება.

კონსტიტუციის 58-ე მუხლის თანახმად, „სახელმწიფოს ადმინისტრაციული ინსტიტუტები მთავრობას ექვემდებარებიან." ეს დებულება სავსებით შეესაბამება ფართო ცენტრალიზაციის საბჭოთა ტრადიციას, მაგრამ ის სულ უფრო საკამათო ხდება თანამედროვე დემოკრატიულ ჩარჩოში. თუკი სახელმწიფო აუდიტის ბიურო საჯარო ადმინისტრაციის ერთადერთი ინსტიტუტია, რომელიც კონსტიტუციით თავიდანვე იყო განსაზღვრული სამთავრობო ძალაუფლებისგან დამოუკიდებელ ინსტიტუტად, დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ შეიქმნა სხვა ანალოგიური სტატუსის მქონე ინსტიტუტები. გადაწყვეტილების მიმღებთა აზრით, ძალზე მნიშვნელოვანი იყო გარკვეული დონის ავტონომიის მინიჭება აღმასრულებელ ხელისუფლებასთან მიმართებაში შემდეგი ინსტიტუტებისთვის: ლატვიის ბანკი, ცენტრალური საარჩევნო კომისია, სახელმწიფო რადიოსა და ტელევიზიის საბჭო, ფინანსებისა და კაპიტალის კომისია ამ უკანასკნელთა ეფექტურობის გასაუმჯობესებლად. აღნიშნულს დისკუსიები მოჰყვა კანონმდებლობისა და საჯარო ადმინისტრაციის ექსპერტებს შორის კონსტიტუციის გადახედვასთან დაკავშირებით ახალი რეალობების გათვალისწინებით, მაგრამ დღემდე პარლამენტს ეს საკითხი არ განუხილავს.

მიუხედავად ცენტრალიზაციის შეზღუდვის დიდი ძალისხმევისა საჯარო ადმინისტრაციის სისტემის შიგნით, შედეგები არაა შთამბეჭდავი. სახეზეა ძალზე ძლიერი ვერტიკალური კოორდინაცია, მაგრამ სუსტი ჰორიზონტალური კავშირები ლატვიის საჯარო ადმინისტრაციის სისტემაში.

ლატვიაში ორი დონის მუნიციპალური სისტემა არსებობს. 2006 წლის ნოემბრიდან, ადგილობრივი დონე მოიცავს 7 ქალაქს, 56 პატარა ქალაქს, 453 სოფლის მუნიციპალიტეტსა და 20 მხარეს (*"navads"*) (მუნიციპალიტეტები, რომლებშიც ქალაქი და სოფლის მუნიციპალიტეტი ერთმანეთს ემთხვევა). მომავალში შესაძლებელია სოფლის მუნიციპალიტეტებისა და *მხარეების* რაოდენობის შეცვლა, რადგან მომზადების პროცესშია ტერიტორიული რეფორმა, რომელიც მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტების რაოდენობის შემცირებას 1998 წლიდან. რეგიონალური დონე 26 რეგიონს მოიცავს.

ადგილობრივ საბჭოებს პირდაპირ მოქალაქეები ირჩევენ 4 წლის ვადით, პარტიული სიის მოქნილი სისტემით. ესტონეთისგან განსხვავებით, ყოფილ საბჭოთა მოქალაქეებს არა აქვთ ხმის მიცემის უფლება მუნიციპალურ არჩევნებში. თუკი საზოგადოების ინტეგრაციისა და ნატურალიზაციისთვის ხელშეწყობა ხშირად, ამგვარი პოლიტიკის არსებობის მიზეზადაა დასახელებული, ასევე არსებობს ეჭვი მოსკოვის მხარდამჭერი პარტიების მიერ მუნიციპალურ არჩევნებში შესაძლო გამარჯვებასთან დაკავშირებით 6 მნიშვნელოვან ქალაქში (რიგის ჩათვლით) ძალზე ღრმა ეთნიკური დაყოფის გამო.

მუნიციპალური არჩევნები ასევე პარტიული ორგანიზაციების განვითარებისთვის გამოიყენება რიგის გარეთ. მუნიციპალურ არჩევნებთან დაკავშირებული კანონის თანახმად, მხოლოდ პოლიტიკურ პარტიებს ან დარეგისტრირებულ ასოციაციებს შეუძლიათ თავიანთი კანდიდატების სიების წარდგენა დიდ ქალაქებში, პატარა ქალაქებში და სოფლის მუნიციპალიტეტებში, რომელთა მოსახლეობა 5 000 კაცზე მეტს შეადგენს. ერთი მხრივ, ამ მოთხოვნამ ყველაზე მნიშვნელოვანი პარტიების მხრიდან თავიანთი ადგილობრივი სტრუქტურების განვითარება განაპირობა განსაკუთრებით, რეგიონალურ ცენტრებში. მეორე მხრივ, აღნიშნულმა მოთხოვნამ ადგილობრივი პოლიტიკური პარტიების გარკვეული რაოდენობის გამოჩენა გამოიწვია, რომლებიც ადგილობრივი გავლენიანი პირების ხელშია. ამ უკანსკნელთ სხვადასხვა მიზეზთა გამო არ სურთ უკვე არსებულ პარტიაში გაერთიანება. 2006 წლის ნოემბრიდან, 71 არსებული პარტიიდან 16 ადგილობრივ პოლიტიკურ პარტიას წარმოადგენს.

რეგიონალური საბჭოები პირდაპირ არაა არჩეული: 1977 წლიდან, ისინი ადგილობრივი მთავრობების (ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები) წარმომადგენლებისგან შედგებიან, კერძოდ კი ადგილობრივი საბჭოების თავჯდომარეებისგან. ადგილობრივი მთავრობები არ ექვემდებარებიან რეგიონალურ მთავრობებს და მათი ფუნქციები გაყოფილია. რეგიონალური საბჭოები თითქმის 100%-ით ცენტრალური მთავრობისა და ფინანსური სტანდარტიზაციის მუნიციპალური ფონდის სუბსიდიებით ფინანსდებიან.

ურთიერთობები ცენტრალურ მთავრობასა და ადგილობრივ მთავრობებს შორის საკმაოდ კომპლექსურია. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტებთან დაკავშირებული 1994 წლის კანონი აადვილებს ადმინისტრაციულ დეცენტრალიზაციას, იმ რეგიონთა რაოდენობა, რომლებიც ექსკლუზიურად ადგილობრივი მთავრობების დაქვემდებარებაში იმყოფებიან შემცირდა ერთდროულად ადგილობრივი და ცენტრალური მთავრობების ზედამხედველობის ქვეშ მყოფი რეგიონების ხარჯზე.

ამ ტენდენციებმა დიდი უკმაყობილება გამოიწვია მუნიციპალიტეტების ლიდერებში, ადგილობრივი მთავრობების ავტონომიის არსებითი შეზღუდვისა და უფრო მნიშვნელოვანი ფუნქციების დელეგირების გათვალისწინებით ადეკვატური დაფინანსების არარსებობის პირობებში. აღნიშნულმა ზოგიერთებს კონსტიტუციაში იმ თავის ჩართვისკენ უბიძგა, რომელიც ადგილობრივი მთავრობების როლსა და ფუნქციებს განსაზღვრავს. თუმცა, ამ მთავრობების გარკვეულმა რაოდენობამ თავშეკავება გამოიჩინა და ადმინისტრაციული რეფორმის გატარებას შეეცადა, რომლის მიზანსაც მუნიციპალიტეტების რაოდენობის შემცირება წარმოადგენდა 500-დან დაახლოებით 100-მდე. მიუხედავად იმისა, რომ რეფორმის არსი უფრო დიდი და ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანი მუნიციპალიტეტების შექმნაში მდგომარეობდა, ადგილობრივმა ლიდერებმა მას წინააღმდეგობა გაუწიეს. ამ უკანასკნელთა აზრით, რთული იქნებოდა მუნიციპალური სამსახურების ამოქმედება თუკი ცენტრალური მთავრობა მათ განკარგულებაში მრავალ მილიონიან ფონდებს არ გადასცემდა.

ხელისუფლებათა ბალანსი

ზემოთ აღნიშნული ხელისუფლების ფორმალური დაყოფა პარლამენტის სასარგებლოდ მუშაობს, რადგან სწორედ *სეიმი* უყრის კენჭს მთავრობის შემადგენლობას და ამ უკანასკნელის გადაყენების უფლება აქვს და სწორედ ის ნიშნავს და თანამდებობიდან ანთავისუფლებს პრეზიდენტს. *სეიმს* ასევე აქვს ყველა დონის მოსამართლის დანიშვნისა და გაწვევის უფლება (საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების ჩათვლით).

თუმცა, კონსტიტუციით გათვალისწინებულია ხელისუფლებებს შორის ბალანსის გარკვეული მექანიზმების არსებობა კერძოდ, პარლამენტის შესაზღუდად. ამგვარად, *სეიმის* დაშლა რეფერენდუმის გზითაა შესაძლებელი. მხოლოდ პრეზიდენტს აქვს ამ ტიპის რეფერენდუმის ინიციირების უფლებამოსილება: მიზანი მნიშვნელოვანია, თუკი პრეზიდენტის ინიციატივა ხმის მიმცემთა უმრავლესობით იქნება უარყოფილი, პრეზიდენტი ტოვებს თავის პოსტს (კონსტიტუციის 48-ე მუხ.) დღემდე, ლატვიის პრეზიდენტებს არასდროს გამოუყენებიათ პოლიტი-

კური გავლენის ეს ინსტრუმენტი. ლატვიის უნიტარული რესპუბლიკა ერთპალატიან საკანონმდებლო ხელისუფლებას წარმოადგენს.

საპრეზიდენტო ინსტიტუტი ძალზე აქტიურია *სეიმის* მიერ მიღებული კანონების განხილვაში. ლატვიის კონსტიტუცია პრეზიდენტს ყველა კანონის დამტკიცებისა და ასევე უკვე მიღებული კანონპროექტების პარლამენტში გადაგზავნის უფლებას აძლევს. საპარლამენტო ოპოზიციას ან ინტერესთა ჯგუფებს ხშირად მიუმართავთ პრეზიდენტისთვის განმარტებების მოთხოვნითა და მათი არგუმენტების წინ წამოსაწევად.

ტაბულა №6: პრეზიდენტის მიერ სეიმში გადაგზავნილი კანონპროექტები

1993	1994	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006
0	4	0	4	4	4	4	2	5	5	3	6	2	7

წყარო: ლატვიის პრეზიდენტის კანცელარია, 2006 წ.

შენიშვნა: 1993 წლის 16 ივლისს პრეზიდენტი გიუნტის ულმანისი თავისი ფუნქციების შესრულებას შეუდგა. მონაცემები ვალიდურია 2006 წლის 15 ნოემბრიდან.

იმ შემთხვევაშიც, თუ *სეიმი* ზოგადად, პრეზიდენტის შენიშვნებს პასუხობს მოცემულ კანონში შესწორებების შეტანით, მას არავითარი ვალდებულება არა აქვს. პრეზიდენტის ვეტოს გვერდის ავლის სხვა ფორმაა დაჩქარებული წესით კანონის მიღების გამოცხადება. პრეზიდენტს არა აქვს *სეიმისთვის* გადაუდებელი კანონპროექტების გადაგზავნის არავითარი უფლება. 1993 წლიდან იმატა ამგვარი კანონების რაოდენობამ და მათი პროცენტულად გამოხატული წილი გაიზარდა საკანონმდებლო წინადადებების ჯამთან მიმართებაში, 17,9%-დან მე-5 სეიმის განმავლობაში 5%-მდე მე-8 სეიმის მანძილზე.

ტაბულა №7 : საკანონმდებლო წინადადებების რაოდენობა სეიმში

	მე-5 სეიმი	მე-6 სეიმი	მე-7 სეიმი	მე-8 სეიმი
საკანონმდებლო წინადადებები	839	1337	1442	1934
გადაუდებელი საკანონმდებლო წინადადებები	150	305	339	485
საბოლოო წაკითხვით მიღებული საკანონმდებლო წინადადებები	405	685	917	1272

წყარო: სეიმის კანცელარია, 2006 წ.

პოლიტიკური თვალსაზრისით ძალზე სენსიტიურ საკითხებთან დაკავშირებით, საპარლამენტო ოპოზიციას დაბალანსების სხვა ინსტრუმენტის გამოყენება შეუძლია. *სეიმის* არანაკლებ 34 დეპუტატის მოთხოვნით და პრეზიდენტის სურვილის შემთხვევაში, კანონის დამტკიცება ორი თვით შეიძლება დაგვიანდეს (თუკი კანონი დაჩქარებული წესით მისაღებად არაა მიჩნეული). შემდეგ, შესაძლებელია აღნიშნულ კანონზე რეფერენდუმის ჩატარება მოქალაქეთა არანაკლებ ერთი მეათედის ნების გამოხატვით ორი თვის ვადაში. 1991 წლის შემდეგ, ეს ინსტრუმენტი მხოლოდ ერთხელ იქნა გამოყენებული 1988 წელს ლატვიის მოქალაქეობასთან დაკავშირებულ კანონში შესწორებების შესატანად.

საკონსტიტუციო სასამართლო ხელისუფლებათა ბალანსის სისტემის ძირითადი შემადგენელია. ყველა მოსამართლე *სეიმის* მიერაა დანიშნული 10 წლის ვადით. ეს სასამართლო იხილავს: 1) კონსტიტუციასთან კანონებისა და საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისობას; 2) სხვა ნორმატიული აქტების შესატყვისობას უფრო დიდი ძალის მქონე ლეგალურ ნორმებთან; 3) ლატვიაში ძალაში შესული ნაციონალური ლეგალური ნორმების საერთაშორისო შეთანხმებებთან შესაბამისობას, რომლებიც კონსტიტუციას არ ეწინააღმდეგება.

საკონსტიტუციო სასამართლოს არავითარი ინიციატივის უფლება არა აქვს. ის შეზღუდული რაოდენობის ინსტიტუტების საჩივრებს განიხილავს: პრეზიდენტი, *სეიმი* ან ამ უკანასკნელის არანაკლებ 20 დეპუტატი, მთავრობა, გენერალური პროკურორი, ადამიანის უფლებათა სახელმწიფო ბიურო, უზენაესი სასამართლო. 2000 წლიდან საგრძნობლად იმატა პეტიციონერთა რაოდენობამ და ყველა პირს, რომლის ფუნდამენტური უფლებები

იქნა შეღახული (როგორც ეს კონსტიტუციაშია ჩაწერილი) პეტიციის წარდგენა შეუძლია საკონსტიტუციო სასამართლოში. ამ შესწორებამ მნიშვნელოვნად გააძლიერა ეს ინსტიტუტი, როგორც ხელისუფებათა ბალანსის ინსტრუმენტისა.

უბრალო მოქალაქეებმა აქტიურად გამოიყენეს საკონსტიტუციო სასამართლოში საჩივრის შეტანის უფლება. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ სასამართლოში ამ მოქალაქეთა პეტიციების მხოლოდ 12% იქნა მიღებული, მათ პარლამენტისა ან მთავრობის მიერ დამტკიცებული ნორმატიული აქტების გარკვეული რაოდენობის გასაჩივრება შეძლეს. თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლო უფრო კონსერვატორულია თავის გადაწყვეტილებებში ლატვიის პოლიტიკურ სისტემასთან მიმართებაში.

აღნიშვნავია, რომ აღმოსავლეთ სლავების უმცირესობის ინტერესთა გამომხატველმა პარტიებმა საკონსტიტუციო სასამართლოში პეტიციები წარადგინეს თავიანთი პოლიტიკური დღის წესრიგის წინ წამოსაწევად. ამ პარტიებმა აღნიშნული მექანიზმის გამოყენება 1998 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დაიწყეს და ხშირ შემთხვევაში, მოიგეს კიდეც.

დაბოლოს, *სეიმსა* და მთავრობაზე კონტროლის განსახორციელებლად ლატვიელ მოქალაქეებს რეფერენდუმის გამოყენება შეუძლიათ. მისი ჩატარების პროცედურა ხანგძლივი და არაერთგვაროვანია. ეს პროცედურა იწყება ლატვიის სრულწლოვან მოქალაქეთა არანაკლებ 10 000 ხელმოწერის შეგროვებით კანონპროექტის შესამუშავებლად. ამ ეტაპს მოჰყვება სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული 30 დღიანი პერიოდი, როდესაც ზრდასრულ მოქალაქეთა არანაკლებ 10%-მა მხარი უნდა დაუჭიროს ამ წინადადებას.

მიუხედავად ამისა, მოქალაქეთა ინიციატივა შეზღუდულია: კონსტიტუციის 73-ე მუხლის თანახმად, „ბიუჯეტი და სესხებთან, შესაკრებლებთან, საბაჟოს უფლებებთან, რკინიგზის ტარიფებთან დაკავშირებული კანონები, სამხედრო სამსახურში გაწვევა, ომის გამოცხადება და ომის დაწყება, სამშვიდობო ხელშეკრულებები, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება და მისი დასრულება, მობილიზაცია და დემობილიზაცია, ისევე როგორც შეთანხმებები სხვა ქვეყნებთან, ნაციონალურ რეფერენდუმს არ ექვემდებარება". ასევე შეუძლებელია გადაუდებელ რეჟიმში მიღებული კანონების რეფერენდუმზე გატანა (75-ე მუხ.).

1991 წლის შემდეგ, სამი რეფერენდუმი ჩატარდა და მათ შორის ერთი (ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით) უშედეგოდ დასრულდა, მოქალაქეობასთან და ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებულმა ორმა რეფერენდუმმა კი ამომრჩეველთა დაახლოებით 70% შეკრიბა. აღსანიშნავია, რომ 2000 წელს ხელმოწერების შეგროვებამ მთავრობა აიძულა უარი ეთქვა „ლატვენერგოს" პრივატიზაციაზე, რომელიც ქვეყნის ელექტრომომარაგების ერთადერთი კომპანიაა.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, ლატვიის დამოუკიდებლობის მიღების დროიდან, რეფერენდუმის ჩატარება არ გამხდარა ის მექანიზმი, რომელსაც ხშირად იყენებდნენ გადაწყვეტილების მისაღებად. როგორც ჩანს, რეფერენდუმის ორგანიზების პროცედურა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ლატვიელი მოქალაქეების შესაკავებლად (სხვათა შორის უკვე პასიურებისთვის). თუკი 1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან გარკვეულწილად იმატა სახალხო ინიციატივებმა, ისინი გამოუყენებლია 2000 წელს საწყისი 10 000 ხელმოწერის შეგროვების პროცედურის გამკაცრების შემდეგ.

აქტუალური დებატები

მოქმედი საარჩევნო სისტემის სიღრმისეული რეფორმა საჯარო დებატების მუდმივი საგანია, რომელიც ხაზგასმით აქტიურდება საპარლამენტო არჩევნების წინ. ზოგადად, რადგან ეს საკითხი წინა პლანზე პატარა პარტიებს გამოაქვთ, რომლებიც ხშირად, ვერ ახერხებენ საარჩევნო ბარიერის გადალახვას, რეფორმა გადაუწყვეტელი ან გულგატეხილი ამომრჩევლების მობილიზაციის მცდელობადაა მიჩნეული, რომელიც საზოგადოების უკმაყოფილებას ეყრდნობა პოლიტიკური პარტიების ეფექტურობის მიმართ.

SKDS-ს (საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის ცენტრი) მიერ 2006 წლის მარტში ჩატარებული გამოკითხვები გვიჩვენებს, რომ მაჟორიტარულ სისტემას ლატვიის რეზიდენტთა ერთ მესამედზე მეტი უჭერს მხარს. ეს სიტემა დადებითადაა მიჩნეული, რადგან ის გამიზნულია ამომრჩევლებსა და რჩეულებს შორის არსებული უფსკრულის შესამცირებლად, ზოგადად პოლიტიკის მიმართ ინტერესის გასაზრდელად და პოლიტიკური პარტიების – ერთ-ერთი ინსტიტუტი, რომელიც ყველაზე ნაკლები ნდობით სარგებლობს – კანდიდატების „გასანთავისუფლებლად". თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური პარტიები თავშეკავებას იჩენდნენ ამ დებატებში ჩასართველად და მოქმედ სისტემას უჭერდნენ მხარს. სიღრმისეული ცვლილება მოითხოვს არა მხოლოდ საკონსტიტუციო შესწორებებს, არამედ ასევე რეფერენდუმს, რადგან საარჩევნო სისტემის საფუძვლები კონსტიტუციის მე-6 მუხლითაა განსაზღვრული. გარდა ამისა, მაჟორიტარული სისტემის ელემენტების შემოტანა სავარაუდოდ, დაასუსტებს ყველაზე მნიშვნელოვანი პარტიების ისედაც მყიფე ორგანიზაციულ სტრუქტურებს, რომლებიც დიდი საქალაქო ცენტრების გარეთ ფუნქციონირებენ. შესაძლებელია ასევე *სეიმის* ფრაგმენტაციის გაზრდაც.

პირდაპირი სახალხო კენჭისყრით საპრეზიდენტო არჩევნების შემოღება ხშირად, სტაბილური, ქმედითი და პასუხისმგებელი აღმასრულებელი ხელისუფლების არსებობის გარანტიადაა მიჩნეული. მიუხედავად იმისა,

რომ გარკვეული პარტიები უკვე 1993 წლიდან ცდილობდნენ ამ წინადადების განხილვას, ის მხოლოდ ლატვიის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ იქნა გამოყენებული. 2001 წელს, ამ პარტიამ ქვეყნის სრულიად ახალი კონსტიტუცია შეიმუშავა, რომელიც პრეზიდენტობის ინსტიტუტს ძალზე ძლიერად განიხილავდა. ამ წინადადებამ ვერ მიიღო 10 000 სრულწლოვან მოქალაქეთა მხარდაჭერა, რომელიც აუცილებელი რაოდენობაა სახალხო საკანონმდებლო ინიციატივის შემდგომ ეტაპზე გადასასვლელად,

პარტიებისა და საარჩევნო კამპანიების დაფინანსების საკითხი ინტენსიური დებატების საგანი გახდა 1998 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, რომლის კამპანიაც ძალზე ძვირი დაჯდა. პოლიტიკური პარტიებისთვის პირდაპირი სახელმწიფო სუბსიდიების არარსებობის გამო, პოლიტიკის დაფინანსება მთლიანად კერძო სექტორს დააწვა (ფიზიკური ან იურიდიული პირები). გარდა ამისა, ფინანსური რესურსების განკარგვას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ხმის მიცემის არამდგრადობისა და პოლიტიკურ ასპარეზზე ახლად შემოსულთა კონტექსტში. საჯარო ფონდების ნაკლებობას შეუძლია კორუფციის საკმაოდ მაღალ დონეს შეუწყოს ხელი (შეფასებული კორუფციის აღქმის საერთაშორისო ტრანსპარენტულობის ინდექსით). ლატვიაში პოლიტიკის დაფინანსების თავისებურებებმა გადაწყვეტილების მიღების შეფერხებასა და პარტიების ძირითად კონტრიბუტორთა უსაფუძვლო პოლიტიკურ გავლენას შეუწყო ხელი. მიუხედავად იმისა, რომ სეიმმა მიიღო გადაწყვეტილება ყოველწლიური ინდივიდუალური შემოწირულობების პროცენტის შემცირების, საწარმოების მხრიდან ჩარიცხვების აკრძალვისა და ხარჯების ზღვარის შემოღებასთან დაკავშირებით კამპანიების მსვლელობისას, პარტიების დაფინანსების სისტემა შორსაა სრულყოფილებისგან, რადგან ამ შეზღუდვების გვერდის ავლა ნახევრად ლეგალური გზებით ხდება.

დასკვნა

ლატვიის დამოუკიდებლობის აღდგენის სტრატეგიამ და ლოგიკამ ნაკლებად შეუწყო ხელი ინსტიტუციონალური ჩარჩოს აღდგენას, რომელიც 1922-1934 წლებში პრევალირებდა. თუმცა, 1991 წლის შემდგომმა პოლიტიკურმა ელიტებმა 1934 წელს დემოკრატიის დაშლიდან გარკვეული დასკვნები გამოიტანეს და ასევე ლატვიის პოლიტიკური სისტემის მოდიფიცირება მოახდინეს დემოკრატიის თანამედროვე ცნების ჭრილში. ამავე დროს, შენარჩუნებული იქნა ამ სისტემის ძირითადად, საპარლამენტო ხასიათი, რომელიც პოლიტიკურ პარტიებზეა დაფუძნებული.

საარჩევნო სისტემა ხშირად განიხილება 1934 წლის დემოკრატიის ნგრევის მთავარ მიზეზად, რადგან მას პარლამენტის ძლიერი ფრაგმენტაცია შემოაქვს. აღნიშნულმა საარჩევნო ბარიერის შემოღება გამოიწვია 1991 წლის არჩევნების შემდეგ. საბჭოთა ოკუპაციის ხანგრძლივი პერიოდის გათვალისწინებით, დაზვერვის ყოფილ და მოქმედ ოფიცრებს (განსაკუთრებით, სუკ-ის ოფიცრებს), საბჭოთა ჯარის ოფიცრებს, ისევე როგორც კომუნისტურ პარტიაში აქტიურად მომუშავე პირებს 1991 წლის 13 იანვრის შემდეგ, ეკრძალებათ არჩევნებში მონაწილეობა.

ამ შეზღუდვებმა საჯარო დებატები გამოიწვია მათ კონსტიტუციურ ან შესაბამის ხასიათთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ მოქმედმა საარჩევნო სისტემამ პარლამენტში ნაკლები პარტიების შესვლა გამოიწვია, საპარლამენტო არასტაბილურობა კვლავაც მნიშვნელოვან პრობლემად რჩება. მოკლევადიანი მთავრობების არსებობის შემთხვევაშიც, საბაზრო ეკონომიკის მომხრეობა და პროდასავლური ორიენტაცია შენარჩუნებულია, რადგან 1993 წლიდან ცენტრისტულ-შემარჯვენე უმრავლესობები საკუთარ ადგილს ინარჩუნებდნენ ყოველ საპარლამენტო არჩევნებში.

ლატვიის საარჩევნო სისტემა შიდა პოლიტიკური დებატების მთავარი ობიექტია. ამ სისტემის სრული რეფორმის მოთხოვნები ასახავს უფრო საერთო უკმაყოფილებას პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური განვითარებით უკანასკნელ 15 წელიწადში. თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვან პარტიებს არსებული სისტემის შენარჩუნება სურთ. ამავე დროს, საზოგადოებრივმა ზეწოლამ ამ პარტიების ორგანიზაციებისა და კამპანიების დაფინანსების რეფორმირება განაპირობა უფრო მეტი გამჭვირვალობის მიმართულებით.

ომის შემდგომი საფრანგეთისა ან გერმანიისგან განსხვავებით, რომლებსაც საპარლამენტო სისტემის რეფორმის საგულისხმო გამოცდილება ჰქონდათ, ლატვიაში არ მომხდარა ხელისუფლების ხელახალი გადანაწილება აღმასრულებელი ხელისუფლების ან პრემიერ-მინისტრის პოზიციის გაძლიერების სასარგებლოდ. ეს საკითხები არ შესულა პოლიტიკურ დღის წესრიგში და პარლამენტმა საკუთარი პოზიცია უფრო გააძლიერა მთავრობასთან მიმართებაში ამ უკანასკნელისთვის ცალმხრივად კანონის ძალის მქონე დეკრეტების დამტკიცების კონსტიტუციური უფლების ჩამორთმევით. თუმცა, დღეისათვის მთავრობის გავლენა და როლი მატულობს, როგორც ამას მოწმობს პარლამენტში წარმოდგენილი კანონპროექტების მზარდი რაოდენობა და *სეიმის* უმნიშვნელო როლი ლატვიის პოლიტიკის შემუშავებაში ევროკავშირის დონეზე.

მეორე მხრივ, *სეიმისთვის* ლეგალური საზღვრები იქნა დადგენილი. ლატვიის ევროკავშირში გაწევრიანებამ შეზღუდა ნაციონალური პარლამენტის უპირატესობა გარკვეულ საკითხებში. გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ქარტიის კონსტიტუციაში ჩართვა და სრულიად ქმედითი და დამოუკიდებელი საკონსტიტუციო სა-

სამართლოს არსებობა მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს ხელისუფლებათა დაბალანსებისთვის. საგარეო პოლიტიკაში ვაირა ვიკე-ფრაიბერგას მოულოდნელმა გამოჩენამ ამ უკანასკნელს დამატებითი ნაციონალური გავლენა შესძინა *სეიმთან* და პოლიტიკურ პარტიებთან ურთიერთობებში, რომლებმაც კავშირი გაწყვიტეს სუსტი საპრეზიდენტო ინსტიტუტის ტრადიციასთან.

მიუხედავად იმისა, რომ პოსტკომუნისტური ლატვიის მოდიფიცირებული საპარლამენტო სისტემა (1922 წლის ვერსიასთან მიმართებაში) შორსაა სრულყოფისაგან, ის მისაღებ მექანიზმად წარმოჩნდება კოლექტიური და შემზღუდველი გადაწყვეტილების მისაღებად. ეს სიტემა გასაკვირად სტაბილურია (პოლიტიკის უწყვეტობაშია ასახული), მაგრამ მნიშვნელოვანმა პოლიტიკურმა დაყოფამ ერთი მხრივ, ეთნიკურად ლატვიელებსა და მეორე მხრივ, აღმოსავლეთ სლავების უმცირესობებს შორის, სავარაუდოთ ამ სიმტკიცეს გადამწყვეტი ფორმით შეუწყო ხელი. იმავდროულად, სისტემის საპარლამენტო ხასიათმა შესაძლებელი გახადა არა მხოლოდ საპრეზიდენტო მმართველობის სხვადასხვა სტილის არსებობა, არამედ ასევე ინტერსთა მრავალფეროვნებისაც, ამ უკანასკნელთა გაშუალების გარკვეული ნაციონალური და საერთაშორისო მექანიზმების მეშვეობით.

დანართი

1993-2006 წლების საპარლამენტო არჩევნების შედეგები

	1993 წ.		1995 წ.		1998 წ.		2002 წ.		2006 წ.	
	ადგილები	ხმები %	ადგილები	ხმები %	ადგილები	ხმები %	ადგილები	ხმები %	ადგილები	ხმები %
ლატვიის გზა	36	32,4	17	14,6	21	18,1	0	4,9	10	8,6
ლატვიის პირველი პარტია	-	-	-	-	-	-	10	9,5		
ახალი პარტია	-	-	-	-	8	7,3	-	-	-	-
ქრისტიან-დემოკრატთა გაერთიანება	6	5	8	6,3	0	2,3	-	-	-	-
ლატვიის ფერმერთა გაერთიანება	12	10,7			0	2,5	12	9,4	18	16,7
ლატვიის ეკოლოგთა პარტია	0	1,2	8	6,3	0					
LNNK	15	13,4			17	14,7	7	5,4	8	7,0
პარტია სამშობლოსა და თავისუფლებისვის	6	5,4	14	11,9						
ბლოკი თანხმობის ცენტრი ეკონომიკური აღორძინება	13	12	-	-	-	-	-	-	-	-

	1993 წ.		1995 წ.		1998 წ.		2002 წ.		2006 წ.	
	ადგილები	ხმები %	ადგილები	ხმები %	ადგილები	ხმები %	ადგილები	ხმები %	ადგილები	ხმები %
ნაციონალური თანხმობის პარტია	-	-	6	5,6						
ლატვიის სოციალისტური პარტია	-	-	5	5,6	16	14,1	25	19,0	17	14,4
თანაბარი უფლებები	7	5,8	--	--					6	6
ცენტრის დემოკრატიული პარტია	5	4,8	--	--	--	--	-	-	-	-
დემოკრატიული პარტია „მასტერი“	-	-	18	15,2	0	1,6	-	-	-	-
სახალხო მოძრაობა „ყველაფერი ლატვიისთვის“	-	-	16	14,9	0	1,7	-	-	-	-
ლატვიის ერთიანობის პარტია	-	-	8	7,1	0	0,5	-	-	-	-
სახალხო პარტია	-	-	-	-	24	21,2	20	16,6	23	19,6
ლატვიის სოციალ-დემოკრატიული კავშირი	-	-	-	-	14	12,8	0	4,0	0	3,5
ახალი ერა	-	-	-	-	-	-	26	23,9	18	16,4
სხვები	0	9,3	0	12,5	0	3,2	0	7,3	0	7,8
მთლიანად	100	100	100	100	100	100	100	100	100	100

ბიბლიოგრაფია

IKSTENS, Jānis (2006b), „Eastern Slavic Political Parties in Latvia“, in: Nils Muznieks (ed), *Latvian-Russian Relations: Domestic and International Dimensions.* Riga, University of Latvia.

IKSTENS, Jānis (2005a), „FHRUL bloc: Leftist Parties or Parties or Russian-speaking People?“ In: *Acta Universitatis Latviensis,* vol.680 (April 2005), pp. 152-161.

IKSTENS, Jānis (2005c), „Nation-building and the role of international organizations in Latvia“, In: Nobuya Hashimoto *et al. (eds). A Collection of Papers on History and Today's Situation of Russian-speaking population in Estonia and Latvia.*Hiroshima University, 2005.

MISIUNAS, ROMUALD J. and Rein TAAGEPERA (1993).*The Baltic States. Years of Dependence, 1940-1990.* University of California Press.

SIKK, Allan (2004), *Successful new parties in the Baltic countries:similar or different?* Paper prepared for the conference „Baltic States – New Europe or old?“, University of Glasgow, January 2004.

STATISTICAL, Yearbook of Latvia (2005), Riga.

STRODS, Heinrihs. Resistance in Latvia, 1944-1991, In: *The Hidden and Forbidden History of Latvia under Soviet and Nazi Occupations 1940-1991: Selected Research of the Commission of the Historians of Latvia,* vol. 14, pp. 286-298, Riga

თავი XIII

ლიტვა

ალგის კრუპავიჩუსი

ისტორიული გარემოებები და დემოკრატიული რეჟიმის ჩამოყალიბება

ლიტვა, ესტონეთი და ლატვია ყოფილი საბჭოთა კავშირის პირველი ქვეყნებია, რომლებიც 1988 წლიდან დემოკრატიის გზას დაადგნენ მშვიდობიანი რევოლუციის შედეგად. თუმცა, ბალტიის სახელმწიფოები საგრძნობლად განსხვავდებიან დანარჩენი ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებისაგან, ყოველ შემთხვევაში, ორი ფაქტორით. პირველ ყოვლისა, ესტონეთმა, ლატვიამ და ლიტვამ დემოკრატიული წესრიგის დამყარება შეძლეს დემოკრატიის პირველი დიდი ტალღის აგორების დროიდან 1920-იანი წლების დასაწყისში. ეს დემოკრატიული გამოცდილება არ გამქრალა ისტორიის ხრიკებში და ბალტიის რესპუბლიკების ნაციონალური და დემოკრატიული აღორძინების საგულისხმო ელემენტს წარმოადგენდა 1980-იანი წლების მიწურულს. შემდეგ, ორ მსოფლიო ომს შორის არსებული დამოუკიდებლობის პერიოდი „სუვერენიტეტისთვის მნიშვნელოვანი მემკვიდრეობა“ იყო.[129]

1988 წელს დაფუძნდა ლიტვის დემოკრატიული მოძრაობა *„საიუდისი“* ფუნდამენტური პოლიტიკური ცვლილების განსახორციელებლად გორბაჩოვის „პერესტროიკასთან“ თანხვედრაში. ლიტვაში მშვიდობიან რევოლუციას „მომღერალი რევოლუცია“ ეწოდა მასების შეკრებების გათვალისწინებით, რომელიც „სწრაფად იქცა დაგროვებული აღშფოთების გამოტანის, შეკავებული ემოციების გამოხატვის მიზეზად ფარისეველი და მჩაგვრელი საბჭოთა ხელისუფლების ორმოცდაათწლიანი მმართველობის წინააღმდეგ რეფორმების გატარების მოთხოვნებთან ერთად.“[130] „მომღერალი რევოლუციის“ კულმინაცია გახდა „ბალტიის გზა“, ცოცხალი ჯაჭვი, რომელშიც 1989 წლის 23 აგვისტოს ორი მილიონი კაცი იღებდა მონაწილეობას ვილნიუსიდან ტალინამდე. საქმე ეხებოდა მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის 50-ე წლისთავის აღნიშვნას, რომელსაც 1940 წელს ლიტვის ანექსია მოჰყვა საბჭოთა კავშირის მხრიდან.

პოლიტიკური კონფლიქტები ლიტვაში ორ ასპექტს მოიცავდა: დემოკრატია კომუნიზმის წინააღმდეგ და ეროვნული დამოუკიდებლობა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ზოგადად, ლიტვა მოლაპარაკებებზე დამყარებული გარდამავალი პერიოდის მაგალითს წარმოადგენს. რეფორმატორები და ლიტვის კომუნისტური პარტიის (PCL) წევრების უმრავლესობა ქარიზმატულ ლიდერს, ალგირდას ბრაზაუსკასს უჭერდა მხარს, რომელიც 1950-იანი წლების მიწურულის ნომენკლატურას მიეკუთვნებოდა. 1988 წლის დასასრულს *საიუდისის* მხარდაჭერით, ბრაზაუსკასი კომუნისტური პარტიის სათავეში აღმოჩნდა, რომელმაც კავშირი გაწყვიტა არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან, არამედ სწრაფად განიცადა ტრანსფორმაცია და ლიტვის შრომის დემოკრატიული პარტია გახდა, ქვეყნის მთავარი მემარცხენე პარტია 1990 წლიდან 2000 წლამდე.

გარდამავალი პერიოდის პოლიტიკის მეორე ბანაკი *საიუდისთა* და მისი ლიდერის, ვიტაუტას ლანდსბერგისით იყო წარმოდგენილი. *საიუდისი* კომუნისტურ პარტიასთან შედარებით აშკარად უფრო მრავალრიცხვან პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა ლიტვაში 1988-1990-იან წლებში. გარდა ამისა, ეს მოძრაობა დემოკრატიაზე გადასვლისა და 1988-1990 წლების „მომღერალი რევოლუციის“ გზით ნაციონალური სუვერენიტეტის აღდგენის სტრატეგიული და ინტელექტუალური ლიდერი იყო. მუსიკათმცოდნე პროფესორი და მ. კ. ჩურლიონისის (XX საუკუნის დასაწყისის ცნობილი მხატვარი და კომპოზიტორი) მემკვიდრეობის მკვლევარი ვიტაუტას ლანდსბერგისი *საიუდისის* ინტელექტუალურ ხელმძღვანელობას განასახიერებდა ლიტვის გარდამავალ პერიოდში. პოლიტიკური მეტოქეობა ბრაზაუსკასსა და ლანდსბერგისს შორის, რეფორმისტულ კომუნისტურ პარტიასა და *საიუდისს* შორის და ამ უკანასკნელთა ორგანიზაციებში – PDLP (ლიტვის შრომის დემოკრატიული პარტია) და გაერთიანება სამშობლოსთვის/ლიტველი კონსერვატორები, ქვეყნის პოლიტიკურ ღერძს წარმოადგენდა, რომელმაც თითქმის ათწლეულის მანძილზე მემარცხენეობისა და მემარჯვენეობის ღერძის სტრუქტურირება მოახდინა.

პირველი თავისუფალი საპარლამენტო არჩევნები 1990 წლის 24 თებერვალს ჩატარდა. *საიუდისმა* ნამდვილი გადატრიალება მოახდინა და 141 ადგილიდან 92 მიიღო. *საიუდისის* დეპუტატებს შორის იყვნენ რეფორმატორი კომუნისტები, სოციალ-დემოკრატები, მწვანეები და ქრისტიან-დემოკრატები. სხვა ადგილები ლიტვის დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიის წევრებმა შეავსეს 32 დეპუტატით, რომელთაგან რამდენიმე პროსაბჭოურად განწყობილი, ზოგიერთი კი დამოუკიდებელი დეპუტატი იყო. 1990 წლის 11 მარტს, ახალმა ასამბლე-

---

129 Aaarebrot F., T. (2000) Introduction, In Aaarebrot F., Knutsen T. (eds) *Politics and Citizenship on the Eastern Baltic Seaboord. The Structuring of Democratic Politics from North-West Russia to Poland*, Kristiansand : Nordic Academic Press, p. 21.

130 Vardys V. S., Sedaitis J. (1997) *Lithuania : The Rebel Nation*, Boulder : Westview Press, p. 125.

ამ დამოუკიდებლობის აღგენა გამოაცხადა. საბჭოთა კავშირმა ის არ აღიარა 1991 წლის იანვარში. საბჭოთა ხელისუფალნი ცდილობდნენ მთავარი სახელმწიფო შენობების დაკავებას, მათ შორის ვილნიუსის ტელევიზიის შენობისაც. 1991 წლის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, კრემლმა 16 სექტემბერს ბოლოს და ბოლოს ლიტვის დამოუკიდებლობა აღიარა.

ორ მსოფლიო ომს შორის არსებული დემოკრატიის ხანმოკლე გამოცდილება ორიენტირი იყო 1990-ანი წლების დასაწყისის კონკურენტული ინსტიტუციონალური მოწყობისა და პოლიტიკური დღის წესრიგისთვის. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ახალმა პოლიტიკურმა ელიტამ 1938 წლის კონსტიტუცია აირჩია ინსტიტუციონალური მშენებლობის ძირითად საფუძვლად. რადგან ლიტვამ თავისი სუვერენიტეტი ხელახლა მოიპოვა უწყვეტობის ხაზგასმით ორ მსოფლიო ომს შორის არსებულ დამოუკიდებლობასთან, დამფუძნებელმა ასამბლეამ ერთ-ერთ პირველ აქტად წინასწარი საბაზო კანონი მიიღო, რომელიც 1938 წლის კონსტიტუციით მიღებულ რეგულაციებსა და ინსტიტუტებს და ლიტვის უკანასკნელ საბჭოთა კონსტიტუციას ეყრდნობოდა.

ბევრი გარდამავალი ქვეყნების მსგავსად, პარლამენტმა ცენტრალური ადგილი დაიკავა ახალ ინსტიტუციონალურ სტრუქტურაში. ცვლილების პროცესში მყოფი რეჟიმის გადაჭარბებული პარლამენტარიზაცია ბუნებრივი ტენდენციაა იქიდან გამომდინარე, რომ ყველა პოლიტიკური და სოციალური ცვლილებების ლეგალიზება და დაკანონება პარლამენტის მეშვეობითაა შესაძლებელი. შემთხვევითი არაა, რომ აღდგენილ უმაღლეს საბჭოს – სეიმს, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებების საქმეებში ჩარევის უფლება ჰქონდა და უმრავლეს შემთხვევაში, მის ხელში იყო თანამდებობებზე დანიშვნისა და სხვა უფლებამოსილებები (როგორიცაა საგარეო პოლიტიკის წარმართვაში მონაწილეობა, მოქალაქეობის განსაზღვრა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევა და სხვ.), რაც ჩვეულებისამებრ, სხვა დემოკრატიულ ქვეყნებში სახელმწიფოს მეთაურის ან აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა ინსტიტუტების პრეროგატივაა. გარდა ამისა, პარლამენტმა შეინარჩუნა საბჭოთა რელიკვია – პრეზიდიუმი -, კოლექტიური თავჯდომარეობის ანალოგიური ორგანო სახელმწიფოს სათავეში. 1992 წლის ახალი კონსტიტუციის მიღებამდე, ლიტვა ფორმალურად საპარლამენტო რესპუბლიკა იყო. ამავე დროს, პოლიტიკური ცხოვრების მთავრ ფიგურას არა პრემიერ-მინისტრი, არამედ პარლამენტის თავჯდომარე წარმოადგენდა.

აღმასრულებელი ხელისუფლების არჩევანი და სტრუქტურა

რატომ შეაჩერა ლიტვამ თავისი არჩევანი ნახევრად საპრეზიდენტო რეჟიმზე პარლამენტარიზმის ნაცვლად? ეს საკითხი მეტად მნიშვნელოვნად წარმოჩნდება ბალტიის სხვა ქვეყნების კონტექსტში, რომლებმაც არჩევანი საპარლამენტო რეჟიმის სასარგებლოდ გააკეთეს.

რეალობიდან გამომდინარე, ინსტიტუციონალიზაციის პროცესი არ იყო მნიშვნელოვანი. პოლიტიკურმა ჯგუფებმა, დამფუძნებელ ასამბლეებში შესვლამდე, უკვე გამოხატეს თავიანთი იდეები სახელმწიფოს მოწყობასა და მმართველობაზე. ოპოზიციის მთავარი მოძრაობა *საიუდისი* და რეფორმირებული კომუნისტური პარტია დათანხმდნენ საპარლამენტო არჩევანს. მაგრამ პოლიტიკურ აღქმებსა და ორიენტაციებს საკმაოდ დრამატულად შეცვლის ტენდენცია ახასიათებს ახლად ჩამოყალიბებული კონსტიტუციური რეგულაციების მთავარი აქტორების პოლიტიკური პოზიციების ტრანსფორმაციასთან ერთად.

1992 წლის ლიტვის კონსტიტუციამ გაბედული კომპრომისი შემოიტანა ნახევრად საპრეზიდენტო სისტემის შემოღებით ძლიერი საპრეზიდენტო ინსტიტუტის ნაცვლად, რომელსაც პროპაგანდას მემარჯვენეები და წმინდა საპარლამენტო დემოკრატიის წარმომადგენელი მემარცხენეები უწევდნენ. ორ მსოფლიო ომს შორის არსებული დემოკრატიის გამოცდილება ლიტვაში ხანმოკლე იყო და მან თვადაპირველად ნაციონალური ავტორიტარიზმის, შემდეგ კი საბჭოთა კომუნიზმის მიმართულებით განიცადა ტრანსფორმაცია. ქარიზმატული ლიდერის არსებობა თანხმობაში მოდიოდა მასების მოთხოვნებთან. 1993 წელს რესპონდენტთა 73% ეთანხმებოდა იმ აზრს, რომ პრეზიდენტს უნდა ჰქონოდა პარლამენტის მუშაობის შეჩერებისა და აუცილებლობის შემთხვევაში, დეკრეტებით მართვის უფლებაც. საზოგადოებრივი აზრის გასწვრივი მონაცემები გვიჩვენებს, რომ თუკი 1993-1995 წლებში ლიტველების 22-23% ეთანხმებოდა პარლამენტის მუშაობის შეჩერებასა და პარტიების გამორიცხვის შესაძლებლობას, ამგვარი ქმედებებისადმი მხარდაჭერა გაიზარდა და 2001 წელს რესპონდენტთა 40-45%-ს მიაღწია. ამ უკანასკნელთა აზრით, ეს იქნებოდა პარლამენტის და არჩევნების გვერდის ავლის საუკეთესო ფორმა, რაც ძლიერი ლიდერის მიერ სწრაფად ყველაფრის მოგვარებას შეუწყობდა ხელს.

ძალზე პოპულარული პრეზიდენტების არსებობა ასევე საერთო მოდელს წარმოადგენს.[131] ერთი რამ აშკარაა: ლიტვის პოლიტიკური კულტურა ნახევრად საპრეზიდენტო სისტემის აღდგენისა და ლეგიტიმაციის ხელშემწყობი ცვლადი იყო 1990-იანი წლების დასაწყისში.

1992 წლის კონსტიტუციის თანახმად, ლიტვა ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკას წარმოადგენს ხელისუფლების მკაცრი ბალანსის გათვალისწინებით პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის.

---

131 Sedelius Th. (2006) „The Tug-of War between Presidents and Prime Ministers : Semi-Presidentialism in Central and Eastern Europe". *Orebro Studies in Political Science*, Orebro, n° 15, pp. 201-203.

ლიტვის კონსტიტუციის თანახმად, რესპუბლიკის პრეზიდენტი სახელმწიფოს მეთაურია. იგი სახალხო კენჭისყრით 5 წლის ვადითაა არჩეული ორი განახლებადი მანდატით.

რაც შეეხება საპრეზიდენტო უფლებამოსილებების სისტემატიზაციას, ეს უკანასკნელნი შედარებით სუსტია, რადგან პრეზიდენტის ფუნქციები მნიშვნელოვანწილად საპატიო და არაეფექტურია. პრეზიდენტი ოფიციალურად ამტკიცებს სეიმის კანონებს და ვეტოს უფლებას განკარგავს. სამაგიეროდ, სეიმს პრეზიდენტის ვეტოს გვერდის ავლა შეუძლია აბსოლუტური უმრავლესობით. სხვა ნახევრად საპრეზიდენტო ქვეყნების მსგავსად, ლიტვის პრეზიდენტს პრემიერ-მინისტრის დანიშვნის უფლება აქვს, რომელიც პარლამენტის ინვესტიტურაზე დაყრდნობით, მთავრობას აყალიბებს. მაგრამ ფაქტობრივად, მხოლოდ სეიმს შეუძლია მინისტრებისა ან მთავრობის გაკრიტიკება ან გადაყენება.

ფორმალურად, პრეზიდენტს სეიმის დაშლის უფლება აქვს მთავრობისადმი უნდობლობის კენჭისყრის შემდეგ, მაგრამ აღნიშნული შეიძლება მოხდეს მხოლოდ მაშინ თუკი, მთავრობა პრეზიდენტს ვადამდელი არჩევნების ჩატარებას მოსთხოვს. თუმცა, პრეზიდენტს ამის გამოყენების სხვა შემთხვევაც აქვს თუ სეიმი მთავრობის პროგრამას არ დაამტკიცებს 30 დღეში ან ამ პროგრამას ორჯერ უარყოფს 60 დღეში. რადგან ნახევრად საპრეზიდენტო რეჟიმი ხელისუფლებათა ბალანსისა და კონტროლის სისტემაზეა დაფუძნებული, ლიტვის კონსტიტუციით შემოტანილია ნორმა, რომლის თანახმად, სეიმის დაშლის შემდეგ ახალი პარლამენტის წევრების არანაკლებ სამ მეხუთედს ახალი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების მოთხოვნა შეუძლია. პრეზიდენტის ვადამდელი გადაყენება შესაძლებელია კონსტიტუციის სერიოზული დარღვევისა ან საპრეზიდენტო ფიცის გატეხვის შემთხვევაში, ან ჩადენილი დანაშაულის გამოაშკარავების შემთხვევაში. სეიმი რესპუბლიკის პრეზიდენტის გადადგომას წყვეტს იმპიჩმენტის გამოყენებით საკონსტიტუციო სასამართლოსა და პარლამენტის წევრთა სამი მეხუთედის გადაწყვეტილებით.

პრეზიდენტის მიერ თანამდებობებზე დანიშვნის უფლებამოსილებები საკმაოდ ფართოა. მას შეუძლია თანამდებობაზე დანიშნოს უმაღლესი სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოს თავჯდომარე და მოსამართლეები, უფრო დაბალი საფეხურის სამი (ცხრიდან) მოსამართლე და საკონსტიტუციო სასამართლოს თავჯდომარე, სახელმწიფო კონტროლის სამინისტროს თავჯდომარე, ლიტვის ბანკის ადმინისტრაციული საბჭოს პრეზიდენტი, ჯარების მეთაური და უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი, ისევე როგორც გენერალური პროკურორი. ამავე დროს, ეს დანიშვნები პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს.

საგარეო პოლიტიკა პრეზიდენტის ძალაუფლების განსაკუთრებული სფეროა. თუმცა, საგარეო პოლიტიკის ინიცირება მას მხოლოდ თავისი მთავრობის მხარდაჭერით შეუძლია.

ცხრილი №1: ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტები, 1993-2007 წწ.

	პარტია	პრეზიდენტის პარტიის პოზიცია (ადგილები %-ში)	მანდატი
ალგირდას მიკოლას ბრაზაუსკასი	ლიტვის მშრომელთა დემოკრატიული პარტ.	74 (52%)	თებერვალი 1993 წ. – თებერვალი 1998 წ.
ვალდას ადამკუსი	უპარტიო	14 (10%)*	თებერვალი 1998 წ – თებერვალი 2003 წ.
როლანდას პაკასი	ლიბერალ-დემოკრატიული პარტია	13(9%)	თებერვალი 2003 წ – აპრილი 2004 წ.
არტურას პაულაუსკასი (მოქმედი პრეზიდენტი)	ახალი გაერთიანება/ სოციალ-დემოკრატები	22 (16%)	აპრილი 2004 წ. – ივლისი 2004 წ.
ვალდას ადამკუსი	უპარტიო	18 (13%)**	2004 წ.-ის ივლისიდან

*ადამკუსი არჩევნებში კანდიდატად ლიტვის ცენტრის კავშირმა დაასახელა; **ადამკუსის ხელახალ არჩევას მხარი დაუჭირეს ლიბერალებმა და ცენტრის კავშირმა. ზემოთ აღნიშნულია პარტიის მიერ მოპოვებული ადგილები სეიმის 2004 წლის არჩევნების შემდეგ .

საპრეზიდენტო უფლებამოსილებების განსაზღვრა ნახევრად საპრეზიდენტო სისტემაში ყოველთვის რთული საქმეა, რადგან პრეზიდენტის ფორმალურად სისტემატიზებული ან *de jure* უფლებამოსილებები ხშირად არ ასახავს *de facto* უფლებებს. გამოთვლითი სირთულე მდგომარეობს იმ ფაქტში, რომ *de facto* უფლებამოსილებები ფართოდაა დამოკიდებული ლეგისლატურის პოლიტიკურ კონფიგურაციაზე. 1993 წლიდან, ლიტვაში ოთხი საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა და მას სამი პრეზიდენტი ჰყავდა. 1993 წელს ლიტვური წარმოშობის ამერიკელმა ეკოლოგმა, ვალდას ადამკუსმა ლიტვის ცენტრის კავშირის მხარდაჭერით საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა და თავის მეტოქეს, ასევე დამოუკიდებელ კანდიდატს, რომელსაც რამდენიმე ცენტრისტულ-მემარ-

ცხენე პარტია უჭერდა მხარს, 0, 74%-ით გაუსწრო. 2003 წლის დასაწყისში ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა და ამჯერად ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა როლანდას პაკსასმა მესამე საპრეზიდენტო არჩევნები ხმათა 54,71%-ით მოიგო. პაკასასის იმპიჩმენტის შემდეგ, ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში ყოფილმა პრეზიდენტმა ვალდას ადამკუსმა მოუგო ყოფილ პრემიერ-მინისტრსა და გლეხთა კავშირისა და ახალი დემოკრატიული პარტიის ლიდერს, კაზიმირა პრუნსკენეს ხმათა 51,89%-ით.

კვლავაც აქვს თუ არა მთავრობას პრეზიდენტზე მეტი გავლენა ლიტვის პოლიტიკაზე აღმასრულებელი ხელისუფლების დუალურ სისტემაში? კონსტიტუციური თვალსაზრისით, მთავრობა პასუხისმგებელია ქვეყნის საქმეების მართვაზე, სამინისტროების საქმიანობის კოორდინაციაზე, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებასა და დიპლომატიური ურთიერთობების შენარჩუნებაზე.

აღმასრულებელი ხელისუფლების ურთიერთობების კვლევა ყოველ შემთხვევაში ლიტვაში, უზარმაზარ პრობლემას აწყდება. ამ ქვეყანაში იყო და კვლავაც არსებობს დემოკრატიული რეჟიმი, რომელმაც კონსტიტუციური წესების მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა 1990-იანი წლების დასაწყისში მაშინ, როდესაც ხელისუფლების აღმასრულებელ შტოში დემოკრატიული პრაქტიკა და ტრადიციები დღესაც განვითარების პროცესშია.

რაკი ფორმალურად, ლიტვა საპარლამენტო დემოკრატიაა, ქვეყანამ გარკვეული პერიოდის განმავლობაში გადაჭარბებული პარლამენტარიზაციის პროცესი განვლო, რამდენადაც დამფუძნებელმა ასამბლეამ თავის თავზე აიღო ჩვეულებრისამებრ, მთავრობის განკარგულებაში არსებული მრავალი აღმასრულებელი ფუნქცია. ამ გარემოებებმა 1990-1991 წლებში პოლიტიკური კონფლიქტები ან „უმაღლესი ეშელონის ომები" გამოიწვია პრეზიდენტსა და მთავრობას შორის, რასაც კ. პრუნსკენეს პირველი მთავრობის გადადგომა მოჰყვა 1991 წლის იანვარში. კონფლიქტის მეორე საფუძველი გახდა საკანონმდებლო ასამბლეასა და მთავრობას შორის ინტერაქციის გაუთავებელი მოდელებისა და წესების დადგენა. 1992 წლის კონსტიტუციის მიღების შემდეგაც, მთავრობის საპარლამენტო კონტროლი ძალზე პრობლემატურ საკითხს წარმოადგენდა, რომლისთვისაც გვერდის ავლა ყველა მთავრობას სურდა.

აღმასრულებელი ხელისუფლების დუალური სისტემა ასევე სხვა კონფლიქტს წარმოშობს: აღმასრულებელი ხელისუფლების ორ შტოს, მთავრობასა და პრეზიდენტს შორის. შიდა კონფლიქტის პერსპექტივები იზრდება, როდესაც პრეზიდენტი და მთავრობა განსხვავებულ ან დაპირისპირებულ პოლიტიკურ ჯგუფებს წარმოადგენენ. 1996 წლიდან, ურთიერთობები მთავრობასა და პრეზიდენტს შორის, 2000-2001 წლების ხანმოკლე პერიოდის გარდა, როდესაც ხელისუფლებაში პროსაპრეზიდენტო ბლოკი იმყოფებოდა, შეიძლება განხილული იქნეს თანაარსებობად ფრანგული მოდელის მსგავსად. ზოგადად, ურთიერთობები პრეზიდენტსა და მთავრობას შორის შეიძლება შედარებით არაკონფლიქტურად იქნეს განსაზღვრული იმის გათვალისწინებით, რომ ძალზე დიდ უთანხმოებებს მხოლოდ ორჯერ ჰქონდა ადგილი. 2005 წლის დეკემბერში პრეზიდენტმა ბრაზაუსკასმა მთავრობის მეთაურის გადადგომა მოითხოვა. მართლაც, ლიტვა საბანკო კრიზისმა მოიცვა, რომელიც გამოწვეული იყო მისი ყველაზე დიდი ორი კომერციული ბანკის გაკოტრებით. ცნობილი გახდა, რომ პრემიერ-მინისტრმა, ადოლფას სლეზევიჩუსმა პირადი დანაზოგი გამოიტანა Innovation Bank-დან მის დახურვამდე რამდენიმე დღით ადრე. შემდეგ, კონფლიქტი მოხდა ადამკუსსა და ვაგნორიუსს შორის. პრეზიდენტმა ადამკუსმა მოითხოვა პრემიერ-მინისტრის გადადგომა ეკონომიკური კრიზისის წინაშე არაადეკვატური ქმედების გამო მიუხედავად სეიმში კონსერვატორების დომინანტობისა 1999 წელს.

ცხრილი №2: ლიტვის პრემიერ-მინისტრები, 1990-2007 წწ.

პრემიერ-მინისტრი	მანდატის დასაწყისი	პრემიერ-მინისტრის პარტია	სეიმში პრემიერ-მინისტრის პარტიის ადგილები – %	ინტერაქციის ფორმა პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის
კაზიმირა პრუნსკენე	1990 წ.	საიუდისი	68,6	-
ალბერტას სიმნასი	1991 წ.	საიუდისი	68,6	-
გედიმინას ვაგნორიუსი	1991 წ.	საიუდისი	24,5*	-
ალეკსანდრას აბისალა	1992 წ.	საიუდისი	24,5*	-
ბრონისლოვას ლუბისი	1992 წ.	ლიბერალთა გაერთიანება	52,5	-
ადოლფას სლეზევიჩუსი	1993 წ.	LDLP*	52,5	კონსენსუსი ბრაზაუსკასთან

ლაურინას მინდაუგას სტანკევიჩუსი	1996 წ.	LDLP	45,1	კონსენსუსი ბრაზაუსკასთან
გედიმინას ვაგნორიუსი	1996 წ.	LC**	51,0	თანაარსებობა ბრაზაუსკასთან
როლანდას პაკსასი	1999 წ.	LC	51,0	თანაარსებობა ადამკუსთან
ანდრიუს კუბილიუსი	1999 წ.	LC	35,8	თანაარსებობა ადამკუსთან
როლანდას პაკსასი	2000 წ.	LLU***	23,4	თანაარსებობა ადამკუსთან
ალგირდას მიკოლას ბრაზაუსკასი	2001 წ.	LSDP****	34,0	თანაარსებობა ადამკუსთან და პაკსასთან
ალგირდას მიკოლას ბრაზაუსკასი	2004 წ.	LSDP	14,2	თანაარსებობა ადამკუსთან
გედიმინას კირკილასი	2006 წ.	LSDP	16,3	თანაარსებობა ადამკუსთან

*-ლიტვის შრომის დემოკრატიული პარტია; ** – ლიტვის გზა; ***– ლიტვის ლიბერალური კავშირი; **** – ლიტვის სოციალ– დემოკრატიული პარტია.

მესამე სერიოზულ კონფლიქტში მთავრობაზე მეტად პრეზიდენტი და პარლამენტი იქნა ჩართული იმის გათვალისწინებით, რომ პრემიერ-მინისტრი ბრაზაუსკასი შეეცადა ნეიტრალური ყოფილიყო საპრეზიდენტო სკანდალთან მიმართებაში. 2003 წელს პრეზიდენტს ბრალი დასდეს კონსტიტუციის შელახვაში და 2004 წლის აპრილში იგი გადადგა. პაკსასის *იმპიჩმენტმა* რეჟიმი მნიშვნელოვნად შეარყია და ძალზე შეამცირა სახალხო ნდობა პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი .

ამ შემთხვევაში, აუცილებელია დამატებითი დაკვირვება პრემიერ-მინისტრის ცვალებად როლზე, არა მხოლოდ აღმასრულებელ ხელისუფლებაში, არამედ მთლიანად ინსტიტუციონალურ ჩარჩოში. ლიტვის კონსტიტუცია მოკლედ ეხება პრემიერ-მინისტრის ფუნქციებს და მხოლოდ აღნიშნავს, რომ იგი მთავრობას ხელმძღვანელობს და წარმოადგენს. მნიშვნელოვანია სხვადასხვა პერიოდების ხაზგასმა: 1990-1992 წლებში პრემიერ-მინისტრი ძალზე დამოკიდებულია საპარლამენტო უმრავლესობაზე, რადგან ზეპარლამენტარიზაციის ფენომენმა სახელმწიფო მეთაური ფაქტობრივად პარლამენტის მეთაური გახადა. ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგ, პრემიერ-მინისტრსა და სეიმის თავჯდომარეს შორის ურთიერთობები ნორმალურ მდგომარეობას დაუბრუნდა მას შემდეგ, რაც საპარლამენტო ლიდერმა თავისი გავლენა დაკარგა მთავრობის მეთაურზე.

1993 წელს საპრეზიდენტო ინსტიტუტის ხელახალი შემოღების შემდეგ, პრემიერ-მინისტრის რეალური როლი ძირითადად, დამოკიდებული იყო პრეზიდენტთან კონსენსუსის ან თანაარსებობის პერიოდებზე. კონსენსუსის პერიოდებში, პრეზიდენტები უფრო ჩართულები იყვნენ პირდაპირი გადაწყვეტილებების მიღებაში თავიანთ წარმომადგენლობით ფუნქციებთან ერთად. თანაარსებობის პერიოდებში, პრემიერ-მინისტრებს უპირატესობა ჰქონდათ პრეზიდენტზე. პრემიერ-მინისტრის პოზიციის გაძლიერებას იმპულსი მისცა ყოფილი პრეზიდენტის ბრაზაუსკასის ამ პოსტზე დანიშვნამ 2001 წელს, რომელმაც საკუთარ ხელში აიღო საშიანაო პოლიტიკის მთელ არეალზე კონტროლი, ხოლო პრეზიდენტ ადამკუსს მხოლოდ საგარეო და ნაციონალური უსაფრთხოების საკითხები დაუტოვა. თუმცა, დამატებითი პოლიტიკური ფაქტორები, როგორიცაა პარტიისადმი მიმხრობა, მთავრობის ან ხელისუფლებაში მყოფი კოალიციის ტიპი, სხვადასხვა პიროვნებები ან ადმინისტრაციული სისტემის მახასიათებლები განხილული უნდა იქნეს მოცემული პრემიერ-მინისტრის სიძლიერისა ან სისუსტის შესაფასებლად ლიტვის პოლიტიკურ სისტემაში.

საკმარისი არაა ხელისუფლების ორგანოების ურთიერთობების აღწერა ნახევრად საპრეზიდენტო სისტემაში კონფლიქტის დიქოტომიური საყრდენით პრეზიდენტსა და მთავრობას შორის. მართლაც, საქმე ეხება სამმხრივ ურთიერთობას, რომელშიც ჩართულია პრეზიდენტი, მთავრობა და პარლამენტი. 1992 წლის კონსტიტუციის თანახმად, სეიმი სახელმწიფოს ყველაზე მაღალი ინსტიტუტია. ლიტვის ერთპალატიანი პარლამენტი 141 დეპუტატისგან შედგება, რომლებიც 4 წლის მანდატით არიან არჩეულნი.

წარმომადგენლობა, კანონმდებლობა და აღმასრულებელი ხელისუფლების საპარლამენტო კონტროლი პარლამენტის სამი მთავარი ფუნქციაა. თუმცა, პარლამენტის ფუნქციების სია თითქმის არაფერს განმარტავს სეიმის ადგილსა და როლზე ლიტვის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

სეიმის წარმომადგენლობითი ფუნქცია დაკავშირებულია პარტიულ სისტემასთან და ამ უკანასკნელის ფრაგმენტაციასთან. რაკი პოლიტიკური პარტიები შედარებით სუსტები არიან ორგანიზაციული კუთხით და სა-

კუთარი წევრების გაკონტროლებისთვის იბრძვიან სეიმში, პიროვნების მნიშვნელოვანი როლი და პარტიების მოზღვავება საარჩევნო ასპარეზზე პარლამენტის დესტაბილიზაციას ახდენს და მის ეფექტურობას ამცირებს.

პარლამენტს აქვს აღმასრულებელი ხელისუფლების გაკონტროლების სხვადასხვა საშუალება: სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შემოწმების უფლება ყოველ ექვს თვეში ერთხელ, პრემიერ-მინისტრის ან მინისტრის სეიმში გამოძახება დეპუტატთა არანაკლებ მეხუთედისგან შემდგარი ჯგუფის მიერ და ნდობის კენჭისყრა. გარდა ამისა, მთავრობამ სეიმს საქმიანობის ყოველწლიური ანგარიში უნდა წარუდგინოს და ყოველ ხუთშაბათს, დეპუტატებს მინისტრებისა და პრემიერ-მინისტრისთვის შეკითხვების დასმა შეუძლიათ.

საარჩევნო სისტემა

ლიტვაში 1990 წლის დამფუძნებელი არჩევნები კომუნისტური წარსულის მემკვიდრეობიდან მომდინარე მაჟორიტარული სისტემით ჩატარდა. ახალი საარჩევნო კანონი მიღებული იქნა ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგ: არჩევანი შერეულ პროპორციული წარმომადგენლობის სისტემაზე გაკეთდა.

1992 წლის საარჩევნო კანონით დადგენილი იქნა პარლამენტში არჩეული დეპუტატების რაოდენობა უნინომინალურ ოლქებში – 71 – და პარტიული სიების პროპორციული წარმომადგენლობით – 70. ხმის მიცემის ვალიდურად ცნობისთვის აუცილებელი იყო 40%-იანი მონაწილეობა თითოეულ უნინომინალურ საარჩევნო ოლქში. 1996 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, 4 ადგილი ვაკანტური დარჩა დაბალი მონაწილეობის გამო, ხოლო 1997 წლის მარტის მეორე ტურის არჩევნებში აღნიშნული ადგილებიდან მხოლოდ ერთი იქნა დაკავებული.

პროპორციული არჩევნები პარტიების დახურული სიების არსებობას ითვალისწინებს და ადგილები წარმოდგენილია ყველაზე მრავალრიცხოვანის ფორმულით, მაგრამ ასევე აღსანიშნავია 4%-იანი ბარიერის არსებობა (უმცირესობების პარტიების გარდა). კანონით ასევე დადგენილია 25%-იანი მონაწილეობის მინიმუმი პროპორციულ არჩევნებში. აღსანიშნავია, რომ ლიტვაში არჩევნებში ხმის მიცემა არაა სავალდებულო. არჩევნებში მონაწილეობის მიღება 25 წელს მიღწეულ ადამიანებს შეუძლიათ, რაც სხვა დემოკრატიებთან შედარებით უფრო დიდი ასაკია.

ცხრილი №4 : საპარლამენტო არჩევნები და საარჩევნო ფორმულები

პირველი დემოკრატიული არჩევნები	მე-2 დემოკრატიული არჩევნები	მე-3 დემოკრატიული არჩევნები	მე-4 დემოკრატიული არჩევნები	მე-5 დემოკრატიული არჩევნები
1990 წ. მაჟორიტარული: 141 ადგილი	1992 წ. **პარალელური შერეული** მაჟორიტარული: 71 ადგილი პროპორციული წარმომადგენლობა: 70 ნაციონალური ადგილი ბარიერი: 4%, გარდა 2%-ისა უმცირესობების პარტიებისთვის	1996 წ. **პარალელური შერეული** მაჟორიტარული: 71 ადგილი პროპორციული წარმომადგენლობა: 70 ნაციონალური ადგილი ბარიერი: 5% ერთი პარტიისთვის, 7% კოალიციისთვის	2000 წ. **პარალელური შერეული** მაჟორიტარული; 71 ადგილი პროპორციული წარმო-მადგენლობა: 70 ნაციონალური ადგილი ბარიერი: 5% ერთი პარტიისთვის, 7% კოალიციისთვის	2004 წ. **პარალელური შერეული** მაჟორიტარული: 71 ადგილი პროპორციული წარმომადგენლობა: 70 ნაციონალური ადგილი ბარიერი: 5% ერთი პარტიისთვის, 7% კოალიციისთვის

სეიმთან დაკავშირებულ საარჩევნო კანონში შესწორება იქნა შეტანილი 1996 წლის ივნისში და ყოველი არჩევნების წინ ამ უკანასკნელში უმნიშვნელო შესწორებები შედიოდა. ბარიერმა ერთი პარტიისთვის 5%-მდე აიწია, კოალიციისთვის კი 7%-მდე, მაშინ როდესაც გაუქმდა სპეციალური 2%-ანი ბარიერი უმცირესობების პარტიებისთვის. დიდი პარტიები მხარს უჭერდნენ პარლამენტში წარმოდგენილი პარტიების რაოდენობის შემცირების იდეას. არჩევნებს სეიმში წარმოდგენილი პარტიების რაოდენობა არ შეუმცირებია, როგორც ამას საიუდისის მემარჯვენე ფრთა იმედოვნებდა. 1992 წელს სეიმში ცამეტი პარტია შევიდა, 1996 წელს 14, 2000 წელს 16, 2004 წელს კი 8.

1992 წლის კონსტიტუციის თანახმად, რესპუბლიკის პრეზიდენტი პირდაპირაა არჩეული ხუთწლიანი მანდატით. თუკი ვერც ერთი კანდიდატი ხმების აბსოლუტურ უმრავლესობას ვერ მოიპოვებს, ახალი არჩევნები ინიშნება ბრძოლაში ჩაბმული ორი კანდიდატის უპირატესობის დასადგენად.

ცხრილი № 5: არჩევნები

1990 წ.	1992 წ.	1993 წ.	1994 წ.	1995 წ.	1996 წ.	1997 წ.	1998 წ.	1999 წ.	2000 წ.	2001 წ.	2002 წ.	2003 წ.	2004 წ.	2005 წ.	2006 წ.	2007 წ.
_Loc	_Leg-	_P		_Loc-	_Leg-	_Loc _P*	_P		_Loc – Leg		_Loc _P	– P*	_Eur _Leg _P _P*			_Loc

შენიშვნები: **Leg**: საკანონმდებლო არჩევნები; **P**: საპრეზიდენტო არჩევნები; **P*** მეორე საპრეზიდენტო არჩევნები; **Loc**: ადგილობრივი არჩევნები; **Eur**: ევროპული არჩევნები

ლიტვის პოლიტიკურ ცხოვრებას პირდაპირი არჩევნების მაღალი სიხშირე ახასიათებს. 1990 წლიდან ჩატარდა არანაკლებ 18 სხვადასხვა არჩევნები, რეფერენდუმის გარდა. ამავე დროს, ვადამდელ არჩევნებს მხოლოდ ორჯერ ჰქონდა ადგილი: 1992 წელს პარლამენტის გადადგომის შემდეგ და 2004 წელს პაკასის *იმპიჩმენტის* შემდეგ. რატომ ტარდება ასე ხშირად არჩევნები? პირველ ყოვლისა, ლიტვაში პირდაპირი არჩევნების ოთხი ინსტიტუტი არსებობს: სეიმის, პრეზიდენტის, ადგილობრივი საბჭოებისა და ევროპარლამენტის. შემდეგ, ეს არჩევნები არაა კომბინირებული 2002 წლისა და 2004 წლის გარდა.

ცხრილი №3 : არჩევნებში მონაწილეობა, 1990-2004 წწ.

1990 წლის საპარლამენტო არჩევნები	**1990 წლის ადგილობრივი არჩევნები**	**1992 წლის საპარლამენტო არჩევნები**	**1993წლის საპრეზიდენტო არჩევნები**	**1995 წლის ადგილობრივი არჩევნები**	**1996 წლის საპარლამენტო არჩევნები**	**1997 წლის ადგილობრივი არჩევნები**
პირველი და მე-2 ტური: 71,7; 66,4	არაა მონაცემები	პირველი და მე-2 ტური: 75,3; 64,8	78,6	44,8	პირველი და მე-2 ტური: 52,9; 38,2	39,9
1997 წლის საპრეზიდენტო არჩევნები	**2000 წლის ადგილობრივი არჩევნები**	**2000 წლის საპარლამენტო არჩევნები**	**2002 წლის ადგილობრივი და საპრეზიდენტო არჩევნები**	**2004 წლის ევროპული და საპრეზიდენტო არჩევნები**	**2004 წლის საპარლამენტო არჩევნები**	
პირველი და მე-2 ტური: 71,5; 73,6	54,2	58,6	53,8 პირველი და მე-2 ტური: 53,9; 52,7	48,4 პირველი და მე-2 ტური: 48,4; 52,5	46,1 პირველი და მე-2 ტური: 46,0; 40,2	

ლიტვაში პერსონალურ საფუძველზე დამყარებულ პოლიტიკას კვლავაც დიდი მნიშვნელობა აქვს, და სეიმის შერეული არჩევნები აშკარად ასუსტებს პარტიებს, როგორც კი პოლიტიკოსებს თავიანთი არჩევისთვის ამომრჩევლებთან პირად ურთიერთობებს შეუძლიათ დაეყრდნონ. დიდი ხნის განმავლობაში, პიროვნებები პარტიებზე მეტად აყალიბებდნენ საარჩევნო არჩევანს. ეს სიტუაცია თანდათან პარტიების სასარგებლოდ იცვლება ბრაზაუსკასისა და ლანდსბერგისის პოლიტიკური თამაშიდან გამოსვლის შემდეგ.

ამ უკანასკნელ წლებში ლიტვის პარტიული ნიშნით მიმხრობის სისტემის ფრაგმენტაციის გათვალისწინებით, ერთადერთი არჩევანი საპარლამენტო უმრავლესობის გასაერთიანებლად კოალიციის შექმნაში მდგომარეობს. ერთი პარტიის მიერ მართვის მაგალითი 1992-1996 წლებს მიეკუთვნება შრომის დემოკრატიული პარტიის გამარჯვების შემდეგ. რადგან მომხრეთა წარმომადგენლობას პარლამენტთან თანასწორობის ტენდენცია ახასიათებს, რთულია იდეოლოგიურად ერთიანი კოალიციების ფორმირება. 2006 წელს უმცირესობის კოალიციაში ორი ცენტრისტულ-მემარცხენე პარტია შედიოდა LSPD (ლიტვის სოციალ-დემოკრატიული პარტია) და გლეხთა გაერთიანება, ცენტრისტულ-მემარჯვენე ლიბერალებისა და ცენტრის კავშირი და პოპულისტური, დემოკრატიის სამოქალაქო პარტია. პარტია „გაერთიანება სამშობლოსთვის“ მხარდაჭერის გარეშე (ცენტრისტულ-მემარჯვენე ოპოზიცია), ეს კოალიცია ვერ იფუნქციონირებდა. თანამშრომლობა, რომელიც მემარცხენეობა-მემარჯვენეობის ღერძზე გადის, მოქმედი საარჩევნო წესების არსებითი შედეგია და გარდაუვალად წარმოიჩნდება საშუალოვადიან პერსპექტივაში ხელისუფლებაში მყოფი კოალიციების სტაბილურობისთვის.

პარტიული ნიშნით მიმხრობის სისტემა და სამთავრობო უმრავლესობები

თუკი 1990 წელს ლიტვის პოლიტიკური პარტიები მემარცხენეობასა და მემარჯვენეობას შორის მუდმივი რყევების მდგომარეობაში მყოფებად განიხილებოდნენ, 2000 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ორპარტიულობაზე მეტად სახეზეა ზომიერი პლურალიზმი 3 ან 5 მნიშვნელოვანი პარტიით.

ლიტვაში კონკურენტულ პარტიებს შორის ბრძოლის ისტორიული გამოცდილების არსებობის გათვალისწინებით, ისტორიული პოლიტიკური პარტიების მნიშვნელობა შეიძლება რამდენიმე ძირითადი ელემენტით წარმოჩნდეს. ყველაზე გავლენიანი, ქრისტიან-დემოკრატიული პარტია და სოციალ-დემოკრატიული პარტია თითქმის ყოველთვის იყო წარმოდგენილი პარლამენტში 1990 წლიდან.

პარტიების განვითარების სხვადასხვა მოდელების განხილვისას შესაძლებელია ოთხი მოდელის გამოყოფა: ისტორიული პარტიების აღორძინება (ქრისტიან-დემოკრატები და სოციალ-დემოკრატები); მასობრივი ოპოზიციური მოძრაობების დეზინტეგრაცია და პოსტსაიუდისის პარტიების ჩამოყალიბება (გაერთიანება სამშობლოსთვის, ზომიერების მოძრაობა); ყოფილი კომუნისტური პარტიები (შრომის დემოკრატიული პარტია); ახალი პარტიები, ისტორიული წინამორბედების გარეშე და საიუდისთან ან კომუნისტებთან აშკარა კავშირის არმქონე პარტიები (მწვანეები, სოციალ-ლიბერალები და სხვ.).

პარტიებიც ერთდროულად არ განვითარებულან. ისტორიული პარტიების ხელახალი ჩამოყალიბება 1988-1990 წლებში მოხდა, კომუნისტურმა პარტიამ რეორგანიზაცია განიცადა 1989-1991 წლებში, ხოლო პოსტსაიუდისის პარტიები 1992-1993 წლებში გამოჩნდნენ. ამ „ახალმა" პარტიებმა ორი ფაზა გაიარეს: 1994-1996 წლებში არჩევნებზე 10-ზე მეტი პარტია წარდგა, მაგრამ მათი უმრავლესობა ცოტა ხნის შემდეგ პოლიტიკურ ასპარეზს ჩამოშორდა; 1998-1999 წლებში გაჩნდნენ ახალი, ძირითადად, პოპულისტური პარტიები, მაგალითად, სოციალ-ლიბერალური პარტია.

ასავე განსხვავებულია პარტიების ფორმირების ადგილი. საწყისი პარტიული სისტემის ლეგიტიმაცია დამფუძნებელ ასამბლეაში განხორციელდა „შიდა მობილიზაციის" მეშვეობით. ფორმირების პროცერში მყოფი პარტიების უმრავლესობას არ ჰქონდა ექსტრასაპარლამენტო ხასიათი ტერმინის დასავლური მნიშვნელობით, ექსტრასაპარლამენტო ორგანიზაციებთან კავშირების ნაკლებობის, სუსტი შიდა დისციპლინისა და ფრაქციებში შიდა იდეოლოგიური განსხვავებების გათვალისწინებით. 1990-იანი წლების დასაწყისიდან სეიმის მიღმა ახალი პარტიები ჩამოყალიბდნენ, როგორც „გარე მობილიზაციაზე" დაფუძნებული ორგანიზაციები. ორგანიზაციული კუთხით, ყოფილ კომუნისტურ და პოსტსაიუდისის პარტიებს ახალ პარტიებზე და ძველ ისტორიულ პარტიებზე ძლიერი ორგანიზაციული სტრუქტურა აქვთ და უფრო მრავალრიცხოვანი წევრები ჰყავთ.

1992 წლიდან 2000 წლამდე, გაერთიანება სამშობლოსთვის, შრომის დემოკრატიული პარტია, ქრისტიან-დემოკრატები, სოციალ-დემოკრატები და ცენტრის კავშირი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების წამყვან აქტორებად დამკვიდრდნენ. 2000 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე ბევრი მკვლევარი ძალზე ოპტიმისტურად იყო განწყობილი სისტემის სტაბილურობის მიმართ. მართლაც, ლიტვის პოლიტიკურ პარტიებს დასავლეთ ევროპის პარტიების იმიტირების ტენდენცია ახასიათებს, განსაკუთრებით კი სკანდინავიური პარტიებისა. ამას შეიძლება პროგრამულ და სოციალურ ფორმებამდე მიგვიყვანოს, რომლებიც არსებულ დაყოფას არ ცვლიან. თუმცა, ლიტვის სისტემის მარტივი სტრუქტურა პოლიტიკური სტაბილურობის ძირითად საფუძვლად წარმოჩნდება. ნაკლებად შემჭიდროებული სამოქალაქო საზოგადოების ადგილობრივ კონტექსტში, პოლიტიკურ პარტიებს პოლიტიკური მოდერნიზაციის მამოძრავებელის როლის შესრულებაც კი შეუძლიათ.[132]

ამავე დროს, პირველ სერიოზულ კრიზისს 2000 წლის არჩევნების დროს ჰქონდა ადგილი, როდესაც შედარებით ძველი და შედარებით ჩამოყალიბებული ცენტრისტულ-მემარჯვენე პარტიები, როგორებიცაა ლიტვის ცენტრის კავშირი, ლიტვის ქრისტიან-დემოკრატიული პარტია და ცენტრისა და ლიბერალების კავშირი (LC, LChDP, LCU) 1992 წელსა და 1996 წელს ახალ საპარლამენტო მეტოქეებს დაუპირისპირდნენ – სოციალ-ლიბერალები/ახალი გაერთიანება ან ლიბერალთა გაერთიანება. ეს ცვლილებები კარგადაა ასახული ახალი პარტიებისთვის მიცემული ხმების გაყოფაში 1996 წლისა და 2000 წლის არჩევნებში. თუკი 1996 წელს ახალმა პარტიებმა ხმების დაახლოებით 14% პროპორციული ფორმულით მიიღეს, მათ ადგილების მცირე რაოდენობა მოიპოვეს იმის გათვალისწინებით, რომ ხმათა უმრავლესობა არასაპარლამენტო პატარა პარტიებს შორის გადანაწილდა. 2000 წელს აღნიშნული პარტიების შედეგებმა მთლიანი ხმების 24% -ს მიაღწია.

მეორე კრიზისს 2004 წლის საყოველთაო არჩევნების დროს ჰქონდა ადგილი, რომლის მთავარ გამოწვევას შრომის პარტია წარმოადგენდა, პოპულისტური პარტია აშკარა იდეოლოგიური ხელმძღვანელობის გარეშე. ამ უკანასკნელს სათავეში ედგა რუსული წარმოშობის ბიზნესმენი, პარლამენტის წევრი 2000 წლიდან ვიქტორ უსპასსკიხი. 2003 წლის ნოემბერში ეს პარტია ოფიციალურად იქნა დარეგისტრირებული იუსტიციის სამინისტროში ქვეყნის 38-ე პარტიად.

აღნიშნულ არჩევნებში სწორედ ამ პარტიამ გაიმარჯვა და პლურინომინალურ ოლქებში წარმატება მოიპოვა ხმათა 31,43%-ით 23,94%-ის წინააღმდეგ უნინომინალურ ოლქებში. აღნიშნული პარტიის საარჩევნო საყრდენი ქვეყნის სოფლისა და პერიფერიული რეგიონების ამომრჩევლებს მოიცავდა, ისევე როგორც ყველაზე დაბალი შემოსავლების მქონე და სოციალურად ნაკლებად უზრუნველყოფილ ამომრჩევლებს. საპროტესტო პარტიების

132 Zeruolis D. (1998) Lithuania, In Sten Berglund, Thomas Hellen and Frank H. Aarebrot (eds) *The Handbook of Political Change in Eastern Europe*, Cheltenham : Edward Elgar, p. 139.

სხვა კოალიციამ, როლანდას პაკსასის „წესრიგისა და სამართლიანობის" პარტიამ, რომელიც ამ უკანსკნელის იმპიჩმენტის შემდეგ ჩამოყალიბდა შედარებითი წარმატება მოიპოვა 11 მანდატის მიღებით. პერსონალურად, პაკსას არ შეეძლო ამ არჩევნებზე საკუთარი კანდიდატურის წარდგენა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ. მთლიანობაში, ახალმა პარტიებმა ხმათა 46,1% მოიპოვეს.

2000 წლისა და 2004 წლის არჩევნების შემდეგ, ლიტვის პარტიული ნიშნით მიმხრობის სისტემა შეიძლება მრავალპარტიულ სისტემად განისაზღვროს დომინანტური პარტიის არსებობის გარეშე.

ტაბულა №4: საპარლამენტო არჩევნებში წარმოდგენილი პოლიტიკური პარტიები, 1992-2004 წწ.

	1992 წ.	ადგილები	1996 წ.	ადგილები	2000წ.	ადგილები	2004წ.	ადგილები
ქრისტიან-დემოკრატიული პარტია	12,6	18	9,9	16	3,1	2	11,4	–
როლანდას პაკსასის კოალიცია „წესრიგისა და სამართლიანობისთვის"	–	–	–	–	–	–	11,4	11
შრომის დემოკრატიული პარტია	44,0	73	9,5	12	–	–	–	–
სოციალ-დემოკრატიული პარტია	6,0	8	6,6	12	31,1	51	20,7 ****	31
გაერთიანება სამშობლოსთვის (კონსერვატორები, პატიმრები და, პოლიტპატიმრები, ქრისტიან-დემოკრატები)*	21,2	28	29,8	70	8,6	9	14,8	25
შრომის პარტია	–	–	–	–	–	–	28,,4	39
ლიტვის ცენტრის კავშირი**	2,5	2	8,2	14	2,8	2	9,2	18
ლიტვის ლიბერალური კავშირი	1,6	0	1,8	1	17,3	34	–	–
ახალი კავშირი (სოციალ-ლიბერალები)	–	–	–	–	19,6	29	–	–
გლეხთა პარტიების კავშირი და ახალი დემოკრატიის პარტია***	–	–	1,7	1	4,1	6	6,6	10
სხვები	12,1	11	32,5	13	13,4	8	28,2	7
მთლიანად	100	141	100	139	100	141	100	141

* *საიუდისი* 1993 წლამდე; ** ლიბერალებისა და ცენტრის კავშირი 2003 წლიდან; ***გლეხთა პარტია 2004 წლამდე; ****ალგირდას ბრაზაუსკასისა და არტურას პაულაუსკასის კოალიცია „მშრომელები ლიტვისთვის" სოციალ-დემოკრატიულ პარტიასა და ახალ კავშირს შორის.

თუკი ამ დომინანტურ პრობლემატიკას განვიხილავთ, შეიძლება ითქვას, რომ ლიტვა დასავლური დემოკრატიების მოდელს შეესატყვისება. ყველა მნიშვნელოვანი საკითხი, საგარეო პოლიტიკის გარდა, პარტიული ნიშნით მიმხრობის სისტემაში ფიგურირებს და პარტიები სხვადასხვა განზომილებითაა კლასიფიცირებული: მნიშვნელოვანი მემარჯვენე და მემერცხენე პარტიები სიციალურ-ეკონომიკური, ხოლო ქრისტიან-დემოკრატები რელიგიური განზომილებით, რამდენიმე რუსული და პოლონური პარტია ეთნიკურ დაყოფად განიხილება, გლეხთა პარტია კი ქალაქსა და/სოფელს შორის დაყოფის მიხედვითაა კლასიფიცირებული. ამ პრობლემატიკის ინტენსიურობა პარტიული ნიშნით მიმხრობის სისტემის ფრაგმენტაციის დამატებითი წყაროა.

მემარცხენეობისა და მემარჯვენეობის თვალსაზრისით, ლიტვის შემთხვევა რთულია. ოთხიდან ორ ლეგისლატურაში, მთავარ მემარჯვენე და მემარცხენე პარტიებს სტაბილური საპარლამენტო უმრავლესობა ჰყავდათ (მაგალითად, ლიტვის შრომის დემოკრატიული პარტია 1992 წელს და გაერთიანება სამშობლოსთვის 1996 წელს). 1992 წლიდან 2000 წლამდე ლიტვა ბიპოლარული პარტიული ნიშნით მიმხრობის სისტემის ყველა აუცილებელ ელემენტს აერთიანებდა, რამდენიმე ძლიერი და ერთიანი მემარცხენე და მემარჯვენე პარტიით. ბიპოლარული რყევა სტრუქტურულ მახასიათებელს წარმოადგენდა აღნიშნული პერიოდის ლიტვის პოლიტიკურ სისტემაში.

2000 წლის არჩევნების შემდეგ, ხმების განაწილება ინდივიდუალური პარტიებისთვის დაბალანსდა. მხოლოდ სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ შეინარჩუნა თავისი სიძლიერე და ხმების 20,7% მოიპოვა 2004 წელს ახალ კავშირთან კოალიციაში, 2000 წელს კი ამ პარტიამ ხმების 31,1% მიიღო. ამგვარად, მან ყველა პარტიას გაუსწრო. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ძირითადი მეტოქეები ბოლო ორ არჩევნებში პოპულისტური პარტიები იყვნენ, როგორიცაა ახალი კავშირი 2000 წელს, ლიბერალურ-დემოკრატიული და შრომის პარტია 2004 წელს. პოლიტიკური სპექტრის მარჯვენა ფლანგზე ცენტრისა და ლიბერალების კავშირმა და გაერთიანებამ სამშობლოსთვის ერთმანეთი შეავსეს. 2000 წლიდან პარტიული ნიშნით მიმხრობის სისტემის ფრაგმენტაციამ მრავალპოლარული სისტემის ჩამოყალიბებას მისცა ბიძგი მემარცხენე ან მემარჯვენე პარტიების დომინანტობის გარეშე.

ცხრილი №5: მთავრობების მახასიათებლები და შემადგენლობა, 1990-2007 წწ.

პრემიერ-მინისტრი	მინისტრების რაოდენობა	მთავრობის ტიპი	მომხრეთა შემადგენლობა	მანდატი	ხანგრძლივობა დღეებში
კაზიმერა პრუნსკენე	17	ფართო კოალიცია	LCP, საიუდისი, დამოუკიდებლები	17.03.1990-10. 01. 1991 წწ.	333
ალბერტას სიმკნასი	17	ფართო კოალიცია	საიუდისი, დამოუკიდებლები	10.01.1991 13. 01. 1991 წწ.	3
გედიმინას ვაგნორიუსი	17	უმცირესობის ერთი პარტია	საიუდისი, დამოუკიდებლები	13.01.1991-21. 07. 1992 წწ.	555
ალექსანდრას აბისალა	17	შუალედური	საიუდისი, დამოუკიდებლები	21.07.1992-26. 11. 1992 წწ.	149
ბრონისლოვას ლუბისი	17	შუალედური	LDLP, დამოუკიდებლები	12.12.1992 10. 03. 1993 წწ.	99
ადოლფას სლეზევიჩუსი	19	უმრავლესობის ერთი პარტია	LDLP, დამოუკიდებლები	10.03.1993-08. 02. 1996 წწ.	1065
ლაურინას სტანკევიჩუსი	18	ფართო კოალიცია	LDLP, დამოუკიდებლები	23.02.1996-19. 11. 1996 წწ.	299
გედიმინას ვაგნორიუსი	17	ფართო კოალიცია	LC, LChDP< LCU, დამოუკიდებლები	04.12.1996-03. 05. 1999 წწ.	887
როლანდას პაკსასი	14	ფართო კოალიცია	LC, LChDP< LCU, დამოუკიდებლები	01.06.1999-27. 10. 1999 წწ.	167
ანდრიუს კუბილიუსი	14	მრავალპარტიული უმცირესობა	LC, LChDP, LCU, დამოუკიდებლები	03.111999-09. 11. 2000 წწ.	371
როლანდას პაკსასი	13	კოალიცია მინიმალური ხმებით გამარჯვებული	LLU, SL დამოუკიდებლები	27.10.2000 – 20. 06. 2001 წწ.	238

ალგირდას ბრაზაუსკასი	13	ფართო კოალიცია	LSDP, SL	04.07.2001-15. 12. 2004 წწ.	1242
ალგირდას ბრაზაუსკასი	13	ფართო კოალიცია	LSDP, LP, SL LPPU	29.11.2004 – 01. 06. 2006 წწ.	542
გედიმინას კირკილასი	13	მრავალპარტიული კოალიცია	LSDP, LPPU, LCU PDC	12.07.2006წ -	მიმდინარე

LCP – ლიტვის ქრისტიან-დემოკრატები; LDLP – ლიტვის შრომის დემოკრატიული პარტია; LC – ლიტვის გზა; LChDP – ლიტვის ქრისტიან-დემოკრატთა პარტია; LCU – ლიბერალებისა და ცენტრის კავშირი; LLU – ლიტვის ლიბერალური კავშირი; LP– სახალხო პარტია; SL –სოციალ-ლიბერალური პარტია; PCD – ქრიატიან-დემოკრატიული პარტია; LSDP – სოციალ-დემოკრატიული პარტია.

2000 წლის არჩევნების შემდეგ, სეიმში ლიტვის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა (ცენტრისტულ-მემარცხენე) და ახალი კავშირის უმრავლესობა დომინირებდა, რომელმაც მაშინვე ვერ შეძლო მთავრობის ფორმირება მიუხედავად ამ პარტიების მიერ 2001 წელს მიღწეული შეთანხმებისა. 2004 წლის არჩევნების შემდეგ, ორი პარტია, რომელიც უკვე იყო ხელისუფლებაში, უმრავლესობაში შევიდა შრომის პარტიის, გლეხთა კავშირისა და ახალი დემოკრატიის პარტიების გვერდით, ცენტრისტულ-მემარცხენე ახალ კოალიციაში. უმცირესობის ამ ახალი კოალიციის მთავრობა, რომელსაც ლიტვის სოციალ-დემოკრატიული პარტია ედგა სათავეში 2006 ჩამოყალიბდა მას შემდეგ, რაც ფინანსური სკანდალი შრომის პარტიას შეეხო. ამჯერად, ხელისუფლებაში მყოფ კოალიციას გლეხთა პარტია, ცენტრის კავშირი და სამოქალაქო დემოკრატიის პარტია შეუერთდა. ეს უკანსკნელი შრომის პარტიაში მომხდარი განხეთქილების შედეგად ჩამოყალიბდა.

1999-2007 წლებში ათი მთავრობიდან ექვსი ცენტრისტულ-მემარცხენე იყო, სამი ცენტრისტულ-მემარჯვენე და ერთი ცენტრისტული. სოციალ-დემოკრატები ყველაზე დიდხანს იყვნენ ხელისუფლებაში. ამ უკანსკნელებმა ხელისუფლებაში დარჩენა შეძლეს – მარტოებმა ან კოალიციაში – ათი წლის განმავლობაში 1990 წლიდან.

ხელისუფლების ტერიტორიული დაყოფა

ლიტვა უნიტარული ცენტრალიზებული სახელმწიფოა. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივ მმართველობასთან დაკავშირებული პირველი კანონი, რომელიც ხელისუფლების ადგილობრივი დონის დემოკრატიზაციას ისახავდა მიზნად 1990 წელს იქნა მიღებული, ტერიტორიული ადმინისტრაციის რეფორმა მხოლოდ დემოკრატიული რეფორმების ბოლოს განხორციელდა.

1990 წლის კანონი ადგილობრივ მმართველობას განსაზღვრავდა როგორც „ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულის მცხოვრებთა და ამ უკანასკნელთა წინაშე პასუხისმგებელი ადგილობრივი მთავრობის დამოუკიდებელ საქმიანობას, რომლებიც თავად წყვეტენ თავიანთ საქმეებს."[133] ტერიტორიული ადმინისტრაციის რეფორმა მხოლოდ 1994 წელს დაიწყო 1995 წელს სეიმის მიერ მიღებული შესაბამისი კანონით, რომელიც ადგილობრივი და რეგიონალური მთავრობების ორეტაპიან სისტემას აყალიბებდა. ეს უკანასკნელი მოიცავდა: ა) მაღალი დონის ადმინისტრაციულ ერთეულს ან საგრაფოებს (*apskritys*), რომელთა საქმიანობას ცენტრალური ხელისუფლება წარმართავდა და აკონტროლებდა; ბ) უფრო დაბალი დონის ერთეულებს (*savivaldybes*), რომლებიც დამოკიდებულნი იყვნენ საცხოვრებელი ფართობის ტიპზე, სოფლის (44) ან ქალაქის (12), ანალოგიური კომპეტენციებით; გ) დაახლობით 500 „მეზობლად განლაგებულ" (seniunijos) ერთეულებს ადმინისტრაციული სტატუსის გარეშე (თუმცა, რეფორმამდე მათ ადგილობრივი მთავრობა ჰყავდათ).[134]

1994 წლის კანონის თანახმად, ადგილობრივი მთავრობა (ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები) განისაზღვრება, როგორც ლიტვის ტერიტორიის ადმინისტრაციული ერთეულის მცხოვრებთა მიერ არჩეული ინსტიტუტების უფლება თავისუფლად და დამოუკიდებლად მართონ საჯარო საქმეები და დახმარება გაუწიონ მოსახლეობის საჭიროებებს.[135]

---

133 Beksta Arunas, Petkevicius Algirdas (2000) „Local Government in Lithuania", In Tamas M. Horváth (ed.) *Decentralization : experiments and reforms.* Volume 1 : *Local governments in Central and Eastern Europe,* Budapest : OSL/LGI, p. 169.

134 Beksta Arunas, Petkevicius Algirdas (2000) „Local Government in Lithuania". In Tamas M. Horváth (ed.) *Decentralization : experiments and reforms.* Volume 1 : *Local government in Central and Eastern Europe,* Budapest : OSL/LGI, p. 170.

135 *Ibid.*, p. 172.

1994 წელს არსებობდა მოსაზრება, რომ ტერიტორიული ადმინისტარციის რეორგანიზაციის მეორე ტური 1997 წელს მუნიციპალიტეტების რაოდენობას 93-მდე გაზრდიდა. დღეისათვის, ადგილობრივი მთავრობა დაახლოებით 57 000 კაცს შეადგენს. ამავე დროს, ადმინისტრაციული რეფორმის შემდგომი ეტაპები მხოლოდ 1999-2000 წლებში განახლდა, მაგრამ მათი გავლენა ძალზე შეზღუდული იყო თუკი მხედველობაში მივიღებთ მხოლოდ ოთხი მუნიციპალიტეტის შექმნას.

მართლაც, 1995 წლიდან ტერიტორიული ადმინისტრაციის რეფორმამ ადმინისტრაციული სისტემის ცენტრალიზაცია მოახდინა ადგილობრივი მთავრობებისთვის მეტი ავტონომიის უზრუნველყოფის ნაცვლად. ახლად ჩამოყალიბებული საგრაფოები ძალზე დაქვემდებარებულნი იყვნენ ცენტრალური მთავრობისადმი, მაგრამ ფუნქციებისა და კომპეტენციების გარკვეული რაოდენობა სოციალური დახმარების, განათლების, კულტურის, სახალხო ჯანდაცვის, ტერიტორიული დაგეგმარების, ტერიტორიის გამოყენებისა და გერემოს დაცვის სფეროებში საგრაფოების ადმინისტრაციებს გადაეცა.

სხვათა შორის, ადგილობრივ მთავრობებს საგულისხმო კომპეტენციები აქვთ ბინათბშენებლობის, ქალაქის დაგეგმარების, სახალხო ჯანდაცვის, ადგილობრივი ტრანსპორტის, პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და განათლების სფეროებში. ადგილობრივ მთავრობას საკუთარი ბიუჯეტის დაგეგმვა და დამტკიცება და ასევე ადგილობრივი შესაკრებებისა და ჯარიმების დადგენა შეუძლია.

ადგილობრივი მთავრობის საბჭოების წევრები პროპორციული წესით არიან არჩეულნი ოთხი წლის ვადით. ტერიტორიაზე ყველა მუდმივად მცხოვრებ ადამიანს თავისი საბჭოს არჩევის უფლება აქვს. ადგილობრივ საბჭოში 21-დან 51-მდე წევრი შედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მიხედვით.

სამთავრობო ქმედების საპირწონეები

მოქალაქეთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში თანამედროვე დემოკრატიის აღქმისა და პრაქტიკის მთავარი ელემენტია. ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ 1989 წელს რეფერენდუმთან დაკავშირებული კანონი მიიღო. ამ უკანასკნელის თანახმად, „სახელმწიფოსა და ერისთვის ყველაზე საჭირბოროტო საკითხების გადაჭრა და ლიტვის რესპუბლიკის კანონების მიღება რეფერენდუმით იყო შესაძლებელი."

რეფერენდუმებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს დამოუკიდებლობის აღდგენის პროცესში 1990-1991 წლებში. გარდა ამისა, ამ კოლექტიურმა გამოცდილებამ მთელი „მომღერალი რევოლუციის" განმავლობაში რეფერენდუმის ლეგიტიმაცია მოახდინა, როგორც ქვეყნის დემოკრატიული პოლიტიკის ინსტრუმენტმა.

ამგვარი რეფერენდუმებიდან პირველი, რომელიც ლიტვის მთავრობამ 1991 წლის 9 თებერვლისთვის მოამზადა, შემდეგ კითხვას სვამდა: „ემხრობით თუ არა იდეას, რომლის თანახმად, ლიტვის სახელმწიფო დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა უნდა გახდეს?" აღნიშნულს წინააღმდეგობის რეაქცია მოჰყვა „რეფერენდუმების პარადის" მიმართ 1991 წლის მარტში გორბაჩოვის მიერ ორგანიზებულ სუვერენიტეტზე, რომელიც არ წარმოადგენდა დამოუკიდებლობის რეალურ გადაწყვეტილებას იმის გათვალისწინებით, რომ ლიტვის სახელმწიფოს აღდგენა უკვე იყო მიღებული უმაღლესი საბჭოს – აღდგენილი სეიმის მიერ 1990 წლის 11 მარტს. 1992 წლის ივნისის საბჭოთა ჯარების სრულ გაყვანასთან დაკავშირებულ რეფერენდუმს ანალოგიური სახალხო წინააღმდეგობისა და პოლიტიკური სიმტკიცის ფუნქცია ჰქონდა.

1992 წლის შემდეგ რეფერენდუმები პოლიტიკური დაპირისპირების გამოხატვას ემსახურებოდა და კანონის ინსტრუმენტებს არ წარმოადგენდა. თუმცა, თუკი მემარჯვენე პარტიები (კერძოდ, „ლიტვის გზა" ან „სიმამაცის გზა") მრავალი რეფერენდუმის ინიციატორები იყვნენ და ეტაპობრივად შეძლეს შედარებით სტაბილური ელექტორატის მობილიზება, ზომიერი პარტიები და მემარცხენე პარტიები ზოგადად, რეფერენდუმებს უმრავლესობასთან დაპირისპირებისთვის იყენებდნენ. რადგან ამ პარტიებმა ვერ შეძლეს თავიანთი პოტენციური მხარდამჭერების გაერთიანება, ისინი ამომრჩევლებს პოლიტიკურად პასიური პოზიციების დაკავებისკენ უბიძგებდნენ. მხოლოდ ხუთ წელიწადში 1991 წლიდან 1996 წლამდე, ლიტველებს პირდაპირ უნდა გამოეხატათ საკუთარი პოზიცია ათ სახვადასხვა საკითხზე დაწყებული დამოუკიდებლობიდან, პრივატიზაციებითა და ინსტიტუტებით დამთავრებული.

მთლიანობაში, მრავალრიცხოვანი რეფერენდუმების ჩატარებამ მონაწილეობის კულტურის წახალისების ნაცვლად, საპროტესტო ქცევას მისცა ბიძგი. მოქალაქეები პოლიტიკურად აქტიურები გახდნენ ერთმანეთთან დაპირისპირებაში და არა პოლიტიკური ალტერნატივების მხარდაჭერასა ან განხილვაში. იმ შემთხვევაშიც კი, თუკი რეფერენდუმი პოლიტიკური მონაწილეობის კლასიკურ ფორმას წარმოადგენს, ის ხშირად შიდა პოლიტიკური პრობლემების გადასაჭრელად გამოიყენებოდა. 1996 წელს მრავალი ასეთი რეფერენდუმი ჩატარდა, რომელთაც პოლიტიკური ლოგიკა და სიმყარე აკლდა და არსებითად პოპულისტური იყო. ამ რეფერენდუმების პირდაპირი და რეალური მიზანი რომელიმე პარტიის მხარდამჭერთა მობილიზებას წარმოადგენდა.

ლიტვაში 1991 წლიდან ჩატარებული ათი რეფერენდუმისა და ერთი პლებისციტიდან, რვა შეიძლება კონსტიტუციურად განიხილებოდეს, რადგან ქვეყნის დამოუკიდებლობასა ან დემოკრატიული ინსტიტუტების მშე-

ნებლობას ეხებოდა. სამი დანარჩენი ეკონომიკურ ხასიათს ატარებდა: პრივატიზცია, 1991-1992 წლების ჰიპერინფლაციის დროს დაკარგული საბანკო დეპოზიტების აღდგენა, სასოფლო-სამეურნეო მიწების თავისუფალი გაყიდვა. ამ პროცედურის ეფექტურობა გადაწყვეტილების მიღებასთან მიმართებაში სუსტი იყო, რადგან თერთმეტი დასმული საკითხიდან მხოლოდ ოთხი იქნა მხარდაჭერილი.

1991 წლიდან საშუალოდ, ამომრჩეველთა 58,5%-მა საცხოვრებელი ადგილი შეიცვალა, მაშინ როდესაც 60,9%-მა ხმა მისცა საპარლამენტო არჩევნებში 1990 წლიდან 2004 წლამდე. 1992 წლიდან რეფერენდუმებში მონაწილეობა შემცირდა. ამ საკმაოდ დაბალ შედეგებზე ქვეყნისთვის დამახასიათებელმა სპეციფიკურმა ფაქტორებმა იქონია გავლენა: აუცილებელი „დიახის" მაღალი ბარიერი რეფერენდუმის გასამარჯვებლად და ძალზე ხშირი არაეფექტური რეფერენდუმების ჩატარების ინიციატივები.

რეფერენდუმებთან დაკავშირებული 1989 წლის კანონში სეიმის მიერ მრავალჯერ იქნა შეტანილი შესწორებები 1990-2000 წლებში. ახალი კანონი 2002 წლის ივნისში იქნა მიღებული. აშკარაა, რომ ამ კანონმა ხელი შეუწყო ყურადღების გამახვილებას პირდაპირი დემოკრატიის ფუნქციონირების საშუალებებზე.

2002 წლის კანონით ორი ტიპის რეფერენდუმი იქნა შემოღებული: სავალდებულო და საკონსულტაციო. პირველი ძირითადად, კონსტიტუციურ საკითხებს ეხება, ისევე როგორც ქვეყნის საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანებას, თუკი ეს სახელმწიფოს გარკვეული ფუნქციების დელეგირებას მოითხოვს ამ ორგანიზაციების ზენაციონალური კორპუსისთვის.

აღნიშნული ორი რეფერენდუმის ორგანიზება ასევე შესაძლებელია სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებთან დაკავშირებით 300 000 მოქალაქის ან სეიმის წევრთა ერთი მეოთხედის ინიციატივით. 1996 წლის შესწორებამდე, რეფერენდუმის ჩატარება სეიმის ნახევარზე მეტი წევრის მოთხოვნას საჭიროებდა. შემდგომში, პროცედურა გაიოლდა და აუცილებელი გახდა სეიმის წევრთა მესამედის მოთხოვნა. 2002 წლიდან ეს პროპორცია მეოთხედამდე გაიზარდა. საკონსტიტუციო სასამართლოს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა და მას კანონების კონსტიტუციურობის განხილვა და a posteriori კონტროლის განხორციელება შეუძლია. 1993 წლის 3 თებერვალს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული კანონი იმავე წლის მარტიდან შევიდა ძალაში. ეს სასამართლო მედიაციის უფლებების უმრავლესობით სარგებლობს ინსტიტუტიებს შორის ურთიერთობებში, ისევე როგორც პრეზიდენტს, მთავრობასა და პარლამენტს შორის ურთიერთობებში.

ლიტვის პოლიტიკურ სისტემაში საკონსტიტუციო სასამართლო ჭეშმარიტად ჰიბრიდული ორგანოა, ნახევრად სასამართლო და ნახევრად პოლიტიკური. სასამართლოს პოლიტიკური ხასიათი და ფუნქციები მისი მოსამართლეების დანიშვნითაა გაძლიერებული, რადგან ცხრიდან ექვს მოსამართლეს პოლიტიკოსები ირჩევენ (სამს რესპუბლიკის პრეზიდენტი, სამს კი სენატის თავჯდომარე), ხოლო დანარჩენ სამს თანამდებობაზე უზენაესი სასამართლოს თავჯდომარე ნიშნავს. ასევე, პეტიციის უფლებაც ძირითადად, პოლიტიკოსების ხელშია: სეიმის წევრთა ერთ მეხუთედის, პრეზიდენტის და ზოგიერთ შემთხვევაში, სასამართლოების. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების კრიტიკული გავლენა უფრო აშკარა გახდა 1998 წელს, როდესაც მიღებული რეგლამენტი პრეზიდენტს პრემიერ-მინისტრის დანიშვნის უფლებამოსილებას აძლევდა და 2004 წელს, როდესაც პრეზიდენტი პაკსასი თანამდებობიდან იქნა გადაყენებული კონსტიტუციის უხეში დარღვევის გამო.

პრეზიდენტის მიერ პრემიერ-მინისტრის არჩევის უფლებამოსილება არსებითად იქნა გადახედული 1998 წლის 10 დეკემბრის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ.

კონსტიტუციის 84-ე მუხლის თანახმად, პრეზიდენტს უფლება აქვს დათანხმდეს მთავრობის გადადგომას ახალი სეიმის არჩევის მოახლოებისას და პარლამენტს განსახილველად წარუდგინოს პრემიერ-მინისტრის ახალი კანდიდატურა და ახალი მთავრობის შემადგენლობა. 1998 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ მთავრობის საქმიანობა მხოლოდ საპარლამენტო უმრავლესობის ნდობაზეა დამოკიდებული. გარდა ამისა, მთავრობების ფორმირებისა და პასუხისმგებლობის მექანიზმი ახლოს დგას სხვა ევროპულ ქვეყნებში არსებული ხელისუფლების ნახევრად საპრეზიდენტო რეჟიმის კონსტიტუციურ მექანიზმებთან. ეს ნიშნავს, რომ პრეზიდენტის როლი მთავრობის ფორმირებაში დამოკიდებულია მის ურთიერთობებზე საპარლამენტო უმრავლესობასთან. საკონსტიტუციო სასამართლომ გადამწყვეტი როლი ითამაშა 2003-2004 წლების საპრეზიდენტო კრიზისის დროს, რომელმაც ლიტვის პოლიტიკური სისტემის დესტაბილიზაცია მოახდინა არანაკლებ ორ სფეროში: პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების ეფექტურობა და გაძლიერება და სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი მოსახლეობის ნდობა.[136]

აქტუალური დებატები

ახალი ათასწლეულის დასაწყისში ლიტვაში დემოკრატია გამყარდა და შედარებით სტაბილური გახდა. 2004 წელს ქვეყანა ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანდა. ამავე დროს, აღმასრულებელი ხელისუფლების

136 Lopata R., Matonis A. (2004) „Several Causes of the Presidential Crisis in Lithuania". In Jankauskas A. et al. (eds) *Lithuanian Political Science Yearbook 1999*, Vilnius, Vilnius University, p. 12.

მოდელთან დაკავშირებული დებატები ჯერ კიდევ არ დასრულებულა. საკონსტიტუციო სასამართლოს ინტერპრეტაციით, ლიტვის მმართველობითი მოდელი საპარლამენტო რესპუბლიკას უნდა შეესატყვისებოდეს და იმავდროულად, ზოგიერთ ნახევრად საპრეზიდენტო რეჟიმის ელემენტებს შეიცავდეს. კონსტიტუციაში მრავალი ორაზროვნება არსებობს პრეზიდენტსა და მთავრობას შორის ურთიერთობებთან მიმართებაში. კონსტიტუციით დადგენილია, რომ მინისტრები, ისევე როგორც პრეზიდენტი, სეიმის წინაშე არიან პასუხისმგებელნი და ისინი პრემიერ-მინისტრის პირდაპირი დაქვემდებარების ქვეშ იმყოფებიან. ფორმალურად, პრეზიდენტს დეკრეტების გამოშვება შეუძლია, მაგრამ ამ უკანასკნელთა უმრავლესობა პრემიერ-მინისტრის ან საქმესთან დაკავშირებული მინისტრის მიერ უნდა იქნეს ხელმოწერილი. ამ შემთხვევაში, პასუხისმგებლობის აღების საკითხი მნიშვნელოვანი ხდება. ლიტვის ნახევრად საპრეზიდენტო რეჟიმში საპარლამენტო ელემენტი ძალზე ძლიერია. თითქმის ყველა საპრეზიდენტო უფლებამოსილება სეიმის უფლებამოსილებებს შეესაბამება. პრეზიდენტს აქვს უზენაესი ძალაუფლება საგარეო საქმეებში, მაგრამ კონსტიტუციის თანახმად, პარლამენტსა და პრეზიდენტს ინიციატივის უფლება აქვთ ამ სფეროში. პარლამენტისადმი პრეზიდენტის დაქვემდებარება აშკარად ჩანს სეიმში ყოველწლიური გამოსვლის ვალდებულებით ერის მდგომარეობასთან დაკავშირებით.

კორუფცია ერთ-ერთი სერიოზული პრობლემატიკაა დღევანდელ ლიტვაში. 2006 წლის დეკემბერში გალაპის კორუფციის ინდექსი 94 ქულის ეკვივალენტური იყო და ლიტვა მსოფლიოს ცხრა ყველაზე კორუმპირებულ სახელმწიფოთა შორის ფიგურირებდა. „Transparency International"-ის, „Opacity Index"-ისა და სხვა ორგანიზაციების კვლევები ნაკლებად დრამატულია და ლიტვა ჩვეულებისამებრ, პოლონეთის, ლატვიისა და სხვა ქვეყნების გვერდით იმყოფება. შეთხვევითი არაა, რომ 2006 წლის ოქტომბერში პრემიერ-მინისტრის გ. კირკილასის ინიციატივით, მთავარმა საპარლამენტო პარტიებმა კორუფციასთან ბრძოლის სპეციალურ შეთანხმებას მოაწერეს ხელი. კორუფციის აშკარად მაღალ დონეს უარყოფითი გავლენა აქვს მოსახლეობის კმაყოფილებაზე დემოკრატიისა და მისი ეფექტურობის, პოლიტიკური ინსტიტუტების ლეგიტიმურობის და სხვ. მიმართ. გასაკვირი არაა, რომ 2006 წელს მთელი ევროკავშირის ქვეყნებიდან ლიტველები ყველაზე ნაკლებად იყვნენ კმაყოფილნი თავიანთი დემოკრატიით და ნაკლები ნდობა ჰქონდათ პარლამენტისა და პოლიტიკური პარტიებისადმი.

2003 წლიდან დღის წესრიგში დადგა ადგილობრივი მმართველობის რეფორმის საკითხი და რამდენიმე არჩევანი ნამდვილად საგულისხმო იყო: ფუნქციებისა და კომპეტენციების დეცენტრალიზაცია ან გაყოფა საგრაფოებსა და ადგილობრივ მთავრობებს შორის, მერების პირდაპირი არჩევა, დაბოლოს, პროპორციული სისტემის შეცვლა შერეული სისტემით ადგილობრივი მრჩეველების პასუხისმგებლობის გასაზრდელად ამომრჩევლების წინაშე. იმავდროულად, ეს პოლიტიკური დებატები სრულიად უშედეგოა, რადგან არავითარი გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული მიუხედავად ახალი საკანონმდებლო წინადადებების წარდგენის მცდელობისა.

ბიბლიოგრაფია

BEKSTA Arunas, PETKEVICIUS Algirdas (2000) „Local Government in Lithuania", in Tomas M. Horváth (ed.) *Decentralization: experiments and reforms*,.Volume 1: *Local governments in Central and Eastern Europe*, Budapest: OSI/LGI, p. 165-215.

JANKAUSKAS A., Zeruolis D. (2004) *Understanding Politics in Lithuania*. DEMSTAR Research Report N°. 18, Department of Political Science, University of Aarhus.

LOPATA R., MATONIS A. (2004) „Several Causes of the Presidential Crisis in Lithuania", In Jankauskas A. et al. (eds) *Lithuanian Political Science Yearbook 1999*, Vilnius: Vilnius University, pp. 11-23.

MATSUZATO K., GUDZINSKAS L. (2006) „An Eternally Unfinished Parliamentary Regime? Semipresidentialism as a Prism to View Lithuanian Politics", In *Acta Slavica Iaponica*, 23, pp. 146-170.

PUGACIAUSKAS V. (2000) „Semi-presidential Institutional Models and Democratic Stability. Comparative Analysis of Lithuania and Poland", In Jankauskas A. et al. (eds) *Lithuanian Political Science Yearbook 1999*, Vilnius: Vilnius University, pp. 88-113.

VARDYS V. S., SEDAITIS J. (1997) *Lithuania: The Rebel Nation*. Boulder: Westiview Press.

თავი XIV

ლუქსემბურგი

ფილიპ პუარიერი

ლუქსემბურგის სახელმწიფო კონსტიტუციური მონარქიაა, რომელიც 1868 წელს მიღებული ძირითადი კანონის თანახმად, „საპარლამენტო დემოკრატიის რეჟიმადაა" გამოცხადებული.[137] ამ კანონით დადგენილია ხელისუფლების დაყოფა, მაგრამ არსებობს ბევრი შუალედური საფეხური საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებებს შორის. კვლავაც ცოცხლობს ნაპოლეონის პერიოდის, გემანიის კონფიდერაციისადმი მიკუთვნებისა (1815 წლიდან 1867 წლამდე) და კონკორდატთან დაკავშირებული რეჟიმის მემკვიდრეობა.[138] ლუქსემბურგის სახელმწიფოს ფართობის გამო, არსებობს მხოლოდ ნაციონალური მთავრობა და 118 კომუნა, რომელიც დიდ საპერცოგოს წარმოადგენს.[139]

ხელისუფლების მოწყობა

დიდ საჰერცოგოში ერთპალატიანი პარლამენტია (დეპუტატთა პალატა) მიუხედავად იმისა, რომ მრავალი თვალსაზრისით, სახელმწიფო საბჭო მეორე საკანონმდებლო პალატად შეიძლება იქნეს განხილული.

დეპუტატთა პალატა შედგება ხუთი წლის ვადით არჩეული 60 დეპუტატისგან, რომლებიც პირდაპირი არჩევნების საფუძველზე არიან არჩეულნი სიის მიხედვით პროპორციული წარმომადგენლობის წესების შესაბამისად ყველაზე მცირე საარჩევნო კვოტით (ჰაგენბახ-ბიშოფის მოდელი). სადეპუტატო მანდატი შეუთავსებელია მთავრობის, სახელმწიფო საბჭოს, საანგარიშო პალატის წევრთა და ფუნქციონერთა გარკვეულ თანამდებობებთან (სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელი, კადრის სამხედრო მოსამსახურე და სხვ.). შეუთავსებლობის მდგომარეობაში მყოფ ფუნქციონერებს არჩევანის გაკეთება შეუძლიათ მათთვის მინიჭებულ მანდატსა და თავიანთ ფუნქციებს შორის. 1984 წლიდან საპარლამენტო მანდატი შეუთავსებელია ევროდეპუტატობის მანდატთან. მთავრობაში გადასულ დეპუტატს, რომელიც ტოვებს თავის მოვალეობებს სრული უფლებით შეუძლია იმ სიაში ხელახლა ჩაწერა, რომლითაც იგი იქნა არჩეული. ამგვარი უფლების მქონე მრავალი პირის არსებობის შემთხვევაში, სიაში ხელახალი ჩაწერა ხდება არჩევნებში მოპოვებული ხმების რიგითობის მიხედვით. დიდ ჰერცოგს პარლამენტის დაშლის უფლება აქვს.

ყოველ წელს, ლუქსემბურგის პარლამენტი კენჭს უყრის ბიუჯეტს. სახელმწიფოს ყველა შემოსავლები და ხარჯები ბიუჯეტში უნდა იქნეს შეტანილი. დეპუტატებს აქვთ საპარლამენტო ინიციატივის უფლება, რომელიც საკანონმდებლო წინადადების წარდგენით ხორციელდება, მაგრამ ის ზომიერად გამოიყენება. დეპუტატთა პალატას შეუძლია მისთვის გადაცემული პეტიციების მთავრობის წევრებისთვის ხელახლა გადაგზავნა. 2003 წლის ივლისში, ლუქსემბურგში მედიატორის თანამდებობა იქნა შემოღებული. ამ უკანასკნელის ფუნქციაში შედის, როგორც სახელმწიფოსა და კომუნების ადმინისტრაციებთან, ისე საჯარო დაწესებულებებთან დაკავშირებული საჩივრების მიღება, სამრეწველო, ფინანსურ და კომერციულ საქმიანობებთან დაკავშირებული საჩივრების გარდა.

სახელმწიფო საბჭო ან სხვაგვარად, „უმაღლესი კორპორაცია" 21 მრჩეველისგან შედგება, რომელთაც ფორმალურად დიდი ჰერცოგი ნიშნავს მთავრობის, დეპუტატთა პალატისა და სახელმწიფო საბჭოს მიერ ალტერნატიულად წარმოდგენილი წინადადებების გათვალისწინებით. მრჩეველთა დანიშვნა რთული ვაჭრობის საგანია უმაღლესი დონის ფუნქციონერებს, პოლიტიკურ პარტიებსა და ინტერესთა ჯგუფებს შორის. არც ერთი პროექტი და კანონპროექტი არ გადაეცემა დეპუტატთა პალატას სახელმწიფო საბჭოს აზრის გამოთქმის გარეშე. თუკი საბჭო მიიჩნევს, რომ პროექტი ან კანონპროექტი კონსტიტუციას, საერთაშორისო შეთანხმებებსა და ხელშეკრულებებს ეწინააღმდეგება, ისევე როგორც სამართლის ზოგად პრინციპებს, ის აღნიშნულის მიმართ საკუთარ აზრს გამოთქვამს. ამგვარად, მისი როლია „დარწმუნება და არა თავს მოხვევაა."

სახელმწიფო საბჭოს როლი სიღრმისეულად შეიცვალა 1996 წლის 12 ივლისის კონსტიტუციის გადასინჯვის დროიდან ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1995 წლის 28 სექტემბრის Procola-ს დადგენილების

---

137 იუსტიციის სამინისტრო, კონსტიტუცია და ადამიანის უფლებები (2005), ლუქსემბურგი: კანონმდებლობის ცენტრალური სამსახური, თავი V. – დეპუტატთა პალატის შესახებ ,51-ე მუხლი, 2005 წლის 31 დეკემბრის კანონი.

138 კონსტიტუციის 22-ე და 106-ე მუხლების თანახმად, სახელმწიფო რელიგიური კულტების მსახურებს მასთან შეთანხმების დადებას ავალდებულებს. სახელმწიფო უზრუნველყოფს რელიგიური კულტის მსახურთ ხელფასითა და პანსიონით.

139 კომუნები, ტერიტორიულ საფუძველზე შექმნილი ავტონომიური ერთობებია, რომლებიც სამართალსუბიექტებს წარმოადგენენ და თავიანთი ორგანოების მეშვეობით აქვთ ერთობების ქონების განკარგვისა და საკუთარი ინტერესების დაცვის უფლება.

გასათვალისწინებლად. ამგვარად, კონსტიტუციის შემდგენელმა გადაწყვიტა შეექმნა არა მხოლოდ ცალკე იურისდიქციული წესრიგი, რომელიც მხოლოდ საკამათო ადმინისტრაციული საკითხებით იქნებოდა დაკავებული (ადმინისტრაციული სასამართლო და უმაღლესი ადმინისტრაციული სააპელაციო სასამართლო)[140], არამედ ასევე კონსტიტუციასთან კანონების შესაბამისობის დამდგენი საკონსტიტუციო სასამართლოც (ეს სასამართლო არ განიხილავს ხელშეკრულებების მიღებასთან დაკავშირებულ კანონებს). საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობაში შედიან იუსტიციის უმაღლესი სასამართლოს თავჯდომარე, უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს თავჯდომარე, საკასაციო სასამართლოს ორი მრჩეველი და დიდი ჰერცოგის მიერ დანიშნული ხუთი მოსამართლე იუსტიციის უმაღლესი სასამართლოსა და უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს აზრის გათვალისწინებით.

2000 წლიდან საანგარიშო პალატას სახელმწიფო ადმინისტრაციებისა და სამსახურების ფინანსური მართვის კონტროლი ევალება. ამ პალატის უფლებამოსილებები და მოწყობა, ისევე როგორც მისი კონტროლის ფორმები და ურთიერთობები დეპუტატთა პალატასთან კანონითაა განსაზღვრული. საანგარიშო პალატის წევრებს დიდი ჰერცოგი ნიშნავს პარლამენტის აზრის გათვალისწინებით. ამ პალატის მიერ განხორციელებული კონტროლის შედეგები ყოველწლიურ საერთო ანგარიშშია ასახული. სხვათა შორის, საანგარიშო პალატას დეპუტატთა პალატის ან საკუთარი ინიციატივით, სპეციალური ანგარიშების წარმოდგენის უფლება აქვს ფინანსური მართვის სპეციფიკურ სფეროებში. პარლამენტს შეუძლია საანგარიშო პალატას კონსულტაციისთვის მიმართოს იმ კანონპროექტებთან დაკავშირებით, რომელთაც ხაზინისთვის მნიშვნელოვანი ფინანსური გავლენა აქვთ.

1924 წელს შექმნილი ექვსი პროფესიული პალატა (სავაჭრო პალატა, წვრილ მეწარმეთა პალატა, შრომის პალატა, კერძო მოსამსახურეთა პალატა, სოფლის მეურნეობის პალატა, საჯარო ფუნქციონერთა და მოსამსახურეთა პალატა) – კორპორატიზმის მაჩვენებელი – სავალდებულო წესით, აზრს გამოთქვამს მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე და სხვა სფეროებზე მთავრობის მოთხოვნით. ამ პალატების არჩევა სოციალური არჩევნების დროს ხდება, რომელთა მეშვეობითაც ასევე საწარმოთა პერსონალის წარმომადგენლები ინიშნებიან ყოველ ხუთ წელიწადში. ამ არჩევნებში ლუქსემბურგის ყველა მოსამსახურეს შეუძლია მონაწილეობის მიღება ეროვნებისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის განურჩევლად.

დიდი ჰერცოგი სახელმწიფოს მეთაურია, რაც მას ხელშეუხებლობის გარანტიას აძლევს. დიდ ჰერცოგს არა აქვს არავითარი პოლიტიკური პასუხისმგებლობა. ჰერცოგის მიერ მიღებული ნებისმიერი ზომა საკუთარი უფლებამოსილებების აღსრულებაში ხელმოწერილი უნდა იქნეს მთავრობის წევრის მიერ, რომელსაც ამაზე მთლიანი პასუხისმგებლობა ეკისრება. გარდა ამისა, დიდი ჰერცოგის მიერ ხელმოწერილი ყველა აქტი წინასწარ მთავრობას უნდა წარედგონოს განსახილველად.

ფორმალურად, კონსტიტუცია დიდ ჰერცოგს მთავრობის ფორმირების სრულ უფლებას აძლევს, ე. ი. წევრების დანიშვნის, სამინისტროებისა და სამინისტრო დეპარტამენტების შექმნის უფლებას. კონსტიტუციის თანახმად, მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლებაა კომპეტენტური საკუთარ ორგანიზებაში საკანონმდებლო ხელისუფლების ჩარევის გარეშე. პრაქტიკაში, დიდი ჰერცოგი, საკანონმდებლო არჩევნების შედეგების საფუძველზე, ირჩევს ინფორმატორს ან/ მთავრობის ჩამომყალიბებელს, რომელიც ზოგადად, პრემიერ-მინისტრი ხდება. საქმე ყოველთვის ეხება პარტიის თავჯდომარეს, რომელმაც ყველაზე მეტი ხმები მიიღო ბოლო არჩევნებში და ზოგადად, პიროვნებას, რომელმაც პრეფერენციული ხმების ყველაზე დიდი რაოდენობა მოიპოვა. დიდი ჰერცოგის მიერ დანიშნული მთავრობა საკუთარ პოლიტიკურ პროგრამას დეპუტატთა პალატას წარუდგენს, რომელიც პოზიტიური ხმის მიცემით თავის ნდობას გამოხატავს, რაც წინათ კოალიციური შეთანხმების საგანი იყო.[141] ლუქსემბურგის ყველა მთავრობა კოალიციურია პირდაპირი საყოველთაო საარჩევნო უფლების მიღების დროიდან როგორც მამაკაცებისთვის, ისე ქალებისთვის (1919 წ.). 1945 წლიდან, ყველა პრემიერ-მინისტრი ან/ სახელმწიფო მინისტრი, 1974-1979 წლების პარიოდის გარდა, ქრისტიან-სოციალური პარტიიდან (PCS) იყო გამოსული. 1974 წელს, მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიან-სოციალური პარტია პირველ პარტიად რჩებოდა, მან ოპოზიციაში დარჩენა არჩია, რაც პირველად, იქამდე წარმოუდგენელი კოალიციის შექმნის შესაძლებლობას იძლეოდა დემოკრატიულ პარტიასა (PD) და ლუქსემბურგის მუშათა სოციალისტურ პარტიას შორის (POSL). დიდ ჰერცოგს ნებისმიერ დროს მთავრობის წევრის თანამდებობიდან გადაყენების უფლება აქვს, მაგრამ პრაქტიკაში, მინისტრის ან მთელი მთავრობის გადადგომას პრემიერ-მინისტრი აცხადებს.

მთავრობას ინიციატივის უფლება აქვს საკანონმდებლო სფეროში, რომელსაც „სამთავრობო ინიციატივა" ეწოდება, რაც მას კანონპროექტების წარდგენის შესაძლებლობას აძლევს. იმ შემთხვევაში, თუკი მთავრობა მიიჩნევს, რომ კანონპროექტი სასაწრაფოდაა წარსადგენი, დეპუტატთა პალატამ ის პირდაპირ უნდა განიხილოს

---

140 დღემდე, სახელმწიფო საბჭოს იურიდიული კომიტეტი, რომელიც თერთმეტი წევრისგან შედგება, უმაღლეს იურისდიქციას წარმოადგენდა ადმინისტრაციულ სფეროში.

141 Dumont, Patrick & De Winter, Lieven, „Luxembourg : Stable coalitions in a pivotal party system", In Müller, Wolfgang C. & Strøm Kaare, *Government Coalitions in Western Europe*, Oxford University Press, pp. 399-432, 2003.

სახელმწიფო საბჭოს მხრიდან აზრის გამოთქმის გარეშე; თუმცა, ამ პალატას შეუძლია სახელმწიფო საბჭოსთვის აღნიშნული კანონპროექტის გადაგზავნის განკარგულების გაცემა ამ უკანასკნელთან დაკავშირებული დისკუსიის დაწყებამდე. ამავე დროს, საბჭოს აზრი დეპუტატთა პალატას კანონპროექტის საბოლოო კენჭისყრამდე უნდა წარედგინოს. პარლამენტის მიერ მუხლობრივი კენჭისყრის დაწყების შემთხვევაში, კონსტიტუციის 65-ე მუხლის შესაბამისად, მთლიანი კანონისთვის ხმის მიცემა არ ხდება იმ ფაქტის გამო, რომ ყველა კენჭნაყარი მუხლი არ იყო მიწოდებული სახელმწიფო საბჭოში განსახილველად. ეს უკანასკნელი საკუთარ აზრს გამოთქვამს პალატის მიერ კენჭნაყარ დებულებებზე სამი თვის ვადაში მათი წარდგენის დღიდან. აღნიშნულ ვადაში აზრის გამოთქმის არარსებობის შემთხვევაში, პალატას მთლიანი კანონის კენჭისყრაზე გადასვლა შეუძლია. პარლამენტში კენჭისყრის შემდეგ, დიდი ჰერცოგი კანონის დამტკიცების თავის უფლებებს აღასრულებს. საკანონმდებლო პროცედურა კანონის ტექსტის გამოქვეყნებით სრულდება საკანონმდებლო კრებულში („მემორიალი"). ამ აქტით ტექსტი სავალდებულო ხასიათს იძენს.

კონსტიტუციის თანახმად, სასამართლოებმა და ტრიბუნალებმა სასამართლო ხელისუფლება უნდა აღასრულონ. ისინი დამოუკიდებლები არიან თავიანთი მოვალეობების შესრულებაში. ლუქსემბურგში ორი იურისდიქციული წესრიგი არსებობს: სასამართლო და ადმინისტრაციული. სასამართლო იარარქიის სათავეში უმაღლესი სასამართლო დგას, რომელიც მოიცავს საკასაციო სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოს, ისევე როგორც პროკურატურას. საკასაციო სასამართლო ხუთი მოსამართლისგან შემდგარი პალატაა, რომელსაც ძირითადად ეხება სააპელაციო სასამართლოს სხვადასხვა პალატების მიერ წარმოდგენილი დადგენილებების ანულირების ან კასაციის საქმეები და საბოლოო განაჩენების განხილვა.

სააპელაციო სასამართლო ცხრა პალატისგან შედგება. თითოეულ მათგანში სამი მრჩეველი მუშაობს. ამ სასამართლოს მოვალეობაში შედის როგორც სამოქალაქო, კომერციული და კრიმინალური საქმეები, ისე შრომის ტრიბუნალების მიერ განხილული საქმეები ქვეყნის ორ სასამართლო ოლქში (ლუქსემბურგი და დიკირხი). დიდი ჰერცოგი პირდაპირი წესით ნიშნავს მომრიგებელ მოსამართლეებსა და ტრიბუნალების მოსამართლეებს. სასამართლოს მრჩევლებს და საოლქო ტრიბუნალების თავჯდომარეებსა და ვიცე-თავჯდომარეებს ასევე დიდი ჰერცოგი ნიშნავს თანამდებობებზე უმაღლესი სასამართლოს აზრის გათვალისწინებით.

უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლო ადმინისტრაციული წესრიგის უზენაეს იურისდიქციას წარმოადგენს. უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოსა და ადმინისტრაციული ტრიბუნალის მოსამართლეებს თანამდებობაზე დიდი ჰერცოგი ნიშნავს.

პოლიტიკური პარტიები

1868 წელს ლუქსემბურგში საპარლამენტო დემოკრატიის დამყარებას თან არ ახლდა თანამედროვე პოლიტიკური პარტიების შექმნა.[142] დეპუტატთა დანიშვნა ცენზიანი ხმის მიცემით (ცენზი ეტაპობრივად შემცირდა 1892-1901 წლებში, შემდეგ კი საბოლოოდ გაუქმდა 1919 წელს)[143] შესაძლებელს ხდის თავდაპირველად ძირითადად, „ლიბერალი" წარჩინებული მოქალაქეებისგან შემდგარი პოლიტიკური კადრების არჩევას XIX საუკუნის მნიშვნელობით. ეს თითქმის სრული სოციალური ერთგვაროვნება მოიცავს „დიდი ლიბერალური პარტიის" შემადგენლობასა და პირველობას პარლამენტის შიგნით, რომელსაც ახასიათებს ანტიკლერიკალიზმი და ლუქსემბურგის ინდუსტრიალიზაციის ნება შავი მეტალურგიით. ამგვარად, ლუქსემბურგი Zollverein-ის წევრია.

პირველ „თანამედროვე" პოლიტიკურ პარტიას, მიქაელ ველტერის ინიციატივით შექმნილი სოციალ-დემოკრატიული პარტია წარმოადგენდა, რომლის მთავარი საზრუნავი მუშების მდგომარეობა იყო. 1924 წელს ლუქსემბურგის მუშათა პარტიის შექმნით – 1921 წლის განხეთქილებას შედეგად მოჰყვა ლუქსემბურგის კომუნისტური პარტიის (PCL) დაფუძნება – სოციალ-დემოკრატებმა და სოციალისტებმა ბოლოს და ბოლოს თანამედროვე პოლიტიკური პარტია ჩამოაყალიბეს, რომელიც ძალზე დამოკიდებული იყო მუშათა პროფკავშირებზე. დღევანდელი ლუქსემბურგის მუშათა სოციალისტური პარტია 1946 შეიქმნა (POSL)[144], ის ევროპის სოციალისტური პარტიის წევრია 1992 წელს ამ უკანასკნელის დაარსების დროიდან.

შემდგომში, 1904 წელს ალფონს მიუნხენის ხელმძღვანელობით ლიბერალური ლიგა შეიქმნა. ამ უკანასკნელმა გადარჩენა ვერ შეძლო 1919 წელს საყოველთაო არჩევნების შემოღების პირისპირ, რომლის მოწინააღმდეგეც ის ყოველთვის იყო. ლიბერალური პოლიტიკური კადრების მრავალი არაარსებითი დაყოფის შემდეგ (რადიკალური ფედერაცია და რადიკალური პარტია) საბოლოოდ, მხოლოდ 1934 წელს გახდა შესაძლებელი უნიტარული პარტიის, რადიკალურ-ლიბერალური პარტიის შექმნა. ლიბერალური მიმართულება წინააღმდეგო-

---


142 La Palombara, Joseph & Weiner, Myron, *Political Parties and Political Development*, Princeton : Princeton University Press, 1966.

143 1890 წელს, ქვეყანაში მცხოვრებ მამაკაცთა 15%-ს ხმის მიცემა შეეძლო, 1902 წელს 35%-ს, 1913 წელს კი 60%-ს.

144 ლუქსემბურგის მუშათა სოციალისტურ პარტიაში (POSL) 1973 წლიდან 1984 წლამდე ახალ განხეთქილებას ჰქონდა ადგილი, რასაც შედეგად მოჰყვა სოციალ-დემოკრატიული პარტიის შექმნა, რომლის ზოგიერთი ხელმძღვანელი საბოლოოდ, ლუქსემბურგის ქრისტიან-სოციალურ პარტიაში (PCS) გაერთიანდა.

ბის მოძრაობებმა გამოაცოცხლეს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რომლებმაც „პატრიოტულ და დემოკრატიულ ჯგუფად" წოდებული მოძრაობა დააფუძნეს. ეს უკანასკნელი 1954 წელს დემოკრატიული პარტია (PD) გახდა, რომელიც ევროპის ლიბერალების, დემოკრატებისა და რეფორმატორების პარტიის წევრი გახდა 1993 წელს მისი შექმნის დღიდან.

დაბოლოს, 1914 წელს შეიქმნა მემარჯვენე პარტია. ეს პარტია კათოლიკე აგრარიკოსთა და კორპორაციულ-სოციალური მოძრაობებიდანაა გამოსული. 1919 წელს საყოველთაო საარჩევნო ხმის უფლების შემოღებამ ამ პარტიას თითქმის მარტოს ხელისუფლებაში ყოფნის შესაძლებლობა მისცა 1937 წლამდე. ეს წელი აღინიშნა კორპორაციული კათოლიკური ფრთის მარცხით რეფერენდუმში, რომლის მიზანს ლუქსემბურგის კომუნისტური პარტიის აკრძალვა წარმოადგენდა და იქამდე არარსებული მთავრობის ჩამოყალიბებით, რომელიც მოძრაობის სოციალური ფრთისა და მთავრობაში პირველად მოსული სოციალისტებისგან შედგებოდა კათოლიკე პიერ დიუპონგით სათავეში.[145] ომის შემდეგ, პარტიამ ქრისტიან-სოციალური პარტიის სახელწოდება (PCS) მიიღო. ეს პარტია ევროპის სახალხო პარტიის წევრია 1976 წელს ამ უკანასკნელის შექმნის დროიდან.



ნახაზი I: ხმის მიცემის ევოლუცია პარტიის მიხედვით 1919 წლიდან 1934 წლამდე

ლუგსემბურგის სისტემას პირველ ყოვლისა, ახასიათებს იმაზე ზრუნვა, რომ სამი სამთავრობო პარტია (PCS, POSL, PD) – ყოველთვის ერთად ასოცირებული 1945 წლიდან – ზედმეტად იდეოლოგიურ ჯგუფად არ წარმოჩნდეს და ამის გამო კოალიციაში შესვლა ვერ შეძლოს.[148] ამგვარად, ქვეყანას თავისი მცირე მოცულობიდან გამომდინარე ძალზე მაღალი დონის სიახლოვის შენარჩუნება ესაჭიროება რჩეულსა და ამომრჩეველს შორის. პარტიებმა ასევე მუდმივად უნდა იფიქრონ იმ განსხვავებაზე, რომელიც შეიძლება არსებობდეს მათ მიზნებსა და „საარჩევნო მომხრეების" მიერ წინ წამოწეულ მოთხოვნებს შორის.

შედარებითი იდეოლოგიური დისტანცია ასევე დამოკიდებულია იმ ფაქტზე, რომ ლუქსემბურგი კონსოციაციური დემოკრატიაა. ეს ნიშნავს, რომ პარტიებს შორის კონსენსუსის არსებობა გახდა შესაძლებელი, რადგან რეალობაში, ისინი მხოლოდ უტილიტარიზმის გარკვეულ გამოხატულებას წარმოადგენენ პოლიტიკაში. საჯარო პოლიტიკა დიდ საჰერცოგოში – როგორც ბევრ სხვა სახელმწიფოში – სინამდვილეში მხოლოდ მატერიალური საჭიროებების გადანაწილების ორგანიზებაა სოციალ-პროფესიული ჯგუფებისთვის ან ძალზე შეზღუდული სპეციფიკური ერთობებისთვის და არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს საჯარო სივრცეს არენდტისეული გაგებით.[147] მთავარ პოლიტიკურ პარტიებზე დაკისრებული ეს ფუნქცია მით უფრო განვითარებულია, რაც მას

145 პარტიის წესდება აბატმა ფრიდრიხ მარქმა მოამზადა. 1919 წელს მემარჯვენე პარტიაში მომხდარი განხეთქილების შედეგად ნაციონალური პარტია შეიქმნა პიერ პრიუმის თავმჯდომარეობით. ამ პარტიაში გაერთიანებულნი იყვნენ საომარი ოლქებისა და ძველი ლიბერალური ლიგიდან გამოსული ყველაზე კონსერვატორულად განწყობილი წარჩინებული ადამიანები. Bové André, Le Catholicisme au Luxembourg entre 1914 et 1940: Le parti de Droite. Mémoire de maîtrise présenté à L'Université de Nancy II, 26 juin 1984.

146 Sartori, Giovani, *Parties and Party Systems : A framework for analysis.* Cambridge : Cambridge University Press, p. 173, 1976.

147 Arendt, Hannah, *La Crise de la Culture*, Paris, Seuil, Collection „Points essais", 1985.

თან ახლავს სახელმწიფოს ჩარევის სფეროს მზარდი გაფართოება: „ქვეყანაში სახეზეა კლასიკური შუალედური სტრუქტურების დასუსტება, როგორიცაა პარლამენტი და პოლიტიკური პარტიები, განხილვების ჩატარების სხვა ფორუმების სასარგებლოდ, რომლებშიც პოლიტიკურ წარმომადგენლობას ფუნქციონალური წარმომადგენლობა ემატება. რამდენადაც ეს სტრუქტურები არ იძლევიან იგივე ტრანსპარენტულობის გარანტიებს როგორსაც ადგილი აქვს პარლამენტის შიგნით, საჯარო დებატი გარდაუვალად ბუნდოვნად წარმოჩნდება.[148] (...) „

ამავე დროს, 1980-იან წლებში ლუქსემბურგში მიმდინარე სოციალურმა და ეკონომიკურმა ტრანსფორმაციამ – რომელიც „ახალი პოლიტიკური კულტურის" მატარებელი იყო[149] – შესაძლებელი გახადა ისეთი ახალი პარტიების ასპარეზზე გამოჩენა, როგორიცაა მწვანეები და ADR-ი (თავდაპირველად, მოძრაობა დემოკრატიისა და სოციალური სამართლიანობისთვის, 2004 წლიდან კი დემოკრატიული ალტერნატივა, რეფორმების პარტია). აღნიშნულ ტრანსფორმაციას ლუქსებურგელთა მხრიდან ახალი ღირებულებების მიღება მოჰყვა: სქესთა შორის თანასწორობა, გარემოს დაცვა, კულტურული და ლინგვისტური იდენტობების პატივისცემა და ასევე უსაფრთხოებისა და ეკონომიკური თავისუფლების დიდი სურვილი. სამთავრობო პარტიებისა და არსებული პროფკავშირების (OGBL სოციალისტური სულისკვეთების ლუქსემბურგის პროფკავშირის დამოუკიდებელი კონფედერაცია; LCGB ლუქსემბურგის ქრისტიანული პროფკავშირების კონფედერაცია) რეალურმა უუნარობამ ამ ახალი სოციალური მოთხოვნების განსახორციელებლად პოლიტიკური მონაწილეობის ახალ ფორმებს შეუქმნა პირობები, რომლებიც ემყარება პირდაპირ ჩარევას, ტრანსპარენტულობის ძიებასა და იმ გარკვეული მექანიზმების სისტემატურ გამოაშკარავებას, რომელიც წინ უძღოდა წარმომადგენლობითი დემოკრატიის განვითარებას.

სხვაგვარად რომ გთქვათ, პოლიტიკური გამოხატვის, ისევე როგორც დეპოლიტიზაციის ახალი ფორმები, სოციალურ მოძრაობებსა ან არასამთავრობო ორგანიზაციებში გამოიკვეთა, რაც ნოყიერი ნიადაგია ახალი პოლიტიკური პარტიებისთვის. მომხრეობის კუთხით, დიდი საპერცეპტრონო ტრანსფორმაცია ასევე ახალი განხეთქილების წყარო გახდა ე. წ. „პოსმატერიალისტურ" (მაგალითად, ეკოლოგთა პარტია) და „მატერიალისტურ" პარტიებს (ქრისტიან-დემოკრატიული პარტია და სოციალისტური პარტია) შორის. ეს უკანასკნელნი ამგვარად იყვნენ კვალიფიცირებულნი, რადგან ისინი იმავდროულად საზოგადოების ძველი მოდელის მატარებლები იყვნენ, რომელიც დაფუძნებული იყო საერთო ცნობიერებასა და მფარველი სახელმწიფოს შემქმნელებზე.[150]

თავდაპირველად, მწვანეთა პარტიაში გაერთიანებულნი იყვნენ მარქსისტები (ეს უკანასკნელნი სოციალ-დემოკრატების გადაფარვას ცდილობდნენ), ე. წ. მემარცხენე კათოლიკეები, რომლებიც ვატიკანის II საეკლესიო კრებას „განთავისუფლების თეოლოგიის" ფუძემდებელ აქტად განიხილავდნენ, ქალაქური გარემოს დამცველები, ახალი საქველმოქმედო ქსელის შემქმნელი მესამე სამყაროს მხარდამჭერი ორგანიზაციები, დაბოლოს, ლიბერტარიანელები. დღეისათვის, მწვანეთა პარტია აშკარად ცენტრისტულ-მემარცხენე მიმდინარეობისაა, რომელიც ცდილობს ევროინტეგრაციისა და გარემოს დაცვის შეხამებას სოციალურ და ეთიკურ ლიბერალიზმთან. ეს პარტია ევროპის მწვანეთა პარტიის წევრია. ასეთი ტიპის ცენტრისტულ-მემარცხენე პარტიის გამოჩენამ ლუქსემბურგის კომუნისტური პარტია კიდევ უფრო დაასუსტა, რომელიც უკუსვლას განიცდიდა შავი მეტალურგიის კრიზისიდან გამოსვლისა და ლუქსემბურგის ეკონომიკის არასამრეწველო სექტორის მზარდი განვითარების დროიდან. 1999 წლის არჩევნებში, აღნიშნულმა პარტიამ უარი თქვა ნეოსოციალისტურ, ტროცკისტულ და ფემინისტურ მოძრაობებთან ერთად „მემარცხენე" კარტელში მონაწილეობაზე. 2004 წლის არჩევნებში, ვერც ლუქსემბურგის კომუნისტურმა პარტიამ და ვერც მემარცხენეებმა, ვერ შესძლეს ერთი ადგილის შენარჩუნებაც კი, რომელიც მათთვის სამხრეთის ოლქში იყო დარჩენილი. სამაგიეროდ, ისინი მნიშვნელოვანი აქტორები იყვნენ ევროპის კონსტიტუციის უარყოფის კომიტეტში. მემარცხენე პარტია ევროპის მემარცხენე პარტიის დამკვირვებელი წევრია 2004 წლიდან.

ADR-მა (დემოკრატიული ალტერნატივა, რეფორმების პარტია), რომელიც თავდაპირველად მხოლოდ საჯარო სექტორისა და კერძო სექტორის პენსიებს შორის უბრალო თანასწორობას ითხოვდა ამ უკანასკნელის სასარგებლოდ, სახელმწიფოს და ადმინისტრაციული ძალაუფლების ფუნქციონირების კრიტიკა დაიწყო, რამაც ის აშკარად პოლიტიკის გადამრჩენი ხედვის მქონე პოლიტიკურ მოძრაობად წარმოაჩინა.[151] 2001 წლიდან ეს პარტია ევროპის ერების გაერთიანების წევრია და ასევე ლუქსემბურგის საზოგადოების ნაწილის ლატენტური ლიბერალური სუვერენიზმის დაცვას ცდილობს.


---

148 Hirsch, Mario, „La société dépolitisée", In, *Nos Cahiers*, n°4 , pp. 69-73, 1995.

149 Poirier, Philippe, „La révolution tranquille", In, D'Lëtzeburger Land, numéro spécial 50e anniv. pp. 4-5, 9 janvier 2004.

150 Inglehart, Ronald, *The Silent Revolution : Changing Values and Political Style Among Western Publics*, Princeton: Princeton University Press, 1990.

151 Canovan, Margaret, „Trust the people ! Populism and the two faces of democraty", in *Political Studies*, vol. 47, n°1, pp. 2-16, 1999.



ნახაზი N°2: ხმის მიცემის ევოლუცია პარტიის მიხედვით საკანონმდებლო არჩევნებში 1945 წლიდან 2004 წლამდე.

საარჩევნო სისტემა და მისი შედეგები

საარჩევნო კანონის თანახმად, „პოლიტიკურმა გაერთიანებებმა" ოთხ საარჩევნო ოლქში (სამხრეთი, ცენტრი, ჩრდილოეთი, აღმოსავლეთი) კანდიდატთა სიები უნდა შეადგინონ და ამ უკანასკნელთა რაოდენობა მთლიანობაში ოლქში ასარჩევ დეპუტატთა რაოდენობას არ უნდა აღემატებოდეს (შესაბამისად, 23, 21, 9 და 7). თითოეული ამომრჩევლის განკარგულებაშია იმდენი საარჩევნო ხმა, რამდენი დეპუტატიცაა ასარჩევი მის ოლქში. ხმის მიცემა შეიძლება ჩატარდეს სიის მიხედვით ან პრეფერენციული ხმის მიცემით. 1979 წლის საკანონმდებლო არჩევნებში პრეფერენციული ხმის მიცემა 31,3%-ს შეადგენდა, 2004 წელს კი 45,31%-ს. ევროპული არჩევნები ანალოგიურ პირობებში მიმდინარეობს, მაგრამ ერთი ოლქის ჩარჩოში (6 ასარჩევი დეპუტატი). ორივე არჩევნებისთვის, ხმის მიცემა სავალდებულოა და 1994 წლიდან ნებადართულია დაუსწრებლად ხმის მიცემა.

ამომრჩეველს ხმის მიცემის სამი ფორმის გამოყენების შესაძლებლობა აქვს: ხმის მიცემა მთლიანად ერთი პარტიული სიისთვის; ხმის მიცემა პარტიული სიის შიგნით (ე. წ. ინტრასიით ხმის მიცემა); სხვადასხვა პარტიული სიით წარმოდგენილი კანდიდატებისთვის ხმის მიცემა (ე. წ. ინტერსიით ხმის მიცემა).[152] პარტიული სიით გაკეთებული არჩევანი ერთი სიის ყველა წევრს აძლევს ხმას. უეჭველია, რომ ამგვარი ხმის მიცემის წესი ამომრჩევლის ერთგულებას გამოხატავს თავისი პარტიისა და მისი მითითებების მიმართ. აღნიშნული ფორმა ყველაზე სასურველია პარტიებისთვის და სწორედ ამიტომ, ისინი ინსტრუქციების რაოდენობას ზრდიან ყოველი არჩევნების წინ. ხმის მიცემა ერთი პარტიული სიის შიგნით ამომრჩეველს საკუთარი არჩევანის გამოხატვის შესაძლებლობას აძლევს ამ სიაში შესული კანდიდატების შეზღუდული რაოდენობისთვის და მისი შეფასება 0-დან 2-მდე მერყეობს. სურვილის შემთხვევაში, ამომრჩეველს შეუძლია იგივე კანდიდატს ორჯერ მისცეს ხმა და ამგვარად, მისდამი ნდობა გამოხატოს. სხვადასხვა პარტიული სიით წარმოდგენილი კანდიდატებისთვის ხმის მიცემა ამომრჩეველს ხმების გადანაწილების შესაძლებლობას აძლევს ორ ან მეტ სიაზე. ამ ტიპის ხმის მიცემა სტრატეგია ამომრჩევლის არჩევანს გამოხატავს. თუმცა, მიუხედავად შემოთავაზებული არჩევანისა, ელექტორატის მნიშვნელოვან ნაწილს ურჩევნია პოლიტიკური პერსონალის არჩევანი პარტიებს მიანდოს და ის პატივს სცემს სიებში არსებულ რიგითობას – ყოველ შემთხვევაში, სიის დასაწყისში წარმოდგენილ კანდიდატურებს – ინტრასიით თუ ინტერსიით გამოხატული ხმის მიცემით.[153] 2004 წელს ნაციონალურ დონეზე ინტერსიით ხმის მიცემა (73,5%) თითქმის სამჯერ აღემატებოდა ინტრასიით ხმის მიცემას (26,5%).

152 კანონმდებლობის ცენტრალური სამსახური, 2003 წლის 18 თებერვლის საარჩევნო კანონი, Luxembourg : Mémorial, *Journal Officiel du Grand-Duché de Luxembourg*, 23 février 2004.

153 Pilet, Jean-Benoît, „Les Jeux sont ouverts. Les effets du vote préférenciel dans les scrutins proportionnels de listes. Analyse comparée

პარტიებმა თავიანთ წესდებებში ძალზე კომპლექსური ბიუროკრატიული მექანიზმები შეიტანეს – ADR-ისა და PD-ს გარდა – კანდიდატთა დასახელებისთვის. ადმინისტრაციულმა პროცედურებმა კვოტები უნდა დაიცვან, როგორც ეს მწვანეების შემთხვევაშია. ეს პროცედურები ინიციატივის უფლებას ადგილობრივ ორგანოებს უტოვებს, ყველაზე ხშირად ოლქის დონეზე, რომლებიც პირველ პოზიციას უფლებამოსილების მიწურულს მყოფთ ანიჭებენ (ლიბერალების შემთხვევა). თუმცა, რეალობაში, კანდიდატურების სიის დადგენის უფლებამოსილება პარტიის უმაღლესი ინსტანციის ან ინვესტიტურის კომისიის ხელშია, რომელიც პოლიტიკური პარტიის ყველაზე მაღალი ხელმძღვანელი პირებით იმართება.

ამავე დროს, პირადი პოლიტიკური ინიციატივა შეზღუდულია იმ პარტიებში, რომლებსაც ძლიერი ქვეორგანიზაციული სტრუქტურები აქვთ, როგორც ამას ადგილი აქვს PCS-ის, POSL-ისა ან მწვანეების შემთხვევაში. პირველ ყოვლისა, პარტიების სატელიტი ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენენ თავიანთი გავლენის შემცირების შესაძლებლობის მიმართ – რომელიც ძალზე ძნელად იქნა მოპოვებული მაგალითად, ფემინისტების ასოციაციების მიერ – იმ კანდიდატების გამოჩენის გამო, რომელთა მხარდაჭერაც მხოლოდ გარე ინტერესთა ჯგუფებიდან მომდინარეობს – სიების შედგენის მომენტში. ნაციონალური პროფკავშირული გაერთიანებები (NGL, ლუქსემბურგის ნეიტრალური პროფკავშირი, LCGB, OGBL) მოითხოვენ – რა თქმა უნდა არაოფიციალურად – კანდიდატთა გარკვეულ რაოდენობას პოლიტიკურ სიებში, მით უფრო, რომ მათ ასევე კამპანიის განმავლობაში ლოჯისტიკური და ფინანსური დახმარების გაწევა შეუძლიათ ADR -ის, PCS-ისა და POSL-თვის. გარდა ამისა, შერჩევის მექანიზმების – იშვიათი გამონაკლისების გარდა – დიდ ნაწილს ნაციონალურ რჩეულებს უტოვებენ, როგორც PD-ში, ისე PCS -ში, რადგან მათ თითქმის ავტომატურად შეუძლიათ არჩევნებში მონაწილეობა.

შერჩევის პროცესებს შედეგად მოჰყვება ძალზე მნიშვნელოვანი კანდიდატურების განუახლებლობის გარკვეული მაჩვენებელი პარტიებში, რომლებსაც საპარლამენტო ჯგუფი ჰყავთ დეპუტატთა პალატაში (საშუალოდ, 54,6%). კანდიდატურების განუახლებლობის მაჩვენებელი უფრო საგულისხმოა იმ პარტიებში, რომლებსაც უკვე ჰქონდათ მთავრობაში მონაწილეობის პასუხისმგებლობა (61%). ზემოთ აღნიშნული შერჩევის პროცესები ასევე იწვევს პოლიტიკური მანდატის მქონე კანდიდატურების კონცენტრაციას (ე. ი. მინისტრის პორტფელი, ევროპული მანდატი, ნაციონალური ან სათემო) პარტიებში, რომელთაც საპარლამენტო ჯგუფი ჰყავთ დეპუტატთა პალატაში (საშუალოდ კანდიდატთა 62,4%-ს უკვე ჰქონდა მანადატი). აღნიშნული კონცენტრაცია კიდევ უფრო მაღალია იმ პარტიებში, რომლებსაც უკვე ჰქონდათ სამთავრობო პასუხისმგებლობა (79,4%).[154]

2004 წლის არჩევნებში, ნაციონალურ და ევროპულ არჩევნებში გამარჯვებულ პარტიებს ან ადგილების მომპოვებელ პარტიებს (PCS, მწვანეები) ორმაგი სპეციფიკურობა ახასიათებს, მათი სიის სათავეში მყოფნი პრეფერენციული ხმების ყველაზე დიდი წილის კონცენტრაციას ახდენენ და სიებით ხმის მიცემის მეშვეობით ბევრად მეტს იღებენ წინა არჩევნებთან შედარებით. მთავრობებში უკვე მონაწილეობა მიღებულ პარტიებს, რომლებიც დაშვებულნი იყვნენ ნაციონალურ და ევროპულ არჩევნებში მაგალითად, დემოკრატიული პარტია (PD), იმით ხასიათდებიან, რომ ბევრად მეტ ხმებს იღებენ პრეფერენციული ხმის მიცემის დროს (საკანონმდებლო არჩევნებში 58%, ევროპულ არჩევნებში 53%), ვიდრე სიით ხმის მიცემისას. იმ პარტიებმა, რომელთაც არასდროს მიუღწევიათ სამინისტრო პასუხისმგებლობისთვის მაგალითად, ADR-ი, მემარცხენე პარტიები და PCL-ი, რეგრესი განიცადეს ნაციონალურ და ევროპულ არჩევნებში 2004 წელს. ამ უკანასკნელებს განსაკუთრებით ახასიათებს სიის მიხედვით ხმის მიცემა (ნაციონალურ არჩევნებში, შესაბამისად 69%, 58% და 67%). პატარა პარტიები, რომლებიც ლუქსემბურგში ხმის მიცემას სიით ახორციელებენ ყველაზე იზოლირებულნი არიან პოლიტიკური სისტემისგან. ამ პარტიების საარჩევნო დამკვიდრება უფრო მყიფეა, რადგან თუკი ეს მახასიათებელი ლუქსემბურგის ყველა პარტიისათვისაა დამახასიათებელი, ის პირველ ყოვლისა, ერთი ან ორი კანდიდატის პოპულარობას ეყრდნობა.

რაც შეეხება ევროპულ არჩევნებს, ისინი მეორე რიგის არჩევნებად უნდა განიხილებოდეს.[155] მართლაც, ეს არჩევნები იმავე დღეს ტარდება, რაც საკანონმდებლო არჩევნები. დამთხვევა ნაციონალურ არჩევნებსა და ევროპულ არჩევნებს შორის კანდიდატურების სისტემატურ გაორმაგებას იწვევს იმ პარტიების გამოკლებით, რომლებსაც არ შეუძლიათ საპარლამენტო წარმომადგენლობის ყოლის იმედი იქონიონ, როგორც დეპუტატთა პალატაში, ისე ევროპის პარლამენტში (მაგალითად, მემარცხენეები). ისინი, ვინც სიების სათავეში დგანან ევროპულ არჩევნებში სამი სამთავრობო პარტიის შემთხვევაში, არიან ისინი, ვისაც ასევე პრემიერ-მინისტრობის პრეტენზია აქვთ. ევროპის პარლამენტში არჩევა ამ უკანასკნელთა მიერ შემდგომში საკუთარ ქვეყანაში პოლი-

---

: Espagne, Belgique, Finlande et Suisse", In *Cahiers du Cevipol*, 2003/1, p. 23, 2003.

154 Dumont, Patrick, Fehlen Kies, Raphaël & Poirier, Philippe, *Les élections législatives et européennes de 2004 au Grand-Duché de Luxembourg*. Luxembourg : Service Central des Imprimés de l'État, 2006.

155 Reif, Karlheinz., & Schmitt, Hermann, „Nine Second Order National Elections: A Conceptual Framwork for the Analysis of European Elections Results." In *European Journal of Political Research, n°8*, pp. 3-44, 1980.

ტიკური კარიერის საფუძვლად განიხილება. ეს ასევე ლეგიტიმურობის კარგი ტესტია უფლებამოსილების ვადის მიწურულს მყოფი პრემიერ-მინისტრისთვის, რადგან იგი ერთადერთი ოლქის კანდიდატია, მაშინ როდესაც საკანონმდებლო არჩევნების დონეზე ეს უკანასკნელი ლუქსემბურგში შემავალ ოთხიდან ერთ ოლქში უნდა წარდგეს.

საარჩევნო სისტემის ბოლო სპეციფიკურობა მდგომარეობს იმ ფაქტში, რომ პარტიები კვლავაც არ არიან აღიარებულნი კონსტიტუციით. ისინი მათი მაორგანიზებელი განსაკუთრებული კანონის ობიექტს არ წარმოადგენენ. ეს თითქმის გამონაკლისია (კვიპროსთან ერთად) ევროსაბჭოს წევრ-ქვეყნებში. ამავე დროს, საარჩევნო კანონი დაფინანსებას მხოლოდ საკანონმდებლო და ევროპული არჩევნების კამპანიის ჩარჩოში ითვალისწინებს. ამდენად, ეს კანონი ნაკლებად განსაზღვრავს დაფინანსების უფლების მქონეებს, რადგან ამ უკანასკნელის 91-ე მუხლით დადგენილია მხოლოდ ის, რომ „პოლიტიკური პარტიისა ან კანდიდატთა ჯგუფის ქვეშ იგულისხმება იურიდიული პირის სტატუსის მქონე ან არმქონე ფიზიკური პირების გაერთიანება, რომლებიც ერთმანეთს კონკურენციას უწევენ დემოკრატიის ფუნდამენტური პრინციპების, საყოველთაო საარჩევნო უფლებისა და სახალხო ნების დაცვაში სტატუსების ან პროგრამით განსაზღვრული ფორმით[156] [. . .]. გარდა ამისა, დოტაცია გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი პარტია ან კანდიდატთა ჯგუფი საკანონმდებლო არჩევნებში არანაკლებ ერთ ადგილს მოიპოვებს, ხოლო ევროპულ არჩევნებში მიცემული ხმების 5%-ს. ამ საკანონმდებლო დებულებას შეთანხმების არდარღვევის ხელმოწერა ემატება ყველა პოლიტიკურ პარტიას შორის ყოველი არჩევის წინ ზოგადად, ვადამდე ექვსი თვით ადრე. აღნიშნული შეთანხმება არ შეიცავს კამპანიის ხარჯების განმსაზღვრელ შეზღუდვას.

ამავე დროს, პოლიტიკური პარტიების საჯარო ან კერძო დაფინანსება არჩევნების ჩარჩოში ან მათ მიღმა მწვავე საკითხად რჩება საჯარო დებატებში.[157] ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ყველა პარტიის მიერ განსხვავებული დონით, შემოთავაზებული იქნა მათი მაორგანიზებელი კანონი. თუმცა, სახელმწიფო საბჭომ არაერთხელ გამოთქვა აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ რომელიმე პარტიის ნორმალური ფუნქციონირების დაფინანსებას შეეძლო გამოეწვია „პოლიტიკური პარტიების დამოკიდებულების წარმოშობა საჯარო დაფინანსებაზე, რომელსაც მათი ქმედების თავისუფლების ხელყოფა შეუძლია."[158] საარჩევნო კანონის ყოველი მოდიფიკაციისას, როგორც ამას ადგილი ჰქონდა 1999 წელს, სახელმწიფო საბჭომ მიუთითა, რომ თუკი ეს კანონი პოლიტიკური პარტიების დეფინიციას ითვალისწინებდა, ძალზე ლეგიტიმური იქნებოდა ღრმა რეფლექსია ლუქსემბურგის დემოკრატიის ფუნქციონირებაზე.[159] 2004 წლის აგვისტოში PCS-სა და POSL-ს შორის ხელმოწერილი კოალიციური შეთანხმება ითვალისწინებს პოლიტიკური პარტიების დაფინანსებასთან დაკავშირებული კანონის კენჭისყრას (კანონპროექტი ძალაშია 2007 წლის თებერვლიდან).

ბზარებიანი კონსესუალური დემოკრატია

1919 წელს რეფერენდუმი პირველად იქნა შეტანილი ლუქსემბურგის კონსტიტუციაში (51-ე მუხ.). პარლამენტი განსაზღვრავს მისი ჩატარების აუცილებლობას. ლუქსემბურგის ძირითადი კანონის 114-ე მუხლის თანახმად, ნებისმიერი საკონსტიტუციო ცვლილება შეიძლება რეფერენდუმს დაექვემდებაროს დეპუტატთა პალატაში პირველი კენჭისყრიდან ორ თვეში და პარლამენტის წევრთა მეოთხედის ან საკანონმდებლო არჩევნების სიაში ჩაწერილი 25 ათასი ამომრჩეველის მხრიდან მისი ჩატარების მოითხოვნის საფუძველზე. 2003 წლის მაისში, პრემიერ-მინისტრმა, ჟან-კლოდ ჟუნკერმა სახალხო ინიციატივასთან დაკავშირებული კანონპროექტი შემოიტანა საკანონმდებლო და რეფერენდუმის სფეროში. აღნიშნულს სახელმწიფო საბჭომ გაუწია წინააღმდეგობა და წარმატებასაც მიაღწია იმ მოტივით, რომ აუცილებელი იყო წინასწარ კონსტიტუციის გადასინჯვა.

ამ დრომდე, ლუქსემბურგში ოთხი რეფერენდუმი იქნა ჩატარებული. 1919 წლის სექტემბერში ლუქსემბურგელებმა აზრი გამოთქვეს მონარქიის შენარჩუნებასა ან გაუქმებასთან და სუვერენის სავარაუდო შეცვლასთან დაკავშირებით (ხმის მიმცემთა 80%-მა მონარქიის შენარჩუნებას დაუჭირა მხარი). მეორე რეფერენდუმი იმავე დღეს ჩატარდა, მაგრამ ის ეკონომიკურ ხასიათს ატარებდა. დიდი საბერცოგოს ამომრჩეველთა 73%-მა საფანგეთთან ეკონომიკური კავშირის სასარგებლოდ მისცა ხმა, მაგრამ აღნიშნული საბოლოოდ არ განხორციელდა, რადგან 1921 წლის ივლისში ბელგია-ლუქსემბურგის ეკონომიკური კავშირის შეთანხმებას (UEBL) მოეწერა ხე-

156 კანონმდებლობის ცენტრალური სამსახური, თავი IX – საარჩევნო კამპანიების შესახებ, 2003 წლის 18 თებერვლის საარჩევნო კანონის 91-ე მუხლი. Luxembourg : Mémorial, *Journal Officiel di Grand-Duché de Luxembourg*, p. 457, 27 février 2003.

157 Frieden, L., „Le droit constitutionnel et les partis politiques au Parlement", In *Annales du droit Luxembourgeois*, volume 1/1991, pp. 123-153, 1992. „Le prix de la démocratie pluraliste", In *Annales du droit Luxembourgeois*, volume 3/1993, pp. 173-181, 1994.

158 Conseil d'État, Avis du Conseil d'État : Proposition de Loi portant réglementation du financement des partis et campagnes électorales, Luxembourg : Cambre de Deputés, nº 4401/1 4424/1, session ordinaire, 1998-1990, p. 2, 10 novembre 1998.

159 სახელმწიფო საბჭო, 1924 წლის 3 ივლისის მოდიფიცირებულ საარჩევნო კანონთან დაკავშირებული სახელმწიფო საბჭოს აზრი, ლუქსემბურგი : Chambre des Deputés, nº 4885, session ordinaire 2001-2002, p. 4, 9 juillet 2002.

ლი. მესამე რეფერენდუმი 1937 წელს ჩატარდა, რომელიც უფრო მეტად „ალიკაპის კანონის“ სახელითაა ცნობილი. ამ რეფერენდუმის ამოცანას „პოლიტიკური და სოციალური წესრიგის დაცვა“ წარმოადგენდა ნებისმიერი ჯგუფის აკრძალვით, რომლის „საქმიანობა გამიზნულია ძალადობის გზით ან სხვა ფარული საშუალებით კონსტიტუციის გაუქმებისა ან შეცვლისთვის.“ ამომრჩეველთა 50,67%-მა ნეგატიურად უპასუხა ამ შეკითხვას.[160]

ბოლო რეფერენდუმის ჩატარება ევროპის საკონსტიტუციო ხელშეკრულებასთან დაკავშირებით 2003 წლის ივნისში გადაწყდა ქრისტიან-სოციალ/ლიბერალების მთავრობის მიერ, რომელსაც ჟან-კლოდ ჟიუნკერი ედგა სათავეში.[161] ამ ხელშეკრულების თანახმად, დეპუტატთა პალატას ამომრჩევლებზე ადრე უნდა ეყარა კენჭი ევროპის კონსტიტუციისთვის. აღნიშნული შეთანხმება ითვალისწინებდა, რომ რეფერენდუმის შედეგი პარლამენტსა და მთავრობას ვალდებულებას აკისრებდა. პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ „არას“ გამარჯვების შემთხვევაში იგი თავის თანამდებობას დატოვებდა.

თუკი ლუქსემბურგელთა უმრავლესობა და მათი წარმომადგენლები საბოლოო ჯამში, თანამეგობრობის სისტემას მიემხრნენ – 56,52% „დიახ“ და 43,48% „არა“-, სარაფერენდუმო კამპანიამ საზოგადოების მრავალი სეგმენტის შეშფოთება გამოააშკარავა და „ევროპული საქმეების მიმართ ყურადღებიანი“ პოლუსი შექმნა.

დღეისათვის, წარმოების სფეროდან გამოსული უმცირესობა შიშობს, რომ ლუქსემბურგი დაკარგავს ფისკალურ და შედარებით უპირატესობას სულ უფრო მჭიდრო ეკონომიკურ და პოლიტიკურ კავშირში. ამიერიდან, თანამშრომლობის პრინციპს უპირატესობა ეძლევა ინტეგრაციის პრინციპთან მიმართებაში, რომელიც „ლიბერალური სუვერენიზმის“ მაჩვენებელია.[162] მიუხედავად აღნიშნული ხელშეკრულებისადმი მიმხრობისა, მთავარი პროფკავშირები (განსაკუთრებით OGBL) სოციალური თანხმობისა და დაცვის მოდელის გაქრობის მიმართ ეჭვს გამოთქვამენ და ევროპულ დონეზე მის შენაცვლებას შეუძლებლად მიიჩნევენ.

დაბალი შემოსავლების მქონე მოქალაქეები (მინიმალური სოციალური ხელფასის მქონენი), რომლებმაც ნაკლებად ისარგებლეს ლუგსემბურგული სასწაულით ბოლო თხუთმეტი წლის მანძილზე, შეშფოთებას გამოთქვამენ თავიანთი სოციალური სტატუსის, მსყიდველობითი უნარისა და სამსახურის დაკარგვის გამოც კი. კერძოდ, ეს შეშფოთება უკავშირდება ევროკავშირის გაფართოებას ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ათი სახელმწიფოთი (2004 წლის გაზაფხულიდან) და მომავალ გაწევრიანებებს (სახელდობრ, თურქეთი).

მიუხედავად გაკეთებული არჩევანისა, რეფერენდუმმა ასევე მნიშვნელოვანი მაიდენტიფიცირებელი პრობლემატიკის არსებობა ცხადყო ლუქსემბურგის საზოგადოებაში, რომელიც მრავალი ფორმით გამოვლინდა:

– ლუქსემბურგისთვის დამახასიათებელი სოციალური და ლინგვისტური წესების დაშლის შეგრძნება სხვა პარტისიპაციული ან კულტურული მოდელის შემოთავაზების გარეშე;

– ევროკავშირში თურქეთის გაწევრიანების მასობრივი უარყოფა, როგორც ევროპის კონსტიტუციის უარყოფის გამართლება;

– „ერების პრინციპზე დაფუძნებული“ პოლიტიკური დისკურსი ევროპის კონსტიტუციის რატიფიკაციის დროულობასთან დაკავშირებით. (ე. ი. „დიახის“ მომხრეებსა და „არას“ მომხრეებთან მიმართებაში).

ამგვარ „მაიდენტიფიცირებელ“ და „სოციალურ“ კონტექსტში, პრემიერ-მინისტრმა და მისმა პარტიამ „დიახის“ გამარჯვება უზრუნველყვეს ევროკავშირის საბჭოს თავჯდომარეობის მიწურულს.

დასკვნა

ლუქსემბურგის საპარლამენტო დემოკრატიის „ნორმალური“ ფუნქციონირება სამგვარად იქნა დარღვეული. პირველ ყოვლისა, თუკი ინტერესთა ჯგუფები (პროფესიული პალატები, მოქალაქეთა ინიციატივები, ეკოლოგთა მოძრაობები, პროფკავშირები, სამეწარმეო ორგანიზაციები და სხვ.), თავიანთ ქმედებას ყველაზე ხშირად აპოლიტიკურად წარმოაჩენენ, ფაქტობრივად, ისინი ზეგავლენას ახდენენ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. ისინი სავსებით იზიარებენ პოლიტიკური მონაწილეობის იდეას, რომელიც წარმოადგენს *„მართულთა კოლექტიური საქმიანობების ერთობლიობას, რომელიც მათ გავლენის მოხდენის შესაძლებლობას აძლევს პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირებაზე“* ჭეშმარიტად პოლიტიკური დოკუმენტების შექმნით, რომელთაც მთავრობა პირდაპირ განიხილავს.[163] მეორე, მოქმედი საარჩევნო სისტემა – რომელიც ერთმანეთს უხამებს ერთი პარტიული სიით ხმის მიცემას, პრეფერენციულ ხმის მიცემასა და პროპორციულ ხმის მიცემას – ხელს უწყობს

---

160 Fayot, Ben, *Les Quatre Référendums du Grand-Duché du Luxembourg*, Luxembourg : Éditions de la Petite Amérique, janvier, 2006.

161 ინფორმაციისა და პრესის სამსახური, ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოს მთავრობა : „ლუქსემბურგის მთავრობა ევროპის მომავალ კონსტიტუციას სახალხო რეფერენდუმით რატიფიკაციას უქვემდებარებს“, http:/www.gouvernement.lu/salle_presse/actualite/2003/06/27referendum/index.html, 27 juin 2003.

162 Fayot, Ben & Poirier Philippe „Les États et les représentants du Benelux au sein de la Convention : Analyse d'un discours et d'une stratégie“, In *L'Année Sociale 2003*, Bruxelles : Éditions De Boeck-Université, 2004.

163 Dalton, Russel J., Cotizen Politics in Western Democracies. Chatam : House Publishers, pp. 7-8-, 1998.

პარტიისთვის მიკუთვნებული ერთ-ერთი ტრადიციული ფუნქციის დასუსტებას საპარლამენტო დემოკრატიაში კერძოდ კი, პოლიტიკური პერსონალის შერჩევის მონოპოლიას. სტრატეგი ამომრჩეველი გარკვეულწილად პოლიტიკური ცხოვრების ჭეშმარიტი აქტორია და ინდივიდუალური პოლიტიკური ინიციატივები უფრო მატულობს საარჩევნო კორპუსის 220 000-მდე შემცირებით. მესამე, საჯარო სივრცის სტრუქტურირებას სახელდობრ, სამმხრივი[164] კომისიის მნიშვნელობა ქვეყნის ძირითადი ეკონომიკური ორიენტაციის განსაზღვრის საკითხში, მივყავართ პარლამენტის ეტაპობრივ ჩამოშორებამდე გადაწყვეტილების მიღების პროცესიდან ევროკავშირის თითოეული წევრი-სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი მარეგლამენტირებელი სისტემის ევროპეიზაციის შედეგების გათვალისწინების გარეშე. აღნიშნული დღეს იმ მრავალ ლუქსემბურგელს აშფოთებს, რომელიც თავის ფისკალურ დამოუკიდებლობასა და სოციალური თანხმობის მოდელს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

ბიბლიოგრაფია

ALS, Nicolas, PHILPART L, Robert, *La Chambre des Députés: Histoire et lieux de travail. Luxembourg,* Éditions Guy Binsfeld, 559 p., 1994.

DUMONT, Patrick, FEHLEN, Fernand, KIES, Raphaël & Poirier, Philippe, *Le Référendum sur le Traité établissant une Constitution pour l'Europe,* Luxembourg: Chambre des Députés – Service Central des Imprimés de l'État, 212 p., 2007.

DUMONT, Patrik, FEHLEN, Fernand, KIES, Raphaël & POIRIER, Philippe, *Les Éléctions législatives et européennes de 2004 au Grand-Duché de Luxembourg,* Luxembourg: Chambre des Députés – Service Central des Imprimés de l'État, 493 p., 2006.

FAYOT, Ben, *Sozialismus in Luxemburg* , Luxembourg: Éditions Éditpress, 2 volumes, 1989.

ROEMEN, Robert, *Aus Liebe zur Freiheit, 150 Jahre Liberalismus in Luxemburg: von liberalen Akzenten und liberalen Akteuren,* Luxembourg: Imprimerie centrale, 530 p., 1995.

THEWES, Guy, *Les Gouvernements du Grand-Duché de Luxembourg depuis 1848,* Luxembourg: Service information et presse – Département Communication avec le citoyen, 260 p., octobre 2006.

TRAUSCH, Gilbert, *Un passé resté vivant: mélanges d'histoire luxembourgeoise,* Luxembourg: Éditions Saint Paul, 418 p., 1995.

WERNER, Pierre, *Itinéraires luxembourgeois et européens,* Luxembourg: Éditions Saint-Paul, 2 vol., 1991.

164 1977 წელს შავი მეტალურგიის კრიზისის შესაჩერებლად, გასტონ თორნის ლიბერალურ-სოციალისტურმა კოალიციამ სამმხრივი კომისია შექმნა, რომელშიც მთავრობა, მრეწველები და პროფკავშირები თანაბარი წარმომადგენლობით შედიოდნენ. გადაწყვეტილების მისაღებად თითოეულ პარტიას თავისი თანხმობა უნდა მიეცა (მაგალითად, ხელფასების ინდექსაციის შეჩერება ცხოვრების ღირებულებაზე და სხვ.). მიუხედავად ქრისტიან-სოციალების თავდაპირველი წინააღმდეგობისა, ყველა მომდევნო მთავრობა, რომელშიც ამ პარტიას დომინანტური პოზიცია ეკავა ყოველთვის მიმართავდა ამ ინსტრუმენტს. Hirisch, Mario, „Tripartism in Luxembourg: The limits of social concertation", In, *West European Politics,* vol. 9, n°1, p. 57, January 1986.

თავი XV

მალტა

იზაბელ კალეია რაგონეზი

ისტორიული განვითარება

მალტა კუნძულზე მდებარე პატარა სახელმწიფოა, რომლის ფართობიც 316 კვადრატული კილომეტრია. 2006 წლის მონაცემებით, მისი მოსახლეობა 400 214 მცხოვრებს შეადგენს. ბრიტანეთის მრავალსაუკუნოვანი კოლონიზაციის შემდეგ, ქვეყანამ 1954 წელს დამოუკიდებლობა მოიპოვა.

სტრატეგიულად ხმელთაშუა ზღვის ცენტრში მდებარე კუნძულმა მრავალი შემოსევები გადაიტანა დიდი იმპერიების საჭიროებებისდა მიხედვით. მან განვლო ფინიკიელებისა და რომაელების სიუზერენიტეტის პერიოდი, ბიზანტიური, ისლამური, ნორმანდიული, ვენეციური და ესპანური ბატონობის ხანა. 1530 წელს მალტა სენტ-ჟანის რაინდთა ორდენის დაქვემდებარების ქვეშ მოექცა. 1798 წელს კუნძული ფრანგებმა დაიპყრეს, ხოლო 1800 წლიდან ის ბრიტანელების მიერ იქნა ოკუპირებული. გარე გავლენის მიმართ მუდმივმა გახსნილობამ მალტას გარკვეული ერთგვაროვანი იდენტობის პირობების შექმნის შესაძლებლობა მისცა. შედეგად, კუნძულის ისტორია და სოციალური განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული გარე პირობებთან და მათზე ძლიერადაა დამოკიდებული.

ამავე დროს, XIX-XX საუკუნეებში მალტაზე გახშირდა ავტონომიური მმართველობის შემოღების მოთხოვნები და კონსტიტუციონალურ დონეზე, მალტის მოსახლეობის უფლებები მნიშვნელოვანწილად იქნა გაუმჯობესებული. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ეკონომიკურმა სტაგნაციამ და თვითგამორკვევის მიმართ კეთილგანწყობილმა საერთაშორისო მოძრაობამ მალტაში „Sette Giugno"-ს აბოხებები გამოიწვია, რომლებიც 1921 წლის კონსტიტუციის მიღებამ დაასრულა. ამ უკანასკნელის თანახმად, შემოღებული იქნა მმართველობის ადგილობრივი პრინციპი დიარქიის ფორმით: მალტელები ადგილობრივი საქმეების ადმინისტრირებას ანხორციელებდნენ, ხოლო უსაფრთხოება, თავდაცვა და საგარეო საქმეები ბრიტანეთის მეურვეობის ქვეშ რჩებოდა. 1947 წლის კონსტიტუციით შემოღებული იქნა ერთპალატიანი სისტემა და საყოველთაო საარჩევნო უფლება. გარდა ამისა, 1961 წელს ახალმა კონსტიტუციამ დიარქია ერთი მთავრობის ძალაუფლებით შეცვალა: მალტის მთავრობა სრული საკანონმდებლო და აღმასრულებელი უფლებამოსილებებით სარგებლობდა. ამავე დროს, ბრიტანელებს რჩებოდათ კონტროლის უფლება თავდაცვისა და საგარეო საქმეთა სფეროში.[165]

XX საუკუნის დასაწყისიდანვე მალტამ უკვე მოახდინა დემოკრატიზაციისთვის ხელსაყრელი პრინციპების ინტეგრირება: ნახევრად დემოკრატიული ინსტიტუტები, ბრიტანელების დასწრებით წინ წამოწეული ლიბერალური დოქტრინები, სოციალური რეფორმა, ეკონომიკის გახსნილობა. თითოეულმა ამ ელემენტმა შესაძლებელი გახადა უფრო ეგალიტალური დემოკრატიული კულტურის განვითარება. აღნიშნული გამოიხატა განათლების გაუმჯობესებაში, რესურსების უფრო თანასწორ განაწილებაში, მშრომელთა მოძრაობის აღმავლობასა და ლიბერალიზმისკენ მეტად გადახრილი დიფერენცირებული საშუალო კლასის ჩამოყალიბებაში.

1930-იანი წლებიდან პარტიებისა და ინტერესთა ჯგუფების ძლიერი ქსელი ამოქმედდა. პოლიტიკურმა პროცესმა მალტაში კონტინენტზე არსებული მოდელები გამოიყენა. XIX საუკუნიდან დაფუძნდა პარტიული ნიშნით მიმხრობის თანამედროვე სისტემა. რეფორმისტული და ანტირეფორმისტული პარტიები, რომლებიც შრომისა და ნაციონალისტური პარტიების მემკვიდრეები იყვნენ მემარცხენეობისა და მემარჯვენეობის ღერძის გარშემო გაერთიანდნენ. აქედან მომდინარეობს ორპარტიული სტაბილური სისტემა, რომელსაც ზოგჯერ სხვა პარტიებიც ემატება. ამავე დროს ეს უკანსკნელნიც ორპარტიულობის ფორმულას ეყრდნობიან, რომელმაც წარმოადგინა და დროთა განმავლობაში შეასუსტა დომინანტური კლასის დაყოფა კუნძულზე. სხვა მთავარი წინააღმდეგობები – ენა და კლერიკალების ანტიკლერიკალებთან დაპირისპირება – თანდათანობით წაიშალა. სოციალური ერთიანობის სხვა ასპექტებმა ტრანსვერსალური მოდელის წინააღმდეგობრიობა წარმოაჩინა და კონსენსუსის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი.

1961 წლის ოქტომბერში ბრიტანელებმა „ბლადის კონსტიტუციის" აღიარებით ორხელისუფლებიანობის პერიოდი დაასრულეს. ეს კონსტიტუცია მალტის მთავრობას დამოუკიდებლობისთვის ამზადებს. კონსტიტუციასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები იმართება მალტისა და ბრიტანეთის მთავრობებს შორის და უპირატესობა სწორედ მალტის პროექტს ენიჭება. 1964 წლის 21 სექტემბრიდან, მალტის დამოუკიდებლობის აქტით გაცხადებულია ბრიტანეთის პასუხისმგებლობის დასრულება ამ ქვეყნის საქმეებში, კანონების გამოცემის ბრიტანეთის პარლამენტის უფებამოსილების გაუქმება და ყველა უფლებამოსილებების მალტის პარლამენტისთვის

165 J.J. Cremona, *The Maltese Constitution and Constitutional History Since, 1813*, P.E.G. Malta 1997.

გადაცემა. ამიერიდან, მალტა კონსტიტუციური მონარქიაა ბრიტანეთის თანამეგობრობის შიგნით. მას აქვს ერთპალატიანი პარლამენტი, რომელიც პროპორციული წარმომადგენლობის საფუძველზეა არჩეული. იმავე წელს ხელი მოეწერა თავდაცვის ხელშეკრულებას გაერთიანებულ სამეფოსთან. ბრიტანელების წასვლამ, დამოუკიდებლობის მოპოვებამ და 1964 წლის კონსტიტუციის მიღებამ შესუსტების ნაცვლად უფრო გააძლიერა განსხვავებები ორ მოწინააღმდეგეს შორის ხელისუფლებისთვის ბრძოლაში.

მართლაც, დემოკრატიულ მთავრობაზე გარდამავალი პერიოდი გაკრიტიკებული იქნა შრომის პარტიის მიერ, რომელიც ამტკიცებდა, რომ მოლაპარაკებებში სრული მონაწილეობა მხოლოდ კუნძულის ტრადიციულმა ელიტებმა მიიღეს, რის შედეგადაც კონსტიტუციაში მრავალი ხარვეზი არსებობდა. შრომის პარტიის აზრით, სეკულარული სახელმწიფოს მშენებლობა არ იყო სავსებით გათვალისწინებული და ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის გაყოფა არ იყო აშკარად განსაზღვრული. ეს კრიტიკა ეყრდნობოდა კათოლიკური ეკლესიის რეგულარულ პრაქტიკას, რომელიც მომაკვდინებელი ცოდვის ჩამდენებად მიიჩნევდა მათ, ვინც კლერიკალების ინტერესების წინააღმდეგ მისცემდნენ ხმას. აღნიშნული პარტია ასევე ამტკიცებდა, რომ ბრიტანეთის მონარქიის არსებობა სახელმწიფოს სათავეში ანაქრონისტული იყო და უმჯობესი იქნებოდა იმპერიასთან თანასწორი კავშირების განმტკიცება რესპუბლიკისა და პრეზიდენტის ცნების მხარდაჭერით. შემდგომ, შრომის პარტია გაერთიანებულ სამეფოსთან 1964 წელს დადებულ თავდაცვის შეთანხმებას დაუპირიპირდა, რომელსაც დამოუკიდებლობის მიღებამდე მოეწერა ხელი, იმის გათვალისწინებით, რომ ის ზღუდავდა მალტის გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას თავდაცვის, უსაფრთხოებისა და საგარეო საქმეთა სფეროებში.[166]

1969 წლის 4 აპრილს ხელი მოეწერა შეთანხმებას კათოლიკურ ეკლესიასა და შრომის პარტიას შორის. ზოგადად, მიიჩნევენ, რომ აღნიშნულმა მინტოფსა და მის პარტიას ხელისუფლებაში მოსვლის საფუძველი გაუმყარა, რისი მიღწევაც მხოლოდ 1971 წლის არჩევნების დროს გახდა შესაძლებელი. 1972 წელს შრომის პარტიის წევრებისგან შემდგარმა ახალმა მთავრობამ ხელახალი მოლაპარაკება გამართა თავდაცვის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, რომლის პირობების განხილვა 1979 წელს უნდა დასრულებულიყო. მინტოფმა ასევე ოფიციალურად განაცხადა ნეიტრალიტეტისა და მიუმხრობლობის პოლიტიკის შესახებ. შრომის პარტიის მთავრობა კონსტიტუციის შეცვლას შეეცადა და 1974 წელს მალტა რესპუბლიკა გახდა ბრიტანეთის თანამეგობრობის ფარგლებში. მთავრობამ უმრავლესობის მხარდაჭერით ასევე ეკონომიკური და სოციალური რეფორმების გატარება დაიწყო[167], რომლებმაც რესურსების უფრო ფართო განაწილება გახადა შესაძლებელი და ამგვარად, გარკვეულწილად შეარბილა კლასებს შორის მძაფრი განსხვავება, რომელიც კუნძულს ორ ბანაკად ყოფდა.[168]

თუმცა, 1976 წლიდან კონსენსუსი რღვევას იწყებს. ეკონომიკის გაძლიერების მცდელობისა და უკლასო საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის აუცილებელი მხარდაჭერისთვის,[169] მთავრობა რესურსების დიდი მასშტაბის ნაციონალიზაციას აცხადებს[170] ისევე, როგორც ყველა იმ ინსტიტუტის გამოთიშვას, რომლებიც ელიტისტურ პოლიტიკურ ფორმებს ინარჩუნებდნენ. მთავრობა ზოგიერთ ინტერესთა ჯგუფებსა და პროფკავშირებს დაუპირისპირდა და ოპოზიციის გაჩუმებას კოოპტაციით ან პროცესიდან გამოთიშვით შეეცადა.[171] დემოკრატიული კონსოლიდაციის გზაზე, კუნძული გარდამავალი პერიოდის რეგრესის, მზარდი ძალადობისა და პოლიტიკური სისტემის პოლარიზაციის წინაშე აღმოჩნდა, რომელმაც კულმინაციას 1981 წლის არჩევნების დროს მიაღწია. ამ არჩევნებში ნაციონალისტურმა პარტიამ ხმების აბსოლუტური უმრავლესობა მიიღო, მაგრამ ადგილების უმცირესობა პარლამენტში. ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ, კომპრომისი კვლავ მოინახა, რომელიც 1986 წლისა და 1987 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებში ფიგურირებდა. საარჩევნო კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად, ხმების უმრავლესობის მომპოვებელი პარტია უმრავლესობით უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი პარლამენტში. 1987 წლის არჩევნებმა ნაციონალისტური პარტია ხელისუფლების სათავეში მოიყვანა. ამ პარტიის ყურადღება მყისიერად იქნა გადატანილი ეკონომიკის ლიბერალიზაციაზე, მმართველობის სტრუქტურების რაციონალიზაციასა და მოდერნიზაციაზე, ისევე როგორც ევროკავშირში გაწევრიანებაზე, რაც საბოლოოდ 2004 წელს განხორციელდა.

აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებები

მალტა კონსტიტუციონალიზმის ან შეზღუდული მმართველობის პრინციპებს მიჰყვება, და კონსტიტუციის გავლენა მთავრობის გავლენაზე დიდია. 1964 წლის კონსტიტუცია განიხილებოდა როგორც საბოლოო და უზენაესი ლეგალური პრინციპი. ის ძირითადად ვესტმინსტერის მოდელს ეყრდნობა მიუხედავად იმისა, რომ სხვა მნიშ-

166 Malta DO202/25, Célébrations d'indépendance, 06/11/64 & FCO 09/1417, Discours de Mintoff à la nation du 04/09/71.

167 Zammit 1984 chapter 4 & R.G. Sultana, „Perspectives on Class in Malta" in Sultana & Baldacchino (eds) 1994 p.47.

168 Mizzi 1995 pp. 153-6 173-183, 203-238.

169 V.J.Spiteri, 1997 chapter 5 & Findley & Wellisz, 1993 pp. 256-92.

170 ibid.& Mizzi 1995 pp. 251-284, 337-348.

171 G. Baldacchino, „A Review of Maltese Trade Unionism" in *Economic and Social Studies*, vol. 5 Malta 1990.

ვნელოვანი ელემენტებიც აქვს ინტეგრირებული: პარლამენტის სუვერენიტეტის შეზღუდვა და იურიდიულად გამოსაყენებელი გაფართოებული უფლებების ძირითადი კანონი, ისევე როგორც ლეგალური აქტების კონსტიტუციურობის იურიდიული კონტროლი. ბრიტანეთის თანამეგობრობაში შემავალი ზოგიერთი სახელმწიფოსგან განსხვავებით, კონსტიტუცია თავს არიდებს სახელმწიფოს მეთაურის ხსენებას, რადგან თავიდანვე ბრიტანეთის მონარქია გენერალ-გუბერნატორით იყო წარმოდგენილი. ამავე დროს, 1974 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების დროიდან, აღმასრულებელი ხელისუფლება პრეზიდენტის ხელშია. იგი სახელმწიფოს კონსტიტუციური მეთაურია მიუხედავად იმისა, რომ მისი უფლებამოსილებები ამჟამად უფრო მკაცრადაა განსაზღვრული. პრეზიდენტი, რომლის მანდატი ხუთი წელია (განუახლებელი) უბრალო საპარლამენტო უმრავლესობითაა არჩეული. მისი თანამდებობიდან გადაყენება შესაძლებელია მხოლოდ პარლამენტის გადაწყვეტილების საფუძველზე. ამ შემთხვევაში, პრემიერ-მინისტრი წყვეტს პრეზიდენტის შეცვლას ოპოზიციასთან კონსულტაციის შემდეგ.

პრეზიდენტის ქმედება მთავრობის აზრს უნდა ესადაგებოდეს, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც კონსტიტუცია პრემიერ-მინისტრის აზრს მოითხოვს (პარლამენტის დაშლა, მინისტრების დანიშვნა ან თანამდებობიდან გადაყენება). პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრს თანამდებობაზე ნიშნავს. იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტის მიერ შემოტანილი რეზოლუცია მთავრობისა და პრემიერ-მინისტრის ნდობას ვერ მოიპოვებს და ეს უკანასკნელი სამი დღის ვადაში არ გადადგება, პრეზიდენტს პარლამენტის დაშლა ან პრემიერ-მინისტრის გადაყენება შეუძლია. პრეზიდენტს ასევე შეუძლია პარლამენტის დაშლა პრემიერ-მინისტრის პოსტის ვაკანტურად ყოფნის შემთხვევაში და არ არსებობს შენაცვლების არავითარი პერსპექტივა.

რეალურად, სწორედ მთავრობა აღასრულებს ხელისუფლებას. ის შედგება პრემიერ-მინისტრისა და მისი მინისტრებისგან, რომლებიც კონსტიტუციის თანახმად, მთავრობის საერთო მართვასა და კონტროლში მონაწილეობენ. თანამედროვე პოლიტიკურ პრაქტიკაში, პრემიერ-მინისტრი არის primus inter pares და იგი მთავარ როლს ასრულებს. მინისტრებსა და სახელმწიფო მდივნებს თანამდებობებზე პრეზიდენტი ნიშნავს პრემიერ-მინისტრის აზრის გათვალისწინებით მიუხედავად იმისა, რომ ისინი შეიძლება პარლამენტის წევრების მიერ იქნენ არჩეულნი და კოლექტიურად და ინდივიდუალურად პარლამენტის წინაშე არიან პასუხისმგებელნი. კონსტიტუციით ასევე შემოღებულია მთავრობის მდივნის პოსტი. პრემიერ-მინისტრს პარლამენტის დაშლის მოთხოვნის უფლება აქვს, რაც მას არჩევნების ვადის დადგენის შესაძლებლობას აძლევს.

კონსტიტუციის თანახმად, პრემიერ-მინისტრს მოქმედების დიდი თავისუფლება აქვს. ზოგიერთ შემთხვევაში, კონსტიტუციით ასევე დადგენილია ოპოზიციის ლიდერთან კონსულტაცია, რომელიც კონსტიტუციური სტატუსით სარგებლობს და იმ ოპოზიციური პარტიის თავჯდომარის მიერაა დასახელებული, რომელიც ფართოდაა წარმოდგენილი პარლამენტში. ოპოზიციის ლიდერი განსაზღვრავს საჯარო სამსახურის კომისიის, რადიოსა და ტელევიზიის ხელმძღვანელობის, საარჩევნო კომისიისა და დასაქმების კომისიის წევრების გარკვეული რაოდენობის დანიშვნას.

მალტის პარლამენტი ერთპალატიანი სისტემის თანახმად ფუნქციონირებს და თავჯდომარისა და წარმომადგენელთა პალატისგან შედგება. პარლამენტის ძირითადი ამოცანაა კანონების მიღება. თუმცა, ეს უფლებამოსილება არაა უზენაესი, რადგან ის კონსტიტუციას ექვემდებარება, რომლის მე-6 მუხლი პირველობას აცხადებს ქვეყნის ყველა სხვა კანონზე. 1964 წლის კონსტიტუციის არსებობის პერიოდში პარლამენტი 50 წევრით იყო წარმოდგენილი, 1970 წელს 55 წევრით, ხოლო 1974 წელს 65 წევრამდე გაიზარდა. მალტა 13 საარჩევნო ოლქადაა დაყოფილი, თითოეულ ოლქს 5-დან 7 წევრამდე არჩევა შეუძლია წარმომადგენელთა პალატაში პროპორციული წარმომადგენლობის საფუძველზე. მთავრობაში არჩეული პარტია ხმების აბსოლუტურ უმრავლესობას ფლობს, ან შედარებით უმრავლესობას თუკი მხოლოდ ორი მთავარი პარტია ირჩევს წევრებს წარმომადგენელთა პალატაში. ამ შემთხვევაში, პარტიას, რომელიც ამ პალატაში შედარებითი უმრავლესობითაა უზრუნველყოფილი არანაკლებ ერთ წევრზე მეტი ჰყავს ვიდრე ოპოზიციურ პარტიას. პარლამენტის წევრები არჩეულნი არიან პროპორციული წარმომადგენლობის მიხედვით ერთადერთი გადაცემადი ხმის მიცემის საარჩევნო გადანაწილების მეშვეობით, ეს რაოდენობა ლუწია, 9-სა და 15-ს შორის.

სპეციფიკური შემთხვევების გარდა, წარმომადგენელთა პალატის გადაწყვეტილებები უბრალო უმრავლესობით მიიღება. არავითარი სპეციალური ფორმალობა არაა საჭირო ამ პალატის შიდა წესების პროცედურის დასადგენად, რომლებიც ჩვეულებისამებრ, სპიკერის მიერ მიღებული ცალხმრივი გადაწყვეტილებების ფორმას წარმოადგენენ – ბრიტანული მოდელის თანახმად. მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტს საკუთარი პროცედურების დადგენის უფლებამოსილება გააჩნია, ნებისმიერი საპარლამენტო კომისია იმგვარად უნდა იქნეს შედგენილი, რომ საპარლამენტო ბალანსს წარმოადგენდეს. პარლამენტი სახელმწიფო ფინანსებს აკონტროლებს, რაც ცენტრალიზებული ფინანსური სისტემითაა გაიოლებული. ეს სისტემა, როგორადაც ის კონსტიტუციაშია წარმოდგენილი, ბრიტანულ მოდელს მიჰყვება. ამგვარად, ფინანსურ საქმეებში ინიციატივა ტრადიციულად, აღმასრულებელი ხელისუფლებიდან მომდინარეობს. თუმცა, სწორედ პარლამენტი იძლევა თანხმობას ხარჯებზე. ამ მხრივ, აუდიტის ხელმძღვანელი, არანაირ უწყებასა და კონტროლს არ ექვემდებარება და ამ განაწესის აღსრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებს.

მალტის პოლიტიკური სისტემა სამთავრობო პარლამენტარიზმის მაგალითს წარმოადგენს, იმის გათვალისწინებით, რომ ხელისუფლება პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის ხელშია. კონსტიტუცია მკაცრად განსაზღვრავს საპრეზიდენტო უფლებამოსილებებს. პრეზიდენტის ლეგიტიმურობა შეზღუდულია მისი არჩევით უბრალო საპარლამენტო უმრავლესობით. ამგვარად, იგი უფრო მეტად განიხილება როგორც ხელისუფლებაში მყოფი პარტიის წარმომადგენელი და არა სახელმწიფოს კოლექტიური ინტერესების წარმომადგენელი. პრეზიდენტის შეზღუდული როლი სახელმწიფოს შიგნით უფრო აშკარა ხდება კრიზისის დროს. მრავალი წინადადება იქნა წარმოდგენილი პრეზიდენტის უფლებამოსილებების გასაზრდელად, მისთვის სამხედრო ძალაუფლების მისანიჭებლად. ასევე პრეზიდენტის არჩევის მეთოდის შესაცვლელად, რომელიც შეიძლება მთავრობასა და ოპოზიციას შორის შეთანხმებით ან სახალხო კენჭისყრით იქნეს განსაზღვრული, რაც ამგვარად, მის ლეგიტიმურობას გააძლიერებდა სახელმწიფოს მეთაურის რანგში.

1966 წლიდან პარლამენტში მხოლოდ ორი პარტია იყო წარმოდგენილი. ამგვარად, ხელისუფლებაში მყოფი პარტია კვლავაც სარგებლობდა შეზღუდული უმრავლესობით, გარკვეული გამონაკლისების გარდა.[172] ერთი პარტიის დომინანტობამ ხელისუფლებაზე პრემიერ-მინისტრის პოზიცია გააძლიერა თავის მინისტრებთან მიმართებაში, და რეალობაში, პარლამენტის საყოველთაო არჩევნები პრემიერ-მინისტრის არჩევაზეა დაფუძნებული. ეს არჩევნები მიუთითებს არჩევანზე მოქმედ პრემიერ-მინისტრსა და ოპოზიციის მიერ შემოთავაზებულ ალტერნატივას შორის. ხშირად, პრემიერ-მინისტრი თავისი მთავრობის წევრებზე მეტ ხმებს იღებს. ამავე დროს, პრემიერ-მინისტრის ძალაუფლება ასევე მთავრობისა და მისი პარტიის პარლამენტში მყოფი სხვა წევრების კოლექტიურ მხარდაჭერაზეა დამოკიდებული. თუმცა, მას ასევე შეუძლია არჩევნების მუქარას მიმართოს საკუთარი პარტიის შიგნით უთანხმოებების დასაცხრობად.

საკანონმდებლო სამუშაოს უდიდესი ნაწილი აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზე ხორციელდება. კანონები, რომლებიც პარლამენტში განხილვის ეტაპს წარმატებით გადის ჩვეულებისამებრ, აღმასრულებელი ხელისუფლებიდანაა წამოსული, მათი მცირე ნაწილი კი ოპოზიციის ან დეპუტატის მიერაა შემოტანილი. წარმომადგენელთა პალატაში ხმის მიცემა ღია წესით მიმდინარეობს. ყოველ სესიაზე, შესაძლებელია ზეპირი ან წერილობითი კითხვების დასმა ნებისმიერი დეპუტატის მიერ. უკანასკნელ წლებში, პარლამენტს დადებითად არ განუხილავს ერთი დეპუტატის მიერ წარმოდგენილი არც ერთი კანონპროექტი. ამავე დროს, ამ პალატაში შესაძლებელია პეტიციების წარდგენა მისი ერთ-ერთი წევრის მიერ. პარლამენტის სამუშაოს გადატვირთულობის გამო გაიზარდა საპარლამენტო კომისიების რაოდენობა. თუმცა, ამ კომისიების რეკომენდაციები ხელისუფლებაში მყოფი პარტიის რეკომენდაციების ასახვას ცდილობს. სახელმწიფო საანგარიშო კომისია, რომელსაც კონსტიტუციის თანახმად, ოპოზიციის ლიდერის მიერ არჩეული პირი უდგას სათავეში, სამთავრობო ანგარიშების ტრანსპარენტულობას უზრუნველყოფს და აღნიშნული წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს. წარმომადგენელთა პალატას ასევე შეუძლია საგამომძიებო კომისიის შექმნა ნებისმიერ საკითხზე.

ბოლო წლებში, წარმომადგენელთა პალატის ფორმა შეიცვალა. 1960-იანი წლებიდან, მნიშვნელოვნად გაიზარდა საკანონმდებლო სფეროში გამოცდილების მქონე დეპუტატთა რაოდენობა, მაშინ როდესაც 1996 წლისა და 1998 წლის არჩევნებში ამ დეპუტატთა კლება არსებით ხასიათს ატარებდა. ხანგრძლივი საკანონმდებლო გამოცდილების მქონე მრავალი წევრი პარლამენტში არ დაბრუნებულა, ხშირ შემთხვევაში მათივე არჩევანის მიზეზით. ამ პალატის ზოგად მოდელში გამოჩნდენ უფრო პროფესიონალი პარლამენტარები. დეპუტატთა უმრავლესობა ადვოკატები, ექიმები, არქიტექტორები და კერძო სექტორში დაკავებული ინჟინრებია. ამავე დროს, ქალები კვლავაც მხოლოდ პარლამენტის მთლიანი შემადგენლობის 9%-ს შეადგენენ (დღეისათვის პარლამენტის შემადგენლობაში 6 ქალია).

აუცილებელია ამ პალატის მუშაობის – მისი სხდომები კვირაში ორჯერ იმართება, ორშაბათსა და ხუთშაბათს 17 საათის შემდეგ – არსებული სისტემის რეფორმა. ეს პროგრამა აღარ მიესადაგება იმ ინსტიტუტს, რომელმაც კანონმდებლობების სულ უფრო მზარდი რაოდენობა უნდა განიხილოს, განსაკუთრებით, ევროკავშირში გაწევრიანების დროიდან. მძიმე დატვირთვები, რომელსაც საპარლამენტო მუშაობა მთავრობისა და ოპოზიციის დეპუტატებისგან მოითხოვს ხშირ გაცდენებთანაა დაკავშირებული, რასაც საპარლამენტო სესიების დაბალი დასწრება მოჰყვება.

საარჩევნო სისტემა

მალტის საარჩევნო სისტემა წარმოადგენს ერთადერთი გადაცემადი ხმის მიცემის სისტემას, რომელიც 1921 წელს იქნა შემოღებული. ის შემდეგ მახასიათებლებს მოიცავს: თითოეულ ოლქს ადგილების თანაბარი რაოდენობა ეძლევა; კანდიდატებს სხვადასხვა ოლქებში შეუძლიათ შეჯიბრი; კანდიდატები პარტიის მიხედვით არიან დაჯ-

172 Hirczy, Wolfgang, „Explaining Near-Universal Turnout : The Case Of Malta", *European Journal of Political Research* 27 (1995), pp. 255-272 Hirczy de Miño, Wolfgang and John C.Lane, „STV in Malta : Some Surprises", *Representation* 34 (Winter 1996/97), pp. 21-28.

გუფებულნი არჩევნების დროს; ხმების გადაცემა შესაძლებელია ერთი პარტიიდან მეორეზე. ბრძოლაში ჩაბმული კანდიდატები პარტიებით არიან წარმოდგენილნი, რომლებიც მათ ანბანის მიხედვით განალაგებენ სიაში. პარტიები, რომლებიც ინედტიფიცირებულნი არიან თავიანთი სახელწოდებითა და სიმბოლოთი, არჩევნების დროს ამავე ანბანური რიგით არიან განლაგებულნი (1976 წლამდე ყველა კანდიდატი სიაში ანბანის მიხედვით იყო შეყვანილი მიუხედავად პარტიისა და ამ უკანასკნელთა მომხრეობის სიმბოლო მათი გვარის გვერდით ფიგურირებდა). ამომრჩევლები კანდიდატების შეფასებასა და რანჟირებას თავიანთი პრეფერენციების მიხედვით ანხორციელებენ.

მალტელი ამომრჩევლები იშვიათად აძლევდნენ ხმას სხვადასხვა პარტიების კანდიდატებს. პარტიული ნიშნით მიმხრობაზე სწორების ინტენსიურობა და სტაბილურობა ასევე წარმოჩნდება დაბალ საარჩევნო გაფანტულობაში ორ დომინანტურ პარტიას შორის და იმ ფორმაში, როგორითაც დეპუტატები შენაცვლებულნი არიან არჩევნებში. ჩვეულებისამებრ, საპარლამენტო მუშაობის გამოცდილების მქონე დეპუტატებს უფრო მეტად საკუთარი პარტიის წევრები ამარცხებენ ვიდრე პარტიებს შორის ხმების გადაცემა. 1921-2003 წლებში საარჩევნო ბრძოლაში ჩაბმული 3 468 კანდიდატიდან მხოლოდ 61 იყო დამოუკიდებელი კანდიდატი და მხოლოდ სამი მათგანი იქნა არჩეული (უკანასკნელად 1950 წელს).

ჩვეულებისამებრ, დიდი პარტია ხუთიდან ორ ან სამ ადგილს იღებს ოლქში; იშვიათია ოთხი ადგილის მოპოვება და არც ერთ პარტიას არ მიუღია ხუთი ადგილი. პარტიები ზედმიწევნით კონტროლს ანხორციელებენ კანდიდატების დასახელების პროცესზე.

დროთა განმავლობაში, მალტა მრავალპარტიული სისტემიდან ორპარტიულ სისტემაზე გადავიდა. 1950-იან და 1960-იან წლებში რამდენიმე პატარა პარტიამ ხმების საგულისხმო რაოდენობა მიიღო და ადგილები მოიპოვა პარლამენტში. ვერც ერთმა მათგანმა რამდენიმე წელზე მეტს ხანს ვერ შეინარჩუნა ეს პოზიცია. 1966 წლიდან ორი მთავარი პარტია, ნაციონალისტები (NP) და შრომის პარტია (MLP) საარჩევნო ასპარეზზე დომინირებს, სხვა პარტიებთან დაპირისპირების აუცილებლობის გარეშე. საარჩევნო ბრძოლაში მესამე პარტიაც, „დემოკრატიული ალტერნატივა" (Alternattiva Demokratika) ჩაერთო. თუმცა მან 1992 წელს ხმების მხოლოდ 1,7% მიიღო, 1996 წელს 1,5%, ხოლო 2003 წელს 0,7%. ამავე დროს, 2003 წლის ადგილობრივ არჩევნებში ამ პარტიიდან სამი მრჩეველი იქნა არჩეული და მან ხმების 9,7% მიიღო 2004 წლის ევროპულ არჩევნებში.

მალტის საარჩევნო სისტემას ყოველთვის აკლდა პროპორციულობა. მიუხედავად ოლქების მცირე სიდიდისა, ისინი ხუთ კანდიდატს ირჩევენ, რასაც ხშირად ადგილების გადაცემა მოჰყვებოდა პარტიის შედეგების პროპორციის დაცვის გარეშე ერთ ოლქში. სწორედ ოლქის სიდიდე ქმნის განსხვავებას. 1947 წლიდან ჩატარებულ ცამეტ არჩევნებში, ნაციონალისტური პარტია ყველაზე ხშირად სარგებლობდა პროპორციულობის დაცვის ნაკლებობით, ზოგადად, ნაკლებად მნიშვნელოვანი პარტიების საზიანოდ. ამავე დროს, 1981 წელს ეს პარტია თავად გახდა ამგვარი სიტუაციის მსხვერპლი. 1987 წლისა და 1996 წლის არჩევნები მხოლოდ 1981 წლის არჩევნების ვირტუალურ გამეორებას წარმოადგენდა, მაგრამ 1987 წლის ახალმა საკონსტიტუციო ცვილებებმა ამავე წელს ნაციონალისტებსა და შრომის პარტიას დამატებითი ოთხი ადგილი მისცა საპარლამენტო უმრავლესობისთვის. 1998 წელსა და 2003 წელს, ეს პროცედურა აღარ იყო საჭირო იმის გათვალისწინებით, რომ ნაციონალისტებმა შესაბამისად მიიღეს ხმების 51,8% და 51,79% და ადგილების 53,85%.

ერთადერთი გადაცემადი ხმის მიცემის სისტემა 1921 წელს მისი შემოღების დღიდანვე გახდა კრიტიკის საგანი. ნაციონალისტურმა პარტიამ, შემდგომში კი მისმა მთავრობამ, მხარი დაუჭირა უფრო პროპორციონალური მიმართულებით საარჩევნო სისტემის რეფორმის მრავალ ინიციატივას 1980-იანი წლების დასაწყისში, რომელიც ამავე დროს, ერთი პარტიის დომინანტობის შესაძლებლობას იძლეოდა. 2006 წლის დეკემბერში მთავრობამ და შრომის პარტიის ოპოზიციამ შეთანხმებას მიაღწიეს არჩევნების პროპორციულობის გაზრდასთან დაკავშირებით. ეს შეთანხმება ძირითადად, რეკომენდაციის ხასიათს ატარებს, რომელიც მკაცრი პროპორციულობის კონცეფციის გამოყენებას ითვალისწინებს პარლამენტის ადგილების რაოდენობასთან მიმართებაში თუკი იქ მხოლოდ ორი პარტიაა წარმოდგენილი და ადგილების რაოდენობა პარტიების მიერ მიღებული ხმების პროპორციას უნდა ასახავდეს. თუმცა, ეს დებულება მკაცრად იქნა გაკრიტიკებული მწვანეთა პარტიის მიერ, იმის გათვალისწინებით, რომ არავითარი მინიშნება არ იქნა გაკეთებული გოზოს პრობლემასთან დაკავშირებით, რომელიც ხუთ წევრიან ოლქს წარმოადგენდა მაშინ, როდესაც მისი მოსახლეობა სხვა ოლქებზე ბევრად მრავალრიცხოვანი იყო. ამგვარად, დღის წესრიგში კვლავ დგებოდა არათანაბარი ოლქების პრობლემა, რომელიც 1974 წლამდე პრევალირებდა. ეს პარტია ასევე ამტკიცებდა, რომ რეკომენდებული ცვლილებები არ იძლეოდნენ პროპორციულობის გარანტიას ხმების რაოდენობასა და ადგილების რაოდენობას შორის ნაციონალურ დონეზე იმის გათვალისწინებით, რომ პარტიის პარლამენტში არჩევის ბარიერი 17% რჩებოდა ოლქში მიღებული მთლიანი ხმებიდან. აღნიშნული ძალზე შორს დგას ევროპაში არსებული პრაქტიკიდან, სადაც საარჩევნო ბარიერი ჩვეულებისამებრ, 5%-ს შეადგენს.[173]

ზოგადად, მალტაში არჩევნები მაღალი მონაწილეობით ხასიათდება და ისინი პარტიული ნიშნით მიმხრობის ძლიერ ზეგავლენას განიცდიან, რაც პოლიტიკური სისტემის მუდმივ პოლარიზებას ასახავს. ხმის მიცემის

173 *Times of Malta* 20/12/06 Electoral Deal Anti Democratic AD Says.

მოდელები მომხრეობის იდენტიფიკაციითაა აღნიშნული. ამომრჩეველთა უმრავლესობას იმ პარტიის ხელახალი არჩევის ტენდენცია აქვს, რომელსაც მათი ოჯახები წლების მანძილზე უჭერდნენ მხარს. 1971 წლიდან ხმის მიცემა ნაციონალურ დონეზე შედარებით თანაბრად გადანაწილდა ორ მთავარ პარტიას შორის, ხმების საბოლოო დათვლა ხმების 5%-ზე მეტ სხვაობას იძლევა.

კუნძულზე ერთადერთი მნიშვნელოვანი დაყოფის არსებობამ (კლასობრივსა და პოლიტიკის მიმართ უკიდურესად მომხრეობით და პოლარიზებულ პოზიციას შორის) ასევე შეუწყო ხელი ორპარტიულობის გამყარებას. ეს სიტუაცია უკიდურესობამდეა მიყვანილი კლიანტელიზმითა და პატრონაჟით. პარტიული ნიშნით მიმხრობის სისტემას „გაყინულობის" მახასიათებლები აქვს და ის „დინოზავრი" პარტიების ფენომენს წარმოადგენს. ნაციონალისტური და შრომის პარტიები ასი წლის განმავლობაში ვითარდებოდნენ და დღეს ისინი სისტემას კარგად არიან მორგებულნი. ამ პარტიებმა ხელთ იგდეს ორგანიზაციული, ფინანსური, ინსტიტუციონალური და ადამიანური რესურსების ხელმისაწვდომობის პირველობა და ნაკლებად არიან განწყობილნი ამგვარი უპირატესობის დასათმობად. აღნიშნული აშკარად გამოჩნდა იმ ენთუზიაზმის ნაკლებობაში, რომელსაც ეს პარტიები საარჩევნო რეფორმის განხორციელების მიმართ იჩენენ.

ხელისუფლების ტერიტორიული დაყოფა და მისი პოლიტიკური შედეგები

მალტის პოლიტიკური მოდელი ძალზე ცენტრალიზებულ უნიტარულ საფუძველზე ფუნქციონირებს. ძირითადად, ხელისუფლება პრემიერ-მინისტრისა და მისი მთავრობის ხელშია. ცენტრალური მთავრობა მინისტრების ცვალებადი რაოდენობისგან შედგება ლეგისლატურების მიხედვით. დღეისათვის, მთავრობა თოთხმეტი მინისტრისგანაა შემდგარი. ცენტრალური მთავრობა განაწილებულია მინისტრებსა და სახელმწიფო მდივნებს შორის პოლიტიკურ დონეზე და მუდმივ მდივნებს, გენერალურ დირექტორებსა და ხელმძღვანელებს შორის (სხვადასხვა დეპარტამენტის) ადმინისტრაციულ დონეზე.

ბოლო დრომდე კუნძულის მოსახლეობა საკმაოდ ერთგვაროვანი იყო ეთნიკური ან კულტურული მოდიფიკაციის გარეშე. ამიტომაც, არ არსებობდა ფედერალური მოწყობის საჭიროება. იმის გათვალისწინებით, რომ მალტას პატარა ტერიტორია აქვს არ იყო აუცილებელი ადგილობრივი მთავრობების შექმნა. ერთადერთ გამონაკლისს გოზოს კუნძული წარმოადგენს, მისი გეოგრაფიული დისტანცია მალტისაგან განცალკევებულ ადმინისტრაციულ მოწყობას საჭიროებს სახელმწიფო რესურსების განაწილებისთვის მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილებები ყოველთვის ცენტრის მიერაა მიღებული. 1961 წელს გოზოს სამოქალაქო საბჭო შეიქმნა, როგორც კანონიერი ადგილობრივი მთავრობა. თუმცა, ამგვარი მოწყობა 1973 წელს იქნა გაუქმებული და გადაწყვეტილებები კვლავაც ცენტრალურ დონეზე მიიღება მიუხედავად იმისა, რომ 1987 წელს სპეციალურად გოზოსთვის მინისტრის თანამდებობა იქნა შემოღებული.

1993 წელს ევროკავშირში გაწევრიანების მხედველობაში მიღებით, ხელისუფლებამ მიიღო ადგილობრივ საბჭოებთან დაკავშირებული აქტი (აქტი XV,1993 წ.). ამ უკანასკნელის თანახმად, შეიქმნა 67, შემდეგ კი 68 ადგილობრივი საბჭო. აღნიშნული აქტი ეყრდნობა ევროსაბჭოს 1993 წლის ადგილობრივი მმართველობის ქარტიას. ადგილობრივი მმართველობის დეპარტამენტის მეურვეობის ქვეშ მყოფი ეს ადგილობრივი საბჭოები (იუსტიციის სამინისტრო და შინაგან საქმეთა სამინისტრო) შეიქმნა (სხვა მიზეზთა შორის), ადგილობრივი საბჭოების საქმიანობის ზოგადი ადმინისტრაციული კონტროლის განსახორციელებლად. შემოღებული იქნა ორდონიანი სისტემა, მიუხედავად იმისა, რომ უფლებამოსილებების გადაცემა მხოლოდ ადმინისტრაციული ხასიათისაა და ყველა გადაწყვეტილებას კვლავაც ცენტრი იღებს.

ადგილობრივი საბჭოების აქტის საფუძველზე (XV, 1993 წ.), საბჭო სამართალსუბიექტის სტატუსით სარგებლობს, მას შეუძლია კონტრაქტებზე ხელის მოწერა, სამართლებრივი გზით პასუხისმგებლობის მოთხოვნა ან თავად პასუხისგება. მრჩევლების მიერ არჩეული მერი საბჭოს პოლიტიკური ხელმძღვანელია.

დასაწყისში, ადგილობრივ მთავრობას ადმინისტრაციის ნელი დეცენტრალიზაცია ახასიათებდა. ამის განსახორციელებლად კუნძული 68 ადმინისტრაციულ ერთეულად იქნა დაყოფილი, რომელთა შორის ყველზე დიდს ბ'კარა წარმოადგენდა 22 000 მცხოვრებით, ყველაზე პატარას კი მდინა 349 მცხოვრებით. მრჩევლების რაოდენობა 5-დან 13-მდე მერყეობს მოსახლეობის მიხედვით. ამ საბჭოებს ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ირჩევენ პროპორციული წარმომადგენლობითა და ერთადერთი გადაცემადი ხმის მიცემით. პირველი არჩევნები 1993 წელს და 1994 წელს ჩატარდა. ყოველ წელს, ირჩევენ კუნძულის საბჭოების მესამედს. ოპოზიციამ ეს პროცესი ზედმეტად ძვირადღირებულად და კუნძულის ფართობთან შეუსაბამოდ მიიჩნია. თადაპირველად, MLP-მ ადგილობრივი არჩევნების ბოიკოტისკენ მოუწოდა. საბოლოოდ, ამ პარტიამ თავისი კანდიდატები დამოუკიდებელ კანდიდატებად წარადგინა საარჩევნო მართონში ჩაბმამდე. გარკვეული შესწორებების შედეგად, ადგილობრივი მთავრობების კომპეტენციები გაფართოებული იქნა და დღეისათვის, ამ უკანასკნელთ საკანონმდებლო და იურიდიული უფლებამოსილებები გააჩნიათ.

2001 წელს ადგილობრივი საბჭოები კონსტიტუციურად იქნა აღიარებული. ამავე დროს, ადგილობრივი მთავრობის როლი ძირითადად, ადმინისტრაციულია. ამ საბჭოებს ასევე აქვთ ძალზე შეზღუდული ფინანსური

რესურსები იმ ბიუჯეტის გზით, რომელსაც ცენტრალური მთავრობა მათთვის გამოყოფს. საბჭოებს არ შეუძლიათ საკუთარი მოსაკრების დადგენა და მხოლოდ სესხების მიღების უფლება აქვთ ცენტრალური მთავრობის დახმარებით. თუმცა, მათ აქვთ სახსრების შეკრების უფლებამოსილება და მუნიციპალური სამსახურის მომსახურების გადახდის მოთხოვნის უფლება.

მმართველობის გადაცემა ადგილობრივ დონეზე დაემთხვა ახალ ზენაციონალურ მმართველობას 2004 წელს კუნძულის ევროკავშირში მიღების დროიდან. მიღწეულის დაცვა და ევროკავშირის კანონების უზენაესობა პოლიტიკური სისიტემის რესტრუქტურაციასთან პარალელურად ხორციელდებოდა მმართველობის სხვადასხვა დონეებს შორის კომუნიკაციის გასაიოლებლად. ამიერიდან, პრემიერ-მინისტრი სახელმწიფო პოლიტიკის კოორდინირებას ახდენს ზენაციონალურ მოთხოვნებთან მიმართებაში. მალტის მთავრობისა და პარლამენტის წარმომადგენლებისათვის ბრიუსელში ადმინისტრაციული ოფისები იქნა გახსნილი.

ხელისუფლების ხელახალ ტერიტორიულ დაყოფას კუნძულზე აშკარა გავლენა ჰქონდა სისტემაზე, რომელმაც გაზარდა ტრანსპარენტულობა, პასუხისმგებლობა და ეფექტურობა. ამჟამად, პოლიტიკური და ფინანსური რესურსები ევროპულ დონეზეა ხელმისაწვდომი, მაგრამ ინფორმაცია ხშირად მიუწვდომელია ადგილობრივ დონეზე იმის გათვალისწინებით, რომ მალტაზე კვლავაც არ არსებობს აქტი ინფორმაციის თავისუფლების შესახებ. ევროკავშირიდან წამოსული ზოგიერთი საკანონმდებლო ინიციატივა მაგალითად, აქტი გარემოს დაცვის შესახებ, ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებულ მთელ პარაგრაფს შეიცავს. ეს უკანასკნელი მოქალაქეებს ინფორმაციის მოთხოვნის უფლებას აძლევს მთავრობის დეპარტამენტებისა და სახელმწიფო საწარმოებისგან.

დღეისათვის ახალი ტექნიკური და მონიტორინგის სააგენტოები ნაციონალურ და ევროპულ დონეზე ფუნქციონირებენ. ახლახან შემოღებული იქნა ომბუდსმენის ინსტიტუტი. გარდა ამისა, მმართველობის ახალმა დონეებმა არჩევნების ჩატარება გაახშირა, რასაც შედეგად მოჰყვა წინათ ერთი პარტიის ხელში კონცენტრირებული ძალაუფლების თანდათანობითი გაფართოება. ამგვარად, მწვანეთა პარტიამ ხმების 9,7% მოიპოვა 2004 წლის ევროპულ არჩევნებში. ამგვარი შედეგები გამოწვეულია ეკოლოგთა პარტიების ქმედების ზონის გაფართოებით ევროპულ დონეზე და პოლიტიკური შუამავლობის უფრო ხელსაყრელი პირობებით ევროპული ინსტიტუტების მეშვეობით, რომელთა შორის არიან გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ინსტიტუტებიც.

სამთავრობო ქმედების საპირწონე

სასამართლო სისტემა

მალტის მოქალაქეთა სამსახურშია ასევე სასამართლო სისტემაც. მალტის სასამართლო ხელისუფლება (მოსამართლეები და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები) და პოლიტიკური სისტემის გენერალური ადვოკატი არ არიან დამოკიდებულნი აღმასრულებელ ხელისუფლებაზე თავიანთი მოვალეობების შესრულებაში. სასამართლო ხელისუფლება თავისი უფლებამოსილებების უსაფრთხოებით სარგებლობს და არაა დამოკიდებული სხვა სახელმწიფო ორგანოებზე. მოსამართლეებს რესპუბლიკის პრეზიდენტი ნიშნავს პრემიერ-მინისტრის აზრის გათვალისწინებით, მაგრამ მათი თანამდებობიდან გადადგომა შესაძლებელია მხოლოდ წარმომადგენელთა პალატის გადაწყვეტილებით ამ უკანასკნელის წევრთა ორი მესამედით. ამგვარი გადადგომა მოთხოვნილია დამტკიცებული დანაშაულის ან უუნარობისა და შეუსაბამობის საფუძველზე, რომელიც მოსამართლემ თავისი ფუნქციების შესრულებისას გამოავლინა.

სასამართლო ხელისუფლების როლი გაძლიერებულია ადამიანის უფლებათა ერთობლიობის საკონსტიტუციო დებულებით. ადამიანის უფლებების პირველი ფორმალური საკონსტიტუციო გარანტია მალტის კანონში 1961 წელს იქნა შეტანილი, როდესაც ბრიტანეთის კოლონიალურმა ხელისუფლების ორგანოებმა ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების ევროპული კონვენცია კუნძულის ტერიტორიაზე აამოქმედეს. ეს უფლებები შემდეგში ხელახლა იქნა ჩაწერილი მალტის 1964 წლის დამოუკიდებლობის კონსტიტუციაში.

ყველა მოქალაქეს, რომელიც საკუთარ უფლებებს შელახულად მიიჩნევს, შეუძლია სამოქალაქო სასამართლოს უმაღლეს პალატას მიმართოს. ეს უკანასკნელი განიხილავს ინდივიდთა ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის საკითხებს და ასევე გათვალისინებულია საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობა. ეს სასამართლო 1964 წელს შეიქმნა როგორც აპელაციის უკანასკნელი ინსტანცია კუნძულზე. საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავენ ადამიანის უფლებების ხელყოფის, კონსტიტუციის ინტერპრეტაციის ან კანონების არაქმედითობის ცნობის შემთხვევაში. აღნიშნული ინსტანცია ასევე წყვეტს წარმომადგენელთა პალატასთან და მისი წევრების არჩევასთან დაკავშირებულ საკითხებს. საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილებებს უპირატესი ძალა აქვთ მალტის ლეგალურ სისტემაში. ზოგადად, აღნიშნული სასამართლოს გადაწყვეტილებებს პატივს სცემენ და ამ უკანასკნელთ სხვა სასამართლოები იყენებენ. საკონსტიტუციო სასამართლოს ასევე აქვს ნებისმიერი კანონის შეჩერების უფლება, რომელიც პიროვნების ფუნდამენტურ უფლებებს არღვევს. ამავე დროს, შეჩერება არაა გაუქმების ეკვივალენტური, რადგან ტექნიკური კუთხით, კანონი მონიტორის კომპეტენციაში რჩება.

დამოუკიდებლობის მიღების დროიდან, ყველა მნიშვნელოვანმა პოლიტიკურმა აქტორმა საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა. დიდი ხნის განმავლობაში სასამართლოებიც ასევე ძალზე გადატვირთული იყო და ათასობით სარჩელი მოლოდინის რეჟიმში რჩებოდა ათზე მეტი წლის განმავლობაში. გარდა ამისა, დღესაც სამოქალაქო სასამართლოს უმაღლეს პალატაში გაგზავნილი 600-დან 700-მდე სარჩელი პასუხგაუცემელია. ამავე დროს, სისტემის რაციონალიზაციისთვის გარკვეული ცვლილებები იქნა განხორციელებული. 2000 წელს არასრულწლოვანთა სამართალდარღვევების დეკრიმინალიზაციამ და ამ უკანასკნელთა გადაცემამ ვალეტის სასამართლოდან ადგილობრივ სასამართლოებში ხელი შეუწყო მაღალი ინსტანციის სასამართლოების დათვირთვის შემცირების პროცესს. ამჟამად, ასევე განიხილება შესწორებების შეტანა სამოქალაქო კოდექსში.

ომბუცმენი

უკანასკნელ წლებში, იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც თავს უსამართლობის მსხვერპლად მიიჩნევენ, დამატებითი ინსტანცია იქნა შექმნილი. საქმე ეხება 1995 წელს შემოღებულ ომბუცმენის სახელმწიფო ოფისს. ამ უკანასკნელს აქვს *ადმინისტრაციის, მთავრობის ან რომელიმე პასუხისმგებელი პირის ქმედებებთან დაკავშირებული გამოძიების ჩატარების უფლება*. ომბუცმენს პრეზიდენტი ნიშნავს წარმომადგენელთა პალატის გადაწყვეტილებით (კენჭისყრის ორი მესამედით). ომბუცმენს არავინ აკონტროლებს თავისი ფუნქციების შესრულებაში. მას შეუძლია საქმისთვის მნიშვნელოვნად მიჩნეული ნებისმიერი პიროვნების მოსმენა, ისევე როგორც ყველა საჭირო ინფორმაციის მიღება. ომბუცმენს აქვს ანგარიშის წარდგენის ან რეკომენდაციის მიცემის უფლება, რომელიც შეიძლება ნეგატიურად შეეხოს რომელიმე დეპარტამენტს, ორგანიზაციას, ადგილობრივ საბჭოს ან პიროვნებას.

აქტი ომბუცმენის შესახებ ამ უკანასკნელს ჩარევის უფლებას აძლევს, საკუთარი ინიციატივით ან რთულ მდგომარეობაში მყოფი მხარის მოთხოვნის საფუძველზე, როდესაც იგი მიიჩნევს, რომ ადგილი აქვს პიროვნების უფლებების შელახვას. ეს პროცესი მიმდინარეობს სწრაფი, ქმედითი და ნაკლებად ძვირადღირებული გადაწყვეტილების მიღების ხელშესაწყობად იმ მოქალაქისთვის, რომელიც თავს შეურაცყოფილად გრძნობს მმართველობის ნებისმიერი ორგანოსგან. ერთადერთი უხერხულობა მდგომარეობს იმ ფაქტში, რომ ომბუცმენის გადაწყვეტილებებს მხოლოდ დარწმუნების ეფექტი აქვს და ისინი სასამართლო დადგენილების ანალოგიურ იძულებით ხასიათს არ ატარებენ. 1996-2005 წლებში ომბუცმენის ოფისში 4 422 საჩივარი და შუამდგომლობა იქნა დარეგისტრირებული. ამ შემთხვევებიდან 1 004 ლეგიტიმურად იქნა აღიარებული. გამოკითხვების თანახმად, ომბუცმენის ინსტიტუტი ერთ-ერთი იმ ინსტიტუტთაგანია, რომლის მიმართაც საზოგადოებრივი აზრი ყველაზე დიდ ნდობას გამოხატავს. ამავე დროს, ჯოი სამატმა, პირველმა მოქმედმა ომბუცმენმა, ყოველწლიურ ანგარიშში მთავრობა გააკრიტიკა მისი რეკომენდაციების იგნორირების გამო. მართლაც, 2004-2006 წლებში მალტა ევროპის ომბუცმენის სახელზე შეტანილი საჩივრების სიის სათავეში იდგა (11,6%).

აქტუალური დებატები

ევროკავშირის როლი მალტის პოლიტიკაში აღარ წარმოადგენს დებატის ობიექტს. კუნძულის ყველა პარტია დაეთანხმა ამ კავშირში გაწევრიანებასა და ევროზონაში შესვლას 2008 წელს. ამავე დროს, მალტის პოლიტიკური დღის წესრიგი დღესაც განიცდის ამ ახლახან მომხდარი მოვლენის გავლენას. ქვეყნის ევროკავშირში შესვლის მოთხოვნებთან მისადაგების მიზნით გადახედული იქნა პოლიტიკური და ადმინისტრაციული სტრუქტურები, კანონები და ეკონომიკური ჩარჩო. 2003 წელს კონსტიტუციის VII პარაგრაფით დადგენილი იქნა, რომ საკანონმდებლო ხელისუფლება კონსტიტუციითა და ევროპული რეგლამენტაციით იზღუდება. აღნიშნულს ხაზი გაესვა პარლამენტის მიერ 2005 წლის 6 ივლისს ევროპის კონსტიტუციის პროექტის ერთსულოვანი რატიფიცირებით. ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური თემების დიდი ნაწილი, რომელიც დღეისათვის შესწავლის პროცესშია ასევე წარმოადგენს ევროკავშირში გაწევრიანების შედეგს, რადგან კუნძული ევროკავშირის კანონმდებლობას უერთდება. ეს ასპექტი მრავალ დებატშია ასახული საკანონმდებლო დონეზე, რომელიც მოიცავს საარჩევნო რეფორმას, სასამართლო სისტემის მეტ ეფექტურობასა და ნებაყოფლობითი ორგანიზაციის სისტემის რაციონალიზაციას. ამჟამად, მნიშვნელოვანი დებატი მიმდინარეობს გარემოს დაცვის საკითხებზე. თუმცა, დღეს კუნძულზე ყველაზე დიდ დებატს იწვევს ევროპის ეკონომიკურ და მონეტარულ კავშირში გარდაუვალი გაწევრიანება და არალეგალური იმიგრაციით გამოწვეული პრობლემები. ევროკავშირში გაწევრიანების დროიდან მალტისთვის სულ უფრო მწვავე ხდება იმიგრაციის საკითხი ამ ქვეყნის მდებარეობის გამო, როგორც ევროპის ახალი საზღვრისა. ბოლო ხუთ წელიწადში კუნძულზე ათასობით არალეგალური იმიგრანტი ჩამოვიდა. ბევრი მალტელი მოქალაქის აზრით, ამ იმიგრანტთა მოთხოვნები კუნძულის რესურსებზე გაუმართლებელია. ამის შედეგად, რასიზმი იკიდებს ფეხს, რაც გარკვეული ორგანიზაციების ქმედებებში აისახება, რომლებიც რადიკალურ მემარჯვენე დღის წესრიგს მოითხოვენ. ამ უკანასკნელთა შორისაა ნორმალ ლოუელის Imperium Europa და

Allenza Nazzjonali Republikana. 2006 წელს *„Malta Today"*-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, ელექტორატის დაახლოებით 7%-მა სავარაუდოდ შესაძლებელია მემარჯვენე-რადიკალურ პარტიებს მისცეს ხმა.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელ წლებში მალტამ ცვლილებები განიცადა. წინათ საქმე ეხებოდა უნიტარულ ერ-სახელმწიფოს, რომელიც დემოკრატიული კონსოლიდაციის პროცესში იყო ჩართული და ეკონომიკის ნელი ტემპებით ლიბერალიზაციას ანხორციელებდა და იმავდროულად, მიუმხრობლობის პოლიტიკას ქადაგებდა საერთაშორისო ასპარეზზე. დღეისათვის, მალტა კონსოლიდირებული დემოკრატიაა, რომელიც ეყრდნობა ლიბერალურ საბაზრო ეკონომიკასა და მრავალდონიან მმართველობის სისტემას, რამაც მისი პოლიტიკური ნეიტრალიტეტი გაამყარა ევროპულ და ხმელთაშუაზღვისპირეთის მასშტაბის დონეზე. ეს პროცესი გრძელდება, მომდევნო ეტაპი იქნება ევროს მიღება 2008 წლის 1 იანვარს. თუკი ეს წარმატებაა, მალტა სწორი მიმართულებით მიდის პოლიტიკური ევოლუციის პროცესის დასასრულებლად ევროკავშირის შიგნით.

ბიბლიოგრაფია

ALEXANDER, Joan., *Mabel Strickland*. Malta: Progress Press, 1996.

ATTARD, N., The System of local Government in Malta, Malta 2005.

CINI, Michelle., „Party Politics and Europe: the case of Malta", Departement of Politics, University of Bristol, 15 May 2002.

FENECH, Dominic., *„The 2003 Maltese EU Referendum and General Election". West European Politics*, July 2003, Vol. 23 Issue 3, 163-1

თავი XVI

ნიდერლანდი

ჟან-ბენუა პილეტი

შესავალი

თავისი ბელგიელი მეზობლის მსგავსად, ნიდერლანდის პოლიტიკური რეჟიმი უკვე რამდენიმე წელია, რაც ცვლილებებს განიცდის. საუკუნე-ნახევრის პოლიტიკური სტაბილურობის პერიოდის შემდეგ, დღეს ის ახალი იდენტობის ძიებაშია.[174] აღნიშნულის დადასტურებაა ყველა თეორიული მოდელის მოძველება, რომელიც ამ რეჟიმის დეფინიციას ემსახურებოდა. 1960-იანი წლების შუა ხანებიდან მიმდინარეობს საყრდენების დაშლის პროცესი, რომელმაც არაქმედითი გახადა ზედსართავი „კონსოციაციური" თუმცა, ნიდერლანდი სწორედ მის საფუძველზე შეიქმნა. ქვეყანა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მულტიკულტურული და შემწყნარებლური საზოგადოებით ხასიათდებოდა, როგორც ჩანს, განვლილი გზის გადახედვის პროცესშია 2004 წელს თეო ვან გოგის მკვლელობისა და მემარჯვენე პოპულისტური პარტიის აღმავლობით 2002 წლის არჩევნების დროიდან. პოლიტიკური კლასის კონსენსუსს თანმიმდევრობით ზიანი მიაყენა *Lijst Pim Fortuyn*-მა ("პიმ ფორტიუნის სია") და Groep Wilders-მა (ვილდერსის ჯგუფი -უმსხვილესი ფინანსური ჯგუფი). ნიდერლანდელთა ეიფორია გააქრო 2005 წელს ევროპის კონსტიტუციის მიღებასთან ჩატარებულმა რეფერენდუმმა, რომელიც საკონსტიტუციო ხელშეკრულების პროექტისთვის ხმის მიმცემთა 60%-ით იქნა უარყოფილი. დაბოლოს, პარტიების როლი, როგორც პოლიტიკური ასპარეზის რეჟისორებისა საკამათო გახდა დიდი პოპულარობის მქონე თავისუფალ კანდიდატთა მხრიდან, როგორიცაა პიმ ფორტიუნი, გეერტ ვილდერსი და სულ ახლახან, იან მარიხნისსენი.

აღნიშნული რყევების პირისპირ, ნიდერლანდის პოლიტიკური რეჟიმი ახალი იდენტობის, ახალი სტაბილურობის ძიების წინაშე აღმოჩნდა. ამ თავის შესწავლის ობიექტს სწორედ ნიდერლანდის პოლიტიკური და ინსტიტუციონალური ცხოვრების ევოლუციის პერსპექტივა წარმოადგენს.

ნიდერლანდის პოლიტიკური რეჟიმის ისტორიული ევოლუცია

თანამედროვე ნიდერლანდი და 1917 წლის დემოკრატიული გარღვევა

1579 წლიდან და უტრეხტის კავშირიდან მოყოლებული, როდესაც ჩრდილოეთის პროვინციები ესპანეთის ნიდერლანდს გამოეყვნენ შეერთებული პროვინციების შესაქმნელად, ნიდერლანდის ისტორია თითქმის 250 წლის განმავლობაში აღინიშნა შეერთებული პროვინციების დამოუკიდებლობის პერიოდებითა და უცხოეთის სახელმწიფოების დომინანტობით (აღნიშნულს უკანასკნელად ადგილი ჰქონდა ნაპოლეონის მმართველობის პერიოდში 1795-1813 წლებში). საბოლოოდ, ფაქტობრივად 1814-1815 წლებში ვენის კონგრესთან ერთად თანამედროვე ნიდერლანდი ყალიბდება. 1830 წელს ამ სახელმწიფოს სამხრეთის პროვინციები გამოეყვნენ და ბელგიის სამეფო შექმნეს. XIX საუკუნის პირველი ნახევრის თანამედროვე ნიდერლანდმა არჩევანი გააკეთა კონსტიტუციურ მონარქიასა და მნიშვნელოვანწილად, ელიტისტურ პოლიტიკურ ინსტიტუტებზე. მონარქიის ხელახლა შემოღების არჩევანი საფრანგეთის დომინანტობის პერიოდში გაკეთდა, რომლის დროსაც მიტოვებული იქნა რესპუბლიკური მმართველობის ხანმოკლე გამოცდილება მონარქიის სასარგებლოდ ორანის პრინცების ტახტზე ასვლით. 1815 წელს მონარქია კონსტიტუციური იყო, რადგან მისი უფლებამოსილებები ძირითადი კანონით (*Grondwet*) იყო განსაზღვრული, მაგრამ საკმაოდ ფართო სამეფო პრეროგატივებით, რომელიც აშკარად აღემატებოდა მაგალითად, 1830 წლის ბელგიის კონსტიტუციით დადგენილ პრეროგატივებს. დროთა განმავლობაში სამეფო უფლებამოსილებები შეიზღუდა და საბოლოოდ, მათ პროტოკოლური სახე მიიღეს. მონარქიულ ინსტიტუტთან ერთად დაფუძნებული იქნა ორპალატიანი პარლამენტი. ქვედა პალატა (*Tweede Kamer*) გენერალური შტატების მემკვიდრე (შეერთებული პროვინციები) იყო, ხოლო სენატი ანუ ზედა პალატა *(Eerste Kamer)* მომავალი ბელგიის სამხრეთის პროვინციების მოთხოვნის შედეგად შეიქმნა ხელისუფლებაში ბელგიელი მიწათმფლობელი დიდგვაროვნების შესაყვანად. ამგვარად, სენატი მეფის მიერ დანიშნული სენატორებისგან შედგებოდა. ეს პალატა 1830 წლისა და ბელგიის რევოლუციის შემდეგაც შენარჩუნდა მიუხედავად ამ ინსტიტუტის სუსტი დამკვიდრებისა ჩრდილოეთის პროვინციებში. მრავალი რეფორმის შემდეგ, სენატი პროვინციების ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლობის ადგილი გახდა. ამ ელემენტებს ცენტრალიზაციის ძლიერი პროცესი დაემატა, რომელიც უკვე ნაპოლეონის დომინანტობის პერიოდში იყო დაწყებული, მაგრამ ის შეერთებული პროვინციების საფუძვლებთან მიმართებაში კონტრასტს ქმნიდა.

---

174 განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი სტეფაან ფიერსსა და კას მიუდლს გაწეული დახმარებისთვის.

პირველი ნაბიჯი დემოკრატიზაციის მიმართულებით 1848 წელს გადაიდგა, რასაც დემოკრატიების გაზაფხულმა შეუწყო ხელი, რომელმაც მთელი ევროპა მოიცვა. ნიდერლანდში სწორედ ამ დროს იქნა შემოღებული სამინისტრო პასუხისმგებლობის პრინციპი, რომელმაც მნიშვნელოვნად შეზღუდა მონარქის უფლებამოსილებები. ეს ცვლილება მონარქის მიერ იქნა ინიცირებული, რომელმაც კომისია შექმნა ლიბერალური მიმართულებით კონსტიტუციის გადასინჯვის მიზნით, ლიბერალი თორბეკის ხელმძღვანელობით. ამ კომისიის მუშაობას შედეგად მოჰყვა ნიდერლანდის პარლამენტარიზმის მოდელში უმუალოდ შესვლა. ძირითადი ცვილებები შეიცავდა სამეფო პრეროგატივების შეზღუდვას, ქვედა პალატის პირდაპირ არჩევას, რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლებას, პარლამენტისა და მთავრობის გაძლიერებასა და მინისტრების პასუხისმგებლობას პარლამენტის წინაშე.

მეორე მნიშვნელოვანი საკონსტიტუციო ცვლილება, რომელმაც ნიდერლანდი უფრო მეტად დააყენა დემოკრატიზაციის გზაზე, პირველი მსოფლიო ომის დროს განხორციელდა. აღნიშნულ ომში ნიდერლანდელები ნეიტრალურნი დარჩნენ. ომის დასასრულს, XX საუკუნის დასაწყისში უკვე არსებულმა დაძაბულობამ ნიდერლანდი შეარყია. ქვეყანა სამ საკითხთან დაკავშირებით იყო გახლეჩილი. პირველი საკითხი ეკლესიებისა და სახელმწიფოს ურთიერთობას ეხებოდა. ამ საკითხთან დაკავშირებული დებატი სკოლების დაფინანსებას ეხებოდა. მეორე განხეთქილების მიზეზს საყოველთაო საარჩევნო უფლება წარმოადგენდა. დაბოლოს, გაფიცვის უფლება ასევე ამწვავებდა ვნებათაღელვას სოციალურ კლასებს შორის. ქვეყანა დაშლის პირას იდგა. არსებული რისკის გათვალისწინებით, პრემიერ-მინისტრმა კორტ ვან დერ ლინდენმა თითოეული პარტიის თავმჯდომარეს კომიტეტში გაერთიანებისკენ მოუწოდა, რომელიც ნიდერლანდის გადასარჩენად კომპრომისის მონახვას შეძლებდა. 1917 წელს მონაწილე მხარეებს შორის თანხმობა იქნა მიღწეული. პირველი რეფორმა მამაკაცთა საყოველთაო საარჩევნო უფლების შემოღებაში მდგომარეობდა. ამ უკანასკნელით უქმდებოდა ის წესები, რომლებიც ხმის უფლებას მხოლოდ ეკონომიკურ და ინტელექტუალურ ელიტას აძლევდნენ. მეორე მნიშვნელოვან ევოლუციას პროპორციული წარმომადგენლობის შემოღება წარმოადგენდა ერთი ნაციონალური ოლქით, რომელიც უმცირესობებისთვის პარლამენტში თავისუფალი მოხვედრის გარანტიას იძლეოდა. ამ ახალმა კანონმდებლობამ ორტურიანი უნინომინალური მაჟორიტარული ხმის მიცემა შეცვალა, რომელიც წინათ ქვედა პალატის 100 წევრის არჩევისთვის გამოიყენებოდა. დაბოლოს, კონფლიქტის გადაჭრით ანტიკლერიკალებს, პროტესტანტებსა და კათოლიკეებს შორის სკოლების დაფინანსებასთან დაკავშირებით, შემოღებული იქნა რელიგიური სკოლების სახელმწიფო სუბსიდირების სისტემა. ნიდერლანდის პარტიების მიერ დამტკიცებული 1917 წლის დიდი შეთანხმება ჰოლანდიის ისტორიაში „pacificatie"-ის სახელწოდებით შევიდა. ეს შეთანხმება კონსოციაციური რეჟიმის ფუძემდებლად შეიძლება იქნეს განხილული, რომელიც ქვეყანას შემდგომი ათწლეულების მანძილზე და 1960-იანი წლების შუა ხანებემდე მართავდა.

ნიდერლანდის კონსოციაციური რეჟიმი 1917 წლიდან 1967 წლამდე

ბელგიასა და ავსტრიაში გავრცელებამდე, კონსოციაციური მოდელი ნიდერლანდთან დაკავშირებულ ლიფარტის ნაშრომების საფუძველზე შეიქმნა.[178] ამ ავტორის აზრით, ეს ქვეყანა სეგმენტირებული დემოკრატიის პირველ მაგალითს წარმოადგენდა, რომლის შიგნითაც საყრდენები (*zuilen*) ჩამოყალიბდა. ამ უკანასკნელებმა კონფლიქტების ჩასაცხრობად კონსესუალური გადაწყვეტილების სხვადასხვა ტექნიკა აამოქმედეს. ეს ანალიზი რეალობაში 1917-1967 წლებში ნიდერლანდში არსებულ სიტუაციაზე მიგვანიშნებს. მისი პირველი კონსტანტა ეფუძნება ნიდერლანდური საზოგადოების ძლიერ სეგმენტაციას, რომელშიც ფაქტობრივად ორი განხეთქილებაა ერთმანეთთან გადაკვეთილი. პირველი ფილოსოფიური ხასიათისაა, რომელიც ერთმანეთს უპირისპირებს კალვინისტ პროტესტანტებს, კათოლიკეებსა და ათეისტებს. მეორე სოციალურ-ეკონომიკური ხასიათისაა, რომელმაც საერო ბანაკი სოციალისტებსა და ლიბერალებს შორის გაყო. ეს ორი განხეთქილება ოთხი საყრდების (*zuilen*) შექმნით დასრულდა: კათოლიკური, კალვინისტური, სოციალისტური და ლიბერალური. ამ ოთხიდან უკანასკნელი ყველაზე ნაკლებად იყო სტრუქტურირებული. ზოგიერთების აზრით, ლიბერალები და სოციალისტები ერთი და იგივე საერო ბლოკის შემადგენელი ნაწილები არიან. ლიფარტი ლაპარაკობს საყდენებზე, ქვეკულტურებზე და არა სოციალურ დაყოფაზე. ეს განსხვავება მომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ ნიდერლანდის სოციალური სეგმენტაცია რეპროდუცირდება, როგორც პოლიტიკურ, ისე სოციალურ ასპექტში. რეალობაში, საყდენებს შეუძლიათ თავიანთი წევრების ჩარჩოში ჩასმა ამ უკანასკნელთა მთელი ცხოვრების მანძილზე.

პოლიტიკურ ასპარეზზე, თითოეული საყრდენის ინტერესები შენაცვლებული იქნა საკუთარი პარტიის მიერ. *Katholiek Volk Partij* (KVP) კათოლიკური ბლოკის ინტერესებს იცავდა, *Partij van Arbeid* (PvdA) სოციალისტური ბლოკის ინტერესებს, *Volks Partij voor Vrjheid and Democratie* (VVD) ლიბერალური zuil-ის (საყრდენის) ინტერესებს, ხოლო *Christelijk-Historieke Unie* (CHU) *Anti-Revolutionaire Partij* (ARP) კალვინისტური საყრდენის ინტერესებს. ამ პოლიტიკური პეიზაჟის საყრდენებად დაყოფა მომდინარეობს არა იმდენად შუამავლობის როლიდან, რომელსაც zuil-ის ინტერესების დამცველი პოლიტიკური პარტიები ასრულებდნენ, არამედ თითოეული სოციოლ-

175 Lijphart, Arend, *Verzuilling, pacificatie en kentering in de Nederlandse politiek*, JH De Bussy, Amsterdam, 1968a.

ოგიური ბლოკის წევრების ერთგულებიდან თავისი საყდენის პარტიის მიმართ. 1964 წელს KVP-ს ამომრჩეველთა 90% კათოლიკური საყრდენიდან იყო გამოსული. იგივე შეიძლება ითქვას ARP-თან მიმართებაში, რომელსაც მხარი დაუჭირა კალვინისტ ამომრჩეველთა 87%-მა, PvdA-ს მიმართ ერთგულება საერო ბლოკიდან გამოსულ ამომრჩეველთა 89%-მა გამოავლინა, ხოლო VVD-ს ათეისტ ამომრჩეველთა 90% მიემხრო. გარდა ამისა, პოლიტიკური პარტიების ლიდერებს საკუთარი კარიერის მანძილზე ხელმძღვანელი თანამდებობები ეკავათ თავიანთი საყრდენების სხვადასხვა ორგანიზაციებში (პროფკავშირები, პროფესიული ასოციაციები, პარტიები...). დემარკაციის ხაზები სხვადასხვა სუბკულტურებს შორის მხოლოდ პოლიტიკურ დონეზე არ იყო გადატანილი. იგივე რეალობა წარმოდგენილი იყო ინტერესთა ჯგუფების, ასოციაციების, მედიის, სასკოლო ქსელების დონეზე. მაგალითისთვის, სამი დიდი პროფკავშირი ერთმანეთის გვერდით თანაარსებობდა: კათოლიკური KVV, სოციალისტური NVV და პროტესტანტული NVC. თითოეული საყრდენი ასევე ერთ ამ ბევრ ყოველდღიურ გაზეთს აკონტროლებდა და ყოველ მათგანს საკუთარი სატელევიზიო არხი ჰქონდა: AVRO ლიბერალებისთვის, VARA სოციალისტებისთვის, KRO კათოლიკეებისთვის და EO პროტესტანტებისთვის. დაბოლოს, შეიძლება ითქვას, რომ ადამიანები საბავშვო ბაღიდან უნივერსიტეტამდე საკუთარ საყრდენში რჩებოდნენ. ამ სოციალური და პოლიტიკური სტრუქტურირებით ჰოლანდიელ მოქალაქეთა ურთიერთობების წრე საკუთარი საყრდენით შემოიფარგლებოდა. „საყდენები გვერდიგვერდ არსებობენ როგორც განსხვავებული კულტურული ერთობები, თავისი სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტებითა და სხვადასხვა ერთობების წევრებს შორის მინიმუმამდე დაყვანილი ინტერაქციებით."[176]

მიუხედავად ნიდერლანდური საზოგადოების ფრაგმენტაციისა, „ნიდერლანდის დემოკრატია უაღრესად სტაბილური და ეფექტურია."[177] ეს სტაბილურობა ძირითადად, საყრდენების ელიტების როლს უნდა უმადლოდეს. ამ უკანასკნელთა ქცევამ, რომელსაც ლიფარტი *Politics of Accommodation*-ს უწოდებს, ნიდერლანდს აფეთქების საშუალება არ მისცა, მიუხედავად სოციალური ფრაგმენტაციის მაღალი ხარისხისა. ელიტები პოლიტიკურ ცხოვრებას დიალოგის გზით მართავდნენ, სახელდობრ, კოალიციური მთავრობების მეშვეობით და ასევე იმით, რომ ოპოზიციას მთავრობის კანონპროექტებში შესწორებების შეტანის უფლებას აძლევდნენ. ამიტომაც, უმრავლესობის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტების პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც ოპოზიციის მიერ იქნა უარყოფილი ძალზე დაბალი იყო.[178] ამ ქმედებების გარდა, ასევე შეიქმნა პოლიტიკური დებატებისა და დისკუსიების ჩატარების ადგილები, სადაც სხვადასხვა საყრდენების ინტერესთა გამომხატველი ჯგუფები იყვნენ წარმოდგენილნი, რაც ამ უკანასკნელთ კომპრომისის მონახვის შესაძლებლობას აძლევდა. აღნიშნული შეკრებების ადგილებიდან ყველაზე ცნობილია *ეკონომიკური და სოციალური საბჭო*, რომელშიც გაერთიანებულია პროფკავშირების თხუთმეტი წარმომადგენელი, სამეწარმეო ორგანიზაციების თხუთმეტი დელეგატი და მთავრობის თხუთმეტი ექსპერტი. სამივე დონეზე, უზრუნველყოფილი იყო ოთხი საყრდენის სამართლიანად გადანაწილებული წარმომადგენლობა. დაბოლოს, იქ სადაც კომპრომისის მიღწევა შეუძლებელი იყო, უპირატესობა სეგმენტური ავტონომიის პრინციპს ენიჭებოდა. ნაციონალური მთავრობა საყრდენებს განცალკევებულად გადასცემდა საჯარო ქმედების მართვის მთელ ასპარეზს.[179]

ამავე დროს, 1960-იანი წლების შუა ხანებიდან, კონსოციაციური რეჟიმი ჩამოშლას იწყებს საყრდენების დაშლის თანმხლები პროცესით. ამ ცვლილების პირველ ნიშანს მერყევი ელექტორატის რაოდენობის ზრდა წარმოადგენდა. პირველი მსოფლიო ომიდან დაწყებული, არჩევნების შედეგები უაღრესად სტაბილური იყო. შემდგომში, უცბად, 1967 წელს 150 ადგილიდან 15 სხვების ხელში გადავიდა. 1971-1972 წლებში ეს ციფრი 20-ზე ავიდა. საყრდენებად დაყოფილმა პარტიებმა შეიგნეს, რომ მათ აღარ შეეძლოთ თავიანთი საყრდენის წევრების ურყევ ერთგულებაზე დაყრდნობა. პარალელურად, ახალი პარტიები გამოჩნდნენ, რომელთა პროგრამა საყრდენებად დაყოფის მარწუხისგან განთავისუფლებას ითვალისწინებდა. ამგვარი გახლეჩის სიმბოლურ მოძრაობას *Democraten 66* ან *D66* პარტია წარმოადგენდა, რომელსაც ნიდერლანდის დემოკრატიის შერყევა სურდა. პარტიების მიღმა, ამ დრომდე საყდენებად დაყოფის გამო განცალკევებული სხვადასხვა ორგანიზაცია (პროფკავშირები, ჯანდაცვის ორგანიზაციები, მედია...) გაერთიანდა და ღია გახდა განსხვავებული საყდენებიდან გამოსული მოქალაქეებისთვის. კონსოციაციური სისტემა იშლებოდა. ეს უკანასკნელი იმ იდეოლოგიების დაღმასვლის მსხვერპლი გახდა, რომელსაც თავად ეფუძნებოდა. კერძოდ, აშკარად უკანა პლანზე გადაიწია რელიგიურმა გრძნობამ, ისევე როგორც მრავალი მოქალაქისთვის არსებითობა დაკარგა კლასობრივმა იდენტობამ. ამგვარად, ნიდერლანდის რეჟიმისთვის ახალი ეპოქა დაიწყო, რედეფინიციის, ძირეული ცვლილების ეპოქა. ეს პერიოდი 1960-იანი წლების დასასრულიდან დაიწყო და დღესაც არ დასრულებულა.

---

176 Lijphart, Arend, *The Politics of Accommodation. Pluralism and Democracy in the Netherlands*, University of California Press, Berkeley, 1968b, p. 58.

177 *Op. cit.*, p. 15.

178 Visscher, G., *Parlementaire invloed op de wetgeving*. SDU, Den Haag, 1994.

179 Van Schendelen M. P. C. M., „The Views of Arend Lijphart and collected criticisme", *Acta Politica*, vol. XIX, n° 1, Amsterdam, 1984, pp. 19-55.

ნიდერლანდის პოლიტიკური რეჟიმი XX საუკუნისა და XXI საუკუნის გასაყარზე

პარტიული სისტემა სტაბილურობის ძიებაში

1960-იანი წლების დასასრულიდან ნიდერლანდის პარტიული ნიშნით მიმხრობის სისტემაში ძირეული გადატრიალება მოხდა. აღნიშნულ დრომდე, საყრდენებად დაყოფილ ხუთ პარტიას (KVP, ARP, VVD, PvdA, CHU) თითქმის მთელ საარჩევნო ხმებსა და ადგილებზე ჰქონდა მონოპოლია. 1918-1963 წლებში ეს პარტიები ხმების 83,9% და 91,6%-ს აგროვებდნენ. აღნიშნული დროიდან ამ პარტიების საარჩევნო მნიშვნელობა დაკნინდა. მათ დაახლოებით ხმების 70% მოიპოვეს 1970-იან წლებში, ხოლო 2006 წლის არჩევნებში ხმების 62,37% მიიღეს[180]. საარჩევნო სივრცეში ახალმა კონკურენტებმა შეაღწიეს. ამ უკანასკნელთა შორის მთავარი პარტიებია D66, SP (სოციალისტური პარტია), ChristenUnie, GroenLinks და პოპულისტური მემარჯვენე პარტიები (ყველაზე ცნობილია Liste Pim Fortuyn (LPF).[181] ეს ახალი პარტიები გარკვეულ შემთხვევებში, არ კმაყოფილდებოდნენ პარლამენტში ხანგრძლივი დამკვიდრებით. ზოგიერთი მათგანი სამთავრობო კოალიციებში მონაწილეობდა. ამას მრავალჯერ ჰქონდა ადგილი D66-ის შემთხვევაში. რაც შეეხება LPF -ს, ის 2002 წელს თავისი არჩევის დროიდან მმართველ გუნდში იქნა ინტეგრირებული და მის წევრად 2006 წლამდე დარჩა. ამ ახალი აქტორების გარდა, ზოგიერთმა ტრადიციულმა პარტიამ თავად განიცადა ტრანსფორმაცია. ეს განსაკუთრებით რელიგიურ პარტიებს ეხება, პროტესტანტულებსა (CHU და ARP) და კათოლიკურს (KVP). ამ უკანასკნელმა სწრაფი უკუსვლა განიცადა 1970-იან წლებში. 1918 წლიდან კათოლიკური პარტია ნიდერლანდის მთავრობის მთავარი პარტია გახდა და ორიდან ერთ-ერთი ყველაზე დიდი პარტია. ამ პარტიამ კონტაქტი დაამყარა პროტესტანტულ პარტიებთან ქრისტიანული კავშირის პარტიის შესაქმნელად. ამგვარი მანევრები 1977 წლის არჩევნებში გაერთიანების ჩამოყალიბებით დასრულდა, 1980 წლის არჩევნებში კი CDA-ს (ქრისტიან-დემოკრატიული პარტია) შექმნით. ამ გაერთიანებამ რელიგიურ პარტიებს ნიდერლანდის პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთ მთავარ აქტორად დარჩენის შესაძლებლობა მისცა. პრემიერ-მინისტრი იან-პეტერ ბალკენენდე სწორედ ამ პარტიიდანაა გამოსული. CDA-ს გვერდით სხვა ძირითადი პოლიტიკური ჯგუფებია PvdA-ს სოციალ-დემოკრატები, ქვეყნის მეორე დიდი პარტია, VVD-ს ლიბერალ-კონსერვატორები, D66-ს ლიბერალ-პროგრესისტები, პოპულისტური პარტიები (LPF და Groep Wilders) და რადიკალური მემარცხენე პარტიები (SP და GroenLinks). აღნიშნული ნათლად გვიჩვენებს, რომ საყრდენის დაშლასთან დაკავშირებულმა ნიდერლანდის საარჩევნო სისტემის უკიდურესმა პროპორციულობამ საპარლამენტო წარმომადგენლობის მნიშვნელოვანი დისპერსია გამოიწვია. პარტიების რაოდენობა, რომელთაც არანაკლებ ერთი რჩეული ჰყავთ ქვედა პალატაში (*Tweede Kamer)* 1970-იანი წლებიდან 9-სა და 14 რჩეულს შორის მერყეობს.

აღნიშნულის მიღმა, ნიდერლანდის პარტიული ნიშნით მიმხრობის სისტემის ყველაზე მნიშვნელოვან რეციდიულ სირთულეს ახალი პოლიტიკური ლოგიკის პოვნა წარმოადგენს. 1960-იან წლებამდე, საყრდენებად დაყოფა აშკარად ქმნიდა პოლიტიკური თამაშის სტრუქტურას. ამის შემდეგ, პარტიული ნიშნით მიმხრობის სისტემა ახალი მიმართულებების ძიებაშია, რომელიც შესაძლებელს გახდის პარტიების მკაფიო განსხვავებისა და ასევე სამთავრობო კოალიციების გარკვეული ლოგიკის დადგენას.[182] პოპულისტი მემარჯვენეების წარმატებას ზოგიერთები იმ დასკვნამდე მიჰყავს, რომ იმიგრაციისა და უცხოური ერთობების ინტეგრაციის საკითხი, განსაკუთრებით კი მუსულმანური მოსახლეობისა, შეიძლება გაყოფის ახალი მიმართულება გახდეს. ამავე დროს, შესაძლებელია, რომ ეს საკითხი ეფემერული (issue) არსის მატარებელი იყოს და არა ნამდვილი გახლეჩის, ისევე როგორც D66-ს მიერ წამოჭრილი პოსტმატერიალისტური ღირებულებების საკითხი, რომელსაც გარკვეული წარმატება ჰქონდა 1970-იანი წლების დასასრულს. ასევე, 2005 წელს ევროპული კონსტიტუციის მიუღებლობამ, როგორც ჩანს, ორი დიამეტრალურად განსხვავებული პარტიის მიმართ – ვილდერსის პოპულისტური ჯგუფი და რადიკალური მემარცხენე სოციალისტური პარტია – ნდობა გააჩინა. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, ორგანიზაციულ განხეთქილებაზე მეტად საქმე მიზანს ეხება. ამგვარად, ნიდერლანდის პარტიული ნიშნით მიმხრობის სისტემა კვლავაც თავისი იდენტობის, ახალი ბალანსის ძიებაშია.

ნიდერლანდის საარჩევნო სისტემის ჰიპოთეზური გარდაქმნა

ნიდერლანდის პოლიტიკური რეჟიმის იდენტობის ძიების მანიშნებელია 1917 წლიდან მოქმედი საარჩევნო სისტემა, რომლის გარშემოც 1970-იანი წლებიდან რეგულარულად მიმდინარეობს კამათი. დებატს ძირითადად, D66 (დემოკრატიული პარტია 66) მართავდა. ამ პარტიამ თავის პროგრამაში ხმის მიცემის ფორმის რეფორმირება ჩაწერა. აღნიშნულ საკითხში, მისი თავდაპირველი მიზნები იყო სავალდებულო ხმის მიცემის გაუქმება,

---

180 Andeweg, Rudy B. and Irwin, Galen A., Governance and Politics in the Netherlands, Palgrave, London, 2th ed., 2005, p. 47.

181 Bélanger, Eric and Aarts, Kees, „Exlaining the rise of the LPF : Issues, discontent, and the 2002 Dutch elections", *Acta politica*, vol. 41, nº 1, 2006, pp. 4-20.

182 Bovens, M., Pellikaan, Huub and Van Praag, Philippe, *Nieuwe Tegenstellingen in de Nederlands politiek*, Boom, Meppel, 2000.

საარჩევნო უმრავლესობის შემცირება, რჩეულთა მოქალაქეებთან დამაახლოვებელი მექანიზმების შემოღება და ამომრჩეველთა გავლენის გაზრდა მთავრობების შემადგენლობაზე. ორი პირველი მიზანი მიღწეული იქნა. აღნიშნული დროიდან, ხმის მიცემის უფლება აქვს ყველა 18 წელს მიღწეულ მოქალაქეს, ხოლო სავალდებულო ხმის მიცემა 1970 წელს იქნა გაუქმებული. სამაგიეროდ, ორ სხვა პუნქტზე დებატები დღესაც გრძელდება, მაგრამ ყოველგვარი წინსვლის გარეშე.

პირველი ნაკლოვანება მდგომარეობს იმ ფაქტში, რომ ხმის მიცემის ფორმის უკიდურესი პროპორციულობის გამო (რჩეულის არჩევითობის თეორიული ბარიერი 0,67%-ია), კოალიციები სისტემატური ხასიათისაა და მოქალაქეებს არა აქვთ ჩარევის უფლება ამ დონეზე. აღნიშნულის გამოსწორების გზას წარმოადგენს პრემიერ-მინისტრის პირდაპირი არჩევა ან მომავალი სამთავრობო კოალიციის ჩამომყალიბებლის პირდაპირი არჩევა. ამომრჩევლებს ექნებოდათ დამატებითი ხმის მიცემის შესაძლებლობა, რომელსაც ისინი პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის ასარჩევად გამოიყენებენ. ამ ფორმულას მხარი დაუჭირა D66-მა, რადიკალურმა პარტიამ და PvdA-მაც (შრომის პარტია) კი. თუმცა, ის დავიწყებას მიეცა ხანგრძლივი დროის მანძილზე. ამავე დროს, ეს ფორმულა ფაქტობრივად ნიდერლანდის საკანონმდებლო არჩევნების შესატყვისი იქნებოდა. მართლაც, ეს არჩევნები სულ უფრო მეტად წააგავს „საცხენოსნო შეჯიბრს მთავარი პარტიების ლიდერებს შორის."[183] პარტიები წარადგენენ სიის სათავეში მყოფთ მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამ ადგილზე დასახელებული პიროვნება ერთგვარად, პარტიის პრემიერ-მინისტრობის კანდიდატია. ამგვარად, საარჩევნო კამპანია ამ მიმართულებით მიდის და საკანონმდებლო არჩევნები თითქმის საპრეზიდენტო არჩევნებს ემსგავსება. ზოგადად, არჩევნების საღამოს პირველი პარტიის სიის სათავეში მყოფი მთავრობას აყალიბებს, შემდეგ კი ხელმძღვანელობს.

რეფორმის მეორე გზა, რომლის გარშემოც კამათი ქვედა პალატაში მიმდინარეობს ტერიტორიული წარმომადგენლობის გაზრდას ეხება, რომელიც ერთ ნაციონალურ ოლქშია გაფანტული. მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკურად ნაციონალური ოლქი 19 უბნადაა დაყოფილი, ეს ტერიტორიული დაყოფა ამომრჩევლისთვის ძალზე უმნიშვნელოა და კავშირები რჩეულებსა და ამომრჩევლებს შორის საკმაოდ სუსტია. აღნიშნულის გამოსასწორებლად სხვადასხვა რეფორმა იქნა განხილული.[184] სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპი კონსტიტუციითაა გარანტირებული. ზოგიერთები მხარს უჭერენ პროპორციული წარმომადგენლობის შენარჩუნებას, მაგრამ ქვეყნის მრავალ ოლქებად დაყოფით. სხვები შერეული სისტემის შემოღებას განიხილავენ, რომლის თანახმად, რჩეულთა ნაწილი ნაციონალური სიებით იქნება დასახელებული, მეორე ნაწილი კი უფრო მცირე ზომის პლურინომინალურ ოლქებში. 2003 წელს, როდესაც D66 CDA-სა (ქრისტიან-დემოკრატიული ალიანსი) და VVD-ს (ლიბერალ-კონსერვატორები) მთავრობასთან გაერთიანდა, მან დებატების გაგრძელება მოითხოვა აღნიშნული მიმართულებით. ამ მიზნით შეიქმნა სამინისტრო კომისია. ამ უკანასკნელის მიერ შემოთავაზებული იქნა ნაციონალურ სიებისა და პლურინომინალური ოლქების გამაერთიანებელი შერეული სისტემა, რომელშიც სამიდან ხუთამდე კანდიდატი ერთადერთი არაგადაცემადი ხმის მიცემის სისტემით იქნებოდა არჩეული.[185] თუმცა, ამ წინადადებამ პარლამენტში ხმების საკმარისი რაოდენობა ვერ მიიღო. ამავე დროს, დებატი საბოლოოდ არ დასრულებულა. 2006 წელს, კანადაში (ბრიტანული კოლუმბია) ცოტა ხნით ადრე გამოყენებულ პროცედურაზე დაყრდნობით, ნიდერლანდის მთავრობამ სამოქალაქო ფორუმი შექმნა, რომელსაც საარჩევნო სისტემის რეფორმასთან დაკავშირებული წინადადების წარდგენა დაევალა ქვედა პალატისთვის. ამ პარტისიპაციული დემოკრატიის გამოცდილების დასკვნები 2007 წლისთვისაა მოსალოდნელი.[186] შემდგომ, ისინი პარლამენტარების მიერ იქნება განხილული.

დაბოლოს, საარჩევნო რეფორმის პროექტები მხოლოდ ნაციონალურ დონეს არ ეხება. ადგილობრივ ასპექტში, მთავრობა ასევე ერთი ათეული წელია, რაც მერების პირდაპირი არჩევის სიტემის შემოღების დროულობას განიხილავს[187]. მერები აღარ იქნებიან დანიშნულნი მთავრობის მიერ და მათ პირდაპირ მოქალაქეები აირჩევენ ადგილობრივი არჩევნების ფორმით.[4] ეს რეფორმა ცხადყოფს ნიდერლანდში ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების პოლიტიკური ხასიათის გაძლიერებას და ასევე არა პარტიულ სიებზე, არამედ უფრო პერსონალიზე-

---

183 Fiers, Stefan and Krouwel, André, „The Low Counties : From Prime Minister to Minister-President?", Webb, Paul and Poguntke, Thomas, *The Presidentialisation of Politics in Democratic Societies*, Oxford University Press, Oxford 2004, pp.126-156, p. 143.

184 ნიდერლანდში საარჩევნო რეფორმებთან დაკავშირებული დისკუსიები შეგიძლიათ იხილოთ Acta politica-ს ორ სპეციალურ ნომერში, van der Kolk, Henk and Thomassen, Jacques, *The Dutch Electoral System on Trial*, Acta Politica, vol. 41, nº 2-3, 2006.

185 Ministerie van Binnenlanse Zaken en Koninkrijksrelaties, *Het nieuwe kiesstelsel anderzocht : drie onderzoeksrapporten bij de hoofdlijnennotite 'Naar een sterker Parlement'* project Nieuw Kiesstelsel, Ministerie BZK, Den Haag, 2004.

186 Leyenaar, Monique, „Political decision-making through deliberation", in Delwit, P., Pilet, J-B., Reynaert, h., Steyvers, K. (eds.), *Local Participatory Democracy in Europe : the rise of DIY politics?*, Vanden Broele, Bruges, 2007.

187 Denters, Bas, Klok, Pieter, J. and van der Kolk Henk, „The Reform of the Political Executive in Dutch Local Government", in Rikke Berg and Nirmala Rao, *Transforming Political Leadership in Local Government*, Palgrave MacMillan, London, 2005.

ბულ, ინდივიდუალურ კანდიდატებზე ცენტრირებული არჩევნების ნებას. ამავე დროს, ნაციონალურ დონეზე აღნიშნული რეფორმა დღემდე მთავრობის საქაღალდეებში ინახება.

პირდაპირი დემოკრატიის პირველი ფეთქებადსაშიში გამოცდილება

1970-იანი წლებიდან ნიდერლანდის დემოკრატიის სხვა დებატი რეფერენდუმის შემოღებას ეხება. ეს უკანასკნელი ლეგალურად არ არის გათვალისწინებული როგორც სახალხო სუვერენიტეტის გამოხატვის ფორმა. რეფერენდუმის არარსებობა სრულიად ლოგიკურია კონსოციაციურ დემოკრატიაში, რომელიც მხოლოდ ელიტებს უტოვებს საჯარო საქმეების მართვას საყრდენებს შორის რთულად მიღწეული კომპრომისის შესანარჩუნებლად. სამაგიეროდ, საყდენების დაშლის დროიდან, საქმე სხვაგვარადაა. კვლავაც, სწორედ D66 იყო რეფერენდუმის შემოღების მუდმივი დამცველი.

ახალი ინსტიტუციონალური მექანიზმის შემოღების იდეა, განსაკუთრებით როგორც საკანონმდებლო შესწორებისა მოქალაქეთა ინიციატივასთან მიმართებაში, მრავალჯერ იქნა განხილული 1980-იანი წლებიდან, როგორც მთავრობაში, ისე პარლამენტში. 1997-1998 წლებში ამ მიმართულების კანონპროექტი პირველი წაკითხვით ორივე პალატის მიერ იქნა მიღებული. თუმცა, ნებისმიერი კონსტიტუციური გადასინჯვისთვის აუცილებელი მეორე წაკითხვა ნაკლებად ნაყოფიერი გამოდგა. მის მიღებას ერთი ხმა დააკლდა – VVD-ს ყოფილი თავჯდომარის, ჰანს ვეიგელის ხმა. 2002-2004 წლებში აღნიშნულთან დაკავშირებით გაკეთებული მეორე მცდელობაც მარცხით დასრულდა.

მიუხედავად ამ მარცხისა, და კონსტიტუციური საფუძვლის გარეშე, ნიდერლანდის პარლამენტმა, მთავრობის აზრის საწინააღმდეგოდ, 2004 წელს საკონსულტაციო ხასიათის რეფერენდუმის ჩატარების ინიციატივა მიიღო 2005 წლის ევროპულ კონსტიტუციასთან დაკავშირებით. ნიდერლანდის თანამედროვე ისტორიაში პირველად ჩატარებულმა რეფერენდუმმა მოსალოდნელზე მეტად შეარყია ქვეყნის პოლიტიკური რეჟიმი. მართლაც, თავიანთი მოქალაქეების ევროფილიაში დარწმუნებულმა პარტიებმა ხმის მიცემამდე შედეგებთან სწორების პირობა დადეს თუკი მონაწილეობის პროცენტი 30%-ზე ნაკლები არ იქნებოდა და მოქალაქეები აშკარად გამოხატავდნენ საკუთარ არჩევანს. რეფერენდუმზე გასატან კანონს მხარს უჭერდნენ მთავარი პარტიებიც. მხოლოდ რადიკალი მემარცხენეები (SP), მემარჯვენე პოპულისტები (LPF, Wilders) და პროტესტანტული პარტიები (CU და SPG) ეწინააღმდეგებოდნენ მის მიღებას.[188] საბოლოოდ, ხმის მიცემაში მონაწილეთა დიდმა უმრავლესობამ (მონაწილეობის 63,3%) საკონსტიტუციო ხელშეკრულების წინააღმდეგ მისცა ხმა (61,5%).[189] ეს შედეგი აღქმული იქნა ძალზე დიდ გახლეჩად პოლიტიკურ კლასსა და ნიდერლანდელ მოქალაქეებს შორის.[190] აღნიშნული დროიდან, პარტიების უმრავლესობა ევროპული საკითხისთვის გვერდის ავლას ცდილობდა. ნიდერლანდი ახალი ევროპული იდენტობის ძიებაშია.

მრავალდონიანი მმართველობის ახალი სტრუქტურის ძიებაში

ხელისუფლების ტერიტორიული დაყოფა სხვა ასპექტს წარმოადგენს, რომელთან მიმართებაშიც ნიდერლანდის პოლიტიკური რეჟიმი ამჟამად, ახალი იდენტობის ძიებაშია. კერძოდ, ქვეყნის ინსტიტუციონალურ არქიტექტურაში პროვინციების ადგილი კითხვას აჩენს. თანამედროვე ნიდერლანდის დაარსების დროიდან, რეჟიმი ყოველთვის ძალზე მაცენტრალიზებელი იყო. შეერთებული პროვინციებისთვის გადაცემული ავტონომია მხოლოდ ისტორიის წიგნებში არსებობდა. ცენტრალიზაციის პროცესმა პროვინციების მოძველება გამოიწვია, რომლებიც მხოლოდ ადმინისტრაციულ ბერკეტებს წარმოადგენდნენ ნაციონალური მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესასრულებლად.

თუმცა, მიუხედავად პოლიტიკური მნიშვნელობის დაკარგვისა, 12 პროვინცია კვლავაც ინარჩუნებდა პირდაპირ არჩეულ საბჭოებს. გარდა ამისა, დღესაც, სენატი პროვინციული ასამბლეების მიერ დანიშნული სენატორებისგანაა შემდგარი. ამავე დროს, ფრიზონის გარდა, ნიდერლანდელთა იდენტიფიკაცია ამ ტერიტორიული ერთეულების მიმართ თითქმის ნულოვანია. პროვინციებში ჩატარებულ არჩევნებში აბსენტეიზმის პროცენტი მუდმივად იზრდება (დაახლოებით 50%), რაც მოქალაქეთა დაბალ ინტერესზე მიუთითებს ხელისუფლების ამ

188 Harmsen, Robert, „The Dutch referendum on the ratification of the European constitutional treaty", EPERN Working Papers, n°13, University of Sussex, 2005.

189 Aarts, Kees and van der Kolk, Henk, „Understanding the Dutch'No' : The Euro, the East, and the Flite", *Political Acience and Politics*, 39, 2006, pp. 243-246.

190 საკონსტიტუციო ხელშეკრულების უარყოფა მასობრივ ხასიათს ატარებდა. ამ უკანასკნელს მხარი დაუჭირა მხოლოდ ქვეყნის 26 კომუნამ 467-დან. „არა" მიცემული ხმების 50%-ს აჭარბებდა, როგორც მუშათა, ისე საშუალო კლასში. D66-ის გარდა, ყველა პარტიის ელექტორატის ნახევარზე მეტი რეფერენდუმზე გატანილი კანონის მოწინააღმდეგე იყო (არანაკლებ 48% VVD-ს შემთხვევაში).

დონის მიმართ. აღნიშნულ კონტექსტში, პროვინციების შენარჩუნების საკითხი მუდმივი განხილვის საგანია ნიდერლანდში. რეგულარულად ადგილი აქვს სხვადასხვა ალტერნატივების შემოთავაზებას. ზოგიერთების აზრით, პროვინციები უფრო მცირე მოცულობის რეგიონებმა უნდა შეანაცვლონ, რომლებიც ერთგვარად შუამავლების როლს შეასრულებენ კომუნებსა და ნაციონალურ დონეს შორის. სხვების აზრით კი, შესაქმნელია ურბანული რეგიონები, რომლებიც დიდ ქალაქსა და ახლოს მდებარე მუნიციპალიტეტებს გააერთიანებენ. დაბოლოს, ევროკავშირის ზეწოლა წევრ-ქვეყნებში რეგიონების შესაქმნელად, ზოგიერთები პროვინციების ოთხი დიდი რეგიონით (ჩრდილო-დასავლეთი, ჩრდილო-აღმოსავლეთი, სამხრეთ-დასავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი) შენაცვლების აზრამდე მიიყვანა. დღეისათვის ჯერ კიდევ არაფერია გადაწყვეტილი და დებატი არაა პრიორიტეტული, მაგრამ ის კვლავაც ცხადყოფს ინსტიტუციონალური პრობლემატიკის მდგომარეობას, ახალი რეჟიმის ძიებას, რომელშიც ნიდერლანდი XX-საუკუნისა და XXI-საუკუნის გასაყარზე იმყოფება.

ამ საკითხებს ასევე გვერდს ვერ უვლის მუნიციპალური დონე. ეს უკანასკნელი პროვინციებზე მეტად სარგებლობს უმნიშვნელო დეცენტრალიზაციის მოძრაობით, რომელიც უკვე რამდენიმე წელია რაც დაიწყო. ეს ევოლუცია, მიუხედავად შეზღუდულობისა, ორი ფორმითაა გამოხატული. ერთი მხრივ, გაფართოვდა მუნიციპალიტეტების ავტონომიური კომპეტენციების სფეროები. 1980-იან წლებამდე ადგილობრივ დონეზე მიღებული გადაწყვეტილებები ძირითადად, მიზნად ისახავდა ნაციონალური ხელისუფლების ორგანოების მიერ მიღებული რეგლამენტაციებისა და კანონმდებლობების ადგილობრივი დონისთვის მისადაგებას. შემდეგ, მუნიციპალიტეტებს თანდათანობით ქმედების ისეთი სფეროები გადაეცათ, რომლებშიც ისინი მთავარ როლს ასრულებენ თავიანთ ტერიტორიაზე (სპორტული და კულტურული საქმიანობები, მშენებლობა. . .). მათი გავლენა არ შემოიფარგლება მხოლოდ VNG-ს (ნიდერლანდის კომუნების გაერთიანება) ძლიერი ლობინგით მთავრობის წინაშე. მუნიციპალიტეტებისთვის მიკუთვნებული მანევრირების შესაძლებლობა საკმარისია იმისათვის, რომ მათ პირდაპირ თავიანთ კომუნებში შეძლონ გადაწყვეტილების მიღება. მეორე მხრივ, ასევე ადგილი აქვს გარკვეულ ფინანსურ დეცენტრალიზაციას. ისტორიულად, კომუნები ძალზე დამოკიდებულნი იყვნენ ნაციონალური მთავრობის მიერ ბოძებული სუბსიდიებისგან (საშუალოდ, თავიანთი ბიუჯეტის 70%). ამჟამად, მიუხედავად იმისა, რომ ეს სუბსიდიები მნიშვნელოვანია (40%-მდე), ძალზე გაიზარდა ადგილობრივი შესაკრების წილი უფრო ფართო ქმედების შესაძლებლობის გამო ამ სფეროში. კომუნებს ამით ფინანსურად არ მოუგიათ, მაგრამ მათი ავტონომია გაიზარდა აღნიშნული ცვლილების შედეგად[191].

ინსტიტუციონალურ ასპექტში ადგილობრივი ხელისუფლება ასევე ღრმა ცვლილებების წინაშე დგას. ტრადიციულად, ნიდერლანდის მუნიციპალიტეტები დუალურ სტრუქტურაში არიან ჩამოყალიბებულნი. თანაარსებობს პირდაპირ არჩეული პოლიტიკური ხელისუფლება, რომლის ცენტრალური ფიგურებია მუნიციპალური საბჭო და ბურგომისტრის მოადგილეები და მთავრობის მიერ არჩეული ადმინისტრაციული ხელისუფლება, რომელსაც სათავეში ბურგომისტრი (მერი) უდგას. ამგვარად, მოქალაქეები ირჩევენ მუნიციპალურ საბჭოს, რომელიც თავად ირჩევს ბურგომისტრის მოადგილეებს. ამ უკანასკნელთა მოვალეობაში შედის მუნიციპალური საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულება და ისინი ადგილობრივი ასამბლეის წინაშე არიან პასუხისმგებელნი. ამავე დროს, ბურგომისტრების მოადგილეების აღნიშნული მოვალეობები მათ ბურგომისტრთან ერთად ძალაუფლების განაწილების შესაძლებლობას აძლევს. ბურგომისტრი პირველ ყოვლისა, ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელია ადგილობრივ დონეზე. ზოგადად, მერი კომუნისთვის უცხო პიროვნებაა, რომელიც დანიშნულია ან ტექნიკური კომპეტენციის გამო ან იმიტომ რომ ნაციონალური მასშტაბის პოლიტიკური ფიგურაა და მომავალში დიდი ქალაქის ბურგომისტრობა (მერობა) სურს. მისი ძირითადი მოვალეობაა მუნიციპალიტეტში ნაციონალური კანონების ცხოვრებაში სრულად გატარება. ამგვარად, რეჟიმი ჰიბრიდულია, რადგან ადგილი აქვს თანამშრომლობას პოლიტიკური ხელისუფლების კოლეგიალურ მართვასა (მუნიციპალური საბჭო და ბურგომისტრის მოადგილეები) და ადმინისტრაციულ ხელისუფლებას შორის, რომელსაც ბურგომისტრი უდგას სათავეში, როგორც მუნიციპალური მენეჯერი. ამ ჰიბრიდულ რეჟიმს განსხვავებული შედეგები აქვს იმისდა მიხედვით საქმე ეხება დიდ ქალაქსა თუ პატარა ქალაქს. პატარა კომუნებში, ბურგომისტრი სრული სამუშაო დროით კომუნის საქმეებითაა დაკავებული, რადგან ნაციონალურმა მთავრობამ იგი სწორედ ამ მიზნით დანიშნა თანამდებობაზე. ბურგომისტრი თავის მოადგილეებზე და საბჭოზე დომინირებს. დიდ ქალაქებში ბურგომისტრის მოადგილეები თავიანთ მანდატს ასევე სრული სამუშაო დროით ასრულებენ და მნიშვნელოვან პოლიტიკურ ფიგურებს წარმოადგენენ. ამ უკანასკნელთ ბურგომისტრზე უპირატესი პოზიცია უკავიათ, რომელიც უბრალო ადმინისტრაციული აგენტია.

ამავე დროს, ახლახან მომხდარმა გარკვეულმა ევოლუციებმა ადგილობრივი ინსტიტუციონალური მოდელი კითხვის ქვეშ დააყენა. პირველ ყოვლისა, იმ მიზეზით, რომ მუნიციპალური საბჭო ფორმალურად ცენტრალური დემოკრატიული ხელისუფლებაა, ხშირ შემთხვევაში კი, ფაქტობრივი უპირატესობა ბურგომისტრის მოადგილეებსა და ბურგომისტრს აქვთ. ისინი აშკარად დომინირებენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მუნიციპალიტეტის დონეზე. სხვათა შორის. შეინიშნება მოქალაქეთა ინტერესის კლება ადგილობრივი პოლიტიკის მიმართ.

---

191 Andeweg, Rudy B, and Irwin, Galen A., *op. cit.*, p. 179.

სავალდებულო ხმის მიცემის გაუქმების შემდეგ, მუნიციპალურ არჩევნებში მონაწილეობის პროცენტი დაახლოებით 60%-მდე შემცირდა. ამ ევოლუციამ ნიდერლანდის მთავრობებს ადგილობრივი ხელისუფლების სტრუქტურის გადახედვისკენ უბიძგა. როგორც უკვე ავღნიშნეთ, განხილული ზომებიდან ერთ-ერთს ბურგომისტრების პირდაპირი არჩევნები წარმოადგენს.[192] განსაკუთრებით, მემარცხენე პარტიები დანიშვნის სისტემას არქაულად განიხილავენ და მოითხოვენ პირდაპირი სახალხო ლეგიტიმურობის მინიჭებას იმ პიროვნებისთვის, რომელიც ხშირად ყველაზე მნიშვნელოვანი აქტორია მუნიციპალურ დონეზე. მეორე ალტერნატიულ გზად განიხილება არჩეული მუნიციპალური საბჭოს და ბურგომისტრებისა და ბურგომისტრის მოადგილეების კოლეგიის უფრო აშკარა გამიჯვნა. პირველს ექნებოდა გაძლიერებული კოლეგიის გაკონტროლების უფლებამოსილებები, ხოლო ადგილობრივი ხელისუფლება უფრო გამიჯნული იქნებოდა მუნიციპალური საბჭოსაგან (ბურგომისტრის მოადგილეები ვეღარ დარჩებოდნენ საბჭოს წევრებად). ეს უკანასკნელი მოდელი ნაწილობრივ იქნა ამოქმედებული 2002 წელს.[193] ორივე გზა (ბურგომისტრის პირდაპირი არჩევნები და მუნიციპალური სისტემის დუალისტური ხასიათის გაძლიერება) დიამეტრალურად საპირისპიროა, მაგრამ ნათლად გვიჩვენებს, რომ ნიდერლანდის რეჟიმი ამ ასპექტშიც, ახალი იდენტობის ძიებაშია.

ახალი კოალიციების წარმატება

რაც შეეხება ნიდერლანდის აღმასრულებელ ხელისუფლებას, XX საუკუნის ნახევარზე მეტ ხანს, ის ორი იდეით შემოიფარგლებოდა: კოალიციები და ქრისტიან-დემოკრატია. კოალიციები იყვნენ და რჩებიან ნიდერლანდის წესად 1918 წლიდან.[194] აღნიშნულიდან სამი გამონაკლისია ხანმოკლე ერთპარტიული მთავრობები, რომლებიც ერთგვარ შუალედს წარმოადგენდნენ მთავრობის დაშლასა და ვადამდელი არჩევნების ჩატარებას შორის.[195] ამგვარი მდგომარეობა არაა გასაკვირი ღრმად გახლეჩილ საზოგადოებაში, რომელშიც საარჩევნო სისტემა უკიდურესი პროპორციული წარმომადგენლობითაა აღბეჭდილი. ორივე ელემენტის შეხამება კოალიციების არსებობას თითქმის სავალდებულო ხასიათს ანიჭებს. გარდა ამისა, შერეული აღმასრულებელი ხელისუფლებები კონსოციაციური ლოგიკის ერთ-ერთ შემადგენელს წარმოადგენდნენ, რომელიც მოითხოვს ხელისუფლების გადაცემას არა ერთი საყრდენისთვის, არამედ მის განაწილებას სხვადასხვა ბანაკებს შორის.

ნიდერლანდის მთავრობების მეორე მახასიათებელს ხელისუფლებაში ქრისტიან-დემოკრატიული პარტიების, განსაკუთრებით კი კათოლიკური პარტიების მუდმივი არსებობა წარმოადგენდა. 1945 წლიდან 1994 წლამდე KVP (კათოლიკური სახალხო პარტია), შემდეგ კი მისი მემკვიდრე CDA (ქრისტიან-დემოკრატიული ალიანსი) მუდმივად იყვნენ წარმოდგენილნი ნიდერლანდის აღმასრულებელ ხელისუფლებებში (იხ. ტაბულა 1). ამ პერიოდის განმავლობაში ორი ტიპის კოალიცია დომინირებდა: კონსერვატორული კაბინეტები, რომლებიც აერთიანებდნენ ერთი მხრივ, კათოლიკეებს (KVP), პროტესტანტულ პარტიებსა (CHU და ARP) და ლიბერალებს, და მეორე მხრივ, ყველაზე იშვიათ ცენტრისტულ-მემარცხენე კაბინეტებს, რომლებშიც KVP და PvdA-ს სოციალ-დემოკრატები შედიოდნენ (პროტესტანტული პარტიის სავარაუდო მხარდაჭერით).

ტაბულა № 1: ნიდერლანდის მთავრობები (1945-2006 წწ.)

პერიოდი	უმრავლესობა	საპარლამენტო სურათი
1945-1946 წწ.	PvdA-KVP-ARP	*
1946-1948 წწ.	PvdA-KVP	61,0
1948-1952 წწ.	PvdA-KVP-CHU-VVD	89,0
1952-1958 წწ.	PvdA-KVP-CHU-ARP	81,0
1958-1959 წწ.	KVP-CHU-ARP	85,0
1959-1965 წწ.	KVP-CHU-ARP-VVD	62,6
1965-1966 წწ.	PvdA-KVP-ARP	70,6

192 Magre, Jaume and Bertrana, Xavier, „Exploring the limits of institutional change : the direct election of mayors in Europe", *Local government studies*, vol. 33, n° 2, 2007, pp. 181-194.

193 Denters, Bas, „Squandering away Thorbecke's legacy. Some considerations on recent Dutch local government reforms", in Reynaert, Herwig, Steyvers, Kristof, Delwit, Pascal et Pilet, Jean-Benoit (eds.), *Revolution or Renovation? Reforming Local Politics in Europe*, Vanden Broele, Brugge, 2005.

194 Müller, Wolfgang C. and Strøm; K. (eds.), *Coalition Governments in Western Europe*, Oxford University Press, Oxford, 2000.

195 Woldendorp, Jan, Keman, Hans and Budge, Ian, *Paty government in48 democracies* (1945-1998) : Composition, Duration, Personnel, Kluwer, Dordrecht, 2000.

1966-1967 წწ.	KVP-ARP	42,0
1967-1973 წწ.	KVP-CHU-ARP-VVD	57,3
1973-1977 წწ.	PvdA-KVP-ARP-D66-PPR	64,6
1977-1981 წწ.	CDA-VVD	51,3
1981-1982 წწ.	PvdA-CDA-D66	72,6
1982 წ.	CDA-D66	43,3
1982-1989 წწ.	CDA-VVD	54,0
1989-1994 წწ.	PvdA-CDA	68,6
1994-2002 წწ.	PvdA-VVD-D66	64,6
2002-2003 წწ.	CDA-VVD-LPF	62,0
2003-2006 წ	CDA-VVD-D66	52,0
2006 წ.-	CDA-PvdA-CHU	53,3

პარტიული ნიშნით მიმხრობის სისტემის მსგავსად, სამთავრობო კოალიციების ლოგიკა შერყეული იქნა 1970-იანი წლების დასაწყისში. ამ დროს, საყრდენის დაშლის პროცესმა და ახალი პარტიების გაძლიერებამ ახალი კოალიციების პერიოდს გაუკვალა გზა, რომლებიც დღესაც არსებობენ. პირველი მათგანი 1973 წელს შეიქმნა, რომელშიც PvdA, KVP, ARP-ი (ანტირევოლუციური პარტია) და ორი ახალი პარტია, D66 და PPR-ი (რადიკალთა პარტია) გაერთიანდა. ამ დროიდან, D66 ნიდერლანდის მთავრობების რეგულარული აქტორი გახდა, რომელიც ყველა პარტიასთან ერთიანდებოდა: CDA 1982 წელს, PvdA 1994 წელს, შემდეგ CDA და VVD (სახალხო პარტია თავისუფლებისა და დემოკრატიისთვის) 2002 წელს. ხელისუფლების სათავეში ორ სხვა კონფიგურაციასაც ჰქონდა ადგილი. ამ კონფიგურაციიდან პირველი საერო იისფერი ალიანსია, რომელმაც 1994 წელს ხელისუფლებაში PvdA, VVD და D66 შეიყვანა, რამაც პირველად 1945 წლიდან რელიგიური პარტიები ოპოზიციაში გადაიყვანა. მთავრობების ფორმირებაში მომხდარი გადატრიალება სხვა სიახლემ შეცვალა: ალიანსი მემარჯვენე პოპულისტურ პარტიასთან. მართლაც, 2002 წელს დიდი საარჩევნო წარმატების შემდეგ, თავისი ლიდერის, პიმ ფორტუინის (მოკლული იქნა) გარეშე დარჩენილი LPF-ი მთავრობაში CDA-სა და VVD-თან ერთად შევიდა. ამგვარად, უკვე სამი ათეული წელია, რაც კოალიციების თამაში ბევრად დახვეწილია.[196] თითქმის ყველა კომბინაციის გაკეთებაა შესაძლებელი, CDA-ს გარეშე ალიანსისაც კი, როგორც ამას მოწმობს ვიმ კოკის (PvdA) მიერ მართული მთავრობები 1994-2002 წლებში.

ნიდერლანდის მთავრობებისთვის სხვა მნიშვნელოვანი ევოლუცია პრემიერ-მინისტრების როლის თანდათანობით გაზრდაში მდგომარეობს.[197] ამ ცვლილების ნიშნები უკვე 1970-1980-იანი წლებიდან შეინიშნებოდა, მაგრამ ეს ტენდენცია დღეისათვის უფრო აშკარად გამოიკვეთა. თავად პარტიებიც ცდილობენ პიროვნების გარშემო კონცენტრირებას ხან თავიანთი ლიდერის გარშემო პარლამენტში ხან კი თავიანთი ყველაზე გავლენიანი მინისტრის გარშემო. მთავრობის შიგნით აღნიშნული ვიცე-პრემიერების, განსაკუთრებით კი, პრემიერ-მინისტრის როლის გაძლიერებაში აისახება. ეს უკანასკნელი აღარ მოქმედებს როგორც შეთანხმებების ნოტარიუსი პარტიებს შორის (წინათ საყრდენებს შორის) და იგი მთავრობის ჭეშმარიტი მამოძრავებელი ძალა გახდა. პრემიერ-მინისტრი კოორდინირებას უკეთებს თავისი გუნდის წევრების ქმედებებს და მნიშვნელოვან რეფორმებს აძლევს იმპულსს. სახელდობრ, მისი როლის მნიშვნელოვანი გაზრდა კაბინეტის ექსპერტთა და მრჩეველთა გაძლიერებაში აისახება, რომლებიც მთავრობის ლიდერის გარშემო არიან გაერთიანებულნი. გარდა ამისა, მედიის ყურადღებაც ასევე პრემიერ-მინისტრის პიროვნებაზეა კონცენტრირებული. ამგვარად, ყოველ პარასკევს, ნიდერლანდის პრემიერ-მინისტრი თავის გადაწყვეტილებებს განმარტავს საღამოს სატელევიზიო ამბებში. ასევე, საარჩევნო კამპანიების განმავლობაში, უფლებამოსილებების მიწურულს მყოფ პრემიერ-მინისტრს თავის კონკურენტებთან შედარებით 20 პუნქტით მაღალი მედიაციური გაშუქება აქვს. ამ ფაქტორების ერთობლიობა ხელს უწყობს ნიდერლანდში პოლიტიკური ცხოვრების პერსონალიზაციას და გარკვეულწილად, პრემიერ-მინისტრების პრეზიდენციალიზაციას, ყოველ შემთხვევაში, ამ უკანასკნელთა უპირატესობას მთავრობის სხვა წევრებსა და მედიასთან მიმართებაში.[198]

---

196 Timmermans, Arco and Moury, Catherine, „Coalition governance in Belgium and Netherlands : Rising government stability against all electoral odds", *Acta politica*, vol. 41, n°4, 2006, pp. 389-407.

197 Fiers, Stefan and Krouwel, André, *op. cit.*

198 თუმცა, პრეზიდენციალიზაციის თეზისი არ შეესაბამება პრემიერ-მინისტრის მიერ მთავრობის წევრების დანიშვნის უფლებამოსილებას და არც ურთიერთობებს აღმასრულებელ და საკანონმდებლო შტოებს შორის.

1815 წლიდან 1830 წლამდე ბელგიასთან ეფემერული გაერთიანების დროიდან, ნიდერლანდის პარლამენტმა თავისი ორპალატიანი სტრუქტურა შეინარჩუნა. ზედა პალატა *(Eerste Kamer)* ანუ სენატი, 75 სენატორისგან შედგება, რომლებიც პირდაპირ არ არიან არჩეულნი, მაგრამ ყოველ ოთხ წელიწადში პროვინციების ასამბლეების მიერ ინიშნებიან. სამაგიეროდ, ქვედა პალატა *(Tweede Kamer)* პირდაპირი წესითაა არჩეული ყოველ ოთხ წელიწადში პროპორციული წარმომადგენლობის სიების სისტემით, რომელიც 150 დეპუტატს ირჩევს.

ეს ორპალატიანობა აშკარად ასიმეტრიულია. მართლაც, ქვედა პალატა საპარლამენტო საქმიანობის ცენტრია. სამთავრობო კოალიციებს სწორედ ქვედა პალატის უმრავლესობა აყალიბებს. ზოგადად, სენატი მხოლოდ კვირაში ერთხელ იკრიბება და სენატორები თავიანთ მანდატს სრულ სამუშაო დროს არ უთმობენ; ამ უკანასკნელთა განკარგულებაში ძალზე მცირე ადამიანური და ფინანსური რესურსია. სენატს ვეტოს დადების უფლებამოსილება აქვს ქვედა პალატის მიერ დამტკიცებულ კანონებზე. ეს უფლებამოსილება ძალზე იშვიათადაა გამოყენებული, რადგან სენატმა მხოლოდ 47 კანონი უარყო 1945-2003 წლებში. მისი საქმიანობა ამ სფეროში მნიშვნელოვან კანონებზეა კონცენტრირებული, როგორიცაა ნიდერლანდის კონსტიტუციაში რეფერენდუმის ჩართვა, რომელიც მეორე წაკითხვით იქნა უარყოფილი სენატის მიერ 2002 წელს.[199] სხვა სიმბოლური კანონებიც, როგორიცაა ევთანაზიის ან აბორტის დეკრიმინალიზაცია, ის კანონებია, რომელთაც სენატი ზედმიწევნით განიხილავს. ზედა პალატა ასევე ვეტოს უფლებას მუქარის საშუალებად იყენებს. კანონპროექტის უარყოფამდე, სენატი საქმის კურსში აყენებს მთავრობას და ამ უკანასკნელს კანონის შესწორებას სთხოვს. ამგვარად, 1945-2003 წლებში მთავრობამ 37-ჯერ უკან გაიტანა სენატში განხილული კანონპროექტი, რადგან ამ კანონის მიუღებლობის საფრთხეს გრძნობდა ამ ასამბლეაში. თუმცა, სენატმა უნდა გაითვალისწინოს ის კრიტიკა, რომელსაც ადგილი აქვს მის მიერ კანონის უარყოფისას. ამგვარად, მისი დემოკრატიული ლეგიტიმურობა და ქვედა პალატის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების უარყოფის უფლება კითხვის ქვეშაა დაყენებული. სამაგიეროდ, ქვედა პალატა პარლამენტის კლასიკური პრეროგატივების ერთობლიობას აღასრულებს საპარლამენტო რეჟიმში, როგორიცაა კანონში შესწორების შეტანა და კენჭისყრა, ისევე როგორც მთავრობის კონტროლი. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობას ფორმალურად დედოფალი ნიშნავს, მისი გადაყენება შესაძლებელია ქვედა პალატის უმრავლესობის მიერ უნდობლობის გამოცხადების საფუძველზე.

ამავე დროს, ნიდერლანდის საპარლამენტო რეჟიმის თანამედროვე ისტორიის უდიდესი ნაწილის განმავლობაში, პარლამენტი პირველ ყოვლისა, დამტკიცების ადგილს წარმოადგენდა. კონსოციაციურმა სისტემამ და მისმა კონსენსუსის მუდმივმა ძიებამ შექმნა იმგვარი მდგომარეობა, რომ გადაწყვეტილებების უმრავლესობა პარლამენტის გარეთ მიიღებოდა, მთავრობის შიგნით ან სხვადასხვა საყრდენების წარმომადგენელ პარტიებს შორის მიღწეული შეთანხმებების მეშვეობით. ამგვარად, პოლიტიკური საქმიანობა ძირითადად ექსტრასაპარლამენტო იყო და ქვედა პალატას შეზღუდული როლი ჰქონდა. გარდა ამისა, მინისტრები დიდ ყურადღებას აქცევდნენ უმრავლესობის პარლამენტარებთან კონსულტაციას ყოველგვარი მოულოდნელი სიურპრიზის თავიდან ასაცილებლად გადაწყვეტილების პარლამენტში წარდგენისას. თუმცა, ეს სურათი უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში შეიცვალა. დასაწყისისთვის, პოლიტიკური გრავიტაციის ცენტრი გადაადგილდა. საყრდენების ჩამოყალიბების პერიოდში ნიდერლანდის პოლიტიკაზე რამდენიმე ექსტრასაპარლამენტო ლიდერი დომინირებდა, რომელთა გავლენა საყდენებთან კავშირით იყო განპირობებული.[200] ამ უკანასკნელთა თანდათანობითი რყევის დროიდან, პოლიტიკური ლიდერები წარმოდგენილნი არიან ხან მთავრობაში ხან კი პარლამენტში (პოლიტიკური პარტიის ლიდერის სახით).[201] ამ ცვლილებამ საგრძნობლად შეცვალა პარლამენტის მნიშვნელობა. სხვათა შორის, 1980-იანი წლებიდან საპარლამენტო საქმიანობის გამოცოცხლება აღინიშნება, განსაკუთრებით კი მთავრობის კონტროლის საქმიანობისა. მცირდება მინისტრების ინდივიდუალური კონტროლი; სამაგიეროდ, იზრდება საგამოძიებო კომისიებისა და მინისტრებისთვის დასმული შეკითხვების რაოდენობა ამ უკანასკნელთა საქმიანობის გასაშუქებლად. პირველ ყოვლისა, იმატა საგამოძიებო კომისიების მასალებმა, რომლებშიც მთავრობის მიერ დაშვებული შეცდომებია აღნიშნული და მათ პოლიტიკური და მედიაციური გაშუქება აქვს. ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია 2001-2002 წლებში სერებრენიცაში (ბოსნია-ჰერცეგოვინა) მშვიდობის შენარჩუნებასთან დაკავშირებული ნიდერლანის სამხედრო ძალების მარცხი. გარდა ამისა, 2000 წლიდან ყოველწლიურად (მაისში) შემოღებული იქნა სპეციალური საპარლამენტო დღე, რომლის დროსაც დეპარტამენტების საქმიანობის ანგარიშები განიხილება. 2002 წლიდან, კონტროლის შესაძლებლობის გასაზრდელად ნიდერლანდის პარლამენტმა „კვლევისა და გამოძიების ბიურო" შექმნა. ყველა აღნიშნული ევოლუცია ნიდერლანდის პარლამენტის გამოცოცხლებაზე მიუთითებს.

---

199 Andeweg, Rudy. and Irwin, Galen A., *op. cit.*

200 Andeweg, Rudy. B., „Fractiocracy? Limits to the Parliamentary Party Group in Dutch Politics", in Koole, Ruud and Heidar, Knut (eds), *Parliamentary Party Groups in European Democracies*, Routledge, London, 2000.

201 Fiers, Stefan and Krouwel, André, *op. cit.*

დასკვნა

კონსენსუსი და სტაბილურობა: ეს ორი სიტყვა დიდი ხნის განმავლობაში ნიდერლანდის პოლიტიკური რეჟიმის მახასიათებელს წარმოადგენდა. მოქმედი კონსოციაციური მოდელის ძლიერმა გავლენამ, ხელისუფლების დაყოფის მრავალმა მექანიზმმა და პოლიტიკურმა ბალანსმა ნიდერლანდს მკაფიოდ განსაზღვრულ ჩარჩოში ფუნქციონირების შესაძლებლობა მისცა. ამავე დროს, 1960-იანი წლების დასასრულს, საყრდენების დაშლის პროცესი დაიწყო, რომელმაც მთელ სისტემაში ბზარი გააჩინა. ამ დროიდან, ნიდერლანდის პოლიტიკური რეჟიმი ახალი იდენტობის ძიებაშია.

პარტიული ნიშნით მიმხრობის სისტემაში განუწყვეტლივ იზრდება ახალი აქტორების რაოდენობა, რომელთა შორის უკანასნელები პოპულისტური პარტიებია (LPF და Groep Wilders). ამ ახლად გამოჩენილმა აქტორებმა ხელისუფლებაში მყოფი კოალიციების ლოგიკის ტრანსფორმაცია მოახდინეს და ახალი ალიანსების შექმნას შეუწყეს ხელი. ინსტიტუციონალურ ასპექტში, ასევე რეფორმებისთვის მზადება შეინიშნება. აღნიშნულზე მიუთითებს ხმის მიცემის რეფორმასთან, რეფერენდუმის სავარაუდო შემოღებასა და მუნიციპალური და პროვინციული პოლიტიკური ინსტიტუტების ძირეულ გარდაქმნებთან დაკავშირებული დებატები. მიუხედავად მრავალი დასახული მიზნისა, დღეისათვის მხოლოდ ძალზე მცირე მათგანის მიღწევა გახდა შესაძლებელი. ჯერ კიდევ არაა ნაპოვნი ახალი ბალანსი. ნიდერლანდელთა დიდი უმრავლესობის მიერ ევროპული კონსტიტუციის უარყოფას და იმიგრაციასთან დაკავშირებულ რთულ დებატს ამ მიმართულებით საქმე არ გაუიოლებია. აქტორები, ისევე როგორც ანალიტიკოსები, ახალი მოდელის მოლოდინში არიან, რომელიც ჩამოყალიბებას აგვიანებს.

ბიბლიოგრაფია

ANDEWEG, Rudy, B., „Fractiocracy? Limits to the Ascendancy of the Parliamentary Party Group in Dutch Politics", in Koole, Ruud and Heidar, Knut (eds.), *Parliamentary Party Groups in European Democracies*, Routledge, London, 2000.

ANDEWEG, R.B. and IRWIN, G.A., *Governance and Politics in the Netherlands*, Palgrave, London, 2-e ed., 2005. DENTERS, B., KLOK, P.J. and VAN DER KOLK, H., „*The Reform of the Political Executive in Dutch Local* Government", in Rikke B. and Nirmala, R., *Transforming Political Leadership in Local Government*, Palgrave MacMillan, London, 2005.

FIERS, S. and KROUWEL, A., „The Low Countries: From Prime Minister to Minister-President?", Webb, P. and Poguntke, T., *The Presidentialisation of Politics in Democratic Societies*, Oxford University Press, Oxford 2004, pp. 126-156.

MÜLLER, Wolfgang C. and STRØM; K. (eds.), *Coalition Governments in Western Europe*, Oxford University Press, Oxford, 2000.

თავი XVII

პოლონეთი

იაცეკ რაციბორსკი

შესავალი

პოლონეთს შედარებით ხანგრძლივი სახელმწიფო ისტორია აქვს. მისი სუვერენული სახელმწიფოს საფუძვლები XI საუკუნის დასაწყისიდან იღებს სათავეს და აპოგეას XV– XVI საუკუნეებში აღწევს იაგელონთა დინასტიის პერიოდში „დიდგვაროვანთა დემოკრატიის" შექმნის დროს. საქმე ეხებოდა სხვა ევროპული ქვეყნებისგან განსხვავებულ პოლიტიკურ სისტემას. ეს უკანსკნელი მონარქიის უფლებამოსილებების მკაცრ საზღვრებს ადგენდა დიდგვაროვანთა სასარგებლოდ, რომლებიც მოსახლეობის დაახლოებით 10%-ს შეადგენდნენ. ეს სახელმწიფო XVIII-ის დასასრულს დაიშალა სხვადასხვა მიზეზთა გამო, რომელთაგან მთავარი იყო პოლონეთის მეზობლების, რუსების, პრუსიელებისა და ავსტრიელების მტრული განწყობა და ამ უკანასკნელთა მიერ ქვეყნის დაყოფაზე შეთანხება. პოლონურ ისტორიოგრაფიაში პერიოდი, რომელიც 1795 წელს ტერიტორიის საბოლოო განაწილებით სრულდება „პოლონეთის პირველ რესპუბლიკადაა" ცნობილი. 1918 წელს პირველი მსოფლიო ომისა და რუსეთში ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ, პოლონეთმა კვლავ აღადგინა თავისი დამოუკიდებლობა და დემოკრატიული რესპუბლიკა გახდა, რომლის სუვერენიტეტი 1919 წლის ვერსალის ხელშეკრულებით იქნა დამტკიცებული. ამავე წელს ჩატარებულმა თავისუფალმა არჩევნებმა (რომლებშიც ქალებს ხმის მიცემის უფლება ჰქონდათ) ახალი სახელმწიფოს დემოკრატიული ხასიათი აჩვენა. თუმცა, დემოკრატია მხოლოდ 1926 წლის სახელმწიფო გადატრიალებამდე გაგრძელდა, რომელიც ეტაპობრივად პილსუდსკის ავტორიტარული რეჟიმის დამკვიდრებით დასრულდა. ეს რეჟიმი უფრო მეტად ზომიერ სისტემას წარმოადგენდა, რომელიც პლურალიზმის გარკვეულ ელემენტებს ზღუდავდა. ორ მსოფლიო ომს შორის არსებული პერიოდი მეორე რესპუბლიკის სახელითაა ცნობილი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში დასრულდა. გარკვეულწილად, პოლონეთის სახელმწიფომ გადარჩენა შეძლო: გადასახლებაში მყოფი ლეგიტიმური მთავრობა საქმიანობას არ წყვეტდა თავდაპირველად, საფრანგეთში შემდეგ კი დიდ ბრიტანეთში. ამ მთავრობას სამხედრო ერთეულები უჭერდნენ მხარს, რომლებიც პოლონეთის დასავლეთის მოკავშირეების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე მოქმედებდნენ. გარდა ამისა, ოკუპირებული პოლონეთის იატაკქვეშა წინააღმდეგობის სტრუქტურები ერთგვარად „იატაკქვეშა სახელმწიფოს" წარმოადგენდნენ, რომლებშიც ანგარიშგასაწევი პოლიტიკური ძალები იყვნენ ჩართულნი.

ომის შემდგომმა გეოგრაფიულმა სიტუაციამ და იალტის შეთანხმებებმა პოლონეთი, დანარჩენი ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის მსგავსად, საბჭოთა გავლენის ქვეშ მოაქცია, რომელიც კომუნისტური რეჟიმის დამკვიდრებით გამოვლინდა მიუხედავად თავდაპირველი სამხედრო და სოციალური წინააღმდეგობისა. ომის პერიოდისა და მისი დასრულების შემდგომი პირველი წლების წინააღმდეგობის ტრადიცია (1945 წლიდან 1947 წლამდე ათასობით ადამიანი გარდაიცვალა შიდა ბრძოლებში) თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრების გაგების ძირითად ელემენტებს გვთავაზობს, ისევე როგორც ფრანგული წინააღმდეგობის მოძრაობა და შარლ დე გოლის საქმიანობა ომის პერიოდში ძირითად მინიშნებებს გვაძლევს თანამედროვე საფრანგეთის აღსაქმელად. თუმცა, საბოლოოდ, წინააღმდეგობის მოძრაობა ჩახშობილი იქნა და ახლად აღმოცენებული პოლონური სახელმწიფო სსსრკ-ზე დამოკიდებული გახდა. ამავე დროს, ამ ქვეყანას საერთაშორისო აღიარება ჰქონდა. მოქმედმა პოლიტიკურმა რეჟიმმა ერთდროულად ევოლუცია განიცადა შიდა და საერთაშორისო გავლენის ქვეშ თითქმის ტოტალიტარული მოდელის მქონე სახელმწიფოდან (1950-1956 წწ.) სამხედრო ბიუროკრატიულ ავტორიტარულ რეჟიმამდე 1981-1989 წლების განმავლობაში.[202]

1980 წლის გაფიცვების შემდეგ, ფართო სოციალური ფესვების მქონე „სოლიდარობის" მოძრაობის შექმნა კომუნისტური სახელმწიფოს დასრულების მომასწავებელი გახდა. საომარი მდგომარეობის კანონის შემოღება პირდაპირ „სოლიდარობისთვის" იყო გამიზნული, რომელიც დამარცხებული იქნა შიდა სამოქალაქო ანარქიითა და საბჭოთა ინტერვენციის შემოჭრის მუქარით. ამ გადაწყვეტილებამ პოლონური საზოგადოების ღრმა გახლეჩა გამოიწვია მის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის. თუმცა, „სოლიდარობის" მოძრაობა სავსებით არ დაშლილა მიუხედავად ომისა, რომ ის კანონგარეშედ იქნა გამოცხადებული და რეპრესიის ობიექტი გახდა. დასუსტებულიც კი, ეს მოძრაობა თავის პოლიტიკურ აქტიურობას აგრძელებდა კომუნისტ ხელისუფალთა წინააღმდეგ. კომუნისტური პარტია – PZPR – ასევე იდეოლოგიურ და ორგანიზაციულ კრიზისს განიცდიდა, რომელმაც მისი

202 პოლონეთის პოლიტიკური სისტემის აღწერისთვის მისადაგებული კატეგორიები წარმოდგენილია ხუან ლინცის ავტორიტარული და ტოტალიტარული რეჟიმების თეორიაში, იხ. Linz (1975), „Totalitarian and Authoritarian Regimes," in : *Handbook of Political Science*, vol. 3, Addison Wesley Publishing Company, trad. fr. Armand Colin, 2006.

ძალაუფლება და გავლენა დაასუსტა. გენერალ იარუზელსკის გუნდმა ეკონომიკური რეფორმის გატარება დაიწყო, მაგრამ მან ხელი ვერ შეუწყო საერთო სიტუაციის გაუმჯობესებას.

ჩიხიდან გამოსვლის მიზნით იარუზელსკის მთავრობამ „სოლიდარობასთან" დისკუსიები გამართა. აღნიშნული საბოლოოდ, „მრგვალი მაგიდის" დისკუსიებით დასრულდა, რასაც 1989 წლის ივნისში ნაწილობრივ თავისუფალი არჩევნების ჩატარება მოჰყვა, რომელიც „სოლიდარობამ" მოიგო.[203] სწორედ ეს გახდა დემოკრატიის აღორძინების მომენტი პოლონეთში. აღსანიშნავია იმ დროის საერთაშორისო სიტუაცია: სსრკ-ში გორბაჩოვის მიერ დაწყებული პოლიტიკის ცვლილების (გლასნოსტი და პერესტროიკა) გარეშე პოლონეთში ავტორიტარული რეჟიმის დემოკრატიაზე მშვიდობიანი გადასვლა შეუძლებელი იქნებოდა ან ის საგრძნობლად შენელდებოდა. *ელიტების სტაბილიზაციაზე* დაფუძნებულმა ანტიკომუნისტური ოპოზიციის ხელისუფლებისკენ მიმავალმა მშვიდობიანმა გზამ შემდგომი ევოლუციური ცვლილებების პოლიტიკის ასპარეზი მოამზადა მემარცხენე დემოკრატიული ალიანსისა (SLD) და კომუნისტური პარტიის ნანგრევებზე ჩამოყალიბებული სოციალ-დემოკრატიული პარტიისთვის – პოლონეთის მშრომელთა გაერთიანებული პარტია (PZPR).

პოლიტიკური რეჟიმი

პოლონეთს ორპალატიანი პარლამენტი და დუალისტური აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურა აქვს. *ქვედა პალატა, სეიმი* 460 წევრისგან შედგება, ზედა პალატა, სენატი კი 100 წევრისგან. პრაქტიკისა და ასევე 1997 წლის კონსტიტუციის შესაბამისად, *სეიმი* მთავარ როლს ასრულებს საკანონმდებლო პროცესში, მთავრობის ფორმირებასა და ამ უკანასკნელის საქმიანობის კონტროლში. სენატის მანდატი მჭიდროდაა დაკავშირებული სეიმის ფუნქციონირების ციკლებთან. *სეიმის* მანდატის შეზღუდვა ავტომატურად იწვევს სენატის მანდატის შეზღუდვას. სენატის ყველაზე მნიშვნელოვან უფლებამოსილებებში შედის *სეიმის* მიერ მიღებულ საკანონმდებლო წინადადებებში შესწორებების შეტანა. *სეიმის* მხრიდან ამ შესწორებების უარყოფის შემთხვევაში, კანონპროექტი აბსოლუტურ უმრავლესობას მოითხოვს მეორე კენჭისყრის დროს. სენატს ასევე შეუძლია კანონპროექტების ინიცირება და გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობა ხელისუფლების გარკვეული ორგანოების შემადგენლობასთან დაკავშირებით. სეიმი და სენატი ასევე იკრიბება როგორც ეროვნული ასამბლეა. ამავე დროს, ამ ინსტიტუტის კომპეტენციები უმნიშვნელოა. სენატის ყველაზე მნიშვნელოვანი უფლებამოსილებაა პრეზიდენტის დადანაშაულების უფლება.

პრეზიდენტი და მთავრობა

ძალზე რთულია პოლონეთის მმართველობის სისტემის წარმოდგენა ტრადიციული დიქოტომიური კატეგორიების გამოყენებით პრეზიდენტის ინსტიტუტსა და პარლამენტარიზმს შორის. კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფოს აღმასრულებელი ხელისუფლება პრეზიდენტისა და მინისტრთა საბჭოს (პოლონეთის მთავრობა) ხელშია მოქცეული. პრეზიდენტი ხუთი წლის ვადითაა არჩეული საყოველთაო და პირდაპირი არჩევნების ჩარჩოში. თუმცა, მისი *დე ფაქტო* ძალაუფლება ბევრად ნაკლებია ვიდრე საპრეზიდენტო სისტემაში. სწორედ პრეზიდენტი ნიშნავს პრემიერ-მინისტრებსა და სხვა მინისტრებს პრემიერ-მინისტრის მოთხოვნით. მაგრამ მთავრობის დასამტკიცებლად აუცილებელია *სეიმის* ნდობის მოპოვება მიცემული ხმების აბსოლუტური უმრავლესობით. პრეზიდენტის მთავარ უფლებამოსილებებს შორისაა ვეტოს უფლება პარლამენტის მიერ მიღებულ კანონპროექტებზე. პრეზიდენტის მიერ უარყოფილი კანონპროექტის მიღებისთვის ამ უკანასკნელს კენჭი უნდა უყაროს *სეიმის* დეპუტატთა სამმა მეხუთედმა. პრეზიდენტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ძირითადი სახელმწიფო ორგანოების შემადგენლობასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებაში. იგი შეიარაღებული ძალების მთავარსარდალია და მნიშვნელოვან როლს ასრულებს საგარეო პოლიტიკის საქმეებში. პრეზიდენტის განკარგულებაშია ასევე მრავალი ინსტრუმენტი, რომელთა მეშვეობით იგი გავლენას ახდენს საზოგადოებრივ აზრზე. გარდა ამისა, უგულებელსაყოფელი არაა ის პრივილეგიები, რომლებიც პრეზიდენტს როგორც სახელმწიფო მეთაურს გააჩნია. პრეზიდენტის საპატიო მოვალეობების უმრავლესობა მას მნიშვნელოვანი საჯაროობით უზრუნველყოფს.

ამავე დროს, პოლონეთის სისტემაში აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზე, სწორედ მინისტრთა საბჭო ასრულებს ფუნდამენტურ როლს, განსაკუთრებით კი პრემიერ-მინისტრი. 1997 წლის კონსტიტუციამ უფრო მეტად გააძლიერა მთავრობა პარლამენტისა და პრეზიდენტის საზიანოდ. სამართლებრივი ჩარჩოების თვალსაზრისით, პოლონეთის სისტემა ახლოს დგას საპარლამენტო მმართველობის სისტემასთან, რომელიც უფრო მეტად გერმანიის სახელმწიფო კანცელარიის მოდელს შეესაბამება. კონსტიტუციის მრავალი ასპექტი მთავ-

---

203 „მრგვალი მაგიდის" მოლაპარაკებებთან და მათ შედეგებთან დაკავშირებული დეტალური ანალიზი იხ. : Marjorie Castle (2003), *Triggering Communism's Collapse. Perception and Power in Poland's Transition*, Lanham-Boulder-New York-Oxford: Rowman & Littlefield Publishers, Inc./ იხ. ასევე : Gut Hermet, „La démocratisation à l'aimable : de l'Espagne à la Pologne," *Commentaire* 13 (50), été 1990 : 279-286.

რობისა და პრემიერ-მინისტრის როლთან მიმართებაში, პირდაპირ გერმანული კონსტიტუციიდანაა ნასესხები. პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან გადაყენება შესაძლებელია მხოლოდ სეიმის კონსტრუქციული უნდობლობის კენჭისყრის აბსოლუტური უმრავლესობით (ან მისი ნებაყოფლობითი გადადგომით). პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან გადაყენება იმავდროულად მინისტრთა საბჭოს გადადგომასაც ნიშნავს. ფორმალურად, პრემიერ-მინისტრს აბსოლუტური თავისუფლება აქვს სამთავრობო სტრუქტურების ფორმირებასა და მთავრობის წევრების შერჩევაში. პრაქტიკაში, მან საპარლამენტო უმრავლესობასთან უნდა ითანამშრომლოს, რომელიც ჩვეულებისამებრ, კოალიციითაა წარმოდგენილი. აღსანიშნავია მთავრობის მნიშვნელოვანი გავლენა პარლამენტის საქმიანობაზე და სწორედ ისაა კანონპროექტების უმრავლესობის ინიციატორი. გარდა ამისა, მხოლოდ მინისტრთა საბჭოს შეუძლია ბიუჯეტის შედგენა. მთავრობის განკარგულებაშია სრულყოფილი ადმინისტრაციული აპარატი, რომელშიც 100 000-ზე მეტი ადამიანი მუშაობს (რეგიონალური და ადგილობრივი ადმინისტრაციის ჩათვლით).

1989-2005 წლებში გაჩნდა სტრუქტურული ხასიათის კონფლიქტი პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის. ამ კონფლიქტის ინტენსიურობა იცვლებოდა არა მხოლოდ სამართლებრივ ჩარჩოში, არამედ ასევე დაპირისპირებულ პარტნიორთა პოლიტიკური ძალის მიხედვით. პრაქტიკაში, აღნიშნულმა რყევა გამოიწვია პოლონეთის მმართველობის სისტემაში: ნახევრად საპრეზიდენტო სისტემასა (საფრანგეთის სისტემის მიხედვით) და საპარლამენტო მმართველობის სისტემას შორის. პირველმა არჩეულმა პრეზიდენტმა ლეხ ვალენსამ, გადამწყვეტი როლი ითამაშა პოლიტიკის მრავალ სფეროში თავისი პირადი ავტორიტეტისა და არსებული პარლამენტის ფრაგმენტაციის გამო. შემდეგ, 1993-1995 წლების თანაარსებობის (სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულების მქონე მთავრობისა და სახელმწიფოს მეთაურის თანაარსებობა) პერიოდში, პრეზიდენტის გავლენა პოლიტიკურ პროცესზე შესუსტდა. ალექსანდრე კვაშნევსკი ძლიერ პრეზიდენტს წარმოადგენდა, განსაკუთრებით თავისი პოპულარობისა და წარსულში მემარცხენე დემოკრატიული ალიანსის ((SLD) ლიდერად ყოფნის გამო. ამგვარად, 1995 წლიდან 1997 წლამდე, პოლიტიკურმა სისტემამ ხელახლა მიიღო ნახევრად საპრეზიდენტო ფორმა. ამ დროიდან მოყოლებული, „საარჩევნო აქცია სოლიდარობა"-სთან (AWS) თანაარსებობის წლებმა კიდევ ერთხელ დაასუსტა პრეზიდენტის როლი. მიუხედავად ამ ზოგადი დასუსტებისა, კვაშნევსკი ძლიერი საპარლამენტო ოპოზიციის მხარდაჭერით სარგებლობდა. მას ძალზე კარგი საერთაშორისო პოზიცია ეკავა და შესანიშნავი პოლიტიკური ალღო ჰქონდა. ამგვარად, „საარჩევნო აქცია სოლიდარობის" პერიოდში იგი მხოლოდ სახელმწიფოს ტრადიციულ მეთაურს არ წარმოადგენდა. 2001 წლის არჩევნების შემდეგ ჩამოყალიბებული სისტემა შეიძლება „მერყევი" საპარლამენტო მმართველობის სისტემად იქნეს განხილული. მემარცხენე დემოკრატიული ალიანსის (SLD) ლიდერი ლეშეკ მილერი, რომელიც პრემიერ-მინისტრი გახდა 2001 წელს, არ იზიარებდა პრეზიდენტის ამბიციებს მთავრობის საქმიანობაზე გავლენის მოხდენასთან მიმართებაში. ორივე ერთი და იგივე პოლიტიკური ჯგუფის წევრი იყო და მიუხედავად ყველაფრისა, ისინი ერთმანეთს ხშირად უპირისპირდებოდნენ ძალაუფლების თავიანთი შესაბამისი სფეროების გამო, რაც მილერის მთავრობის დაშლის ერთ-ერთი მიზეზი გახდა საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი წლით ადრე. აღნიშნულის შემდეგ, ერთდროულად ჩატარებულმა საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებმა გამარჯვება პარტია კანონსა და სამართალს (PiS) მოუტანა, რასაც უპრეცედენტო სიტუაცია მოჰყვა: ლეხ კაჩინსკი პრეზიდენტად იქნა არჩეული, რამდენიმე თვის შემდეგ კი მისი ტყუპისცალი ძმა, იაროსლავ კაჩინსკი პრემიერ-მინისტრი გახდა. ეს უკანასკნელი პარტიის ლიდერი იყო მისი შექმნის დღიდანვე.[204] ამგვარად, მოსალოდნელი იყო უნიტარული აღმასრულებელი ხელისუფლებისა და პრაქტიკაში, დუალისტური პრინციპის შეზღუდვა.

ცხრილი №1: პოლონეთის პრეზიდენტები

ვოიცეხ იარუზელსკი	VII 1989 წ. —XII 1990 წ.	დანიშნული ეროვნული ასამბლეის მიერ
ლეხ ვალენსა	XII 1990 წ. – XII 1995 წ.	
ალექსანდრე კვაშნევსკი	XII 1995 წ. – XII 2000 წ.	
ალექსანდრე კვაშნევსკი	XII 2000 წ. – XII 2005 წ.	
ლეხ კაჩინსკი	XII 2005 –	

204 იაროსლავ კაჩინსკი პრემიერ-მინისტრი გახდა კანონისა და სამართლის პარტიის მთავრობის ინვესტიტურიდან დაახლოებით ექვსი თვის შემდეგ. ამ პარტიას სათავეში ჩაუდგა კაზიმირ მარცინკევიჩი, რომელსაც კაჩინსკიზე ნაკლები ავტორიტეტი ჰქონდა პარტიის დონეზე.

ცხრილი № 2 : 1989-2006 წლების პერიოდის პრემიერ-მინისტრები

პრემიერ-მინისტრი	პრემიერ-მინიტრის პარტია	მანდატის პერიოდი	სამთავრობო კოალიციის პარტიები	შენიშვნები
ტადეუშ მაროვეცკი	სოლიდარობა	IX 1989 წ. – -XII 1990 წ.	სოლიდარობა: გლეხთა გაერთიანებული პარტია (ZSL)/ პოლონეთის გლეხთა პარტია (PSL) ; დემკრატიული პარტია (SD)	„სოლიდარობა“ პოლიტიკური მოძრაობა იყო
იან. კ. ბელეცკი	ლიბერალურ-დემოკრატიული კონგრესი (KLD)	1 1991 – XII 1991 წ.	ფორმალური სამთავრობო კოალიციის გარეშე, მთავრობა სოლიდარობის ბანაკის პარლამენტართა უმრავლესობის მხარდაჭერით ფუნქციონირებდა	მთავრობა ჩამოყალიბდა და ფუნქციონირებას აგრძელებდა პრეზიდენტ ვალენსას მხარდაჭერით
იან ოლზეკი		XII 1991 წ.– 5 VI 1991 წ.	ოთხი მემარჯვენე პარტიის კოალიცია	გარდა ამისა, სეიმში მთავრობას ცენტრისტულ-მემარჯვენე პარტიები უჭერდნენ მხარს
ვალადემარ პავლაკი	პოლონეთის გლეხთა პარტია (PSL)	5 VI 1991 წ. – 10 VII 1991 წ.		მან ვერ შეძლო მთავრობის ფორმირება
ჰანა სუჩოკა	დემოკრატიული კავშირი (UD)	VII 1991 წ. – X 1993 წ.	შეიქმნა შვიდი პარტიის კოალიცია, რომელიც სოლიდარობის მემკვიდრე გახდა	
ვალდემარ პავლაკი	პოლონეთის გლეხთა პარტია (PSL)	X 1993 წ. – III 1995 წ.	მემარცხენე დემოკრატიული ალიანსი(SLD); პოლონეთის გლხთა პარტია (PSL)	1999 წლამდე SLD საარჩევნო კოალიცია იყო და არა ჰომოგენური პარტია
იოზეფ ოლეკსი	მემარცხენე დემოკრატიული ალიანსი (პოლონეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი (SdRP)	III 1995 წ.- 1 1996 წ.	SLD; PSL;	

პრემიერ-მინისტრი	პრემიერ-მინის-ტრის პარტია	მანდატის პერიოდი	სამთავრობო კოალიციის პარტიები	შენიშვნები
ვლოდზიმირ ციმოშევიჩი	მემარცხენე დემოკრატიული ალიანსი	II 1996 წ.– X 1997 წ.	SLD PSL	
ირჟი ბუზეკი	საარჩევნო აქცია სოლიდარობა (AWS)	X 1997 წ. – X 2001 წ.	AWS; გაერთიანება თავისუფლებისთვის (UW)	კოალიცია დაიშალა 2000 წლის მაისში

ლეშეკ მილერი	მემარცხენე დემოკრატიული ალიანსი	X 2001 წ.– V 2004 წ.	მემარცხენე დემოკრატიული ალიანსი (SLD); პოლონეთის გლეხთა პარტია (PSL)	კოალიცია დაიშალა 2000 წლის მაისში
მარეკ ბელკა	მემარცხენე დემოკრატიული ალიანსი	V 2004 წ. – X 2005 წ.	SLD	უმცირესობის მთავრობა
კაზიმირ მარცინკევიჩი	კანონი და სამართალი(PiS)	X 2005 წ. – VII 2006 წ.	კანონი და სამართალი, თავდაცვა (სამოობორონა); პოლონეთის ოჯახების ლიგა (LPR)	თავდაპირველად, კანონისა და სამართლის უმცირესობის მთავრობა
იაროსლავ კაჩინსკი	PiS	VII 2006 წ. -	PiS; სამოობორონა; LPR	

პოლონეთის მთავრობების ფუნქციონირების ხანგრძლივობა ძალზე ხანმოკლეა. 1989 წლიდან 2006 წლამდე, მათი საშუალო ხანგრძლივობა 17 თვეს შეადგენდა. მხოლოდ ერთმა მთავრობამ შეძლო კანონით გათვალისწინებული მანდატის განმავლობაში დარჩენა და სამინისტრო ცვლილებები კიდევ უფრო ხშირი გახდა. სამთავრობო არასტაბილურობა მრავალი ელემენტის შედეგია: განსაკუთრებით, კოალიციები, მაგრამ ასევე პარტიული სისტემა, რომელიც სუსტადაა ინსტიტუციონალიზებული, კონფლიქტების არსებობა პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის, საარჩევნო მერყეობის მაღალი დონე, პოსტკომუნისტურ და პოსტსოლიდარობის პარტიებს შორის დაპირისპირებიდან მომდინარე ძალზე დიდი დაძაბულობა. ფაქტობრივად, ეს კონფლიქტები პოლემიკით იქნა გამწვავებული, რომლის საფუძველიც სიმბოლური მნიშვნელობის მატარებელია მასში ჩართული პარტიებისთვის. როგორც ჩანს, ამ კონფლიქტების გადასაჭრელად არ არსებობს გონივრული გამოსავალი. მაგალითად, პოლემიკის თემებია: საჯარო პიროვნებებისა და მოქალაქეების სიღრმისეული შემოწმება წარსულში კომუნისტურ ხელისუფლებასთან მათი შესაძლო თანამშრომლობის გამოსააშკარავებლად (პოლონური ლუსტრაცია ან *lustracja),* ისევე როგორც საზოგადოებრივი აზრის გაყოფა პოლონეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ტრანსფორმაციის ევოლუციისა და მრგვალი მაგიდის დისკუსიების დროს მიღწეული კომპრომისების მიმართ. მთავრობების მუშაობის მცირე ხანგრძლივობას მრავალი შედეგი ჰქონდა. თუმცა, აღსანიშნავია მნიშვნელოვანი უწყვეტობა საგარეო პოლიტიკის ამოცანების საკითხში, რომელიც ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციაზე იყო მიმართული და უფრო მეტად საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკა.

გამარჯვებული პარტიების ლიდერები ყოველთვის არ ხდებოდნენ პრემიერ-მინისტრები. აღნიშნული მიგვითითებს მნიშვნელოვან დაშორებაზე, როგორც ვესტმინსტერის ტიპის დემოკრატიულ მოდელთან, ისე სხვა დემოკრატიულ მოდელებთან მიმართებაში. პრემიერ-მინისტრი ირჟი ბუზეკი (1997-2001 წწ.) არ წარმოადგენდა წამყვან ფიგურას „სოლიდარობის" მოძრაობაში, ისევე როგორც კაზიმირ მარცინკევიჩი არ იყო კანონისა და სამართლის პარტიის ლიდერი 2005 წელს. ეს სიტუაცია პოლონეთში საზოგადოებრივი აზრის გამოხატვით აიხსნება, რომელიც პოლიტიკურ სცენაზე ჩრდილში ყოფნის მიმართულებაზე მიგვანიშნებს. ამგვარად, პარტიების ლიდერები თავს იკავებდნენ პრემიერ-მინისტრის ფუნქციისგან სხვადასხვა მიზეზთა გამო, მაგრამ სისტემური შედეგები ანალოგიური იყო: ნაკლებად ტრანსპარენტული პოლიტიკური ასპარეზი და მმართველობის არაფორმალური მექანიზმების განვითარება.

საარჩევნო სისტემა და მისი შედეგები

პოლონეთში არჩევნები კონსტიტუციით გარანტირებული პროპორციული წარმომადგენლობის სისტემის შესაბამისად ტარდება 1991 წლის სეიმის მთლიანად თავისუფალი არჩევნების დროიდან. ამავე დროს, ამ სისტემის დეტალები მრავალჯერ იქნა შეცვლილი. სეიმის უკანასკნელი არჩევნები ჰონდტის სისტემის მიხედვით ჩატარდა 41 ოლქში მიცემული ხმების საფუძველზე (2001 წელს გამოყენებული იქნა სენტ-ლაგის მეთოდი). პარტიებმა 5%-იანი ბარიერი უნდა გადალახონ (8% კოალიციებისთვის) მანდატების განაწილებისთვის. ეთნიკური უმცირესობების პარტიები ამ ვალდებულებას არ ექვემდებარებიან (ეს უმცირესობები მთლიანი მოსახლეობის მხოლოდ რამდენიმე პროცენტს შეადგენს). ამგვარად, გერმანულ უმცირესობას ჩვეულებისამებრ, ორი ადგილი აქვს სეიმში. პარტიების კანდიდატურის სიები ნახევრად ღიაა იმ გაგებით, რომ ამომრჩეველი, რომელიც გარკვეულ პარტიას ირჩევს იმავდროულად პარტიული სიის საკუთარ კანდიდატზე მიუთითებს. ყველა მანდატი ოლქებისთვისაა გადაცემული. სენატის არჩევნები პლურინომინალური (2-5 ადგილი) ოლქების უმრავლესობის წესის

მიხედვით ტარდება, რომელშიც ამომრჩეველს აქვს იმდენი ხმა, რამდენი მანდატიცაა განკუთვნილი ოლქისთვის (ბლოკირების ხმის მიცემა). პრეზიდენტი საყოველთაო პირდაპირი არჩევნებითაა არჩეული მაჟორიტარული წესის თანახმად. 2000 წელს პირველად, პრეზიდენტი პირველივე ტურში იქნა არჩეული.

პირველ არჩევნებში, საარჩევნო ბარიერისა და ჰონდტის მეთოდის (1993 წ.) მიხედვით, 1991 წლამდე არსებული ფრაგმენტაცია გადალახული იქნა (1991 წელს პარლამენტში 24 პარტია შევიდა). 1993 წელს ექვსმა პარტიამ მოიპოვა მანდატი, ორმა მათგანმა კი, SLD-მ და PSL-მა ხმათა 36%, რამაც მათ ადგილების 66% მოუტანა. პრაქტიკაში, საქმე ეხებოდა საარჩევნო რეფორმით დადგენილ უმრავლესობას : ხმების 34% გადაეცა იმ პარტიებს, რომლებაც საარჩევნო ბარიერის გადალახვა ვერ შეძლეს. მემარჯვენე პარტიებმა ამ გამოცდილებიდან დასკვნები გამოიტანეს, და 1997 წლის არჩევნებში მათ „სოლიდარობის" ინიციატივით საარჩევნო ბლოკი ჩამოაყალიბეს სახელწოდებით „საარჩევნო აქცია სოლიდარობა" (AWS). AWS-მა ეს არჩევნები მოიგო თუმცა, დიდი უმრავლესობის გარეშე. 2001 წლის არჩევნებმა ასევე ვერ გამოავლინა იმგვარი გამარჯვებული, რომელიც მარტო შეძლებდა მთავრობის ფორმირებას. ზოგადად, პოლონეთის საარჩევნო კანონები არ აიოლებს ერთი პლატფორმის მქონე უმრავლესობის მთავრობის ჩამოყალიბებას. ამავე დროს, ამგვარი მთავრობების არარსებობა არაა მხოლოდ არსებული საარჩევნო კანონმდებლობის შედეგი. საარჩევნო სისტემასთან ნაწილობრივ დაკავშირებული მეორე ელემენტია პოლიტიკური პარტიების სუსტი ინსტიტუციონალიზაციის ხარისხი, რასაც მოწმობს ხშირი განხეთქილება და შერწყმა და ელექტორატის დაბალი იდენტიფიკაციის დონე პოლიტიკური პარტიებისადმი. აღსანიშნავია მერყეობის მაღალი დონე ელექტორატის პრეფერენციებში: 1997 წლისა და 2001 წლის არჩევნების მერყეობის ინდექსი, ისევე როგორც 2001 წლისა და 2005 წლისა, დაახლოებით 38%-ია. ამ ინდექსის სიდიდე მიგვითითებს პარტიული სისტემის სიმყიფის გათვალისწინების აუცილებლობაზე.

პოლონეთის პოლიტიკური პარტიები დიდი პოპულარობით არ სარგებლობენ. მათ მცირერიცხოვანი წევრები ჰყავთ: ყველაზე მნიშვნელოვან პარტიებში ათი ათასამდე წევრია, რაც ელექტორატის უმნიშვნელო პროპორციას წარმოადგენს (დაახლოებით 30 მილიონი მოქალაქისგან შემდგარი). პოლონელთა დაახლოებით 40% გამოკითხვებში აცხადებს, რომ არსებობს ერთი პარტია, რომელთანაც ისინი სიახლოვეს გრძნობენ. პოლიტიკური პარტიების მიმართ უკმაყოფილების პროცენტი იმდენად მაღალია, რომ შეიძლება ვილაპარაკოთ ანტიპარტიულობაზე. ეს პოზიციები უფრო ძლიერიაა გამოხატული, ვიდრე საბერძნეთში, იტალიაში, ესპანეთსა ან პორტუგალიაში, სადაც ეს ფენომენი ასევეა გავრცელებული.[205]

საპარლამენტო და ადგილობრივ არჩევნებში ძალზე დაბალი მონაწილეობის პროცენტი პოლონური დემოკრატიის უკიდურესად შემაშფოთებელი ინდიკატორია: ამ კუთხით, პოლონეთი ევროპის ყველზე დაბალ დონეს წარმოადგენს. საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის დონე 42%-სა და 52%-ს შორის მერყეობს, მაშინ როდესაც ადგილობრივ არჩევნებში ის 34%-სა და 44%-ს შორის ვარირებს. ამ მხრივ, არ შეიმჩნევა ზრდის არავითარი ტენდენცია და მთავარი პოლიტიკური ძალები მხარს არ უჭერენ არჩევნების ბოიკოტს. ეს პროცენტი აბსენტეიზმის ბუნებრივ ტენდენციაზე მიუთითებს, რაც მოქალაქეთა პოლიტიკური გაუცხოების მაღალ დონესა და სამოქალაქო ღირებულებებისა და პარტისიპაციული დემოკრატიის კრიზისზე მიუთითებს. საპრეზიდენტო არჩევნები ამომრჩეველთა მეტ ყურადღებას იპყრობს მეტოქეობის პერსონალური ხასიათისა და გასაგები საარჩევნო წესების გათვალისწინებით და ასევე მცდარი რწმენის გამო, რომლის თანახმად, საპრეზიდენტო არჩევნები საპარლამენტო არჩევნებზე მნიშვნელოვანია. სწორედ ამ მიზეზის გამო საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის უფრო მაღალი პროცენტია, რომელიც 52%-სა და 68%-ს შორის მერყეობს.

205 Torcal M., Gunther R., Montero J.R. (2002), Anti-party Sentiments in Southern Europe, in R. Gunther, J.R. Montero, J. Linz (eds), *Political Parties, Old Concepts and New Challenges*, Oxford : Oxford University Press.

ცხრილი №3 : მთავარი პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შედეგები

პარტია	2001 წ.		2005 წ.	
	ხმები – %	ადგილები	ხმები – %	ადგილები
მემარცხენე დემოკრატიული ალიანსი (SLD)[1]	41, 04	216	11,31	55
კანონი და სამართალი (PIS)	9,5	44	26.99	155
სამოქალაქო პლატფორმა (PO)	12,68	65	24.14	133
პოლონეთის გლეხთა პარტია (PSL)	8. 98	42	6.96	25
თავდაცვა (სამოობორონა)	10.20	53	11.41	56
პოლონური ოჯახების ლიგა (LPR)	7.87	38	7.97	34
საარჩევნო აქცია სოლიდარობა (AWS)	5.60	--	---	---
სხვები	4.13	2	11.22	2

სენატის არჩევნების შედეგები არაა ნახსენები, რადგან მათ ნაკლები პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ამავე დროს, 1977 წელს პარტიამ, რომელმაც არჩევნები მოიგო სეიმში ხმათა ძალზე მცირე განსხვავებით, აბსოლუტური უმრავლესობა მოიპოვა სენატში. ესაა სენატის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის შედეგი. ამგვარად, ყოველგვარი დაძაბულობაა მოხსნილი პარლამენტის ორ პალატას შორის.

მიუხედავად იმისა, რომ დღემდე არც ერთ პოლიტიკურ პარტიას აბსოლუტური უმრავლესობა არ მოუპოვებია სეიმში, მთავრობები შედარებითი სირთულის გარეშე ყალიბდებოდნენ. 2005 წლამდე, სამთავრობო კოალიციები იქმნებოდა ხან პოსტსოლიდარობის პარტიებს შორის, ხან პოსტკომუნისტურ პარტიებს შორის ხან კი მემარცხენე დემოკრატიულ ალიანსსა (SLD) და პოლონეთის გლეხთა პარტიის აგრარიკოსებს (PSL) შორის. ამ დრომდე, მხოლოდ ერთმა კოალიციამ მოახერხა კანონით გათვალისწინებულ ვადამდე დარჩენა (SLD-PSL 1993-1997 წლებში).

სხვა კოალიციები სწრაფად იშლებოდა და უმცირესობის მთავრობები, რომლებიც მანდატს აგრძელებდნენ, თავდაპირველი კოალიციის მმართველი პოლიტიკური პარტიისგან იქმნებოდა. 2005 წლის ბოლო არჩევნები გადამწყვეტი ცვლილებით აღინიშნა კოალიციების ფორმირების მოდელში. „სოლიდარობის" მემკვიდრე ორ პარტიას – კანონი და სამართალი და სამოქალაქო პლატფორმა – შორის კოალიციის ჩამოყალიბების მიზნით გამართული დისკუსიები ჩიხში შევიდა მიუხედავად მათი თავდაპირველი დეკლარაციებისა კოალიციის შექმნის განზრახვასთან დაკავშირებით. პარტია კანონი და სამართალი გაძლიერებული იყო საპრეზიდენტო არჩევნებში მოპოვებული წარმატებით და ამგვარად, არ იყო განწყობილი დათმობებზე წასასვლელად სხვა პარტიებთან, როგორც პროგრამის, ისე სამინისტრო პორტფელების განაწილების დონეზე. კონფლიქტი პარტიებს – კანონი და სამართალი და სამოქალაქო პლატფორმა – შორის განსაკუთრებით გამძაფრდა მნიშვნელოვანი სამინისტროების კონტროლთან დაკავშირებით: შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროები და ასევე უსაფრთხოების სამსახურების კონტროლი. შემდეგ, ხელი მოეწერა ad hoc-ის საპარლამენტო პაქტს, რომელმაც შესაძლებელი გახადა პარტია კანონისა და სამართლის მთავრობის ფორმირება. ამ უკანასკნელმა რამდენიმე თვის შემდეგ კოალიცია შექმნა, რომელშიც შევიდა ძლიერი პოპულისტური ელემენტების მატარებელი პარტია „სამოობორონა." ეს პარტია სოფლის მოსახლეობის ბაზაზე შეიქმნა თუმცა, მისი პოპულარობა თანდათანობით გაიზარდა და იმ ადამიანთა ყურადღება მიიპყრო, რომლებიც ეჭვს ქვეშ აყენებდნენ სოციალურ ხარჯებთან და საბაზრო ეკონომიკასთან დაკავშირებულ რეფორმებს. მისი შესვლა კოალიციაში ისტორიული წარმატება იყო: „სამოობორონას" არასდროს ჰქონია თანამშრომლობა „სოლიდარობასთან." კოალიციის მესამე პარტიას (პოლონური ოჯახების ლიგა) ასევე უმნიშვნელო კავშირი ჰქონდა „სოლიდარობის" *მოძრაობასთან*. ეს პარტია შეიქმნა პოლონეთის კა-

გილობრივ გადასახადებს მოიცავს. ფედერაციული სახელმწიფოებისგან განსხვავებით, პოლონეთი უნიტარული კანონმდებლობით იმართება ყველა მნიშვნელოვან სფეროში.

მიუხედავად ამ ერთიანობისა, ადგილობრივ პოლიტიკურ ცხოვრებას მაღალი ხარისხის ავტონომია ახასიათებს ნაციონალურ პოლიტიკურ ცხოვრებასთან მიმართებაში. პოლიტიკური პარტიები უმნიშვნელო როლს ასრულებენ ადგილობრივი პოლიტიკური ცხოვრების ყველა საფეხურზე. საგოევოდოს დონეზეც კი, რომელშიც მრჩეველთა 90%-ზე მეტი პარტიულ სიას მიეკუთვნება, ხშირად ვხვდებით პარლამენტის კოალიციისგან განსხვავებულ კოალიციებს. ადგილობრივ პოლიტიკურ ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი პიროვნებებია ქალაქის თავები, მერები და wojts-ები. ამ უკანასკნელთა პოზიცია გამყარებულია იმ ფაქტით, რომ მათი თანამდებობიდან გადაყენება მხოლოდ რეფერენდუმითაა შესაძლებელი. ამგვარი რეფერენდუმის ჩატარების მცდელობები მარცხით დასრულდა მონაწილეობის დაბალი პროცენტის გამო (რეფერენდუმში მცხოვრებთა არანაკლებ 30%-მა უნდა მიიღოს მონაწილეობა იმისათვის, რომ ის ჩატარებულად გამოცხადდეს). ქალაქის თავების როლი კარგად ჩანს პოლონეთის პრეზიდენტის, ლეხ კაჩინსკის მაგალითზე. პრეზიდენტად არჩევამდე იგი ვარშავის ქალაქის თავი იყო, რომელიც ამ თანამდებობაზე 2002 წელს იქნა არჩეული, როდესაც ოპოზიციური ძალები, SLD და PSL-ი ქვეყანას მართავდნენ. რეგიონალურ პოლიტიკაში მოსახლეობის მონაწილეობის ძალზე მცირე პროცენტი და ზოგადად, სამოქალაქო საზოგადოების არასაკმარისი განვითარება პოლონეთის ადგილობრივი პოლიტიკური ცხოვრების ყველაზე დიდი სისუსტეა. უკანასკნელ წლებში აღინიშნება მონაწილეობის პროცენტის ზრდა, რაც განსაკუთრებით ადგილობრივი გაზეთები და ადგილობრივი რადიო და სატელევიზიო არხები უწყობს ხელს.

სამთავრობო ქმედების საპირწონეები

1997 წლის კონსტიტუციის ავტორებმა პოლონეთის ავტორიტარული რეჟიმისა და მესამე რესპუბლიკის პირველი წლების გამოცდილების გათვალისწინებით (1989 წლის შემდგომი დემოკრატიული პოლონეთი), მასში მრავალი ინსტიტუციონალური დაცვის პირობები შეიტანეს ხელისუფლების სამმაგი დაყოფის შესანარჩუნებლად: კონსტიტუციურად დაცული სამოქალაქო უფლებების ჩამონათვალი და მთავრობის ძლიერი საპარლამენტო კონტროლი. თუმცა, ყველა ეს დაცვის მექანიზმი მგრძნობიარეა სხვადასხვა ფაქტორების მიმართ: პოლიტიკური კონტექსტი, საზოგადოებრივი აზრი, მოცემულ მომენტში მთავრობაში მყოფი პარტიების ტიპი და ამ უკანასკნელთა მიზნები, გარკვეული გავლენა იქონია ზოგიერთი ლიდერის პიროვნულმა თვისებებმაც. პოლონეთში, ზედმიწევნით გასამიჯნია ნორმატიული საკითხები, რომლებიც საკუთრივ პოლიტიკური პრაქტიკის ოფიციალურ სტანდარტებს შეეხება. ოფიციალურად, პოლონეთი კონსოლიდირებული ევროპული დემოკრატიის ყველა სტანდარს აკმაყოფილებს. პრაქტიკაში, იგნორირებულია რამდენიმე ინსტიტუციონალური დაცვის პირობა, ზოგიერთი არაეფექტურია, სხვები კი, პოლიტიკური მიზნებისთვისაა გამოყენებული.

მთავრობის ძალაუფლების შეზღუდვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შეზღუდვაა დუალისტური აღმასრულებელი ხელისუფლების პრინციპი, რომელიც ჩვენ უკვე გავაანალიზეთ. პრეზიდენტს მთავრობის საქმიანობის განხილვის უფლება აქვს და მის ხელშია ასევე ზეგავლენის მოხდენის მრავალი ინსტრუმენტი: პირდაპირი დარწმუნება კაბინეტის სხდომების მსვლელობისას, სატელევიზიო სიტყვით გამოსვლა (რომლის დროსაც მას შეუძლია პირდაპირ მოსახლეობას მიმართოს) და მთავრობის ინიციატივებზე ვეტოს გამოყენების მუქარა. ეს უკანასკნელი, იმ შემთხვევაშიც, თუკი მას არა აქვს ფორმალური მნიშვნელობა, გულისხმობს მთავრობის მხრიდან ყურადღების გადატანას კანონების გადამოწმებასა და შესწორებაზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მას მიღებული არა აქვს ხმების სამი მეხუთედი – პრეზიდენტის ვეტოს გაუქმებისთვის აუცილებელი უმრავლესობა. ამ კუთხით, შეიძლება ვისაუბროთ არაფორმალური ინსტიტუტის არსებობაზე: „პრევენციული ვეტო". რაც შეეხება პარლამენტის მიერ უკვე მიღებულ კანონებს, მომდევნო პრეზიდენტებს საკმაოდ ხშირად გამოუყენებიათ ვეტოს თავიანთი პრეროგატივა, განსაკუთრებით, ოპოზიციასთან თანაარსებობის დროს და ვეტოს გამოყენების ამ უფლებას გადამწყვეტი გავლენა ჰქონდა.

სამთავრობო ქმედების საპირწონეებს შორის პოლონეთის საკონსტიტუციო სასამართლო მთავარ როლს ასრულებს. ამ სასამართლოში 15 უცვლელი მოსამართლეა, რომლებიც სეიმის მიერ ცხრა წლის ვადით არიან არჩეულნი. საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიღო მოლიანად ან ნაწილობრივ, ათამდე აქტი, მაგრამ გარკვეულ სიტუაციებში, სეიმმა არ გაითვალისწინა ამ გადაწყვეტილებების შედეგები და კანონპროექტებში შესწორებები არ შეიტანა სათანადო ფორმით. ამგვარად, გარკვეულ სფეროში გაჩნდა „საკანონმდებლო სიცარიელე": მოცემული აქტი ძალაში არაა შესული თუკი სხვა კანონი არაა დამტკიცებული. ასევე, ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ პრევენციულ კონტროლს, რომელთაც პოლონეთი შეუერთდა. მხოლოდ პრეზიდენტს შეუძლია საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე მოთხოვნის წამოყენება კანონის კონსტიტუციურობის შემოწმებასთან დაკავშირებით. ეს სასამართლო ასევე წყვეტს კონფლიქტებს სახელმწიფო ძალაუფლების სხვა ორგანოებს შორის, მაგრამ პრაქტიკაში, პროცედურით დადგენილი ვადები ამცირებს ამის განხორციელების შესაბამისობას. აღნიშნულ სასამართლოს არ შეუძლია იმ კონსტიტუციური

პრინციპების დამოუკიდებლად ინტერპრეტირება, რომელბიც მას წარედგინება, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავს მის ძალაუფლებას.

საკონსტიტუციო სასამართლოს პრივილეგირებული ადგილი უკავია საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თუმცა, 2005 წლის არჩევნების დროიდან ის კრიტიკის ობიექტი გახდა სამთავრობო კოალიციის ლიდერთა მხრიდან. ამ სასამართლოს ბრალი დასდეს სახელმწიფო რეფორმის დაბლოკვასა და ზოგიერთი პროფესიული გაერთიანებების ინტერესთა დაცვაში. აღნიშნულ კამათში მთლიანად გამოიკვეთა დაძაბულობა კონსტიტუციონალიზმსა და დემოკრატიას შორის.

პოლონეთის ადმინისტრაციული სასამართლოები ძალაუფლების უკანონოდ გამოყენების შეზღუდვის ინსტრუმენტს წარმოადგენს. ეს უკანასკნელი ხშირად, სათანადოდ არაა შეფასებული პოლიტიკისა და დემოკრატიის თეორეტიკოსთა მიერ. პოლონეთში, ეს სასამართლოები მოქალაქეთა ინდივიდუალურ საჩივრებს განიხილავენ სამთავრობო ინსტიტუტების წინააღმდეგ. საჩივრები შეიძლება გაერთიანებების ან კოლექტიური ერთეულების მიერ იქნეს შემოტანილი ან ამ აქტების პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხს შეეხებოდეს. აღნიშნულის ყველაზე ხშირად მოყვანილი მაგალითია ქალაქის თავის გადაწყვეტილება ჰომოსექსუალების მანიფესტაციის აკრძალვასთან დაკავშირებით, რომელიც მისი აზრით, საფრთხეს წარმოადგენდა საზოგადოებრივი წესრიგისთვის. ადმინისტრაციულმა სასამართლომ ეს გადაწყვეტილება გააუქმა მისი არაკანონიერად გამოცხადების შემდეგ.

პოლონეთში რეფერენდუმები ხელისუფლებისთვის რეალურ საპირწონეს არ წარმოადგენს. ისინი უფრო მეტად ლეგიტიმურობის პროცედურად გამოიყენება ყველაზე მნიშვნელოვანი სახელმწიფო გადაწყვეტილებებისთვის. ამ მხრივ, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1997 წლის კონსტიტუციასთან დაკავშირებულ რეფერენდუმს: ხალხმა თანხმობა მისცა მოქმედ ახალ კონსტიტუციას. თავდაპირველად, ეს საკითხი ღრმა პოლიტიკური დაპირისპირების ობიექტს წარმოადგენდა: იმ დროს ოპოზიციაში მყოფმა AWS-მა კონსტიტუციის უარყოფა მოითხოვა იმაზე დაყრდნობით, რომ ის ნაციონალურ-ქრისტიანულ ღირებულებებზე ნაკლებად მიუთითებდა. თუმცა, კონფლიქტი სწრაფად ჩაცხრა.

2003 წლის გადაწყვეტილება პოლონეთის ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით ასევე რეფერენდუმის ობიექტი გახდა. ამ უკანასკნელის ვალიდურად ცნობისთვის მონაწილეობის 50% იყო აუცილებელი. ინტენსიური კამპანიის შედეგად რეფერენდუმმა მონაწილეობის მაღალ დონეს მიაღწია პოლონური სტანდარტების მიხედვით – მოსახლეობის 59%. ხმის მიმცემთა 77%-მა ევროკავშირში გაწევრიანებას მისცა ხმა.

ადგილი ჰქონდა ნაციონალური რეფერენდუმების ჩატარების სხვა ინიციატივებსაც, მაგრამ საპარლამენტო უმრავლესობას დომინანტური პოზიცია ეკავა, რადგან ძლიერი სოციალური ზეწოლის გარეშე ამ რეფერენდუმების ორგანიზებისთვის, პირდაპირი დემოკრატიის იდეა განსაკუთრებულად პოპულარული არ იყო პოლონეთში.

2004 წელს შეიქმნა ინსტიტუტი, რომელიც წინათ არასდროს გამოყენებულა: საპარლამენტო გამოძიების კომისია. პირველი კომისია პარლამენტში SLD-ის ჯგუფის პოლიტიკოსების წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებების გამოსაძიებლად ჩამოყალიბდა. ამ უკანასკნელთ Gazeta Wyborcza-ს (ყველაზე მნიშვნელოვანი ყოველდღიური გაზეთი პოლონეთში) გამომცემლების მოსყიდვის მცდელობაში ადანაშაულებდნენ, მედიის რეგულაციის ცვლილების სამთავრობო გადაწვეტილების გათვალისწინებით. აღნიშნული გადაწყვეტილება არ იყო ხელსაყრელი გაზეთის მესაკუთრეებისთვის. ამ კომისიას „რივინის კომისია“ (ფილმის პროდიუსერის მიხედვით, რომელმაც ეს საქმე გამოააშკარავა) ეწოდა და მასში ოპოზიციის ბევრი წევრი იყო ჩართული. ეს საქმე ტელევიზიით გაშუქდა და ზედმიწევნით იქნა განხილული პრესაში. თუმცა, ის აშკარა ბრალდებებით არ დასრულებულა და კომისიის ყველა წევრს ერთმანეთს შორის არ ჰქონდა თანხმობა. ამავე დროს, აღნიშნული საქმის მოსმენებმა სწრაფად დაამსხვრია მთავრობისა და პრემიერ-მინისტრის იმიჯი და შიდა პოლიტიკური კრიზისი გამოიწვია მთავრობაში მყოფი პარტიის შიგნით. ამ ტიპის მეორე კომისიის მუშაობა პრემიერ-მინისტრის წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებებს ეხებოდა, რომელიც დაკავშირებული იყო სავარაუდოდ, პოლონური ნავთობკომპანიის მმართველი საბჭოს პრეზიდენტის არაკანონიერ დაკავებასთან საიდუმლო სამსახურების მიერ. სეიმის მანდატის მიწურულს ახალი კომისია შეიკრიბა სახელმწიფო მფლობელობაში არსებული სადაზღვევო კომპანიის გაყიდვის საკითხთან დაკავშირებით. ეს კომისია AWS-ის მთავრობის პირველ პერიოდზე იყო კონცენტრირებული. საპარლამენტო კომისიებში საქმიანობა კონტროლის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომელსაც პარლამენტი მთავრობაზე ანხორციელებს. მათი საქმიანობა ასევე ეხება პოლონეთის დემოკრატიის გარკვეულ პრობლემებს. პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ ამ კომისიების საქმიანობა სასამართლო ხელისუფლებასაც შეეხო. მეორე, ეს კომისიები გარკვეულწილად, საზოგადოებრივ ფორუმად იქცა ცილისმწამებლური და უსაფუძვლო ბრალდებებისთვის, როგორც პოლიტიკოსების, ისე ჩვეულებრივი მოქალაქეების მიმართ. ამ ტიპის ბრალდებების წინააღმდეგ დაცვის არარსებობა იქამდე მივიდა, რომ უკანასკნელ საპრეზიდენტო არჩევნებში ერთ-ერთმა პოლიტიკურმა ლიდერმა საკუთარი კანდიდატურა მოხსნა არჩევნებში მონაწილეობიდან. აღნიშნულმა კომისიებმა ასევე ნათლად დაგვანახა დემოკრატიასთან დაკავშირებული დილემა, რომელიც ეხება ყველაზე მაღალი დონის აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის საჯაროდ გამოაშკარავების საკითხს. როგორია შუალედი გახსნილობასა

და კონფიდენციალურობას შორის არსებული მთავრობისთვის გადაწყვეტილების მიღებაში? ესაა ძირითადი დილემა, რომელსაც ნებისმიერი დემოკრატია აწყდება. დაბოლოს, კომისიის სხვადასხვა წევრების მიუკერძოებლობის ნაკლებობამ პრობლემა წამოჭრა. ეს უკანსკნელნი პარლამენტის წევრები არიან და თავის გამოჩენის შესაძლებლობა ეძლევათ. ამგვარად, კომისიები მნიშვნელოვან პოლიტიკურ იარაღად იქცა.

დესკრიფციული თვალსაზრისით, პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი მთლიანად *მასმედიაზეა* მიმართული. პოლონეთში მედია შედარებით პლურალისტულია. ყველაზე გავლენიანი ყოველდღიური და ყოველკვირეული გამოცემები მედიის დიდი ჯგუფების ხელშია თავმოყრილი, მათ შორის უმრავლესობა უცხოურია. გარდა ამისა, საზოგადოებრივ ტელევიზიასა და რადიოს ორი დიდი კერძო სატელევიზიო არხი და მრავალი რადიოარხი უწევს კონკურენციას. საზოგადოებრივი ტელევიზია და რადიო ასევე ფორმალურად დამოუკიდებელია აღმასრულებელი ხელისუფლებისგან, მაგრამ მათი დამოუკიდებლობის კონსტიტუციური დაცვა, რომელიც ნაციონალური რადიომაუწყებლობის საბჭოს (KRRiT) ფორმას იძენს არაა უნაკლო და ბოლოდროინდელმა მთავრობებმა გადამწყვეტი გავლენა იქონიეს მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. მთლიანობაში, მედია უკიდურესად იქნა გაკრიტიკებული სხვადასხვა მთავრობების მიერ, რომელსაც ხშირად, სკანდალის პოლიტიკის მხარდაჭერაში სდებდნენ ბრალს. ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკოსების პატარა შეცდომებმა და უმნიშვნელო აქტებმა კრიმინალური ქმედებების ფორმა მიიღო, რომელიც სახელმწიფოს საფუძვლებს ემუქრება. ასევე არსებობს აზრი, რომ მედია საიდუმლო სამსახურებისა და ხელისუფლებაში მყოფი პარტიის სხვადასხვა ფრაქციების გავლენის ქვეშ მოქმედებს. მიუხედავად ამ ბრალდებებისა (გადაუმოწმებელი), მედიის როლი უაღრესად მნიშვნელოვანია ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების დინამიკის გასაგებად. მედია მთავარი კატალიზატორი იყო სხვადასხვა მთავრობების გადადგომის საკითხში და საგულისხმო როლს თამაშობდა პოლონელების ნეგატიური გრძნობების დონეზე პოლიტიკური კლასისა და დემოკრატიული ინსტიტუტების მიმართ.

დებატი კონსტიტუციურ წესრიგზე

2005 წელს ხელისუფლების სათავეში კანონისა და სამართლის პარტია (PiS) მოვიდა, რომელიც აშკარად უჭერდა მხარს აღმასრულებელი ხელისუფლების გაძლიერებას სეიმის, ადგილობრივი მმართველობისა და ისეთი დამოუკიდებელი ინსტიტუტების საზიანოდ, როგორიცაა ცენტრალური ბანკი. ხელისუფლებაში მყოფი პარტიები მხარს არ უჭერენ პირდაპირ დემოკრატიას, ადგილობრივი მმართველობის განვითარებასა და ხელისუფლების დეცენტრალიზაციას. რეფორმების ნაწილი შეიძლება საკონსტიტუციო ცვლილებების გარეშე განხორციელდეს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი, კონსტიტუციური ნორმებისთვის გვერდის ავლა ყოველგვარი სირთულის გარეშეა შესაძლებელი. პოლონეთის საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე კითხვის ქვეშ დააყენა საპარლამენტო აქტით პრეზიდენტის პრეროგატივების გაფართოების მცდელობა, პრეზიდენტისთვის ნაციონალური რადიომაუწყებლობის (KRRiT) საბჭოს ხელმძღვანელის დანიშვნისა და პროფესიული გაერთიანებების (როგორიცაა პოლონეთის ადვოკატთა გაერთიანება) როლის შეზღუდვის უფლება. ამავე დროს, აუცილებელია უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელება კონსტიტუციის მოდიფიცირებისთვის, რაც სეიმის ორი მესამედის უმრავლესობასა და სენატის აბსოლუტურ უმრავლესობას მოითხოვს. მართლაც, თუკი თითოეული ცვლილება ეხება უფლებებისა და სამოქალაქო თავისუფლებების საფუძვლებს, ამისთვის შეიძლება აუცილებელი გახდეს რეფერენდუმის ჩატარება (ამ შემთხვევაში, პარლამენტის 112-მა წევრმა, პრეზიდენტმა ან სენატმა შეიძლება რეფერენდუმის ჩატარება მოითხოვონ).

საკონსტიტუციო რეფორმასთან დაკავშირებული ყველაზე მწვავე დისკუსია სეიმში მოქმედ საარჩევნო სისტემის საკითხს შეეხება. კონსტიტუციით დადაგენილ პროპორციული წარმომადგენლობის სისტემას პოლონეთის პოლიტიკური ცხოვრების ყველა უბედურებაში ედება ბრალი. ეს კრიტიკა არაა სავსებით გამართლებული საარჩევნო სისტემების შედარებით კვლევებთან მიმართებაში, რაც ხელს არ უშლის ამ სისტემის მოწინააღმდეგეებს საჯარო დებატში დომინირებაში. ამ სისტემის ყველაზე ხშირად წარმოდგენილი ალტერნატივა ერთტურიანი მაჟორიტარული სისტემაა ერთი კანდიდატით უნინომინალურ ოლქებში. პარტია სამოქალაქო პლატფორმა (PO, დღეისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ოპოზიციური პარტია) მხარს უჭერს პლურალიზმს. პარტია კანონსა და სამართლს შერეული სისტემის შემოღება სურს გერმანული ვერსიის მიხედვით, რომელიც არსობრივად პროპორციული სისტემაა, განსაკუთრებით მის შედეგებთან მიმართებაში. აღნიშნულმა შეიძლება გააიოლოს პოლონეთში ამ სისტემის შემოღება, განსაკუთრებით იმის გამო, რომ ის თავიდანვე არ შედის კონსტიტუციასთან წინააღმდეგობაში. ამავე დროს, ანალიზის თანახმად, ყველაზე დიდი პარტიები მხარს არ უჭერენ ცვლილებას, რომელიც მათ მოქმედი საარჩევნო სისტემის უპირატესობებზე უარის თქმას აიძულებს.

პარლამენტში მეორე პალატის, სენატის არსებობა, უკვე რამდენიმე ხანია, რაც დებატის ობიექტი გახდა. ეს პალატა „მრგვალი მაგიდის" რეფორმის ყველაზე დიდი პროექტია. დადებული კონტრაქტით, სენატი სეიმის საპირწონედ მოიაზრებოდა, რომელშიც კომუნისტური პარტიის უმრავლესობა (PZPR) და მისი იმდროინდელი პარტნიორები უნდა შესულიყვნენ. „სოლიდარობის" ხელისუფლებაში მოსვლის დროიდან, სენატი აღარ ასრუ-

ლებდა თავის თავდაპირველ როლს. თუმცა, ის მრავალჯერ იქნა გამოყენებული საკანონმდებლო პროცესში. SLD (მემარცხენე დემოკრატიული ალიანსი) თავგამოდებით უჭერდა მხარს სენატის დაშლას, მაგრამ 2001 წელს ხელისუფლებაში მოსვლისას, მან ყოველგვარი მცდელობა შეწყვიტა ამ კუთხით. გაჩნდა დებატის ახალი ვერსია: სენატის როლის ფუნდამენტური ცვლილება, მისი ტრანსფორმაცია გარკვეულწილად, ადგილობრივი მმართველობის ინსტანციების ინსტიტუტის წარმომადგენლად. ახლახან, მრავალი წინადადება იქნა წარმოდგენილი, მაგრამ ისინი ძირითადად, სარეკლამო მიზნებისთვის იქნა გამოყენებული, მაგალითად, პარტია სამოქალაქო პლატფორმის ინიციატივა სეიმში ადგილების რაოდენობის შემცირებასთან დაკავშირებით.

კონსტიტუციასთან დაკავშირებული დებატები, მიუხედავად მათი სიმძაფრისა, მხოლოდ უმნიშვნელო ემოციებს იწვევს. ბევრად მეტ ყურადღებას იქცევს იმ პიროვნებების საჯარო გამოაშკარავება, რომლებიც ყოფილი კომუნისტური უსაფრთხოების სამსახურთან თანამშრომლობდნენ და მისი ინფორმატორები იყვნენ. „სოლიდარობის“ შემდგომი ორივე ბანაკი, კანონი და სამართალი და სამოქალაქო პლატფორმა, მეტად ძლიერ ლობის წარმოადგენს ლუსტრაციის სასარგებლოდ, რისი შედეგიცაა კანონპროექტების მომზადება, რომლებიც შეიძლება კონსტიტუციასთან შევიდეს კონფლიქტში და მომავალში დიდი მასშტაბის პოლიტიკური დაძაბულობა გამოიწვიოს.

პოლონეთმა უდავოდ გადალახა თავდაპირველი კონსოლიდაციის ფაზა, მაგრამ არაა მიღწეული მისი ინსტიტუციონალური სტრუქტურის სტაბილურობა. ქვეყნის უახლესი ისტორია გვიჩვენებს, რომ პოლიტიკურმა რეჟიმმა შეიძლება მოდიფიცირება განიცადოს მნიშვნელოვანი ინსტიტუციონალური ცვლილების გარეშე. ესაა იმ მკვლევარების მიერ უგულებელყოფილი ჭეშმარიტება, რომლებიც ამ საკითხებს დღეისათვის არარსებული ინსტიტუციონალიზმის კუთხით განიხილავენ.

თავი XVIII

პორტუგალია

მარინა კოშტა ლობო, ანტონიო კოსტა პინტო და პედრო მაგალაენში

1974 წელს პორტუგალიაში, ორმოცწლიანი ავტორიტარული რეჟიმის შემდეგ, დემოკრატიზაციის მესამე ტალღა აგორდა. 1976 წელს მიღებული „თამაშის წესები" დიდწილად ამ პერიოდის ისტორიულ-პოლიტიკურ ხასიათს ასახავს, რომელსაც ძლიერი სამხედრო დასწრება ახასიათებდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, მემარცხენეობის დომინანტობითა და დაპირისპირებით მომავალი პოლიტიკური რეჟიმის ბუნებასთან დაკავშირებით. უკანასკნელი 30 წლის ყველაზე მნიშვნელოვან ევოლუციას პარტიული ნიშნით მიმხრობის სისტემა წარმოადგენდა, რომელმაც ფუნდამენტურად შეუწყო ხელი რეჟიმის კონსოლიდაციის პროცესს. ამავე დროს, როგორც შემდგომში ვნახავთ, დემოკრატიული პერიოდის განმავლობაში არსებობდა ინსტიტუციონალური რეფორმების გატარების მუდმივი მოთხოვნები, რომელიც ასახავდა, როგორც პოლიტიკური კონსენსუსის სიმყიფეს, ისე დაძაბულობას პორტუგალიის პოლიტიკური ინსტიტუტების კონფიგურაციის საკითხზე.

ისტორიული კონტექსტი

1974 წლის 25 აპრილის არაძალადობრივმა სამხედრო სახელმწიფო გადატრიალებამ ბოლო მოუღო ორმოცწლიან დიქტატურას (1926-1974 წწ.). ამ სახელმწიფო გადატრიალებას არავითარი დაბრკოლება არ გამოუწვევია საერთაშორისო ძალების მხრიდან. ქვეყნის დემოკრატიზაცია ცივი ომის პერიოდში მიმდინარეობდა, რომელსაც მწვავე სახელმწიფო კრიზისი მოჰყვა, რის გამძაფრებასაც დემოკრატიაზე გადასვლისა და უკანასკნელი კოლონიალური იმპერიის დეკოლონიზაციის (Pinto 2003) თანხვედრმა პროცესმა შეუწყო ხელი.

გარდამავალ პერიოდთან დაკავშირებულ შედეგებით ანალიზში ყოველთვის შეტანილი იყო პორტუგალიის შემთხვევა. თუმცა, მისი მახასიათებლები, განსაკუთრებით, ჯარის, სახელმწიფო კრიზისისა და სოციალური მოძრაობების დინამიკა, რთულად შესაყვანი ელემენტებია დემოკრატიზაციის შედარებით ანალიზში. როგორც ხუან ლინცმა და ალფრედ სტეპანმა აღნიშნეს: „ძალზე ხშირია მცდელობა პორტუგალიის იმ ანალიზის ჩარჩოს მეშვეობით დანახვა, რომელიც თან ახლდა შემდგომი გარდამავალი პერიოდის პროცესებს" (Linz and Stepan, 1997 : 117) და ამგვარად, დაურწმუნებლობის მაღალი დონისა და რეჟიმის ცვლილების უკიდურესად კონფლიქტური ხასიათის იგნორირება, რომელიც ზოგიერთი ავტორის აზრით „არ იყო დემოკრატიაზე გადასვლის შეგნებული პროცესი" (Hite and Morlino : 47).

პოტუგალიის დიქტატურის ხასიათი ნაკლებად გვაწვდის ინფორმაციას დემოკრატიაზე გარდამავალი პერიოდის სპეციფიკურ მახასიათებლებზე. სალარიზმი ძალზე ახლოს იდგა ლინცის ავტორიტარული რეჟიმის იდეალურ ტიპთან: საქმე ეხებოდა „ფაშისტური პერიოდის" უწყვეტობის რეჟიმს. პორტუგალიის დიქტატურა თავისი ხასიათით საკმაოდ ჰგავდა მეზობელ ფრანკისტულ რეჟიმს თავის ბოლო ფაზაში მიუხედავად იმისა, რომ მასში ნაკლებად აღინიშნებოდა ერთი პარტიის სისტემა და უფრო მნიშვნელოვანი „შეზღუდული პლურალიზმი" არსებობდა (Linz 2000). პორტუგალიის დიქტატურის ნგრევის სპეციფიკურობა სამხედრო მეთაურების ჩარევაში მდგომარეობდა: იშვიათი ფაქტი, ერთადერთიც კი XX საუკუნის მანძილზე. 1961 წლიდან რეჟიმის მიერ სამ ფრონტზე წარმოებულმა – ანგოლაში, მოზამბიკსა და გვინეა-ბისაუში – კოლონიალურმა ომმა ამ ქვეყნების დიდი როლი მიანიჭა პორტუგალიის პოლიტიკურ ძვრებში. 1968 წელს სალაზარი მარშელ გაეტანომ შეცვალა, რომელიც რეჟიმის არარადიკალურ და შეზღუდულ „ლიბერალიზაციას" შეუდგა. ეს პროცესი სწრაფად იქნა შეწყვეტილი კოლონიური ომის გამწვავების გამო. სალაზარის მემკვიდრის უუნარობამ ომით გამოწვეული ზოგიერთი დილემის გადაჭრაში 1974 წლის აპრილის სახელმწიფო გადატრიალება გამოიწვია. საქმე ეხებოდა „არაიერარქიულ" სამხედრო გადატრიალებას დემოკრატიზაციისა და დეკოლონიზაციის პოლიტიკური პროგრამით.

სალაზარიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ნახევრად ლეგალური და იატაკქვეშა ოპოზიციის არსებობა, მიუხედავად იმისა, რომ მას კავშირი არ ჰქონდა სახელმწიფო გადატრიალების განმხორციელებელ სამხედრო ოფიცრებთან, გადამწყვეტი იყო. ეს ოპოზიცია პოლიტიკურ არჩევანს წარმოადგენდა, რომელმაც ლეგიტიმურობა დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლის წყალობით მოიპოვა.

ესპანეთის *ruptura pactada*-ს საპირისპიროდ, პორტუგალიაში გარდამავალი პერიოდი მოლაპარაკებისა და დიქტატორულ ელიტებსა და ოპოზიციურ ძალებს შორის პაქტის დადების გარეშე დაიწყო. თუმცა, არ არსებობს პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი ამ წყვეტასა და რადიკალიზაციის შემდგომ პროცესს შორის: სხვა გარდამავალ პერიოდებს მსგავსი სახელმწიფო კრიზისები არ გამოუწვევია.

აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, რეჟიმის საპრეზიდენტო მმართველობაზე გადასვლის მცდელობებს – 1975 წლის მარტში სახელმწიფო გადატრიალების მარცხით დასრულების შემდეგ – სწრაფად მოჰყვა „პირველ პაქტზე“ ხელის მოწერა პარტიებსა და ჯარს შორის, რომელიც მომავალი კონსტიტუციის შინაარსს ეხებოდა. ამ პაქტს 1975 წლის დამფუძნებელი ასამბლეის არჩევნებამდე ორი კვირით ადრე მოეწერა ხელი. აღნიშნული პაქტი ჯარს ვეტოს უფლებას ანიჭებდა მომავალ საკონსტიტუციო ტექსტზე და დამფუძნებელ ასამბლეაში არჩეული წევრების მუშაობაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენისა და „შეიარაღებული ძალების მოძრაობის“ ასამბლეის (MFA) ინსტიტუონალიზაციის შესაძლებლობას აძლევდა. გარდა ამისა, ოფიცრებისგან შემდგარ ამ ასამბლეას სახელმწიფოს მეთაურის არაპირდაპირ არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეეძლო.

ამგვარად, 1974-1975 წლების „რევოლუციური პერიოდი“ ყველაზე კომპლექსურ გარდამავალ ფაზას წარმოადგენდა, თუკი ამ პერიოდს განვიხილავთ, როგორც „მყიფესა და გაურკვეველს, რომელშიც დემოკრატიული სტრუქტურები იქმნებიან“ თუმცა, მოქმედი რეჟიმის ტიპი ჯერ კიდევ განუსაზღვრელია (Morlino, 1998: 19). ამ ორი წლის მანძილზე პორტუგალიური საზოგადოების შიგნით მნიშვნელოვანი დაძაბულობა გამოიკვეთა, რომელმაც 1976 წლიდან კლება იწყო. აღნიშნულ დროს ახალი კონსტიტუცია იქნა დამტკიცებული და პირველი საკანონმდებლო და საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა.

სწორედ ამ პერიოდში ჩამოყალიბდნენ ის პარტიები, რომლებსაც მემარჯვენეობა და ცენტრისტული მემარჯვენეობა უნდა წარმოედგინათ, სოციალ-დემოკრატიული ცენტრი (CDS – *Centro Democrático Social*) და სახალხო დემოკრატიული პარტია (PPD – *Partido Popular Democrático*). მნიშვნელოვანი ძალისხმევა იქნა გაწეული ამ პარტიებიდან ახალ სახელმწიფოსთან ასოცირებული ნებისმიერი პიროვნების გამოსარიცხავად და იმგვარი თავმჯდომარეების მოსაძებნად, რომლებიც დემოკრატებად განიხილებოდნენ. ამგვარად, CDS-ი, რომელშიც პორტუგალიური საზოგადოების ავტორიტარული და კონსერვატორული ღირებულებების მქადაგებელი სექტორები შედიოდა არალეგალურად გამოცხადების ზღვარზე იდგა, რაც 1975 წლის 25 აპრილის დამფუძნებელი ასამბლეის პირველ არჩევნებამდე გაგრძელდა.

პორტუგალიურმა საზოგადოებამ პოლარიზება დაიწყო ანტირევოლუციური (ანტიკომუნისტური) მოძრაობის გამოჩენით ქვეყნის ჩრდილოეთში. სწორედ მზარდი მობილიზაციის ამ კონტექსტში 1975 წლის 25 ნოემბერს MFA-ს (შეიარაღებული ძალების მოძრაობა) პოლიტიკურად ზომიერი შეხედულებების მქონე ოფიცრებმა კონტრგადატრიალება მოახდინეს, რომელიც რადიკალების დამხობით დასრულდა. სოციალისტურმა პარტიამ (PS – *Partido Socialista)* და სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ (PSD – *Partido Social Democrática)* ზომიერებს დაუჭირა მხარი, რამაც ლისაბონსა და პორტოში მობილიზაცია და კომუნისტებთან ახალი განხეთქილება გამოიწვია. აღნიშნული მთავარი უთანხმოების მიზეზი გახდა მემარცხენე პოლიტიკურ სპექტრში.

ამ კონტრგადატრიეების შედეგად, რომელმაც ჯარის მემარცხენე ფრთის განეიტრალება მოახდინა, პარტიებსა და ჯარს შორის ახალ შეთანხმებას მოეწერა ხელი – „მეორე პაქტი.“ ეს უკანასკნელი რესპუბლიკის პრეზიდენტის საყოველთაო პირდაპირი კენჭისყრით არჩევას ითვალისწინებდა, მაგრამ ზომიერი სამხედრო იერარქიის მიერ დადგენილი მკაცრი პირობებით, რომელმაც ხელისუფლების სადავეების ხელში ჩაგდება მოახერხა. ამ პირობებს შორის „იმპლიციტური სამხედრო შეთანხმება“ (Pereira 1984) ფიგურირებდა და დიდ პოლიტიკურ პარტიებს – ცენტრისტულ-მემარცხენე სოციალისტური პარტია და ცენტრისტულ-მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიული პარტია – თითო-თითო კანდიდატის წარდგენის უფლებას აძლევდა საპრეზიდენტო არჩევნებში. ამავე დროს, შემდეგ ეს კანდიდატი ჯარის სელექციის საბჭოს მიერ უნდა ყოფილიყო შერჩეული.

1974-1975 წლებში პორტუგალიაში უცხოეთის მნიშვნელოვან ჩარევას ჰქონდა ადგილი, რომელიც გასცდა მხოლოდ დიპლომატიურ ჩარჩოს. ეს ჩარევა შეეხო პოლიტიკური პარტიების, პროფკავშირებისა და ინტერესთა ჯგუფების ფორმირებას და ანტიმემარცხენე სტრატეგია ჩამოაყალიბა, რომელმაც ევოლუცია განიცადა 1975 წლის „ცხელი ზაფხულის“ განმავლობაში. სახელმწიფო გადატრიალებით შეშფოთებულმა საერთაშორისო თანამეგობრობამ, განსაკუთრებით კი აშშ-მ, თავისი ძალისხმევის კონცენტრაცია მოახდინა დედაქალაქის ცენტრისტულ-მემარცხენე და ცენტრისტულ-მემარჯვენე დემოკრატიულ პოლიტიკურ ძალებზე, ისევე როგორც დეკოლონიზაციის პროცესზე, კერძოდ, ანგოლაში (Maxwell, 1995). პორტიგალიის შემთხვევაში, ასევე მიმართეს იმ მეთოდებს, რომლებიც იტალიაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იქნა გამოყენებული. პორტუგალიის ზომიერ პოლიტიკურ პარტიებს ამერიკული ადმინისტრაცია აფინანსებდა, რომელიც ევროპულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად – ხშირად, აშშ-ის მედიატორის როლს ასრულებდნენ – ასევე მხარს უჭერდა პარტიული კადრების ფორმირებას. თუმცა, საერთაშორისო დახმარების გავლენა შეზღუდული იყო. ეს დახმარება შთანთქმული იქნა მემარცხენეების მიერ წარმოებული ძლიერი პოლიტიკური და სოციალური მობილიზაციით, საწარმოების მნიშვნელოვანი ნაციონალიზაციით, კაპიტალისა და ეკონომიკური ელიტის გადინებით ქვეყნის გარეთ, მიუხედავად იმისა, რომ შიდა პოლიტიკურმა ფაქტორებმა გადამწყვეტი როლის შეასრულეს და ზომიერ სამოქალაქო ძალებს გამარჯვებისა და პოლიტიკური ასპარეზიდან სამხედრო ძალების საბოლოო უკანდახევის შესაძლებლობა მისცეს. საერთაშორისო მხარდაჭერა, ისევე როგორც ევროპის თანამეგობრობაში გაერთიანებ-

ის პერსპექტივა უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ამას გარდამავალი პერიოდის პირველი კვლევები გვაფიქრებინებს (Pridham, 2003).

გარდამავალი პერიოდის ხასიათმა თავისი კვალი დატოვა პორტუგალიის პოლიტიკურ სისტემაში. პირველ ყოვლისა, ჯარმა, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა *Estado Novo*-ს დამხობაში, საკუთარი ადგილი მოითხოვა ახალ რეჟიმში. რთული მოლაპარაკებების შედეგად, ჯარს უპირატესი როლი მიენიჭა ინსტიტუტების შიგნით, რამაც პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირება განაპირობა 1982 წლამდე. მეორე, *Estado Novo*-ს მემარჯვენე ავტორიტარულმა ხასიათმა და კიდევ უფრო მეტად გარდამავალი პერიოდის რადიკალიზაციამ მემარცხენე პარტიები პარტიული ნიშნით მიმხრობის სისტემის წინსვლით უზრუნველყო. თუმცა, კონფლიქტებმა სოციალისტურ და კომუნისტურ პარტიებს შორის გარდამავალი პერიოდის განმავლობაში ხელი შეუშალა ყოველგვარი მომავალი კოალიციის ფორმირებას ამ ორ პარტიას შორის. დაბოლოს, პოლიტიკური და სოციალური აქტორების რადიკალიზაცია გარდამავალი პერიოდის მანძილზე რეჟიმის გარშემო გამოიკვეთა და ამგვარად, ფუნდამენტური განხეთქილება შემოიტანა პორტუგალიის პოლიტიკაში, რომელმაც – როგორც შემდგომში ვნახავთ – სხვა სოციალური და პოლიტიკური უთანხმოებების შერბილებას შეუწყო ხელი ელექტორატის შიგნით.

აღმასრულებელი ხელისუფლება

ნახევრად საპრეზიდენტო სისტემის არჩევანი პორტუგალიაში გადამწყვეტია აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციონირებისა და ევოლუციის გასაგებად. პორტუგალიის 1976 წლის კონსტიტუცია კომპრომისის შედეგია ორ მთავარ პოლიტიკურ აქტორს შორის, რომელიც 1974-1976 წლების რევოლუციური პერიოდის დროს გამოჩნდა – ჯარი და პარტიები. ისინი ზეგავლენის მოხდენას ცდილობდნენ სახელმწიფოსა და მთავრობის მექანიზმების კონფიგურაციაზე (Graham, 1992 : 287). მართლაც, კონსტიტუცია შეიქმნა დამფუძნებელი ასამბლეის მიერ, რომელიც ჯარის (შეიარაღებული ძალების მოძრაობა) მიერ დაწესებული შეზღუდვებით მუშაობდა. ამგვარად, მან პორტუგალიის პოლიტიკური ისტორიის განსაკუთრებული მომენტი გამოკვეთა და მისი ევოლუცია განაპირობა (Moreira, 1977 : 76-83). 1982 წელს კონსტიტუციაში შესწორებების შეტანის დროს, 1976 წლის ძალთა ბალანსი საგრძნობლად შეიცვალა, სამხედრო ძალაუფლება შემცირდა, ისევე როგორც სხვა რევოლუციური და მემერცხენე აქტორებისა ზოგადად. ამგვარად, სწორედ ჯარის დროებითი სიძლიერე განმარტავს ნახევრად საპრეზიდენტო რეჟიმის არჩევანს.

საყოველთაო არჩევნები ნიშნავდა, რომ საშუალო ვადით, პრეზიდენტის პოსტი შეიძლება „პარტიული ნიშნით მიმხრობის“ თანამდებობა გამხდარიყო, რომელიც მომავალში პარტიასთან დაკავშირებული სამოქალაქო პრეზიდენტის არსებობის შესაძლებლობას უზრუნველყოფდა. ამავე დროს, მოკლევადიან პერსპექტივაში, ჯარისთვის გაკეთებული დათმობა პოლიტიკური პარტიების მხრიდან პრეზიდენტს საარჩევნო ყუთების ლეგიტიმურობისა და რევოლუციური ლეგიტიმურობის შესაძლებლობას აძლევდა.

დემოკატიაზე გარდამავალ პერიოდში ჯარის ძალაუფლება გაგრძელდა არა მხოლოდ 1976 წელს გენერალ რამილიუ ეანეშის არჩევის გამო, არამედ ასევე რევოლუციური საბჭოს (CR) შექმნის მიზეზითაც, რომელსაც თავად ეანეში ედგა სათავეში. ამ ინსტიტუტს შედარებით მნიშვნელოვანი უფლებამოსილებები ჰქონდა: ექსკლუზიური უფლებამოსილებები შეიარღებული ძალების ორგანიზაციის, ფუნქციონირებისა და დისციპლინის საკითხში და შეიარაღებულ ძალებთან დაკავშირებული საერთაშორისო შეთანხმებების დამტკიცება კანონდეკრეტების მეშვეობით (148-ე მუხ. – 1976 წლის ვერსია). 149-ე მუხლი რევოლუციური საბჭოს (CR) ავტონომიას ითვალისწინებდა და მის ყველა კანონდეკრეტს ასამბლეისა და მთავრობის მიერ მიღებული კანონების ძალას ანიჭებდა. რევოლუციური საბჭო კონსტიტუციის გარანტს წარმოადგენდა, ე. ი. რევოლუციის „მონაპოვარის“ დამცველს (146-ე მუხ. 1976 წლის ვერსია) და ამ მიზნით რეკომენდაციის მიცემის შესაძლებლობა ჰქონდა, ისევე როგორც მთავრობის კანონდეკრეტების არაკონსტიტუციურად გამოცხადებისა, თუკი ისინი რევოლუციის იდეალებს არ პასუხობდნენ. კონსტიტუციაში შეტანილი მნიშვნელოვანი სოციალური გარანტიები და ეკონომიკური პირობები რევოლუციურ საბჭოს ანგარიშგასაწევ ძალაუფლებას აძლევდა სამთავრობო პოლიტიკაზე გავლენის მოსახდენად. ეს საბჭო ფაქტობრივად *sui generis*-ის საკონსტიტუციო სასამართლოს წარმოადგენდა, რომელსაც ჰქონდა მანდატი არა მხოლოდ რევოლუციური მიზნების შელახვისგან დასაცავად, არამედ მათ აქტიურად განსახორციელებლად 1976 წლის შემდეგ. ლინცისა და სტეპანის აზრით, პორტუგალიის დემოკრატიის კონსოლიდაცია 1982 წლიდან იწყება, როდესაც ამ ინსტიტუტის ნგრევა მოხდა (Linz et Stepan, 1997).

თავის მხრივ, პრეზიდენტმა ვეტოს უფლება მოიპოვა პარლამენტისა და მთავრობის კანონპროექტებზე. საპრეზიდენტო ვეტოს გვერდის ავლა შეუძლებელი იყო თუკი პროექტი მთავრობიდან იყო წამოსული. პარლამენტიდან მომდინარე პროექტის შემთხვევაში, შესაძლებელი იყო მისთვის გვერდის ავლა ან მეორე კენჭისყრის აბსოლუტური უმრავლესობით ან პარლამენტის ორი მესამედით, კანონის ხასიათის შესაბამისად. პრეზიდენტს ასევე შეუძლია სამთავრობო და საპარლამენტო პროექტების კონსტიტუციურობის შემოწმება ან *ex ante* ან *ex*

post.[207] ამავე დროს, 1976 წლის კონსტიტუცია სწორედ მთავრობას ანიჭებდა ჭეშმარიტ პოლიტიკურ უფლებამოსილებებსა და სახელმწიფო ადმინისტრაციის კონტროლს (185-ე მუხ. 1976 წლის ვერსია), მიუხედავად იმისა, რომ სხვა ინსტიტუტებს – პრეზიდენტი, პარლამენტი და რევოლუციური საბჭო – გააჩნდათ მთავრობის შემზღუდველი უფლებამოსილებები.

პრეზიდენტს პრემიერ-მინისტრის დანიშვნის უფლება ჰქონდა (136-ე მუხ. 1976 წლის ვერსია) საარჩევნო შედეგების განხილვის შემდეგ. 136-ე მუხლი პრეზიდენტის *პოტენციურ* უფლებამოსილებებს აზუსტებდა: პარლამენტში ნებისმიერი უმრავლესობის ჩამოუყალიბებლობის შემთხვევაში, პრეზიდენტს თავად შეეძლო მისი ფორმირება, რასაც 1978 წელს ჰქონდა ადგილი. გარდა ამისა, ის ფაქტი, რომ მთავრობა ასევე პასუხისმგებელი იყო პრეზიდენტისა და დამფუძნებელი ასამბლეის წინაშე, პრეზიდენტს მთავრობისთვის პოლიტიკური უნდობლობის გამოხატვის შესაძლებლობას აძლევდა, ე. ი. მისთვის გადადგომის იძულებას იმ შემთხვევაშიც, თუკი ის ეროვნული ასამბლეის მხარდაჭერით სარგებლობდა. რეალობაში, 1982 წლამდე, მთავრობა კონსტიტუციაში ჩამოყალიბებული ორ ლეგიტიმურობის გადაკვეთაზე იმყოფებოდა: ერთი მხრივ, პლურალიზმის მომხრეობის წინააღმდეგი სამხედრო-რევოლუციური ლეგიტიმურობა, რომელიც შესაბამისად პრეზიდენტითა და რევოლუციური საბჭოთი იყო წარმოდგენილი და მეორე მხრივ, დამფუძნებელი ასამბლეის ლეგიტიმურობა. მთავრობის მიერ საკუთარი ძალაუფლების განმტკიცების სირთულე დაკავშირებული იყო დაძაბულობასთან ამ ორ ტენდენციას შორის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მას უმრავლესობა არ ჰყავდა პარლამენტში.

კონსტიტუციის ზოგიერთი დებულება ასევე ითვალისწინებდა მთავრობის დაცვას საპარლამენტო ფრაგმენტაციისგან. ახალ მთავრობას არ ესაჭიროებოდა ნდობის ვოტუმი პარლამენტში ფიცის დადების შემდეგ, რაც ამგვარად, უმცირესობისა ან საპრეზიდენტო მთავრობების ამოქმედებას (Pasquino, 1995:277) აადვილებდა. უმცირესობის პირობა სოციალისტური პარტიის მოთხოვნით იქნა შემოტანილი, რომელიც არჩევნების მოგებას უმრავლესობის გარეშე ელოდა და უარს ამბობდა კოალიციის შექმნის იდეაზე (Sousa, 1992:63). მთავრობის გადასაყენებლად საჭირო იყო უნდობლობის გამოცხადების ორჯერ დამტკიცება პარლამენტართა აბსოლუტური უმრავლესობით 30 დღის ვადაში (198-ე მუხ. 1976 წლის ვერსია). იმ შემთხვევაშიც, თუკი მთავრობა იძულებული იყო გადამდგარიყო მისი პროგრამის უარყოფის მიზეზით ან ნდობის გამოცხადების დაუმტკიცებლობის მიზეზით ასამბლეის უბრალო უმრავლესობის მხრიდან, პრეზიდენტს დამფუძნებელი ასამბლეაც უნდა დაეშალა თუკი იქ კენჭი ეყრებოდა უნდობლობის გამოცხადებას ან სამთავრობო პროგრამა სამჯერ ზედიზედ იქნებოდა უარყოფილი.

კონსტიტუციის მიღებიდან ექვსი წლის შემდეგ ეს დებულებები მოდიფიცირებული იქნა მემარჯვენე სამთავრობო პარტიებისა – PSD, CDS და PPM (მონარქისტული პოპულისტური პარტია) და სოციალისტური პარტიის მხარდაჭერით. ამ მნიშვნელოვანი რეფორმის მიზნები ორმაგი იყო: პრეზიდენტის უფლებამოსილებების შეზღუდვა და ჯარის დაქვემდებარება პოლიტიკური ხელისუფლებისადმი. რევოლუციური საბჭო დაშლილი იქნა, მისი უფლებამოსილებები კი სხვა ინსტიტუტებზე გადანაწილდა, რომლებშიც პარტიები დომინირებდნენ; საპრეზიდენტო უფლებამოსილებების დონეზე, ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება სამთავრობო პასუხისმგებლობას ეხებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა პასუხისმგებელი რჩებოდა დამფუძნებელი ასამბლეისა და პრეზიდენტის წინაშე, ის მხოლოდ *პოლიტიკურად* იყო პასუხისმგებელი ამ ასამბლეის წინაშე. ეს ნიშნავდა, რომ თავდაპირველი პროექტის საპირისპიროდ, პრეზიდენტს აღარ შეეძლო მთავრობის გადაყენება პოლიტიკური ნდობის ნაკლებობაზე დაყრდნობით, მიუხედავად იმისა, რომ მას ამის გაკეთების უფლება ჰქონდა განსაკუთრებულ პოლიტიკურ გარემოებებში. კონსტიტუციის 136-ე მუხლი იმგვარად იყო ფორმულირებული, რომ ის პრეზიდენტის მიერ მთავრობის გადადგომის შესაძლებლობას ზღუდავდა. ამიერიდან პრეზიდენტს მთავრობის გადაყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუკი ეს „დემოკრატიული ინსტიტუტების შესაბამისი ფუნქციონირებისთვის აუცილებლად" წარმოჩნდება (196-ე მუხ. 1982 წლის ვერსია). ამავე დროს, პრეზიდენტმა პარლამენტის დათხოვნის უფლება შეინარჩუნა, მიუხედავად ამ უკანსკნელის შეზღუდვისა: *Assembleia*-ს დაშლა არ შეიძლებოდა არც საკანონმდებლო არჩევნების შემდგომ პირველ ექვს თვეში ან პრეზიდენტის მანდატის ამოწურვის ბოლო ექვს თვეში და არც ქვეყნის საგანგებო მდგომარეობის ყოფნის პირობებში (175-ე მუხ. 1982 წლის ვერსია).

შედარებითი ანალიზის კუთხით, კონსტიტუციის გადასინჯვამ საგრძნობლად შეამცირა პრეზიდენტის კონსტიტუციური უფლებები და მას ტრადიციულ ნახევრად საპრეზიდენტო რეჟიმებში არსებულზე ნაკლები უფლებამოსილებები მიანიჭა (Siaroff : 2003). ამავე დროს, როგორც ჩანს, კონსენსუსი პრეზიდენტის უფლებამოსილებების რეალურ დაკარგვასთან დაკავშირებით გადაჭარბებული იყო. ადგილი ჰქონდა *per se* კონსტიტუციური უფლებამოსილებების შემცირებას, მაგრამ ის ასევე პარტიული ნიშნით მიმხრობის სისტემაში მომხდარი ცვლილებების შედეგი იყო, რომელსაც სამთავრობო სტაბილურობა მოჰყვა. გენერალ ეანეშის ორი მანდატის ამოწურ-

207 1982 წლამდე კანონების კონსტიტუციურობას რევოლუციური საბჭო უზრუნველყოფდა, ამ დროის შემდეგ კი ეს საკონსტიტუციო სასამართლოს პრეროგატივა გახდა.

ვის შემდეგ (1976-1980 წწ; 1980-1986 წწ.) PS-ს ისტორიული ლიდერი მარიო სუარეში პორტუგალიის პირველი სამოქალაქო პრეზიდენტი გახდა. თავისი ფუნქციების აღსრულებიდან ცოტა ხნის შემდეგ, მემარჯვენე პარტიამ, PSD-მ პირველი (ორიდან) აბსოლუტური უმრავლესობა მოიპოვა (1987-1995 წწ.). ამგვარად, მარიო სუარეშის პრეზიდენტობა (1986 წლიდან 1996 წლამდე) ძირითადად, თანაარსებობის კონფიგურაციაში მიმდინარეობდა ერთი პარტიისგან შემდგარ სამთავრობო უმრავლესობასთან. 1987 წლიდან 1995 წლამდე, ერთპარტიული სტაბილური უმრავლესობების პერიოდში, პრეზიდენტი პოლიტიკოსზე მეტად არბიტრსა და მომრიგებელს წარმოადგენდა და არა აღმასრულებელი ხელისუფლების აქტორს, რომელიც თავის მრივ, პრემიერ-მინისტრისა და მისი მთავრობის ხელში გადავიდა.

მომდევნო პრეზიდენტი, სოციალისტი ჟორჟე სამპაიო ასევე ორი მანდატით იქნა არჩეული (1996-2001 წწ; 2001-2006 წწ.). მისი პრეზიდენტობა სოციალისტური ერთპარტიული მთავრობების პერიოდს ემთხვევა, რომელსაც ანტონიო გუტიერეში ედგა სათავეში. ამგვარად, 1996-2001 წლებში მთავრობა და პრეზიდენტის პოსტი სოციალისტური პარტიის ხელში იყო. ანტონიო გუტიერეშის გადადგომის (2001 წლის მიწურულს) შემდეგ ჩატარებული არჩევნების შედეგად მემარჯვენე კოალიცია იქნა ჩამოყალიბებული PSD-სა და CDS-ს შორის. თუმცა, 2002-2004 წლებში პოლიტიკური სტაბილურობის კვლავ შერყევის შემდეგ, პრეზიდენტმა სამპაიომ შეძლო არა მხოლოდ მთავრობის ფორმირება, არამედ პარლამენტის დაშლაც. ამგვარად, 2002-2004 წლების გამოცდილება ცხადყოფს, რომ კონსტიტუციური უფლებამოსილებები პრეზიდენტს კვალავც ფართო უფლებებს უტოვებს სამთავრობო არასტაბილურობის დროს და პრეზიდენტის როლის ნებისმიერ მინიმალისტურ ინტერპრეტაციას გამორიცხავს პოლიტიკურ სისტემაში. გარდა ამისა, ყველა პრეზიდენტი აქტიურად იყენებდა საკონსტიტუციო სასამართლოსადმი კანონების კონტროლის დაქვემდებარებისა და ვეტოს უფლებას პოლიტიკაზე ზეგავლენის მოსახდენად, როგორც ამას შემდგომში ვნახავთ. პარტიულ სისტემაში მომხდარმა ცვლილებებმა აშკარა გავლენა იქონია აღმასრულებელი ხელისუფლების ევოლუციაზე.

საარჩევნო და პარტიული ნიშნით მიმხრობის სისტემები

საარჩევნო სისტემის წესები საკანონმდებლო არჩევნებისთვის მეტწილად არ შეცვლილა მათი შექმნის დროიდან 1975 წლის დამფუძნებელი ასამბლეის არჩევნებისთვის – პირველი სრულიად დემოკრატიული არჩევნები 1974 წლის სამხედრო გადატრიალების შემდეგ. ერთი მხრივ, პორტუგალიამ პროპორციული წარმომადგენლობის ფორმულა შეინარჩუნა ხმების მიხედვით ადგილების გასანაწილებლად. მეორე მხრივ, მან ასევე დახურული სიების სისტემაც შეინარჩუნა. ეს უკანასკნელი ამომრჩევლებს არჩევანის ერთადერთ შესაძლებლობას სთავაზობდა იმ პარტიებს შორის, რომლებიც ოლქში არსებული ადგილების რაოდენობის შესაბამის კანდიდატთა სიას წარმოადგენდნენ. შემდეგ, ადგილები კანდიდატებს მოპოვებული ხმების პროპორციულად და სიით დადგენილი რიგითობის შესაბამისად გადაეცემოდა.

დემოკრატიაზე გარდამავალი პერიოდის განმავლობაში ამ სხვადასხვა წესების ადაპტაცია როგორც ჩანს ერთ საერთო ფაქტორთანაა დაკავშირებული: იმ პოლიტიკური პარტიების უმრავლესობის ინსტიტუციონალიზაციის ნაკლებობა, რომლებიც 1974 წლის გადატრიალებამდე ან მის შემდეგ გამოჩნდნენ. ერთი მხრივ, აშკარად დომინანტური პარტიის არარსებობა, რომელსაც სპეციფიკური წესების შემოტანის უნარი შესწევს და მომავალ არჩევნებში საარჩევნო მზარდაჭერის იმედის არმქონე პარტიების არსებობის პირობებში, პარტიები შეთანხმდნენ იმ სისტემის შემოღებაზე, რომელიც მათ სავარაუდო მოგების შესაძლებლობას მისცემდა, ე. ი. პროპორციული წარმომადგენლობის სისტემაზე (Magalhães 2003). მეორე მხრივ, კომუნისტური პარტიის გარდა, ყველა სხვა პარტიას აკლდა მნიშვნელოვანი გავლენა ადგილობრივ დონეზე ან ნაციონალური პოლიტიკური ორგანიზაცია. პარტიების მონოპოლია კანდიდატების შერჩევასა და ნაციონალურ კონტროლში პარტიული სიების შემადგენლობაზე საჭირო ინსტრუმენტს წარმოადგენდა ხელმძღვანელობისა და ცენტრალიზაციის გაძლიერებისთვის (Magalhães 2003).

თუმცა, პროპორციულ მეთოდს პატარა პარტიებისთვის შეუზღუდავი წარმომადგენლობა არ შემოუთავაზებია. მიუხედავად იმისა, რომ პორტუგალია მრავალპარტიულ სისტემად დარჩა, პარლამენტში არანაკლებ ხუთი სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლობით, ორმა ელემენტმა სისტემის პროპორციულობის შეზღუდვას შეუწყო ხელი. პირველ ყოვლისა, განსახილველ ფორმულებს შორის საბოლოოდ ჰონდტის ფორმულა იქნა არჩეული, რომელიც პროპორციულ არჩევნებში ყველაზე მყარი შემოვლითი გზის არსებობას უწყობს ხელს დიდი პარტიების სასარგებლოდ. მეორე, კიდევ უფრო მეტად მნიშვნელოვან ფორმულას წარმოადგენს ხმების ადგილებად კონვერსია არა ერთ ნაციონალურ საარჩევნო ოლქში, არამედ 22 საარჩევნო ოლქში, რომლებადაც ქვეყანაა დაყოფილი. ამ ოლქებიდან ორი ექსპატრიანტებისთვისაა განკუთვნილი (ერთი ოლქი ევროპულ ქვეყანაში მცხოვრები პორტუგალიელი მოქალაქეებისთვის, მეორე კი ევროპის გარეთ მცხოვრებთათვის).

ეს ოლქები გამოჯნული იქნა პროვინციებისთვის (*distritos*) შესასატყვისებლად – ქვეყნის ადმინისტრაციული დანაყოფები, რომლებიც ადრეც არსებობდა. გარდა ამისა, არჩეულ დეპუტატთა რაოდენობა თითოეული ოლქის ელექტორატის სიდიდის მიხედვით იქნა დადგენილი. ამ ორმა კომპონენტმა *gerrymandering*-ის (წინასაარჩევნო მაქინაციები) პრობლემა აიცილა თავიდან, რომელიც ხშირია ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა აშშ, ავსტარლია, საფ-

რანგეთი, იაპონია და ესპანეთი (Freire 2003). ამავე დროს, არსებობს არსებითი განსხვავება ამ ოლქების სიდიდეს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ოლქი საკმაოდ მნიშვნელოვანია კანდიდატთა რაოდენობით – 48 არჩეული პარლამენტარი ლისაბონში და 38 პორტოში – სხვები ძალზე პატარაა, როგორც ბრაგანსა და გუარდა ჩრდილოეთში (ოთხი რჩეული), ევორა და პორტოალეგრე სამხრეთში (შესაბამისად, სამი და ორი რჩეული) და ორი ოლქი ექსპატრიანტებისთვის (თითოეულისთვის ორი რჩეული). რეალობაში, პორტუგალიის 22 ოლქიდან არანაკლებ ათი ოლქი ხუთ ან ნაკლებ დეპუტატს ირჩევს. პროპორციულობის ეს განსხვავებები დროთა განმავლობაში გაიზარდა დემოგრაფიული ცვლილებების გამო, რომელმაც ქვეყნის შიგნით ჩაწერილი მოსახლეობის კლება და საკონსტიტუციო ცვლილება გამოიწვია, რამაც დეპუტატთა რაოდენობა 250-დან 230-მდე შეამცირა.

დახურული სიების სისტემის შედეგები ასევე ძალზე მნიშვნელოვანი იყო პორტუგალიის პოლიტიკურ ცხოვრებაში, განსაკუთრებით კანდიდატების შერჩევის მოდელისა და პარტიების შიდა დემოკრატიზაციის ზოგადი დონისათვის. მრავალი შედარებითი კვევის თანახმად (Gallagher et Marsh 1988; Carey et Shurgart 1995), დახურული სიების სისტემამ პარტიის თავმჯდომარეთა კონტროლის გაზრდას შეუწყო ხელი ინდივიდუალურ კანდიდატურებზე. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სხვადასხვა პარტიებში განსხვავებული ფორმითაა წარმოდგენილი, არ არსებობს მთავარ პოლიტიკურ პარტიებს შორის ერთი შემთხვევაც კი, როდესაც აქტივისტებს ინსტიტუციონალიზებული როლი აქვთ კანდიდატების შერჩევაში საკანონმდებლო არჩევნებში. ამგვარად, ეს პროცესი ძალზე ცენტრალიზებულია, ნაციონალური პარტიის ორგანოები ტოტალურად აკონტროლებენ სიების შემადგენლობას, ან ყოველ შემთხვევაში, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას (Cruz 1995; Freire 2001). ამ დროიდან, პარტიების ნაციონალური თავმჯდომარეების კანდიდატებად „პარაშუტირების" ფენომენი იმ ოლქებში, რომლებთანაც მათ არავითარი პოლიტიკური კავშირი არა აქვთ შედარებით გახშირდა და პარტიული დისციპლინა ძალზე ძლიერი დარჩა (Leston-Bandeira 2002).

1976 წლის პირველი საკანონმდებლო არჩევნების დროს წარმოდგენილი ოთხი პარტია დღეისათვის პორტუგალიის პარტიული ნიშნით მიმხრობის სიტემის ბირთვს წარმოადგენს. 1922 წელს დაფუძნებული კომუნისტური პარტიის გარდა (PCP-*Partido Communista Português*),[208] ეს პარტიები სწრაფად შეიქმნა სახელმწიფო გადატრიალებამდე ან მის შემდეგ. სოციალისტური პარტია 1973 წელს გერმანიაში იქნა დაფუძნებული მაშინ, როდესაც ცენტრისტულ-მემარჯვენე პარტია, კონსერვატიული პარტია და ცენტრის სახალხო-დემოკრატიული პარტია 1974 წელს იქნა ჩამოყალიბებული.

რადიკალურმა რევოლუციურმა გარემომ, რომელშიც პარტიები ვითარდებოდნენ მათი იდეოლოგიური მიმართულება განაპირობა. 1974-1975 წლების რევოლუციურ კონტექსტში, მემარჯვენე პარტიებს „საკუთარი თავის ბევრად უფრო მემარცხენეებად წარმოჩენის ტენდენცია ახასიათებდა, ვიდრე ამას მათი თავმჯდომარეები და სოციალური საფუძველი გვაფიქრებინებდა" (Bruneau et Mac Leod, 1986 : 87). ხომ არ ხდებოდა აღნიშნული იმ ფაქტის გამო, რომ ამ პარტიებს შეიარაღებული ძალების მოძრაობის (MFA) გვერდით მოქმედება სურდათ? ამგვარი სიტუაციის დამახასიათებელი ფაქტორია ის, რომ პორტუგალიის პოლიტიკური საჭადრაკო დაფის ყველაზე მარჯვნა ფლანგზე მყოფი CDS, თავს ცენტრის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას უწოდებდა, მეორე ცენტრისტულ-მემარჯვენე პარტია PPD კი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის სახელს ატარებდა. რეალობაში, დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიული პარტიების წარმომადგენელი პორტუგალიაში PS (სოციალისტური პარტია) იყო, რომელიც ანალოგიური მიზეზების გამო თავს უფრო რადიკალურად წარმოაჩენდა, რასაც სინამდვილეში არ ჰქონდა ადგილი (Bruneau, 1997).

კონფლიქტი ორ მთავარ მემარცხენე პარტიას შორის დემოკრატიაზე გარდამავალი პერიოდის დროს წარმოიშვა, როდესაც მთავარი პოლიტიკური საკითხი პოლიტიკური რეჟიმის ხასიათთან იყო დაკავშირებული. კომუნისტური პარტია დასავლური დემოკრატიებიდან გადმოტანილი ლიბერალური დემოკრატიის დამკვიდრებას უპირისპირდებოდა, რაც მას სოციალისტურ პარტიას აშორებდა, რომელიც ამ მოდელის შეუპოვარი დამცველი იყო (Bosco, 2001). საარჩევნო თვალსაზრისით, PS-ის მემარცხენეთა შედარებითი ჰეგემონია პირველი არჩევნების დროს დამყარდა. ამავე დროს, ამ პარტიის ფუნდამენტური უთანხმოებების გამო ახალი რეჟიმის ხასიათსა და მის ორიენტაციასთან დაკავშირებით, როგორც საგარეო პოლიტიკის, ისე ცივი ომის საერთაშორისო კონტექსტის საკითხზე, მას არავითარი კოალიცია არ ჩამოუყალიბებია PCP-თან. ეს აიხსნება PS-ის მხრიდან ზომიერი ელექტორატის დაკარგვის შიშით, რომელიც მან 1975-1976 წლებში მოიპოვა, რადგან ის ყველაზე ეფექტურ ბარიერად აღიქმებოდა ხელისუფლებაში PCP-ს მოსვლის შესაკავებლად. თუმცა, ამ პარტიამ შეძლო დროდადრო, PDS-თან და CDS-თან გაერთიანება.

1987 წლიდან დამფუძნებელ ასამბლეაში ნორმად იქცა მემარცხენე-ცენტრისტული პარტიისა (PS) და ცენტრისტულ-მემარჯვენე პარტიის (PSD) დომინანტობა. ეს პროცესი პატარა პარტიების ეტაპობრივი უკუსვლის პა-

208 2002 წლის არჩევნების დროს, PCP-მ ერთი სია ჩამოაყალიბა მწვანეთა პარტიასთან, PEV (*Partido Exologista Os Verdes*), რომელსაც CDU (*Coligação Democrátia Unitária*– გაერთიანებული სოციალ-დემოკრატიული პარტია) ეწოდა. მწვანეთა პარტია პატარა პარტიაა, რომელიც ძირითადად, კომუნისტური პარტიის ორგანიზაციული და პოლიტიკური მხარდაჭერით არსებობს.

რალელურად მიმდინარეობდა პარტიული ნიშნით მიმხრობის სისტემის ფარგლებში, კერძოდ, საქმე ეხებოდა კონსერვატიულ პარტიასა CDS-PP და კომუნისტურ პარტიას. მიუხედავად პატარა პარტიების არსებობის სივრცის თანდათანობითი შეზღუდვისა, 1999 წელს უკიდურეს მემარცხენე ფლანგზე ახალი პარტია გამოჩნდა, რომელიც შედარებითი ზრდითა და კონსოლიდაციით აღინიშნა – მემარცხე ბლოკი (BE-*Bloco de Esquerda*). BE ჩამოყალიბდა უკიდურესად მემარცხენე პარტიებისა და სოციალური მოძრაობების გაერთიანების საფუძველზე. აღნიშნულმა პარტიამ არჩევნებში მონაწილეობა პირველად 1999 წელს მიიღო და მისი პროგრამა ანარქისტული მემარცხენე იდეოლოგიების პრინციპებს იცავდა. 1999 წლიდან, ამ პარტიის მიერ მიღებული ხმების წილმა 2,4%-დან 6,4%-ს მიაღწია 2005 წელს, ხოლო მისი პარლამენტარების რაოდენობა 2-დან 8-მდე გაიზარდა იმავე პერიოდში.

დემოკრატიის პირველი ათწლეულის განმავლობაში (1974-1987 წწ.), მთავრობები საკმაოდ მყიფედ წარმოჩნდებოდნენ: არც ერთ მათგანს არ მიუღწევია მანდატის ამოწურვის ვადამდე და საშუალოდ 11 თვეზე მეტხანს არ შენარჩუნებულა. სამაგიეროდ, 1987-2002 წლებში ცენტრის ორი პარტია PSD და PS ქვეყანას მონაცვლეობით მართავდა (Lobo, 2005). ამავე დროს, მათ ეს ანალოგიურ პირობებში არ განუხორციელებიათ. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, PS-მ 1995 წლისა და 1999 წლის არჩევნები მოიგო, მაგრამ აბსოლუტური უმრავლესობა ვერ მოიპოვა. 1999 წლის შემდეგ, სოციალისტები მთავრობის სათავეში იმყოფებოდნენ ორი რთული წლის განმავლობაში: ცუდი ეკონომიკური მაჩვენებლები, პრემიერ-მინისტრის პოპულარობის დაცემა და აუტანელი სიტუაცია პარლამენტში. 2001 წლის დეკემბრის ადგილობრივ არჩევნებში უმნიშვნელო შედეგების მიღების შემდეგ, პრემიერ-მინისტრი გუტიერეში თანამდებობიდან გადადგა და პრეზიდენტმა სამპაიომ ახალი საკანონმდებლო არჩევნების ჩატარება გამოაცხადა (Lobo et Maghalaes, 2003). 2002 წლის არჩევნების დროს, PSD-მ არჩევნები მოიგო, მაგრამ აბსოლუტური უმრავლესობის მოპოვების გარეშე. ამის შემდეგ, ხელისუფლებაში PSD-სა და CDS-PP-ს კოალიცია მოვიდა და პრემიერ-მინისტრად PDS-ის თავმჯდომარე დურაო ბაროზო იქნა არჩეული. ეს მთავრობა მოკლევადიანი გამოდგა: მან ხელისუფლება ორი წლის განმავლობაში შეინარჩუნა, რის შემდეგაც დურაო ბაროზომ გამოაცხადა, რომ იგი ევროკომისიის მომავალი თავჯდომარე გახდებოდა და პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან გადადგებოდა.

ამგვარი რეალობის წინაშე მყოფმა სოციალისტმა პრეზიდენტმა სამპაიომ პარლამენტის არდაშლა და მთავრობის მეთურად PDS-ს მიერ დასახელებული, სანტანა ლოპეშის დანიშვნა არჩია მიუხედავად ყველა ოპოზიციური პარტიის წინააღმდეგობისა. ლოპეშის მთავრობას უმრავლესობა ჰყავდა პარლამენტში, მაგრამ შიდა უთანხმოებებთან დაკავშირებული დაბრკოლებები ჰქონდა. ამ პოლიტიკურმა სირთულეებმა ხანგრძლივი ეკონომიკური კრიზისის კონტექსტში, მთავრობის იმიჯი შელახა საზოგადოებრივ აზრში. მთავრობის დანიშვნიდან ოთხი თვის შემდეგ პრეზიდენტმა სამპაიომ პარლამენტის დაშლა და არჩევნების ჩატარება გადაწყვიტა (Freire et Lobo, 2006). 2005 წლის მარტში, სოციალისტები ხელისუფლების სათავეში აბსოლუტური უმრავლესობით მოვიდნენ, რაც პირველად მოხდა აღნიშნული პარტიის ისტორიაში.

ამ ორწლიანი პერიოდის (2002-2004 წწ.) მხედველობაში მიღებითაც კი, გაკვირვებას იწვევს პარტიების რაოდენობის შემცირება და სამთავრობო სტაბილურობა 1987 წლამდე და შემდეგ (Lobo, 1996; Magalhães, 2003). რითი შეიძლება ამის ახსნა? პირველ ყოვლისა, ესაა პორტუგალიურ საზოგადოებაში პოლიტიკური პარტიების უმნიშვნელო დამკვიდრება, რაზეც ხმის მიცემისას არჩევანის გაკეთების სიმყიფის მაღალი დონე მიგვანიშნებს. მიუხედავად იმისა, რომ პორტუგალიაში სოციალური დაყოფა საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო, ის არ გამხდარა ხმის მიცემის ძირითადი ფაქტორი. ეს დიდწილად დაკავშირებულია იმ პოლიტიკურ კონტექსტთან, რომელშიც საარჩევნო მობილიზაციას (1974-1975 წწ.) პირველად ჰქონდა ადგილი. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, კონფლიქტის სხვა განზომილებას (დასამყარებელი რეჟიმის ტიპი) მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდა პოლიტიკურ მობილიზაციაზე. დემოკრატიზაციის კონსოლიდაციის შემდეგ, ამ კონფლიქტმა თავისი მნიშვნელობა დაკარგა და ცენტრისტული ელექტორატი შედარებით სენსიტიური გახდა მოკლევადიანი პოლიტიკური ფაქტორების მიმართ (Freire *et. al.*, 2004). მეორე, მომდევნო საპრეზიდენტო არჩევნებმა, რომლებშიც პატარა პარტიებს სტრატეგიული ხმის მიცემის ტენდენცია ახასიათებდა, სავარაუდოდ ხმის მიცემა გააიოლა ცენტრის დიდი პარტიებისთვის საკანონმდებლო არჩევნებში (Lobo, 2001 : Freire et Pinto, 2005).

1987 წლიდან სამთავრობო სტაბილურობის გამყარებას მნიშვნელოვანი შედეგები ჰქონდა საკანონმდებლო საქმიანობისა და პარლამენტის მიერ მთავრობის კონტროლის დონეზე: საგრძნობლად იმატა ბოლო კენჭისყრით დამტკიცებულმა სამთავრობო პროექტების რაოდენობამ. 1987 წლის ერთპარტიული მთავრობით პორტუგალიის *Assembleia da República*-ში გამოყენებული იქნა „90%-ის კანონი". 1987-1999 წლებში მთავრობის მიერ წარმოდგენილი კანონების საშუალოდ 88% დამტკიცებული იქნა ბოლო წაკითხვით (Freire *et al.*, 2001). გარდა ამისა, მთავრობა ინტენსიურად იყენებდა იმ კანონდეკრეტებს, რომლებმაც პარლამენტის თანხმობა ვერ მიიღო. დაბოლოს, 1980-იანი წლების დასასრულიდან მთავრობამ რიგი ორგანიზაციული ცვლილებები განახორციელა უკეთესი ეფექტურობისა და კოორდინაციისთვის (Lobo, 2005). ამგვარად, კონსტიტუციურმა, ორგანიზაციულმა და პარტიული ნიშნით მიმხრობის სისტემაში განხორციელებულმა ცვლილებებმა მთავრობისა და პრემიერ-მინისტრის (როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების *მამოძრავებელი ძალისა*) გაძლიერებას შეუწყო ხელი.

მთავრობის პირისპირ, რომელსაც აბსოლუტური უმრავლესობა ჰყავს პარლამენტში, პრეზიდენტის ვეტოს უფლება ძალზე შეზღუდულია. იმ შემთხვევაშიც, თუკი პრეზიდენტის ვეტო მთავრობის დეკრეტებზე გადამწყვეტადაა მიჩნეული და მისი გვერდის ავლა შეუძლებელია, გაერთიანებული უმრავლესობის მიერ მხარდაჭერილ კაბინეტს პრეზიდენტის ვეტოთი უარყოფილი დეკრეტის ხელახლა შემოტანა შეუძლია საპარლამენტო კანონის ფორმით და მისი აბსოლუტური უმრავლესობით მიღება. მსგავსი სიტუაცია საპარლამენტო კანონპროექტების უმრავლესობას ეხება. არსებობს კანონმდებლობების ძალზე მცირე რეაოდენობა, რომელთა პირისპირ აბსოლუტური უმრავლესობის წინაშე მყოფ პრეზიდენტს ვეტოს რეალური უფლება გააჩნია. პარლამენტში ორი მესამედის უმრავლეობას საპრეზიდენტო ვეტოსთვის გვერდის ავლა შეუძლია იმ კანონებთან მიმართებაში, რომლებიც არჩევნებს და რეფერენდუმებს, სახელმწიფო თავდაცვას, საგანგებო მდომარეობასა და საკონსტიტუციო სასამართლოს შეეხება (Magalhães, 2003 : 199-200). რა თქმა უნდა, პრეზიდენტს უმცირესობის მთავრობის პირისპირ რეალური ვეტოს (veto player) გამოყენების შესაძლებლობა აქვს. თუმცა, პრეზიდენტობის ინსტიტუტის სამოქალაქო და პარტიული ნიშნით მიმხრობის ინსტიტუტად გადაქცევის შემდეგ, ამგვარ სიტუაციას მხოლოდ ერთხელ ჰქონდა ადგილი 1986 წელს მარიო სუარეშის პრეზიდენტობის პირველი მანდატის პერიოდში კავაკო სილვას უმცირესობის პირველი მთავრობის დროს 1986-1987 წლებში.

ამავე დროს, მიუხედავად პრეზიდენტის ვეტოს შესაძლებლობის მნიშვნელოვანი შეზღუდვებისა, უგულებელსაყოფელი არაა საზოგადების მხრიდან პოპულარული პრეზიდენტის აღქმა მთავრობისა და საჯარო პოლიტიკის მიმართ ვეტოს გამოყენების მეშვეობითა და ამ უკანასკნელის საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებით კანონების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით იმ შემთხვევაშიც, თუკი ამ ინსტრუმენტებს თავისთავად არ გააჩნია შემზღუდველი ძალა. ასევე, აღნიშნული კონსტიტუციური ინსტრუმენტების მიღმა, მარიო სუარეშის პრეზიდენტობის პერიოდში განსაკუთრებული ურთიერთობა დამყარდა მედიასთან „საპრეზიდენტო ინსტიტუტის გახსნილობის" მხედველობაში მიღებით. ამ მოვლენების დროს, გარკვეული რეგიონი ან პოლიტიკა პრეზიდენტის ყურადღების ცენტრში ექცეოდა, რომელიც მთავრობის შეცდომებს ააშკარავებდა (Serrano, 2002; Lobo, 2005). აღნიშნულმა ინიციატივებმა, რომლებიც მომდევნო პრეზიდენტების დროსაც გაგრძელდა, პრეზიდენტის როლი გააძლიერა საჯარო პოლიტიკური დღის წესრიგის წამოყენებაში და მთავრობას პერიოდულად წამოჭრილ კითხვებზე პასუხის გაცემა აიძულა. ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ პრეზიდენტის როლი შეიძლება გასცდეს მისთვის კონსტიტუციით მინიჭებულ როლს განსაკუთრებით, მისი მეორე (და უკანასკნელი) მანდატის დროს, როდესაც პრეზიდენტებმა აღარ უნდა იფიქრონ საარჩევნო გამოთვლებზე.

რაც შეეხება კონსტიტუციაში შესწორების შეტანის სირთულეს, აღსანიშნავია, რომ პორტუგალია მიეკუთვნება იმ ქვეყნებს, რომლებშიც საკანონმდებლო ხელისუფლება უმაღლესი ხელისუფლებაა (Lutz, 1994 : 363). ამიტომაც, პარლამენტში ჩატარებული კენჭისყრა საკმარისია კონსტიტუციაში შესწორების შესატანად.[209] კონსტიტუციის გადასინჯვა (*revisão constitucional*) საპარლამენტო ინიციატივასა და ორი მესამედის კენჭისყრას მოითხოვს პარლამენტში. პრეზიდენტს კანონის დამტკიცების გარდა სხვა არჩევანი არ რჩება (კონსტიტუციის 284-287-ე მუხ.)

პორტუგალია ასევე დასავლეთ ევროპის ერთ-ერთი ყველაზე ცენტრალიზებული ქვეყანაა, რადგან არ არსებობს არავითარი შუალედური ხელისუფლება ადგილობრივ და ნაციონალურ აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის, ხოლო ადგილობრივ საბჭოს უმნიშვნელო ძალაუფლება და რესურსები აქვს. გარდა ამისა, ადმინისტრაციული ტრადიცია საზოგადოებაში სახელმწიფოს მნიშვნელოვანი როლით ხასიათდება და ცენტრალიზებული სახელმწიფოს ადმინისტრაციის ტრადიცია არსებითად გაძლიერდა დემოკრატიზაციასთან ერთად. ოცდაათწლიანი დემოკრატია სახელმწიფოს როლის გაზრდას ცხადყოფს, როგორც ეკონომიკაში, ისე სოციალურ კეთილდღეობაში (Lobo, 2005). ასევე, სახელმწიფოს მნიშვნელობა საგრძნობლად გაიზარდა ხარჯების შესაბამისად, რომლებიც თითქმის გაორმაგდა მთლიანი შიდა პროდუქტის პროცენტული მაჩვენებლით ბოლო 20 წლის მანძილზე.

პორტუგალიის დემოკრატიულ ცხორებაში რეფერენდუმები ხშირად ტარდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ 1976 წლის კონსტიტუცია არ ითვალისწინებდა არავითარ დებულებას მათ გამოყენებასთან დაკავშირებით. 1989 წელს კონსტიტუციის მესამე გადასინჯვის დროს შესაძლებელი გახდა ნაციონალური რეფერენდუმის ჩატარება სპეციალური გარემოებების შემთხვევაში და განსაზღვრულ თემებთან დაკავშირებით, რეფერენდუმები მთავრობის განკარგულებაში არსებულ ახალ დამატებით ინსტრუმენტად გამოიყენებოდა, როგორც *demos*-ისთვის საჯარო პოლიტიკაში შეღწევის საშუალება. 1997 წლის საკონსტიტუციო რეფორმამ რეფერენდუმის გამოყენების უფლება გააფართოვა მოქალაქეთა ჯგუფის ინიციატივით და ასევე შესაძლებელი გახადა რეფერენდუმის ჩატარება საერთაშორისო ხელშეკრულებებთან დაკავშირებით. ამ უკანსკნელმა არჩევანმა გზა გაუხსნა რეფერენდუმების ჩატარებას პარლამენტის მიერ მიღებულ ევროპულ ხელშეკრულებებზე (Sousa, 1999: 36). პრაქ-

209 ამ ჯგუფში შემავალი სხვა ქვეყნებია: ავსტრია, ბოცვანა, ბრაზილია, ინდოეთი, კენია, მალაზია, ახალი ზელანდია პაპუა ახალი გვინეა და სამოა. ამავე ავტორის თანახმად, მოპოვებული უმრავლესობის რაოდენობას გავლენა არა აქვს საკონსტიტუციო შესწორების მაჩვენებელზე ამ მაგალითის შემთვევაში. (32 დემოკრატიას დაწურილი კონსტიტუცია აქვს).

ტიკაში, პორტუგალიაში მხოლოდ ორ რეფერენდუმს ჰქონდა ადგილი, პირველი აბორტის დეკრიმინალიზაციას, ხოლო მეორე ხელისუფლების რეგიონალური ორგანოების შექმნას (1999 წ.) ეხებოდა, ორივე რეფერენდუმი მთავრობისთვის მარცხით დასრულდა. 2007 წლის თებერვალში, მესამე რეფერენდუმი ჩატარდება, რომელიც კვლავ აბორტის დეკრიმინალიზაციის საკითხს ეხება.

თუკი ყველა მაჩვენებელს მივიღებთ მხედველობაში, აშკარაა, რომ პორტუგალიის პოლიტიკური სისტემა მაჟორიტარული მოდელის მიმართულებით განვითარდა საკონსტიტუციო ცვლილებებისა და პარტიული ნიშნით მიმხრობის სისტემაში მომხდარი ევოლუციის გამო 1980-იანი წლების მეორე ნახევრიდან. აღნიშნული ხდება არა მხოლოდ იმ მიზეზით, რომ კონსტიტუცია – განსაკუთრებით კი 1982 წლის კონსტიტუცია – *de facto* მთავრობის დომინანტობას უწყობს ხელს აღმასრულებელი ხელისუფლების შტოს შიგნით და პარლამენტის პირისპირ, როდესაც მთავრობას საპარლამენტო უმრავლეობა ჰყავს, არამედ ასევე იმიტომ, რომ მიუხედავად სხვადასხვა ზეწოლისა, პორტუგალია ცენტრალიზებულ და უნიტარულ სახელმწიფოდ რჩება და პარტიულმა სისტემამ ორპარტიული საარჩევნო მოდელის მიმართულებით განიცადა ევოლუცია 1987 წლიდან.

ინსტიტუციონალური რეფორმა

ინსტიტუციონალური რეფორმის საკითხი თითქმის ყოვლისმომცველი იყო პორტუგალიის პოლიტიკურ ცხოვრებაში ავტორიტარული რეჟიმის დამხობის დროიდან. 1997 წელს, კონსტიტუციის ახალი გადასინჯვის შედეგად საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების მანდატი ცხრა წლამდე გაიზარდა და ისინი შეუცვლელები გახდნენ (წინათ მოსამართლეების მანდატი ექვსი წელი იყო და მათი შეცვლა შესაძლებელი იყო). აღნიშნული ხანგრძლივი დებატების შედეგად განხორციელდა, რომელიც ეხებოდა მოსამართლეების დანიშვნასა და მანდატის ხანგრძლივობას და ასევე ამ უკანასკნელთა დამოუკიდებლობას პარლამენტის, განსაკუთრებით კი პოლიტიკური პარტიების პირისპირ. ამ შემთხვევაში, შესაძლებელია იმის მტკიცება, რომ პორტუგალიის კონსტიტუციური კონტროლის ინსტიტუტებს თითქმის 20 წელი დასჭირდათ სასამართლო კონტროლის „ევროპულ" ან „კელზენისეულ" მოდელთან მისაერთებლად.

რაც შეეხება პრეზიდენტის როლს, 1982 წლიდან დაწყებული კონსტიტუციის გადასინჯვის თითქმის არც ერთ პროცესს – ადგილი ჰქონდა არანაკლებ ოთხ გადასინჯვას (1989 წ, 1992 წ, 1997 წ. და 2001 წ.) – არ გამოუწვევია რეფორმის გატარების წინადადებების მიღება საპრეზიდენტო მოვალეობებთან მიმართებაში, მიუხედავად იმისა საქმე ეხებოდა ამ უფებამოსილებების შემცირებასა თუ რეჟიმის საპრეზიდენტო მმართველობის სისტემაზე სრულ გადასვლას. ეს დებატი მუდმივად მიმდინარეობდა ხან საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებამდე ცოტა ხნით ადრე, ხან კი პრეზიდენტის მიერ წინააღმდეგობრივი გადაწყვეტილებების მიღების შემდეგ (Magalhães 2006). თუმცა, ამ შემთხვევაში, 1982 წელს განხორციელებული ცვლილებები ხანგრძლივი აღმოჩნდა, რამაც პრეზიდენტს „პრემიერ-პრეზიდენტის" რეჟიმის მოდელის დაახლოების შესაძლებლობა მისცა: სისტემა, რომელშიც პრეზიდენტი სახალხო კენჭისყრითაა არჩეული და მნიშვნელოვან უფლებამოსილებებს ინარჩუნებს, მაგრამ პრემიერ-მინისტრი და კაბინეტი მხოლოდ პარლამენტის წინაშეა პასუხისმგებელი (Shugart et Carey 1992 : 24).

ინსტიტუციონალურ წესებთან დაკავშირებული მეორე თითქმის მუდმივად საკამათო საკითხი სასამართლო სისტემას შეეხება. პორტუგალიის გარდამავალი პერიოდის განმავლობაში შენარჩუნებული იქნა სასამართლო ხელისუფლების იერარქიულ-ბიუროკრატიული ორგანიზაცია, მაგრამ მასში მნიშვნელოვანი რეფორმები გატარდა იმის უზრუნველსყოფად, რომ მთავრობებს სასამართლოებისა და მოსამართლეების შემზღუდველი ინსტრუმენტი არ ჰქონოდათ. ამგვარად, სასამართლო სისტემა ეტაპობრივად დაშორდა გარდამავალი პერიოდის შემდგომ მოდელს – ასევე ესპანეთისა და საბერძნეთის მოდელიც, – რომელშიც პროკურორი აღმასრულებელი ხელისუფლების წინაშე იყო პასუხისმგებელი, და იტალიურ მოდელს მიუახლოვდა, რომელშიც პროკურორი სრული დამოუკიდებლობით სარგებლობდა (Magalhães, Guarnieri et Kaminis 2006).

საარჩევნო სისტემის რეფორმა, რომელიც მრავალი დებატის ობიექტი გახდა პორტუგალიის პოლიტიკური სისტემის მესამე განზომილებაა. 1980-იანი წლების დასაწყისში სხვადასხვა მნიშვნელოვანი პარტია საარჩევნო რეფორმის წინადადებით გამოვიდა. აღნიშნული ათწლეულის დასასრულს ფართო, მაგრამ ბუნდოვანი კონსენსუსი ჩამოყალიბდა საარჩევნო სისტემის რეფორმის აუცილებლობასთან დაკავშირებით. ეს განსაკუთრებით დახურული სიების სისტემის გამოყენების შედეგებს შეეხება, რომელიც გაკრიტიკებული იქნა იმის გამო, რომ ნაკლებად უწყობდა ხელს წარმომადგენლობისა და პასუხისმგებლობის ურთიერთობების დამყარებას ინდივიდუალურ პარლამენტარებსა და მათ ამომრჩევლებს შორის და იმ მიზეზის გამო, რომ ის ანეიტრალებდა პარლამენტარების როლს პარლამენტში. პარალელურად, პარლამენტართა რაოდენობის შემცირების მოთხოვნის საკითხი – ხშირად პოპულისტური ხასიათის – მუდმივი განხილვის საგანია ინსტიტუციონალურ დებატში.

საარჩევნო წესებში ცვლილებების შეტანის წინადადებები ეხებოდა, როგორც ყველაზე დიდი ოლქების დაყოფას – რაც ამომრჩევლებს პოტენციურად სიების შემადგენლობის გაცნობის საუკეთესო შესაძლებლობას აძლევდა, – ისე პროპორციული ტენდენციის მქონე შერეული საარჩევნო სისტემის შემოღებას, რომელშიც უნინომინალური ოლქები შეხამებული იქნებოდა დისპროპორციულობის დაბალ დონესთან ხმების ადგილების რა-

ოდენობაში გადაყვანისას (Cruz 1998; Freire *et al.*, 2002). ეს წინადადებები თავად დიდი პარტიებიდან იყო წამოსული მიუხედავად იმისა, რომ ისინი მნიშვნელოვან რეფორმაზე ვერ შეთანხმდნენ. ცვლილებების გატარების შესაძლებლობას ოთხი ფაქტორი ზღუდავდა: პარტიების შიში საარჩევნო რეფორმის სავარაუდო შედეგებთან დაკავშირებით ადგილების გადანაწილებაში; საარჩევნო რეფორმებთან დაკავშირებული დისკუსიების ბლოკირება სხვა მრავალი საკითხის არსებობის გამო, რომელიც რეფორმასთან არ იყო დაკავშირებული; პოტენციური ამლილობა, რომელიც შეიძლება ცვლილებას გამოეწვია ოლქებში პარტიების ორგანიზაციაში ადგილობრივ დონეზე; მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ მთავარი პარტიების თავმჯდომარეებში ნაკლებად არსებობდა დახურული სიების სისტემაზე უარის თქმის ნება, რომელსაც საბოლოო ჯამში, მათთვის მრავალი სარგებელი მოჰქონდა (Magalhães 2003).

დასკვნა

მიუხედავად ამ სირთულეებისა, გარდამავალი პერიოდი კონსოლიდაციით დასრულდა 1982 წელს და 1987 წლიდან ხმების კონცენტრაციას დამაკმაყოფილებელი პოლიტიკური სისტემის დამყარება მოჰყვა, რომელიც მრავალპარტიულობას ინარჩუნებდა და ამავე დროს, სტაბილური მთავრობების შექმნის უნარი შესწევდა. თუმცა, ის ფაქტი, რომ პორტუგალიაში ინსტიტუციონალურ რეფორმებს მთავარი ადგილი უკავია პოლიტიკურ დისკუსიებში, იმ დაძაბულობის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია, რომელსაც ადგილი აქვს დღეს არსებული პოლიტიკური სისტემის ადეკვატურობის, ეფექტურობისა და თავად ლეგიტიმურობის საკითხის გარშემო.

დანართი A: საკანონმდებლო არჩევნები პორტუგალიაში 1976-2005 წწ.
ხმებისა და ადგილების პროცენტული მაჩვენებელი

პარტია/წელი		1976 წ.	1979 წ.	1980 წ.	1983 წ.	1985 წ.	1987 წ.	1991 წ.	1995 წ.	1999 წ.	2002 წ.	2005 წ.
UDP (PSR)	%-ხმები	1,7	2,1	1,3	1,1	1,3	1,2	1,1	0,57			
	ადგილები	1	1	1	0	0	0	0	0			
BE	%-ხმები									2,4	2,7	6,4
	ადგილები									2	3	8
PCP/APU/CDU	%-ხმები	14,6	19,0	16,9	18,2	15,5	12,2	8,8	8,61	8,9	6,9	7,5
	ადგილები	40	47	41	44	38	31	17	15	17	12	14
PS (+პარტნიორები)	%-ხმები	35,0	28,1	28,0	36,3	20,8	22,3	29,25	43,85	44,1	37,8	45,0
	ადგილები	107	74	71	101	57	60	72	112	115	76	121
PRD	%-ხმები					17,9	4,9	0,6				
	ადგილები					45	7	0				

პარტია/წელი		1976 წ.	1979 წ.	1980 წ.	1983 წ.	1985 წ.	1987 წ.	1991 წ.	1995 წ.	1999 წ.	2002 წ.	2005 წ.
PSD	%,-ხმები	24,4			27,0	29,8	50,1	50,4	34,0	32,3	40,2	28,8
	ადგილები				75	88	148	135	88	81	105	75
CDS	%-ხმები	16,6			12,4	9,8	4,3	4,4	9,08	8,3	8,7	7,3
	ადგილები	42			30	22	4	5	15	15	14	12
AD (კოალიცია)	%-ხმები		42,2	47,1								
	ადგილები		121	126								
PSN	%-ხმები							1,7	0,21			
	ადგილები							1	0			

დანართი B: მთავრობები, 1976-2002 წწ., და საპრეზიდენტო მანდატები

პრეზიდენტი	მთავრობა პრემიერ-მინისტრი	დასაწყისი	დასასრული	ხანგრძლივობა (თვეები)	მთავრობის ტიპი	მთავრობაში შემავალი პარტიები
გენერალი ეანეში (არჩეული 1976-1980 წწ; და ხელახლა არჩეული 1980-1986 წწ.)	სუარეში	23.07.76	23.01.78	17	უმცირესობის	PS
	სუარეში	23.01.76	29.08.78	7	კოალიცია	PS, CDS
	ნომბრე და კომტა	29.08.78.	22.11.78	3	არა პარტიული ნიშნით	–
	მოტა პინტო	22.11.78	07.07.79	7	არა პარტიული ნიშნით	–
	პინტასიგლო	07.07.79	03.01.80	6	არა პარტიული ნიშნით	–
	სა კარნეირო	03.01.80	09.01.81	12	კოალიცია	AD(PSD,CDS, PPM)
	ბალზემაო	09.01.81	14.09.81	8	კოალიცია	AD(PDS,CDS, PPM)
	ბალზემაო	04.09.81	09.06.83	21	კოალიცია	AD (PSD,CDS, PPM)
	სუარეში	09.06.83.	06.11.85	29	კოალიცია	PS, PSD
	კავაკო სილვა	6.11.85	17.08.87	21	უმცირესობის	PSD
	კავაკო სილვა	17.08.87	31.10.91	50	უმცირესობის	PSD
მარიო სოარეში (არჩეული 1986-1991წწ. და ხელახლა არჩეული 1991-1996წწ)	კავაკო სილვა	31.10.91	28.10.95	48	უმრავლესობის	PDS
	გუტიერეში	28.10.95	25.10.99	48	უმცირესობის	PS
ჟორჟე სამპაიო (არჩეული 1986-1991 წწ. და ხელახლა არჩეული 2001-2006 წწ.)	გუტიერეში	25.10.99	06.04.02	29	უმცირესობის	PS
	დურაო ბაროზო	06.04.02	17.07.04	27	კოალიცია	PSD/CDS-PP
	სანტანა ლოპეში	17.07.04	12.03.05	8		PSD/CDS-PP
კავაკო სილვა (არჩეული 2006 წ. –)	სოკრატესი	12-03.05	–	–	უმრავლესობის	PS

ბიბლიოგრაფია

BOSCO, A., (2001): „Four Actors in Search of a Role: The Southern European Communist Parties", in Diamandouros P.N. and Gunther R. (ed.), Parties, Politics and Democracy in the New Southern Europe, Baltimore: Johns Hopkins University Press, p. 329-387.

BRUNEAU, T., and MACLEOD, A., (1986), Politics in Contemporary Portugal, Colorado: Lynne Rienner.

BRUNEAU, T., (1997), Political Parties in Portugal, Oxford: Westwiew.

CAREY, J,M, and SHUGART, MS, (1995) „Incentive to cultivate a personal vote: a rank ordering of electoral formulas", Electoral Studies, 14, p. 417-39.

CRUZ, M,B, da (1995) Instituições politicas e processos sosiais, Venda Nova: Bertrand.

CRUZ, .M,.B, da (1994), „O Presidente da Républica na Génese e Evolução da Sistema de Governo Português", Análise Social, 4a., vol. XXIX, n°125-126, p. 237-267.

FREIRE, A, (2001) Recrutamento parlamentar: os deputados portugueses da Constituinte à VIII Legislatura, Lisbon: STAPE.

FREIRE, A, (2003) „Elecciones y comportamiento electoral en Portugal", in Barreto, A., Gómez, B, and Magalhães, P, (eds.), Portugal: democracia y sistema politico, Madrid: Siglo XXI, pp. 144-9.

FREIRE, A, and Costa Pinto A., (2005), O Poder dos Presidentes, Lisboa: Campo da Comunicação.

FREIRE, A, and LOBO, M.C., (2006), „The Portuguese 2005 legislative election: Return to the Left", West European Politics, vol 29, n° 3, p. 581-588.

GALLAGHER, M, and MARSH, M, (1988)Candidate selection in comparative perspective" the secret garden of politics, London: Sage.

GRAHAM, L., (1992) „The Portuguese Transition to Democracy", in Gunther, R., and Higley, J., El;ite Settlementss and Democratic Consolidation in Latin America and Southern Europe,Cambridge: Cambridge University Press.

HITE, K, and MORLINO, L, (2004) „Problematizing the Links between Authoritarian Legacies and „Good" Democraty", in Hite K, and Cesarini P, (eds), Authoriarian Legacies and Democraty in Latin America and Southern Europe, Notre Dame: University of Notre Dame Press.

Leston-BANDEIRA, C. (2002), De lagislação à legitimação: o papel do parlamento português, Lisbon: ICS.

LINZ, J. J, (2000), Totalitarian and Authoritarian Regimes, Boulder, Lynne Rienner: trad. fr., Régimes totalitaires et autoritaires, Armand Colin, 2006.

LINZ, J. J. and STEPAN A. (1997), Problems of Democratic Transition and Consolidation: Southern Europe, South America and Post-Communist Europe, Baltimor: Johns Hopkins University Press.

LOBO, M.C., (2005a), „The Prsidentialisation of Portuguese Democraty?" in Webb, P. and Poguntke, T., The Presidentialisation of Parliamentary Democracies?, Oxford: OUP, p. 269-289.

LOBO, M.C., (2005b), Governar em Democracia, Lisboa: ICS.

LOBO, M.C., and MAGALHÃES, P., (2003), „Election Report: the Local Elections of 2001 and the Legislative Elections of 2002", Southern European Politics and Society, vol. 7, n° 1.

LUTZ, D.S., (1994), „Toward a theory of constitutional amendment", and American Political Science Review, 88, p. 355-70.

MAGALHÃES, P. (2006), „The Institutional Framework of the Transition to Democracy in Portugal", in Minotos, M. (ed.) The Transition to Democracy in Spain, Portugal and Greece Thirty Years After, Athens: Konstantinos G. Karamanlis Foundation.

MAGALHÃES, P. (2003), „Elections, Parties and Policy-making institutions in Democratiec Portugal", in Pinto, A.C., Contemporary Portugal, Boulder: Social Science Monographs.

MAXWELL., K. (1995), The Making of Portuguese Democraty, Cambridge: Cambridge University Press.

MOREIRA, A., (1997), O Novíssimo Principe, Braga: Editorial Intervenção.

MORLINO, L., (1998), Democraty Between Consolidation and Crisis: Parties, Groips and Citizens in Southern Europe, Oxford: Oxford University Press.

PEREIRA, A.G., (1984), O Semipresidencialismo em Portugal, Lisboa: Ática.

PINTO, A.C. (2006), „Authoritarian Legacies, Transitional Justice and State Crisis in Portugal's Democratization", Democratization, vol. 13, n° 2, p. 173-204.

PINTO, A. C (2003), Contemporary Portugal, Boulder: Social Science Monographs.

PRIDHAM, G. (2002), „European Integration and Democratic Consolidation in Southern Europe", Costa Pinto A. and Severiano Texeira N. (eds.), Southern Europe and the Making of the European Union, Boulder: Social Science Monographs, p. 183-207.

SERRANO, E., (2002), As Presidências Abertas de Mário Soares: as estratégias e o aparelho de communicação do Presidente da República, Coimbra: Minerva.

SIAROFF, A., (2003), „Comparative Presidencies: the inadequancy of the Presidential, semi-presidential and parliamentary distinction", European Journal of Political Research,, vol. 42, p. 287-312.

თავი XIX

რუმინეთი

სორინა სოარე
კრისტიან პრედა

შესავალი: განსაკუთრებული შემთხვევიდან ეტაპობრივ ნორმალიზაციამდე

რუმინეთის დღევანდელი რეჟიმი 1989 წლის დეკემბრის ანტიკომუნისტური აჯანყებიდან ჩამოყალიბდა – რეჟიმის ყველაზე ძალადობრივი დამხობა რეგიონში. ეს მოვლენები „მოულოდნელი და გაურკვეველია": „მოულოდნელი," რადგან 1989 წლამდე არ არსებობდნენ არაძალადობრივი სტრუქტურები, რომელთაც ძველ რეჟიმთან მოლაპარაკების დაწყებისა და ამგვარად, ქვეყნის მომავლის შეცვლის უნარი შესწევდათ. გარდა ამისა, ხელისუფლებაში სწრაფად მოსული ჯგუფები „გაურკვევლებად" აღიქმებოდნენ, რადგან კვლავაც უცნობია „თუ რა მოხდა სინამდვილეში." სავარაუდოდ, რუმინეთის ევოლუციის განმარტება, როგორც განსაკუთრებული შემთხვევისა, კომუნისტური რეჟიმის ბუნებაში უნდა ვეძებოთ, რომელიც ხელისუფლების პერსონალიზაციას, დინასტიურ ტენდენციებსა და ქვეყნის ყველა საქმეში უმაღლესი მეთაურის ჩარევას აერთიანებს, მრეწველობიდან ნაციონალისტურ და აბორტის საწინააღმდეგო პოლიტიკამდე.

ამ გენეტიკური მახასიათებლების დადგენით აშკარა მსგავსება ვლინდება კომუნისტურ წარსულსა და პოსტკომუნისტურ აწმყოს შორის. უფრო ზუსტად, რუმინეთის პოლიტიკურ წარმოსახვაში, „რევოლუცია" და „დემოკრატია" 1989 წლამდე ბევრად ადრე იყო გაერთიანებული. თუმცა, საქმე ეხებოდა დემოკრატიასა და *სოციალისტურ* რევოლუციას. ამავე დროს, მათ შორის კავშირი *ბუნებრივი* იყო: სოციალისტურმა რევოლუციამ, რევოლუციის უმაღლესმა ფორმამ, როგორც აღნიშნავდნენ, დემოკრატიის უმაღლესი ფორმა შექმნა, სოციალისტური ან სახალხო დემოკრატია. გავიხსენოთ, რომ ამ განსაკუთრებული დემოკრატიის ძირითადი არსი კარგად ცნობილი ეტიმოლოგიიდან მომდინარეობდა: „მმართველობის ფორმა, რომელშიც ძალაუფლება ხალხს ეკუთხვის."[210] ეს ინტერპრეტაცია მრავალმა პოლიტიკოსმა აიტაცა 1989 წლის შემდეგ, მათ შორის ი. ილიესკუმ, პოსტკომუნისტური პერიოდის პირველმა პრეზიდენტმა. შემთხვევითი არაა, რომ ექსპრეზიდენტის პოლიტიკას „ნეოკომუნიზმად" განიხილავდნენ. ილიესკუ კომუნისტური სლოგანებიდან გადმოღებულ რიტორიკას იყენებდა: მესამე გზა კომუნიზმსა და კაპიტალიზმს შორის, ანტიკომუნისტების გაერთიანება თავიანთ იდეურ მოწინააღმდეგეებთან, ნაციონალიზმი და სხვ.

ამის საპირისპიროდ, ილიესკუს მოწინააღმდეგეები რთულ სიტუაციაში არიან, რადგან საზოგადოება მათ არ იცნობს. ისინი ალტერნატიული ლეგიტიმაციის ფორმის გამონახვას ცდილობენ, რომელიც ექსკლუზიურად წინა კომუნისტური ისტორიული ტრადიციიდან მომდინარეობს. სწორედ ამგვარად გაჩნდნენ ე. წ. ისტორიული პარტიები, რომლებიც აახლებდნენ რა მეორე მსოფლიო ომამდე არსებულ ტრადიციას, კავშირის სრული გაწყვეტა სურდათ კომუნისტურ წარსულთან. ამ პოლიტიკურ-ინტელექტუალური მექანიზმის პარადოქსული შედეგი იყო იმის შექმნა, რასაც ბარბიუ „პოსტომუნისტურ ანტიკომუნიზმს" უწოდებდა ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, ერთგვარ „ეთიკურ და პოლიტიკურ კონფორმიზმს, რომელიც კომუნისტური წარსულის გამოაშკარავების ყალბ სტრერეოტიპულ პათოსში გამოიხატებოდა"[211].

მოკლედ რომ ვთქვათ, რეგიონის სხვა ქვეყნებთან მიმართებაში რუმინეთი განსხვავდება 1989 წლის შემდგომი პოლიტიკური ცხოვრების დამფუძნებელი, ექსკომუნისტური და ანტიკომუნისტური განხეთქილების ორი ასპექტის არსებობით.[212] გარდა ამისა, ასევე აღსანიშნავია ინსტიტუციონალიზაციის დაბალი დონე. მთელი რეგიონის მსგავსად, რეჟიმის კონსტიტუციონალიზაცია შედარებით გვიან განხორციელდა, 1991 წლის 8 დეკემბერს. აღსანიშნავია, რომ ეს ლოგიკა უკვე არსებობდა, როგორც რუმინეთის პოლიტიკური ტრადიციის დამახასიათებელი ნიშანი. მართლაც, პირველი კონსტიტუცია 1866 წლის ივლისში იქნა მიღებული პრინც კუზას წინააღმდეგ ორგანიზებული სახელმწიფო გადატრიალებიდან ორი თვის შემდეგ და რუმინელთა მეფედ კარლ I ტახტზე ასვლიდან ორი თვის შემდეგ. 1923 წელს ვერსალის ხელშეკრულების დადებიდან ცოტა ხნის შემდეგ, ძალაში შევიდა ახალი კონსტიტუცია. 1948 წელს პირველი კომუნისტური კონსტიტუცია მიღებული იქნა არჩევნების ჩატარებიდან ერთი თვის შემდეგ. იმავდროულად, კონსტიტუციური კანონების არსებობის ხანმოკლე პერიოდი რუმინეთის პოლიტიკის სხვა მახასიათებელს წარმოადგენს: 1866-2005 წლებში რუმინელები შვიდი ძირითადი

---

210 *Dictionar de filosofie* (1978), Bucarest : Editura Politica, p. 183 et *Dictionar politic* (1975), Bucarest : Editura Politica, pp. 190-192.

211 Barbu D. (1999), *Republica absenta*, Bucarest: Nemira, p. 93.

212 რუმინეთის დემოკრატიის უფრო დეტალური განეზისისთვის იხ. Ionescu A. et Hatto O (éds) (2004), *Politique et société dans la Roumanie contemporaine*, Paris : L'Harmattan.

კანონის მიღების მომსწრენი გახდნენ, 25 საკონსტიტუციო გადასინჯვით. მომდევნო რეჟიმების მყიფე ინსტიტუციონალიზაცია ასევე აშკარაა საარჩევნო კანონების დონეზე: 1831 – (პირველი არჩევნების თარიღი რუმინეთში) 2004 წლებს შორის არსებულ პერიოდში მიღებული იქნა 18 საარჩევნო კანონი. თუკი მხედველობაში მივიღებთ არჩევნების გარეშე არსებულ პერიოდებს (1848-1857 წწ; და 1940-1946 წწ.), საარჩევნო კანონმდებლობის ხანგრძლივობა ათ წელზე დაბალია. ამ ცვალებად საფუძველზე ორმოცდაცხრამეტი საკანონმდებლო არჩევნები ჩატარდა, რომელთაგან ოცდახუთი საყოველთაო ხმის მიცემის უფლების რეჟიმის დროს ჩატარდა (1919-1937 წწ. და 1946-2004 წწ.) ოცდათოთხმეტი კი ცენზიანი რეჟიმის (1831-1918 წწ.) ან ხმის მიცემის შესაძლებლობის ძლიერი პროფესიული შეზრუდვის პერიოდში (1939 წ.). საყოველთაო ხმის მიცემის უფლების საფუძველზე ჩატარებული ოცდახუთი არჩევნებიდან პირველი ათის დროს გამორიცხული იყო ქალების მონაწილეობა (1919-1937 წწ.), ხოლო რვით მრავალპარტიულობა იქნა უარყოფილი (1952-1985 წწ.). მხოლოდ შვიდ არჩევნებში მნიშვნელობა მიენიჭა პირდაპირ საყოველთაო არჩევნებსა და თავისუფალ პოლიტიკურ კონკურენციას.[213]

ბოლო შენიშვნა: დემოკრატიაზე მეტად, სწორედ ერი წარმოადგენს რუმინეთის პოლიტიკის ტრაექტორიის სტაბილურ ელემენტს. ის ყოველთვის აღიქმებოდა და აღიქმება ძირითადად ეთნიკურ კონოტაციაში მიუხედავად იმისა, რომ რუმინეთის სახელმწიფო აღიარებს უმცირესობების არსებობას და ხელს უწყობს მათ მონაწილეობას პოლიტიკურ ცხოვრებაში.[214] ეს წინააღმდეგობრიობა ხშირად ძალზე მძაფრი ნაციონალისტური გრძნობების გაღვივებას იწვევდა, მაგალითად, დაპირისპირებები რუმინელებსა და უნგრელებს შორის ტარგუ მურეშში 1990 წლის მარტში. საბოლოოდ, 1977 წელს რეჟიმმა ბალნისის პოვნა შეძლო უნგრული უმცირესობის წარმომადგენელთა ინტეგრაციით მთავრობაში: ამ დროიდან, UDMR საპარლამენტო და სამთავრობო კოალიციებშიც კი შედის (2000 წლამდე და კვლავ 2004 წლის შემდეგ).

ლიდერის მნიშვნელობა: ნახევრად საპრეზიდენტო მმართველობის სისტემა წყვეტილი საპარლამენტო მმართველობით

1866 წელს რუმინეთი მონარქია გახდა. ამავე ეპოქაში პირველი ორი პოლიტიკური პარტია გამოდის ასპარეზზე: ლიბერალები და კონსერვატორები. გარეგნულად ბრიტანული ორპარტიულობის მიბაძვით, რუმინეთის პოლიტიკური სისტემა სამთავრობო როტაციის პრინციპით იმართებოდა ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, მეფის მიერ, რომელიც თვითნებური ფორმით წყვეტდა სამთავრობო ფორმულების ცვლილებებს. პირველი მსოფლიო ომის დასასრულიდან, კონსერვატიული პარტია კარგავს თავის გავლენას და მის ადგილს გლეხთა ნაციონალური პარტია იკავებს. მიუხედავად ყველაფრისა, თამაშის წესები იგივე რჩება და უკვე აღნიშნულ ეპოქაში, რუმინეთი გარკვეულწილად დემოკრატიასთანაა ასოცირებული. ამ კონტექსტში, მიუხედავად კომუნისტური პარტიის სისუსტისა, რუმინეთის დემოკრატია არავითარ წინააღმდეგობას არ უწევს საბჭოთა ჯარების შემოტევებს და 1947 წელს რესპუბლიკის დაფუძნება ცხადდება. შემდეგ, 1940-იან წლებში რეგიონის ყველაზე სუსტი კომუნისტური პარტია ძალზე მყარი ხდება და საფუძველს უყრის აღმოსავლეთ ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტარული კომუნისტური რეჟიმის ფორმას.

ჩაუშესკუს რეჟიმის დამხობის შემდეგ, სახელმწიფოს რესპუბლიკური ფორმა იქნა შენარჩუნებული, მიუხედავად მეფე მიხაილის დაბრუნების გარკვეული მცდელობებისა. 1990-1991 წლების დამფუძნებელმა ასამბლეამ აშკარა უარი განაცხადა ამგვარ სცენარზე და უპირატესობა მმართველობის რესპუბლიკურ ფორმას მიანიჭა. კვლავაც ღიად რჩებოდა ხელისუფლების ორგანოების ბალანსის საკითხი. კომუნისტური რეჟიმების დაცემის შემდეგ, თითქმის ცხადი გახდა, რომ ახალგაზრდა დემოკრატიებისთვის ყველაზე სასურველ მმართველობის ფორმას საპარლამენტო მოდელი წარმოადგენდა სახელმწიფოს სუსტი მეთაურით, რომელიც ამგვარად, პოლიტიკური ძალაუფლების პერსონალიზაციისგან დისტანცირდება (რასაც 1989 წლამდე ჰქონდა ადგილი). ჩაუშესკუს პერსონალურ რეჟიმთან დაპირისპირებით, რუმინეთს საპრეზიდენტო მმართველობის სისტემისგან ძალზე დაშორებული მოდელი უნდა მიეღო. თუმცა, ხელისუფლების ლეგიტიმაციისთვის არჩევანი ნახევრად საპრეზიდენტო რეჟიმზე გაკეთდა.

რუმინეთის აღმასრულებელი ხელისუფლება დუალისტური ხასიათისაა, სახელმწიფოს მეთაურითა და პრემიერ-მინისტრით. სახელმწიფოს მეთაური პირდაპირი საყოველთაო არჩეული და ამგვარად, მაღალი ლეგიტიმურობით სარგებლობს.[215] ეს მექანიზმი საფრანგეთის მეხუთე რესპუბლიკის ელემენტებს შეიცავს კერძოდ, პრეზიდენტის პირდაპირი გზით არჩევასთან მიმართებაში, რომელიც სხვაგვარად რომ ვთქვათ, არაა არჩეული პარლამენტის მიერ და პარლამენტში. ამავე დროს, პრეზიდენტის ლეგიტიმურობა შეზღუდულია: მი-

213 კერძოდ, 1946 წლის არჩევნები და ხუთი პოსტკომუნისტური პერიოდის არჩევნები.

214 Preda C. (2001), „La nation dans la Constitution", *Studia Politica. Romanian Political Science Review*, vol.I, pp. 733-762.

215 პრეზიდენტის ლეგიტიმურობა 1990 წელსა და 2004 წელს საპრეზიდენტო და საკანონმდებლო არჩევნების ერთდროულად ჩატარებამ გააძლიერა.

უხედავად რუმინეთის სახელმწიფოს წარდგენის სიმბოლური როლისა მას უბრალოდ შუამავლობის ფუნქცია აკისრია „სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის“ (კონსტიტუციის მე-80 მუხ.). თუმცა, პრეზიდენტი ასახელებს კანდიდატს პრემიერ-მინისტრის პოსტზე (103-ე მუხ.), მაგრამ იგი ვალდებულია ეს უკანასკნელი იმ პარტიის წინადადებით აირჩიოს, რომელმაც უმრავლესობა მოიპოვა საკანონმდებლო არჩევნებში, ან ამ უმრავლესობის არარსებობის შემთხვევაში, პარლამენტში წარმოდგენილ პარტიებთან კონსულტაციის შემდეგ; მან ასევე უნდა დანიშნოს მთავრობაც პარლამენტართა ნდობის კენჭისყრის შედეგად. პრეზიდენტის ძალაუფლების საზღვრები აღმასრულებელ ხელისუფლებაში აშკარაა : მას არ შეუძლია პრემიერ-მინისტრის გადაყენება (107-ე მუხ.) და ასევე პარლამენტის პალატების დაშლა. სამაგიეროდ, პრეზიდენტი გარკვეულწილად, ვალდებულია ისინი დაშალოს თუკი პრემიერ-მინისტრის დანიშვნის ზედიზედ წარდგენილი სამი წინადადება ვერ გავა. პრეზიდენტი პარლამენტსა და მთავრობას შორის არსებული ურთიერთობების პოტენციური ტყვეა, სახელმწიფოს მეთაურს შეიძლება ბრალი დასდონ სახელმწიფო ღალატში ან იგი პოლიტიკურად უპასუხისმგებლოდ იქნეს გამოცხადებული საკანონმდებლო ხელისუფლების წევრთა მიერ, რაც რეჟიმს ეკლეკტიზმის სახეს აძლევს. აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტის ფუნქციის პრობლემატური დეფინიცია უფრო აშკარად წარმოჩნდება თუკი მხედველობაში მივიღებთ წმინდა ემპირიულ დებულებას: პრეზიდენტობის ინსტიტუტი იყო ერთადერთი საჯარო ხელისუფლება, რომელსაც სამი დიდი საკონსტიტუციო კრიზისი შეეხო.[216]

მოკლედ რომ ვთქვათ, პრეზიდენტი მნიშვნელოვანი ფიგურაა ინსტიტუციონალურ არქიტექტურაში. ამ ტრადიციას ი. ილიესკუმ ჩაუყარა საფუძველი, რაც საგულისხმო სიმბოლურ ელემენტს წარმოადგენს. პრეზიდენტისთვის ხელსაყრელი ძალთა ბალანსი ასევე ეყრდნობა პოლიტიკურ უმრავლესობასთან იდენტიფიკაციას, როგორც „საპრეზიდენტო უმრავლესობისა“.

აღმასრულებელი ხელისუფლების ორ წარმომადგენელს შორის ურთიერთობები მრავალი კონფლიქტითაა აღნიშნული. ყველაზე ხშირად, ამ კონფლიქტების მიზეზი პირდაპირი არჩევნების გზით არჩეული პრეზიდენტის ინსტიტუციონალური ლეგიტიმურობის შედეგია, რომელიც მკვეთრად განსხვავდება პრემიერ-მინისტრის პარტიული ნიშნით მხარდაჭერის ლეგიტიმურობისგან. ასევე შესაძლებელია სხვა განმარტების შემოთავაზება პარტიული ნიშნით მიმხრობის თვალსაზრისით. ქვეყნის პრეზიდენტს იერარქიულად უმაღლესი პოზიცია აქვს პარტიულ ორგანიზაციაში, რომელიც არჩევნებს იგებს. ესაა ი. ილიესკუს მანდატების შემთხვევა სხვადასხვა პრემიერ-მინისტრებთან ურთიერთობებში (ტაბულა №1). ამ კონფლიქტებს პ. რომანთან ან ა. ნასტასისთან მკაფიოდ განსაზღვრული მიზანი აქვს: პირველობა პარტიის შიგნით. 1996-1998 წლების ლეგისლატურის შემთხვევაში, პრეზიდენტი კონსტანტინესკუ CDR-ის (რუმინეთის დემოკრატიული კონვენცია) ლიდერი იყო, მაშინ როდესაც მისი პრემიერ-მინისტრები PNTCD-ს (გლეხთა ქრისტიან-დემოკრატიული ნაციონალური პარტია) მაღალი თანამდებობის პირები იყვნენ. სიტუაცია ბევრად რთულია პრეზიდენტ ბასესკუსა და პრემიერ-მინისტრ ტარიჩენუს ურთიერთობების შემთხვევაში. მაშინაც კი, როდესაც პრეზიდენტის ფუნქცია შეუთავსებელია რომელიმე პარტიის ლიდერის ფუნქციასთან, დე ფაქტო, საქმე გვაქვს გარიგებებთან ორ ლიდერს შორის, რომელიც საკუთარი პარტიის ინდივიდუალურ ინტერესებს იცავს.

1991 წლიდან, ინსტიტუციონალური მოწყობა კითხვებს არ ბადებდა. თუმცა, 2003 წლის კონსტიტუციის გადასინჯვამდე ცოტა ხნით ადრე PNL (ნაციონალ-ლიბერალური პარტია) და PSD (სოციალ-დემოკრატიული პარტია) ცალ-ცალკე გამოვიდა საკონსტიტუციო ცვლილებისა და საპარლამენტო მოდელის მიღების წინადადებით. იმავდროულად, დებატმა ფართო ხასიათი მიიღო და პრეზიდენტის პოზიციის გარდა ასევე ერთპალატიანი პარლამენტის საკითხიც მოიცვა. ამავე დროს, ახალი კონსტიტუცია 1991 წლის იმიტაციად რჩება და მასში ძირითადად, ზედაპირული მოდიფიკაციები იქნა შეტანილი.

ამ მოკლე პრეზენტაციის შემდეგ, აღმასრულებელი ხელისუფლების უპირატესობა უფრო ნათლად ჩანს აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებებს შორის ურთიერთობებში. პარლამენტის მიერ ჩამოყალიბებული მთავრობა ორივე პალატის წინაშეა პასუხისმგებელი. დეპუტატებს მინისტრების პარლამენტში გამოძახება და ამ უკანასკნელთათვის უნდობლობის გამოცხადება შეუძლიათ. მთავრობა საკანონმდებლო ინიციატივას ინაწილებს დეპუტატებთან, სენატორებთან და 100 000 მოქალაქისგან შემდგარ ნებისმიერ ჯგუფთან. ამავე დროს, ფაქტობრივად, კანონების მიღების ინიციატივა თითქმის მონოპოლიზებულია მთავრობის მიერ (კენჭისყარი კანონების 90%). (ტაბულა №2).

ძლიერი ლიდერების ტრადიცია და შედეგად, სახელმწიფო ადმინისტრაციის რომელიმე პიროვნებასთან სავალდებულო იდენტიფიკაცია აღმასრულებელი ხელისუფლების უპირატესობის დამაჯერებელ განმარტებას იძლევა. რუმინეთში ხელისუფლების ორგანოების ბალანსის დაკავშირება შესაძლებელია წესრიგსა და ლიდერის

---

216 პირველი კრიზისი 1996 წელს დაიწყო, როდესაც უფლებამოსილების ვადის მიწურულს მყოფმა პრეზიდენტმა კლაუს მოინდომა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღება. მეორე კრიზისი ეხება პრეზიდენტ კონსტანტინესკუს, რომელიც გარეული იყო პრემიერ-მინისტრ რ. ვასილის თანამდებობიდან გადაყენების საქმეში 1999 წლის დეკემბერში, რამაც ოპოზიციის უკმაყოფილება გამოიწვია. მესამე კრიზისი უკავშირდება პრეზიდენტ ბასესკუს გადაყენებასთან დაკავშირებულ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წინადადებას.

გავლენასთან კომპრომისზე და მოლაპარაკებაზე დაფუძნებული ინსტიტუტების საზიანოდ, რომლებიც არასტაბილურობის გენერატორებად აღიქმებიან.

საარჩევნო სისტემა და პარტიული ნიშნით მიმხრობის სისტემის ხასიათი

დემოკრატიული რეჟიმის დამყარება უცილობლად მოითხოვს არჩევნების ფორმასთან დაკავშირებულ დებატებს. ამგვარად, პოლიტიკური ლიდერები მონაწილეობენ არჩევნების ფორმის გარშემო მიმდინარე დებატებში კერძოდ, 1990 წლის 20 მაისის არჩევნების პერსპექტივაში. ზოგადად, ერთმანეთს ორი ტიპის ფილოსოფია უპირისპირდება „მმართველობის ფილოსოფია" ანუ მაჟორიტარული არჩევნების დისციპლინა და „წარმომადგენლობის ფილოსოფია" ანუ პროპორციული წარმომადგენლობის ტრანსპარენტულობა.[217] 1990 წელს კონსტიტუციონალისტების არჩევანი პროპორციული წარმომადგენლობის სისტემაზე გაკეთდა, რომელიც შესაძლებელია ორ ანტითეზურ ინტერპრეტაციას ეყრდნობოდეს. ერთი მხრივ, ძველ რეჟიმთან უწყვეტობის ლოგიკაში 1990 წელს მიღებული არჩევნების ფორმამ კომუნისტური ტიპის „პროპორციული წარმომადგენლობა" შემოიტანა იმ ფაქტის გამოკლებით, რომ ეს სისტემა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლობაზეა ფოკუსირებული და არა დემოგრაფიულ ჯგუფებზე, რომელიც კომუნისტურ ასამბლეებშია ხაზგასმული. მეორე მხრივ, ეს არჩევანი ინტეგრაციის ნების გამომხატველად შეიძლება იქნეს ინტერპრეტირებული მით უფრო, რომ მაჟორიტარული არჩევნების არჩევას ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში გარდაუვალი ბიპოლარიზაციის გაზრდის რისკი ემუქრებოდა პირველი არჩევნების დროს. იმავდროულად, ქვეყანაში მცხოვრები უმცირესობები სირთულეების წინაშე აღმოჩნდებოდნენ. მაგრამ ამ ინტერპრეტაციების მიღმა, ფაქტობრივად, მთავარია ის, რომ პროპორციულ წარმომადგენლობას „პოლიტიკური პარტიების სტრუქტურები უნდა გაეძლიერებინა [. . .]. უნიმონალური სისტემა ხშირად, ადგილობრივი ელისტისთვისაა ხელსაყრელი და პარტიული ნიშნით მიმხრობის ორგანიზაციებს ასუსტებს, რომლებიც ნაკლებად აკონტროლებენ კანდიდატების შერჩევასა და ადგილობრივ პოლიტიკას."[218] დროის სულისკვეთებით, პროპორციული წარმომადგენლობა მრავალპარტიულობისკენ უფრო მოკლე გზად წარმოჩნდებოდა, რომელიც დემოკრატიის აუცილებელ ბარომეტრად განიხილებოდა.

ამგვარად, რუმინეთმა მიიღო ერთტურიანი პროპორციული (სიებით) ხმის მიცემის სისტემა პარლამენტის არჩევნებისთვის და ორტურიანი მაჟორიტარული ხმის მიცემის სისტემა პრეზიდენტის ასარჩევად. პროპორციული წარმომადგენლობა უზრუნველყოფილია ჩვეულებრივი საარჩევნო კვოტის წესით და შემდეგ ჰონდტის მეთოდის საფუძველზე. დიდწილად, აღნიშნული ემყარება 68/1992 წლის კანონს დეპუტატთა პალატისა და სენატის არჩევნებისთვის და 69/1992 წლის კანონს პრეზიდენტის არჩევნებთან დაკავშირებით. თუკი 1990 წლის კანონდეკრეტის ტექსტი არ აზუსტებს საარჩევნო ბარიერს, მნიშვნელოვანი მოდიფიკაცია იქნა შემოტანილი 68-ე კანონით, რომელიც 3%-იან ბარიერს აწესებს. ეს უკანასკნელი 2000 წელს 5%-მდე გაიზარდა პარტიებისთვის და 8-10%-მდე ალიანსებისთვის. ბარიერის დაწესება ქმედითობის ლოგიკითაა გამართლებული, რაც საპარლამენტო ასპარეზიდან არაეფექტურად მიჩნეული პატარა პარტიების გამორიცხვას უწყობს ხელს. თუმცა, ეფექტურობის თეორიული გაზრდა ასევე ასამბლეის წარმომადგენლობითობის შემცირებაში აისახება. პოლიტიკურ კონტექსტში, მაღალი საარჩევნო ბარიერის დაწესებას შედეგად მოჰყვა მრავალი მიცემული ხმის წარმომადგენლობიდან გამორიცხვა (ამ შემთხვევაში, 1992 წელს დეპუტატთა პალატისთვის მიცემული ხმების 19,75% და სენატისთვის 15,1%).[219] თავიანთი ფუძემდებლების ჩანაფიქრის საპირისპიროდ, ამ კონსტრუქციებს თითქმის არავითარი გავლენა არ ჰქონია პოლიტიკური პარტიების მონაწილეობის დონეზე საარჩევნო შეჯიბრში.

1990-იან წლებში მრავალპარტიულობით გატაცება უცბად წყდება და ადგილს უთმობს იმ სპექტრს, რომელიც მუდმივად აწარმოებს პოლიტიკურ დებატებს ხმის მიცემის მაჟორიტარული სისტემის მიმართულებით რეფორმასთან დაკავშირებით. მიუხედავად ამ დებატებისა, 2004 წლის არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე არჩევნების გამართვის ლეგალური ჩარჩოს ცვლილებებს მნიშვნელოვანი შედეგები არ მოჰყოლია. ყველაზე დიდი სიახლე ეხება მუდმივი საარჩევნო ორგანოს შექმნას, რომლის ორგანიზაცია და ფუნქციონირება თავად კონსტიტუციითაა გათვალისწინებული (73-ე მუხ.). ამ ორგანოს მიზანია არჩევნების ფუნქციონირების კანონიერებისა და ხმის მიცემის უფლების ბარომეტრად ყოფნა. თუმცა, დე ფაქტო, ის ნაკლებად ქმედითუნარიან სტრუქტურად რჩება, რისი დადასტურებაცაა 2004 წლის არჩევნებთან დაკავშირებული უთანხმოებები.[220] ასევე აღსანიშნა-

---

217 Seiler D-L (2000), „Le mode de scrutin fait-il l'élection?", pp.21-37, in Delwit P. et De Waele J-M (éds), *Le mode de scrutin fait-il l'élection"*, Bruxelles : Éditions de l'Université de Bruxelles, pp. 31-2.

218 De Waele J-M, „Les modes de scrutin en Europe centrale et orientale", pp. 87-101, Delwit P. et De Waele J-M (éds), *Le mode de scrutin fait-il l'élection?*, Bruxelles : Éditions de l'Université de Bruxelles, pp. 31-2, p. 89.

219 Martin P. (1997), *Les systèmes électoraux et les modes de scrutin*, Paris : Montchrestien, pp. 88-9.

220 V. Romania. Parliamentary and Presidential Elections, 28 November and 12 December 2004, Assessment Mission Report OSCE/ODIHR, Warsaw, 14 February 2005, 39 p.

ვია 2004 წლის 77-ე და მე-80 განკარგულებები და მთავრობის 2004 წლის 1610-1640 გადაწყვეტილებები, რომელთა საფუძველზე უმნიშვნელო ცვლილებები იქნა შეტანილი ხმის მიცემის ფორმის შეცვლის გარეშე. 1989 წლიდან 15 წლის შემდეგ, პოპესკუს აზრით – რომელსაც ჩვენც ვუერთდებით – „საარჩევნო კანონმდებლობა არ წარმოადგენდა კმაყოფილების მწვერვალს, მაგრამ საარჩევნო სისტემას სტაბილურობა ახასიათებდა"[221]. ამგვარად, შესაძლებელია დასკვნის გაკეთება აშკარა ცვლილებაზე მითითებით: მრავალპარტიულობის აღქმის ცვლილება. თუკი 1990-იანი წლების დასაწყისში მრავალპარტიულობა დემოკრატიული სტაბილურობის გარანტიად აღიქმებოდა, მრავალი პარტიის გამოჩენა სწრაფად იქნა ასოცირებული დემოკრატიული ეფექტურობის ნაკლებობასთან. ამგვარად, მაჟორიტარული კენჭისყრა ფრაგმენტაციის საპირწონედ იქნა შემოთავაზებული. თუმცა, უნინომინალურმა ხმის მიცემის სისტემამ სწრაფად აჩვენა მისი საზღვრები. რუმინეთის პარტიული ნიშნით მიმხრობის სფეროს პოლარიზაციამ მხოლოდ ეფექტურობის ილუზიის შექმნა შეძლო. ეს უკანასკნელი იმ ჯადოსნურ ჯოხზე მიგვანიშნებს, რომელსაც რუმინეთის პარტიული ნიშნით მიმხრობის სისტემის მყისიერი გაჯანსაღების უნარი შესწევს. დღესაც, რუმინეთის პოლიტიკურ წრეებში მუდმივად აღინიშნება უნინომინალური ხმის მიცემის სისტემისკენ სწრაფვა, რომელსაც ამჯერად, დიდად უჭერს მხარს PD (დემოკრატიული პარტია) და PNL-ი (ნაციონალ-ლიბერალური პარტია). გარდა ამისა, ახლახან ProDemocratia და PNL-ი დიასპორის საარჩევნო წარმომადგენლობის შემოთავაზების წინადადებით გამოვიდა.[222]

პოლიტიკური პარტიების სისტემა

შეიძლება ითქვას, რომ რუმინეთის პარტიული ნიშნით მიმხრობის სისტემა ფრაგმენტაციის ნიშნით გაჩნდა. ამგვარად, 1990 წლის არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე, ლეგალურად 80 პარტია არსებობდა, რომელთაგან 18 პირდაპირ დეპუტატთა პალატაში, 7 კი სენატში იყო წარმოდგენილი. ამავე დროს, როგორც ამას ტაბულა n°4 მოწმობს, ეს თემა ნიუანსირებას მოითხოვს, რადგან ადგილების თითქმის სამი მეოთხედი ერთი პარტიის, FSN-ის (ეროვნული გადარჩენის პარტია) მიერაა დაკავებული. ამ პარტიის მონოპოლია უფრო მნიშვნელოვნად წარმოჩნდება საპრეზიდენტო არჩევნებთან მიმართებაში: ი. ილიესკუმ პირველ ტურშივე ხმების 85% მიიღო, მეორე კანდიდატმა, ლიბერალმა კამპენუმ ხმების მხოლოდ 10,64% მოიპოვა. საპარლამენტო პარტიების რაოდენობასთან პირდაპირ მიმართებაში, რუმინეთის პარტიული სისტემა მეტად დანაწევრებულ სარტორიანული პლურალიზმის მოდელს მოგვაგონებს. ამავე დროს, FSN-ის გავლენას მნიშვნელოვანი კატეგორიალური მოდიფიკაცია შემოაქვს და ჩვენი აზრით, რუმინეთის შემთხვევა უფრო მეტად შეესატყვისება დომინანტური პარტიის მქონე სისტემას.

იმავდროულად, FSN-ის პოლიტიკური მონოპოლია მცირდება. ნაციონალურ და საერთაშორისო დონეზე ბოიკოტირებული FSN-ი თანდათანობით უფრო ღია ხდება და სამთავრობო თანამშრომლობას იწყებს ანტიკომუნისტური ოპოზიციის დამფუძნებელ პარტიასთან – PNL-ი (ნაციონალ-ლიბერალური პარტია). გარდა ამისა, ეროვნული გადარჩენის პარტია ორ სტრუქტურად იყოფა. ერთი მხრივ, პარტიის ლიდერი პ. რომანი FSN-ის სოციალ-დემოკრატიულ პარტიად (PD) გარდაქმნის დაპირებით გამოდის. მეორე მხრივ, ი. ილიესკუს მომხრეები FDSN-ს (ეროვნული გადარჩენის დემოკრატიული ფრონტი) აფუძნებენ, რომელიც PDSR-PSD-ს (რუმინეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია და სოციალ-დემოკრატიული პოლუსი) მემკვიდრეა. პარალელურად, 1991 წელს იქმნება რუმინეთის დემოკრატიული კონვენცია, რომელშიც ძირითადად, ისტორიული პარტიები და უნგრული უმცირესობის წარმომადგენელი UDMR-ის (რუმინეთის მადიართა დემოკრატიული გაერთიანება) პარტიაა გაერთიანებული.

1992 წლის სექტემბრის არჩევნები განსხვავებული გენეოლოგიის მქონე ორი პოლუსის კონფრონტაციით აღინიშნა. ერთი მხრივ, სახეზეა ძველ რეჟიმთან პირდაპირ თუ არაპირდაპირ ასოცირებული პარტიების არსებობა: FDSN-PDSR-ი (ეროვნული გადარჩენის დემოკრატიული ფრონტი-რუმინეთის სოციალური დემოკრატიის პარტია), PRM-ი (ძლიერი რუმინეთის პარტია), PUNR-ი (რუმინეთის ნაციონალური ერთიანობის პარტია), PDAR-ი (რუმინეთის აგრარულ-დემოკრატიული პარტია) და PSM-ი (შრომის სოციალისტური პარტია)). მეორე მხრივ, CDR-მა ((რუმინეთის დემოკრატიული კონვენცია) ხმების 20%-ის დააგროვა დეპუტატთა პალატასა და სენატში. FSN-PD -მა კი ხმების 10%-ის მიღება შეძლო. აღნიშნული დროიდან, FSN-ის დომინანტობის უკუსვლა შეიმჩნევა. მიუხედავად 3%-იანი ბარიერის არსებობისა, შენარჩუნებულია ფრაგმენტაცია, რადგან 12 პარტია დეპუტატთა პალატაში, 13 კი სენატშია წარმოდგენილი. ამ დანაწევრებული პეიზაჟის შიგნით, გენეოლოგიური ფრაგმენტაცია იკიდებს ფეხს. ორივე პოლუსი ერთმანეთის გამომრიცხავია ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, *tertium non datur-ია.*

იმავდროულად, ანტიკომუნისტური პოლუსი ძლიერდება 1995 წელს სოციალ-დემოკრატიული კავშირის შექმნით, რომელიც ისტორიული სოციალ-დემოკრატების PSDR-სა და PD-ს წარმომადგენლებს აერთიანებს. 1996 წლის ნოემბრის არჩევნებში სამთავრობო კოალიცია ტრიუმფალურ გამარჯვებას აღწევს, რომლის შემადგენლო-

---

221 Popescu M., *op. cit.*, p. 155.

222 ქვეყნის გარეთ მიცემული ხმები ბუქარესტის ოლქს გადაეცემა. დღეისათვის, დიასპორას შეუძლია ორი დეპუტატისა და ერთი სენატორის არჩევა. აღსანიშნავია, რომ PNG-მ (ახალი თაობის პარტია), PD-მ (დემოკრატიული პარტია) და PNL-მა (ნაციონალ-ლიბერალური პარტია) უკვე გახსნეს ბიუროები ესპანეთსა და იტალიაში.

ბაშია CDR-ი (რუმინეთის დემოკრატიული კონვენცია), USD-ი (სოციალ-დემოკრატიული კავშირი) და UDMR-ი (ტაბულა n° 5). 1996 წელს მიღებული კანონით[223] (27/1996 წ.) გათვალისწინებული ორგანიზაციული მოთხოვნების ცვლილებები ვერ ახერხებს მომხრეობის ფრაგმენტაციის შეზღუდვას, თუკი მხედველობაში მივიღებთ პარლამენტში წარმოდგენილ 12 პარტიას. ოპოზიციაში თავისი შექმნის დღიდან პირველად, FDSN-PDSR-ი იწყებს ახალ პირობებთან მისადაგების პროცესს, რომელიც ტიპურია კომუნისტური საფუძვლის მქონე პარტიებისთვის. ამგვარ ცვლილებას განიცდის ევროპელი სოციალისტების პარტია და სოციალისტური ინტერნაციონალი. ამ კონტექსტში, PRM-ი (ძლიერი რუმინეთის პარტია) ერთადერთი პარტიაა, რომელიც უარს ამბობს *establishment*-ზე.

2000 წლის არჩევნები გვიჩვენებს რუმინეთის პარტიული სისტემის ჩაკეტილობისკენ ევოლუციას. პარტიები თანდათანობით თავიანთი ორგანიზაციის კონსოლიდაციას ახდენენ და საკუთარ იდეოლოგიურ სახეს აყალიბებენ. პარტიული ნიშნით მიმხრობის ფრაგმენტაცია მცირდება. საარჩევნო ბარიერის 5%-მდე აწევას საპარლამენტო ასპარეზის დამატებითი გაცხრილვა შემოაქვს, რომლის პირველი მსხვერპლი ბედის ირონიით, მისი ინიციატორი გლეხთა ქრისტიან-დემოკრატიული ნაციონალური პარტია (PNTCD) გახდა. ეტაპობრივად, საპარლამენტო პარტიების რაოდენობა 7-მდე შემცირდა (ტაბულა n° 6). შემდგომ შემცირებას ადგილი ჰქონდა PSD-ს PSDR-თან შერწყმის შედეგად. რუმინეთის პარტიული სისტემის ფორმატში შეტანილ ამ მოდიფიკაციას თან ახლდა მისი მექანიზმის მნიშვნელოვანი ცვლილება. 1990-იანი წლების დასაწყისის ანტითეზური პოლარიზაცია კარგავს თავის გავლენას PSD-ს ინტეგრაციის შედეგად, როგორც სისტემის აქტორისა. თუმცა, არ ქრება გენეოლოგიური განხეთქილებები. 2004 წლის არჩევნები პირდაპირ გვიჩვენებს PSD-ს კოალიციის შექმნის შეზღუდულ პოტენციალს. კერძოდ, მიუხედავად რაოდენობრივი გამარჯვებისა, ამ პარტიას კოალიციის შექმნის უნარი არ შესწევს და სწორედ სამართლიანობისა და სიმართლის ალიანსი (DA) ახერხებს კოალიციის ფორმირებას.

გენეოლოგიური პოლარიზაციის ნაწილობრივი დაშლა 2000 წლის არჩევნებში PRM-ის (ძლიერი რუმინეთის პარტია) მიერ გაკეთებული სიურპრიზისა და მისი შანტაჟის პოტენციალის გამყარების პირდაპირი შედეგია. პარტიიდან, რომელიც ხმების 4-5%ს იღებდა, PRM-ი პარლამენტის მეორე პარტიად იქცა (ტაბულა 6). მის სკეპტიკურ დემოკრატიულ დისკურსს თან ახლდა დამცავი „სანიტარული კორდონი". ამ ტოპოგრაფიული ცვლილების არაპირდაპირი ბენეფიციარი PSD გახდა.

იმ შემთხვევაშიც, თუკი 2000 წლის არჩევნებს გამონაკლისად განვიხილავთ, ოთხი წლის მოგვიანებით, პარტიული სისტემა იმავე 6 პარტიის ჩარჩოში რჩება, რომელიც ზემოთ აღნიშნული ორი პოლარიზაციით გამოწვეულ თანამშრომლობაშია ასახული. PRM-ი თავის საარჩევნო დამაჯერებლობას ინარჩუნებს მიუხედავად მისი სკეპტიკური დემოკრატიული ხასიათის მნიშვნელოვანი შემცირებისა.[224]

მოკლედ რომ ვთქვათ, აშკარად სახეზეა პარტიების თანდათანობითი სტაბილიზაცია, როგორც რაოდენობრივი, ისე ორგანიზაციული თვალსაზრისით. სიმბოლურად, რუმინეთის საპარლამენტო პოლიტიკური პარტიების წევრები საარჩევნო სიების დაახლოებით 15%-ს წარმოადგენენ, რაც ქვეყანას მეორე პოზიციაზე აყენებს ევროპაში ავსტრიის შემდეგ.[225] პარტიული სისტემის ჩაკეტილობა შეიძლება აღქმული იქნეს დასრულებული ინსტიტუციონალიზაციის ნიშნად.

ხელისუფლების ტერიტორიული მოწყობა

რუმინეთის სახელმწიფო დაგვიანებით, XIX საუკუნეში შეიქმნა „ერის ცნების გერმანული და ფრანგული მოდელების არასწორი შეხამებით: ერის ღია კონცეფციის ფრანგული ტიპისა და ფედერალიზმის გერმანული ტიპის ნაცვლად, ბალკანეთის ინტელექტუალებმა ერის დახურულ და ფატალისტურ გერმანულ კონცეფციაზე აიღეს ორიენტაცია და ის ფრანგულ ცენტრალიზმს შეუხამეს"[226]. ამგვარად, ესაა ძალზე ცენტრალიზებული სახელმწიფო, რომელიც დღემდე არსებობას აგრძელებს მიუხედავად რეჟიმებისა და რიტორიკის ცვლილებებისა. კონსტიტუციის I მუხლი აზუსტებს, რომ „რუმინეთი არის ნაციონალური, სუვერენული, დამოუკიდებელი, უნიტარული და განუყოფელი სახელმწიფო."[227] ამ სტრუქტურაში ადმინისტრაციული და ტერიტორიული პეიზაჟი სამ დონეზეა ორგანიზებული ადგილობრივი საჯარო ადმინისტრაციის კანონით (215/2001 წ.): კომუნები, ქალაქები და დეპარტამენტები (*judet*).

საერთაშორისო ვალდებულებებთან პირდაპირ კავშირში, 1990-იანი წლების დასასრულს რუმინეთმა დე-

---

223 27/1996 წლის კანონი აზუსტებს, რომ პარტიის რეგისტრაციისთვის აუცილებელია არანაკლებ 10 000 წევრის არსებობა.

224 Soare S. (2004), *Les partis politiques roumains après 1989*, Bruxelles : Éditions de l'Université de Bruxelles.

225 Soare S. (2006). „Romanian Parties'Membership : Sham or Real?", *Departmental Seminar* – CEU Budapest, 26p, http:/www.ceu.hu/polsci/brownbag papers/soare.doc

226 Dutu A.. (1999), *Ideea de Europa si evolutia constintei europene*, Bucarest : All, pp. 183-90.

227 ეს უნიტარული აღქმა წინააღმდეგობაში შედის ეთნიკური უმცირესობის ინტეგრაციასთან (10,5%), რაც 2002 წლის რეფერენდუმით იქნა ხაზგასმული. იმავდროულად, უნგრული უმცირესობის პარტიის გარდა, ყველა საპარლამენტო პარტია მზარს უჭერს სახელმწიფოს ამ დეფინიციას.

ცენტრალიზაციის პროცესი დაიწყო, რომლის ქვაკუთხედს ავტონომიის პრინციპი წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პრონციპი წინა კანონშიც ფიგურირებდა, ის უფრო ფართოდაა გაშუქებული 2001 წლის გადასინჯულ ვერსიაში. ამავე დროს, კანონი აზუსტებს ამ ავტონომიის საზღვრებს: „ გათვალისწინებული პრინციპების გამოყენებამ ზიანი არ უნდა მიაყენოს რუმინეთის სახელმწიფოს ნაციონალურ, უნიტარულ და განუყოფელ ხასიათს „ (I მუხ.). ეს დაზუსტება პირდაპირ მიგვანიშნებს დიდწილად, უნგრული მოსახლეობით დასახლებული დეპარტამენტებისთვის უფრო ფართო ავტონომიის მინიჭების მოთხოვნაზე UDMR-ის მხრიდან. ერთადერთი დათმობა ეხება უნგრული ენის გამოყენებას ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ სტრუქტურებში, რომლებშიც მოსახლეობის 20% ერთ-ერთ ნაციონალურ უმცირესობას მიეკუთვნება. შესაბამისად, ადგილობრივი ავტონომიის პრინციპი ინტერპრეტირებული უნდა იქნეს, როგორც დამატებითობის პრინციპის მარტივი ვარიანტი. საგულისხმოა, რომ კანონის (215/2001 წ.) მე-3 მუხლი ადგილობრივ ავტონომიას განსაზღვრავს, როგორც „ადგილობრივი საჯარო ადმინისტრაციის მმართველი ორგანოების უფლებასა და უნარს საკუთარი ინტერესის შესაბამისად გადაჭრან და მართონ ადგილობრივი ერთობა, რომელსაც ისინი წარმოადგენენ". გარდა ამისა, ადგილობრივი ხელისუფლება მკაცრადაა შეზღუდული ადმინისტრაციული და ფინანსური საკითხებით. დამატებითობის ვარიანტი, რომელიც რუმინეთის კანონშია ნახსენები დეცენტრალიზაციაზე მეტად „სამართლებრივად დაფუძნებული კონსესუალური პოლიტიკის ინსტიტუციონალიზაციას ახდენს [...]. ის ტერიტორიის მართვას საკონსულტაციო კომისიას ავალდებულებს, რომელიც აერთიანებს თითოეული დეპარტამენტის დონეზე პრეფექტს და კომუნის, ქალაქისა და დეპარტამენტის დონეზე ყველა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს, ასევე სამინისტროებისა და ადგილობრივი მმართველობის დეცენტრალიზებულ სამსახურებს ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგრამის ხელმძღვანელი ორგანოს ეგიდით."[228]

ამავე დროს, ეს კონსესუალური მართვა არაეფექტურია ადგილობრივი არჩევნებისთვის გამოყენებული მოქმედი ხმის მიცემის ფორმითა და პარტიული სისტემის მექანიზმებით. 1991 წლის პირველი ადგილობრივი არჩევნების დროიდან, უპირატესობა ხმის მიცემის ორ ფორმას აქვს მინიჭებული. დეპარტამენტების საბჭოები და ადგილობრივი საბჭოები სიის მიხედვით ხმის მიცემის საფუძველზეა არჩეული, ხოლო მერების არჩევნები ორტურიანი უნინომინალური ხმის მიცემის საფუძველზე ხორციელდება. გარდა ამისა, დეპარტამენტების საბჭოების თავჯდომარეები, ვიცე-თავჯდომარეები და ვიცე-მერები არაპირდაპირი ხმის მიცემით არიან არჩეულნი საბჭოების მიერ. ადგილობრივი არჩევნების მსგავსად, საარჩევნო ბარიერი 5%-ს შეადგენს. გამოხატავს რა ნაციონალური პარტიული სისტემის ფრაგმენტაციას, თანაარსებობა ნორმალური მდგომარეობაა ადგილობრივი ადმინისტრაციის დონეზე. ამგვარად, კონსესუალური მართვა ძნელად განსახორციელებელია პასუხისმგებლობის ძლიერი ფრაგმენტაციის გათვალისწინებით.

ამ ორგანიზაციის პარალელურად, ევროპული ინტეგრაციის კონტექსტში, რუმინეთს თავისი ტერიტორიული სტრუქტურის რეორგანიზაცია უნდა მოეხდინა[229] და რეგიონალიზაციის პროცესი დაეწყო (ზედაპირული მაინც). ამ თვალსაზრისით, 1998 წელს განვითარების 8 რეგიონი შეიქმნა. თუმცა, საქმე ეხება არა ტერიტორიული ადმინისტრაციის ერთეულებს სამართლასუბიექტობით, არამედ ნებაყოფლობით გაერთიანებებს, რომლებიც 3 ან 4 დეპარტამენტს აერთიანებს. ერთი მხრივ, ამ რეგიონებს სურთ ბრიუსელის მიერ მოთხოვნილ დეცენტრალიზაციას პასუხობდნენ, მეორე მხრივ კი, ევროპულ ქარგასთან სინქრონიზაცია მოახდინონ კერძოდ, ფინანსური მექანიზმების თვალსაზრისით. მოკლედ რომ ვთქვათ, რეგიონების პოლიტიკური ჩამოყალიბებიდან ათი წლის შემდეგ, რუმინეთის რეგიონალიზაცია სრულიად არ ფუნქციონირებს, რასაც დეპარტამენტებს შორის ეკონომიკური კავშირის ნაკლებობა და ხელისუფლების სხვადასხვა ეშელონებს შორის არსებული უთანხმოება აფერხებს. თუმცა, საკმარისი არაა დეცენტრალიზაციის პოლიტიკის გარემოსა და მექანიზმების შექმნა, საჭიროა მათი ეფექტური ამოქმედება და ცენტრის გავლენის შემცირება. ამავე დროს, პოლიტიკური, ეკონომიკური და ადმინისტრაციული კავშირების დონეზე ყველა გზას ბუქარესტამდე მივყავართ.

სახელმწიფოს კოლონიზაცია ანუ პარტიული დემოკრატია

მიუხედავად რეჟიმის შეცვლისა, რუმინეთის თანამედროვე ისტორიას მუდმივობა ახასიათებს: ხელისუფლების ადმინისტრაციული, ტერიტორიული და ინსტიტუციონალური ცენტრალიზაცია. ეს დაკვირვება შეიძლება დამატებითი ანალიზით იქნეს ნიუანსირებული: ცენტრისკენ მიმავალი ხელისუფლების ორგანოების საპირწონეები. დასაშვებია ანალიზის ორი პერსპექტივა: პირველ ყოვლისა, ინსტიტუციონალური საპირწონეების იდენტიფიკაცია კერძოდ, ძალთა ბალანსი პარლამენტის ორ პალატას შორის და საკონსტიტუციო სასამართლოს როლი. ამ პერსპექტივას ზემოდან ქვევით, ემატება მისი გარდაუვალი შედეგი სახელდობრ, მოსაძებნია აღნიშნული ტენდენციის სოციალური ანტისხეულები.

---

228 Preda C. (2005), *op. cit.*, p.89.

229 ადმინისტრაციული თვალსაზრისით, სამართლებრივი ჩარჩო 41 დეპარტამენტისა (judet) და დედაქალაქ ბუქარესტის არსებობას აღიარებს.

ინსტიტუციონალური ბალანსის კუთხით, უკვე აღინიშნა ნახევრად საპრეზიდენტო რეჟიმის გაერთიანება წყვეტილ საპარლამენტო რეჟიმთან. ამავე დროს, უკვე თხუთმეტი წელია, რაც ხელისუფლებათა ბალანსი განსკუთრებით აღმასრულებელი ხელისუფლებისკენაა გადახრილი მით უმეტეს, რომ პარლამენტს იმიჯის ნაკლებობა ახასიათებს. აღმასრულებელი ხელისუფლება პირიქით, ძლიერ ხელთანაა ასოცირებული და ამგვარად, ეფექტურობასა და გადამრჩენელის ქარიზმასთან. ნიშანდობლივია პარლამენტისთვის *de jure* დემოკრატიის სასიცოცხლო ორგანოს როლის დაკისრება და მისი თანდათანობითი დასუსტება ქვეყნის ინსტიტუციონალურ გაერთიანებაში, როგორც მყიფე და უუნარო ინსტიტუტისა პოლიტიკური კონფლიქტების გადაჭრის საკითხში. ამ სიმყიფეს ხაზს უსვამს აშკარად ეგალიტარული ორპალატიანობის არსებობა (კონსტიტუციის 62-ე მუხ.)[230].

თუმცა, შეუძლებელია ერთიანი პეიზაჟის წარმოჩენა მით უფრო, რომ კონსტიტუციით გათვალისწინებულია პარლამენტის ცენტრალური როლი ხელისუფლებათა ბალანსში. მაგალითად, პრეზიდენტის მოვალეობების შეჩერების შემთხვევაში, PC-ს (კონსერვატიული პარტია) და PRM-ის (ძლიერი რუმინეთის პარტია) ინიციატივით, 2006 წლის ივლისიდან საკონსტიტუციო მექანიზმები ამოქმედდა პრეზიდენტის „დიქტატურის, ჩარევისა და დისკრეციული უფლებების" საბაბით, რომელიც უარს ამბობდა დაზვერვის სამსახურების ახალი ხელმძღვანელების დანიშვნაზე. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად მნიშვნელოვანი სირთულეებისა და უმედეგობისა, მექანიზმი არსებობს და ფუნქციონირებს.

ამავე დროს, პარლამენტის აღმასრულებელი ხელისუფლებისადმი დაქვემდებარება აშკარაა, როდესაც მინიშნება საკანონმდებლო პროცესზე კეთდება. მე-2 ტაბულაში მოყვანილი ციფრები გვიჩვენებს პარლამენტის უმნიშვნელო გავლენას საკანონმდებლო ინიციატივებთან მიმართებაში დაახლოებით 10% 1990 წლიდან 2005 წლამდე. პარალელურად, აღსანიშნავია, რომ 1990-იანი წლების დასაწყისიდან მთავრობის საგანგებო განკარგულებების რაოდენობა იზრდება. ამგვარად, 1992-1996 წლებში საშუალოდ 3,6 საგანგებო განკარგულება გამოიცა, მაშინ როდესაც 1997-2002 წლებში საშუალო მაჩვენებელი 170-მდე ავიდა, 2001-2005 წლებში კი 176-მდე. ეს პრაქტიკა გადამეტებადაა მიჩნეული ევროკომისიის მიერ, რომელიც გვერდს უვლის „პარლამენტის საკანონმდებლო და მაკონტროლებელ როლს." ის ასევე მიგვანიშნებს პარლამენტის საკანონმდებლო ფუნქციის ატროფიაზე, რომელსაც სამაგიეროდ კონტროლის მრავალი მექანიზმი გააჩნია: მთავრობისადმი ნდობის ან უნდობლობის გამოცხადების კენჭისყრა, შეკითხვების დასმა, ინტერპელაციები, უნდობლობის გამოცხადება და საგამოძიებო კომისიები. 1990 წლიდან პარლამენტი რეგულარულად იყენებს ამ პრეროგატივებს. ამგვარად, მიუხედავად ეფექტური სანქციის არარსებობისა, 2005 წელს დეპუტატთა პალატა 949 შეკითხვითა და 985 ინტერპელაციით გამოვიდა, რომელთაგან ორი პრემიერ-მინისტრისთვის იყო განკუთვნილი.[231] ამგვარად, 1992-1996 წლებში წარმოადგენილი იქნა 7 უბრალო უნდობლობის გამოხატვა; 1996-2000 წლებში ეს რაოდენობა 20-მდე გაიზარდა, 2000-2004 წლებში 32 უნდობლობის გამოხატვის წინადადება იქნა შემოტანილი და დღევადნდელი მანდატის პერიოდიდან დაწყებული უკვე 13 უნდობლობის გამოხატვის წინადადებაა შემოსული. ამგვარად, პარლამენტი კონტროლის ფუნქციას ინარჩუნებს და მიუხედავად ამ უკანასკნელის შეზღუდვისა, ის ხელისუფლებათა ბალანსს აღადგენს და აღმასრულებელი ხელისუფლების გავლენას ამცირებს რუმინეთის ინსტიტუციონალურ რგოლში.

ამ კონტექსტში, სხვა მნიშვნელოვან აქტორს საკონსტიტუციო სასამართლო წარმოადგენს, რომელიც განსაზღვრულია როგორც „კონსტიტუციის უზენაესობის გარანტი" (კონსტიტუციის 142-ე მუხ.). თუმცა, პოლიტიკური ხელისუფლების მიერ მოსამართლეების დანიშვნამ ex ante შეზღუდა ამ ინსტანციის არსებითობა. ამ თვალსაზრისით, სიმბოლურია 1996 წლის არჩევნებში ი. ილიესკუს კანდიდატურის კონსტიტუციურობის ანალიზი.[232] ისარგებლა რა ხელისუფლებაში ყოფნის თავისი მდგომარეობით რუმინეთის დემოკრატიაში – 16 წლიდან 10 წელი – PSD საკონსტიტუციო მოსამართლეების ძლიერი მხარდაჭერით სარგებლობს.[233] მიუხედავად ხელისუფლების მონაცვლეობისა, საკონსტიტუციო სასამართლოს მიკერძოება რეგულარულად გამოაშკარავებულია პრესაში. 2004 წლიდან ადგილი ჰქონდა აღნიშნული სასამართლოს ორგანიზაციის პრინციპების ცვლილების

---

230 მციორე განსხვავება 2003 წლიდან აღინიშნა იმ სფეროებში, რომლებშიც დეპუტატთა პალატა მთავარ როლს თამაშობს. მეორე განსხვავება ქვეყნის ინსტიტუციონალურ იერარქიას ეხება, რადგან პრეზიდენტის არდადეგების შემთხვევაში, სენატის თავჯდომარე დროებით მის მოვალეობებს ასრულებს. ფაქტობრივად, დეპუტატთა პალატა და სენატი თანაბარ უფლებამოსილებებს ასრულებენ, რაც ართულებს საკანონმდებლო პროცესს.

231 ციფრებში, საქმე ეხება პარლამენტის მხრიდან ყველაზე ინტენსიური კონტროლის პერიოდს. მაგალითად, 1997 წელს შეკითხვებისა და ინტერპელაციების რაოდენობა 470 შეადგენდა. www.cdep.ro

232 მიუხედავად იმისა, რომ ილიესკუმ წინა ორ საპრეზიდენტო არჩევნებში (1990 წელი და 1992 წელი) გაიმარჯვა, საკონსტიტუციო სასამართლომ დადებითად განიხილა მისი კანდიდატურის წამოყენება ახალი მანდატისთვის. ამ სასამართლომ მიიჩნია, რომ წინა ორი მანდატი გამოყენებული იქნა 1991 წლის კონსტიტუციის მიღების დროიდან. ამგვარად, სასამართლომ პირველი მანდატი გაიუქმა და პრეზიდენტ ილიესკუს 1996 წლის საარჩევნო შეჯიბრში მონაწილეობის ლეგიტიმაცია მოახდინა, ისევე როგორც 2000 წელს მისი მესამე მანდატისა.

233 სხვათა შორის, 9-დან 7 მოსამართლე პირდაპირაა დაკავშირებული PSD-ს ქსელებთან.

მრავალ წინადადებას ამ უკანასკნელის პოლიტიზაციის შესაზღუდად. PD საკონსტიტუციო მოდიფიკაციისა და მოსამართლეების შეუცვლელების პრინციპის გაუქმების წინადადებით გამოვიდა ამ უკანასკნელთა პოლიტიკური კონტროლის შესამცირებლად. PNL-ი, პრემიერ-მინისტრ ტარიჩანუს გახმოვანებით, მოსამართლეების აბსენტაციის წინადადებით გამოვიდა ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში, და პარლამენტისთვის ბოლო სიტყვით გამოსვლის შესაძლებლობის მისაცემად კანონის არაკონსტიტუციურად გამოცხადების დროს.[234] თუმცა, დღესაც ეს წინადადებები არავითარ ცვლილებას არ იწვევს.

როგორ გავლენას ახდენენ პარტიები ხელისუფლებათა ბალანზე რუმინეთში?

პირველი დებულება პარტიების შექმნას ეხება, რომელიც დემოკრატიის ინსტიტუციონალური სტრუქტურირებიდან მომდინარეობის. ინსტიტუციონალური ინფრასტრუქტურის არქიტექტორები, პოლიტიკური პარტიები სახელმწიფოს საკუთარი შეხედულებისამებრ აყალიბებენ – მათი ზეგავლენის ქვეშ მყოფ სახელმწიფოს. ამგვარად, რუმინეთის პარტიები იმ სახელმწიფოს *ab origine* კოლონიზებას ახდენენ, რომლის ტრანსფორმაციასაც "parties utility"-ად (პარტიული ინტერესების გასატარებლად) ახდენენ.[235] ეს სახელმწიფო კარგავს ხელისუფლების ნეიტრალური სტრუქტურის სახეს და ხელისუფლებაში მყოფ პარტიებთანაა იდენტიფიცირებული. ამგვარად, პარტიები ხელისუფლების ცენტრალიზაციის ძირითადი ბენეფიციარები არიან. მთავარი საპარლამენტო აქტორების კარტელიზაციის პირდაპირ შედეგია ის, რომ ხელისუფლების მონაცვლეობას არავითარი ცვლილება არ შემოაქვს სახელმწიფოს, როგორც კერძო საკუთრების მართვაში. ეს მართვა უფრო მეტად გაიოლებულია იმ ფაქტით, რომ რუმინეთის შემთხვევაში, ხელისუფლების ორგანოების ცენტრალიზაცია დასაწყების ხდის არჩევნებში გამარჯვებული პარტიების თავად სახელმწოფოზე ზეგავლენის მოხდენას. ინსტიტუციონალიზებული პატრონაჟი სახელმწიფო ქონების განაწილებით მკვიდრდება პარტიების სხვადასხვა მხარდამჭერებს შორის. აღნიშნული განმარტავს რუმინეთის პარტიების წევრთა ფართო ბაზისს, რაც ამომრჩეველთა სიების პროცენტული მაჩვენებლით ამ ქვეყანას მეორე ადგილზე აყენებს ევროპაში ავსტრიის შემდეგ.

ამგვარად, ესაა სახელმწიფოს ტრანსფორმაცია „parties utility"-ად, რაც იმის გარკვევის შესაძლებლობას გვაძლევს თუ რატომ მონაწილეობენ წევრები პარტიების ლეგიტიმაციის ამ სტრატეგიაში. ჩვენ ასევე მოვახდინეთ პარტიული ბილეთის ინსტრუმენტალიზაციის იდენტიფიცირება, რომელიც მის მფლობელებს სახელმწიფო სტრუქტურებში შეღწევის პრივილეგიას ანიჭებს. ამ თვალსაზრისით, 2004 წელს საჯარო პოლიტიკის ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილი ანგარიში აღნიშნული ფენომენის კომპლექსურობის უკეთ გაგების საშუალებას გვაძლევს. ამგვარად, აშკარად სახეზეა „პირდაპირი კავშირი საჯარო ფონდებს, პოლიტიკურ აქტორებსა და საწარმოებს შორის, რომლებიც შუამავლობის როლს ასრულებენ სახელმწიფო ხაზინასა და პარტიულ „ყულაბას" შორის. იმავდროულად საგულისხმოა, რომ ხელისუფლების მონაცვლეობა ხშირად მნიშვნელოვან პოლიტიკურ მიგრაციასთანაა ასოცირებული, რომელიც კერძოდ, თვალშისაცემია მერების დონეზე. ამგვარად, საქმე გვაქვს სახელმწიფოსთან, რომელმაც თავისი მიუკერძოებლობა დაკარგა და პარტიების საკუთრებად იქცა. ეს უკანასკნელნი მას თავიანთი წევრი-კლიენტების ქსელების სტაბილიზაციისთვის იყენებენ. აღნიშნული პრაქტიკა პარტიული მომხრეობის გარიგებითაა გამყარებული, რაც ხელისუფლების ნებისმიერი მონაცვლეობის შემთხვევაში, ამ მექანიზმის რეპროდუქციას უზრუნველყოფს ახალი გამარჯვებულის მიერ მისი ჭანჭიკებისთვის ზიანის მიუყენებლად. რუმინეთის დემოკრატია კვლავაც პარტიული ეპოქით ცხოვრობს. აღნიშნულის პირდაპირი შედეგია მონაწილეობა პარტიების შემოვლითი გზით და ინსტიტუციონალიზებული პატრონაჟი, რომელიც აბრკოლებს ალტერნატიული ქსელისა და არატრადიციული პოლიტიკური მონაწილეობის განვითარებას. არსებობს მრავალი არასამთავრობო ორგანიზაცია, ლობი და პროფკავშირი, მაგრამ პარტიები პოლიტიკურ ცნობადობაზე მონოპოლიას ინარჩუნებენ. პოლიტიკურ ცხოვრებაში პირდაპირი მონაწილეობა პარტიული ბილეთის ან პოლიტიკური მხარდამჭერის სტატუსის შემოვლითი გზით ხორციელდება. თუმცა, რეინკარნირებული დემოკრატია და გამყარებული მონაწილეობა ქვემოდან არაა იდენტიფიცირებული რუმინეთის შემთხვევასთან. პირიქით, რუმინეთის დემოკრატია კვლავაც ქსელური პარტიების ხანაში არსებობს, რაც აფერხებს რეალური სოციალური სპირწონეების განვითარებას. გადამწყვეტ მომენტებში, იქნება ეს 2002 წლის არჩევნები – ი. ილიესკუსა და ვადიმ ტუდორის შემთხვევა, როდესაც ვერც ერთმა კანდიდატმა ხმების საჭირო რაოდენობა ვერ დააგროვა პირველ ტურში გასამარჯვებლად – თუ ერაყში ჯარების გაგაზავნა მიუხედავად მოსახლეობის საპირისპირო აზრისა, რუმინული საზოგადოება ამორფული და პასიური რჩება. ამავე დროს, რაოდენობრივად, საზოგადოება აქტიურად მონაწილეობს პოლიტიკურ ცხოვრებაში პარტიების წევრთა სახით. პარტიები მეტ-ნაკლებად ტრანსპარენტულ შიდა არჩევნებს ატარებენ, ხელს უწყობენ წევრთა დაკომპლექტების კამპანიებს, მოწინააღმდეგე პარტიების შეფასებას ახდენენ მათი წევრების რაოდენობის მიხედვით, პირდაპირ ფინანსურ სარგებელს იღებენ წევრების

234 2003 წლამდე პარლამენტს შეეძლო ხმათა ორი მესამედით არაკონსტიტუციურობის გამოცხადების უარყოფა, მაგრამ PD-ს წინადადებით, 2003 წლის კონსტიტუციამ სამართლებრივი დაცვის ეს მექანიზმი გააუქმა.

235 Soare S. (2006), „Stato – Partiti – Membri nella Romania post-comunista : meccanismi di participazione „pervertita", Convegno SISP, Bologne 2006, 23 p.

სუბსიდიებისგან და სხვ. თუმცა, არ უნდა შეგვექმნას მცდარი აზრი პარტიების მნიშვნელობაზე, რადგან მათი წევრები, როგორც საზოგადოების წარმომადგენლები არ წარმოადგენენ რეალურ საპირწონეს ცენტრალური და ცენტრალიზებული ხელისუფლებისთვის. ისინი უფრო მეტად დახვეწილ ინსტიტუციონალურ მოწყობასთან არიან გაიგივებულნი, რომელიც კარტელიზაციის პირდაპირი შედეგია ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, პარტიის წევრების რაოდენობის ინსტრუმენტალიზაციისა, როგორც სისტემაში დამატებითი პარტიების შეღწევის ბარიერისა.

ზედაპირული ცვლილება

დასკვნის სახით, ვუერთდებით ჰერმეტის მიერ შემოთავაზებულ ზედაპირული ცვლილების დეფინიციას პრინც სალინას სიტყვებზე დაყრდნობით: *Se vogliamo che tutto rimanga come è, bisogna che tutto cambi*[236] (თუ გსურს ყველაფერი დარჩეს ისე როგორცაა, საჭიროა ყველაფრის შეცვლა). ეს სიტყვები შესანიშნავად მიესადაგება რუმინეთის შემთხვევას. სისტემის სისუსტე რეგულარულად იჩენს თავს: ხელისუფლების ცენტრალიზაცია, კორუფცია, პატრონაჟი, მონაწილეობის ალტერნატიული ფორმების არარსებობა, მაგრამ გამოსავალი ხშირად ერთი და იგივეა, ცვლილებები კი ზედაპირული. საქმე ეხება ინსტიტუციონალურ ფრაგმენტაციასა და კოლაჟს მექანიზმების შეუცვლელად. წარმომადგენლობით დემოკრატიაზე მეტად ესაა *პარტიების დემოკრატია, პარტიების მეშვეობითა და პარტიებისთვის*, რომლის ინსტიტუციონალური ორიენტირები თითქმის უცვლელი დარჩა 1989 წლიდან. ანალოგიური სიტუაციაა საკონსტიტუციო რეფორმის დონეზეც. მიუხედავად ყველა დებატისა, 2003 წლის რეფორმა ძირითადად რუმინეთის ევროკავშირში გაწევრიანებას ეხება სენსიტიური კონკრეტული საკითხების გადაჭრის გარეშე: ნაციონალური სახელმწიფოს დეფინიცია, სრულყოფილი ორპალატიანობა და სხვ. ამგვარად, ხდება კომპლექსური პროცედურული დემოკრატიის იდენტიფიცირება, რომლის ფუნქციონირება ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია. ამ თვალსაზრისით, ევროინტეგრაცია და პოლიტიკური კლიმატი დემოკრატიული კატალიზატორის როლს ასრულებს, რომლის შესაბამისობა დღესაც მხოლოდ პროცედურულ დონეზეა გაჩერებული.

ბიბლიოგრაფია

GALLAGHER T. (1995), *Romania after Ceausescu: the Politics of Intolerance,* Edinburgh: Edinburgh University Press.

IONESCU A. et HATTO O (éds) (2004), *Politique et société dans la Roumanie contemporaine,* Paris: L'Harmattan.

LIGHT D. et PHINNEMORE D. (éds) (2001.), *Post-communist Romania. Coming to terms with transition,* Palgrave, New York.

POPESSCUm. (2002), „Romania: Stability without Ceausescu", p. 155-186, in Birch S. *et al.,* Embodyng democracy: the Design of Post-Communist Europe, London, Macmillan.

SOARES S. (2004), *Les partis politiques roumains après 1989,* Bruxelles: Édition de l'Université de Bruxelles.

შემოკლებების სია

AUR (Alianta pentru Unitatea Românilor) – რუმინელთა ერთიანობის ალიანსი
BOP (Barometrul de Opinie Publica) – საზოგადოებრივი აზრის ბარომეტრი
CDR (Conventia Democratica Romania) – რუმინეთის დემოკრატიული კონვენცია
FDSN (Frontul Democrat al Salvarii Nationale) – ნაციონალური გადარჩენის დემოკრატიული ფრონტი
FER (Federatia Ecologista Româna) – რუმინეთის ეკოლოგთა ფედერაცია
FSN (Frontul Salvarii Nationale) – ნაციონალური გადარჩენის ფრონტი
MER (Miscarea Ecologista din România) – რუმინეთის ეკოლოგთა მოძრაობა
PAC (Partidul Aliantei Civice) – სამოქალაქო ალიანსის პარტია
PAR (Partidul Alternativa României) – რუმინეთის ალტერნატიული პარტია
PC (Partidul Conservator) – კონსერვატიული პარტია
PD (Partidul Democrat) – დემოკრატიული პარტია
PDAR (Partidul Democrat Agrar din România) – რუმინეთის აგრარულ-დემოკრატიული პარტია
PDSR (Partidul Democratiei din România) – რუმინეთის სოციალური დემოკრატიის პარტია
PER (Partidul Ecologist Român) – რუმინეთის ეკოლოგთა პარტია
PNG (Partidul Noua Generatie) -ახალი თაობის პარტია
PNL (Parti National Liberal) – ნაციონალ-ლიბერალური პარტია

236 Tomasi Di Lampedusa G. (1998), *Il Gattopardo,* Milano: Feltrinelli, p. 41.

PNL-AT (Partidul National Liberal – Aripa Tănara) – ნაციონალ-ლიბერალური პარტია – ახალგაზრდული ფრთა

PNL-CD (Partidul National Liberal – Conventia Democrata) – ნაციონალ-ლიბერალური პარტია – დემოკრატიული კონვენცია

PNTCD (Partidul National Taranesc Crestin Democrat) – გლეხთა ქრისტიან-დემოკრატიული ნაციონალური პარტია

PRM (Partidul România Mare) – დიადი რუმინეთის პარტია

PSD (Partidul Social Democrat) – სოციალ-დემოკრატიული პარტია

PSD (Polul Social Democrat) – სოციალ-დემოკრატიული პოლუსი

PSDR (Partidul Social Democrat Român) – რუმინეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია

PSM (Partidul Socialist al Muncii) – შრომის სოციალისტური პარტია

PT (Partidul Taranesc) – გლეხთა პარტია

PUNR (Partidul Unitatii Nationale Române) – რუმინეთის ნაციონალური ერთიანობის პარტია

PUR (Partidul Umanist Român) – რუმინეთის ჰუმანისტური პარტია

DMR (Romániai Magyar Demokrata Szövetség) – რუმინეთის მადიართა დემოკრატიული ალიანსი

UN (Uniunea Nationala) – ნაციონალური კავშირი

USD (Uniunea Social-Democratica) – სოციალ-დემოკრატიული კავშირი

დანართები-ტაბულა №1: პრემიერ-მინისტრები და პრეზიდენტები პოსტკომუნისტურ რუმინეთში (1990-2006 წწ.)

პრემიერ-მინისტრი	მანდატის პერიოდი	ფუნქცია პარტიაში მანდატის დასაწყისში	მანდატის შეწყვეტის მიზეზი	მანდატის ხანგრძლივობა (დღეები)	ფუნქცია პარტიაში მანდატის მიწურულს	მთავრობის შემადგენლობა	პრეზიდენტი
პ. რომანი	30.12.1989-28.06.1990წწ.	FSN	მანდატის ამოწურვა	179	FSN, FSN-ის ხელმძღვანელობის წევრი	FSN	ი. ილიესკუ-FSN (1989-1990 წწ.)
პ. რომანი	29.06.1990-15.10.1991წწ.	FSN-ის თავმჯდომარე	გადადგომა	473	FSN-ის თავმჯდომარე FDSN-ის გაყოფის შემდეგ	FSN	ი. ილიესკუ-FSN (1990-1992 წწ.)
ფ. სტოლოიანი	16.10.1991-12.11.1992წწ.	დამოუკიდებელი	მანდატის ამოწურვა	393	დამოუკიდებელი	FSN, PNL	
ნ. ვაკაროიუ	13.11.1992-10.12.1996წწ.	დამოუკიდებელი	მანდატის ამოწურვა	1 489	PDSR-ის წევრი 1996, ცენტრალური აღმასრულებელი ბიურო	FSDNa	ი. ილიესკუ – FDSN (1992-1996 წწ.)
ა. ცორბა	11.12.1996-15.04.1998წწ.	CDR-ის აღმ. კომიტეტი	განხეთქილება კოალიციაში	491	1996 წ. : PNTCD-ს წევრი	CDR, UDMR USD	ე. კონსტანტინესკუ-CDR (1996-2000 წწ.)
რ. ვასილე	16.04.1998-13.12.1999წწ.	PNTCD-ის გენ. მდივანი	პრეზიდენტის ჩარევა	616	PNTCD-დან გაცხუელი 1999 წლის 27 დეკემბერს	CDR, UDMR USD	
მ. იზარესკუ	14.12.1999-12.12.2000წწ.	BNR-ის გუბერნატორი	მანდატის ამოწურვა	366	BNR-ის გუბერნატორი	CDR, UDMR USD	

ა. ნასტასი	13.12.2000-21.12.2004წწ.	PDSR-ის თავმჯდომარე	მანდატის ამოწურვა	1 469	PSDR-ის თავჯდომარე	PDSR, PSDR, PURb	ი.ილიესკუ-PSD (2000-2004 წწ.)
ა. პოპესკუ ტარიჩენუ	18.12.2004წ. -	PNL-ის თავმჯდ. მოვალ. დრ. შემსრულებელი	მოქმედი	–	PNL-ის თავჯდომარე	PNL, PD, PC, UDMR	ტ. ბასესკუ-PD (2004-2009 წწ.)

Soare (2004), Preda (2005)
PRM-ის, PSM-ისა და PUNR-ის საპარლამენტო მხარდაჭერით.
UDMR-ის საპარლამენტო მხარდაჭერერით.

ცხრილი №2: მთავრობის გავლენა საკანონმდებლო პროცესზე

წელი	პარლამენტის მიერ მიღებული კანონები	საკანონმდებლო ინიციატივა				
		მოქალაქეები	მთავრობა	დეპუტატები	სენატორები	სენატორები და დეპუტატები
1990 წ.	42	1	41	-	-	-
1991 წ.	82	-	82	-	-	-
1992 წ.	130	-	129	–	1	-
1993 წ.	96	-	90	2	4	-
1994 წ.	146	-	132	11	3	-
1995 წ.	147	-	129	10	8	-
1996 წ.	144	–	123	13	8	-
1997 წ.	225	-	203	14	8	-
1998 წ.	260	-	241	15	3	1
1999 წ.	211	-	195	11	5	-
2000 წ.	234	-	200	16	17	1
2001 წ.	797	-	782	4	8	3
2002 წ.	683	-	614	44	17	8
2003 წ.	609	-	502	58	21	28
2004 წ.	601	-	490	61	12	38
2005 წ.	415	-	381	17	9	8
მთლიანად	4 822	1	4 334	276	124	87
მთლიანად %-ში	100%	0%	89,88%	5,72%	2,57%	1,80%

ცხრილი №3: 1990 წლის საკანონმდებლო არჩევნების შედეგები

პარტიები	% VVE	ადგილები	% VVE	ადგილები
	დეპუტატთა პალატა		სენატი	
FSN	66,31	263	67,02	92
UDMR	7,23	29	7,20	12
PNL	6,41	29	7,06	9
MER	2, 62	12	2,45	1
PNT-CD	2,56	12	2,50	1
AUR-PUNR	2,12	9	2,15	2
PDAR	1,83	9	-	-
PER	1,69	8	1,38	1
PSDR	1,05	5	-	-
სხვები	5,13	11	-	-

VVE – მიცემული ვალიდური ხმები (*Preda 2001*)

ცხრილი №4: 1992 წლისა და 1996 წლის საკანონმდებლო არჩევნების შედეგები

პარტია	1992 წ.		1996 წ.	
	% – ვალიდური ხმები	ადგილები	% – ვალიდური ხმები	ადგილები
დეპუტატთა პალატა				
FDSN/ PDSR	271,7	117	21,52	91
CDR	20,01	82	30,16	122
ადგილების გადანაწილება CDR-ის შიგნით				
	PNTCD	41	PNTCD	83
	PAC	13	PNL	25
	PNL-AT	11	PNLCD	5
	PSDR	10	PER	5
	PER	4	PAR	3
	PNLCD	3	FER	1
USD*	-	-	12,92	53
			ადგილების გადანაწილება USD-ს შიგნით	
			PD	43
			PSDR	10
FSN/PD	10,18	43	-	-
PUNR	7,71	30	4,35	18
UDMR	7,45	27	6,63	25
PRM	3,89	16	4,46	19
PSM	3,03	13	-	-
სენატი				
FDSN	28,29	49	21,52	91
CDR	20,16	34	30,69	53
ადგილების გადანაწილება CDR-ის შიგნით				
	PNTCO	41	PNTCD	27
	PAC	13	PNL	17
	PNL-AT	11	PNLCD	4
	PSDR	10	PER	1
	PER	4	PAR	3
	PNLCD	3	FER	1
USD	-	-	13,16	23
			ადგილების გადანაწილება USD-ს შიგნით	
			PD	22
			PSDR	1
FSN/PD	10,38	18	-	-
PUNR	8,12	14	4,22	7
UDMR	7,57	12	6,81	11
PRM	3,85	6	4, 54	8
PDAR	3,30	5	-	-
PSM	3,18	5	-	-

(Preda 2001) USD ალიანსი PD-PSDR (1996)

ცხრილი №5 : 2000 წლისა და 2004 წლის საკანონმდებლო არჩევნების შედეგები

პარტიები	2000 წ.		2004 წ.	
	% – ვალიდური ხმები	ადგილები	% – ვალიდური ხმები	ადგილები
დეპუტატთა პალატა				
			-	-
ადგილების გადანაწილება PSD-ის შიგნით				
	PSD	143		
	PUR	6		
	PSDR	6		
PRM	19,48	84	12,92	48
PD	7,03	31	-	-
PNL	6,89	30	-	-
UDMR	6,79	27	6,17	22
UN***	-	-	36,63	132
			ადგილების გადანაწილება UN-ის შიგნით	
			PSD	113
			PUR	19
DA***	-	-	31,33	112
			ადგილების გადანაწილება DA-ს შიგნით	
			PNL	
			PD	
სენატი				
PSD	37,09	65	-	-
ადგილების გადანაწილება PSD-ის შიგნით				
	PSD	59		
	PUR	2		
	PSDR	4		
PRM	21,01	37	13,63	21
PD	7,57	13	-	-
PNL	7,47	13	-	-
UDMR	6,89	12	6,23	10
UN	-	-	37,13	57
			ადგილების გადანაწილება UN-ის შიგნით	
			PSD	46
			PUR	11
DA	-	-	31,77	49
			ადგილების გადანაწილება DA-ს შიგნით	
			PNL	64
			PD	48

ცენტრალური საარჩევნო ბიურო* ალიანსი (2000 წ.) PSD, PSDR და PUR,** ალიანსი (2004 წ.) PSD და PUR.

თავი XX

საბერძნეთი

იფიგენი კამტსიდუ

საბერძნეთს მდიდარი და რთული კონსტიტუციური ისტორია აქვს. დღევანდელი რეჟიმი სამხედრო დიქტატურის დამხობის შემდეგ ჩამოყალიბდა. ამ პოლიტიკურმა ცვლილებამ შესაძლებელი გახადა ხანგრძლივ დემოკრატიულ ტრადიციაზე დაბრუნება, რომლის მრავალმა ავბედითობამ ძალზე დიდი გავლენა იქონია თანამედროვე ინსტიტუტების ფორმაზე. ამ დროიდან, დემოკრატიული პროცედურები პოლიტიკური თამაშის წესია და პარლამენტარიზმი ხელისუფლებაში მყოფი ორი პარტიის მონაცვლეობას უზრუნველყოფს. თუმცა, რეჟიმის პოლიტიკური სტაბილურობა ვერ ჩქმალავს ორპარტიული პოლიტიკური სისტემის სისუსტეს, რომელიც ინსტიტუტების განვითარებას განაპირობებს.

საბერძნეთის დემოკრატიის სათავეები

1974 წლის ივლისში პოლკოვნიკთა დიქტატურის დამხობამ, რომელიც შვიდი წლით ადრე სახელმწიფო გადატრიალების შედეგად იქნა დამყარებული, პოლიტიკური არასტაბილურობისა და საკონსტიტუციო კრიზისების ხანგრძლივი პერიოდი დაასრულა და საბერძნეთის რეჟიმის ევოლუციას მისცა ბიძგი.[237] სამხედროები უუნარონი აღმოჩნდნენ კვიპროსული ტრაგედიის შედეგების მართვაში, რომელსაც თავად შეუწყეს ხელი. ამიტომაც, მათ ძალაუფლება 1963 წლიდან პარიზში ნებაყოფლობით გადასახლებულ ყოფილ პრემიერ-მინისტრსა და მემარჯვენეთა ცნობილ ლიდერს კ. კარამანლისს გადასცეს. დაბრუნების დღიდანვე, კარამანლისმა „ნაციონალური ერთიანობის" მთავრობა ჩამოაყალიბა, რომელიც სხვადასხვა პარტიების წარმომადგენელი პიროვნებებისგან შედგებოდა.[238]

ეს მთავრობა დიდი ენთუზიაზმით იქნა მიღებული ფართო სოციალური ფენების მიერ, რომლებიც ყველა დიდ ქალაქში გამოვიდნენ საკუთარი პოლიტიკური მხარდაჭერის გამოსახატავად და მისთვის ფართო ლეგიტიმურობის უზრუნველსაყოფად. „ნაციონალური ერთიანობის" მთავრობა აშკარად გაემიჯნება დიქტატორულ რეჟიმს. ცვლილება მონარქიის გაუქმებითა და ახალი კონსტიტუციის მიღებით განხორციელდა.

პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიზაციისკენ მიმართული პირველი ეტაპი 1974 წლის საკონსტიტუციო აქტის გამოცემით დაიწყო, რომლის მიზანს „დემოკრატიული კანონიერების აღდგენა" წარმოადგენდა. ამ აქტით, მთავრობამ 1952 წლის კონსტიტუცია ხელახლა აამოქმედა რეჟიმის ფორმის მარეგლამენტირებელი დებულებების გარდა. მან დამფუძნებელი ხელისუფლება შეინარჩუნა და ბათილად ცნო 1968-1973 წლების დიქტატორული „კონსტიტუცია" და „1967 წლის 21 აპრილის შემდეგ გამოქვეყნებული კონსტიტუციური შინაარსის ყველა აქტი." შემდეგ, ყველა პოლიტპატიმრის ამნისტია გამოცხადდა. საკანონმდებლო დეკრეტით გამოცხადებული იქნა პოლიტიკური პარტიების, კომუნისტური პარტიის ჩათვლით, თავისუფალი ფუნქციონირების უფლება და მეორედ იქნა რატიფიცირებული ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია.[239]

„ნაციონალური ერთიანობის" მთავრობამ პირდაპირ ხალხს გადასცა რეჟიმის ფორმასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების უფლება. მან განაცხადა, რომ არჩევნებით მოსულ მთავრობას ამ მიზნით რეფერენდუმი უნდა ჩაეტარებინა უმოკლეს ვადებში. ეს უკანასკნელი 1974 წლის 8 დეკემბერს ჩატარდა და მონარქიის გაუქმებით დასრულდა 69,2%-იანი უმრავლესობით მმართველობის რესპუბლიკური ფორმის სასარგებლოდ. რაც შეეხება საკანონმდებლო არჩევნებს, მათ დიდი პოლიტიკური გამარჯვება მოუტანეს კ. კარამანლისსა და გადამწყვეტი საპარლამენტო უმრავლესობა მის პარტიას, ახალ დემოკრატიას. (ND).[240]

ერთპალატიანი პარლამენტის განკარგულებაში იყო დამფუძნებელი ხელისუფლება. მისი მუშაობა კონსტიტუციის სამთავრობო პროექტს ეფუძნებოდა, რომელიც კ. კარამანლისის ძირითად კონსტიტუციურ იდეებს ას-

---

237 *N. Alivizatos,* Les Institutions politiques de la Grèce à travers les crises, Paris, L.G.D.J., 1979, p. 11 et ss, *A. Manessis,* L'évolution des institutions politiques de la Grèce in *Les Temps Modernes,* n° spécial (La Grèce en mouvement), 1985, p. 772 et ss (789 et ss), *G. Kaminis,* La transition constitutionnel en Grèce in *Yv. Guchet,* Les régimes politiques de l'Union européenne, Paris, A. Collin, 1994, p. 215 et ss (219 et ss).

238 *G. Kaminis, op. cit,* p. 156 et ss, *K. Mavrias,* Transition constitutionnelle et Changement démocratique en Europe du Sud, Athènes, A. Sakkoulas, 1997, p. 56 ss.

239 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია უკვე რატიფიცირებული იყო 2329/1953 წლის კანონით.

240 მიცემული ხმების 54%-ის მიღებამდე, ND-მ ეროვნულ ასამბლეაში 300 -დან 220 ადგილი მოიპოვა. მეორე პარტიამ, ცენტრის კავშირმა – ახალი ძალები 60 ადგილი დაიკავა, სრულიად საბერძნეთის სოციალისტურმა მოძრაობამ 13, გაერთიანებულმა მემარცხენეებმა კი 8 ადგილი მიიღეს.

ახავდა: წესრიგი, სახელმწიფო ძალაუფლება, სამთავრობო ქმედების ეფექტურობა სახელმწიფო ძალაუფლების ორგანიზაციით უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი – კერძოდ, ძლიერი აღმასრულებელი ხელისუფლებით.

ახალი დემოკრატიის პარტიისა (ND) და მისი თავჯდომარის მიერ წარმოდგენილი ინსტიტუციონალური მოდელი, როგორც ქვეყნის ყველა პოლიტიკური ძალების, ისე ცნობილი იურისტებისა და საზოგადოებრივი აზრის ცხარე კამათის ობიექტი გახდა. დიდწილად, პოლიტიკური დაპირისპირება რეჟიმის, კერძოდ კი მმართველობის ფორმასთან იყო დაკავშირებული; ის რესპუბლიკური იყო სახალხო ვერდიქტის შესაბამისად და კონსტიტუციის სამთავრობო პროექტთან იყო გაერთიანებული მნიშვნელოვანი უფლებამოსილებების მქონე პრეზიდენტის გარშემო. ეს ფორმა მერყეობდა „პარლამენტარიზმის პრეზიდენციალიზაციასა" და „საპარლამენტო პრეზიდენციალიზმს" შორის. თუმცა, მთავრობის მიერ რესპუბლიკის პრეზიდენტისთვის ახალი კონსტიტუციით დაკისრებული როლი ბუნებრივ უნდობლობას იწვევდა, რომელიც პოლიტიკურმა ისტორიამ ქვეყნის კოლექტიურ ცნობიერებაში დაამკვიდრა.

მთელი XX საუკუნის მანძილზე, სამეფო გვირგვინი საბერძნეთის პოლიტიკური ცხოვრების ინტენსიური კრიზისების მთავარ ფაქტორს წარმოადგენდა. პირველი მსოფლიო ომის, ნაცისტური ოკუპაციის შემდგომი საომქალაქო ომისა და „ავტორიტარული პარლამენტარიზმის" (1952-1967 წწ.) პერიოდის განმავლობაში მეფის ჩარევამ პოლიტიკურ საქმეებში მრავალჯერ შეაჩერა დემოკრატიული სისტემის ფუნქციონირება საარჩევნო კორპუსის ნების აშკარა გაუქმებით. ეყრდნობოდნენ რა ქვეყნის მიწათმფლობელთა ოლიგარქიას, კონსერვატორულ, შემდეგ კი პროამერიკულ ძალებს, მეფეები ქვეყნის პოლიტიკის გადამწყვეტი სექტორების განსაზღვრის ერთპიროვნულ უფლებას მოითხოვდნენ. ამ პრაქტიკიდან მომდინარე კრიზისები ხშირად სამთავრობო, რეჟიმის კრიზისშიც კი გადადიოდა და ამგვარად, დაპირისპირება კონსტიტუციურ განზომილებას იძენდა: სახელმწიფოს მეთაური საკუთარი პოლიტიკური შეხედულებების თავს მოსახვევად დეპუტატთა პალატის მიერ მხარდაჭერილი მთავრობის არჩევანის საპირისპიროდ, კონსტიტუციური ნორმების გარკვეულწილად დამახინჯებულ ინტერპრეტაციას ან მათ ხელყოფას მიმართავდა. ამგვარად, ეროვნული ასამბლეის დაშლა, მინისტრების დანიშვნა და შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობა კონფლიქტების არსს წარმოადგენდა, რომელმაც სოციალური კორპუსი გახლიჩა[241] და პოლიტიკური ევოლუცია დააბრკოლა, რასაც შედეგად 1967 წლის სამხედრო სახელმწიფო გადატრიალება მოჰყვა.

აღნიშნულის შედეგად, საბერძნეთის III რესპუბლიკის პრეზიდენტობის ინსტიტუტის კონსტიტუციურ მოწყობასთან დაკავშირებული პოლიტიკურ-იდეოლოგიური დებატის მნიშვნელობა არ იყო შემთხვევითი. ის იმ ისტორიულ უნდობლობას ასახავდა, რომელსაც ეს ინსტიტუტი იწვევდა. ამ უკანასკნელს ხელისუფლების სათავეში ავტონომიურად წარმოჩენისა და შეიარაღებული ძალებისა ან მოკავშირე ძალების დახმარებით, რეჟიმის დემოკრატიული ხასიათის განვითარების შეფერხება შეეძლო. ამავე დროს, მთავრობამ თავისი საპარლამენტო უმრავლესობით კენჭი უყარა კონსტიტუციის პროექტს მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ოპოზიციამ მთლიანობაში თავი შეიკავა პროტესტისგან.

ქვეყნის ყველა პოლიტიკური ძალის ეს პოზიცია საბერძნეთის პოლიტიკური სისტემის კონსტანტას წარმოაჩენს. საქმე ეხება კონსტიტუციის აღქმასთან დაკავშირებულ ურყევ რწმენას, რომელსაც პოლიტიკური ინსტიტუტების შესაბამისი ხასიათის განსაზღვრა შეუძლია. ამ რწმენას იზიარებს, როგორც პოლიტიკური ელიტები, ისე ხალხის ფართო ფენები.

საბერძნეთის პოლიტიკური ისტორიის პარადოქსია ის ფაქტი, რომ კონსტიტუციის არაერთგზის დარღვევას არ მოუხდენია ძირითადი კანონის სახალხო კონცეფციის კომპრომენტირება, როგორც პოლიტიკური თავისუფლებისა და პირადი და კოლექტიური დამოუკიდებლობის გარანტისა. პირიქით, 150 წელზე მეტი ხნის მანძილზე, კონსტიტუცია და მისი დაცვა პოლიტიკური დებატის მთავარ საფუძველს წარმოადგენდა, რამაც იდენტობებისა და პოლიტიკური პროექტების შემუშავებას შეუწყო ხელი. მეფე ოტონის (1843 წ.) წინააღმდეგ დაწყებული რევოლუციის დროიდან, „კონსტიტუციის დაცვის" მოთხოვნა მრავალჯერ იდგა პოლიტიკურ ავანსცენაზე. მაგალითად, პატრიოტულ მოვალეობად წარმოსაჩენად 1965 წელს, როდესაც მეფემ პრემიერ-მინისტრი გ. პაპანდრეუ გადააყენა მიუხედავად იმისა, რომ მისი მთავრობა დეპუტატთა პალატის ნდობითა და საარჩევნო მანდატით სარგებლობდა.[242]

---

241 ეს იყო „ნაციონალური განხეთქილების" შემთხვევა, რომელსაც 1915 წელს ჰქონდა ადგილი და შედეგად, „ბერძნული საზოგადოების ორად გაყოფა" გამოიწვია (*N. Alivizatos, op. cit.* p. 1). პრემიერ-მინისტრი ელეფტერიოს ვენიზელოსი, რომელიც ომში ქვეყნის ჩართვას ანტანტის მხარეზე ქადაგებდა, ორჯერ გახდა იძულებული თანამდებობიდან გადამდგარიყო, მაშინ როდესაც მეფე ეროვნული ასამბლეის დაშლას შეუდგა მის მიერ არჩეული მთავრობისთვის უმრავლესობის უზრუნველსაყოფად. მოკავშირეები (განსაკუთრებით, ფრანგები და ინგლისელები) ჩაერივნენ გერმანოფილი მონარქის გადასაყენებლად და კრიზისმა ძალზე დიდი მასშტაბი მიიღო (*v. A. Manessis*, art. cit, p. 781 et ss).

242 ე.წ. „ივლისის კრიზისის" განმავლობაში, მეფის ჩარევას მთავრობის შემადგენლობასა და საპარლამენტო თამაშში, შედეგად მოჰყვა დიდი სახალხო მანიფესტაციები; მანიფესტანტები მეფის პოზიციას აპრობატებდნენ საბერძნეთის ყველა კონსტიტუციაში ფორმალურად ჩაწერილ წინააღმდეგობის უფლებაზე დაყრდნობით.

ბერძენი ხალხის კონსტიტუციური იმედები მჭიდროდ იყო დაკავშირებული იმ სოციალურ და პოლიტიკურ პირობებთან, რომელშიც საბერძნეთის სახელმწიფო წარმოიშვა და ისინი ორი ღერძის გარშემო ტრიალებდა: სახალხო სუვერენიტეტი და პარლამენტარიზმი. მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუცია შორს იდგა თავის სამართლებრივ ფორმასთან იდენტიფიცირებისგან, ის მოსახლეობის უმრავლესობის მიერ პოლიტიკური ერთობის პრივილეგირებულ სივრცედ აღიქმებოდა – სიმბოლურ სამშობლოდ, რომელიც ბერძნებმა ავტორიტარული რეჟიმის წინააღმდეგ ამბოხებით ჩამოაყალიბეს. რევოლუციის შემდეგ შექმნილი პატარა სახელმწიფო, ეს „საბერძნეთის ბირთვი" მხოლოდ ბერძნებით დასახლებული ტერიტორიების მცირე ნაწილს მოიცავდა[243] და, მიუხედავად მისი ფუძემდებლების ერთსულოვანი ნებისა, რომელიც საზეიმოდ იქნა გაცხადებული რევოლუციური კონსტიტუციებით,[244] დემოკრატიული რეჟიმით ვერ აღიჭურვა. იმ ეპოქის ძლიერი სახელმწიფოები[245] უწყობდნენ რა ხელს პორტის წინააღმდეგ წარმატებულ ბრძოლას, ახალი სახელმწიფო ერთეულის გადარჩენას მონარქიის დამყარებას უკავშირებდნენ. 1833 წელს ბავარიის პრინცი ოტონი „ღმერთის წყალობით საბერძნეთის მეფედ" იქნა დასმული; 1843 იგი ათენელთა აჯანყების პირისპირ აღმოჩნდა და იძულებული გახდა კონსტიტუციის მიღებას დასთანხმებოდა (1844 წ.), რომელიც ერის აღდგენის ინსტრუმენტად განიხილებოდა. ახალმა რევოლუციამ ოტონი და მისი დინასტია დაამხო 1862 წელს; დამფუძნებელმა კრებამ სასწრაფოდ გამოაცხადა დემოკრატიული რეჟიმის ფორმის მიღების შესახებ[246] და მეფეს აღმასრულებელი ხელისუფლება გადასცა, რომელსაც იგი პირდაპირი საყოველთაო არჩევნებით არჩეული ეროვნული ასამბლეის წინაშე პასუხისმგებელი მინისტრების მეშვეობით აღასრულებდა. ამგვარად, დაიწყო „სამეფო დემოკრატიის" პერიოდი, რომელიც ინგლისის პარლამენტარიზმისა და ბელგიის 1831 წლის კონსტიტუციის რეგლამენტაციებით იყო შთაგონებული.[247]

რეჟიმის მახასიათებლების ჩამოყალიბება 1875 წელს საპარლამენტო პრინციპის დამტკიცებით იქნა დასრულებული, რომლის ბერძნული ვერსია ერთ-ერთი ყველაზე მკაცრია ევროპის კონტინენტზე. საქმე ეხება „აშკარა ნდობის პრინციპს," რომლის შესაბამისად, მეფეს არ შეეძლო მთავრობის დანიშვნა პალატის ნდობის არარსებობის შემთხვევაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სახელმწიფოს მეთაური – და იმ დროიდან ასეცაა – ვალდებული იყო ეროვნული ასამბლეის შემადგენლობა გაეთვალისწინებინა და პრემიერ-მინისტრად აერჩია ის პიროვნება, რომლის მთავრობა აშკარად ისარგებლებდა საპარლამენტო უმრავლესობის ნდობით.

კონსტიტუცია 1975 წელს შევიდა ძალაში და დემოკრატიული ინსტიტუტების რეგულარული ფუნქციონირება უზრუნველყო მის პირველ გადასინჯვამდე 1985-1986 წლებში. დაცული იქნა პოლიტიკური შეჯიბრის წესები და 1981 წელს პირველად განხორციელდა ხელისუფლების მონაცვლეობა საბერძნეთის პარლამენტარიზმის მონისტური ხასიათის დამტკიცებით. რესპუბლიკის პრეზიდენტის როლთან დაკავშირებული საკონსტიტუციო მღელვარება ჩაცხრა და სახელმწიფოს მეთური ძირითადად სიმბოლური და პროცედურული რეგულაციის ფუნქციებით შემოიფარგლა.[248] III რესპუბლიკის პირველი ათწლეულის განმავლობაში, ქვეყანაში არსებულ მთავრობებს ერთპარტიული მორჩილი უმრავლეობის მხარდაჭერა ჰქონდა, რომელთაც ქარიზმატული ლიდერები ხელმძღვანელობდნენ და დაბრკოლების გარეშე თანაარსებობდნენ პოლიტიკურად პენსიაზე გასულ პრეზიდენტთან.

პროცედურული არბიტრაჟი, რომელსაც რესპუბლიკის პრეზიდენტები ანხორციელებენ, დემოკრატიული თამაშის წესების დაცვისკენ უბიძგებს და პოლიტიკურ პარტიებს შორის დიალოგს აადვილებს: ეს იყო პარტიების ლიდერთა საბჭოების მოწვევის შემთხვევა კ. კარამანლისის თავჯდომარეობით, იმ საკითხის განსახილველად, რომელიც ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკისთვის მაკედონიის სახელწოდების მინიჭებასა და მის შემადგენელ ნაწილებს შორის გაჩაღებულ ომს ეხებოდა. პრეზიდენტი მხოლოდ საბჭოების მუშაობის გაგრძელების რეკომენდაციით გამოვიდა და გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობისგან თავი შეიკავა. იგი დიალოგის *პროცედურის* ამოქმედებით დაკმაყოფილდა იმისათვის, რომ ნაციონალური საკითხის გადაჭრა ფართო კონსენსუსის შედეგი ყოფილიყო.

კონსტიტუციური კანონიერებისადმი ერთგულება საპრეზიდენტო რეგულაციის ყველაზე მნიშვნელოვან წვლილს წარმოადგენდა. კ. კარამანლისი განუწყვეტლივ მოუწოდებდა პოლიტიკური ერთობის ყველა შემადგე-

---

243 V. A. *Manessis*, art. cit. p. 77-8.

244 წარმომადგენლობითი ასამბლეების მიერ მიღებული რევოლუციის პერიოდის სამი კონსტიტუცია დემოკრატიულ და რესპუბლიკურ რეჟიმს აფუძნებდა, რომლის მოქალაქეებიც აღჭურვილნი იყვნენ არაუგულებელსაყოფელი უფლებებითა და თავისუფლებებით საკონსტიტუციო კანონების საფუძველზე.

245 ინგლისი, საფრანგეთი და რუსეთი.

246 ევროპულ რეჟიმებზე მინიშნება პოლიტიკური განხეთქილების გადამწყვეტ პარამეტრს წარმოადგენდა. ცივილიზებული ხალხების" პოლიტიკურ ინსტიტუტზე დაყრდნობა განიხილებოდა „იმ სარკედ, რომელშიც საბერძნეთი მუდმივად უნდა ასახულიყო", cf. v. A. Manessis, Deux États nés en1830. Ressemblances et dissemblances constitutionnelles entre la Belgique et la Grèce, Travaux et conférences de la Faculté de Droit, Bruxelles, 1979.

247 *A. Pantelis*, Les grands problèmes de la nouvelle Constitution hellénique, L.G.D.J., 1979, p. 313.

248 მთავრობის დანიშვნა საკანონმდებლო არჩევნების ჩატარების შემდეგ და წარმომადგენელთა პალატის შემადგენლობის შესაბამისად.

ნელს მოვალეობების დაცვისკენ[249] და მისმა პატრიარქის სტილმა საკითხს გარკვეული მორალური ხასითი შესძინა. სახელმწიფოს მეთაურისთვის დაკისრებული ფუნქციის მასშტაბს ხაზს უსვამს „პირადობის მოწმობების" მაგალითი. 2000 წლის მაისში AAI-მ (ლოჯისტიკური და ტექნიკური სამსახური), რომელსაც პირადი მონაცემების დაცვა ევალებოდა გადაწყვიტა, რომ რელიგიის მოხსენიება პირადობის მოწმობებში კონსტიტუციას ეწინააღმდეგებოდა. ამ გადაწყვეტილებას მართლმადიდებელი ეკლესიის მძაფრი რეაქცია მოჰვა, რომელიც სულ უფრო მეტად მოითხოვდა პოლიტიკური როლის თამაშს. ათენის არქიეპისკოპოსმა ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ გასაოცარი მასშტაბის კამპანია წამოიწყო: მან დიდი მანიფესტაციების ორგანიზება მოახერხა და 3 000 000 ხელმოწერის შეგროვება შეძლო რეფერენდუმის ჩატარების მიზნით. კ. სტეფანოპულოსმა ეს მოთხოვნა უარყო და ყველა მოქალაქეს კონსტიტუციის დაცვისკენ მოუწოდა: მან აღნიშნა, რომ ძირითადი კანონის თანახმად, „რესპუბლიკის პრეზიდენტი რეფერენდუმის ჩატარებას მნიშვნელოვან ნაციონალურ საკითხებზე და მთავრობის წინადადებით აცხადებს" და აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონიერების მიღმა შეგროვილ ხელმოწერებს საკონსტიტუციო რეგლამენტაციაზე ზეწოლის მოხდენა არ შეუძლია."

რეჟიმის მონისტურმა ხასიათმა საერთო კონსენსუსს მიაღწია იმის გათვალისწინებით, რომ მას ყველა ინსტიტუციური და პოლიტიკური აქტორი დაეთანხმა, მაგრამ ის კონსტიტუციის დაწერილი რეგლამენტაციების მიღმა განვითარებულად წარმოჩნდებოდა. მართლაც, 1975 წლის კონსტიტუციის შემდგენელი ძლიერ აღმასრულებელ ხელისუფლებას ითვალისწინებდა, რომლის შიგნით სახელმწიფო მეთაურს მნიშვნელოვანი ადგილი უნდა ჰქონოდა. ამ უკანასკნელის განკარგულებაში იყო ისეთი კონსტიტუციური იარაღი, როგორიცაა ეროვნული ასამბლეის დაშლა, მთავრობის გადაყენება, საგანგებო გარემოებებში მინისტრთა საბჭოს თავჯდომარეობა, დაბოლოს, რეფერენდუმის ჩატარება სასიცოცხლო ნაციონალურ საკითხებზე.

თუმცა, ჰომოგენური და დისციპლინირებული საპარლამენტო უმრავლესობების გამოჩენამ შეზღუდა პრეზიდენტების შესაბამისი უფლებამოსილებები. მთავრობის დანიშვნა და გადაყენება, პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება, და ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინიციატივა, მხოლოდ ეროვნული ასამბლეის ნებად განიხილებოდა. სხვათა შორის, მაჟორიტარიზმისა და ორპარტიულობის ჩამოყალიბებამ[250] წარმოადგენლობითი კორპუსის უპირატესობის დამყარების ნაცვლად, მთავრობის გაძლიერებას შეუწყო ხელი და პოლიტიკური ძალაუფლების კონცენტრაციას პრემიერ-მინისტრის ხელში. საარჩევნო კორპუსის მიერ დანიშნულ დეპუტატთა პალატაში უმრავლესობის პარტიის უპირობო მეთაური,[251] პრემიერ-მინისტრი პოლიტიკურ და საპარლამენტო თამაშს ხელმძღვანელობდა რეჟიმის მთელი პირველი ათწლეულის განმავლობაში, როგორც „არჩეული მონარქი."

მიუხედავად ამ ევოლუციისა, ლეგისლატურის მოქმედების ვადის ამოწურვამდე რამდენიმე ხნით ადრე და საპრეზიდენტო არჩევნებთან (1985 წლის მარტი) დაკავშირებით, პრემიერ-მინისტრმა ა. პაპანდრეუმ კონსტიტუციის გადასინჯვის პროცედურა დაიწყო, მმართველობის ფორმის „განმარტებისთვის:" ეხებოდა რა მხოლოდ საპრეზიდენტო კომპეტენციებთან დაკავშირებულ დებულებებს, კონსტიტუციის გადასინჯვა დიდ სიმბოლურ მნიშვნელობას ატარებდა. ის საზოგადოებრივ აზრს წარედგინა, როგორც სავალდებულო გზა პოლიტიკური ხელისუფლების დემოკრატიზაციისთვის.[252] *დეპუტატთა პალატის სოციალისტური უმრავლესობა საპარლამენტო მექანიზმების უკიდურეს რაციონალიზაციას შეუდგა :* მან რიგი წესები მიიღო, რომლებიც ზედმიწევნით განა-

---

249 კარამანლისი პოლიტიკურ პარტიებს, პროფკავშირებსა და წარმომადგენელთა პალატის თავჯდომარესაც კი მათი ქმედებების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებულ რჩევებს აძლევდა. ამ უკანასკნელს მან უჩია „დეპუტატები მშვიდ გარემოში ჰყოლოდა დემოკრატიული წესების შეღახვის თავიდან ასაცილებლად."

250 1977 წელს ორი დიდი პარტია (N.D. და PASOK-ი) ხმების 68%-სა და ადგილების 88%-ს ინაწილებდა ეროვნულ ასამბლეაში, მაშინ როდესაც პოლიტიკურმა და საარჩევნო დინამიკამ პრაქტიკულად მარგინალური გახადა ცენტრის პარტია და მემარცხენე პარტიები.

251 ის პირობები, რომლებშიც დემოკრატიაზე გადასვლა განხორციელდა და ორი დიდი პარტიის პირველი ლიდერების პიროვნულმა თვისებებმა პოლიტიკური ძალაუფლების ძლიერი პერსონალიზაცია გამოიწვია. მართლაც, ND-ს თავჯდომარე კ. კარამანლისი და PASOK-ის თავმჯდომარე ა. პაპანდრეუ ქარიზმატული პოლიტიკოსები იყვნენ, რომლებიც საარჩევნო კორპუსში ემოციებს იწვევდნენ და ამომრჩეველთა გაერთიანების უნარი ჰქონდათ საკუთარ პოლიტიკურ გეგმებთან. ისინი თავიანთი პარტიის დამფუძნებლები იყვნენ (კარამანლისი თავად რეჟიმის ფუძემდებლადაა მიჩნეული). მათ მნიშვნელოვანი საარჩევნო წარმატებით უზრუნველყვეს საკუთარი მომხრეები. ამიტომაც, ამ ლიდერთა იდეოლოგიური და პოლიტიკური არჩევანი კითხვის ქვეშ არ დაუყენებია არც ND-სა და არც PASOK -ის წევრებს და პოლიტიკური პარტიების იერარქიზებული ორგანიზაცია – დღესაც ასეთად რჩება – ცხოვრებისა და პოლიტიკური რეჟიმის ძირითად პარამატრს წარმოადგენდა. *cf. N. Diamanandouras,* Transition to and consolidation of Democratic Politics in Greece, 1974-1983, West European Politics, 1984, p. 51ss, *M. Spourdalakis,* Securing democracy in post-authoritarian Greece, in Stabilizing Fragile Democracies, London-NY, Routledrge, 1996, p. 168ss.

252 ამ სიმბოლიზმის მნიშვნელობას აშკარად ასახავს PCG-ს (საბერძნეთის კომუნისტური პარტია) პოზიცია, რომელიც მემარცხენე ფლანგის წარმომადგენელი ერთადერთი პარტია იყო პარლამენტში; *მთავრობასთან ყოველგვარი წინასწარი კონსულტაციის გარეშე, კომუნისტებმა უმრავლესობის ყველა წინადადებას უყარეს კენჭი და ამგვარად, დაამტკიცეს, რომ კონსტიტუციის გადასინჯვა დემოკრატიული ვალდებულების ფორმას იძენდა.*

პირობებენ მთავრობის დანიშვნასა და ასამბლეის დაშლას. თუმცა, სამთავრობო არასტაბილურობის თავიდან აცილებისთვის გამიზნულმა ამ საკონსტიტუციო ტექნიკამ დიდად შეუწყო ხელი ქვეყნის ორი დიდი პარტიის დომინანტობის ჩამოყალიბებას, ისევე როგორც აღმასრულებელი ხელისუფლებისა და რეჟიმის შიგნით პრემიერ-მინისტრის უპირატესობის დამკვიდრებას.

რამდენიმე წლის მოგვიანებით, მემარჯვენე მთავრობამ ხელახლა დასვა კონსტიტუციის გადასინჯვის საკითხი. ეს უკანასკნელი დაწყებული იქნა კ. სიმიტის სოციალისტური მთავრობის ინიციატივით 1997 წელს და „კონსტიტუციური მოდერნიზაციის“ სლოგანით წარმოებდა. ამ ფართო ხასიათის რეფორმას – ხშირად გაბუქებულსაც – საარჩევნო კორპუსში ემოციები არ გამოუწვევია. ამავე დროს, ფართო უმრავლესობის მიერ 89 საკონსტიტუციო დებულება იქნა მოდიფიცირებული, რამაც აჩვენა, რომ სოციალისტურმა უმრავლესობამ და ოფიციალურმა მემარჯვენე ოპოზიციამ აქამდე არნახულ კონსენსუს მიაღწია: ე. წ. „ახალი“ უფლებებისა და თავისუფლებების[253] ფორმალური დამტკიცება, საპარლამენტო პროცედურების რაციონალიზაცია, დეპუტატებთან დაკავშირებული სტატუსის მოდიფიკაციები და სასამართლო სისტემის ნაწილობრივი რეორგანიზაცია. დაბოლოს, დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ხელისუფლების ორგანოების შექმნას საბერძნეთის პოლიტიკური სისტემის საჭირბოროტო პრობლემებზე უნდა გაეცა პასუხი.

ფაქტობრივად, საბერძნეთის „დემოკრატიის ხარისხი“ საგრძნობლად არ გაუმჯობესებულა: ორი დიდი პარტიის ლიდერების დაქვემდებარების ქვეშ მყოფი პარლამენტი, მართლმსაჯულების სფეროს ორგანიზაციული საკითხების გადაუჭრელობა და მედიის ტოტალური უკონტროლობა სამართლებრივი თვალსაზრისით.[254] როგორც ჩანს, პრაქტიკა ამართლებს მათ, ვინც სადავოს ხდის კონსტიტუციის გადასინჯვის წვლილს ქვეყნის ნორმატიულ არსენალში; ამავე დროს, მისი პოლიტიკურ სისტემასთან დაკავშირებული ფუნქცია ბოლოდროინდელი ევოლუციით დასტურდება. საქმე ეხება კონსტიტუციის გადასინჯვის გამოყენებას, როგორც სამთავრობო პროგრამის წინ წამოწევისა და ორი დიდი პარტიის მთავარი არჩევანის ლეგიტიმაციის საშუალებას, რომელიც თავისი რეფორმატორული თვისებების კალკირებას ცდილობს – იქნება ეს ნეოლიბერალური თუ „ახალი მემარცხენე“ პარტია – კონსტიტუციურობის საკითხებზე

მართლაც, კონსტიტუციით გათვალისწინებული ხუთწლიანი ვადის მიწურულს კონსტიტუციის ორ გადასინჯვას შორის, კონსერვატორი პრემიერ-მინისტრი კარამანლისი[255] გადასინჯვის ახალ პროცედურას შეუდგა; სოციალისტები სპონტანურად შეუერთდნენ სამთავრობო ინიციატივას და 2006 წლის მაისში ორმა დიდმა პარტიამ თავიანთი წინადადებები წარმოადგინა. ამგვარად, ერთმანეთს მიჰყვა კონსტიტუციის გადასინჯვები, რამაც პროცედურა *ჩვეულებრივ მოვლენად აქცია*, რომელიც მთავრობას მოქმედებაში მოჰყავს თავისი პოლიტიკის აპორიების (აპორია – ანტიკურ ფილოსოფიაში – დაუძლეველი ლოგიკური წინააღმდეგობა რაიმე პრობლემის გადაჭრისას) პირისპირ. ქვეყანა აგრძელებს კონსტიტუციის გადასინჯვის მუდმივ პროცესში არსებობას. სოციალისტმა ლიდერმა გ. პაპანდრეუმ თავისი პარტია ამ პროცესში ჩართო და ორი პარტია თითქოსდა ორმხრივად შეთანხმდა ძირითადი კანონის მოდიფიცირებაზე დეპუტატთა პალატაში სამთავრობო უმრავლესობის ყოველი ცვლილების დროს.

თუმცა, კონსტიტუციის პოლიტიკური მნიშვნელობის მოულოდნელმა გამძაფრებამ დაამსხვრია ერთსულოვნება საბერძნეთის პოლიტიკური სისტემის პარტნიორ-მტრებს შორის. კონსტიტუციის მე-16 მუხლის გადასინჯვის წინადადებამ, რომლის თანახმად, საუნივერსიტეტო სწავლება მხოლოდ სახელმწიფო დაწესებულებებში უნდა განხორციელებულიყო, ბერძნული საზოგადოება აპათიიდან გამოიყვანა. საუნივერსიტეტო სწავლების კონსტიტუციური სტატუსი საჯარო სფეროს ფუნქციონირების გარანტიად განიხილებოდა და 2006 წლის მარტიდან ამ მიმართულებით უნივერსიტეტებში აქტიური მოძრაობა დაიწყო. ამ რეაქციების პირისპირ, სოციალისტმა ლიდერმა შეცვალა თავისი კონსესუალური თვისებები და გადასინჯვის პროცედურიდან PASOK-ის (სრულიად საბერძნეთის სოციალისტური მოძრაობა) ჩამოშორება გადაწყვიტა.[256] კონსტიტუციამ ნაწილობრივ აღადგინა თავისი ისტორიული მახასიათებლები, ისევე როგორც პოლიტიკური ცხოვრება: ორი დიდი პარტიის დაპირისპირება ძლიერი პოლარიზაციის კლიმატში მიმდინარეობს, ხოლო პოლიტიკური ასპარეზის ორი პროტაგონისტი, კ. კარამანლისი და გ. პაპანდრეუ როგორც ჩანს, თავიანთი ცნობილი წინაპრების როლებს იმეორებენ.

---

253 მათი დაცვა იურისპრუდენციით იყო უზრუნველყოფილი, რომელიც „კლასიკურ“ თავისუფლებებთან დაკავშირებულ საკონსტიტუციო დებულებებს იყენებდა.

254 საბერძნეთი ევროკავშირის ერთადერთი ქვეყანაა, რომელშიც ყველა კერძო რადიო და სატელევიზიო არხი 20 წელზე მეტია კანონმდებლობით გათვალისწინებული ოფიციალური ნებართვისა და შესაბამისი პირობების გარეშე ფუნქციონირებს.

255 საქმე ეხება პრეზიდენტ კ. კარამანლისის ძმისწულს, ამჟამინდელ პრემიერ-მინისტრსა და ND-ს თავჯდომარეს.

256 იგი თავის პარტიას შეახსენა, რომ ამ პროცედურას ხელახლა დაიწყებდა, როდესაც საპარლამენტო უმრავლესობა ეყოლებოდა. . .

დემოკრატიული პრინციპები

კონსტიტუცია ნორმების ბირთვს ადგენს, რომელთა დაცვა ძალაუფლების ყველა ფორმისგან სურდა, თავად დამფუძნებელი ხელისუფლებისგანაც კი, რადგან ის პოლიტიკური რეჟიმის სტრუქტურულ ელემენტებს შეიცავს; საქმე ეხება რეჟიმის დემოკრატიულ, რესპუბლიკურ თუ საპარლამენტო ხასიათს, ისევე როგორც მის სამართლებრივი სახელმწიფოს მახასიათებელს, რომელიც ძირითადად, თავისუფლებებისა და უფლებების გარანტიის საკონსტიტუციო სისტემითაა მატერიალიზებული.

საბერძნეთის მონაწილეობა ევროპის გაერთიანების პროცესში ამ პრინციპს კითხვის ქვეშ არ აყენებს: იძლევა რა იმ კომპეტენციების აღსრულების შესაძლებლობას, რომელთა დამოუკიდებლობა ევროპული თანამეგობრობის ორგანოების მიერაა უზრუნველყოფილი, 1975 წლის კონსტიტუცია პოლიტიკური ხელისუფლების განაწილებას ახორციელებს სხვადასხვა დონეზე. საბერძნეთის რესპუბლიკა თანხმდება საკუთარი სუვერენიტეტის შეზღუდვას თავის პარტნიორებთან ევროპული დემოსის დასაფუძნებლად, რომელიც ევროპული პოლიტიკის ყველა ინსტიტუტის ორგანიზაციის ისტორიულ მონაპოვარზეა დამყარებული.[257] 1975 წლის კონსტიტუციის შემდგენელმა ნაციონალურ ტერიტორიაზე თანამეგობრობის ძალაუფლების აღსრულების გათვალისწინებით შეცვალა რეჟიმის ფუნდამენტური პრინციპების გამოყენება და „საპირწონეები"[258] შექმნა საბერძნეთის რესპუბლიკის ევროპული განვითარების გასამიჯნად : ნაციონალურ და ევროპულ ინსტანციებს შორის განაწილებული ძალაუფლება იმ განაწესებს ექვემდებარება, რომლებიც რეჟიმის დემოკრატიული საფუძვლისა და ადამიანის უფლებებიდან მომდინარეობს.

საარჩევნო კორპუსის მთავარი კომპეტენცია ეროვნულ ასამბლეაში წარმომადგენლების არჩევაში მდგომარეობს: საკანონმდებლო არჩევნები ერთდროულად მთელ ტერიტორიაზე ტარდება და მათში მონაწილეობა ყველა ამომრჩევლისთვისაა სავალდებულო.

1974 წლიდან ხმის მიცემის ფორმა თავის ძირითად მახასიათებლებს ინარჩუნებს *„გაძლიერებული პროპორციული წარმომადგენლობის"* სახელწოდებით. ესაა ბერძნული გამოგონება, რომელსაც მნიშვნელოვანი მაჟორიტარული კორექტივები შემოაქვს სისტემის პროპორციული წარმომადგენლობის ლოგიკაში. „გაძლიერებული პროპორციული წარმომადგენლობის" სისტემა პარლამენტში დიდ პარტიებს არაპროპორციულად დიდი წარმომადგენლობით უზრუნველყოფს, რაც პარტიული სისტემის განვითარებისა და სტაბილიზაციის ძირითად ფაქტორს წარმოადგენდა. ამ სისტემის მაჟორიტარული ეფექტი პირველი არჩევნებიდანვე გამოიკვეთა დიქტატურის დამხობის შემდეგ[259] და მომდევნო საარჩევნო შეჯიბრებებში განმტკიცდა, რითაც ხელი შეუწყო ხელისუფლებაში მოსვლის უნარის მქონე მეორე პარტიის დამკვიდრებას. საკონსტიტუციო რეგლამენტაციასთან შეხამებით, რომელიც საპარლამენტო უმრავლესობას ინსტიტუტების მარეგულირებელ ფაქტორად აყალიბებს, ხმის მიცემის ფორმამ ძლიერი გავლენა იქონია საარჩევნო კორპუსის ქცევაზე: ამომრჩევლები „სასარგებლო" ხმის მისაცემად ორიდან ერთ დიდ პარტიას ირჩევენ, რომელიც ამგვარად, პოლიტიკური და საარჩევნო თამაშის მონოპოლიზებას ახდენს.[260]

კონსტიტუცია ითვალისწინებს *რეფერენდუმის* ჩატარების შესაძლებლობას: ამ საკითხთან დაკავშირებული 1985-1986 წლებში კონსტიტუციის გადასინჯვის დროს მიღებული რეგლამენტაცია იმ უნდობლობას გამოხატავს, რომელიც ისტორიულად პრევალირებს აღნიშნულ ინსტიტუტთან მიმართებაში და ის სახელმწიფოს მეთაურის ანტიმაჟორიტარულ იარაღადაა მიჩნეული. თუმცა, რეფერენდუმის პოლიტიკურ პროცესში სახალხო მონაწილეობის ტექნიკად ორგანიზების ნაცვლად,[261] 1986 წელს სარევიზიო პალატის უმრავლესობამ ის სამთავრობო პოლიტიკის გატარების საშუალებად გადააქცია. ამგვარად, ე. წ. „სამთავრობო" რეფერენდუმი პრეზიდენტის დეკრეტით იქნა გამოცხადებული მინისტრთა საბჭოს წინადადებისა და ეროვნული ასამბლეის დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. ეს რეფერენდუმი ეხება „სასიცოცხლო ნაციონალურ ინტერესებს" და კონსულტაციურ ხასიათს ატარებს. ე.წ. „საკანონმდებლო" რეფერენდუმის ჩატარება ხდება „მნიშვნელოვან სოციალურ საკითხებთან" დაკავშირებულ კანონპროექტზე, რომელსაც პარლამენტში ეყარა კენჭი; საარჩევნო კორპუსისთვის კანონპროექტის წარდგენა ეროვნული ასამბლეის უმრავლესობის 3/5-ით წყდება და პროცედურა პრეზიდენტის

---

257 *Cf.* P. Magnette, *Le régime politique de l'Union européenne*, Paris, Presses de Science Po, 2003, p. 245 ss.

258 ევროკავშირისთვის სუვერენიტეტის გადაცემის საპირწონეებთან დაკავშირებით იხ. J-M Ferry, *La question de l'État européen*, Gallimard, 2000, p. 123 ss.

259 1974 წელს ახალი დემოკრატიის პარტიამ (ND) მიცემული ხმების 54% მიიღო და 2/3 -ზე მეტი ადგილი მოიპოვა პარლამენტში.

260 პატარა პარტიები მხოლოდ მცირე გავლენას ახდენდნენ დიდი პარტიების პოლიტიკურ ორიენტაციაზე (PCG და მემარცხენეთა ალიანსი PASOK-ზე, ხოლო LAOS-ი, (პატარა უკიდურესი მემარჯვენე ულტრანაციონალისტური პარტია, ND-ზე).

261 სახალხო ინიციატივის ან აბროგაციის საკანონმდებლო რეფერენდუმის შემოღების წინადადება სოციალისტების მიერ იქნა უარყოფილი.

დეკრეტითაა ინიცირებული. 1975 წლიდან არც ერთი რეფერენდუმი არ ჩატარებულა, ამ უკანასკნელის ძირითად ფუნქციად პარლამენტის დაშლაა მიჩნეული.

ეროვნული ასამბლეა ხალხის პოლიტიკური წარმომადგენლობის ერთადერთ ორგანოს წარმოადგენს. 300 წევრისგან შემდგარი აღნიშნული ასამბლეა საკანონმდებლო ხელისუფლებას აღასრულებს და აღმასრულებელ ხელისუფლებაზე კონტროლს ანხორციელებს; დეპუტატთა პალატა რესპუბლიკის პრეზიდენტს ირჩევს და მარეგულირებელი კომუნიკაცია აქვს დამოუკიდებელ ხელისუფლების ორგანოებთან. ეროვნული ასამბლეის როლი დამოკიდებულია ორპარტიულობასა და პოლიტიკური ძალაუფლების კონცენტრაციაზე პრემიერ-მინისტრის ხელში: თავისი თავმჯდომარისადმი ერთგული უმრავლესობა, რომელმაც ის ხელისუფლებაში მოიყვანა, მისი სამთავრობო გუნდის ყველა ინიციატივას უერთდება და უპირობოდ უჭერს მხარს მინისტრების მიერ წარმოდგენილ კანონპროექტებს.[262] 1981 წლიდან დაწყებული ერთპარტიული უმრავლესობების „როტაცია" და პარტიული სისტემის პოლარიზაცია სამთავრობო გავლენაზე მიგვანიშნებს საკანონმდებლო საქმიანობასთან მიმართებაში: კანონებს კენჭი ეყრება *ექსკლუზიურად* მინისტრთა კაბინეტების მიერ მომზადებულ პროექტებზე. ეს პროექტები არასდროს განიხილება ოპოზიციასთან და მათში შესწორებების შეტანა მხოლოდ მთავრობის წევრების მიერ ხორციელდება.

ასევე, აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლი უფრო სიმბოლური ხასიათისაა მაჟორიტარული ფენომენისა და ორპარტიულობის გამო. შეკითხვებისა და ინტერპელაციების დიდი რაოდენობა მთავრობას ეგზავნება, მაგრამ ამ უკანასკნელთა ბედი მომხრეობის საფუძველთანაა დაკავშირებული; რაც შეეხება ნდობისა ან უნდობლობის გამოცხადების საკითხებთან დაკავშირებულ დისკუსიებს, ისინი ძირითადად მთავრობის დანიშვნის შემდეგ მიმდინარეობს.[263] სხვათა შორის, პროცედურა, რომელიც უკეთ ანხორციელებს პარლამენტის კონტროლის კომპეტენციას სამთავრობო პასუხისმგებლობის ფარულ ტრანსფორმაციაზე მიუთითებს; საქმე ეხება პარტიული ლიდერების პრემიერ-მინისტრთან დისკუსიის პროვოცირების შესაძლებლობას აქტუალურ პოლიტიკურ საკითხზე. ამგვარი დებატი დიდ საჯაროობას იძენს და მთავრობის მეთაური ეროვნულ ასამბლეას მიმართავს საზოგადოებრივი აზრისთვის ანგარიშის ჩასაბარებლად, რომელიც მისი პრივილეგირებული „მოსაუბრეა".

მთავრობა აღმასრულებელი ხელისუფლების აქტიური შტოა. კონსტიტუცია პრემიერ-მინისტრს მთავრობის წევრების არჩევისა და მათი უფლებამოსილებების შეწყვეტის უფლებას – და პასუხისმგებლობას – ანიჭებს, რამაც კოლეგიალური სისტემის მარგინალიზება მოახდინა.

საპარლამენტო პრინციპის ბერძნული ვერსია „აშკარა ნდობის" პრინციპია, რომელიც ინსტიტუტების საფუძველს წარმოადგენს. მართლაც, კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-2 პარაგრაფის თანახმად, რესპუბლიკის პრეზიდენტი ვალდებულია პრემიერ-მინისტრად დანიშნოს იმ პარტიის ლიდერი, რომელსაც ადგილების აბსოლუტური უმრავლესობა აქვს დეპუტატთა პალატაში. ამგვარად, *ჰომოგენური და დისციპლინირებული უმრავლესობის არსებობა ხელისუფლებაში მოსვლის ექსკლუზიური საწინდარია*, რომელიც პრეზიდენტის წინადადებით დანიშნულ პრემიერ-მინისტრსა და ამ უკანასკნელის მიერ დასახელებულ მინისტრებს სრულ უფლებამოსილებებს გადასცემს. ამავე დროს, მთავრობა დეპუტატთა პალატის წინაშე უნდა წარდგეს ნდობის საკითხის წამოსაყენებლად მისი დანიშვნიდან თხუთმეტი დღის ვადაში; ნდობის საკითხი მიღებულია, როდესაც ის ხმის მიმცემთა აბსოლუტური უმრავლესობითაა დამტკიცებული. ეს უმრავლესობა დეპუტატთა მთლიანი რაოდენობის 2/5-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. სამაგიეროდ, უნდობლობის ვოტუმის გამოცხადება დეპუტატთა მთლიანი რაოდენობის აბსოლუტურ უმრავლესობას მოითხოვს (კონსტიტუციის 84-ე მუხ. მე-6 § .) საქმე ეხება სამთავრობო სტაბილურობის უზრუნველმყოფელ რეგლამენტაციას, რომელიც შეიძლება საბერძნეთის პარლამენტარიზმის „რბილ" რაციონალიზაციად იქნეს განხილული. ამ უკანასკნელმა წარმატებით განსაზღვრა პოლიტიკური ევოლუცია და შესაძლებელი გახადა სახალხო ნების გამოხატვა.

1986 წლის კონსტიტუციამ დეტალურად მოახდინა იმ შემთხვევების რეგლამენტირება, როდესაც არც ერთ პარტიას არა ჰყავს აბსოლუტური უმრავლესობა დეპუტატთა პალატაში; სამთავრობო გამოსავლის ძიება ხორციელდება ე. წ. წინასწარი მანდატის მიკუთვნებით, რომელსაც რესპუბლიკის პრეზიდენტი პარტიების ლიდერებს ანიჭებს. მანდატის მფლობელი პრემიერ-მინისტრად არ სახელდება, იგი მხოლოდ ძალზე მკაფიოდ განსაზღვრული მისიის წარმომადგენელია, კერძოდ კი მან უნდა იტვირთოს სამთავრობო უმრავლესობის ჩამოყალიბების სრული ინიციატივა. რესპუბლიკის პრეზიდენტმა წინასწარი მანდატი რიგრიგობით უნდა გადასცეს სამი ყველზე დიდი პარტიის ლიდერებს.

---

262 *V. N. Alivizatos,* The difficulties of rationalization in a polarized political system : the Greek Chamber of Deputies, in *UI. Liebert – M. Cotta,* Parliament and democratic consolidation in Southern Europe : Greece,Italy, Portugal, Spain and Turkey, London, Pinter Publ., 1990, p. 131 ss (137).

263 აღსანიშნავია, რომ 1990 წლამდე დეპუტატთა პალატაში უნდობლობის გამოცხადებასთან დაკავშირებულ დისკუსიას მხოლოდ ერთხელ ჰქონდა ადგილი; უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში, კონტროლის ამ მექანიზმის გამოყენება გახშირდა და ორი დიდი პარტიის საკომუნიკაციო პოლიტიკაში იქნა ინტეგრირებული.

თითოეული მისიის ხანგრძლივობა სამ დღეს შეადგენს. თუკი ცხრა დღის ვადაში ეს მისიები უშედეგო აღმოჩნდება, სახელმწიფო მეთაური აღასრულებს შეზღუდულ, მაგრამ ჭეშმარიტად მარეგულირებელ კომპეტენციას. იგი იწვევს დეპუტატთა პალატაში წარმოდგენილი ყველა პარტიის თავმჯდომარეს იმგვარი მთავრობის ჩამოსაყალიბებლად, რომელიც პარლამენტის ნდობით სარგებლობს. ამ უკანასკნელი მცდელობის მარცხი ეროვნული ასამბლეის დაშლასა და საყოველთაო არჩევნების გამოცხადებას იწვევს ან „ეკუმენიკური" ან „მორიგე" მთავრობის ეგიდით. პროცედურის გამოყენებამ 1989-1990 წლების პერიოდში კონსტიტუციური რეგლამენტაციის მანკიერი შედეგები გამოააშკარავა. მართლაც, ათი თვის ვადაში ადგილი ჰქონდა სამ საარჩევნო შეჯიბრს და სამი მთავრობა ჩამოყალიბდა, მაგრამ არც ერთი მათგანი ჭეშმარიტად არ იყო მოწოდებული ქვეყნის სამართავად.[264] საარჩევნო ურნების არაერთგზის გამოყენებამ რეჟიმის ორპარტიული ლოგიკის აღდგენას შეუწყო ხელი და საარჩევნო კორპუსი *აიძულა* ND – იმ დროის პირველი პარტია – უმნიშვნელო საპარლამენტო უმრავლესობით უზრუნველყო. ამ პერიოდიდან, სისტემამ თავისი მაჟორიტარული ლოგიკა დაიბრუნა, რომელიც მის ინსტიტუციონალურ ხასიათს აყალიბებს.

რესპუბლიკის პრეზიდენტის პარლამენტის დაშლის ნომინალური ფუნქცია მის მიერ მხოლოდ სამინისტრო არასტაბილურობის ჰიპოთეზის პერსპექტივაში აღესრულება. ამ შემთხვევაში, სახელმწიფოს მეთაურს ვადამდელი არჩევნების ჩატარება მხოლოდ ორი მთავრობის გადადგომის ან შეცვლის შემდეგ შეუძლია. სხვა შემთხვევებში, სწორედ მთავრობაა – პრემიერ-მინისტრზე მეტად – პარლამენტის დაშლის ჭეშმარიტი ინიციატორი და გადაწყვეტილების მიმღები. ე. წ. „უმრავლესობის" დაშლა ცხადდება იმ მთავრობის წინადადებით, რომელიც დეპუტატთა პალატის ნდობით სარგებლობს ხალხის მანდატის განახლების მიზნით „განსაკუთრებული მნიშვნელობის ნაციონალური საკითხის გადასაჭრელად." პარლამენტის დაშლას არაერთგზის ჰქონდა ადგილი (1977 წ, 1985 წ, 1996 წ.) და მან სარეფერენდუმო ფუნქცია განავითარა, რომელიც ამ თვალსაზრისით, საბერძნეთის რეჟიმს ბრიტანულ სისტემასთან აახლოებს: დაშლის უფლება ექსკლუზიურად მთავრობისთვისაა მინდობილი და ეს უკანასკნელი მას პარტიული მომხრეობის მიზნებისთვის ახორციელებს. მართლაც, პარლამენტის დაშლის დროულობისა და ასევე პოლიტიკური საკითხების „მნიშვნელობის" განმსაზღვრელი მთავრობა ყველაზე ხელსაყრელ მომენტს ირჩევს საარჩევნო კორპუსის წინაშე წარმოსაჩენად და საკუთარი უმრავლესობის აღდგენას ცდილობს; ხალხს სამთავრობო პოლიტიკის მოწონებისკენ მოუწოდებენ, რომელმაც სამინისტრო გუნდის მიერ ჩამოყალიბებულ კითხვაზე უნდა გასცეს პასუხი და თავისი ნდობა დაამტკიცოს ან უარყოს მთავრობის მეთაურის მიმართ.

რაც შეეხება პარლამენტის „ავტომატურ" დაშლას, ის პრემიერ-მინისტრის გადადგომითაა გამოწვეული, როდესაც ეს უკანასკნელი აბსოლუტური უმრავლესობის მქონე პარტიის თავმჯდომარეა. აძლევს რა მთავრობას არჩევნების ჩატარების დროის შერჩევის სრულ თავისუფლებას, ის მყარ საყრდენს წარმოადგენს ცენტრიფუგული ტენდენციების წინააღმდეგ სამთავრობო პარტიის შიგნით და დაბრკოლებას პოლიტიკური და საარჩევნო პეიზაჟის შესაძლო რესტრუქტურაციებისთვის. ამავე დროს, პარლამენტის დაშლა სისტემის „დებლოკირების" მექანიზმის როლს ასრულებს იმ შემთხვევაში, თუკი სხვა ინსტიტუციონალური საშუალებები არ აადვილებს ინსტიტუტების განვითარებს.

ამგვარად, საბერძნეთის რეჟიმის ევოლუცია ცხადყოფს იმ ტენდენციების არსებობას, რომლებსაც საპარლამენტო რეჟიმების უმრავლესობაში აქვს ადგილი: პარლამენტისა და პარტიების საშუამავლო როლის დასუსტება, მთავრობის გაძლიერება, ხელისუფლების პერსონალიზაცია და ცენტრალიზაცია პრემიერ-მინისტრის ხელში.

რეჟიმის პირველი არჩევნებიდანვე პარტიების მნიშვნელობა ინსტიტუტების ფუნქციონირებაში ეჭვქვეშ არ დამდგარა. ორი ახალი პარტიის გამოჩენა – მემარჯვენე ND ("ახალი დემოკრატია") და ცენტრისტულ-მემარცხენე PASOK-ი ("სრულიად საბერძნეთის სოციალისტური მოძრაობა") – პარტიული ნიშნით მიმხრობის სტრუქტურების განახლებად განიხილებოდა, რაც დემოკრატიულ პროცედურებს მრავალი ათწლეულების მანძილზე აკლდა.[265] ქვეყნის ორი დიდი პარტია პოლიტიკურ ასპარეზზე *მასობრივ* პარტიებად წარმოჩნდა. მათ თავიანთი წინამორბედებისგან გამოჯვნა სურდათ, რომლებიც წარჩინებული მოქალაქეების პარტიებს წარმოადგენდნენ. ამ პარტიების მიერ მიღებული ორგანიზაციული მოდელი მიზნად ისახავდა წევრების აქტიურ მონაწილეობას შიდა პროცესში და პარტიის მიერ გადაწყვეტილების მიღებას.

თუმცა, ND-სა და PASOK-ის ორგანიზაცია ავტორიტარული და ძლიერ პერსონალიზებულია.[266] მიუხედავად ამ პარტიების ფუძემდებლების პოლიტიკიდან წასვლისა, რომელთაც აბსოლუტური გავლენა ჰქონდათ პარტიის კადრებზე და წევრებზე, თითოეული პარტიის ლიდერის ხელშია პარტიული ნიშნით მიმხრობის აბსოლუტური ძალაუფლება და თითოეული მათგანი საკუთარ პოლიტიკას ატარებს. პარტიული ნიშნით მიმხრობის

264 V. A. Pantelis, *Droit constitutionnel*, Grèce, R.E.D.P., 1990, p. 231 ss, *A. Manitakis*, art.cit.

265 *rousfeti*, კერძოდ, პოლიტიკური ძალაუფლების გამოყენებამ თითოეული დეპუტატის პოლიტიკური მომხრეების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ბოლო მოუღო დემოკრატიული და წარმომადგენლობითი პრინციპის ეფექტურობას. საარჩევნო კორპუსის არჩევანი კეთდებოდა კანდიდატების დაპირებებისა და ამ უკანასკნელთა მიერ თავიანთი ამომრჩევლების პირადი პრობლემების პრაქტიკული გადაჭრის სავარაუდო უნარის შესაბამისად.

266 Cf. M. Spourdalakis, „The study of political parties in Greece", *European Journal of Political Research*, vol. 25, 1994, p. 499 ss.

სტრუქტურები ორგანიზებული ფორმით ანვითარებენ *მომხრეობის პრაქტიკას*, რომელიც მონაწილეობისა და კონტროლის პროცედურებს ზღუდავს. მომხრეობის დემოკრატიულობის არარსებობას ხაზს უსვამს ის ოჯახური ხასიათი, რომელსაც იძენს ND-სა და PASOK-ის ელიტები: 1974 წლიდან, ორი გამონაკლისის გარდა,[267] სამი ოჯახი (კარამანლისი, პაპანდრეუ და მიცოტაკისი) ერთმანეთში პრემიერ-მინისტრის პოსტს ინაწილებს და სისხლით ნათესაობა დემოკრატიული ხელისუფლების აღსრულების უპირატესობად წარმოჩნდება.

კანონთა კონსტიტუციურობის კონტროლი

კანონთა კონსტიტუციურობის სამართლებრივი კონტროლი საბერძნეთში XIX საუკუნის დასასრულიდან იქნა შემოღებული. საბერძნეთის სისტემას აშშ-ს სისტემის ანალოგიური მახასიათებლები აქვს, კერძოდ, საქმე ეხება *ფართო ან დეცენტრალიზებულ, პრეცენდენტულ* და *ოფიციალურ კონტროლს*.[268] ამგვარად, ის სპეციალური იურისდიქციის არსებობაზე დამყარებული ევროპული სისტემისგან განსხვავდება, რომელსაც erga omnes-ის[269] მნიშვნელობის გადაწყვეტილებების გამოტანის უნარი შესწევს.

სამაგიეროდ, საბერძნეთის სასამართლოებს თავიანთი შესაბამისი კომპეტენციის აღსრულებისას აქვთ მხოლოდ კანონიერი დადგენილების არაკონსტიტუციურობის კონსტატირების, *გამოცხადების* უფლებამოსილება, რომელიც არაა გამოყენებული განსახილველ სარჩელში; აღნიშნული უფლებამოსილება ძალაში რჩება და შესაძლებელია სხვა საქმეში იქნეს გამოყენებული და სხვა მოსამართლის მიერ. *კონტროლი ხორციელდება ქვეყნის ყველა სასამართლოს, ინსტანციისა და იურისდიქციის მიერ*. კონტროლის ფართო ხასიათი იცვლება იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო საბჭომ, საკასაციო სასამართლომ ან საანგარიშო პალატამ წინააღმდეგობრივი გადაწყვეტილებები მიიღო დადგენილების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში, სპეციალურ უმაღლეს სასამართლოს მიმართავენ,[270] რომელმაც საკონსტიტუციო იურისპრუდენციის სარჩელებზე გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს და მათი თანმიმდევრულობა უზრუნველყოს.

იმავდროულად, კონტროლის კონკრეტული ხასიათი მოსამართლეების მმართველობის დამყარების წინააღმდეგ გარანტიას წარმოადგენს. მართლაც, როდესაც სასამართლო დადგენილების კონსტიტუციურობის შეფოწმებას ახორციელებს, ის ვალდებულია საკამათო კანონი განიხილოს *მოცემულ საქმეში მისი გამოყენების შესაბამისად* და *საკუთარი გადაწყვეტილება ზედმიწევნით* დაასაბუთოს. ამგვარად, მოსამართლე უზრუნველყოფს მოსარჩელეს თავისუფლებისა და უფლებების დაცვას კანონმდებლის მიერ გაკეთებული არჩევანის კითხვის ქვეშ დაყენების გარეშე, რომელიც დემოკრატიული ლეგიტიმურობით სარგებლობს. ბერძენი მოსამართლე კანონის არაკონსტიტუციურობის გამოცხადებისას არ ანიჭებს ინსტიტუციონალურ პრიორიტეტს უფლებებსა და თავისუფლებებს და რეჟიმის ლიბერალურ ხასიათს რეჟიმის დემოკრატიულ ხასიათზე წინ არ აყენებს; სამაგიეროდ, იგი იცავს კონსტიტუციას, როგორც სუვერენიტეტის უზენაეს საწყისს.

კანონთა კონსტიტუციურობის კონტროლმა საგულისხმო განვითარება განიცადა დიქტატურის დამხობის შემდეგ. სასამართლო პრაქტიკის განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა სახელმწიფო საბჭომ და ადმინისტრაციულმა იურისდიქციამ, რომელმაც მნიშვნელობა შესძინა კონსტიტუციურ სისტემას. ამგვარად, ხელისუფლების უკანონო გადაწყვეტილებების შეზღუდვის ტექნიკა მაჟორიტარული პარლამენტარიზმის ნაკლოვანებებს აბალანსებს და საბერძნეთის დემოკრატიული რეჟიმის *პლურალიზმის* მხარდამჭერად წარმოჩნდება. თუმცა, საკონსტიტუციო იურისპრუდენციის განვითარებას თავისი საზღვრები აქვს. არეოპაგი ე. ი. საკასაციო სასამართლო, არ უერთდება ადმინისტრაციული იურისდიქციის ძალისხმევას. ის მხოლოდ ძალზე შეზღუდულ კონტროლს ანხორციელებს და თავს იკავებს არაკონსტიტუციურობის გამოცხადებისგან იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც კანონის შინაარსი კონსტიტუციას აშკარად ეწინააღმდეგება. ამგვარად, სტრასბურგის სასამართლოში საბერძნეთიდან ძალზე ბევრი საქმეა გაგზავნილი, რის გამოც ქვეყანა საკუთარი კონ-

---

267 გ. რალისის ოჯახმა (1980-1981 წწ.) კ. კარამანლისის ოჯახი შეანაცვლა, შემდეგ, კ. სიმიტისმა (1996-2004 წწ.) თანამდებობიდან წასვლისას ძალაუფლება პარტიული ნიშნით მიმხრობის საფუძველზე გ. პაპანდრეუს გადასცა. 1989-1990 წლების მთავრობებს არ ჰქონიათ პოლიტიკური ხასიათი და ისინი წესიდან გამონაკლისს არ წარმოადგენდნენ.

268 V. A. Manitakis, „Fondement et légitimité du contrôle juridictionnel des lois en Grèce", *R.I.D.C.*1988, n°1, p. 39 ss. *K. Mavrias, op. cit.*, p. 106 ss.

269 გამოიყენება სამართლის სხვადასხვა სფეროში (უმეტესად საერთაშორისო სამართალში) და ნიშნავს ყველას მიმართ ვალდებულების ქონას. უმეტესწილად, სამართლით დაკისრებული ვალდებულების დარღვევისთვის პირი პასუხს აგებს იმ პირის მიმართ ვისაც ზიანი მიაყენა. Erga omnes-ის შემთხვევაში, ვალდებულებების დარღვევისთვის ნებისმიერ პირს შეუძლია მოითხოვოს დამრღვევის პასუხისმგებლობა. ამ ტიპის ვალდებულებების იდეა იმაში მდგომარეობს, რომ მათი დარღვევით ზიანი ადგება არათუ რომელიმე კონკრეტულ პირს არამედ მთელ საზოგადოებას.

270 სასამართლო კონტროლის მექანიზმად სპეციალური უმაღლესი სასამართლო განიხილება. თუმცა ამ სასამართლოსთვის გადაცემული საქმეებისადმი ინტერესის ნაკლებობა და ამ უკანასკნელთა მცირე რაოდენობა ზღუდავს მისი იურისპრუდენციის გავლენას.

სტატუციის დაუცველობაშია დადანაშაულებული. დაბოლოს, ახლახან კონსტიტუციის გადასინჯვის პროცედურის ჩატარებისას, ორი დიდი პარტია სისტემის მოდიფიკაციისა და საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნის წინადადებით გამოვიდა. საქმე ეხება წინადადებას, რომელიც სათანადოთ ვერ აფასებს, როგორც ისტორიას, ისე კონსტიტუციურობის კონტროლის თანამედროვე წვლილს საბერძნეთის რეჟიმის ფუნქციონირებაში: საკონსტიტუციო საკითხებზე დიალოგის სივრცის ჩამოყალიბებითა და სოციალური კორპუსის ყველა წევრისთვის მასში მონაწილეობის შესაძლებლობის მიცემით, სასამართლო კონტროლს „საპირონეები" შემოაქვს მაჟორიტარული პარლამენტარიზმის არასასურველი შედეგების წინააღმდეგ. კონსტიტუციის თანამედროვე ფუნქციის გაანალიზება იმ პირობებზე მსჯელობას ნიშნავს, რამაც საბერძნეთის III რესპუბლიკის განვითარება უნდა გახადოს შესაძლებელი წინაღმდეგობებში, რომლებსაც მისი ინსტიტუტები ქვეყნის დემოკრატიული ტრადიციის უწყვეტობაში განიცდიან.

თავი XXI

საფრანგეთი

ფრანსუა ბასტიანი

1958 წლის 28 სექტემბრის რეფერენდუმზე დიდი უმრავლესობით მოწონებული (მიცემული ხმების 82,6%) საფრანგეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია 4 ოქტომბერს იქნა მიღებული, რამაც „V რესპუბლიკის" დაფუძნებას ჩაუყარა საფუძველი. ეს კონსტიტუცია ძალზე ძველი რეფორმატორული ამბიციების დასრულებას წარმოადგენს, რომელიც აღმასრულებელი ხელისუფლების გაძლიერებას ითვალისწინებს პარლამენტის პირისპირ მისგან ჭეშმარიტად მმართველი ძალაუფლების შესაქმნელად. 1946 წლის კონსტიტუციას უკვე ჰქონდა „პარლამენტარიზმის რაციონალიზაციის" მცდელობები კერძოდ, მთავრობის მეთაურისთვის გაძლიერებული უფლებამოსილებების გადაცემით, მაგრამ პარტიული სისტემისთვის დამახასიათებელი საპარლამენტო უდისციპლინობის გამო IV რესპუბლიკას ქრონიკული სამთავრობო არასტაბილურობა ახასიათებდა.

1958 წლის საკონსტიტუციო რეფორმის მასშტაბი და ფორმა – პარლამენტი ჩამოშორებულია დამფუძნებელ პროცესს, მაშინ როდესაც გენერალი დე გოლი ფართო უფლებამოსილებებით სარგებლობს მთავრობის სათავეში, რომელშიც ყველა მთავარი პარტიაა წარმოდგენილი, კომუნისტების გარდა – პირველ ყოვლისა, ალჟირის კრიზისის შედეგი იყო.[271] 1958 წლის 13 მაისს ალჟირში მანიფესტაცია ამბოხებაში გადაიზარდა ადგილზე „საზოგადოებრივი გადარჩენის კომიტეტის" შექმნით სამხედრო კონტროლქვეშ; 24 მაისს პარაშუტისტების პოლკი ხელში იგდებს სამოქალაქო ხელისუფლებას კორსიკაზე. მზადდება სამხედრო სახელმწიფო გადატრიალება, რომელიც 29 მაისს უქმდება გენერალ დე გოლის მთავრობის სათავეში მოხმობისთანავე. ამგვარად, ახალი კონსტიტუცია განსაკუთრებულ კლიმატში იქნა შემუშავებული, შემდეგ კი ამოქმედებული. მთავარი პარტიების თავმჯდომარეები იძულებულნი არიან გენერალ დე გოლს მანევრირების მნიშვნელოვანი თავისუფლება მისცენ ალჟირის ომის დასრულების მოლოდინში.[272] არჩეული იქნა რა რესპუბლიკის პრეზიდენტად 1958 წლის დეკემბერში მისი მოწინააღმდეგეების სრული მარცხის შემდეგ ნოემბრის საკანონმდებლო არჩევნებში, გენერალმა დე გოლმა ახალი რეჟიმის პირველი თვეებიდანვე სიღრმისეულად შეცვალა V რესპუბლიკის ინსტიტუტები და საკუთარ ხელში იმდენად დიდი ძალაუფლების კონცენტრაცია მოახდინა, როგორიც არც ერთ სახელმწიფო მეთაურს არ ჰქონია საფრანგეთში დემოკრატიული რეჟიმის არსებობის დროიდან. ამგვარად, იგი მაშინვე წარმოჩნდა ყოველისშემძლე პრეზიდენტის ფიგურად, აღმასრულებელი ხელისუფლების ჭეშმარიტ მეთაურად.

იმავდროულად, რეჟიმის ცვლილება ხელსაყრელი მომენტია საჯარო ქმედებისა და შესაბამისი უფლებამოსილებების ლეგიტიმაციის ფორმების ტრანსფორმაციისთვის პოლიტიკური ხელისუფლების აღსრულებისთვის. ძლიერი საპრეზიდენტო ძალაუფლების უკან „ტექნოკრატების" ახალი ელიტა იკვეთება, რომელიც ახალი პოლიტიკური სიტუაციით სარგებლობს სახელმწიფოს მართვისა და საჯარო პოლიტიკის წარმართვის საკუთარი კონცეფციების თავს მოსახვევად და თანადათანობით, პოლიტიკური ხელისუფლების მთავარი პოზიციების ხელში ჩასაგდებად. მიუხედავად იმისა, რომ რეჟიმის ცვლილება ტექნოკრატიულ შეთქმულებად არ უნდა განიხილებოდეს და V რესპუბლიკა მხოლოდ აგრძელებდა ბევრად ადრე დაწყებულ ევოლუციას, ესაა ერთგვარად, „სიმბოლური სახელმწიფო გადატრიალება", რომელსაც 1958 წლის კრიზისმა ახალი პოლიტიკური სივრცე გაუხსნა.[273] პოლიტიკური ელიტების აღნიშნული მოდერნიზაცია ორმაგი პროცესის ფორმას იძენს, რომელმაც სიღრმისეული კვალი დატოვა პოლიტიკურ ცხოვრებასა და სახელმწიფოს ფუნქციონირებაზე. ერთი მხრივ, ესაა უმაღლესი სახელმწიფო ადმინისტრაციის კავშირი პოლიტიკურ გადაწყვეტილებასთან და ფუნქციონერებისა და პოლიტიკოსების „ფუნქციონალური" შერწყმა ცენტრალური ადმინისტრაციისა და სახელმწიფოს უმაღლეს დონეზე. მეორე მხრივ, მიუხედავად უფრო დაგვიანებული პარალელური მოძრაობისა, ადგილი აქვს საზღვრის „წაშლას" უმაღლეს სახელმწიფო ადმინისტრაციასა და პოლიტიკურ კლასს შორის, სხვაგვარად რომ ვთქვათ, პოლიტიკური ცხოვრების „ფუნქციონარიზაციას". მართლაც, 1960-იანი წლების დასასრულს აღინიშნება მაღალი რანგის ფუნქციონერების ძლიერი ინვესტირება პოლიტიკურ სფეროში, რასაც თან ახლავს მათთვის სამინისტრო პორტფელების, ადგილობრივი და ნაციონალური საარჩევნო მანდატებისა და პოლიტიკური პარტიების თავმჯდომარეების თანამდებობების მისაწვდომობის გაზრდა.[274]

---

271 ისტორიული განზოგადოებისთვის იხ. Benjamin Stora, *Histoire de la guerre d'Algérie 1954-1962*, Paris, La Découverte, 4e éd. 2004.

272 ომი მხოლოდ 1962 წელს დასრულდა ევიანის შეთანხმებებზე ხელმოწერითა და ალჟირისთვის დამოუკიდებლობის მინიჭებით.

273 Delphine Dulong, *Moderniser la politique, Aux origines de la Ve République*, Paris, L'Harmattan, 1998; Brigitte Gaïti, *De Gaulle, prophète de la Ve République*, Paris, Presses de Sciences Po, 1998.

274 პოლიტიკური პოზიციების იერარქიაში უფრო მაღალ საფეხურზე ასვლა ზრდის ადმინისტრაციის წევრების შესაბამის

1958 წლის 4 ივლისის კონსტიტუციით დამყარებული პოლიტიკური რეჟიმი ერთი შეხედვით, *საპარლამენტო* რეჟიმია, რომელსაც საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებების „მოქნილი დაყოფა" ახასიათებს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ორის თანამშრომლობის აუცილებლობა საჯარო პოლიტიკის შემუშავებაში და სანქციის გატარების უნარი ერთისა მეორეზე, სამთავრობო პასუხისმგებლობა ეროვნული ასამბლეის წინაშე (რასაც შეიძლება მთავრობისთვის „უნდობლობის" გამოცხადება და ამგვარად, მისი გადაყენება მოჰყვეს) და ამ ასამბლეის დაშლის უფლება აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ (ამ შემთხვევაში, რესპუბლიკის პრეზიდენტი). აღსანიშნავია, რომ თანამედროვე საპარლამენტო რეჟიმების მსგავსად, მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის შემთხვევა უფრო რადიკალური ხასიათისაა, V რესპუბლიკა მნიშვნელოვნად აძლიერებს „აღმასრულებელი ხელისუფლების" გავლენას პარლამენტზე,[275] პრემიერ-მინისტრისა მთავრობაზე და შესაბამისად, ზღუდავს პარლამენტის მხრიდან მთავრობის პოლიტიკური პასუხისმგებლობის დაყენების შესაძლებლობებს.

თუმცა, კონსტიტუციონალისტები თავს იკავებენ V რესპუბლიკის საპარლამენტო რეჟიმად განხილვისგან. ისინი მას უპირატესად „საპრეზიდენტო" ან „ნახევრად საპრეზიდენტო" რეჟიმად განიხილავენ – და ამით რეჟიმის ტიპზე მეტად პრაქტიკაზე მიუთითებენ.[276] თანამედროვე საპარლამენტო რეჟიმების თვალსაზრისით, საფრანგეთის სიტუაცია ნამდვილად სპეციფიკურია. მთავრობის „კონსტიტუციური" მეთაური პრემიერ-მინისტრი, უმრავლეს შემთხვევაში, არაა რეალური „პოლიტიკური" მეთაური. სამაგიეროდ, რესპუბლიკის პრეზიდენტი, რომელსაც მნიშვნელოვანი უფლებამოსილებები[277] აქვს – რომლებიც არაა მმართველის *კონკრეტული* კომპეტენციები – განსაზღვრავს და დიდწილად წარმართავს მთავრობის პოლიტიკას, როგორც შიდა, ისე საგარეო ასპექტში.

რესპუბლიკის პრეზიდენტის ეს განსაკუთრებული ადგილი მმართველობის პოლიტიკურ-ინსტიტუციონალურ მოწყობაში ზოგადად, მისი დანიშვნის ფორმას უკავშირდება. მართლაც, აღმასრულებელი ხელისუფლების „კლასიკური" ლეგიტიმაციის სისტემაში, რომელიც საკანონმდებლო არჩევნებზეა დამოკიდებული, 1962 წლის საკონსტიტუციო რეფორმამ სხვა პარალელური სისტემა შემოგვთავაზა: პრეზიდენტის საყოველთაო პირდაპირი არჩევნებით არჩევა. სწორედ პრეზიდენტის არჩევის ფორმა გაერთიანებული მის კომპეტენციებთან – თავდაპირველად მოიაზრებოდა, როგორც არბიტრაჟის უფლებამოსილებები პარლამენტსა და მთავრობას შორის, – მრავალი მიმომხილველის აზრით, მთლიანად ცვლის V რესპუბლიკის თავდაპირველ ფორმას და რესპუბლიკის პრეზიდენტისგან უპირატეს აქტორს ქმნის პოლიტიკურ შეჯიბრში, რომელიც პირდაპირ ერევა სამთავრობო პოლიტიკის განსაზღვრასა და ამოქმედებაში.

აღნიშნული განმარტება არაა სავსებით დამაჯერებელი. არც რესპუბლიკის პრეზიდენტის პირადპირი საყოველთაო არჩევნებით არჩევა და არც მისი კონსტიტუციური კომპეტენციები ვერ განმარტავს პრეზიდენტის ფუნქციის მატარებლის მიერ დაკავებულ ადგილს საფრანგეთის პოლიტიკურ სისტემაში. ერთი მხრივ, ეს ხდება იმ მიზეზის გამო, რომ ამგვარმა არჩევამ – პირველი შემთხვევა 1965 წლით თარიღდება -, გარკვეულწილად პრაქტიკის დამკვიდრება მოახდინა (და არა მისი შექმნა) და იმიტომ, რომ „დაფუძნების" პერიოდის მიღმა, სწორედ ძირითადი მემარცხენე ძალების ეტაპობრივმა გაერთიანებამ საპრეზიდენტო არჩევნებთან, შესაძლებელი გახადა პრეზიდენტის უპირატესი როლის განსაზღვრა.[278] მეორე მხრივ, პრეზიდენტის სიძლიერე ძირითადად, პოლიტიკური შეჯიბრის სტრუქტურულ ტრანსფორმაციასთანაა დაკავშირებული – 1960-იანი წლების, განსაკუთრებით კი 1970-იანი წლების განმავლობაში -, რამაც გაზარდა ამომრჩეველთა დამოკიდებულება პარტიებისადმი და, ამით პარტიული ნიშნით მიმხრობის დისციპლინა გააძლიერა. აღნიშნული პარლამენტში სტაბილური უმრავლესობის შექმნის მთავარი პირობაა, რომელსაც რესპუბლიკის პრეზიდენტს შეუძლია დაეყრდნოს.[279]

გავლენას: სამუალოდ, დეპუტატების ერთ მესამედზე მეტი (50% 1981 წლის საკანონმდებლო არჩევნებში) და მინისტრების ნახევარზე მეტი (70% ჟოსპენის 1997-2002 წლების მთავრობაში) სახელმწიფო ადმინისტრაციიდანაა გამოსული. აღნიშნულს ემატება ის ფაქტი, რომ 1959-2006 წლებში მოქმედი 17 პრემიერ-მინისტრიდან 11 სახელმწიფოს უმაღლესი კორპუსიდანაა გამოსული, სამი მათგანი კი პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა. პროფესიით ადვოკატი ფრანსუა მიტერანი იყო რესპუბლიკის ერთადერთი პრეზიდენტი, რომელიც არ მიეკუთვნებოდა სახელმწიფო ადმინისტრაციის რიგებს.

275 გარდა ამისა, მთავრობის წევრის ფუნქციები შეუთავსებელია საპარლამენტო მანდატის აღსრულებასთან.

276 *Cf.* Philippe Lauvaux, *Destins du présidentialisme*, Paris, PUF, 2002.

277 კერძოდ, მინისტრთა საბჭოს თავჯდომარეობა (ფაქტობრივად, საკანონმდებლო ხელისუფლებაში მონაწილეობა და მთავრობის დანიშვნა), პრემიერ-მინისტრის დანიშვნის დისკრეციული უფლება (და პრაქტიკაში მისი თანამდებობიდან გადაყენება, რაც ასევე დისკრეციული ხასიათისაა), რეფერენდუმის გზით ხალხისთვის განსახილველად ზოგიერთი კანონის წარდგენის უფლება, ეროვნული ასამბლეის დაშლის უფლება. *Cf.* Marie-Anne Cohendet, *Le Président de la République*, Paris, Dalloz, 2002.

278 Olivier Duhamel, *La gauche et la Ve République*, Paris, PUF, 1980.

279 Daniel Gaxie, „Les fondements de l'autorité présidentielle", *in* Bernard Lacroix, Jacques Lagroy, dir., *Le Président de la République*, Paris, Presses de Sciences Po, 1992.

პოლიტიკურ სისტემაზე პრეზიდენტის გავლენის გასაგებად, აუცილებელია ინსტიტუციონალური ცვლადების მნიშვნელობის შემცირება – კერძოდ კი, პირდაპირი საყოველთაო არჩევნებით რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევის მასტრუქტურირებელი ეფექტისა. ამგვარად, პრეზიდენტი *ფაქტობრივი* მმართველია – უზენაესი მმართველი, ე. ი. იგი თავად და საკუთარი ნების თანახმად, განსაზღვრავს მისი ჩარევის სფეროს, ყოველგვარი, ან თითქმის ყოველგვარი კონსტიტუციური შეზღუდვის მიღმა – და მისი არჩევა ამ პოზიციის დადასტურებადაა მოაზრებული, რაც პრეზიდენტის ლეგიტიმურობას უზრუნველყოფს. აღნიშნული საგრძნობლად ართულებს V რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების გაანალიზებას.

იმის მიღმა, რომ უმეტესწილად, საკონსტიტუციო დებულებები აღარ უნდა იკითხებოდეს სიტყვასიტყვით – რადგან არც მთავრობა „განსაზღვრავს [. .] ერის პოლიტიკას" (მე-20 მუხ.) და არც პრემიერ-მინისტრი (ან მხოლოდ გაშუალებულად), რომელიც მის „ქმედებას ხელმძღვანელობს" (21-ე მუხ.) -, საქმე ეხება პარლამენტსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის ურთიერთობის საფუძველს და სწორედ ეს უკანასკნელია დაზარალებული: მთავრობა ეროვნული ასამბლეის წინაშეა პასუხისმგებელი, მაგრამ იმ პოლიტიკაზე, რომელსაც ის არ წყვეტს და რომელზე პასუხისმგებელიც (ტერმინის ფართო გაგებით) მისდამი „უპასუხისმგებლოა" (კონსტიტუციური სამართლის მნიშვნელობით). სიტუაცია პრობლემატურია დემოკრატიული კუთხით, რადგან ძალაუფლება, ლეგიტიმურობა და პასუხისმგებლობა ერთმანეთისგანაა გამიჯნული. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს სიტუაცია (რომელიც ჩვენ ამ შემთხვევაში გვაინტერესებს) თითქმის არ იკითხება კონსტიტუციური სამართლის ტრადიციული ხერხებით უფრო ზუსტად კი, არ შეიძლება მთლიანად იქნეს განმარტებული მისი კატეგორიებით. V რესპუბლიკა „ორმაგად წარმომადგენლობითი"[280] საპარლამენტო რეჟიმია – რომელსაც ლეგიტიმურობის ორმაგი სისტემისა და პირდაპირ საყოველთაო არჩევნებზე დაფუძნებული აღმასრულებელი ხელისუფლების გადაცემა ახსიათებს –, მაგრამ მისი ფუნქციონირება არ უნდა იქნეს დაყვანილი მხოლოდ ამ მახასიათებლამდე. პრეზიდენტის უპირატესობის შედეგია მთავრობისა და პარლამენტის *გამიჯვნა*, V რესპუბლიკას არასდროს შეუძლია ფუნქციონირება, როგორც საპარლამენტო რეჟიმს – ყოველ შემთხვევაში, რამდენადაც რესპუბლიკის პრეზიდენტი პარლამენტარებისა და ეროვნული ასამბლეის უმრავლესობის მხარდაჭერითაა უზრუნველყოფილი.

ეს ბოლო დაზუსტება ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან დამატებითი სირთულე მდგომარეობს იმ ფაქტში, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების *სრული* გადაცემა რომელიმე ბანაკისთვის (ყველაზე ხშირად, მაგრამ არა ყოველთვის, პარტიების კოალიციისთვის) *ორი არჩევნების შედეგებზეა დამოკიდებული* – საკანონმდებლო და საპრეზიდენტო არჩევნები -, რომელიც იმავე საარჩევნო კორპუსის მობილიზებას ახდენს, რამაც ძალზე რთულ პოლიტიკურ სიტუაციამდე შეიძლება მიგვიყვანოს, რადგან ამ არჩევნებმა შეიძლება განსხვავებული შედეგები მოგვცეს ლეგიტიმურობასთან (ორი არჩევნებიდან რომელმა უნდა გაიმაჯვოს, კერძოდ პრემიერ-მინისტრის დანიშვნასთან მიმართებაში?) და კომპეტენციებთან დაკავშირებული კონფლიქტებით (როგორ უნდა მოხდეს აღმასრულებელი ხელისუფლების ორი მეთაურის ჩარევის სფეროების რეკონფიგურაცია?). სწორედ ამას ეწოდება „თანაარსებობა," სხვაგვარად რომ ვთქვათ, პოლიტიკური პროგრამის საფუძველზე პირდაპირი საყოველთაო არჩევნებით არჩეული რესპუბლიკის პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრს შორის თანაარსებობა, რომელიც საპირისპირო პოლიტიკის მხარდასაჭერად არჩეულ საპარლამენტო უმრავლესობას ეყრდნობა.

„თანაარსებობის" გამოცდილებამ – პირველ შემთხვევას 1986 წლის საკანონმდებლო არჩევნების დროს ჰქონდა ადგილი, როდესაც მემარცხენე პრეზიდენტი მემარჯვენე საპარლამენტო უმრავლესობას უნდა დაპირისპირებოდა – მისაღები გახადა კონსტიტუციის „ორმაგი წაკითხვის" ძველი თეზისი: ერთი მხრივ, გოლისტური ინსტიტუტების პრაქტიკით აღბეჭდილი საპრეზიდენტო წაკითხვა; მეორე მხრივ, თანაარსებობის პრაქტიკიდან „მომდინარე" საპარლამენტო წაკითხვა. ამგვარად, „თანაარსებობა" კონსტიტუციის საწყის მდგომარეობაში დაბრუნების შესაძლებლობას იძლეოდა იქამადე, ვიდრე ის „დამახინჯებული" არ იქნება გენერალ დე გოლისა და მისი მემკვიდრეების პრაქტიკით. საუბედუროდ, საქმის ვითარება არაა მარტივი. თუმცა, „თანაარსებობა" თავისუფლად იკითხება პარლამენტარიზმის ფარგლებში ყოველ შემთხვევაში იმ მნიშვნელობით, რომ პრემიერ-მინისტრი პირდაპირ განასახიერებს საკანონმდებლო არჩევნებში გამარჯვებულ პარტიას ან პარტიული ნიშნით შექმნილ კოალიციას და არა რესპუბლიკის პრეზიდენტის „დისკრეციულ" არჩევანს. ამ რანგში, იგი ატარებს პოლიტიკას, რომელსაც მთავრობასთან ერთად თავისუფლად განსაზღვრავს *თავის* საპარლამენტო უმრავლესობასთან შეთანხმებით. იმავდროულად, ეს მახასიათებლები არ შლის პრეზიდენტის როლს, როგორადაც ის V რესპუბლიკის პირველ ათწლეულებში იქნა ჩამოყალიბებული. თუკი თანაარსებობის სიტუაციაში მყოფი რესპუბლიკის პრეზიდენტი ტრიბუნის როლითაა შეზღუდული და ფაქტობივად, კარგავს თავის პირდაპირ გავლენას მთავრობის ყოველდღიურ ფუნქციონირებაზე,[281] რეჟიმის პრეზიდენტისეული „წაკითხვის" მნიშვნელობა საგუ-

---

280 მარი-ან კოენდეტის აზრით, „რეჟიმების კლასიფიკაცია შესაბამისი ინსტრუმენტია საკონსტიტუციო სამართლის ინსტრუმენტალურ კონცეფციაში," *Mélanges Troper*, Paris, Economica, 2006.

281 რაც არ ნიშნავს, რომ იგი სრულიად კარგავს გავლენას. აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. Jean Massot, *Alternance et cohabitation sous la Ve République*, Paris, La Documentation française, 1997.

ლისხმო რჩება. „თანაარსებობის" სიტუაციაში მყოფი რესპუბლიკის პრეზიდენტი არ შეიძლება იყოს 1958 წლის ზაფხულის იდეალური „არბიტრი", რომელიც მას შემდეგ არც არასდროს ყოფილა. ამ დროიდან, იგი პოლიტიკური ბანაკის მეთაურია – დროებით დამარცხებული -,რომელსაც ყველაზე მაღალი პოზიცია უკავია პოლიტიკური თანამდებობების სიმბოლურ იერარქიაში – თანაარსებობის მდგომარეობაში მყოფი პრემიერ-მინისტრი ძნელად მალავს ამ პოზიციისაკენ სწრაფვის სურვილს. პრეზიდენტის განკარგულებაშია საკონსტიტუციო პრეროგატივები, რომლებიც პოტენციურ იარაღს წარმოადგენს (მინისტრთა საბჭოს თავჯდომარეობიდან დაშლის მექნიზმის გამოყენების მუქარამდე). ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს წლების მანძილზე წარმოჩენილი სუვერენი პრეზიდენტის იმიჯი, რომელიც საფანგეთის უმაღლესი წარმომადგენელია საერთაშორისო ასპარეზზე ან ბირთვულ მუქარასთან დაკავშირებული ბოლო გადაწყვეტილების მიმღები.[282]

„თანაარსებობის" სამ გამოცდილებას (1986-1988 წწ., 1993-1995 წწ. და 1997-2002 წწ.) ერთმანეთთან აკავშირებდა ის ფაქტი, რომ მას სიღრმისეულად არ შეუცვლია პრეზიდენტის როლის დეფინიცია. ეს თანაარსებობა „ფრჩხილებს" ჰგავდა, რომლიდანაც გამოსვლა იყო საჭირო და სწორედ ამ მიზეზთა გამო პრეზიდენტის არჩევა პარტიული ნიშნით მიმხრობის სტრატეგიების ჰორიზონტის ხაზად დარჩა.

რა ადგილი უკავია პრემიერ-მინისტრს მთავრობის ორგანიზებაში „თანაარსებობის" პერიოდის მიღმა? როგორც მთავრობის ყოფილი გენერალური მდივანი წერს „ის რაც პრემიერ-მინისტრმა რესპუბლიკის პრეზიდენტთან მიმართებაში დაკარგა, მან ის გადამეტებით მიიღო მინისტრებთან მიმართებაში."[283] ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ბოლო არბიტრი ბიუჯეტის შემუშავებაში, ნორმატიული უფლებამოსილების ერთადერთი განმკარგავი, რომელიც მთავრობას უბრუნდება (კანონების ინიციატივა და ამოქმედება, დამოუკიდებელი მარეგლამენტირებელი ძალაუფლება), როგორც რესპუბლიკის პრეზიდენტის, ისე პარლამენტის მთავარი პარტნიორი (მხოლოდ მას შეუძლია მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხის დასმა ეროვნული ასამბლეის წინაშე და ჩვეულებისამებრ, მას ხელთ აქვს საკანონმდებლო პროცედურის კონტროლის ინსტრუმენტები), პრემიერ-მინისტრი სამთავრობო საქმიანობის ცენტრში იმყოფება. გი კარკასონი კითხვაზე „რას აკეთებს მატინიონი?" ლაკონურად, მაგრამ ძალზე ზუსტად პასუხობს : „ყველაფერს, და რაც მატინიონში არ კეთდება, როგორც მინიმუმ, იქ ხდება."[284] ამგვარად, პრემიერ-მინისტრის განკარგულებაშია არასპეციალიზებული უწყებათაშორისი კოორდინაციის ძალზე ძლიერი ადმინისტრაციული სტრუქტურა – მთავრობის გენერალური სამდივნო (SGG) – და სექტორული კოორდინაციის მრავალი სტრუქტურა – მაგალითად, ევროპულ საქმეთა გენერალური სამდივნო (SGAE) ან ეროვნული თავდაცვის გენერალური სამდივნო (SGDN) – ასევე მრავალი სპეციალიზებული სამსახური, საქმე ეხება სახელმწიფო ადმინისტრაციის მართვას, მთავრობის საკომუნიკაციო პოლიტიკის განსაზღვრასა თუ პერსპექტიული ეკონომიკური ანალიზის გაკეთებას. მოკლედ, თუკი პრემიერ-მინისტრი ძალზე ხშირად მეორეა პოლიტიკურ ასპექტში, იგი სრულად განაგებს სამთავრობო აპარატს.

V რესპუბლიკის პერიოდში, პოლიტიკური დღის წესრიგი მთლიანად პრეზიდენტის პოსტის გარშემოა სტრუქტურირებული (საქმე ეხება მის დაუფლებასა თუ დაკავებას), მაგრამ აღმასრულებელი ხელისუფლების რეალობა – ყველა საპარლამენტო რეჟიმის მსგავსად – დეპუტატთა არჩევის შედეგებზეა დამოკიდებული. სწორედ ამაშია ფრანგული ტიპის ორმაგი წარმომადგენლობის საპარლამენტო რეჟიმის განსაკუთრებული ხასიათი: ყოველ ხუთ წელიწადში (2000 წლიდან საპრეზიდენტო მანდატის 7 წლიდან 5 წლამდე შემცირების დროიდან) აღმასრულებელი ხელისუფლების ამოქმედება საპრეზიდენტო „წაკითხვის" კითხვის ქვეშ დაუყენებლად, რომელიც რეჟიმის პირველი სამი ათწლეულის პოლიტიკური ისტორიით იქნა შემოღებული.

„თანაარსებობის" სიტუაცია

	არჩევნები	რესპუბლიკის პრეზიდენტები	პრემიერ-მინისტრები
1958 წ.	საკანონმდებლო +	შ. დე გოლი	
1959 წ.	საპრეზიდენტო		მ. დებრე
1962 წ.	საკანონმდებლო*		ჟ. პომპიდუ

282 თავის მემუარებში „თანაარსებობის" პერიოდის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ედუარდ ბალადიური (1993-1995 წწ) აღნიშნავს, რომ როდესაც იგი რესპუბლიკის პრეზიდენტ ფრანსუა მიტერანს დაუპირისპირდა ბირთვული ცდების განახლებასთან დაკავშირებით (რომელიც 1992 წელს იქნა შეჩერებული), ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ უმაღლესი სამხედრო იერარქია პრემიერ-მინისტრს არ დაემორჩილებოდა თუკი იგი პრეზიდენტის ვეტოს აუვლიდა გვერდს (*Deux ans à Matignon*, Paris, Plon, p. 114).

283 Marceau Long, *Les services du Premier Ministre*, Aix-en-Provence, Presses universitaires d'Aix-Marseille, 1981, p. 15.

284 „Ce que fait Matignon", *Pouvoirs*, 68, 1994, p. 31.

1965 წ.	საპრეზიდენტო	შ. დე გოლი	პომპიდუ
1967 წ.	საკანონმდებლო		
1968 წ.	საკანონმდებლო*		მ. კუვ დე მიურვილი
1969 წ.	საპრეზიდენტო**	ჟ. პომპიდუ	ჟ. შაბან-დელმასი

	არჩევნები	რესპუბლიკის პრეზიდენტები	პრემიერ-მინისტრები
1972 წ.			პ. მესმერი
1973 წ.	საკანონმდებლო		
1974 წ.	საპრეზიდენტო***	ვ. ჟისკარ დ'ესტენი	ჟ. შირაკი
1976 წ.			რ. ბარი
1978 წ.	საკანონმდებლო		
1981 წ.	საპრეზიდენტო +	ფ. მიტერანი	პ. მორუა
1984 წ.	საკანონმდებლო*		ლ. ფაბიუსი
1986 წ.	საკანონმდებლო	ჟ. შირაკი	
1988 წ.	საპრეზიდენტო +	ფ. მიტერანი	მ. როკარი
1991 წ.	საკანონმდებლო*		ე. გრესონი
1992 წ.			პ. ბერეგოვოი
1993 წ.	საკანონმდებლო	ე. ბალადიური	
1995 წ.	საპრეზიდენტო	ჟ. შირაკი	ა. ჟიუპე
1997 წ.	საკანონმდებლო*		ლ. ჟოსპენი
2002 წ.	საპრეზიდენტო +	ჟ. შირაკი	ჟ.-პ. რაფარენი
2005 წ.	საკანონმდებლო		დ. დე ვილპენი
2007 წ.	საპრეზიდენტო +	ნ. სარკოზი	ფ. ფიონი
	საკანონმდებლო		

* ეროვნული ასამბლეის დაშლის შემდეგ

** რესპუბლიკის პრეზიდენტის გადადგომის შემდეგ

*** რესპუბლიკის პრეზიდენტის გარდაცვალების შემდეგ

2. დაქვემდებარებული პარლამენტი

პარლამენტი ორი პალატისგან შედგება – ეროვნული ასამბლეა და სენატი. V რესპუბლის დასაწყისიდან სენატორული უმრავლესობა მუდმივად მემარჯვენეობისკენ იყო ორიენტირებული და ბევრნი, განსაკუთრებით კი მემარცხენეები, ამ ინსტიტუტს კითხვის ქვეშ აყენებენ. აღნიშნულთან დაკავშირებით, პრემიერ-მინისტრი ლიონელ ჟოსპენი 1998 წელს დემოკრატიულ „ანომალიაზე" საუბრობს. თუმცა, მთავრობასთან ურთიერთობაში სენატის მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის უნარი შეზღუდულია. კონსტიტუციის გადასინჯვის პროცედურის გარდა, როდესაც სენატი თანაბარ მდგომარეობაშია ეროვნულ ასამბლეასთან, ის არასდროს ყოფილა აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის რეალური ხელის შემშლელი. საკანონმდებლო სფეროში, სენატს უსასრულოდ არ შეუძლია კანონის კენჭისყრის ბლოკირება, რადგან მთავრობას ყოველთვის აქვს ეროვნული ასამბლეისთვის „ბოლო სიტყვის" მიცემის უფლება.

დეპუტატებისა და სენატორების არჩევა

1958 წლიდან დეპუტატებს ხუთი წლის ვადით ირჩევენ (ეროვნული ასამბლეის დაშლის შემთხვევის გარდა) ორტურიანი უნინომუნალური მაჟორიტარული არჩევნებით (მხოლოდ 1986 წლის საკანონმდებლო არჩევნების გამოკლებით) ოლქების ჩარჩოში (555 ოლქი მეტროპოლიაში და 22 ზღვისიქითა ოლქი), რომელიც თითოეულ დეპარტამენტშია ჩამოყალიბებული მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით. იმისათვის, რომ კანდიდატი პირველ ტურშივე იქნეს არჩეული აუცილებელია მიცემული ხმების აბსოლუტური უმრავლესობის მოპოვება, რომელიც სიაში შეტანილი ამომრჩევლების არანაკლებ ერთ მეოთხედს შეესაბამება. ამგვარი შედეგის მიუღებლობის შემთხვევაში, მეორე ტური იმართება. მასში მონაწილეობის მიღება მხოლოდ იმ კანდიდატებს შეუძლიათ, რომლებმაც სიაში შეტანილ ამომრჩეველთა ხმების არანაკლებ 12,5% მიიღეს. მეორე ტურში არჩევისთვის შედარებითი

უმრავლესობაა საკმარისი : კანდიდატი, რომელიც ხმების ყველაზე დიდ რაოდენობას იღებს არჩეულადაა გამოცხადებული.

2003 წლიდან, სენატორებს (მათი რაოდენობა 341 შეადგენს 2008 წელს) ექვსი წლის მანდატით ირჩევენ (წინათ ცხა წელი), არჩევითობის მინიმალური ასაკი 30 წლამდე იქნა დაყვანილი (წინათ 35). სენატის ნაწილობრივი განახლება ყოველ სამ წელიწადში ხორციელდება და ადგილების ნახევარს ეხება. დეპარტამენტის ჩარჩოში, სენატორები საყოველთაო არაპირდაპირი არჩევნებით არიან არჩეულნი საარჩევნო კოლეგიის მიერ (დაახლოებით 150 000 პიროვნება), რომელიც შედგება დეპუტატებისგან, გენერალური და რეგიონალური მრჩეველებისა და მუნიციპალური საბჭოების დელეგატებისგან. ამ უკანასკნელთა რაოდენობა კომუნების სიდიდის მიხედვით იცვლება (ეს საბჭოები საარჩევნო კოლეგიის 95% წარმოადგენენ). თითოეული დეპარტამენტისთვის განკუთვნილი ადგილების რაოდენობა მისი მოსახლეობის პროპორციულია. სენატორები ორტურიანი მაჟორიტარული არჩევნებით არიან არჩეულნი დეპარტამენტებში, რომლებიც არანაკლებ 3 სენატორს ირჩევენ და ზღვისიქითა ტერიტორიებში, და ასევე პროპორციული წარმომადგენლობით ხმების ყველაზე დიდი საშუალო რაოდენობის წესის შესაბამისად იმ დეპარტამენტებში, რომლებშიც 4 ან მეტი სენატორია ასარჩევი. საფრანგეთის გარეთ ფრანგების წარმომადგენელი 12 სენატორი ასევე პროპორციული ხმის მიცემითაა არჩეული უცხოეთში მცხოვრები ფრანგების უმაღლესი საბჭოს 150 წევრის მიერ.

პარლამენტი ტოტალურად დაქვემდებარებულ სიტუაციაში იმყოფება: კონსტიტუცია ზღუდავს პარლამენტის ჩარევის სფეროებს (კანონის შემზღუდველი „სფეროს“ დეფინიციით), მისი საბიუჯეტო კომპეტენცია პრაქტიკულად მინიმუმადეა დაყვანილი (პარლამეტარებს არ შეუძლიათ არც გადასახადების შემცირება და არც ახალი ხარჯებისთვის ხმის მიცემა). სავარაუდოდ, აღმასრულებელ ხელისუფლებას პარლამენტისთვის გვერდის ავლა შეუძლია ზოგიერთი კანონის რეფერენდუმის გზით მიღებით. თავისი ნორმატიული კომპეტენციის შეზღუდულ სფეროში, პარლამენტი კანონების ინიციატივას პრემიერ-მინისტრთან ინაწილებს, მაგრამ ფაქტობრივად, მას დაბალი პოზიცია უკავია საკანონმდებლო პროცესში: 1959 წლიდან მიღებული კანონების დაახლოებით 90% სამთავრობო წარმომავლობისაა 30%-ის საპირისპიროდ IV რესპუბლიკის დროს. აღსანიშნავია, რომ მთავრობას, რომელიც დღის წესრიგსა და პარლამენტართა სამუშაო კალენდარს განაგებს, მრავალი ეფექტური საშუალება აქვს საკანონმდებლო პროცედურისა და ორ პალატას შორის ურთიერთობების კონტროლისთვის. კერძოდ, მას პარლამენტართა კანონში შესწორების შეტანის უფლების შეზღუდვა შეუძლია.[285]

ნორმატიულ კომპეტენციებს მოკლებული V რესპუბლიკის პარლამენტი არ ფლობს მთავრობის კონტროლის გაძლიერებულ ფუნქციას. თუკი V რესპუბლიკა მთავრობის პოლიტიკური პასუხისმგებლობის საპარლამენტო პრინციპს აღიარებს, ის ამას ძალზე შეზღუდული ფორმით ახორციელებს. „ინტერპელაციები“ – მთავრობისგან თავისი პოლიტიკის განმარტების მოთხოვნა – გაუქმებულია, ისევე როგორც პარლამენტარების მიერ ზოგად პოლიტიკასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებებისთვის კენჭისყრა; მიუხედავად საპარლამენტო საგამოძიებო კომისიების შექმნისა, ამ უკანასკნელთა ფუნქციონირებისთვის წაყენებული პირობები მათ ჭეშმარიტ ეფექტურობას ართმევს; ამგვარი კომისიების შეკრებები უმრავლესობის თანხმობას ექვემდებარება, მათი მუშაობა ექვს თვეზე მეტხანს არ უნდა გაგრძელდეს და არ უნდა ეხებოდეს ისეთ ფაქტებს, რომელთაც შედეგად სამართლებრივი დევნა მოჰყვება.

კონსტიტუციით დადგენილის საპირისპიროდ, რომლის თანახმად, „მთავრობა პარლამენტის წინაშეა პასუხისმგებელი,“ სენატს არა აქვს მთავრობის გადაყენების უფლება. ამ თვალსაზრისით, კონსტიტუციონალისტებმა საპარლამენტო რეჟიმებისთვის დამახასიათებელი „შეკავების“ პრინციპი დაიცვეს: ასამბლეა, რომელსაც მთავრობის პოლიტიკური პასუხისმგებლობის კითხვის ქვეშ დაყენება შეუძლია სამაგიეროდ, თავად შეიძლება იქნეს დაშლილი. ამ შემთხვევაში, ძირითადია მთავრობის პასუხისმგებლობის პირდაპირ კითხვის ქვეშ დაყენების პროცედურა, რომლის განხორციელების უფლებაც ეროვნულ ასამბლეას აქვს. ესაა „უნდობლობის გამოცხადება.“ ამგვარი პროცედურა იმდენად შემზღუდველია, რომ ის მხოლოდ ერთხელ იქნა ჩატარებული 1962 წელს. აღსანიშნავია, რომ უნდობლობის გამოცხადების კენჭისყრა ძალზე განსხვავებულ ლოგიკას ექვემდებარება: უნდობლობის გამოცხადებისთვის აშკარად ხელსაყრელი კენჭისყრები, რომელიც ეროვნული ასამბლეის შემადგენელი წევრების მხოლოდ აბსოლუტური უმრავლესობით შეიძლება იქნეს მიღებული. აღნიშნული გვაფიქრებინებს, რომ კენჭისყრიგან თავის შეკავება მთავრობის მხარდაჭერის კენჭისყრად უნდა იქნეს განხილული.

მთავრობასა და პარლამენტს შორის ურთიერთობების არქიტექტურის მთელი ფილოსოფია კონსტიტუციის ცნობილ და წინააღმდეგობრივ მუხლშია რეზიუმირებული – 49.3 მუხლი. ამ შემთხვევაში, საქმე ეხება სამთავრობო დომინანტობას საკანონმდებლო პროცედურაზე და საპარლამენტო უნდობლობის გამოცხადების შეზღუდვებს. პრინციპი შემდეგში მდგომარეობს: პრემიერ-მინისტრს საკანონმდებლო პროცედურის ნებისმიერ მომენტში, მთავრობის პასუხისმგებლობის დაყენება შეუძლია მთლიანი კანონის ან მისი ნაწილისთვის ხმის მიცემაზე.

---

285 XI ლეგისლატურის განმავლობაში (1997-2002 წწ.), ეროვნული ასამბლეისთვის წარმოდგენილი 50.851 შესწორებიდან 3.141 მთავრობიდან იყო წამოსული (85,7% მიღებული იქნა), 12.405 საპარლამენტო კომისიებიდან (86,9% მიღებული იქნა), ხოლო 35.305 დეპუტატების მიერ იქნა შემოთავაზებული (9,4% იქნა დამტკიცებული).

თუკი მომდევნო 24 საათში უნდობლობის გამოცხადება არ იქნება მოთხოვნილი,[286] კანონი მიღებულად ჩაითვლება დებუტატების მიერ კენჭისყრის პროცედურის ჩატარების გარეშეც. სამაგიეროდ, უნდობლობის გამოცხადების მოთხოვნის შემთხვევაში, ის მხოლოდ ეროვნული ასამბლეის წევრების უმრავლესობით უნდა იქნეს მიღებული, ხმის მიცემისგან თავის შეკავება აქაც უნდობლობის გამოცხადების წინააღმდეგ მიმართულ კენჭისყრად განიხილება. ამ პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, წინადადება უარყოფილია[287] და კანონი მიღებულად ჩაითვლება. ამ საშუალებით, მთავრობას იმგვარი კანონის მიღება შეუძლია, რომელიც კენჭისყრის ჩატარების „ნორმალურ" პირობებში (ე. ი. როდესაც წინააღმდეგ მიცემული ხმები და ხმის მიცემისგან თავის შეკავება შეჯამებულია) დეპუტატთა ხმების უმრავლესობას ვერ მოიპოვებდა. სხვა საკონსტიტუციო დებულებების გამოყენებით მთავრობას ასევე შეუძლია სენატის შესაძლებელი ობსტრუქციისთვის გვერდის ავლა და კანონპროექტის მიღება, რომელსაც ფორმალურად არც ერთმა დეპუტატმა ან სენატორმა უყარა კენჭი.

თუკი ეროვნული ასამბლეა მთავრობის გადაყენებას გადაწყვეტს, ის 1958 წელს აღმასრულებელი ხელისუფლების სასარგებლოდ ამოქმედებულ ყველაზე მრისხანე იარაღს უნდა დაუპირისპირდეს: პარლამენტის დაშლის რესპუბლიკის პრეზიდენტისთვის[288] თითქმის დისკრეციულად მინიჭებული უფლება, რომელიც პარლამენტის მხრიდან ხელყოფისგანაა დაცული.

3. „საკონსტიტუციო პოლიტიკის" მნიშვნელობა

კანონთა კონსტიტუციურობის კონტროლი – „აბსტრაქტული" კონტროლი, რომელიც კანონის კენჭისყრასა და მისი დამტკიცების პერიოდს შორის ხორციელდება – 1958 წელს იქნა შემოღებული პარლამენტარებისთვის ახალი კონსტიტუციით დაწესებული შეზღუდვების გვერდის ავლისთვის დაბრკოლების შესაქმნელად განსაკუთრებით, საკანონმდებლო სფეროს სავარაუდო გადაცდენების აკრძალვისთვის მის საკონსტიტუციო საზღვრებს მიღმა. საკონსტიტუციო საბჭო, რომელიც პოლიტიკური ხელისუფლების ორგანოების მიერ ცხრა წლით დანიშნული ცხრა წევრისგან შედგება (ამ საბჭოს სამ წევრს პრეზიდენტი ნიშნავს და გარდა ამისა, მის თავჯდომარესაც, სამი წევრი ეროვნული ასამბლეის მიერაა დანიშნული, სამი კი სენატის თავჯდომარის მიერ), რომელთაც რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტები ემატება, პარლამენტარიზმის „რაციონალიზაციის" მექანიზმის ცენტრალური ფიგურაა. საკონსტიტუციო საბჭოსთვის მიმართვის უფლება აქვს მხოლოდ რესპუბლიკის პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრსა და საპარლამენტო ასამბლეების თავჯდომარეებს.

აღნიშნული სიტუაცია იცვლება, როდესაც საკონსტიტუციო საბჭო 1971 წელს კანონის კონსტიტუციურობის ინიციატივას იღებს კონსტიტუციის პრეამბულასთან მიმართებაში. ამ გადაწყვეტილების შედეგი ძალზე მნიშვნელოვანია. ის იწვევს კონსტიტუციურობის კონტროლის ხასიათის ტრანსფორმაციას. ამ დრომდე, საკონსტიტუციო საბჭო ძირითადად მხოლოდ სადავო კანონის ფორმალურ კანონიერებას ამოწმებდა: საკანონმდებლო პროცედურის დაცვა, კომპეტენციების განაწილება საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებებს შორის და სხვ. 1971 წლიდან, კონსტიტუციის პრეამბულაზე დაყრდნობით, საკონსტიტუციო საბჭო შიდა კონტროლს იწყებს, ე. ი. თავად კანონის არსზე მიმართულ კონტროლს, კერძოდ კი მის იმ დებულებებზე, რომლებიც შეიძლება წინააღმდეგობაში მოდიოდეს მოქალაქის ფუნდამენტურ უფლებებთან. ამ გზით, საკონსტიტუციო საბჭოს სამართლებრივი სახელმწიფოს ჭეშმარიტ გარანტად შეუძლია წარმოჩენა.

1974 წელს კონსტიტუცია გადასინჯული იქნა სამოცი დეპუტატისთვის ან სამოცი სენატორისთვის საკონსტიტუციო საბჭოსთვის მიმართვის შესაძლებლობის მისაცემად. ფაქტობრივად, რეფორმის შედეგები მხოლოდ 1980-იანი წლების დასაწყისში გახდა საგრძნობი, რაც მიმართვების გამრავლებასა და ამგვარად, საკონსტიტუციო საბჭოს გადაწყვეტილებებში გამოიხატა. კანონთა კონსტიტუციურობის კონტროლმა მნიშვნელოვანი წინსვლა განიცადა მისი საპარლამენტო ოპოზიციის მიერ გამოყენებით – პრაქტიკულად, ყველა მნიშვნელოვანი კანონი მიმართვის ობიექტია –, რასაც იმავდროულად საკონსტიტუციო საბჭოს მიერ კანონის კონტროლის ტექნიკის დახვეწა ემატება.

საკონსტიტუციო საბჭოს ძალაუფლების გაზრდით, საფრანგეთი სხვა ევროპული დემოკრატიების მსგავსად, მყარი ნაბიჯით შევიდა ამერიკელი პოლიტოლოგის, ალეკ სტოუნ სვიტის მიერ „საკონსტიტუციო პოლიტიკად" წოდებულ სივრცეში, ე. ი. მმართველობის ფორმაში, რომელსაც კანონის შემუშავებასა და საკონსტიტუციო კონტროლს შორის ურთიერთდამოკიდებულება ახასიათებს[289].

---

286 რასაც ორიდან ერთ შემთხვევაში ჰქონდა ადგილი 1958 წლიდან.

287 აღნიშნულს მუდმივად ჰქონდა ადგილი 1958 წლიდან.

288 ეს უფლებამოსილება მინისტრების ხელმოწერის გარეშე ხორციელდება პრემიერ-მინისტრთან და ასამბლეების თავჯდომარეებთან კონსულტაციის შემდეგ და ნებისმიერ მომენტში შეიძლება იქნეს ამოქმედებული (გარდა პრეზიდენტის მოვალეობების დროებითი შესრულებისა მე-16 მუხლით გათვალისწინებული კრიზისული სიტუაციების დროს და პარლამენტის დაშლიდან მომდევნო წლისა).

289 *Governing with Judges*, Oxford Univeristy Press, 2000.

4. ბიპოლარიზებული პარტიული სისტემა

თუკი კონსტიტუციის პირველი მიზანი აღმასრულებელი ხელისუფლების გაძლიერებაა, რომლის მიღწევა შეუძლებელია იმ შემთხვევაში, თუკი პარტიებს შორის ურთიერთობების არასტაბილურობას და შიდა პარტიული მომხრეობის უდისციპლინობას IV რესპუბლიკის მსგავსად, ქრონიკულ სამთავრობო არასტაბილურობამდე მივყავართ. ამგვარად, *საპარლამენტო უმრავლესობის* პრობლემა კონსტიტუციონალისტთა მთავარი საზრუნავია: 1958 წლის აგვისტოში მიშელ დებრე აღნიშნავს, რომ „რადგან საფრანგეთში სამთავრობო სტაბილურობა არ შეიძლება მომდინარეობდეს საარჩევნო კანონიდან, საჭიროა, რომ ის ნაწილობრივ მაინც, საკონსტიტუციო რეგლამენტაციას ეყრდნობოდეს." იგი დასძენს, რომ „სწორედ ეს აძლევს ჩანაფიქრს მყარ განმარტებასა და ისტორიულ გამართლებას." მართლაც, ვერავის წარმოუდგენია იმგვარი სტაბილური და დისციპლინირებული საპარლამენტო უმრავლესობის არსებობის შესაძლებლობა, რომელიც მთავრობას უჭერს მხარს მთელი ლეგისლატურის განმავლობაში. თანამედროვეებისთვის პრობლემა მარტივია: საჭიროა მართვა უმრავლესობის გარეშეც. სწორედ აქედან მომდინარეობს საკონსტიტუციო მექანიზმების ამოქმედება, რომლებიც მთავრობას საკუთარი თავის შენარჩუნებისა და თავისი პოლიტიკის წარმართვის შესაძლებლობას აძლევს უმრავლესობის მხრიდან სოლიდური მხარდაჭერის არარსებობის დროს.

თუმცა, ხდება ის, რაც არ იყო გათვალისწინებული: პარტიული სისტემის დიდი მასშტაბის გარდაქმნა – ნელი, ძალზე პროგრესული პროცესი, რომელიც ასევე დარტყმებსა და რეგრესსაც განიცდის – და პოლიტიკური ძალების ბიპოლარიზაცია. 1962 წლის საკანონმდებლო არჩევნების დროიდან, V რესპუბლიკის ყველა მთავრობას უმრავლესობა ჰყავს ეროვნულ ასამბლეაში, ხოლო 1970-იანი წლებიდან ძლიერდება მემარჯვენე/მემარცხენე პოლიტიკური ძალების ბიპოლარიზაცია, ამავე დროს, ეს საპარლამენტო უმრავლესობები ძალზე განსხვავებულია: ჰეგემონური, 1968 წლის მაისის მოვლენების შემდგომი არჩევნების შემდეგ, 1981 წელს ხელისუფლებაში მემარცხენეების მოსვლის შემდეგ ან 2002 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომი „შოკი," როდესაც უკიდურესი მემარჯვენეების კანდიდატი მეორე ტურში გადის; შიგნიდან შერყეული, ვალერი ჟისკარ დ'ესტენის 'შვიდწლიანი ვადის მეორე ნახევარში'; ცვალებადი ფორმით 1988 წლის საკანონმდებლო არჩევნების შემდგომ – სოციალისტური მთავრობები რიგრიგობით ეყრდნობიან ცენტრისტებს ან კომუნისტებს თავიანთი კანონპროექტებისთვის ხმის მისაცემად – ან „მრავალი ელემენტის შემცველი" 1997 წელსა და 2002 წელს. თუმცა, უმრავლესობის ამგვარი გაერთიანებები ძალზე განსხვავებულ საფუძვლებსა ან განზეთქილებებზე იქმნება და თავად უმრავლესობის ცნება იცვლება „საპრეზიდენტო უმრავლესობის" იდეის გაჩენით. პირველად საფრანგეთის ისტორიაში პოლიტიკური ცხოვრება ხანგრძლივი დროითა და ბიპოლარულად, აშკარად გამოხატული პოლიტიკური ბანაკის გარშემო ყალიბდება, რომელიც კრძალავს დროებით ალიანსებს, გაუთავებელი განახლებისა და ტაქტიკური უკანდახევის თამაშს, რასაც წინათ ჰქონდა ადგილი.

პარტიული სისტემის ბიპოლარული ფორმით გარდაქმნა – რომელიც მონაცვლეობისა (1981 წლიდან) და „თანაარსებობის" (1986 წლიდან) საშუალებას იძლევა – ზოგადად, სამი მთავარი ცვლადის ერთდროული არსებობითა და მათი კუმულაციური ეფექტით აიხსნება: ხმის მიცემა ორტურიანი უნინომინალური მაჟორიტარული სისტემით დეპუტატების ასარჩევად,[290] პრეზიდენტის საყოველთაო პირდაპირი არჩევნებით არჩევა და ამ უკანასკნელისთვის პარლამენტის დაშლის დისკრეციული უფლების მინიჭება. თუკი ამ ინსტიტუციონალურმა გადაჯგუფებამ აშკარად იმუშავა აღნიშნული მიმართულებით, გასათვალისწინებელია პოლიტიკური შეჯიბრის რაციონალური გამოყენების სტრუქტურულ ცვლილებებთან დაკავშირებული სხვა ცვლადების არსებობა ("პარტიული ნიშნით მიმხრობის კაპიტალის" მზარდი მნიშვნელობა საარჩევნო შეჯიბრში, რჩეულთა პროფესიონალიზაცია, პოლიტიკური ცხოვრების ნაციონალიზაცია).[291]

1980-იანი წლების დასაწყისიდან, რიგმა ცვლებებმა პარტიული სისტემის კონფიგურაციის დარღვევა გამოიწვია, რომელიც საბოლოოდ ჩამოყალიბებულად განიხილებოდა[292]. ესაა ერთი მხრივ, პროპორციული წესით ხმის მიცემის შემოღება ნაციონალურ ან ადგილობრივ დონეზე: ევროპული (1979 წლიდან), მუნიციპალური (ახალი საარჩევნო კანონი გარკვეული პროპორციულობის შემოღებით 1983 წელს), რეგიონალური (1986 წლიდან, მაგრამ მაჟორიტარული კორექტივებით 1999 წლიდან). ეს პერიოდული პროპორციონალიზაცია „საარჩევნო აკორდეონის" ეფექტს ქმნის მაჟორიტარული ხმის მიცემის წესისთვის დამახასიათებელი შეზღუდვისა და პროპორციონალისტური გახსნილობის მონაცვლეობით. მეორე მხრივ, ესაა პარტიული ნიშნით მიმხრობის ფრაგმენტაცია (დაკავშირებული პერიოდულ საარჩევნო პროპორციონალიზაციასა და პოლიტიკური

290 პროპორციული წარმომადგენლობით ხმის მიცემის წესი მხოლოდ ერთხელ იქნა გამოყენებული 1986 წლის საკანონმდებლო არჩევნებში, რომლის მთავარი შედეგი იყო უკიდურესი მემარჯვენე 35 დეპუტატის შესვლა ეროვნულ ასამბლეაში.

291 Bastien François, *Le Régime politique de la Ve République*, Paris, La Découverte, 3e éd. 2006.

292 Jean-Luc Parodi, „Proportionnalisation périodique, cohabitation, atomisation partisane : un triple défi pour régime semi-présidentiel de la V République", *Revue fraeçaise de science politique*, 47 (3-4), 1997.

პარტიების დაფინანსების კანონმდებლობის შედეგებთან, რაც ხელს უწყობს მათ გამრავლებას), რომელიც ზრდის აქტორთა რაოდენობას არჩევნების პირველ ტურში და ხმების გადატანას ართულებს მეორე ტურში, მით უფრო, რომ ზოგიერთი მათგანი – როგორიცაა ნაციონალური ფრონტი და ნაკლებად, ეკოლოგთა ან უკიდურეს მემარცხენეთა ორგანიზაციები ან კიდევ „სუვერენისტთა" მოძრაობები – არ შედიან „კლასიკური" ბიპოლარული ალიანსის სისტემაში.

პარტიული ნიშნით მიმხრობის სისტემის აღნიშნული ფრაგმენტაცია განსაკუთრებით თვალშისაცემია 1990-იანი წლებიდან. ამის თვასსაჩინო ილუსტრაციას 2002 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტური წარმოადგენს, როდესაც სოციალისტური პარტიის კანდიდატს ნაციონალური ფრონტის ლიდერმა გაუსწრო – და გამოთიშა კიდეც არჩევნებიდან –, მაშინ როდესაც „სისტემის გარეთ" არსებულმა პარტიებმა მიცემული ხმების დაახლოებით 40% მიიღეს (შედეგების გარეშე პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ ჩატარებულ საკანონმდებლო არჩევნებში ხმის მიცემის ფორმის გამო, რომელიც ამ პარტიების მარგინალიზაციას ახდენს).

პარალელურად, „ბიპოლარული კადრილის" სახე, რომელიც 1970-იანი წლების დასასრულს პარტიული სისტემისთვის იყო დამახასიათებელი – სადაც ერთი მხრივ, სოციალისტები და კომუნისტები და მეორე მხრივ, გოლისტები და ცენტრისტები ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ თითოეულ ბანაკში – ჩამოიშალა ორი პარტიის მზარდი დომინანტობის სასარგებლოდ თითოელ ბანაკში: მემარცხენე ფლანგზე, სოციალისტური პარტია (PS), მემარჯვენე ფლანგზე კი გაერთიანება რესპუბლიკისთვის (RPR) – ეს უკანასკნელი საკუთარი ბაზისის გაფართოებით, კავშირი სახალხო მოძრაობისთვის (UMP) გახდა 2002 წელს. 1980-იანი წლების დასაწყისიდან, კომუნისტურმა პარტიამ უკუსვლა იწყო, რაც არ იქნა კომპენსირებული მემარცხენეებისთვის მწვანეების ახალი მხარდაჭერით 1990-იან წლებში. მხოლოდ 2000 წლის დასაწყისში, მემარჯვენე ფლანგზე RPR-მა თავის ჭეშმარიტ დომინანტობას მიაღწია ისარგებლა რა ცენტრისტული ბანაკის (UDF – კავშირი ფრანგული დემოკრატიისთვის) დაშლით. PS-სა და UMP-ს აღნიშნული დომინანტობა მყიფეს ხდის ალიანსების ორ სისტემას, რომელიც პოლიტიკურ ცხოვრებას აყალიბებს. მემარცხენე ფლანგზე, კომუნისტები და ნაკლებად მწვანეები, დიდ თავშეკავებას იჩენენ სოციალისტებთან თავიანთი ალიანსის განახლების მიმართ – მით უმეტეს, რომ 2005 წლის მაისის ევროპულ რეფერენდუმში გამოთქმულმა „არამ" „მემარცხენეობის მემარცხენეობა" გააძლიერა. მემარჯვენე ფლანგზე, UMP-მ თავისი ტრადიციული მოკავშირე UDF-ი დაკარგა, რომელმაც ძალზე კრიტიკული ავტონომიის სტრატეგია მიიღო. აღნიშნული იმ ზომამდე მივიდა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებმა – რეალობაში ძალზე ძველი პროცესის შესაბამისად – თანდათანობით თავისი ბიპოლარული ლოგიკა დაამკვიდრა.[293]

მთავარი სამთავრობო პარტიების შედეგი ნაციონალური არჩევნების პირველ ტურში (მიცემული ხმების პროცენტული მაჩვენებელი და ეროვნულ ასამბლეაში მოპოვებული ადგილები)

	საპრეზიდენტო არჩევნები 1995 წ.	საკანონმდებლო არჩევნები 1997 წ.	ადგილები დეპუტატები	საპრეზიდენტო არჩევნები 2002 წ.	საკანონმ.დებლო არჩევნები 2002 წ.	ადგილები დეპუტატები
PS	23,3,	23,5	43,3	16,2	24,1	24,4
PC	8,6	9,9	6,2	3,4	4,8	3,6
მწვანეები	3,3	3,6	1,2	5,3	4,5	0,5
RPR/UMP	20,5	15,7	24,3	19,9	33,3	63,25
UDF	18,5	14,2	19,6	6,8	4,9	5

5. ურთიერთობები ცენტრსა და პერიფერიას შორის

საფრანგეთის რესპუბლიკა დიდი ხნის განმავლობაში ცენტალიზებული უნიტარული სახელმწიფოს ერთერთ საუკეთესო მოდელად განიხილებოდა.[294] თუმცა, 2003 წლის კონსტიტუციის გადასინჯვას შედეგად სხვა დებულების დამატება მოჰყვა, რომლის თანახმად, „რესპუბლიკის მოწყობა დეცენტრალიზებულია." იმავდროულად, ეს რეფორმა ამტკიცებს და აღრმავებს – შემოაქვს რა დამატებითი პრინციპი ცენტრსა და პერიფერიას შორის

293 Bastien François, „Le 21 avril 2002 et la crise de la représentativité présidentielle", *in* Frédérique Matoni, dir., *La Démobilisation politique*, Paris, La Dispute, 2005.

294 Jack Hayward, *The One and Indivisible French Republic*, Londres, W. W. Norton & Compagny, 1974.

ურთიერთობებში[295] – ხანგრძლივ პროცესს, რომლის მიზანია „ცენტრალიზაციის მრავალსაუკუნოვანი ძალისხმევის" დასრულება (DE Gaulle, 1968). თავდაპირველად, აღნიშნულ პროცესს „მოდერნიზატორმა" უმაღლესი რანგის ფუნქციონერებმა მისცეს ბიძგი, შემდეგ კი 1980-იანი წლების დასაწყისში სოციალისტური ხელისუფლების მიერ ამოქმედებულმა დეცენტრალიზაციის მნიშვნელოვანმა რეფორმებმა.

ამ შემთხვევაში, შეუძლებელია დეცენტრალიზაციის აღნიშნულ პროცესთან მიმართებაში სრული დასკვნის გაკეთება. დავკმაყოფილდებით ოთხი დაკვირვებით. პირველი მდგომარეობს იმ ფაქტში, რომ დეცენტრალიზაცია განხორციელდა არა ადგილობრივი ადმინისტრაციის სხვადასხვა დონის იერარქიზაციით, არამედ სპეციალიზაციით (თითოეული ტერიტორიული ერთობის ტიპისთვის განკუთვნილი „კომპეტენციების ბლოკის" ფორმით). რადგან თითოეული ტერიტორიული ერთობის არჩეულ ხელმძღვანელებს თავიანთი ტერიტორიის ერთიანი პოლიტიკური ხედვა აქვთ და დასაშვებად მიიჩნევენ იმას, რაც მათთვის კანონებით არაა აკრძალული. „მრავადონიანი მმართველობის" მოქმედი სისტემა თანდათანობით თოჯინა-მატრიოშკის გადაწყვეტილების მიმღებ სისტემას ემსგავსება, რომელიც ნაკლებად გასაგები და კონფლიქტურია. აღნიშნული სიმართლეს შეესაბამება – მეორე შენიშვნა, – რადგან გამრავლდა ადგილობრივი ადმინისტრაციის დონეები (კომუნასა და დეპარტამენტს რეგიონი დაემატა, შემდეგ კომუნათაშორისი დონე, რომელიც თავად ძალზე სხვადასხვაგვარ ფორმებს იძენს). დეცენტრალიზაციის მოძრაობაზე დაკვირვებისას – აშკარად საგულისხმო, – მრავალი, დღესაც მოუგვარებელი საკითხი (ოც წელზე მეტია) არსებობს, რომელთა შორის ყველაზე არსებითი რესურსების გადანაწილებაა სახელმწიფოსა და ტერიტორიულ ერთობებს შორის. იმ დროს, როდესაც დემოკრატიები თავიანთი საჯარო ფინანსების ღრმა კრიზისს განიცდიან, ადგილობრივი ფისკალური სისტემისა და ადგილობრივი ან ლოკალიზებული საჯარო დაფინანსების საკითხი ძალზე ბუნდოვანი რჩება. დაბოლოს, ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ დეცენტრალიზაციის პროცესი არასდროს ყოფილა ორიენტირებული ადგილობრივი დემოკრატიის გაღრმავებისკენ მაშინ, როდესაც ტერიტორიული ერთობები ძლიერდებოდნენ და მნიშვნელობას იძენდნენ საჯარო პოლიტიკის სხვადასხვა სფეროს ამოქმედებით. აღნიშნულის მიზეზი მდგომარეობს იმ ფაქტში, რომ კანონს ადგილობრივი რჩეულები ქმნიან – დეპუტატებისა[296] და სენატორების[297] უმრავლესობა, მაგრამ ასევე მინისტრები, – რომლებიც ახალი კომპეტენციების მიღებით არიან დაინტერესებულნი თუმცა, ნაკლებად იხრებიან ადგილობრივი ხელისუფლების აღსრულების საკითხის განხილვისკენ. ამგვარად, მთლიანად იგნორირებულია ხელისუფლების დაყოფის მინიმალური დონის მოთხოვნა. სამაგიეროდ, უფლებამოსილებების კონცენტრაცია სისტემატურად ტერიტორიული ერთობების ხელმძღვანელების სასარგებლოდ ხდება. ეს უკანასკნელნი განხილვებსა და კენჭისყრას ატარებენ იმ ასამბლეებში, რომლებიც მხოლოდ რეგისტრაციის პალატებამდეა დაყვანილი ინიციატივის უფლებისა და „აღმასრულებელი ხელისუფლების" პასუხისმგებლობის დაყენების შესაძლებლობის გარეშე. მოქმედების საშუალებებს მოკლებული ოპოზიცია უმნიშვნელო როლს ასრულებს, მოქალაქეთა „მონაწილეობა" კი – თუმცა, მას დისკურსებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება – უკეთეს შემთხვევაში, ფაკულტატური და ზედაპირულია.

* * *

ბოლო ოცი წლის განმავლობაში ლეგისლატურის მიღმა ხელისუფლების შენარჩუნების უუნარობა საპარლამენტო უმრავლესობების მიერ, საარჩევნო აბსენტეიზმის მუდმივი ზრდა – რომელიც ყველა არჩევნებს ეხება, – პოლიტიკურ-ფინანსური სკანდალების გამრავლება, 2002 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგი – მეორე ტურში უკიდურესი მემარჯვენეების ლიდერის გასვლით – ან კიდევ 2005 წლის ევროპულ საკონსტიტუციო ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ რეფერენდუმში ნეგატიური კენჭისყრა – თუმცა, ე. წ. „სამთავრობო" პარტიათა უმრავლესობა ამ ხელშეკრულებას უჭერდა მხარს – განსხვავებული ფენომენებია, რომლებიც არათანაბრად განმარტავენ V რესპუბლიკის ინსტიტუტების მზარდი კრიზისის შეგრძნებას.

დღეისათვის, ამგვარი კრიზისის აღიარება საერთო შეხების წერტილია პოლიტიკური საჭადრაკო დაფის, როგორც მემარცხენე, ისე ცენტრისტულ ფლანგზე. ბევრი უჭერს მხარს V რესპუბლიკის ღრმა რეფორმირებას, VI რესპუბლიკაზე გადასვლასაც კი. აღნიშნულის მიზანია ჩვენ ინსტიტუტებში დამკვიდრებული ხელისუფლების (ნაციონალური და ადგილობრივი) კონცეფციის შეცვლა, რომელიც თანდათანობით შეუსაბამობაში შედის ფრანგული საზოგადოების ევოლუციასთან, პოლიტიკური წარმომადგენლობის იდეისა და რეალობის აღდგენას-

---

295 „ტერიტორიულმა ერთობებმა გადაწყვეტილებები უნდა მიიღონ იმ კომპეტენციების ერთბლიობაზე, რომელიც ყველაზე უკეთ შეიძლება იქნეს ამოქმედებული მათ დონეზე" (კონსტიტუციის 72-ე მუხლი).

296 საფრანგეთის პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია ნაციონალური და ადგილობრივი მანდატების კუმულაციის ზოგადი სისტემის არსებობა. ეს არის ძველი „ტრადიცია", რომელმაც V რესპუბლიკის პერიოდში სრულიად სხვა მასშტაბი მიიღო. 1970-იანი წლების დასასრულიდან დეპუტატთა 85-95% ერთდროულად ადგილობრივი რჩეულებიც არიან (და ხშირად, ადგილობრივი აღმასრულებელი ხელისუფლების წევრები).

297 ადგილობრივი რჩეულებისგან შემდგარი საარჩევნო კოლეგიის მიერ არჩეული სენატორები, უმრავლეს შემთხვევაში, ადგილობრივი რჩეულები არიან: კონსტიტუციის თანახმად, სენატი „რესპუბლიკის ტერიტორიული ერთობების წარმომადგენლობას უზრუნველყოფს."

თან, უფრო მონაწილეობითი მოქალაქეობის განვითარებასა და აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრში პასუხისმგებლობის იდეის წამოყენებასთან. მიუხედავად ამ მოცემულობის აღიარების და მიზნების გაზიარებისა – სახელდობრ, რესპუბლიკის პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის არსებული ურთიერთობების გარკვევა და პარლამენტის კონტროლის უფლებამოსილებების გაზრდა – პოლიტიკურ სივრცეში მოქმედ აქტორთა დიდი ნაწილის მიერ, განსხვავებული გადაწყვეტილებები ერთმანეთს უპირისპირებს ამერიკული ტიპის პრეზიდენტობის ინსტიტუტის მომხრეებსა და ევროპული საპარლამენტო დემოკრატიების მოდელზე დაფუძნებულ პრემიერ-მინისტრობის სისტემის მომხრეებს.

თავი XXII

სლოვაკეთი

გრიგორი მეზენიკოვი

სლოვაკეთის დემოკრატიული რეჟიმის ჩამოყალიბების ისტორიული კონტექსტი

სლოვაკეთში დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის შექმნა მჭიდროდაა დაკავშირებული 1989 წლის „ხავერდოვან რევოლუციასთან", რომელმაც ორმოცწლიანი კომუნიზმის პერიოდი დაასრულა ჩეხოსლოვაკიაში და ტრანსფორმაციის პროცესს ჩაუყარა საფუძველი. შექმნილი დემოკრატიული რეჟიმი არაძალადობრივი პოლიტიკური რევოლუციის შედეგი იყო, რომლის საფუძველს ძირითადი სოციალური ცვლილებებისთვის საზოგადოებრივი აზრის მხარდაჭერა და სამოქალაქო მოძრაობების წარმომადგენლებსა და ძველი რეჟიმის ოფიციალურ პირებს შორის მოლაპარაკებები წარმოადგენდა. 1993 წელს ჩეხოსლოვაკიის ფედერაციის შემადგენელმა ნაწილმა სლოვაკეთის რესპუბლიკამ, თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადა და პრინციპულად ახალი პოლიტიკური სისტემა ჩამოაყალიბა.

კომუნისტური რეჟიმი ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში ერთ-ერთი ყველაზე რეპრესიული იყო ცენტრალურ ევროპაში. იმ დროს, როდესაც სხვა კომუნისტურ რეჟიმებში ნაწილობრივ ლიბერალიზაციას ჰქონდა ადგილი, სლოვაკი კომუნისტები ყოველგვარ ალტერნატიულ პოლიტიკურ საქმიანობას ახშობდნენ რეჟიმის ტოტალიტარული ხასიათის შენარჩუნებით საბჭოთა პერესტროიკის პერიოდშიც კი. ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის შიგნით (KSC), ვერც ერთმა რეფორმისტულმა ფრთამ ვერ შეძლო ალტერნატივის შემოთავაზება პარტიის ოფიციალური ხელმძღვანელობისთვის. არც ჩეხეთის რესპუბლკას და არც სლოვაკეთის რესპუბლიკას ოპოზიციის ლეგალური პოლიტიკური სტრუქტურები არ ჰქონდა. გარდა ამისა, ორი პოლიტიკური სატელიტური პარტია სლოვაკეთში (თავისუფლების პარტია და სლოვაკეთის განახლების პარტია) ეროვნულ ფრონტთან იყო გაერთიანებული KSC-ს ხელმძღვანელობის ქვეშ. ამ პარტიებმა ვერ შეძლეს დამოუკიდებელი საქმიანობის განვითარება.

1989 წლის ნოემბრის ანტიკომუნისტური რევოლუციის მამოძღვებელ ძალას მოძრაობა „საზოგადოება ძალადობის წინააღმდეგ" (VNP) წარმოადგენდა. ეს იყო სამოქალაქო მოძრაობა, რომლის შექმნა პრაღაში სტუდენტების მანიფესტაციების წინააღმდეგ პოლიციის უხეშ ჩარევას მოჰყვა. VNP-ს ხელმძღვანელობა კომუნისტური რეჟიმის მოწინააღმდეგე აქტიური ოპოზიციონერების ერთობისგან შედგებოდა, რომელიც განსხვავებულ იდეოლოგიურ და პოლიტიკურ ორიენტაციებს მოიცავდა. ხელმძღვანელობის დანარჩენი ნაწილი ძირითადად არაკომფორმისტული ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენელებისგან იყო შემდგარი, რომელიც „პოზიტიური გადახრის კუნძულებზე" გამოჩნდა კომუნისტური პერიოდის განმავლობაში საზოგადოებრივი სტრუქტურების შიგნით. სლოვაკეთში, 1970-1980-იან წლებში სამოქალაქო და დისიდენტური მოძრაობები კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ არ იყო ისეთი აქტიური, როგორც ჩეხეთის რესპუბლიკაში.

1989 წლის 20 ნოემბერს VNP-მ მოქალაქეებს „ თავიანთი მომავლის საკუთარ ხელში აღებისკენ" მოუწოდა. ბრატისლავაში მანიფესტაციები ჩატარდა, რამაც VNP-ს წარმომადგენელებს მოქმედ კომუნისტურ მთავრობასთან დიალოგის გამართვის მოთხოვნას მისცა ბიძგი. სულ მალე, ეს მოთხოვნები კონკრეტული და გადაუდებელი გახდა. 1989 წლის 25 ნოემბერს VNP 12 პუნქტიან დეკლარაციას ამზადებს და საკონსტიტუციო შესწორების გაუქმებას ითხოვს, რომელიც კომუნისტური პარტიის დომინანტობას უზრუნველყოფს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში. მომდევნო დღეს, ამ პროგრამას გადაუდებელი თავისუფალი არჩევნების ჩატარება დაემატა და ეს დეკლარაცია VNP-სა და კომუნისტებს შორის მოლაპარაკებების ამოსავალი წერტილი გახდა.

VNP-მ და მისმა ჩეხმა პარტნიორმა, სამოქალაქო ფორუმმა, არაძალადობრივი გზა აირჩიეს რეჟიმის შესაცვლელად, რადგან ისინი პატივს სცემდნენ კანონიერებისა და კონსტიტუციურობის პრინციპს დემოკრატიაზე გარდამავალ პერიოდში. ამგვარად, მთავარი პირობა იყო 1960 წელს მიღებული ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის ძირითადი დებულების გაუქმება, რომელიც კომუნისტური პარტიის ხელისუფლების მონოპოლიასა და მის იდეოლოგიურ დოქტრინას ამყარებდა. 1989 წლის 29 ნოემბერს, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ფედერალურმა ასამბლეამ ამოიღო კონსტიტუციის პარაგრაფები, რომლებიც კომუნისტურ პარტიას საზოგადოების ხემძღვანელ ძალად აღიარებდა და მარქსიზმ-ლენინიზმისგან სახელმწიფო იდეოლოგიას ქმნიდა.

კომუნისტური პარტიის მონოპოლიის დასრულების შემდეგ სლოვაკეთის რესპუბლიკაში შესაძლებელი გახდა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებების რეკონსტრუქციის პროცესის დაწყება. შეიქმნა „ეროვნული თანხმობის" მთავრობები, როგორც ფედერალურ, ისე რესპუბლიკურ დონეზე. კომუნისტი კანდიდატები

უმცირესობაში აღმოჩნდნენ ყველა კაბინეტში. 1989 წლის 20 ნოემბერს 1989 წლის პრაღის გაზაფხულის სიმბოლო, ალექსანდრე დუბჩეკი ფედერალური ასამბლეის თავჯდომარედ იქნა არჩეული. ათი დღის მოგვიანებით, ამ ასამბლეამ ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტად მწერალი და დისიდენტი ვაცლავ ჰაველი აირჩია. მომდევნო თვეებში, შესაძლებელი გახდა ფედერალური და რესპუბლიკური საკანონმდებლო ინსტიტუტების აღდგენა დეპუტატებსა ან გაერთიანებული პარტიების წარმომადგენელ დეპუტატებს შორის მორიგებით ეროვნული ფრონტის შიგნით. სწორედ ამ დროს ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები.

1990 წლის იანვრიდან მაისამდე, მიღებული იქნა მნიშვნელოვანი კანონები, რომელთაც საპარლამენტო დემოკრატიის კანონიერი და ინსტიტუციონალური ჩარჩო შექმნეს, როგორიცაა პოლიტიკურ პარტიებთან დაკავშირებული კანონმდებლობა, სადეპუტატო მანდატები, არჩევნები, შეკრებების თავისუფლებისა და პეტიციის უფლება.

1990 წლის ივნისის პირველი თავისუფალი არჩევნების შემდეგ, სისტემამ ცვლილება დაიწყო საზოგადოების ყველა სექტორში. დემოკრატიულმა სახელმწიფომ საბაზრო ეკონომიკის ძირითადი მახასიათებლები განსაზღვრა ორწლიანი პერიოდისთვის. ამავე დროს, ინტენსიური დებატი გაიმართა ჩეხოსლოვაკიის ფედერაციულ სახელმწიფოსა და ორ რესპუბლიკას შორის ადეკვატურ ურთიერთობასთან დაკავშირებით, რომელიც ძალზე სწრაფად იქნა გადატანილი საჯარო სივრცეში. მეორე მსოფლიო ომის შემდგომი მოდერნიზაციის პროცესიდან მომდინარე მოსახლეობის სპეციფიკურმა სოციალურ-კულტურულმა ორიენტაციებმა, საზოგადოების მრავალფეროვნებამ და გარკვეული რეფორმების მნიშვნელობამ მოსახლეობისთვის, გავლენა იქონია ქვეყნის მომავალთან დაკავშირებულ დებატზე. ამგვარად, პოლიტიკურმა ძალებმა, რომლებიც სოციალურ-ეკონომიკურ რეფორმებს აკრიტიკებდნენ მათი პრობლემურობის გამო და სლოვაკეთის უფრო ფართო ავტონომიისთვის იბრძოდნენ, ხალხის მხარდაჭერა მოიპოვეს. ორმა ნაციონალურმა პოლიტიკურმა წარმომადგენლობამ (ჩეხეთისა და სლოვაკეთის) თანხმობის მიღწევა ვერ შეძლო მისაღებ საერთო გეგმაზე სახელმწიფოს მომავალი განვითარების განსხვავებული ხედვების გამო. ამ ძალებმა 1992 წლის ივნისში მეორე თავისუფალი არჩევნები მოიგეს სლოვაკეთსა და ჩეხეთის რესპუბლიკაში. ყველაზე მნიშვნელოვანმა პოლიტიკურმა პარტიებმა: სამოქალაქო დემოკრატიულმა პარტიამ (ODS) ჩეხეთის რესპუბლიკაში და მოძრაობამ დემოკრატიული სლოვაკეთისათვის (HZDS) სლოვაკეთში, ჩეხოსლოვაკიის ფედერაციული რესპუბლიკის გაყოფა და ორი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა გადაწყვიტეს. ამ დაშლისთვის აუცილებელი ინსტიტუციონალური მექანიზმები სწრაფად შემუშავდა. 1992 წლის პირველ ოქტომბერს სლოვაკეთის პარლამენტმა სლოვაკეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია მიიღო. ორი თვის მოგვიანებით, ჩეხოსლოვაკიის ფედერალურმა ასამბლეამ საკონსტიტუციო კანონი დაამტკიცა სახელმწიფოს გაყოფასთან დაკავშირებით. საბოლოოდ, 1993 წლის პირველ იანვარს, სლოვაკეთის რესპუბლიკა სუვერენული სახელმწიფო გახდა.

1993 წლის შემდეგ სლოვაკეთში პოლიტიკური რეჟიმის ხასიათთან დაკავშირებული დებატი გაიმართა, რამაც ბევრი მკვლევარი სლოვაკეთის გარდამავალი პერიოდის გზიდან გადახვევის აზრადე მიიყვანა, რომელსაც ცენტრალური ევროპის დანარჩენ ნაწილში ჰქონდა ადგილი. ამ გადახვევის მახასიათებლები მოიცავდა ხელისუფლებასთან დაკავშირებულ ინსტიტუციონალურ დაპირისპირებებს, რომელსაც თან ახლდა კანონის ხშირი დარღვევა, სახელმწიფოს ინსტიტუციონალური ჩარჩოდან გამოსვლა, პოლიტიკურ ძალებს შორის თავისუფალი და დემოკრატიული შეჯიბრის შეზღუდვები, კლიანტელისტური სისტემის განვითარება, რაც პოლიტიკურ და ეკონომიკურ ძალაუფლებას სახელმწიფოსთან აკავშირებდა. აღნიშნულმა სლოვაკეთის გამოთიშვა გამოიწვია ნატოს გაფართოებისა და ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების პირველი „ტალღიდან" მაშინ, როდესაც მისმა მეზობლებმა წარმატებით შეძლეს ამ სტრუქტურებში ინტეგრირება.

1993 წლის შემდეგ სლოვაკეთში ფაქტორების ორმა რიგმა გავლენა იქონია ინსტიტუციონალური მშენებლობის პროცესზე. პირველი მოიცავს სლოვაკეთის ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაერთიანების იმედებთან დაკავშირებულ ფაქტორებს, უფრო ზუსტად კი, ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანების მცდელობას. ეს გაცხადებული ორიენტაცია გულისხმობდა პოლიტიკური პირობების შესრულებას წევრად გახდომისთვის და საკანონმდებლო სისტემის მისადაგებას ევროკავშირის ნორმებთან. ამ თვალსაზრისით, სლოვაკეთის სტატუსმა, როგორც ასოცირებული წევრისა, შიდა ინსტიტუციონალური სისტემის შესაბამისობის გარანტიის ფუნდამენტური ჩარჩო შექმნა ევროკავშირის წევრი-სახელმწიფოების მოდელებთან. თუმცა, 1994 წლის ნოემბრიდან, ევროკავშირმა სლოვაკეთის მთავრობას მრავალჯერ მისცა გაფრთხილება კანონის მნიშვნელოვანი დარღვევებისა და ინსტიტუციონალური არასტაბილურობის ნიშნებთან მიმართებაში, რაც მთავრობისა და პარლამენტის უმრავლესობიდან მომდინარე პრაქტიკის შედეგი იყო. განხილვის საგანი გახდა საპარლამენტო ორგანოების შექმნის არადემოკრატიული მეთოდი, პრეზიდენტის ვაჟის მოტაცება და ამ საქმეში ჩართულ სახელმწიფო ორგანოებზე გამოძიების ნაკლებობა, პარლამენტიდან დეპუტატების გარიცხვა, რეფერენდუმის ობსტრუქცია პრეზიდენტის პირდაპირ არჩევნებთან მიმართებაში, საკონსტიტუციო სასამართლოს საკანონმდებლო გადაწყვეტილებების შეუსრულებლობა და კრიმინალების ამნისტია მთავრობასთან პოლიტიკურად დაკავშირებული ადამიანების მიერ. ყველაზე მკაცრი კრიტიკა სამთავრობო ძალების პოლიტიკური სტილის მისამართით გამოითქვა. თუმცა, რო-

დესაც აღიარებული იქნა ევროკავშირში სლოვაკეთის სრულად გაწევრიანების მზაობა, ამ გაერთიანებამ კვლავაც გამოთქვა შენიშვნები ქვეყნის ლეგისლატურის სპეციფიკურ ეტაპებთან დაკავშირებით. დემოკრატიულმა პოლიტიკურმა ძალებმა ევროკავშირში გასაერთიანებლად დიდი ძალისხმევა გამოიჩინეს, რომლის კრიტიკული პოზიცია ძლიერ იმპულსს წარმოადგენდა მოსამზადებელ პროცესში და დემოკრატიზაციის იმპლემენტაციაში.

ფაქტორების მეორე რიგი შიდა პოლიტიკის ტენდენციებს მოიცავს, როგორიცაა გადამწყვეტ პოლიტიკურ აქტორებს შორის ძალაუფლების განაწილება, აღმასრულებელ ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური პარტიების ხასიათი, პოლიტიკოსების პროფესიონალიზაციის დონე და თავად პოლიტიკური აქტორების პიროვნული თვისებები.

აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებების მოწყობა

სლოვაკეთის რესპუბლიკის მმართველობის ფორმა საპარლამენტოა, მრავალპარტიული სისტემითა და ხელისუფლების სამ შტოს შორის დაყოფით. ამავე დროს, უცხოური ინსტიტუციონალური მოდელი, რომელიც სისტემის შექმნის შთაგონების წყაროს წარმოადგენდა არაა ნათელი. მართლაც, გამოყენებული იქნა ძველი ინსტიტუციონალური რეგულირების გარკვეული ფორმალური ელემენტები, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკაში ომამდე არსებული ელემენტების ჩათვლით,

აღმასრულებელ ხელისუფლებას ძალაუფლების დუალიზმი ახასიათებს. უმაღლეს აღმასრულებელ ხელისუფლებას სამთავრობო კაბინეტი წარმოადგენს, მაგრამ პრეზიდენტიც ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილია. იგი სახელმწიფოს მეთაურია და ქვეყანას წარმოადგენს, როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ასპექტში. პრეზიდენტი ასევე უზრუნველყოფს საკონსტიტუციო ორგანოების გამართულ ფუნქციონირებას. კონსტიტუცია პრეზიდენტისგან მოითხოვს ხელისუფლების აღსრულებას უპირატესად საკუთარი შეგნებისა და ღირებულებების და არა პოლიტიკური ბრძანებების შესაბამისად.

პრეზიდენტი

პრეზიდენტის არჩევის მეთოდმა და მისმა პასუხისმგებლობამ მნიშვნელოვანი საკონსტიტუციო ცვლილებები განიცადა სლოვაკეთის დამოუკიდებლობის შემდეგ. 1992 წლის კონსტიტუციის თავდაპირველი ვერსიის შესაბამისად, პარლამენტი პრეზიდენტს დეპუტატთა კვალიფიციური უმრავლესობით ირჩევდა (დეპუტატთა 3/5, ამგვარად, 150-დან არანაკლებ 90). კლასიკურ საპარლამენტო დემოკრატიებში, პრეზიდენტი დუალისტურ როლს ასრულებს, როგორც სახელმწიფოს წარმომადგენელი და როგორც მიუკერძოებელი არბიტრი, მედიატორი მთავარ პოლიტიკურ აქტორებს შორის ურთიერთობებში. კლასიკური საპარლამენტო დემოკრატიების ეს მახასიათებელი არ არსებობდა სლოვაკეთის 1992 წლის კონსტიტუციაში პრეზიდენტის საპარლამენტო არჩევისა და სამი მეხუთედის უმრავლესობით მისი გადაყენების შესაძლებლობასთან მიმართებაში. აღნიშნულმა ხელისუფლების სასწორი ასამბლეის მხარეს გადახარა და პრეზიდენტს ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების მხედველობაში მიუღებლად მოქმედებაში შეუშალა ხელი.

1993 წლის თებერვალში 106 დეპუტატის მხარდაჭერით არჩეული მიხაილ კოვაკი დამოუკიდებელი სლოვაკეთის პირველი პრეზიდენტი გახდა. თავდაპირველად, იგი კლასიკური საპარლამენტო დემოკრატიის შესაბამისად მოქმედებდა (მიუკერძოებელი სახელმწიფო მეთაური, რომელიც მედიატორის როლს ასრულებს მთავრობაში მყოფ პარტიებსა და ოპოზიციურ პარტიებს შორის კონფლიქტებში), მაგრამ შემდეგ, პრემიერ-მინისტრ ვლადიმირ მეციარს დაუპირისპირდა. HZDS-ის თავჯდომარეს განსხვავებული აზრი ჰქონდა პრეზიდენტის თანამდებობის ხასიათთან დაკავშირებით: მან HZDS-ის მიერ დანიშნულ კოვაკს თავისი პარტიის ინტერესების გაფართოება მოთხოვა. სულ მალე, აშკარა გახდა პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის დაპირისპირება ნაციონალური ინსტიტუტების ფუნქციონირების საკითხზე. კოვაკი არ იქნა გადაყენებული თანამდებობიდან მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მთავრობამ ვერ შეძლო აუცილებელი საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვება მისი მანდატის ვადამდე ადრე შესაწყვეტად.

პრემიერ-მინისტრთან თავისი კონფლიქტის შედეგად, პრეზიდენტმა კოვაკმა დაკარგა იმ პარტიის პოლიტიკური მხარდაჭერა, რომელმაც იგი დაასახელა. პარლამენტმა ვერ შეძლო სხვა პრეზიდენტის არჩევა პარტიებს შორის კონფლიქტური ურთიერთობების გათვალისწინებით. ვერც ერთმა მხარდამჭერმა ჯგუფმა ვერ მოახერხა აუცილებელი საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვება ახალი პრეზიდენტის ასარჩევად. 1998 წლის მარტში კოვაკის მანდატის ამოწურვისას, პარლამენტის ყველა ძალისხმევა სახელმწიფოს ახალი მეთაურის ასარჩევად მარცხით დასრულდა და პრეზიდენტის გარკვეული ფუნქციები დროებით პრემიერ-მინისტრმა მეციარმა იტვირთა, უმაღლესი კონსტიტუციური თანამდებობა კი ვაკანტური დარჩა.

პოლიტიკური პარტიების უუნარობამ ახალი პრეზიდენტის არჩევის საკითხში, ისევე როგორც საპრეზიდენტო მოვალეობების არასრულყოფილმა საკონსტიტუციო რეგლამენტაციებმა ამ პოსტის ვაკანსიაზე, დემოკრატიულ პოლიტიკურ პარტიებს მნიშვნელოვანი პოლიტიკური ინიციატივების შემოღებისკენ უბიძგა პრეზიდენტის

პირდაპირი არჩევის სასარგებლოდ. ეს ინიციატივები ორ რეფერენდუმს მოიცავდა – პირდაპირი საპრეზიდენტო არჩევნები და თავად რეფერენდუმში მონაწილეობის საკითხი (თუმცა, 1997 წლის მაისში მთავრობამ ხელი შეუშალა მის ჩატარებას). მიუხედავად ოპოზიციური პარტიების მოლოდინებისა, პრეზიდენტის პირდაპირი არჩევნები არ იქნა შემოღებული HZDS-ZRS-SNS-ის (მოძრაობა დემოკრატიული სლოვაკეთისთვის-სლოვაკეთის მუშათა გაერთიანება-სლოვაკეთის ნაციონალური პარტია) მთავრობის მიერ.

სიტუაცია 1998 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ შეიცვალა, როდესაც ოპოზიციურმა პარტიებმა, რომლებიც დაჟინებით მოითხოვდნენ პრეზიდენტის პირდაპირი გზით არჩევას, გამარჯვება მოიპოვეს. ამ პარტიებმა ახალი სამთავრობო კოალიცია შექმნეს, რომელიც SDK-SDĽ-SMK-SOP-გან (სლოვაკეთის დემოკრატიული კოალიცია-მემარცხენე დემოკრატიული პარტია-უნგრული კოალიციის პარტია-სამოქალაქო შეგნების პარტია) იყო შემდგარი. 1999 წლიდან პარლამენტმა საკონსტიტუციო კანონი დაამტკიცა, რომლის თანახმად, პრეზიდენტის არჩევა პირდაპირი სახალხო კენჭისყრით უნდა ჩატარებულიყო. ახალი კანონი საპრეზიდენტო მანდატს ასევე სხვა მოვალეობებსაც ამატებდა.

პრეზიდენტის ახალ ყველაზე მნიშვნელოვან მოვალეობებს შორისაა მთავრობის წევრებისა და მაღალი რანგის ფუნქციონერების დანიშვნა, ისევე როგორც ამ უკანასკნელთა მოვალეობების შეწყვეტა, კანონების ხელმოწერის უფლება და მათი პარლამენტში გადაგზავნა ახალი კენჭისყრისთვის თხუთმეტი დღის ვადაში საწყისი დამტკიცების დროიდან (შემაჩერებელი ვეტოს უფლება) და საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის უფლება პარლამენტის მიერ მიღებული კანონების ან საერთაშორისო ხელშეკრულებების არაკონსტიტუციურად მიჩნევის შემთხვევაში. იმავდროულად, პრეზიდენტს გადაეცა საერთაშორისო ხელშეკრულებებზე მოლაპარაკებისა და ხელმოწერის უფლებამოსილება, შეწყალებისა და ამნისტიის უფლება და ასევე რეფერენდუმის ჩატარების გამოცხადების უფლება. მას ასევე სასამართლო ხელისუფლებაზე გარკვეული გავლენის მოხდენა შეეძლო საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების მოსამართლეების, თავჯდომარეებისა და ვიცე-თავჯდომარეების, გენერალური პროკურორისა და სასამართლო საბჭოს სამი წევრის დასახელებითა და დამტკიცებით. საკუთარი უფლებამოსილებების შესაბამისად, პრეზიდენტს ასევე პარლამენტის დაშლის გამოცხადების უფლება ჰქონდა თუკი ასამბლეა დაკარგავდა თავისი საკონსტიტუციო ფუნქციების აღსრულების უნარს ან პარლამენტის მხრიდან სამთავრობო პროგრამის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, კაბინეტის ინვესტიტურის ექვსი თვის შემდეგ (სხვაგვარად რომ ვთქვათ, კაბინეტისადმი ნდობის გამოცხადების საწინააღმდეგო კენჭისყრის შემთხვევაში პარლამენტის მხრიდან) ან თუკი პარლამენტი ფუნქციონალური არ იქნებოდა სამ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში. პრეზიდენტი ასევე არმიის მთავარსარდალი ხდებოდა, რაც მას ომის გამოცხადების, შეიარაღებული ძალების მობილიზაციისა და საომარი მდგომარეობის შემოღების უფლებას აძლევდა.

ამავე დროს, პრეზიდენტის ძალაუფლება სხვა ინსტიტუტებითაა დაბალანსებული. მისი ზოგიერთი გადაწყვეტილება ვალიდური ხდება მხოლოდ პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის სხვა წევრების ხელმოწერის შემდეგ (მაგალითად, ამნისტიები). მეორე შემზღუდველი ფაქტორი მდგომარეობს პარლამენტის მხრიდან წინასწარი გადაწყვეტილების მიღებაში პრეზიდენტის გარკვეულ ქმედებებზე, როგორცაა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნა.

პრეზიდენტის მიმართ სანქციის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ კონსტიტუციის განზრახ დარღვევისა ან ღალატის შემთხვევაში. პარლამენტის დეპუტატთა კვალიფიციურმა უმრავლესობამ (სამი მეხუთედი) საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა მიმართოს პრეზიდენტის წინააღმდეგ პრეტენზიების არსებობის შემთხვევაში. პრეზიდენტი კარგავს თავის მანდატს თუკი აღნიშნულ სასამართლოს მისთვის ნეგატიური ვერდიქტი გამოაქვს. იგი ასევე შეიძლება თავისი თანამდებობიდან იქნეს გადაყენებული სახალხო კენჭისყრის მოთხოვნის შემთხვევაში. ამგვარი კენჭისყრა პარლამენტის თავჯდომარის მიერ უნდა იქნეს ინიცირებული დეპუტატთა სამი მეხუთედის უმრავლესობის მხარდამჭერი რეზოლუციით. იმ შემთხვევაში, თუკი პრეზიდენტი თავის თანამდებობაზე რჩება რეფერენდუმის შემდეგ, ადგილი აქვს პარლამენტის დაშლასა და ახალი საპარლამენტო არჩევნების გამოცხადებას, რაც ასევე პრეზიდენტის ახალი მანდატის დასაწყისს აღნიშნავს.

პრეზიდენტობის ვადის მიწურულს ამ თანამდებობაზე კანდიდატების დასახელება ორი ფორმით ხორციელდება: საპარლამენტო ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებული პეტიცია, რომელიც პარლამენტის არანაკლებ თხუთმეტი დეპუტატისა ან 15 000 მოქალაქისგანაა შემდგარი. არჩევნებში მოსაგებად, კანდიდატებმა უნდა მიიღონ სიაში ჩაწერილი ყველა ამომრჩევლის ვალიდური ბიულეტენების აბსოლუტური უმრავლესობა. თუკი არც ერთი მათგანი ამას ვერ მიაღწევს, სიის პირველი ორი კანდიდატი ერთმანეთს მეორე ტურში უპირისპირდება, რომელშიც გამარჯვებულმა მიცემული ხმების ყველაზე დიდი რაოდენობა უნდა მოიპოვოს.

სამთავრობო კოალიციის მიერ დასახელებული – SDK-SDĽ-SMK-SOP – რუდოლფ შუსტერი პირდაპირი არჩევნებით არჩეული სლოვაკეთის პირველი პრეზიდენტი გახდა. არჩევნების მეორე ტურში მან ხმების 52,2% მიიღო, მისმა მოწინააღმდეგემ, ვლადიმირ მეციარმა კი 42,8%. 2004 წლის აპრილში, ჩატარდა მეორე პირდაპირი საპრეზიდენტო არჩევნები. ნაციონალისტური და მემარცხენე ძალების კანდიდატმა ივან გასპაროვიჩმა ხმათა 59,9%-ით გაიმარჯვა არჩევნების მეორე ტურში. კვლავ დამარცხებულმა ვლადიმირ მეციარმა ხმების მხოლოდ 40,1% მიიღო.

მთავრობა

სლოვაკეთში, მთავრობა აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა. სამთავრობო კაბინეტი და მისი წევრები პარლამენტის წინაშე არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ფუნქციების აღსრულებაში. დეპუტატებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ მთავრობის ან მისი წევრების ნდობის კითხვის ქვეშ დაყენება უნდობლობის გამოცხადების კენჭისყრით პარლამენტში, რომელიც მხოლოდ ასამბლეის წევრთა აბსოლუტური უმრავლესობით შეიძლება იქნეს მიღებული (არანაკლებ 76 დეპუტატი 150-იდან). მთავრობის წევრის ფუნქცია შეუთავსებელია საპარლამენტო მანდატთან. თუკი პარლამენტის დეპუტატს სამთავრობო თანამდებობაზე ნიშნავენ, იგი წყვეტს თავის სადეპუტატო მანდატს. ამ შემთხვევაში, მის ადგილს იგივე პარტიის სხვა დეპუტატი იკავებს.

მთავრობა განსაზღვრავს და წარმართავს ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ პოლიტიკას, წყვეტს შიდა და საგარეო პოლიტიკის საკითხებს და შეიარაღებულ ძალებს მისიებს აკისრებს უცხოეთში. მთავრობა ასევე ახდენს კანონების ინიცირებას და პარლამენტს კანონპროექტებს წარუდგენს როგორც კოლექტიური კორპუსი. მთავრობას საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის უფლება აქვს პარლამენტის მიერ დამტკიცებული კანონებისა და რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, რომლებიც კონსტიტუციის დარღვევადაა მიჩნეული.

მთავრობის შემადგენლობა ძალთა ბალანსის ლოგიკას მიჰვება პარლამენტში. კაბინეტი დეპუტატთა უმრავლესობის მხარდაჭერას ეძებს. ამიტომაც, უმრავლესობის პარტიების კოალიცია ასამბლეაში მთავრობის ფორმირების საფუძველს წარმოადგენს. 1990 წლიდან საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, სლოვაკეთში ჩამოყალიბებული ყველა კაბინეტი საპარლამენტო უმრავლესობების საფუძველზე შეიქმნა კოალიციის შიგნით მოლაპარაკებების შედეგად.

1989 წლის ნოემბრიდან, მილან ჩიკი, ვლადიმირ მეციარი, იან ჩარნოგურსკი, იოზეფ მორავჩიკი, მიკულაშ დზურინდა და რობერტ ფიცო მთავრობებს ედგნენ სათავეში. 1989-2006 წლებში რვა კაბინეტის მონაცვლეობა მოხდა – ექვსი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ერთი, როგორც ძალთა ბალანსის ცვლილების შედეგი პარლამენტის შიგნით საარჩევნო მანდატის განმავლობაში, ერთმა კაბინეტმა კი დროებითი მთავრობის არსებობა უზრუნველყო კომუნისტური რეჟიმის ნგრევასა და პირველ თავისუფალ არჩევნებს შორის პერიოდში.

1989 (დეკემბერი)-1990 (ივნისი) წლებში, ადგილი ჰქონდა „ეროვნული თანხმობის" მთავრობის ფორმირებას პრემიერ-მინისტრ ჩიკის თავმჯდომარეობით (KSS-სლოვაკეთის კომუნისტური პარტია). ეს მთავრობა შეთანხმების შედეგს წარმოადგენდა სამოქალაქო მოძრაობის VPN-ს წარმომადგენელთა და ხელისუფლებაში მყოფი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობას შორის ხელისუფლების გადაცემასა და დემოკრატიაზე გადასვლელად.

პირველი თავისუფალი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ჩამოყალიბებული იქნა VPN–KDH-DS-გან ((საზოგადოება ძალადობის წინააღმდეგ-ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა-დემოკრატიული პარტია) შემდგარი კოალიცია. 1990 წლის ივნისიდან 1991 წლის აპრილამდე ამ კოალიციას ვლადიმირ მეციარი (VPN) ედგა სათავეში, ხოლო 1991 წლის აპრილიდან 1992 წლის ივნისამდე იან ჩარნოგურსკი (KDH).

1992 წლის საპარლამენტო არჩევნების მეორე ციკლმა მთავრობაში HZDS-ი მოიყვანა SNS-ის (სლოვაკეთის ნაციონალური პარტია) ფარული მხარდაჭერით. ვლადიმირ მეციარი (HZDS) პრემიერ-მინისტრი გახდა. 1993 წლის ოქტომბერში, HZDS-მა და SNS-მა კოალიციის ფორმალურ შეთანხმებაზე მოაწერეს ხელი. თუმცა, 1994 წლის მარტში კოალიციამ თავისი უმრავლესობა დაკარგა პრემიერ-მინისტრ ვლადიმირ მეციარისთვის უნდობლობის გამოცხადების შედეგად.

1994 წლის მარტში, პრემიერ-მინისტრმა იოზეფ მორავჩიკმა (DÚ-დემოკრატიული კავშირი) სამთავრობო კოალიცია ჩამოაყალიბა KDH-DU-SDĽ-თან (ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა-დემოკრატიული კავშირი-მემარცხენე-დემოკრატიული პარტია) ერთად MK-ს (უნგრული კოალიცია) ფარული მხარდაჭერით. ეს სამთავრობო კოალიცია თავის უფლებამოსილებებს 1994 წლის დეკემბრამდე ასრულებდა.

მარტის თვეში, 1994 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ვლადიმირ მეციარი (HZDS) კვლავ პრემიერ-მინისტრად დაინიშნა. მან სამთავრობო კოალიცია ჩამოაყალიბა HZDS-ZRS-SNS-თან ერთად. ეს კოალიცია 1994 წლის დეკემბერსა და 1998 წლის ოქტომბერს შორის არსებულ პერიოდში მართავდა ქვეყანას.

1998 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ვლადიმირ მეციარი ხელისუფლებას იქნა ჩამოშორებული და მიკოლაშ დზურინდამ (SDK) SDK-SDĽ-SMK-SOP-გან შემდგარი კოალიცია ჩამოაყალიბა. ამ კოალიციის მმართველობა 1998 წლის ოქტომბრიდან 2002 წლის ოქტომბრამდე გაგრძელდა.

2002 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს, პრემიერ-მინისტრმა მიკოლაშ დზურინდამ (SDKÚ) სხვა სამთავრობო კოალიცია ჩამოაყალიბა SDKÚ-SMK-KDH-ANO-თან ერთად. დზურინდას მეორე მთავრობამ 2002 წლის ოქტომბრიდან 2006 წლის ივლისამდე იმუშავა.

2006 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, მისი ადგილი დაიკავა Smer-SD-SNS-HZDS-გან (მიმართულება-სოციალ-დემოკრატია-სლოვაკეთის ნაციონალური პარტია-მოძრაობა დემოკრატიული სოვაკეთისთვის) შემდგარმა ახალმა სამთავრობო კოალიციამ პრემიერ-მინისტრ რობერტ ფიცოს (Smer-SD) ხელმძღვანელობით.

პარლამენტი

პარლამენტი, ეროვნული საბჭო, ერთადერთი დამფუძნებელი და საკანონმდებლო ასამბლეაა სლოვაკეთში. ერთპალატიანი პარლამენტი 150 დეპუტატისგან შედგება, რომლებიც ოთხწლიანი წარმომადგენლობითი მანდატით არიან არჩეულნი. საკანონმდებლო სფეროში პარლამენტის კომპეტენციები კონტროლიდან სახელმწიფო ორგანოების შექმნამდე ვრცელდება. ეროვნულ საბჭოს გადაწყვეტილებების მიღების უფლება აქვს შიდა, საერთაშორისო, ეკონომიკურ, სოციალურ და სხვა პოლიტიკურ პრობლემებზე. ასევე, პარლამენტი განიხილავს და ამტკიცებს კონსტიტუციას, იღებს საკონსტიტუციო და ჩვეულებრივ კანონებს (სახელმწიფო ბიუჯეტის ჩათვლით) და კანონთა ამოქმედებას აკონტროლებს. ის ახდენს საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიკაციას და გადაწყვეტილებებს იღებს რეფერენდუმის ჩატარებასთან დაკავშირებულ წინადადებებზე. პარლამენტი ქმნის სამინისტროებსა და სხვა სახელმწიფო ადმინისტრაციულ ორგანოებს და მთავრობის საქმიანობის კონტროლს ანხორციელებს. გარდა ამისა, მას შეუძლია სამთავრობო კაბინეტისა და მისი წევრების მიმართ ნდობის ან უნდობლობის კენჭისყრის გამოცხადება. იგივე ფორმით, პარლამენტი თავის თანხმობას უცხადებს სამთავრობო პროგრამას, ირჩევს და უფლებამოსილებებს უჩერებს კონტროლის უმაღლესი ბიუროს თავჯდომარესა და ვიცე-თავჯდომარეს, ასევე ირჩევს კანდიდატებს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა თანამდებობებზე და იურიდიული საბჭოს სამ წევრს.

პარლამენტს შეუძლია პრეზიდენტის ვეტოსთვის გვერდის ავლა თუკი ის დეპუტატთა აბსოლუტური უმრავლესობის მხარდაჭერას მოიპოვებს (არანაკლებ 76 დეპუტატისა 150-დან) ახალი კენჭისყრისთვის იმ კანონმდებლობაზე, რომელიც შეიძლება ამგვარი ვეტოს ობიექტი გახდეს. არანაკლებ 30 დეპუტატისგან შემდგარ ჯგუფს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვა შეუძლია ახალი კანონმდებლობის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით.

საპარლამენტო კომიტეტები პარლამენტის სტრუქტურის მნიშვნელოვანი ელემენტებია. მაშინ როდესაც სამ კომიტეტს, მანდატისა და იმუნიტეტის კომიტეტი, სახელმწიფო ფუნქციებთან შეუთავსებლობის კომიტეტი და საგარეო პოლიტიკის კომიტეტი, უფლებამოსილებებით არის აღჭურვილი, სხვა კომიტეტები პარლამენტის თანხმობითაა შექმნილი პირველი საპარლამენტო სესიის საჭიროებების შესაბამისად არჩევნების დროს. საპარლამენტო კომიტეტებს კანონპროექტების ინიცირების, ყველა საკანონმდებლო წინადადებების განხილვისა და დეპუტატებისა და საპარლამენტო საგამოძიებო ჯგუფების კონტროლის უფლება აქვთ.

ცხრილი №1: სლოვაკეთის რესპუბლიკის პარლამენტის საკანონმდებლო საქმიანობა 1990 წლის ივნისიდან 2005 წლის დეკემბრამდე

	მიღებული კანონები (მთლიანად)	მთავრობის მიერ შემოტანილი დამტკიცებული წინადადებები	პრემიერ-მინისტრის მიერ შემოტანილი დამტკიცებული წინადადებები	საპრეზიდენტო ვეტო
1990 წ.	33	23 (70%)	10 (30%)	-
1991 წ.	65	51 (78%)	14 (22%)	-
1992 წ.	89	71 (80%)	18 (20%)	-
1993 წ.	106	85 (80%)	21 (20%)	4
1994 წ.	93	61 (66%)	32 (34%)	4
1995 წ.	84	68 (81%)	16 (19%)	7
1996 წ.	79	64 (81%)	15 (19%)	13
1997 წ.	72	66 (92%)	6 (8%)	8
1998 წ.	87	68 (78%)	19 (22%)	2
1999 წ.	100	84 (84%)	16 (16%)	3
2000 წ.	126	96 (76%)	30 (24%)	20
2001 წ.	133	113 (85%)	20 (15%)	17
2002 წ.	180	128 (71%)	52 (29%)	35
2003 წ.	154	134 (87%)	20 (13%)	22
2004 წ.	181	156 (25 (14%)	25 (14%)	21
2005 წ.	142	115 (81%)	27 (19%)	11
2006 წ.	88	54 (61%)	34 (39%)	4

საარჩევნო სისტემა

თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარების აუცილებელი კანონიერი და ინსტიტუციონალური ჩარჩო 1990 წელს იქნა შემუშავებული პარლამენტის მიერ ახალი საარჩევნო კანონის დამტკიცების დროს. კომუნისტური რეჟიმის დაშლის შემდეგ ჩატარებულმა საპარლამენტო არჩევნებმა შექმნა პლურალისტული სისტემის რეპროდუქციის პირობები, ჩამოაყალიბა ინტერაქციის მეთოდი სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის, რომელიც ხალხის წარმომადგენლებს ქვეყნის უმაღლეს ორგანოში არჩეულად ყოფნის შესაძლებლობას აძლევს კანონის ძალით და იქ საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების პოლიტიკური ინტერესების წარმოჩენას. ამ არჩევნებმა გავლენა იქონია პარტიული სისტემის ფორმირებაზე, შექმნა პოლიტიკური ელიტის ევოლუციისთვის ხელსაყრელი პირობები და ბიძგი მისცა პოლიტიკურ ძალებს შორის შეჯიბრს.

სლოვაკეთში დღეისათვის არსებულ საარჩევნო სისტემას შემდეგი მახასიათებლები აქვს :

1. საარჩევნო კანონს არა აქვს საკონსტიტუციო კანონის ანალოგიური ძალა, რომლის მიღება პარლამენტის სამი მეხუთედის უმრავლესობას გულისხმობს (150 დეპუტატიდან 90). ამ კანონში შესაძლებელია შესწორების შეტანა ან მისი გაუქმება ახალი კანონით საპარლამენტო სესიის დროს წარმოდგენილ დეპუტატთა უბრალო უმრავლესობით. საკონსტიტუციო სისტემაში ასეთი სუსტი პოზიცია საარჩევნო კანონს მოწყვლადს ხდის საპარლამენტო უმრავლესობის მცდელობების მიმართ, რომელიც ამ კანონის საკუთარი პოლიტიკური ინტერესებისთვის მისადაგებას ცდილობს.

2. კონსტიტუციაში მოხსენიებული არაა საარჩევნო სისტემის ტიპი. ეს ხარვეზი პროპორციული სისტემების მაჟორიტარულ ან შერეულ სისტემად შეცვლის შესაძლებლობას იძლევა.

3. საარჩევნო სისტემა ადგენს პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპს და მინიმალურ საარჩევნო ბარიერს აწესებს ცალკეული პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო კოალიციების პარლამენტში შესასვლელად. ეს ასპექტი გავლენას ახდენს საარჩევნო სტრატეგიებზე ძალზე დანაწევრებულ პარტიულ სისტემაში, რომელიც სლოვაკური საზოგადოების მრავალფეროვნებას ასახავს.

4. საარჩევნო კანონს „კანდიდატთა შეზღუდული სია" შემოაქვს და პრეფერენციულ ხმის მიცემას უზრუნველყოფს (ინდივიდუალური კანდიდატებისთვის მიცემული ხმები, რომლებიც პარტიულ სიაშია შეტანილი).

5. კონსტიტუციის თანახმად, დეპუტატები წარმომადგენლობითი მანდატით არიან აღჭურვილნი. აღნიშნული ნიშნავს, რომ პარლამენტის წევრები თავიანთ უფლებამოსილებებს „ინდივიდუალურად, საკუთარი შეგნებისა და რწმენის შესაბამისად ასრულებენ ყოველგვარი დირექტივის გარეშე." პარლამენტში წარმოდგენილ პოლიტიკურ პარტიებს არ შეუძლიათ დირექტივების მიცემა ან პარტიული ხაზის მიხედვით ხმის მიცემის იძულება თავიანთი დეპუტატებისთვის.

1990 წელს მიღებული საარჩევნო კანონი, მიუხედავად პროპორციული წარმომადგენლობის სისტემის შემოღებისა, ჩეხოსლოვაკიაში კომუნისტურ სისტემამდე არსებულ პოლიტიკურ ტრადიციებთან იყო დაკავშირებული. გარდა ამისა, ეს კანონი აღნიშნავდა სარგებელის გამოტანის ძალისხმევას დასავლეთ ევროპის უმრავლესი სახელმწიფოს გამოცდილებიდან. ზოგადად, პროპორციული წარმომადგენლობის სისტემა მაჟორიტარულ მოდელზე უფრო დემოკრატიულად განიხილებოდა. თუკი ჩეხოსლოვაკიაში 1920 წელს, 1925 წელს, 1929 წელს, 1935 წელსა და 1946 წელს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები პროპორციული წარმომადგენლობის სისტემით იქნა ჩატარებული, კომუნისტური არჩევნები უნინომინალური ოლქების მაჟორიტარული პრინციპით ტარდებოდა. ეს მჭიდროდ იყო დაკავშირებული მაჟორიტარული სისტემის როგორც კომუნისტური პარტიის მმართველი როლის აღქმასთან და ძველი რეჟიმის რეპრესიულ ხასიათთან. პროპორციული წარმომადგენლობის სისტემის მომხრეები ხაზს უსვამდნენ ადეკვატური ინსტიტუციონალური ჩარჩოს შექმნის აუცილებლობას პოლიტიკური ძალების სისტემის განვითარებისთვის, რომელიც სლოვაკური საზოგადოების პოლიტიკურ, სოციალურ-კულტურულ, დემოგრაფიულ, რეგიონალურ, ეთნიკურ და კონფესიონალურ მრავალფეროვნებას ასახავდა.

საარჩევნო კანონის დებულებები ორ მთავარ მიზანს ისახავდა: საზოგადოებაში არსებული ინდივიდების ჯგუფებისა და ინტერესების შესაბამისი წარმომადგენლობის პირობების შექმნა პროპორციული წარმომადგენლობით და პარტიული სისტემის გადაჭარბებული ფრაგმენტაციის თავიდან აცილება სპეციალური შემზღუდველი ბარიერების დაწესებით, რომელიც მოიცავს :

– მინიმალურ ბარიერს პარლამენტში შესასვლელად. 1990 წელს ეს ბარიერი 3%-ით განისაზღვრა ინდივიდუალური პოლიტიკური ერთეულისთვის. 1992-1998 წლებში და 1999 წლის შემდეგ, აღნიშნული ბარიერი 5%-მდე გაიზარდა მხოლოდ ერთი პარტიისთვის, 7%-მდე ორი ან სამი პარტიისგან შემდგარი კოალიციისთვის და 10%-მდე ოთხი ან მეტი პარტიისგან შემდგარი კოალიციისთვის. 1998 წლის არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე, საგრძნობლად იქნა შეცვლილი საარჩევნო კოალიციების პირობები და გაუქმდა დებულებები სხვა ბარიერებისთვის. შესწორებული საარჩევნო კანონის შესაბამისად, თითოეულ პარტიას, კოალიციაში მონაწილე პარტიის ჩათვლით, ხმათა 5% უნდა მიეღო პარლამენტში შესასვლელად. საარჩევნო კანონში შესწორების შეტანა ყველაზე ძლიერი მმართველი პარტიის (HZDS) მიერ იყო მოტივირებული. ეს პარტია ძალისხმევას არ იშურებდა ხელისუფლებაში საკუთარი პოზიციის შენარჩუნებისა და თავისი ყველაზე ძლიერი მეტოქის – სლოვაკეთის დე-

მოკრატიული კოალიცია (SDK) – გამარჯვების თავიდან ასაცილებლად, რომელიც სხვადასხვა მასშტაბის ხუთი პარტიისგან შემდგარ კოალიციას წარმოადგენდა. 1999 წელს სხვა შესწორებამ ახლიდან შექმნა საარჩევნო შეჯიბრის პირობები და ხელახლა შემოიღო ბარიერების თავდაპირველი რეგულაციები:

– მინიმალური საარჩევნო ბარიერი პარტიებს ფინანსური კომპენსაციის მიღების შესაძლებლობას აძლევდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან საარჩევნო დანახარჯებისთვის. 1990 წელს, ხმათა 2%-ის მიმღები თითოეული პარტია ფინანსური კომპენსაციით სარგებლობდა თითოეული მოპოვებული ხმისთვის. 1994 წლიდან კომპენსაციების მისაღებად მოთხოვნილი საარჩევნო მოგება 3%-მდე გაიზარდა. კომპენსაციის მიღების უფლების მქონე პარტიები სახელმწიფოსგან სუბსიდიებს იღებენ.

– 500 000 სლოვაკური კრონა (დაახლოებით 16 000 ევრო) – საარჩევნო ტაქსაა თითოეული პარტიისთვის ან ბევრი პარტიისგან შემდგარი კოალიციისთვის. ეს თანხა ეძლევა იმ პარტიებს, რომლებმაც 3%-იანი ბარიერი გადალახეს.

პრეფერენციული ხმის მიცემის სისტემა სლოვაკეთში საარჩევნო კანონების შემადგენელია. კანდიდატი, რომელიც ამ ხმების 3%-ზე მეტს იღებს მანდატების განაწილებაში პრეფერენციულადაა მიჩნეული.

სლოვაკეთში დღეისათვის არსებული საარჩევნო რეგულაციები სავსებით უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი ჩარჩოს შენარჩუნებას პოლიტიკური სისტემის განვითარებისთვის, საკმარის სტაბილურობას პარტიული სისტემისთვის და პარტიების დამოუკიდებლობას სახელმწიფოსთან მიმართებაში. ამ რეგულაციებმა ასევე ხელსაყრელი პირობები შექმნეს პოლიტიკური პარტიების ტრადიციული ფუნქციების შესასრულებლად, რაც გულისხმობს მოქალაქეთა მობილიზებას დემოკრატიულ პროცესში მონაწილეობის მისაღებად, კავშირების დამყარებას სამოქალაქო საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის, საზოგადოების გარკვეული ჯგუფების ინტერესების წარმოდგენას (ეროვნულ უმცირესობათა ჩათვლით) და პოლიტიკური ელიტების შერჩევას ფუნქციების შესასრულებლად საკანონმდებლო და აღმასრულებელი სისტემის შიგნით.

საპარლამენტო არჩევნები სლოვაკეთში ჩატარდა 1990 წელს, 1992 წელს, 1994 წელს, 1998 წელს, 2002 წელსა და 2006 წელს.

ტაბულა №2: საპარლამენტო არჩევნების შედეგები სლოვაკეთში :

1990 წლის არჩევნები

პარტიები/კოალიციები	ხმების პროცენტული მაჩვენებელი	ადგილები პარლამენტში
VPN/MNI*	29,3	48
KDH**	19,2	31
SNS***	13,9	22
KSS****	13,3	22
MKDH/Spol.*****	8,6	14
DS******	4,3	7
SZ*******	3,4	6

*საზოგადოება ძალადობის წინააღმდეგ/მადიართა სამოქალაქო პარტია; **ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა; ***სლოვაკეთის ნაციონალური პარტია; ****სლოვაკეთის კომუნისტური პარტია; *****ქრისტიან-დემოკრატიული უნგრული მოძრაობა/თანაარსებობის მოძრაობა; ******დემოკრატიული პარტია; *******მწვანეთა პარტია.

1992 წლის არჩევნები

პარტიები/კოალიციები	ხმების პროცენტული მაჩვენებელი	ადგილები პარლამენტში
HZDS*	37,3	74
SDL'**	14,7	29
KDH***	8,9	18
SNS****	7,9	15
MKDH/Spol.*****	7,4	14

*მოძრაობა დემოკრატიული სლოვაკეთისათვის; ** მემარცხენე დემოკრატიული პარტია; *** ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა; ****სლოვაკეთის ნაციონალური პარტია; ***** ქრისტიან-დემოკრატიული უნგრული მოძრაობა/თანაარსებობის მოძრაობა.

1994 წლის არჩევნები

პარტიები/კოალიციები	ხმების პროცენტული მაჩვენებელი	ადგილები პარლამენტში
HZDS*	35,0	61
SV**	10,4	18
MK***	10,2	17
KDH****	10,1	17
DU*****	8,6	15
ZRS******	7,3	13
SNS*******	5,4	9

*მოძრაობა დემოკრატიული სლოვაკეთისათვის; **საერთო არჩევანის კოალიცია; ***უნგრული კოალიცია; ****ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა; *****დემოკრატიული კავშირი; ******სლოვაკეთის მუშათა გაერთიანება; *******სლოვაკეთის ნაციონალური პარტია.

1998 წლის არჩევნები

პარტიები	ხმების პროცენტული მაჩვენებელი	ადგილები პარლამენტში
HZDS*	27,0	43
SDK**	26,3	42
SDL'***	14,7	23
SMK****	9,1	15
SNS*****	9,1	14
SOP******	8,0	13

*მოძრაობა დემოკრატიული სლოვაკეთისათისათვის; **სლოვაკეთის დემოკრატიული კოალიცია; ***მემარცხენე დემოკრატიული პარტია; ****უნგრული კოალიციის პარტია; *****სლოვაკეთის ნაციონალური პარტია; ******სამოქალაქო შეგნების პარტია.

2002 წლის არჩევნები

პარტია	ხმების პროცენტული მაჩვენებელი	ადგილები პარლამენტში
HZDS*	19,5	36
SDKU**	15,1	28
Smer***	13,5	25
SMK****	11,2	20
KDH*****	8,3	15
ANO******	8,0	15
KSS*******	6,3	11

*მოძრაობა დემოკრატიული სლოვაკეთისათვის; **სლოვაკეთის ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი;***მიმართულება-სოციალ-დემოკრატია; ****უნგრული კოალიციის პარტია; *****ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა; ******ახალი მოქალაქის ალიანსი; *******სლოვაკეთის კომუნისტური პარტია.

2006 წლის არჩევნები

პარტია	ხმების პროცენტული მაჩვენებელი	ადგილები პარლამენტში
Smer-SD*	19,1	50
SDKU-DS**	18,4	31
SNS***	11,7	20
SMK****	11,7	20
L'S-HZDS*****	8,8	15
KDH******	8,3	14

*მიმართულება-სოციალ-დემოკრატია; **სლოვაკეთის ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი-დემოკრატიული პარტია; ***სლოვაკეთის ნაციონალური პარტია; ****უნგრული კოალიციის პარტია; *****სახალხო პარტია-მოძრაობა დემოკრატიული სლოვაკეთისათვის; ******ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა.

პარტიული სისტემა

1990-იანი წლებში სლოვაკეთში პარტიული სისტემა უაღრესად პლურალისტული გახდა საკმაოდ დიდი რაოდენობის საპარლამენტო პარტიებით. 1994 წლიდან, არჩევნების შედეგად პარლამენტში არანაკლებ ექვსი პარტია შევიდა. 1998-2002 წლებისა და 2002-2006 წლების ლეგისლატურის განმავლობაში, მათი რაოდენობა გაიზარდა კიდეც, რაც პარტიების რეორგანიზაციისა და დეზინტეგრაციის შედეგი იყო. ამავე დროს, პარტიულ სისტემას სლოვაკეთში არ განუცდია დანაწევრებულ პლურალიზმად ტრანსფორმაცია.

1992 წელს თავისუფალი არჩევნების მეორე ციკლის შემდეგ, სლოვაკეთის პარტიული სისტემა პოლარიზაციით აღინიშნა, რამაც პარტიებს შორის ინტერაქციები განსაზღრა, კერძოდ, მმართველი კოალიციების შექმნის მეშვეობითა და ოპოზიციის მიერ შემუშავებული პოლიტიკის ტიპით. თუმცა, სისტემას არ ახასიათებდა პოლარიზებული პლურალიზმი იდეოლოგიური თვალსაზრისით, მაგრამ ის ზომიერი პლურალიზმით აღინიშნა. პირველ ყოვლისა, პოლარიზაცია დაკავშირებული იყო პარტიების სხვადასხვა საშუალებებთან ხელისუფლების აღსრულებაში და არა უცილობლად მათ შორის არსებულ იდეოლოგიურ დისტანციასთან. პარტიული ნიშნით მიმხრობის სისტემაში პარტიათა ორი მთავარი ჯგუფი გამოიკვეთა, რომელთა იდეოლოგიური ორიენტაცია განსხვავდებოდა, მაგრამ ისინი ხელისუფლების აღსრულების ერთგვარ გაგებას იზიარებდნენ.

პარტიების პირველ ჯგუფში შედიოდნენ ის პარტიები, რომლებიც ლიბერალური დემოკრატიის პრინციპებსა და ღირებულებებს იზიარებდნენ (თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები, სამართლებრივი სახელმწიფო, ხელისუფლების დაყოფა, ადამინის უფლებებისა და სამოქალაქო თავისუბლებების დაცვა, რელიგიის თავისუფლება და კერძო საკუთრების უფლებები). ამ პარტიებს აშკარა იდეოლოგიური მახასიათებელი ჰქონდა: პროევროპული და პროატლანტიკური ორიენტაცია ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე და საზოგადოებაში არსებული კონფლიქტების მოლაპარაკებებით გადაჭრა კანონიერ ჩარჩოში. ეს პარტიები უკვე არსებული პარტიების საერთაშორისო ორგანიზაციების წევრებს წარმოადგენდნენ (კონსერვატორები, ლიბერალები, სოციალ-დემოკრატები, მწვანეები). როდესაც აღნიშნული პარტიები ოპოზიციაში იმყოფებოდნენ 1994-1998 წლებში, მათ სამთავრობო კოალიციები ჩამოაყალიბეს 1998 წლისა და 2002 წლის არჩევნების შემდეგ.

მეორე ჯგუფი მოიცავს იმ პარტიებს, რომლებიც ქვეყანას 1994-1998 წლებში მართავდნენ. ისინი ხელისუფლებას ლიბერალური დემოკრატიის პრინციპებთან შეუთავსებელი საშუალებებით აღასრულებდნენ, რასაც შედეგად ევროპული და ატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის შენელება მოჰყვა 1990-იანი წლების მეორე ნახევარში. ეს პარტიები მმართველობის ავტორიტარულ სტილს ანიჭებდნენ უპირატესობას, რომელიც პოპულიზმით, ნაციონალიზმითა და იზოლაციონიზმით იყო აღბეჭდილი. ისინი პოლიტიკას კონფლიქტურად აღიქვამდნენ და მოლაპარაკებისა და კომპრომისის მნიშვნელობას უგულებელყოფდნენ. აღნიშნული პარტიების მიერ განვითარებულმა პოლიტიკამ იმგვარი პოლიტიკური რეჟიმის შექმნა გამოიწვია, რომელიც შეიცავდა, როგორც არალიბერალური დემოკრატიის ელემენტებს, ისე კონსტიტუციური ჩარჩოსა და დემოკრატიის პრაქტიკის უგულებელყოფას კონსტიტუციური ლიბერალიზმის არარსებობისას. ეს პარტიები საზოგადოებაში არსებული კონფლიქტების გადაჭრას საკუთარი ძალაუფლების გაზრდით ცდილობდნენ „თამაშის წესების“ სანაზიანოდ.

სლოვაკეთში პარტიული ნიშნით მიმხრობის სისტემის დაყოფა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქალაქსა და სოფელს შორის არსებულ განსხვავებასთან, რეგიონალურ და სოციალურ-დემოგრაფიულ შეუსაბამობასთან და მოსახლეობის სპეციფიკური ჯგუფების სოციალურ-კულტურული ორიენტაციის სხვადასხვაგვარობასთან. სლოვაკების საარჩევნო ქცევაზე ჩატარებული ანალიზი ცხადყოფს, რომ არაავტორიტარულ პოლიტიკურ პარტიებს მხარს უჭერენ მეტად განათლებული ქალაქის მცხოვრებლები, ყველაზე ახალგაზრდა მოქალაქეები და ისინი, ვისაც ლიბერალური, სამოქალაქო და პროდასავლური მსოფლმხედველობა აქვთ. SMK-ს ელექტორატი გამონაკლისად რჩება და უნგრული უმცირესობის ყველა სეგმენტს მოიცავს. სამაგიეროდ, ავტორიტარულ და პოპულისტურ პარტიებს მხარს უჭერენ სოფლის რეგიონების მცხოვრებლები, ასაკოვანი და ნაკლებად განათლებული მოქალაქეები, რომლებიც აშკარად იხრებიან ნაციონალიზმის, პატერნალიზმისა და იზოლაციონიზმისკენ.

დროთა განმავლობაში, სლოვალეთის პარტიულმა სისტემამ მრავალი ცვლილება განიცადა (მაგალითად, ახალი საპარლამენტო პარტიების გამოჩენა), მაგრამ ამას განხეთქილება არ გამოუწვევია პარტიებს შორის დომინანტური ინტერაქციების ტიპებში. პარტიული ნიშნით მიმხრობის სისტემის შიგნით პოლარიზაცია დღესაც არსებობს. ამის საუკეთესო ილუსტრაციაა სამთავრობო კოალიციების მონაცვლეობის მოდელი. 1992 წლიდან, მთავრობაში მყოფი პარტიები ხან მმართველობას აგრძელებდნენ არჩევნების შემდეგ, ხან ერთად გადადიოდნენ ოპოზიციაში, მაშინ როდესაც ოპოზიციური პარტიები მოქმედებას ოპოზიციაში აგრძელებდნენ, ხან კი ხელისუფლებაში მოდიოდნენ. სამაგიეროდ, ადგილი არ ქონია იმგვარი კოალიციის შემთხვევას, როდესაც მასში შემავალი პარტიები არ ყოფილან ან მთავრობაში ან ოპოზიციაში ძველი ლეგისლატურის პერიოდში.

2002 წლიდან, პარტიების სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის განსხვავებულმა ხედვებმა პარტიული სისტემის ძირითადი დაყოფის მიმართულება გამოკვეთა. ამ ფენომენის ახსნა შესაძლებელია იმ ფაქტით, რომ ბრძოლა პოლიტიკური რეჟიმის დემოკრატიული ჩარჩოსთვის (ამ ბრძოლის აქტორები ორი ჯგუფის წარმომად-

გენელი პარტიები იყვნენ) ჩაცხრა, როდესაც სლოვაკეთმა ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების კრიტერიუმები დააკმაყოფილა. დომინანტური გახდა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თემები: გადასახადები, საჯარო ფინანსები, საპენსიო რეფორმა, ჯანდაცვა და განათლება.

ხელისუფლების ტერიტორიული დაყოფა

სლოვაკეთის რესპუბლიკა უნიტარული სახელმწიფოა, რომელსაც ძლიერი დეცენტრალიზაცია ახასიათებს. საჯარო ადმინისტრაცია ორ სისტემადაა დაყოფილი: სახელმწიფო ადმინისტრაცია (აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები) და ადგილობრივი ადმინისტრაცია (რჩეულთა კორპუსი). რჩეულთა კორპუსი სამი ტიპისაა: ცენტრალური (პარლამენტი), რეგიონალური (რეგიონალური ასამბლეები) და ადგილობრივი (მუნიციპალური საბჭოები). ქვეყანა რვა ადმინისტრაციულ რეგიონადაა დაყოფილი.

2001-2004 წლებში საჯარო ადმინისტრაციის რეფორმის შედეგად, ცენტრალური ხელისუფლების მნიშვნელოვანი ინსტიტუტების უფლებამოსილებები ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების ორგანოებს გადაეცა. დღეისათვის, ამ ორგანოებს ნებისმიერი საკითხის მოგვარების უფლება აქვთ განათლების, სანიტარული სამსახურების, სოციალური საქმეების, ტრანსპორტისა და გარემოს დაცვის სფეროებში. რეგიონალური და ადგილობრივი ადმინისტრაციებისთვის დელეგირებული კომპეტენციების ამოქმედების შესაძლებლობის მისაცემად, ცენტრალურმა ხელისუფლებამ ამ უკანასკნელთ საჭირო ფონდების მიღების უფლებამოსილება გადასცა ფისკალური დეცენტრალიზაციის გზით: ადგილობრივი გადასახადების შეკრების უფლება.

ადგილობრივი ადმინისტრაციების წარმომადგენლები (მუნიციპალური საბჭოებისა და რეგიონალური ასამბლეების დეპუტატები, სოფლებისა და ქალაქების მერები, ასევე რეგიონალური გუბერნატორები) პირდაპირი, თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნებით არიან არჩეულნი. საარჩევნო სისტემა გახსნილია პარტიების კანდიდატებისა და დამოუკიდებელი კანდიდატებისთვის. ადგილობრივი არჩევნები ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდება.

ადგილობრივი და რეგიონალური ადმინისტრაციის კორპუსს არა აქვს კანონების გვერდის ავლის უფლება, რომლებიც ნაციონალური საკანონმდებლო ასამბლეიდან მომდინარეობს. კანონი ადგილობრივ ადმინისტრაციებს გაერთიანებების შექმნის უფლებას აძლევს სხვა შიდა თუ უცხოეთის თვითმმართველობის ინსტიტუტებთან თავიათი ინტერესების დაცვისა და ადგილობრივი პრობლემების გადაჭრისთვის.

ხელისუფლების კონტროლი

სლოვაკეთის რესპუბლიკა სტაბილური დემოკრატიაა იმგვარი მმართველობის სისტემით, რომელიც ეფექტური ფორმით ახორციელებს ხელისუფლების დაყოფის პრინციპს პარლამენტს, მთავრობასა და პრეზიდენტს შორის. მთავრობა ასამბლეის წინაშეა პასუხისმგებელი, რომელსაც მისი გადაყენების უფლება აქვს. პრეზიდენტს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებზე ვეტოს დადების უფლება აქვს, რომელმაც თავის მხრივ, კვალიფიციური უმრავლესობა უნდა შეაგროვოს პრეზიდენტის ვეტოს გასაუქმებლად. პრეზიდენტს, მთავრობასა და პარლამენტის წევრებს (არანაკლებ 30 პიროვნებისგან შემდგარი ჯგუფი) საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის უფლება აქვს გარკვეული საქმიანობისა და კანონმდებლობის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. მოქალაქეებს პირდაპირი მონაწილეობის მიღება შეუძლიათ პოლიტიკურ პროცესში არჩევნების გზითა და პოლიტიკურ პარტიებში გაწევრიანების მეშვეობით.

დამოუკიდებელი და საკუთარ ქმედებებში თავისუფალი საკონსტიტუციო სასამართლო ზედამხედველობას უწევს მოქმედი კანონმდებლობის კონსტიტუციურობას. მას შეუძლია არაკონსტიტუციურად გამოაცხადოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული კანონები, გააუქმოს კაბინეტის გადაწყვეტილებები და დადგენილება გამოიტანოს პრეზიდენტის წინააღმდეგ მიმართულ ბრალდებებზე. ეს სასამართლო წყვეტს კონფლიქტებს სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის და კანონების კონსტიტუციურობის ინტერპრეტაციას ახდენს. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები კანონიერ შეზღუდვებს წარმოადგენს ყველა საჯარო ინსტიტუტისთვის. პრეზიდენტს, კაბინეტს, პარლამენტარებს, სასამართლოებს, გენერალურ პროკურორს და 2006 წლიდან ადამიანის უფლებათა მედიატორს ამ სასამართლოსადმი მიმართვის უფლება აქვთ კანონების, სამთავრობო რეგულაციებისა და საჯარო ადმინისტრაციის ყველა სხვა ლეგალური წესების სავარაუდო არაკონსტიტუციურობასთან დაკავშირებით. ზოგიერთ შემთხვევაში, ადგილობივ მთავრობებს იგივე უფლებით სარგებლობა შეუძლიათ. მოქალაქეებს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლება აქვთ სახელმწიფო ინსტიტუტის მიერ მათი კონსტიტუციური უფლებების შელახვის შემთხვევაში.

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს პრეზიდენტი ნიშნავს. იგი ირჩევს პარლამენტის მიერ შემოთავაზებული 26 კანდიდატიდან 13-ს. მოსამართლეების მანდატი თორმეტწლიანია, რაც პარლამენტისა და მთავრობის მანდატს ხანგრძლივობით სამჯერ აღემატება და ორნახევარჯერ პრეზიდენტის მანდატს.

1998 წლიდან, სლოვაკეთის პოლიტიკურმა სისტემამ სტაბილურობის არსებითი დონე და პოზიტიური საკანონმდებლო წინსვლა აჩვენა. პრეზიდენტის პირდაპირი არჩევნები 1999 წელს იქნა შემოღებული, ხოლო კონსტიტუციის გადასინჯვას 2001 წელს ჰქონდა ადგილი. 2001 წელს გაიზარდა რეგიონალური და ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილება, 2004 წელს მიღებული იქნა ახალი კანონი საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით, 2005 წელს კი ახალი კანონი პოლიტიკურ პარტიებზე. სამეცნიერო თანამეგობრობაში ხშირად იმართება დებატები საკანონმდებლო და ინსტიტუციონალურ დონეზე დამატებითი ცვლილებების განხორციელებასთან დაკავშირებით: პროპორციული საარჩევნო სისტემის რეფორმა შერეული ან მაჟორიტარული სისტემის სასარგებლოდ და პარლამენტის მეორე პალატის შექმნა. ამავე დროს, ეს გეგმები ჯერ კიდევ არაა მხარდაჭერილი პოლიტიკური პარტიების მიერ.

ბიბლიოგრაფია

Martin BÚTORA, Zora BÚTOROVÁ and Grigorij MESEZNIKOV: *Slovakia's democratic awakening in*: Jacques Rupnik and Jan Zielonka (eds) : *The road to the European Union. Volume I. The Czech and Slovak Republic.* Edited, Manchester University Press, Manchester 2003.

Martin BÚTORA, Grigorij MESEZNIKOV, Zora BÚTOROVÁ, and Sharon FISHER (eds) : *The 1998 Parliamentary Elections and Democratic Rebirth in Slovakia,* Institute for Public Affairs, Pratislava 1999.

Olga GYÁRFÁSOVÁ, Grigorij MESEZNIKOV (eds) : *Party Government in Slovakia : Experience and Perspectives.* Institute for Public Affairs, Pratislava 2004.

Karen HENDERSON : *The Politics of Slovakia : Voters, Parties and Democracy 1989-2004,* Routledge, London 2005.

Grigorij MESEZNIKOV, Olga GYÁRFÁSOVÁ, Miroslav KOLLÁR, and Tom NICHOLSON (eds.) : *Slovak Elections 2002 : Results, Implications, Context,* Institute for Public Affairs, Bratislava 2003.

Grigorij MESEZNIKOV : *Domestic Politics and the Party System in* : Martin Bútora, Grigorij Meseznikov, and Miroslav Kollár (eds.) : *Slovakia 2006. A Global Report on the State of Society.* Institute for Public Affairs, Bratislava 2007.

Sona SZOMOLÁNY, John A. GOULD (eds.) : *Slovakia : Problem of Democratic Consolidation and the Struggle for the Rules of the Game.* Slovak Political Science Association – Friedrich Ebert Stiftung, Bratislava 1997.

პოლიტიკური პარტიების აბრევიატურების სია

ANO – ალიანსი -ახალი მოქალაქე
DS – დემოკრატიული პარტია
DU – დემოკრატიული გაერთიანება
ĽS-HZDS – სახალხო პარტია – მოძრაობა დემოკრატიული სლოვაკეთისთვის
KDH – ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა
KSC – ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია
KSS – სლოვაკეთის კომუნისტური პარტია
MK – უნგრული კოალიცია
MKDH – უნგრული ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა
SDK – სლოვაკეთის დემოკრატიული კოალიცია
SDKÚ – სლოვაკური და ქრისტიანული დემოკრატიული გაერთიანება
SDĽ – მემარცხენე დემოკრატიული პარტია
Smer-Sd – მიმართულება – სოციალ-დემოკრატია
SMK –უნგრული კოალიციის პარტია
SNS – სლოვაკეთის ნაციონალური პარტია
SOP – სამოქალაქო შეგნების პარტია
Spol. – თანაარსებობის მოძრაობა
SV – საერთო არჩევანის კოალიცია
SZ – მწვანეთა პარტია
VPN – საზოგადოება ძალადობის წინააღმდეგ
ZRS – სლოვაკეთის მუშათა გაერთიანება

თავი XXIII

სლოვენია

ირენა ბრინარი და მიტია ზაგარი

ისტორიული კონტექსტი: გარდამავალი პერიოდი და ევოლუცია

ქვეყნის განვითარებამ და ახლახან წამოჭრილმა პრობლემებმა გარკვეული ეჭვი გააჩინა სლოვენიის გარდამავალი პერიოდის წარმატების მიმართ: მაგალითად, 2006 წელს ადგილი ჰქონდა ეთნიკური შეუმწყნარებლობის პრობლემებს, რომას დიასპორის მიღებასა და ინტეგრაციას, ორ კომუნაში[298] მერის არჩევნების ოფიციალური შედეგების გაპროტესტებასთან დაკავშირებულ მანიფესტაციებს და სხვ. ამავე დროს, თუკი ათი ან თხუთმეტი წლის წინ გამოთქმულ მოსაზრებებს დავეყრდნობით, სლოვენია წარმატებულ შემთხვევას წარმოადგენს კომუნიზმიდან გარდამავალი პერიოდის პროცესში. ამ ქვეყანამ შეძლო არა მხოლოდ დემოკრატიისა და მისი დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის აშენება და შენარჩუნება ფუნქციონალური ინსტიტუტების მეშვეობით, არამედ ასევე ევროკავშირში გაწევრიანებას მიაღწია 2004 წელს ამ კავშირის აღმოსავლეთით გაფართოების პირველი ტალღის პერიოდში. გარდა ამისა, სლოვენიის ეკონომიკური ზრდა და მაჩვენებლები ახალი ათასწლეულის დასაწყისში შედარებით კარგია. რა თქმა უნდა, მოსახლეობას მეტი სურს და მეტ შესაძლებლობას ხედავს მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, რაც პოტენციურად პოზიტიურია მისი მომავალი განვითარებისთვის. თუმცა, ამ მოლოდინების განსახორციელებლად სლოვენიამ უნდა დაიწყოს თავისი კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება და გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრაცია, დაწესოს აუცილებელი გადასახადები და რეფორმები განახორციელოს სხვადასხვა სფეროში: პენსიები, რეგიონალიზაცია, ასაკოვანი მოსახლეობა, იმიგრაცია და ემიგრაცია, ინტეგრაციის პოლიტიკა და სხვ.

1991 წლის ივნისში სლოვენიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის საკონსტიტუციო ფუნდამენტური აქტისა და 1991 წლის დეკემბერში სლოვენიის რესპუბლიკის კონსტიტუციის მიღება, ისევე როგორც მისი ოფიციალური საერთაშორისო აღიარება 1992 წლის დასაწყისში გადამწყვეტი იყო დემოკრატიზაციის პროცესში, სუვერენიტეტის მშენებლობასა და ქვეყნის თანამედროვე ისტორიაში.[299] ამავე დროს, ეს ნაბიჯები იმ პროცესის შედეგი იყო, რომელიც 1980 წლიდან დაიწყო. მათი აღწერა შესაძლებელია პროცესებად, რომელთა მიზანს წარმოადგენდა ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების გატარება, დემოკრატიზაცია, კომუნიზმიდან გარდამავალი პერიოდი, ინსტიტუციონალური მშენებლობა და დემოკრატიის კონსოლიდაცია. სლოვენიის დამოუკიდებლობა, საერთაშორისო აღიარება და სუვერენიტეტი დიდწილად, მეორადი ეფექტი და იმ გეგმის შედეგი იყო, რომელიც ყოფილი იუგოსლავიის ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის დემოკრატიზაციით დაიწყო 1980-1990-იან წლებში საბაზრო ეკონომიკის რეფორმების გატარებით. სლოვენიამ ასევე ეკონომიკური ტრანსფორმაცია განიცადა და თავის მონეტარულ დამოუკიდებლობას მიაღწია საკუთარი მონეტის შემოღებით – ტოლარი, რომელიც 2007 წლის 1 იანვარს შეიცვალა, რითაც სლოვენიის ევროზონაში ფორმალური შესვლა აღინიშნა.

დემოკრატიზაციისკენ გარდამავალ პერიოდს არ გაუვლია მარტივი სწორხაზოვანი გზა. თუმცა, 1980 წლიდან დაწყებულ პროცესს ძველი ისტორიული ფესვები ჰქონდა, რომელიც 1960-იანი წლებიდან იუგოსლავიის ლიბერალიზმის პერიოდიდან მომდინარეობს. ასევე, სამოქალაქო საზოგადოებამ, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობის ოფიციალურმა ორგანიზაციამ, სლოვენიის სოციალისტურმა ახალგაზრდულმა კავშირმა, ცენტრალური როლი ითამაშა საწყის პროცესში, რომელმაც კულმინაციას მიაღწია პოლიტიკური პლურალიზმის შემოღებითა და პირველი ოპოზიციური პარტიების გამოჩენით 1980-იანი წლების დასასრულს და ასევე 1990 წლის პირველი მრავალპარტიული არჩევნებით, რამაც აშკარად შეცვალა არსებული პოლიტიკური სისტემა.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებთან და ყოფილ იუგოსლავიასთან შედარებით, სლოვენიაში გარდამავალი პერიოდი და დემოკრატიზაცია სპეციფიკურ ხასიათს ატარებდა. ერთი მხრივ, ეს განსხვავებები განპირობებული იყო იუგოსლავიის სისტემის ფუნქციონირებითა და ხასიათით, რომელიც სხვა ტოტალიტარული კომუნისტური რეჟიმებისგან განსხვავდებოდა, ხოლო მეორე მხრივ, შიდა არსებითი სპეციფიკურობებითა და აშკარა მრავალფეროვნებით ყოფილი იუგოსლავიის შიგნით.

298 Ramet, Sabrina P. (2006), „Foreword". – in Rizman, Rudolf Martin, *Uncertain Path : Democratic Transition and Consolidation in Slovenia*, College Station, USA : Texas A&M Press, 2006, p. XIV : Zagar, Mitja (1995), „Transition in Slovenia : A Chance for Success" – in „Special Feature : Post-Communist Transition, Part 1", ECPR News (The News Circular of the European Consortium for Political Research), Vol. 7, Number 1, Autumm 1995, pp.10-11.

299 Brinar, Irena (1999) „Slovenia : from Yugoslavia to the European Union", – en Henderson, Karen, ed., *Back to Europe, Central and Eastern Europe and European Union*, London : UCL Press, 1999, pp. 241-257.

დემოკრატიზაცია სლოვენიაში ხანგრძლივი და ეტაპობრივი პროცესი იყო, რომლის საფუძვლები 1950-1960-იანი წლებიდან და 1970-იანი წლების დასაწყისიდან იღებს სათავეს. ეს პროცესი ინტენსიური 1980-იან წლებში გახდა და არსებული პოლიტიკური სისტემის ტრანსფორმაციით დასრულდა პოლიტიკური პლურალიზმის ფორმალური შემოღებითა და დემოკრატიული პოლიტიკური რეფორმების გატარებით 1980-ანი წლების დასასრულსა და 1990-იანი წლების დასაწყისში. დემოკრატიზაციაზე გარდამავალი პერიოდი უფრო ფართო თანამშრომლობის გეგმას წარმოადგენდა და შეიძლება განხილული იქნეს, როგორც მნიშვნელოვან კონსენსუსზე და ოპოზიციის მონაწილეობაზე დაფუძნებული დემოკრატიული რეფორმებისა და პოლიტიკური სისტემის ტრანსფორმაციის წარმატება. ასევე აღსანიშნავია, რომ 1988 წლის შემდეგ, სლოვენიაში ცვლილებების განხორციელებას მოთხოვდა არა მხოლოდ ოპოზიცია (ორგანიზაციები, პარტიები), არამედ აგრეთვე ხელისუფლებაში მყოფი კომუნისტები და სხვა ოფიციალური ორგანიზაციები, რომლებმაც ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის რეფორმების საჭიროება აღიარეს.

საერთო კონსენსუსი და მოსახლეობის მხარდაჭერა, როგორც დემოკრატიზაციის, დემოკრატიული პოლიტიკური რეფორმებისა და გარდამავალი პერიოდის, ისე ავტონომიისა და დამოუკიდებლობის მიმართ, 1990-იანი წლების დასასრულს რესპუბლიკის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტთან დაკავშირებულ პლებისციტში მონაწილეობითა და მისი შედეგებით იქნა დამტკიცებული.

პოლიტიკური სისტემა

1991 წლის კონსტიტუცია დამოუკიდებელი, სუვერენული და დემოკრატიული სლოვენიის სახელმწიფოს კონსტიტუციურ საფუძვლებს განსაზღვრავს. სლოვენიის რესპუბლიკის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის ფუნდამენტური საკონსტიტუციო აქტის თანახმად, კონსტიტუცია თავის საფუძვლებს ხედავს „ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებში, სლოვენი ხალხის თვითგამორკვევის ფუნდამენტურ და მუდმივ უფლებაში და იმ ისტორიულ ფაქტში, რომ ჩვენ, სლოვენებმა, ეროვნული განთავისუფლებისთვის მრავალსაუკუნოვან ბრძოლაში, შევქმენით საკუთარი ეროვნული თვითმყოფადობა და ჩვენი სახელმწიფოს არსებობის უფლება დავამტკიცეთ."

კონსტიტუციის თანახმად, სლოვენია დემოკრატიული რესპუბლიკაა (მუხ.1), რომელიც სუვერენიტეტსა და „სლოვენი ხალხის თვითგამორკვევის მუდმივ და განუყოფელ უფლებას" ეფუძნება (მუხ.3/1). უზენაესი ხელისუფლება პირდაპირ ხალხის მიერ აღესრულება არჩევნების დროს და *სახალხო ინიციატივით*, და ირიბად, „საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებს შორის დაყოფის პრინციპის შესაბამისად" (მუხ. 3/2). სლოვენია სოციალური სახელმწიფოა, რომელიც როგორც „სამართლებრივი სახელმწიფო" (მე-2 მუხ.) უზრუნველყოფს და იცავს ადამიანის უფლებებსა და ფუნდამენტურ თავისუფლებებს თავისი ტერიტორიის შიგნით. კანონმდებლობა ესადაგება საერთაშორისო სამართლის პრინციპებსა და საერთაშორისო შეთანხმებებს; რატიფიცირებული და დამტკიცებული საერთაშორისო ხელშეკრულებები პირდაპირაა ამოქმედებული (მე-8 მუხ.). ახალი 3a მუხლი, რომელსაც „ევროპულ მუხლსაც" უწოდებენ 2003 წელს საკონსტიტუციო შესწორებით იქნა შემოტანილი სლოვენიისთვის ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების ხელშესაწყობად. ამ მუხლის თანახმად, ეროვნული ასამბლეის ყველა დეპუტატის ორი მესამედის უმრავლესობის კენჭისყრით რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად, „სლოვენიას შეუძლია თავისი უფლებების ნაწილის საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის გადაცემა, რომლებიც ადამიანის უფლებებსა და ფუნდამენტურ თავისუფლებებს, დემოკრატიასა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს ეფუძნებიან და ამ ღირებულებათა დაცვაზე დამყარებულ სახელმწიფოთა თავდაცვითი ალიანსის წევრად გახდომა." აღსანიშნავია ერთსულოვანი კონსენსუსის არსებობა საკონსტიტუციო შესწორებების მიღებასთან დაკავშირებით.

1991 წლის კონსტიტუცია მმართველობის საპარლამენტო ფორმას ადგენს ტრადიციულ თეორიულ მოდელებთან თანხმობაში. ამ მოდელიდან გარკვეულ გადახრას წარმოადგენს დებულება, რომლის თანახმად, რესპუბლიკის პრეზიდენტი არჩეულია „ფარული, საყოველთაო და პირდაპირი კენჭისყრით" (103-ე მუხ.). აღნიშნულის შედეგად, იგი არ შეიძლება იქნეს თანამდებობიდან გადაყენებული პარლამენტის მიერ. ამავე დროს, პრეზიდენტის ფუნქციები და უფლებამოსილებები შეზღუდულია და საპარლამენტო სისტემებში სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილებების ანალოგიურია.

ტერიტორიული თვალსაზრისით, სლოვენია უნიფიცირებული და განუყოფელი სახელმწიფოა (მე-4 მუხ.) ტიპური ფორმით. კონსტიტუციის თანახმად, გარანტირებულია ადგილობრივი ადმინისტრაციული ავტონომია (მე-9 მუხ.). კერძოდ, 2006 წლის საკონსტიტუციო შესწორებებამდე, არსებობდა მხოლოდ ადგილობრივი და კომუნალური მმართველობის დონე და ორი ტიპის კომუნა. დღეისათვის, 210 კომუნას შორის, 11 საქალაქოა. 2006 წელს საკონსტიტუციო შესწორებებით შემოღებული იქნა ადგილობრივი ავტონომიის მეორე დონე: რეგიონები, რომლებიც კანონის თანახმადაა შექმნილი და რეგლამენტირებული. დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ, ხანგრძლივი დისკუსიები გაიმართა ადგილობრივი ხელისუფლების რეფორმებსა და სლოვენიის რეგიონალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე. აქცენტი გაკეთდა რეგიონებისა და კომუნების რაოდენობაზე, მასშტაბსა და

კომპეტენციებზე. ამ დისკუსიების მნიშვნელოვანი ელემენტი ეხება რეგიონებისა და კომუნების სტატუსს, პოზიციასა და როლს ევროკავშირის რეგიონალურ პოლიტიკაში. ამჟამად, შეიძლება ითქვას, რომ სლოვენია კვლავაც ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ რჩება.

კონსტიტუტის თანახმად, სლოვენური ენა ოფიციალურ ენადაა გამოცხადებული. იტალიური და უნგრული ნაციონალური ერთობებით დასახლებულ ოლქებში ოფიციალურ ენას ასევე იტალიური და უნგრული წარმოადგენს (მე-11 მუხ.)

პოლიტიკური სისტემის სტრუქტურა და ინსტიტუტები

საკანონმდებლო ხელისუფლება

მიუხედავად იმისა, რომ სლოვენიის პოლიტიკური სისტემა საპარლამენტოა, კონსტიტუციით არაა განსაზღვრული პარლამენტის სტრუქტურები და ფუნქციონირება. კონსტიტუცია მხოლოდ პარლამენტის ორი პალატის, სახელმწიფო კრება და სახელმწიფო საბჭო, კომპეტენციების აღწერით შემოიფარგლება. არ არსებობს საერთო სტრუქტურები, კოორდინაციის პროცედურები, კომიტეტები ან კორპუსი. ყველა საკანონმდებლო უფლებამოსილება სახელმწიფო კრებას აქვს გადაცემული. გარკვეული ფორმით, სახელმწიფო საბჭო საკონსულტაციო ორგანოს სახით არსებობს შეზღუდული საკანონმდებლო ინიციატივითა და რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნის უფლებით. ამ საბჭოს „შემაჩერებელი ვეტოც" კი საკანონმდებლო პროცედურაში იოლად შეიძლება გაუქმდეს სახელმწიფო კრების მიერ. ამიტომაც, სახელმწიფო საბჭოს გავლენა და პოზიცია მისი არგუმენტების არსებითობაზე, კარგ რეპუტაციასა და იმ გავლენაზეა დამოკიდებული, რომელსაც ის საზოგადოებრივ აზრზე ახდენს. სახელმწიფო საბჭოს შეზღუდული გავლენა და როლი პრაქტიკაში, ზოგჯერ ამ საბჭოს გაუქმების ან მისი სტრუქტურებისა და კომპეტენციების არსებითად შეცვლის წინადადებებს აჩენს.

ზემოთ აღნიშნული დებულებების გათვალისწინებით, კითხვის ქვეშ დგება თავად ორპალატიანობა. საქმე ეხება არასრულყოფილ საპარლამენტო სისტემას, რომელსაც ასიმეტრიული ორპალატიანობა და ერთ-ერთი პალატის, სახელმწიფო კრების დომინანტობა ახასიათებს.

როგორც ავღნიშნეთ, 90 დეპუტატისგან შემდგარი **სახელმწიფო კრება** უმაღლეს და ცენტრალურ საკანონმდებლო ძალაუფლებას წარმოადგენს. დეპუტატები არჩეულნი არიან საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით. ისინი „მთლიანად ხალხს წარმოადგენენ და არავითარ დირექტივას არ ექვემდებარებიან" (მუხ. 82/1). ორი დეპუტატის გარდა, რომელიც იტალიურ ან უნგრულ უმცირესობას წარმოადგენს და სპეციალური არჩევნებითაა არჩეული ერთტურიანი მაჟორიტარული არჩევნების პრინციპით, სხვა დეპუტატები „პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპით არიან არჩეულნი 4%-იანი საარჩევნო ბარიერით სახელმწიფო კრებაში შესასვლელად; ამომრჩევლებს გადამწყვეტი გავლენა აქვთ კანდიდატებისთვის ადგილების მინიჭებაში" (მუხ. 80/5). სახელმწიფო კრებასთან დაკავშირებული საარჩევნო კანონი (ასევე განსაზღვრავს მკაცრ წესებს ადგილების განაწილებისთვის) მიღებული უნდა იქნეს ყველა დეპუტატის კენჭისყრის ორი მესამედის უმრავლესობით.

სლოვენიის რესპუბლიკის პრეზიდენტი სახელმწიფო კრების არჩევნების ჩატარებას მოითხოვს. ამ კრების მანდატი ოთხ წელს შეადგენს, პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციური წესების შესაბამისად, მისი დაშლის შემთხვევის გარდა თუკი ეს კრება ვერ მოახერხებს ახალი პრემიერ-მინისტრის დანიშვნას ან მისდამი უნდობლობის გამოცხადებას ეყრება კენჭი. სახელმწიფო კრება თავის თავჯდომარეს ყველა დეპუტატის უმრავლესობით ირჩევს და წესებსა და პროცედურებს ორი მესამედის უმრავლესობით იღებს.

სახელმწიფო კრება რეგულარული ან საგანგებო სესიებისთვის იკრიბება (ეს უკანასკნელი იმართება მხოლოდ დეპუტატთა არანაკლებ მეოთხედისა ან რესპუბლიკის პრეზიდენტის მოთხოვნის შემთხვევაში), იღებს კანონებსა და სხვა გადაწყვეტილებებს და საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირებას ახდენს წარმოდგენილ დეპუტატთა უმრავლესობის კენჭისყრით, როდესაც კონსტიტუციით ან კანონით არაა დადგენილი სხვა უმრავლესობა.

როგორც უმაღლესი კანონმდებელი, სახელმწიფო კრება იღებს კანონებს (მას აზრის გამოხატვა, როგორც მოქალაქეთა ვალდებულებებსა და უფლებებზე, ისე სხვა პიროვნებებზე მხოლოდ კანონის საფუძველზე შეუძლია) მრავალი ფაზის შემცველი პროცედურის თანახმად, თუკი რეგლამენტით სხვაგვარად არაა განსაზღვრული. ეს კრება ირჩევს პრემიერ-მინისტრს, მინისტრებსა და მთავრობას, მოსამართლეებსა და ზოგიერთ სხვა საჯარო ფუნქციონერებს, განსაზღვრავს საჯარო პოლიტიკას, კანონიერად აღიარებს საერთაშორისო შეთანხმებებთან მიერთებას და ომისა ან საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება შეუძლია. სახელმწიფო კრებას ასევე საპარლამენტო გამოძიების მოთხოვნის უფლებამოსილება აქვს საზოგადოებრივი მნიშვნელობის პრობლემებზე, მაგრამ მხოლოდ დეპუტატთა მესამედის ან სახელმწიფო საბჭოს მოთხოვნის შემდეგ.

„სახელმწიფო კრებას რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნა შეუძლია ნებისმიერ პრობლემაზე, რომელიც კანონით გათვალისწინებული რეგლამენტაციის ობიექტია." რეფერენდუმის ჩატარების წინადადებამ ხმის მიმცემთა უმრავლესობა უნდა მიიღოს. ეს კრება „საკანონმდებლო რეფერენდუმს" იმ შემთხვევაში ატარებს, თუკი

ის დეპუტატთა მესამედის, სახელმწიფო საბჭოსა ან ორმოცი ათასი ამომრჩევლის მიერაა მოთხოვნილი" (90-ე მუხ.). ხმის მიცემის უფლების მქონე ყველა მოქალაქეს რეფერენდუმში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს.

კანონები შეიძლება წარმოდგენილი იქნეს მთავრობის ან ნებისმიერი დეპუტატის მიერ. კანონის წარდგენა ასევე შესაძლებელია „არანაკლებ ხუთი ათასი ამომრჩევლის მიერ" (88-ე მუხ.).

სახელმწიფო კრება ირჩევს თავის თავჯდომარესა და ვიცე-თავჯდომარეებს, რომლებიც დეპუტატთა ჯგუფების ლიდერებსა და საპარლამენტო პოლიტიკურ პარტიებთან ერთად თავის საქმიანობას გეგმავენ. თანამედროვე ლეგისლატურების მსგავსად, სახელმწიფო კრების საქმიანობა ორგანიზებული და ხელშეწყობილია სხვადასხვა კომიტეტებითა და კომისიებით, მუდმივი ან დროებითი.

სახელმწიფო კრების ფუნქციონირებისა და საქმიანობის შესწავლისას გასათვალისწინებელია ევროკავშირის უფრო ფართო ჩარჩოს ძალზე მნიშვნელოვანი გავლენა, რომელიც ნაციონალური კანონმდებლობის ევროკავშირის სტანდარტებთან და კანონებთან ჰარმონიზაციის ვალდებულებებითაა განპირობებული.[300] მომდევნო ტაბულებზე წარმოდგენილია სახელმწიფო კრების, როგორც საკანონმდებლო, ისე სხვა საქმიანობა:

ტაბულა №1 a: სახელმწიფო კრების საქმიანობა (1992-2005 წწ)

მიღებული კანონები და სხვა აქტები	1992-1996 წწ.	1996-2000 წწ.	2000-2004 წწ.	2004-2005 წწ.
საკონსტიტუციო კანონები	2	2	4	-
კანონები	242	168	169	21
სხვა კანონების შემსწორებელი კანონები	131	155	263	78
რატიფიკაციები	200	290	243	51
სავალდებულო ინტერპრეტაციები	6	5	3	-
პროცედურული წესები	4	2	9	-
სახელმწიფო პროგრამები	4	9	3	5
ბიუჯეტი და მასთან დაკავშირებული კანონები	7	8	9	3
წლიური ანგარიშები			5	2
რეზოლუციები	6	1	11	5
დეკლარაციები	2	2	6	1
განკარგულებები	663	675	238	12
გადაწყვეტილებები	26	21	45	112
საპარლამენტო გამოძიებები	6	5	2	2
სხვა კანონები (რეფერენდუმის მოთხოვნები, კონსოლიდირებული კანონპროექტები, რეკომენდაციები, ანგარიშები და სხვ.)	175	53	145	86
მთლიანად	1,474	1,564	1,155	378

300 Bucar, Bojko & Brinar, Irena (2005) „Slovenia –Political Transformation and European Integration"– in Skuhra, Anselm, ed., *The Eastern Enlargement of the European Union, Efforts and Obstacles on the Eay to Membership*, Innsbruck : Studien Verlag, 2005, pp. 93-133.

ცხრილი №1 b: საპარლამენტო პოლიტიკური კონტროლი

	1992-1996 წწ.	1996-2000 წწ.	2000-2004 წწ.	2004-2005 წწ.
გამოძიებები	6	5	2	2
ნდობის/უნდობლობის კენჭისყრა	-	1	-	-
ინტერპელაციები	7	7	4	
საპარლამენტო შეკითხვები და ინიციატივები	1,761	1,586	2,459	964
რეფერენდუმის ჩატარების წინადადებები	n°a	25	24	4
შემაჩერებელი ვეტო (სახელმწიფო საბჭოს მიერ)	26	25	8	7

წყარო: Dravni zbor Republika Slovenije (სლოვენიის რესპუბლიკის სახელმწიფო კრება) 1992-2002წწ.; სახელმწიფო კრების საქმიანობის ანგარიში საპარლამენტო მანდატის განმავლობაში, 1996-2000წწ.; სახელმწიფო კრების საქმიანობის ანგარიში საპარლამენტო მანდატის განმავლობაში 2000-2004წწ.; სახელმწიფო კრების საქმიანობის ანგარიში საპარლამენტო მანდატის განმავლობაში 2004-2008წწ. (2004 წლის ოქტომბერი-2005 წლის დეკემბერი) *http://www-dz-rs-si/* (2006 წლის 20 ნოემბერი).

სახელმწიფო კრების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ თავში კონსტიტუცია პოლიტიკური პარტიებისა და მათი საპარლამენტო ფრაქციების ფუნქციებისა და როლის რეგლამენტირებას არ ახდენს. ამავე დროს, ეჭვგარეშეა, რომ პარტიები მთავარი აქტორები არიან პოლიტიკურ საქმიანობასა და მის შემუშავებაში, მიუხედავად კონსტიტუციური პრინციპებისა, რომელთა თანახმად, დეპუტატები „არავითარ დირექტივას არ უნდა ექვემდებარებოდნენ." შედარებით მაღალი საარჩევნო ბარიერი (4%) სისტემა ხელს არ უშლის – ამას შემდგომში ვნახავთ – ქვეყანაში პოლიტიკური სპექტრის ტრადიციულ პოლარიზაციას.

ცხრილი №2: საარჩევნო შედეგები სახელმწიფო კრებაში და ადგილების გადანაწილება[301]

კანდიდატების სია/პოლიტიკური პარტია*		1990 წ.**	1992 წ.	1996 წ.	2000 წ.	2004 წ.
ZSMS-LS (1990 წ.); ლიბერალ-დემოკრატიული პარტია; სლოვენიის ლიბერალური დემოკრატია-LDS	ადგილების რაოდენობა	12	22	25	34	23
	ხმები-%	14,49	23,46	17,01	36,21	22,80
SKZ (1990 წ.); სლოვენიის სახალხო პარტია-SLS	ადგილების რაოდენობა	11	10	19	9	7
	ხმები-%	12,55	8,69	19,38	9,53	6,28
SDZ (1990 წ.); სლოვენიის სოციალ-დემოკრატიული პარტია; 2003 წლიდან სლოვენიის დემოკრატიული პარტია – SDS	ადგილების რაოდენობა	6	4	16	14	29
	ხმები-%	7,39	3,34	16,13	15,80	29,08
ZKS-SDP (1990წ.); სოციალ-დემოკრატთა გაერთიანებული სია-ZLSD; 2005 წლიდან სოციალ-დემოკრატები– SD	ადგილების რაოდენობა	14	14	9	11	10
	ხმები-%	17,28	13,58	9,03	12,07	10,17
SKZ (1990 წ.); სლოვენიის ქრისტიან-დემოკრატები-SKD	ადგილების რაოდენობა	11	15	10	-	-
	ხმები-%	12,98	14,51	9,62	-	-
სლოვენი ხალხის პარტია-SNS	ადგილების რაოდენობა	-	12	4	4	6
	ხმები-%	-	10,02	3,22	4,38	6,27

301 ყველა საარჩევნო შედეგი (ადგილობრივ და ნაციონალურ დონეზე) და რეფერენდუმების შედეგები სლოვენიაში 1992 წლის შემდეგ, იხ. :http/www.volitve.gov.si/en/index.html (2006 წლის 23 ნოემბერი).

სლოვენიის პენსიონერთა დემოკრატიული პარტია-DeSUS	ადგილების რაოდენობა	-	-	5	4	4
	ხმები-%	-	-	4,32	5,16	4,04
ახალი სლოვენიის ხალხის ქრისტიანული პარტია-Nsi	ადგილების რაოდენობა	-	-	-	8	9
	ხმები-%	-	–	-	8,67	9,09
სლოვენიის მწვანეები (Zelen)	ადგილების რაოდენობა	8	5	-	-	-
	ხმები-%	8,48	,3,70	1,76	0,90	0,69
კავშირი/დემოკრატიული პარტია-SDZ//DS	ადგილების რაოდენობა	8	6	-	-	-
	ხმები-%	9,51	5,01	2,68	0,75	0,28

კანდიდატების სია/პოლიტიკური პარტია*		**1990 წ.****	**1992 წ.**	**1996 წ.**	**2000 წ.**	**2004 წ.**
მშრომელი ხალხის სოციალისტური ალიანსი - SZDL	ადგილების რაოდენობა	5	-	-	-	-
	ხმები-%	5,37	2,75	-	-	-
სლოვენიის ხელოსანთა პარტია-SOS	ადგილების რაოდენობა	3	-	-	-	-
	ხმები-%	3,54	-	-	-	-
სლოვენიის ახალგაზრდობის პარტია – SMS	ადგილების რაოდენობა	-	-	-	4	-
	ხმები-%	-	-	-	4,44	-
იტალიური უმცირესობის დეპუტატი**	ადგილების რაოდენობა	1	1	1	1	1
	ხმები-%	-	-	-	-	-
უნგრული უმცირესობის დეპუტატი**	ადგილების რაოდენობა	1	1	1	1	1
	ხმები-%	-	-	-	-	-
მთლიანად	ადგილების რაოდენობა	80	90	90	90	90

* სახელწოდებები/აკრონიმები და პოლიტიკური პარტიების ევოლუცია წარმოდგენილია ტაბულა № 6a -ში.

** არჩევნები (1990 წ.) სლოვენიის რესპუბლიკური კრების სოციალურ-პოლიტიკურ პალატაში, რომელიც სამიდან ერთ-ერთ პალატას წარმოადგენდა, მაგრამ ერთადერთს სადაც პარტიული სიებით ირჩევდნენ.

***აღსანიშნავია, რომ იგივე კანდიდატები არჩეულნი იყვნენ ეროვნული უმცირესობების დეპუტატდებად ყველა არჩევნებში. იტალიური ეროვნული უმცირესობის დეპუტატი ბატონი რობერტო ბატელია, ხოლო უნგრული ნაციონალური უმცირესობის ქალბატონი პოზსონეკი.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო საბჭო მეორე პალატაა, მისი საკანონმდებლო უფლებამოსილებები ძალზე შეზღუდულია. ოლქებში ხუთწლიანი ვადით არჩეული მრჩეველები სოციალურ, პროფკავშირულ, პროფესიულ და ადგილობრივ ინტერესებს წარმოადგენენ[302]. თუმცა, მათ არა აქვთ იმავდროულად სახელმწიფო კრების დეპუტატის მანდატის აღსრულების უფლება. დეპუტატების მსგავსად, მრჩეველები საპარლამენტო იმუნიტეტით სარგებლობენ. გადაწყვეტილებები წარმოდგენილ მრჩეველთა უმრავლესობით მიიღება. ამავე დროს, კანონებისა და პროცედურების მიღებისა და საკანონმდებლო რეფერენდუმის ჩასატარებლად არჩეულ მრჩეველთა უმრავლესობაა აუცილებელი.

სახელმწიფო საბჭოს საკანონმდებლო უფლებამოსილებები შეზღუდულია: სახელმწიფო კრებისთვის კანონების მიღების შემოთავაზება; ამ უკანასკნელისთვის საკუთარი აზრის გაზიარება მისი კომპეტენციიდან მომდინარე ყველა საკითხზე; სახელმწიფო კრებისთვის კანონის დამტკიცებამდე მისი ხელახლა განხილვის მოთხოვნა; რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნა; საჯარო ხასიათის საქმეებთან დაკავშირებული გამოძიების მოთხოვნა. „სახელმწიფო კრების მოთხოვნით, სახელმწიფო საბჭომ თავისი აზრი უნდა გამოთქვას სპეციფიკურ საკითხთან დაკავშირებით“ (97-ე მუხ.).

---

302 40 მრჩეველიდან 4 მეწარმეებს, 4 მოსამსახურეებს, 4 გლეხებს, ხელოსნებსა და ლიბერალურ პროფესიებს, 6 არაეკონომიკური საქმიანობის სექტორს, 23 კი ადგილობრივ ინტერესებს წარმოადგენს.

აღმასრულებელი ხელისუფლება და სახელმწიფო მეთაური

სლოვენიაში სახელმწიფო მეთაურის ფუნქციები და უფლებამოსილებები უფრო მეტად სიმბოლურ და საპატიო ხასიათს ატარებს, მაშინ როდესაც მთავრობას მთელი აღმასრულებელი კომპეტენციები აქვს.

რესპუბლიკის პრეზიდენტი

სლოვენიის რესპუბლიკის პრეზიდენტი სახელმწიფოს მეთაურია, იგი „სლოვენიის რესპუბლიკას წარმოადგენს და თავდაცვითი ძალების უმაღლესი მთავარსარდალია"(102-ე მუხ.). პრეზიდენტი – სლოვენიის მოქალაქე – ხუთი წლის ვადით არის არჩეული ფარული, საყოველთაო და პირდაპირი არჩევნებით და მისი „არჩევა ზედიზედ ორი ვადითაა შესაძლებელი", (103-ე მუხ.).

ცხრილი №3 : საპრეზიდენტო არჩევნები, პრეზიდენტები და მათი მანდატის ხანგრძლივობა

მანდატის ხანგრძლივობა/ ადგილი	1990-1992 წწ.*		1992-1997 წწ.	1997-2002 წწ.	2002-2007 წწ.	
	I ტური	II ტური			I ტური	II ტური
კანდიდატი	მილან კუშანი		მილან კუშანი	მილან კუშანი	იანეზ დრნოვშეკი	
წარმოდგენილი	კომუნისტთა ლიგა-დემოკრატიული რეფორმის პარტიის+სლოვენიის სოციალისტების ალიანსის მიერ		-	მიტია-ხმელისა და ხმის მიმცემთა ჯგუფის მიერ	სლოვენიის ლიბერალური დემოკრატიის პარტიის მიერ -LDS	
ხმების %	44,4	58,6	63,9	55,57	44,39	56,52
კანდიდატი	იოჟე პუჩნიკი		ივან ბიჟაკი	იანეზ პოდობნიკი	ბარბარა ბრეზიგარი	
წარმოდგენილი	DEMOS-გაზაფხულის პარტიების მიერ		სლოვენიის ქრისტიან-დემოკრატების მიერ (SKD)	სლოვენიის სახალხო პარტიის მიერ-SLS	ვასკო სიმონიჩისა და ხმის მიმცემთა ჯგუფის მიერ	
ხმების %	26,6	21,1	21,1	18,42	30,80	43,48
კანდიდატი	ივან კრამბერგერი		იელკო კასინი	იოზეფ ბერნიკი	ზმაგო ელინჩიჩი	
წარმოდგენილი	სამოქალაქო საზოგადოების მიერ		დემოკრატიული პარტიის მიერ (DS)	სლოვენიის დემოკრატიული პარტიისა-SDS და სლოვენიის ქრისტიან-დემოკრატების მიერ– (SKD	სლოვენი ხალხის პარტიის მიერ -SNS	
ხმების %	18,5		7,3	9,39	8,49	
კანდიდატი	მარკო დემსარი		სტანისლავ ბუზერი	მარიან შერერი	ფრანც აჩარი	
წარმოდგენილი	ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის მიერ – LDS (ZSMS-LS)		სლოვენიის სახალხო პარტიის მიერ -SLS	ალეშ ორელისა და ხმის მიმცემთა ჯგუფის მიერ	პროფ. იოშ მენსინგერისა და ხმის მიმცემთა ჯგუფის მიერ	
ხმების %	10,4		1,9	7,07	7,59	
კანდიდატი			დარია ლავტიუარ - ბებლერი	მარიან პოლზაკი	ფრანს ბუკარი	
წარმოდგენილი			სლოვენიის სოციალისტური პარტიის მიერ-(SSS)	შრომის ნაციონალური პარტიის მიერ-(NSD)	ვილემ კოვაჩისა და ხმის მიმცემთა ჯგუფის მიერ	
ხმების %			1,8	3,22	3,24	
კანდიდატი			ალენკა ზაგარ-სლანა	ანტონ პერშაკი	ლევ კრეფტი	
წარმოდგენილი			ეროვნულ-დემოკრატების მიერ (ND)	დემოკრატიული პარტიის მიერ (DS)	სოციალ-დემოკრატების გაერთიანებული სიის მიერ -ZLSD	
ხმების %			1,7	3,08	2,25	
კანდიდატი			ლიუბო ზირკი	ბოგომირ კოვაჩი	ანტონ ბებლერი	
წარმოდგენილი			სლოვენიის ლიბერალური დემოკრატიის პარტიის მიერ – LDS	სლოვენიის ლიბერალური დემოკრატიის პარტიის მიერ-LDS	სლოვენიის პენსიონერთა დემოკრატიული პარტიის მიერ -DeSUS	
ხმების %			1,5	2,70	1,85	
კანდიდატი			ფრანც ტომშიკი	ფრანს მიკლავჩიჩი	გორაზდ დრეველსეკი	

წარმოდგენილი		სლოვენიის დემოკრა–ტიული სოციალისტუ-რი პარტია (SDSS); 2003 წლიდან სლოვე–ნიის დემოკრატიული პარტია – SDS	სლოვენიის ქრისტიან-სოციალური კავშირის, ქრისტიან-სოციალის-ტების მიერ	NOVA
ხმების %		**0,6**	**0,5**	**0,86**
კანდიდატი				იურჩეკ ჩეკუტა
წარმოდგენილი				სტანისლავ გრადიშნიკისა და ხმის მიმცემთა ჯგუფის მიერ
ხმების %				**0,54**

წყაროები: Decision-making by citizens – Presidential Election, http/www.yolitve.gov.si/en/index.html (20 novembre 2006); Official Gazette of the Republic of Slovenia, Nos, 14/1990, 17/1990, 60/1992.

*სლოვენიის რესპუბლიკის პრეზიდენტის მანდატის ხანგრძლივობა 1974 წლის კონსტიტუციის თანახმად, რომელიც პრე-ზიდენტს სახელმწიფოს კოლექტიურ მეთაურად წარმოადგენს.

ქვეყანაში არყოფნის ან მართვის სრული უუნარობის შემთხვევაში, პრეზიდენტის რესპუბლიკის მოვალეობებს დროებით სახელმწიფო კრების თავჯდომარე ასრულებს.

მიუხედავად რესპუბლიკის პრეზიდენტის პირადპირი არჩევისა, მას არა აქვს პოლიტიკური ძალაუფლება. პრეზიდენტის კონსტიტუციური უფლებამოსილებები ძალზე შეზღუდულია, მათი უმრავლესობა აშკარად წარმომადგენლობითი და სიმბოლური ხასიათისაა. სახელმწიფოს მეთაურის რანგში, პრეზიდენტი ოფიციალურად წარმოადგენს სახელმწიფოს და ნაციონალურ ერთიანობას განასახიერებს. ამიტომაც, პრეზიდენტი:

„– ადგენს სახელმწიფო კრების არჩევნების თარიღს; ამტკიცებს კანონებს; თანამდებობებზე ასახელებს სახელმწიფო ფუნქციონერებს, როდესაც ამას კანონი მოითხოვს, ნიშნავს და უკან იწვევს რესპუბლიკის ელჩებსა და უფლებამოსილ პირებს და იღებს უცხოეთის დიპლომატიურ წარმომადგენელთა რწმუნების სიგელებს, აქვეყნებს სარატიფიკაციო აქტებს, აქვს შეწყალების უფლება, ანიჭებს ჯილდოებსა და საპატიო წოდებებს და არსებული კონსტიტუციით განსაზღვრულ სხვა მისიებს ასრულებს.

სახელმწიფო კრების მოთხოვნით, რესპუბლიკის პრეზიდენტმა საკუთარი აზრი უნდა გამოთქვას განსაკუთრებულ საკითხზე" (107-ე მუხ.).

პრეზიდენტი პოლიტიკურად მხოლოდ ამომრჩევლების წინაშეა პასუხისმგებელი, მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციით ამერიკული *Impeachment*-ის ანალოგიური პროცედურაა გათვალისწინებული. კონსტიტუციის ან განონის სერიოზული დარღვევის შემთხვევაში, სახელმწიფო საბჭოს შეუძლია პრეზიდენტს ბრალი წაუყენოს საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე. ეს სასამართლო მარტო წყვეტს ბრალდების საფუძვლიანობას და, ყველა მოსამართლის კენჭისყრის ორი მესამედის უმრავლესობით ამ ბრალდების გაუქმება შეუძლია.

მიუხედავად ძალზე შეზღუდული უფლებამოსილებებისა და კომპეტენციებისა, პრეზიდენტის პოლიტიკური და მორალური გავლენა შეიძლება არსებითი იყოს განსაკუთრებით, საზოგადოებრივ აზრში. პრეზიდენტის პოზიციამ და დეკლარაციებმა შეიძლება გარკვეული საზოგადოებრივი და პოლიტიკური ატმოსფერო შექმნას, საზოგადოებრივი შეგნებისა და მორალური სწორების მსგავსი.

მთავრობა და საჯარო ადმინისტრაცია: ჭეშმარიტი აღმასრულებელი ხელისუფლება

სლოვენიის რესპუბლიკის მთავრობა, როგორც პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისგან შემდგარი კოლექტიური კორპუსი აღმასრულებელ ხელისუფლებას წარმოადგენს ყველა აღმასრულებელი უფლებამოსილებებითა და კომპეტენციებით სლოვენიის საპარლამენტო სისტემაში. პრემიერ-მინისტრი სახელმწიფო კრების მიერაა არჩეული დეპუტატთა კენჭისყრის უმრავლესობით, ფარული ხმის მიცემითა და პრეზიდენტის წინადადებით დეპუტატთა ჯგუფების ხელმძღვანელების შეხდულებების გათვალისწინებით. სახელმწიფო კრებას შეუძლია მინისტრების დანიშვნა და მათი უფლებამოსილებების შეჩერება მთავრობის მეთაურის წინადადებით საპარლამენტო მოსმენის შემდეგ. მთავრობა და თითოეული მინისტრი თავიანთი კომპეტენციების ჩარჩოებში, დამოუკიდებლნი და პასუხისმგებლნი არიან სახელმწიფო კრების წინაშე. საკანონმდებლო ხელისუფლებასა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის უფლებამოსილებების დაყოფის სლოვენური მოდელის შესაბამისად, პრემიერ-მინისტრი და მინისტრები არ შეიძლება ერთდროულად იყვნენ დეპუტატები და მრჩეველები.

ცხრილი №4 პრემიერ-მინისტრები

პრემიერ-მინისტრი	პარტია	მანდატის ხანგრძლივობა	მანდატის ამოწურვის ვადა
ალოიზ პეტერლე	სლოვენიის ქრისტიან-დემოკრატები-SKD	1990-1992 წწ.	„კონსტრუქციული“ უნდობლობის კენჭისყრა
იანეზ დრნოვშეკი	სლოვენიის ლიბერალური დემოკრატია - LDS	1992-1993 წწ.	საპარლამენტო არჩევნები (ვადამდელი)
		1993-1997 წწ.	საპარლამენტო არჩევნები
		1997-2000 წწ.	უნდობლობის „კონსტრუქციული“ კენჭისყრა (2000 წლის ივნისი)
ანდრეი ბაიუკი	სლოვენიის სახალხო პარტია - SLS+ სახალხო-ქრისტიანული პარტია - NSI	2000 წ. (ივნისი - ნოემბერი)	საპარლამენტო არჩევნები
იანეზ დრნოვშეკი	სლოვენიის ლიბერალური დემოკრატია -LDS	2000-2002 წწ.	კანდიდატურა საპრეზიდენტო არჩევნებში
ანტონ როპი	სლოვენიის ლიბერალური დემოკრატია - LDS	2002-2004 წწ.	საპარლამენტო არჩევნები
იანეზ იანშა	სლოვენიის დემოკრატიული პარტია-SDS	2004 წლიდან	

მთავრობის სტაბილურობის გასაზრდელად და მთლიანად პოლიტიკური სისტემისა, განსაკუთრებით, გარდამავალი პერიოდის განმავლობაში, კონსტიტუციით *უნდობლობის გამოცხადების კენჭისყრის* სპეციფიკური ტიპი (*„კონსტრუქციული“*) იქნა შემოღებული გერმანული მოდელის მიხედვით *(116-ე მუხ.)*. სახელმწიფო კრებას მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების კენჭისყრის ჩატარება შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი არანაკლებ ათი დეპუტატის წინადადებითა და ყველა დეპუტატის კენჭისყრის უმრავლესობით, ეს კრება მთავრობის ახალ თავჯდომარეს აირჩევს.

პრემიერ-მინისტრს სახელმწიფო კრებისთვის ნდობის გამოცხადების კენჭისყრის მოთხოვნის უფლება აქვს, რაც შეიძლება განსაკუთრებულ კანონთან ან სხვა გადაწყვეტილებასთან იყოს დაკავშირებული. თუკი მთავრობა დეპუტატთა უმრავლესობის მხარდაჭერას ვერ მოიპოვებს, სახელმწიფო კრებამ ოცდაათდღიან ვადაში მთავრობის ახალი მეთაური უნდა აირჩიოს ან ნდობის კენჭისყრა ჩაატაროს მოქმედი პრემიერ-მინისტრისთვის, „სხვა შემთხვევაში, რესპუბლიკის პრეზიდენტს სახელმწიფო კრების დაშლისა და ახალი არჩევნების თარიღის გამოაცხადების უფლება აქვს“ (117-ე მუხ.).

არანაკლებ ათ დეპუტატს „მთავრობის ან მინისტრის ქმედებებზე“ საპარლემენტო შეკითხვის ინიცირება შეუძლია, რომლის მეშვეობით მთავრობისა ან რომელიმე მინისტრის უფლებამოსილებები შეიძლება შეჩერებული იქნეს, როგორც კი დეპუტატთა უმრავლესობა თავის უნდობლობას გამოხატავს სახელმწიფო კრების შიგნით (118-ე მუხ.)

ამ დრომდე, მთავრობები და კოალიციები შედარებით სტაბილურად და მოქნილად წარმოჩნდებოდნენ, და მათი ქმედებები წარმატებული იყო. DEMOS-ის (სლოვენიის დემოკრატიული ოპოზიცია-ანტიკომუნისტური კოალიცია) ასპარეზზე გამოსვლის შემდეგ, ალოიზ პეტერლეს მთავრობა (ლიბერალური დემოკრატია) კოალიციურ მთავრობას ედგა სათავეში 2004 წლამდე, სლოვენიის დემოკრატიული პარტიის *ცენტრისტულ-მემარჯვენე ძლიერი კოალიციისა* და მისი ლიდერის იანეზ იანშას გამოჩენამდე. აღნიშნულმა, როგორც შემდგომში ვნახავთ, შეცვალა სტილი, პოლიტიკური ცხოვრება და საჯარო პოლიტიკა[303].

სასამართლო სისტემა

კონსტიტუციასა და კანონებთან დაკავშირებული მოსამართლეები დამოუკიდებელნი არიან თავიანთი ფუნქციისა და უფლებამოსილების აღსრულებაში. სახელმწიფო კრება მოსამართლეებს იურიდიული საბჭოს წინადადებით ირჩევს. მოსამართლის ფუნქცია მუდმივია და კანონის თანახმად, შეუთავსებელია სხვა ფუნქციებ-

303 Fink-Hafner, Danica (2006), „Slovenia: Between bipolarity and broad coalition-building“– en Jungerstam–Mulders, Susanne, ed., *Post-communist EU member sttes.* Aldershot, Burlington : Ashgate, 2006, pp. 203-231.

თან, პოლიტიკური პარტიების ჩათვლით. კანონი განსაზღვრავს მოსამართლის პენსიაზე გასვლის ასაკსა და მისი უფლებამოსილების დასრულებისა და გადაყენების პირობებს. კონსტიტუციით გარანტირებულია მოქალაქეთა მონაწილეობა სასამართლო ხელისუფლების აღსრულებაში, რომელიც კანონითაა განსაზღვრული. კანონი ასევე ითვალისწინებს იმუნიტეტს მათთვის, ვინც სასამართლო ფუნქციას აღასრულებს. **უზენაესი სასამართლო** სახელმწიფოს უმაღლესი დონის სასამართლოს წარმოადგენს.

აქტუალური საჯარო დისკუსიები ეხება ამ სასამართლოების ეფექტურობას განსაკუთრებით კი, დადგენილი ვადებისა და სასამართლო სისტემისა და მოსამართლეების მიმართ პატივისცემის ნაკლებობას. მთავრობამ სხვადასხვა ზომები (მოსამართლეების რაოდენობის გაზრდა, მოსამართლეების სპეციალური ჯგუფები, სასამართლოებს შორის ურთიერთდახმარება და სხვა.) და პროგრამები მიიღო (მაგალითად, *ლუკენდას პროგრამა*, იმ პიროვნების გვარის მიხედვით, რომელმაც ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში კომპენსაცია მიიღო, რაც დაუსაბუთებელი დაკავების პრინციპის დარღვევასთან იყო დაკავშირებული), რომლებსაც უკვე მოჰყვა გარკვეული შედეგები მიუხედავად იმისა, რომ ისინი გათვალისწინებულზე ნელი ტემპით ხორციელდება. სხვა პრობლემები პერსონალურად (per capita) მიჩნეული შემთხვევების რაოდენობას უკავშირდება, რომელიც ყველაზე მრავალრიცხოვანია ევროპაში და ასევე სასამართლოებს შორის ურთიერთშეთანხმებაზე დამყარებული საქმის გადაწყვეტის სისტემას სასამართლო პროცესის მიღმა.

საკონსტიტუციო სასამართლო

საკონსტიტუციო სასამართლო არ წარმოადგენს სასამართლო პირამიდის შემადგენელ ნაწილს. ამ სასამართლოს დადგენილება გამოაქვს კანონთა კონსტიტუციურობასა ან კანონიერებაზე, სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ მიღებულ რეგლამენტებსა და სხვა გადაწყვეტილებებზე და საკონსტიტუციო საჩივრებზე (ინდივიდუალური აქტებით ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დარღვევისთვის) სხვა კანონიერი საშუალებების ამოწურვის შემთხვევაში. ის სხვადასხვა კომპეტენციებთან დაკავშირებულ სარჩელებს იხილავს სახელმწიფოსა და ადგილობრივ ერთობებს შორის, და თავად ადგილობრივ ერთობებს შორის. პრეზიდენტის, მთავრობისა და სახელმწიფო კრების დეპუტატთა მესამედის წინადადებით, საკონსტიტუციო სასამართლო თავის აზრს გამოთქვამს საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიკაციის პროცედურის დროს, ამ უკანასკნელის კონსტიტუციასთან შესაბამისობაზე, რაც ნიშნავს, რომ სახელმწიფო კრება საკონსტიტუციო სასამართლოსთანაა დაკავშირებული რატიფიკაციის პროცესში.

საკონსტიტუციო სასამართლოს კანონის ან სხვა დადგენილებების გაუქმების უფლება აქვს მათი არაკონსტიტუციურად მიჩნევის შემთხვევაში.

საკონსტიტუციო სასამართლო პრეზიდენტისა და სახელმწიფო კრების წინადადებით არჩეული ცხრა მოსამართლისგან შედგება კანონის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. მოსამართლეები საკუთარ რიგებში ირჩევენ საკონსტიტუციო სასამართლოს თავჯდომარეს სამი წლის ვადით. ამ სასამართლოს მოსამართლეები სახელმწიფო კრებისა და სახელმწიფო საბჭოს დეპუტატების ანალოგიური იმუნიტეტით სარგებლობენ.

საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგენილი მზარდი საჩივრების გამო – მათ შორის ბევრი უმნიშვნელო და მეორეხარისხოვანია -, ადგილი აქვს დისკუსიებს, რომელთა მიზანს საკონსტიტუციო სასამართლოსთან დაკავშირებულ კანონში შესწორებისა და ცვლილების შეტანა წარმოადგენს ამგვარი შემთხვევების რაოდენობის შესამცირებლად, რაც ხელს უშლის ძირითად საკითხებზე კონცენტრირებას.

პოლიტიკური პარტიები და პარტიული სისტემა

დემოკრატიზაციის პროცესის ჩარჩოში, რომელიც 1980-იანი წლების დასაწყისიდან დაიწყო, სლოვენიაში 1988 წელს ოპოზიციის პროტოპარტიებად განსაზღვრული ახალი ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები გამოჩნდნენ. პოლიტიკური პლურალიზმისა და მრავალპარტიული სისტემის ფორმალურ შემოღებას 1989 წელს შესწორებების შეტანა მოჰყვა კონსტიტუციასა და პოლიტიკურ შეკრებებთან დაკავშირებულ კანონში; იუგოსლავიის სხვა ტერიტორიულმა ერთეულებმა ეს პროცესი მოგვიანებით გაიარეს. ეს პარტიები საკმაოდ ადრე განვითარდნენ და გაძლიერდნენ და აქტიური როლის თამაში დაიწყეს დემოკრატიაზე გარდამავალ პერიოდსა და რეფორმების გატარებაში. იმავდროულად, ძველი სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაციები პოლიტიკურ პარტიებად გადაკეთდნენ, რომლებიც მიუხედავად ყველაფრისა, საკმაოდ ხშირად უწყვეტობის პარტიებად განიხილებოდნენ (ყოფილ კომუნისტურ რეჟიმთან მიმართებაში). აღნიშნულის შედეგად DEMOS-მა, ოპოზიციური პარტიების კოალიციამ ანუ გაზაფხულის პარტიების სლოვენურმა კოალიციამ 1990 წლის არჩევნებში გამარჯვება მოიპოვა, მაშინ როდესაც კომუნისტურმა პარტიამ ყველაზე ძლიერი პოლიტიკური პარტიის მდგომარეობა შეინარჩუნა.[304]

304 1992 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში რეფორმატორმა კომუნისტმა ლიდერმა, მილან კუშანმა გაიმარჯვა, რომელიც დღემდე სლოვენიის რესპუბლიკის პრეზიდენტია

თავიანთი ორგანიზაციისა და ელექტორატის გასაძლიერებლად, პოლიტიკური პარტიები საკუთარი პოლიტიკური იდეოლოგიის შემუშავებას შეეცადნენ, რომელიც მეორე მსოფლიო ომამდე (და პირველ მსოფლიო ომამდეც კი) არსებულ ისტორიულ საფუძვლებსა და ორიენტირებს ეფუძნებოდა. ამ პრაქტიკამ იდეოლოგიური დაყოფა წარმოქმნა, რომელიც პირველ და მეორე მსოფლიო ომამდე არსებული პოლიტიკური დაყოფის მსგავსი იყო მემარცხენეობასა და მემარჯვენეობას (ლიბერალები კლერიკალების წინააღმდეგ) შორის. ამგვარად, ზოგიერთი პარტიის ლიდერმა ისტორიული პერიპეტიები გამოიყენა (ბრძოლები პარტიზანებსა და კოლაბორაციონისტებს შორის, მეორე მსოფლიო ომის სამოქალაქო ომი, ამავე ეპოქის დანაშაულობები და ბრალდებები, შემდეგ კი მკვლელობები და სხვ.), ისტორიის რეინტერპრეტაციით, და ამგვარად, განხეთქილებების გაღრმავებით. თუმცა, 1990-იან წლებში და 2000 წლის დასაწყისში, გაზაფხულის პარტიები არასტაბილურებად წარმოჩნდნენ ფრაქციონალიზმითა და ფრაგმენტაციით, რამაც LDS-ს (სლოვენიის ლიბერალური დემოკრატიის პარტია) და მის ლიდერს იანეზ დრნოვშეკს, დომინანტობის შესაძლებლობა მისცა. ამ ლიდერმა განხეთქილებების მიღმა მრავალი კოალიცია ჩამოაყალიბა. როგორც უკვე ავღნიშნეთ, LDS-ის ეს დომინანტობა 2002 წელს ანდრეი ბაიუკის დროებითმა მთავრობამ დაასრულა. თუმცა, 2004 წელს უმნიშვნელოვანესი გარდატეხა მოხდა გაზაფხულის პარტიების გამარჯვებით საპარლამენტო არჩევნებსა და სამთავრობო კოალიციის ფორმირების დროს DeSUS-ის მიერ (სლოვენიის პენსიონერთა პარტია), რომელსაც SDS-ის (სლოვენიის დემოკრატიული პარტია) ლიდერი და პრემიერ-მინისტრი იანეზ იანშა ჩაუდგა სათავეში[305]. პოლიტიკურ სპექტრში ადგილი ჰქონდა განხეთქილებას მემარცხენეობიდან ცენტრიზმისკენ და მემარჯვენეობიდან ცენტრიზმისკენ.

პოლიტიკურმა პარტიებმა დინამიური განვითარება და ტრანსფორმაცია განიცადეს, რომელსაც **ტაბულა №6a და №6b** გვიჩვენებს. აღნიშნულ ტაბულებში მოცემულია ამ პარტიების ფორმირება, ტრანსფორმაცია, იდეოლოგიური მიმხრობა, ლიდერები და საპარლამენტო შედეგები.

ერთპარტიულობისა და ტოტალიტარული რეჟიმის ორმოცწლიანმა გამოცდილებამ თავისი კვალი დატოვა (და დღესაც გავლენას ახდენს) პოლიტიკურ პროცესზე, კულტურაზე, შიდა ორგანიზაციაზე, პოლიტიკური პარტიების ფუნქციონირებასა და პოლიტიკაზე ისევე როგორც პარტიებს შორის ურთიერთობებზე. თუკი დემოკრატიული პოლიტიკური სისტემისა და საჯარო პოლიტიკის ორგანიზაციული და ფორმალური გაძლიერება სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა, დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბება, ცვლილება და განვითარება მყისიერად არ მომხდარა. ამიტომაც, გასაკვირი არაა ცალმხრივი, შეუწყნარებელი, აგრესიული ქცევის არსებობა, განსაკუთრებით ნაციონალისტურ თუ ქსენოფობურ დისკურსებსა და ქცევებში. აღსანიშნავია დიალოგისა და დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის არარსებობა, რომელიც იდეოლოგიურ განსხვავებებს ერთმანეთთან დაახლოვებდა და შესაძლებელს გახდიდა ყველა ერთობისა და სოციალური ფენის ინტეგრაციას ნებაყოფლობითი, დემოკრატიული ფორმით მრავალფეროვნების პატივისცემით. თუმცა, როგორც ავღნიშნეთ, მოქმედი პროპორციული წარმომადგენლობის საარჩევნო სისტემა კოალიციების ჩამოყალიბებასა და თანამშრომლობას მოითხოვს. მაჟორიტარული სისტემის შემოღების წინადადებებმა სტაბილურობის გაზრდის მიზნით საკმარისი მხარდაჭერა ვერ მოიპოვა საარჩევნო კანონის შესაცვლელად სახელმწიფო კრებაში. კომპრომისი 2002 წელს მოინახა საკონსტიტუციო შესწორებით, რომელიც ამ საკითხთან დაკავშირებულ რეფერენდუმის ბუნდოვან შედეგსა და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს და პოზიციას მოჰყვა. აღნიშნული შესწორების თანახმად, „ხმის მიმცემებს გადამწყვეტი გავლენა აქვთ კანდიდატების ადგილების გადანაწილებაში“ (მუხ. 80/5).

305 Fink-Hafner (2006), pp.205-217; Krasovec, Alenka (2001), *„Party and state in democratic Slovenia“ – in Lewis, Paul G., ed., Party development and democratic change in post-Communist Europe : The first decade..* (Democratization studies), London, Portland : Frank Cass, 2001, pp. 93-106.

დასკვნა: პოლიტიკური სიტუაცია და აქტუალური დებატები

სწორედ SDS-ის ცენტრისტულ-მემარჯვენე სამთავრობო კოალიციის კონსოლიდაცია და მისი ლიდერი, პრემიერ-მინისტრი იანეზ იანშა განსაზღვრავს დღევანდელ პოლიტიკურ სიტუაციას სლოვენიაში.

ცხრილი №6 a: საპარლამენტო პოლიტიკური პარტიები და პარტიები, რომლებმაც ევროპულ არჩევნებში მიიღეს მონაწილეობა (1990-2004 წწ.).

პოლიტიკური პარტიები/დაარსების წელი ტრანსფორმაცია ან ახპარეზიდან წასვლა (სიები ანბანის მიხედვით; დღევანდელი სახელწოდება/ /აკრონიმი მუქად)	ლიდერები	მომხრეთა ჯგუფი/ პოლიტიკური სპექტრი	ფორმალური კავშირები პარტიების ევროპულ ფედერაციასთან	დეპუტატები ევროპარლამენტში 2004წ	მონაწილეობა საპარლამენტო არჩევნებში
სლოვენიის პენსიონერთა დემოკრატიული პარტია-DeSUS (1990 წ.)	იანკო კუსარი (1999-2002წწ) ანტონ როესი (2002-2005 წწ.) კარლ ერჟავეკი (2005 წ.-)	ორაზროვანი გაერთიანება მომხრეთა ჯგუფთან/ცენტრისტულ-მემარცხე	-	2 დეპუტატი ლიბერალური დემოკრატიის პარტიასთან ერთად (ADLE)*	1996 წ. 2000 2. 2004 წ.
სლოვენიის დემოკრატიული ალიანსი - SDZ(1988-1992წწ.); სლოვენიის დემოკრატიული პარტია– DS (1992-) (1994 წელს მისი წევრების უმრავლესობა LDS-ში გაერთიანდა ორი პარტიის შერწყმის შედეგად; წევრების ნაწილთან ერთად პარტიამ არსებობა გააგრძელა)	იგორ ბავარი ტონე პერშაკი მიხაილ იურაკი	ლიბერალები, დემოკრატები/ცენტრისტები	-	-	1990წ. 1992 წ. (1996 წ.)**
სლოვენიის მწვანეები ZS (1989წ.-) (მრავალი შიდა განხეთქილება და დაძაბულობა; მემარცხენე ფრთამ გამარჯვება მოიპოვა, რის შემდეგაც LDS-თან ერთად შექმნა სლოვენიის ეკოლოგთა მოძრაობების პარტია)	ლეო სესერკო დუშან პლუტი მიშა იაზბინშეკი ვლადო კუში	მწვანეთა პარტია (ეკოლოგები)/ცენტრის, ცენტრისტულ-მემარჯვენე	მწვანეთა ევროპული პარტიების ფედერაცია (დამკვირვებელი)	-	1990 წ. 1992 წ. (1996 წ, 2000 წ, 2004)**
ZSMS-ლიბერალური პარტია - ZSMS-LS (1990-1992წწ.); ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია; სლოვენიის ლიბერალური დემოკრატია– LDS (1994წ.-) (გაერთიანება დემოკრატიულ პარტიასთან, სლოვენიის სოციალისტურ პარტიასთან, სლოვენიის სოციალისტური პარტია - მწვანეთა პარტიასთან)	იოზეფ სკოლკი (-1992წ.) იანეზ დრნოვშეკი (1992-2002წწ) ტონე როპი (2002-2005 წწ.) უელკო კაჩინი (2005წ.-)	ლიბერალები, სოციალ-ლიბერალები/ მემარცხენე ცენტრისტები	ლიბერალების, დემოკრატებისა და რეფორმატორების ევროპული პარტია (ELDR)– 1994 წლიდან ADLE	2 დეპუტატი პენსიონერთა დემოკრატიულ პარტიასთან ერთად (ADLE)*	1990 წ. 1992 წ. 1996 წ. 2000 2. 2004 წ.
ახალი სლოვენია – ქრისტიანული სახალხო პარტია NSi (2000 წ.-)	ანდრეი ბაიუკი (2000წ.-)	კონსერვატორები ქრისტიან-დემოკრატები – სახალხო პარტია/ ცენტრისტულ-მემარჯვენე	ევროპული სახალხო პარტია (PPE) 2001 წლიდან\	2 (PPE-ევროპული სახალხო პარტია)	2000 წ. 2004 წ.

სლოვენიის ქრისტიანული ალიანსი-SKZ (1989-1990 წწ.); სლოვენი ქრისტიან-დემოკრატები– SKD (2000 წელს ისინი პირველად გაერთიანდნენ SLS-თან, შემდეგ კი მისი წევრების უმრავლესობამ ახალი პარტია, ახალი სლოვენია– ქრისტიანული სახალხო პარტია– Nsi შექმნა)	ლოიზ პეტერლე	კონსერვატორები, ქრისტიან-დემოკრატები-სახალხო პარტია/ცენტრისტულ-მემარჯვენე	-	–	1990წ. 1992წ. 1996წ.
სლოვენიის ხელოსანთა პარტია– SOS (1989//90წწ.-)	ვიტომირ გროსი	კონსერვატორები/ცენტრისტულ-მემარცხენე	-	-	1990 წ.

პოლიტიკური პარტია/დაფუძნების წელი, ტრანსფორმაცია ან ასპარეზიდან ჩამოშორება (სიები ანბანის მიხედვით, დღევანდელი სახელწოდება მუქად)	ლიდერები	მომხრეთა ჯგუფი/პოლიტიკური სპექტრი	ფორმალური კავშირები ევროპული პარტიების ფედერაციასთან	დეპუტატები ევროპარლამენტში 2004 წელს	მონაწილეობა საპარლამენტო არჩევნებში
სოციალ-დემოკრატიული ალიანსი - SDZ (1989-1992 წწ.); სლოვენიის სოციალ-დემოკრატიული პარტია - SDSS; **სლოვენიის დემოკრატიული პარტია - SDS** - (2003 წ.-) (2003 წელს ამ პარტიამ სახელწოდება შეიცვალა, ეროვნული ხასიათის ხაზგასასმელად და ცენტრისტულ-მემარჯვენე ორიენტაციის დასამტკიცებლად)	ფრანც ტომშიკი (1989 წ.) პუნიკი (1989 1993 წწ.) იანეზ იანშა (1993 წ.)	კონსერვატორები (დასაწყისში სოციალ-დემოკრატები) ცენტრისტულ-მემარჯვენე	ევროპული სახალხო პარტია (PPE) 2001 წლიდან	2 (PPE)	1990 წ. 1992 წ. 1996 წ. 2000 წ. 2004 წ.
სლოვენიის ნაციონალური პარტია– SDS (1991 წ.-)	ზმაგო ელინი ჩი (1991 წ.)	უკიდურესი მემარჯვენე (ნაციონალიზმი) და მემარცხენე (სოციალური თემები) ელემენტებით	-	-	1992 წ. 1996 წ. 2000 წ. 2004 წ.
სლოვენიის გლეხთა ალიანსი -SKZ (1988-1992 წწ.); სლოვენიის **სახალხო პარტია – SLS**(1992წ.-) (2002 წელს SLS და SKD ახალ პარტიაში გაერთიანდა SLS+ SKD – სლოვენიის სახალხო პარტია. საპარლამენტო არჩევნებამდე ერთმა ჯგუფმა (კერძოდ, ყოფილი SKD) პარტია ახალი პარტიის შესაქმნელად დატოვა-ახალი სლოვენია - Nsi)	ივან (იანეზ) ომანი (1988-1992 წწ.) მარიან პოდობნიკი (1993-2000 წწ.) ფრანც ზაგოზენი (2000 წ.) ფრანც ბუტი (2000-2002 წწ.) იანეზ პოდობნიკი (2003 წ.-)	კონსერვატორები, ქრისტიან-დემოკრატები, სახალხო აგრარიკოსები/ცენტრისტულ-მემარჯვენე	ევროპული სახალხო პარტია (PPE) 2001 წლიდან	-	1990 წ. 1992 წ. 1996 წ. 2000 წ. 2004 წ.
მშრომელთა სოციალისტური ალიანსი– სლოვენიის სოციალისტური პარტია– SZDL-SSS (1990-1994 წწ.)	ვიქტორ აკელი	სოციალისტები/ცენტრისტულ-მემარცხენე	-	-	1990 წ. [1992 წ.]**

ZKS– დემოკრატიული განახლების პარტია – ZKS-SPO (1990-1992 წწ.); გაერთიანებული სია (1992); სოციალ-დემოკრატების გაერთიანებული სია-ZLSD (1993-2005წწ.) (1993 წელს გაერთიანდა პენსიონერთა დემოკრატიულ პარტიასთან, სოციალისტურ დემოკრატიულ კავშირთან და შრომის პარტიათან), **სოციალ-დემოკრატები – SD (2005 წ.)**	კირილ რიბიჩი (1990 წ.-) პეტერ ბეკი (1992-1993 წწ.) იანეშ კოსიანჩი (1993-1997წწ.) ბორუტ პაგორი (1997 წ.-)	სოციალ-დემოკრატები	ევროპული სოციალისტური პარტია (PSE)-ამ დროიდან	1 (PSE)	1990წ. 1992 წ. 1996 წ. 2000 წ. 2004 წ.
სლოვენიის ახალგაზრდობის პარტია -SMS (2000 წ.-)	დომინიკ ს. ჩერნიაკი (2000-2004 წწ.) დარკო კრაინჩი (2005 წ.-)	პარტიული ნიშნით გაერთიანება ორაზროვანი/ცენტრისტული	-	-	2000 წ. [2004 წ.]**

წყაროები: Decision-making by citizens-National Assembly Election, http:/www.volitve gov si/en/index html (20 novembre 2006); Brinar, Irena (2005) „Slovenia"-in Lodge, Juliet, *The 2004 Elections to the European Parliament*, Houndmills, Basingstoke, Hampshire and New York; Palgrave Macmillan, 2005, pp. 223-229.

*DeSUS-მა და LDS-მა კანდიდატთა საერთო სიით მიიღეს მონაწილეობა; თუმცა, არჩეული დეპუტატები უფრო მეტად LDS-დან გამოსულებად განიხილებოდნენ.

** (1996 წ.-) მიგვითითებს, რომ პარტიამ მონაწილეობა მიიღო არჩევნებში არჩევის გარეშე და ვერ შეძლო საარჩევნო ბარიერის გადალახვა.

ეს პოლიტიკური სიტუაცია ასევე აქტუალური დებატის ობიექტს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს კონსენსუსი ეკონომიკური რეფორმების, გადასახადებისა და სოციალური რეფორმების აუცილებლობაზე, ამ უკანასკნელთა ხასიათი, შინაარსი, მიზანი, მასშტაბი, გავლენა და შემოთავაზებული გადაწყვეტილებების შედეგები ბუნდოვანია. შედარებით ფართო კენსენსუსი ადგილობრივი ადმინისტრაციის რეფორმასა და რეგიონების ჩართვასთან მიმართებაში არსებობს, მიუხედავად მომავალი რეგიონების მასშტაბსა და რაოდენობასთან დაკავშირებული განსხვავებული ხედვებისა. ამავე დროს, არსებობს თანხმობა იმ იდეასთან დაკავშირებით, რომ რეფორმებმა უნდა გააუმჯობესოს საჯარო ადმინისტრაციისა და სასამართლო სისტემის ხარისხი და ეფექტურობა. სამთავრობო კოალიცია ნაკლებ ყურადღებას აქცევს ოპოზიციის კრიტიკასა და წინადადებებს და საპარლამენტო უმრავლესობას იყენებს, მთავრობის წინადადებების გასატარებლად, რომლებიც ზედაპირულადაა გადასინჯული. ზოგადად, ნაკლები ძალისხმევაა გამოვლენილი უფრო ფართო კოალიციის ან კონსესუალური მხარდაჭერის გენერირებისთვის გარკვეული პოლიტიკის, ზომებისა ან გადაწყვეტილებების მიმართ. ამის საპირისპიროდ, საქმე სხვაგვარადაა ევროპულ საქმეებთან და გარკვეულ თემებთან დაკავშირებით, რომლებიც გაძლიერებულ სპეციალურ უმრავლესობას მოითხოვს სახელმწიფო კრებაში თანხმობის მისაღებად.

ამავე დროს, რჩება რამდენიმე მწვავე პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მომავალი განვითარებისთვის ხელშეწყობა შეუძლია ადეკვატური პასუხების არარსებობისას: სახელმწიფოსა და საჯარო ინსტიტუტების მიმართ უნდობლობას, პროცედურების დაუცველობას შედეგად შეიძლება სახიფათო სიტუაციები და ფენომენები მოჰყვეს, როგორიცაა თვითორგანიზაცია, ძალადობრივი მანიფესტაციები, ამბოხებები/და თვითგასამართლებაც კი და სხვ. ამ ტიპის ფენომენები კიდევ უფრო სახიფათოა თუკი ისინი შეუმწყნარებლობით, ნაციონალიზმით, დისკრიმინაციით, სოციალური გამოთიშვით, რასიზმითა და ქსენოფობიით საზრდოობს. ამგვარ ფენომენებს სლოვენიის დესტაბილიზაცია და მისი დემოკრატიული მომავლისთვის საფრთხის შექმნა შეუძლია. აღნიშნულ კონტექსტში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვაზე, დისკრიმინაციის მიმართ შეუმწყნარებლობაზე, მრავალფეროვნების დემოკრატიულ მართვასა და ინტერგაციის პოლიტიკაზე. გრძელვადიან პერსპექტივაში, აღსანიშნავია განათლების სისტემის, ინსტიტუტების, მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების როლის მნიშვნელობა, განსაკუთრებით კი სახელმწიფოს, მისი ინსტიტუტების, პარტიების, პოლიტიკოსების როლი დემოკრატიული სოციალიზაციის პროცესში.

თავი XXIV

უნგრეთი

ატილა აგი

შესავალი: უნგრეთის დემოკრატიის ჩამოყალიბება

1980-იან წლებში უნგრეთმა ფსევდოდემოკრატიის დემოკრატიაზე გადასვლის ტიპური შემთხვევა აჩვენა. ამ წლებში იწყება ძველი კომუნისტური სისტემის დაშლა და 1990 წლის გაზაფხულზე პირველი თავისუფალი არჩევნების ჩატარების პერიოდში ახალი დემოკრატიული სისტემის ჩამოყალიბება. წინა პოლიტიკური სისტემა „კადარის რეჟიმად" იყო ცნობილი, იანოშ კადარის გვარის მიხედვით, რომელიც ქვეყანას 1956-1989 წლებში ედგა სათავეში. 1956 წლის რეპრესიის შემდეგ მისი რეჟიმი არ იყო ყველაზე ლიბერალური საბჭოთა იმპერიის „კომუნისტურ" რეჟიმებს შორის. მისი ეროზია და დაშლა 1980-იანი წლების დასასრულს, როგორც შიდა, ისე გარე, ორმაგი ზეწოლის შედეგია. ერთი მხრივ, გარედან მომდინარე ზეწოლა მდგომარეობს იმ ფაქტში, რომ უნგრეთის „მართული ეკონომიკის" შედარებითმა მოქნილობამ და გახსნილობამ წინააღმდეგობა ვერ გაუწია მსოფლიო ეკონომიკის კონკურენტულ ზეწოლას. მეორე მხრივ, შიდა ზეწოლა მზარდ სახალხო უკმაყოფილებაში გამოიხატა, რომელსაც შედეგად „დემოკრატიული ოპოზიციის" ჩამოყალიბება და ხელისუფლებაში მყოფი პარტიის შიგნით რეფორმატორული მოძრაობის ჩამოყალიბება მოჰყვა.

სისტემის ცვლილება ეკონომიკის სექტორში დაიწყო. საბაზრო ეკონომიკასთან დაკავშირებული კანონმდებლობა 1987-1988 წლებში იქნა მიღებული პოლიტიკური რეფორმების გატარების ინტენსიური დებატების პირობებში. 1987 წლის სექტემბრიდან ოპოზიციაში მყოფმა ელიტებმა პოლიტიკური პარტიები შექმნეს. ამგვარად, პირველი თავისუფალი არჩევნების ჩატარებამდე ბევრად ადრე იქმნება რეალური მრავალპარტიული სისტემა. უნგრეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები ხელსაყრელ საერთაშორისო კონტექსტში მიმდინარეობს – გორბაჩოვის რეფორმები და 1989 წლის დასაწყისში პოლონეთში გამართული მოლაპარაკებები. ამგვარად, 1989 წლის სექტემბერში ეროვნული მრგვალი მაგიდა ახალი კონსტიტუციის შემუშავებას იწყებს და პირველი თავისუფალი არჩევნების ჩატარების გადაწყვეტილებას იღებს. 1989 წლის 23 ოქტომბერს, პარლამენტი ახალ კონსტიტუციას იღებს და მესამე რესპუბლიკის შექმნა ცხადდება. 1990 წლის მარტი-აპრილის არჩევნების შემდეგ, ხელისუფლებაში დემოკრატიულად არჩეული პირველი მთავრობა მოდის, რითაც „გარდამავალი მთავრობის" პერიოდი სრულდება. ამ ცვლილების მშვიდობიანმა და მოლაპარაკებებზე დაფუძნებულმა ხასიათმა დიდწილად განსაზღვრა უნგრეთის დემოკრატიის განვითარება და მისი კონსესუალური ხასიათი. გარდამავალი პერიოდი მნიშვნელოვანწილად ელიტების მიერ იყო მართული, მიუხედავად იმისა, რომ ის ფართო სახალხო მხარდაჭერას ეყრდნობოდა, რომელიც მანიფესტაციებითა და მოსახლეობის დიდი ნაწილის მობილიზაციით იქნა გამოხატული 1988-1989 წლებში.

დემოკრატიზაციის პროცესი უნგრეთში ასევე ევროპეიზაციის პროცესს წარმოადგენდა. პირველი პერიოდი 1998 წლამდე, „მოსამზადებელ" ევროპეიზაციაში მდგომარეობს; ის საერთო დემოკრატიზაციითა და 1991 წლის გაერთიანების ხელშეკრულებით აღინიშნა, რომელიც დემოკრატიის ზოგად პრინციპებს ადგენს და იმავდროულად უფრო შორს არ მიდის. მეორე პერიოდი, 1998 წლის შემდეგ, ევროპეიზაციას „ადაპტაციით" მოიცავს, რომელშიც დემოკრატიზაცია ევროკავშირის ინსტიტუციონალურ სისტემასთან შესაბამისობის ფორმას იძენს, რაც ამ გაერთიანებაში გაწევრიანებასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებშია მოთხოვნილი. მესამე და ბოლო ეტაპი, რომელიც 2004 წელს იწყება და ევროკავშირში გაწევრიანებას ემთხვევა, ასევე მნიშვნელოვან ზეწოლაშია გამოხატული ინსტიტუციონალურ ადაპტაციასთან მიმართებაში, რადგან ახალ წევრ-სახელმწიფოებს არ შეუძლიათ ევროპული დახმარებით სარგებლობა მოქნილი ინსტიტუციონალური რეფორმის გარეშე ხარვეზების შევსებისთვის აუცილებელი სტრუქტურული ფონდების მისადაგებისა და ერთიანობისთვის.

კონსტიტუციური ჩარჩო

უნგრეთი საპარლამენტო დემოკრატია და უნიტარული სახელმწიფოა. ქვეყნის პარლამენტი ერთპალატიანია, სუსტი პრეზიდენტით, ძლიერი პრემიერ-მინისტრითა და ხელისუფლებათა ბალანსის ექსტენსიური სისტემის არსებობით. უნგრეთის ახალი კონსტიტუცია 1949 წლის კონსტიტუციის მნიშვნელოვანი შესწორებიდან მომდინარეობს, რომლის სტრუქტურასაც ის იღებს, მაგრამ შინაარსი თითქმის მთლიანად შეცვლილია. ახალი კონსტიტუცია 1946 წლის დემოკრატიული კონსტიტუციისკენ შემოტრიალებას აღნიშნავს და უნგრეთის დემოკრატიული ტრადიციის ისტორიულ უწყვეტობას უზრუნველყოფს. ამავე დროს, ეს კონსტიტუცია ასევე დასავლეთევროპული კონსტიტუციონალიზმის ბოლოდროინდელი მიღწევების „იმპორტირებას ახდენს," კერძოდ კი გერმანიისა და ესპანეთის. მიუხედავად იმისა, რომ 1989 წელს პარლამენტის მიერ დამტკიცებული კონსტიტუცია

მოგვიანებით მოდიფიცირებული იქნა, ზოგადად, მისი შემუშავების პროცესი 1990 წლის აგვისტოში დასრულდა. კონსტიტუციაში უკანასკნელი მნიშვნელოვანი ცვლილებები 2003 წელს იქნა შეტანილი ევროკავშირში გაწევრიანების ჩარჩოში.

კლასიკური ტიპის საპარლამენტო დემოკრატიის დამყარების ნაცვლად, სადაც პარლამენტი ხელისუფლების დომინანტური ცენტრია, რომლის წინაშეც ყველა მინისტრია პასუხისმგებელი, უნგრეთმა არჩევანი მმართველობის გერმანულ მოდელზე გააკეთა პრემიერ-მინისტრის (ასევე „chancellor democracy"-ის უწოდებენ) დომინანტობით. კონსტიტუციური თვალსაზრისით, ძირითადი განსხვავება კონსტრუქციული უნდობლობის გამოცხადებაში მდგომარეობს, რომლის მეშვეობით პრემიერ-მინისტრი ხელისუფლების დომინანტური ცენტრი ხდება. ეს ნიშნავს, რომ პარლამენტს პირდაპირ არ შეუძლია პრემიერ-მინისტრის წინააღმდეგ კენჭისყრა და მისი შემცვლელის არჩევა სხვა კენჭისყრით. ეს ორივე აქტი ერთი და იგივე პროცედურის ნაწილია: პრემიერ-მინისტრის გადაყენება შეუძლებელია თუკი მისი შემცვლელი იმავე „კონსტრუქციული" კენჭისყრითაა არჩეული. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პრემიერ-მინისტრის შეცვლა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტის უბრალო უმრავლესობა ახლის არჩევას თანხმდება, ე. ი. ახალი კოალიციის შექმნას. კონსტრუქციული უნდობლობის გამოცხადება ართულებს პრემიერ-მინისტრის გადაყენებას და აღნიშნულის შედეგად, ამ უკანასკნელის პოზიციას საგრძნობლად ამყარებს. ეს კონსტიტუციური დებულება მთავრობის სტაბილურობას აძლიერებს და იმავდროულად, პრემიერ-მინისტრს გარკვეულ სპეციფიკურ უფლებებს ანიჭებს. მაგალითად, მინისტრები პასუხისმგებლები არიან სწორედ პრემიერ-მინისტრის და არა პარლამენტის წინაშე, რაც აუქმებს მათ ტრადიციულ პერსონალურ პასუხისმგებლობას საპარლამენტო ასამბლეის წინაშე. პარლამენტი პრემიერ-მინისტრს უბრალო უმრავლესობის კენჭისყრით ირჩევს, რის შემდეგაც ეს უკანასკნელი მთავრობას წარადგენს. პრემიერ-მინისტრს მინისტრების გადადგომის მოთხოვნა შეუძლია და ახლების დანიშვნა პარლამენტის თანხმობის გარეშე.

უნგრეთის დემოკრატია ზედმიწევნით მიჰყვებოდა გერმანულ მოდელს ასევე ძალზე ძლიერი საკონსტიტუციო სასამართლოს არსებობის კუთხითაც. 1990 წლის 1 იანვარს საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნის დღიდან, ის უნგრეთში მნიშვნელოვან პოლიტიკურ ფაქტორს წარმოადგენდა დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს დაცვაში. ზოგადად, პრემიერ-მინისტრით დომინირებული მთავრობა ძლიერი ხელისუფლების ცენტრში იმყოფება, რომელიც ხელისუფლებათა გაძლიერებულ ბალანსს მოითხოვს დემოკრატიული კონტროლის უზრუნველსაყოფად. მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტს არა აქვს აღმასრულებელი ძალაუფლება, მისი როლი არაა მხოლოდ სიმბოლური ან საპატიო, რადგან მას თავისი ადგილი უკავია ხელისუფლებათა ბალანსის სისტემაში. კონსტიტუციის თანახმად, „უნგრეთის სახელმწიფოს მეთაური რესპუბლიკის პრეზიდენტია, რომელიც ერის ერთიანობას განასახიერებს და სახელმწიფო ორგანოების დემოკრატიულ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს."

ცენტრალური ევროპის სხვა ახალი დემოკრატიების საპირისპიროდ, ძლიერი პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტმა უნგეთის მთავრობების სტაბილურობა განაპირობა პოლიტიკური გარდამავალი პერიოდის მშფოთვარე წლებში. შემთხვევითი არაა, რომ ესპანეთმა გერმანულ მოდელსა და ძლიერ პრემიერ-მინისტრზე გააკეთა არჩევანი, ასევე შემთხვევითი არაა, რომ უნგრეთმა, მოგვიანებით კი პოლონეთმა, ასევე ამ მოდელზე შეაჩერეს არჩევანი. ამ ტიპის მმართველობის არჩევანი მნიშვნელოვანწილად განმარტავს თუ რატომ იყო უნგრეთი ყველაზე სტაბილური ქვეყანა ცენტრალურ ევროპაში და რატომ შეძლეს 1990 წლის შემდგომმა პარლამენტებმა და მთავრობებმა თავიანთი მანდატების ბოლომდე დასრულება. მიუხედავად პრემიერ-მინისტრის ორჯერ შეცვლისა (იოჟეფ ანტალი, რომელიც თავისი მანდატის დროს გარდაიცვალა და პეტერ მედიეში, რომელიც დისკუსიების ობიექტი გახდა მთავრობის შიგნით), პარლამენტებმა და ხელისუფლებაში მყოფმა კოალიციებმა თავიანთი საქმიანობის გაგრძელება შეძლეს. ამ სტაბილურობას ასევე ძლიერი პარტიული სისტემაც განსაზღვრავს. მართლაც, ყველა დღევანდელი საპარლამენტო პარტია 1980-იანი წლების ბოლოს გამოჩნდა და 1990-იან წლებში გაძლიერდა, პოლიტიკურ ასპარეზზე ახალი პარტიის შემოსვლის გარეშე. პოლიტიკური სისტემისა და პარტიული სისტემის სტაბილურობის ბოლო ფაქტორს ძალზე სპეციფიკური შერეული საარჩევნო სისტემა წარმოადგენს.

უნგრეთის პარლამენტი და პარტიული სისტემა

ხშირ შემთხვევაში, უნგრეთის საარჩევნო სისტემა რთულ სისტემად განიხილებოდა. თუმცა, აღნიშნულს პრობლემები არ შეუქმნია და არც ელექტორატის დეზორიენტაცია გამოუწვევია. უფრო მარტივად თუ ვიტყვით, უნგრეთის საარჩევნო სისტემა ძირითადად არა პროპორციული, არამედ არსებითად მაჟორიტარულია. 386 მოსაპოვებელი ადგილიდან 176 დეპუტატი უნინომინალური ხმის მიცემითაა არჩეული ოლქების ჩარჩოში, 210 კი პარტიული სიებით (45% 55%-ის წინააღმდეგ). იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც პროპორციული სისტემის წილი მაჟორიტარულ სისტემაზე მნიშვნელოვანია, მოქმედი საარჩევნო სისტემა ადგილების დამატებითი მოპოვების საშუალებას იძლევა სიით გათვალისწინებულის გარდა. ამგვარად, ინდივიდუალური ოლქების ბედი ყველაზე ხშირად არჩევნების მეორე ტურში წყდება, რაც ელექტორატის „მეორე თვალსაზრისს" ასახავს საუკეთესო პარტიის პირისპირ პირველი ტურის შემდეგ. ამიტომაც, უნგრეთის საარჩევნო სისტემა უპირატესობას მმართველობისადმი დაქვემდებარებასა და სტაბილურობას ანიჭებს პროპორციული წარმომადგენლობის საზი-

ანოდ. მნიშვნელოვანი უმრავლესობა ამ საარჩევნო ბალანსის დარღვევით განისაზღვრება მიუხედავად იმისა, რომ პროპორციულობას საგულისხმო კორექციული ეფექტი აქვს. პარტიული სიები ტერიტორიულ სიებსა და ნაციონალურ სიას მოიცავს. ეს უკანასკნელი კორექციულ როლს ასრულებს ინდივიდუალურ ოლქებსა და ტერიტორიული სიებით „დაკარგული ხმის მიცემის“ დაბალანსებით, მაგრამ შედეგები გარკვეულწილად არაპროპორციულია იმ პარტიის სასარგებლოდ, რომელსაც მეტი ადგილების მოპოვება შეუძლია ინდივიდუალურ ოლქებში. ეს სისტემა მთავრობის სტაბილურობასა და პარტიული ნიშნით მიმხრობას აძლიერებს იმგვარად, რომ განსხვავება ყველაზე დიდ არასაპარლამენტო პარტიასა და ყველაზე პატარა საპარლამენტო პარტიას შორის ეტაპობრივად გაიზარდა 1990 წლის შემდეგ. საპარლამენტო პარტიები ოთხი მთავარი პარტიისგან შემდგარ დახურულ კლუბად იქცა. ამ საარჩევნო კანონმა ხელი შეუწყო უნგრეთის დემოკრატიისა და მისი საპარლამენტო სისტემის კონსოლიდაციას. გარკვეულ შემთხვევებში, ადგილი ჰქონდა დისკუსიებს თუმცა, არა მძაფრს დეპუტატების რაოდენობის 386-დან 200-მდე ან 250-მდე შემცირებასთან დაკავშირებით, მაგრამ არც ერთ პოლიტიკურ თუ სამეცნიერო აქტორს საარჩევნო სისტემის რაიმე ფუნდამენტური რეფორმა არ შემოუთავაზებია.

საპარლამენტო პარტიების რაოდენობა შვიდიდან ოთხამდე შემცირდა: პირველი პარლამენტი (1990-1994წწ.) ექვსი პარტიით იყო წარმოდგენილი. უნგრეთის დემოკრატიულმა ფორუმმა ((HDF), მცირე მესაკუთრეთა დამოუკიდებელმა პარტიამ (ISP) და ქრისტიან-დემოკრატიულმა სახალხო პარტიამ (CDPP) იოჟეფ ანტალის პირველი კონსერვატორული მთავრობა ჩამოაყალიბა. უნგრეთის სოციალისტური პარტია (HSP), თავისუფალ დემოკრატთა ალიანსი (AFD) და ახალგაზრდა დემოკრატთა ალიანსი (FIDESZ) ოპოზიციაში იმყოფებოდა. მეორე პარლამენტში (1994-1998 წწ.), რომელშიც კვლავ 6 პარტია იყო გაერთიანებული, უნგრეთის სოციალისტურმა პარტიამ და თავისუფალ დემოკრატთა ალიანსმა დიულა ორნის თავმჯდომარეობით ლიბერალურ-სოციალისტური კოალიცია ჩამოაყალიბა. მესამე პარლამენტში (1998-2002 წწ.) ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია FIDESZ-მა შთანთქა, ხოლო უკიდურესი მემარჯვენე პარტია, უნგრეთის დემოკრატიული ფორუმიდან გამოსული უნგრეთის პარტია სამართლიანობისა და სიცოცხლისთვის (HLJP), პარლამენტში შევიდა. 1998 წელს FIDESZ-მა მეორე კონსერვატორული ნაციონალური მთავრობა ჩამოაყალიბა ISP-სა და HDF-თან ერთად, მაშინ როდესაც HSP, ADF და HLJP კვლავ ოპოზიციაში აღმოჩნდა. მეოთხე პარლამენტში (2002-2006 წწ.), უნგრეთის სოციალისტურმა პარტიამ და თავისუფალ დემოკრატთა ალიანსმა მეორე ლიბერალურ-სოციალისტური სამთავრობო კოალიცია ჩამოაყალიბა, რომელსაც თავდაპირველად პეტერ მედიეში ედგა სათავეში, ხოლო 2004 წლის სექტემბრიდან ფერენც დიურჩანი. ეს მეოთხე პარლამენტი ოთხი პარტიისგან შედგებოდა, ხოლო FIDESZ-ი და უნგრეთის დემოკრატიული ფორუმი ოპოზიციაში იყო. 2006 წელს ლიბერალურ-სოციალისტურმა კოალიციამ არჩევნებში დიდი უმრავლესობით გაიმარჯვა იმგვარად, რომ პირველად უნგრეთის უახლეს პოლიტიკურ ისტორიაში მთავრობა ხელახლა იქნა არჩეული. დღეისათვის, მოქმედებს 2+2-ის პარტიული სისტემა ორი დიდი პარტიითა (HSP და FIDESZ) და ორი პატარა პარტიით (HDF და ADF). მთავარი სადემარკაციო ხაზი გადის ერთი მხრივ, უნგრეთის სოციალისტურ პარტიასა და ლიბერალ-დემოკრატების ალიანსს, ხოლო მეორე მხრივ, FIDESZ-სა და უნგრეთის დემოკრატიულ ფორუმს შორის. მეხუთე პარლამენტში (2006-2010 წწ.) ხუთი პარტია წარმოდგენილი FIDESZ-ისა და ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტიის უპრობლემო გაყოფის შედეგად. მართლაც, ეს უკანასკნელი (CDPP) ზოგჯერ დამოუკიდებელ პარტიას, ზოგჯერ კი ფრაქციას წარმოადგენს FIDESZ-ის შიგნით.

უნგრეთს ყოველთვის ჰქონდა ღრმა და მნიშვნელოვანი საპარლამენტო ტრადიცია და მისი პარლამენტის საქმიანობა შუა საუკუნეების დასაწყისიდან არ შეწყვეტილა. „კომუნისტური“ ქვეყნების პარლამენტები „მარიონეტულებად“ განიხილებოდნენ, მაგრამ უნგრეთის პარლამენტი იმ ეპოქაშიც კი, შედარებით მნიშვნელოვან აქტორს წარმოადგენდა და დიდი ცნობადობით სარგებლობდა. 1985 წელს ნახევრად თავისუფალი არჩევნები ჩატარდა და 50 „სპონტანური“ კანდიდატი იქნა არჩეული (რეალურად ოპოზიციას წარმოადგენდნენ). 1985-1990 წლებში მოქმედი პარლამენტი „გარდამავალი პარლამენტის“ სახელითაა ცნობილი პოლიტიკურ გარდამავალ პერიოდში თავისი აქტიური როლის გამო. 1980-იანი წლების მეორე ნახევარში ბევრი დეპუტატი გადადგა სახალხო ზეწოლის ქვეშ და ამ უკანასკნელთა ადგილებზე ოპოზიციის ახალი დეპუტატები იყვნენ არჩეულნი. ამგვარად, გარდამავალმა პარლამენტმა თანდათანობით სახე იცვალა და ძლიერი აქტორი გახდა პოლიტიკური ცვლილების მომზადების საქმეში. ამ პარლამენტმა მრავალი ზომა მიიღო ეკონომიკური რეფორმის გასატარებლად და ბევრ ფუნდამენტურ აქტში შეიტანა ცვლილებები ძირითადი უფლებების გასაფართოებლად მაგალითად, 1988/89 წლებში მიღებული შეკრების უფლების აქტი. ამგვარად, 1987 წლის შემდეგ ოპოზიციური პარტიები პარლამენტის შიგნით იქმნებიან, როდესაც დეპუტატები პარტიული მიმხრობის ნიშნით ორგანიზებას ცდილობენ. გარდამავალი პარლამენტი დიდწილად კომისიების საფუძველზე ფუნქციონირებდა, გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობა კი ინტენსიური იყო პირველი თავისუფალი არჩევნების ჩატარებამდეც.

რა თქმა უნდა, პარტიების რეალური პარლამენტარიზაცია მხოლოდ პირველი პარლამენტის არჩევის შემდეგ იწყება. მრავალპარტიული სისტემა 1990 წლის გაზაფხულამდე ბევრად ადრე იქმნება, რადგან ყველა საპარლამენტო პარტია უკვე წარმოდგენილი იყო პოლიტიკურ ასპარეზზე. სამოქალაქო დემოკრატიული ფორუმი

ყველაზე დიდ საპარლამენტო პარტიას წარმოადგენდა 1990-1994 წლებში. რეალობაში, ის „თავშესაფარის ორგანიზაცია“ იყო სხვა ახალ დემოკრატიებში არსებულის ანალოგიური, მაგრამ თავისი აღმოსავლეთევროპელი კოლეგების საპირისპიროდ, ახლად აღმოცენებულ პარტიული ნიშნით მიმხრობის სისტემაზე არ დომინირებდა. ამ პარტიამ ადრე განიცადა უკუსვლა და შედეგად, პოლიტიკურ ასპარეზზე რამდენიმე ახალი პარტია გამოჩნდა. უნგრეთის დემოკრატიული ფორუმიდან გამოსული ყველა პარტიიდან, მხოლოდ უკიდურესმა მემარჯვენე პარტიამ – პარტია სამართლიანობისა და სიცოცხლისთვის – შეძლო გადარჩენა და ის საპარლამენტო პარტია გახდა 1998-2002 წლებში. პირველი პარლამენტის მეორე დიდ პარტიას თავისუფალი დემოკრატების ალიანსი (AFD) წარმოადგენდა, რომელიც 1980-იან წლებში დაწყებულ პოლიტიკურ საქმიანობას აგრძელებდა, როგორც ოპოზიციური ძალა. AFD ლიბერალური პარტიაა, რომელიც საბაზრო ეკონომიკასა და ადამიანის უფლებებზეა ცენტრირებული. მან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა უნგრეთის ახალი დემოკრატიის პირველ წლებში, მაგრამ მალევე განიცადა უკუსვლა. 1994 წელს ამ პარტიამ თავისი ელექტორატის დიდი ნაწილი დაკარგა და ამ დროიდან მოყოლებული, ის უნგრეთის სოციალისტური პარტიის კოალიციის პარტნიორი გახდა და მასთან ერთად მემარცხენე-ლიბერალური მთავრობები ჩამოაყალიბა.

უნგრეთის სოციალისტური პარტიაც (HSP) არ იყო ხელისუფლებაში მყოფი ძველი პარტიის ჩვეულებრივი მემკვიდრე, რომელიც კანონიერად იქნა დაშლილი, მისი წევრები კი პოლიტიკური ცხოვრებიდან გამოირიცხნენ. მართლაც, ეს ახალი პარტია ძველი რეჟიმის დაშლამდე ბევრად ადრე ჩნდება და აქტიურად მონაწილეობს სისტემის ცვლილებაში. პოლიტიკურ ასპარეზზე 1990 წლამდე შემოსულ უნგრეთის სოციალისტურ პარტიას მემარცხენე ძალების გაერთიანების შესაძლებლობა ჰქონდა მემარჯვენე პარტიებისგან განსხვავებით, რომლებიც სამი თუ ოთხი პარტიის ფრაგმენტაციით გამოწვეულ გარკვეულ დაძაბულობას განიცდიდნენ. ეტაპობრივი დეზინტეგრაციის შემდეგ, უნგრეთის დემოკრატიულმა ფორუმმა პოლიტიკურ ასპარეზზე საკუთარი თავი პატარა პარტიის სახით შეინარჩუნა, მაშინ როდესაც FIDESZ-ი დომინანტურ პოზიციებს იკავებდა და მემარჯვენე ძალების გაერთიანება შეძლო. FIDESZ-ის სახელწოდება ახალგაზრდა დემოკრატების ალიანსის უნგრული თარგმანიდან მომდინარეობს და ლათინურ ტერმინზე, „რწმენაზე“ მიგვანიშნებს. 1980-იანი წლების დასასრულსა და 1990-იანი წლების დასაწყისში ის ზოგადად, ახალგაზრდებისგან შემდგარ ანარქისტული ტენდენციების მქონე ლიბერალურ პარტიას წარმოადგენდა, რომელმაც პირველ პარლამენტში შესვლა მოახერხა. აღნიშნულ დროს FIDESZ-ი ყველაზე პატარა პარტია იყო და 1994 წელს მან ადგილები ასევე მეორე პარლამენტშიც მოიპოვა. თუმცა, უნგრეთის დემოკრატიული ფორუმის საარჩევნო მარცხისა და საბოლოო დეზინტეგრაციის შემდეგ, ახალგაზრდა დემოკრატებმა პოლიტიკური სპექტრის მარჯვენა ფლანგზე განთავისუფლებული ნიშის არსებობა გაითვალისწინეს და ის სწრაფად დაიკავეს. მათი დემარში წარმატებით დაგვირგვინდა, რადგან მემარჯვენე პარტიების გაერთიანებით ახალგაზრდა დემოკრატებმა 1988 წლის არჩევნებში გამარჯვება მოიპოვეს. ამის შედეგად, მათ ქვეყნის მართვა ორ პატარა პარტიასთან ერთად შეძლეს – მცირე მესაკუთრეთა დამოუკიდებელი პარტია ((ISP) და ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია (CDPP). აღნიშნული ლეგისლატურის დროს გლეხთა პოპულისტური პარტია ISP დაიშალა (FIDESZ-ის ხელმოწყობით) და CDPP FIDESZ-ს შეუერთდა ორგანიზაციული კუთხით. ამ ლეგისლატურის დასრულების დროიდან, FIDESZ-ი დომინანტური მემარჯვენე პარტიაა, უნგრეთის დემოკრატიული ფორუმი (HDF) კი ერთადერთ პარტიას წარმოადგენს, რომელიც ამ უნიფიკატორული ტენდენციების მიღმა რჩება. 2002 წლის არჩევნებში, ყველა მემარჯვენე პარტიამ საერთო სია წარადგინა, მაგრამ თავიანთი მარცხის შემდეგ, უნგრეთის დემოკრატიული ფორუმი მეოთხე პარლამენტში დამოუკიდებლად შევიდა. ამ დროიდან, HDF-მა წინააღმდეგობა გაუწია ერთ პარტიად ჩამოყალიბების FIDESZ-ის ყველა მოწოდებას და საპარლამენტო პარტია გახდა 2006 წლის არჩევნებში დამოუკიდებელი სიის წყალობით.

დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბება და მთავრობები

ინსტიტუციონალური განვითარების ეტაპები შიდა პროცესის ხასიათით იყო განსაზღვრული, რომლის მიზანსაც მაკრო-, მეზო-, და მიკროპოლიტიკის ეტაპობრივი წინსვლა წარმოადგენდა. ზოგადად, ეს ეტაპები სხვა ცენტრალური ევროპის ქვეყნების ანალოგიურია. ამ შემთხვევაში, განსხვავება ცვლილების ფორმასა და სისწრაფეში მდგომარეობს. დასაწყისში, დემოკრატიულმა ინსტიტუციონალიზაციამ ორი დიდი ეტაპი განვლო, როგორც ანალიტიკური, ისე კონცეპტუალური და ქრონოლოგიური თვალსაზრისით. პირველი ეტაპი ეხება გადამწყვეტ საპარლამენტო და საკონსტიტუციო ცვლილებებს, ისევე როგორც ცენტრალური მთავრობის, სახელმწიფო ადმინისტრაციისა და „ფუნქციონალურ მმართველობებს“, ე. ი. ინტერესთა წარმოჩენის დიდ ორგანიზაციებს. მეორე ეტაპი ეხება ქვერეგიონალურ, ადგილობრივ და რეგიონალურ მთავრობებს. პირველი ფაზა საკონსტიტუციო ცვლილებებზე იყო ფოკუსირებული – პრეზიდენტი, მთავრობა და პარლამენტი -, რომელიც „საპარლამენტო“ დემოკრატიის სანიმუშო ინსტიტუტი და ცენტრია. შემდეგ, მთავრობის ტრანსფორმაცია მოხდა, სამთავრობო აპარატმა (მინისტრები) და მთლიანად სახელმწიფო ადმინისტრაციამ რეორგანიზაცია და მოდერნიზაცია განიცადა ინტერესთა წარმოდგენის დიდი ორგანიზაციების ფუნქციონალური თუ „კრძო“ მმართველობებით. დაბოლოს, მეორე ეტაპზე წინსვლა განიცადა შედარებით უგულებელყოფილმა ან აბსტრაქტული ფორმით რეგლამენტირე-

ბულმა სექტორებმა, როგორიცაა საჯარო ადმინისტრაციისა და ასოციაციური სექტორი, ისევე როგორც დემოკრატიულმა ინსტიტუციონალიზაციამ მიკროპოლიტიკურ დონეზე თავისი დეტალური და სპეციფიკური რეგლამენტაციებით გაერთიანებებთან და მმათველობებთან მიმართებაში.

ამავე დროს, „მოსამზადებელი“ ევროპეიზაციის ფაზის ეს ეტაპები მხოლოდ ანალიტიკური კუთხით შეიძლება განსხვავდებოდეს. რეალობაში, აღნიშნული ეტაპები პარალელურად მიმდინარეობს ან ერთმანეთთანაა გადაკვეთილი. თუმცა, ინსტიტუნიონალიზაციას არ ჰქონდა იგივე მიზნები, რაც ორაზროვნების გარეშე დემორატიზაციის ტრაექტორიის გამიჯვნის შესაძლებლობას იძლევა. აშკარა შიდა ლოგიკას წარმოადგენდა თავდაპირველად მაკროპოლიტიკური ინსტიტუტების შექმნა მეზო ან მიკროპოლიტიკურ ინსტიტუტებამდე, რამდენადაც ამ უკანასკნელთ მხოლოდ მეტ-ნაკლებად განსაზღვრულ პოლიტიკურ სივრცეში შეეძლოთ გაერთიანება უკვე ჩამოყალიბებული მაკროპოლიტიკური ინსტიტუტებით, როგორიცაა პარლამენტი, პრეზიდენტი და მთავრობა. რეფორმის ძირითადი ღერძი მთავრობისა და სახელმწიფო ადმინისტრაციის დონეზე ხელისუფლებისა და კომპეტენციების დეცენტრალიზაციაში მდგომარეობდა, გამიჯნული იქნა სახელმწიფო ადმინისტრაცია და საჯარო ადმინისტრაცია. ამგვარად, სამთავრობოთაშორისო ურთიერთობები და სახელმწიფო/კერძო ურთიერთობები ცენტრალურ ევროპაში ძალზე კომპლექსურ და მოქნილ სტრუქტურას იძენს. ამ სტრუქტურული დიფერენციაციის დროს, რეგიონის ქვეყნების მთავრობები ორმაგი მზარდი ზეწოლის ქვეშ მოექცნენ, როგორც შიგნიდან, ისე გარედან. გარედან, ეს ზეწოლა ევროკავშირიდან მომდინარეობს, რომლის სურვილს წარმოადგენს ცენტრალური ევროპის ქვეყნების ცენტრალური ადმინისტრაციების მეტი შესაბამისობის არსებობა წევრი-ქვეყნების ადმინისტრაციებთან. უბრალო საკანონმდებლო ჰარმონიზაციის მიღმა ამოქმედებული იქნა „პოლიტიკური ჰარმონიზაციის“ პროცესი. შიგნიდან, აღნიშნული ჰარმონიზაცია გამოიხატება, როგორც ფინანსური ეფექტურობის, ისე საზოგადოების მიერ სახელმწიფოს გაკონტროლების მოთხოვნაში.

სახელმწიფოს დონეზე, 1980-იანი წლების დასასრულის ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება უფლებამოსილებების დაყოფაში მდგომარეობს პარტიის გადაწყვეტილების მიღების ცენტრებსა და ცენტრალურ მთავრობას შორის. აღნიშნულის კარგი მაჩვენებელია რეფორმისტული და ტექნოკრატიული ტენდენციების გამტარებელი ახალგაზრდა და ამბიციური პრემიერ-მინისტრის, მიკლოშ ნემეტის საქმიანობა. ცენტრალური მთავრობა ხელისუფლების რეალური ცენტრი ხდება, რომელსაც მზარდ ზედამხედველობას უწევს პარლამენტი და საზოგადოებრივი აზრი. ეს გარდამავალი მთავრობა მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი რეფორმების ინიციატორი იყო, განაკუთრებით ეკონომიკის სფეროში. საბაზრო ეკონომიკასთან დაკავშირებული საბაზო კანონმდებლობა 1989 წლამდე შემუშავდა, მიღებული იქნა თორმეტამდე აქტი, რომელთა შორისაა თავისუფალი მეწარმეობის აქტი, მოგების საშემოსავლოში დაბრუნებისა და ტრანსფორმაციის აქტი (1989 წლის ივნისის XIII აქტი), რომელიც სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაციის პროცესის რეგლამენტირებას ახდენდა. აღნიშნულის შედეგად, 1989 წელი სისტემის ცვლილების ჭეშმარიტი ათვლის წერტილი გახდა, პოლიტიკური ასპექტის ჩათვლით, რაც *de jure* მრავალპარტიული სისტემის ჩამოყალიბებასა და კონსტიტუციაში შესწორების შეტანასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების დასრულებაში გამოიხატა.

დემოკრატიულმა უნგრეთმა ხუთი საპარლამენტო ციკლი გაიარა და ამგვარად, ხუთი სამთავრობო კოალიციის პერიოდი. 2006 წლამდე, ხელისუფლებაში რიგრიგობით, ხან მემარცხენეები, ხან კი მემარჯვენეები მოდიოდნენ. 1990 წელს მიკლოშ ნემეტის რეფორმატორული მთავრობა იოჟეფ ანტალის ნაციონალურმა კონსერვატორულმა მთავრობამ შეანაცვლა. ამ უკანასკნელის ადგილი 1994 წელს დიულა ორნის ლიბერალურ-სოციალისტურმა კოალიციამ დაიკავა, შემდეგ ვიქტორ ორბანის მთავრობამ (FIDESZ) 1998 წელს, ხოლო 2002 წელს პეტერ მედიეშის მეორე ლიბერალურ-სოციალისტურმა კოალიციამ. ეს საარჩევნო და პოლიტიკური ევოლუცია გვიჩვენებს, რომ მიუხედავად შედარებითი პოლიტიკური სტაბილურობისა, უნგრეთის მოსახლეობამ თავისი უკმაყოფილება გამოხატა მთავრობებისა და ხელისუფლებაში მყოფი პარტიების მონაცვლეობით. ამავე დროს, 2006 წლის ბოლო საპარლამენტო არჩევნებში მთავრობა არ შეცვლილა მიუხედავად იმისა, რომ ეს კოალიცია ცოტა ხნის შემდეგ მოსახლეობის მიერ იქნა „დასჯილი“ მუნიციპალურ არჩევნებში, რაც პოლიტიკური სისტემის გარკვეულ კონსოლიდაციაზე მიუთითებს.

იოჟეფ ანტალის პირველმა თავისუფალმა მთავრობამ საგულისხმო როლი შეასრულა პოლიტიკური კრიზისის მართვაში: ამ მთავრობას მნიშნელოვანი ამოცანა ჰქონდა დაკისრებული, რომლის ერთ-ერთი საზრუნავი მაკროპოლიტიკური აქტორების როლის განსაზღვრა იყო. შეიძლება ითქვას, რომ ეს მთავრობა ერთდროულად სუსტი და დანაწევრებული იყო; თუმცა, ისტორიული და შედარებითი მიდგომით, მას სხვა გარდამავალი პერიოდის ქვეყნების მთავრობებზე ნაკლები პრობლემები ჰქონდა. მართლაც, ამ მთავრობამ შეეძლო წინა მთავრობის ადმინისტრაციული და ეკონომიკური რეფორმების წარმატებაზე დაყრდნობა და მან იგივე გზა გააგრძელა რეევროპეიზაციის განსახორციელებლად. ცენტრალური მთავრობის სტრუქტურების შემცირება კარგ პოლიტიკურ ზომას წარმოადგენდა ეკონომიკური პრობლემების კომპლექსურობის პირისპირ. რაც შეეხება დიულა ორნის მეორე მთავრობას, მას სხვადასხვა ეკონომიკური და სოციალური პრობლემები უნდა გადაეჭრა : პრივატიზაციის პროცესის თითქმის დასრულების შემდეგ, ორნის მთავრობა ეკონომიის მკაცრ ზომებსა და „ბოკროსის“

– ფინანსთა მინისტრის, ლაიოშ ბოკროსის გვარის მიხედვით – პაკეტს იღებს. ამ პაკეტმა 1995-1996 წლებში რადიკალურად შეამცირა მთავრობის ხარჯები და სახელმწიფო ვალი, მაგრამ ასევე ხელფასებიც შეამცირა. ამგვარად, სისტემის ცვლილება თითქმის დასრულებულია, ეკონომიკური კრიზისი კი გადალახული. 1996 წლიდან უნგრეთი სტაბილურ ეკონომიკურ ზრდას განიცდის. ევროსტატის მონაცემების თანახმად, ამ ქვეყანას განვითარების საუკეთესო დინამიკა ჰქონდა ევროკავშირის ახალ წევრ-სახელმწიფოებს შორის. 1995 წელს უნგრეთის per capita შიდა ეროვნული პროდუქტის მაჩვენებელმა საშუალოდ 49%-ს მიაღწია ევროკავშირის მასშტაბით და 61%-ს 2005 წელს, რაც ამ კავშირში შემავალ ათ ახალ ქვეყანას შორის ზრდის ყველაზე მაღალი პროცენტია.

სწორედ ამ ხელსაყრელ პირობებში ვიქტორ ორბანის მესამე მთავრობამ გარკვეული პოლიტიკური და ადმინისტრაციული ზომების გატარება შეძლო: აღსანიშნავია პრემიერ-მინისტრის კაბინეტის რეორგანიზაცია, რაც კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია უნგრეთის ადმინისტრაციულ რეფორმაში. როგორც უკვე ავღნიშნეთ, უნგრეთში პრემიერ-მინისტრის კონსტიტუციური როლი და პოზიცია ძალზე ახლოს დგას გერმანიის კანცლერის როლთან და პოზიციასთან. ამიტომაც, 1998 წელს ორბანის მთავრობა მთავრობის მეორე რეფორმის ინიციატორი გახდა პრემიერ-მინისტრის კაბინეტის *Kanzleramt*-ის გერმანული მოდელის ჩამოყალიბებით. აღნიშნულმა შესაძლებელი გახადა სხვადასხვა სამინისტროებზე დაკისრებული ძირითადი პოლიტიკის განსაზღვრა, ამ სამინისტროების ინსტიტუციონალიზაცია და კოორდინაცია. ეს ასევე დიდი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო პოლიტიკის დაგეგმარებაში. მედიეშის მეოთხე მთავრობა თავისი ფუნქციის შესრულებას 2002 წლის 22 მაისს შეუდგა, 12-13 დეკემბერს კი დასრულდა ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები. 2002 წელს ევროპეიზაციის პროცესში ახალი გარდამტეხი მომენტი დგება. 2004 წლის 1 მაისს ევროკავშირში გაწევრიანება არ იყო უბრალო მოვლენა, ის ეტაპობრივ პროცესს წარმოადგენდა აქტიური დამკვირვებლის პოზიციაში, რომელიც უნგრეთს 2002 წლის დეკემბრის შემდეგ ეკავა. გაწევრიანების შემდგომი პერიოდი და ადაპტაცია სრულუფლებიან წევრად გახდომისთვის ადრე დაიწყო მედიაშის მთავრობის დროს. ცენტრალური მთავრობის ევროპეიზაციისკენ მიმართული შემდგომი ეტაპი მეტ-ნაკლებად ემთხვევა დიურჩანის პირველ მთავრობას 2004-2006 წლებში. მართლაც, პეტერ მედიეშის გადადგომის შემდეგ 2004 წლის 25 აგვისტოს, ახალი პრემიერ-მინისტრი ფერენც დიურჩანი და მისი მთავრობა 2004 წლის 29 სექტემბერს თავიანთი ფუნქციების შესრულებას შეუდგნენ და ევროპული საქმეების რეორგანიზაცია მოახდინეს მთავრობის დონეზე, რაც დიურჩანის მეორე მანდატის დროს განხორციელდა.

უნგრეთის ევროკავშირში შესვლას შოკის ეფექტი ჰქონდა ცენტრალური მთავრობისთვის, მაგრამ ამავე ეფექტმა, რომელსაც *„გაწევრიანების შემდგომ კრიზისს“* უწოდებენ ცენტრალური ევროპის სხვა ქვეყნებშიც იჩინა თავი. ეს კრიზისი გამოწვეული იყო ერთი მხრივ, ევროკავშირის მოთხოვნებით, მეორე მხრივ კი, მოსახლეობის მოთხოვნებით. ევროკავშირმა ევროს ზონაში ინტეგრაციისთვის თანხვედრის პროგრამა მოითხოვა, რაც სახელმწიფო დეფიციტისა და მთავრობის ხარჯების შემცირებას ითვალისწინებდა. ცენტრალური ევროპის მოქალაქეები ყოველთვის ბევრს ელოდნენ ევროკავშირში გაწევრიანებისგან თუმცა, დიდი უმრავლესობისთვის ცხოვრების დონე 1980-იანი წლების დასასრულს არსებულისას ბევრად არ აღემატება. ყველანი იმედგაცრუებულნი იყვნენ. ევროკავშირი ევროზე სწრაფ გადასვლას იმედოვნებდა ამ პროცესის სოციალური ღირებულების უგულებელყოფით მაშინ, როდესაც ცენტრალური ევროპის მოსახლეობამ ამხილა პოლიტიკური ელიტები და პარტიული ნიშნით მიმხრობის სისტემები, რამაც მთავრობების დაშლა გამოიწვია.

უნგრეთის საჯარო ადმინისტრაცია

უნგრეთის უნიტარულ სახელმწიფოში ისტორიულად იერარქიული და ვერტიკალური საჯარო ადმინისტრაცია არსებობდა, რომელიც დეპარტამენტებს, რეგიონებსა და მუნიციპალიტეტებს ეფუძნებოდა. ეს ტერიტორიული სტრუქტურა სისტემის ცვლილებების შემდეგაც გაგრძელდა, მაგრამ მან კავშირი გაწყვიტა თავის იერარქიულ ხასიათთან. ახალმა კონსტიტუციამ სახელმწიფოს ძველი ადმინისტრაციული სისტემა და ცენტრალური ხელისუფლებისადმი ტერიტორიული ერთეულების მკაცრი ვერტიკალური და იერარქიული დაქვემდებარება გააუქმა. ამ კონსტიტუციამ დამოუკიდებელი გახადა არჩეული ადგილობრივი მთავრობები (ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები) სახელმწიფო ადმინისტრაციის პირისპირ. ადგილობრივ მთავრობებთან დაკავშირებული LXIII აქტით დადგენილია, რომ „ადგილობრივი მთავრობების საქმიანობა მდგომარეობს ადგილობრივი საქმეების ავტონომიურ და დემოკრატიულ მართვაში არსებული ერთობების მიერ და მოსახლეობის ინტერესებში ადგილობრივი ხელისუფლების აღსრულებაში.“ ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ეს კონსტიტუციური დებულება თავისუფალი და დემოკრატიული ადგილობრივი ავტონომიის სისტემას აფუძნებს. საჯარო სექტორი ორი აქტის მიღების საგანი გახდა 1992 წელს. პირველი სახელმწიფო ადმინისტრაციას (1992 წლის XXIII აქტი), მეორე კი საჯარო ფუნქციონერებს (1992 წლის XXXIII აქტი) ეხება. ამ აქტებით საფუძველი ჩაეყარა ცენტრალური ხელისუფლებისა და მთლიანად საჯარო სექტორის დემოკრატიულ ფუნქციონირებას. აღნიშნული აქტებით სახელმწიფო ადმინისტრაცია სხვა ფუნქციონერებისგან გაიმიჯნა და დაზუსტებული იქნა მისი პარტიული ნიშნით მიუმხრობლობის ხასიათი, რომელიც პატივისცემასა და პროფესიონალიზმეა დამყარებული.

ადგილობრივი მთავრობების შექმნა კონსტიტუციური სახელმწიფოების ჩამოყალიბების განუყოფელი ნაწილი გახდა ცენტრალურ ევროპაში. ამგვარად, ახალი დემოკრატიული კონსტიტუციები უკვე შეიცავდნენ გარკვეულ დებულებებს ფუნქციონალურ ადგილობრივ მთავრობასთან მიმართებაში, მაგრამ ისინი ზოგადი და აბსტრაქტული იყო. ადგილი ჰქონდა დეტალური და სპეციფიკური დებულებების ნაკლებობას ადგილობრივი მთავრობების ასამოქმედებლად, რადგან ისინი სპეციალური კანონმდებლობის მიერ უნდა ყოფილიყო მიღებული. უნგრეთში ადგილობრივი საჯარო ადმინისტრაცია, ისევე როგორც მუნიციპალური და დეპარტამენტის არჩევნები 1990 წელს მიღებული საკანონმდებლო პაკეტით იმართებოდა. 1990 წლის 3 აგვისტოს პირველმა პარლამენტმა მიიღო აქტი ადგილობრივი მთავრობის შესახებ (1990 წლის LXV აქტი), რომელმაც ტერიტორიული ერთეულების ფუნქციონირების ძირითადი მიმართულებები წარმოადგინა. ასევე არსებობდა რამდენიმე სპეციფიკური დებულება მერების საქმიანობასა და მუნიციპალურ არჩევნებთან მიმართებაში. 1994 წელს ახალი პარლამენტი მეორე საკანონმდებლო პაკეტის მიღებას დათანხმდა, რომელმაც შესწორება შეიტანა ადგილობრივი მთავრობისა და მერების კომპეტენციების შესახებ აქტში, რასაც მოჰყვა აქტი საარჩევნო კანონისა და ადგილობრივი სტრუქტურების ფუნქციონირების შესახებ. მთლიანობაში, ეს საკანონმდებლო პაკეტი ფართო კომპეტენციებს ანიჭებს არჩეულ მერებს და ამ უკანასკნელთა ძალაუფლებას ზრდის ადგილობრივ საბჭოებთან მიმართებაში. 1990 წლის პირველი საკანონმდებლო პაკეტი პარტიული ნიშნით მიმხრობის შეჯიბრს ასახავს კონსერვატორებსა და ლიბერალებს შორის – უნგრეთის დემოკრატიული ფორუმი და ახალგაზრდა დემოკრატების ალიანი -, რომლებიც ხელისუფლებისა და ოპოზიციის ყველაზე დიდი პარტიების მთავარ ძალას წარმოადგენდნენ. კონსერვატორებმა ძლიერი ცენტრალური ხელისუფლება მიიღეს, ლიბერალებმა კი ძლიერი და დანაწევრებული ადგილობრივი თვითმმართველობები და სუსტი დეპარტამენტები, ეს იყო ცუდი კომპრომისი. მეორე საკანონმდებლო პაკეტმა პირველში გარკვეული შესწორებები შეიტანა, რადგან კომპრომისი ნაუცბადევათ იქნა მიღწეული უნგრეთის სოციალისტური პარტიისა და ახალგაზრდა დემოკრატთა ალიანსის მიერ, რომლებიც კოალიციის პარტნიორები იყვნენ. მართლაც, ლიბერალებმა შეძლეს ძლიერი ადგილობრივი მთავრობებისა და სუსტი დეპარტამენტების იდეის გატარება. მიუხედავად რამდენიმე უმნიშვნელო ცვლილებისა, ეს სტრუქტურები დღემდეა შენარჩუნებული. მომავალში მოსალოდნელია რადიკალური რეფორმების გატარება.

1990-იანი წლების დასაწყისში ადგილობრივი მთავრობების დამოუკიდებელი ფუნქციონირება ყოველდღიურ პრაქტიკას წარმოადგენდა, რაც კონსტიტუციური სახელმწიფოს რეფორმის დასრულების შესაძლებლობას იძლეოდა საკანონმდებლო და ფორმალურ დონეზე. თუმცა, ამგვარმა სიტუაციამ ახალი შეუსაბამობა გამოიწვია, რომელიც უკიდურესად დანაწევრებულ პოლიტიკურ ცხოვრებაში გამოიხატა. შეიძლება ითქვას, რომ პატარა ადგილობრივი მთავრობების ამ ტოტალური ავტონომიის პირობებში, უნგრეთი კონფედერაციის მაგვარ „ათას დამოუკიდებელ რესპუბლიკად" გადაიქცა, რომელშიც ადგილობრივი მთავრობები ვერ პოულობენ ვერც შესაძლებლობებსა და ვერც საშუალებებს ერთმანეთთან ან ცენტრალურ მთავრობასთან თანამშრომლობისთვის. „საჯარო" ადმინისტრაციის ეს მნიშვნელოვანი ფრაგმენტაცია ცენტრალური ევროპის სხვა ქვეყნებშიც იჩენს თავს პოლონეთის გარდა. მაგალითისთვის, 1995 წელს ჩეხეთის რესპუბლიკაში არსებობდა 6 230 ადგილობრივი მთავრობა, 3 156 უნგრეთში და 2 835 სლოვაკეთში. სურათის უფრო მკაფიოდ წარმოსაჩენად, უნდა დავაზუსტოთ, რომ უნგრეთში ტერიტორიული ერთეულების (NUTSS) ნახევარზე მეტში ათას მცხოვრებზე ნაკლებია და ხუთი ათასზე ნაკლები მათი 90%-იდან. ადგილობრივი მთავრობების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა მოქმედი კანონმდებლობის წყალობით, მაგრამ ასევე ტერიტორიული ერთეულების უკიდურესი ცენტრალიზაციის ძველი პრაქტიკის საპასუხოდ. ადგილობრივი მთავრობების უმრავლესობის მცირე მოცულობამ მნიშვნელოვანი დისფუნქცია გამოიწვია, რაც რეგიონალურ დონეზე უნდა დაბალანსებულიყო.

კონსტიტუციის თანახმად, საპარლამენტო არჩევნები ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდება გაზაფხულზე, ხოლო მუნიციპალური არჩევნები ამავე წლის შემოდგომაზე. ახალი ტერიტორიული აქტორები პირველად იქნენ არჩეულნი 1990 წლის სექტემბერ-ოქტომბერში დამოუკიდებელი საჯარო ადმინისტრაციის ჩარჩოში. მერები და ადგილობრივი საბჭოები ასევე არჩეულნი არიან მუნიციპალიტეტების დონეზე, დეპარტამენტები ირჩევენ თავიანთ ასამბლეებს, ეს უკანასკნელები კი თავჯდომარეებსა და ადგილობრივ მრჩეველებს. ამ დამოუკიდებელმა სისტემამ ადგილობრივი პოლიტიკური და ადმინისტრაციული ელიტის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. 1994 წელს ადგილობრივი მთავრობის შესახებ აქტში შეტანილმა ცვლილებამ ადგილობრივ ელიტებს ნაციონალურ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობა მისცა და პირიქით. ადგილი ჰქონდა ადგილობრივი და ნაციონალური ელიტების დიდი მასშტაბის შერწყმას, რამდენადაც დეპუტატების თითქმის ერთ მესამედს ადგილობრივი მანდატები ჰქონდა – მერები ან მრჩევლები.

ამ თვალსაზრისით, უნგრეთი განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს, რადგან დეპარტამენტებს ხანგრძლივი ისტორიული ტრადიციები აქვთ და ამიტომაც, ადგილი აქვს მიკუთვნების ძლიერ გრძნობას მოსახლეობის დონეზე. დეპარტამენტების საზღვრები საუკუნეების მანძილზე არ შეცვლილა, რამდენიმე სასაზღვრო დეპარტამენტის გარდა, 1920 წელს უნგრეთის საზღვრების რადიკალური ცვლილების შემდეგ. რაც შეეხება ტერიტორიული სტრუქტურის ევროპეიზაციას, NUTS-ის სისტემის შემოღება კარგი დასაწყისი იყო რეგიონალიზ-

აციასთან დაკავშირებული კანონმდებლობის მიღებაში. 1996 წლის 16 მარტს უნგრეთის პარლამენტმა რეგიონალური განვითარებისა და ფიზიკური დაგეგმარების აქტი (1996 წლის XXI აქტი) მიიღო, რამაც დასაბამი მისცა რეგიონალური განვითარების რეგლამენტირების პროცესს NUTS2-ის დონეზე. იმავდროულად, 1994 წელს სტატისტიკის ცენტრალურმა ოფისმა 150 „პატარა რეგიონის" ან NUTS4 ტიპის რეგიონების იდენტიფიკაცია მოახდინა, რომლებიც ტერიტორიული განვითარების ერთეულებს წარმოადგენდნენ და ლეგალურად იქნენ რეორგანიზებული „მრავალფუნქციონალურ რეგიონებად" 2004 წელს. გარდა ამისა, არსებობდა NUTS3-ის ტიპის 19 დეპარტამენტი (დედაქალაქით და 20 „ტრადიციული" ერთეულით). ამგვარად, დასრულებული იქნა უნგრეთის ტერიტორიული რეორგანიზაცია ევროპული მოთხოვნების შესაბამისად ფორმალურ და საკანონმდებლო დონეზე, რამაც შესაძლებელი გახადა NUTS-ის ტიპის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულების ფუნქციონალური სისტემის განვითარება. პირველ ყოვლისა, რეგიონების შესახებ აქტში (2004 წლის LXXV აქტი) რადიკალური ცვლილების შეტანა გარდამტეხი მომენტი იყო დეცენტრალიზაციის პროცესში: რეგიონალური განვითარების საბჭოები თითქმის პარტნიორული სულისკვეთების კორპორაციული ტიპის საზოგადოებრივი ორგანიზაციები გახდნენ. მიუხედავად ამ საბჭოების არაპირდაპირი ლეგიტიმურობით აღჭურვისა, მათი წევრები დეპარტამენტებში და არა რეგიონალურ დონეზე იყვნენ არჩეულენი. შემდეგ, უნგრეთის პარლამენტმა მიიღო აქტი დეპარტამენტების მრავალფუნქციური ადგილობრივი მთავრობების გაერთიანების შესახებ (2004 წლის CVII აქტი). NUTS4-ის ტიპის ფუნქციონალური რეგიონების შექმნა დიდი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ადგილობრივი მთავრობების ეფექტურობის გაძლიერებისკენ, რაც ეფექტური რეგიონალიზაციისა და ევროკავშირში გაწევრიანების წინა პირობას წარმოადგენდა. არსებობს NUTS1-ის ტიპის სამი რეგიონი, რომელიც საშუალოდ სამ მილიონ მცხოვრებს მოიცავს, NUTS2-ის ტიპის 7 რეგიონი 1,5 მილიონი მცხოვრებით, NUTS3-ის ტიპის 20 ტერიტორიული ერთეული საშუალოდ 500 000 მცხოვრებით, NUTS4-ის ტიპის 168 დეპარტამენტი 60 000 მცხოვრებით, მაშინ როდესაც NUTS 5-ის ტიპის 3200 ერთეულიდან თითოეულში 3000 მცხოვრებია.

დასკვნა: აქტუალური დებატები და განვითარება

ევროკავშირის შიგნით უნგრეთისთვის ყველაზე დელიკატური პრობლემაა ლეგალური და ფორმალური მიკუთვნებიდან ამ კავშირში რეალური გადასვლა. აღნიშნულ გარდამავალ პერიოდს ევროკავშირთან შეთავსებიდან შესაბამისობამდე, დემოკრატიული ინსტიტუციონალური ჩარჩოს დასრულებამდე მივყავართ, რაც ეფექტურ სისტემას აყალიბებს. ცენტრალური ევროპის ქვეყნები სისტემის ცვლილებიდან მის ეფექტურობაზე უნდა გადავიდნენ. დემოკრატიული სისტემის ლეგიტიმურობა ორ საყდენს ეფუძნება: ერთი მხრივ, დემოკრატიული პროცედურები არსებული პოლიტიკის ჩარჩოში და მეორე მხრივ, დემოკრატიული წესების ეფექტურობა ან სრულყოფა. ეს უკანასკნელი პუნქტი მოითხოვს პოლიტიკის მუდმივ და ნოვატორულ მოდერნიზაციას ან მნიშვნელოვანი სოციალური უნარის შექმნას სახელმწიფოს უნარის მიღმა. მაკრო დონეზე, ცენტრალური ევროპის ქვეყნებში ფართო „დემოკრატიზაცია" განხორციელდა, მაგრამ მეზო და მიკრო სტრუქტურების არარსებობის პირობებში და ამ უკანაკნელთა არაეფექტურობის გათვალისწინებით, ისინი რთულად „მოდერნიზდებოდნენ." ამიტომაც, ევროკავშირში გაწევრიანების პირველ წლებში აღსანიშნავია „ეფექტურობის კრიზისი" იმის გათვალისწინებით, რომ „პარციალური რეჟიმების" ახალი დემოკრატიული ინსტიტუტები ნაკლებად ეფექტურად ფუნქციონირებდნენ. ეს წინააღმდეგობა ადრეულ „პროცედურულ" დემოკრატიზაციასა და ჯერ კიდევ ნელი ტემპით მიმდინარე მოდერნიზაციას შორის ეფექტურობის შესაბამისად, აშკარად ჩანს ყველა დონეზე ცენტრალური ევროპის ქვეყნებში, რაც ევროკავშირის შიგნით ახალი წევრი-სახელმწიფოების სუსტი კონკურენტუნარიანობის მთავარ მიზეზს წარმოადგენს.

ისტორიული თვალსაზრისით, ცენტრალური ევროპის ქვეყნებს რეფორმების ორმა ტალღამ გადაუარა: პირველი ინსტიტუციონალური ხასიათისაა და მას 1990-იანი წლების დასაწყისში ჰქონდა ადგილი. მთლიანობაში, სწორედ საკონსტიტუციო რეფორმამ რადიკალურად შეცვალა პოლიტიკური სისტემა და საბაზრო დემოკრატიული ზომები აამოქმედა. ძალზე დეტალურად იქნა რეგლამენტირებული მაკროპოლიტიკური სისტემა დიდწილად, მეზო და მიკრო დონეების უგულებელყოფით. ამ პირველმა ტალღამ ასიმეტრიული დემოკრატიის გენერირება მოახდინა, ერთი მხრივ, კარგად ჩამოყალიბებული მაკროპოლიტიკური სისტემა და მეორე მხრივ, სუსტი მეზო და მიკრო პოლიტიკური სისტემა მცირე ინსტიტუციონალური ხვედრითი წონით. ამგვარმა ასიმეტრიულმა განვითარებამ ცენტრალური ევროპის პოლიტიკური სისტემების ტრადიციული ცენტრალიზებული ხასიათი გააძლიერა. აღნიშნულის შემდეგ მყისიერად მოხდა მეორე ტალღის რეფორმების გატარება, რომელიც დღესაც არაა დასრულებული. ევროკავშირისადმი მიკუთვნება გარკვეულ ინსტიტუციონალურ შესაბამისობას მოითხოვს, რისი განხორციელებაც გაწევრიანების შემდგომი პერიოდისთვის იქნა გადადებული. ეს მეორე რეფორმა ხანგრძლივ და წინააღმდეგობრივ პროცესს აღნიშნავს – დაგვიანებები და წარუმატებლობები -, რადგან 1990-იან წლებში ეკონომიკური კრიზისის მართვასა და ფისკალურ რეცენტრალიზაციას გავლენა ჰქონდა სახელმწიფოს ცენტრალიზაციაზე. ამგვარად, მიუხედავად რიტორიკისა და დეცენტრალიზაციის სასარგებლოდ მიღებული ზომებისა, ამ მეორე ტალღამ ვერ შეძლო მაცენტრალიზებელი სახელმწიფოს თითქმის ექსკლუზიური ძალაუფლების შემ-

ცირება. კონსტიტუციური დებულებები ითვალისწინებს მეზო სისტემის ლეგალურ ავტონომიას და სოციალური და ტერიტორიული აქტორების არსებობას, ისევე როგორც ავტონომიას მიკრო დონეზე და ორგანიზებულ სამოქალაქო საზოგადოებას, მაგრამ ამ ორი ქვენაციონალური დონის ურთიერთობებს ცენტრთან (მაკრო) ამ უკანასკნელისადმი ძლიერი ფინანსური და პოლიტიკური დამოკიდებულება ახასიათებს.

ეს შეუსაბამობა „მოდერნიზაციაზე" რეფლექსიას მოითხოვს პოლიტიკური სისტემის ეფექტურობის გაძლიერების მნიშვნელობით. საქმე ეხება ევოლუციურ ცვლილებას, მუდმივ ადაპტაციასა და ინოვაციას პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში, მაშინ როდესაც სისტემის ცვლილებას მასში ფუნდამენტური გარდაქმნა შემოაქვს. დღეისათვის, ინსტიტუციონალურ და ადმინისტრაციულ მოდერნიზაციას უპირატესი ადგილი უკავია პოლიტიკურ დღის წესრიგში და, 2000 წლიდან უკვე შესაძლებელია მოდერნიზაციის შემობრუნების დანახვა ევროპეიზაციის მიდგომაში. თითქმის დასრულებულია ინსტიტუციონალიზაცია მაკრო დონეზე, მაგრამ იგივეს თქმა არ შეიძლება სხვა ორ დონეზე, მეზო და მიკრო. ევროკავშირში სტრუქტურული ადაპტაცია მოდერნიზაციას მოითხოვს ეფექტურობის შესაბამისად, რადგან აუცილებელია ფუნქციონალური დემოკრატიის არსებობა, რომელიც შესაძლებელს გახდის „ძირითადი პოლიტიკის" ან პოლიტიკური სამყაროს ქმედითად ამოქმედებას. მოდერნიზაციისკენ გარდამავალი პერიოდი დემოკრატიზაციის პროცესის შედეგებმა გააიოლა, მაგრამ ცვლილება არ იქნება ავტომატური და საჭიროა ახალი ძალისხმევის გაწევა ამ მეორე ტალღის ინსტიტუციონალური რეფორმების დასასრულებლად.

სამმაგი გარდამავალი პროცესი – დემოკრატიზაცია, საბაზრო ეკონომიკა და სოციალური ტრანსფორმაცია – ინსტიტუციონალური განვითარების ხუთ შესაბამის ეტაპს მოიცავს, დემოკრატიებისა და სამოქალაქო საზოგადოების ნაციონალური მშენებლობიდან „კულტურულ კონსოლიდაციამდე". ეს პროცესი იწყება (1) *ფორმალური და პროცედურული* დემოკრატიზაციით, ე. ი. კონსტიტუციის მიღებითა და თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებით. მეორე ნაბიჯი (2) „*ლიბერალური*" დემოკრატიაა, კერძოდ, ბაზრის ლიბერალიზაცია პრივატიზაციის მეშვეობით, ადეკვატური ეკონომიკური კანონმდებლობის შემოღება და ლეგალური უსაფრთხოება ეკონომიკური აქტორებისთვის დამაკმაყოფილებელი ეკონომიკური კლიმატის შექმნის შესაძლებლობით. წინა ორი პროცესის პარალელურად, „*ნაციონალური*" დემოკრატია ჩნდება შემდგარი ერი-სახელმწიფოს ფორმით (3), რადგან პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები მყარ ნაციონალურ ჩარჩოს მოითხოვს, გლობალური კონტექსტის ჩათვლით. ამ რთული ტრანსფორმაციების შემდეგ წინმსწრები ხდება „*სოციალური*"დემოკრატია (4) ფართო სოციალური პოლიტიკის ფორმით ან *დემოკრატიის სოციალური მშენებლობით* ამ უკანასკნელისთვის მნიშვნელოვანი სოციალური ბაზის შექმნით. საბოლოოდ, (5) „*კულტურული და სამოქალაქო*" დემოკრატია „დემოკრატიული ტრადიციის სიახლის" ფორმას იძენს ორი ასპექტის გათვალისწინებით: მრავალეთნიკური და მრავალკულტურული დემოკრატია და მრავალდონიანი დემოკრატია ლისაბონის სამიტის შემდეგ. სტრუქტურული რეგულირების ზეწოლა ევროპული ინტეგრაციის პროცესში სამმაგი გარდამავალი პროცესის დასრულებას მოითხოვს მასში სოციალური კონსოლიდაციის ჩართვით, რამდენადაც დიდი სოციალური უნარი წარმატებული ევროპეიზაციის წინაპირობაა.

ბიბლიოგრაფია

ÁGH Attila (1998) *Emerging Democracies in East Central Europe and the Balkans,* Cheltenham, UK : Edward Elgar.

ÁGH Attila (2005) *Institutional Design and Regional Capacity Bulding in the Post-Accession Period,*Budapest : Hungarian Centre for Democracy Studies.

ÁGH Attila (2006) *Eastern Enlargement and the future of the EU 27: EU foreign policy in a global word.* Budapest: Together for Europe Research Centre of the Hungarian Academy of Sciences.

თავი XXV

ფინეთი

მატტი ვიბერგი

შესავალი

დამოუკიდებელი ქვეყანა 1917 წლიდან და ევროკავშირის წევრი 1995 წლიდან, ფინეთი თითქმის 600 წელი შვედეთის სამეფოს შემადგენელი ნაწილი იყო 1809 წელს რუსეთის იმპერიასთან შეერთებამდე ერთ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში. ამ დროიდან, ფინეთის ისტორია მჭიდროდ იყო დაკავშირებული რუსეთის ისტორიასთან. ბოლშევიკურმა რევოლუციამ გარკვეუწილად, ხელი შეუწყო ქვეყნის დამოუკიდებლობის მიღებას. 1917 წლის 6 დეკემბერს, რუსეთში რევოლუციის მიმდინარეობის პერიოდში, ფინეთმა თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რომელიც ბოლშევიკურმა მთავრობამ 31 დეკემბერს აღიარა. 1919 წელს ფინეთმა რესპუბლიკური რეჟიმის სასარგებლოდ გააკეთა არჩევანი და კარლ იუხან სტოლბერგი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი გახდა. დამოუკიდებლობის მიღებიდანვე, ქვეყანამ 200 ადგილიანი პარლამენტი (*Eduskunta*) დააფუძნა და ქალებს ხმის მიცემის უფლება მისცა, რითაც ფინეთი პირველი ევროპული ქვეყანა გახდა, სადაც საყოველთაო საარჩევნო უფლება იქნა შემოღებული.

ხელისუფლების მოწყობა

ფინეთის სისტემა ერთმანეთს უხამებს საპარლამენტო დემოკრატიასა და ძლიერ საპრეზიდენტო მმართველობას. 2000 წლამდე ფინეთში ნახევრად საპრეზიდენტო რეჟიმი არსებობდა. ქვეყნისთვის დღესაც დამახასიათებელია ბიპოლარული აღმასრულებელი ხელისუფლება, ხოლო კაბინეტი და პრეზიდენტი ორი მთავარი პოლიტიკური ინსტიტუტია პარლამენტის გვერდით. ახალმა კონსტიტუციამ, რომელიც 2000 წლის 1 მარტიდანაა ძალაში, სისტემის პარლამენტარიზმი გაზარდა, მაგრამ პრეზიდენტს კვლავაც აქვს მნიშვნელოვანი პრეროგატივები განსაკუთრებით, საგარეო პოლიტიკის სფეროში.

სახელმწიფოს მეთაური რესპუბლიკის პრეზიდენტია, რომელიც ექვსი წლის ვადითაა არჩეული და მას ზედიზედ არაუმეტეს ორი მანდატით შეუძლია სარგებლობა. 1982 წლამდე, პრეზიდენტს პროპორციული წარმომადგენლობის წესით არჩეული 300 წევრისგან შემდგარი საარჩევნო კოლეგია ირჩევდა (301 წევრი 1982 წელს). 1994 წელს, პრეზიდენტის ასარჩევად ახალი საარჩევნო სისტემა იქნა შემოღებული. ამ დროიდან, იგი მოსახლეობის მიერაა არჩეული მაჟორიტარული ორტურიანი არჩევნებით. მთავრობამ პარლამენტის (*Eduskunta*) ნდობა უნდა მიიღოს, რომელიც 200 წევრისგან შედგება და ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელაა არჩეული. ზოგადად, მთავრობები კოალიციებისგან შედგება. პრინციპში, პრემიერ-მინისტრი იმ პარტიის წარმომადგენელია, რომელმაც ყველაზე მეტი ადგილი მოიპოვა პარლამენტში.

პრეზიდენტის როლმა ფინეთის დემოკრატიაში ევოლუცია განიცადა, მაგრამ ის მნიშვნელოვნი რჩება. იგი ძლიერადაა ჩართული საკანონმდებლო პროცესში. პირველ ყოვლისა, სწორედ პრეზიდენტი წყვეტს უნდა გადაეცეს თუ არა პარლამენტს სამთავრობო ინიციატივა. მეორე, პარლამენტის მხრიდან საკანონმდებლო წინადადების მიღების შემდეგ, კანონი ხელმოწერილი და დამტკიცებული უნდა იქნეს პრეზიდენტის მიერ. იმის გათვალისწინებით, რომ კანონპროექტი შეიძლება კანონად იქნეს ტრანსფორმირებული პრეზიდენტის გარეშეც, ფაქტობრივად, პრეზიდენტს მხოლოდ შემაჩერებელი ვეტოს უფლება აქვს. თუკი ოფიციალურად პრეზიდენტს მნიშვნელოვანი როლი აქვს, პრაქტიკულად, იგი პატივს სცემს სამთავრობო წინადადებებსა და საპარლამენტო გადაწყვეტილებებს. პრეზიდენტები მხარს უჭერდნენ მათ მიერ დანიშნულ მთავრობებს და ძალზე იშვიათია შემთხვევა, როდესაც ორ ინსტიტუტს შორის კონფლიქტი საჯარო ხდება.

პრეზიდენტს ასევე აქვს დამოუკიდებელი აღმასრულებელი უფლებამოსილებები, რომლებიც პარლამენტის კომპეტენციის ნაწილს არ წარმოადგენს. იგი თავდაცვითი სამხედრო ძალების მთავარსარდალია მიუხედავად იმისა, რომ ომის დროს მას ამ ფუნქციის დელეგირება სხვა პიროვნებისთვის შეუძლია. დიდი ხნის განმავლობაში, საგარეო პოლიტიკა პრეზიდენტისთვის განკუთვნილ სფეროდ რჩებოდა.

საკანონმდებლო პროცესი

საკანონმდებლო ხელისუფლება პრეზიდენტის, სახელმწიფო საბჭოსა – ე. ი. მთავრობის – და პარლამენტის წევრების ხელშია. დეპუტატს სამი ტიპის ინიციატივის აღება შეუძლია: მას შეუძლია კანონპროექტის, ბიუჯეტთან დაკავშირებული წინადადებების წარდგენა და ასევე მთავრობისთვის საპარლამენტო შეკითხვების დასმის მოთხოვნა გარკვეულ სფეროებში ამ უკანასკნელის მიერ ზომების მისაღებად. ჩვეულებისამებრ, ამგვარი შეკით-

ხვები კომიტეტის ეტაპზე შორს არ მიდის. დაბოლოს, პარლამენტის მიერ მიღებულ კანონში შესწორების შეტანის შემთხვევაში, დეპუტატებს პალატის თავჯდომარისთვის არჩეულ საკითხზე დებატის გამართვის მოთხოვნის უფლება აქვთ. ხშირია დამოუკიდებელი კანონპროექტების შემოთავაზების შემთხვევები, მაგრამ მათ შორის მხოლოდ 1%-ია დამტკიცებული. ზოგადად, კანონები მთავრობიდან მომდინარეობს.

პროცედურულ დონეზე, კანონპროექტმა კენჭისყრისთვის სამი წაკითხვა უნდა გაიაროს პარლამენტში. პირველი წაკითხვის დროს, დეპუტატთა პალატა კანონპროექტს სპეციალურ კომიტეტს უგზავნის მოსამზადებლად. კომიტეტების სისტემა პარლამენტის სასინჯ ქვას წარმოადგენს. მართლაც, კომიტეტები ძალზე ჩართულნი არიან ნაციონალური პოლიტიკის ფორმულირებასა და კონტროლში პოლიტიკური პროცესის პირველი ეტაპიდანვე. კომიტეტებს ყველა კანონპროექტი უნდა წარედგინოს, ისინი განხილვის ადგილია და მათ ანგარიშები უნდა გამოაქვეყნონ ყველა შესასწავლ სფეროზე, კანონპროექტებისა და ინდივიდუალური წინადადებების გარდა. კომიტეტები თავიანთ სხდომებს დახურულ კარს მიღმა ატარებენ და პრინციპში, მინისტრები ამ სხდომებში არ მონაწილეობენ; კომიტეტებს მინისტრების მოწვევა შეუძლიათ, მაგრამ კაბინეტის წარმომადგენლებს კანონი არ ავალდებულებს ამ სხდომებზე დასწრებას. კომიტეტები მინისტრებს ხმის მიცემის არავითარ ინსტრუქციებს არ აძლევენ, მაგრამ იშვიათია შემთხვევა, როდესაც ეს უკანასკნელნი მათი ნების წინააღმდეგ მოქმედებენ.

პირველი წაკითხვის დროს არავითარი გადაწყვეტილება არ მიიღება კანონის ფორმასა და შინაარსთან მიმართებაში. ამ საკითხების მოგვარება მეორე წაკითვისას ხდება კომიტეტების მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციების საფუძველზე. მესამე წაკითხვისას, კანონი შეიძლება მიღებული ან უარყოფილი იქნეს დეპუტატთა უბრალო უმრავლესობით.

საკონსულტაციო რეფერენდუმის ჩატარება შესაძლებელია საკანონმდებლო არჩევნების ჩარჩოში ან მათგან დამოუკიდებლად. დღემდე ამ ტიპის ორ რეფერენდუმს ჰქონდა ადგილი : 1931 წელსა და 1994 წელს. პირველი ეხებოდა მწრალი კანონის გაუქმებას, მეორე კი ფინეთის ევროკავშირში გაწევრიანებას. საკონსულტაციო რეფერენდუმების ჩატარება ასევე ადგილობრივ საბჭოებს შეუძლიათ : 1990-2007 წლებში 40 მუნიციპალური რეფერენდუმი გაიმართა, რომელთა უმრავლესობა ორი ან მრავალი მუნიციპალიტეტის გაერთიანების საკითხს ეხებოდა.

ფინეთს არასდროს ჰქონია საკონსტიტუციო სასამართლო. გარკვეულ შემთხვევებში, ამ სასამართლოს როლს პარლამენტის საკონსტიტუციო კომიტეტი ასრულებს და საპარლამენტო კომიტეტებს თავის მოსაზრებას აცნობს კონსტიტუციასთან კანონპროექტების შესაბამისობასთან მიმართებაში.

საარჩევნო და პარტიული ნიშნით მიმხრობის სისტემები

1952 წელს, 1955 წელსა და 1969 წელს განხორციელებული გარკვეული რეგულაციების გარდა, საარჩევნო სისტემა საკანონმდებლო არჩევნების დროს არ შეცვლილა ფინეთის მიერ დამოუკიდებლობის მიღების დროიდან. პარლამენტის 200 წევრი ოთხი წლის ვადითაა არჩეული. ქვეყანა დაყოფილია ერთ უნინომინალურ ოლქად და 14 პლურინომინალურ ოლქად. მიუხედავად ამისა, ალანდს მხოლოდ ერთი ადგილი აქვს პარლამენტში. 199 დარჩენილი ადგილი 14 პლურინომინალური ოლქისთვისაა განკუთვნილი, რომელიც თავისი მოსახლეობის შესაბამისად 7-დან 34-მდე ადგილს იღებს. ფინეთის ტრადიციული პროვინციები საარჩევნო ოლქებს ქმნიან. პარტიული ნიშნით მიმხრობის ალიანსები და სხვა ჯგუფები კანდიდატთა სიას წარადგენენ ოლქებში. ოლქებისთვის ადგილების განაწილების მეთოდი ყველაზე ძლიერი ოლქების მეთოდია, პარტიებისთვის ადგილების განაწილება კი, ჰონდტის მეთოდითაა წარმოდგენილი.

ფინეთის პარტიულ სისტემას ფრაგმენტაციის მაღალი დონე ახასიათებს. თუკი პარტიების რაოდენობას გავითვალისწინებთ – მინიმუმ ხუთი –, ფინეთის პარლამენტი ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე დანაწევრებულ პარლამენტებს შორის განიხილება. არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არასდროს მარტოს არ მოუპოვებია საპარლამენტო უმრავლესობა. ჩვეულებისამებრ, ფინეთის მთავრობები კოალიციურ მთავრობებს წარმოადგენდნენ სამი ყველაზე დიდი პარტიიდან ორს შორის.

ფინეთში არ არსებობს უკიდურესი მემარჯვენე პარტია. ზომიერი მემარჯვენეობა ნაციონალური კოალიციითა წარმოდგენილი (KOK, Kansallinen kokoomus), შვედი ხალხის პარტია (RKP, Ruotsalainen kansanpuolue/ Svenska folkpartie), ცენტრის პარტია (KESK, Suomen Keskusta) და ქრისტიანული კავშირი (SKL, Suomen Kristillinen Litto, 2001 წლიდან ქრისტიან-დემოკრატები, Kristillsdemokraatit KD). მემარცხენე პარტიებს შორისაა ცენტრისტულ-მემარცხენე სოციალ-დემოკრატიული პარტია (SDP, Suomen Sosialidemokraattinen Puolue), რომელსაც პირველი ადგილი უკავია და მემარცხენეთა ალიანსი (VAS, Vasemmistoliitto). ეს უკანასკნელი სოციალისტებისა და კომუნისტების სხვადასხვა ჯგუფებისგანაა შემდგარი. სოფლისა და პერიფერიული რეგიონები ძირითადად, წარმოდგენილია ცენტრის პარტიით, ქრისტიანული კავშირით, ჭეშმარიტი ფინელების პარტიითა (VAS, Vasemmistolitto) და აგრარიკოსთა პარტიის პოლიტიკური მემკვიდრის, აგრარული პარტიით, SMP.

ქვეყანაში მემარცხენეობასა და მემარჯვენეობას შორის დაყოფა დომინანტურია. სხვა მნიშვნელოვანი დაყოფაა – რომელიც ნაწილობრივ ერთმანეთს ფარავს – ცენტრი/პერიფერია, ქალაქი/სოფელი, ნაიონალური/სა-

ერთაშორისო, ლინგვისტური (ფინურ-შვედური), გარემოსთან დაკავშირებული და რელიგიური/საერო. 1990-იან წლებში, მნიშვნელოვნად გაიზარდა ნაციონალური/საერთაშორისო დაყოფის მასშტაბი, რასაც ცენტრსა და პერიფერიას შორის დაყოფის გაძლიერება მოჰყვა.

ნაციონალური კოალიცია, სოციალ-დემოკრატიული პარტია, მწვანეთა ლიგა (VIHR, Vihreä liitto) და მემარცხენე ალიანსი თავის საარჩევნო ბაზისს ძირითადად, ქვეყნის სამხრეთ და ურბანიზებულ ნაწილში პოულობს. მწვანეთა ლიგა ეკოლოგთა ერთ-ერთ უძლიერეს პარტიას წარმოადგენს ევროპაში. 1995 წელს ის კონტინენტის პირველი პარტია იყო, რომელმაც სამთავრობო პოსტი მოიპოვა. პრაქტიკაში, ქრისტიანული კავშირი და ჭეშმარიტი ფინელების პარტია პოლიტიკურად მარგინალიზებული იყო. უკანასკნელი წლების მანძილზე, პარლამენტის სამ ყველაზე დიდ პარტიას სიტემატურად სოციალ-დემოკრატიული პარტია, ცენტრის პარტია და ზომიერი კონსერვატორული პარტია– ნაციონალური კოალიციის პარტია წარმოადგენდა.

მშრომელთა, მრეწველთა და გლეხთა ინტერესთა ჯგუფები იმდენად მნიშვნელოვან როლს არ თამაშობდნენ ფინეთში, როგორც მეზობელ სკანდინავიურ ქვეყნებში. ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ კერძო და სახელმწიფო დიდი კორპორაციები მთავრობაზე კონტროლს ახორციელებენ. ეს განსაკუთრებით აშკარა გახდა 1970-1980-იან წლებში, როდესაც ფინეთი ძლიერ კორპორაციულ სახელმწიფოს წარმოადგენდა.

დემოკრატია და პოლიტიკური პარტიები

მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციაში პოლიტიკური პარტიები არაა ნახსენები, ისინი აშკარად დომინირებენ პოლიტიკურ ასპარეზზე (Wiberg, 2000). ფინეთის პარტიები კანონით იქნა აღიარებული 1969 წელს, რომელიც პარტიებს პრივილეგირებულ სტატუს ანიჭებს არჩევნებში და ასევე მათთვის საჯარო ფონდებს გამოყოფს. საპარლამენტო და პარლამენტს გარეთ არსებული პოლიტიკური პარტიები საკანონმდებლო არჩევნებში მოპოვებული ადგილების პროცენტებზე დაფუძნებულ სახელმწიფო დახმარებებს იღებენ. პარლამენტში წარმოდგენილი პარტიები სახელმწიფო დაფინანსებით 1968 წლიდან სარგებლობენ, საპარლამენტო ჯგუფებს კი ამგვარი დაფინანსება 1967 წლიდან აქვთ. პარლამენტში წარმომადგენლობის არმქონე პარტიები სახელმწიფო დახმარებას არ იღებენ (Wiberg, 1991 a).

პარტიებს შორის მცირე განსხვავებები არსებობს გადაწყვეტილების მიღების პროცესთან მიმართებაში. პარტიების შიდა პოლიტიკას არჩეული თავმჯდომარეები წარმართავენ, აღმასრულებელ ორგანოებს კი ადმინისტრაციული ამოცანები და გარე მოლაპარაკებების გამართვა აქვთ დაკისრებული. 1969 წლის კანონისა და 1975 წლის პარლამენტის არჩევნების კანონის თანახმად, ყველა პარტია დემოკრატიულად უნდა იყოს ორგანიზებული. ნაციონალურ დონეზე ორგანიზაცია მოიცავს პარტიის აღმასრულებელ კომიტეტს, პარტიის საბჭოსა და სხვადასხვა სამუშაო კომიტეტებს და ასევე ახალგაზრდულ და ქალთა ორგანიზაციებს. პარტიის თავჯდომარე პარტიის აღმასრულებელ ორგანოს ხელმძღვანელობს და თითქმის ერთდროულად უკავია ადგილი პარლამენტში. პარტიების თავჯდომარეები ოშვიათად ედგნენ სათავეში საპარლამენტო ჯგუფს. ისინი პარტიის კონგრესის მიერ არიან შერჩეულნი ორი ან სამი წლის ვადით (ზღვარი არაა დადგენილი). პარტიის კონგრესი დელეგატების მთელი ქვეყნის მასშტაბით აერთიანებს და წარმოადგენს ასამბლეას, სადაც პარტიული პროგრამების დამტკიცება ხდება. ჩვეულებისამებრ, კონგრესის დელეგატები იყენებენ წინადადებების შემოთავაზების თავიანთ უფლებას. თუკი პარტიული კონგრესები ორ ან სამ წელიწადში ერთხელ იმართება, პარტიების სხვა ნაციონალური ორგანოები უფრო რეგულარულად იკრიბება – ბევრჯერ წელიწადის განმავლობაში.

საპარლამენტო ჯგუფი შედარებით დამოუკიდებელია თავისი პარტიისგან საკანონმდებლო მანდატების განმავლობაში. ეს ავტონომია აიხსნება იმ ფაქტით, რომ პარტიის არც ერთი სხვა ორგანო არ იკრიბება ამდენად ხანგრძლივი დროით. კაბინეტთან მიერთების გადაწყვეტილება პარტიის ხელმძღვანელ ერთეულთან და საპარლამენტო ჯგუფთან ერთად მიიღება. პარტიის აღმასრულებელი ორგანო უფრო მეტადაა ჩართული საპარლამენტო ჯგუფის მუშაობაში თუკი მისი პარტია მთავრობაში ან ოპოზიციაში იმყოფება.

კანდიდატების შერჩევას პარტიის შიგნით პირველადი არჩევნების დროს აქვს ადგილი, რომელიც ოლქის დონეზე მიმდინარეობს. ამავე დროს, ამ პროცესში დომინანტური როლი ადგილობრივ სექციებს ენიჭება. 1969 წლის საარჩევნო კანონის გამოცხადებამდე, პარტიის ხელმძღვანელობა მთავარ როლს ასრულებდა დანიშვნის პროცესში ოლქების შიგნით, რასაც შედეგად ერთი კანდიდატის ხშირი დასახელება ჰქონდა მრავალ ოლქში. 1969 წლის კანონი დღეისათვის პოლიტიკურ პარტიებს მომხრეთა ხმის მიცემის გათვალისწინებას აიძულებს თავიანთი კანდიდატების შესარჩევად. ხმის მიცემა უნდა ჩატარდეს იმ ოლქებში, სადაც კანდიდატების რაოდენობა კანდიდატთა ოფიციალურ ზღვარს აჭარბებს, რომელთა დასახელების უფლებაც აქვს ერთ პარტიას.

პარტიები თავად წყვეტენ პირველადი არჩევნების ჩატარების ფორმას, მაგრამ პრაქტიკაში, მათი შიდა რეგლამენტაცია საარჩევნო კანონით დადგენილის ანალოგიურია. მიუხედავად კანდიდატთა შერჩევის სისტემის დეცენტრალიზებული ხასიათისა, დაკომპლექტების პროცესს პარლამენტში გარკვეულწილად, ელიტის ფორმირების ხელშეწყობამდე მივყავართ სოციალური წარმომავლობის შესაბამისად. პარტიის წევრები, რომლებიც დაკომპლექტების პირველ ეტაპზე მოქმედებენ საკმაოდ კონსერვატორულები არიან: ჩვეულებისამებრ, ისინი

უპირატესობას ანიჭებენ განათლების მაღალი დონის მქონე და ქალაქში მცხოვრები ადამიანის შერჩევას. რაც შეეხება ამომრჩევლებს, ისინი უფრო მეტი კონსერვატიულობით გამოირჩევიან.

საარჩევნო კანონის თანახმად, საარჩევნო კამპანიის მინიმალური ხანგრძლივობა 50 დღეა. პარტიებს არა აქვთ მედიის უფასო ხელმისაწვდომობა, მაგრამ მათ ამ უკანასკნელის ყიდვა შეუძლიათ. საზოგადოებრივი არხები პოლიტიკური დებატების დიდი წილის უსასყიდლოდ ორგანიზებას ახორციელებენ. კამპანიის განმავლობაში, პარტიის ნაციონალური ოგანიზაციები და პარტიის ხელმძღვანელობა რესურსივით მოქმედებენ ადგილობრივი შერჩევისთვის აუცილებელი რეკლამის უზრუნველყოფით და პარტიისთვის ხილვადობის საშუალების მიცემით. ფონდების შეკრების სამუშაო და გზავნილების გავრცელება იმ ჯგუფების პასუხისმგებლობას წარმოადგენს, რომლებიც კანდიდატებს უჭერენ მხარს. პარტიებმა უნდა განაცხადონ სახელმწიფოს სუბსიდიების ხარჯვის შესახებ იუსტიციის სამინისტროს წინაშე, მაგრამ არ არსებობს კამპანიის ხარჯებთან დაკავშირებული ზღვარი. მიუხედავად შეფასების სირთულისა, როგორც ჩანს საარჩევნო კამპანიის წარმოების მთლიანი ღირებულება გაოთხმაქდა 1980-1990-იან წლებში.

მთავრობების ფორმირება და დაშლა

1919 წლის საკონსტიტუციო აქტი ძალზე მკაფიოდ არ განსაზღვრავს მთავრობების ფორმირების საკითხს თუკი მხედველობაში არ მივიღებთ დაზუსტებას, რომლის თანახმად, მთავრობები პარლამენტის ნდობით უნდა სარგებლობდნენ და პრეზიდენტმა სახელმწიფო საბჭოს წევრებად საზოგადოებისთვის პატივსაცემი და ნიჭიერი ფინელი მოქალაქეები უნდა დაასახელოს. რეალობაში, მინისტრების შერჩევა მთლიანად პარტიების თავჯდომარეების მიერაა გაკონტროლებული. პარტიული ნიშნით მიმხრობის ჯგუფს არა აქვს სამინისტრო თანამდებობების განაწილების ფუნქცია პარლამენტში და მხოლოდ უმნიშვნელო როლს ასრულებს ამ პროცესში. მთავრობის ფორმირებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები პარტიის აღმასრულებელი ორგანოდან უფრო ფართო ასამბლეიდან გამოსულ წარმომადგენლებს გადაეცა, რომლებიც მიეკუთვნებიან, როგორც პარტიის აღმასრულებელ ორგანოს, ისე საპარლამენტო ჯგუფს.

2000 წლის მარტში ახალი კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე, პრეზიდენტს ცენტრალური როლი ეკავა მთავრობების ფორმირებაში. პრეზიდენტისთვის უფლებამოსილების მიწურულს მყოფი კაბინეტის მიერ თავისი გადადგომის გამოცხადების შემდეგ, სახელმწიფოს მეთაური დეპუტატთა პალატის თავჯდომარესა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს პარლამენტში იწვევდა – ყველაზე დიდი პარტიიდან დაწყებული ყველაზე პატარა პარტიით დამთავრებული – ორმხრივი მოლაპარაკებების გასამართავად. ამ კონსულტაციების განმავლობაში, საპარლამენტო ჯგუფებს საკუთარი თვალსაზრისის გამოხატვა შეეძლოთ მომავალ მთავრობაზე, პრეზიდენტი კი განსაზღვრავდა ყველაზე შესაბამის გამოსავალს. აღნიშნული კონსულტაციების შემდეგ, პრეზიდენტი ასახელებდა კანდიდატს ან პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე ან მესამე პიროვნებას, რომლის ამოცანასაც მოლაპარაკებების გაგრძელება წარმოადგენდა – პრიორიტეტულად პარტიებთან, რომელთა მთავრობაში ჩართვაც ამ პიროვნებას სურდა. ამ მოლაპარაკებებს სამი მიზანი ჰქონდა: გადაწყვეტილების მიღება მთავრობაში შესაყვან პარტიასთან დაკავშირებით; სამთავრობო პროგრამის განსაზღვრა; და სამინისტრო პორტფელების განაწილება. პრაქტიკაში, თავდაპირველად, პარტიები სამინისტრო პორტფელების განაწილებაზე თანხმდებოდნენ პარტიებს შორის, შემდეგ კი ირჩევდნენ პიროვნებას, რომელსაც ეს საქმე დაევალებოდა. ამავე დროს, ხშირ შემთხვევაში, პრეზიდენტი გავლენას ახდენდა ამ მეორე ეტაპზე. მოლაპარაკებების დასასრულს პროგრამა დაწერილი ან დამტკიცებული იყო.

ამ სამი პუნქტის მოგვარების შემდეგ, პრეზიდენტი – რომელიც მუდმივად ინფორმირებული იყო მოლაპარაკებების მსვლელობის თაობაზე – კაბინეტს წარადგენდა უფლებამოსილების მიწურულს მყოფი მთავრობის ბოლო პლენარულ შეკრებაზე. პრეზიდენტის გავლენა ამ პროცესში უგულებელსაყოფელი არაა. 1987 წელს, ცენტრის პარტია და ნაციონალური კოალიცია კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბებას შეეცადა, მაგრამ პრეზიდენტმა მაუნო კოივისტომ (1982-1994 წწ.) ხელი შეუშალა მთავრობის ამგვარად ფორმირებას თავისი უფლებამოსილებების გამოყენებით. სამთავრობო მოლაპარაკებების მარცხით დასრულების შემთხვევაში, პრეზიდენტს დროებითი მთავრობის დასახელების უფლება ჰქონდა. 1945 წლიდან, ფინეთში ამ ტიპის ექვსი მთავრობა არსებობდა, ლიინამაას 1975 წლის კაბინეტი ამის უკანასკნელი მაგალითია.

ახალმა კონსტიტუციამ პარლამენტის როლი გაზარდა მთავრობის ფორმირებაში პრეზიდენტის როლის შეზღუდვით პარლამენტის (ედუსკუნტას) კენჭისყრის შედეგის უბრალო ფორმალურ დამტკიცებამდე. პრემიერ-მინისტრის არჩევამდე, პარლამენტში წარმოდგენილი ჯგუფები მოლაპარაკებებს აწარმოებენ სამთავრობო პროგრამასა და მთავრობის შემადგენლობაზე. ამ მოლაპარაკებების შედეგის საფუძველზე და პალატის თავჯდომარისა და საპარლამენტო ჯგუფების მოსმენის შემდეგ, პრეზიდენტი პარლამენტს წარუდგენს პიროვნებას, რომელიც პრემიერ-მინისტრადაა დასახელებული. ეს უკანასკნელი პრემიერ-მინისტრად იმ შემთხვევაშია დანიშნული თუკი იგი ჩატარებული კენჭისყრის ნახევარზე მეტ მხარდაჭერას მოიპოვებს პარლამენტში. აღნიშნული პროცედურა ხელის აწევით ტარდება. თუკი პიროვნება ვერ იღებს აუცილებელ უმრავლესობას, წარმოდგენი-

ლია სხვა პიროვნება ანალოგიური პროცედურის მიხედვით. მეორე კანდიდატის მარცხის შემთხვევაში, პრემიერ-მინისტრი ხელის აწევის ხმის მიცემითაა არჩეული პარლამენტში. ამ შემთხვევაში, არჩეულია ყველაზე მეტი ხმების მიმღები პიროვნება.

სამთავრობო პროგრამა წარმოდგენილია კაბინეტის პირველი შეკრების დროს, რომელიც სახელმწიფო საბჭოს დოკუმენტებშია გადატანილი და ოფიციალურ გაზეთშია გამოქვეყნებული (*Virallinen lehti*). ეს პროგრამები უფრო დეტალური გახდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ – ამგვარად, 2003 წლის პროგრამა 12 024 სიტყვას შეიცავდა. მინისტრებმა საპარლამენტო წინადადებები უნდა შეიმუშაონ და სამთავრობო პროგრამა აამოქმედონ, კაბინეტი კი მთლიანობაში ანგარიშებს ადგენს შესრულებულ სამუშაოზე. 1991 წლის საკონსტიტუციო შესწორებამდე, კაბინეტს კანონით არ ევალებოდა თავისი პროგრამის პარლამენტისთვის წარდგენა და მხოლოდ ორჯერ – 1926 წელსა და 1945 წელს – კაბინეტებმა ნებაყოფლობით წარუდგინეს პარლამენტს თავიანთი პროგრამები.

1945 წლიდან, კაბინეტები დიდწილად ფართო კოალიციებისგან შემდგარ მთავრობებს წარმოადგენდნენ. კეკკონენის პრეზიდენტობის (1956-1981 წწ.) პერიოდში, არსებობდა ორი ხანმოკლე კოალიცია სოციალ-დემოკრატებსა და ცენტრის პარტიას შორის, ზოგჯერ მემარცხენე ალიანსის ჩართვით და ყველაზე ხშირად, შვედი ხალხის პარტიითა ან სხვა პატარა პარტიებით. ნაციონალური კონსერვატორული კოალიცია მთავრობების მიღმა იქნა დატოვებული პრეზიდენტის მიერ 1966-1987 წლებში „ზოგად მიზეზთა" გამო. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული არ ყოფილა ღიად გაცხადებული, პოლიტიკური თამაშის ყველა აქტორმა იცოდა, რომ მოსკოვი არ მიემხრობოდა ამგვარ ინტეგრაციას.

ხანგრძლივობის კუთხით, ფინეთის მთავრობების სიცოცხლისუნარიანობა ძალზე ხანმოკლე იყო 1980-იანი წლების დასაწყისამდე – მაგალითად, 1954-1958 წლებში ექვსი სხვადასხვა მთავრობა არსებობდა. მაგრამ მეორე მსოფლიო ომიდან დაწყებული მთავრობის მხოლოდ ორ გადადგომას ჰქონდა ადგილი (უფლებამოსილების ვადის ნახევრის ამოწურვის შემდეგ), რასაც ვადამდელი არჩევნების ჩატარება მოჰყვა – 1972 წელსა და 1975 წელს. 1980-იანი წლების შუა ხანებიდან, ყველა პარტიას ჰქონდა ხელისუფლებაში მოსვლის პოტენციალი და მთავრობებმა ძალაუფლება სრული საკანონმდებლო მანდატის განმავლობაში შეინარჩუნეს.

მთავრობების მანდატის დასრულების ყველაზე ხშირ მიზეზს საკანონმდებლო არჩევნების ჩატარება წარმოადგენდა. მეორე მსოფლიო ომამდე, აღნიშნული მიღებული პრაქტიკა იყო, 1945 წლიდან კი ის ნორმად იქცა – მიუხედავად არჩევნების შედეგებისა. მთავრობების გადადგომა ასევე ყველა საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ხდებოდა, იმ შემთხვევაშიც, როდესაც შედეგი პრეზიდენტს თავის უფლებამოსილებას უტოვებდა. ეს პრაქტიკა ასახავს პრეზიდენტის უმნიშვნელოვანეს როლს ფინეთის სისტემაში. უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში, პრეზიდენტებმა მთავრობას თავიანთი ფუნქციების გაგრძელების შესაძლებლობა მისცეს საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ. ზოგიერთ შემთხვევაში, შიდა უთანხმოებები კაბინეტების გადადგომას ან მთავრობების ხელახლა ფორმირებას იწვევდა მთავრობაში მყოფი ერთი პარტიის გადადგომის მიზეზით.

კაბინეტის პასუხისმგებლობა პარლამენტის წინაშე

პარლამენტს (*Eduskunta*) სხვადასხვა ინსტრუმენტები გააჩნია კაბინეტზე საპარლამენტო კონტროლის განსახორციელებლად, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი უნდობლობის კენჭისყრაა. არ არსებობს ამ პრაქტიკასთან დაკავშირებული წესები. მთავრობის გადაყენების სამი სხვადასხვა ფორმა არსებობს. პირველ ყოვლისა, აღნიშნულის განხორციელება უნდობლობის კენჭისყრით ხდება საპარლამენტო შეკითხვის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ დეპუტატს საპარლამენტო შეკითხვების ინიცირების შესაძლებლობა აქვს, უმრავლეს შემთხვევაში, ისინი მომხრეთა ჯგუფის მიერაა წარმოდგენილი, ხშირად ოპოზიციის სხვა ჯგუფებთან თანამშრომლობით. უნდობლობის კენჭისყრასთან დაკავშირებულ მთავრობის უკანასკნელ გადადგომას 1958 წელს ჰქონდა ადგილი (von Fieandt).

მეორე საშუალებას კაბინეტის მიერ ინიცირებული ნდობის კენჭისყრა წარმოადგენს. აღნიშნულ შემთხვევაში, ამ უკანსკნელმა იცის, რომ მარცხი მის დაშლას გამოიწვევს. ამგვარად, ძალზე მნიშვნელოვანია პარლამენტის მიერ კაბინეტის პოზიციის იმპლიკაციების გათვალისწინება. ამ ტიპის პროცედურის შედეგად მთავრობის ბოლო გადადგომა 1953 წელს მოხდა (Kekkonen IV).

მესამე შესაძლებლობას უნდობლობის კენჭისყრა წარმოადგენს დეპუტატთა პალატაში გამართული დებატის დროს. ოპოზიციას, წინასწარი გაფრთხილების გარეშე, ამ კენჭისყრის ინიცირება შეუძლია. დღემდე, ამას მთავრობის გადადგომა არ გამოუწვევია. თუმცა, შიდა უთანხმოებებით გამოწვეული გადადგომები შეიძლება განხილული იქნეს პარლამენტში მარცხის თავიდან აცილებად.

საპარლამენტო შეკითხვები მრავალფუნქციური ინსტრუმენტია. დეპუტატებს სამი ტიპის შეკითხვების დასმა შეუძლიათ: წერილობითი შეკითხვები (1906 წელს შემოღებული); ზეპირი შეკითხვები (1966 წლიდან); და სახელმწიფო საბჭოს მიმართ დასმული შეკითხვები (1989 წლიდან). პირველი ორი არჩევანი დეპუტატებისთვის ხელმისაწვდომია ინდივიდუალური ფორმით, მაშინ როდესაც სახელმწიფო საბჭოსადმი მიმართული შეკითხვები არანაკლებ ოთხი წარმომადგენლის მიერ უნდა იქნეს ხელმოწერილი. მინისტრები შეკითხვებს პასუხობენ ყო-

ველთვიური დებატის დროს, რომელიც ტელევიზიით პირდაპირ გადაიცემა თვის პირველ ხუთშაბათს. კითხვები უნდა ეხებოდეს „აქტუალურ“ და „მნიშვნელოვან“ საკითხებს. თავჯდომარეების საბჭო, რომელიც შედგება პალატის თავჯდომარის, პალატის ვიცე-თავჯდომარისა და საპარლამენტო ჯგუფების ხელმძღვანელებისგან წყვეტეს თუ რომელი შეკითხვები უნდა წარედგინოს მთავრობას.

შეკითხვების რეალური გავლენის შეფასება რთულია, მაგრამ მათი რაოდენობის გაზრდა გვიჩვენებს, რომ პარლამენტის წევრები ამ შეკითხვებს საჭიროდ მიიჩნევენ. რაც შეეხება ზეპირი შეკითხვების რაოდენობას, 1980-იანი წლებიდან მათი შემცირება აღინიშნება განსაკუთრებით, სახელმწიფო საბჭოსთვის შეკითხვების დასმის შემოღების დროიდან.

ფინეთის მთავრობების უმრავლესობა უნდობლობის კენჭისყრის პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ მხოლოდ ორი მათგანი იქნა გადაყენებული ამგვარი წინადადებით მეორე მსოფლიო ომის დროიდან. ოთხმა მთავრობამ თავისი უფლებამოსილება პარლამენტის დათხოვნისა და ვადამდელი არჩევნების შედეგად დაასრულა.

ედუსკუნტას ასავე შეუძლია გამოაცხადოს, რომ რომელიმე მინისტრი აღარ სარგებლობს საპარლამენტო უმრავლესობის ნდობით. ამგვარ შემთხვევას სამჯერ ჰქონდა ადგილი, რასაც მინისტრების გადადგომა მოჰყვა პარლამენტის ზეწოლის შედეგად. ბოლო შემთხვევას 1948 წელს მოხდა, როდესაც საკონსტიტუციო კომიტეტმა გამოააშკარავა ის ფაქტი, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა ი. ლეინომ საბჭოთა ხელისუფალთ ფინელი მოქალაქეები გადასცა. ფინეთში საკმაოდ ხშირად გაისმის კრიტიკა მინისტრების მისამართით, მაგრამ ზოგადად, მთავრობა მხარს უჭერს თავის მინისტრებს.

დაბოლოს, პარლამენტს მოქმედი მინისტრის პასუხისმგებლობის დაყენება შეუძლია არაკანონიერი ქმედებისთვის. საბოლოო გადაწყვეტილების მიღება პარლამენტის ხელშია. სამჯერ – 1953 წელს, 1961 წელსა და 1994 წელს – ხუთი მოქმედი მინისტრი დადანაშაულებული იქნა უკანონო ქმედებებში.

ბოლო ოცი წლის მანძილზე, ფინეთის მთავრობები სტაბილურ და ძლიერ კოალიციებს ეყრდობოდნენ და სწორედ ისინი აკონტროლებდნენ პარლამენტს და არა პირიქით. ამ კოალიციებმა შეძლეს მართვა ედუსკუნტადან მომდინარე რეალური წინააღმდეგობის გარეშე. გარდა ამისა, პარლამენტში რეალური ოპოზიციის ნაკლებობამ შესაძლებელი გახადა მინისტრების ინდივიდუალური მანევრირების თავისუფლების გაზრდა.

მთავრობის ფუნქციონირება

პრემიერ-მინისტრი კაბინეტის მეთაური და თავჯდომარეა. გადაწყვეტილების მიღების დონეზე, კაბინეტს მოქმედება ხუთი წევრის არსებობის შემთხვევაში შეუძლია. გადაწყვეტილებები უბრალო უმრავლესობით მიიღება, თითოეულ მინისტრს ერთი ხმა აქვს. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ პრემიერ-მინისტრი შედეგთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას იღებს. იმის გათვალისწინებით, რომ მეორე მსოფლიო ომის დროიდან მთავრობები ფართო კოალიციებისგან შედგებიან, პრემიერ-მინისტრს მოლაპარაკებების წარმოების კარგი უნარი უნდა გააჩნდეს, რადგან ჩვეულებისამებრ, გადაწყვეტილებები კომპრომისის შედეგად მიიღება კოალიციის პარტიებს შორის.

ყოველკვირეული შეკრებების პარალელურად, კაბინეტი არაფორმალურად რეგულარულად იკრიბება „საღამოს კურსების“ (*iltakoulu*) დროს. ამგვარი შეკრებები 1937-1939 წლებიდან იღებს სათავეს, როდესაც პრემიერ-მინისტრი კაიანდერი ცდილობდა მშვიდ გარემოში მოლაპარაკებების საწარმოებლად ხელსაყრელი შეზღუდული სივრცის შექმნას, რომლის მიზანიც შესაძლო პრობლემების უფრო იოლად გადაწყვეტა იყო.

დღეისათვის ფინეთში 13 სამინისტროა და თითოეულ სამინისტროს მინისტრი უდგას სათავეში. პრემიერ-მინისტრს არ შეუძლია მინისტრის დანიშვნა ან გადაყენება მთავრობაში შემავალი ყველა პარტიის თანხმობის გარეშე. ხშირ შემთხვევაში, მთავრობა შვიდი პიროვნებისგან იყო შემდგარი, მაგრამ 1995 წლიდან მოქმედ კაბინეტებში მინისტრების რაოდენობა 18-ს აღწევს.

ზოგიერთ მინისტრს აქვს პორტფელი მისი ზედამხედველობის ქვეშ არსებული სპეციალური სამინისტროს გარეშე. ამავე დროს, ამ მინისტრებს იგივე ძალაუფლება აქვთ, რაც მათ კოლეგებს. გარდა ამისა, ფინეთში არ არსებობს სახელმწიფო მინისტრების პოსტები. სახელმწიფო მდივნის პირველი თანამდებობა პრემიერ-მინისტრის ბიუროში 1995 წელს იქნა შემოღებული.

მინისტრების თავიანთი აღმასრულებელი უფლებამოსილების დელეგირება ფუნქციონერებისთვის შეუძლიათ. აღნიშნული აიხსნება მინისტრებისთვის დაკისრებული სამუშაოს მნიშვნელოვანი მატებით და ფინური საზოგადოების მზარდი კომპლექსურობით. თუკი მინისტრებმა ფართო ინდივიდუალურ უფლებამოსილებებს მიაღწიეს კაბინეტის შიგნით, ისინი ასევე კოლექტიურ პასუხისმგებლობას ინაწილებენ.

პლენარული სხდომების გარდა, კაბინეტის სამუშაო ოთხი წესდებასთან შესაბამისი სამინისტრო კომიტეტებითაა კოორდინირებული. ამ უკანასკნელთ არა აქვთ ფორმალური კომპეტენცია, რომელიც მათ კაბინეტის სახელით გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას აძლევს. აღნიშნული კომიტეტების როლი მთავრობის გადაწყვეტილების მიღების პროცესის დაჩქარებას წარმოადგენს ინიციატივების მომზადებითა და პოლიტიკური კომპრომისების შემუშავებით.

ყველა კომიტეტს პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს. კომიტეტების შემადგენლობა დასახული ამოცანების მიხედვით ვარირებს. კაბინეტს ასევე შეუძლია *ad hoc*-ის კომიტეტების ამოქმედება სპეციფიკური მასალების მოსამზადებლად.

მედიაციური დაფარვის ზოგადი მატებისა და შიდა საქმეებში პრეზიდენტის როლის თანდათანობითი შემცირების გამო, დღეისათვის კაბინეტი, განსაკუთრებით კი პრემიერ-მინისტრი, საზოგადოების ყურადღების ცენტრში იმყოფება. პრაქტიკაში, მინისტრებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ თავიანთ კომპეტენციაში შემავალ სფეროებზე.

ფინეთის ადმინისტრაცია

ჩვეულებისამებრ, ადმინისტრაცია ლოიალურია მოქმედი მთავრობის მიმართ. ფუნქციონერები ძირითად ადმინისტრაციულ კადრებს წარმოადგენენ. ადმინისტრაციულმა ტრადიციამ ნეიტრალიტეტისა და მიუკერძოებლობის იდეოლოგია ჩამოაყალიბა. ფაქტიურად, სახელმწიფო ქვეყნის ყველაზე დიდი ადმინისტრაციაა.

საჯარო ადმინისტრაცია სამ დონეზეა დაყოფილი: ნაციონალური, საოლქო და მუნიციპალური. გარდა ამისა, ფინეთი რეგიონალური საბჭოების მიერ მართულ 20 რეგიონადაა დაყოფილი, რომლებიც რეგიონების მუნიციპალიტეტებისთვის თანამშრომლობის ადგილს წარმოადგენს. რეგიონების მთავარი ამოცანა მდგომარეობს რეგიონალურ დაგეგმარებაში, საწარმოებისა და განათლების სისტემის განვითარებაში. მუნიციპალიტეტები, ფინეთის ადმინისტრაციის ადგილობრივი დონე, ქვეყნის ადმინისტრაციის მთავარი ერთეულია. მუნიციპალიტეტებს 16-20%-ის გადასახადის შეკრების უფლება აქვთ საცხოვრებელ ფართზე და საჯარო სამსახურების ორ მესამედს უზრუნველყოფენ. ამგვარად, ისინი მრავალ კომუნალურ სამსახურს აკონტროლებენ: სკოლები, ჯანდაცვაზე ზრუნვა, წყალმომარაგების ქსელები და საგზაო ინფრასტრუქტურა.

ტრადიციულად, პრეზიდენტი დიდი ძალაუფლებით სარგებლობდა ადმინისტრაციულ თანამდებობებზე დანიშვნის საკითხში ახალი კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე. შესაბამისი მინისტრის წინადადების საფუძველზე პრეზიდენტი ფუნქციონერებს ნიშნავს, რომელთა შორის არიან: იუსტიციის მინისტრი და იუსტიციის მინისტრის მოადგილე, ეპისკოპოსი და არქიეპისკოპოსი, უზენაესი სასამართლოსა და უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს თავჯდომარეები და მოსამართლეები; ჯარისა და საზღვაო ჯარის მოსამსახურეები; სახელმწიფო სააგენტოების გენერალური დირექტორები და, – სახელმწიფო საბჭოს რეკომენდაციით ოლქების გუბერნატორები. ახალმა კონსტიტუციამ შეზღუდა საპრეზიდენტო უფლებამოსილებები მის მიერ დანიშნული პიროვნებების სიის შემცირებით.

პოლიტიკური პარტიები ადმინისტრაციის მრავალ დონეზე არიან წარმოდგენილნი. პარტიაში გაწევრიანებას გავლენიანი და მაღალანაზღაურებადი პოზიციების ხელმისაწვდომობის გაიოლება შეუძლია. ეს ტენდენცია განსაკუთრებით აშკარაა მაღალ პოსტებთან მიმართებაში სახელმწიფო საწარმოებში, ცენტრალურ სააგენტოებსა და სამინისტროებში, მაგრამ ის ასევე რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეზეც იკვეთება. კლიანტელიზმი არსებობს მიუხედავად იმისა, რომ საქმე არ ეხება პოლიტიკური სისტემის მთავარ ელემენტს ან ძირითად ფაქტორს კაბინეტსა და პარტიებს შორის ურთიერთობებში, რომლებიც მასში შედიან. ფინეთის ადმინისტრაციას არასდროს ახასიათებდა კორუფცია და ადმინისტრაციული ფორმალიზმი პარტიული ნიშნით მიმხრობის უპირატესობების საზღვრებს აწესებს. მიუხედავად ამისა, თანამდებობების განაწილება მომხრეობის საფუძველზე, როგორც ნაციონალურ, ისე რეგიონალურ დონეზე აშკარა კლიანტელიზმის ფორმას წარმოადგენს.

ფინეთს არა აქვს საკონსტიტუციო სასამართლო, მაგრამ არსებობს პოლიტიკისა და ადმინისტრატორების საქმიანობის გაკონტროლების სხვა საშუალებები. პარლამენტის ომბუცმენის ამოცანებში შედის სასამართლოებსა და ხელისუფლების სხვა ორგანოებზე კონტროლი. არსებობს ასევე ომბუცმენი, რომელიც ფუნქციონერებსა და საჯარო ინსტიტუტებში მომსახურე პიროვნებებს აკონტროლებს. იუსტიციის მინისტრი კონსტიტუციისა და სხვა კანონმდებლობების დაცვის კონტროლზეა პასუხისმგებელი. იგი აკონტროლებს საჯარო ხელისუფალთ, ფუნქციონერებსა და საჯარო ინსტიტუტებში მომსახურე ან საჯარო პასუხისმგებლობის მქონე პიროვნებებს.

ევროკავშირის გავლენა პრეროგატივების გადანაწილებაზე

ევროკავშირში გაწევრიანებამ მნიშვნელოვნად შეცვალა საგარეო ურთიერთობებთან დაკავშირებული პრეროგატივების გადანაწილება. კონსტიტუციის 93-ე პარაგრაფის თანახმად, „ფინეთის საგარეო პოლიტიკა რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ იმართება მთავრობასთან თანამშრომლობით. ამავე დროს, პარლამენტი იღებს საერთაშორისო ვალდებულებებსა და მათ აღსრულებაზე პასუხისმგებლობას და ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებების ძალაში შესვლას კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში წყვეტს. პრეზიდენტი გადაწყვეტილებას იღებს ომთან და მშვიდობასთან დაკავშირებულ საკითხებზე პარლამენტის თანხმობით. მთავრობა პასუხისმგებელია ნაციონალურ დონეზე იმ გადაწყვეტილებების შემუშავებაზე, რომლებიც ევროკავშირში უნდა იქ-

ნეს მიღებული. პარლამენტი მონაწილეობას იღებს ევროკავშირში მისაღები სახელმწიფო გადაწყვეტილებების მომზადებაში, როგორც ეს კონსტიტუციითაა გათვალისწინებული."

მთავრობა მთავარი აქტორია ევროპული პოლიტიკის ფორმულირებასა და კოორდინაციაში. კონსტიტუციის თანახმად, პარლამენტი და მისი კომიტეტები ოფიციალურად არიან ჩართულნი ამ პროცესში, მაგრამ დღეისათვის კაბინეტი ევროპულ ასპარეზზე მოქმედებს, რომელიც მრავალ პოლიტიკურ სფეროს მოიცავს, რაც პარლამენტის კონტროლის შესაძლებლობას ართულებს.

უფლებამოსილებების გადანაწილება კაბინეტს, პარლამენტსა და პრეზიდენტს შორის ევროპული პოლიტიკის დონეზე ყოველთვის არაა დარეგულირებული. ევროპის უმაღლესი დონის შეხვედრებზე წარმომადგენლობის საკითხი ასევე განსაკუთრებულად წინააღმდეგობრივია. პრეზიდენტმა მარტი ატისაარმა (1999-2000 წწ.) განაცხადა, რომ არ სურდა პრეზიდენტის გამოთიშვა ევროპული პოლიტიკიდან. მთავრობასა და პრეზიდენტს შორის გამონახული კომპრომისი ითვალისწინებს პრემიერ-მინისტრის მუდმივ დასწრებას ევროპულ სამიტებზე, პრეზიდენტს კი მათში მონაწილეობის მიღება სურვილის შემთხვევაში შეუძლია.

ედუსკუნტა გავლენიანი აქტორი იყო ევროკავშირთან დაკავშირებული პოლიტიკის ფორმულირებაში. ევროპული საქმეების სპეციალური კომიტეტის შექმნის ნაცვლად, პარლამენტმა გადაწყვიტა უკვე არსებული კომიტეტის ტრანსფორმაცია ინსტიტუტად, რომელიც ედუსკუნტას პოზიციების კოორდინირებაზე იქნება პასუხისმგებელი ევროპულ პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ეს დიდი კომიტეტი ევროკავშირის ინსტიტუციონალური არქიტექტურის პირველი (სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკა, საბაჟო კავშირი, შიდა ბაზარი, ევრო და სხვ.) და მესამე (სისხლის სამართლის სფეროში პოლიციისა და სასამართლოს თანამშრომლობა) საყრდენის საკითხებს განიხილავს, მაშინ როდესაც საგარეო საქმეთა კომიტეტი მეორე საყრდენის (საგარეო პოლიტიკა და საერთო უსაფრთხოება) საკითხებითაა დაკავებული. დიდი კომიტეტის შემადგენლობა (25 დეპუტატი და 13 თანაშემწე) პარტიების შესაბამის სიძლიერეს განსაზღვრავს დეპუტატთა პალატაში. დიდი კომიტეტის საბოლოო პოზიცია სპეციალიზებული კომიტეტებიდან მომდინარე ქმედებების მიმართულებებს ემყარება.

დასკვნა: ფორმალური წესები და არაფორმალური პრაქტიკა

მთლიანობაში, ფინეთი ლიბერალური დემოკრატიაა, რომელიც კარგად ფუნქციონირებს. თუკი ფინეთის კონსტიტუცია არ აღიარებს პოლიტიკურ პარტიებს, მისი პოლიტიკური სისტემა ძირითადად, პოლიტიკურ პარტიებსა და მთავრობაზეა დაფუძნებული. ფინეთის დემოკრატიის შიგნით ძალაუფლების დელეგირებასა და პასუხისმგებლობაზე გავლენას ახდენს პოლიტიკურ პარტრიებთან, პარტიულ სისტემასა და გარე აგენტების სხვადასხვა ტიპებთან დაკავშირებული გარკვეული შეზღუდვები – რომელთა შორისაა ორგანიზაციების ინტერესები და ისეთი საერთაშორისო აქტორები, როგორიცაა ევროკავშირი. ძალაუფლების დელეგირებასთან და პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული ყველაზე ფუნდამენტური პრობლემები შემდეგნაირად შეიძლება იქნეს რეზიუმირებული:

– ამომრჩევლებსა და კანონმდებლებს შორის პირდაპირი კავშირი საარჩევნო სისტემითაა მართული. პარტიები მთავარ როლს ასრულებენ კანდიდატების შერჩევასა და არჩევნების ორგანიზებაში. საარჩევნო სისტემა ხელს უწყობს დიდ პარტიებს, ახალი პარტიების შემოსვლა კი გართულებულია ორგანიზაციის ტიპის განსაზღვრის კრიტერიუმების შემოღების გამო, რომელიც პოლიტიკურ პარტიად შეიძლება იქნეს აღიარებული. საჯარო სუბსიდიები მხოლოდ იმ პოლიტიკური პარტიებისთვისაა განკუთვნილი, რომლებიც პარლამენტში არიან წარმოდგენილნი, რაც არსებული პარტიებისთვისაა ხელსაყრელი და ამომრჩეველთა არჩევანს ზღუდავს. არჩევნებში მონაწილეობის შემცირება შეიძლება ელექტორატის ნდობის ნაკლებობად იქნეს აღქმული თავისი წარმომადგენლების მიმართ.

– ფინეთის რეჟიმის საპარლამენტო დემოკრატიის იდეალურ ტიპთან შედარებისას აღსანიშნავია ლეგისლატურასა და კაბინეტს შორის კავშირების შეზღუდულობა ახალი კონსტიტუციის შემუშავებამდე, რასაც განაპირობებდა პარლამენტის მხრიდან მთლიანი კონტროლის არარსებობა კაბინეტის ფორმირებაზე. იმ შემთხვევაშიც, როდესაც კაბინეტები საპარლამენტო უმრავლესობის მხარდაჭერით სარგებლობდნენ ბოლო ათწლეულების მანძილზე, ფინეთში მომხრეობის არმქონე კაბინეტები არსებობდნენ და ამგვარად, ისინი ნაკლებად იყვნენ დაქვემდებარებულნი *ex-post*-ის პასუხისმგებლობას.

– ძლიერი უმრავლესობის კაბინეტების ჩამოყალიბებით, აღმასრულებელი ხელისუფლება პარლამენტს აკონტროლებს და არა პირიქით. პარტიული ნიშნით მიმხრობის მკაცრი დისციპლინის გამო, კაბინეტების უმრავლესობა იოლად ამყარებს საკუთარ პოზიციებს. აღნიშნულს გარკვეულწილად ადგილი აქვს სამინისტროებისა და ადმინისტრაციის შემთხვევაში. ფინური საზოგადოების ლეგალისტური ხასიათი და გარკვეული იერარქიული ფორმა მნიშვნელოვან პოზიციას ანიჭებს სახელმწიფოს მაღალი რანგის ფუნქციონერებს, რომელთაც მისი გამოყენება საპარლამენტო გადაწყვეტილებების მიღებასა და დღის წესრიგზე გავლენის მოსახდენად შეუძლიათ. მიუხედავად ქვეყანაში არსებული მრავალი გაერთიანებებისა, მხოლოდ პროფკავშირებმა შეძლეს წევრების მნიშვნელოვანი ბაზის შექმნა.

მთლიანობაში, თუკი მართებულია ფინეთის წარმომადგენლობით დემოკრატიად განხილვა, მისი საპარლამენტო დემოკრატია არაა უნაკლო. ის ძლიერი საპრეზიდენტო ინსტიტუტისა და გავლენიანი მეზობლების ჩრდილში განვითარდა. ომის შემდგომი პერიოდის განმავლობაში, უფრო მნიშვნელოვნად წარმოჩნდა ინსტიტუციონალური პრობლემები იმ გაგებით, რომ პოლიტიკურ თამაშში ჩართულ ყველა აქტორს თავის განკარგულებაში ჰქონდა იმგვარი რესურსები, რომლებიც მათ აზრის არგუმენტირებას საქმის ცოდნით აძლევდა. კონსტიტუციაში ახლახან შეტანილმა საკონსტიტუციო შესწორებებმა პარლამენტი გააძლიერა და პრეზიდენტის უფლებამოსილებები შეზღუდა. ევროკავშირის არარსებობის შემთხვევაში, ეს ტენდენცია სავარაუდოდ გაძლიერდებოდა.

ბიბლიოგრაფია

RAUNIO, TAPIO and MATTI WIBERG 2003: „Finland : polarised Pluralism in the Shadow of a Strong President and Important Neighbours", pp. 301-324 in Bergman, Torbjörn, Wolfgang Müller and Kaare Strom (eds) : *Delegation and Accountability in Parliamentary Democracies*, Oxford University Press: Oxford 2003.

Wiberg, MATTI (2004): „Lainsäädäntötuotos Su valtiopäivilla 1945-2002 : Peruskartotus", *Valtio-opillisia tutkimuksia 58*, Turun yliopiston valtio-opin laitos.

WIBERG, MATTI (2006): „Politiikka Suomessa", WSOY: Helsinki.

თავი XXVI

შვედეთი

მაგნუს ბლომგრენი და თომას ლარუ

შესავალი

შვედეთის დემოკრატია კონსენსუსის ძიების ხანგრძლივი პროცესის შედეგია. მეორე მსოფლიო ომიდან ზარალის გარეშე გამოსული შვედეთი ცხოვრების ჩვეულ რითმს დაუბრუნდა ნაციონალური ერთიანობის პერიოდის შემდეგ.[306] ომით გამოწვეული ნგრევიდან სამი ათწლეულის განმავლობაში ქვეყანამ უზარმაზარი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესი განიცადა. შვედეთში სწრაფად გაიზარდა ცხოვრების დონე, განვითარდა საშუალო კლასი. ეს პერიოდი სოციალ-დემოკრატების მიერ იყო მონოპოლიზებული, რომლებიც 40 წლის განმავლობაში შვედეთს უპრეცენდენტოდ ხანგრძლივი ვადით მართავდნენ (1936-1976 წწ.). თუმცა, 1980-იანი წლებიდან, კარგად განვითარებული კორპორაციული ორგანიზაციით მხარდაჭერილი შვედეთის სოციალური სახელმწიფოს მოდელი (cf. Katzenstein 1975) გლობალური ეკონომიკური ძალებისა (Strange 1996) და რეგიონალური პოლიტიკის განვითარების (ევროკავშირი) პირისპირ აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე რეჟიმი ყოველთვის ეყრდნობოდა შვედური მოდელის ორ მემკვიდრეობასა (Rothstein 1992, Olsson 1990) და სოციალ-დემოკრატების დომინანტობას, ორივე მათგანი სისუსტის ნიშნებს გამოხატავს (ყოველ შემთხვევაში, შვედური მოდელის ზოგიერთი ასპექტი, *cf.* Rothstein & Bergström 1999).

ამავე დროს, შვედეთის საპარლამენტო დემოკრატიას უფრო ძველი ისტორია აქვს. შვედური საზოგადოება და დემოკრატია ძლიერაა ფესვგადგმული ერთ ისტორიულ კონტექსტში. პირველ ყოვლისა, შვედეთისთვის ძალზე ადრე გახდა დამახასიათებელი ძლიერ და თავისუფალ ფერმერთა კლასის არსებობა. დამოუკიდებელი ფერმერები და მიწათმფლობელები ქვეყნის საყრდენს წარმოადგენდნენ, რომელსაც მცირე მოსახლეობა ჰყავდა და მრავალ ბუნებრივ რესურს ფლობდა. ბევრი ანალიტიკოსის აზრით, სიფხიზლის მოძრაობამ და სხვადასხვა რელიგიურმა მოძრაობებმა (*frikyrkor*), ისევე როგორც პროტკავშირებმა XIX საუკუნის დასასრულს, ასევე დადებითი გავლენა იქონია შვედეთის დემოკრატიის განვითარებაზე. თავიდანვე, ინდუსტრიალიზაციისა და ურბანიზაციის პროცესი ძალზე მასშტაბური იყო. ამგვარად, მშრომელები და მოსამსახურეები პროფკავშირებითა და პროფესიული გაერთიანებებით იყვნენ წარმოდგენილნი, რამაც მაღალი დონის კორპორაციული სისტემის არსებობა გახადა შესაძლებელი (*cf.* Lane & Ersson 1999 : 23). ეს მოძრაობები დემოკრატიულ პროცესში მონაწილეობდნენ, ხალხს შეკრებების ფორმის, საკუთრი შეხედულებების დასამტკიცებლად არგუმენტირების კულტურისა და ხელისუფლებასთან ურთიერთობების ჩამოყალიბებაში ეხმარებოდნენ. აღნიშნულმა შვედეთის პოლიტიკური სისტემის კონსესუალური ხასიათის განვითარებას შეუწყო ხელი, განსაკუთრებით ფართო კონსენსუსს საზოგადოებასთან დაკავშირებულ ფუნდამენტურ საკითხებზე, როგორიცაა საარჩევნო სისტემა, წარმომადგენლობა, კანონმდებლობა და ეკონომიკური რეფორმები.

პარლამენტი

ომის შემდგომ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცვლილებას 1970 წელს ორპალატიანი პარლამენტის ერთპალატიან საკანონმდებლო კორპუსზე გადასვლა წარმოადგენდა. რეალობაში, აღნიშნულმა ძალზე მცირე ცვილება შეიტანა შვედეთის პოლიტიკაში, ძველი ზედა პალატის სუსტი გავლენის მხედველობაში მიღებით. 1994 წელი მნიშვნელოვანი რეფორმების წელი გახდა ორი უმთავრესი ცვლილებით: 1) პარლამენტართა მანდატის ხანგრძლივობის 3-დან 4 წლამდე გაზრდა; 2) ბიუჯეტის წესების დაზუსტება და იმგვარად დაპროგრამირება, რომ ბიუჯეტის შემუშავება კალენდარულ წელს დამთხვეოდა, რასაც მრავალი შედეგი მოჰყვა. პირველი მდგომარეობს შემოდგომაზე ბიუჯეტის რიკსდაგში დასამტკიცებლად წარდგენაში (რაც დიდ ზეწოლას იწვევს ახლად არჩეულ ადმინისტრაციებზე საპარლამენტო უმრავლესობის ცვლილების შემთხვევაში, როგორც აღნიშნულს ადგილი ჰქონდა 2006 წლის არჩევნების შემდეგ, რადგან ჩვეულებრივი არჩევნები სექტემბრის მესამე კვირაში იმართება).

რა თქმა უნდა, სხვა საპარლამენტო სისტემების მსგავსად, საკანონმდებლო ხელისუფლება რიკსდაგის ხელშია. მთავრობას შეუძლია გარკვეული დისკრეციული ძალაუფლების გამოყენება წესებისა და დეკრეტების ფორმით (*förordningar*), მაგრამ ისინი პარლამენტში კენჭნაყარ კანონებს უნდა დაექვემდებაროს (*lag*). ამგვარად, კონსტიტუციური კონტროლის დროს, კანონთან შეუსაბამო მთავრობის ნებისმიერი დეკრეტი ბათილად იქნება გამოცხა-

306 ომის პერიოდის ჰანსონის დიდი კოალიციის III მთავრობა (1939 წლის 13 დეკემბრიდან 1945 წლის 31 ივლისამდე) სოციალ-დემოკრატების, ზომიერების, ლიბერალებისა და ცენტრის პარტიისგან შედგებოდა.

დებული. შვედეთის ევროკავშირში შესვლის დროიდან, ერთადერთი პოლიტიკური ინსტიტუტი რიკსდაგის გარდა, რომელსაც კანონების დამტკიცება შეუძლია თავად ევროკავშირია. გარდა ამისა, განსაკუთრებულ საკანონმდებლო სფეროებში, როგორიცაა სისხლის სამართალი, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მაორგანიზებელი კანონები და საარჩევნო სამართლის გარკვეული ასპექტები, რიკსდაგს მთავრობისთვის არავითარი უფლებამოსილების დელეგირება არ შეუძლია. თუმცა, ეს ყოველთვის ასე არ ხდება. 1809 წლის ძირითადმა კანონმა კაბინეტს მნიშვნელოვანი უფლებამოსილებები მიანიჭა დეკრეტების სფეროში იმგვარად, რომ სწორედ კაბინეტი ახდენდა თავისი უფლებამოსილებების დელეგირებას პარლამენტისთვის გარკვეულ საკანონმდებლო სფეროებში (Bergman 2003 : 595). დელეგირების ეს საპირისპირო ფორმა, მთავრობიდან პარლამენტში დასრულდა, როდესაც 1975 წლის საკონსტიტუციო რეფორმებმა ყველა საკანონმდებლო და საბიუჯეტო უფლებამოსილებები პარლამენტს დაუბრუნა.

შვედეთის პარლამენტი, რიკსდაგი აქტიური საკანონმდებლო ორგანოა. თითოეული კანონი რიკსდაგის ერთ-ერთ მუდმივ კომისიას უნდა გადაეცეს განსახილველად, და თავად ამ კომისიებს კანონპროექტების შემოტანა შეუძლია, რაც პარლამენტს დამოუკიდებელს ხდის მთავრობიდან მომდინარე კანონპროექტებისგან (მიუხედავად იმისა, რომ კანონპროექტების უმრავლესობა მთავრობიდანაა წამოსული). მთავრობის, ერთი ან ბევრი დეპუტატის კანონპროექტები, რიკსდაგის კომისიას ეგზავნება. ეს სავალდებულოა. კომისიებს ასევე შეუძლიათ თავიანთი თავჯდომარის საკანონმდებლო ინიციატივების შემოთავაზება. კომისიაში განხილვის შემდეგ, პლენარულ სხდომაზე კომისიების წინადადებებს ეყრება კენჭი. ფორმალური გადაწყვეტილება უბრალო უმრავლესობითა და კენჭისყრაში მონაწილე წევრებით მიიღება. არ არსებობს კვორუმის წესი.

ფორმალურად პარლამენტს თავის განკარგულებაში ხუთი უმთავრესი ინსტრუმენტი აქვს მთავრობისთვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად: 1/ მუდმივი კომისიის მოსმენები და ანგარიშები კონსტიტუციურ საკითხებზე, 2/ უნდობლობის კენჭისყრა, 3/ პარლამენტარების ინტერპელაციები და წერილობითი შეკითხვები, 4/ პარლამენტის ომბუცმენი და 5/ აუდიტის ნაციონალური ბიურო. რიკსდაგის მიერ პასუხისმგებლობის დაკისრების ამ ინსტრუმენტების გამოყენების ხარისხი, ისევე როგორც საპარლამენტო კონტროლის აღნიშნული მექანიზმების ეფექტურობა ცვალებადია. საკონსტიტუციო კომისიის უნდობლობის კენჭისყრისა და კონტროლის შესაძლებლობის შედეგები (დადგენილი დეპუტატების მიერ ინდივიდუალურად შემოტანილი საკონსტიტუციო სარჩელების რაოდენობითა და კონსტიტუციურ საკითხებთან დაკავშირებული მუდმივი კომისიის მიერ მათი განხილვის ფორმით) აშკარად დაბალია. ამგვარი სარჩელების რაოდენობამ გარკვეულწილად იმატა დღეისათვის ხელმისაწვდომი ინფორმაციების მიხედვით, მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ნაადრევია აღნიშნულისგან ტენდენციის გამოკვეთა. იმ შემთხვევაშიც, თუკი ეს საკონსტიტუციო სარჩელები რიკსდაგის მიერ მინისტრებისა ან პრემიერ-მინისტრების მისამართით ფორმალურ კრიტიკას (*prickning*) წარმოადგენს, მთავრობის არც ერთი წევრი არ გამხდარა უმაღლესი სასამართლოს განსჯის ობიექტი (საკონსტიტუციო საკითხებთან დაკავშირებულ მუდმივ კომისიას სისხლის სამართლის პროცედურების გატარება შეუძლია იმ მინისტრის მიმართ, რომელსაც თავისი ფუნქციების აღსრულებისას მძიმე კანონდარღვევები აქვს ჩადენილი).

რიკსდაგის განკარგულებაშია ასევე დამატებითი კონტროლის საშუალებები მთავრობის საპირწონედ ქმედებისთვის: ომბუცმენები[307] და შვედეთის აუდიტის ნაციონალური ბიურო (*Riksrevisionen*). ომბუცმენებს კრიტიკული ანგარიშების შედგენის უფლება აქვთ სამთავრობო სააგენტოებისა და სამთავრობო პოლიტიკის შედეგებზე (რასაც ისინი ხშირად აკეთებენ). ომბუცმენებს შორის ყველაზე გავლენიანი საპარლამენტო ომბუცმენია (JO), რომელსაც შეუძლია არაეფექტური ან კანონდარღვევი ფუნქციონერების პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება. დროთა განმავლობაში ომბუცმენების მიერ პასუხისმგებლობის დაყენების რაოდენობამ იკლო და ზოგიერთების აზრით, დღეისათვის ომბუცმენები კონტროლის შედარებით სუსტ მექანიზმს წარმოადგენენ (Bergman 2003 : 607).

აღმასრულებელი ხელისუფლებები

შვედეთში აღმასრულებელი ხელისუფლება აშკარად მონისტური ხასიათისაა. ქვეყანა დღესაც ფორმალურად კონსტიტუციური მონარქიაა, მაგრამ პრაქტიკაში, ის მონისტური საპარლამენტო სისტემაა. 1975 წლამდე

---

307 რეალობაში, 7 ომბუცმენიდან 2006 წელს, მხოლოდ ერთი იყო დანიშნული პარლამენტის მიერ (JO ან პარლამენტის ომბუცმენი, რომელიც ფაქტობრივად ოთხ ომბუცმენს წარმოადგენს). სხვები კი მთავრობის მიერ არიან დანიშნულნი პრესის ომბუცმენის გარდა. ეს უკანასკნელი პარლამენტის მთავარი ომბუცმენის, შვედეთის ადვოკატთა კოლეგიის თავჯდომარისა და ჟურნალისტთა კლუბის თავჯდომარის მიერაა დანიშნული. შემოგთავაზებთ ყველა ომბუცმენის სიას (აბრევიატურას და სრულ სახელწოდებას შვედურ ენაზე) : (1) პარლამენტის ომბუცმენი (*JO, Justitieombudsmännen*), (2) იუსტიციის კანცლერი (*JK, Justitiekanslern*), (3) თანაბარი შესაძლებლობების ომბუცმენი (*JämaO, Jämställdhetsombudsman*), (4) ეთნიკური დისკრიმინაციის საკითხების ომბუცმენი (*DO, Ombudsmannen mot etnisk diskriminering*), (5) სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციის საკითხების ომბუცმენი (*HomO, Ombudsmannen mot diskriminering på grund av sexuell läggning*), (6) მომხმარებელთა ინტერესების დამცველი ომბუცმენი (*KO, Kansumentombudsmannen*), (7) პრესის ომბუცმენი (*PO,, Pressombudsmannan*)

შვედეთი 1809 წლის კონსტიტუციით იმართებოდა, რომლის თანახმად, პარლამენტი ძალაუფლებას მეფესთან და მთავრობასთან ინაწილებდა. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მეთაური კვლავაც ოფიციალურად შვედეთის მონარქია, მან მთლიანად დაკარგა რეალური ძალაუფლება 1975 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შემდეგ და დღეისათვის მხოლოდ სიმბოლური ფუნქციები აქვს (მაგალითად, სახელმწიფოს მეთაურს არ შეუძლია სამთავრობო სხდომებზე დასწრება). კონსტიტუციით დადგენილია, რომ მხოლოდ შვედეთის პარლამენტი (Riksdag) იღებს კანონებს და წყვეტს საბიუჯეტო საკითხებს. რიკსდაგი ასევე ამტკიცებს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას (PM), აკონტროლებს მთავრობას და პრემიერ-მინისტრის ან მინისტრების გადაყენება შეუძლია ნებისმიერ დროს. მთავრობის კონსტიტუციური როლი მდგომარეობს კანონების მომზადებასა და ამოქმედებაში, შიდა და საგარეო საქმეების მართვასა და მოლაპარაკებების წარმოებაში საერთაშორისო ორგანიზაციების შიგნით.

მთავრობის ფორმირება ნეგატიური პარლამენტარიზმის სახელითაა ცნობილი (Bergman 2004 : 206), რომელიც პარტიების თავჯდომარეებს შორის არაფორმალური მოლაპარაკებებითაა დომინირებული. არსებობს ნეგატიური პარლამენტარიზმის სხვადასხვა ფორმები, როგორსაც ადგილი აქვს დანიაში, ნორვეგიასა და გაერთიანებულ სამეფოში. შვედეთში მთავრობას ესაჭიროება არა პარლამენტის უმრავლესობის მიერ *გამოხატული მხარდაჭერა*, არამედ მხოლოდ უმრავლესობის *თანხმობა* (იგივე ხდება უნდობლობის კენჭისყრის შემთხვევაშიც). აღნიშნული ნიშნავს, რომ ინვესტიტურის ან ნდობის კენჭისყრის პროცესში აბსენტეიზმი მთავრობის ფარულ მხარდაჭერად განიხილება და ამგვარად, ხელს უწყობს უმცირესობების მთავრობების ფორმირებას.

1975 წელს ახალი კონსტიტუციის ძალაში შესვლის დროიდან, შვედეთის პარლამენტის თავჯდომარე ფორმალურად კონსულტაციებს აწარმოებს ყველა პარტიის თავჯდომარესთან. ესაა მთავრობის ფორმირების პროცესის პირველი ეტაპი. ფორმალურად პარლამენტის თავჯდომარეს შეუძლია მთავრობის ფორმირებას შეეცადოს და ის პარლამენტის ინვესტიტურის წინაშე წარადგინოს, მაგრამ რეალობაში, პარტიების თავჯდომარეები ერთმანეთთან მოლაპარაკებებს აწარმოებენ ამ საკითხთან დაკავშირებით. პარლამენტის თავჯდომარისთვის „მოლაპარაკებების თამაშების" ოფიციალური შედეგების წარდგენის შემდეგ, ეს უკანასკნელი პოტენციურ პრემიერ-მინისტრს მთავრობის ფორმირებას სთხოვს. აღნიშნული იმის გარანტიას იძლევა, რომ პარტიის თავჯდომარე, რომელსაც ახალი მთავრობის ფორმირების ამოცანა დაეკისრება (ან რომელსაც პარლამენტის თავჯდომარე მთავრობის ფორმირების საგარაუდო განხილვას სთხოვს) უცილობლად მომავალი პრემიერ-მინისტრი გახდება. მართლაც, მთავრობის ფორმირების ეს არაფორმალური წესი მხოლოდ ერთხელ იქნა „დარღვეული" 1975 წლიდან. ეს მოხდა 1990 წელს, როდესაც კარლსონის II მთავრობა (ხელისუფლებაში 1988-1991 წლებში.) ფორმალურად გადადგა პარლამენტში ნდობის არაფორმალურ კენჭისყრაში მარცხის შემდეგ. პარლამენტის თავჯდომარემ ზომიერების თავმჯდომარეს, კარლ ბილდტს მიმართა ალტერნატიული კოალიციის ჩამოყალიბების შესაძლებლობის განსახილველად. ბილდტმა ეს არჩევანი განუხორციელებლად მიიჩნია და ცოტა ხნის შემდეგ, კარლსონის მთავრობა ხელისუფლებაში დაბრუნდა. მთავრობის ფორმირების ამ წესებმა საარჩევნო სისტემასა და პარტიების სისტემასთან შეხამებით, ხელი შეუწყო შვედეთის დემოკრატიის უმცირესობების მთავრობებით დომინირებას ომის შემდეგ. 1945 წლიდან, შვედეთში ერთი პარტიის უმრავლესობის ან უმრავლესობის კოალიციის არსებობამ მთავრობაში მხოლოდ 12 წელი შეადგინა. მიუხედავად ამ კონსტიტუციური წესებისა, შვედეთში ძალზე მაღალი დონის სამთავრობო სტაბილურობაა (*cf.* Huber & Martinez-Gallardo 2004).

შვედეთში მთავრობას პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს, რომელიც პარლამენტის ნეგატიური ინვესტიტურის კენჭისყრითაა დანიშნული. პრემიერ-მინისტრის არჩევის შემდეგ, ეს უკანასკნელი ირჩევს და წარადგენს სხვა მინისტრებს პარლამენტში სიტყვით გამოსვლის დროს და თავისი მიზნებისა და პრიორიტეტების ჩამონათვალს აკეთებს (*regeringsförklaring*). მთავრობის არჩევის შემდეგ, მინისტრები თავიანთ ყველაზე ახლო მრჩევლებს ირჩევენ (ძირითადად, სახელმწიფო მდივნები, პრესმდივნები და პოლიტიკური ექსპერტები მინისტრის პირად გუნდში). ზოგადი ტენდენცია უფრო ფართოდ წარმოადგენილი მთავრობებისკენ იხრება მინისტრებისა და სახელმწიფო მდივნების მზარდი რაოდენობით (იხ. ცხრილი №2)

ცხრილი №1 – შვედეთის მთავრობები 1945-2006 წწ.

მთავრობა A	ხანგრძლივობა B	მთავრობის ტიპი C	მინისტრები I	მინისტრები II	სახელმწიფო მდივნები	მთლიანად
ჰანსონი IV	14 : 11	უმცირესობის	10	5	10	25
ერლანდერი I	23 : 08	უმცირესობის	10	5	10	25
ერლანდერი II	36 : 12	უმცირესობის	11	4	11	26
ერლანდერი III	11 : 20	უმრავლესობის კოალიცია	11	4	11	26
ერლანდერი IV	48 : 05	უმრავლესობის კოალიცია	11	4	11	26

ერლანდერი V	12 : 04	უმრავლესობის კოალიცია	11	4	11	26
ერლანდერი VI	07 : 00	უმცირესობის	11	3	11	25
ერლანდერი VII	27 : 17	უმცირესობის	11	3	11	25
ერლანდერი VIII	48 : 02	უმცირესობის	11	3	11	25
ერლანდერი IX	47 : 25	უმცირესობის	11	4	12	27
ერლანდერი X	12 : 30	უმცირესობის	12	5	12	29
პალმე I	11 : 06	უმცირესობის	12	6	15	33
პალმე II	35 : 26	უმცირესობის	12	6	15	33
პალმე III	36 : 22	უმცირესობის	13	5	15	33
ფელდინი I	24 : 06	უმრავლესობის კოალიცია	14	5	18	37
ულსტენი I	11 : 30	უმცირესობის	13	5	18	36
ფელდინი II	19 : 08	უმრავლესობის კოალიცია	14	5	20	39
ფელდინი III	16 : 18	უმცირესობის კოალიცია	12	5	17	34
პალმე IV	35 : 08	უმცირესობის	12	7	24	43
პალმე V	05 :25	უმცირესობის	12	7	26	45
კარლსონი I	30 : 06	უმცირესობის	13	7	22	42
კარლსონი II	36 : 15	უმცირესობის	13	7	22	42
ბილდტი I	36 : 02	უმცირესობის კოალიცია	13	7	25	45
კარლსონი III	17 : 14	უმცირესობის	13	8	24	45
პერსონი I	29 : 28	უმცირესობის	12	9	27	48
პერსონი II	47 : 25	უმცირესობის	10	9	28	47
პერსონი III	48 : 20	უმცირესობის	10	11	28	49
რეინფელდი I d)	na	უმრავლესობის კოალიცია	10	12	30	52

მთავრობა A)	ხანგრძლივობა B)	მთავრობის ტიპი C	მინისტრები I	მინისტრები II	სახელმწიფო მდივნები	მთლიანად

წყარო: Larue 2006.

A) ვითვლით ახალ მთავრობას (a) პარტიული ნიშნით მიმხრობის შემადგენლობის ყოველი ცვლილებით, (b) პრემიერ-მინისტრის ყოველი შეცვლით. (c) ყოველი არჩევნებით (შედარებისთვის იხ. *Müller & Strem 2003*)a)

b) მთავრობის ხანგრძლივობა თვეებითა და დღეებითაა მოცემული, ე. ი. 12:04 ნიშნავს, რომ (ამ განსაზღვრულ შემთხვევაში, ტაგე ერლანდერის მე-5 მთავრობა) მთავრობის მუშაობამ 12 თვე და 4 დღე გასტანა.

c) მთავრობის ტიპი შემდეგ შემთხვევებს მოიცავს: მხოლოდ ერთი პარტიისგან შემდგარი მთავრობა (უმცირესობის), მხოლოდ ერთი პარტიისგან შემდგარი უმრავლესობის მთავრობა (უმრავლესობის), უმცირესობის კოალიციის (უმცირესობის კოალიცია) ან უმრავლესობის კოალიციის მთავრობა (უმრავლესობის კოალიცია).

d) ეს ინფორმაციები მოპოვებულია მთავრობის ინტერნეტსაიტზე (იხ. 2006 წლის 1 დეკემბერი). საკოორდინაციო ერთეულში (samordningskansliet) ოთხი სახელმწიფო მდივანი შედის. ეს ერთეული ოთხი მონაწილისგან შემდგარ მემარჯვენე სამთავრობო კოალიციის (ალიანსენი) შიგნით კოორდინირებას ახორციელებს.

შენიშვნა: მინისტრები I, სამინისტროს სათავეში დანიშნული მინისტრებია (მაგალითად, მინისტრი და მდგრადი განვითარების სამინისტროს ხელმძღვანელი: statsråd och chef för miljödepartementet) , ხოლო მინისტრები II ფორმალური პასუხისმგებლობის არმქონე მინისტრებია (statsråd). ამ ტაბულიდან გამორიცხულია სპეციფიკური პოსტი : საგარეო საქმეთა სამინისტროსთან დაკავშირებული სახელმწიფო მდივნის მოადგილე (biträdande kabinettsekreterare) და სახელმწიფო მდივნების განსაკუთრებული კატეგორია, სახელმწიფო მდივნების მოადგილეები (biträdande statssekreterare). ეს თანამდებობები არსებობს, მაგრამ მათი გამოყენება შეზღუდულია.

სამინისტროები ფუნქციონალური გადანაწილების მიხედვითაა ორგანიზებული, როგორც ამას ტრადიციულად, დასავლეთის უმრავლეს დემოკრატიაში აქვს ადგილი. სხვადასხვა სამინისტროები, რომლებიც თავიანთი პოლიტიკური კომპეტენციის სფეროს აკონტროლებენ, პასუხისმგებელნი არიან კანონპროექტების შემუშავებაზე და მჭიდროდ თანამშრომლობენ სამთავრობო სააგენტოებთან, ადგილობრივ მთავრობებთან და თავიანთი საქმიანობასთან დაკავშირებულ ინტერესთა ჯგუფებთან. ზოგიერთების აზრით, ამგვარი ორგანიზაცია ყოველთვის მკაცრად იყო დაცული, მაგრამ პიერი (1995 : 143) ორ გამონაკლისს წარმოგვიდგენს: პრემიერ-მინისტრის ბიურო (*Statsrädsberedningen*) და ყოფილი შინაგან საქმეთა სამინისტრო (*Civildepartementet*).

შვედეთის აღმასრულებელი ხელისუფლების თავისებურებას სამინისტროებსა და სააგენტოებს შორის დაყოფა წარმოადგენს. საპარლამენტო სისტემების უმრავლესობაში, სამინისტროები გავლენიანი და შედარებით დიდი მოცულობისაა, შვედეთში კი საპირისპიროს აქვს ადგილი. სამინისტროები მცირე ზომისაა არასაკმარისი შტატებით (თავიანთ ევროპულ ეკვივალენტებთან შედარებით), ხოლო სამთავრობო სააგენტოები, ისევე როგორც საჯარო ადმინისტრაციები, მსხვილი ორგანიზაციებია და ექსპერტიზის საგულისხმო კომპეტენციები აქვთ განსაზღვრულ პოლიტიკაზე. შვედეთში, პოლიტიკის პროგრამირება და ურთიერთკავშირი სამინისტროებში (*departtement*) ხორციელდება, მაშინ როდესაც ამ უკანასკნელის ამოქმედება სააგენტოებში (ämbetsverk ან myndigheter) მიმდინარეობს. 2005 წელს შვედეთმა დაახლოებით 105,5 მილიარდი შვედური კრონა (SEK) დახარჯა სააგენტოებისა და საჯარო ადმინისტრაციების პერსონალის ხარჯებისთვის, მაშინ როდესაც იმავე წელს სამინისტროების მოსამსახურეებისთვის მხოლოდ 3,5 მილიარდი შვედური კრონა იქნა დახარჯული, საგარეო საქმეთა დიდი სამინისტროსა და უცხოეთში მოქმედი საელჩოების ჩათვლით (Regeringen 2006 : 89-90). აღნიშნული გვიჩვენებს, რომ ადმინისტრაციასა და საკანონმდებლო სამუშაოს შორის დაყოფა არის არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკულიც, რადგან კომპეტენციების უდიდესი ნაწილი ავტონომიური სააგენტოების კომპლექსურ ქსელში (Ziller 2001) და არა სამინისტროებშია თავმოყრილი, რომლებიც უფრო დიდი პოლიტიკური კონტროლის ქვეშ იმყოფებიან. ამგვარად, შვედეთი შეიძლება დუალისტური ცენტრალური ადმინისტრაციული სისტემის მქონე ქვეყანად იქნეს განხილული (Ruin 1991).

ახლახან რეორგანიზებულ აუდიტის ნაციონალურ ბიუროს[308] სახელმწიფოს (სასამართლოების ჩათვლით), კაბინეტის ბიუროების (ამ უკანასკნელზე დამოკიდებული ხელისუფლების ორგანოების ჩათვლით), პარლამენტის სამდივნოსა და მისი ბიუროების, პარლამენტის ომბუდსმენებისა და ნებისმიერი საქმიანობის შემოწმების კონსტიტუციური უფლება აქვს, ისევე როგორც შვედეთის ცენტრალური ბანკისა და სამეფო სასახლის ხარჯებისა.

საკონსტიტუციო სასამართლოს არარსებობის პირობებში, რომელიც ზღუდავს ან კითხვის ქვეშ აყენებს რიკსდაგის ძალაუფლებას, სასამართლოებმა კანონების ამოქმედება და ინტერპრეტაცია უნდა მოახდინონ. სახელმწიფო საბჭოს (*Lagrädet*)), რომელიც ადვოკატებისა და მოსამართლეებისგანაა შემდგარი, მნიშვნელოვანი სამართლებრივი გავლენა აქვს. მთავრობას ან რიკსდაგის მუდმივ კომისიას ამ საბჭოს კანონპროექტის შესწავლა შეუძლია მოსთხოვოს. სახელმწიფო საბჭოს უფლება აქვს პარლამენტს მთლიანად კანონპროექტის ან მისი ნაწილის უარყოფის რეკომენდაცია მისცეს არაკონსტიტუციურობის ან (რაც უფრო სავარაუდოა) მოქმედ კანონებთან შეუსაბამობის მიზეზით. იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ეს *ex ante* კონტროლი მხოლოდ კონსულტაციური ხასიათისაა (პარლამენტს ამ საბჭოს მიერ კანონებთან დაკავშირებული აზრის უგულებელყოფა შეუძლია), ეს სამართლებრივი საპირწონე მნიშვნელოვანია, რადგან სასამართლოებსა და ხელისუფლების საჯარო ორგანოებს კანონიერად შეუძლიათ კონსტიტუციასთან წინააღმდეგობაში მოსული კანონის გამოყენების უარყოფა. ანტიკონსტიტუციურად მიჩნეული კანონების გამორიცხვის დაუწერელი უფლება 1979 წელს იქნა ფორმალიზებული (Holmberg and Stjerquist 1980 : 250). აღნიშნულს შეიძლება სიტუაცია გაერთულებინა, რადგან სასამართლოს სახელმწიფო საბჭოს მიერ არაკონსტიტუციურად მიჩნეული იმ კანონის გამოყენების უარყოფის უფლება ჰქონდა, რომელსაც პარლამენტში ეყარა კენჭი. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ შვედეთში იურისპრუდენციასთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობის ფორმა ძალზე სუსტია (Holland 1991) და ყველა სასამართლო თავს იკავებს აქტიური როლის შესრულებისგან შვედეთის საპარლამენტო სისტემის პოლიტიკურ თამაშში. ამავე დროს, აღნიშნულ სფეროში შვედეთზე გარე ძალებმა შეიძლება იქონიონ გავლენა (ევროკავშირმა ან ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა დაცვის კონვენციამაც კი, *cf*. Bergman and Larue 2005 : 246) და შესაძლებელია უფრო მნიშვნელოვანი საქმიანობის მომსწრენი გავხდეთ იურისპრუდენციის კუთხით.

ხელისუფლების ტერიტორიული დაყოფა

მიუხედავად იმისა, რომ შვედეთის საზოგადოება შედარებით დეცენტრალიზებულია (შვედეთის კონსტიტუცია მნიშვნელოვან ავტონომიას ანიჭებს ადგილობრივ მთავრობებს[309]), მას ასევე აქვს მახასიათებლები, რომლებიც დეცენტრალიზაციის მომხრეებსაც კი გააკვირვებს. შვედეთი, ფედერალური სტრუქტურის არმქონე კლასიკური უნიტარული სახელმწიფოს კარგი მაგალითია, მაგრამ მას დეცენტრალიზაციის ძლიერი ტრადიცია

---

308 შვედეთის აუდიტის ნაციონალურმა ბიურომ (SNAO) მუშაობა 2003 წლის 1 ივლისიდან დაიწყო. ამ ბიუროს შექმნა ნაციონალური სამთავრობო აუდიტის რეფორმის შედეგია. წინათ სამთავრობო აუდიტის ორი ორგანიზაცია არსებობდა: (1) პარლამენტის აუდიტორები, რომლებიც რიკსდაგის წინაშე იყვნენ პასუხისმგებელნი და (2) მთავრობის წინაშე პასუხისმგებელი შვედეთის ნაციონალური აუდიტის ძველი ბიურო (RRV *Riksrevisionsverket)*. რეფორმის შედეგად ეს ორი ორგანო პარლამენტის კონტროლქვეშ მოექცა.

309 ლინდსტრომი (Lindström, 2003 : 26-49) წარმოგვიდგენს სკანდინავიის ადგილობრივი მთავრობების ტრადიციასა და ავტონომიას. ამ ტრადიციასთან დაკავშირებით ასევე იხ. Gusttafsson (1999), Peterson (2000) Bengtsson (2002).

წლის საკანონმდებლო არჩევნების დროს, ამომრჩეველთა 26%-მა პრეფერენციული ხმის მიცემის წესი გამოიყენა, 2006 წელს კი ეს შესაძლებლობა 22%-მა გამოიყენა. შედეგად, 10 წარმომადგენელი 2002 წელს, 7 კი 2007 წელს პრეფერენციული ხმის მიცემის წესით იქნა არჩეული (Blomgren, 2003 : 95).[312]

1930-იანი წლებიდან, მემარცხენეობასა და მემარჯვენეობას შორის დაყოფის გარშემო ორგანიზებული ხუთი პარტია პარტიული სისტემის ფუნდამენტურ სისტემას აყალიბებს. მიუხედავად ორი ახალი პარტიის გამოჩენისა საპარლამენტო ასპარეზზე ამ ბოლო ოცი წლის მანძილზე, პარტიული სისტემა ძალზე სტაბილურია. აღნიშნული სტაბილურობის ერთ-ერთ განმარტებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ შვედეთის პარტიებმა დაყოფის თავიდან აცილება მოახერხეს: მემარცხენე პარტიის გარდა (ყოფილი კომუნისტები), ყველა პარტიას ერთიანობის დიდი ტრადიცია აქვს. ამგვარად, შვედეთის პარტიებმა დაამტკიცეს ცვალებად საზოგადოებასთან ადაპტაციის თავიანთი უნარი, ყოველ შემთხვევაში იქამდე, ვიდრე 1970-იან წლებში პოლიტიკურ დღის წესრიგში არ დადგა გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხები.

მემარცხენეობასა და მემარჯვენეობას შორის დაყოფა შვედეთის პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვანი დაყოფაა. აღნიშნულს ხაზს უსვამს პრაქტიკულად თანაბარი ძალის მქონე ორი ბლოკის არსებობა თითოეულ ფლანგზე. 1920-იანი წლებიდან სოციალისტური ბლოკი მემარცხენე პარტიითა და სოციალ-დემოკრატებითაა წარმოდგენილი. მიუხედავად იმისა, რომ მემარცხენე პარტია შორსაა სოციალ-დემოკრატების დომინანტობის კითხვის ქვეშ დაყანებისგან, ის შეზღუდული, მაგრამ სტაბილური მხარდაჭერით სარგებლობს და ამგვარად, მნიშვნელოვან როლს ასრულებს მთავრობის ფორმირების პროცესში. მემარცხენე პარტია სხვადასხვა მემარცხენე მოძრაობების კონგლომერატად რჩება, რომელიც ზოგჯერ საკმაოდ სერიოზული რყევების პერიოდებს განიცდის. თუმცა, მაშინაც კი, როდესაც ეს კონფლიქტები არ წყდება მემარცხენე პარტიის შიგნით, 1990-იან წლებში ის ყველაზე მნიშვნელოვან მესამე პარტიას წარმოადგენდა, რაც ორი ფაქტორით იყო გამოწვეული : ამ პარტიამ ხელში აიღო ინიციატივა ფემინისტურ საკითხებში და ახალი სტრატეგია შეიმუშავა, რომელიც პარტიას უფრო ფართო სოციალისტურ მოძრაობად წარმოაჩენდა. მემარცხენე პარტიამ ასევე სარგებელი გამოიტანა თავისი უფრო კრიტიკული პოზიციიდან ევროკავშირთან მიმართებაში,

სოციალისტური ბლოკის მეორე და ამჟამად უფრო მნიშვნელოვან პარტიას სოციალ-დემოკრატიული პარტია წარმოადგენს. ტრადიციულად, ეს პარტია მუშათა კლასის ორგანიზებას ახდენდა და მჭიდრო კავშირები აქვს პროფკავშირებთან. ამ პარტიამ ეტაპობრივად თავისი საარჩევნო ბაზისის გააფართოება შეძლო. ამგვარად, 1920-იანი წლებიდან სოციალ-დემოკრატიული პარტია შვედეთის პოლიტიკურ ასპარეზზე დომინირებს. იდეოლოგიურად სოციალ-დემოკრატები უფრო ფართო სოციალისტური მოძრაობის შიგნით იმყოფებიან, რეფორმა და პრაგმატიზმი ორი ძირითადი საწყისია. მესამე გზა კაპიტალიზმსა და კომუნიზმს შორის მათი, როგორც სტრატეგიული, ისე იდეოლოგიური არჩევანია და არც ერთი პარტია შვედეთში ასე აშკარად არაა ასოცირებული შვედურ სოციალურ მოდელთან. ეჭვგარეშეა, რომ სწორედ ეს ძალზე ამბიციური სოციალური ორგანიზაცია წარმოადგენს ამ პარტიის წარმატების საფუძველს. სოციალური სისტემის უნივერსალურმა ხასიათმა (თითოეული აფინანსებს სისტემას და ამ უკანასკნელით თითოეული სარგებლობს) საციალ-დემოკრატებს გაერთიანების მიღწევის შესაძლებლობა მისცა მუშათა კლასსა და მზარდ საშუალო კლასს შორის. ეს იყო პარტიის სიძლიერე, მაგრამ იმავდროულად, სისუსტეც. როდესაც ეკონომიკურმა რეალობამ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღებებს სოციალურ სისტემასთან დაკავშირებული ხარჯების შემცირება აიძულა, სოციალ-დემოკრატიული პარტიის შიგნით სოციალურმა (კლასების გაერთიანებასთან დაკავშირებულმა) კონფლიქტებმა იფეთქა. ბოლო ყველაზე სერიოზული კონფლიქტი ევროპულ საკითხს უკავშირდება. პირველ ხანებში, პარტიის ხელმძღვანელობა ძალზე კეთილგანწყობილი იყო შვედეთის ევროკავშირში გაერთიანების მიმართ, მაშინ როდესაც პარტიის წევრთა უმრავლესობა ამ გაწევრიანებას ეწინააღმდეგებოდა. თუმცა, დღემდე პარტიამ შეძლო ამ შიდა უთანხმოების მართვა და განხეთქილების თავიდან აცილება.

ტრადიციულად, ბურჟუაზიული ბლოკი სამი პარტიისგან შედგება. ცენტრის პარტიას ძირითადად, ფერმერები და სოფლის ერთობების მცხოვრებლები უჭერენ მხარს. ეს პარტია უფრო მეტ აქცენტს აკეთებს ცენტრსა და პერიფერიას და არა მემარცხენეობასა და მემარჯვენეობას შორის არსებულ დაყოფაზე (Bäck & Möller, 1997 : 70) და ზოგჯერ ფოკუსირების წერტილს მემარჯვენეობასა და მემარცხენეობას შორის პოულობს. 1950-იანი წლებიდან ამ პარტიის სოციალური საყრდენი შემცირდა და მას საკუთარი საარჩევნო ბაზისის გაფართოების საშუალება უნდა მოენახა. ამისათვის სამი განსხვავებული გზა იქნა გამოყენებული. პირველ ყოვლისა, პარტია ქალაქის ამომრჩეველთა მოზიდვას შეეცადა გარემოს დაცვის საკითხებზე ყურადღების გამახვილებითა და ზოგადი სკეპტიციზმის შესუსტებით გლობალიზაციის მიმართ. მეორე, პარტიამ კონცენტრაცია მოახდინა მცირე მეწარმეებზე ადგილობრივი ერთობების შიგნით და ისინი ძირითად სამიზნედ ამოიღო. მესამე, მიუხედავად იმისა, რომ ცენტრის პარტიამ კოალიციები შექმნა სოციალ-დემოკრატებთან 1930-1950 წლებში, 1960-იანი წლებიდან მან მკვეთრად გამოკვეთა თავისი პოზიციონირება ბურჟუაზიულ ბლოკში. არსებობს წინააღმდეგობრივი შეხედულებები ცენტრის პარტიის როლთან დაკავშირებით თავად პარტიის შიგნით. ამ-

312 ეს ათი კანდიდატი არ იქნებოდა არჩეული სიაში თავისი ადგილის გამო პრეფერენციული ხმის მიცემის გარეშე.

ის საილუსტრაციო მაგალითია პარტიის ლიდერების გაურკვეველი პოზიცია ევროკავშირთან მიმართებაში. ცენტრის პარტიის ლიდერები მხარს უჭერდნენ შვედეთის ევროკავშირში გაწევრიანებას, მიუხედავად მისი წევრების უმრავლესობის სკეპტიციზმისა. რამდენიმე წლის შემდეგ, ამ ლიდერებმა შვედეთის ევროპულ მონეტარულ კავშირში გაერთიანებასთან მიმართებაში მკვეთრად საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავეს. კიდევ რამდენიმე წლის შემდეგ, ცენტრის პარტია ევროკავშირის ფედერალიზაციის ერთ-ერთი ყველაზე მგზნებარე მომხრეც კი გახდა.

შვედეთის პარტიებს ხშირად განიხილავენ გარკვეული ინტერესების გამტარებელ – ცენტრის პარტია – პარტიებად ან იდეოლოგიურ პარტიებად – ლიბერალები. იმ შემთხვევაშიც, თუკი ეს ორი პარტია ზოგჯერ კომპრომისის პარტიებადაა მიჩნეული მემარჯვენეობასა და მემარცხენეობას შორის (*mittenpartier)* შვედეთის პოლიტიკაში, ორივეს საკუთარი პოზიციები ბურჟუაზიულ ბლოკში აქვს გამყარებული. ლიბერალების იდეოლოგიური მემკვიდრეობა მოიცავს, როგორც საბაზრო ლიბერალიზმს, ისე სოციალურ ლიბერალიზმს. გარკვეულწილად, ეს ორი თვალსაზრისი პარტიის შიგნით თანაარსებობს და დრო და დრო ერთ-ერთი მათგანი პარტიის პოლიტიკურ ქმედებაზე დომინირებს. აღნიშნული ნიშნავს, რომ ლიბერალები ზოგადად ძლიერ სამოქალაქო საზოგადოებას ემხრობიან და იმავდროულად, მხარს უჭერენ საბაზრო ეკონომიკასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს (Sandström, 2003 :90). ამგვარად, ლიბერალები ყურადღებას ინდივიდუალურ პასუხისმგებლობაზე ამახვილებენ სამოქალაქო საზოგადოების ჩარჩოში და ამ უკანასკნელს არგუმენტად იყენებენ სოციალ-დემოკრატიის კოლექტივისტური იდეის წინააღმდეგ. ამავე დროს, ლიბერალები ზომიერებისგან განსხვავებით, ემხრობიან მნიშვნელოვან და უნივერსალურ სოციალურ დაცულობას. მიუხედავად იმისა, რომ ლიბერალებმა მნიშვნელოვან თანხმობას მიაღწიეს სოციალ-დემოკრატების სხვადასხვა მთავრობებთან, პარტიამ თავისი ბაზისი განავითარა, როგორც სოციალისტური მთავრობის ბურჟუაზიულმა ალტერნატივამ.

პოლიტიკური სპექტრის მარჯვენა ფლანგზე ზომიერების პარტია იმყოფება. ტრადიციულად, ის კონსერვატორულ პარტიად განიხილება – უფრო მეტად, როგორც ლიბერალიზმისა და სოციალურ-კულტურული კონსერვატორული ელემენტების ნაერთი. თავიდანვე, ეს პარტია იმ ფუნდამენტური ცვილებების მიმართ წინააღმდეგობიდან შეიქმნა, რომელიც მუშათა მოძრაობის განვითარების შედეგს წარმოადგენდა XX საუკუნის დასაწყისში. ეს წინააღმდეგობა დიდწილად კონსერვატორულ აზროვნებას ეფუძნებოდა.

1970-იან წლებში შვედეთში საარჩევნო ერთგულება მერყევი რჩებოდა. 1950-1960-იან წლების განმავლობაში ამომრჩევლების დაახლოებით 10% პარტიას იცვლიდა ორ არჩევნებს შორის არსებულ პერიოდში. თუმცა, აღნიშნული ეტაპობრივად შეიცვალა და 2002 წლის არჩევნებში ამ ციფრმა 30%-ს გადააჭარბა. ეს მზარდი ცვალებადობა არ ნიშნავს, რომ ამომრჩევლებს ბლოკის შეცვლის ტენდენცია ახასიათებთ. პირიქით, დღეისათვის ბლოკების შეცვლა ამომრჩეველთა მხრიდან ნაკლებია ვიდრე 30 ან 40 წლის წინ.

ხმის მიმცემთა მობილურობა ასევე ახალი პარტიების შემოსვლის ნიშანია ნაციონალურ პოლიტიკურ ასპარეზზე. როგორც სოციალისტურ, ისე ბურჟუაზიულ ბლოკს ახალი პარტიები შეუერთდა. 1990-იანი წლებიდან მემარცხენე ბლოკში ასევე მწვანეები გაერთიანდნენ. მწვანეთა პარტია 1981 წელს შეიქმნა ატომურ ენერგიასთან დაკავშირებული 1980 წლის რეფერენდუმის მარცხით გამოწვეული გულაცრუების, გარემოს დაცვის საკითხებისადმი მაღალი ინტერესისა და ზოგადად, *პოლიტიკური ისტებლიშმენტის* მიმართ მზარდი კრიტიკის შედეგად. *1988* წელს მწვანეები პირველად იყვნენ წარმოდგენილნი პარლამენტში. მათ ახალი საკითხების შეტანა მოითხოვეს დღის წესრიგში და შეძლეს უფრო თანამედროვე და დემოკრატიული ფორმით ორგანიზება. მწვანეებმა თავად თქვეს უარი მემარცხენეობასა და მემარჯვენეობას შორის პოზიციონირებაზე გარემოს დაცვის საკითხებისადმი პარტიის მიერ მინიჭებული მნიშვნელობის გამო. ამ პარტიის 25-წლიანი არსებობის მანძილზე, ამგვარი პოზიციის დაკავება სულ უფრო ძნელი ხდება. დღეისათვის, ეს პარტია სოციალისტური ბლოკის სამი წევრიდან ერთ-ერთია იმ დაზუსტებით, რომ სხვა პარტიები არ არიან დარწმუნებული მის მხარდაჭერაში.

ბურჟუაზიული ბლოკიც ახალი, ქრისტიან-დემოკრატიული პარტიით შეივსო. ეს პარტია 1964 წელს დაფუძნდა და პარლამენტში შესვლას თითქმის 30 წელი ცდილობდა 1991 წელს არჩევნებში გამარჯვებამდე. ქრიატიან-დემოკრატიული პარტია შეიქმნა საზოგადოების საერთო სეკულარიზაციის, განსაკუთრებით კი განათლების სისტემის სეკულარიზაციის საპასუხოდ. აღნიშნულმა პარტიამ აქცენტი ჩვეულებრივ ოჯახზე გაამახვილა, როგორც საზოგადოების ყველაზე მნიშვნელოვან ელემენტზე და ურბანიზაციის დამღუპველი შედეგები გააკრიტიკა. მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანული ღირებულებები პარტიის მნიშვნელოვან იდეოლოგიურ მახასიათებლებად რჩება, დღეს პარტია ხაზს უსვამს რელიგიურისა და პოლიტიკურის გამიჯვნას თავისი საარჩევნო ბაზისის გაფართოების მიზნით. თუმცა, პარტიის შიგნით არსებული ბევრი ჯგუფი ძალზე კონსერვატორულ იდეების მატარებელია, რაც თვალშისაცემია სექსუალობასთან (კერძოდ, ჰომოსექსუალიზმთან), აბორტთან, ცენზურასთან და სქესებს შორის თანასწორობასთან დაკავშირებულ საკითხებში. თუკი ზომიერები უფრო ლიბერალები გახდნენ, სოციალ-დემოკრატებმა დატოვებული სიცარიელე შეავსეს პოლიტიკურ სპექტრში.

დღეისათვის, მწვანეთა პარტია და ქრისტიან-დემოკრატიული პარტია შემდგარი პარტიებია შვედეთის პოლიტიკურ ასპარეზზე. 1991 წელს რიკსდაგში სხვა პარტია, ახალი დემოკრატია შევიდა. პარტია 1991 წლის

გაზაფხულის არჩევნებამდე მხოლოდ ცხრა თვით ადრე ჩამოყალიბდა. ამ პარტიამ თავისი მემარჯვენე-პოპულისტური პროგრამისადმი – აშკარა ქსენოფობური მინიშნებებითა და ისტებლიშმენტის საწინააღმდეგო რიტორიკით – ყურადღების მიქცევა შეძლო. წარმატებისთვის ახალი დემოკრატიის პარტიას ხმების მოზიდვა ესაჭიროებოდა, როგორც მემარცხენე, ისე მემარჯვენე სპექტრიდან, რისი გაკეთებაც მან შეძლო კიდეც. პარტიის ორი ქარიზმატული ლიდერი საკუთარ თავს პოლიტიკით დაკავებულ „ჩვეულებრივ ადამიანებად" მიიჩნევენ. ამ ლიდერებმა პრაქტიკულად ყველა პარტიის ხმების მოზიდვა შეძლეს, განსაკუთრებით კი სოციალ-დემოკრატების, ზომიერების და იმ ადამიანებისა, რომლებიც არჩევნებში არ მონაწილეობდნენ. თუმცა, ახალ დემოკრატიას ხანმოკლე ისტორია ჰქონდა. პარტიამ მხოლოდ ერთი ლეგისლატურის მანძილზე იარსება.

პარტიული სისტემა, არჩევნების შედეგები და ხელისუფლების აღსრულება

მიუხედავად იმისა, რომ შვედეთის პარტიული სისტემა პრაქტიკულად თანაბარი სიძლიერის ორ ბლოკადაა გაყოფილი, ბალანსი, ყოველ შემთხვევაში 1970-იან წლებამდე, უფრო მეტად მემარცხენეობისკენ იყო გადახრილი (იხ. ტაბულა №5). ომის შემდგომი პერიოდის განმავლობაში შვედეთის მემარცხენე პარტია თანხმდებოდა სოციალ-დემოკრატიული პარტიისგან შემდგარი მთავრობების არსებობას, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პარტია არასდროს იყო მიწვეული მთავრობაში მონაწილეობის მისაღებად. ეს შესაძლებელი იყო ნეგატიური პარლამენტარიზმის გამოყენებით. შედეგად, მემარცხენე პარტია მარტივი არჩევანის წინაშე დადგა: ან სოციალ-დემოკრატიული პარტიისგან შემდგარ უმცირესობის მთავრობაზე დათანხმება ან ბურჟუაზიული მთავრობისთვის გზის მიცემა. ამიტომაც, სოციალ-დემოკრატებს მეტ-ნაკლებად ჰეგემონიური როლი ჰქონდათ მთელი ომის შემდგომი პერიოდის განმავლობაში და მათი მმართველობა 61 წლიდან 51 წელს გაგრძელდა 1945-2005 წლებში (იხ. Bergman, 2000 : 196).

ტაბულა №2 – შვედეთის საპარლამენტო არჩევნების შედეგები 1944-2006 წწ. A)

წელი	მონაწილეობის პროცენტული მაჩვენებელი	ხმების % (თითოეული პარტიისთვის)								
		M	ND	DC	LIB	PC	V	SD	PG	სხვები
1944 წ.	71,9	15,9	-	-	12,9	13,6	-	46,7	10,3	0,7
1948 წ.	82,7	12,3	-	-	22,8	12,4	-	46,1	6,3	0,1
1952 წ.	79,1	14,4	-	-	24,4	10,7	-	46,1	4,3	0,1
1956 წ.	79,8	17,1	-	-	23,8	9,4	-	44,6	5	0,1
1958 წ.	77,4	19,5	-	-	18,2	12,7	-	46,2	3,4	0
1960 წ.	85,9	16,5	-	-	17,5	13,6	-	47,8	4,5	0,1
1964 წ.	83,9	13,7	-	(1,8)	17	13,2	-	47,3	5,2	1,8C)
1968 წ.D)	89,3	12,9	-	(1,5)	14,3	15,7	-	50,1	3	2,6E)
1970 წ.	88,3	11,5	-	(1,8)	16,2	19,9	-	45,3	4,8	0,4
1973 წ.	90,8	14,3	-	(1,8)	9,4	25,1	-	43,6	5,3	0,6
1976 წ.	91,8	15,6	-	(1,4)	11,1	24,1	-	42,7	4,8	0,4
1979 წ.	90,7	20,3	-	(1,4)	10,6	18,1	-	43,2	5,6	0,8
1982 წ.	91,4	23,6	-	(1,9)	5,9	15,5	(1,7)	45,6	5,6	0,2
1985 წ.	89,9	21,3	-	-F)	14,2	12,4F)	(1,5)	44,7	5,4	0,5
1988 წ.	86	18,3	-	(2,9)	12,2	11,3	5,5	43,2	5,8	0,7
1991 წ.	86,7	21,9	6,7	7,1	9,1	8,5	(3,4)	37,7	4,5	1
1994 წ.	86,8	22,4	-	4,1	7,2	7,7	5	45,3	6,2	2,3
1998 წ.	81,4	22,9	-	11,7	4,7	5,1	4,5	36,4	12	2,6
2002 წ.	80,1	15,3	-	9,1	13,4	6,2	4,6	39,9	8,4	3,1
2006 წ.	82	26,2	-	6,6	7,5	7,9	5,2	35	5,8	5,7G)

წყარო : შვედეთის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები (SCB) (2006), *Historisk stotistik över valären 1910-2006*, http:/www.scb.se (2006-12-14).

A)ინფორმაცია ეფუძნება ქვედა პალატისა (1944-1968 წწ.) და ერთპალატიანი რიკსდაგის არჩევნების შედეგებს (1970-2006 წწ.). ფრჩხილებს შორის ჩასმული ციფრები მიუთითებს, რომ პარტიას არ ჰყავდა საპარლამენტო წარმომადგენლობა./

B) M= ზომიერები, ND=ახალი დემოკრატია, DC=ქრისტიან-დემოკრატები, LIB=ლიბერალები, PC=ცენტრის პარტია, V=მწვანეები, SD=სოციალ-დემოკრატები, PG=მემარცხენე პარტია.

C) ძირითადად რეგიონალური თანამშრომლობა სამ ბურჟუაზიულ პარტიას შორის: Medborlig samling.

D) დამატებითი არჩევნები

E) ორი ინიციატივა ბურჟუაზიულ პარტიებს შორის რეგიონალურ დონეზე Trepartssamverkan (1,7 %) და Mittensamverkan (0,9 %).

F) საარჩევნო კოალიცია ცენტრის პარტიასა და ქრისტიან-დემოკრატიულ პარტიას შორის.

G) უკიდურესმა მემარჯვენე პოპულისტურმა პარტიამ, Sverigedemokraterna, ხმების 2,93% მიიღო.

თუმცა, სოციალ-დემოკრატიული მთავრობების მიმართ მემარცხენე პარტიის თითქმის უპირობო მხარდაჭერა ომის შემდგომი პერიოდის განმავლობაში ფუნდამენტურად შეიცვალა 1980-იანი წლების მიწურულს. ამ პარტიამ გარკვეული დამოუკიდებლობა აჩვენა სოციალ-დემოკრატების პირისპირ და 1990 წელს, როდესაც მთავრობამ თავისი პროგრამის მხარდაჭერა ვერ მოიპოვა მემარცხენე პარტიის მხრიდან, ის მწვანეებისკენ შემოტრიალდა. თუმცა, მწვანეთა პარტია ახალი მოსული იყო საპარლამენტო ცხოვრებაში და ზოგიერთების აზრით, მან ზედმეტად ბევრი მოითხოვა საკუთარი დახმარების სანაცვლოდ. ამგვარად, სოციალ-დემოკრატებმა მოლაპარაკებები სწრაფად დაასრულეს და გადადგომა გადაწყვიტეს.

იმავდროულად, ბურჟუაზიულ ბლოკში მყოფმა პარტიებმა უფრო მჭიდრო კავშირების გაბმა დაიწყეს ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად. ამ ბლოკში შემავალ სამ პარტიას წინა კოალიციურ მთავრობებში (1976-1982 წწ.) მონაწილეობის გამოცდილება ჰქონდა და ამიტომაც, მათ კარგად ჰქონდათ შეგნებული ის ფაქტი, რომ 1991 წლის არჩევნებისთვის ისინი კარგად უნდა მომზადებულიყვნენ. როგორც აღმოჩნდა, ამ პარტიებმა ეს წარმატებით განახორციელეს. 1991 წლის არჩევნები მემარჯვენეობისკენ ყველაზე მნიშვნელოვან შემოტრიალებას წარმოადგენდა შვედეთის თანამედროვე ისტორიაში. სოციალ-დემოკრატებისთვის ეს ყველაზე ცუდი არჩევნები იყო 1937 წლიდან, მემარცხენე პარტიას კი 4%-იან ბარიერთან საგანგაშოდ ახლოს მდგომი კვორუმი ჰქონდა. 1991 წლის არჩევნებში მწვანეებმაც ვერ გადალახეს საარჩევნო ბარიერი.

ბურჟუაზიულმა ბლოკმა არჩევნები მოიგო, მაგრამ მემარჯვენე ფლანგზე განლაგებულმა სამმა პარტიამ საკმარისი ხმები ვერ დააგროვა პარლამენტში უმრავლესობის მოსაპოვებლად. ამგვარად, ამ ბლოკს ახლად მოსულების მხარდაჭერა ესაჭიროებოდა. ქრისტიან-დემოკრატების ჩართვა მოსალოდნელი იყო, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი უმრავლესობის მოსაპოვებლად. ბურჟუაზიული ბლოკის პარტიებს კავშირის დამყარება ესაჭიროებოდა ახალი დემოკრატიის პარტიასთან თუმცა, ამ უკანასკნელის ჩართვა კოალიციაში სირთულეს წარმოადგენდა ოთხი ბურჟუაზიული პარტიისთვის. ახალი დემოკრატია აღმოჩნდა ტრადიციულად მემარცხენე პარტიისთვის შემონახულ სიტუაციაში მხოლოდ სოციალ-დემოკრატებისგან შემდგარი უმცირესობის მთავრობების დროს. ნეგატიურ პარლამენტარიზმში, მემარცხენეობასა და მემარჯვენეობას შორის დაყოფის ნებისმიერ მხარეზე მყოფი ყველაზე პატარა პარტია იძულებულია დასთანხმდეს მის იდეოლოგიურ პოზიციასთან ყველაზე ახლოს მდგომი მთავრობის ფორმირებას ან აჯანყდეს და რისკის ქვეშ აღმოჩნდეს საპირისპირო ბლოკის პარტიებისგან შემდგარი მთავრობის შექმნის პირისპირ. ამგვარად, კონსტიტუციური წესები ახალი მთავრობის ინიციატორს მოლაპარაკებების წარმოების ძლიერი პოზიციით უზრუნველყოფს მთავრობის ფორმირების პროცესში. 1991 წლის კოალიციის შექმნა გამონაკლისს არ წარმოადგენდა: მთავრობა ყველა მემარჯვენე პარტიისგან იყო შემდგარი ახალი დემოკრატიის გარდა. 1994 წლის არჩევნებში ქრისტიან-დემოკრატებმა საკუთარი პოზიცია გაიმყარეს პარლამენტში. რაც შეეხება მწვანეებს, მათ კვლავ შეძლეს პარლამენტში შესვლა. ამგვარად, 1994 წლიდან ხუთი პარტიისგან შემდგარმა ტრადიციულმა სისტემამ ტრანსფორმაცია განიცადა და გარეგნულად სტაბილური შვიდპარტიული სისტემა გახდა.

1994 წელს სოციალ-დემოკრატების ხელისუფლებაში დაბრუნების შემდეგ, მათ სხვა პარტიის მხარდაჭერა ესაჭიროებოდათ პარლამენტში. მემარცხენე პარტიის აშკარა არასტაბილურობის გათვალისწინებით, ისინი ცენტრის პარტიისკენ შემობრუნდნენ არჩევნებიდან ერთი წლის შემდეგ. იმის გამო, რომ ცენტრის პარტიას მოლაპარაკებებში უფრო მყარი პოზიცია ჰქონდა, რაც მემარცხენეობასა და მემარჯვენეობას შორის დაყოფაში მის წამყვან როლს უკავშირდებოდა, შეთანხმება სოციალ-დემოკრატებსა და ამ პარტიას შორის თვისობრივად განსხვავდებოდა წარსულში მემარცხენე პარტიასთან წარმოებული მოლაპარაკებებისგან: ცენტრის პარტიამ ბევრ სამინისტროში თავისი წარმომადგენლების დანიშვნას მიაღწია. მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად საქმე არ ეხებოდა კოალიციის შექმნას, ორივე პარტიამ წინა ინტერაქციებზე ბევრად მჭიდრო ურთიერთობები აჩვენა სამთავრობო პარტიებსა და მხარდამჭერ პარტიებს შორის.

1998 წლის არჩევნების შემდეგ, მემარცხენე პარტიამ ხმების 12% მოიპოვა და მესამე საპარლამენტო პარტია გახდა. ამ საარჩევნო არითმეტიკის პირისპირ და ხელისუფლების შენარჩუნებისთვის, სოციალ-დემოკრატები კოალიციის შექმნის აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდნენ. კიდევ ერთხელ იქნა გამოყენებული იმგვარი შეთანხმების ტიპი, რომელსაც წარსულში ადგილი ჰქონდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიასა და ცენტრის პარტიას შორის. სამთავრობო პარტიასა და ორ მხარდამჭერ პარტიას შორის „კონტრაქტი“ იქნა დადებული და მხარდამჭერ პარტიებს თავიანთი მრჩეველების დანიშვნის უფლება მიეცათ გარკვეულ სამინისტროებში. 2002 წლის არჩევნების შემდეგ, ეს შეთანხმება განახლდა და გაფართოვდა კიდეც. აღებული იქნა საერთო ვალდებულებები ისეთ მთავარ საკითხებზე, როგორიცაა ეკონომიკა, დასაქმების პოლიტიკა, სქესებს შორის თანასწორობა და გა-

რემოს დაცვა (Bale & Bergman, 2006 : 196). პარტიები ასევე შეთანხმდნენ თავიანთი უთანხმოებების გადაჭრაზე გარკვეულ საკითხებში: ევროპული პოლიტიკა და საგარეო პოლიტიკა. „საკონტრაქტო პარლამენტარიზმის“ ამ შეთანხმებამ ორი საპარლამენტო მანდატის განმავლობაში იარსება და დიდად შეუწყო ხელი რვაწლიან პოლიტიკურ სტაბილურობას. თუმცა, 2006 წლის არჩევნებამდე ბევრად ადრე, ბურჟუაზიული ბლოკის პარტიებმა კვლავ გაამყარეს თავიანთი კავშირები. ჰქონდათ რა შეგნებული გრძელვადიანი თანამშრომლობის მნიშვნელობა არჩევნებში წარმატების მოსაპოვებლად, აღნიშნულმა პარტიებმა კოალიციის შექმნის შეთანხმება დადეს. ამ წარმატების ერთ-ერთ მთავარ განმარტებას ზომიერების პარტიაში ახალი ხელმძღვანელობა წარმოადგენს, რომელმაც შესაძლებელი გახადა იმის გაკეთება რასაც სოციალ-დემოკრატები აკეთებდნენ – მაგრამ უკეთ. ახალმა ზომიერებმა შეძლეს საკუთარი რეპუტაციის გამოსწორება როგორც სოციალური სისტემის დესტრუქციული პარტიისა. ეს იყო ტონი ბლერისეული რევანშის მაგვარი, მაგრამ მემარჯვენე ფლანგიდან მომდინარე. მეორე განმარტება მდგომარეობს იმ ფაქტში, რომ ცენტრის პარტიამ და ლიბერალურმა პარტიამ ბლოკის შიგნით ძალზე დამაჯერებელი პოზიციონირება შეძლეს და ამგვარად, ბლოკის მიმართ ნდობა გაზარდეს. ეს სტრატეგია წარმატებული აღმოჩნდა და სოციალ-დემოკრატებმა, ისევე როგორც მათმა მხადამჭერმა ორმა პარტიამ, მემარცხენე პარტიამ და მწვანეებმა, ბევრი დაკარგეს. 2006 წლიდან, მთავრობა ოთხი ბურჟუაზიული პარტიისგან შედგება, რომლებიც არასდროს არ ყოფილან ისე ერთსულოვანი როგორც დღეს.

დასკვნა

შვედეთის თანამედროვე ისტორიის მანძილზე ორი პოლიტიკური ბლოკის მიერ წარმოდგენილი საზოგადოების შედარებით განსხვავებული ხედვა, ამომრჩევლების მიზნების რეალურ განხორციელებასა და მკაფიო არჩევანს სთავაზობდა არჩევნებში. ამავე დროს, მთავრობების უმრავლესობა უმცირესობის მთავრობებით იყო წარმოდგენილი (კონსტიტუციური წესებით მხარდაჭერილი), რამაც ზომიერი საკანონმდებლო დღის წესრიგის არსებობა უზრუნველყო და შესაძლებელი გახადა შვედეთის პოლიტიკის იმგვარი ნორმების ფარგლებში შენარჩუნება, რომელიც კონსენსუსის დემოკრატიადაა განსაზღვრული. ინტერესთა კარგად ორგანიზებული ჯგუფები, როგორიცაა პროფკავშირები და მეწარმეთა ორგანიზაციები საკანონმდებლო პროცესში იქნა ჩართული. გარდა ამისა, *ex post facto* მექანიზმებმა შედარებით კარგად იმუშავა. სასამართლოებმა (და კონტროლის სხვა ინსტიტუტებმა – ომბუდსმენები, აუდიტის ბიუროები და მედია) სახელმწიფო ძალაუფლებისა და საჯარო ფონდების შესაძლო ექსცესების აქტუალიზაცია მოახდინეს. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკის გამტარებლები უნაკლონი არ არიან, შვედეთმა შეძლო ძალზე დიდი კორუფციისთვის გვერდის ავლა. ნაციონალურმა მთავრობამ, განსაკუთრებით კი ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა შეძლეს სოციალური მომსახურების შემოთავაზება ძლიერი საჯარო სექტორის წყალობით, რომელიც გადასახადებითაა დაფინანსებული. ეს სისტემა დიდი ლეგიტიმურობით სარგებლობს მოქალაქეებში. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები ასევე საგულისხმო არხს წარმოადგენდნენ ადგილობრივ პოლიტიკურ მიზნებთან დაკავშირებული პრეფერენციების გამოსახატავად. საზოგადოებისთვის ოფიციალური დოკუმენტების ხელმისაწვდომობის მიმართ გახსნილმა კანონმდებლობამ და ეფექტურმა მედიამ უპრეცენდენტო გახსნილობისა და ტრანსპარენტულობის ტრადიცია შექმნა. პოლიტიკური სისტემის ყველა ამ ურთიერთმოქმედმა ნაწილმა ხელი შეუწყო შვედეთის ერთ-ერთ ყველაზე სტაბილურ საპარლამენტო დემოკრატიად ჩამოყალიბებას ევროპაში.

ევროკავშირის საკანონმდებლო პოლიტიკას მნიშვნელოვანი შეზღუდვები შემოაქვს ყველა წევრი-სახელმწიფოსთვის და შვედეთიც არაა გამონაკლისი. ევროკავშირის წევრობა გავლენას ახდენს ნაციონალური მთავრობის ფუნქციებზე, კანონების შედგენასა და სამართლებრივ საქმიანობაზე. გარდა ამისა, ევროკავშირი მნიშვნელოვნად ზღუდავს მთავრობის პასუხისმგებლობის დაყენებას თავისი ქმედებებისთვის პარლამენტის მხრიდან. შვედეთის პარლამენტმა ვერ შეძლო ეფექტური პასუხისმგებლობის დაკისრების მექანიზმების შემოღება ევროპულ საკითხებზე. გარდა ამისა, ბევრი პოლიტიკური პარტია დღესაც „ინფიცირებულია“ ევროკავშირთან დაკავშირებული დებატით, რამაც ეს საკითხები იმდენად სენსიტიური გახადა, რომ ისინი იშვიათად ხდება დებატების ობიექტი. თუკი ევროპულ საკითხებთან მიმართებაში ბიუროკრატიული დუმილისა და დაბალი პოლიტიკური პასუხისმგებლობის ევოლუცია გაგრძელდება, მომავალი ანტიევროპული გრძნობების აფეთქება შესაძლოა შვედეთიდან წამოვიდეს.

პარტიებს შორის თანამშრომლობის ახალმა ფორმებმა შეიძლება შვედეთის პარტიული სისტემა შეცვალოს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ბურჟუაზიულ პარტიებს შორის კავშირი განვითარებას განაგრძობს. მიუხედავად იმისა, რომ კოალიციაში შემავალმა ოთხმა პარტიამ თანამშრომლობის გაღრმავების პირობა დადო, საკითხავია თუ რამდენად გადარჩება მათი პოლიტიკური და იდეოლოგიური იდენტობები ამ პროცესში. იმავდროულად, ბურჟუაზიულმა ალიანსმა შვედეთში ბლოკების პოლიტიკის დაშლის რისკი შეამცირა. ცენტრის პარტიამ და ლიბერალებმა აშკარად განაცხადეს, რომ თანამშრომლობა სოციალ-დემოკრატებთან დამორიცხულია. ამგვარად, დღეისათვის ნაკლებად სავარაუდოა ამ ორი პარტიის ცენტრისტულ ალტერნატივად განხილვა, რასაც შედეგად მემარცხენეობასა და მემარჯვენეობას შორის დაყოფის გაძლიერება მოჰყვება.

ბიბლიოგრაფია

BALE, T & T, Bergman (2006), A Taste of Honey is Worse Than None at ALL? Coping with the Generic Challenges of Support Party Status in Sweden and New Zealand?, *Party Politics*, 12 (2) : 189-209.

BERGMAN, T. & T. Larue (2002) „Le régime parlementaire en Suède" in Costa, O., E. Kerrouche and P. Magnettr (eds.) *Vers un renouveau du palementarisme en Europe?*, Bruxelle : Éditions de l'Université de Bruxelles.

BERGMAN, T. (2003) „Sweden : From Separation of Power to Parliamentary Supremacy – and Back Again? in Strøm, K., W.C. Müller & T. Bergman (eds.)*Delegation and Accaountability in Parliamentary Democracies*, Oxford : Oxford University Press.

BERGMAN, T. (2004) Sweden : Democratic reforms and partisan decline in an emerging separation-of-power System, *Scandinavian Political Studies*, 27 (2) : 203-25.

BERGMAN, T. (2000), Sweden : When Minority Cabinets are the Rule and Majority Coalitions the Exception, *Coalition Governments in Western Europe*, IN : W. C. Müller and K, Strøm, the Oxford, Oxford University Press.

BLOMGREN, M. (2003), Cross-pressure and political representation in Europe : A comparative study of MEPs and the intra party arena, Umeä : Statsvetenskapliga institutionen skriftserie 2003 : 5, (PhD dissertation).

ERSSON, S. (2005), Den yttre vänstern I Norge och Sverige, *Partiernas ärhundrade : Fempartimodellens uppgäng och fall I Norge och Sverige*, IN : Demker, M. and L. Sväsand, Stockholm : Santerus Förlag.

HELLSTRÖM, M. (2006), Ansvarskommitténs storlän försvärar Sveriges styre, *Dagens Nyheter*, (2006-12-07).

HOLMBERG, S. & H. Oscarsson (2004), *Väljare : svenski väljarbeteende under 50 är*, Stockholm : Norstedts.

HUBER, J.D. & C. Martinez-Gallardo (2004), Cabinet instability and the accumulation of experience : The French fourth and fifth republics in comparative perspective, *British Journal of Political Science* 34 (1) : 27-48.

KATZENSTEIN, P. (1985), *Small States in World Markets : Industrial Policy in Europe*, Ithaca : Cornell University Press.

LANE, J-E. & S. Ersson (1999) *Politics and Society Europe* (4th ed), London : Sage.

MÜLLER, W.C. & K. Strøm (eds.) (2003), *Coalition Governments in Western Europe*, Oxford : Oxford University Press.

OFFICIAL Statistics of Sweden (SCB) (2006), *Historisk statistik över valären 1910-2006*, from htttp:/www.scb.se, (2006-12-14).

OLSSON, S. (1990), *Social Policy and Welfare State in Sweden*, Lund : Studentlitteratur.

Petersson, O. & D. Söderland (1993), *Förvaltningspolitik : Andra upplagan*,Stockholm : Publica.

PIERRE, J. (1995), „Governing the welfare state : Sweden" in : J. Pierre (ed.), *Bureaucracy in the modern state*, Cheltenham : Edward Elgar Publishing Ltd.

REGERINGEN (2006), Arsredovisning för staten 2005, *Regeringens skrivelse* 2005/06 : 101.

ROTHSTEIN, B. & J. Bergström (1999), *Korporatismens fall och den svenska modellens kris*, Stockholm : SNS Förlag.

ROTHSTEIN, B. (1992), Den korporativa staten. Intresseorganisationer och statsförvaltning I svensk politik, Stockholm : Nordstedts Juridik.

RUIN, O. (1991), The duality of the Swedish central administration : Ministries and agencies IN : A, Farazmand (ed.), *Handbook of comparative and development public administration*, New York : Marcel Dekker.

SANDSTRÖM, C. (2003), Liberalt partisamarbete I nya Europa : ELDR – en ny typ av parti, Umeä : Umeä University, (PhD dissertation).

STRANGE, S. (1996), *The Retreat of the State*, Cambridge : Cambridge University Press.

თავი XXVII

ჩეხეთის რესპუბლიკა

ბრეტისლავ დანჩაკი და ვიტ ჰლუზეკი

დღევანდელი პოლიტიკური სისტემის სათავეები

ჩეხეთის დღევანდელი პოლიტიკური სისტემის გასაანალიზებლად მართებული იქნება მისი თანამედროვე ისტორიის განხილვა, რომელიც XIX საუკუნიდან იღებს სათავეს. კომუნისტურმა რეჟიმმა მნიშვნელოვნად შეარყია უწყვეტობა ორ მსოფლიო ომს შორის არსებულ დემოკრატიულ პერიოდთან მიმართებაში. თუმცა, ჩეხოსლოვაკიის დემოკრატიის გარკვეულმა მახასიათებლებმა 1989 წლის შემდგომი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებაზე იქონია გავლენა.

ჩეხეთის პოლიტიკურმა სისტემამ თანამედროვე მასობრივ დემოკრატიად ჩამოყალიბება 1918 წელს ჩეხოსლოვაკიის დაარსების დროიდან დაიწყო. პირველი ნაბიჯები დემოკრატიული პოლიტიკური სისტემისკენ ჰაბსბურგების კონსტიტუციური მონარქიის დროს გადაიდგა 1861 წელს ხმის მიცემის უფლების გაფართოებით. ეს უფლება შეზღუდული იყო ქონებრივი ცენზითა და საარჩევნო კურიებით. მხოლოდ 1907 წელს მამაკაცებს ფარული, თანაბარი და პირდაპირი ხმის მიცემის უფლება მიეცა. ლიბერალიზაციისა და დემოკრატიზაციის სხვა ელემენტებს უფრო ძველი საფუძვლები ჰქონდა – სამოქალაქო უფლებების ჩამონათვალი 1867 წლის კონსტიტუციის პერიოდში. 1900 წლისთვის ამ ცვლილებების მიზეზით განსხვავებული პარტიული სისტემა შეიქმნა. აღნიშნულ დრომდე პოლიტიკურ ასპარეზზე ელიტების ორი პარტია დომინირებდა (კონსერვატორები, ძველი ჩეხები და ლიბერალები, ახალგაზრდა ჩეხები), რომელიც ძირითადად, ჩეხეთის ნაციონალურ ინტერესებს წარმოადგენდა ვენის ცენტრის წინააღმდეგ. ზოგიერთმა ახლად ჩამოყალიბებულმა პარტიამ, ზოგმა კი გაძლიერებულმა (სოციალ-დემოკრატები, აგრარიკოსები, კათოლიკეები) დაიწყო არა მხოლოდ საერთო ნაციონალური აღორძინების მოძრაობის, არამედ ასევე ეკონომიკური და სხვადასხვა სპეციფიკური სოციალური ინტერესების წარმოჩენა.

ორ მსოფლიო ომს შორის არსებულ პერიოდში პოლიტიკური სისტემა ჩეხოსლოვაკიაში 1920 წლის კონსტიტუციით იყო ჩამოყალიბებული, რომელიც საფრანგეთის მესამე რესპუბლიკის მსგავს საპარლამენტო მოდელს აფუძნებდა. აღნიშნული ერთადერთ დემოკრატიულ გამოცდილებას წარმოადგენდა 1930-იანი წლების მიწურულს. ამავე დროს, ჩეხოსლოვაკიის დემოკრატიამაც განიცადა გარკვეული აშლილობა: ურთიერთობები ჩეხებსა და სხვა ეთნიკურ უმცირესობებს შორის, კერძოდ, გერმანელებსა და უნგრელებთან, მაგრამ ასევე სლოვაკებთანაც, რომელთა პოზიცია სახელმწიფოს მიმართ პირობითი თანხმობიდან ძირეულ უარყოფამდე იცვლებოდა. თუმცა, ჩეხების მხრიდან სხვა უმცირესობებისთვის ჭეშმარიტად თანაბარი სტატუსის მინიჭების უუნარობა უმნიშვნელოვანესი პრობლემა იყო. გარდა ამისა, ჩეხოსლოვაკიის სისტემას შიდა სტრუქტურული ნაკლოვანებები ახასიათებდა: ის პარტიებით, უფრო სწორად კი მათი ელიტებით იყო დომინირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში. პარტიების სპექტრი ძალზე დანაწევრებული იყო, რაც პარლამენტზე აისახებოდა და მმართველი კოალიციის სტაბილურობას ემუქრებოდა. ორ მსოფლიო ომს შორის არსებული პერიოდის ჩეხოსლოვაკიის პარტიული სისტემა შეიძლება პოლარიზებულ პლურალიზმად განისაზღვროს, როგორც ის სარტორის მიერაა განხილული, ძლიერი ანტისისტემური პარტიებით (კომუნისტები, ფაშისტები, რადიკალი პანსლავისტები, გერმანული და უნგრული ნაციონალისტური პარტიები) და ცენტრისადმი შეზღუდული მხარდაჭერით.

ამავე დროს, ჩეხოსლოვაკიის დემოკრატია შიგნიდან არ დაშლილა: გადამწყვეტი დარტყმა უფრო მეტად გარედან მოდიოდა. სასაზღვრო ზონის მოსახლეობა გერმანულ უმცირესობას წარმოადგენდა, რომელიც სამი მილიონი მცხოვრებისგან შედგებოდა. ეს უკანასკნელი სწრაფად გადაიქცა ნაცისტური გერმანიის ექსპანსიონისტური პოლიტიკის ერთ-ერთ პირველ სამიზნედ, რაც 1938 წლის შემოდგომიდან დაიწყო მიუნხენის შეთანხმების შემდეგ. მეორე რესპუბლიკის პოლიტიკური სისტემა (1938-1939 წწ.) პირველი რეგრესით აღინიშნა არადემოკრატიული რეჟიმისკენ. ამ რესპუბლიკამ ზურგი აქცია წინათ დაცულ დემოკრატიულ ტრადიციას. პოლიტიკური პლურალიზმი შეიზღუდა და ეტაპობრივად ავტორიტარული ელემენტები იქნა შემოტანილი. ამ შეზღუდული დემოკრატიული გამოცდილების დასასრული 1939 წლის მარტში დაკონკრეტდა: 14 მარტს სლოვაკეთი ჩეხოსლოვაკიას გამოეყო და ერთი დღის მოგვიანებით, ქვეყნის დანარჩენი ნაწილი ოკუპირებული და გარდაქმნილი იქნა ბოჰემია-მორავიის პროტექტორატად ნაცისტური გერმანიის სრული კონტროლის ქვეშ. ომის განმავლობაში ჩეხური ტერიტორიები ნაცისტური ტოტალიტარული რეჟიმის ნაწილს წარმოადგენდა.

თუმცა, დამოუკიდებლობის ხელახალი მოპოვების შემდეგ ორ მსოფლიო ომს შორის არსებული პერიოდის პლურალიზმი სრულად არ იქნა აღდგენილი. სუდეტების მოსახლეობის გადასახლებამ და უნგრული მოსახლეობის ნაწილობრივმა გადინებამ და იმავდროულად, რუტენიის დაკარგვამ სსრკ-ს სასარგებლოდ, ჩეხოსლოვა-

კიის მნიშვნელოვანი ეთნიკური ჰომოგენიზაცია გამოიწვია. მესამე რესპუბლიკის პერიოდში (1945-1948 წწ.) 1920 წლის კონსტიტუცია კვლავ გახდა პოლიტიკური სისტემის ფორმალური ბაზისი მიუხედავად მნიშვნელოვანი შეზღუდვებისა, რომლებმაც ხელისუფლების კონცენტრაციასა და პოლიტიკური პლურალიზმის შემცირებას შეუწყო ხელი. პარლამენტის ზედა პალატა აღარ იქნა აღდგენილი. გარდა ამისა, პარტიული სისტემა ოთხ მნიშვნელოვან ჩეხურ პარტიამდე (სახალხო პარტია იყო ერთადერთი პარტია, რომელიც არ იყო მემარცხენე) და ორ სლოვაკურ პარტიამდე შეიზღუდა ეროვნული ფრონტის შიგნით.

1948-1989 წლები ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის (KSM) დომინანტობით აღინიშნა, რომელიც სახალხო დემოკრატიას მართავდა. ამ პარტიის პოლიტიკას ზოგჯერ *რეალურ სოციალიზმს* ან პრაქტიკულ სოციალიზმს უწოდებდნენ. კომუნისტურმა პარტიამ თავისი მოწინააღმდეგეები მორჩილ სატელიტებად აქცია (სახალხო პარტია, ნაციონალ-სოციალისტები) ან ისინი საერთოდ ჩამოიშორა პოლიტიკურ ასპარეზს (1948 წლის ივნისში სოციალ-დემოკრატიული პარტია იქნა გაუქმებული). დემოკრატიული პროცესი და პოლიტიკური კულტურის ლიბერალური (სამოქალაქო) ელემენტები (ყველა პრობლემითა და ნაკლოვანებით), რომელიც 1840 წლიდან 1930 წლამდე ჩამოყალიბდა, სრულიად იქნა დავიწყებული. მხოლოდ 1968 წლის პრაღის გაზაფხულის დროს ადგილი ჰქონდა „ადამიანური სახის სოციალიზმის" დამყარების მცდელობას, როგორც საზოგადოების, ისე პოლიტიკური სისტემის დონეზე.

აღნიშნული პერიოდის განმავლობაში ჩეხურ ტერიტორიებსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოქმედი პოლიტიკური სისტემა ავტორიტარულ ბიუროკრატიულ კომუნიზმად იქნა კლასიფიცირებული ჰერბერ კიტშელტის მიერ. ამ ტიპის კომუნისტურ რეჟიმს ძალზე მკაცრი დამოკიდებულება ახასიათებს ნებისმიერი ოპოზიციური ფორმის მიმართ. სახელმწიფო და პარტია ეფექტურ ბიუროკრატიულ მანქანას წარმოადგენდა, რომელიც წესების გარკვეულ ერთობლიობას აერთიანებდა და პრაქტიკულად შეუზღუდავი ძალაუფლებით სარგებლობდა. ავტორიტარული ბიუროკრატიული კომუნიზმი რეპრესიისა და პოლიტიკური ოპოზიციის გამოთიშვის პოლიტიკაში გადავიდა – პოლონეთსა და უნგრეთში გამოყენებული ნაციონალური ადაპტაციის კომუნისტური რეჟიმი, რომლის კონფიგურაცია ასევე სლოვაკურ კონტექსტშიც იკითხება. ამგვარად, რეჟიმმა შეძლო საზოგადოებაზე უფრო ძლიერი კონტროლის განხორციელება და ჩეხური საზოგადოების ტრანსფორმაცია ტრადიციული ურთიერთობებისა და სტრუქტურების ამოძირკვით და საზოგადოების ნიველირებით.

ძალზე ძლიერი ინსტიტუციური მექანიზმებით ავტორიტარულმა ბიუროკრატიულმა კომუნისტურმა რეჟიმებმა ეფექტურად შეძლეს ნებისმიერი პოტენციური ოპოზიციის ჩახშობა, მაგრამ ისინი უუნარონი აღმოჩნდნენ მოქნილი პასუხების გამოგონებაში, როგორც კი კონტროლირებადი საზოგადოებების შიგნით სოციალური ატმოსფეროსა და საერთაშორისო გარემოს ცვლილებების პირისპირ აღმოჩნდნენ. აღნიშნულმა, საბოლოოდ, მათი ნგრევა გამოიწვია. ჩეხოსლოვაკიის რეალური სოციალიზმის ნგრევაც ასევე გარე პირობების შედეგი იყო (საბჭოთა ბლოკში შემავალი მეზობელი სახელმწიფოების ანალოგიური რეჟიმების ნგრევა), რასაც ასევე უნდა დაემატოს სოციალური და ეკონომიკური სტაგნაცია და მასების უკმაყოფილება პოლიტიკური სისტემის მიმართ. მოვლენები, რომლებიც პრაღაში 1989 წლის 17 ნოემბერს სტუდენტური მანიფესტაციის მკაცრი რეპრესიით დაიწყო 29 დეკემბერს ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტად დისიდენტი ვაცლავ ჰაველის არჩევით დასრულდა.

1989 წლის 18 ნოემბერს სამოქალაქო ფორუმი (OF) შეიქმნა. ის წარმოადგენდა უფრო ფართო „ფორუმის" ტიპის მოძრაობის ჩეხურ ვერსიას. ამ ფორუმში ის სტუდენტები, ხელოვანები და ინტელექტუალები მონაწილეობდნენ, რომლებმაც კომუნისტური მმართველობის წლებში რეპრესიის სხვადასხვა ფორმები გადაიტანეს თავიანთი პოლიტიკური იდეების გამო. OF-ი პოლიტიკური და სოციალური ცვლილების მთავარი ძალა გახდა. ათი დღის მოგვიანებით, საყოველთაო გაფიცვა გაიმართა კომუნისტური პარტიის ლიდერებისთვის იმის საჩვენებლად, რომ მოსახლეობას პოლიტიკური რეჟიმის აშკარა ცვლილება სურდა. კომუნისტურ რეჟიმს უბრალოდ უნარი აღარ შესწევდა რამე სიახლის შემოსათავაზებლად და ოპოზიციამ პოლიტიკური ასპარეზი დაიკავა.

დასაწყისიდანვე, ოპოზიციამ დიალოგი გამართა კომუნისტურ ხელისუფლებასთან, რამაც ამ უკანსკნელის არაკომპეტენტურობა და უძლურება გამოააშკარავა. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო ფორუმი ყველაზე მნიშვნელოვან პოლიტიკურ აქტორს წარმოადგენდა, მასში არ არსებობდა შიდა ერთიანობა. სამოქალაქო ფორუმმა ადგილი დაუთმო იმ ოპოზიციურ პარტიებსა და მოძრაობებს, რომლებიც პირდაპირ არ იყვნენ ჩართულნი მის მუშაობაში. შეიქმნა „ნაციონალური შერიგების" მთავრობა, რომელშიც რეფორმისტი კომუნისტები და ოპოზიციის წარმომადგენლები შევიდნენ.

სამოქალაქო ფორუმის ხელმძღვანელობამ შედერებით ზომიერი მიდგომა აირჩია კომუნისტურ პარტიასთან მიმართებაში. მისი მიზანი იყო რეფორმების კონსენსუსის ფორმითა და დიდი პოლიტიკური მღელვარების გარეშე ჩატარება. ამგვარად, არ მომხდარა კომუნისტური პარტიის კანონგარეშედ გამოცხადება და ამ უკანასკნელმა ფუნქციონირება საჯაროდ და თავისუფლად გააგრძელა. კომუნისტური პარტიის ლიდერები არ დასჯილან იმ დანაშაულებისთვის, რომლებიც მათ თავიანთი უფლებამოსილებების აღსრულების დროს ჩაიდინეს.

პირველი თავისუფალი არჩევნები კომუნისტური რეჟიმის დაშლიდან ექვს თვეზე მეტი ხნის შემდეგ ჩატარდა. სამოქალაქო ფორუმმა ხმების დაახლოებით 50% მიიღო. კომუნისტები მეორე ადგილზე აღმოჩნდნენ

(დაახლოებით 13%), მაგრამ ძალზე დიდი განსხვავებით ორი პარტიის საარჩევნო შედეგებთან მიმართებაში. ისეთი ჯგუფები, როგორიცაა რელიგიური ინტერესების დამცველი ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი ან მოძრაობა დემოკრატიული ავტონომისათვის, რომელიც მორავიისა და სილეზიის რეგიონალურ ავტონომიას მოითხოვდა, ასევე შევიდნენ პარლამენტში. სამოქალაქო ფორუმის გამარჯვება ახალ დასაწყისს ნიშნავდა, როგორც ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, ისე ლიბერალური დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის რეფორმის გზაზე.

პირველი არჩევნებიდან ექვსი თვის შემდეგ, სამოქალაქო ფორუმი მრავალ ნაწილად და მოძრაობად დაიყო. სამოქალაქო დემოკრატიული პარტია (ODS) ყველაზე მნიშვნელოვან პარტიას წარმოადგენდა თავის წინამორბედებს შორის. სამოქალაქო ფორუმის დაშლამ და სხვა ცვლილებებმა, ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის შედარებით საგულისხმო დაყოფამ და შერწყმამ, ნაკლებად შეუწყო ხელი მთავრობის სტაბილურობას. პირველი თავისუფალი არჩევნებიდან ორი წლის შემდეგ, 1992 წელს მეორე არჩევნები ჩატარდა, რომელმაც შესაძლებელი გახადა პარტიული სისტემის, პარლამენტისა და მთავრობის სტაბილიზაცია.

ეკონომიკურ ტრანსფორმაციასთან დაკავშირებული საკითხების გარდა, 1990-1992 წლებში მეორე მნიშვნელოვან თემას ჩეხებისა და სლოვაკების თანაარსებობის საკითხი წარმოადგენდა ერთ სახელმწიფოში. კომუნისტური კანონი, რომელმაც 1969 წელს ფედერალური სისტემა შექმნა არასაკმარისად წარმოჩნდებოდა, საჭირო იყო სხვა გამოსავლის მონახვა. კომუნისტური რეჟიმის ნგრევის შემდეგ, კვლავ თავი იჩინა სლოვაკების ნაციონალისტურმა მოთხოვნებმა. პირველ ყოვლისა, დებატი ეხებოდა ჩეხოსლოვაკიის ოფიციალურ სახელწოდებას, რაც „დეფისის ომს" წარმოადგენდა. იმ დროს, როდესაც ჩეხებს ორ მსოფლიო ომს შორის არსებული პერიოდის განმავლობაში გამოყენებული „ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის" სახელწოდების აღდგენა სურდათ, სლოვაკები თავიანთ დამოუკიდებლობაზე აქცენტის გაკეთებას მოელოდნენ. საბოლოოდ, კომპრომისი მოინახა: „ჩეხეთისა და სლოვაკეთის ფედერაციული რესპუბლიკა." სლოვაკეთის მოსახლეობის ნაწილი და პოლიტიკური ელიტა მხარს უჭერდა ფედერაციის კონფედერაციად ტრანსფორმაციას. თუმცა, ნაკლებად მოიძებნებოდნენ ისინი, ვისაც სახელმწიფოს სრული დაშლა სურდა. კამათი ორ წელს გაგრძელდა 1990 წლისა და 1992 წლის არჩევნებს შორის პერიოდში. მეორე თავისუფალ არჩევნებში ჩეხეთში გამარჯვება ODS-მა მოიპოვა, სლოვაკეთში კი მოძრაობამ დემოკრატიული სლოვაკეთისთვის (HZDS). ეს ორი პარტია ერთმანეთთან ფუნდამენტურ კონფლიქტში იყო სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით: ფედერაციის ტრანსფორმაცია, ეკონომიკური რეფორმების ტემპი და მასშტაბი და სოციალური სისტემის ცვლილება.

თუკი ახალი სლოვაკური ელიტა კონფედერაციას მოითხოვდა, ახალი ჩეხი ლიდერები ფუნქციონალური ფედერაციის შენარჩუნებას უჭერდნენ მხარს. როდესაც ამ ლიდერებმა ფედერაციის იდეის მიუღებლობა აღიარეს, მათ ქვეყნის გაყოფა არჩიეს. განცალკევება მშვიდად განხორციელდა მისაღები ორმხრივი შეთანხმებების საფუძველზე. რთული და ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ, ჩეხეთისა და სლოვაკეთის ორმა ასამბლეამ აუცილებელი კანონები მიიღო, ასევე ორ მხარეს შორის დადებული იქნა ხელშეკრულებები, რამაც გაყოფა გახადა შესაძლებელი. ბუნებრივია, ყველაზე რთული პრობლემა ფედერაციის საკუთრების გაყოფას ეხებოდა: საბოლოოდ, ფედერალური კანონის მიღებამ შესაძლებელი გახადა 2 : 1 გაყოფა (ჩეხეთის რესპუბლიკაში 10 მილიონი მცხოვრებია, სლოვაკეთში კი დაახლოებით ხუთი მილიონი). 1993 წლის 1 იანვარს ორი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა გამოცხადდა.

ხელისუფლების მოწყობა ჩეხეთის რესპუბლიკაში

ჩეხეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია 1992 წლის 16 დეკემბერს იქნა მიღებული. ის ძალაში 1993 წლის 1 იანვარს შევიდა ჩეხოსლოვაკიის ფაქტობრივი გაყოფის დროს. კონსტიტუციით საპარლამენტო დემოკრატიის პოლიტიკური სისტემა დამყარდა. პირდაპირი ლეგიტიმურობა ჩეხეთის რესპუბლიკის ორპალატიან პარლამენტს აქვს მინიჭებული, რომელიც დეპუტატთა პალატისა და სენატისგან შედგება. ჩეხეთის რესპუბლიკის დეპუტატთა პალატაში 200 წევრია, სენატში კი 81 წევრი. ორპალატიანი პარლამენტის მოდელი არასრულყოფილია, რადგან დეპუტატთა პალატის უფლებამოსილებები სენატისას აღემატება არა მხოლოდ საკანონმდებლო პროცესთან მიმართებაში, არამედ ასევე აღმასრულებელი შტოს (მთავრობა) გაკონტროლების საკითხში. მთავრობა მხოლოდ დეპუტატთა პალატის წინაშეა პასუხისმგებელი. სენატი ასევე შეზღუდულ როლს თამაშობს საკანონმდებლო პროცესში: მისი გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმებული იქნეს დეპუტატთა უბრალო უმრავლესობით. სენატორები ექვსწლიანი მანდატით არიან არჩეულნი როტაციის პრინციპით: სენატორების 1/3 ყოველ ორ წელიწადში ირჩევა.[313] სენატს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვა შეუძლია სახელმწიფო ღალატში პრეზიდენტის

313 სენატორები არჩეულნი არიან უნინომუნალურ ოლქებში ორტურიანი მაჟორიტარული სისტემით (მეორე ტურში რამდენიმე კანდიდატის წარდგენისას, არჩეული კანდიდატი შედარებითი უმრავლესობით იმარჯვებს). სენატის არჩევნებში მონაწილეობის პროცენტი მნიშვნელოვნად დაბალია დეპუტატთა პალატის არჩევნებთან შედარებით (2004 წელს ეს მონაწილეობა 28, 97%-ს შეადგენდა პირველ ტურში და მხოლოდ 18,47%-ს მეორე ტურში, რაც უფრო მეტად ზღუდავს სენატის როლს).

დადანაშაულების შემთხვევაში. ორივე პალატა გადაწყვეტილების მიმღები პალატაა და არა დებატის ძირითადი ადგილი; სენატორებისა და დეპუტატების საქმიანობის ბირთვს კომისიები წარმოადგენს. დეპუტატები და სენატორები ჯგუფებში ერთიანდებიან თავიანთი პოლიტიკური მომხრეობის მიხედვით.

ჩეხეთის რესპუბლიკაში აღმასრულებელი ხელისუფლება დუალისტური ფორმითაა ორგანიზებული. სახელმწიფოს მეთაური რესპუბლიკის პრეზიდენტია, მთავრობას კი პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტს პრემიერ-მინისტრისა და კაბინეტის მინისტრების დანიშვნისა და გადაყენების უფლება აქვს და ასევე პარლამენტის მიერ მიღებულ კანონპროექტებზე ვეტოს დადება შეუძლია, ფორმალურად იგი არაა ძალზე ძლიერი: პრეზიდენტის ვეტოსთვის გვერდის ავლა შესაძლებელია დეპუტატთა პალატის ყველა წევრის ხმების უმრავლესობით, მთავრობა კი ამ პალატის ნდობაზეა დამოკიდებული. მთავრობა აღმასრულებელ ხელისუფლებას აღასრულებს.

რესპუბლიკის პრეზიდენტი პარლამენტის საერთო შეკრებაზე ორივე პალატის მიერაა არჩეული. პირველ ტურში გამარჯვებისთვის დეპუტატებისა და სენატორების ხმების უბრალო უმრავლესობაა აუცილებელი. მეორე ტურში გადადის კანდიდატი, რომელიც ხმების ყველაზე დიდ რაოდენობას აგროვებს დეპუტატთა პალატაში და სენატორების ხმების ყველა დიდი რაოდენობა აქვს მოპოვებული. არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელსაც მიღებული აქვს მოქმედ დეპუტატთა და სენატორთა ხმების უბრალო უმრავლესობა. თუკი მეორე ტურში ვერ ხერხდება კანდიდატის არჩევა, თოთხმეტი დღის ვადაში მესამე ტური ინიშნება, რომელშიც კანდიდატი მოქმედი დეპუტატებისა და სენატორების ხმათა უმრავლესობითაა არჩეული. თუკი პრეზიდენტი მესამე ტურშიც არაა არჩეული, არჩევნები ხელახლა ინიშნება. არ არსებობს კონსტიტუციური საზღვრები არჩევნების რაოდენობასთან მიმართებაში.

1993 წლის 26 იანვარს პირველი საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა. ამ დროისთვის ერთადერთ საარჩევნო კორპუსს დეპუტატთა პალატა წარმოადგენდა (რომელიც ჩეხეთის ეროვნულ საბჭოდ გადაკეთდა); სენატი ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული. ვაცლავ ჰაველი პრეზიდენტად იქნა არჩეული. თავისი პირველი მანდატის პერიოდში, იგი ცდილობდა პრეზიდენტის როლის განსაზღვრას ჩეხეთის პოლიტიკურ სისტემაში. ჰაველის აქტიური პოლიტიკისკენ მიმართულმა ტენდენციამ და აზრთა სხვადასხვაობამ მთავრობაში მყოფ უმრავლესობის პარტიასთან მიმართებაში – ODS, – პოლიტიკურ დაძაბულობას შეუწყო ხელი. აღნიშნულმა სირთულეები გამოიწვია ჰაველის მეორე არჩევის დროს 1998 წელს და დაძაბული პოლიტიკური ატმოსფერო შექმნა. საბოლოოდ, 1998 წლის 21 იანვარს ვაცლავ ჰაველი პრეზიდენტად იქნა არჩეული მეორე ტურში მხოლოდ ერთი ხმის განსხვავებით. 1998-2002 წლებში ადგილი ჰქონდა რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილებების შეზღუდვის მცდლობებს: პრეზიდენტის პირდაპირი ჩარევისთვის ხელის შეშლა ჩეხეთის ეროვნული ბანკის მმართველისა და ადმინისტრაციული საბჭოს დანიშვნის საკითხში. თუმცა, ის კანონები, რომლებიც სოციალ-დემოკრატიულ პარტიასა (CSSD) და ODS-ს შორის თანამშრომლობის შედეგად იქნა მიღებული საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო და ისინი არასდროს შესულა ძალაში. ურთიერთობები პრეზიდენტსა და CSSD-ის მთავრობას შორის, ისევე როგორც ურთიერთობები პრეზიდენტსა და მთავარ ოპოზიციურ პარტიას შორის (ODS) დაძაბული დარჩა.

ჰაველის მეორე მანდატი 2003 წლის დასასრულს მიიწურა. ორი ტურის შემდეგ არავითარი გადადგილება არ მომხდარა და მესამე ტურში ერთმანეთს CSSD-ს მიერ დასახელებული დამოუკიდებელი კანდიდატი იან სოკოლი და ODS-ს კანდიდატი ვაცლავ კლაუსი დაუპირისპირდა, რომელმაც არჩევნებში გაიმარჯვა.

რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილებები სხვა სამარლამენტო დემოკრატიების ანალოგიურია. პრეზიდენტი ნიშნავს პრემიერ-მინისტრსა და მთავრობის სხვა წევრებს და ამ უკანასკნელთა თანამდებობიდან გადაყენების უფლება აქვს. პრეზიდენტს შეუძლია მთავრობის მოწვევა და მის დათხოვნაზე თანხმობის მიცემა. იგი იწვევს დეპუტატთა პალატას საგანგებო სესიის ჩასატარებლად და ასევე მისი დაშლაც შეუძლია. პრეზიდენტი ასახელებს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს და თანამდებობებზე ნიშნავს, როგორც უზენაესი სასამართლოს, ისე კონტროლის უმაღლესი ბიუროს თავჯდომარესა და ვიცე-თავჯდომარეს და ჩეხეთის ეროვნული ბანკის ადმინისტრაციული საბჭოს წევრებს. მას აქვს შეწყალების უფლება და კონსტიტუციური კანონების გამოკლებით, პარლამენტის მიერ მიღებული კანონის გადასინჯვის მოთხოვნა შეუძლია. სწორედ პრეზიდენტი წარადგენს სახელმწიფოს საზღვარგარეთ, იგი საერთაშორისო ხელშეკრულებების თაობაზე მოლაპარაკებებს აწარმოებს და მათ რატიფიკაციას ახდენს (პრაქტიკაში, ეს კომპეტენცია მთავრობას ან საკითხთან დაკავშირებულ მინისტრებს აქვს დელეგირებული). პრეზიდენტი შეიარაღებული ძალების მთავარსარდალია, იგი მოითხოვს არჩევნების ორგანიზებას და სხვ. პრეზიდენტის მრავალი უფლებამოსილება პრემიერ-მინისტრისა ან უფლებამოსილი მინისტრის ხელმოწერას მოითხოვს.

თუმცა, პრაქტიკაში, განსაკუთრებით კი ვაცლავ ჰაველის მანდატის პერიოდში, პრეზიდენტი სახელმწიფო მეთაურის როლის გაზრდას შეეცადა. ჰაველის ქარიზმამ და მისმა თავშეკავებულმა პოზიციამ მთავარი პარტიების მიმართ (ODS და CSSD) მთავრობასთან პოტენციური კონფლიქტის სივრცე გააფართოვა. განსხვავებული კუთხით, პრეზიდენტი ვაცლავ კლაუსი ასევე შეეცადა პრეზიდენტის ფუნქციის გაძლიერებას. ერთი მხრივ, პრე-

ზიდენტი ცდილობდა მთავრობისგან დამოუკიდებლად მოქმედებას საგარეო საქმეთა სფეროში (კერძოდ, აშკარად კრიტიკული პოზიციის დაკავებით ევროკავშირთან მიმართებაში), მეორე მხრივ კი, თავისი რეალური გავლენის გაზრდას შიდა პოლიტიკაში მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნით. ამავე დროს, პოლიტიკურ პარტიებთან მიმართებაში კლაუსი დამოუკიდებლად მოქმედებდა.

აღმასრულებელ შტოში გადამწყვეტ როლს მთავრობა ასრულებს, რომელიც პრემიერ-მინისტრის, მინისტრებისა და ვიცე-მინისტრებისგანაა შემდგარი. პრემიერ-მინისტრს პრეზიდენტი ასახელებს, ისევე როგორც მინისტრებს, პრემიერ-მინისტრის რეკომენდაციით. მთავრობა კოლექტიური კორპუსია, რომელიც გადაწყვეტილებებს ჯგუფურად იღებს, მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად და ტრადიციულად, პრემიერ-მინისტრის პოზიცია ჩეხეთის პოლიტიკაში შედარებით ძლიერია. იგი მთავრობის სახეს წარმოადგენს და მის ფუნდამენტურ ტრაექტორიას განასახიერებს. ახალმა მთავრობამ დეპუტატთა პალატის მხარდაჭერა უნდა მოიპოვოს თავისი ჩამოყალიბებიდან ოცდაათ დღეში. აღნიშნულის მიუღწეველობის შემთხვევაში, პრეზიდენტი ახალ პრემიერ-მინისტრს ასახელებს და პროცესი მეორდება. იმ შემთხვევაში, თუკი მეორე მთავრობა ნდობის კენჭისყრას წააგებს, პრეზიდენტი ახალ პრემიერ-მინისტრს დეპუტატთა პალატის თავმჯდომარის რეკომენდაციით ასახელებს. თუკი ეს მთავრობაც დეპუტატთა პალატის ნდობას ვერ მოიპოვებს, პრეზიდენტს ამ პალატის დაშლა შეუძლია. ამგვარი პირობები გამოიყენება მაშინაც, როდესაც დეპუტატთა პალატა უნდობლობის ვოტუმს იღებს მთავრობის მანდატის განმავლობაში. დეპუტატთა პალატასა და მის 50 წევრს შეუძლია უნდობლობის კენჭისყრის ჩატარება მთავრობის წინააღმდეგ. უნდობლობის გამოცხადებისთვის ამ პალატის ყველა წევრის უმრავლესობის არსებობაა აუცილებელი.

პოლიტიკური პარტიები, პარტიული სისტემა, საარჩევნო სისტემა და მათი გავლენა მთავრობის ფორმირებაზე

პოლიტიკური პარტიები გადამწყვეტ როლს ასრულებენ ჩეხეთის პოლიტიკურ ასპარეზზე. ჩეხეთის რესპუბლიკა შეიძლება პარტიების მიერ გაკონტროლებულ საპარლამენტო სისტემად იქნეს კლასიფიცირებული (სარტორის მიხედვით). დეპუტატთა პალატა პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპის თანახმადაა არჩეული ოთხი წლის ვადით. 1992-1998 წლებში პარლამენტში წარმომადგენლობის ბარიერი 5% იყო ერთი პარტიისთვის, 7% ორპარტიული კოალიციისთვის, 9% სამპარტიული კოალიციისთვის და 11% ოთხი ან მეტი პარტიისგან შემდგარი კოალიციისთვის. მანდატები ორი არჩევნების შედეგად გაიცემოდა, პირველი არჩევნები შედარებით დიდ რვა ოლქში ტარდებოდა, მეორე კი მთელი ქვეყნის მასშტაბით (ჰაგენბახ-ბიშოფის ფორმულა). 1998 წლიდან 2001 წლამდე ODS-სი და CSSD ზეწოლას ახხორციელებდნენ საარჩევნო რეფორმის გასატარებლად, რამაც შედეგების დისპროპორცია გაზარდა (35 საარჩევნო ოლქის გამოჯვნა მანდატების შეზღუდულ რაოდენობამდე ჰონდტის მოდიფიცირებული ფორმულის გამოყენებით) და ყველაზე დიდ პარტიებს შეუწყო ხელი. ამავე დროს, 2001 წელს ეს კანონი არაკონსტიტუციურად იქნა მიჩნეული საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ. 2002 წლისა და 2006 წლის არჩევნები ახალი საარჩევნო კანონით ჩატარდა, რომლის საფუძველზეც, თოთხმეტი საარჩევნო ოლქი შეიქმნა (ადმინისტრაციული რეგიონების იდენტური, რომელთა სიდიდე ხუთიდან ოცდახუთ მანდატამდე მერყეობს). ამოქმედებული იქნა ჰონდტის ფორმულა. გარდა ამისა, აღსანიშნავია დადგენილი ბარიერის პროცენტული მაჩვენებელი: 5% ერთი პარტიისთვის, 10% ორპარტიული კოალიციისთვის, 15% სამპარტიული კოალიციისთვის და 20% ოთხი ან მეტი პარტიისგან შემდგარი კოალიციისთვის.

1990 წელს პარლამენტში შესვლის ბარიერის არსებობას აშკარად შემზღუდველი შედეგი ჰქონდა წარმოდგენილი პოლიტიკური პარტიებისთვის. თუმცა, ჩეხეთის პარტიული სისტემის საკმაოდ სწრაფი სტრუქტურირებისა და სტაბილიზაციის წყალობით, საარჩევნო სისტემის მექანიზმების გავლენა არ იყო დიდად მნიშვნელოვანი.

ჩეხეთის ეროვნული საბჭოსა (1990 წ. და 1992 წ.) და დეპუტატთა პალატის (1996 წლიდან) არჩევნების შედეგები (%-ში) – მოგებული ხმების პროცენტული მაჩვენებელი

	1990 წ.	1992 წ.	1996 წ.	1998 წ.	2002 წ.	2006 წ.
OF	49,50	-	-	-	-	-
KSCMa	13,24	14,05	10,33	11,03	18,51	12,81
HSD-SMS	10,03	5,87	-	-	-	-
KDU-CSLb	8,42	6,28	8,08	9,00	14,27e	7,22
ODS	-	29,73e	29,62	27,74	24,47	35,38
CSSD	-	6,53	26,44	32,31	30,20	32,32
LSU	-	6,52	-	-	-	-
SPR-R?S	-	5,98	8,01	3,90	0,97f	-

ODA	-	5,93	6,36	-	-	-
OH	-	4,59	2,05d	-	–	-
US-(DEU)	-	-	-	8,60	14,27e	0,30
SZg	4,10		-	1,12	2,36	6,29
სხვები	14,71	14,52	9,11	6,30	9,22	5,68

წყარო : www.volby.cz.
a) 1990 წელი, KSC, 1992 წელი, მემარცხენე ბლოკი.
b) 1990 წელი, KDU.
c) KDS-თან კოალიციაში.
d) SD-LSNS.
e) US-DEU-სა და KDU-CSL-ს კოალიცია.
f) მიროსლავ სლადეკის რესპუბლიკელები
g) მწვანეებმა არჩევნებში მონაწილეობა LSU-თან ერთად მიიღეს.

OF სამოქალაქო ფორუმი; KSCM – ბოჰემიისა და მორავიის კომუნისტური პარტია ; HSD-SMS – მოძრაობა ავტონომიური დემოკრატიისთვის – საზოგადოება მორავიისა და სილეზიისთვის ; KDU-CSL – ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი – ჩეხეთის სახალხო პარტია; ODS – სამოქალაქო დემოკრატიული პარტია; CSSD – ჩეხეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია; LSU – სოციალ-ლიბერალური კავშირი; SPR-RSC – მოძრაობა რესპუბლიკისთვის – ჩეხეთის რესპუბლიკური პარტია ; ODA – სამოქალაქო დემოკრატიული ალიანსი ; OH – სამოქალაქო მოძრაობა ; US (-DEU) – თავისუფლებისთვის მებრძოლთა კავშირი – დემოკრატიული კავშირი; SZ – მწვანეთა პარტია ; KDS – ქრისტიან-დემოკრატიული პარტია ; SD-LSNS – თავისუფალი დემოკრატები – ლიბერალური ნაციონალ-სოციალური პარტია.

ჩეხეთის პარტიული სისტემის შემთხვევაში, არ აღინიშნება უწყვეტობის მაღალი დონე 1989 წლის შემდგომ სიტუაციასა და 1948 წლამდე ან 1938 წლამდე არსებულ სახელმწიფო საკითხებს შორის. ჩეხეთის დღევანდელი პარტიული სისტემის გენეზისის იდენტიფიცირება შესაძლებელია სამოქალაქო ფორუმსა (OF) და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურ პარტიას (KSC) შორის შეჯიბრში. 1991-1992 წლები გადამწყვეტია პარტიული სისტემის სტრუქტურის კონფიგურაციაში. აღნიშნულ დროს, ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური გახლეჩის ეტაპობრივ ზრდას, რომელსაც თან ახლდა ჩეხეთის მემარჯვენეობასა და მემარცხენეობაში ყველაზე მნიშვნელოვანი აქტორების თანდათანობითი კონსოლიდაცია. 1992 წლის არჩევნების დროს, პარტიები სხვადასხვა პოზიციებზე გადანაწილდნენ სოციალურ-ეკონომიკურ ღერძთან მიმართებაში: მარჯვენა ფლანგზე (ODA, ODS, KDS, KDU-CSL), მარცხენაზე კი (OH, HSD-SMS, LSU, CSSD, KSCM). 1992-1996 წლებში ეს განსხვავებები გაამძაფრა ლიბერალურ-კონსერვატიული პარტიის – ODS, კონსერვატიული პარტიისა – ODA და ქრისტიან-დემოკრატების – KDU-CSL – მემარჯვენე კოალიციამ მემარცხენე ან ცენტრისტულ-მემარცხენე ოპოზიციასთან დაპირისპირებით. არარეფორმირებული კომუნისტური პარტიის მიღმა – KSCM (ბოჰემიისა და მორავიის კომუნისტური პარტია), რომელიც განდევნილი იქნა პოლიტიკური ასპარეზიდან არაფორმალური შეთანხმებით, მემარცხენეობის სივრცე სისტემის მომხრე ჩეხეთის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ (CSSD) დაიკავა. ეს პარტია პირველ პლანზე აღმოჩნდა 1996 წლის დეპუტატთა პალატის არჩევნების დროს.

1996 წლის არჩევნებმა აჩვენა მნიშვნელოვანი პოლიტიკური პარტიების ერთობლიობის კლასიფიკაცია და სქემატიზაცია. პარლამენტში წარმოდგენილ აქტორთა რაოდენობა ექვსამდე შემცირდა. საარჩევნო კამპანიაში აშკარად დომინირებდა ეკონომიკური საკითხები და შეჯიბრი მემარჯვენე და მემარცხენე ღერძს შორის. არჩევნები ჩიხში მოექცა, რადგან კოალიციური მთავრობის ყოფილმა პარტიებმა მხოლოდ 99 მანდატი მოიპოვეს, ხოლო კოალიციის შექმნის პოტენციის არმქონე პარტიებმა (KSCM, SPR-RSC), მთლიანობაში 40 ადგილი მიიღეს.

ამავე დროს, 1996-1998 წლების მახასიათებელს მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური გახლეჩა წარმოადგენდა, რომელმაც პარტიებს შორის შეჯიბრის ფორმა ჩამოაყალიბა. ამგვარი გახლეჩა ელექტორატის მიერ სულ უფრო მეტად აღიქმებოდა საკუთარი სააარჩევნო არჩევანის იდენტიფიკაციის მნიშვნელოვან ელემენტად. 1998 წლის არჩევნების შემდეგ, ქარიზმატული ლიდერების არსებობას, რაც სასიცოცხლო იყო პარტიების შექმნისა და მათი პოლიტიკური წინსვლის დროს, აღარ ჰქონდა ფუნდამენტური მნიშვნელობა ჩეხეთის არც ერთი გავლენიანი პოლიტიკური პარტიისთვის. პარტიები შედარებით კარგად შემუშავებული პოლიტიკური პროგრამებით იყვნენ შეიარაღებულნი, რომელიც მათ აშკარა განსხვავების გაკეთების შესაძლებლობას აძლევდა იდეოლოგიური თვალსაზრისით.

1998 წლის ვადამდელი არჩევნების შემდეგ, პარლამენტის ჩიხის გარშემო შექმნილი რთული სიტუაცია მორიგებით დასრულდა CSSD-სა და ODS-ს შორის, რომელმაც სიცოცხლისუნარიანი პოლიტიკური გარემოს შექმნის შეთანხმება განსაზღვრა ჩეხეთის რესპუბლიკაში, „ოპოზიციის შეთანხმება". აღნიშნული შეთანხმებით დადგენილი იქნა წესები ორ პარტიას შორის ურთიერთობებთან დაკავშირებით და შესაძლებელი გახდა CSSD-გან შემდგარი უმცირესობის მთავრობის ფორმირება. თუმცა, ოპოზიციის შეთანხმება ფუნდამენტურად შეეხო პარ-

ტიებს შორის შეჯიბრის ხასიათს 1998-2002 წლებში. 1998 წლის ნოემბრის სენატის არჩევნების დროს, რამდენიმე უფრო პატარა პარტია – US (თავისუფლებისთვის მებრძოლთა პარტია), რომელიც ODS-ს (სამოქალაქო დემოკრატიული ალიანსი) გამოეყო 1997-1998 წლებში, KDU-CSL (ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი – ჩეხეთის სახალხო პარტია), ODA (სამოქალაქო დემოკრატიული ალიანსი) და DEU (დემოკრატიული კავშირი (არასაპარლამენტო პარტია)) – ოთხპარტიული კოალიციის ჩამოსაყალიბებლად გაერთიანდა. აღნიშნულმა კოალიციამ შეძლო ერთდროულად კონკურენცია გაეწია, როგორც CSSD-თვის, ისე ODS-თვის კონკურენტუნარიანი პროგრამის შემუშავებითა და ამომრჩეველთა მხარდაჭერის კონსოლიდაციით. ამავე დროს, მიუხედავად იმისა, რომ ოთხპარტიული კოალიცია აქცენტს აკეთებდა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ევროპული ინტეგრაცია და ახალი პოლიტიკური სტილის დამკვიდრება ქვეყანაში, მან ვერ შეძლო საკმარისი ამომრჩევლების მოზიდვა. გარდა ამისა, 2002 წლის არჩევნებამდე, ეს პარტიები შიდა დაპირისპირების წინაშე აღმოჩნდნენ, რამაც ODA-ს ჩამოშორება და US-სა და DEU-ს შერწყმა გამოიწვია.

2002 წელს CSSD-მ (ჩეხეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია) ODS-ს გაუსწრო, მაშინ როდესაც KSCM-ს (ბოჰემიისა და მორავიის კომუნისტური პარტია) და US-DEU და KDU-CSL-ის მიერ ჩამოყალიბებულ კოალიციას ასევე ჰქონდა ადგილები პარლამენტში. მმართველი კოალიცია წარმოადგენილი იყო ვლადიმირ სპიდლას (CSSD) ხელმძღვანელობითა და არჩევნებში გამარჯვებული ორი პარტიის კოალიციით. US-DEU-ს მონაწილეობამ CSSD-ს მთავრობაში 2002 წლის არჩევნების შემდეგ US-DEU-ს შიგნით კრიზისი გამოიწვია, რომელიც 2004 წელს ევროპული პარლამენტის არჩევნებსა და 2006 წელს საპარლამენტო არჩევნებში დამარცხდა. ამ პარტიამ ტოტალური მარგინალიზაცია განიცადა. ევროპული პარლამენტის არჩევნების შედეგები ჩეხეთის მემარჯვენე ფლანგისთვის უფრო მომგებიანი იყო. ODS-მა ხმების 30% მოიპოვა, KDU-CSL-მა თავისი ჩვეულებრივი კვორუმი (9,6%) მიიღო, KSCM-ი კი ასევე კარგ პოზიციაში აღმოჩნდა (20,3%). გარდა ამისა, CSSD-მ სრული კრახი განიცადა (8,8%), რასაც ვლადიმირ სპიდლას გადადგომა მოჰყვა. იგი თანამდებობაზე ახალგაზრდა პოპულარულმა პოლიტიკოსმა, სტანისლავ გროსმა შეცვალა. 2005 წლის დასაწყისში, გროსის პოზიცია საკუთარი ბინის გაურკვეველმა დაფინანსებამ და მეუღლის საეჭვო საქმიანობაში ჩართვამ შეარყია. საქმე სამთავრობო კრიზისში გადაიზარდა, რომელსაც პრემიერ-მინისტრის პოსტზე გროსის ირჟი პარუბეკით შენაცვლება მოჰყვა. ამ უკანსკნელმა თავისი კაბინეტის საქმიანობა მოქმედი სამთავრობო კოალიციის პოლიტიკურ კონფიგურაციაში გააგრძელა, მაგრამ KSCM-თან უფრო მჭიდრო თანამშრომლობა დაიწყო საპარლამენტო ასპარეზზე.

კამპანია, რომელიც წინ უძღოდა 2006 წლის არჩევნებს, ექსტრაორდინალური იყო. ერთი მხრივ, ის პროფესიულად მიმდინარეობდა პოლიტიკური მარკეტინგის ელემენტების წარმატებული გამოყენებით; მეორე მხრივ, მან ხაზი გაუსვა ჩეხეთის საზოგადოებრივი აზრის ბიპოლარიზაციას. კამპანიის მსვლელობისას დუელი გაჩაღდა ორ ყველაზე ძლიერ პოლიტიკურ პარტიას შორის, CSSD მემარცხენე ფლანგზე და ODS-ი მემარჯვენე ფლანგზე, რაც შედეგებზეც აისახა. ორივე პარტიამ თავიანთი საარჩევნო კვორუმი გაზარდა და როგორც ყოველთვის, KSCM-მა და KDU-CSL-მა ადგილები მოიპოვეს პარლამენტში. პირველად, მწვანეებს პარლამენტში შესვლის უფლება მიეცათ – ჩეხეთის ელექტორატის გარკვეული ნაწილის პოსტმატერიალისტური ღირებულებების მხედველობაში მიღებით. თუმცა, ამ შედეგმა ჩიხში შესვლა გამოიწვია: მემარცხენეებმა (CSSD და KSCM) და „არამემარცხენეებმა“ (მწვანეებთან ერთად) შესაბამისად, 200-დან 100 ადგილი დაიკავეს დეპუტატთა პალატაში.

ჩეხეთის პარტიული სისტემა თავისი ხუთი მნიშვნელოვანი პარტიით შეზღუდული პლურალიზმის აღწერილობას შეესატყვისება. თუმცა, ამ პარტიულ სისტემაში აღინიშნება ერთი მნიშვნელოვანი პარტიის, ბოჰემიისა და მორავიის კომუნისტური პარტიის გარიყვა სხვა პარტიებს შორის მოლაპარაკებებში მონაწილეობასთან მიმართებაში. მრავალი თვალსაზრისით, ეს პარტია ანტისისტემური წარმონაქმნია. ასევე დიდია იდეოლოგიური დისტანცია ODS-სა და CSSD-ს მთავარ პოლუსებს შორის, რომელიც დაახლოების არავითარ ნიშანს არ იძლევა. ჩეხეთის შემთხვევა ფაქტობრივად არ შეესატყვისება პოლარიზებული პლურალიზმის მოდელს, იმ პერიოდშიც კი, როდესაც პარლამენტში ადგილები დაკავებული ჰქონდა მემარჯვენე (SPR-RSC) და მემარცხენე (KSCM) ორ ანტისისტემურ პარტიას, აღნიშნულს ადგილი არ ჰქონია. მართლაც, ამ პარტიებს არ შეეძლოთ ჰეგემონიის დამყარება პოლიტიკური ოპოზიციის შიგნით. შეიძლება ითქვას, რომ ჩეხეთის პარტიული სისტემა წარმოადგენს რამდენიმე სიცოცხლისუნარიან ფორმულას სამთავრობო კოალიციების შესაქმნელად პოლიტიკური პარტიების ერთობლიობაზე დაყრდნობით. ამავე დროს, ცენტრალური ევროპის სისტემათა უმრავლესობასთან შედარებით, ეს სისტემა შედარებით კონსოლიდირებულია და ამ უკანასკნელის აქტორები მისი განვითარების მოსამზადებელი ეტაპების განმავლობაში ჩამოყალიბდნენ.

ჩეხეთის რესპუბლიკის ხანმოკლე ისტორიის მანძილზე სხვადასხვა ტიპის მთავრობა არსებობდა. ქვემოთ მოყვანილი ცხრილა ამის საერთო სურათს გვიჩვენებს.

ჩეხეთის რესპუბლიკის მთავრობები, 1992-2006 წწ.

მანდატის პერიოდი	პრემიერ-მინისტრი	პოლიტიკური შემადგენლობა	მხარდაჭერა დეპუტატთა პალატისთვის	მთავრობის ტიპი
2.07.1992 წ.-4.07.1996 წ.	ვაცლავ კლაუსი (ODS)	ODS, KDU-CSL, ODA, KSD	105	კოალიცია მინიმალური გამარჯვებით
4.07.1996 წ.-2.01.1998 წ.	ვაცლავ კლაუსი (ODS)	ODS,KDU-ODA დამოუკიდებლები	99 (100 1997 წლის მარტიდან)	CSSD-ს თანხმობით უმცირესობის კოალიცია
2.01.1998 წ.-22.07.1998 წ.	იოზეფ ტოსოვსკი (დამოუკიდებელი)	CSSD	61	ნახევრად პოლიტიკური უმცირესობის მთავრობა, დროის შეზღუდული მანდატით, CSSD-ს თანხმობით
22.07.1998 წ.-15.07.2002 წ.	მილოშ ზემანი (CSSD)	CSSD, KDU-CSL, US-DEU	74	ODS-ის თანხმობით უმცირესობის მთავრობა
15.07.2002 წ.-4.08.2004 წ.	ვლადიმირ სპიდლა (CSSD)	CSSD, KDU-CSL, US-DEU	101	კოალიცია მინიმალური გამარჯვებით
4.08.2004-25.04.2005 წ.	სტანისლავ გროსი (CSSD)	CSSD, KDU-CSL, US-DEU	101	კოალიცია მინიმალური გამარჯვებით
25.04.2005 წ.-16.08.2006 წ.	ირჟი პარუბეკი (CSSD)	CSSD, KDU-CSL, US-DEU	101	კოალიცია მინიმალური გამარჯვებით
16.08.2006 წ.-4.10.2006 წ.	მირეკ ტოპოლანეკი (ODS)	ODS	81	უმცირესობის მთავრობა

წყარო: www.vlada.cz; www.psp.cz.
მთავრობაში მყოფი პარტიების წევრთა რაოდენობა

ჩეხოსლოვაკიის არსებობის პერიოდში არჩეული ვაცლავ კლასუსის პირველი მთავრობა მემარჯვენე პარტიებისა (ODS, ODA) და ცენტრისტულ-მემარჯვენე პარტიისგან (KDU-CSL) შემდგარ მცირე კოალიციას წარმოადგენდა. აღნიშნულმა მთავრობამ მრავალი ფუნდამენტური ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური რეფორმა ამოქმედა. ამ სამი პოლიტიკური პარტიისგან შემდგარი მთავრობა ხელისუფლებაში 1996 წლის არჩევნების შემდეგაც დარჩა, მაგრამ მხოლოდ CSSD-ს თანხმობით, როგორც უმცირესობის მთავრობა. მართლაც, არ არსებობდა არავითარი შესაძლებელი კომბინაცია, რადგან კოალიციების ალტერნატიული სცენარები ანტისისტემური პარტიებით იყო შეზღუდული – KSCM, SPR-RSC. ამავე დროს, კლაუსის მეორე მთავრობა უფრო სუსტი იყო და ნაკლებად მოქმედი. ამ მთავრობის სტაბილურობას ნეგატიურად შეეხო კონფლიქტები ერთი მხრივ, ODS-სა და მეორე მხრივ, მის უფრო პატარა პარტნიორებს შორის. მთავრობის დაშლა ODS-ში არსებულმა შიდა კრიზისმა გამოიწვია, რომელიც პრობლემატური დაფინანსებების გამო გაჩაღდა. აღნიშნულის კულმინაცია გახდა US-ის გაყოფა 1997 წლის დასასრულსა და 1998 წლის დასაწყისში. შემდეგ, როდესაც ODS-მა და CSSD-მ სიტუაციის განმუხტვა გადაწყვიტეს ვადამდელი არჩევნებით, ეროვნული ბანკის მმართველს იოზეფ ტოსოვსკის მთავრობის ხელმძღვანელობა დაეკისრა ახალი არჩევნების ჩატარებამდე. ამ მთავრობაში შედიოდნენ US, KDU-CSL, ODA და დამოუკიდებლები. ტოსოვსკის მთავრობის მანდატი ყოველთვის შუალედურად განიხილებოდა. CSSD-მ მთავრობას მხარი დაუჭირა მხოლოდ მას შემდეგ, რაც დარწმუნდა, რომ არჩევნები 1998 წლის ივნისში ჩატარდებოდა.

1998 წლის არჩევნებმა სხვა უმცირესობის მთავრობა მოიყვანა. ამჯერად, ის მხოლოდ ერთი პარტიის, CSSD-გან შედგებოდა, რომელსაც სათავეში მილოშ ზემანი ედგა. იგი ამ პოსტზე CSSD-სა და ODS-ს შორის „ოპოზიციის შეთანხმების" წყალობით დაინიშნა. მიუხედავად იმ წინადადებების მიუღებლობისა, რომლის სა-

ფუძველზეც ეს უხერხული თანამშრომლობა ჩამოყალიბდა, ზემანის მთავრობა თავის ფუნქციას დადგენილი პერიოდის განმავლობაში ასრულებდა. 2004 წლის არჩევნების შემდეგ, ჩეხეთის სამთავრობო მოდელი ხელახლა გახდა მინიმალური გამარჯვებით მოსული მცირე კოალიციის მოდელი, რომელიც CSSD-სა და ცენტრისტულ-მემარჯვენე პარტიის, US-DEU-სა და KDU-CSL-გან იყო შემდგარი. მიუხედავად მთავრობის მთავარი პარტიის შიდა პრობლემებისა (პრემიერ-მინისტრისა და პარტიის თავჯდომარის ორჯერ შეცვლა ერთი საარჩევნო მანდატის განმავლობაში) და US-DEU-ს უკუსვლისა, კოალიციამ თავისი მანდატი 2006 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე აღასრულა.

ამ არჩევნების შემდეგ, ODS-ის, KDU-CSL-ისა და მწვანეების მიერ შემოთავაზებულმა კოალიციამ უმრავლესობა ვერ მოიპოვა. პრეზიდენტმა პრემიერ-მინისტრად მირეკ ტოპოლანეკი (ODS) დაასახელა 16 აგვისტოს და მას მთავრობის ფორმირება დაავალა. ტოპოლანეკმა თავისი კაბინეტი 9 სექტემბერს წარმოადგინა. თუმცა, 2006 წლის 2 ოქტომბერს მთავრობამ ვერ შეძლო დეპუტატთა პალატის ნდობის მოპოვება.

ხელისუფლების დეცენტრალიზაცია ჩეხეთის რესპუბლიკაში

მიუხედავად იმისა, რომ 1938 წლამდე ჩეხეთი დეცენტრალიზებული სახელმწიფო ადმინისტრაციისა და რეგიონალური ავტონომიის ტრადიციას წარმოადგენდა, მოქმედი კონსტიტუციის თანახმად, ჩეხეთის რესპუბლიკა უნიტარული სახელმწიფოა. დეცენტრალიზაცია დიდი ხნის მანძილზე უთანხმოების მნიშვნელოვან თემას წარმოადგენდა. ავტონომიის რეგიონალური დონეები (*kraje*, ან რეგიონები) მხოლოდ 2002 წლის 1 იანვარს შეიქმნა, ხოლო პირველი რეგიონალური ასამბლეების არჩევნები 2000 წლის ნოემბერში ჩატარდა. ჩეხეთში 14 რეგიონია, რომელთა შორისაა ქვეყნის დედაქალაქი პრაღა. რეგიონალური პარლამენტების გარდა, ასევე არსებობს რეგიონალური მთავრობა (*rada*, ან საბჭო), რომელსაც რეგიონალური ასამბლეის მიერ არჩეული თავჯდომარე (*hejtman*) ხელმძღვანელობს. რეგიონები გარკვეული უფლებამოსილებებით სარგებლობენ განსაკუთრებით კი, განათლების, ჯანდაცვისა და ადგილობრივი განვითარების სფეროში. რეგიონებს ასევე შეუძლიათ კანონპროექტების ინიცირება დეპუტატთა პალატაში და საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვა. მიუხედავად იმისა, რომ ჩეხეთის რესპუბლიკა უნიტარულ სახელმწიფოდ რჩება, ამ რეგიონებს პოლიტიკური ძალაუფლების დეცენტრალიზაციის შესაძლებლობა აქვთ. გარკვეულ სფეროებში (განსაკუთრებით სახალხო ჯანდაცვის სფეროში), ეს რეგიონები მოქმედებენ როგორც ცენტარლური აღმასრულებელი ხელისუფლების საპირწონეები.

რეგიონალური პარლამენტების არჩევნები დეპუტატთა პალატის ანალოგიური პრინციპების მიხედვითაა ორგანიზებული. ასევე, რეგიონალური პოლიტიკა პოლიტიკური პარტიებითაა დომინირებული. რეგიონალურ არჩევნებში მონაწილეობის პროეცენტული მაჩვენებელი უფრო დაბალია, ისევე როგორც ადგილობრივ არჩევნებში. 2000 წლისა და 2004 წლის არჩევნებში მემარჯვენე პარტიებმა გაიმარჯვეს. 2006 წლის ზაფხულში რეგიონალური მთავრობების ყველა თავჯდომარე (*hejtmens)* ODS-ის (12 და პრაღის მერი) ან KDU-CSL-ის წევრი იყო. სამთავრობო კოალიციების შემადგენლობა რეგიონებში ბევრად მრავალფეროვანია თუმცა, ხუთ რეგიონში დიდი კოალიციები არსებობს.

მთავრობის უფლებამოსილებების ზღვარი ჩეხეთის რესპუბლიკის პოლიტიკურ სისტემაში

საკონსტიტუციო სასამართლოს როლს მთავრობის მუშაობის მკაცრ კონსტიტუციურ ჩარჩოში მოქცევა წარმოადგენს. ამ სასამართლოს შემადგენლობაშია 15 მოსამართლე, რომელთაც პრეზიდენტი სენატთან თანხმობით ნიშნავს ათწლიანი მანდატით. საკონსტიტუციო სასამართლო ადგენს კანონების კონსტიტუციურობასა და სხვა ლეგალურ რეგულაციებს, წყვეტს გარკვეულ იურისდიქციულ დავებს რეგიონების თვითმმართველობის ერთეულებსა და სახელმწიფოს შორის, იღებს ადამიანის უფლებების დარღვევასთან დაკავშირებულ საჩივრებს და სხვ. ამ სასამართლომ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩეხეთის პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებაში: მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება იყო CSSD-სა და ODS-ს მიერ ინიცირებული 2002 წლის საარჩევნო კანონის გაუქმება. 2003 წელს შექმნილი უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლო ხელისუფლების აღსრულების კონტროლის მეორე ძირითადი ელემენტი გახდა. ეს სასამართლო იურისდიქციასთან დაკავშირებულ საჯარო განხილვებს აკონტროლებს. ომბუცმენის მუშაობა ასევე აქტიურია ადამიანის უფლებებისა და პოლიტიკური უფლებების დაცვაში.

პირდაპირ დემოკრატიას ძალზე უმნიშვნელო ტრადიცია აქვს ჩეხეთის პოლიტიკურ სისტემაში. ნაციონალურ დონეზე მხოლოდ ერთი რეფერენდუმი იქნა ჩატარებული ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. ამისათვის კონსტიტუციაში სპეციალური მუხლი იქნა შეტანილი, რომელიც რესპუბლიკის პრეზიდენტს რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნის უფლებას აძლევდა. აღნიშნულის განსახორციელებლად სპეციალური იურიდიული ჩარჩოები იქნა დადგენილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩეხეთის პოლიტიკური სისტემა ვერ განავითარებს პირდაპირი დემოკრატიის ფორმებს.

თავის ეკონომიკურ და სოციალურ პოლიტიკაში მთავრობას ძლიერი საპირწონე ჰყავს პროფკავშირებისა (მათი უმრავლესობა ჩეხეთისა და მორავიის პროფკავშირების გაერთიანებების კონფედერაციაშია გაერთიანებული) და ბიზნესმენთა ჯგუფების სახით. სამწევრიანი მექანიზმი, მთავრობა – მეწარმეთა გაერთიანებები – პროფკავშირები, ჩეხოსლოვაკიის ფედერაციული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში იქნა ჩამოყალიბებული. თუმცა, ამ მექანიზმების როლი შეიცვალა: 1992-1998 წლების მემარჯვენე მთავრობების დროს, ისინი სუსტი იყო, 1998 წლიდან კი გაძლიერდა. სამწევრიანი მექანიზმის კარგმა ფუნქციონირებამ ამ სექტორებში კონფლიქტების შერბილებას შეუწყო ხელი და ამგვარად, ჩეხეთის რესპუბლიკაში დიდი გაფიცვების თავიდან აცილება გახადა შესაძლებელი.

პროფკავშირების, მეწარმეთა გაერთიანებებისა და პროფესიული პალატების გარდა, ასევე არსებობს სამოქალაქო საზოგადოების სხვა განვითარებული ინსტიტუტების გარკვეული რაოდენობა. კერძოდ, ეკოლოგთა ორანიზაციები პერიოდულად ჩნდებიან პოლიტიკურ ასპარეზზე, ისევე როგორც ძველი რეჟიმის დროს დევნილ ადამიანთა და ჰომოსექსუალთა უფლებების დამცველი ორგანიზაციები.

1999 წლის მიწურულსა და 2000 წლის დასაწყისში მოულოდნელი პოლიტიკური აქტიურობა აღინიშნა ე. წ. „ტელევიზიის კრიზისის" დროს, რომელიც გამოწვეული იყო ინტელექტუალთა გარკვეული უკმაყოფილებით ჩეხეთის საზოგადოებრივი სატელევიზიო არხის პერსონალის რესტრუქტურაციით. 1999 წლის ივლისში ჩეხეთის დამოუკიდებელ ინტელექტუალთა ჯგუფმა – *Impuls 99* – ჩეხეთის პოლიტიკა და ეკონომიკა გააკრიტიკა. 1989 წლის 17 ნოემბრის „ხავერდოვანი რევოლუციის" მეათე წლისთავის აღნიშვნის დროს სტუდენტური მოძრაობის ყოფილმა ლიდერებმა ამგვარი მოწოდება გამოაქვეყნეს : *„Děkujeme, odejděte!"* (გმადლობთ, ახლა კი ნახვამდის!). ეს მაღალფარდოვანი და მგზნებარე ტექსტი ჩეხეთის რესპუბლიკაში არსებულ ატმოსფეროს აღწერს, „პოლიტიკური ძალაუფლების ქედმაღლობით" შექმნილ მორალურ და პოლიტიკურ კრიზისს. მთავარ პოლიტიკურ პარტიებს ასევე გადადგომისკენ მოუწოდებდნენ. ამავე დროს, ჩეხეთის პოლიტიკისა და საზოგადოების ამგვარი კრიტიკა ძალზე გადაჭარბებული იყო და ორივე მოძრაობა სწრაფად მიეცა პოლიტიკურ მივიწყებას.

ჩეხეთის პოლიტიკის მნიშვნელოვანი ამოცანები

ჩეხეთის პოლიტიკური ასპარეზისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური პრობლემები მოიცავს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევის წესს, სენატის მნიშვნელობასა და როლს და დეპუტატთა პალატის საარჩევნო სისტემას.

პირველ ყოვლისა, პრეზიდენტის პირდაპირი საყოველთაო არჩევნების გზით არჩევის საკითხი 2003 წლის საპრეზიდენტო არჩევნების კონტექსტში იქნა წამოყენებული. ზოგადად, ჩეხეთის პოლიტიკური პარტიები (ODS-ის გამოკლებით) ამ იდეას ემხრობიან. ოთხპარტიულმა კოალიციამ დიდი მხარდაჭერა გამოთქვა აღნიშნული პოზიციის მიმართ და ის 2002 წლის თავის საარჩევნო დღის წესრიგში ჩართო. კლაუსის არჩევის შემდეგ, ამ თემასთან დაკავშირებული დებატი ჩაცხრა. საზოგადოებრივი აზრი ემხრობა პრეზიდენტის პირდაპირ არჩევას. თუმცა, პოლიტიკური პარტიების პოზიცია პრეზიდენტის უფლებამოსილებების მიმართ ნაკლებად სავარაუდოს ხდის მისი არჩევის ფორმაში ცვლილების შეტანას, რაც ჩეხეთის რესპუბლიკას ნახევრად საპრეზიდენტო მოდელთან დაახლოებდა.

სენატის საჭიროებასთან და როლთან დაკავშირებული დისკუსია ასევე სტაგნაციაშია. ეს ინსტიტუტი მხოლოდ 1996 წლის ნოემბერში იქნა ჩამოყალიბებული და გარკვეული პოლიტიკური პარტიები (მათ შორის CSSD) სენატის არსებობის აუცილებლობას ეჭვქვეშ აყენებს. აღნიშნულს დღეს აღარ აქვს ადგილი, მაგრამ სენატის ძალაუფლების შედარებითი ნაკლებობა და მიზანშეწონილობა სენატორთა არჩევნების დაბალ მონაწილეობაში აისახება, რასაც მოწმობს პოლიტიკური ელიტების ნაკლები ინტერესი სენატორის ფუნქციის მიმართ. აღნიშნული სენატის პოზიციას უფრო ართულებს ჩეხეთის პოლიტიკური სისტემის დონეზე. ამავე დროს, დღემდე არ იქნა შემოთავაზებული ამ ინსტიტუტის არც ერთი გონივრული რედეფინიცია.

დაბოლოს, დეპუტატთა პალატისთვის აუცილებელი საარჩევნო ტიპის გარშემო დებატი ფუნდამენტურად წარმოიჩნდება. მთავრობების ფორმირების რთული პროცესი 1996 წლის, 1998 წლის, 2002 წლისა და 2006 წლის არჩევნების შემდეგ, პერიოდულად დღის წესრიგში აყენებდა ცვლილებების შემოტანის მოთხოვნას სისტემის შიგნით საარჩევნო სისტემის მოდიფიკაციასა ან პროპორციული წარმომადგენლობის მაჟორიტარული სისტემით შეცვლასთან მიმართებაში (რაც აშკარად მოითხოვდა კონსტიტუციის შეცვლას). 2006 წლის ჩიხის შემდეგ, დისკუსიები გაიმართა დეპუტატთა რაოდენობის შემცირებასთან დაკავშირებით. თუმცა, აუცილებელია საკმარისი პოლიტიკური მხარაჭერის მოპოვება, რაც დე ფაქტო შეუძლებელია ორი მთავარი პოლიტიკური პარტიის თანხმობის გარეშე. ხანგრძლივი დროის მანძილზე ამ პარტიებს შორის არსებული განსხვავებები ნაკლებად სავარაუდოს ხდის ამგვარ შეთანხმებას (ODS მაჟორიტარულ სისტემას უჭერს მხარს,CSSD კი პროპორციული წარმომადგენლობის სისტემას).

სხვა სოციალური და პოლიტიკური თემები, რომლებიც საჯარო დისკურსში დომინირებს შემდეგია: საპენსიო სისტემის რეფორმა, შრომის კანონი, სამოქალაქო საზოგადოების როლი საჯარო პროცესში და სხვ.

ჩეხეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნიდან ცამეტ წელზე მეტი ხნის შემდეგ, მისი პოლიტიკური სისტემა შეიძლება კონსოლიდირებულ სისტემად იქნეს განსაზღვრული. ბუნებრივია, კიდევ რჩება სადავო საკითხები, რომლებიც პოსტკომუნისტური პოლიტიკის სპეციფიკურ შედეგს არ წარმოადგენს, ეს უფრო მეტად ის საკითხებია, რომელებიც განვითარებული დემოკრატიების მიერაა მოსაგვარებელი: პოლიტიკური მონაწილეობის სხვადასხვა ტრადიციული ფორმების უკუსვლა, პოლიტიკის პერსონალიზაცია, ქალების წარმომადგენლობა, ევროპული ინტეგრაციის პროცესი და ზოგადად, ჩეხების ევროპეიზაცია.

ბიბლიოგრაფია

BELINA P., CORNEJ J., *Histoire des pays tchèques*, Seuil, Paris, 1995.

DEEGAN-KRAUSE Kevin, Elected Affinities : Democracy And Party Competition In Slovakia And The Czech Republic, Stanford University Press, Palo Alto, 2006.

FAWN Rick, *Czech Republic : A Nation of Velvet*, Routledge, Londre et New York 2000.

HAERPFER C., Democracy and Enlargement in Post-Communist Europe : The Democratisation of the General Public in 15 Central and Eastern European Countries, 1991-1998, Routledge, Londre et New York, 2002.

ILINER M., „Thirteen years of reforming sub-national government in the Czech Republic", dans N. Kersting and A. Vetter (eds.), *Reforming Local Government in Europe*, Leske +Budrych, Opladen, 2003, pp. 261-282.

KOPECKY Petr, Parliaments in the Czech and Slovak Republics : Party Competition and Parliamentary Institutionalization, Ashgate, Aldershot, 2001.

KOSTELECKY T., *Political Parties after Communism : Developments in East-Central Europe*, Woodrow Wilson Center Press, Washington, 2002.

MANSFELDOVÁ Z., „The Czech Republic" dans S. Berglund, J. Ekman and F. H. Aarebrot (eds.), *The Handbook of Political Change in Eastern Europe*, 2e éd., Edward Elgar, 2004, Cheltenham, Northampton, pp. 223-252.

MÜLLER Rommel F. : „Czech Republic" dans J. Blodel and F. Müller-Rommel (eds.), *Cabinets in Eastern Europe*, Palgrave, Basingstoke, 2001, pp. 62-72.

DE WAELE, J.-M. *L'émergence des partis politiques en Europe centrale (Histoire, économie, société)*, Editions de l'Université libre de Bruxelles, Bruxelles, 1999.

სარჩევი

ავტორების სია 5

შესავალი 7

თავი I ავსტრია 11

აღმასრულებელი ხელისუფლება 13

პარლამენტი 15

არჩევნები, პარტიები და საარჩევნო სისტემა 18

სასამართლო სისტემა და საპირწონეების სისტემა 21

ფედერალიზმი 23

პოლიტიკისა და საგარეო და შიდა პოლიტიკის მნიშვნელოვანი ამოცანები 25

თავი II ბელგია 27

შესავალი 27

ბელგიის პოლიტიკური რეჟიმის ისტორიული ევოლუცია 27

1830 წლიდან 1890 წლამდე: ელიტისტური პარლამენტარიზმის 60 წელი 27

1890-1940 წწ.: კამათი ბელგიის საპარლამენტო რეჟიმის გარშემო 29

1945-1970 წწ.: პარტიების პროგრესირებადი დომინანტობის ქვეშ არსებული პოლიტიკური რეჟიმი 31

ბელგიის პოლიტიკური რეჟიმი XX საუკუნისა და XXI საუკუნის გასაყარზე 31

პარტიული სისტემა 33

ფედერაციის საკითხი და დაძაბულობა ფრანკოფონებსა და ფლამანდიელებს შორის 37

მთავრობა და პარლამენტი პერსონალიზაციის მარწუხებში 38

დასკვნა 40

თავი III ბულგარეთი 41

საპარლამენტო რესპუბლიკა ნახევრად საპრეზიდენტო რეჟიმით 42

ცენტრალური ხელისუფლება და ადგილობრივი ხელისუფლება 45

პოლიტიკური პარტიები და არჩევნები 46

ხელისუფლებათა ბალანსი: კონსტიტუციური კონტროლი და პირდაპირი დემოკრატია 51

თავი IV გაერთიანებული სამეფო 55

პოლიტიკური პარტიების დინამიკა 56

პარლამენტი 57

ზედა პალატა 59

არსებობს თუ არა კაბინეტი? 59

პრემიერ-მინისტრები 60

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები 61

დეცენტრალიზაცია 62

ვაითჰოლი 63

საზოგადოებრივი წესრიგი 65

დასკვნა 66

თავი V გერმანია: მშფოთვარე წარსულის გაკვეთილები 67

შესავალი 67

ფედერაციული რესპუბლიკა 67

აღმასრულებელი ხელისუფლება და ურთიერთობები აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებებს შორის ფედერალურ დონეზე 69

საარჩევნო სისტემა და პარტიული სისტემა 75

CHECKS AND BALANCES (კონტროლისა და ბალანსის სისტემა) 77

ბოლოდროინდელი საკონსტიტუციო დებატები და რეფორმები 78

დასკვნა 79

თავი VI დანია 81
ისტორიული გარემოებები 81
საარჩევნო სისტემა 82
პარტიული სისტემა 82
პოლიტიკური ინსტიტუტები 85
მთავრობის ფორმირება 86
საკანონმდებლო პროცესი 87
პირდაპირი დემოკრატია 88
სასამართლო სისტემა 89
ხელისუფლების ტერიტორიული დაყოფა 89
ბოლოდროინდელი აქტუალური დებატები 90

თავი VII ესპანეთი 93
1. თანამედროვე რეჟიმის წანამძღვრები და საფუძვლები 93
2. აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებები 95
3. საარჩევნო სისტემა და პარტიული სისტემები 96
4. ხელისუფლების ტერიტორიული დაყოფა 98
5. სამთავრობო ქმედების საპირწონეები 100
6. დებატები დღევანდელი რეჟიმის ხასიათსა და რეფორმებზე 102

თავი VIII ესტონეთი 105
ისტორიული კონტექსტი 105
აღმასრულებელი ხელისუფლება 108
საარჩევნო და პარტიული სისტემები 109
ტერიტორიული დაყოფა 111
სამთავრობო ქმედების საპირწონე 112
აქტუალური დებატები 112

თავი IX ირლანდია (ეირე) 114
აღმასრულებელი ხელისუფლება 114
საარჩევნო სისტემა 118
პარტიული სისტემა 120
ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები 123
ხელისუფლების დამბალანსებელი ჯგუფები 124
დასკვნა 125

თავი X იტალია 128
შესავალი 128
წარსულის მემკვიდრეობა 128
აღმასრულებელი ხელისუფლება 130
საპარლამენტო მმართველობის ევოლუცია 132
საარჩევნო სისტემა და პარტიების პოლიტიკა 134
ხელისუფლების ტერიტორიული დაყოფა 136
ხელისუფლების დამბალანსებელი ინსტიტუციონალური ჯგუფები 137
რა ტიპის დემოკრატიაა? 138

თავი XI კვიპროსი 141
ერთიანი ცნება და არსებითი მრავალფეროვნება 141
რეჟიმის დამკვიდრების ისტორიული გარემოებები 142
უცხოეთის კონტროლითა და კლიანტელიზმით
გამობრძმედილი პოლიტიკური კულტურა 143
აღმასრულებელი ხელისუფლება: ძლიერი პრეზიდენტი 145

ურთიერთობები პარლამენტთან 145
საკანონმდებლო წინადადებები 146
სქესთა შორის ბალანსის ნაკლებობა აღმასრულებელ შტოში 146
პარლამენტი 146
ევროპული საპარლამენტო არჩევნები 149
ხელისუფლების ტერიტორიული დაყოფა:
დეცენტრალიზაცია და ცენტრალიზაცია პატარა ქვეყანაში 149
სამთავრობო ქმედების საპირწონეები 149
აქტუალური დებატები 150
თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების საკითხი 150
დასკვნა 151

თავი XII ლატვია 153
შესავალი 153
საპარლამენტო რესპუბლიკა 153
საარჩევნო სისტემა 155
აღმასრულებელი ხელისუფლება 157
ხელისუფლებათა ბალანსი 159
აქტუალური დებატები 161
დასკვნა 162
დანართი 163

თავი XIII ლიტვა 165
ისტორიული გარემოებები და დემოკრატიული რეჟიმის ჩამოყალიბება 165
აღმასრულებელი ხელისუფლების არჩევანი და სტრუქტურა 166
საარჩევნო სისტემა 170
პარტიული ნიშნით მიმხრობის სისტემა და სამთავრობო უმრავლესობები 171
ხელისუფლების ტერიტორიული დაყოფა 175
სამთავრობო ქმედების საპირწონეები 176
აქტუალური დებატები 177

თავი XIV ლუქსემბურგი 179
ხელისუფლების მოწყობა 179
პოლიტიკური პარტიები 181
საარჩევნო სისტემა და მისი შედეგები 184
ბზარებიანი კონსესუალური დემოკრატია 186
დასკვნა 187

თავი XV მალტა 189
ისტორიული განვითარება 189
აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებები 190
საარჩევნო სისტემა 192
ხელისუფლების ტერიტორიული დაყოფა და მისი პოლიტიკური შედეგები 194
სამთავრობო ქმედების საპირწონე 195
ომბუცმენი 196
აქტუალური დებატები 196

თავი XVI ნიდერლანდი 198
შესავალი 198
ნიდერლანდის პოლიტიკური რეჟიმის ისტორიული ევოლუცია 198
ნიდერლანდის კონსოციაციური რეჟიმი 1917 წლიდან 1967 წლამდე 199
ნიდერლანდის პოლიტიკური რეჟიმი XX საუკუნისა და XXI საუკუნის გასაყარზე 201
ნიდერლანდის საარჩევნო სისტემის ჰიპოთეზური გარდაქმნა 201

პირდაპირი დემოკრატიის პირველი ფეთქებადსაშიში გამოცდილება 203
მრავალდონიანი მმართველობის ახალი სტრუქტურის ძიებაში 203
ახალი კოალიციების წარმატება 205
პარლამენტი ახალი შთაგონების ძიებაში 207
დასკვნა 208

თავი XVII პოლონეთი 209
შესავალი 209
პოლიტიკური რეჟიმი 210
პრეზიდენტი და მთავრობა 210
საარჩევნო სისტემა და მისი შედეგები 213
ხელისუფლების ტერიტორიული დაყოფა 216
სამთავრობო ქმედების საპირწონეები 217
დებატი კონსტიტუციურ წესრიგზე 219

თავი XVIII პორტუგალია 221
ისტორიული კონტექსტი 221
აღმასრულებელი ხელისუფლება 223
საარჩევნო და პარტიული ნიშნით მიმხრობის სისტემები 225
სამთავრობო ქმედების საპირწონეები 228
ინსტიტუციონალური რეფორმა 229
დასკვნა 230

თავი XIX რუმინეთი 233
შესავალი: განსაკუთრებული შემთხვევიდან
ეტაპობრივ ნორმალიზაციამდე 233
ლიდერის მნიშვნელობა:
ნახევრად საპრეზიდენტო მმართველობის სისტემა
წყვეტილი საპარლამენტო მმართველობით 234
საარჩევნო სისტემა და პარტიული ნიშნით მიმხრობის სისტემის ხასიათი 236
პოლიტიკური პარტიების სისტემა 237
ხელისუფლების ტერიტორიული მოწყობა 238
სახელმწიფოს კოლონიზაცია ანუ პარტიული დემოკრატია 239
ზედაპირული ცვლილება 242

თავი XX საბერძნეთი 247
საბერძნეთის დემოკრატიის სათავეები 247
დემოკრატიული პრინციპები 252
კანონთა კონსტიტუციურობის კონტროლი 255

თავი XXI საფრანგეთი 257
I. ვინ მართავს? 258
2. დაქვემდებარებული პარლამენტი 261
დეპუტატებისა და სენატორების არჩევა 261
3. „საკონსტიტუციო პოლიტიკის“ მნიშვნელობა 263
4. ბიპოლარიზებული პარტიული სისტემა 264
5. ურთიერთობები ცენტრსა და პერიფერიას შორის 265

თავი XXII სლოვაკეთი 268
სლოვაკეთის დემოკრატიული რეჟიმის ჩამოყალიბების ისტორიული კონტექსტი 268
აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებების მოწყობა 270
პრეზიდენტი 270

მთავრობა 272
პარლამენტი 273
საარჩევნო სისტემა 274
პარტიული სისტემა 277
ხელისუფლების ტერიტორიული დაყოფა 278
ხელისუფლებების კონტროლი 278

თავი XXIII სლოვენია 280
ისტორიული კონტექსტი: გარდამავალი პერიოდი და ევოლუცია 280
პოლიტიკური სისტემა 281
პოლიტიკური სისტემის სტრუქტურა და ინსტიტუტები 282
აღმასრულებელი ხელისუფლება და სახელმწიფო მეთაური 286
რესპუბლიკის პრეზიდენტი 286
სასამართლო სისტემა 288
საკონსტიტუციო სასამართლო 289
პოლიტიკური პარტიები და პარტიული სისტემა 289
დასკვნა: პოლიტიკური სიტუაცია და აქტუალური დებატები 291

თავი XXIV უნგრეთი 294
შესავალი: უნგრეთის დემოკრატიის ჩამოყალიბება 294
კონსტიტუციური ჩარჩო 294
უნგრეთის პარლამენტი და პარტიული სისტემა 295
დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბება და მთავრობები 297
უნგრეთის საჯარო ადმინისტრაცია 299
დასკვნა: აქტუალური დებატები და განვითარება 301

თავი XXV ფინეთი 303
შესავალი 303
ხელისუფლების მოწყობა 303
საკანონმდებლო პროცესი 303
საარჩევნო და პარტიული ნიშნით მიმხრობის სისტემები 304
დემოკრატია და პოლიტიკური პარტიები 305
მთავრობების ფორმირება და დაშლა 306
კაბინეტის პასუხისმგებლობა პარლამენტის წინაშე 307
მთავრობის ფუნქციონირება 308
ფინეთის ადმინისტრაცია 309
ევროკავშირის გავლენა პრეროგატივების გადანაწილებაზე 309
დასკვნა: ფორმალური წესები და არაფორმალური პრაქტიკა 310

თავი XXVI შვედეთი 312
შესავალი 312
პარლამენტი 312
აღმასრულებელი ხელისუფლებები 313
ხელისუფლების ტერიტორიული დაყოფა 316
პარტიული ნიშნით მიმხრობის ორგანიზაციები 317
პარტიული სისტემა, არჩევნების შედეგები და ხელისუფლების აღსრულება 320
დასკვნა 322

თავი XXVII ჩეხეთის რესპუბლიკა 324
დღევანდელი პოლიტიკური სისტემის სათავეები 324
ხელისუფლების მოწყობა ჩეხეთის რესპუბლიკაში 326
პოლიტიკური პარტიები, პარტიული სისტემა,
საარჩევნო სისტემა და მათი გავლენა მთავრობის ფორმირებაზე 328

ხელისუფლების დეცენტრალიზაცია ჩეხეთის რესპუბლიკაში 332
მთავრობის უფლებამოსილებების ზღვარი ჩეხეთის რესპუბლიკის პოლიტიკურ სისტემაში 332
ჩეხეთის პოლიტიკის მნიშვნელოვანი ამოცანები 333